

უცხოური წეართები საქართველოს შესახებ  
წიგნი XXVIII  
გვლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
КОМИССИЯ ПО ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ  
О ГРУЗИИ

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

## „КНИГА ПУТЕШЕСТВИЯ“ ЭВЛИИ ЧЕЛЕБИ

II том перевел с турецкого, исследованием и  
комментариями снабдил Г. В. Путуридзе

Вып. I, грузинский перевод

«LIBER PEREGRINATIONIS»  
A EVLIYA ÇELEBI SCRIPTUS

Tomum secundum èn linguam ibericam traduxit commentariisque  
instruxit G. V. PUTURIDZE  
Fasciculus prior, versiones ibericae

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“—SUMPTIBUS ACADEMIAE  
SCIENTIARUM GEORGIAE  
ТБИЛИСИ—1971—THBILISIIS

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
საქართველოს უნივერსიტეტის უფლისხი წერილის პომიდის

## ევლია ჩელების „მოგვაურობებს ტიპი“

თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოყელება.  
დაურთო გიორგი ფუთურიძე

ნაკვ. I, ქართული თარგმანი

გამოგვიათურა „მეცნიერება“

თბილისი

1971



9(c41)+901(45)  
9(47.922)+90(56)  
3 299

ഡാ. എസ്റ്റേജ്. മന്ത്രിശാലയിൽ നിന്ന്  
അംഗീകാരിച്ച പ്രഖ്യാതവർ

മുൻപ് ചാർമ്മണഡ്ഗോണലിം XVII സാമ്രാജ്യിൽ ഉദ്ദീപി-  
ത്തി മന്ത്രിശാലയിൽ ക്രൈസ്തവ അന്തർദിനിക്രാന്ത തഥാളയു-  
ദിൽ II ക്രമിൽ ചാർമ്മണഡ് ടാർഗമാനം.

“മന്ത്രിശാലയിൽ മുൻപിൽ അ നാശിലശി മന്ത്രിശാലയിലും  
അമൃതരാജ്യാംഗിലിൽ ദാ ക്രൈസ്തവ, സാക്ഷാത്ക്രാന്തിക്രാന്തി  
ഗൈമാനിക്രാന്തിയും, ഏതന്നും ക്രൈസ്തവ ദാ ക്രൈസ്തവ  
ബാംഗിലിൽ ചാർമ്മണഡ് പ്രഖ്യാതാണ്, കാപ ദ്വീപാംഗിലിൽ ചാർമ്മണഡ്  
നി ക്രൈസ്തവിൽ ചാർമ്മണഡിൽ ശ്രദ്ധാരാജാഡ്.

തഥാളയാംഗിലിൽ മുന്തിരി അംഗിലിൽ മന്ത്രിശാലയാംഗിലിം, കാപ,  
മന്ത്രിശാലയിൽ മുന്തിരി നാശിൽ ക്രൈസ്തവിൽ അംഗിലിൽ ഗാർഡാ,  
സിസ്റ്റെറിയും മന്ത്രിശാലയിൽ ശ്രദ്ധാരാജാഡ് സാക്ഷാത്ക്രാന്തിക്രാന്തി  
ലോദാംഗാ ദാ ലൈഡൈ ചാർമ്മണഡ ദാ ക്രൈസ്തവിൽ ശ്രദ്ധാരാജാഡ്.

മതാവാർന്ന ക്രൈസ്തവിൽ: | ഓ. അബ്ദുല്ലാഹ് |, | വി. ഫെത്തുർറഹ്മൻ |,

ബ. പാശ്ചക്ഷിശ്വീലി, ഗ. ചുരുക്കേലി (മത. ക്രൈസ്തവന്മാർ), ബ. കുർജി

തുരുക്കുലി ചാർമ്മണഡിൽ ശ്രദ്ധാരാജാഡിൽ സേരിക്കുന്ന കിട്ടാ

## მინასიტუპაობა

XVII საუკუნის განთქმული მოგზაურის ევლია ჩელების ათტო-  
მიანი „სედაპათ-ნამე“ — „მოგზაურობის წიგნი“ ითვლება ფუნდა-  
მენტალურ კულტურულ-ისტორიულ ნაშრომად და მისი ავტორი —  
უდიდეს და ოსმალთა შორის ყველაზე საინტერესო გეოგრაფ-მოგ-  
ზაურად<sup>1</sup>.

„მოგზაურობის წიგნში“ მოცემულია ისტორიული, გეოგრაფიუ-  
ლი, ეკონომიკური, ლინგვისტური, ეთნოგრაფიული ხასიათის უამრავი  
ცნობა ევროპის, აზიისა და აფრიკის იმ მრავალი ქვეყნის შესახებ,  
რომლებიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოიარა და  
თვის თხზულებაში აღწერა ევლია ჩელებიდ.

„მოგზაურობის წიგნის“ ათივე ტომი I — ტამბოლში დაბეჭდა (I—  
III — 1897 წ.; IV—V — 1898 წ.; VI — 1900 წ.; VII—VIII — 1928 წ.;  
IX — 1935 წ. და X — 1938 წ.).

ძირითადად ამ გამოცემიდან არის სხვადასხვა ენებზე თარგმნი-  
ლი თხზულების ის ნაწილები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანას შე-  
ეხება. ჯერჯერობით არც ერთ ენაზე არ უთარგმნიათ მთლიანად ეს  
თხზულება.

ამიერკავკასიის ქვეყნებისა და, კერძოდ, საქართველოს წარსუ-  
ლის შემსწავლელთათვის განსაკუთრებით საინტერესო „მოგზაურო-  
ბის წიგნის“ მეორე ტომი. ამ ტომში დაწერილებითაა აღწერილი სა-  
ქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ის მხარეები, რომლებიც  
ევლია ჩელებიმ დაათვალიერა რამდენიმე მოგზაურობის დროს. აღ-  
წერილობასთან ერთად ევლია ჩელები ისტორიულ ექსკურსებსაც  
აკეთებს და მრავალ საყურადღებო ცნობას იძლევა ამიერკავკასიის  
ისტორიიდან. ამგვარად, საქართველოს შესახებ ცნობები განეკუთვ-

<sup>1</sup> Акад. И. Ю. Крачковский. Избранные сочинения, IV, М.—Л., 1957, стр. 628.

ნება არა მარტო 1640—1647 წლებს, როდესაც ევლია ჩელებიმ იმო-  
გზეურა, არამედ ადრინდელ პერიოდსაც.

ამ ტომში აღწერილია ამიერკავკასიის მეზობელ ქვეყნებში მოგ-  
ზაურობაც და რაღაც ამიერკავკასიის ხალხებს მჭიდრო ურთიერთო-  
ბა ჰქონდათ ამ ქვეყნებთან, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მთელი ტომის  
ქართულად თარგმნა.

I ნაკვეთის სახით ამჯერად მკითხველს ვაწოდებთ ქართულ თარ-  
გმანს ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ მეორე ტომისა, რო-  
მელიც 1897 წელსა სტამბოლში გამოცემული<sup>2</sup>. II ნაკვეთში გათვა-  
ლისწინებულია გამოქვეყნდეს გამოკვლევა „მოგზაურობის წიგნის“  
შესახებ, კომენტარები, საძიებლები და ტერმინოლოგიური ლექსი-  
კონი.

„მოგზაურობის წიგნი“ თავებად დაყოფილია ისე, როგორც ევლია  
ჩელების ჰქონდა გაკეთებული და სტამბოლის გამოცემაშიც აისხა.  
ამიტომაა, რომ ზოგ შემთხვევაში ცალკე თავად გამოყოფილი ნაწი-  
ლები სრულად ვერ ასახვენ მრავალფეროვან შინაარსს.

დიდი სიძნელეები შეგხვდა ეთნიკური და გეოგრაფიული სა-  
ხელწოდებების ქართულად გადმოცემისას, რაც ძირითადად არაბული  
დამწერლობის თავისებურებებით არის გამოწვეული. ამიტომ ზოგ  
შემთხვევაში ტრანსლიტერაციის წესს მივმართოთ.

თხზულებაში მრავალი სხვადასხვა ტერმინი გვხვდება (სოცია-  
ლურ-ეკონომიკური, აღმინისტრაციული, სამხედრო, სამედიცინო და  
სხვ.), რომლებსაც ქართული შესატყვისი არ აქვთ. ამ ტერმინების  
დიდი ნაწილი ისე გადმოვიტანეთ, როგორც ევლია ჩელების აქვთ და  
განმარტებული იქნება II ნაკვეთში ფათვალისწინებულ ტერმინოლო-  
გიურ ლექსიკონში.

ევლია ჩელების „მოგზაურობის ფიზი“

ქართული თარგმანი

სახელითა ალლაპისა, მოწყალისა, მწყალობლისა

წრიცელი ევლიას „მოგზაურობის შიგნის“  
შესავალი

უპირველესად ყოვლისა, ვადიდოთ ზეცის გამჩენი, რომელმაც  
შექმნა და გამოავლინა სამყარო და ყველაფერი ის, რაც რამ მასშია:  
ყოველი საოცრება და საკვირველება, დედამიწა, ცა, სამოთხე, მისი  
ანგელოზები და კარის მცველი, სამოთხის ჭალწულები და ჭაბუქე.  
ზი, სუნდული და არჭანი, ბულბული და ვარდნარი, უკვდავების წყა-  
რო, მარგალიტი და მარჯანი, ბრწყინვალე მზე და მთვარე.

„ჩვენ გვმართებს შექება შემოქმედისა;  
მისი წყალობის მთხოვნელია ყოველი სულიერი;  
თან ლოცვა და მშვიდობა ქებულს,  
რომელიც მოგვევლინა, . . . . .  
მუქამედის მეგობრებსა და შეილებს მშვიდობა;  
ისინი იყვნენ მთლიანად სარწმუნოების დამცველნი“.

ქება-დიდება სამყაროს შემოქმედს, რომელმაც მე, მწირი მონა,  
არარაობიდან გამაჩინა და ბრძანებით: „ჯინი და ადამიანი შევქმენ,  
მხოლოდ იმიტომ, რათა მმონებლენო“<sup>2</sup>, დამავალა მორჩილება და  
ლეთისმოსაობა. ისლამის სარწმუნოების აღთქმანი, როგორიცაა ლოცვა  
და მარხვა, ზექათი და ჰაჯი, თავის მონებს წესად დაუდო და მისი  
ბრძანების შესრულება ბეჭინერებისმომგრელად აქცია<sup>3</sup>.

მეც, უკნინეს მონას, მინდოდა ჰაჯი შემესრულებინა და სათანა-  
ლო მოგზაურობის მთხოვნელი ვიყავი. სულ იმას ვფიქრობდი, რო-  
გორ გავითავისუფლო თვის მამისა და დედის სასტიკი კლანჭებისაგან,  
ქვეყანა მოვიარო და შევძლო მსოფლიოს მოგზაური გახსედე-მეტქი.  
1040 (1630) წლის მუჰარემის თვის პირველ რიცხვს (10. VIII) ქა-  
ლაქ სტამბოლში ვიხეტიალე ფეხით და შევქმენი პირველი ტომი,  
რომელიც შეიცავს სტამბოლის ამქართა აღწერას. რამდენადც შეიძ-

ლებოდა, მთლიანად აღვწერე ხუროთმოძღვრების ძეგლები და საქველმოქმედო დანიშნულების ნაგებობანი; აღვწერე მისი ამქრები და მათი მფარველი უხუცესები თავიანთი კანონებითა და წესებით; გადმოვცი, თუ რა მონაწილეობა მიიღეს მათ ჯარში ბალდადის დასაპყრობად მოწყობილი წმინდა ომის დროს<sup>4</sup>.

||ჩემი მთავარი სურვილი იყო წავსულიყავი წმინდა ადგილებისაცენ: — ბალდადს, მექას, მედინას, ეგვიპტეს, სიჩიას და, როგორც აღწერილია პირველი ტომის შესავალში, ერთ კურთხეულ ლამეს ჩემს მშობლიურ სახლში სიზმარი ვნახე. სიზმარში გამომეცხადა წინასწარმეტყველი და მის წმინდა ხელებს რომ ვემთხვიე, შევცოლე და მფარველობის ნაცვლად მოგზაურობა შევევედრე. ქვეყნიერების სიამყემ ლიმილით წარმოთქვა: „გამიადვილე, ალაპო, ჯანმრთელობითა და მშვიდობით შუამავლობა, მოგზაურობა და წმინდა ადგილების მონახულება“<sup>5</sup>. ასე დამლოცა ფათიპას სიტყვებით.

დიდებულად ნათქვამი სიტყვების მიხედვით: „როდესაც ალაპი ისურვებს რამეს, მის მიზეზსაც შექმნის“<sup>6</sup>, მეორე დღეს, დილაად-რიან მივედი ჩემი ძველი მეგობრის ოკჩუ-ზალე აპმედ ჩელების სახლთან, რომელიც გედიქ-ფაშას უბანში მდებარეობს. ვნახე, რომ დიდი სამზადისით ქალაქ ბრუსას სალოცავად გასამგზავრებლად გამზადებული. მე მომმართა: „მათ ევლია მოდი, როგორც იტყვიან, — ჯერ თანამგზავრი და მერე გზაო — შევამხანაგდეთ, ხუთ-ათ დღეში ძველი სატახტო ქალაქი ბრუსა<sup>7</sup> მოვიაროთ და დავათვალიეროთ. იქნებ ჩვენმა მოწყენილმა გულებმა გაიხარონ და სევდიანი გუნება ჭავებიალისდეს. იქ მრავალ სამაგალითო ძეგლებს დავათვალიერებთ, ჩვენი ძეგლი ისმალო სულთნების აქლდამებს მოვინახულებთ. განსაკუთრებით კი, წმინდა ემირ-სულთანის<sup>8</sup> აქლდამას ვემთხვევით და გულებს გავინათლებთ“. ეს რომ თქვა, გულში ცეცხლი გამიჩნდა. იმ ერთგული მეგობრის წინადადებით ბრუსას მხარის ნახვის წყურვილი აღმერა. მაშინვე უყოფმანოდ ვუთხარი: „კეთილი იყოს ჩვენი გზა!“ და-მსწრე საზოგადოებას გაეხარდა; შეაძლებინოთ ჯანმრთელად და უდანაკლისოდ დაბრუნებაო, თქვეს და ლოცვა-კურთხევით წაიკითხეს პატიოსანი ფათიპა. მე, მწირი, დაუკოვნებლივ, იქიდანვე გავყევი მათ ისე, რომ დედ-მამამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. ოც მეგობართან ერთად სიხარულით მივედით ემინონ-ჟესთან<sup>9</sup> და ერთ ნავში ჩაესხედით, რომელიც მუდანიას მიღიოდა

1050 (1640) ფელს სტამბოლიდან ბრუსაში სამოგზაუროდ გასცლა, ჩვენს მიერ თანახმი სამაგალითო ძიგლები, ძველი ქალაქები, ისტიბი, მიწები, ზღვისგან და ჩვენს მიერ გადატანილი ისეთი გაფილვება და თაჯვება, როგორც ნამთვავია: „მოგზაურობა მრთი ზარსანის მანძილზეც კოჭონების დაზილიაო“

ემინონურდან პირველად გალათას კონცხზე მდებარე კურშუნლუს საწყობის წინ გავიარეთ კონსტანტინეპოლის ყურე, //დაბა ფინდიხ- 5 ლისთან შევისვენეთ და ხომალუზე ავიყვანეთ რამდენიმე მეზავრი, რომლებიც დაოსტატებული მეზღვაურები იყვნენ. 1050 წლის მუჰარემის პირველი პარასკევი (1640. 27. IV) იყო. გვიან დილით, ესე იფი, როდესაც მზე კარგად ამოწვერილიყო ცის კამარაზე. მეზღვაურებმა თქვეს, ხელსაყრელი ამინდიაო, ერთ ადგილს შეგროვდნენ, იალქნის ქანდარა დაჭიმეს და ღუზა ამოილეს. მამაცი მეზღვაურები მოემზადნენ, იალქნები გაშალეს და ფათიპა — წაიკითხეს — ღმერთმა ხელი მოგვიმართოსო. აფრაგაშლილებმა გავიარეთ სასახლის კონცხის დინება და მისი მორევები. ჩვენი მიზნადდასახულების იალქანი ბრუსის მხარეს მივმართეთ. გვმზე ყველა აღტაცებული საუბრობდა; ზოგიერთი მეგობარი თავიანთ ლვთისსადიდებელ საგალობლებს ღილინით წარმოთქვამდა:

„ო, მართალი გზის მაჩენებელო ღმერთო!  
შეგვიმსუბურე გზა;  
მოგვეც გზა მშვიდობისა —  
მალე გაგვარარე; გაგვიმართო ხელი“.

აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ჩვენი თანამგზავრი სულთან იბრაჰი- ბის კარჯი-ბაშის — საფარ-აღას მეფიანდურე და მეჭიანურე ყოფილა. ერთიც — სადრაზამ ყარა მუსტაფა-ფაშა<sup>2</sup> მსახურის — ყარა რეგებ- აღას — მეჩინგურე და მომღერალი. ყველა ერთად შეიქრიბა. მე, მწირმა, ვუთხარი: „მოღით ამ მწუხარების მორევში დარდის განსაქა- რებლად სევაპი ვიმღეროთ მეთქი და ყველანი დამეთანხმნენ. მეზ- ღვაურთაგანაც მოვიღნენ ჩინგურებით: ძია კიშლაკჩი, ძია ჩურდუმი, ძია ჩივიკ ველი და ჩვენთან ერთად მათაც იმღერეს. ისეთი მგზნება- რე და გულწრფელი ჰუსეინ ბაიკარსახებურია მუსიკობა მოეწყო, რომ სიამეთა მოყვარულთ პირზე ნერწყვი მოადგათ. ამ დროსტარებით კუნძულ ჰედელის მივადექით.“

**შეგბელის აღწერა:** სტამბოლიდან თვრამეტი მალის მანძილზეა. მისი გარშემოწერილობა ცხრა მილია. კეთილმოწყობილი და გაშენებულია. ერთი მონასტერი აქვს. წელიწადში ერთხელ ნავებით მოდიან ბერძნები სალოცავად. კუნძულის მცხოვრებლები ყველანი მდიდარი ბერძნი გემისმდროლები არიან. უკვდავების წყაროსავით წყალი და თვალწარმტაცი ბალები აქვთ. მათი მმართველები არიან ბოსტანჯი-ბაში და იანიჩართა მასაქრი. იქიდან დავიძარით, ზურგის ქარი ქროდა. სიმღერაც დაცვექეთ, ხუთ საათში მუდანიის ნაპირს მივაღწიეთ და ღუზა ჩავუშვით.

**მუდანიის აღწერა:** ეს ქალაქი კონსტანტინეპოლის მზრდანებლის ქალიშვილის — მუდანიას//აშენებულია. მე, მწირს, პირველად ამ ქალაქში მომეუცა პატივი საპარასკევო ლოცვა უცხო მხარეში შემესრულებინა<sup>4</sup>. იგი ამ ზღვის სანაპიროს სავჭრო ნავსადგურია. გამვლელ-გამომვლელი გემებისათვის უხითათ ნავსაყუდელია. რაღაცაც მუდანია ერთ კუთხეში, სტამბოლის ყურეს სამხრეთით მდებარეობს, ამიტომ შვიდივე ქარისაგან<sup>5</sup> დაცულია, მაგრამ ჩრდილოეთის ქარისაგან მაინცდამანც უსაფრთხო არ არის. ნავსადგურის თავში საბაჟოა. მომსვლელი და წამსვლელი გემებისაგან, ხმელეთით მოსული ვაჭრებისაგან სულთნის წილ აშარს იღებენ. თორმეტ უქ ახჩად არის იგარით ფაცემული. ქალაქი ზღვისპირას მდებარეობს, ვრცელ სივრცეზე. ციხე ქვის შენობაა, რომელიც ჩავარდნილ და მოფარებულ ადგილზე აუშენებიათ. შევიდას ოცდაერთ წელს (1321), როდესაც ორხან-ყაზი<sup>6</sup> უფლისწული იყო. მამამისის — ოსმან-ყაზის<sup>7</sup> ნებართვით ეს ციხე პირველად დაიპყრო და ერთხელაც ალაგ-ალაგ დაანგრია იმ მოსაზრებით, რომ ურწმუნოებს ხელში არ ჩავარდნოდათ. მაგრამ ადვილად შეიძლება მისი შეკეთება. ქალაქი ანატოლიის ვილაიეთში ყაზი პულავნიდიქარის სანქაყის სავოევოდოა. ასორმოცდაათასჩიანი ყაზაა<sup>8</sup>. მის ყადის ორი ათას ყურუშს აძლევს წლიურ შემოსავალს. ზოგჯერ კი ბრუსის მოლას ეწყალობება ხოლმე ბაშმაჟლიქის საფასურის სახით. მშვენიერი ყაზაა. სამი ჯამე, შვიდი მეჩეთი, სამი ფუნდუკი, ერთი აბანო, ორი ყრმათა სასწავლებელი<sup>9</sup> და ორასამდე ღუქანი<sup>10</sup> აქვს. მისი მოსახლეობა ბერძნებია. რაღაცაც ჰავა მშვენიერია, ბერძნი ლამაზმანები ბევრია<sup>11</sup>. აქაური ლელვი, ყურძნი და შირა განთქმულია. დაბოლოს. რაღგნაც მისი ძმარი მთელ დუნიაზეა გავრცელებული, ამ ქალაქს ძმრის ქალაქს<sup>12</sup> უწოდებენ. შემდეგ ცხენებზე შეესხდით, პირდაპირ სამხრეთისაკენ ვიარეთ ბალ-ვენახებს შორის, ოთხ საათში გავიარეთ კეთილმოწყობილი და გაშენებული დაბლობი. რომელსაც ფილედარის ველი ეწოდება და მივაღექით მდინარე ნილუფერს.

მდინარე ნილუფერი: წყალია, რომლის გადასვლა გაჩაფხულზე შეუძლებელია. სამხრეთიდან მოდის რუპბანის, ქათალის, ქესთელის მთებიდან და ერთ მდინარედ იქრიბება; ფილედარის ველზე გაივლის და ათასობით სახნავ-სათეს მიწებსა და ინდისხურმის კალებს რწყაცს. შარაგზაზე ერთი მტკიცე ხიდია აშენებული, რომლის ყოველი თაღი ცისარტყელასა ჰგავს. რაღანაც იგი ნილუფერ-სულთანმა<sup>13</sup> ააშენა, სახელად ნილუფერის ხიდს უწოდებენ. მდინარე ამ ადგილს//რომ გაივლის, დასავლეთით ხმელთაშუა ზღვას ერთვის. აქედან ორი საათი სამხრეთისაკენ ვიარეთ და ბრუსას მივაღწიეთ.

## II

### აპრეზშის ადგილისა და სატახტო ჩალაპის — ბრუსის ამბავი

ადამის მიწაზე დაშვების შემდეგ, დედამიწის ზურგზე პირველად რომ მისი ისტორია დაწერა, იყო იდრისი<sup>1</sup> — მშვიდობა იყოს მასზე. შემდგენი არიან კოპტები, რომლებიც დღემდე მომხდარ ყველა ამბავს მიყოლებით წერენ. შემდეგ არიან ბერძნები, რომელთა უღი-დესი მემატიანეა მადიანის ძე და იანკოს ძმა ბანვანი<sup>2</sup>. თუმცა ებრაელებს ისტორია აქვთ, რომელსაც პეკამი ეწოდება, მაგრამ იგი სანდო არ არის. არსებობს ინდოეთის ისტორიები, ჩინეთის ხაკანისა, არაბეთის, ირანის, საფრანგეთის და ლათინთა ისტორიაც. სულ უკანასკნელია ბერძნების ისტორია. მე შევხვდი ყველა ისტორიკოსს, რომელთაც შესწავლილი პქნდათ ეს მატიანები. არც ერთ მათგანში ბრუსის დამაარსებლის შესახებ არაფერი წერია. „სულეიმან-ნამე“-დ და „თუჭუ“-დ წოდებულ ძველ ისტორიებში კი შემდეგნაირადაა აღწერილი:

„როდესაც სოლომონი<sup>3</sup> — მშვიდობა იყოს მასზე — ტახტით ჰა-ერში დაფრინავდა, რუპბანის მთის უმაღლეს მწვერვალზე შეჩერდა. მიმოიხედა და ვეზირ ასაფ ბერპანას უთხრა: „ჩა კარგი იქნებოდა, ამ ულამაზეს გაშლილ აღგილას დიდი ქალაქი ყოფილიყოონ“. დაახლოებულმა პირებმა, რომლებიც ჯინები და დევები იყვნენ, ოქვეს: „ო, ალლაპის მოციქულო, წარლვნამდე აქ დიდი ქალაქი და ძველი ციხე ყოფილა. ამბობენ, რომ ის ციხე ჯინების ხალხსა აუშენებია. ჩვენ აქ ჯარით მოვედით, ვერ დავიპარით და უკან გავბრუნდით. შემდეგ, წარლვნის დროს ციხე ჩაიძირა და მისი სახელი და ნიშანი გაქრაა“. უფალი სოლომონის ბრძანებით მისმა ფირებმა ის ადგილი ქვა-ლორ-ლისაგან გაწმინდეს. ციხის კედელ-ბურჯები გამოჩნდა. სოლომონის

ბრძანებით ძლიერად დაუბერა სამხრეთის ქარმა და კარ-კედლები გა-  
მოჩნდა. სოლომონმა — შშეიღობა იყოს მასზე — ბრუსის დასავლე-  
თით ერთი დღის სავალ მანძილზე ედინჯიქად წოდებული დიდი ქა-  
ლაქი ააშენა და ბელქისის სატახტო ქალაქიდ აქცია. ეხლაც კი ჩანს  
მისი მაღალი ციხე-კოშკები //აია-სოფიას სვეტების დიდი ნაწილი ამ  
ქალაქიდან არის წალებული. სოლომონი — მშვიდობა იყოს მასზე —  
ყოველ წელს ბელქისთან ერთად მოდიოდა და ამ ქეშიშის მთაზე ნა-  
დიმობდა. რახან ასეა, გამოდის, რომ ბრუსა წარლენის შემდეგაა აშე-  
ნებული სოლომონის მიერ. ციხის ამშენებელი კი უცნობია. ციხის  
საძირკველი ციცაბო კლდეში არის ჩადგმული. წაგრძელებული ოთხ-  
კუთხედის მოყვანილობია. იგი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენაა  
გაჭიმული. გარდა იმისა, რომ ჩრდილოეთის და სამხრეთის მხარე  
მაღალია, ქვემოთ უფსკრულიც აქვს. სამ მხარეს სრულებით არ აქვს  
თხრილი. ფინარბაშის, წისქვილებისა და მერქევეთა უბნების მხარეს  
ღრმა თხრილი აქვს. ღროთა ვანმავლობაში მისი თხრილი არ განახლე-  
ბულა. ავაზაკებმა, რომელთაც სახელად ერქვათ ქელალი ყარა ჯაზიში,  
არაბ-საიდი, კალენდერ-ოლლუ<sup>7</sup>, ციხეს ალყა შემოარტყეს და მისი  
თხრილები მიწით ამოავსეს. მაგრამ ციხის ოთხივ მხარეს საძირკველში  
ისეთი ქვები ჩანს, რომ თითოეული მათგანი აბანოს თაღის ოდენაა. ეს  
ადასტურებს, რომ ციხე აღმიანის მოდგმის აშენებული არ არის. შემ-  
დეგ ხანებში ციხე იზმირის მეფის ცოლის — ფიდაკას ხელში გადასუ-  
ლა. რაღვანაც მისი ზოგიერთი კედელ-ბურჯი შეკეთებულია, ზედ ბერ-  
ძნულ ენაზე შეკეთების თარიღები აქვს. ციხე ქეშიშის მთის ძირას  
მდებარეობს და ამიტომ იგი სამხრეთისა და აღმოსავლეთის ქარე-  
ბისაგან დაცულია. ქალაქის სახლებს პირი მიშეერილი აქვთ ჩრდი-  
ლოეთისა და სამხრეთის მხარეს. ასე, რომ ფილედარის ველი მათი  
ფანჯრებიდან მოხატული ქამელეონინით მოჩანს. ციხის გარშემოწე-  
რილობა ათი ათასი ნაბიჯია. ექვსი ათასი ქონგური, სამოცდაშვიდი  
კოშკი და ხუთი კარი აქვს. სამხრეთისაკენ არის ფინარბაშისა და სა-  
პყრობილეს (ზინდანის) კარები. დასავლეთისაკენ გაღიან კაფლიჯას  
და ბალიქ ბაზარის კარები. ციხე დიდი ხნის ვანმავლობაში ჰქონდათ  
ბერქნებს. თუმცა კონის სელჩუკებმა შვიდჯერ შემოარტყეს ალყა და  
შვიდ-შვიდი, რვა-რვა თვე ჰქონდათ იგი გარემოცული, ზამთრის და-  
დგომით გამოწვეული სიძნელეების გამო კონიაში ბრუნდებოლნენ  
ხოლმე. თავისი ბეგობის დროს<sup>8</sup> ოსმანმაც სამჯერ შემოარტყა ალყა  
და სამივეჯერ ისე გაბრუნდა, რომ ვერ დაიცყრო. შემდეგ იგი ნიკრი-  
სის ქარით გახდა ავად და თავისი ვაჟი ორხან-ყაზი თხომოცი ათასი  
მეომრით გაგზავნა ბრუსისაკენ. ამათაც ალყა შემოარტყეს კაფლიჯას  
მხარეს და ფინარბაშისთან თითო უზარმაზარი კოშკის შენება დაიწყეს

და შვიდ თვეში შეძლეს მათი დამთავრება. შემდეგ ხელმეორედ დაიწყეს გარემოცვა. კაფლიგას მხრიდან ორხან-ბერ შემოადგა ციხეს; ფინარბაში // მხრიდან — მისი ძმისწული თემურ-ბერ, მთის მხრიდან — 9 ბალაბანჯიქ-ბერ და ურწმუნოები მეტისმეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენეს. გარედან მოსული მაშველნიც ხმლით აკურეს და ამოწყვიტეს. ამ ღროს ციხეში გამაგრიგულ ურწმუნოებში შამშილი და სიძირე ჩამოვარდა. ბოლოს, ერთი წლის ალის შემდეგ, ციხე ორხან-ყაზის დანებდა. 726 (8. XII. 1325—26. XI. 1326) წელს, როდესაც ორხანი მამასთან გაეშურა, იგი სულთმობრძავი დახვდა. უთხრა თუ არა ორხანმა: „სამახარობლო! ბრუსა ავილეთო“, ოსმან-ყაზიმ სული ჰანუტევა. ორხან-ყაზი ბრუსაში მოვიდა და დამოუკიდებელი ფადიშაპი გახდა. ოსმან-ყაზი შიდა ციხეში დაიმარხა. დიდი სალოცავი აღვილია. მამამისის — ერთოღრულ-ყაზის ბეგობის ღროს 9 სამოცდაათი ქალაქია დაპყრობილი. პირველად კოჯაილი დაპყრო ახჩა კოჯამ<sup>10</sup>. რიგით მეორე დაპყრობილია ბულაკ-აბადის მახლობლად მდებარე იზნიქი<sup>11</sup>. ოსმან-ყაზიმ ერთი კეთილშობილი სეიდის, წმინდა შეის ედა ბალის უმანკო ქალიშვილი შეირთო ცოლად და ორხან-ყაზი იმ ქალის ხელში შეეძინა. ორხან-ყაზის სახელზე პირველი ხუტბა აღვლინა ედა ბალის ნათესავმა, ღვთისმეტყველმა ღურსუნმა.

რაღგანაც ბრუსა ახალი დაპყრობილი იყო, კეისარის, კონის, ნიგდეს, აიღინის, საჩუხანის, ლარენდეს, დერენდეს, მარაშის მხარე-ებიდან მაპმადიანები მოფინენ და დასახლდნენ. ზღვისოდენი ჭარებით შევარდნის ბულიდან დააფრინდა ორხანი თავის მტრებს, შური იძია და ნადავლით ბრუსა გააშენა. ბაღნის, ბუხარის და ხორასნის მხარეებიდან მრავალი წმინდანი მოვიდა და აქ დასახლდა. ბრუსის კეთილმოწყობა დღემდე გრძელდება.

### III

#### სრუსის ნაგებობათა აღნირა

შიდა ციხეში ორი ათასი სახლი და სართულებიანი დიდი სასახლეებია, მაგრამ ბაღ-ვენახები არა აქვთ — მიჯრით მიღგმული სახლებია. შვიდი უბანი. შვიდი მეჩეთი და ერთი აბანო აქები ციხეს. ერთიც — დახურული ბაზარი და ოცი დუქანი.

სულთან ორხანის ჭამე: შიდა ციხეშია. მისი სიგრძე-სიგანე ას ათი ნაბიჯია. // ერთი ერთსართულიანი მინარეთი აქვს. ორხან-ყაზი 10 აქა დამარხულია. დიდი, წითელი დოლი, რომელსაც „ორხანის დოლს“ ეტყვიან, ამ ჭამეს ერთი თალის ქვეშ ჰყიდია. ოსმალთა სახელმწიფო-

ში პირველად ეს დოლი დაგრიალეს. ქველი ფადიშაპების სასახლეც ამ ციხეშია. სულთან მეჰმედ II ფათიშამბეგ<sup>1</sup> ფადიშაპების სასახლე ეს იყო. მაგრამ ძლევამოსილი ყაზი ხონთქარი<sup>2</sup> ხანდახან ედირნეს სასახლეში ცხოვრობდა. ამჟამად ამ სასახლეებს ყურადღება აღარ ექცევა და მიტოვებულია, მაგრამ სარდლები და ბოსტანჭიები ისევ ჰყავთ.

ამ შიდა ციხის მთავარი ქუჩების ქვაფენილი დიდი ქვებით არის მოგებული. მისი სახლები ძეველი ყაიდისაა. ზოგი მათვანის საძირკველი გიაურებს ჩაუყრიათ. მის ქეისა და აგურის კედლებზე აღნიშნულია თარიღები, რომლებიც გვაჩვენებენ ამ სახლების აშენების დროს. აქაური სახლები ქვითნაშენი, ლამაზი შენობებია და ყველა კრამიტით არის დახურული. ყოველ სახლს აქვს ერთგვარი კიბარისის თარგზე ნაგები, შივნიდან თანაბარი ზომის ექვსწახნაგიანი ბუხრები, მრგვალი საკვამლე მილებით. ციხეში ალაგ-ალაგ არის კიბარისისა და კაცლის ხეები, ვაზი. რაღგანაც ჰავა მშვენიერი აქვს და მაღალი აღგილია, ამიტომ ხალხი ტანადი და ჯანმრთელია.

ბრუსის სხვადასხვა მოხელეთა აღწერა: სულთან მეჰმედ-ხან ფათიშის დროიდან ანატოლიის ვილაიეთის მმართველობის მთავარი ქალაქია. მისი მმართველია ჰუდავენდიქარის სანჯაყის ფაშა. ფადიშაპისაგან მას სამეფო სახასოს სახით 618.079 ახხა აქვს. მის სანჯაყში 420 ზეამეტი და 1005 თიმარია. ალაიბეგი, ჩერიბაში და მუზბაშიები ჰყავს. ომიანობის დროს, კანონის მიხედვით, ჯებელიებიანად მათი ალაიბეგის დროშის ქვეშ თავს იყრიან შეიარაღებული რჩეული მეომრები. ფაშა კი საკუთარი ხუთასი მეომრით მიღის სალაშექროდ. ხუთასახჩიანი თანამდებობა არის კეთილშობილი ყადისა. ბრუსის ყადის თანამდებობიდან დაწინაურებულები ედირნესა და სტამბოლის ყადიები ჩდებიან. მაღალი თანამდებობაა წლიურად ორმოცა ათასი ყურაუში შემოსავალი აქვს. ქალაქში შვილი სასამართლოს ნაიბია. მის ნაპიერებში: — გუბენე, ფილელარი, ებლივენდი, ქესთელი, ჩუკურჭა — ზავრობის მიერ დანიშნული იანიჩართა ჩიხადარები, ბაზარავიდენები და სტამბოლის კარისკაცთაგან გამოყოფილი კაფუჯიების მეთაური სულთნის სახელით განაგებენ. იანიჩართა ოდების ბრუსელი აღა, გებეგიების ჩორბაჭი, იანიჩართა დებენგიების ოცი თანამდებობა. ||სიფაპიების ქეთხულა-ჩერი, ნაკიბ ულ-ეშრაფი, აბრეშუმის ზომა-წონის გამგე, საბაუოს გამგე, ნაგვის საყრელის სუბაში, მუჭთასიბ-აღა, ადაკ ნაიბი ჰყავს. ყველა ესენი მაღალი თანამდებობის მოხელეები არიან, რაღგანაც ბრუსი დიდი ქალაქია.

ქვედა ციხის აღწერა: ერლაუს<sup>3</sup> დამპურობის — სულთან მეჰმედ-ხან მესამის დროს<sup>4</sup> ბრუსის წარჩინებულებმა გაიგეს, რომ ბრუსას

თავს უნდა დაესხან აჯანყებულები — ყარა ხაზიჯო, კალენდერ-ოლლუ, დელი ჰასანინ, ჭენეთ-ოლლუნ. სულთნის უზენაესი ბრძანებით ქალაქის სამ მხარეს ცალწყებად ააშენეს ბურჯიანი, გალავნიანი, საყრდენებით გამაგრებული ერთსართულიანი ციხე, რომელსაც ყოველი მხრიდან ჰქონდა სათოფურები. ოლონდ მაინცლამაინც მტკიცე არაა. ესეც იმ მთის ძირას მდებარეობს, რომელსაც ქეშიშ-დაღი ეწოდება. ომოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გაჭიმული დიდი ქალაქია. მისი სიგრძე ერთი ფარსანგია და სიგანე — ნახევარი. შიდა ციხის სამი მხრიდან შემოკრული კედლების ყველა მხარე ერთად ხუთი ათასი ნაბიჯის სიგრძისაა. მისი კედლები მაინცლამაინც მაღალი არაა. თათარჩა (შიკრიფთა) კარის მხარეს თხრილი აქვს და სხვა მხარეს კი არა. კაცმა რომ თქვას, არცა სჭირდება, იმტკომ რომ ფრიად წყლიანი ადგილია და მტერი რომ მოვიდეს, ვერ გაჩერდება. ზოგ კოშქზე ბევრია ზარბაზანი და სათოფური. შიდა ციხეში კი ჯაბახანა და ზარბაზნები აუარებელია. დღესასწაულებსა და საგანგებო გაჩირალდნების დროს დიდი ზემო ეწყობა. ციხისთავი ჰყავს. ქალაქში ექვსი ათასზე მეტი მეციონევნეა. ზოგიერთი კარი რკინისაა. ყოველი კარის ზემოთ არსებულ კოშქზი მოწყობილია ხერელები. თუ მტერი კარს მოადგა, ამ ხერელებიდან ქვებსა და ყუმბარებს დააყრიან. ომოსავლეთის მხარეს თათართა კარი აქვს და ჩრდილოეთის მხარეს — ფილედარის კარი, ჰასან-ფაშას კარი და კიდევ სხვა კარები აქვს. ამ ციხეში სართულებად აშენებული, კეთილმოწყობილი, ძველი ყაიდის თცდასამი ათასი სახლია წარჩინებულების; კეთილშობილების, დიდეკაცებისა და მდაბიოხალხისა. ზემოთა შიდა ციხეში ფაღიშაბთათვის განკუთვნილი დიდი სასახლეა; აქ არის სამი აბანო და ექვსასი დუქანი. რაღვანც ვიწრო ადგილზე მდებარეობს, ბალი არ აქვს.

ამ ქალაქში არის მუსლიმთა 176 უბანი, სომეხთა 7 უბანი, ბერძენთა 9 უბანი, ებრაელთა 6 უბანი, კოპტების 1 უბანი. ერთთა უბანიც კეთილვანებისა<sup>7</sup> არის მურადიეს გზაზე.

ქალაქი ვაკე აღვილზე ძევს; ზემო ციხის კალთებზე მდებარე სახლების, შენობების და ულუ-ჯამეს უბნები კი შემაღლებულ ადგილზეა. როდესაც ცეცხლისმფრქვეველი მზე თავის სხივებს სტყორუნის, მაშინ ჩრდილოეთი ერთი საათის სავალ მანძილზე მდებარე ფილედარის ველიდან ამ ქალაქის მაცქერალნი სახტად ჩეხებიან ქეშიშის მთის ძირას მდებარე მოლურჯო ტყვიის სახურავით დამშვენებული ფუნდუკის, აბანოს, მეჩეთების, სულთნების ჯამეებისა და მრავალი ბაზრის დანახვაზე. ფილედარის ველიდან საუცხოო და საკურეველ სანახაობას წარმოადგენს ეს ქალაქი. იგი არა ჰგავს არც ერთ იმ ქა-

ლაქს, რომელიც მე მინახავს. უკვდავ სულთა სამყაროა<sup>8</sup>. არსად, სხვა ქვეყანაში არ არიან ისეთი ღილი წმინდანები, ყურანის განმმარტებლები და მუსლიმურ გადმოცემათა მცოდნეები, როგორიც აქ. მხოლოდ სამოთხის ქალაქი ბალდალი თუ იქნება ასეთი. მის სამხრეთით მდებარე რუპებანის მთა, თითქოს უკვდავების წყლისა საბაღოა, რადგანაც ამ მაღალი მთიდან რიცხვით ათას სამოცი უკვდავების წყლის მსგავსი წყარო ჩამოდის და უკვდავების წყალს აწვდის. წყალი ზემოთ აღწერილ ღილებულ სასახლეებში არხებით ნაწილდება და სახლიდან სახლისაკენ მიედინება. აურაცხელია ხეხილი, ყვავილები და განსაკუთრებით — ელლუნის ხე. წელიწადში ერთხელ, როდესაც მისი უდიდებულესობა ემირ-სულთანის ელლუნის შეკრების ღრო დადგება, ყოველი ქვეყნიდან ზღვა ხალხი იყრიბება და ამ ღილი ჭამათის აღსაწერად და გადმოსაცემად კალამი უძლურია. ასეთი თავშეყრა ემირ-სულთანის სიყვარულით ეწყობა.

კეთილმოწყობილი და ღილი ქალაქია. ადგილმდებარეობაც კარგი აქტის და ხალხიც ლამაზი ჰყავს; აქტის მრავალი ნათესი, უხევი სურსათი, მშვენიერი წყალი და ჰაერი. ბრუსა ანატოლიის ერთ-ერთი ღილი ქალაქია.

#### IV

##### სულთობისა და სავათა ჯამიების აღწირა

სულ ათას ორმოცას. ამათგან სამას ორმოცდაჩერიდმეტი სულთნების, ვეზირების, ღილმოხელეების, წარჩინებულებისა და ღილკაცების ჭამებია.

- დიდი ჭამე ანუ ულუ-ჭამე: სულთან ილდირიმ<sup>1</sup> ბაიაზეთ-ხანის<sup>1</sup> აშენებულია. ბრუსას//გაშლილ, მაღალ ადგილზე მდებარე ლამაზი ჭამეა. ჭამეში ოთხეუთხა საყრდენი სვეტებია. ყოველი მათგანის ქვედა ნაწილი აღამიანის სიმაღლეზეა მოიქრული და მოხატული. სვეტების ზედა ნაწილი ოთხივ მხრიდან შემცულია ნაირ-ნაირი ხელით შესრულებული ღვთის საღილებელი სახელებით: „ო, ყოვლად მოწყალეე!“; „ო, მომმაღლებელო!“; „ო, შენ, რომელიც მიაგებ მისაგებელს!“; „ო, საღილებელო!“; ამ წარწერების მუსთაყიმის ხელით დაწერილი ასოები — „ელიფები“<sup>2</sup> სამ-სამი წყრთის ზომისაა. სვეტებს ეყრდნობა ცხრამეტი მცირეგუმბათიანი თალი. ყველა ტყვიის სახურავიანია. ყოველი გუმბათის ნახევარმთვარე მზისებრ ბრწყინვას. მეოცე ჭუმბათი ჭამეს შუაგულშია. თევზის ბადესავით ღაწნული ყვითელი თითბრის მავოულის გუმბათია. გარეული ფრინველები ჭამეში ვერ

შედიან. მზის სხივები კი ატანს. და აშექებს. ამ ღია გუმბათის ქეეშ ჰანეფის მიმდევართა ყაიდაზე გაეთებული მრგვალი აუზია, ზომით ათი ათზე ადლი, რომელშიც ნაირ-ნაირი თევზები დასრიალებენ. მთელი ჯამათი იმ აუზიდან ხმარობს განბანვის წესისათვის ჲაჭირო წყალს და ლოცულობს. კაკლის ხის ფიცრებისაგან გაეთებულ შავ მიმბარზე ოსტატს მთელი თავისი ნიჭი გამოუჩენია და მანძისებური სურათებით შეუმჯია. მთელი ქვეყნიერების მხატვრები რომ შეიკრიბონ, მაინც ვერ შეძლებენ ისეთი სურათები დახატონ, როგორც აქ არის: ბრუსულ ყაიდაზე შესრულებული ყვავილები, თურინჯი, ოთხი ჯარდის, ერთმანეთზე გადახლართული ვარდებისა და მრავალფურცლიანი ვარდების გამოსახულებანი და წარწერები. მხოლოდ შავი ზღვის ნაპირზე მდებარე სინობის ჯამეს მოხატული მიმბარი თუ შეედრება მას. ერთი ისეთი მოხატული აღვილია მეუძინისათვის, სამოთხე გევონებათ. ნათელი ჯამეა, რომლის ოთხივე მხარე სარკმელებით არის შემცული და სარკმელები — ბროლით. რადგანაც მდიდარი ვაკუფები აქვს, არცერთ ჯამეში არ არის ისეთი ხალიჩები, როგორც აქ. ყოველღამ შვიდი კანდელით შუქედება. განათებული ჯამეა. დღისით და ღამით არ იცლება მრავალრიცხვანი ჯამათისაგან. სამოცდაათი აღვილას ტარდება ცოდნის ყოველგვარ დარგში საჯარო გაკვეთილები. ორი ათასი მოსწავლე მეცადინეობს. ამ ჯამეს ერთი გვერდითი კარიდან მეორე გვერდითი კარამდე ორმოცდაათი ნაბიჯია, ყიბლას კარიდან მიპრაბამდე — ას ოთხმოცი. სამი კარი აქვს. მარცხენა მხარეს არის ხონთქმისათვის განკუთვნილი აღვილის კარი და ყიბლას კარი; მარჯვენა მხარეს კი — სასამართლოს კარი. ყიბლას კართან, გარეთ, სოფა არის. ეს არის, რომ წმინდა აღვილი სხვა ჯამეებივით დიდი არა აქვს — პატარა ჰარემი აქვს. შუაგულ ეზოში შეის ულ-ისლამშა აზიზ-ეფენდიმ განბანვის შესასრულებელი აუზი და წყლის სადენები გააკეთა. ამ ჯამეს მარჯვენივ და მარცხენივ აგურის ორი მსხვილი, მაღალი მინარეთი აქვს, რომელთაც თავი ცისათვის მიუბჯენიათ. სასამართლოს მხარეს მდებარე მინარეთის ჩაღრმავებულ აღვილას სურომოძღვარს შაბრევნის თასი გამოუგონია, ანკარა წყალი თვით ქეშიშის მთიდან გამოუყვანიათ და ქეშმარიტად, დიდი დახელოვნება გამოუჩენია. მაგრამ დღეისათვის, დროთა განმავლობაში, წყლის სადენები გაფუჭებულა და შაბრევანი გაუქმებულა. როდესაც წვიმს, სსენ-ბული შაბრევნის თასი წყლით იღსება; ფრინველები ამ მაღლიანი წვიმის წყალს სვამენ და წყურვილს იყლავენ. ეს ჯამე ქალაქ ბრუსის „ად სოფიაა“<sup>6</sup>. რადგანაც იგი ყველა ჯამეზე დიდია, პირველად მოვისენიე.

სულთან ორხან-ქაზის ჭამე: ეს არის პირველი ჭამე, რომელიც  
ბრუსის დაპყრობის შემდეგ აშენდა.

ქაზი ხონთქრის ანუ წამებული მურად-ხანის<sup>7</sup> ჭამე: ქალაქ ბრუ-  
სის დასავლეთით, ნახევარი საათის სავალის მოშორებით, ძველი ცხე-  
ლი წყაროების ქალაქის იმ აღგილას მდებარე ლამაზი ჭამეა, რომელ-  
საც აღამის უბანი ეწოდება. მისი ხუროთმოძღვრება აჩცერთ ჭამეს  
არა ჰვავს და ფრიად დიდი ხელოვნებით არის აშენებული ქვედა სარ-  
თულზე სამლოცველოა და ზედა სართულზე კი გარშემო მთლიანად  
მედრესეს სენაკებია. ყველა თავის სენაჯში იმამის მიბაძვით ატარებს  
ლოცვას. ისეთი ლამაზი ჭამეა, რომ მისი ნახვა ღირს და საჭირო-  
ცაა.

ვადმოცემა: ერთხელ მისი უდიდებულესობა სულთან მუ-  
რად-ხან პირველის ერთი შევარდენი მოთრენილა და გუმბათზე დამ-  
ჭდარა. რამდენიც არ უძახია ამ შევარდნისათვის მურად-ხანს, მაინც  
არ მისულა მასთან. როდესაც მიმხვდარა, რომ აღარ მოვაო, რის-  
ხეით აღვისილა და როგორც კი უთქვამს: — გაქვავდიო! მაღალი ღმერ-  
თის ნებით ის შევარდენი თაღზე გაქვავებულა და იქვე დარჩენილა  
ახლაც დგას ყველასათვის თვალსაჩინო აღვილზე.

15 //ამ ჭამეს ერთი კარი და ერთსართულიანი მინარეთი აქვს. პა-  
რემი არა აქვს.

სულთან ილდირიმ ბაიზეთ-ხანის ძის — სულთან მეჰმედ-ხან  
პირველის<sup>8</sup> ჭამეს აღწერა: სინათლით სავსე ჭამეა, რომელიც ცნობი-  
ლია ჯეშილ (მწვანე) ჭამეს სახელით. ბრუსის აღმოსავლეთ მხარეს  
მაღალ აღვილზე მდებარე, ხელოვნებით ნაგები, თვალწარმტაცი ჭა-  
მეა; მისი გუმბათები ხამი მარმარილოსია. ორგუმბათიანია. სიგრძე  
108 ნაბიჯი აქვს და სიგანე — 80. შიგ სრულებით არაა სვეტები. მე  
უძლეური ვარ აღვწერო მისი მიქანბი და მიმბარი, რაღვანაც იმ მიქ-  
რაბში არსებული წვრილად ნახატი სურათების აღწერა და დახასია-  
თება ძნელია. მხოლოდ ერთი, ყიბლის კარი აქვს, რომლის მარჯვნივ  
და მარცხნივ მაღალ გუმბათამდე უამრავი რუმის<sup>9</sup> ყაიდაზე შესრუ-  
ლებული ხუჭუჭი თმასავით მოხატული სურათებია ისეთი. რომ ბიპ-  
ზადის, ლიჭანის და ჩინურ ქალალზე ბეჭვის კალმით მისი დაწერა  
შეუძლებელია. მარმარილოზე ამოკვეთის ოსტატმა ამ კარის ხამ მარ-  
მარილოს სრული სამი წელი ურტყა საჭრეთელი, თავისი ხელოვნება  
გამოაჩინა და სულთან მეჰმედ-ხანისაგან სამი წლის განმავლობაში  
ორმოცი ათასი ოქრო მიიღო. გადმოკვემა არსებობს, მწვანე შენობის  
კარი ორმოცი ათას რქინიდ არის აშენებულ-მოჩუქურთმებულით.  
კეშმარიტად, ხმელეთზე და ზღვაზე მოგზაურთა აზრით, საქვეყნოდ

ქებული, ბრწყინვალე და დიდებული კარიბჭეა. ამ სამოთხის მსგავს ჯამეში ისეთი ლამაზი სხვადასხვა ხელოვნებანია გამოჩენილი და ხარჯები გაწეული, რომ აღმწერელი მის შექებაში უძლურია. ერთას სიტყვით, სილამაზის მხრივ და სიმშვერიის დედამიწის ზურგზე ამისთანა რამ ადამიანის ხელით არ აშენებულია. მწვანე ჯამე იმიტომ ჰქონიან, რომ მისი გუმბათები და მინარეთის გვირგვინი მწვანე ჩინური შორენქეცით არის მოპირკეთებული და ნამდვილი ზურმუხტივით ბრწყინვანის ნავს მზის სხივებზე. მისი გარეთა პარემი დიდი ჭალრებითაა შემქული. ამ დიდებული ჯამეს მსგავსი ბრუსაში არ მოიპოვება და მოგზაურებიც ამბობენ, არც ერთ სხვა ქვეყანაში ამისთანა ღვთის სახლა არ გვინახავს. ესეც ასე.

სულთან ილდირიმ ბაიაზეთ-ხანის ჯამეს აღწერა: ბრუსის აღმოსავლეთ მხარეს სამოთხის ყვავილნარის მსგავსი ვარდნარში მდებარე პატარა ჯამეა, მაგრამ უჯამაათოდ არის დარჩენილი. სიგრძე 150 ნაბიჯი აქვს და სიგანე — 100. ძველი ყაიდის სადა შენობაა. ერთი კარი და ერთაივნიანი მინარეთი აქვს. ეს ჯამე თემურის შემოსევის დროს<sup>10</sup> დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ შემდეგ სულთან ილდირიმ-ხანის შვილმა მუსა ჩელებიდან<sup>11</sup> რუმელიიდან სახსრები გამოგზავნა და დაამთავრებინა. რაღაც მცირე ვაკუფები აქვს, გაღარიბებულია.

||ჩელები მექმედ-ხანის ძე მურადის<sup>12</sup> სახელობის ჯამეს აღწერა: 16 ბრუსის დასავლეთით, ქალაქგარეთ, ერთი სამლოცველოა — ყოველის მხრიდან ფუნდუქით, ჯამეთი, იმარეთებით, მეჩეთებით, თექირთი და მედრესებით დამშენებული, კეთილმოწყობილი, ბაღ-ბაღიანი, სასიამოვნოდ მბრწყინვი.

მისი ამშენებელია სულთან მექმედ ფათისი მამა მურად-ხან მეორე, რომელიც ორჯერ იყო ფალიშაპი<sup>13</sup>. ედირნეში გარდაიცვალა; მისი ნეშტები ბრუსაში მოასვენეს და ამ ჯამეს ეზოში დაიმარხა. სამოთხისებური ჯამეა. კაცი რომ დღედაღმ ჩაქეტილი იყოს სალოცავად, გამოსვლა არ მოუნდება. ორგუმბათიანია. ყიბლას კარილან-მიქრაბაძე სიგრძე 150 ნაბიჯია და სიგანე — 60. მიქრაბი, მიმბარი და დამშენებული სამუებინო აღგილი სადა და ლამაზი, ძველებური ყაიდისაა. ამ ჯამეს აშენების თარიღია: „მრავალუამიერი იყოს სიცოცხლე ჩემი მარად“ — 850 (1443—1444) წელი. ერთსართულიანი მაღალი მინარეთი აქვს. პარემის გარეთა ნაწილში დიდი ჭალრებია და ყოველი მათგანი ცამდეა ატყორცნილი. მათ ჩრდილებში ჯამათი ზის და ტკბება.

ბრუსის სასიამოვნო სასეირნო აღგილზე მდებარე სასულთნო ჯამეა. მრავალი უფლისწული აქაა დამარხული.

ემირ-სულთანის ჭამე: ეს ჭამე ისეთ ადგილზეა აშენებული, საიდანაც მთელი ქვეყნიერება მოჩანს.

მოლა არაბ ჭაბბარის ჭამე: ქალაქის აღმოსავლეთ ნაპირზეა. ულუგამეს ყაიდაზე აშენებული, ცისფერი ჭამეა. რაღანაც მაღლობზე მდებარეობს, ფრიად კეთილპერიანი სამლოცველო და სასეირნო ადგილია. მოლა არაბ ჭაბბარი ეწოდება და მართლაც, მისი კარგი ჰავა ადამიანს ძალით გაიტაცებს<sup>14</sup>, მიიჩიდავს და ლოცვის შემდეგაც მასლაათის გუნებაზე დააყენებს.

მუსალას დიდი ჭამეს აღწერა: გალავნის თავში, მდელოებით მოცენილ ველზე მდებარეობს და გარშემო ქვის კედლებია.

## V

### ბრუსის მიზაობა

ზედნილერის შეჩეთი: წმინდა აბდ ალ-ლატიფის აშენებულია. მოლა ხოსროეს სავანე აქვს ამ სალოცვაში. მე, მწირმა, ერთ კურთხეულ დღეს გარეთ ფეხი არ გამოვდგი, სანამ იმ წმინდა ადგილის სადიდებლად მთლიანად არ წავიკითხე ყურანი./დიდი სამლოცველოა, რომლის სსენებაც ფვაქვს ამ განდევილობის სენაკში შედგენილ სამო წიგნში.

კიდევ ძალზე ბევრი მეჩეთია. ისეთი სამლოცველოებია, რომ შეუძლიათ ჭამეს მაგივრობა გასწიონ. რუპბანის მთის შუაზე მდებარე ყადის იალალიდან რომ გადახედოს კაცმა ბრუსას, ორას ტყვის სასურავიან ჭამესა და შვიდას მინარეთს დაინახავს.

## VI

### ბრუსის მიღროსები

მედრესეებია. რომლებსაც ჰქვიათ: ორხანის მედრესე, ხუდავენდის მედრესე, ილდირიმ-ხანის მედრესე, ჩელები მეჰმედ-ხანის მედრესე, მურადის მედრესე, ემირ-სულთანის მედრესე, ისა-ბეის მედრესე, კასიმ-ფაშის მედრესე, რომელიც ემირ სულთანის მედრესეს ახლოსაა, ჯუნაიდ-ბეის მედრესე, ჰაჯერის მედრესე, კალი-ეფენდის მედრესე, მოლა იაგანის მედრესე, მოლა ფანარის მედრესე, ზეინ-ედ-დინ ჰაფის მედრესე, სელთინის მედრესე, ბადაზეთ-ფაშის მედრესე, ჰამზაბეის მედრესე, ედების მედრესე, ყაზახის მედრესე, ველი ედ-დინ ზადე აქმედ-ფაშის მედრესე. რაღანაც არ მინდა სიტყვა გავაგრძელო, მედრესეების დაწვრილებით აღწერას არ შევუდგები.

არის, აგრძელებული პროცესის სახლი, ყურანის საკითხავი სახლი, სასწავლებელი.

## VII

### ბრუნის თმითმიბი (დიალექტურა სავახები)

ყველაზე მეტად შემკულია სავანე წმინდა მევლანა ჭელალ ედ-ღინ რუმისა! ფინარბაშის გზაზე მდებარეობს! სამოკრაათი — ოთხ-მოცი სენაკი აქვს, დერვიშთა ღვთისმსახურების მოედნითა და ბალ-ვენახითაა შემკული.

ემირ-ხულთანის თექიე: გორაკზე მდებარე, მთლიანად ტყვიით გა-დახურული სავანეა.

ზედნილერის თექიე: დიდი სავანეა ნუ'მანის მოძღვრების მიმ-დევართათვის?

ფეთავი-ეფენდის თექიე: შიდა-ციხეში მდებარეობს და ზანკუთ-ვნილია ჰელვეთის მოძღვრების მიმდევართათვის.

აბდ ალ-მერამის თექიე: ეს არის აბაანთა გვარის სავანე. მდება-რეობს სასეირნო და მდელოებიან ადგილზე, რომელიც ბრუსას||გა-დასცერის. თავშიშველა და ფეხშიშველა, ღვთის სიყვარულით გულ-ღვიძლდამწვარი, მეტრდგაშიშვლებული მწირები გულითად სამსახურს უწევენ სულიერი დასვენებისათვის სასეირნოდ ამოსულებს. ეს თე-ქიე ორხან-ყაზის აუშენებია და ვაკუფად შეუწირავს ათასზე მეტი სი-ნი, ქვაბი, დიდი ქვაბები და სხვა ასეთი სპილენძის ჭურჭელი. მლო-ცველები აქ მუსაიფობენ და ლოცულობენ.

შეის ქილიმანის თექიე: მდებარეობს მეაქლემეთა უბანში და საე-სეა მწირი დერვიშებით. რადგანაც ვაკუფები არა აქვთ, ამ სავანეში არიან ფრიად ღვთისმოსავი და მცირევით ქმაყოფილი მწირები. ორ-ხან-ყაზის აშენებულია.

აბდ-ალ მუსას თექიე: ორხან-ყაზის აშენებულია.

აკბიიკის თექიე: ბექთაშიების<sup>3</sup> სავანეა.

აბუ ისამა ქარუნის თექიე: მისი წმინდა სხეული არზრუმში თავ-რიზის კარის შიდა მხარეს არის დამარხული ერთ კოშქში. წარჩინე-ბულთა და მდაბიოთა სალოცავი ადგილია.

გულშენის <sup>4</sup>თექიე: კეთილმოწყობილი სავანეა.

ჰელვეთის<sup>5</sup> თექიეები ჩეილმეტია. კადირის<sup>6</sup> თექიეები ცხრაა. ნა-კიშხენდის<sup>7</sup> თექიეები სამია: გემილის<sup>8</sup> თექიე ერთი აძიხანეა. კალენ-დერხანე ერთი თექიე. საადის<sup>9</sup> თექიე ერთია. რეფა'ნის<sup>10</sup> თექიე ერთია. ბედვიის<sup>11</sup> თექიე ერთია, მაგრამ მისი მწირები ყველანი სხვა ადგი-ლებიდან მოსულები არიან. გულეშხიების<sup>12</sup> თექიე ერთია.

## გრუსის საკველეოქმედო ნაგებობანი (იმარტობი)

სულთან-ყაზის იმარეთი, ყაზი ხონთქარის იმარეთი, ილდირიშ ბახაზეთ-ხანის იმარეთი, ჩელები სულთან მეჰმედის, ანუ მწვანე იმარეთი; კიდევ ერთი იმარეთი ილდირიშ ბახაზეთ-ხანისა, უფალი ემირ-სულთანის იმარეთი, მურად-ხანის იმარეთი. ამ იმარეთებს გარდა კიდევ ოცი სხვა იმარეთია, რომლებშიაც ყველა ღარიბისა და გამვლელ-გამომვლელისათვის უანგაროდაა გაშლილი უხვი სუფრა.

## IX

## || ვაჰართა ფუნდუკების აღწერა

უპირველესად ყოვლისა, კიხის მსგავსი ფირინჯ (ბრინჯის) ფუნდუკი. რკინისქარიანი, აქლემების თავლიანი, მოზრდილი საჭინიბოიანი და ორასოთახიანი დიდი ფუნდუკია.

**სპარსელთა ფუნდუკი:** ესეც დიდი ფუნდუკია. ამასაც აქვს აქლემების სადგომი, საჭინიბო, მიჭრით მიღებული ორასი ოთახი. ეზოში დიდი აუზი აქვს და ზედა სართულზე — მეჩეთი. ნახვევნიდან, შირვანიდან, ისპაპანიდან მოსული სპარსელი სოველაგრები აქ ჩერდებიან. აბრეშუმის ზომა-წონის გამგე ამ ფუნდუკში ცხოვრობს. აბრეშუმით მოვაჭრებისაგან ბაქს იღებს. 300 ქისად აქვს იჯარით ჩაბარებული. ტყვიის სახურავიანი ფუნდუკი, სამაწვნე ფუნდუკი, ქუთაპიას ფუნდუკი და ერბოს ყაფანის ფუნდუკიც არის.

**თაბეანეს აღწერა:** სულ ათი სახლია გამვლელისა და გამომვლელის, მოგზაურების ღროებით სადგომად განკუთვნილი მუქთა ფუნდუკია და ყოველგვარ ხარჯებს ვაკუფი გაიღებს ხოლმე.

**მარტოსელების ფუნდუკის აღწერა:** სამოცდაათია. ისინი განკუთვნილია სხვა ქვეყნებიდან მოსული მარტოსელა ხელოსნებისათვის. მათ შორის ყველაზე ცნობილია ალი-ფაშას ქარვასლა, რომელიც ხუროთმოძღვარ სინანის<sup>1</sup> აშენებულია. ამ ფუნდუკის მცხოვრებლები ერთმანეთს თავდებად უდგანან<sup>2</sup>. მათი კარები ჯაჭვებიანია. მექარე და ოდაბაში ჰყავთ.

## გრუსის გამჭინარი წესრომები

მართალია, ქალაქის არ სჭირდება საგანგებოდ გამოყვანილი წყაროები, მაგრამ ქველმოქმედ აღამიანებს გამვლელ-გამომვლელთაოთვის ორი ათას სამოცი წყარო გამოუყვანიათ. ყოველი მათგანი უკვდავების წყალს ჰგავს. შეის ულ-ისლამმა მენიფ აზიზ-ეფენდიმ ორასი წყარო გამოაყვანინა, თითოეულ მათგანზე დაწერინა: „ამ კეთილი საქმის გამქეთებელი მწირი აზიზი“ და ითხვა ფათიქა [წაეკითხათ მის მოსახსენიებლად]. ქალაქის ორასი წყარო გაღმოსჩქეფს ზედ დახურული ბაზრის წინ, მექუდების რიგში, ხაშხაშის სავაჭრო რიგებში, ულუ-ჯამეს არემარეზე. ყოველ კუთხეში ორ-ორი ადგილიდან აღამიანის კისრის სიმსხო ანკარა წყალი გაღმოჩეუბულებს. ერთიმეორისაგან გამოდიან და კვლავ რომელიმ წყაროს ერთვიან; ყველა წყარო ასეა მოწყობილი. ამ წყაროებს გარდა ოცდასამ ათას დიდ ოჯახებაც თითო წყარო აქვს გამოყვანილი. ისეთი წყლებია, რომ წისქვილს დააბრუნებს. სახლიდან სახლში გადიან და წყალს აწვდიან მრავალ ათას აუზს, ზაფრევანს, ხელის დასაბან წყაროებს, აბანოსა და ბალ-ბოსტანს. რადგანაც ქალაქი ბრუსა ქეშიშის მთის კალთაზე ძევს, სახლიდან სახლამდე წყალი თავისუფლად მიედინება. ყველა ამ წყლის სათავეა ჩვიდეტი წყარო, რომლებიც უკვდავების წყალივით გამოდიან ქეშიშის მთის კალთებიდან: ფინარბაშის ანკარა წყალი, სონდრალი, ჩათალყავანალი, ქინირი, ნაშიდერესი, სობრანი არდიჭილი, პარსული, ბილლურ-კანალი. სამანლი. ქეშიშის მთაზე ერთი წყაროა, რომელიც გამოდის და იყარება. შემდეგ შიგ სულთან ილდირიმ ბაქაზეთ-ხანმა ბზე ჩაიყრევინა. რადგანაც ამ ადგილიდან ბზე გამოჩნდა, მას ბზიანი (სამანლი) წყარო შეარქვეს. შემდეგი წყაროებია: შექერ კანალი, ხელამ კადა კანალი, კრალ კანალი, მურად-დედე კანალი. ერთი սიტყვით, ჩვიდეტი წყარო აქვს. ეს ანკარა წყაროები ისეთი ცივია, რომ ივლისში ვერავინ შეძლებს ხელი ჩაპყოს და სამი კენჭი ზედიზედ ამოილოს. თუმცა, დროთა განმავლობაში წყლის საღენები გაფუჭებულა. წყლის საღენების ავი და ვერავი მეთვალყურეები ღამეობით წყლის საღენებში ცენის ჩონჩორიკს ჰყრიან და საღენების დაზიანებულ აღგილებს იმითი ფარავენ. წყლებს გემო და ფერი ეცვლება. დღის სინათლეზე ნაკელის ჩაყრას ვერ ბედავენ იმიტომ, რომ ქალაქის გამგებელი მათ ამისათვის სასტიკად დასჭირის. მაგრამ ფაქიზ აღამიანებს. ხსენებულ ჩვიდეტ წყაროდან და სხვა მრავალ სუფთა წყაროდან მოაქვთ წყალი და სვამენ. ერთი სიტყვით, ბრუსაში წყალი უხვადაა.

## რელის რისპოლები

ას სამოცდათა წყლის წისქვილია. ფინარბაშილან მოყოლებული თევზის ბაზრამდე ერთიმეორის ქვემოთ თავიდან ბოლომდე წისქვილებია და ბანჭიკილან ქვემოთაც კვლავ მრავალი წისქვილია. ბევრი წისქვილია იღრანდის ხევზე, კეთროვნების მხარეს, დაბახანისაკენ, შიდაციხის ძირას, პასან-ფაშის კარის მხარეს.

21 ॥სელსებილი! ამ ქალაქს არა სჭირდება უფასოდ დასარიგებელი წყალი. მაგრამ ოსმალთა საგვარეულოს სრულყოფილმა ძეველმა ფადი-შაპებმა, აიანგბმა და ღიდეკაცებმა სელსებილები ააგეს და ივლისის თვის ძლევამოსილ ნოვრუზის ღროს ყველა მწყურვალი უხვად არის უზრუნველყოფილი რუპბანის მთის ბროლის ყინულივით უკვდავების წყალით.

## კალაკ ბრუნის აბანოები

ჩელები სულთან მექმედ [1]-ის აბანო ისეთია, რომ მისი ცლწერა შეუძლებელია. ინებეის დახურული ბაზრის აბანო [სულთან ბახაზეთ] ილდირიმ-ხანის მიერაა ვაკუფად შეწირული. არის, ავრეივე, თაპთელ-კალეს აბანო, კადალანის დახურული ბაზრის აბანო, ბესთანის აბანო, ყალას აბანო, ბიჩაკის აბანო, მურადის აბანო, ილდირიმის აბანო. ეს აბანოები ყველა ორგანყოფილებიანებია. სასახლეებშიაც სამი ათასი აბანოა. რაღაცანც ქალაქს წყალი უხვად აქვს, საოჯახო აბანოებიც ძალზე ბევრია.

## პუნიგრივი თაგილი რელის ანუ ილიჯას აღვერა

მას სპარსულად ეწოდება „გარმაბ“. ანატოლიაში — „კავნარჯა“; ბრუსაში — „კაფლიჯა“; მონლოლურ ენაზე — „ქერენსე“; ბერძენ ხალ-ჩში — „ბანა“. ბევრ ქვეყანაშია. თუ ცივი წყალი გოგირდის ქანებს ჩაუ-კლის, ექიმთა სიტყვით, ცეცხლზე აღულებული წყალივით დუღს, დამი-ანს მოხარუვს და დალუბავს. მაგრამ ეს ცხელი წყლები კი წყალსაცავებ-ში გაზავდება, განელდება და შემდეგ რამდენსაც იბანავებს კაცი და დალევს, იმდენადვე სასარგებლო ხდება. ძველ ექიმებს მისი სამოცდა-ათი თვისება აუწერიათ. მაგრამ, ამბობენ, რომ ვინც ბევრს დალევს,

კბილები დასცვივდებათ. მართლაც, ვინც გოგირდისა და სინდიუს აძებს ხმარობს, მათ კბილები დაცვენილი აქვთ. ბრუსაში ასობით ობილი წყაროა. ძველ ღროს გაურები მის თვისებას ყურადღებას არ აქციებდნენ და წყაროებზე არავითარი შენობა არ დაუდგამთ. ძველი ობილი წყარო ყაზნის ხულავენდექარის აშენებულია; გუმბათის ქვეშ შეაში ერთი აუზია ზომით ათი ათზე [ადლი]. მის თოხივე მხარეს ჰანეფოს წესზე გაჭეოებული საბანაოდ განკუთვნილი ჩალრმავებული ადგილებია. თითო კაცისათვის განკუთვნილი ორი განყოფილებაც აქვს. როგორც კი ადამიანი შევა წყალში, ახალ სიცოცხლეს იპოვის, ტანი სრიალა და რბილი გაუხდება; ადამიანის ხელი ტანზე საპონივით სრიალებს. მისი წყალი თუ ცივ წყალს არ გაერია, ისე არ იხმარება. ძალიან უხდება გულის ფრიალსა და გულის სხვა დაავადებას. ვინც ამ ცხელ წყაროში არ შესულა, უნდა გაიგოს მისი პირობები და წყალში რომ შევა, გაჯანსალდება. ვისაც არ ეცოდინება და ისე შევა, ფერდების ავადმყოფობა შეეყრება. წესია, რომ აუზის ნაპირას მიხვიდე და სუფთად შეასრულო განბანვა. შემდეგ კაცმა თავი საქმაოდ ცხელი წყლით უნდა დაიბანოს. შემდეგ კი ტანზე წყალი გადაისხას და ტანი შეაჩინოს. ამის შემდეგ ფეხები აუზში უნდა ჩაჰყოს, მთელი ტანით აუზში შევიდეს და ისიამონოს. მაგრამ დიდხანს არ უნდა დაპყოს აუზში და გამოვიდეს ტანსაცმლის გასახდელში. შეშველი არ უნდა გაჩერდეს და საჩქაროდ შეიფუთნოს. ეს იმიტომ, რომ, ახან სხეული აუზში ძალზე დარბილებულია, როდესაც სიცივე დაპყროს, ბუნებრივია, სხვადასხვა ავადმყოფობა შეეყრება. ცოტაოდენი შეჩერვის შემდეგ ტანზე მოხვეული ფუშთემალი და ვასაშრალებელი ზეწარი უნდა მოიხსნას, ტანისამოსი ჩაიცვას და ახალ სიცოცხლეს მოიპოვებს.

ვინც ამ წესს არ დაიცავს, სიცოცხლე გაუმწარდება და გულის ტკივილი დაეწყება. დიდი სიფრთხილეა საჭირო. რამდენადაც ეს წყალი სასარვებლო წესების დაცვის ღროს, იმდენად საზარალო და სახიფათო შეიძლება იყოს უკიდურესი. ბრუსას თბილი წყაროებილან ყველაზე სასარგებლო ჰუდავენდიქარის აბანო. თუმცა ფარეთა გასახდელი ძველი ყაიდისა აქვს, იგი ცივი არ არის.

ჩექირგე-სულთანის თბილი წყაროს აღწერა: ესეც ერთი წმინდანის სალოცავი ადგილია. მაგრარა შენობა აქვს, მაგრამ მისი წყალი მუსხსა და კეთრს ძალიან ჩაისახავს. ვინმე საპუარი მის წყალს ორმოც დღეს რომ დალევს, მაღალი ღმერთის ნებით ორმოცწლიანი კეთრისაგან მორჩიება და დავითის სასიცოცხლო ძალის შეიძენს. ეს იმიტომ ხდება, რომ კეთრით დაავადებულთ წარბ-წამწამი სცვივათ და სუნთქვა ერლვევათ. ღმერთმა ნუ ქნას და ამბობენ, რომ საჭიროა მოერიდო ამ ავადმყოფს.

გოგირდიანი თბილი წყაროს შექება: ესეც მომცრო შენობიანი თბილი წყაროა, მაგრამ ფრიად მწარე, გოგირდიანია. იმ ზომამდე სასარგებლოა, რომ როგორც კი იბანავებენ ქეცითა და წითელი მუნით დაავადებულები, მაშინვე მოუხდებათ. ვინც გოგირდის აბანოში შევა და ნახევარ საათს მოითმენს, ბარაქალა მას! მუნიანები ერთ დღე-ღამეში დაინახავენ ღვთის საოცარ ნახელავს. სხეულის კანი გაუშავდებათ, შემდეგ ხახვის ფურცელივით ეფუცელებათ და ვერცხლივით კანი გაუხდებათ. თუ წყალს დალევენ, ეგეც მარგებელია. აქ სამასამდე ბალ-ვენაზიანი სახლია; ყველა მათგანში თითო სახეობის ცხელი წყაროა. ცალ-ცალკე ადგილები არის მამაკაცების, ქალების, ბავშვების, ახალგაზრდა კაცების, მოხუცებული მამაკაცების და მოხუცებული ქალებისათვეს. ბრუსელები ცოლშვილით მოდიან, აქ თხუთმეტი დღე ცხოვრობენ და თბილ წყაროებში ნებივრობენ.

ახალი კაფლივს აღწერა: ქალაქის ახლოს, ერთ კლდოვან აღგილას მდებარეობს. ეს დაწესებულება ტყვიით დახურული შენობებიანია. მისი პირველი შენობა მომცრო ყოფილა: სულეიმან-ხანი (სულთანი სულეიმან I)! აქ მოვიდა დაწიროგორც კი მორჩა ნიკრისის ქარისაგან, თავის ვეზირ სარი რუსთემ-ფაშას<sup>2</sup> უბრძანა: „აქ აბანოს დიდი შენობა ააგო“. მანაც ბრძანება შეასრულა. სამარყაიდა, ლურისტანს, მულთანს, ბალხ-სა და ბუხარას ნამკოფი მოგზაურები ამბობენ, რომ ასეთი ხელოვნებით შესრულებული და დიდი აბანო არ ვკინახავსო. მისი ტანისამოსის გასახდელი ათას კაცს პყოფნის. კედელზე თალიყის ხელით<sup>3</sup> შემდეგი ბეითა წარწერილი:

„ნუ ამყობ ძეირფასი ტანისამოსით — წუთისოფელია.

თავის ტანისამელს აქ ტოვებს — ყველას გასახდელია...“

გასათდელის შუაგულში ხამი მარმარილოსაგან ვაკეთებული აუზია. აუზში ერთი შადრევენია. ასზე მეტი ხისქოშებიანი მექისე და მრავალი მშენიერი დალაქი ჰყავს. აუზს ზემოღან ასი წყრთის სიმაღლეზე აღგას ექვსასი ბროლის შუშით შემკული მოლურჯო გუმბათი, რომელიც ზემოღან ტყვიით არის გადახურული. აუზის ფართობი ათვერ ათი ადლია და შიგ ჩადიან ყოველ მხარეს გაკეთებული ექვსსაფეხურიანი მარმარილოს კიბებით. აუზს გარშემო ხამი მარმარილოსაგან გაკვთებული აქვს გველეშაპებისა და ლომების თავები, რომელთა პირიდან ცხელი წყალი გაღმოდის. საგრილობელად წოდებულ აღგილს ერთი შაღრევანი აქვს და წყალი გუმბათამდე ასამს.

აუზის გარშემო რვა დიდ თალზე აშენებულია გუმბათები. ყოველ თალის ქვეშ თითო ჰანეფური კურნა არის. ორი ცალკე განყოფილება აქვს. იმ ცალკე განყოფილებაში, რომელიც მარჯვნივაა, წყალი შეტად ცხელია. სისუფთავის მოყვარულთა რიცხვი შემოღვრმაზე კიდევ უფრო იზ-

რდება. და ბოლოს, ყველაზე გრძელ ზამთრის ლამეს ცხელ წყაროებს ქაფურის სანთლებით აჩირალდნებენ და ყველანი თავიანთი „მეგობრებით“ აუზში შედიან. ზოგი ფარშევანგის მალაყს აკეთებს, ზოგი— მტრედისას, ყურყუმალაობს და ასე ერთობა.

||კანარჯა: ესეც სასარგებლო ცხელი წყაროა. კიდევ მრავალი ცხელი წყაროა. მაგრამ რადგან ეს ჩვენი პირველი მოგზაურობაა, მხოლოდ ამათი გაცნობა შევძელით. 25

## XIV.

### ბრუსის ვაპრობა

სულ ცხრა ათასი ღუჯანია. ერთი დიდი დახურული ბაზარია, რომელსაც ციხესავით ოთხი რეინს კარი აქვს. აქ სამასი სავაჭრო ფარდულია. ყოველ მათგანში არიან ვაჭრები, რომლებიც „ეგვიპტის ხაზინების“ მფლობელნი არიან.

იმდენი ძვირფასი, თვალ-მარგალიტით მოოჭვილი ჭურჭელი და საუცხოო სამახსოვრო ნივთებია აქ, რომ ენით ვერ აიწერება. დახურული ბაზრის გარშემო რომ იქრომჭედლების რიგებია, ყველა ერთ დიდ ქუჩაზე მდებარე ქვის შენობებს წარმოადგენენ.

მეაბრეშუმეების რიგი, მეჯუდეების რიგი, მეარახჩინეების რიგი, მეძაფეების რიგი, ფართლეულით მოვაჭრეებისა და ბამბის მპენტავების რიგი ფრიად შემკულებია და მათი პატრონები ღვთისმოსავი დარბაისლები არიან. არის კიდევ ძველმანების ბაზარი. განსაკუთრებით კი პატარაბალივით კომწია და შესანიშნავი „ხაშხაშის ბაზარი“ წარმოადგენს ნელსაცხებელთა ცალკე ბაზარს, რომელიც მთავარი ქუჩის თრივე მხარეზე მდებარეობს და იყიდება ალოე, ამბრი, მუშკი და ვარდის წყალი. იქ რომ კაცი გაივლის, ისე დატკბება, რომ გარეთ ვამოსვლა აღარ უნდა. ამგვარად, ეს ათი სახელოსნო ღუჯანი დახურულ ბაზარს ოთხივე მხარეს აკრავს. ტყვიის სახურავიანი თაღებია და ზოგ აღგილას რეინის [ცხაურიანი] ფანჯრები აქვს. როგორც წესი, ყოველ კუთხეში თითო წყაროა. ამას გარდა, კიდევ ას აღგილას არის წესიერად აგბული საყურადღებო ბაზრები. მოგზაურის ნაამბობის მიხედვით, ვერცერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ მათ შესაღარ მშენიერ შენობას. სტამბოლშიც კი არ არის ისეთი ბაზრები, როგორც ბრუსაში. მხოლოდ ალეპოს სავაჭრო რიგები და ედირნეს ალი-ფაშას ბაზარი თუ გაუტოლდებიან ამათ. მეუნაგირეთა რიგი შემცულია. გრძელი გადახურული ბაზარი ფრიად კეთილმოწყობილი და შემკულია. ყველა ხელოსანი აქ არის თავმოყრილი. დიდებულია,

აგრეთვე, მემწვადეების რიგი, რომელიც ბრინჯის სასტუმროს ახლოს მდებარეობს.

და ცნობილი იყოს სიტკბოების მოყვარულთათვის, რომ ბრუსის 26 საჭმელების და სასმელების||გამყიდველები სულ მუსლიმები<sup>2</sup> არიან. ბაყლების სავაჭრო რიგი სუფთაა. ეს ქვეყანა განთქმულია ხილის წვენის დამყნებლებით. ხილით მოვაჭრები, რომლებიც კაიაღანის ბაზარში არიან, თავიანთ დუქნებს ხილის ტოტებით რთავენ. აბრეშუმის მრთველებსაც ცალკე სავაჭრო რიგი აქვთ.

სამოცდათხუთმეტი ყავახანა აქვთ ქალაქს. მუტრიბები და მომლერლები დღეში სამჯერ ასრულებენ პუსეინ ბაიკარას სიმღერებს. ყოველ ყავახანაში არიან ყაზალების ისეთი მთქმელები, რომ ადამიანს სმენას დაუტკბობენ. მედღაპების „წყაროს სათავეს“ წარმოადგენდა საუკუნეში ერთადერთი კურბან ალისი ჰამზა. მედღაპი შერიფ ჩელები ფირდოსის „შავ-ნამეს“ რომ კითხულობდა, სამოთხის ანგელოზები სახტად რჩებოდნენ. ჰარაშნა მამშუდის, ყარა ფირუზის, თირელი ალ-ბეის, აბა მუსლიმ თებერდარის ჰლაპრები რომ მოგესმინათ, ვეისი გეგონებოდათ<sup>3</sup>.

ყავახანათა შორის ყველაზე დიდია ემირის ყავახანა, რომელიც ულუ-ჯამეს ძირას მდებარეობს. მორთული და მოხატული ყავახანა წარჩინებულებისა, რომელსაც საქვეყნოდ ცნობილი მოცეკვავები ჰყავს. რადგანაც ყავახანა ულუ-ჯამეს ძირას მდებარეობს, როგორც კი მუეძინი სალოცავად მოუწოდებს, ყავახანაში არავინ ჩემბა და ყველა ჯამში მიღის. ბრუსის მცხოვრებლები გულმოლვინე მლოცველები არიან. მათი ყველა ყავახანა განათლების ადგილს წარმოადგენს. მათ შორის განთქმულია შერეფიარის ყავახანა, სარდლის ყავახანა და ჯიმუებინის ყავახანა. ოთხმოცდაათ ადგილას არის განთქმული ბუზა-ხანები. ბრუსის აიანების აზრით, ბუზა-ხანეში შესვლა სამარცხვინო საქციოლად არ ჩაითვლება იმიტომ, რომ ყავახანების მსგავსად იქაც არიან მთქმელები და მემუსიკები. თუმცა კიდევ მრავალი ბრწყინვალე ადგილია, მაგრამ ჩვენ შევამოკლეთ [თხრობა].

ორი ლირსშესანიშნავი აღგილიც ციხის ძირას არის. ქალაქ ბრუსის მთავარი ქუჩები კაუის ქვით არის მოკირწყლული. ქვაცენილები მოწეს-რიგებულია. ღმერთმა დაითაროს, რომ მის შარა გზაზე ნალებიანი ცხენი წაიქცეს. შეტისმეტად გაპრიალებული ქვებია. ასობით წლის განმავლობაში არცერთი ქვა არ ამოვარდნილა.

ირლანდის ხილის აღწერა: ბრუსის კიდევ ერთ სავაჭრო რიგს წარშოადგენს მქონეველთა ორასი დუქანი, რომლებიც გოქდერეზე გადებულ ორდანდის ხიდზე არიან გამწკრივებული მარჯვნივ და მარცხნივ; ამ [ხიდის] ოთახების ფანჯრები გასცემერიან ქვეშ გამავალ მდინარე გოქდე-

რეს. ხიდის ყველა დუქნის ზედა ნაწილი თაღებზეა დაყრდნობილი და ტყვიით არის გადახურული. ხიდის ორივე ბოლოში სათოფურებიანი რეინის კარებია ციხესავით. თუ კარი ჩაიკეტა, არსაიდან არ შეიძლება მისი დაპყრობა. || ხიდის ერთი მხარე ცარიელია. სასტუმროს მსგავსად აქვთ სტუმრის მისალები ოთახები და ცხენების დასაბმელი ადგილი. იგი არ ჩამოუვარდება ანატოლიის, არაბეთისა და ირანის საქვეყნოდ ცნობილ, ერთთაღიან და დიდ, ცამდე ატყორცნილ ხიდებს.

ირლანდის ხიდის აშენების მიზეზი: — თურქულ ენაზე „ერლანდი“ — „ირლანდი“ ნიშნავს „შეიძრა“-ს. 729 (1328) წელს ორხან-ყაზიმ ბრუსა დაიპყრო. იმ სანებში აშეი ჭანის აბანოში მიღიოდა: სარწმუნოებისათვის მებრძოლი ერთი ყაზი. ამ ხიდის ადგილს იღუმალი ხმა მოესმა: „გამოვიდე?“, „წავიდე?“ ყაზიმ ხმალი იშიშელა და შესძახა: „აბა, გამოლი და იმასაცა ვნახავთ, რას იზამო“. დაპკრა თუ არა მახვილი, მიწა შექანდა, შეზანზარდა და გრიალით ვამოჩნდა დიდი განძი. რაც შეეხება ყაზის, იგი გაოცდა და გაშეშდა. მიიხედ-მოიხედა და ამაზე კარგს რას ნახავს!? ხევი საესეა კადაფეს<sup>4</sup> სიქიანი ოქროს ფულებით. მრყისვე გაიქცა და ორხან-ყაზის დაწვრილებით უამბო თავვადასავალი. მანაც უბრძანა: „ო, რა სიკეთე ჰქმენ, შენ გაგხადა ღმერთმა ღირსინ; მოდი, ბრუსაში კეთილი საქმებისა და ქველმოქმედებისათვის დახარჯეო“. სარწმუნოებისათვის მებრძოლმა მთელი სინდიდრე სახლში გადაზიდა. მეათედი მუსლიმთა ხაზინას გადაუხადა და დარჩენილი თანხით ეს დიდი ხიდი ააშენა. ასეთია მიზეზი ამ ხიდისათვის სახელად „ირლანდის“ შერქმევისა.

ბრუსას შიგნით და გარეთ ორმოცი დიდი და პატარა ციხე აქვს. მის სავაჭრო რეგებში დუქნებს ზემოლან ვაზის ხეივენები აქვთ გადაფარებული და დახუნძლული მტევნების მძივებით არის შემკული. თავიდან ბოლომდე გამწერივებული ხეებითა და ტალავრებით შემკული ბაზებია. ზოგ პატარა მოედანზე დიდი ჭადრები დგას და ქუჩები ქეწნით არის დამშვენებული. ეს წმინდა ქალაქი სამოხნის ბალივით ყვაილოვანია. მის აღწერაში აღნიშნულია: „ორმოცდაშვიდი ათასამდე ვენახი, ბალი, ბოსტანი და ყვავილნარი აქვს“. გარდა იმისა, რომ ქვედა ქალაქის ყოველ სახლში, როგორც წესი, მოიპოვება სიამოვნებისმომგრელი ბალი, ყოველ მათგანში უსათუოდ არის აუზი და შადრევანიც.

## XV

ბრუსის ბასართობი და სასაეირნო ადგილები

სულ სამას სამოცდაექვსი სასეირნო და დასასვენებელი ადგილია. სიამყით ამბობენ, რომ წლის ყოველი დღისათვის || თითო სასეირნო

ადგილი გვაქვსო და მართალნიც არიან. მეტის თქმაც შეუძლება — მათ ბაღში რომ შევიდეს კაცი, დაიკარგება.

ფინარბაშის სახეირნო ადგილი: ციცაბო კლდეებიდან უკვდავების წყალი მოედინება. სამზარეულოში მწვადი რომ შეიწვება, თუ ზედ ეს წყალი დაიყოლა კაცმა, ცოტა ხნის შემდეგ მოშივდება. მონელების და-მაჩქარებელი უკვდავების წყალია. ერთი ჯამე აქვს. „ფინარბაში“ ჰქვია და საქვეყნოდ ცნობილი, სიხარულის გამომწვევი ადგილია.

შევლევი-ხანეს სახეირნო ადგილი: აქ კვირაში ორჯერ შედგება ხოლმე მევლევიელთა<sup>2</sup> როკვის რიტუალი. ყველა „ძმა“ და „მეგობრე-ბი“ თავს შეიყრინა და მევლანას<sup>3</sup> მოძღვრებას ახორციელებენ. წმინ-და რიტუალის შესრულების შემდეგ მდელოებით მოფენილ ველზე მრავალი შეყვარებული ქალ-ვაჟი სიამოვნებასა და მოლხენას მიე-ცემა.

მურად სულთნის სახეირნო ადგილი: ქეშიშის მთის ძირას, ერთ მა-ლალ გორაქზე მდებარე ადგილია, საიდანაც მთელი ბრუსა მოჩანს. მდე-ლოებიანი, სიხარულის გამაძლიერებელი ადგილია; შემოქმედ ღმერთს მისი შიწი თითქოს ურფაში მოქსოვილი მწვანე ხავერდით მოუფენია. ამ დასასვენებელ ადგილას იმდენი ცამდე ატყორცილი ჭადარი, ყარა-ლაჭი, ძეწნა, ღვია, ბზა და კვიპაროსია, მათ ჩრდილში ათი ათასი კაციც რომ დაჭდეს, დაეტვეთ. ზოგ ხეზე ველური ვაზისა და მაგარი თოკებისა-გან გაკეთებული საქანელები ჰყიდა. ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ქანაობენ; ერთმანეთს აქანავებენ საქანელას თოკების გაწევ-გამოწევით. მრავალ ადგილას არის სკამები იმათვის, ვისაც საუბარი და საერთო ლოცვა სწადია. სამზარეულოებში მოჩქერებული წყალზე სამწვადე ბორბლებია; წყალი ბორბალს ცეცხლზე ატრიალებს და მწვადსა სწვავს. კაცის ხელი აღარ სჭირდება. სიამოვნების მომგვრელია მისი ჰავა და სასეირნო ად-გილები, საიდანაც სანახაობა იშლება.

ფისტის ხეებიანი სახეირნო ადგილი: ფიჭვის ხეებით შემკული, ყვა-კილნარებით მორთული, მყუდრო კუთხეა. თანაც რა მშვენიერი ჰაერი აქვს!

მისაკიანი სახეირნო ადგილი: ცხელი წყაროს გზაზე მდებარე ლა-მაზი დასასვენებელი ადგილია.

კაფლიკაძეს სახეირნო ადგილი: ერთ ყვითელ მთაზე ბუჩქა-29 რიანი, ტყიანი, მდელოებიანი ღვთაებრივი ადგილია || მისი მიწაზე რა-იმე შენობის კვალიც კი არ არის, მაგრამ სულს ამხიარულებს და საზრ-დოს აძლევს მისი გამდინარე წყლები. აქაურ ხეებზე ბულბულები ბულ-ბენ. ისეთი ადგილია, სიხარულს გაგიმრავლებს.

ფიჭვნარის დასასვენებელი ადგილი: ესეც ქველი ხეივანია, რომლის უთვალავი ხეების ჩრდილებს ქვეყნიერების გამაბრწყინებელი მზე ვერა-ფერს აკლებს.

აბდ ალ-მუმინის კოშკის დასასვენებელი ადგილი: ესეც ისეთი სა-სეირნო ადგილია, რომ მისი სათანადო ქება შეუძლებელია.

კვერთხის წყაროს სალოცავი ადგილი: ქალაქგარეთ, აღმოსავლეთით ნახევარი საათის სავალზე, ქეშიშის მთის ძირას, წაბლის ტყეში უკვდავების წყარო ამოდის და მიედინება. წმინდა ემირი ამ სიხარულისათვის ძალის მიმცემ ადგილას მოვიდა. სალოცავად განბანვა რომ მოისურვა იმ კურთხეულმა, მიწას დაპკრა კვერთხი, წმინდა ხელში რომ ეპყრა და იმ ადგილიდან დინება იწყო ანკარა წყარომ, რომელიც ფრიად სსიამოვნო გემოსია. აი, ეს არის მიზეზი იმისა, რომ მას კვერთხის წყალს (ესა სუჟექ) უწოდებენ. შიგ ემირ-სულთნის სამლოცველოს სკამია. მდელოებიანი ადგილია. ფრიად მსხვილი წაბლი მოდის. ყველა ხე დამყნილია და თითო წაბლი ორმოცი დირქემი იქნება.

სუბარანის სასეირნო ადგილი: ღიღებული ადგილია წაბლის ხე-ებით შემკული.

თვალსაჩინო ადგილი, რომელსაც ალი მესთი ეწოდება: ფრიად კეთილმოწყობილი, გამვლელ-გამომვლელი მგზავრებისათვის გან-კუთვნილი სავანეა.

სიხარულის ადგილი, რომელსაც ყადი დადას უწოდებენ: მდე-ბარეობს ქეშიშის მთის შუა ადგილის ქვემოთ, სადაც მხოლოდ ხუთ სა-თში შეიძლება ასვლა. წაბლიანი, მდელოებიანი, უხეპაერიანი ადგილია და დაბლა ხედი იშლება.

## XVI

რუპარის მთის აცლ კაშირ-დაღის საცირნო ადგილი

მიზეზი ამ მთისათვის ქეშიშ-დაღის (ბერის მთა) დარქმევისა ის არის, რომ აიასოფიას პატრიარქები და ბერები, რომელიც განდეგი-ლობისათვის გამოეშურნენ, ამ მთაში დასხდნენ და დაისვენენ. ქალაქ ბრუსას სამხრეთით, ქალაქზე წამოყუდებული მაღალი მთაა, რომელსაც თვი ცისათვის მიუბჯენია.

## XVII

შიგნივა: — მოკლედ გადაოცდეთ აგარი კვეთიერების  
მთაბის შესახებ

ციური სამყაროს შემოქმედმა, ღიღებულმა ღმერთმა ას ორმოცდა-რვა დიდი მთა||შექმნა და დედამიწას ისე შემოაკრა, რომ მიწისძერის

დროს ეს მთები მიწას ლურსმანივით ამაგრებენ. მოგზაურობის მეცნიერნი და დედამიწის საიდუმლოებაში გათვითცნობიერებულები მთებს შემდეგნაირად ჰყოფნენ: პირველ სარტყელშია<sup>1</sup> 19 [მთა]; მეორე სარტყელში — 27; მესამე სარტყელში — 31; მეოთხე სარტყელში — 24; მეხუთე სარტყელში — 29; მეექვსე სარტყელში — 32 და მეშვიდე სარტყელში — 32 მთა. ასე წერია გეოგრაფიის ძველ წიგნებში, „მცირე ატ-ლასებში“ და „ფაფა მონტაში“. მაგრამ ყველა მთას შორის მთავარია „კაფის მთა“<sup>2</sup>. ეს მთა ქვეყნიერებას სიგანეზე აკრავს. მოსკოვის ქვეყნის მხარეს მდებარე ცხრათვიანი ზამთრით გაყინულ ყინულოვან ზღვას, რომელიც სამოცდაათი დღის სავალზეა, ყალმუხი ურჯულოები ხუთ დღესა და ხუთ ღამეში გაივლიან და აღწევენ თავიანთ ცრუ სალოცავ სახლს, რომელიც კაფის მთის ძირას მდებარეობს. გათ ენაზე კაფის მთას ილდირაკის თალს უწოდებენ. თუ ღმერთმა ინება, იგი ღაწვრილებით აღწერილი იქნება იმ ნაწილში, რომელიც იმ მხარეში ჩვენს მოგზაურობას ეხება. ორმოც-ორმოცდაათ წელიწადში ერთხელ სამოცდაათ-ოთხმოცი ათასი ყალმუხი ერთ ადგილას იქრიბება და ისინი კაფის მთას მოილოცავენ. სანამ ყინულოვანი ზღვის ყინული ჭერ კიდევ არ არის ხოლმე გამდნარი, თავიანთ სამშობლოში ბრუნდებიან. ალექსანდრე თრაქეოსანის<sup>3</sup> შემდევ ეს კაფის მთა, ყალმუხების გარდა, არც ერთ აღამიანს არ უნახავს. ალექსანდრე [მაკედონელის] ბრძანებით აშენებული დაჭუჭის კედლის<sup>4</sup> ერთი კუთხე მოსკოვის ქვეყანასთან ახლოსაა, სადაც თურქე, ყალმუხები ყოველთვის დადიან. ეს მათი ნამშობია. თანაც არ შეიძლება, რომ ამ ხალხში ჩაიბერ ტყუილი და ჭორი ითქვას]. ისიც მარტალია, რომ ისინი კაფის გთასთან მიღიან ხოლმე. კაფის მთის შემდევ ყველაზე ღილი მთაა იალბუზის მთა. იგი ჰამპათის ტრამალების სამხრეთით მდებარე ღილი მთაა. მის შემდევ არის აღმანის მთა. იგი გერმანელთა ქვეყანაშია. ამის შემდევ — კამარის მთა ეგვიპტის კუნძულზე ეკვატორის სამხრეთით ოცი ფარსანგით შიგნით არის და ეგვიპტისაკენ მომავალი კურთხეული ნილოსის სათავეს წარმოადგენს. თუ ღმერთმა ინება, ყველა ეს მთა აღწერილ იქნება იქ. სადაც ჩვენ მიერ დათვალიერებულ აღგილებზე გვექნება საუბარი. ქეშიშის მთა კი ჩვენ მიერ პირველად ნანახი მაღალი მთაა.

ორმოცი-ორმოცდაათი მეგობარი ხალისით შევიყარენით. ჩვენთა იყვნენ ქალაქ ბრუსის წარჩინებულებიც: მუეზინ ჭენ ჩაუში, ნაიბი ალი-ეფენდი, შეფი-ეფენდი და სხვები. სასაპალნე ცხენებითა და მრავალრიცხვანი კარვებით გავედით ქალაქ ბრუსიდან და მივედით სამხრეთით მდებარე ფინარბაშისთან; იქიდან აღმართებით ვიარეთ ხუთი საათი და მივაღწიეთ ყაზას ზეგანის სადგურს. ყაზას ზეგანს იმიტომ უწოდე-

ბენ, რომ როდესაც ოჩხან-ყაზის ერთი წელი ალყაშემორტყმული ჰქონდა ქალაქი ბრუსა, მუსლიმი გმირები ერთ თვეს ამ ზეგნენ მოალებთა] დაცუის მიზნით. მდელოებითა და წაბლის ხებით გახალისებული და დიდი სიამოვნების მომგვრული აღვილია. აქედან მოჩანს მთელი ქალაქი ბრუსა. ერთი პატარა ტბა აქვს. შიგ ნაირ-ნაირი კალმახია. აქედან ისევ აღმართებით ვიარეთ და ხუთ საათში სუბარანის სადგურში მივედით. სუბარანის სადგური წაბლის ტყიანი დიდი ზეგანია. აქაურ ტბებშიც არის კალმახი. იმ დღეს ბადეებით ძალიან ბევრი თევზი დავიჭირეთ, კარაჯზე შევწყით და გეახელით. აქაური თევზი მოსე [წინასწარმეტყველის] სუფრისის ჰგავს [ისეთი გემრიელია]. აქ საიალაოოლ არის მრავალი ასი ათასი ცხვარი; ეს ასმან-ყაზის ორმოცი ათასი ცხვრის ღოლის შედეგია. თურქი მწყემსები ჰყავთ. რადგანაც რამდენიმე ჰელილა მოვაყვანეს საჩუქრად, ივ ღამეს მწვადები ავაგეთ და სტუმრად დავრჩით. ღილაუღრისან ისევ შევსხედით ცხენებზე. სამხრეთისაკენ აღმართ-აღმართ ვიარეთ ტულიპებით. სუმბულით, ჩეპანით, ვარდებითა და თუთიას ყვავილებით მოფენილ მთებში. ზერინისა და ჩეპანის სასიამოვნო სუნისაგან თავბრუ დაგვესხა. ბოლოს, სამ საათში, სადგურ ბაქაჭაპში მივედით.

აქაც ხეებს ქვეშ გავჩერდით; ვისეკნებდით, ვსაუბრობდით და თან ნანაღირევ კაკაბს, თევზს. კარაქს, ბატქნის მწვადს შევექცეოდით. ამ სადგურს ბაკაჭაპი ჰქვია, რადგან სწორედ აქედან უთვალთვალებენ რამაზანის ღმით, ახალი მთვარე თუ გამოჩნდება. ახალ მთვარეს. რომ დაინახვენ, ბაკაჭაპში კოცონებს დაანთებენ და ქალაქს ნიშანს მრსცემენ. ამ ნიშნის მიხედვით ციხეში ზარბაზნები გავარდება და ხალხი მარხებს დაიწყებს. ბაკაჭაპი სპილოს ხორთუმიერთ ქალაქზე წმინდარებული ციცაბო კლდეა ისეთი, რომ კაცი დაბლა გაღმოხედვას ვერ გაბედავს. ბრუსის ფილედარის ველზე მდებარე დაბა-სოფლები, ნათესები, ბალ-ბოსტრენგი, მღინარე ნილუფერი და მისით მორწყული მოწები აქედან სალამანდრასავით მოხატული წიგნის ფურცლებივით მოჩანს. იმდენად მაღალი მთაა, რომ მის ძირის ბრუსა იმაღლება; დიდი ჭამეს, შიდაციხისა და დახურული ბაზრის არემარე სრულებით არ ჩანს. მაგრამ შორეული ქვენები და მიწები კი მოჩანს. ||მაღალი აღვილია. ამ აღვილას ცმდე ატყორცნილ ისეთ, ციცაბო კლდებია, რომ საოცარ გამოსახულებას იღებენ: ზოგი გველეშაპს ჰგავს, ზოგი სპილოს, ზოგი ხომალდს, ზოგი არწივს.

აქ ისევ ცხენებზე შევსხედით, სამხრეთისაკენ აღმართ-აღმართ ვიარეთ სურნელოვან ყვავილთა შორის და ხუთი საათისათვის დავისადგურეთ ერთ აღვილას, რომელსაც [სულთან] სულეიმან-ხანის წყარო ეწოდება. იგი მდებარეობს ერთ ვრცელ, შეუდრო აღვილზე. სიხარულის

սոմցարելո წյունարո աջգոլօս, հոմելուց սուրութելք աճալ սուրութելք շմարեծ է. յրտո յըլդութան շաբազազեծու წյալո გամթուիկեց ուսետո որ-ցո, հռմ յալս ոյնութան յրտո յետու ամողեծաց առ Շեշուկուա — պիտուլո-ցուտա. ամ աջգոլաս աճանոս շաբազատու մեցաց յրտո յետա. ամ յետա հռմ յացու մոյցարուս, Շեյքանդեց. մաս շիշութեց դաշտամունք նաթյուրուցն. այ դուզու և ձարտարա թիցեծու, հռմելեցից ուսետո կարմաեծու դապուրացեն, հռց նոցո տոտա և նոցո ռո-ռոհո ոյցա ցամոցա. այսուհ նայալութեծս և գրեցեց նամտրոնիութ წյալո ոցոնց. սրամծոլութան յարչո-ծամու մռնուս, սամասու յացու և գրեցեց պիտուլս վրաօն. սուրութ նաշերու ոտեշու ծրու-լու և նեշութուրու մտու ծրուլա. մոսու ալմասու նարեցեծուցու ծրույցա-լու ուցալսա սպորու աճամոնան. յարչո-ծամու ներահուցու ծրուսու մթօնց-հրեցեց մռացալու ատասու քորու սաձալնե պիտուլու նաշերու մոմահացեց յալույթու և օվլումու წյուրացու ոյլացեն. ամս ցարճա, սուրութու հաճ մռացալու ասու ատասու սաճանոն յարացնու ուցալսա և պիտուլս յիշու-ցեծուն, մշունանու նացալցուրումու սապոնուլլու ցըմեցեց թըուրտացեն, սրամ-ծոլում մոայցու և ոյ նախուլցու ծելնուցուրեծամոսուլու ფագումանու սամ-նարյուլուսատցու, սամայարլամոսսատցու, յարցեմուսատցու, դուզութուրուս-տցու, Շայու յընուրուսատցու, Շեյս շլ-ուսամոսս և յանիօսկյերուսատցու, յրտո սուրուցու, մատուցու, զոսաց յը ֆագումանու ձայցանոնա. առ, այստո սամուկութա տուրուսա յը յարհութեցու սապոնուլլու յեշում-դալո.

ზუღალის წყლის აღწერა: თოვლი მას შემდეგ დევს, ჩაც ეს მათ  
მაღალი ღმერთის მძლავრი ზელით შეიქმნა. აქ, ღვთის ბრძანებით, მრა-  
ვალათასწლიან თოვლში მოიპოვებიან ქმნილებები, რომელთაც ზუღა-  
ლი ეწოდებათ. ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია გაათხრევინოს და ძე-  
ლი თოვლიდან ეს ქმნილებები ამოიყავნოს. მაგრამ ისინი მოხეტიალეები  
არიან. მაღალი ღმერთის ნებით, ტანისამოსის ჩრჩილივით მატლებია,  
რომელთა მიგნება შეიძლება თოვლში მათ მიერ თოვლის ჭამით გაყვანი-  
ლი ხვრელების საშუალებით.

ზუღალის მატრის თვისება: თუთის ფოთლის ჭიის მსგავსი ორმოც-  
33 ფეხა მწერია, ზურგზე || ორმოცი შავი, ყაყაჩის მსგავსი წვრილი ხალი-  
და ორი ლალისფერი კრიალა თვალი აქეს. მთელი ტანი კი ყინულისა  
აქეს. პირი აქეს, მაგრამ ოშენები არ აქეს.

8. საგვერა უელეს ტებილი წყალით. მისი ტანი ბოსტნის სათესლე კიტრის ოდენა გამოვა. ამათზე დიდები და პატარებიც არიან. ერთგვარი ქმნილებანი არიან, რომლებიც ძველ თოვლში ბინადრობენ და მჩავლდებიან. ალაპი თავისი ძლიერებით აქეთებს იმას, რაც ბრძანა და თავისი დიდებულებით განსჭის ისე, როგორც მას-სურს. მაგრამ ჩემ მიერ სულთან იბრაჰიმისათვის მიტანი-

ლი ზულალის ჭია ჩვენ მიერ ნანახი პატარა კიტრების ტოლია. ალმასი-ვით გამჭვირვალეა. რადგანაც ყინულისა იყო, დიდხანს ვერ გასძლო და დაღწა.

ზულალის ჭიის წყალის თვისებები: თუ ქალი უშვილოა და ამ ზულალს შეჭამს, ღვთის ნებით, დაორსულდება და თუ კაცი უძლურია, კაცობა დაუბრუნდება. იგი ფრიად გამამაგრებელი საშუალებაა. თვალის ჩინსაც უშატებს კაცს. დაბოლოს, კანის სხვადასხვა ავადმყოფობას რებს და ადამიანს ხელახლა დაბადებულივით გადაჯერეს. მისი მოძებნა ალქიმიური ქვის აღმოჩენაზე უფრო ძნელია, თვით მეფეებმაც რომ მოისურვონ. მაგრამ, ამბობენ, რომ იალბუზის მთაზე ძალის ოდენები არიან. ჩვეულებრივი ოთხფეხები არიან, თოვლში ბინადრობენ. თურმე ცოტა ხნით ამოვლენ, ჰაერს ჩაისუნთქავენ და ისევ თოვლში ჩადიან. რადენად მართალია, გადმომცემა აგოს პასუხი — მე, მწირს, არ მინახავს.

ქეშიშის მთაზე, სულეიმან-ხანის წყაროს ზემოთ მდელოებია, შავრამ ყვავილები არაა. მოშიშვლებული მთებია. იქიდან სრულ ხუთ საათში ჯიპან-კულეს მივაღწიეთ.

აქაურობა ქეშიშ-დალის უმაღლესი მწვერვალია, რომელსაც თავი ცისათვის მიუბჯენია. ქვემოთ მოჩანს, თუ როგორ მიცურავენ ღრუბლები ქალაქის თავზე; აი, ესოდენ მაღალია. ბრუსადან ამ კოშკამდე ამოსვლას სრული ორი დღე სჭირდება, თანაც ძალიან ძნელი ამოსასვლელია. რადგანაც მაღალი მთაა, თოვლისა და ხეს გაჩერება არ შეუძლია. შიშვერლკლდიანი უმაღლესი მწვერვალია. საიდანაც სამხრეთით მოჩანს ქუთაშიას მთები. აღმოსავლეთით ჩანს სოგუთის მთები. დასავლეთიდან, ზღვის გადაღმა, რუმელის მხარეს მოჩანს გალიპოლის მთები. უღრუბლო ამინდში, როდესაც ცეცხლისმფრქვეველი მზის სხივები სტამბოლის ციხეს!! ზემოდან დაპკრავს, გამოჩნდება ხედი კულე<sup>10</sup>, სულ-

თან აპმედის<sup>11</sup> ჯამეს ექვსი მინარეთი და ფასდაუდებელი ადა-სოფია-იმდენად მაღალი მთაა, რომ კაცი თუ მის კლდეს არ გაეკრა, ქარი საბნის მკერავის ბამბის ქულასავით გასტყორცნის ჰაერში. ფრიად სასტიკი ქარი იცის. ამ მთის უმაღლეს მწვერვალზე ფრიო დიდი საფლავია. ოთხივე მხრიდან დიდი ქვებით არის შემოზღუდული. ამის მიხედვით გასაგებია, რომ დიდი კაცის საფლავია. ხალხში გავრცელებულია აზრი, რომ ეს არის საფლავი ლანდაპის შეილის სადანისა, რომელიც წმინდა პამზას შიშით ამ მთაში დასახლებულა. ამ საფლავის ახლოს მიწაში ერთი გამოქვაბულია. თავქვე ძალიან ღრმად წასული, ბნელი მღვმეა. შიგ სამოცდაათი-ოთხმოცი მცირე ქვაბულია. ურწმუნოთა დროს სტამბოლში ადა-სოფიას ვუმბათიდან ბერები გამოფრენილან და ამ გამო-

ქვაბულებში დასახლებულან. ზოგ კლდეზე ორათასწლიანი, დათარი-ლებული ლათინური წარწერაა. სასეირნოდ ამოსული განათლებული ადამიანების მშვენიერი წარწერებიც არის. უზარმაზარი მთაა, რომელიც გასართობ ადგილს წარმოადგენს. სეირნობისა და მხიარულების შემდეგ თავჭვე დავეშვით, 12 საათში მივაღწიეთ ყადის იალალს. კარცები გავშალეთ და ერთი დღე ვიქეიფეთ. დავეშვით მეთოვლების ბილიკებით და სრულ 10 საათში ქალაქ პტიაში შევედით. ესეც ასე.

ბრუსის მცხოვრებლების ხაჭმიანობა, ენა და სამოხელი: მრავალი ათასი სიასამურისქურქიანი, დიდებული, გასაოცარი სოვდაგრები და ულემები ჰყავს. ერთი ნაწილია წარჩინებულთა ფენა, რომლებიც ცხენ-რახტიანები, ძირძველი საგვარეულოს ჩამომავლები და მოხელეები არიან, მეორე — ხელოსნები, რომლებიც სავაჭრო რიგებსა და ბაზ-რებზე არიან. თავიანთი მდგომარეობის შესაფერად ნაირ-ნაირ ძვირფას ტანისამოსს იცვამენ.

მათი ენა: რადგანაც აქაურობა ანატოლიის მიწაა, მათი კილოკავი ახლომა არქიპელაგის კილოკავთან. მაგალითად: „აპმედ ჩელების“ მაგივ-რად გამოთქვამენ — „აპმეთ ჩებო“; „მეპმედ ჩელების“ ნაცვლად — „მემეთ ჩებო“: „ისმაილ“-ის ნაცვლად — „ისმილ“; „ჯაფერის“ ნაც-ვლად — „ჯაფარ“. კიდევ მრავალი უცნობი გამოთქმა აქვთ. მაგრამ არის ზოგი ისეთი განათლებული ქალაქელი, ვინაც სამწერლო ენა იცის, ქვეყ-ნიერება პოვლილი აქვს, ბრძენი და ჰქონამახვილია. მთელი ხალხი იშვია-  
35 თი მეგობრები, მოსეირნე, კარგი მოსაუბრე || ადამიანები არიან. მო-სახლეობის უმრავლესობა აბრეშუმის გამოყვანას შისდევს. აქ იქსოვება ბრუსის ხავერდი, აბრეშუმის ქსოვილი — სერენგ და ბალიშის გამოსა-კრავი აბრეშუმის ქსოვილი — ჩათმა.

ბრუსის მშვენიერი ჰავის ალწერა: მეოთხე სარტყელში მდებარეობს. რადგანაც მისი ჰავა მშვენიერია, ხალხს ლაულაუ ფერი აქვს სახეზე. ზაგ-რამ, რადგანაც ლოდოსის ქარს რუპბანის მთა ელობება, იმ ქარების ღროს მისი ჰავრი მძიმეა. ლამაზი კაცები და ქალები ძალიან ბევრია. შესანიშნავ და ლამაზ ყმაწვილკაცებს პოეტები ქება-დიდებას ასხამენ და სახელს უთქმებენ. ქალები სიტურფითა და სინარნარით, სიმშვენიერითა და თავდაჭერილობით პირველები არიან და მეტყველებაც ისეთივე სწორი და შეწყობილი აქვთ. როგორც ტანი. თმები კულულებად აქვთ გა-კეთებული და პოეტებს ჰქონა აკარგვინებენ. არც ერთი სხვა ქვეყნის ერალებისათვის არ არის დამახასიათებელი ეს. აქ მამაკაცები იმდენად დიდხანს ცხოვრობენ, რომ ძალა გამოელევათ, გარეგნობა შეეცვლებათ, ლაპარაკი ალარ შეუძლიათ, ენა წაერთმევათ, მაგრამ მაინც ცოცხლობენ. მრავალი ათასი მღიდარი დიდკაცია, რომელთა შესახებ ზემოთაა აღნი-

შნული. ხალხი ტანკებარი, ვერცხლის ტანიანი, გულის საყვარელნი არიან, რომლებიც თუ საუბარს დაიწყებენ, ისე წინდახედულად და შორს-გამჭვრეტულად, ხატოვანი თხრობით. დახვეწილი ენით საუბრობენ, რომ მათი მჭერმეტყველების მარგალიტები აღამიანს მოხიბლავს და გულის სილრმემდე ჩასწვდება, იმიტომ, რომ ყოველი მათგანი მოხუცებულ ბე-ლადზე განათლებული და ყველაფრით შემჭულია.

ბრუსის სანაქებო საჭმელების აღწერა: მისი წმინდა, თეთრი პური — „სომუნ“ ისეთივე გემოსია, როგორც თოფჰანეს სომუნი. პური — „ჩაქილ“ არც ერთი სხვა ქვეყნისათვის არ არის დამახასიათებელი. თეთრ, მრავალფურცლოვან ვარდს ჰგავს. ამ ქალაქისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, ფენოვანი ღვეზელი, ღვეზელი გოზლემე, თეთრი თონის პური. ქირდე ქებაბი ფრიად ცერიანია. რადგანაც ფრიად მსუქანი ხორცეული აქვთ, მათი ქირდე ქებაბი განთქმულია. განთქმულია ფქვა-ლიანი, თეთრი მუშკის სურნელებიანი ჰალვა.

სასმელებიდან: ფინარბაშის [წყაროს] სიცოცხლის წყალი, ჩეიღმეტი გამდინარე წყაროს სიცოცხლის წყლები, ნაირნაირი ხილის წვენი, ხილის წვენზე დაყენებული სხვადასხვა ფერის შარბათი, შესანიშნავი და სრულყოფილი იემენის ყავა, გემრიელი, გაწმენდილი ბოზა, ხანდან-ბეის შარ-ბათი, ფეთრელი-ოლლუს შარბათი, მიხაკიანი შარბათი, შენჯაჭ-ოლლუს შარბათი.

ხილის მოსავალი: მისი ორმოცი ჯიშის მსხალი წმინდა შარიათის დაქთარში შოიხსენიება. წენიანი || და ნაირნაირი ყურძენი, გარგარი, 36 წვენიანი ბალი და ბოლოს, ამისთანა წაბლი შეუძლებელია დეღამიწის ერთ მეოთხედზე იყოს. თითო ცალი ორმოცი დირქემი გამოვა. საქვეუნოდ განთქმულია მისი შვილი ჯიშის თუთა. ისეთი თუთის ბალები აქვს, რომ ფილედარის ველი შემქულია, რადგან ბრუსის ყველაზე დიდი ნაწარმი ხომ აბრეშუმია. ამისთანა აბრეშუმი ირანის ისეთ მხარეებშიაც კი ვერ მოჰყავთ. როგორიცაა ნაბჭევანი და შირეანი.

ბრუსის სანაქებო ხელოსნობა: აქ ნაირნაირი. ლალისფერი ხავერ-დი მზადდება, რომელიც უფრო ლამაზია, ვიდრე ევროპაში — გენუაში დამზადებული. აქ მზადდება მრავალფუროვანი აბრეშუმის ქსოვილი — სერენგი და ბრუსას ჭრელზოლებიანი — ალაჭა, მუქი მწვანე და ლურჯი ჩითი, ყალაშექარი ფეშთემალი, ბრუსას აბრეშუმის ქისები, აბრეშუმის ფთილები, აბრეშუმის მოხატულ-მოქარგული ბალიშისპირები და სხვა.

ოსმალი ფარგლეპინის — მაღალ ღმერთის ჯალობა იყოს  
მათზე — შეიცავ საფლავების აღწერა

მსოფლიოს მემატიანეთა გადმოცემისა და მონაყოლის მიხედვით ადამი, რჩეული ალაპისა — შშეიღობა იყოს მასზე — იყო პირველი, ვინც დედამიწაზე დასახლდა. ადამის შვილებმა და შთამომავლობამ დედამიწის ზედაპირი დაიკავეს და ქვეყნიერება შეამკეს. მაგრამ სხვადასხვა ხალხებად დაყოფილ შთამომავლობას ახასიათებდა ხშირი დავა და შუღლი. თუმცა, ამბობენ, რომ სინამდვილეში ბერძენი ხალხი ისაკის ძე ისავის — შშეიღობა იყოს მასზე — შთამომავლიაო, მაგრამ ბიბლიის სიტყვის მიხედვით მათი შთამომავლობა ნოეს ძე იაფეტიდან — შშეიღობა იყოს მასზე — მოდის. ესენი მეომარი, სუფთა რწმენის, დიდებული ხალხია.

შუსლიმთაგან 476 (1083—1084) წელს რუმის ქვეყანაში პირველა ფეხისშემომდგრელი არის სელჩუკის საგვარეულო<sup>1</sup>. სელჩუკები პირველად შეუთანხმდნენ და შეუკავშირდნენ დანიშვნდიანთა ემირებს<sup>2</sup>, დაიპყრეს მალათიას, კეისერს, ალავეს, ანტიოქიის, კონის ქვეყნები; კონია სატახტო ქალაქად გაიხადეს და დამოუკადებელი ფადიშაჰები გახდნენ. დანიშვნდიანთა ხელმწიფუებმა კი დაიპყრეს სივრცისა და არზრუმის მხარეები და არზრუმი სატახტო ქალაქად გაიხადეს<sup>3</sup>. ქალაქ ნიქსარში წმინდა მელექ-ყაზი დარჩა და იქვე დაიმარხა<sup>4</sup>. ამათი წარმოშობის ადგილი მავრენანაპრია<sup>5</sup>. სელჩუკთა საგვარეულოს წარმომადგენელი ალ ედ-დინ სულთანი<sup>6</sup> რომ გახელმწიფელა, მაპანის ქვეყნიდან<sup>7</sup> 37 მისკენ გამოემართა და მოვიდა ოსმალთა საგვარეულოს წინაპარი||ერთორწულ-ყაზი იმიტომ. რომ მათ შორის ნათესაობა იყო ერთორწული ტომის ბელადი გახდა, კონიადან ბრუსამდე დაიპყრო და დააჩინა იზნიკის, იზნიქმითის<sup>8</sup> მხარეები. თავისი ქვეშევრდომებისა და შემოერთებული მიდამოების ბელადი გახდა. სახელისა და ნების პატრიონად იქცა. 600 (1203—1204) წელს<sup>9</sup> ანატოლიის მოსახლეობის მხარდაჭერითა და გადაწყვეტილებით ერთორწული ბეგი გახდა [ამ მხარისა] და სელჩუკებისაგან თული და ალამი მიიღო, მაგრამ ფულის მოჭრის და თავის სახელზე ხუტბის აღვლენის უფლება არა ჰქონდა. რამდენიმე ხანმა რომ გაიარა მისი ბეგად გახდომის შემდეგ, გარდაიცვალა იზნიქის ახლოს დაბა სეგდუთში და იქვე დაიმარხა<sup>10</sup>. მის ადგილის ალაპის წმინდანთა ნებართვით დამოუკადებელი ფადიშაჰი გახდა მისი შეილი ოსმან-ბეგ-ხან-ყაზი და ფულის მოჭრისა და ხუტბის უფლება მოიპოვა. მისი ტახტზე ასვლის თარიღი, როდესაც ოსმან პირველი ეწოდა, პიჯრით

699 (1299) წელია<sup>11</sup>. მის ბეღნიერ დროს პირველი საპარასკევო ხუტბა აღავლინა ღურსუნ ფაკიშმა. კეთილშობილი სეიძის, უფალი შეიხის, აზიზ ედა ბალის ქალიშვილი შეირთო ცოლად და მისგან ეყოლა ორხან-ბეგი. ეს არის საწინააღმდეგო იმისა, რომ ოსმალო სულთნები კეთილშობილი სეიდების შთამომავლები არიან დედის მხრივ. თვით სულთან მეჰმედ ფათიძამდე ოსმალო სულთნებს ეწოდებოდათ ოსმან-ბეგი, ორხან-ბეგი, მურად-ბეგი. როგორც კი დაიპყრო კონსტანტინეპოლი მეჰმედ ფათიძმა, უფალმა აკ შამს ედ-დინმა<sup>12</sup> სულთანი უწოდა და მის მიერ მოჭრილ ფულზე ასე ამორტიფრეს. [სულთან] სელიმ პირველს ქემალ-ფაშა ზადე უწოდა „მექასა და მედინს მსახური“; [სულთან] სულემან-ხან [პირველს] აბუ-ს-სულ-დ-ეფენდიმ<sup>13</sup> უწოდა „სულთანი ხმელეთისა და ხაყანი ზღვისა“. ეს იმიტომ, რომ ზემოხსენებულმა ხანმა მალტა და ორდოსი დაიპყრო და ზღვას დაეუფლა<sup>14</sup>; პალდალი დაიპყრო და ხმელეთის სულთნად იქმნა აღიარებული<sup>15</sup>.

## XIX

### ოსმან-უაზის დაპყრობების მოკლე ჩამოთვლა

პირველად დაიპყრო ბილეჯიქი, ინე გრლი, ყარა-ჰისარი, ინონუ; იზნიქი, ქროტრუშ-ჰისარი, ულუ ბაღ-ჰისარი, ქესთელი, ქემთე, ბეგა და კიდევ ორასაშველე ციხე. ორასი ხუტბაა მის სახელზე აღვლენილი [დაპყრობის აღსანიშნავად].

|| ოსმან-ხან-ყაზის წმინდა საფლავი: სულთან ალა ედ-დინ სელჩუკის! შემდეგ ოცდაერთ წელს იყო ბეგად და ოცდამეექვსე წელს გარდაიცვალა — გაანათლოს ალაპმა მისი ცხედარი და მიუტევოს. სამოცდაცხრა წელი იცოცხლა<sup>2</sup>. ოსმან-ყაზი გარდაიცვალა იმ ღროს, როდესაც უფლისწულმა ორხან-ყაზიმ ბრუსა დაიპყრო<sup>3</sup>. მისი გარდაცვალების თარიღი [რიცხვნიშნების მიხედვით ასეა განსაზღვრული]: „ბრუსის დაპყრობა“. მეორე თარიღი:

„დასავლეთსა და აღმოსავლეთში სამკაულით აღვსილია,  
რომლის თარიღია „სათავე დაპყრობათა“<sup>4</sup>.

ოსმან-ხან ყაზის ძე ორხან-ყაზის ტახტზე ასვლის ამბის მოკლედ გადმოცემა: მოციქულის მექადან მედინაში გაქცევიდან შეიდას ოცდაექს წელს (1326) ავიდა ტახტზე<sup>5</sup>.

მისი დაპყრობები: წარწერა, „ფუქრე“<sup>(?)</sup><sup>6</sup> — რუმელიაში დაიპყრო გალიპოლი: გალიპოლის დაპყრობის თარიღი: „სახელითა ალლაჰჰისა

შოწყალისა, მწყალობლისა“ 740 (1339-40) წელი, დაპყრობილ იქნა ციხეები: მუდურუნი, კოჯაილი, ნიკომედია, ბალიქაბაღი, მთელი ბრუ-სა, იზნიქი, თარაკლი, ბოლუ, გუინაქი, კარასი, ბალიქესირი, მერვამა, ედრემიდი, ჯემენიქი, აშლონას ციხე, თექფურ-დალის ციხე. ბულაირის ციხეები კი უფლისწულ სულეიმან-ფაშას ლვაწლითაა დაპყრობილი. თვითონაც ბულაირში ასვენია — ალაპის ცხონება იყოს მასზე.

ორხან-ყაზის წმინდა საფლავი: ორხან-ყაზი გარდაიცვალი შვიდას სამოცდაერთ (1359) წელს. მამამისთან — ოსმან-ყაზისთან ერთად არის დამარხული შიდა ციხის ჯამეში — სინათლით სავსე აკლდამაში. ორ-მოცდაერთი წლის ფაღიშაპიბის შემდეგ ჩაიძირა ალაპის წყალობაში. მისი სიცოცხლის ხანგრძლიობა სამოცდაოთხი წელი<sup>7</sup>. ქველმოქმედი, საწყალთა მეგობარი, ალაპის გზაზე მებრძოლი, ლმობიერი ფაღიშაპი იყო.

ულემები, ლვთისმოსავნი, ალაპის წმინდანები ორხან-ყაზის ეპო-კაში: წმინდა დავით კესარიელი ყარამანიდან არის. მაგრამ, რაღა-ნაც კესარიაში მიიღო განათლება და აქ ცხოვრობდა, კეიისარის უწო-დებენ. წმინდა მუპი ედ-დინ არაბის „ფუსუს“-ის თარგმანებანი დაუ-წერია. სუფიურ ფილოსოფიაში მეორე თაფთაზანი<sup>8</sup> იყო. ორხან-ყაზის მიერ იზნიქში აშენებულ მედრესეში პირველი მუდარისი იყო — მუ-დარისების საწყისია.

39 მოლა ალა ედ-დინი: „ესვედ ხოჯას“ სახელით არის ცნობილი. მეცნიერებათა საფუძვლებიდან//მან თარგმანება მოგვცა წიგნისა, რო-მელსაც ეწოდება, „მული ულ-ლებიბ“. მართლაც რომ ძლიერი თარგმა-ნებაა. წიგნ „ვეკადა“-შიც ერთი მშვენიერი თარგმანება აქვს.

მოლა კენდიორელი ყარა-ხალილი: ოსმალთა სახელმწიფოში პირ-ველი ყაზიისკერია ორხან-ყაზის ბრძანებით დანიშნული. ყველა ყა-ზიისკერის წინამძღოლია.

მოლა ჰასან კესარიელი: ლვთისმეტყველებაში სიქვეყნოდ ცნობი-ლია. „არუშ ანდალუსის“ სასარგებლო და გონივრული თარგმანებანი დაუწერია. მუპი ედ-დინის მოწაფეა. ცოდნის გასაღრმავებლად დამას-კოში ჩავიდა და იქ განასრულა განათლება.

შეიხი სედიდ აქმედ ქებირ რეფატ: ორხანის შეიხთაგან დიდი მეუფეა. ამასისის ქალაქ ლადიკეშია დამარხული დად ჯამეში. მისი გარ-დაცვალების თარიღია 752 (1351) წელი.

შეიხი ჰასან არ-რეფატ: ორხან-ყაზი ამისი ერთგული მიმდევარი იყო. შეიხ აქმედ ქებირ რეფატს ბიძაშვილი იყო მამის მხრივ. თოკა-ში სუნთქულუ-ბაბას სიახლოვეს არის დამარხული აკლდამაში.

შეიხი ქებიქლი ბაბა: ბექთაშიანთა დერვიში იყო.

შეიხი კარაჯა აპშედ-სულთანი: ორანის უფლისწულთაგანია. გან-დევილი გახდა და ორმ მოგზაურობდა, ორხან-ყაზისთან მოსულა. აკ-ჰისარშია დამარხული. კირშეპირშიც არის მის ხსოვნასთან დაკავშირებული ადგილები, რისთვისაც ორივეგანაა სალოცავი ადგილები ხალხისათვის.

შეიხი ახო ევრან კესარიელი: სელჩუკების დროიდან მოყოლებული ლრმაღმოხუცებული იყო და ორხანს პატივი ჰქონდა მასთან ესაუბრა. მოლა სუნქიარისთან, შამს თავრიზელთან, სადრ ედ-დინ კონიელთან უსუბრია და დიდი მეუფეა, რომელიც დაბალობას მისდევდა. ქალაქ დენიზლიში არის დამარხული.

შეიხი აბდ ალ-მუსა: ორხანის შეიხია, რომლის წმინდა საფლავი თვეის ადგილას იქნება ალწერილი.

## XX

ორხან-ყაზის შვილის — ყაზი ხოთაპარ მირაფ-ხან პირველის  
ტახთზე ასვლის მოკლე ამბავი

761 (1359) წელს ავიდა ტახტზე. მისი დაბადების წელია 727 (1327).

॥ დაპყრობები: ედირნეს დაპყრობა მოხდა 761 (1360) წელს; სი- 40 რუზის ციხის დაპყრობა — 786 (1384) წელს; ვარნას ბრძოლა — 846 (1442—1443) წელს<sup>1</sup>: ალებულ იქნა ციხეები: ბატანოსი, მესისი, ბურგოსი, დიმალოკა, ებსარა. მეორედ აიღო ციხეები: ედირნეს ზაგროსი, ქუთათია, ჰამიდილი, აქშეპირი, სეიდიშეპირი, ხალვაჯ-ჰისარი, ბურგოსი, ფოლიე, ესექთე, მარილია, კავალა, რუსინი, რეზიპნე, მეორე სი-რუზი, ყარა ფერიე, ქრფრუ, ფირლიფა, მანასთირი, ფლორინა და მუსლიმმა გმირებმა მდიდარი ნადავლი ჩაიგდეს ხელში. იანიჩარებმა ოქროთი დაფერილი წვეტიანი ქუდები (ჟუქუფები) დაიხურეს. ქალაქ ბილეჭეში ფაღიშავმა ერთი ჯამე ააშენა, ბრუსას ახალ უბანში — მეორე ჯამე. ერთი სავანე ააშენა და იქ საპატიო ადგილას მამამისს აკლდამა აუგო.

ყაზი ხუდავენდიქარის სიკვდილი კოსოვოს ველის ბრძოლაში: 791 (1389) წელს კოსოვოს ბრძოლაში ხუდავენდიქარ-ყაზიმ სამასი ათასი ურწმუნო გაატარა ხმლის ქბილებში და წმინდა ომი კიდევ უფრო გააძლიერა. როდესაც ურწმუნოთა გვამებს ათვალიერებდა, დახოცილთა გვამებიდან წამოდგა მილოშ კობლანი, მურად-ხანს დანა ჩასცა და მოჰკლა<sup>2</sup>. მუცელი გაუკრეს და მისი გული ცალკე დამარხეს მდინარე ქელაბის ნაპირზე ერთი მაღალი გუმბათის ქვეშ. ახლა ხალხის სალოცავი ადგილია. როდესაც ჩვენი ბატონი მელექ აქმედ-ფაშა<sup>3</sup>

ბოსნადან მოღიოდა, განაახლა, შეაკეთა და შიგ ყურანის წამკითხველი და აქლდამის მცველი დაინიშნა. მურად-ხანის ნეშტი კი ბრუსაში ჩამოიტანეს.

ყაზი სუდავენდიქარის წმინდა საფლავი ქალაქ ბრუსაში: ქალაქის დასავლეთ მხარეს, ძველი ცხელი წყაროს ახლომახლო მდებარე დიდ და ძველ აკლდამაში ასაფლავია. წმინდა საფლავის ზემოთ ხავერდ-ხამოფარებული ჰკიდია მისი შურდული და ისარი, გასისხლიანებული ხალათი, რომელიც სიკედილის დროს ეცვა, საჭურველი და მორთულობა, ე. ი. ყველაფერი დაცულია. მაგრამ როდესაც ადამიანი მის ბერნიერებამოსილ აკლდამაში შედის, ძრწოლვა მოიცავს. მისი სულ-თნობის ხანგრძლივობა 30 წელია.

## X X I

მურად-ხან ბუდავენდიქანის უპილის — ილდირიდ გამახათ-ხანის  
ტახტი ასვლის ამავის მოკლედ გადაოცემა

791 (1389) წელს ბრუსაში ავიდა ტახტზე. ილდირიმმა დაიპყრო გარშემო მხარეების ურწმუნოთა ქვეყნები, წმინდა ომები აწარმოა და 41 მამამისის შური იძია. მისი დაპყრობები: ||უსქუბის ახლოს მდებარე კრატოვა, უსქუბი, ვიდინი, ვურანა, ჯირუზი, ჯანბოლუ, სილისტრა, ურუსჭიქი, დერჯუქი, ნიქებოლუ; ანატოლიაში აიღო ციხეები: ალა-შეპირი, ბეიშეპირი, სეიდიშეპირი, მეორე კონია, აიდინი, სარუხანი, კიასოლუქი, მილასი, თექე, მენთეშე, მეორე თსმანჭიქი, კასტამონუ, ამასია, აქსარად, ნიგდე, კეისარიე, სივასი, ერზინჯანი, მალათია და სახელმწიფოს სიმდიდრედ იქცა. იმისათვის, რომ ერთხელ ვლახეთი და მოლდავეთი გაიარა და ქალაქები დაიპყრო, სახელად შეარქვეს „ემირ სულთან ელვამოსილი“ (ილდირიმ). იმ წელს ზღვა ჯარით სტამბოლს ალყა შემოარტყა, ძალდატანებით დაუნიშნა ყალი და შარიათის შესრულება დაავალა. უნკაფანში თვით გულჯამემდე<sup>2</sup> შვიდას სახლში მუსლიმები ჩასახლდნენ. ადაყაფას<sup>3</sup> შიდა მხარეს მდებარე სირქეჯიების სავანე სასამართლოდ აქციეს და გულჯამე — სალოცავ სახლად. შემდეგ, წინასწარმეტყველის გაქცევიდან რვაას მეზუთე წელს (1402) ღმერთის წინაშე ცუდი გამზრახებითა და ავის ნდომით თემურ-ხანი ინდოეთიდან და ირანიდან გამოემართა; როდესაც [სულთან] ილდირიმ-ხანთან ბრძოლა დაიწყო<sup>4</sup> და ომის ხმაური გაისმა, ილდირიმ-ხანმა დაინახა, რომ მთელმა ჯარმა მას ზურგი აქცია და თემურისაკენ გაიქცა. თავის კარისკაცებთან ერთად მარტო დარჩა და ბრძოლის ასპარეზზე თავგანწირვით იბრძოდა. მრავალ ას თაოარ ჯარისკაცს ხმალი აწვნია

და გულადობა, ვაჟეაცობა და მამაცობა გამოიჩინა. მაგრამ იგი მოახტა ურა კვიცს, რომელიც გამოუცდელი იყო, ბრძოლებში ჭრილობა არ ჰქონდა მიღებული, არც თხრილებზე ხრომაში იყო გაწაფული. კიდევ ერთხელ რომ აძგერა ცხენი თაორებს, ცხენიდან გადმოვიდა; ცხენი გაჟინდა და თაორებს შორის ქვეითად რომ დარჩა, სრული ერთი სათი იბრძოდა და კაპარჭში ისარი აღარ დარჩა. როდესაც ხმალი ხელიდან გაუვარდა ილდირიმ-ხანს, დაეცივნენ თაორები, ხელები, მკერდი და და თავი გაუკოჭეს და დასაბრძავებელ თემურს მიჰვარეს. თემური ფეხზე წამოდგა, პატივისცემით დაუკრა თავი, მივიდა მასთან და უთხრა: „კეთილი იყო თქვენი მობრძანება; ბედის ტრიალია! ასეც ხდება, ნუ იდარდება!“ ბევრი ესაუბრა.

მესამე დღეს ილდირიმ-ხანს ციებ-ცხელება შეეყარა და გარდა-  
იცვალა. ჩელები სულთან მექმედ-ხანი ორმოცი ათასი სახელოვანი  
და რჩეული მეომრით თემურის ლაშქარს კვალდაკვალ მიჰყვა, წამო-  
ეწია და ისე დაპერა მაპმალის მახვილი, რომ თაორები დაფრთხენ და  
გაიქცნენ. //მას შემდეგ, რაც თემური თავის ქვეყანაში წავიდა, [მექმედ-  
მა] ხმალსაგადარჩენილი თაორები დატყვევა და ამგვარად, თავისი მა-  
მის შური იძია. იმ ველს [სადაც ბრძოლა მოხდა], „თაშაკის ველს“  
უწოდებენ. შემდეგ მამის ნეშტი თაორებს წაართვა, ჭენებით წამოიღო  
ბრუსაში და ჯამეს არე-მარეზე დამარხა. მისი დიდებული აკლამა ამ-  
ჟამად ხალხის სალოცავი ადგილია. ილდირიმი 14 წლის განმავლობაში  
სულთნობდა და 67 წლს იცოცხლა. განდგომილი ავაზაკების სამოც-  
დათი სანგაყის მიწა დაიპყრო. სამუმივით გამანადგურებელი ფალი-  
შაპი იყო, რომლის სახელზეც ექცევერ იღავლინეს ხუტბა [დაპყრიბე-  
ბის აღსანიშნავად]. მაგრამ „როცა დადგება უამი, თვალიც მაშინ დაბრ-  
მავდება“.

„ვერებინ აიცდეს ბეტისწერას, რაც არ უნდა გაფრთხილდეს;  
ათასიც რომ ეცალო, მოსახლენი უნდა მოხდეს“.

## XXII

ულევეგი, დათისაოსავები და აილი ჩინებავები, რომლიაც  
ილდირიმის დროს იყვნენ სახელმწიფო

მევლანა შეპაბ ელ-დინ სივასელი ილდირიმ ხანის ულემათაგანია.  
მრავალი ასეული ანგარიშგასაწევი წიგნის გარდა მან შეთხზა ერთი  
სადიდებელი თარგმანებათა წიგნი, რომელიც თითქოს ჭერირის გან-  
მარტებათ. ედასულუქშია დამარტეული.

მევლანა კუთბ ელ-დინ იზნიქელმა თემურ [ლენგთან] ბევრი იქა-  
მათა და იპაექრა. ბაირამის სექტის მეთაურა. ილდირიმ-ხანის ეპოქა-

ში გარდაიცვალა და ანკარის ციხეში მისთვის განკუთვნილ აქლდამა-შია დამარჩული. უფალ შეის ჰესამის მიერ იყო აღზრდილი.

მევლანა სიმავნა ზადე შეის ბედრ ედ-დინ ბენ მაჰმუდ ბენ .ის-რაილ ბენ აბდ ალ-აზიზი: ილდირიმის ხანაში ცოდნის ზღვა იყო!

მევლანა ფასრ ედ-დინ სპარსელმა წმინდა სეიდისაგან მიიღო განათლება. ელირნეშია დასაფლავებული.

შეის აბდ არ-რაშიმ ბენ ემირ აზიზი: მერზიფონელია. მისი მეტ-სახელია „რუმი“. მერზიფონეშია დამარჩული.

წმინდა შეის ფირ ელიას ამასიელი ამასიაშია დასაფლავებული.

43 ॥[სულთან] ილდირიმ ბაიაზეთ-ხანის ძის — ჩელები სულთან მეტ-ბანის ტახტზე ასვლის მოყლე ამბავი\*: 805 (1402—1403) წელს<sup>2</sup> ბრუსაში ავიდა ტახტზე. იმ წელს ოსმალთა სახელმწიფოში აშლილობა და მღელვარება დაიწყო. ჯოჯოხეთის კერძი გიაურები ყოველის მხრიდან ესხმოდნენ ხოლმე თავს [ქვეყანას]. მისმა ძმებმა: სულეიმან ჩელებიმ იმით, ისა ჩელებიმ და მუსა ჩელებიმ რუმელიაში სახელმწიფოს ბზარი მისცეს და ხელს უშლიდნენ ლაშქრობებსა და დაპყრობებს<sup>3</sup>. სულეიმან ჩელები ირი წელი, შვიდი თვე და ოცი დღე იყო ფადიშაპი. ისა ჩელებიმ კი სალონიკის მხარეში შემოიკიდა ავაზაკების ბრძო; ხოლო მუსა ჩელები ედირნეში გახდა დამოუკიდებელი ფადიშაპი. ბოლოს კოგა ჩელები მეჰმედ-ხანმა სამივე ძმა ერთ წელს გისტუმრა საიქიოს და თვითონ გახდა დამოუკიდებელი ფადიშაპი. იგი დააცრა გიაურებს, რომელთაც ყოველის მხრიდან წამოყევს თავი.

მისი დაპყრობები: რუმელიაში დაიპყრო ფერავალი, ოფეამოლუ, ქრისტულუ და ხელმეორედ დააკისრა ხარაჭა ვლახეთია და მოლდავეთს. ურუსჯუქის პირდაპირ, ვლახეთის საზღვრებში, ღუნას ნაპირზე ააგო ჩოლის ანუ ერქუქის ციხე და ჭარი ჩააყენა. ანატოლიაში ხელმეორედ აიღო მუდურნას ციხე და კასტამონუ. მის სახელზე ორას სამოცამდე ხუტბა იქნა წაეითხული.

დღიდი ნაგებობანი, რომლებიც ჩელები სულთან მეჰმედ-ხანის დროს აშენდა: იმ ძველი ჭამეს საძირკველი, რომელიც ელირნეშია, მისმა ძმამ — მუსა ჩელებიმ დატოვა. მისი დამთავრება წილად ხედა სულთან მეჰმედ-ხანს. ფილებს ახლოს მდებარე ვინმე მეითის ძე ყაზი მეჰმედ-ბეის საფლავს აუგო მაღალი გუმბათი, ერთი ჭამე და ერთი საჭმლის დასარიგებელი საქველმოქმედო დაწესებულება.

მისი წმინდა საფლავი: პიჭრით ჩვას ოცდაოთხ (1421) წელს გარდაიცვალა. მისი სულთნობა გაგრძელდა შვიდ წელს, თერთმეტ თვესა და თორმეტ დღეს. რომოცდაშვიდი წელი იცოცხლა. მისი საფლავი

\* თურქულ გამოცემაში არაა გამოტანილი ცალკე თავად.

მოხატულ აკლდამაშია, რომელიც მწვანე ნაგებობად წოდებული სინათლით სავსე ჯამეს წინ მდებარეობს. მაღალი ალაპის წყალობა უძრავლოს. პირველად ამ ფადიშაპმა გაუგზავნა მექასა და მელინას მწრებს მოსაკითხი — ფულით სავსე ტომარა.

|| ჩელები სულთან მექმედის დროის ულემები, ლვოისმოსავე 34  
და კეთილშობილი შეიხები: ყარა შამს ედ-დინ სიმავე მრავალრიცხოვანი მოგზაურობითა და იშვიათი ცოდნით იყო განთქმული, როდესაც ბრუსალი რუმელის ზაგრაში განიღევნა. იქვეა დამარხული — ლმერთმა გაპატიოსნოს მისი საიდუმლოებანი.

შეიხი აბდ ალ-ლატიფ მუკადის იბნ აბდ არ-რაჰმან იბნ ალი ბენ განიმ ალ-ენსარი სრულყოფილი პიროვნებაა.

ჩელები სულთან მექმედ-ხანის ძის — სულთან მურად მეორის ტახტზე ასვლის მოკლე ამბავი: 824 (1421) წელს ავიდა ტახტზე. მისი დაბადების თარიღია 806 (1403—1404) წელი.

მისი დაპყრობები: აიღო ციხეები ისმირისა, გუვერჯინლიქისა, ხელმეორედ — ჭანიკის ვილაიეთი, ხანის ციხე, დენი შეპირი, თერპალა, სემენდრია, ნოვაბურდა და დესპოტ-ოლოუს<sup>4</sup> ხარაჯა გადაუწყვიტა. 855 (1451) წელს, მუჰამედის თვის მეთექვსმეტე დღეს (18 ოქტომბერვალს), ხუთშაბათს ისევ სულთან მექმედმა ინება მის ადგილზე ტახტზე ასვლა. მისი (მექმედის) კეთილშობილების წლოვანება ოცდაერთს აღწევდა. ედირენში მისი ტახტზე დაჭდომის თარიღი: „მაღლობა ლმერთს“ 855 (1451).

კოჩა მურად-ხან მეორის წმინდა საფლავი: პიგრით რვაას ორმოცდათხუთმეტ (1451) წელს გარდაიცვალა ედირენში. მისი ნეშტი ბრუსაში მოიტანეს და მისი ჯამეს ახლოს სინათლით სავსე აკლდამაში დაიმარხა. ბრუსაში დასაფლავებულ ყველა სულთანზე მეტად განდიდებული ასვენია. სუფთა, მინანქრიანი აკლდამაა. საფლავის ქვეზე მოქარგული ოქროქსოვილის გადასაფარებელი აქვა. მისი სულთნობის ხანგრძლიობა 28 წელია და სიცოცხლისა — 49.

მისი კეთილი საქმეები: ედირენში ერთი ორწევეტიანი მეჩეთია, რომელიც მეჩეთთა შორის უმშევნერესად ითვლება. ნაღავლით შეძენილი სიმღიდრით ააგო ორი მედრესე, ერთი პაღისების სახლი, ერთი დახურული ბაზარი და ირგანის ზიდი. ამ ფადიშაპმა დაუნიშნა პირველად კეთილშობილ სეიდებს ულუფა.

### XXIII

მორად-ხან გიორის დროის ულიშეგი, ლვოისმოსავები, შიბიაზი

შეიხი ზექერიან პელვეთი: ფირი ელიასის მომღევნოა. შეიხის აკლდამის||ახლოს მდებარე სარაჯების მეჩეთის სიახლოვესაა დამარ- 45  
47

ხული. შეიხი აბდ არ-რაშმან ბერ ჰუსამ ედ-დინი: გუმუშშილუ-ზადეს სა-ხელით არის ცნობილი. ფირი ელიასის ქალიშვილის შვილია. წმინდა შეიხმა კოჯა მურად-ხანის სამ ვაკუთაგან ორს ხელზე აკოცა; უფლის-წულ მეშმედ-ხანს კი ფეხზე ეძმორა და წრფელი გულით რომ დალოცა, თქვა: „კონსტანტინეპოლის ციხე განახლე, შეაკეთე და გამები და ცოდნის სახლები ააგო“. ეს ორმ თქვა, ფათიშა წაიკითხა. ოცდა-ერთი წლის შემდეგ განახორციელა სულთან მეშმედმა — დაპყრობათა მამამ სტამბოლის დაპყრობა!. ეს ძვირფასი აღმიანი ფირი ელიასის საფლავის ახლოს, იაკუბ-ფაშას სავანეში განისვენებს.

შევლანა მეშმედ-ზაჲ იბნ მელაქან: ესეც დიდი პიროვნებაა.

## X XIV

### ოცდალი უფლისწულით ჭმიდა საფლავები

უფლისწული ალა ედ-დინ-ფაშა ოსმან-ყაზის ძე:. რევას ოთხ (1401—1402) წელს გარდაიცვალა. მამასთან ერთად ორხან-ყაზის გვერდით მარხია.

უფლისწული შაჲინშაჲი, ძე ბახაზეთ ველისა: ბრუსას განაგებდა.

უფლისწული მეშმედი, ძე უფლისწულ შაჲინშაჲისა: ბრუსაში მა-მამისთან ერთად იყო.

უფლისწული ბახაზეთ ველის ძე მეშმედი, მისი შვილები: უფ-ლისწული მუსა, უფლისწული ემირი, უფლისწული ორხანი, უფლის-წული ალემ-შაჲი და ალემ-შაჲის შვილი — უფლისწული ოსმანი.

უფლისწული ბახაზეთ ველის ძე აშმედ-ხანი და სულთან აშმედის ორი უფლისწული: ალა ედ-დინი და ალი-ხანი შავი ჭირით დაიხოცნენ. მათი ნეშტები ბრუსაში მოიტანეს და ორხან-ყაზისა და ოსმან-ყაზის შორის დაასაფლავეს.

უფლისწული ბახაზეთ ველის ძე კორკუდი: თავის ძმა სელიშ პირველს დიდი ბრძოლა გაუმართა, მაგრამ დამარცხდა, გაიქცა და თექეს ვილაიეთში შეაფარა თავი. იქ თავის ლალა ფიალასთან ერთად ერთ გამოქვაბულში დამალული იპოვეს. 909 (1503—1504) წელს მოპკლეს და ბრუსაში მურად მეორის [საფლავის] მხარეს ერთ მაღალ აკლდამაში დაასვენეს. შეშმარიტად ძლიერი უფლისწული ყოფილა.

უფლისწული მურად-ხან მეორის ძე ჰასანი სულთან მეშმედ ფა-ოიძის უმცროსი ძმა იყო დედით.

46 ॥უფლისწულები: კასიმი, ალი-შაჲი, გიჲან-შაჲი, ველი-ხანი, ბულ-ხანი, კუველანი [სულთან] კოჯა მურად-ხან მეორის აკლდამაში არიან დაასაფლავებული.

ჯემ-შაჰი, ჩელები სულეიმან-ბეგი, უფლისწული სულეიმან ჩელები, უფლისწული ისა ჩელები და ჩელები სულთან მუსტაფა<sup>3</sup> ბრუსაში არიან დასაფლავებულინ.

## XXV

პრუსის დიდი მმართველის საფლავების აღწერა

‘შეიხი ქედჭლუ ბაბა-სულთანი: ხესევის<sup>1</sup> დერვიშთა ძმობის წევრია, აზერბაიჯანის ერთი ქალაქის ჯერი ჰასანის საგვარეულოდან არის წარმოშობით. დიდ მოუბში, გარეულ ხარებზე ამხედრებული ორხან-ყაზისთან ერთად წავიდა სალაშქროდ და თავიანთი ბარგი-ბარხანა კი ჯეირნებს აპკიდეს. ბრუსას შიდა ციხეში ერთი დიდი ხე დარგო და ამ-ეუამად ცამდე ატყორცნილი. მისი სახელობის სავანე ორხან-ყაზის აშენებულია.

წმინდა შეიხი აბდ ალი-მუსა: ესეც ხესევის დერვიშთაგანია. ჰავი ბექთაშთან ერთად მოვიდა მცირე აზიაში და მრავალი სასწაული ჩაი-დინა. მაგალითად: ქეიქლი-ბაბას საჩუქრად გაუგზავნა ბამბაში განვეული ნაკვერჩხალი. მანაც საპასუხოდ რე გაუგზავნა, რაც ნიშნავდა, რომ თუმცა შენ ცეცხლი ბამბაში შეახვიე, მეც გარეული ჯეირნები და ვამორჩილე და მათი წმინდა რე დავლიეო. ბრუსას დაპყრობას და-ესწრო. კეთილმოწყობილ სავანეში ასვენია.

წმინდა შეიხი აბდ ალ-მურადი: ხორასნელი ღვთისკაცი იყო და ბრუსის დაპყრობას დაესწრო. მართალი და წმინდანად მიჩნეული ვინ-მე იყო და ბრუსის სამხრეთ მხარეს ქალაქის გვერდით მდებარე ხეივანში არის დასაფლავებული. მის აკლდამაში ერთი ხმალია, რომლის სიგრძე სამი წყრთაა. სულთან აპმედმა ამ ხმალს ერთი წყრთის ზომის ნაწილი მოაწევინა და თავის ხაზინაში გააგზავნინა.

საიდუმლო მზე, სიცოცხლის დამამშვენებელი ალ-მოლა შაშს ედ-დინ მექმედ ბენ ჰამზა ბენ მექმედ ალ-ფანარი: ილდირიმ-ხანის ულე-ბების თანაბარია. მეცნიერებათა სამოცდათ დარგში აქვს თხზულებები. მაგრამ შემდეგ დაბრმავდა. მისი დაბრმავების მიზეზის შესახებ შემდეგნაირად წერენ: ერთხელ ამ მოლა ფანარის ოსტატმა წმინდა ყარა ალა ედ-დინის წმინდა საფლავი გახსნა, ზეწარი||აბადა და მისი 47 წმინდა სხეული სავებით გაუხსრწნელი ნახა. საფლავიდან გაისმა: „დაიჯერე, რომ ალაჰმა დაგაბრმავა?“ ამ ხმასთან ერთად ამოვარდა ძლიერი ქარი და თვალები საფლავის მტვრით ამოუვსო. იგი მაშინვე დაბრმავდა. თურმე, მოლას არ სჭეროდა, რომ: „მიწა არ ჭამს ულემა-თა სხეულსო“. მრავალ წელს ყოფილა ბრმა. ერთხელ ორხან-ყაზის

ვეზირი ივაზ-ფაშა მოლაზე გაბრაზებულა და უთქვამს: „ნეტავ იმ დღეს მოვესწრო, რომ ბრძა შამს ედ-დინ მეჰმედის სიკვდილის ლოცვა შევასრულონ“. ივაზ-ფაშას ამ სიტყვებმა მაშინვე მიაღწიეს უსინათლო მოლას ყურამდე და მასაც უბრძანებია, რომ შურისმაძიებელ, პარადიულ ღმერთს ძალუძს, ერთ წამში ივაზ-ფაშა დააბრმავოს, მე, მწირს, თვალი ამიხილოს და მისი [სიკვდილის] ლოცვა მე, უძლურმა, შევასრულონ. ღვთის განგებით, მცირე ხნის შემდეგ [ვეზირს] უეცრად თვალები დაევსო და განგების ღამეს მოლა მზის ნათების ღირსი გახდა. ღამაზი თვალები ალაპის ბრძანებით აეხილა. მეორე დღეს ივაზ-ფაშას ცხედარს წესი აუგო როგორც იმამმა. საუცხოო განმარტებელი, სასწაულმოქმედი ულემაა. მოლა ანატოლიაში გარდაიცვალა 833 (1429—1430) წელს და ბრუსაში თავისი მედრესეს გვერდით დაასცენეს. ცოდნაგამოჩინებული, შინაგანად სრულყოფილი და დასრულებული იყო.

ცოდნის უნაპირო ზღვა, წმინდა შეიხი შამს ედ-დინ მეჰმედ ბენ ალი, ანუ სეიდ ემირ-სულთანი: ჰუსეინის ღირსეული შთამომავალია. ბუხარაში დაიბადა და გაიზარდა. პაჭის ვალდებულების შესასრულებლად ღირსპატივსაცემ მექაში წავიდა და იქიდან — გასწივოსნებულ მედინაში. წმინდა მოციქულის წინაპრების საფლავებს რომ მოილოცავდა, მეცინას კეთილშობილებმა, რომლებიც მუჭამედის შთამომავლები იყენენ, უთხრეს: „რა არის ეს, შენ რომ ხელში მაპმადის სავარეულოს სიქა გაქვსო?“ თავს დაესხნენ, შეუტაეს და მისი ფულით სავსე ტომარა არ მისცეს. წმინდა ემირ-სულთანმა კი უთხრა: „მოდით, ჩვენ წინაპარს ვეახლოთ და შარიათის მთხელით გაციწორდეთ; რომელი ჩვენთაგნია წმინდა წარმოშობისა, მან განსაკოსონ“. ყველა კეთილშობილი მოციქულის აკლდამაში წაიყვანა. აკლდამის ცახურს მიეკრა და თქვა: „მშვიდობა შენდა, წინაპარო“. წმინდა აკლდამიდან უმაღ გაისმა მისი კურთხეული ხმა: „შენზედაც იყოს მშვიდობა, პო, მეჰმედის ძევ ბენ ალი; ო. შვილო ჩემო, გაემართე საღამო უაშს ანატოლიაში კანდელით“. კეთილშობილები დაემხენენ ემირის ფეხის მტვერთან და ბოლიში მოიხადეს. მათი უმეტესობა მასთან ერთად ანატოლიაში გამოემართა. გზაში დაინახეს, რომ პაერში დაკიდებული კანდელი მათთან ერთად მოდის სადგურიდან სადგურამდე და უკუნეთ ღამეში ზემოდან სხივებს უფრქვევს. როდესაც ისინი ბრუსაში შევიდნენ, კანდელი ჩაქრავდა და თვალს მიეფარა. უფალმა ემირმა თავის მწირებს უთხრა: „პო, ძმებო, ჩვენი სიცოცხლის კანდელი ამ ქალაქში ჩაქრება. ჩვენი აღვილი ეს ქალაქი გახდება. ასეთია ჩვენი რჩეული წინაპრის მითითებაო“. ის კანდელი სამრ ღლე და ღამე ჩანდა ბრუსაში; წარჩინებულები და ბრუსას მცენოვებლები მას უმზერდნენ,

48 შევიდნენ, კანდელი ჩაქრავდა და თვალს მიეფარა. უფალმა ემირმა თავის მწირებს უთხრა: „პო, ძმებო, ჩვენი სიცოცხლის კანდელი ამ ქალაქში ჩაქრება. ჩვენი აღვილი ეს ქალაქი გახდება. ასეთია ჩვენი რჩეული წინაპრის მითითებაო“. ის კანდელი სამრ ღლე და ღამე ჩანდა ბრუსაში; წარჩინებულები და ბრუსას მცენოვებლები მას უმზერდნენ,

ემირის ფეხის მტვერს სახეს უსვამდნენ და მისი მიმღევრები გახდნენ. შემდეგ სულთან ილდირიმ ბადაზეთ-ხანი ქვეითად ეახლა ემირს და მისი მორჩილი გახდა. თავისი კეთალშობილი ქალწული უფალ ემირს მიათხოვა. მისი სახელი თანდათანობით მთელ ქვეყნიერებას მოედო და დიდი მეუფე გახდა; იმდენად, რომ, როდესაც სულთან ილდირიმ-ხანმა ულუ-ჯამე ააშენა, საპარასკევო ლოცვის შემდეგ ემირ-სულთანს მიმართა: „ხომ კარგი ჯამე იყო, ჩემო ხელმწიფევ?“ ასე ალერსით ეპყრობოდნენ.

ემირ-სულთანის კეთილმოლეაშეობა: უბედურებათა ბუღე თემური სპარსელთა ქვეყნიდან რომ გამოვიდა და პირდაპირ ბრუსისაკენ გამოეშურა, წმინდა ემირს მიმართეს: „მეუფევ, ბრუსის წინააღმდეგ მოღის მეამბოხე და როგორი იქნება მწირების ბედიო“. ემირ-დედემ თქვა: „ციხეების მპყრობელმა თავისი საქმე იცის. ესქიჯი კოჭასა და უფალს აქვს მინდობილი. მათ დაევალოთ მეთვალყურება და მათ იციან“. დასასრულ, მას შემდეგ, რაც ილდირიმ ბადაზეთ-ხანი საიჯიოს გადასახლდა, ემირ-სულთანმა წერილი დაწერა, ერთ-ერთ მწირ დერვიშს მისცა და უთხრა: „წაიღე ეს წერილი. თემურის ჯარში ერთი ვინმე კოჭა ესქიჯია, იმას ჩააბარე და გადაეცი, იმ სადგურიდან იმოქმედე-თქო“. დერვიშმა წერილი წაიღო და ესქიჯი კოჭას რომ ჩააბარა, წმინდა უფალმა ესქიჯიმ თქვა: „ასე გვიბრძანა? რას იზამ, ამ აღვილიდან ავიყაროთო“; თავსამაული გაიკეთა, სხვა საჭურველი მოაგროვა და იქიდან წამოვიდნენ. იმ წუთას თემურის ურდოში მღელვარება დაიწყო; კარვები არ დარჩენილა, ისე გუნდ-გუნდად წავიდა მთელი ჯარი. თურმე ის ესქიჯი პოლუსთა პოლუსი ყოფილა წმინდანებში. ემირს ამის მსგავსი სხვა მრავალი დამსახურება აქვს. ეს აღწერილია ერთ დიდ ტომში, რომელსაც ეწოდება „ემირ-სულთანის დამსახურებათა წიგნი“. ემირ-სულთანის სიკვდილის თარიღია: „დაღგა თარიღი ემირის გარდაცვალებისა“ [რაც ნიშნავს] 833 (1429—1430) წელს. ქალაქ ბრუსის გარეთ, ომოსავლეთ მხარეს, მაღალ, გაშლილ აღგილას არის დამარხული ერთ დიდ აკლდამაში. მისი მაღალი კარის საგდულები მთლიანად შემკულია ვერცხლის ფულებითა და ვერცხლის რგოლებით. მისი დაბალი აკლდამაც კერცხლის სახურავიანია. ბედნი-ერებამოსილ აკლდამაში ამ კარიდან ჩასვლა შეიძლება ექვსსაფეხურიანი ქვის კიბით. კარ-ეკლდების შეგნითა და გარეთა მხარეები მთლიანად სამაგალითო ქამელეონისებური ნახატებით შეძეული ჩინური შორენ-კეცია. მისი ოთხი სარქმელი დასავლეთისაკენ და ბრუსის ველისაკენ იცქირება და თუგისაგანაა გაკეთებული. ოთხი ფარგარაც სამხრეთისაკენ და წმინდა ჯამესაკენ იცქირება. ამ აკლდამაში დაკიდებული, თვალ-მარგალიტით მოკვეილი ნივთები მხოლოდ წმინდა სამოთხეში თუ

მოიპოვება. არც ერთ სხვა აკლდამაში არ არის აბრეშუმის ისეთი ხალიჩები, როგორიც აქაა. წმინდა საფლავის გარშემო ასობით ოქროსა და ვერცხლის ისეთი ჩირალი და კნდელია, რომ თითოეული მათგანი ორმოცი-ორმოცდათი ოყა გამოვა. მისი წმინდა საფლავის ქვის გვერდებზე წმინდა სიტყვებია დაწერილი ისეთი განთქმული კალიგრაფების მიერ, როგორიც არიან ჩაკუთ მუსთესიმი, შეიხი ბიქრი, აბდ ალლაჰ ყირიმელი, ხალიდი, თიმურჯი კულუ, ზაჰაბი, იბნ აშ-შეიხ დედე მეჰმედი და ყარაპისარელი ჰასან ჩელები<sup>2</sup>. ყოველი მათგანი აფრასიაბის „ვახმე“-დ(?) ღირს<sup>3</sup>. წმინდა საფლავის ქვას გადაფარებული აქვა ოქროქსოვილი აბრეშუმი. იმ ადგილს, სადაც მისი ბედნიერი თავი ასვენია, მწვნე, ლამაზი ჩალმა დევს და ისეთი დიდებულება, მრაიხანება სუფევს; აკლდამაში შესული ადამიანი ხმელი ფთოთოლივით ცახცახებს. ზოგიერთები მოკრძალების გამო შიგ არ შედიან. თავის მხარეს ჩაულიან ხოლმე ფათისა კითხვით. აკლდამის სამხრეთით ლამაზი, განათებული ჯამე დგას. მისი წმინდა ადგილის გარშემო მწირების სენაკებია. ერთი საქველმოქმედო ნაგებობაა საჭმლის დასარიგებლად. დღედალმუხვია მისი წყალობა საზოგადოებისათვის.

მისი მოლვაწეობის კიდევ ერთი ამბავი: სულთანმა სელიმ პირველმა, ენიშეპირიდან რომ მოდიოდა, ბრუსაში თავისი წინაპრების საფლავები მოილოცა. შემდეგ წმინდა ემირის ბედნიერებამოსილ აკლდამასთან მივიღა და მის წმინდა სულ შემწეობას რომ ევედრებოდა, უფალი ემირის საფლავიდან გაისმა მადლიანი ხმა: „პო, სელიმ! შედი ეგვიპტეში, თუ მოწყალე ღმერთის ნება იქნება!“ იქ დამსწრებება გაიგონეს ეს და სელიმს უთხრეს: „სასიხარულო ამბავია, ფალიშაპო! შენ ეგვიპტის დაპყრობა მოგენდოო“. ქემალ-ფაშა ზადე აპმედეფენდიმ ამ შემთხვევას ფათისა მიუძღვნა. მართლაც, სულთანი სელიმი ეგვიპტეში წავიდა, დაიპყრო იგი და უვნებლად და მშვიდობით შევიდა ქალაქში<sup>4</sup>. აი ამდენად დიდი მეუფეა.

ალაძის საიდუმლოებათა განმმარტებელი, უსასრულო სინათლეთა მხილველი შეიხი აბდ არ-ჩამან ბენ ალი ბენ აშმედ ალ-ბასტაში: განმარტებათა, მუსლიმურ გადმოცემათა და მუსლიმური სამართლის უბადლო კანონმცოდნე ფაკიძი იყო. ||ლექსთწყობის მეცნიერებაშიც ისეთი მშევრმეტყველი იყო, რომ მსგავსი არ მოიპოვება. ბრუსის მოსახლეობისათვის შემდეგი ლექსით მიუმართავს:

„გლაბარ, ყარიბი მოვიდა ანატოლიას წმინდა ადგილების მოსალოცად; იწოდებოდა ბრუსაში მცხოვრებ აბდ არ-ჩამანად“.

შიგ ქალაქ ბრუსაშია დასაფლავებული.

შეიხი აბდ ულ-ლატიფ მუჟადასი იბნ აბდ არ-რაჰიმან ბენ ალი ბენ განიმ ულ-ანსარი: ეს პირი კონიაში რომ ჩავიდა და საღრ/ ედ-დინ კონიელის წმინდა საფლავი მოინახულა, მის პინათლოც საესე აკლდამა-ში ალი გამოჩნდა. შეიხი კალთით გასწია და სარკოფაგთან ვკერდით მოისვა. იმწამსვე გაისმა კეთილი ხმა ყურანის „დასინის“ თავის კითხვისა. ხსენებულმა წმინდანმა შეიხმა მაშინვე მაღალი ხმით წმინდა „დასინის“ ლოცვის ღალადი დაიწყო. სასწაულთმოქმედი და გამომცხადებელი დიდი პიროვნებაა. კონიდან 856 (1452) წელს მოვიდა ბრუსაში და ააგო ზექნილერის სავანე. თვითონაც იქ არის ღამარხული. სულთან ჩელები მეპმედ-ხანის ღროს მასზე დიდი მეუფე სხვა არავინ იყო.

ამჯვეუნიერობას განდგომილი, ღვთის მონა მევლანა მეპმედ ბენ მოლა დეგანი: სულთან მურად მეორის ულემა იყო და ზეინილერშია ღასაფლავებული.

მევლანა დუსუფ ბალი ბენ დეგანი: მას აქვს მნიშვნელოვანი განმარტებანი წიგნისა, რომელსაც ეწოდება „თელვიპი“. ბრუსაშია ღასაფლავებული. საუცხოო და გასაოცარი ცოდნის, ზღვა აზრების მქონე მეცნიერი იყო.

მევლანა სეიდ აპმედ ბენ აბდ ალ-ლაჰ კარიმი: ამ პიროვნებას აქვს ერთი განმარტება, რომელიც „თელვიპი“ შეეხება. იგი მასწავლებელი იყო სულთან მურად მეორის მედრესეში, რომელიც მერზიფონშია. ბრუსაში არის ღასაფლავებული.

მევლანა ას-სეიდ ელიას ბენ იბრაჰიმი: სინოპელია. ეს პირი იმდენად კალამსწრაფი ყოფილა, რომ ერთ დღეში ოფიდან ბოლომდე დაუწერია წიგნი „მცირე კადური“. მას აქვს ერთი მშვენიერი განმარტება წმინდა ღილი იმამის მნიშვნელოვანი თხზულებისა, რომელსაც ეწოდება „დიდი კანონთმცოდნეობა“. ბრუსაში განისვენებს ზეინილერის გვერდით.

შეიხი აკბიიქ-სულთანი: ბაირამის დერვიშთა მმობის წევრია. სულთან მურად-ხან მეორის ღროს [მათი] წინამძღვარი იყო და ათასობით მიმდევარი ჰყავდა. ბოლოს, ალაპის სიყვარულით გარდაიცვალა და ბრუსაში დამარხეს.

|| შეიხი უზუნ მუსლიმ ედ-დინი: ბაյირ ქურედ წოდებული ადგი- 51 ლიდანაა. ბრუსაში წმინდა შეიხ თაჯ ედ-დინის სინათლით საესე აკლდამაში ძველ ჭილოფზე ორმოცი დღე ღალადებდა ყურანის „დასინის“ თავს. მეორმოც დღის ღასასრულს იმ კურთხეულ საფლავზე მიწვა და სული განუტევა. მისი ნეშტი განბანეს და წმინდა თაჯ ედ-დინის მახლობლად რომ უნდა დაემარხათ, მთელმა ჯამაათთა ღაინახა თაჯ ედ-

დინის საფლავიდან როგორ გამოჩნდა თეთრი ხელი [ნიშნავ იმისა], რომ წმინდა მუსლიკ ელ-დინისათვის იქვე მოეწყოთ საფლავი.

მევლანა მეჰმედ-შავ ბენ ალი ბენ მუსუფი: ფენარინთა საგვარეულოს წევრია. სულთან მეჰმედ-ფათიძის ღროს დაბადებულია. ზემც-ლერის აქლოს მარხია.

სულიერი სამყაროს პოლუსი, დვოიური სიბრძნის საბადო, წმინდა მოლა ფენარი: — ღმერთის წყალობა იყოს მასზე — მურად-ხან მეორისა და მეჰმედ-ფათიძის ღროს დიდი, უბადლო მეცნიერი ხოჯა იყო. მისი თხზულებანი ცოდნის ყველა დარგში უსაზღვრო და უსარულოა. მისი სიკვდილის თარიღია „სამოთხის ბალი“ [რაც ნიშნავს] 834 (1430—1431) წელს.

ერთმერთობისათვის შეწირული, დიდებაში ჩაფლული წმინდა აბდ ალ-მეჰმედი: შარა გზაზე მისი ლამაზი აკლდამაა. გამვლელ-გამომელთათვის მყუდრო სავანეა სალოცავად და დასასვენებლად.

შეიხი-სულთან რამაზან-ბაბა: მდელოებიან და პაეროვან ადგილზეა დასაფლავებული. თავშიშველი და ფესშიშველი, ალაპისაღმი მინდობილი დერვიშები ჰყავს.

წმინდა შეიხი ჯენუნ-ეფენდი: რადგანაც მევლევიელთა ძმობის შეიხი იყო, ამიტომ სავანის ეზოში მარხია.

სულიერი სამყაროს პოლუსი, დვოიური სიბრძნის საბადო შეიხი აბუ-ისპაკ ქაზუნი: მისი წმინდა სახელია იბრაჰიმი და მეტსახელი —

აბუ ისპაკი. მისი დედა სომეხთა მეფის ასული შეპრიაზ-ხათუნი იყო. 352 (963) წლის რამაზანის ორშაბათ ღამეს დაბადებულმა ამ დიდმა პიროვნებამ სახელი მოიხცეუა და როცა გარდაიცვალა; კუთბ ალ-ექთაბის წოდება ჰქონდა. იგა დასაფლავებულია აზრუმში, ერთ ციხეში, თავრიზის კარის შიგნითა მხარეს. ვარის ციხეში ჩაკეტილი, იძულებით

52 წამოსული და წამებული || მურთაზა-ფაშა აბუ ისპაკთა ერთად განისვენებს აკლდამაში. იმ დიდებაცთა აკლდამას, რომელიც ჩვენ მოვინა-ხულეთ და ვილოცეთ, ერთი თეთრწვერა, მოხუცებული, ღვთისმოსავი მცველი ჰყავს.

ბრუსაში რომ არის სალოცავა ადგილი, იგი აბუ ისპაკ ქაზუნის აქ ყოფნის აღსანიშნავადა და სულთან ილდირიმ ბადაზეთ-ხანის მიერ არის აშენებული. მეაქლემეთა სასაფლაოს, პირდაპირ დერვიშთა ერთი სავანეა. სეფერ-ბაზარის წმინდანის სალოცავი აღგილი და მის ახლოს დაუდ-ბაბას სალოცავი ადგილი იესევის დერვიშთა ძმობისა არის გამვლელ-გამომვლელი დერვიშების სასტუმროა.

ზუსტი და უცველი, განდეგილი და შეუნიშნავი, წმინდა ჩექირგ-სულთანის სალოცავი ადგილი: ტველი თბილი წყაროს უბანში, ყაზი ხონთქაზ მურად-ხანის აკლდამის წინ ცალკე აკლდამაა.

შედი-სულთანის სალოცავი ადგილი: ემირ-სულთანის ახლოსაა.  
აბდალლაპ-ეფენდი: მთხზელი, მწერალი, მეცნიერების ზღვაა.  
შეიხი ემირ ალი-ეფენდი: ჰელვეთის სექტის წევრი და კეთილ-  
საქმეებში ჩატლული, ალაპის ნამდვილი მინცობილი იყო.

სულთან კარაჯა მეჭდ ედ-დინის სალოცავი ადგილი, კარანფელლი-  
დედეს სალოცავი ადგილი: ბრუსის დასავლეთ მხარეს, ჰასან-ფაშას კა-  
რის გარეთ კარანფელლის სავანეში განისვენებენ. სუნბულლუ-ღედე  
თათართა კართანაა.

შეიხი ალი შესთი: თათართა კარის შიგნითა მხარეს მდებარე სა-  
ვანეში განისვენებს.

წმინდა შეიხი ფაზლ ულ-ლაპი: ღვთის დიდი წმინდანია და მეუფე-  
წმინდა მევლანა კარებ ჭაბარი: მთის ძირას, ჭამეს ეზოშია დასაფ-  
ლავებული.

შეიხი ზეინ ედ-დინ პაფი: ფრიად დიდი მეუფეა. თხზულებები  
აქვს სუფიობის დარგში. მოლა აშგი-ზადე: ცოდნის ზღვაა. ჰუსამ ედ-  
დინ ჩელები: ცხადისა და ფარულის სრულმყოფელი, დიდსულოვანი  
პიროვნება ყოფილა. ხალის დედე, შეიხი სეიდი ალი ბალი: დიდი მეუ-  
ფენი არიან ნაქშის სექტისა. ღოღურდლუ-ბაბა: ხორასნელი წმინდან-  
თაგანია. ჰიალი-ეფენდი: „ჰიალი“ წოდებული ღიღებული თხზულე-  
ბის შემთხვევლია. მის ახლოსაა შეიხი ალი ედ-დინ-ეფენდი, სარწმუ-  
ნოების ზღვაში მყვინთავი. უეჭველობის ზღვაში ჩაძირული წმინდა  
თაგ ედ-დინი, წმინდა ზეინ ედ-დინი, რომელსაც მრავალი თხზულება  
აქვს. ღვთიური სიბრძნის საბაზო, ||| სიიდუმლობის მზე, წმინდა შეიხი 53  
ყარამანიელი; წმინდა შეიხი აბდ ალ-ლატიფ-ეფენდი; პაჭი პალიფა  
ბაირამის სექტის წევრი და მეუფე იყო. შეიხი აბდ ალ-აზიზ-ეფენდი,  
წმინდა შეიხი სეფი ედ-დინი. მუალემ ზადე მეშმედ ბენ მუსლიმ ედ-  
დინ რუმით: — ღრმად მცოდნე, მეცნიერების ზღვაში მყვინთავი უფა-  
ლი ყოფილა. ღირსშესანიშნავი თხზულებები აქვს. მისი სიკვდილის  
თარიღი, რომელსაც ჰიალი ამბობს: „მისი ადგილსამყოფელი იყოს უმა-  
ღლესი სამოთხის ბალი“ [რაც ნიშავს] 980 (1572—1573) წელს.

წმინდა შეიხი სეიდი ალი: შემოქმედი და მეცნიერია. მექიდანაა.  
მევლანა ჰასან ჩელები: განმმარტებელი და ჰადისების მცოდნე დიდი  
ულემაა. საპატიო ადგილის მფლობელი იმამი, მამაცი ალის მსგავსი  
მოლა, წმინდა მევლანა ხოსროვ ბენ ხიდირი: „მარგალიტებისა“ და  
„ჩუქურთმების“ მფლობელი მეუფე ულემაა. ესეც ზეინ ედ-დინ პაფის  
გვერდითა დასავლავებული. იქ ერთი პატარა სენაკია; მეტისმეტად  
პირქში სამლოცველო სახლია, საღაც მევლანა ხოსროვმა თავისი  
„მარგალიტები“ და „ჩუქურთმები“ შეთხა. მე, მწირი, მოკრძალე-  
ბით შევეღი იმ სენაქში, მთლიანად წავიკითხე ყურანი და მევლანა

დინის საფლავიდან როგორ გამოჩენდა თეთრი ხელი [ნიშნად იმისა], რომ წმინდა მუსლიკ ელ-დინისათვის იქვე მოეწყოთ საფლავი.

მევლანა მეჰმედ-შავ ბენ ალი ბენ მუსუფი: ფენარიანთა საგვარეულოს წევრია. სულთან მეჰმედ-ფათიჰის ღროს დაბადებულა. ზემინ-ლერის ახლოს მარხია.

სულიერი სამყაროს პოლუსი, დვოიური სიბრძნის საბადო, წმინდა მოლა ფენარი: --- ღმერთის წყალობა იყოს მასზე — მურად-ხან მეორისა და მეჰმედ-ფათიჰის ღროს დიდი, უბადლო მეცნიერი ხოგა იყო. მისი თხზულებანი ცოდნის ყველა დარგში უსაზღვრო და უსასრულოა. მისი სიკედილის თარიღია „სამოთხის ბალი“ [რაც ნიშნავს] 834 (1430—1431) წელს.

ერთდმერთობისათვის შეწირული, დიდებაში ჩაფლული წმინდა აბდ ალ-მეჰმედი: შარა გზაზე მისი ლამაზი აკლდამაა. გამვლელ-გამომგლელთატვის მყუდრო სავანეა სალოცავად და დასასენებლად.

შეიხი-სულთან რამაზან-ბაბა: მდელოებიან ზა ჰაეროვან ადგილზეა დასაფლავებული. თავშიშველი და ფეხშიშველი, ალაპისაღმი მინდობილი დერვიშები ჰყავს.

წმინდა შეიხი ჯენუნ-ეცენდი: რადგანაც მევლევიელთა ძმობის შეიხი იყო, ამიტომ სავანის ეზოში მარხია.

სულიერი სამყაროს პოლუსი, დვოიური სიბრძნის საბადო შეიხი აბუ-ისპაკ ქაზუნი: მისი წმინდა სახელია იბრაჰიმი და მეტსახელი — აბუ ისპაკი. მისი დედა სომეხთა მეფის ასული შეპრიარ-ხათუნი იყო. 352 (963) წლის რამაზანის ორშაბათ ღამეს დაბადებულმა ამ დიდმა პიროვნებამ სახელი მოიხცესა და როცა გარდაიცვალა; კუთბ ალ-ეკთაბის წოდება ჰქონდა. იგა დასაფლავებულია არზრუმში, ერთ ციხეში, თავრიზის კარის შიგნითა მხარეს. ვანის ციხეში ჩაკეტილი, იძულებით 52 წამოსული და წმებული [მურთაზა-ფაშა აბუ ისპაკთან ერთად განისვენებს აკლდამაში. იმ დიდკაცთა აკლდამას, რომელიც ჩვენ მოვინა-სულეთ და ვილოცეთ, ერთი თეთრწვერა, მოხუცებული, ღვთისმოსავი მცველი ჰყავს.]

ბრუსაში რომ არის სალოცავი ადგილი, იგი აბუ ისპაკ ქაზუნის აქ ყოფნის აღსანიშნავადა და სულთან ილდირიმ ბაჟაზეთ-ხანის მიერ არის აშენებული. მეაქლემეთა სასაფლაოს პირდაპირ დერვიშთა ერთი სავანეა. სეფერ-ბაზარის წმინდანის სალოცავი ადგილი და მის ახლოს დაუდ-ბაბას სალოცავი ადგილი იესევის დერვიშთა ძმობისა არის გამვლელ-გამომგლელი დერვიშების სასტუმროა.

ზუსტი და შევველი, განდეგილი და შეუნიშნავი, წმინდა ჩექირგუ-სულთანის სალოცავი ადგილი: გველი თბილი წყაროს უბანში, ყაზი ხონთქარ მურად-ხანის აკლდამის წინ ცალკე აკლდამა.

შადი-სულთანის სალოცავი ადგილი: ემირ-სულთანის ახლოსაა. აბდალლაჰ-ეფენდი: მთხველი, მწერალი, მეცნიერების ზღვაა.

შეიხი ემირ ალ-ეფენდი: ჰელვეთის სექტის წევრი და კეთილ-საქმეებში ჩაფლული, ალაპის ნამდვილი მინდობილი იყო.

სულთან კარაჯა მეჭდ ედ-დინის სალოცავი ადგილი, კარანფელლი-დედეს სალოცავი ადგილი: ბრუსის დასავლეთ მხარეს, ჰასან-ფაშას კარის გარეთ კარანფელლის სავანეში განისვენებენ. სუნბულლუ-დედე თათართა კართანა.

შეიხი ალი მესთი: თათართა კარის შიგნითა მხარეს მდებარე სავანეში განისვენებს.

წმინდა შეიხი ფაზლ ულ-ლაპი: ღვთის დიდი წმინდანია და მეუფე.

წმინდა შევლანა არებ ჭაბარი: მთის ძირას, ჯამეს ეზოშია დასაფლავებული.

შეიხი ზეინ ედ-დინ ჰაფი: ფრიად დიდი მეუფეა. თხზულებები აქვს სუფიობის დარგში. მოლა აშგი-ზადე: ცოდნის ზღვაა. ჰუსამ ედ-დინ ჩელები: ცხადისა და ფარულის სრულმყოფელი, დიდსულოვანი პიროვნება ყოფილა. ხალის დედე, შეიხი სეიდი ალ ბალი: დიდი მეუფენი არიან ნაკშის სექტისა. ალდურდულუ-ბაბა: ხორასნელი წმინდანთაგანი. ჰიალი-ეფენდი: „ჰიალი“ წოდებული დიდებული თხზულების შემთხველია. მის ახლოსაა შეიხი ალი ედ-დინ-ეფენდი, სარწმუნოების ზღვაში მყვინთავი. უეპველობის ზღვაში ჩაძირული წმინდა თავ ედ-დინი, წმინდა ზეინ ედ-დინი, რომელსაც მრავალი თხზულება აქვს. ღვთიური სიბრძნის საბადო, ||საიდუმლოების მზე, წმინდა შეიხი 53 ყარამნიელი; წმინდა შეიხი აბდ ალ-ლატიფ-ეფენდი; ჰაჯი ჰალიფა ბაირამის სექტის წევრი და მეუფე იყო. შეიხი აბდ ალ-აზიზ-ეფენდი, წმინდა შეიხი სეფი ედ-დინი. მუალემ ზადე მექმედ ბენ მუსლიმ ედ-დინ რუზი: — ღრმად მცოდნე, მეცნიერების ზღვაში მყვინთავი უფალი ყოფილა. ღირსშესანიშვანი თხზულებები აქვს. მისი სიკვდილის თარიღი, რომელსაც ჰიალი ამბობს: „მისი ადგილსამყოფელი იყოს უმაღლესი სამოთხის ბალი“ [რაც ნიშნავს] 980 (1572—1573) წელს.

წმინდა შეიხი სეიდი ალი: შემოქმედი და მეცნიერია. მექიდანაა. შევლანა ჰასან ჩელები: განმმარტებელი და ჰადისების მცოდნე დიდი ულემაა. საპატიო აღვილის მფლობელი იმამი, მამაცი ალის მსგავსი მოლა, წმინდა შევლანა ხოსროვ ბენ ხიდირი: „მარგალიტებისა“ და „ჩუქურთმების“ მფლობელი მეუფე ულემაა. ესეც ზეინ ედ-დინ ჰაფის გვერდითაა დასაფლავებული. იქ ერთი პატარა სენაკია; მეტისმეტად პირქში სამლოცველო სახლია, სადაც მევლანა ხოსროვმა თავისი „მარგალიტები“ და „ჩუქურთმები“ შეთხა. მე, მწირი, მოკრძალებით შევედი იმ სენაკში, მთლიანად წავიკითხე ყურანი და მევლანა

ხოსროვის სულს მიცუძღვენი. შეიხი აბდ ალ-ლატიფ მაკდისნ სულთან ილდირიმ-ხანის იმამი იყო. წმინდა შაჰ-ეფენდი განმარტებელი, პადისების მცოდნე, მწერალი კაცია. სარმასაკეჭი-ზადე სულეიმან-ეფენდის ესქი კაფლიჯას ახლოს ცალკე და სინათლით სავსე აკლდამა აქვს. ოსმალთა სამფლობელში და სხვა ქვეყნებში სიმღერით რომ ლოცულობენ წმინდა მევლუდის ლექსს, სწორედ ამ სულეიმან-ეფენდიშ შეთხზა, რომელიც, ჭეშმარიტად, აღვილად გასაგები და შეუდარებელი ლექსია. სულთან ილდირიმ-ხანის ჭამეს ახლოს, იმ ადგილას, რომელსაც მუმიების საფლავი ეწოდება, დიდ გამოქვაბულში მრავალი ასი წლის წინათ მიცვალებულები გამმარან და გაუხრწელები წვანან დაუმარხსავად. მოლა სეიდი ალი ბრუსას ველზე არის დასაფლავებული. მოლა ბალდადნ-ზადე ჰასან ჩელები ზენ მუსუფ ალ-ბალდადი. მისი მტრედივით სული ტანის გალიიდან გაფრინდა და ბრუსაში, ზემნილერიში გაიკეთა ბუდე. ის ადგილი ებლაც ხალხის სალოცავია. მოლა ჟუსამ ედ-დინ ჟუსეინ ბენ მეჰმედ ბენ ჟუსამ ედ-დინი — „ყარა ჩელები ზადეს“ სახელითაა ცნობილი. ემირ-სულთანის ჭამეს წინაა დასაფლავებული. ფრიად პატიცემული მოღვაწე, ბრწყინვალე პოლუსი, მარტოობაში განდეგილი, ეპოქის ბრძენი შეიხი მეჰმედ უფთადა-ეფენდი სკუტარელი მაჰმუდ-ეფენდის მოძღვარია. ესენი||ჰალვეთის დერვიშთა ძმობის წევრები არიან. მაგრამ მაჰმუდ-ეფენდი ჰალვეთიების საწყისია. უფთადე-ეფენდი ბრუსელია. ბრუსაშივე, შიდა ციხეში რომ ჭამებია. იმათ დიდებულ სავანეში არის დასაფლავებული. მისი გარდაცვალების თარიღი:

„დაეცა წვეთი „ბან“-იან თარიღი  
გარდაიცვალა უფთადე-ბრუსას პოლუსი“.

დიდებული კეთილშობილებისა და მაღალი თანამდებობის კაცი იყო. მოლა ქემალ ედ-დინ აშ-შეპირ ბაკრა-დედე: ამასისი ახლოს მდებარე დაბა სუნდადან არის. ჯერ სამოცი წელი დაბალობდა. სეულს იგვეძა, სულს ილბობდა და საქმეს სრულყოფდა<sup>7</sup>. მაგრამ, რაღაც ცოდნა არა ჰერნდა, შემდეგ ხანებში ბრუსის მუფთიმ, რომელიც სწორი გზის მაჩვენებლად აღმოუჩნდა, „ხათიბ კასიმ ზადედან“ დაწყებინა კიოხვა და ერთ წელიწადში ყურანის კიოხვა დამთავრა. შეიდ წელიწადში კი მეცნიერება გასრულა და მუდარისი გახდა ბრუსას მურადიეს მედრესეში. კიდევ მრავალ წელს იცოცხლა და ბევრი მაღალი თანამდებობა ეკავა. მრავალი ტომი სასაჩვენებლო და მნიშვნელოვანი თხზულებები აქვს. „დედე ჯუნექ“-ად წილებული დიდი თხზულებაც ამისი დაწერილია. ბრუსაში გამოესალმა წუთისოფელს. ემირ-სულთანის მახლობლად მარხია. მისი გარდაცვალების თარიღია: „სამოთხის

ვარდნარი იყო მისი თავშესაფარი“ [რაც ნიშნავს] 974 (1566—1567)-წელს.

მოლა· შეიხ ულ-ისლამი აზიზ-ეფენდი: მუფთი რომ იყო, გადაყენებულ იქნა და ბრუსაში გადასახლებული. რომ გარდაიცვალა, მეაჭლემების სასაფლაოს მახლობლად, საერთო გზის პირას დაასაფლავეს. მოლა ალი ბენ სალიმშა<sup>8</sup> სახელი გაითქვა [თხზულებით], რომელსაც „ვასიყი ალი“ ეწოდება. დაწერა, აგრეთვე „ჰუმაფუნ-ნამე“. კიდევ მრავალი თხზულება აქვს და ყოველი მათგანი მეფურ საუნჯეს წარმოადგენს.

შეიხი ნურ ულ-ლაშ ბენ შეიხ პაზრეთ აკ შამს ედ-დინი: მამასთან უთანმოება მოუვიდა და ცოდნისა და განათლების მისაღებად ბრუსაში ჩამოვიდა. საკალმე ლერწამს რომ თლიდა, კალმის სათლები დანა მუცელში იტაკა და ამ მიზეზით სულის ჩიტი ამოთხის ქვეყანაში გაუფრინდა. მისი საფლავი ზეანილერის მახლობლადაა.

მოლა აბდ ალ-განი ბენ ემირ-შაჰი: ბოლუდან არის. სტამბოლის ყადიდ გახდომის თარიღია: „ნათელი შარიათის ხალიჩის „განმგებელი“<sup>9</sup>. [გარდაცვალების თარიღი: „საუკუნ სამოთხეშია მისი სასუფელი“. ესეც ზეანილერის მახლობლად მარხია.]

ბრუსაში კიდევ მრავალი ღვთის წმინდანის საფლავი მოვილოცეთ, მაგრამ, რადგანაც მათი სახელები ჩემთვის ცნობილი არაა. ვერ დავწერე. წმინდა სულები ალექსანდრე, რომელთა სავანეებშიც ჩვენ პატიოსანი „დასინი“ წავიკითხეთ, შემწეობა გამოვითხოვეთ და რომლებიც აქ შევიცანით.

ამ ჩემი წიგნის მეითხველებთანაც ერთი თხოვნა მაქვს: ალაპის ამ წმინდანებისა და კერძოდ ჩემი, მწირის, სულისათვის აქვე თითო ფათიშა წაიკითხონ!

ათას ორმოცდაათი წლის საფარის თვის მეექვსე დღეს (1640 წ. 28 მაისი) ჩვენს კეთილისმყოფელ მფარველებს გამოვეთხოვეთ. მრავალი მათგზი კი ჩვენი სიყვარულით ცხენებზე შეჯდა; ჩვენთან ერთად იმგზავრეს და ჩემს მეგობარ ოქჩუ-ზალე აპმელ-ალასთან ერთად ნილუფერის ხიდამდე მოვედით. აქ გამოვეთხოვეთ გამცილებულებს და 4 საათში ისევ მოვედით დაბა მუდანიაში. იქ ჩვენი ცხენები ბრუსას წარჩინებულების მსახურებს ჩავაბარეთ და მსუბუქად ჩავსხდით ხომალდში. ხელსაყრელ ამინდში გზას გვუდექით. ზოგის ტალღებს ჩავუვარდით ხელში, ლელვაში აღმა-დაღმა ვეხეთქეთ და სიცოცხლე-მობეზრებულები ბოზბურუნის ნავსაღგურში მივედით.

დალ-დერუნის სადგურის, შეუბრალებელი ნავსადგურის — ბოზბურუნის აღწერა: ძველ დროს კეთილმოწყობილი ნავმისადგომიანი ნაესადგური ყოფილი. რადგანაც იგი შეუბრალებელი მორევის აღვი-

ლას მდებარეობს, აქ მოსული მეხომალდები უსათუოდ მოხვდებიან ხოლმე მწუხარების მორევში და ხუთი-ათი დღე ან ერთი-ორი თვე დგანან. ამგვარად, აქ დიდხანს ლოდინში გაძეზრებული მეზღვაურებისა და ვაჭრების წყევლა-კრულვა მას კვალს ამჩნევს, — აქაურობა დანგრეულია და ეხლაც ინგრევა. ნავსადგურის თავში ერთი ფუნდუკი, რამდენიმე ლამისგასათვეო, მცირე ჯამე, რამდენიმე ბაყალის ღუქანი, მეპურისა და ბოზას გამყიდველთა დუქნები არის. სხვა შენობის კვალი არაა, მაგრამ მის გარშემო ბევრია ბალ-ვენახი. ნავსადგურის თავში მდგარი ჯამეს კარ-კედლებზე ერთი ასოს. დასაწერი ადგილი არ არის დარჩენილი აქ მოხვედრილი სტუმრების მიერ დაწერილი ჩიიელის გამო. საამ გემი ამ მორევში არ მოხვდება, ხსნა არ არის. ვისაც უნდა ნახოს სხვადასხვა ენაზე შესრულებული ნაირ-ნაირი წარწერა, ბოზ-ბურუნში უნდა მოვიდეს და მისი კედლები დაათვალიეროს.

„გაგვიშვი ხელიდან, ბოზბურუნ,  
კვნესის ხელიდან, ბოზბურუნ;  
შენ ცდასა და ლოდინში  
არ შევარჩა პირი და ცხვირი“<sup>10</sup>.

.56 ॥ტააპი: „პირი, მტანჯველო ბოზბურუნ, შენი მწუხარების ხელიდან, ვაი, გაგვიშვი“. ამისი მსგავსი მრავალი ბეითი და დარიგება არის ისეთი, რომ მათი წამკითხველი კი არ გაიცინებენ, გაოცდებან. მე, მწირმაც, ორი დღე ამ ყოფაში ვიცადე. ბოლოს შშვენიერი და ერთგული თხუთმეტი კაცი ერთ ადგილას შეეგროვდით, ჩვენ-ჩვენი ნივთი და იარაღი შევკარით, ავიკიდეთ და ხმელეთის გზას დავადექით, სამი ათასამდე ნაბიჭი რომ გავიარეთ, არმუდლუს ნაჰიეს მივაღწიეთ.

**დაბა არმუდლუ:** ნაჰიე. ნაიბი აქ ზის. მისი სუბაში ბრუსის ბეგის [მიერაა დანიშნული]. ეს დაბა კეთილმოწყობილა. ვაკე ველზე მდებარე ბალ-ვენახიანია, რომელიც ყოველის მხრიდან დამშვენებულია მსხლის ბალებით. ამიტომ უწოდებენ არმუდლუს. სამასამდე კეთილნაშენი სახლი აქვს და ყველა კრამიტითა გადახურული. ერთი ჯამე, ერთი აბანო, სამი მეჩეთი ერთი ფუნდუკი და ათამდე ღუქანი აქვს. მისი პავა ფრიად მშვენიერია. ერთი ღამე იქ გავათვეთ. დილაადრიან მეზღვაურებმა დაგვიძახეს, საჩქაროდ მივედით ნაპირთან და ხომალდში ჩავსხედით. დიდება ღმერთს, დასავლეთის ქარით ადვილად გავთავისუფლდით ბოზბურუნის მორევისაგან, აფრები გავშალეთ და კათირლის მთის ძირიდან [დაწყებული] ბაბა ბურუნიდ წოდებულ. ადგილის „ბაბა-სულთანის“ სულს ფათიშა წავუკითხეთ. ორმოცდათი მილის მანძილზე გავედით ზღვაში. ჩვენი მგზავრობის დროს ამინდი ხელს გვიწყობდა და [ზღვა] ძალზე წყნარი გახდა — ყველა გაოცდა.

„გულიც ნავი განშორებით მწუხარების მორევში დარჩა  
რა გზაა! რა უნდა ვქნა, ეარი ჩემ ხელში არა!“

ამ ნათქვამის ძალით უდარდელად მივსრიალებდით ზღვის ზედაპირზე. ბოლოს, როდესაც პირქარი ამოვარდა და ხელს აღარ გვაძლევდა, ნიჩ-ბები გამოვიყენეთ, სამხრის ღროს სტამბოლის სანაპიროზე კიდევ ხუ-თი მილი ვიარეთ და დაბა ადასტეფანოზში მივედით.

დაბა ადასტეფანოზის აღწერა: იმ ღროს, როდესაც ჰათფუ ბენ მა-დიანმა სტამბოლი ააშნა, მისმა შვილშა ადა სტეფანმაც ეს ქალაქი ააგო და ამიტომ მას შეცდომით ადა სტეფანოზს უწოდებენ. ზღვის ნაპირზე ბოსტანჯი-ბაშის მმართველობაში მყოფი სასუბაშოა. ერთი ჩასაქის თანამდებობა აქვს. ეჭუბის მოლას ნაპირს განმეობლობაშია. გიაურების ღროს დიდი ქალაქი ყოფილია. ომაელ სულეიმან ბენ აბდ ალ-მალიქის ღროს<sup>11</sup> სტამბოლს ალყა შემოარტყა და რომ ვერ და-იძურო, გაბრუნდა, მისმა ალმატებულება ომარ ბენ აბდ ალ-აზიზმა<sup>12</sup> 57 ეს ქალაქი დაანგრია იმის გამო, რომ მისი მცხოვრებლები არ დამორ-ჩილდნენ. ახლა ხუთასი კეთილნაშენი სახლიანი ბერძნული დაბაა. ერ-თი სავანე, ერთი მცირე ბაზარი და ორი ეკლესია აქვს. მისი ჰავა ფრიად მშვენიერია.

აქ უცელა თანამგზავრითურთ გემიდან გაღმოვედით და ლამე გა-ვათით. დილაადრიან ჩრდილოეთისაკენ ფეხით ვიარეთ ზღვის ნაპირ-ნაპირ და 3 საათში მივედით ისკანდერ ჩელების ბალთან.

მისი აღწერა: ზღვის ნაპირზე ედემის ბალის მსგავსი ხონთქრის ბალია. სულთან სელიმ მეორის ხანაში<sup>13</sup> ერთი დავთარდარისა ყოფი-ლა, რომელსაც ისკანდერ ჩელები ერქვა. ხუროთმოძღვარ სინანის ნა-ხელავია. რაღაგანაც ისკანდერ ჩელები უშვილოდ გარდაცვლილა, ფა-დიშაპების კუთვნილი, რჩეული ბალი გამხდარა. ერთი ბოსტანჯი-ბაში და ორასამდე ქულაპიანი რიგითი ბოსტანჯი ჰყავს.

შეის ულ-ისლამ ჟუხეინ-ეფენდის წმინდა საფლავი: სულთან მუ-რად-ხან მეოთხის მუფლონ იყო<sup>14</sup>. დღემდე იმისთანა მუფლი არ გამო-ჩენილა. ორმოც ათასზე მეტი ფეთვა იცოდა.

წმინდა საფლავის მოლოცვის შემდეგ ბალის ოსტატს ცხენები გა-მოვართვით, ჩემს ამხანაგებთან ერთად შევსხედით და რომ მივდიო-დით, ხომალდი, რომელშიც ჩვენი ტანისამოსი და ბარგი იყო, ნაპირ-ნაპირ ნიჩბის მოსმით მოგვყვებოდა და ჩვენ გვეჯიბრებოდა. ბოლოს, ათას ორმოცდაათი წლის ძლევამოსილი საფარის თვის მეხუთე დღეს (1640 წ. 27 მაისი) სტამბოლში შევეღით.

იმ დღეს მე, მწირი, ჩვენს დამწუხრებულ სახლში მივედი, მა-შისა და დედის პატიოსან ხელებს ვეამბორე. ამ კეთილშობილი აღა-მიანების წინაშე რომ წარსდექი, ჩემმა საყვარელმა მამამ მომმართა:

— „მობრძანდი, ბრუსას მოგზაურო, კეთილი იყოს შენი მობრძანება!“

საქმე ისაა, რომ არავინ იცოდა რომელ მხარეს ვიყავი წასული.

მე მწირმა, ვთქვი:

— „ბატონო! საიდან გაიგეთ მწირის ბრუსაში ყოფნის ამბავი?“

მან ბრძანა:

— „როდესაც შენ გაქვრი ათას ორმოცდათი წლის მუპარემის მეათე დღეს (1640 წ. 2 მაისი) იმ ღამეს მრავალი ლოცვა წარმოვთქვი. ათასჯერ წავიკითხე ყურანის სურა, [რომელიც იწყება სიტყვებით]: „ჰემშმარიტად ჩვენ ეუბოძეთ...“ პირველ ღამეს სიზმარში გნახე, თითქოს ბრუსაში ემირსულთანის სავანეში მისი სულიერებისაგან შველას ითხოვდი, მოგზაურობას ეველებოდა და ტიროდი. იმ ღამეს მე მეველრებოდა და შენი სამოგზაუროდ წასვლისათვის ნებართვას ითხოვდა მრავალი სული, რომლებმაც იცოლნენ ამბავი. მეც იმ ღამეს ყველა მათი თანხმობით შენ დასტური მოგეცი. ფათიშა წავიკითხეთასე, რომ მოდი, შვილო! ამიერიდან შენ მოგზაურობა გერგო წილად-  
58 ღმერთმა გაყურთხოს! მაგრამ უნდა დაგარიგო“. ეს რომ მითხრა, ხელი ჩამჭიდა, წინ დამიყენა, მარჯვენა ხელით მარცხენა ყური გადამიგრისა, და შემდეგი დარიგება დამიწყო.

პატივცემული შაშის დარიგება: „შვილო! ადამიანი საწყალია, ღვთის სახელის უხსენებლად საჭმელი არა ჭამო. თუ საიდუმლო გაქვს, გაფრთხილდი — ცოლს არ გაანდო. თუ შებილწულია, პური არა ჭამოტანისამოსის გამოხეული აღგილები ზემოდან არ დააკერო. სახელი არ გაიტეხო. ცული ამხანავი არ იყო, იზარალებ. შენ წინ იარე, თვალისჩინო, არ ჩამორჩე — მწყობრს ნუ დაარღვევ. ჭეკილი ფეხით არ გათელო. მეგობარს ფეხებში არ გაებლანდო. იმ აღგილისაკენ ნუ გაიწვდი ხელს, სადაც არაფერი დაგიღვია. როდესაც ორი კაცი ერთმანეთს ესაუბრება, ყური არ მიუგდო. პურ-მარილის წესს პატივი ეცი. უცხო ქალს ნუ მიაცქერდები და მუხანათობას ნუ გაუშევ. დაუპატივებლად არსად მიხვიდე. თუ მიდიხარ, მიდი საიმედო აღგილას — პატიოსან კაცთან. საიდუმლოს შემნახავი იყავ! ყოველგვარ შეკრებილობაში გაგონილს ნუ გააბმაურებ. სახლიდან სახლში სიტყვა არ მიიტანო. ლანძღვისა, ზურგსუკან დაძრახვისა და ყოველი სიავისაგან შორს იყავ! კეთილშობილი იყავ! ყველასთან კარგი ურთიერთობა გქონდეს. ბუზღუნა და ავყია ნუ იქნები. შენზე უფროსის წინ არ იარო. მოხუცებულს პატივი

ეცი. ყოველთვის წმინდად იყავი, აქრძალულის და ალკვეთილისაგან  
თავი შეიკავე! ხუთ ლოცვას დაესწარი. პატიოსნებით ცნობილი, ცოდ-  
ნითა და განათლებით სახელგანთქმული იყავ.

### დარიგების ბაიათი<sup>15</sup>

ეი, მეგობარო, სრულებით ნუ შეგრცხვება შეკითხვისა.  
ჩაც კი სრულუოფილი ცოდნაა, გაიგე.  
ისწავლე საარსული მისგან, ეინც შას დაუფლუბულია.  
ადამიანთა შორის ენამშევრი იყავ არაბულსა და სპარსულში.  
ნამაზის არც ერთი დრო არ გამოტოვო, ღმერთს შეევედრე.  
ადიდე გამჩენი, მისყვი იმამს.  
ჩაც შენ იცი, სხვას ასწავლე.  
რასაც გასწავლიან, კარგად შეითვისე.  
ნუ გამოაჩენ წარჩინებულსა და მდაბიოს.  
დაეწავე ცოდნას, საქმის მოყვარული იყავი.  
მცოდნესთან გვინდეს საქმე, ნუ იქნები „მელაში“.  
გაიგე, რომ ტბა წვეთებისაგან იქმნება  
შეისმინე ჩემი სიტყვა. ესაა, ჩაც უნდა მეტქვა.

|| შვილო! ჩაც შეეხება ამქვეყნიურ ცხოვრებას, ჩემი რჩევა ის 59  
არის, რომ ყოველთვის კეთილმოსურნე და უანგარო მეგობარი იყავი.  
იმ ვეზირებთან და წარჩინებულებთან, რომლებთანაც შენ ყოფნა გი-  
დება, არ მიხვიდე და არაფერი სთხოვო შენი კეთილდღეობისათვის,  
რათა არ შეეზიზლო და არ გამოგაგდონ. კმაყოფილი იყავი იმითაც, „  
რაც გაქვს. არც შენ ხელში მოხვედრილი ქონება გაანიავო. მცირედი  
იქმარე და ისე იცხოვრე. ნათქვამია: „მომჭირნეობა განძიაო“. ჯანმრთე-  
ლობაც და ამტანობაც საჭიროა. საარსებო ფული ლუქმისა და სამო-  
სისათვის გადაინახე და უღირსის სათხოვრად არ გაიხადო თავი, იმი-  
ტომ, რომ ნათქვამია:

„თუ მტერს შერჩა რამე შენი, შერჩეს,  
ოლონდ მეგობარს საზრუნავი არ გაუხდე“.

იმ ადგილებში, სადაც შენ იმოგზაურებ, ქამარი ყოველთვის მაგრად  
შემოიჭირე და მუდამ კარგად დაიცავი თავი. წყალსა სძინავს და გაი-  
ძერა და ვერაგ მტერს კი — არა. ღვთის ღიდი წმინდანების სალოცა-  
ვი ადგილები მოინახულე და აღწერე ყველა სალოცავი ადგილი, ყვე-  
ლა ქვეყნის საღვურებში აჩსებული ველები და უდაბნოები, მაღალი  
მთები, საოცარი ხეები და ქვეები, ქალაქები, სამაგალოთო ქეგლები, ცი-

ხეები, მათი დამპყრობნი და აშშენებელნი, მათი გარეშემოწერილობის ზომები და შეპქმენი თხზულება, რომელსაც „მოგზაურობის წიგნს“ დაარქმევ. კეთილი იყოს შენი საქმის დასასრული და მტრის ზიანი გაშოროს. მაღალი ღმერთი იყოს შენი შემწე და მფარცელი. ამ ქვეყანაზე კეთილად და მშვიდობით გამყოფოს; უკანასკნელ ამოსუნთქვისას კი ღმერთმა შეგიწყალოს. ალაპის მოციქულის ღროშის ქვეშ იღეს! ჩემი ეს დარიგებანი ყურად იღე“. ეს თქვა და კეფაში ერთი ფალავნური სილა გამაწნა, ყური გადამიგრიხა და მითხრა: „რარე! კეთილი იყოს შენი ბოლო, ელ-ფათიშა!“.

სილის გარტყმის შემდეგ გონჩე რომ მოვედი, თვალი გავახილე, ჩვენი სახლი გაკაშკაშებული მეჩვენა. მაშინვე ვეამბორე მამაჩემის პატიოსან ხელებს და ჩუმად გავჩერდი. ზავინახე, რომ საჩუქრად მოუცია ხურჯინში ჩალაგებული წიგნები: ერთი „ქაფია“, ერთი „შაფია“, ერთი „მევლანა ჯამი“, ერთი „კუდური“, ერთი „მულთუკი“, ერთი წიგნი ქუპისტანის შესახებ, ერთი „პილადათი“, ერთი „საიდუმლოების განჯინა“<sup>16</sup>. სულ თორმეტამდე ძვირფასი წიგნი და გზის სახარჯოდ ორასი უმაღლესი ხარისხის ოქროს ფული მომცა.

— „გაემართე! საითქენაც არ უნდა წახვიდე, ნება გაქვს. მაგრამ უცხო ქვეყანაში თაღარიგიანი და ვაჟაპი იყავი. ტანჯული კაცისათვის მეგობარი იყავ!“ ეს მითხრა, შუბლზე მაქოცა და ჩარშამბა ბაზარზე აბდ ულ-ვაჟიდ-ეფენდისთან წამიყვანა. მისგანაც ლოცვა-კურთხევა მივიღეთ. შეიხ მისრი ომერ-ეფენდისთან, შეიხ ლაფური-ეფენდისთან, შეიხ ქინეთ-ეფენდისთან, შეიხ ბექთაშ პასან-ეფენდისთან წამიყვანა. სულ თორმეტამდე დიდ შეიხს ვემთხვიერ პატიოსან ხელებზე. ყველამ თანხმობა განაცხადა: „წალი! ღმერთმა აკურთხოს შენი მოგზაურობათ“. ლვთის ნებით, მე, მწირს, გულზე მომეშვა და მე, უმწეოსა და გლახაჭს, ერთგვარი აღფრთვონება დამეუფლა და გავმხიარულდი. იქიდან ჩვენ. თავმდაბლობით აღავსე სახლში წავედით. იმ კვირას ათას ორმოცდათი წლის ჩები ულ-ევველის პირველ დღეს (1640 წ. 21 ივნისი) საყვარელი მამის ხელს ვემთხვიე და ჩვენი ნათესავის — კულოლუ მეშედ-რეისის გემით იზმითში წასასვლელად გზას დავადექი.

## X XVI

აპაპი იზეპის ვილაიეთში მოგზაურობის დროს ნანახისა

პარასკევ დღეს ემიშის ნაესადგურში მივედით და ჩვენი ტანისა-მოსი გემში ჩავალაგეთ. საპარასკევო ლოცვაც იმავე ნავსადგურში

მდებარე ახი ჩელების ჭამეში ალვაკლინეთ და ამ დროს მე მომაგონდა, ჩემი სიზმარი, რომელშიც დილის ლოცვის დროს მუპამედი იმაძობდა და მე, მწირი, კი მუეძინობას ვასრულებდი. მანათობელ მოციქულს ხელები დავუკოცნე და პატივიბისა და შენდობის ნაცვლად მოგზაურობის ნებართვა ვთხოვე. „დიდება ალაპს, მოგზაურობა შესაძლო გხედა“-მეთქი, ურიცხვი ლოცვა-დიდება მივუძღვენი და პირისახე მრწას გავუსვი — ვეამბორე.

შემდეგ გემში ჩაგსხედით, ჩრდილოეთის ქარით გავცურეთ და სკუტარის მხარეს ჩავუარეთ კადიქოძის კონცხს, კალამიშის კონცხს, ხონთქრის ფენერბაჲჩეს კონცხს, დელქენ კადას კონცხს და ხელსაყრელი ქარით, რომელიც გემს კითხდან უბერავდა, დარიჩას ციხესთან მოვედით.

დარიჩას ალწერა: სტამბოლიდან ოთხმოცი მილის მანძილზეა. ზღვის ნაპირზე, ციცაბო კლდეზე ოთხკუთხა. მოყვანილობის, ჭვის მტკიცე და ძლიერი ნაგებობაა. ერთი კარი აქვს, რომელიც ყურეს გადასცერის. ციხისთავი და მეციხოვნები არა ჰყავს, მაგრამ შიგ ოცამდე კრამიტით დახურული სახლია. ერთი ჭამე აქვს. სავაჭრო რიგები, ბაზარი და აბანო არა აქვს.

კონსტანტინეს ძემ ირანის ქვეყანაში დარიცს შაპი დაამარცხა და დარიოსის შვილები აქ, გამოქვაბულში ბერებთან დამშვედია<sup>61</sup>. შემდეგ ეს ციხე ააშენა და სახელად „დარა“ უწოდა, რაც ნიშნავს — „დარიოსის შვილი“. იგი 827 (1424) წელსაა დაპყრობილი ჩელები სულთან მეჰმედ-ხანის მიერ. მისი განმგებელია ქირექჩი-ბაში. მისი ვაკუფები სასუბაშოა. გებზეს ყაზას ნაპეა. ქვედა ქალაქი საშასმდე კრამიტით დახურული სახლისაგან შეღვება. ერთი ჭამე, ერთი ფუნდუკი, ერთი აბანო და მცირე სავაჭრო რივი აქვს. რაღაცანაც ფრიად კრაგი ყურე აქვს, ქალაქ გებზეს ნავსადგურია. გებზე მდებარეობს მის ჩრდილოეთით ერთ საათამდე სავალის მოშორებით, მთებში, ბალდადისა და არზრუმის გზაზე.

ამ ციხესთან ჩავუშვით ლუზა. [შემდეგ] რაღაც ქარი არ უბერავდა, მეზღვაურებმა ნიჩები მოუსვეს და ოცი მილის მანძილზე მივედით ნავსადგურ დილში. კონიას, ალეპოს, დამასკოსა და ეგვიპტეს მიმავალი მლოცველები, ვაჭრები და წმინდა ადგილების მომლოცველი მოგზაურები აქ ჩასხდებიან ხოლმე ცხენების გადასაყვან ნავებში და გაღმა ნაპირზე, ერთი მილის მანძილზე მდებარე ჟერსექ დილიში გადადიან. იმიტომ [გადადიან ნავებით], რომ ეს არის დიდი ყურე, რომლის აღმოსავლეთი მხარე იმიტომ გადაჭიმული. მის ბოლოში მდებარეობს ქალაქი იზმითი. ამ „გებზე დილის“ ნავსადგურში ორი ძველი ფუნდუკი, ორი მეპურის დუქანი, ერთი ბუზახანე, ორი ბაყა-

ლის დუქანი და ერთი წყაროა, რომლის წარწერიდან ჩანს; რომ იგი ათას ორმოცდარვა (1638—1639) წელს აუშენებინებია სულთან მურად [მეოთხის]<sup>2</sup> ბოსტანჯი-ბაშის — მუსტაფა-ალას.

აქ ისევ ჩავსხედით გემში, დაახლოებით სამი მილის მანძილზე ნიჩბების მოსმით ვარეთ უქარო ამინდში და სადგურ „იჩმე სუჟუ“-ში მივეღით. ყველა მეგობართან ერთად გადმოვეღით გემიდან, ზღვის ნაპირზე კარვები დავდგით და სამოდ მოვილხინეთ.

იჩმეს სასაქმებელი წყლის აღწერა: უკველ წელს, ივლისის თვეში, ბლის მწიფობის დროს სტამბოლიდან და სხვა ქალაქებიდან აქ ათასობით ადამიანი მოღის. კარვებს გაშლიან და ისეთი გართობა, მუსიკა და ჭამა-სმა იწყება, რომ ორმოცი დღე და ორმოცი ღმებრძელდება. თოფისა და შუშხუნების შედლუხი ეწყობა ისეთი, რომ ენით გამოთქმა შეუძლებელია. შინაგანი სნეულებებით შეპყრობილი ავაღმყოფები აქ სამ ღლესა და სამ ღამეს „იჩმე სუს“ წყალს სვამენ. ღვთის ნებით, ზოგს გული ერევა და უვითელ-უვითელ, მწვანე ნაღველს და ბალღამს ასაქმებს, რომლის მყრალი სუნისაგან ადამიანი ლამის 62 მოკვდეს. ||ზოგს ქვევიდან გასდის სხვადასხვანაირი ავაღმყოფობა: ნაღველი, ბალღამი, ლორწო, შავი ბალღამი... (?)<sup>3</sup> და თითქოს მეორედ იბადებიან. ზოგიერთს კრიალოსანის მარცვლებივით ჩაწყობილი რაღაცები გამოსდის გაწელვით; ორმოც-ორმოცი, ორმოცდაათ-ორმოცდაათი კვანძიანი ნაწლავივით ჰელენ ბუჩქებზე და გამვლელ-გამოშვლელები ათვალიერებენ. ისეთი საოცარი სასწაულია, რომ ზოგიერთი გამოსული ქმნილება შუაზე თუ გაიპობა, შიგნიდან გამოღის ათასობით შავთავიანი მატლი და პეპელასავით მწერი. ეს წყალი პიტალო კლდიდან გადმოღის. თუმცა გამჭირვალე და მშვენიერი წყალია, მლაშე გემოსია.

იჩმეს წყლის ხმარების წესები: ვინც ამ წყალს სვამს, სამი დღის განმავლობაში არ უნდა ჭამოს მარილიანი საჭმელი, ხორცეული და უნდა იმარხულოს. მეოთხე დღეს დილით და საღამოთი თითო ფინგანი წყალი უნდა დალიოს, მაგრამ თვითონ თბილად უნდა იყოს. სამ დღეს ასე უნდა მოამზადოს სხეული და(?)<sup>4</sup> დალიოს. შემდეგ, კიდევ სამ დღეს სამჭერ უნდა დალიოს წყალი და უმარილოდ მოხარშული წიწილის წვენი. მას შემდეგ, რაც ზუსტად თხუთმეტჯერ ასაქმებს, ზემოდან და ქვემოდან შვებას იგრძნობს. ლიმონის წყალი და მუავე წვენი უნდა შეხვრიპოს, გულისრევა შეუწყდება და მრავალ სარგებლობას მიიღებს. შემდეგ აქ გემებში ჩასხდებიან, გაღმა, დალოვას თბილი წყაროებისაქნ წალენ და იქ აბანოებში იბანავებენ. ყველა საღასალამათი და სწორნაკვეთიანი გახდება. აი ასეთი თვისებიანი სამკურნალო წყალია იგი.

აქ გემში ჩაესხედით და ნიჩბის მოსმით ნახევარ საათში მივედით ინეპაზის სოფელში. ზღვისპირას მდებარე, მეჩეთიანი, სამოცკომლიანი მუსლიმური სოფელია. ერთი წისქვილი აქვს. აქედან ისევ ნიჩბების მოსმით ვიარეთ 8 საათი და სოფელ ზეითუნბურუნუში მივედით.

**სოფელი ზეითუნბურუნუ:** ნაესადგურია იზმითის მიწაზე. შიგ არცერთი საზოგადო ნაგებობა არაა. იანიჩართა ალებისათვის განკუთვნილი გემები აქ იტვირთებიან. მის მთებში კეთილმოწყობილი სოფლებია. აქედანაც წავედით, ხელსაყრელი ამინდით ვიარეთ, დავათვალიერეთ ყურეს ორივე მხარეს მდებარე დასახლებულ-დამუშავებული მიწები და 8 საათში იზმითის ციხეს მივაღწიეთ.

მაკედონელის ციხის ანუ იზმითის აღწერა: ნამდვილ სახელი ის-  
კანდერისა, რომელსაც ბერძნები ალექსანდრეს შუწოდებენ, არის „ის-  
კანდერ ჯუნანი“. იგი წმინდა მუჰამედზე რვას ოთხმოცდაორი წლით  
ადრე დაიბადა ამ ქალაქ იზმითში. მაგრამ ფილეკის ძე ისკანდერი  
რუმელის ქალაქ კავალაში დაიბადა. ბერძენთა სიტვით, ამ ქვეყ-  
ნიერებაზე ათხი ისკანდერი დაბადებულა. მაგრამ იზმითში დაბადე-  
ბული ისკანდერი დიდგავლენიანი ფალიშაპი გახდა, იზმითი ააყვავა და  
მტკიცე ციხე ააშენა, რომელიც სტამბოლის მსგავსი ყოფილა. ახლა  
შენობის ნანგრევები და კედელ-ბურჯები ჩანს. ბერძენთა სტორიებში  
ქალაქ იზმითს ისკანდერის მაკედონია ეწოდება. ისკანდერი იყლისის  
თვეში ზაფხულს ატარებდა ხოლმე სტამბოლის პირდაპირ მდებარე  
ჩამლიჭას მთებში. ის კი არა და „უსქუდარი“ ისკანდერის დამახინჯე-  
ბული გამოთქმაა. ისკანდერმა იზმითის აღმოსავლეთით მდებარე სა-  
ფანჯას ტბა გააპო და იზმითის ყურეში გადმოუშვა. მდინარე საქარია-  
სა, შავ ზღვასა და იზმითის ყურეს შორის კოჯაილი და იზმითი კუნ-  
ძულივით დარჩენილა. შემდეგ სტამბოლის ხელმწიფე ქოშტანტიშმა  
საფანჯას ყურე გადაკეტა და იზმითი კუნძულობიდან გაათავისუფლა.  
მაგრამ ასმალებმა თუ მოისურვეს, საფანჯას ტბას იზმითის ყურეში  
გადაუშევებენ და ერთი კანთარი შეშა ხუთი ახჩა გახდება და ერთი  
ფიცარი — ორი ახჩა. იზმითის ყველა გემი თვით დუზჭეს ბაზრამდე  
მიაღწევს და იგი ნაესადგურად გადაიქცევა.

იზმითის ციხე, რომელიც ბერძნების ხელში იყო; 831 (1428)<sup>6</sup> წელს ორხან-ყაზის დროს დაპყრობილ იქნა. რაღვანაც მისი აღება  
ძალზე გაჭირდა, დაპყრობის შემდეგ ალაგ-ალაგ დაანგრიეს. ეს იმი-  
ტომ მოხდა, რომ ურჯულოთათვის სურსათი გაღაეჭრათ და ციხის  
დაბრუნების სურვილი დაპყარგოდათ. ამეამად ნანგრევების ნაშთად  
ზღვის ნაპირზე დარჩა ათხეუთხა, ერთკარიანი დიდი კოშკი. თუმცა  
ციხისთავი და მეციხოვნები ჰყავს, შიგნით გემების მოწყობილობითა  
და ხე-ტყით არის სავსე. ორხანს ამ ციხის დასაპყრობად პირველად

კოჭა-ბერი დაუნიშნავს სარდლად და უბრძანებია: „ნებას გაძლევ! წადი, გასწი“-ო. „იზმითიც“ ასეა დამახინჯებული გამოთქმა „იზნიმ გით“-იდანო<sup>7</sup>, ამბობენ. ზოგიერთები კი „აზმაგითს“ ან „ცხმეგითს“ უწოდებენ. დაპყრობის შემდეგ ისევ კოჭა-ბერი გახდა სარდალი და კალიფუს ვილაიეთი რომ დაიპყრო, სახელად კოჭაილი დაერქვა. როდესაც სულ-  
64 თან მეტმედ-ხანს ფათიშმა ანატოლიის ვილაიეთები||აღწერა, იზმითიც ანატოლიის ერთ სანჯაყად ჩასწერა. ჩვენ ღრმს იგი სამთულიანი ვე-ზირების არფალიკად ეძლეოდათ ხოლმე<sup>8</sup>. ფადიშაპის მხრიდან 26526 ახჩა სამეფო სახალო, 35 ზეამეთი, 187 თიმარი აქვს და ჰყავს ჩერიბა-ში, ალაბეგი. ყადის თანამდებობა სამას ორმოცდათი ახჩისაა. ყაზას წლიური შემოსავალი ხუთა ყურუშს შეაღენს. ფაშის შემოსავალი წელიწადში ოცი ათას ყურუშს აღწევს. კეთილმოწყობილი და გაშენებული უზარმაზარი ქალაქია. დიდი ნავსაღვური აქვს. ზღაპრულად მდი-დარი ვაჭრები ჰყავს. ერთი ინიჩართა სარდალი, ერთი სიტაკიების ქეთხუდა, ერთი მუფთი, ერთი ნაკი ულ-ეშრაფი ჰყავს. წარჩინებულები და დიდებულები ბევრია. უმეტესობა ხე-ტყით მოვაჭრები არი-ან, რომლებიც ნაირნაირი აბრეშუმის ქსოვილებს იცავენ. ოთურაკი და კორუჭუ ინიჩარებისაგან შემდგარი დიდებული ამაღლა ჰყავთ. ამ ქალაქს სულ სამი ათას ხუთასი საუცხოოდ მორთული, მოკაზმული, სართულებიანი, ვენახებიანი, ბალებიანი, კეთილმოწყობილი და დამ-შევნებული წითელი კრამიტით დახურული სახლი აქვს. დიდებულ სა-სახლეთა შორის ყველაზე კარგად მოვლილია ბალდალის დამპყრობ სულთან მურად მეოთხის სასახლე, რომელიც ბალიან-უცავილნარიანია. უზარმაზარი სასახლეა. მის ასაწერად ენა უძლურია. ამჟამადაც ფალი-შაპებს ეკუთვნით. მებალე და ორასამდე მცველი ბოსტანჯი ჰყავს. გან-თქმულია ფაშის სასახლე, ალთინთოფოლლუს სახლი, სარდალ სოლა-კის სახლი. ქალაქში ოცდასამი უბანია. სამი უბანი ქრისტიანებისაა და ერთი უბანი — ებრაელებისა. ოცდასამი ჯამე აქვს. ყველაზე ძველია სავაჭრო რიგებში მდებარე, ერთმინარეთიანი, გალასურული ნათელი ჯამე — მაპქემე ჯამე. იგი სულთან სულეიმან-ხანის ვეზირმა ფერთევ-ფაშამ ააშენა, როდესაც შვიდი წელი აქ განგებლად იყო. სწორი და შემკული, მშვენიერი ჯამეა. სუროთმოძღვარ კოჭა მიმარ სინანის<sup>9</sup> მიერ არის აშენებული. მას გარდა, სუროთმოძღვარ სინანის აშენებულია მეტმედ-ბერის ჯამე, ალა ედ-დინ-ბერის, აბდ უს-სელმ-ბერის ჯამები. მეჩეთებიც აქვს. ჰადისების სახლი და ყურანის საკითხაები სახლი არა აქვს. აბანოებიდან [ცნობილია] ფერთევ-ფაშას აბანო, რომელსაც აქვს კარგი წყალი და ჰყარი, მშვენიერი შენობა; გასახდელი და მექისები ჰყავს. რუსთემ-ფაშას აბანოც სუროთმოძღვარ კოჭა მიმარ სინან-აღას ნახელავია.

მისი ფუნდუკებიდან ყველაზე დიდებულია ფერთევ-ფაშას სასტუმრო სახლი. გამვლელ-გამომვლელი მგზავრებისათვის სამოცდაათბინიანი სასტუმროა ქვით ნაშენი, თაღ-გუმბათიანი და ტყვიის სახურავიანი. ფუნდუკებს||გარდა, ნავსადგურის თავში ხე-ტყისა და სხვა 65 საქონლის სულ ორასამდე საწყობია. სავაჭრო რიგები ათას ასი სახელოსნო დუქნისაგან შედგება. ოჩომციც მოხატული ყავახანაა, რომლებიც ცნობილია უსინათლო ჭაბუკებით. ამ ქალაქს ქვით აშენებული დახურული ბაზარი არ აქვს, მაგრამ ვაკრების ფუნდუკებში ყოველგვარი ძეირული ნივთი იშოვება. ხონთქრის სასახლის მახლობლად სახელმწიფო გემსაშენია.

ქალაქის ყველა სახლი მაღალ ფერდობებზეა აშენებული და მათი სარკმელები სამხრეთით, ზღვის გადასცემის. ქუჩები მთლიანად თეთრი ქვაფუნილით არის დაფარული. მათი სახლების უკანა მხარეს მთებია. მთებზე ბალები აქვთ. ჩაღვანაც მშევნეობი პავი აქვს, მისი მოსახლეობა ჯანმრთელი და მაგარია. სახის ფერიც თეთრი აქვთ.

ამ ქალაქის სანახებო საქმელები და სახმელები: უპირველესად ყოვლისა, მის აღმოსავლეთ მხარეს ასებულ მთებს „აღავ დენიზს“ (ხეების ზღვის) უწოდებენ. შიგ კაცი დაიკარგება. ისეთი ცამდეა-ტყორცნილი, ღიღი ხეებია, რომ მათ ჩრდილში ათი ათასი ცხვარი აფარებს თავს. უსაზღვრო და უსიერა ტყით დაბურული მთებია, რომლებშიც მზე ვერ ატანს. ამ მთების ხეივნებში ნაირ-ნაირი ფიცრების დამამზადებელი სახერხი წისქვილებია, რომლებსაც წყლით აბრუნებენ. ამ ტყეებში ოჩომცდაათი არშინის სიგრძე საანიო ხეებს სკრინი. რუმელიისა და ბალვანის მორები განთქმულია. იმ ადგილას, სადაც იზმითის ყურეს დასასრულია, ზღვის ნაპირზე მარილსახდელია, რომელიც ფრიად განთქმულია. ჩაღვანაც მისი მარილი მეტად გემ-რიელია, ამიტომ [ქალაქს] ცალკე ემინი ჰყავს მარილისა. წყალი, რომელიც ქალაქში და ჯამეებში წყაროებიდან გადმოდის, უკვდავების წყალს ჰგავს და იგიც განთქმულია. თეთრი ბალი და წითელი ვაშლიც ცნობილია.

სალოცავი ადგილები: ქალაქის დასავლეთ მხარესაა შეის ზაღე-ეფენდი. ბაირამ-ფაშას შეიხი იყო. პელვეთის სექტის წინამდლვარი და ღიღი მეუფე იყო. ალქიმიის მეცნიერებაშიც კი სრულყოფილი და ზუსტი იყო. ყველა მწირს უწყალობებდა ტანსაცმელსა და საჭმელს, თუმცა მას ასეთი დავალება არ ჰქონდა.

ამ ქალაქში ჩვენ ნათესავ კულოლლუ მექმედ ჩელების სახლში ათი ღიღი მოვილხინება და მრავალ ამხანაგსა და მეგობარს გაცეცანი.

იქ ისევ გემში ჩავსხედით და ზღვის გაღმა მხარეს სამი მილის მანძილზე მდებარე ნავსადგურ||ბაშ-ისქელეში მივედით. იქ ისევ ჩავ-

ჭექი გემში და ოცდაათი მილის მოშორებით მდებარე საღვურ დილ-ისქელესიში მივედი. მოპირდაპირ ნაპირზე რომ არის „გებზედილი“ ან ქექბუზა დილი, იგი სკუტარის მხარესაა. ეს კი ჰერსექის მხრიდან მართლაც რომ ზღვაში შეჭრილი ენაა.

„დილი“-ის წარმოშობის მიზეზი: არსებობს გაღმოცემა, რომ ორ-ხან-ყაზის ხანაში ერთი მსოფლიო მოგზაური დერვიში მოვიდა აქურ მეზღვაურებთან და უთხრა: „შვილებო! გადამიყვანეთ გაღმა ნაპირზე“-ო. მათ არ გადაიყვანეს. და წავიდნენ. იმ მცოდნე და საქმიანმა დერვიშმა კალთა მიწით აივსო, „ჩვენ, ღვთის ნებით, გაღმა ისეც გა-დავალთო“ თქვა და მიწას კალთიდან ზღვაში რომ ჰყრიდა, ზღვა ხმე-ლეთად იქცეოდა და ამრიგად უკან მიჰყვებოდა გემს. მეზღვაურებმა ეს ამბავი რომ ნახეს, შეევედრნენ: „შეგვიწყალე, მეუფევ! ყურეს ნუ ამოავსებ და ლუკმა პურს ნუ წაგვართმევ. სტამბოლიდან იზმითში გე-მები ველარ შემოვლენ. მოილე სიეთე, აქურობა გემებისათვის გვკირ-დებაო“. მანაც თორმეტი ათასამდე ნაბიჯი რომ გაიარა ზღვაში და მი-წით ამოავსო, გემზე ავიდა. ახლა ამიტომ უწოდებენ დილს (ენას). წვრილი, ქვიშიანი კონცხია. წმინდა დერვიშმა კი, როდესაც გაღმა ნა-პირზე გავიდა, სასწაულის გამელავნებისათვის თავისი წმინდა სული ღმერთს ჩააბარა. დასაფლავებულია ქექბუზა დილის მახლობლად და იმ ადგილს უწოდებენ „დილი ბაბა-დედეს“ — ღმერთმა გააპატიოს-ნოს საიდუმლოებანი ამ წმინდანისა. ამ ჰერსექ დილის კონცხზე ერთი დიდი ფუნდუკია. გამელელ-გამომვლელი მგზავრებისათვის ლიაა, ყვე-ლა აქ ათევს ლამეს და გაღმა მხრიდან ნაკების მოსვლას ელოდება. რაღგანაც იგი აშენებულია სულთან მექმედ ფათიშის ვეზირ ჰერსექ-ოლლუ აქმედ-ფაშას<sup>10</sup> მიერ, მას „ჰერსექ დილის“ უწოდებენ. ასეთი კონცხია. შემდეგ, ამ კონცხთან აფრა გავშალეთ და ყარა იალოვას ცი-ხეს მივაღწიეთ.

ყარა დალოვას ციხის აშერა: ციხე და ქალაქი/ბიზანტიელი მთავ-რის აშენებულია. რაღგანაც იგი ოსმან-ყაზის ბრძანებით დაიპყრო ყარა დალოვაზ-ოლლუმ, ყარა დალოვას უწოდებენ. რაღგანაც მისი დაპყრობა მეტად გაძნელდა, ციხე დანგრეულია, მაგრამ მისი საძირ-კველი ჩანს. სულთან ილდირიმ-ხანის დროს პრუსის სანჯაყის მართ-ველობაში ჩაიწერა. ასორმოცდაათახიანი ყაზაა. იანიჩართა სარდალი და სუბში ჰერსექ. ქალაქში/სულ შვიდასი სახლი. შვიდი მეჩეთი აქვს, ერთი აბანო, სამი ფუნდუკი და ორმოცი-ორმოცდაათი დუქნი. კე-თილმოწყობილი დაბაა, რომელიც ზღვის. ნაპირას მდებარეობს. მძი-მე და ხაშმიანი ჰერი აქვს. ბევრია მაწონი. მისი ყოველნაირი ხილი სანაქებოა. აქ ურმებზე დავსხედით და სამხრეთისაენ ხუთი საათის მგზავრობის შემდეგ მივეღით ჭიათუმას თბილ წყაროებრან.

ჭიპანნუმას თბილი წყაროები: უდაბურ მთიანეთში ისეთი ხშირი ტყეა, რომ სრულიად ვერ ატანს მზე და მისი ყოველი კუთხე სალოცავ ქოს წარმოადგენს. ორასზე მეტი კარავია. ჩვენც ჩვენი კარავი ერთ კუნძულში გავშალეთ და საუბარი დავიწყეთ. ზემოთ აღწერილ დილის მიღამოებში თბილი წყაროებია, რომლებიც იანკო ჰენ მაღიანის დროსაა აშენებული.

თბილი წყაროს აშენების მიზეზი: იანკოს ქალიშვილს ხელზე ქეცი გაუჩნდა, წარბ-წამწამი გასცივდა, თმა გაეწერა, დაავადდა და დაძაბუნდა. ბოლოს, როდესაც არაფერი ეშველა და ექიმებმა ხელი აიღეს, ჰაერის გამოსაცვლელად იგი სტამბოლიდან ამ მთებში მოიყვანეს. აյ რომ ხეტიალობდა, ამ თბილ წყაროს წააწყდა და დალია. რამდენიმე დღეში ქეცი შავად დაეწვა, აეფრცენა და ჩაუქრა. გოგომ გაიგო, რომ ამ წყალს რალაც თვისება აქვს. ყოველდღე მოდიოდა, წყალსა სვამდა და ბანაობდა. ორმოც დღეში სხეული თერთი მარგალიტივთ გაუხდა. მამამის იანკოსაგან მოსულმა კაცებმა ქალიშვილი რომ ნახეს, იანკოს ახარეს. ისიც თავისი ქალიშვილის სანახავად ამ სამკურნალო ადგილას მოვიდა. ქალიშვილი რომ ნახა, ღმერთი ადიდა. ამ თბილ წყაროზე ათი გუმბათი ააშენებინა, მრავალი ნაგებობა და საქველმოქმედო დაწესებულება ააგო. ამჟამად მისი ორი გუმბათი ჩანს. ერთი გუმბათის ქვეშ მშვენიერი და დიდი აუზია. მისი წყალი ძალზე ცხელია. ცივი წყალი თუ დაემატება, განელდება და ფრიად სასარგებლო წყაროა. ყოველ წელს ბლის მწიფობის დროს ამ თბილი წყაროს გამოისობით თითო მთა საამურ ადგილად გადაიქცევა ხოლმე.

აქ სრული ერთი კვირა სიამტკბილობაში ვიყავით. ისევ ურმებზე დავსხედით და 5 საათში მივედით ციხე სამანლიში. რადგანაც იგიც ოსმან-ყაზის ხანაში სამანლი-ოლუდ წოდებული სარწმუნოებისათვის მებრძოლის მიერ არის დაპყრიობილი, სამანლის (ჩალიანს) ||უწოდებენ. ლვთის ნებით, ჩალაც ბევრია. ზღვისპარზე დანგრეული ციხე აქვს. ასორმოცდათსახლიანი, ვენახებიანი, ბალებიანი კეთილმოწყობილი დაბაა. ერთი ჯამე. სამი მეტეთი და რამდენიმე ღუქანი აქვს. მისი ნაპირი ხალოვაა. ამის ჰაერიც მძიმეა. აქ ხომალდში ჩავსხედით და ოცი მილის მანძილზე მდებარე კუნძულ ჰეიბელიზე მივედით. გარეშემოწერილობა ათი მილია. ვენახებიანი, ბალებიანი, სიცოცხლის წყალის ჭებიანი, კურელი კურდლლებით [ცნობილი] კეთილმოწყობილი კუნძულია, რომელიც მაშინ აღვწერე, როდესაც ბრუსაში მივდიოდი.

აქედან ექვსი-რვა მილის მოშორებით მდებარე კუნძულ თავშანლისთან მივედით. კეთილმოწყობილი არა. გარეშემო თერთმეტი მილია. დანარჩენი კუნძულების თხები აქა პყავთ. რადგანაც აქ ბევრია

ჭრელი კურდლელი, მას „თავშანლი ადას“ (კურდლიან კუნძულს) უწოდებენ. ამ კუნძულზე ხარობს კურდლისცოცხას ხე.

აქედან ავიყარენით, ნიჩბები მოვუსკით და რვა მილის მოშორებით მდებარე კუნძულ ბურგაზთან მივეღით. იგი სულთან მექმედ ფათიშ დამორჩილდა სტამბოლის დაპყრობის დროს. მისი ციხე ზღვისპირას მდებარეობს, ციცაბო კლდეზე. ოთხუთხა, მტკიცედ ნაგები პატარა ციხეა. კუნძულის გარეშემოწერილობა თერთმეტი მილია. მოსავლიანია. ჩადგანაც ციხე აქვს, თურქულად „ბოლაზ ადასი“-ს ან „კალე ადასი“-ს უწოდებენ. ვენახებიანი, ბალებიანი, უკვდავების წყლის ჭებიანი სამასამდე სახლი აქვს. ესეც ბოსტანჯი-ბაშის განვებლობაშია და ერთი იანიჩართა მასაქჩი ჰყავს. მოსახლეობა ბერძნებია. კეთილმოწყობილი ეკლესია აქვთ. თხა და კურდლელი ძალიან ბევრია. მის მთებში ბალვენას თვლა არა აქვს. მცხოვრებლები მდიდარი მეხომალდები არიან. დანგანი თავის ისტორიაში წერს: „ერთხელ, იანკ ბენ მადიანის შემდეგ, ესპანეთის გიაურებმა სტამბოლი დაბყრეს, დაარბიეს და გაძარცვეს. ტაძარ აია სოფიას ძეირფასი საკლესიო ნივთები, მრავალი ათასი განძული და თვალ-მარგალიტი წაიღეს და ვემებში დატვირთეს. ესპანეთში რომ გარბოდნენ. ლვთის ნებით, ლიდი ქარაშხალი დაატყდათ თავს; ამ კუნძულებს შორის ზღვას ტალღებისაგან შეიდასამდე გემი ნაფორებად იქცა და მეზღვაურები დაიხრჩენენ. შემდეგ ამ კუნძულების მცხოვრებლებმა ჩაძირული სიმდიდრე ამოიღეს და კარუნის საუნჯის!“ მფლობელები გხხდნენ. აი, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ამ კუნძულის მცხოვრებლები დღემდე ასე მდიდრები არიანო“.

აქედან 16 მილის მოშორებით მდებარე კუნძულ კინალიზე მივეღით. ამ კუნძულის გარეშემოწერილობა რვა მილია. კეთილმოწყობილი კუნძულია. ასამდე სახლი და მთებში ბალ-ვენახი აქვს. ნათესებიც აქვთ. ერთი მონასტერია.

აქედან ათი მილი გავიარეთ და კუნძულ კიზილ აზაზე მივეღით. ესეც აყვავებული კუნძულია. გარეშემო ოცი მილია მისი ზომა. ორასამდე ბერძნის სახლი დგას. ჩადგანაც მისი მთები წითელია, მას კიზილ ადას უწოდებენ. სკუტარის მიწებთან ახლოსაა. ქრისტიანული ტაძარი, ბალვენახები და ოთხვე მხარეს თვეზის საჭერი ოჩხები აქვს. ამგარად, შვიდიოდე ღიდი და პატარა კუნძულია. ყველა ისინი ბოსტანჯი-ბაშის განმგებლობაშია და კაფუდან-ფაშას ეიღლეთია, რომელიც მას სახასოდ აქვს გამოყოფილი. მისი თანაშემწეები არიან სუბაში და თითო იანიჩართა მასაქჩი. ეს შვიდი კუნძული სტამბოლიდან თვრამეტი მილის მანძილზე მდებარეობს. იზმითის ყურესა და მალოვას შორის გამწერივებული კუნძულებია. მე, მწირმაც, ამ შვიდ კუნძულს შორის შვიდი დღე ვიმოგზაურე და დავათვალიერე. ბოლოს,

მერვე დღეს; ხელსაყრელ ამინდში სტამბოლში შევეღი ოდუნის კარით. დედ-მამას შევხვდი, პატიოსანი ხელები დავუკოცნე და იზმითი-დან ჩამოტანილი საჩუქრები მივართვი. ლოცვა-კურთხევა მერგო წილად.

ცოტახანს სტამბოლში მტკილებინე. ამასობაში ჩემი პატივცემული მამის ნაშვილები ქეთენჭი ომერ-ფაშა ტრაპიზონის ვალი გახდა. მამა-ჩვენმაც მე, მწირი, ომერ-ფაშასთან<sup>12</sup> ერთად ქეთხუდად გამაგზავნა ტრაპიზონში.

## XXVII

ათას ოროცდათი (1640) წლის ჯუმადა პირველის პირველში

(19.VII) გათუმასა და ტრაპიზონის პირველისადაც ჩვენი

გასლა და გზაგრძობა

უპირველეს ყოვლისა, ყველა მეგობარს გამოვეთხოვეთ, უნკა-  
ფანში ტრაპიზონელი ფირთოლ-ოღლუში ჩვეულებრივ კარამურსალ  
გემში ჩავსხედით და სამხრეთის ქარით სამ საათში დენიქოს, მივაღ-  
წიეთ. ეს დაბა დაწვრილებით არის აღწერილი პირველ ტომში. ჩაღა-  
ნაც ამ ქალაქის ორცხობილა განთქმულია, ვიყიდეთ სუთასი კანთრი  
ორცხობილა და სურსათი, ათი ნავი საბალასტო მიწა და ისევ სამხრე-  
თის ქარით შვიდ საათში კავკის ციხეს მივაღწიეთ. ეს ქალაქიც პირ-  
ველ ტომშია აღწერილი. აქ ერთ დღეს გავჩერდით. შემდეგ ღუზა ამო-  
ვიდეთ და მშვენიერ ამინდში შევი ზღვის სრუტით ღია ზღვაში გავდით.  
ანატოლიის ნაპირებს ჩავუარეთ, სამი მილი გავიარეთ და ირვას  
ნავსაღვურში მივედით.

ირავა: კოჭაილს სანჯაყის ფარგლებში ნაპი და სასუბაშოა. ნავ-  
საღვურთან არის ერთი ჭამე, ერთი ფუნდუკი, ორმოცი-ორმოცდათი  
საწყობი, ასი ბაღ-ვენახიანი და კრამიტით დახურული სახლი. სამხრე-  
თი და აღმოსავლეთი მხარე ვენახებისა და ბაღების ტყეს წარმოადგენს.

აქ წყალი მოვიმარაგეთ და ისევ ანატოლიის სანაპიროებით, უქარი  
ამინდში ნიჩქების მოსმით 36 მილის მანძილზე დაბა შილეში მოვედით.  
აქაურობა ყაზაა კოჭაილს მიწაზე და ფაშის სახსაო. იანიჩართა სარ-  
დალი ჰყავთ. ექვსასამდე კეთილნაშენი, კრამიტიანი კოხტა სახლით  
არის დამშვენებული. ყოველი სახლი ბაღ-ვენახიანია. ნავსაღვურის  
თავში კრამიტიანი და ერთმინარეთიანი ჭამეა.

აქედან დაბა ქეფენში ჩავდით. ამასაც აქვს აბანოები, ფუნდუ-  
ქები და ღუქნები. მაგრამ მასავით აყვავებული დაბა არ არის. კოჭაი-  
ლის ნავსაღვურია.

აქედან ასი მილი გავიარეთ და ქერფეს კუნძულს შივალწიეთ. პატარა კუნძულია. ქალაქი და სახლი არ აქვს. კოჯაილის მიწების სიახლოეს მდებარე ერთი პატარა კუნძულია. იმავე კოჯაილის საზღვრებში არის დაბა კანდირა. აქაურობა კუნძულიდან 4 საათის სავალზე. მისი მთები ბალ-ვენახიანია; კეთილნაშენი დაბაა ჭამეთი, ფუნდუკით, აბანოთი და პატარა ბაზრით. აქედან გზა განვაგრძეთ და მდინარე საქარის შავ ზღვასთან შესართავი აღგილი გავიარეთ.

**მდინარე საქარია:** ქუთაბისა მთებიდან გამოდის, იზმითს დაქვემდებარებულ გივეს და სხვა დაბებს გაიყლის და ამ დაბა ქერფეს სიახლოეს შავ ზღვის ერთვის.

71 ॥ აქედან ისევ პირქარით ახჩაშარში მოვედით. აქაურობა სავოევოდოა. 150 ახჩიანი ყაზაა. იანიჩართა სარდალი ჰყავს. ძველ დროს მშვენიერპავიანი დიდი ქალაქი ყოფილა. აპელ-ხანის დროს წყეული ურწმუნო კაზაკების თავდასხმით არის გადამწვარი. ამეამად ექვესაი ბალ-ვენახიანი სახლია თურქებისა. ბაზრის შუაგულში შეუდარებელი მიზგითი აქვს. ამ მხარეში მეჩეთის მაგივრად მიზგითს ამბობენ. სხვა მეჩეთები და ორმოცი ლუქანიც არის. დახურული ბაზარი. არაა. ერთი აბანო და სამი ფუნდუკი აქვს. ძველად ერთ-ერთი მათგანი ტყვიით გადახურული დიდი ფუნდუკი ყოფილა. ამეამად დაბა მაინცდამაინც დასახლებული და დამშვენებული არ არის. ქალაქ ბოლუს ნავსადგურია ზღვის პირზე თავიდან ბოლომდე 70 საწყობია; ყველა ისინი ყავრითა და ფიქვის ფიცრებით არის სავსე. ამ ქალაქის სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეს მთებია და ამიტომაც მისი ჰავა სალია. აქედან შავი ზღვის ერეგლიში მოვედით.

**ჩობან-კულეს აღწერა:** ციცაბო კლდეზე [აღმართული] მშვენიერი ციხეა, მაგრამ ციხისთავი და მეციხოვნები არა ჰყავს. ციხის სიახლოეს მისი ამშენებლის გამოსახულებაა ამოკვეთილი თეთრ ქვაზე და კაცს ეგონება ცოცხალით. აქედან გავიარეთ მდინარეები; ფილიოსი, თუფადარი და ბართინი.

**მდინარე ბართინი:** დიდი მდინარეა. ეგვიპტის გემები იტვირთებიან და მიღიან. ბართინის მთებიდან გამოდის.

**ბართინის ციხე:** გენუელების აშენებულია. ყურეს ბოლოშია 18 მილის მანძილზე შიგნით. ბართინიდან ჩრდილოეთისაკენ 18 მილი გავიარეთ და ამასრას მიეაღწიეთ.

**ამასრას ციხე:** ბიზანტიის კეიისრის აშენებულია. პირველად კასტამონიის მფლობელ დანიშმენდანების ხელში გადავიდა, შემდეგ — ისმალების ხელში. ბოლუს სანჯაუში შედის და სავოევოდოა. მისი ციხე ზღვის პირზე მდებარე მაღალ გორაკზე, სწორეკუთხა ფორმის, გრძლად გაჭიმული მტკიცე და მიუვალი სიმაგრეა. თუმცა რამდენჯერ-

მე დაესხნენ თავს ამ ციხეს რუსები, გამარჯვებას მარც ვერ მიაღწიეს და გწმილებულნი და დამარცხებულნი გაბრუნდნენ. თხრილი არ აქვს, მაგრამ ციხისთვი, მეციხოვნები, 150 ახებიანი ყაზა და იანიჩართა სარდალი ჰყავს. ციხეში ჭამელი და მეტეთიც არის. სხვა შენობები 72 არაა. შესანიშნავი ბაზარი აქვს. სინოპის ციხე ამასრას აღმოსავლეთით მდებარეობს. მათ შორის მანძილი ხმელეთით ხუთი კონაკია და ზღვით — ასი მილი. ამასრა შავი ზღვის ერეგლის აღმოსავლეთით არის. მათ შორის მანძილი ხმელეთით ოთხი დღის სავალია და ზღვით — ორმოცდათი მილი. ამ ქალაქის ვენახი და ბალი, მრავალნაირი ხილი, მშვენიერი ქალ-ვაჟი ქვეყნიერებაზე განთქმულია. ქალაქის ორ მხარეს, აღმოსავლეთით და დასავლეთით, ორი დღიდი ნავსაყუდელია, რომლებიც რვა ქარისათვის უშიში, საუკეთესო საყუდელი და ჩერებული ნავსადგურებია. მშვენიერია ჰავა იმ არემარისა, რომელიც აღმოსავლეთით მდებარე ნავსადგურს აკრავს; მშვენივრად ნაშენი და მიმზიდველი აბანო აქვს. ნავსადგურთან საწყობებია. გავიარეთ მდინარე კიუ, რომელიც საზღვარია ბოლუსა და კასტამონის სანჯაყს შორის. აქედან გილუზის ნავსადგურამდე ორმოცი მილია. იქიდან ნავსადგურ გერინჩეს გავლით ქერქეს კონცხს ჩავუარეთ. იგი სინოპივით ვიწრო კონცხია — შეიძი მილია. მის კლდეებზე სამაგალითო წარწერებია. ინებოლუში მივედით.

ინებოლუს ციხის აღწერა: გენუელების აშენებულია. დანიშმენდიანთაგან ოსმალთა ხელშია გადმოსული. სასუბაშოა კასტამონიის მიწაზე. 150-ახებიანი პატიოსანი ყაზაა. იანიჩართა სარდალი, ციხისთავი და მეციხოვნები ჰყავს. მისი ციხე ზღვის პირას მდებარე ხუთწანაგოვანი და ისეთი მტკიცე რაბათია, რომ ენით გამოთქმა შეუძლებელია. იგი კასტამონიის ნავსადგურია. კასტამონიამდე ორი დღის სავალზე ნავსადგური არ არის — ლია ადგილია. აქედან ავიყარენთ. არახელსაყრელ, პირქარიან ამინდში ნიჩბები მოვუსვით და გზას გავუდექით. მეზღვაურებთან ერთად დიდად გავდებრდით. თანდათან გამოჩენდა სინოპის კონცხი. ღუზა ჩავუშვით სოფელ შათირის წინ, რომელიც დღის სავალის ბოლოა. მგზავრები გარეთ გამოვიდნენ. იგი დაბის მსგავსი, კეთილნაშენი სოფელია. კასტამონიის მიწაზეა. რადგანაც მისი მაღალი მთები ტყით არის შემოსილი, სამშენებლო ხე-ტყე უხვადაა. აქ დიდი ხომალდები შენდება. მოსახლეობა ყველანი ხუროები არიან.

აქედან ჩრდილოეთისაკენ ისევ ზღვის ნაპირ-ნაპირ 60 მილი რომ გავიარეთ, სოფელ ისთევანში მოვედით. ეს რეს ზღვის პირზე მდებარე, ბალ-ვენაბიანი, კასტამონიის სამფლობელოში მყოფი, დაბის მსგავსი დიდი სოფელი. ყველა სახლი კრამიტის მაგივრად ფიქალით

არის დახურული. იქიდან გზა განვაკრძეთ და სინოპის ციხეს მივალ-წით.

ძველი და მშვენიერი ქალაქის, ანუ სინოპის ციხის აღწერა: ჰიგ-რით 92 (711) წელს ომაელ სულეიმან ბენ აბდ ულ-ჰაჯის დროს<sup>2</sup> ომარ ბენ აბდ ულ-აზიზმა<sup>3</sup>, როგორც კი დაუპყრობლად დაბრუნდა სტამბოლის გარემოცვის შემდეგ, ამ ადგილს ალყა შემოარტყა და იმერ-გაცრუებული დარჩა. შემდეგ ხანებში იგი ბიზანტიელებისაგან და-იპყრო კასტამონიის მბრძანებელმა ულუ-ბეგმა. 796 (1354) წელს ილ-დირიმ ბადაზეთ-ხანის მიერ იქნა ალყაშემორტყმული და მიუხედავად იმისა, რომ მეტად ძლიერი და მტკიცე ციხე იყო, მესამე გარემოცვის დროს გახდა შესაძლებელი მისი დაპყრობა. კასტამონიის ვილაიეთში [გადასახადებისაგან] თავისუფალი, შეღავათიანი, აღწერილი და ძვე-ლად გაცემული ზეამეთია. ციხისთავი, სარდალი, შეციხოვნები, სა-მასახჩიანი ყადის ადგილი, ნაყიბ ულ-ეშრაფი, მუფთი, წარჩინებულ-ნი და დიდებულები ჰყავს. მოსახლეობის უმეტესობა ვაჭრები, ხუ-როები და ზღვისა და ხმელეთის სოვდაგრები არიან. ნაწილი უბრალო ხალხია, ნაწილი კი — ულემები და შეიხები. მოსახლეობის უმეტესო-ბა ჩოხას, ფარაფასა და ხალათს იცვამს. მცოდნე პირები ამ ქალაქს გა-ნედის მე-17 სარტყელს მიაკუთვნებენ. მისი სამხრეთი და აღმოსავ-ლეთი მხარეები მთიანია და მთლიანად ვენახებითაა დაფარული. კასტა-მონია აღმოსავლეთის მხარეს სამი დღის სავალზეა. ეს ქალაქი შავი ზღვის ანატოლიის ნაპირზე „სინოპის ქონცხად“ ცნობილ ქონცხე მდებარეობს. შავი ზღვის დასავლეთით, რუმელიის მხარეს ამ სინოპის ქონცხის საპირისპიროდ „გულფეზარ-სულთანის“ კლდიებია. სინოპი-სა და გულვეზის ქონცხს შუა თითქოს ერთი სრუტეა. სტამბოლის და ტრაპიზონის ნაპირები ისევ ფართო ზღვებია. სინოპი სტამბოლიდან ხუთასი მილის მანძილზეა. ეს ციხე სამსუნის დასავლეთითაა და მასა და სამსუნს შორის ოთხი დღის სავალია. [სინოპის] ციხე მაღალ გო-რაქზე მდებარე სამსართულიანი ძლიერი სანაპირო სიმაგრეა, რომე-ლიც ბიზანტიის კეისრის შვილმა სინოპე მეფემ ააშენა. ძალზე მტკიცე ქვის ციხეა. გარშემო კედლებზე ექვსი ათას ასი ქონგურია. კუმის კა-რი, მეიდნის კარი, ასენალის კარი. ენიჭეს კარი, დაბახანის კარი და შიდა ციხის ტერასებიანი კარი აქვს, რომელიც ქვეყანას დასცერის. ოლჩუს კარი და ქვედა ციხეში ზღვისკენ გამავალი კარი აქვს. ყველა 74 ორფრთიანი რკინის კარია და ყოველი მათგანი ||გაჩახჩახებულია. ციხე: სწორ ადგილზე დგას და მის ორ მხარეს ზღვა ეხეთქება. გრძლად გა-კიმული სწორეუთხედის მდებარეობა აქვს. მაგრამ თუ აუზთეფეს მთიდან შევხედავთ, აღბორეტო გემის მოყვანილობის მტკიცე ციხედ ჩანს. მისი ციხისთავი ზარბაზნის გასროლის მანძილზე თუ წავა ციხი-

დან, ქალაქელებს ხელში სამეფო ფირმანი აქვთ, რომლის ძალითაც იგი მოკლულ უნდა იქნას. ამის გამო ციხისთავი ციხეს ერთი ნაბიჯითაც ვერ სცილდება. სულთან აპმედ-ხანის ღროს კაზაკები დამით მოულოდნელად დაესხნენ ფავს ამ ციხეს, კიბეებით ავიდნენ კედლებზე და თიღეს. დიდევზირი ნასუფ-ფამა<sup>4</sup> სიკვდილით იქნა დასჯილი იმისათვის, რომ მან ფადიშაპს არ შეატყობინა ურწმუნოების მიერ ციხის აღების ამბავი. შემდეგ ციხე გათავისუფლდა, ორმოცდათი მეციხოვნე ციხის ქვედა ნაწილში ჩადგა, მრავალი ყანთარი თოფისწმალი. ათასი ცალი ღიღიდ და პატარა ზარბაზანი გამზადდა. იმ ღროიდან მოყოლებული ყოველდამ ორას-ორასი კაცი ბოლქების მეთაურებსა და ჩარაჭობენ. ღილის ნაღარების ნიშნის შემდეგ მორიგეები ასე ღალადებენ:

„ციხის სხეულში გაისმის მისი მორიგის კვნესა;

ბურჯის ქონგურიდან იძახის გულ — ერთია ღმერთი!“

ამგვარად, ყოველდამ ბრძოლისათვის გამზადებული არიან. მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე შემოარტყეს ალა ურწმუნოებმა, მეციხოვნეებმა ზარბაზანის ცეცხლში და მახვილის კბილებში გაატარეს და ამოწყვიტეს. ღიღიდება ღმერთს, მურად IV-ს ღროიდან აღარ მოსულან. ქალაქში, ციხის გარეთ და მის შიგნით, 24 უბანია. ქრისტიანთა უბანი ზღვის პირას მდებარეობს. ათას ასამდე ხარაჭის გადამხდელი ურწმუნოა. ამათგან ასამდე კაცი გათავისუფლებულია ყოველვერი [გადასახადისაგან], რაღგნაც მათ ციხის მოვლა და შეკეთება ევალებათ. სულ ათას სამოცამდე ძველი, სართულებიანი სასახლეა. მათ სახლებს დასაცლეთით, ზღვისაკენ აქვთ პირი მიქცეული. ციხეში არსებულ ყველა სამლოცველოს შორის უძველესია სულთან ალა ედ-ღინის ჯამე. ტავისი გუმბათიანი, ერთმინარეთიანი ჯამეა. სიგრძე სრული ასი ნაბიჯი აქვს. ისეთი მშვენიერი წმინდა აღვილი აქვს. რომ მისი მსგავსი არც ერთ ქვეყანაში არ არის. მიჰრაბი და მუედნის კათედრა შემკულია.

სინპის ჯამეს მინბარის აღწერა: ისეთი ნახელავი და შემკული ხელოვნების ნიმუშია, რომ მის საღიღებლად ქერობინთა გუნდიც უმწეოა, მაგრამ მე, მწირი, ძალას მოვიკრებ და ივწერ, თუმცა ეს ზღვაში წვეთი და მზის ნამცეცი იქნება. უპირველესად ყოვლისა, ხელოვან ოსტატს ეს სრულყოფილი მინბარი მარმარილოს ექვსი || დაუმუშავებელი ნაკრისავან შეუქმნია. თვალჩუბინმა და უველაფრის მცოდნებაც გულდასმით რომ დაათვალიეროს, ქვების ერთმანეთთან შეერთების აღვილს ვერ შეამჩნევს. თითქოს ერთი მთლიანი, კოხტა მინბარია. მარმარილოს ოსტატს თავისი ხელოვნების ძალა გამოუჩინია და რაც ღიღებულ ღმერთს დედამიწის ზურგზე მცენარეული და უვავილები შეუქმნია, ამ მარმარილოზეა გამოსატული. მისი ბადალი მინბარი სხვა

არ არის ისლამის ქვეყანაზე. მხოლოდ ბრუსას დიდი ჭაშეს მინბარი თუ იქნება და ისიც რამდენადმე. მაგრამ ამ მინბარის მოყვანილობა და კაზმულობა დედამიწის არც ერთ დასახლებულ ადგილას არ არის. რადგანაც აქ მყოფი სამი ფენა ისლამურად და ბიჭანტიურადაა ერთ-მანეთში გადახლართული, ნაოჭები, კულულები, ნილოსის ლოტოსის, ასკილის სურათები ლამაზად არის მოხატული. ერთი სიტყვით, ზღვისა და ხმელეთის ყველა მოგზაური, ლირსეული ადამიანები და ყველაფრისმცოდნე ისტატები ამ სანიმუშო მინბარს რომ ნახავენ, გათცდებიან და აღიარებენ, ადამიანისათვის მიუწვდომელია მასი შეფასებაო; ეს მხოლოდ ალაპის დიდებულ წმიდანთა შესაფერისი სასწაულომოქმედებაა. ასეთი მომჯადოებელი, სასწაულის მსგავსი უბალო მინბარია. რადგანაც ეს ლამაზი ჭამე ციხის გარეუბანშია, მრავალრიცხვანი მრევლი ჰყავს, მლოცველებს იზიდავს და ძევლი ტაძარია.

სულეიმანიის ჭამე: ციხის შიგნით ცალმინარეთიანი, კრამიტით დახურული ჭამეა. ენი ჭამე მოეღნის კარის უბანშია. ადა სოფიის ჭამეც კრამიტით დახურული ძევლი ტაძარია. ქეფელი ჭამე მოეღნის კარის გარეთ არის. მექმედ-ალას ჭამე ციხის მინდორზეა: ესეც კრამიტითა დახურული. კოხტად ნაშენი მინარეთი აქვს.

მეჩეთების აღწერა: ყაფანის მეჩეთი, ახასთას მეჩეთი, შეიხის მეჩეთი, დემირლი-ოლლუს მეჩეთი, დაბახანას მეჩეთი, ყადის მეჩეთი, არსლან-ბეის მეჩეთი, ახალი უბნის მეჩეთი, მეიდან კაფის მეჩეთი, სასახლის მეჩეთი, ყუბალ-ეფენდის მეჩეთი, თბილუას მეჩეთი, სექერანას მეჩეთი, ნავსადგურის მეჩეთი, ფუზვიდე-ეფენდის მეჩეთი, ფალიდე მუსტაფა-ეფენდის მეჩეთი. აი ესაა ის მეჩეთები და ჭამები, რომლებიც ჩვენთვის ცნობილია.

აბანოების აღწერა: ზემო ბაზარში ორგანყოფილებიანი აბანო. ქვემო აბანო ერთგანყოფილებიანია. განაპირი აბანოც [არის].

76 ॥ მედრესეები: სულთან ალ ედ-დინის მედრესე და სულ სამოცამდე პირველდაწყებითი სასწავლებელია ყმაწვილებისათვის. იმ ღროს, როდესაც ჩენენ ქალაქს ვათვალიერებდით, ორი ათასამდე ღვთის სიტყვის ზეპირად მცოდნე მამაკაცი და ქალი, გოგო და ბიჭი იყო, რომელთა შესახებ წარჩინებულები მოგვითხრობდნენ და ამაყობდნენ.

ერთი საქველმოქმედო სასადილო, ერთი ჰადისების სახლი და ერთი ყურანის საკითხავი სახლი არის. სულ ათას ოთხმოცამდე დუქანია. დუქნებში უხვადაა ძვირფასი ნივთები. აქაური გამტკიცული და თეთრი პური ქებულია. მისი ყურე დახურულ ნავსადგურს წარმოადგენს; ძალზე ფართეა. ქარისაგან საიმედო თავშესაფარი, საუკეთესო სადგომია, საღაც ლუზა კარგად მაგრდება. შავ ზღვაზე ამაზე მშვენიერი ყურე არსად არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბალაკლა-

ვის ყურეს. მაგრამ ამას მშვენიერი წყლები აქვს. ამ ქალაქის მშვენიერი ჰავის შედეგად ჭაბუკებსა და ქალიშვილებს სწორი ნაკვთები აქვთ.

სინობის წმინდა აღგილების აღწერა: სეიდი ბილალ-სულთანი და სუბბან ხოჯა ციხეში [არიან დამარხული]. მწვანე აკლდამაში — ჭიჭი სულთანი; ალა ედ-დინის მედრესეში — ყადი-ბეი-სულთანი; ქვე-მოთ — ბექირ ხოჯა; კუმის კარის [უბანში] — ემირზა-ეფენდი, მის მახლობლად — ჰამზა-ეფენდი; იქვე ახლოს — ემირ-ეფენდი — ღმერთმა გააპატიოსნოს ამ წმინდანების საიდუმლოება.

ქალაქის სამხრეთით ერთი განთქმული მაღალი მთაა, რომელსაც ბოზთეფე ეწოდება. უღრუბლო ამინდში გაღმა რუმელიაში მდებარე ქილგრადის მთები მოჩანს. ამ ბოზთეფეს მთაში ძალიან ბეკრი მელა, ტურა, კვერნა და დათვია. ამ ქალაქში სამ დღეს ვისეირნეთ და დავა-თვალიერეთ; შემდეგ ისევ ხომალდებში ჩაგსხედით და „ფინდიჭაკ აღზღდ“ წოდებულ აღგილას მოვედით. ამ აღგილას კეთილნაშენი სოფლებია. ყველანი მეზღვაურები და ღურგლები არიან. შესანიშნავ ხომალდებს აშენებენ. აქედან ვიარეთ და კიზილ ირმაკის სადგურში მივედით. აქაურობა კასტამონის სანჯაყის საზღვარია. მის მთებში კეთილმოწყობილი სოფლებია. დიდი მდინარე კიზილ ირმაკი ამ აღგილას ერთვის ზღვას. ეს მდინარე ანკარის სანჯაყის მთებიდან გამოდის, ჩაშნიგირ-ქოფრუშს, ოსმანჯიქის ციხეს ჩაუგლის, ჰაჯი ჰასანისა და თავსიეს ახლოს გაივლის და ზღვას წითელი სისხლივით ერთვის. ამი-ტომ უწოდებენ კიზილ ირმაკს. ძველი სახელწოდებაა ჰალისი. ამ აღგილების ზემოთ მდებარე მთებში წყლის ნაპირზე ციცაბო კლდეებზე ჩანს იემენური სარდიონი. ხანჯლისაში და დანის ტარიეთ ნაკრების 77 პოვნა დავიწყეთ. ამ აღგილებში კაზაკების შიშით აღარაა კეთილნაშენი დაბები. აქედან ავიყარენით და ბაფრაში მოვედით.

ბაფრას აღწერა: კანიქის სანჯაყის მიწაზე სასუბაშოა. 150 ახჩიანი აყვავებული და სოფლებიანი ყაზა. მთავარი სარდალი ჰყავს. სამსუნის სამხრეთ-დასავლეთით ერთი დღის სავალზე მდებარეობს. შავ ზღვასა და ბაფრას შორის ორი ფარსანგია. კიზილ ირმაკი ქუნან აბადის ნაკიედან აქეთენ მოდის და ბაფრას დასავლეთით ჩაუდის. ბაფრას ახლოს ამ მდინარეზე ფიქვის მორებისაგან ერთი დიდი ხიდია აგებული; ცისარტყელას მსგავსი, საოცარი, სანიმუშო ხიდია. ბაფრას ორი ჭამე, ორი აბანო და ერთი მცირე ბაზარი აქვს. სახლები მთლიანად ხისაა. აქედან სამსუნში ჩავედით.

სამსუნის ციხის აღწერა: ბიზანტიის კეისრის შვილის, ჰერაკლის აშენებულია. შემდეგ სელჩუკიანმა სულთანმა ალა ედ-დინმა დაიპყრო და თავის სამფლობელოს შეუერთა. შემდეგ ილდირიმ ბაიაზეთ-ხანის ხელში გადავიდა. სავალვოდოა ჭანიქის მიწაზე. სავმინოა. 150 ახჩიანი

პატიოსანი ყაზაა. იანიჩართა სარდალი, ქეთხულა, ციხისთვი და მეცი-  
ხოვნები ჰყავს. მაგრამ მუფთი და ნაკიბ ულეშრაფი არა ჰყავს. წარ-  
ჩინებულები და კეთილშობილები კი ბევრია. მოსახლეობა სულ მე-  
ზღვაურები და მეკენაფები არიან. მდაბიონი არ არიან, მაგრამ ულემა  
ბევრია. ყველანი შეძლებულობის მიხედვით თეთრ, ცისფერ, მაგრამ  
სუფთა ტანისამოსს იცავენ. ეს ქალაქი სინოპის სამხრეთ მხარეს ძევს.  
მისი ციხე ზღვის პირას მდებარე, მტკიცედ ნაშენი, ქვის შენობაა. ერ-  
ლაუს დამპყრობის (სულთან მეჰმედ III) დროს რუსებმა ეს ციხე  
აიღეს და თუმცა მისი ზოგი აღგილი დაანგრიეს, შემდეგ ისევ შეკეთ-  
და. მუსტოფი, ციხისთვი და მეციხოვნები არიან ჩაყენებული. 70  
კოშკი და ორი ათასი ქონგური აქვს. ამასის წინ გამდინარე ჩატშამბა  
ბაზარის წყალი სამსუნის სამხრეთ-აღმოსავლეთით შავ ზღვას ერ-  
თვის. დიდი მდინარეა, რომელსაც ფონი არა აქვს. პირველად თოქათს  
ჩაუვლის, შემდეგ ამასის პირდაპირ გაივლის, კიდევ მრავალ ქალაქს  
მორწყავს და სამსუნის ძირას შავ ზღვას ერთვის. მის შესახებ ამასიელ  
და თოკათელ მცხოვრებლებს შორის უწმაწური გამონათქვამი არის  
გავრცელებული: „თოკათი...ს და ამასია სვამს“-ო. ქალაქ სამსუნის  
78 მდინარეს|| ქანავქარიზს უწოდებენ. გემრიელი წყალია. სახლები კრა-  
მიტიანი, ბალ-ვენახიანია. მეღრეს, საქველმოქმედო ნაგებობა და ჰა-  
დისების სახლი არ აქვს. ყამწვილებს შვილი სასწავლებელი აქვთ. ყუ-  
რე არ აქვს — ლია ადგილია, მაგრამ ღუზის ჩაშვება გაინც შეიძლება.

სამსუნის სანაქებო აღგილები: აქაური მთის ველური ყურძენი  
და ბროწყულისფერი მსხლის მწნილი განთქმულია. რამდენიმე ათასი  
კასრით სტამბოლში მიაქვთ. რაც შეეხება გემის მისაბმელ კენაფის  
თოკებს, იმდენია, რომ აქედან შეიძლება მთელ ქვეყნიერებაზე გატანა.  
ქალაქი ყურეს მხარეს მდებარეობს; მთა, რომელიც ქალაქის სამხრე-  
თითაა, ზღვის ნაპირს უერთდება. ჩვენ თანმგზავრებთან ერთად ხო-  
მალდში ჩავსხედით, უქაროდ ვიარეთ და უნიეს ციხეში მოვედით.

უნიეს ციხის აღწერა: იგი აშენებულია ძველ დროს ტრაპიზონის  
მმრდანებლის უნის მეფის მიერ. სელჩუკიანი ქეიიყუბადის დაბყრობი-  
ლია. შემდეგ ოსმალთა მიერაა დაბყრობილი უმურ-ხანის ხელით. ქანი-  
ქის სანჯაყის მიწაზე სავოევოდოა. ასახიანი ყაზაა. ცალკე იანიჩართა  
სარდალი, ციხისთვი, მეციხოვნები ჰყავს, მუფთი და ნაკიბი არ ჰყავს.  
მისი ციხე ზღვისპირას მდებარე, ოთხეუთხა ქვის შენობაა.

მე და ჩემი მხანაგები ხომალდში ჩავსხედით, ისევ ჩრდილოეთი-  
საკენ ვიარეთ ნელი ზურგქარით და დაბა ფაჩაში მოვედით.

ფაჩას დაბის აღწერა: ზღვისპირას, ქანიქის მიწაზე მდებარე ზე-  
ამეთია, სამასი სახლი, ერთი ჭამე, ფუნდუკი, აბანო და მცირე ბაზარი.

აქვს. ვენახები და ბალები ნაირ-ნაირი ხილით არის დახუნძლული. მო-  
სახლეობის უმეტესობა ბერძნები არიან.

აქედან ავიყარენით და ისთეფანის კონცხად წოდებულ აღვილას  
მოვედით.

კონცხი ისთეფანი: ზღვისკენ მიმართული, გრძელი და ვიწრო,  
ათი მილის სიგრძე კონცხია. მის მთებში კეთილნაშენი ბერძნული  
სოფლებია. აქ, ჭანიქის მიწაზე, უხვმოსავლიანი სოფლებია. ეს კონ-  
ცხი გავიარეთ და ჩრდილოეთიდან ვონას ციხეში მივედით.

ვონას ციხის აღწერა: გენუელების მიერ არის აშენებული. შემ-  
დევ, აშერბაიჯანის მბრძანებელმა უზუნ ჰასანმა<sup>7</sup> გუმუშხანეს, ბაი-  
ბურთის, დუჭანჭას ციხეები რომ დაიპყრო, ეს ვონას ციხეც აიღო.  
ამის შემდეგ, სულთან მეჰმედ II ფათიჰის დროს ოსმალთა ხელში 79  
გადმოვიდა. ჭანიქის სანჯაყის მმართველობაში მყოფი სასუბაშოა.  
მისი ციხე ზღვისპირას მდებარე მრგვალი, ქველი ციხეა. ციხისთვი  
და მეციხოვნები ჰყავს, მაგრამ ჯაბახანა არც ისე მოწყობილია. სარ-  
დალი და 150 ახჩიანი ყადი ჰყავს. მაინცდამინც ბევრი წარჩინებუ-  
ლი არ ჰყავს. ჯამები, აბანო, ფუნდუკი და მცირე ბაზარი აქვს. მისი  
მოსახლეობა უმეტესად ბერძნები და მდაბიოთ თურქები არიან. ეს  
არის კარგი, ღუზის დამჭერი და დიდი ყურე, სადაც შეიძლება ბა-  
ვირჩე მობმული გემები ისე დაღვნენ, რომ ღუზა არ ჩაუშვან. ზურგ-  
ქარით ერთ დღეში გირესუნის ციხეს მივაღწიეთ.

გირესუნის ციხის აღწერა: სტამბოლელ კონსტანტინეს აშენებუ-  
ლია. თუმცა შემდეგ სულთან უზუნ ჰასანის ხელში გადასულა, მაგ-  
რამ გენუელებს დაუყრიათ. შემდეგ ფათიჰის (მეჰმედ II-ს) დროს  
მუსაპიბ მაჰმუდ-ფაშას საშუალებითაა დაპყრიბილი. ციხეს რომ  
იპყრიბდა, ფათიჰმა მაჰმუდ-ფაშას უბრძანა: „ამაღმდ ციხეში უნდა  
შეხვიდეო“ და იმისათვის, რომ ციხის აღგბისას სანგარში შევიდა და  
დაიპყრო, სახელად დარქმეული აქვს გირესუნი<sup>8</sup>. დედამიწის მე-17  
სარტყელშია. ტრაპიზონის ვილაიეთის საზღვრის დასაწყისში [მდება-  
რე] სახასოა ფაშისა. მისი მბრძანებელი მუსლიმია. სამასახიანი ყა-  
ზაა. იანიჩართა რაზმის სარდალი, ციხისთვი, მეციხოვნები, საბა-  
ჟოს გამგებელი, მუფთი და ნაკიბი ჰყავს. ზღვის პირას, ჭანიქსა და  
ტრაპიზონს შორის მდებარეობს. ტრაპიზონი გირესუნის აღმოსავ-  
ლეთით ძევს. აქაურობა, როცა გენუელების ხელში იყო, გაშენებუ-  
ლი და დიდი ქალაქი ყოფილა. მედამადაც ჩანს იმდროინდელი ხუროთ-  
მოძღვრების ძეგლები. მაგრამ ახლა გირესუნი იმდენად დიდი ქალა-  
ქი აღარ არის. მთავარ ნაწილში ჯამები, მეჩეთები, ქარვასლა, აბანო,  
სავაჭრო რიგი და ბაზრები აქვს. ციხე ზღვისპირასაა. ვენახებსა და  
ბალებში ბევრი ხილია. მისი ნაკვაღგური საუკეთესო, ღუზის დამჭე-

რი სადგომია. სანაპიროს მხოლოდ მაშინ სცემს ქარი, როდესაც და-სავლეთიდან უბერავს. ნაესადგურს სამხრეთით ერთი პატარა კუნძული აქვს. წყეულმა კაზაკებმა რამდენჯერმე დამალეს ამ კუნძულის უკანა მხარეს თავიანთი „ჩაიკა“ ნავები, ჩელეულზე ჭარი გაღმოსხეს, ამ ქალაქიდან მრავალი სიმღიდო წაიღეს და ქალაქი გადასწვეს. ეს მოხდა იმიტომ, რომ ციხე ქალაქს ვერ იცავს. რაღანაც ეს ქალაქი 80 ტრაპიზონის ვილაიეთს ემორჩილება, მომერ-ფაშას ჭარისკაცთაგან რამდენიმე, რომლებსაც ზღვა მობეჭრდათ, ტრაპიზონისაკენ ხმელე-თის გზით წავიდნენ. აქედან ავიყარენით და ჩრდილოეთისაკენ ზღვით ეროლუმის ციხეში მოვედრით.

**ეროლუმი:** ზღვისპირას, გორაკზე, ოთხკუთხა მოყვანილობის, ძველი პატარა ციხეა. ციხისთავი და მეციხოვნები ჰყავს. ნაესადგური მშვენიერია. მისი დაბა იმდენად კეთილმოწყობილი არ არის. ტრაპიზონის ნაპიეში შედის. მისი მოსახლეობა ჩინკალანის ბერძნებია. აქედან ზუმრეს კონცხთან მოვედრით. მის მთებში კეთილმოწყობილი სოფ-ლებია. აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ წავედით და გორელის ციხეს მივადევეთ. ნაპიე ტრაპიზონის მმართველობაში. მისი ციხე ზღვის-პირას, გორაკზე მდებარე, წაგრძელებული ოთხკუთხედის მოყვანილობის, გენუელთა აშენებული პატარა ციხეა. აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ გავემართეთ და ფოთოლის სადგურში ჩავედით. ერთ დიდ უურეში მდებარეობს. ალაგ-ალაგ დანგრეული ციხეები აქვს. ფოთოლის ნაპიედ წოდებული კეთილნაშენი სოფლები აქვს. სასუბა-შო და სანაიბოა. ფრიად აყვავებული მხარეა. ჩრდილოეთისაკენ ვია-რეთ და გილიეს ციხესთან მოვედრით. ესეც ტრაპიზონის ერთ-ერთი წაპიეა. ფრიად კეთილნაშენი ლაზების სოფლები შედის [ამ ნაპიეში]. ცალკე გამოყოფილი ზეამეთია და სუბაში ჰყავს. ზღვისპირას, მაღალ გორაკზე, გენუელების აშენებული ძეველი ციხეა. აქედან ბურუზის კონცხის ციხესთან მოვედრით. იგი ზღვისპირზე, კლდოვან კონცხზე მდებარე, ოთხკუთხა მოყვანილობის, მაგარი შენობაა. პატარა ციხეა და გარშემო კეთილნაშენი სოფლები აკრავს. რაღანაც ერთი ბერ-ძნი მდვდლის აშენებულია, ბურუზის ციხეს უწოდებენ. აქედან ახ-ლააბადის ციხეს მივადევეთ. აქაურობა ტრაპიზონის მმართველობა-შია. აყვავებული და გაშენებული დიდი ნაპიეა. მისი ციხე ზღვისპირზე ხუთკუთხა მოყვანილობისაა და ბერძნებისგანაა დარჩენილი. აქედან ფოლათა-ბაზარიში ჩამოვედრით.

**ფოლათა-ბაზარი:** ესეც ტრაპიზონის მმართველობაში მყოფი ნა-პიე და სასუბაშოა. მის გარშემო ასამდე აყვავებული და გაშენებული სოფელია და ამიტომ ამ ხეობაში კვირაში ერთხელ იმართება ბაზ-რობა და ათი ათასი კაცი იყრის თავს. აქ გაშენებული კეთილმოწყო-

ბილი, პატარა ქალაქი ვაკუფია ტრაპიზონში [არსებული] სელიმ-ხან პირველის დედის საქველმოქმედო დაწესებულებისა, რომელიც ხათუნიეს სახელით არის ცნობილი. სუბაში მოურავი განაგებს. აქ დიდი ყურეა, რომელიც შავი ზღვის მეზღვაურთა[შორის ფოლათას ნავსაღ-  
გურის სახელითაა ცნობილი. ექვსი ქარისაგან თავშესაფარი, ღუზას დამჭერი ფსკერიანი, მშვენიერი ნავსაღგურია. იქიდან გზა განვაგრძეთ და კალათიმანის ხევს მივაღწიეთ. ეს მდინარე ტრაპიზონის მთებიდან გმოდის და ფოლათას ნავსაღგურის ახლოს შავ ზღვას ერთვის. იქიდან ვიარეთ და მივედით აღილას, რომელსაც სარას ხევი ეწოდება. აქ კეთილნაშენი და შემჯული სოფლებია. მისი მცხოვრები მენექსილა<sup>9</sup> ნავებით ტრაპიზონში მიმოდიან. მოსაბლეობა ბერძნები და მუს-ლიმებია. სოფლები ტრაპიზონის სამხრეთით მდებარეობენ.

## XVIII

ადამიანის ძველი ვილაითის დიდი ასლარისა  
კეთილმოწყობილი ციხესა, ე. ი. კალაკ თრაპიზონისა

მისი ამშენებელი დიდი ალექსანდრეს ეპოქის ერთი მეფე ყოფილა. შემდეგ აზერბაიჯანის ბრძანებელმა სულთან უზუნ ჰასანმა ეს ქალაქი გენუელებს წარათვა და სახელად „თარაბ-ი ზენ“ უწოდეს, იმიტომ, რომ იმ დროს მისი მცყრობელი იყო სიტებოების მოყვარული ქალი. შემდეგ თემურის ამბების დროს, სულთან უზუნ ჰასანი მავერანნაცრისაკენ თემურის შესახევრად რომ წავიდა, სტამბოლის ხელმწიფემ ბერძენმა კონსტანტინებ ღრհო იხელთა და აქაურობა დაიყრო<sup>1</sup>. შემდეგ რვას სამოცდათვრამეტ (1473) წელს ფათიში მეპ-მედ-ხანი სტამბოლიდან სამეფო ფლოტით ტრაპიზონთან მოვიდა და ზღვა ჭარით ჭანჭას გზებით უზუნ ჰასანის წინააღმდეგ გაეშერა. თერ-ჭანის ველზე ბრძოლა გაიმართა და სულთან უზუნ ჰასანის ორმოცათასამდე ჭარისკაცი სულ მახვილის კბილებში გაატარეს<sup>2</sup>. სულთანი ჰასანიც უკუიქცა და აზერბაიჯანის ციხისაკენ გაიქცა. ამ ბრძოლას დაემთხვა [თარილი]: „მშიშართა ვაკუაცობა მზაკერობაა“. გარდა ამისა: „შეგეწიოს შენ ალაპ შეწევნითა დიდითა“<sup>3</sup>. თსმალთა შორის არავის გადაუხდია ისეთი დიდი ომი, როგორიც იყო სულთან მურად პირველის კოსოვოს ბრძოლა და[ეს] ბრძოლა. ამ ომზე 13 წლით ადრე 82 სულთან მეპმედ ფათიშმა ზღვისოდენი ჭარით სმელეთიდან და ზღვიდან ტრაპიზონს ალყა შემოარტყა. 865 (1461) წელს, სამოცდაათი დღის გარემოცვის შემდეგ ბერძენებს წარათვა. ჩადგანაც მისი ჰავის სიმშვენიერით დასტკანენ, მას უწოდეს „თარაბ-ი-ეფზუნ“ („სიამოვნების მომგვრელი“). კეშმარიტად სიტებოებისა და დროსტარების ადგილია. მისი ერთი სახელთაგანია „ქალაქი ქვემო ბათუმი“ და ერ-6. გ. ფუთურიძე.

თიც — „ლაზიერს ქალაქი“. ზოგნი „თარაბ ეფსუნს“ („ჩადოსმური სიტქბოება“) უწოდებენ. უბრალო ხალხი კი „ტარაბუზანს“ უწოდებს. შემდეგ ფათიჲ მეპმედ-ხანმა აქაურობა ტახტად დაიდო, იქ ფული მოაქრევინა, ხუტბა აღავლინებინა. სამ წელს ამ ქალაქში იმყოფებოდა და ჩრდილოეთით მდებარე გურჯისტანი, სამეგრელო, აბაზის ქვეყნა დაიმორჩილა<sup>4</sup>. უფლისწული ბახაზეთ-ხანი ტრაპიზონის მმართველად დანიშნა და თვითონ სტამბოლს წავიდა. შემდეგ, ბახაზეთ ველი და მოუკიდებელი ფადიშაპი რომ გახდა<sup>5</sup>, თავისი შვილი სელიმი თავის ადგილზე დანიშნა ტრაპიზონის მმართველად. ბოლოს სულთანი ბახაზეთი გარდაიცვალა და სელიმ პირველი გახდა დამოუკიდებელი ფადიშაპი. ირანთან პირველი ომი შაპ ისმაილთან გამართული ჩალდირანის ომიან, რომელიც მთელ ქვეყნიერებაზეა ცნობილი. შემდეგ ლაშქრობაში ეგვიპტის დასაპყრობად გამართა? ეს ცალკე ამბავია.

უფლისწული სულეიმანიც ტრაპიზონში გაიგზავნა და იქაური მმართველი გახდა. ეს ტრაპიზონი ძეველი ქალაქია, რომელიც ოსმალთა საგვარეულოდან ოთხი ფადიშაპის სატახტო ადგილი იყო. სულეიმან-ხანი 926 (1520) წელს<sup>6</sup> ფადიშაპი გახდა და თავისი დედა ტრაპიზონში გაგზავნა. ეს ქალაქი აღწერა, ბათუმის სანჯაყიც შეუერთა და ცალკე ვილაიეთი შექმნა. ორთულიანი საბევლიანებეგოა. მურად მეოთხისა და იბრაჰიმ-ხანის დროს საქმაოდ ბევრ თულიან ვეზირს ართალიერდ დაენიშნათ მაღალი წყალობით. მის ფუშას, სულეიმან-ხანის კანონის მიხედვით, ფადიშაპისაგან 3000 სახასო აქვს. მის სანჯაყში თერთმეტი სუბაშია. წლიურად ცხრამეტი ათასი ყურუშის ნიგოზი აქვს გარდაცვეთილი. კანონი თუ დაირღვა, მაშინ წლიურად ოცდაათი ათასი ყურუში იქნება. ვილაიეთი ხუთი სანჯაყისაგან შეღება: ჭანქა, ქვემო ბათუმი, ზემო ბათუმი, გონიო, ტრაპიზონი. ამათი ფაშა ტრაპიზონში ზის. კანონის მიხედვით თიმარის დავთარდარი, დაეთრის ქეთხულა, დავთრის ემინი, ჩაუშთა ქეთხულა, ჩაუშთა ემინი, პყავს. ||ორივე ბათუმის ლივას თიმარების დევთერდარის სახასო 40299 [ახჩა]. ტრაპიზონის ლივაში 43 ზეამეთი და 226 თიმარია. ბათუმის ლივაში — 13 ზეამეთი და 72 თიმარი. ტრაპიზონში სულ ოთხს ორმოცდათოთხმეტი საკარგავია. კანონის მიხედვით, ჭებელიებთან ერთად ათას რვაასი სახელოვანი მეომარია. რაც შეეხება ფაშას ჭებელიებს, ათასი ვაჟუაცია. ალაბეგი, ჩერიბაში და მუზბაშიებიანად სულ სამი ათასი შეიარაღებული მეომარია, რომელსაც კეთილმოწყობილი და გაშენებული სოფლები აქვთ იმ პირობით, რომ ლაშქრობის დროს მთელი ეს ჭარი თავითფეხებამდე შეიარაღებული უნდა შეიკრიბოს მთავრი სანჯაყის [ბეგისა] და ალაბეგის დროშის ქვეშ. ის ზეამეთი [რომლის მფლობელსაც] ჭარი არა პყავს, სხვას გადაეცემა.

ტრაპიზონი სულთან ქანების მიერ დამოაჩილმაული  
ტომების გამგები

აბაზას ტომები: ჯაჭვები, არლან, ჩანდალაჯილი, დიდი ჭანბები — ზღვის პირას არიან. გეჩები, ართები, კაშიშები, სოჭაები, ბუზუ-დუქები, კუთასები, აშალილი, ჯუკარილი, ჩამა, სოუქსუ, ნეთიჯე და სხვა სამოცდაათამდე ტომი და გვარია. ყველა ესენი მორჩილნი არიან. რადგანაც სამეგრელოსი და გურჯაისტანის [სხვა] ბეგებიც მორჩილნი არიან, ყოველწლიურად მშვიდობიანობისა და მორჩილების დასაღასტურებლად ორმოც-ორმოცდაათამდე ბიგსა და გოგოს, ათას წყვილ თივთიკის წინდას, სასახლის სამზარეულოსათვის ათას წყვილ ტილოს და სხვა მრავალ ძრვენს აგზავნიან და იწერება წიგნი პირობისა, რაც ტრაპიზონის ფაშებისაღმი მორჩილებას გულისხმობს.

ტრაპიზონის შემოსავლის ხუთასი ახჩა მევლევიელთა სარგოა. მაგრამ იმდენად საპატიო, მაღალი თანამდებობა არაა. ორმოცდაერთი ნაპირი აქვს, მაგრამ მათი უმრავლესობა ურჩია.

შეიხ ულ-ისლამი, ნაკიბ ულ-ეშრაფი, სარდლის ნაცვლად ერთი გაამაყებული იანიჩართა ჩაუში, სიფაპთა ქეთხულას ნაცვლად ქალაქის სუბაში, მუჰამადისიბის აღა, საბაქოს ემინი, ||შავბენდერი, თევზექერის ემინი, სამღებროს ემინი, ღვინის ემინი და სასანთლეს ემინი [არის]. სულ ჩივიდეტამდე მმართველია, რომელთაც დასჯის უფლება აქვთ. მათ ხელში აქვთ უზენაესი სიგელები. ის უზენაესი სიგელები, რომლებიც ხელში აქვთ ვილაიეთის წარჩინებულებს, თუ ღმერთმა ინება; თავ-თავის აღგილას იქნება აღწერილი. ეს ქალაქი დედამიწის მე-17 საარტყელში მდებარეობს. ბერძნული ქალაქთაგანია. შევი ზღვის აღმოსავლეთ მხარეს ყურეს მსგავს ზღვაზე მდებარე სამოთხისებური, შემკული ქალაქია. სტამბოლის სრუტიდან ტრაპიზონის ნავსაღვურამდე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ სრული ათასი მილია საგალი. რადგანაც გეზიქის მთაც ტრაპიზონის აღმოსავლეთ მხარეს არის, ამიტომ მისი ხალხის სახელწოდება — „გეზიქი ხალხი“ — შეცდომით გამოითქმის და „ლაზიქას“ უწოდებენ. ზოგიერთები კი სიადვილისათვის „ქ“-ს და „ი“-ს ჩამოაცილებენ, კვეცენ და „ლაზ ხალხი“-ო, ამბობენ. ყაზი სულთან მეტმედ ფათიშმა, ეს ციხე რომ დაიპყრო, გარშემო ქვეყნებიდან ბევრი სხვადასხვა წარმოშობის ხალხი ტრაპიზონში მოაყვანინა და დასახლა. მოსახლეობის უმეტესობა ლაზებია. მოუხეშავი ხალხია. ამჟამად ყველანი იანიჩარებია, რომლებიც დაბადებიდანვე ჯარისკაცთა შვილები და ჯარისკაცები არიან.

**მათი სახელები:** ალი-ფეშე, ველი-ფეშე, ჰუთავერთი-ფეშე, ჩაფერ-ფეშე, ფეშირ-ფეშე, ფასლი-ფეშე, მემი-ფეშე, მისირ-ფეშე, ფახრად-ფეშე, მეპმედ-ფეშე.

**მეტსახელები:** ფართულ-ოღლუ, ფოდულ-ოღლუ, ფაზარაზ-ოღლუ, კუშუმბურ-ოღლუ, კათრაზ-ოღლუ, ქალაფათ-ოღლუ, კუსლუჭ-ოღლუ, ჯონდა-ოღლუ, ალიაქი-ოღლუ, სურმენელი-ოღლუ, ფეფული, კიშიდიარი, სიამი, ჯურკალი, ჰაჯი ჩიჩი, კუთუზ მისლი, ალი ბეშარ, გონალი, ალიფეშე.

**ქალთა სახელები:** მათი გამოხვისი მიხედვითაა: უმიპან, ესმაპან, რაფიე, ასიე, ხანიფე, აფიფე, სანიჩე, ფათმა, ხუჯეთი, თუნთი, გულ-შაპი, მემერმაპ, ხავა, ხომა, ზახლე, ანიფე.

**მამაკაცთა სახელები:** უსუფ, ფაფუვან, ქანანინელახ ყული, რუსთემ, აფართი, ჯანსი, ხალი და კიდევ მრავალი ამგვარი უცნაური სახელია. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ სინამდვილეს, ესენი განთქმული სახელებია. ეს კია, რომ ისინი ლაშებს თავიანთი ენისათვის შეუგუებიათ და დაუმახინჯებიათ. ტრაპიზონში მცხოვრები გულშენის მიმდევარნი არიან. სუფთა ჯუბიანი და ტანისამოსიანი, გაგებული ხალხია.|| მათ შორის ღაზელების მთქმელები და სპარსულის მცოდნე რამდენიმე პოეტი არის. იმ ღრმას, როდესაც ჩენე იქ ვიყავით, დახვეწილი ენის, დივანის მქონე თერთმეტი პოეტი იყო, რომლებიც ნატიფე ენითა და ნარნარი სიტყვაწყობით სახელმოხვეჭილი ოქჩუზადეს შესაძარი არიან.

**ტრაპიზონის პოეტების შექება:** პირველად [უნდა ვახსენოთ] პოეტთა მეწინავე განარ-ეფენდი. იგი თაიარ მეპმედ-ფაშას<sup>1</sup> რეიისი იყო. შემდეგ მელექ აპმედ-ფაშას მდივან-მწიგნობართა უფროსი გახდა. „კამუსი“, „აპთერი“, „შემი“ მთლიანად ზეპირად უსწავლია. ერაყელ ჰაფეზს<sup>2</sup>, ფუზულის<sup>3</sup> დივანს მთლიანად დაუფლებია. ანბანის რიგზე გაწყობილი სრულყოფილი დივანი აქვს. როდესაც მელექ აპმედ-ფაშა<sup>4</sup> დიდვეზირობიდან გადასცენეს, ოზუს ვილაიეთში დაინიშნა. [შემდეგ] რუმელის ვილაიეთი ეწყალობა. [განა ეფენდი] მისი რეიისი გახდა და მასთან იყო. ბოლოს გვერდში წყალი ჩაუდგა და ამ სნეულებით გარდაიცვალა. ქალაქ სოფიაში, დერვიშ მეპმედ-ფაშას ჯამეს მიკრაპის წინ დამარხეს. მისი გარდაცვალების წელი არის სიტყვა „განაა“ — 1061 (1651). განარ-ეფენდის ქ ალი ჯანი მამის შემდეგ მელექ აპმედ-ფაშას რეიისი გახდა. კეთილშობილი, მეცნიერი, დივანის შემქმნელია. სამშენებლო მეცნიერებაში სამი ტომი თხზულება აქვს. ისეთი, რომლის გვერდით „ვეისძს“ მეითხველი ანა-ბანას მკითხველი ბაგშედა. შვერიერი ყოფაქცევის, მეჯლისის დამამშვენებელი დარბაზსელი იყო.

ტრაპიზონის ციხის ქება: ბოზთეფეს კალთებისა და შავი ზღვის ნაპირის შუა ორი დიდი ციხეა. სამი ნაწილისაგან შედგება. ერთ მათგანს ქვედა ციხეს უწოდებენ, მეორეს — შუა ციხეს; შიდა ციხეს — „კოშკის ციხეს“ უწოდებენ. „კოშკის ციხე“ ყველა მათგანზე მაგარი და მტკიცე ციხე-სიმაგრეა, იმიტომ, რომ ბოზთეფე ზურგში ზღვდედ უდგას. მაგრამ მთის მხარეს ქვესკნელის მსგავსი ღრმა თხრილია, რომელსაც სამოცდაჩვიდმეტი კაცის სამალავი აქვს. სუფოა და გამოკვეთილი კლდეა. შიგ ერთი ჭამე, მეციხოვნეთა თავშესაფარი სახლები, საწყობები და ჭაბახანებია. ჩრდილოეთის მხარის კედელს შუა ციხისაკენ მიშვერილი კარი აქვს. გარე ქალაქში გასასვლელი კარი ესაა — სხვა არა აქვს. თუმცა, ერთი საიდუმლო კარი აქვს მუდამ დაკეტილი და [მხოლოდ] საჭიროების დროს იღება. შუა ციხე მოგრძო, მტკიცე კედლიანი და გამაგრებულია. ციხის აღმოსავლელის მხარის კედელში „ყალას“ სახელით ცნობილი ციხის შუა ციხისაკენ გამავალი კარის //ახლოს არის „ეგნი ჭუმად“ წოდებული კარი. მეორე 86 კარი ასევე ამ კედლის აღმოსავლელი მხრის ბოლოშია. ყველა დაბალის სახელოსნო ამ კარის გარეთაა. ამიტომაც უწოდებენ მას დაბალების კარს. ამ კარს წინ ერთი პატარა მდინარე ჩაუდის. მდინარე სათავეს იღებს აღმოსავლელით მდებარე ბოზთეფეზე, ლაზიკის მთებში გროვდება, დაბახანებს შორის გაივლის და ზღვას ერთვის. ზოგჯერ აღიდებული მოღის. დაბალების კარის გარეთ, დაბალების ბაზარში ქვის ღიდი შენობები და ქვით ნაგები ღიდი ხიდია, რომლის ამშენებელი სულთანი უზუნ ჰასანია. ეს უზუნ ჰასანი არზრუმის აღმოსავლელით მდებარე ჰასან-კალეს მფლობელი იყო და შემდეგ ტრაპიზონის მფლობელიც გახდა. მესამე კარი ამ ციხის დასავლეთ მხარეს [მდებარე] „ზინდანის“ კარია. ყველა მყვლელი და ვალებში ჩაფლული ამ კარის კოშკშია ჩამწყვდებული. ამ ციხის კარის გარეთ ასევე ქვით აშენებული ხიდით შეიძლება გადასვლა ზაგანოსის კარისაკენ. ეს ხიდი ციხის შიდა ზღვდეს განეკუთვნება. ზინდანის კარიდან ზაგანოსის კარამდე ეს ხიდი კედლის გასწვრივ არის მიშენებული. მეოთხე კარი ამ ზღვდის ჩრდილოეთის მხარის კედელში ქვედა ციხისაკენ გადის. ამიტომ ამ კარს „ქვედა ციხის კარს“ ეტყვიან.

**ქვედა ციხე:** მისი ჩრდილო კედლი ზღვის ნაპირზეა. ოთხეუთხა მოყვანილობის წაგრძელებული ციხეა. ამასაც ოთხი კარი აქვს. პირველი ზაგანოსის კარია. ამ კარსა და ზინდანის კარს შორის ციხის ზღვდის გასწვრივ მდებარეობს გრძელი ხიდი. მეორე „სუთპანეს“ კარია. [სუთპანე] ქრისტიანთა უბანია და ციხის კედლის გარეთ ზღვის პირას მდებარეობს. მესამე მოლოზის კარია. ბერძნულად „მოლოზი“ ეწოდება წვრილ კენჭს. რაღაც ამ უბნის სანაპირო მთლიანად კენ-

ჭებით არის მოფენილი, მოლობის კარს უწოდებენ. ლაზურ ენაზე მოლოზი ეწოდება დანგრევამდე მისულ შენობებს, რომლებსაც ბოძები აქვთ შეღმული. ეს კარი ზღვისკენ გადის. ამ ქვედა ციხის ორი მხრის კედლები ზღვას ებჯინებიან. ორივე კუთხიდან ზღვაში კედლები ჩადის. ეს იმისათვისაა, რომ აღიკვეთოს უბრალო ხალხისა და მტრის გავლა. ეს კარი მაინცადამაინც არ არის გამოყენებული. მეოთხე მუმ-  
87 ჰანეს კარია. ||ტრაპიზონში თაფლისა და ქონის სანთელი ბევრია. ამ კარს ხმარობენ და სხვა მხრიდან არ უშევებენ. სანთლის სახელოსნო სახაზინოა და ცალკე განმებელი ჰყავს. ამგვარად, ციხის კარების ამზავიც აქ დამთვარდა. ამ სამსართულიანი ციხის გარშემოწერილობა ცხრა ათასი ნაბიჯია. ტრაპიზონის სახლების უმეტესობას ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით აქვთ პირი მიქცეული. ყველა სახლი ლალისფერი კრამიტითა დახურული.

### XXX

სულთანების, ვეზირებისა და კალაპის რარჩევებულება  
გვამიგრის აღმოჩნდა

შუა ციხე-სიმაგრის ჭამე: ძველად შუა ციხეში ფრიად შემკული ეკლესია ყოფილი. დაპყრობის შემდეგ უავგუსტოესი ფათიშის მიერ ჭამედ არის გადაკეთებული. მისი შიდა ნაწილი სინათლით სავსეა. მიქრაბი და მინბარი ძველი ნაკეთობაა. აღმოსავლეთით მას უერთდება ხონთქრისათვის გამოყოფილი აღგილი. ხის ნაწილები კიბარისის, კაქლის, ბზის ფიცრებისაგანაა გაკეთებული. ლამაზი მინარეთი აქვს. გარეთ, [ჭამეს] წმინდა ეზოს ოთხივე მხარეს მედრესეს სენაკები აქვს. ამგვარად, ამ ჭამესა და ციხეში მდებარე კიდევ ორი ჭამეს გარდა, სხვა ჭამები [ციხის] კედელს იქით არიან და ტრაპიზონის დასავლეულ ნაწილში მდებარეობენ. დასავლეთის რაბათში ოთხი ჭამეა. აღმოსავლეთით მდებარე რაბათში ორი ჭამეა.

შუა ყალას ჭამე: მეტად შემკული, კეთილნაშენი, ერთშინარეთიანი მშვენიერი ჭამეა.

სათუნიეს ჭამე დასავლეთის რაბათში: იგი სულეიმან-ხან I-ს დიდ-სულოვანი დედის მიერაა აშენებული. ნათელი ჭამეა. მეტად ძლიერი ვაკუფი აქვს. თვით ფოლათა ფაზარის სახელით ცნობილი დაბაც ამ ჭამეს ვაკუფთაგინია. სხვა მრავალი კეთილმოწყობილი სავაკუფო სოფელიც აქვს. ერთიანად მომინანქრებული გუმბათი შიგნიდან ყოველად მრავალი კანდელით არის გაჩირალდნებული. კედლის გაყოლებით ერთ რიგად შავი და გაკრიალებული ქვის სკამი მისდევს. ერთი სოფა

თეთრი, გაյრიალებული ქვებით არის აშენებული. ამ ჯამეს დამთავრების ზუსტი თარიღი 920 (1514) წელია, რაც ასოებით სიტყვა „ფეომეტო“-შია! მოცემული.

|| ხულეიმან-ბეიის ჯამე: ხათუნიეს ჯამეს დასავლეთითაა. მათ შო- 88 რის მანძილი ერთი მილია. კავაკის მოედანზეა აშენებული. მრავალ- ჯამაათიანი ჯამეა. ერთი მინარეთი აქვს.

ახა ხოფიას ჯამე: სულეიმანის ჯამეს დასავლეთითაა. ზღვისპირას მდებარეობს. ურშმუნოების დროსაა აშენებული. მას შემდეგ, რაც გურულთ ალი-ბეიმ — ამ ვილაიეთის განმგებელმა, ფალიშაპის უდი- დებულესობას მოხსენება წარუდგინა, იგი სულთნის ბრძანებით ჩა- მოართვა [ქრისტიანებს] და 991 (1583) წელს საკრებულო ჯამედ აქ- ცია, რომელსაც სულთნისათვის განკუთვნილი ადგილი და მიმზიდვე- ლი მინდერი აქვს. სამხრეთის კარიდან მიპრაბამდე ჯამეს შენობა ოდ- ნავ მოგრძო მოყვანილობისაა. ამ ჯამეში ყოველნაირი მარმარილოს ისეთი სკეტებია, რომ მათ საქებად ენა არ მყოფნის. ერთი მინარეთი, ძველებური მოყვანილობის სადა და ლამაზი მიპრაბი და მინბარი აქვს, მის გარშემო ზეთისჭილის ბაღებია.

ერდოღდუ-ბეიის ჯამე: ხათუნიეს ჯამეს სამხრეთითაა. ამ ორ ჯა- მეს შორის მანძილი ნახევარი მილია. ეს ჯამე მთავრის სასახლის უბან- შია. ძეველთაგანვე მეჩეთად იყო აშენებული. შემდეგ ერდოღდუ-ბეიის იგი ჯამედ გადაუკეთებია ფალიშაპის ბრძანებით 980 (1572—1573) წელს. კოხტა, დიდი ხელოვნებით ნაგები მინარეთი აქვს.

ხენი ჯამე: ძეველად ეკლესია ყოფილი. შემდეგ, რაღანაც მუსლი- მთა უბანში იღვა, ჯამედ გადაკეთდა. მალლობზე მდგარი, უხვპარია- ნი ჯამეა.

ისკანდერ-ფაშას ჯამე: „ქაფირ მეიდანის“ სახელით ცნობილი დი- დი მოედნის აღმოსავლეთ მხარეს მდებარე ჯამეა, რომელსაც ლურჯი გუმბათი და კოხტა მინდერი აქვს.

ტრაპიზონის მედრესეები: შეა ციხის: ჯამეს წმინდა ადგილის გა- რეთ, ჯამესთან სენაკებად მიშენებული, ფთხოვ მეტედ-ხანის შშენი- კრი მედრესეა. საესეა ცოდნის მაძიებლებით. ამ მედრესეს აქვს დი- დი საყაზო დაწესებულება და საჯარო გაქვეთილების სახლი. ეს არის ბრძენთა, მშერმეტყველთა და პოეტთა საკრებულო, ლამაზი მედრე- სე, რომელიც ზემოხსენებული სულთნის შექმნილი და ნაქველმოქმე- დარია.

მედრესე ხათუნიე: ჯამეს წმინდა ეზოს ოთხივე მხარეს მაღალი სენაკებით || შემქული ცოდნის სახლია. გაკვეთილი საჯარო აქვთ. ამ 89. დაწესებულებასა და მოსწავლეებს ოვიდან თვემდე ვაკუფისაგან ეძ-

ლევათ განსაზღვრული ულუფა; ხორცისა და საწლის ფულიც ეძლევათ.

ისკანდერ-ფაშას მედრესე: ჯამეს წმინდა ეზოს ჩრდილოეთით მრავალრიცხვობანი სენაკებით გაწყობილი, კეთილნაშენი სასწავლებელია, რომლის მოსწავლეებს განსაზღვრული ულუფა აქვთ. მისი ვაკუფები ფრიად კეთილმოწყობილია.

ტრაპიზონის [ყურანის] საკითხავი სახლები: შუა ციხის [ყურანის] საკითხავი სახლი ფათიჰის ძეველ ჯამეშია. ყურანს კითხულობენ, ზეპორად სწავლობენ და ღალადებენ.

ხათუნიეს საკითხავი სახლი: შვიდი მთიების კითხვა, წინადაცვეთა, შატების ღოცება ხდება. მეჭუდინი და პაფიჩი ბევრია.

ისკანდერ-ფაშას საკითხავი სახლი: ნამი-ეფენდის სახელით წოდებული, ლექსებისა და თაყრიბის მთხველი წყნარი ადამიანი საკითხავი სახლის შეიხად ჰყავს.

ტრაპიზონის ყმაწვილთა სასწავლებელი: შუა ციხეში მდებარეობს ფათიჰის სასწავლებელი და ახალი ჯამეს სასწავლებელი. ამ უკანასკნელის ყმაწვილების მასწავლებელია ბრწყინვალე წარმატებისა და დიდად დაფასებული წმინდა შეის რიგალი. ვისთანაც იგი გრთხელ იტყვის უმწიკელო სარწმუნოების „ბისმილას“, უხვად შეწყალებული იქნება, განსწავლული და ბრძენი გახდება.

ხათუნიეს სასწავლებელი: მისი ჯამეს დასავლეთის მხარეს კოტა გუმბათიანი, ქვით ნაშენი მაღალი სასწავლებელია, რომელშიც რჩეულთა და ღარიბ მდაბიოთა ახალმოწიფიული ბავშვები სწავლობენ. ყველა ობოლს გაყუფისაგან დღეში ორჯერ ეძღვევა საშმელი, სადღე-სასწაულოდ — ტანისამოსი, თივთიქის ქული, ფული და საჩუქრი. აშენების თარიღია 920 (1514) წელი. ისკანდერ-ფაშას სასწავლებელი: ესცე ცნობილი სასწავლებელია.

ტრაპიზონის აბანოები: შუა ციხეში ორი მშვენიერი აბანოა, რომელთაგან ერთი ციხის კედელში ქვემო ციხისკენ გამავალ კართან არის. მისი ჰაერი, წყალი და შენობა მშვენიერია. იგი მამაკაცებსა და ქალებს ემსახურება — ორგანულფილებიანი აბანოა. მეორე შიდა ციხის ჩრდილოეთი მხარის კედელთან არის და კოშკის აბანოს უწოდებენ. მისი წყალი და ჰაერი მშვენიერია. ურწმუნოთაგან შემორჩენილი აბანოა. საქველმოქმედო აბანო — ხათუნიეს ჯამეს სიახლოვესაა. || ქვედა ციხის აბანო: ერთგანყოფილებიანი, მშვენიერი აბანოა. ისკანდერ-ფაშას აბანო: ორგანულფილებიანი და ძალზე სასიამოვნო აბანოა. ქაფირის აბანო: ახალი ჯამეს უბანსა და ქაფირთა მოედანს შორის კარგი ჰაერიანი აბანო. ოქფურის სასახლის აბანო: ამას გარდა ორას ორმოცდახუთამდე სასახლისათვის განკუთვნილი აბანოც არის.

**ტრაპიზონის ბაზარი:** მის სავაჭრო რიგების შორის ყველაზე რჩეული არის ამქარი, რომელიც მუშანეს კარის გარეთაა. ესენი კარის პირისპირ, ზღვისპირზე მდებარე ერთიმეორებზე მიწყობილი დუქნებია. ქვით აგებული დიდი დახურული ბაზარი აქვს; აქ რომ ვაჭრებია არიან, მდიდარი, გულუხვი, დარბაისელი და ბრწყინვალე სოვდაგრებია. შეა ციხეში ყველა სახის ხელისანია წარმოდგენილი, ესენი 70—80-მდე ლუქანს შეადგენენ და მათ პატარა (ქუჩუქ) ბაზარს უწოდებენ.

**ტრაპიზონის საქველმოქმედო დაწესებულებები:** შეა ციხეში მდებარე ფათიძის საქველმოქმედო დაწესებულებაში ყველა მდიდარისა თუ ღარიბისათვის მუდამ უხვად არის წყალობა. ხათუნიეს იმარეთი მის ჯამეს აქვს მიშენებული და ტრაპიზონში მისი ბადალი სხვა არ არის. ჯამეს სამხარეულო და სასადილოა. გამვლელ-გამოვლელთათვის წყალობა უხვია. ერთი პურის საცხობია. საქველმოქმედო აცხობენ წმინდა და თეთრ პურს და მწირებს უხვად აპურებენ. სურასათის შესანახად ერთი დიდი საკუპნაოა, რომელიც პირთმდე სავსეა. სამხარეულოს ცალკე სასადილო აქვს მიღდგული, რომელიც საგანგებოდ ცოდნის მაძიებელთათვისაა განკუთვნილი. ყოველდღე დილაობით და შეაღლისას მოსწავლეებს თითო ჯამ წვენსა და თითო პურს აძლევენ. პარასკევ ღამეს ფლავს, ზაფრანიან ბრინჯის შეკამადს და ხახში მოხრაკულ ხორცს ურიგებენ. ასეთია ქველმოქმედის ნაანდერძევი პირობა — დაიფაროს იგი ალაპმა.

**ტრაპიზონის მცხოვრებლების გარეგნობა:** იმის გამო, რომ მეხუთე საჩტყელშია, მისი ჰაერა მშენიერია და ამიტომ მთელი მოსახლეობა მხიარული, ბედნიერი; სიტქბობისა და სმა-ჭამის მოყვარული, უზრუნველი და უდარდელი, მშვენიერი მეგობრები, ერთგულად მოყვარულები არიან. მათ ღალავა სახის ფერი აქვთ, რაღანაც მათი ქალები აბაზა, ქართველი, ჩერქეზი ტურქები არიან. მათი ვაჟები და ქალი-შეილები ისეთი ლამაზები არიან, თითოეული მათგანი თითქოს მოვარის ნატეხია.

**ტრაპიზონის მოსახლეობის საქმიანობა:** ამ ქალაქის მოსახლეობა ძეველთაგანვე შეიძიო ფერნა. ერთი ფერნა წარჩინებულები, დიდებული ბეგები და ბეგთაშვილები არიან, რომელნიც სიასმურის ქურქიან ბრწყინვალე ტანისამოსში არიან ჩაფლულნი. ერთი ნაწილი ულემები, კეთილმორწმუნები და სხვა საპატიო მდგომარეობის ხალხია. ||ულემები დიდად განსწავლული ხალხია, რომლებიც განსაკუთრე- 19 ბულ ტანისაუმელ-მორთულობას ატარებენ და დიდ პატივისცემას იწვევენ. მესამე [ფერნა] ვაჭრებია, რომლებიც აზოვში, კაზაკებთან, სამეგრელოში, აბაზას ქვეყანაში, ჩერქეზეთში და ყირიმში დაიარებიან

და ვაჭრობენ. შალის ფარაგას, კონტუშს, ხიფთანს იცვამენ. მეოთხე [ფენა] ხელოსნები არიან და ყველანი შალის ფარაგასა და ნარმის ხალათებს იცვამენ. მეხუთე [ფენა] შავი ზღვის მეზღვაურები არიან, რომლებსაც აცვიათ მათთვის დამახასიათებელი ტანისამოსი — ღუზის ამწევებისათვის: შარვალი, შალის ხიფთანი. თავზე იხვევენ ნარმის ჩალმას. ზღვაზე ვაჭრობენ და საქმიანობენ. მეექვსიე [ფენა] მევენახები და მებალეებია, იმიტომ, რომ ამ ქალაქის ბოზ-თეფეს ჩოტი მთლიანად ბალნარია და სულ დავთარში აღნიშნულია 31 ათასამდე ბალი და ვენახი. მეშვიდე ფენა მეთევზებია, რაღანაც ტრაპიზონელებს თევზი ძალიან უყვართ.

ტრაპიზონის განთქმულ სახელოსნოთა აღწერა: ტრაპიზონის ოქრომჭედლების მსგავსი სრულყოფილი ოსტატები მთელ დუნიაზე არ არიან. თვით სელიმ პირველსაც კი, რომელიც აქ დაიბადა, ყმაწვილობაში მეზარნიშვილის ხელობა შეუსწავლია და მისი მამის — ბაიაზეთ-ხანის სახელზე ტრაპიზონში ფული მოუჭრია. მე, მწირმა, ეს ფული ვნახე. ამგვარად, მას შემდეგ [ტრაპიზონის] ოქრომჭედლებმა სახელი გაითქვეს. ერთვარ ცხენის ლაგამებს, საცეცხლურებს, ვარდის წყლის თასებს, ხმლებს, ღაშნებს, ზზარეულის დანებს აკეთებენ ისეთებს, რომ მათი მსგავსი სხვა ქვეყანაში არ მოიძებნება. აკეთებენ დანებს, რომლებიც გურგურ-ოლლუს ჭანის სახელითაა ცნობილი. აქ ერთი სახის ცულებს აკეთებენ, რომლებსაც ტრაპიზონის ცული ეწოდება და სხვა ქვეყანაში მისი მსგავსი არ არის. ძალზე ქებული და მაღალსახისხოვანი სადაფის სახელოსნო დაფები, ზანდუები, წნაშერის საშრობი] ქვიშის ჩასაყრელი ყუთები, სამელნები ერთი აქედან გააქვთ. და ერთიც — ინდოეთიდან.

ტრაპიზონის საჭმელები და სასმელები: ბოზ[თეფეს] მთების ყურძნით დაყენებული, წეროს სისხლის ფერი შირა ფრიად მშვენიერია და სრულიად არ ათრობს. აქაური შარიათის წესზე სამჯერ მოღულებული და შესქელებული, შაქრითა და მიხაკით შეკაზმული სასმელი და მუსკატი ფრიად საამოა. საჭმელებიდან [აღსანიშნავია] ხილი, განსაკუთრებით — ბალი, ლეპიგანის მსხალი, ბეგის მსხალი, გულაბი მსხალი, სინოპის ვაშლი, ნამიერის ყურძნენი, ყურძნენი მელექე და ევროპული ყურძნენი მეტად მშვენიერი დგება. ბაღრიგანა ლელვს ეტყვიან — ერთი ჯიშის ლელვია, რომელიც იმდენად ტკბილია, რომ მისი ოდნავ მსგავსი ნაზილლიშიც კი არ მოიძებნება. ლიმონი, თურინჯი, ბროჭეული, 92 ზეთისილი ყოველ მხარეს განთქმულია. შევადი ჯიშის||ზეთისილია. ტრაპიზონის ზეთისილის ერთი წვრილი ჯიშია, მკვახეც იჭმევა; შავ ბალს ჰგავს. აქაურობისთვისაა დამახასიათებელი და ტრაპიზონის ინდის ხურმას უწოდებენ. თონეში ახმობენ და სხვადასხვა ქვეყნებში

აგზავნიან. ორი-სამი კურკიანი და მეტად გემჩიელი ხილია. ტრაპი-ზონში მრავალნაირი ყვავილი ხარობს. განსაკუთრებული ლალისფერი ერთგვარი მიხაյია, რომლის თითოეული ცალი გაშლილი წითელი ვარდივით ნაზია. მისი სუნი კაცი გააბრუებს. თითოეული მათგანი უყუნწოდ ხუთ-ხუთი, ექვსი დირჩემი იქნება [წონით].

მათი სანაქებო თევზები: ზღვის ქორჭილა და კეფალი ძალზე გემრიელია. ერთ მტკაველზე დიდი წითელთავიანი და ფორაჭებიანი თევზი, კულური, სკუმბრია და კიდევ ათასნაირი თევზია. მაგრამ ამათგან ლაზები ყველაზე უფრო ეტანებიან ხამსას, რომლის ყიდვა-გაყიდვაში ერთი კიდილი და დავიდარაბა აქვთ. ჩადგანაც ეს თევზი ხამსინის<sup>2</sup> დროს გამოჩნდება ხოლმე, ამიტომ ხამსა თევზისაც უწოდებენ. მათი დალალები შემდეგნაირად გაჰყვირიან: ემ, მუხთერუნ, ემ, მუხთერუნ. ე/ი/სი ჩრათე ზუ/ო/ნ ღნ ხუ/ო/რდნსნ სამუ/ო/ჩ ბადა თ/ტ/ჩაში. ემ, ლოთა/ე/ კ/გ/რუნ ას ქი კ/გ/ლულ აფ/ბ/შარია ალა ფამუნ. ემ, უმათ მეხმეთ, ალა ფამუნ<sup>3</sup>.

ანწლის ერთგვარი მილები აქვთ, ერთხელ რომ დაასხამენ წყალს [თევზს] ზედ დააყოლებენ: „აბა, ერთი ხელსახოცი ხამსა მოგვეციო“, ნაზად მოქარგულ ხელსახოცში თევზს ჩადებენ და მიდიან. რომ მიღიან, თევზის წყალი ექცევათ. ზოგს დაენანება დაქცეული წყალი და გაეხუმრება: „შე კაცო! თევზის წყალი გექცევა! წყალში ფლავიც ჩა-ყარეო!“ ასეთ ლექსსაც იტყვიან:

„ტრაპიზონია ჩევნი მიწა-წყალი  
ფული არ ჩერდება ჩევნს ხელში  
ხამსა თევზი რომ არ იყოს  
რა ყოფაში ვიქნებოდით“.

ხამსას სარგებლიანობა, სახეობა, თვისება: ეს თევზი ერთ მტკაველამდე, წერილი, მოლურჯო კრიალა ვერცხლისფერია. იმდენად სა-საჩვენებლოა, რომ მისი მჭიამელი კაცის ძალა შეიძლ დღეში არაა გეულებრივად იზრდება. ძალზე ნოყიერი და სწრაფად მოსანელებელია. ჩადგანაც კამის დროს თევზის სუნი არ აქვს, მჭიამელს წყურვილი არ აწუხებს. ტკივილებით შეპყრობილი ადამიანი თუ მას შეკამს, გმოჭანმრთელდება. თუ, სადმე სახლში გველი და მორიელია, ხამსა თევზის||თავს დასწვავენ, შეაბოლებენ და გააქცევენ. ტრაპიზონელებს 93 ძალზე უყვართ ხამსა თევზი და [მისგან] ორმოცნაირ კერძს ამზადებენ. მისგან კეთდება შემწვარი. წერიანი, მოხრაკული ხახვით შემზადებული დვეზელი, ბაქლავა. ერთი სახის ცეცხლგმძლე ქვის კეცებს აკეთებენ, რომელსაც ფილაქი ეწოდება. ამ ხამსას ჭერ სუფთად გარეცხავენ და გაარჩევენ, შემდეგ ათ-ათ ცალს ლერწამზე წამოაგებენ. ოხრა-

ხუშს, ნიახურს, ხახვს, პრასას წვრილად დასჭრიან, დარიჩინითა და შევი პილპილით შეემაზავენ, ამის შემდეგ ფილაქის კეცზე ერთ ფენა ხამსას და ერთ ფენა ამ [ზემოხსენებულ საკაზმს] მოაფენენ, მოასხა-მენ ზეითუნის ზეთს, ზემოდან — უკვდავების წყლის მსგავს ტრაპი-ზონის წყალსა და ერთ საათამდე ფიცხ ცეცხლზე ხარშვის შემდეგ შეექცევიან. ჭეშმარიტად, ისეთი კურთხეული კერძია, რომ კაცს შეუ-ყვარდება.

რაღაც ქალაქის ჰავა მშვენიერია, მის მთებში მოიპოვება ბზის ხეები და ბალ-ვენახებში — კვიპაროსები და „ბერძნული კაკლის“ ხეები. საოცარია, რომ მაშინ, როდესაც მის სამხრეთით არსებულ არზრუმის მთებში სასტიკი ზამთარია, აქ ვარდი, რეპარი და ელლუნის ყვავილი იფურჩქნება. უზამთრო, მეტად მსუბუქია [ჰავა]. მისი მცხოვრებლები კეთილი და მეგობრული ადამიანები არიან. მაგრამ ჩიჩუა და ჩლეთა (ჩხეტია)<sup>4</sup> და ლაზიერად წოდებული გლეხობა ძალზე უტეხი ხალხია. ამათ სხვა კილო, სიტყვები და გამოთქმები აქვთ, რომელთაც თვით ტრაპიზონის მოსახლეობაც ვერ იგებს — გადათარგმნაა საჭირო. აქ ჩაწერილი იქნა ჩიჩუების და ჩლეთაების (ჩხეტიების) ერთ-ერთი მიზი-წყებული ლექსი:

„თუ/ო/ნ ზარილე/ო/ნ თაბინჩ/ჭ/არუ/ო/  
თუ/ო/მუ/ო/რჭუ/ო/ნდა ფალიკარუ  
აფხაზგ/ჭ/ა ლუ/ო/ხა თუ/ო/ნა  
ქუხა ფაის თო/უ/ხმამუ/ო/“<sup>5</sup>

მაგრამ ლაზიერების ენა კალამს არ ემორჩილება, არ ჩაიწერება დლიერ უცაბური ენაა. ამ ხალხის უმეტესობა მეზღვაურებია. მდინარე ჭოროხით სამეგრელომდე აღწევენ, ტყვეები მოჰყავთ და ასე საქმიანობენ. კარგი, დიდი ყურე აქვს. ლუზის დამჭერი ნავსაღვურია, რომელიც ყურეში მდებარეობს, მაგრამ მისი დასავლეთი შხარე ლია. დასავლეთისკენ სამას მილს თუ გაივლის კაცი, ყირიმში მდებარე კაფას ციხის ნავსაღვურში მივა.

**ტრაპიზონის სასერონი ადგილები:** ზაგნოსის კარის გარეთ კავა-კის მოედანია. სადაც ფაშები დასვენების დღეებში ჭარებით გამოიდიან ამ გამამხიარულებელ ადგილას და ჯირითობენ. რაღაც მეტად ფართე მოედანია, მის შუაგულ ადგილას სამ წყებად ჩასობილია ერთ-მანეთზე გადაბმული გემის ანძები. კენწეროზე ოქროში||შეფერილი ბირთვია. ყველა მოთამაშე გუნდი ცხენებიდან ჩამოხტება. იმ ბირთვს ისარს ესვრიან. ვინც მოარტყამს, მას დარჩება.

**მდინარე ხოშოლლანი:** არზრუმის ვილაიეთში გერგედეს ნაპის სამხრეთით ილანის მეჩეთის სახელით ცნობილი მთის მწვერვალზე

იღებს სათავეს, მრავალ სოფელსა და დაბას, ბალ-ბოსტანს მორწყავს და ტრაპიზონის სიახლოვეს შავ ზღვას ერთვის. იმ მთაში, რომელიც მისი სათავეა, ჩიბანიანთა საგვარეულოს ერთ-ერთ წევრს, ვინმე ხო-შოლლანს ციხე აუშენებია. ტრაპიზონის სამხრეთით ორი დღის სავალ-ზეა. მასაც იმ ციხის მფლობელის სახელის მიხედვით ხოშოლლანის მდინარეს უწოდებენ. მაგრამ ტრაპიზონელები ამ მთას აღჩ-ბაშის მთას უწოდებენ. ტრაპიზონიდან ბაბურთისაკენ მიმავლები ამ მთაზე გადა-დიან. ერთი კარი აქვს [ციხეს]. აქედან გასასვლელი სხვა გზა არ არის.

ტრაპიზონის დიდი სულთნების წმინდა ადგილების აღწერა: რო-დესაც სელიმ-ხან პირველი აქ იყო მბრძანებელი, მისი პატივცემული დედა გარდაიცვალა. ზაგნოსის კარის გარეთა მხარეს სინათლით სავსე აკლდამაში დაიმარხა. აკლდამის მცველების, ყურანის მქითხველების რიცხვი ოთხმოცდათამდე აღწევს. მის საფლავზე ყოველდღიურად სამჯერ იყოთხება ყურანი. განსვენებული ყოფილა ქველმოქმედი, არაბია “აღავია”-ს მსგავსი, კდემამოსილი ხათუნი. სინათლით სავსე მისი აკლდამა ფრიად შემკულია. სუფთა, ხელასი ტყვიით გადახურუ-ლი, გასხივოსნებული გუმბათია. ჭამეც აკლდამის გვერდითაა.

ამ ქალაქში რამდენიმე თვე განცხრომაში გავატარეთ. განათლე-ბულებთან, ულემებთან, ღვთისმოსავებთან გულითადად ვისაუბრეთ და ჩვენი სურვილის მიხედვით ქალაქი მოვირეთ და დავათვალიერეთ. ბევრ გარემოებას შეძლებისდავგარად გავეცანთ. ქეთენჯი ომერ-ფა-შას ქეთხუდა ომერ-აღა ელჩიბით მიღიოდა სამეგრელოში საჩუქრე-ბით და მე, მწირიც, მას გავყევი.

### X X I

#### ჩვენი მოგზაურობა ზურვისტანისა და სამეგრელოს მარევებში

ტრაპიზონში ორასი კაცის თანხლებით ოც ლაზურ მენექსილა ნაეში თავით ფეხებამდე შეიარაღებულნი||ჩავსედთ. ალაპს თავი შე- 95 ვაედრეთ და ნავსადგურიდან ჩრდილოეთისაკენ იმედის იალქნები გავშალეთ. დეირმენდერეს ნავსადგურში მოვედით. ტრაპიზონის ახ-ლოს დიდი ნავსადგურია.

ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და დაბა შანქს მივალწიეთ. მას ნავსადგურ რუვასეს უწოდებენ. საუკეთესო სადგომია [გემებისათვის]. მის მთებში და კლდებში ისეთი თხილნარი ტყეებია, რომ შანქს თხი-ლი ყოველ მხარეში განთქმულია. აქედან გზა განვაგრძეთ და სურ- მენეში მოვედით.

სურმენეს ციხის აღწერა: აქაურობა ტრაპიზონის მმართველობაშია. ყაზი სულთან მექმედ II ფათიძის დაპყრობილია. ციხე ბერძნების აშენებული იყო. ჰერსექ-ზაღე აპმედ-ფაშას ხელითაა დაპყრობილი. სუბაში, ას ორმოცდათი ახნიანი ყალის თანამდებობა, ციხისთვივი და მეციხოვნენები ჰყავს. მაგრამ წარჩინებული არა ჰყავს. დიდი ნავსაღგურია, რომელიც ექვსი ქარისაგან დაცულია, ლუზა კარგად ეკიდება ფსკერს და ლრმაა. თუმცა დასავლეთისა და სამხრეთის ქარებისაგან მაინცდამანც დაცული არაა. სამი-ოთხი ლუზის ჩაშვებას საჭირო. აქედან გზა განვაგრძეთ და მაპიუზის ნაპიეში მოვედით. ეს ნაპიე ტრაპიზონის მიწაზეა, სამოცი კეთილნაშენი სოფლისაგან შედგება. მთები მთლიანად ფუსტულისა და შზის ხეებით არის დაფარული. აქედან ავი ყარენით და კანლ ფირევულის დაბაში მოვედით. ტრაპიზონისათვის დაკვემდებარებული დიდი ნაპიეა. მთელი მოსახლეობა ჩიჩუებია. აქედან წამოვედით და რიზეში მოვედით. იქიდან გზა განვაგრძეთ და ხობანის დაბას მივაღწიეთ. იგი ტრაპიზონის მიწაზე ზღვის პირას მდებარე, ბალ-ვენახიანი, შემკული ადგილია. მთელი მოსახლეობა ჩელთა<sup>2</sup> ლაზებია. ერთი ნაწილი ბერძნებიცაა. აქედან გზა განვაგრძეთ და გონიოს ციხეს მივაღწიეთ.

გონიოს ციხის მტკიცე და ძლიერი კედლის აღწერა: ტრაპიზონის ვილაიეთში და ბათუმის სანჯაყში შედის. ფაშას ცალკე სახისო აქვს; 13 ზეამეთთა და 53 თიმარი. ჯარის უფროსი და ალაბეგი ჰყავს. ომის დროს, კანონის მიხედვით, ჯებელიებიანად რეასი მეომარი იქნება. სამასი კაციც საკუთრივ ფაშის მეომარია. მაგრამ, რაღაც სამეგრელოს მისადგომზეა და [სახელმწიფოს] ფარგლების დასასრული, ამ ჯარს ლაშქრობა არ ევალება და ციხეს იცავს. ცახისთვი და ხუთასამდე მეციხოვნე ჰყავს. ერთი ასეული მაღალი კარის იანიჩარები, რეასი მეომარი და მათი ჩორბაგიები დღე და ღამ მორიგეობით იცავენ. ყადის თანამდებობა ასორმოცდათახჩიანია. მისი ნაპიები ერთ 96 მანეთს შების წვერით ელაპარაკებიან. ურჩი, ჩიჩუა<sup>3</sup>||ლაზები არიან. მისი ყადის ყოველწლიური შემოსავალი ხუთი ათასი ყურუშია. ბეგის წლიური შემოსავალი შეიძიო ათასი ყურუშია. ციხე ზღვის ნაპირზე მდებარე ოთხკუთხა, მტკიცე ქვის შენობაა. კაზაკები მრავალჯერ დაესხნენ თავს, ქონება დავლად წაიღეს, მოაოხეს და დაანგრიეს. ეს ციხე მდინარე ჭორობის ნაპირას დგას.

მდინარე ჭორობი: დამახინჯებული გამოიქმაა „ჯუ-ი რუჭ“-დან, რაც სიცოცხლის მდინარეს ნიშავს. არზრუმის დასავლეთით მდებარე ჯალინა კუჯლუ ჰისარისა და შიბინ ყარა ჰისარის მთებიდან იღებს სათავეს, მოედინება და ქალაქ ბაიბურთზე გადის. მის ორივე მხარეს კეთილნაშენი სახლებია. ბაიბურთის ციხის კლდეების ძირას გაივლის,

ლაშიერის ვილაიეთის ფარგლებში მრავალი სოფლისა და დაბის ბაღ-ვენახს ჩატყავს და გონიოს ციხესთან შავ ზღვას ერთვის. უფონო, დიდი მდინარეა და არც ხიდს აყენებს. ლაშების ბევრ ნავს ამ მდინარის აღმა, აღმოსავლეთისაკენ და სამეგრელოს საზღვრებისაკენ მიაქვს მარილი, რეინგული, სხვადასხვა ხელსაწყო-იარალი მათ სამეგრელოსა და გურჯისტანის ბზის ხეზე, თაფლზე, თაფლის სანთელზე, ტყვე ქალი-შეილებსა და ჭაბუქებზე ცვლიან და ასე ვაჭრობენ.

ეს ქალაქი დავათვალიერეთ, გუმრუქად (საბაო) წოდებულ აღვილას მდინარე ჭოროხში შევეღით, ერთი დღე აღმოსავლეთისაკენ ვიარეთ და სამეგრელოს საზღვრებს მივაღწიეთ. აქაურობა ხოშადა-დწოდებული ბეგის საზღვრებშია. მთები მთლიანად ბზის ტყით არის დაფარული. დასახლებული და კეთილნაშენი, კაქლის ხეებიანი და ბალებიანი სოფლები არის. მათი ბეგის სოფელში ერთი ღამე გავათიეთ. დიდებითა და პატივით მიგვიღეს. ერთი სიტყვით, ამის შემდეგ სამეგრელოს ქვეყანაში სამოცდაათამდე ქალაქის მსგავსი სოფელი დავათვალიერეთ და ისევ გონიოს ციხეში მოვეღით. აქედან თანამგზავრებთან ერთად ტრაპიზონისაკენ გავწიეთ. მე, მწირს, მებრძანა აზოვის ლაშქრობაში წასვლა გონიოს აღის ზიზ გეჩი-ბაშის ასეულთან ერთად.

აბაზას ქვეყნის სადგურები, რომლებშიც ჩვენ აზოვის სალაშქრო მგზავრობისას გავჩერდით: ამგვარად, სამასამდე მეთოჯე იანიჩარი და შე, მწირი, ჩემი ხუთი ქართველი ტყვე ბიჭით, ათ ლაშურ მენექსილაში ჩავსებდით.

შენექსილა ხომალდები: ეს ხომალდები შენდება სამი მსხვილი ალვისხისაგან, ||რომლებიც მდინარე ჭოროხის ნაპირებზე ხარობენ. 97 ერთი ფიცარი ქვემოდანაა გობივით. თითოც გვერდებზეა. მაგრამ ძალზე დიდი ფიცრებია. ხომალდების გვერდებზე ორი კაცის სიმსხო ლერწმისა და კილის წნულია შემოკრული. ამიტომ არის, რომ ზღვის ქარიშხალი ხომალდში ვერ ატანს და შავი ზღვის ქარიშხალში კორპებივით დაცურავენ. გობის მოყვანილობის საუცხოო ნავებია, რომელთაც თავი და ბოლო არ ატყვია. ამ მხარეში მას სახელად მენექსილას უწოდებენ. ასი კაცი აპყავს. ჩვენი ბეღ-ილბალი მაღალ ლმერთს მივინდეთ. ამ ხომალდებით ხელსაყრელ ამინდში გონიოს ციხიდან გავედით და სამხრეთის ქარით მდინარე ჭოროხი გავიარეთ.

ისევ სამეგრელოს საზღვრებში მდებარე ნავსაღგურ სუკარიში მივედით. უურე აქვს. იგი გავიარეთ და მივედით ნავსაღგურ პანდრა-ში, რომელსაც ყურე არ აქვს. ნავსაღგურ სივრის აქვს ყურე და ერთი დანგრეული წისქვილი. ნავსაღგურ მავისას ყურე და გავერანებული ციხე აქვს. ამ [ციხე]ში მეგრელი მწყემსები ცხერებსა და თხებს აზამთრებენ. აქედან ნავსაღგურ რაბჩაში მივედით. ყურე არ აქვს. მხო-

ლოდ ერთი დიდი, დანგრეული ციხეა. ყველა ეს ხუთი ნავსაღვური სამეგრელოს საზღვრებშია. კეთილნაშენი ადგილები არ აქვთ. მხოლოდ ივლისში და ჭირნახულის აღების დროს სავაჭრო გემებს მოაქვთ მარილი, კურჭელი, იარალი და გოგო-ბიჭებზე ცულიან. მის მთებში ბალ-ვენახიანი, დასახლებული და აყვავებული, დაუმორჩილებელი მეგრული სოფლებია. ზღვისოდენი ჯარიც რომ იყოს, მათ მთებში შესვლა ძნელია. ორმოც-ორმოცდაათათასამდე თოფით შეიარაღებული მოსახლეობაა. გონიოდან ასი მილით დაშორებული ეს ხუთი ნავსაღვური ერთ დღე-ლამეში გავიარეთ და მეორე დღეს მდინარე ფაშამდე მივეღით.

მდინარე ფაშა<sup>4</sup>: დუნაისავით ფართე მდინარეა. ზოგ ადგილის ერთი მილის სიფართეა. ყველაზე ვიწრო ადგილი ნახევარი მილია. სიღრმე რვა-ათი კულაგი აქვს. შიგ სამეგრელოსა და აბაზას ქვეყანაში მიმავალი ხომალდები შედიან. ასი მილის მანძილზე ადიან აღმა. შავი ზღვის ჩრდილო ქარის (sic) დასასრულს, ერთი უბის კუთხეში მდებარეობს. სტამბოლიდან აქამდე ათას სამასი მილია. შავი ზღვის ერთ-ერთ სანაპიროს ეს მდინარე ერთვის. იგი იქრიბება სამეგრელოს, გურჯისტანის, დალისტნის, ყაბარდოს, ჩერქეზეთის შორის მდებარე იალბუზის მთის, ობუზის მთის, სოჭის მთების ხევის წყლებისაგან, შემ-

48 დეგ პირდაპირ სამხრეთისაკენ მიედინება||და სამეგრელოსა და აბაზას ქვეყნის შეა ზღვას ერთვის. აღმოსავლეთ ნაპირზე მთლიანად ურჩი სამეგრელოს სოფლებია. დასავლეთი ნაპირი აბაზას ჩახების ტომის ქვეყანაა. რადგანაც [მდინარის] ორივე მხარე ბუჩქნარიანი და ტყიანია, აბაზები მეგრელებს იტაცებენ, მეგრელები — აბაზებს და ვაკერებს მიპყიდიან ხოლმე. ზოგიერთი ისტორიკოსი ამბობს, რომ მდინარე ფაშა გმოდის ხაზართა ზღვიდან, ან როგორც ისინი მას უწოდებენ შირვანის, გილანის, დარუბანდის ზღვიდან. მაგრამ ეს მდინარე უკვდავების წყალივით გემრიელია. გილანის ზღვა კი შავ ზღვაზე მცირე ზღვაა და მარილისაგან გველის შხამივით მწარე. ხაზართა ზღვასა და შავ ზღვას შორის მანძილი 15 დღის სავალია. მაგრამ, ვთქვათ, რომ ხაზართა ზღვის წყალი იალბუზის მთებას ძირიდან გამოდის, მიწაში გასასვლელს პოულობს და ისე ერთვის შავ ზღვას, მაშინ, სიმწარისა და სიტებოს გათვალისწინებით, ეს მოსაზრება ერთიმეორეს ეწინააღმდეგება.

ეს მდინარე გავიარეთ და დასავლეთისაკენ გავემართენით. მთელი დღე შავი ზღვის ნაპირ-ნაპირ ვიარეთ და აბაზას ქვეყანას. მივაღწიეთ.

## თბილისარმტაცი ქვეყნის, მ. ი. აგაზას ქვეყნის აღწერა

მთლიანად შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მდებარე აბაზას ქვეყნის დასაწყისია მდინარე ფაშა და საზღვრის დასასრულია დასავალეთით ორმოცდაორი დღის სავალზე კაფას ვილარეთის მფლობელობაში მყოფი ტამანის ნახევარკუნძულის ახლოს მდებარე ანაპის ციხის ნავსაღვური.

აბაზას ხალხის წარმოშობის საწყისები: „თუჭლე“-ს დამწერი მემატიანე შემდეგს მოვითხოობს: „გამჩენ ღმერის ქვეყანაზე თავისი ხელით შეუქმნია აღამი — მშვიდობა მასზე. სამოთხის ხილისაღმი მდაბალი მოკრძალებისაკენ მოუწოდა და ყველა ანგელოზს უბრძანა მისი თავისისცემა. მაგრამ ეშმაკი ამ ბრძანებას არ დაემორჩილა და ვერაგული გეგმა განიზრახა: „შენ მე შემქმნე ცეცხლისავან და იგი თიხისაგან“-ო თქვა და თავებრდობა ჩაიდინა. წმინდა აღამისავან მისი უწმინდესობის წერილი მოიტანა და ორივე სამყაროს დასაცავად უფალი 99 აღამი დედამიწაზე ინდოეთში ჩამოსვა. შემდეგ ერეფათის მთაზე ევასთან შეაერთა. მექმედ ბენ ისხავის სიტყვით, აღამის დროს მისი შეილები, რომელთა რიცხვი ორმოც ათასს აღწევდა, თათრული გარეგნობისა იყვნენ და დედამიწის ყოველ მხარეს მოეფინენ. სამოთხეში აღამი წმინდა არაბული და სპარსული ენით ლაპარაკობდა და როგორც კი დედამიწაზე ჩამოვიდა, არაბული ენა დაივიწყა და ლაპარაკი დაიწყო ებრაულ. სიჩიულ, დაპიჯეს, დარშს ენებზე. ამჟამად კუნჯისტანის, ბერბერთა ქვეყნის და სხვა ხმელეთების ქვეყნებში სალაპარაკოდ ხმარებული ენები ერთმანეთს არ ჰგავს. აღამის შთამომავლები წარლვნამდე ამ ენებზე ლაპარაკობდნენ. შემდეგ უფალი ნოეს შეილთავან — ქმისა, სემისა და იაფეტისავან სამოცდათორმეტი ხალხი და სამოცდათი ენა წარმოიშვა. წმინდა ისმაილი ორივე ენაზე — არაბულად და სპარსულად ლაპარაკობდა. შემდეგ ადამიანის მოდგმის ჯიშები მთელი დედამიწის ზურგს მოედო და ენებიც გადასხვავერდა, დაიყო. ყოველ ხალხში თითო ენა დამკვიდრდა. მაგრამ თავდაპირკელად წმინდა იდრისი იყო, რომელმაც სხვადასხვა ენა გააჩინა. იმიტომ, რომ უფალმა ღმერთმა მას მრავალი ათასი მეცნიერება მიაკუთვნა და ქათიბი გახდა. ალაპის ჩაგონებით ჩამოსულ წმინდა წერილიან ფურცლებს წიგნად კინძავდა. წარლვნამდე შეგროვილი წიგნები ატიკის დასავალეთ მხარეს მდინარე ნილოსის გადაღმა პირამიდაში დამალა. ამჟამად მათ ფარაონის მთებს უწოდებენ, მაგრამ შეცდომა. წარლვნამდე მათი ამშენებელი სურიდ ქვპნე არის. წარლვნის შემდეგ ძველმა მეცნიერებ-

მა ეს წიგნები გამოიტანეს, წაიკითხეს და ას ორმოცდაშვილი ენა რომ შეისწავლეს, დედამიწის ყოველ მხარეში გაავრცელეს. შემდეგ ეის ბენ ისხავისაგან გავრცელდა თურქული ენა, რომელიც თათართა ენაა.

თათართა ხალხებისაგან გამრავლებული ხალხები შემდეგია: ჰინდი, სინდი, მუღანი, გურისტანი, მულთანი, ბამბანი, ცეცხლთაყვანის-მცემელი ჰინდუსტანი, ჩინ-ხატაულთა ხალხი, ხათინი, ფალფური, კოზაკი, მონღოლი, ნოღული, თურქი, თათარი, უზბეგი, სპარსელი, ყუმუხი დალისტანში, ყალმუხი, ნოღად, ჰეშთექი, ლეკი, ჩალატად, ქეზექი, გურჯი, მეგრული, შავშეთი, დადიანი, აჩიკ ბაში, სომეხი, ლუმი, თურქმანი, კაბაბათა, ისრაელი ანუ იუდეველი, მოსკოვი — ქართველებისაგან არის, — იყუბრი, კარი. ფრენკებში, რომელიც ამათი განშტოებაა,

100 თორმეტი ხალხი და თორმეტი ენაა: ესპანეთი, საფრანგეთი, გენუა, პორტუგალია, ვენეცია, დუღუშეა, სერბია, ლათინი, ბულღარი, ხორვატი, ლოტორიანი, ტალბანი.

სპარსელთაგან წარმოშობილი ხალხები: მანუჩარის შეილთაგან ოთხი ეგრის (ერლაუ) მხარეს გაქცეულან და იქ დამკვიდრებულან. „ვინ ხართო?“ რომ უკითხავთ, უპასუხიათ: „მაჩარ“, ე. ი. ოთხი ადამიანი ვართო. ამ მაჩარ-იდან შეცდომით მიღებულ იქნა მაჯარ-ი (უნგრელი) და მათ სახელად დარჩა.

ესენი თხუთმეტამდე ხალხია: შუა მაჯარი, არდილ მაჯარი, სექე, საზ, ჰაიდუშაკი, პოლონელი, ჩეხი, კურულ, თუთი, კარაკულ და სხვები.

რუსები თერთმეტი ხალხია და ამათაც სლავები ეწოდებათ. ვლახები, მოლდაველები, სირჯა, შვეცია, პოლანდიელები, დუნკარკიზი, დანიელები, ავსტრიელები, ინგლისი, ტიშანი, ფრანგი, ხორვატი, მადიარი, ბოსნიაკი.

მაგრამ უკეთილშობილესი ტომებისაგან [შემდგარ] არაბი ხალხისაგან ეგვიპტის დელტაში ორმოცი სხვადასხვანაირი ტომი წარმოიშვა. ესენი არიან: მაღრიბი, ტუნისი, მაროკო, აფნუ, მაბძურნუ, ჯუჯილკანი, ესვანი, სუდანი, კონჯუ, კირამანქი, ბალენესქი, მუნჯი, ბერბერი, ნუბიელი, ზანგი, აბისინია, ქელაბრი, ალევერი, დუმბუ, იემენის არაბები, ბალდალის არაბები, მავალი არაბები, მექასა და მედინას არაბები, ომანისა და უდაბნოს არაბები; მთელი არაბობის ჩიცევი სამი ათას სამოცი ტომია. თუმცა ყურეიშთა ხაშიმის დიდი ტომიდან ამ დღესა და აღვილას წყლის ზედაპირზე წარმოშობილი არაბებისა და სპარსელების სეიდი მოვიდა. ამ ხსენებული ხალხების წინაპრები იყვნენ ნოეს შეილები: ქამი, სემი და იაფეტი. როდესაც ვაპირებდით აბაზის ხალხის წარმოშობაზე საუბარს, მიზანს გადაუხევით. სანდო გადმოცემის მიხედვით მისი უღიძებულესობა ფარუკის ხალიფობის ღრის ყურეიშთა ტომიდან ერთი არაბი მელიქი იყო სახელად ბეშე. ძლევა-

მოსილი მბრძანებელი და მარცხენა მხრის ორაქის, ბათქის, იემენის, ადენის ქვეყნების მფლობელი გახდა. მას ხუთი შეილი ჰყავდა. უფროს შეილს ერქვა ჯებელ ალ-ჰუმა, მეორეს — არაბი, მესამეს — ქისვა. ქისვას კი სამი ვაუი ჰყავდა: ქესრ, მავალ, თაო. ბოლოს, მათი მამა რომ გარდაიცვალა, მისი უდიდებულესობა ომარის გაღაწუვეტილებით ტომის უფროსობა უფროს ვაუს|| ჯებელ ალ-ჰუმას მიეცა. ერთხელ ამ ჯებელ ალ-ჰუმამ შეცდომით ერთ არაბს თვალი ამოუგდო. არაბმა მის უდიდებულესობას ფარუქს შესჩივლა და მოითხოვა სამავიეროს მიზღვევა და ჯებელ ალ-ჰუმის თვალის ამოგდება. ჯებელ ალ-ჰუმას ადათისა შეეშინდა, იმ ღამეს მთელი ტომის ხალხი წაიყვანა, ოთხ მის ერთსულოვან ძმისთან ერთად ანტიოქიაში ჰერაკლე მეფესთან შეივიდა და ადგილსამყოფელი ითხოვა. მან სირიის ტრიპოლის მთები მისცა და დაასახლა. ჯებელ ალ-ჰუმამ ზღვისპირზე ერთი ქალაქი ააშენა, რომელსაც ეხლა ქალაქი ჯებელი ეწოდება. აქ ჯებელი გაძლიერდა; დამასკოსა და მედინას მხარეების რბევა დაიწყო. მისი აღმატებულება ჰალიდ ბენ ვალიდ მიყდად იბნ ასუდი მის წინააღმდეგ იქნა გმოგზაუნილი. ამჯერად ჯებელი უკვე ვეღარ დადგა ჯებელიში, გემებით ესპანეთის ქვეყანაში გაიქცა და ავლონიას მთებში დასახლდა. რაღანაც ესენი ყურეიშები იყვნენ, იმ მთებს საღაც ისინი დასახლდნენ, ყურეიშთა მთა ეწოდება. და მათ კი — ყურეიში ალბანელები. მათი ენაც ფრანგთა ენას შეერევა და ალბანურ ენას ქმნიან. ალბანელებიც არაბებივით გრძელთმიანი ხალხია. მათი ლექსები და სიმღერები არაბულივით იწყება. ამიტომ ალბანელების ხალხის საწყისი არაბებიდანაც და მათი წინაპარი ჯებელ ალ-ჰუმა არის. იგი ელბასანის ახლოს განისვენებს. თუმცა, ამბობენ, რომ თავისი რჯულის უარმყოფელია. რაც შეეხება მის შეილებს, ორჯერ მიუტოვებიათ სარწმუნოება. ავლონიასა და დელონიას შორის მდებარე დუკათის მთებში სახლობენ. შავგვრემანი, არაბულ ენაზე მოლაპარაკე, გრძელთმიანი ალბანელები არიან. ჯებელ ალ-ჰუმას წინააღმდეგ მოსულმა მისმა აღმატებულება ჰალიდ ბენ ვალიდმა მისი ძმა არაბი, ქისვას შეილი მავალი და თაო შეიძყრო, ჰიჯაზში წაიყვანა, ბაღდადის უდაბნოში მამული მისცა და ქეისის არაბების მელიქი გახადა. თაოც თანს ტომის მელიქი გახდა. მისი მამის ძმა არაბი ომანის ქვეყნის მელიქი გახდა. მაგრამ ქისვა და მისი ერთსულოვანი ძმები მათი მორჩილი და ქვეშევრდომი ლაზიკელებისა და აბაზების თანხლებით გაექცნენ ჰალიდ ბენ ვალიდს და ჯერ ქალაქ კონიას, შემდეგ კონსტანტინეპოლს მოვიდნენ. მაგრამ, რაღაც ამ ხნის განმავლობაში შეიტყვეს, რომ ომაელი მუავია იბნ აბუ სეფია სტამბოლის წინააღმდეგ უნდა წამოსულიყო, იქაც ვეღარ დადგნენ, გემებში ჩასხდნენ, შავი ზღვის ნაპირზე ტრაპიზონის მბრძა-

102 ნებელ მეტე იანავანთან მოვიდნენ და თავშესაფარი ითხოვეს. || მანაც ლაზიკა და მდინარე ჭოროხის ნაპირი მისცა. ლაზების ტომი ამ ლაზიკელებისაგან არის წარმომდგარი. ლაზი ხალხის წარმომშობი არაბია. შუათანა ძმას — ქისვას თავისი მთები მისცა. ამიტომ ჩერქეზებიც ყურეეიშებისაგან არიან [წარმომშობილი]. რაღანაც ‘აბაზისაც ეს აბაზას ქვეყანა მისცა, მისგანაც გამრავლდნენ აბაზები, რომლებიც შავი ზღვის ნაპირზე არიან განლაგებულნი; იქაურობა დაასახლეს და გააშენეს. ამიტომ, აბაზის ტომის წინაპარნი ყურეიშთა გვარიდან არიან. ჩერქეზები, აბაზები, ლაზები, ალბანელები; ომანის არაბები, ქეისის არაბები, ყველანი ძმათა შვილი ყურეიშები არიან. თუმცა, ღმერთმა ტი უკეთ იცის!

### XXXIII

აბაზას ეპიზანაში მოსახლე ტომებია შესახებ

**ჩაჩების — ჯაჯლი:** ტომი: ერთმანეთში მეგრულადაც ლაპარაკობენ, რაღანაც მდინარე ფაშას გაღმა მხარე მთლინად სამეგრულოა. ბეგთა შევილები<sup>2</sup> ჰყავთ. ათიათასამდე ძლიერი ჯარი ჰყავთ. ყველა ერთი საჩრდენოებისა არ არის. მძარცველი და მამაცი ტომია. კაქალი, თხილი და გარგარი ბეგრი აქვთ. მათი იარალი, არაბთა მსაგასად, მშვილდისარი და შუბია. თუმცა ცხენოსანი ცოტაა, ქვეითნი მშვინერი ჰაბუკები არიან. მათი ნავსადგური დაბავლეთით ორი კონაკის მანძილზეა, რომელსაც ლაკბას<sup>3</sup> (ცალ) უწოდებენ. ტრაპიზონიდან სამასი მილით დაშორებული დიდი ნავსადგურია. გემებს ზამთრობით არ შეუძლიათ აქ გაჩერება, რაღანაც სამხრეთისა და აღმოსავლეთის ქარები სასტიკად ქრიან. აქედან დასავლეთისაკენ ზღვის ნაპირის გაყოლებით რომ წავიდეს კაცი, არლანთა ტომის მიწაზე სოფელ ხაფალში მოხვდება.

**არლანის — ارلان — ტომი:** ათი ათასამდე ვაუკაცი ჰყავთ. ნაყოფიერი და მოსავლიანი მიწები აქვთ და სამართლიანი ბეგები ჰყავთ. მათ ნავსადგურს ეწოდება ლაზილა<sup>4</sup>, რომელიც მთავარი ნავსადგურია. აქაც ერთი ღამე გავათიერ სტუმრად. მშვენიერი ნავსადგურია. ზამთარ-ზაფხულ გემები მიღი-მოღის. აქედან კვლავ დასავლეთისაკენ ორი კონაკი გავიარეთ და ჩანდების ტომს მივაღწიეთ.

**ჩანდების — چاندہلی:** ტომი: მამაცი ტომია; თხუთმეტათასამდე კაცი. წმინდა აბაზები ესენი არიან. ბეგები ჰყავთ. ამათ უწოდენ ბენ მთის ჩანდებს. მათ ნავსადგურს || ეწოდება კაკრზე. მთაზე ზღვისაკენ მიქცეცლ მხარეს ბაღ-ვენახიანი. სოფელია, სახელად ხოფა. აქედანაც

დასავლეთისაკენ ზღვის პირზე სამი სადგური გავიარეთ და დიდ ჩანდათა ტომის საზღვრებში მივედით.

დიდი ჩანდების ტომი: ოცდახუთამდე სოფელია. თხუთმეტათა-სიანი ჭარი და გარდა ამისა, ბეგები ჰყავთ. მათ ნავსადგურს ჩანდა-ეწოდება. გემები ვერ გაიზამთრებენ. ამ ტომის მთების იქთა მხარე მაშტა ჩერქეზთა ქვეყანაა. ამ ჩანდების მხარედან ისევ დასავლეთი-საკენ ზღვის პირას გავიარეთ ერთი სადგური და გეჩიების ტომს მი-ვაღწიეთ.

გეჩიების — კიჯილ — ტომი: სამოთხის ბალის მსგავსი უხვმოსავ-ლიანი ქვეყანაა, რომელიც სამოცდაათი სოფლისაგან შეღება. ორი ათასი მეთოვე და ერთიც ბეგი ჰყავთ. აქაური წყლები უკვდავების წყალივით საამო და გემრიელია. ლიფოდ<sup>7</sup> წოდებული ერთი ღიდი მდინარეა, რომელშიც ხომალდები შედიან. ეს მდინარე იალბუზის მთიდან მოდის და ამ ადგილს შევ ზღვს ერთვის. ისეთი მდინარეა, რომ ივლისშიც არ შეიძლება გადასულა. ზამთრის დღებში გემები ჩერდებიან: მყუდრო და საიმედო ადგალია. გეჩიების ტომიდან ამ ად-გილამდე, ზემოხსენებული მდინარის ორივე ნაპირი ნაირ-ნაირ გარე-ულ ხილს იძლევა; შვევნიერი ხებით არის შემყული. გეჩიების ტომის ორათასიანი ჭარიდან უმრავლესობა ცხენოსანია. ღიდი ტომია. ძალ-ზე შეძლებული ქურდები არიან. ამ ტომის სოფელ ჰავაში ერთი ზფრპად წოდებული აბაზას სახლში მივეღით სტუმრად. მე და ჩემ თანამგზავრებს ათი ცხვარი დაგვიკლა და წვეულება გაგვიმართა. ჩვენ აქ გაახელით სიზბაქი, ხორცის შეჭამანდი და ლომი. აქედან დასავ-ლეთისაკენ განვაგრძეთ გზა, ორი კონაკი გავიარეთ და ართის ტომ-თან მივედით.

ართის — თრზ — ტომი: გეჩიების ტომზე მეტია, მაგრამ მათსა-ვით მამაცი და გაბედულები არ არიან — უმეტესობა ვაჭრებია. კვერ-ნაზე ნადირობენ. ძალზე ბევრი ღორი ჰყავთ. [ისლამის] სარწმუნოება რა არის, ყურანი რა არის, არ იციან; ადამიანს ერთიდებიან და არ ეკა-რებიან<sup>8</sup>. სიმართლის მთქმელი ხალხია. ოცდაათათასამდე ადამიანია. ამათაც ერთი ბეგი ჰყავდათ, რომელიც ორმოც-ორმოცდაათ თავით ფეხებამდე შეიარაღებულ აბაზა აზნაურთან<sup>9</sup> ერთად მოვიდა, ოცი ცხვარი და სამი ორემი მოიტანა, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანე-ბაო“, გვითხრა და მოწიწებით მოგვეპყრო. ||მათი ბეგი გრძელთმიანი 104 იყო. მხერებზე ნაბადი ესხა. ხელში მშვილდ-ისარი ეპურა და წელზე ხმალი ერტყა. კარგი ვაჟაცაცი იყო. მხლებლები ყველა ქულულებიანი, მზის სადარი ლამაზი ყმაწვილები იყვნენ. მათ ნავთსადგურს არა-კლას უწოდებენ. იქაც ერთი ღამე გავათიეთ. ხომალდები ზამთარში ვერ ჩერდებიან, რაღვანაც ღია ნავსადგურია. ერთ ნავსადგურსაც

ლივში ეწოდება. ხომალდები აქაც ვერ ჩერდებიან ზამთარში. მხოლოდ ზაფხულში შეიძლება ექვსი თვის განმავლობაში დადგომა. მაგრამ სავაჭრო ნავსაღგურია. მის ჩრდილოეთით დიდ მთებში საძის ქვეყანაა.

**საძის — ტაძა — ქვეყანა:** სეიდი აპმედ-ფაშას ქვეყანაა<sup>10</sup>. რაღგანაც ესენი ჩრდილოეთით მეზობელ ჩერქეზეთის ხალხთან აღებ-მიცემობას ეწევიან, ჩერქეზულად და აბაზურად თავისუფლად შეუძლიათ ლაპარაკი. შვიდი ათასი მამაცი, მაგარი ვაუკაცია. ღავისა და განხეთქილების გამო ჩერქეზები და აბაზები მულამ ფხიზლად არიან. რაღგანაც მათ ართების ტომთან შშვიდობიანი ურთიერთობა აქვთ, ართების ნავსაღგურში ტყვები მოყვათ, მოაქვთ თაფლის სანთელი და ვაჭრობენ. თავაკუ<sup>11</sup> ჩერქეზებიც შშვიდობით მოღიან და გემებზე ვაჭრობენ. აქედან ისევ დასავლეთისაკენ გავიყურეთ, დავათვალიერეთ ხეივნები, ტყები, ბუჩქნარი და მაღალი მთები, ვნახეთ მჩავალი და სახლებული სოფელი და სამი დღის სავალზე კამშის ტომს მივალწიეთ.

**კაშ — ტომი<sup>12</sup>:** ათი ათასამდე მამაცი და ვაუკაცი ხალხია, რომელსც თავისი ბეგი ჰყავს. მელექ აპმედ-ფაშას [ამალის წევრი] კამიშ მექმედ-ალა ამ ტომისაა. ამათ ართის ტომი რამდენჯერმე დაუმარცხებიათ და მათი ბეგი ტყვედ ჩაუგდიათ ეს იმიტომ, რომ აბაზები ერთმანეთს ებრძევიან, ბავშვებსა და ქალებს ირაცებენ, ტყვებს ჰყიდიან და ამით ცხოვრობენ. კაცი, რომელიც ქურდი არ არის, ამ სალხის თვალში ბეღშავი და საწყალია. ამიტომაც ასეთებს არც მეჭლისებში დაუშვებენ და არც ქალიშვილებს მისცემენ [ცოლად]. ამ ტომის მთებში ისეთი ღიღრონი ტახები იცის, რომ ყოველი ზათგანი ვირის ოდენაა. თუმცა ნავსაღგური აქვთ, მაინცადამაინც გაცხოველებული საქმიანობა არ არის, რაღგანაც მისი მოსახლეობა ძალზე მეამბოხე და ურჩია. ამ ტომის ხალხში სტამბოლიდან და ევგიპტიდან ჩამოსული თოფხანეს [ხელოსანი] აბაზება არიან. შეჩეთები, ცოლ-შვილისა და სამსახურის პატრონი მუსლიმი ბევრია. პავა ძალიან კარგია. სოფლებს სამხრეთისაკენ, ე. ი. ზღვისაკენ აქვთ პირი. თუმცა ღუქნები და ბაზარი ამათაც არ აქვთ, ნავსაღგურთან საბაზრო ადგილებია. ||აქედანაც ზღვის პირას პირდაპირ დასავლეთისაკენ სამი კონაკი გავიარეთ და სოჩის ტომს მივალწიეთ.

**სოჩის — ფუზ — ტომი<sup>13</sup>:** ამათაც ერთი ბეგი და ათი ათასამდე სახელოვანი ქვეითი მეომარი ჰყავთ. რაღგანაც კლდოვანი და ქვანი ადგილებია, ცხენოსნები ცოტანი არიან. თუმცა ნავსაღგური კი აქვთ, მაგრამ სახელწოდება ჩერთვის უცნობია. აქ ერთი ღამე სოფელ ჰავაში სტუმრად დავრჩით. თურმე იმ ღამეს ქორწილი ჰქონდათ. მო-

გვიტანეს ასი ხონჩა ცხვრის საშლამა, წვნიანი, თაფლის წყალი, ბოზა, ღომი, ხორცის შეჭამანდი და საწებელი. ასობით ყმაწვილი გვემსახურებოდა. დილაადრიან ჩვენმა თანამგზავრმა გონიოს აღამ სახლის უფროსს დოლბანდი რომ აჩუქა, სიხარულით ცას ეწია, რადგანაც ამ მხარეს დახურული ბაზრის, ბაზრის, ფუნდუკის, პანირის და დუქის მსგავსი რამ სრულებით არ არის. თითქმის მთის წვერზე გაშენებული ორმოცი-ორმოცდაათკომლიანი სოფლებია. მათ ნავსაღგურში წელიწადში ერთხელ ყველა ქვეყნის გემებს მოაქვთ დენთი, ტყვია, თოფი, მშენებისარი, მასრა, ხმალი, ფარი, შუბი და სხვა საომარი იარალი, ძველი ფეხსაცმელი, მაუდის პირები, საპერანგე და სასაჩიულე ქსოვილი, კერის რეინეულობა, დიდი ქვაბები, ცეცხლზე ქვაბის ჩამოსაკილი რეინის ჯაჭვები, მარილი, საპონი და სხვა ასეთი საგნები. ამ მეხომალდებს ნაზ ბიჭებს, ცხიმეულს, თაფლის სანთელს, მუშამბას, კვერნას, თაფლს აძლევენ და სამაგიეროლ ზემოჩამოთვლილ საგნებებიან რაც სჭირდებათ, იღებენ. ამ ქვეყანაში სრულებით არ არის ოქროსა და ვერცხლის ფული. ყიდვა-გაყიდვა გაცვლა-გამოცვლის წესით წარმოებს. ამ სოჭის ტომიდან დასავლეთისაკენ ზღვის პირით ორი კონკი გვიარეთ და ჯმბას ტომს მივაღწიეთ.

**ჯმბას — جمبہ — ტომის აღწერა:** ერთი ბეგი და ორი ათასი მეომარი ჰყავთ. ამათ ნავსაღგურში სამი დღე დავყავით და ყველას-თან კარგი ურთიერთობა გვქონდა. მთელი ჩვენი ტანისამოსი, ფარდა-გები, ნაბდები და ქეჩები მივეცით და ქალიშვილები და ბიჭები გამოვართვით.

შე, მწირმაც, ერთი აბაზა ბიჭი ვიყიდე. მეოთხე დღეს ისევ და-სავლეთისაკენ გავემართეთ, ორი დღე ვიარეთ და ბუზუღუკის ტომს მივაღწიეთ.

**ბუზუღუკის — بوزو دوق — ტომის აღწერა:** ამათაც ბეგი და ათი ათასი კაცი ჰყავთ. || მათ ნავსაღგურში სტამბოლის ათი ხომალდი 106 დაგვხვდა. მრავალ მეგობარს შევკვდით. უსაზღვროლ გავიხარეთ და ვისიამოვნეთ. ჩვენი ბარგიდან ზოგი მძიმე ნივთა ჭათ ჩავაბარეთ შესანახად; ჩვენა და ჩვენ მსახურ ბიჭებს ტვირთი შეგვიმსუბუქდა. მენ-გლი გირე-ხანმა<sup>14</sup> ამ ბუზუღუკის ტომიდან სამი ათასი მეომარი ასტრახანის ლაშქრობაში წაიყვანა და როდესაც ასტრახანი დაიპყრეს<sup>15</sup>, ბუზუღუკის ტომი ჩერქეზთა ქვეყანაში უბურის მთის ძირას დასახ-ლა. ჩერქეზთში ახლაც ბუზუღუკის ტომს უწოდებენ. აბაზას ბუზუ-ღუკებას და ჩერქეზთის ბუზუღუკებს შეა უბურად წოდებული მა-ლალი მთა მდებარეობს. სამი კონაკია. ერთმანეთს თავს ესხმიან და ბავშვებს სტაცებენ. აბაზას ბუზუღუკებისაგან ისევ დასავლეთისაკენ

ვიარეთ ზღვის პირას, ორი კონაკი გავიარეთ და უბუღიშის ტომს მი-  
ვალწიეთ.

უსუვიშის — اوسوویش — ტომის აღწერა: ზღვის პირას, ცი-  
ცაბო კლდეზე ერთი ქველი, დანგრეული ციხეა. რაღანაც არახელსაყ-  
რელი ამინდი იყო, ჩვენ მეთოვე თანამგზავრებთან ერთად ფსიზლად  
ვიყავით და ერთი ლამე იქ გავატარეთ. მათი ბეგი ჩვენთან მოვიდა,  
ხუთი ცხვარი მოიყვანა და გაგვიმასპინძლდა.

ეს ტომი ხის მშევილებს აქეთებს და გუნდის ხისაგან. — ისრებს.  
თოფს ყველა ხმარობს. სამი ათასი კაცია. მათი ნაესადგური სიმაგრე  
უსუვიშია. დიდი მთები აქვთ, რომლებშიცა დათვი, ტახი, მელა, ტუ-  
რა, სიასამურის მსგავსი კლდის კვერნა, კვერნა, აფთარი, ირემი, გარე-  
ული ქათამი.

უცნაური ის არის, რომ ეს აბაზას ტომი ხშირად თავიანთი ბეგის  
გვამს ზანდუკის მსგავსად [გაკეთებულ] ხეში დებს. ამას დიდი ხის  
წვერზე ორკაპა ტოტზე მიაჭედებენ, თავთან ნახვრეტს უკეთებენ და  
ისე ტოვებენ. მათი ცრუ ჩრდებით, იმ ხვრელიდან სამოთხეს უცქერის  
თურმე [მიცვალებული]. შემდეგ იმ ნახვრეტში მრავალი ასი ათასი  
ფუტქარი შედის, აბაზას გვამის ილლიებსა და ლაჯებში თაფლს აქე-  
თებს. [თაფლის ამოლების] დროს ამ ყოთს სახურავს ახდიან, ბეჭვიან  
თაფლს ტიკებში ასხამენ და ჰყიდიან. ხალხი ამბობს — აბაზური თაფ-  
ლიაო, დაესვიან და იტაცებენ. მისი სისაძაგლე კი არ იცაან. აბაზურ  
თაფლს ძალიან უნდა უფრთხილდეს კაცი. ამ აბაზას ქვეყანაში მრავა-  
ნი რამ საოცარი და სასწაულებრივია, მაგრამ მათი||აღწერა შეუძლე-  
ბელია. აქაც ბევრი აბაზა ჭაბუკი ვიყიდეთ და დასავლეთისაკენ ორი  
დღე ვიარეთ. აშლილის ტომს მივაღწიეთ.

აშლილის — شفیل آ — ტომის აღწერა: ამათაც ერთი ბეგი და  
ორი ათასი კაცი ჰყავთ. მაგრამ ქურდი და ლატაკი ტომია. ყველა აბა-  
ზას მათი გადაეკიდებისა ეშინია, რადგანაც ძალზე მამაცი და გულადი  
ხალხია. აქაც ერთი გავერანებული ციხეა. ამათ ნაესადგურს აშლა  
ეწოდება. კაფას, ქერჩისა და ტამანის მრავალი გემი მოდის აქ. ზამ-  
თრობით ვერ დგებიან, რადგანაც ლია ადგილია. მთები კი ნაყოფიე-  
რია. აქედან ისევ დასავლეთისაკენ ერთი კონაკი გავიარეთ და სოფელ  
ათმას მივაღწიეთ.

სოფელ ათმას — سعات — აღწერა: ეს სოფელი აშლილის [ტომს]  
ეკუთვნის. მთებში გაშენებული, აყვავებული სოფელია. მათ შორის  
თოფხანეს აბაზა მუსლიმები არიან. აქ ერთი მეჩეთიც ვნახეთ. ჩერ-  
ქეზთა ქვეყნამდე ერთი კონაკია. ჩერქეზებთან გამულმებით იბრძვიან.  
აქედან ორ დღეში სოუკ სუს ტომს მივაღწიეთ.

**სოუკ სუს — صووق سو — ტომისა ალწერა:** ერთი ბეგი და სამი ათასი ვაჟყაცია. ქეპეილანის<sup>17</sup> ცხენები ჰყავთ. მათი ნავსადგური ჰარუნაა. საუცხოო ყურეა გემების გასაჩერებლად. სოუკ სუდ წოდებული დიდი მდინარე აქვთ, რომელზეც გადასვლა შეუძლებელია. მდინარე ჩერქეზთის მთებში იღებს სათავეს და ამ ადგილს შავ ზღვას ერთვის. უკვდავების წყაროს მსგავსი წყალია. სწორედ ამიტომ დაურქმევით ამ ტომისათვის სახელი სოუკი, ამ მდინარის ნაპირას რომ სახლობს. მდიდარი და გულუხვი ადამიანები ჰყავთ. აქედან დასავლეთისაკენ ორი კონაკი გავიარეთ და კუთასის ტომს მივაღწიეთ.

**კუთასის — ფიზა — ტომის ალწერა:** ერთი ბეგი ჰყავთ. სულ შვიდი ათასი მეომარია. მათ ნავსადგურს კუთასი ეწოდება. ფიცრით ნავები. ჭილით დახურული საწყობები აქვს. სოფლები მთებში მდებარეობენ და ნავსადგურს გადმოყურებენ. მათ ნავსადგურში ბევრია კაფას და ტამანის ხომალდები. ამ ტომთან ყირიმის მხრიდან ყოველთვის მოღიან ცხენისნები და ვაჭრობენ. მშვიდი და მორჩილი ხალხია, რადგანაც მათი აღგილები ძნელად მისასვლელი არ არის. ხორბალიც მოჰყავთ. ამას გარდა, ალწერილ აბაზას ქვეყნაში ღომს თესენ. ერთი ჭილა ასი ჭილა ღომის მოსავალს იძლევა. ამ ტომს მოწნული, ყავრით დახურული სახლები აქვს. შუაცეცხლი უნთიათ. ათ კონლს ერთ კაბაკს ეტყვიან და მას ოთხ მხარეს ციინს მსგავსად აქვს შემოვლებული ლობე. საქონელი ყველას ჰყავს და მათ დღედაღამ ლომივით ძალებით ყარაულობენ. ასეთივე მღვმარეობაა აბაზას ყველა ტომისათვის, რადგანაც ყველა სახლი ტყეშია აშენებული. ერთმანეთის ეშინიათ. ამ ტომსა და უანას ჩერქეზებს შორის ერთი კონაკია. ამათ ჩერქეზული ენაც იციან. ერთმანეთთან შეთანხმებით ჩერქეზეთში მიაქვთ საქონელი და ჩერქეზებსაც ამათ ნავსადგურში მოაქვთ.

ამ აღგილს დამთავრდა აბაზას ქვეყნა. ამ აღგილიდან მოყოლებული მდინარე ფაშამდე ყველა ტომი, ვისთანაც ჩვენ მივედით და დავათვალიერეთ, ზღვის პირას სახლობს. ყველა სოფლის სახლს სამხრეთით, შავი ზღვისაკენ აქვს პირი მიქცეული. მდინარე ფაშარან, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ამ კუთასის ტომადე აბაზთა ქვეყნის სიგრძე სრული ორმოცი კონაკია. სიგანე — ხუთი კონაკი.

ამ ქვეყნის ორმოცი კონაკის მანძილზე ორმოცი დიდი მდინარე ჩამოდის. ყველა მდინარე ჩერქეზეთსა და აბაზას შორის მდებარე მთებიდან მოედინება და შავ ზღვას ერთვის. ეს არის ერთმანეთზე მიბჯენილი სამოცდაათი მალალი მთა. ამბობენ, რომ ორი ათასი სოფელია, მაგრამ მე ეს არ ვიცი. მათი მთები არ მომივლია. ხარაგას და სხვა ბალვენასის მოსავალს, ან აშარის მსგავსს არაფერს იძლევიან.

შრავალი ასი ათასი, ურჩი და მეამბოხე ხალხია. მათ რომ ქაფირი უწოდონ, კაცს მოკლავენ. მუსლიმი რომ უწოდონ — გაეხარდებათ. ესენი ყურანს არ იცნობენ და არც რაიმე სარწმუნოება აქვთ. ამასთან ნავე, ქაფირი არ უყვართ და მუსლიმს სულს მისცემენ. ისლამი რომ მიიღონ, ძალზე მორწმუნე და ერთი ლერთის მიმდევარნი იქნებიან. მათი წინაპრები ყურეიშთა აბაზის ტომიდან არიან. ესენი ზღვის სანაპიროზე ნავსადგურების მფლობელი აბაზები არიან.

#### X X X I V

მოვაჯი მოსახლე აბაზას ტომიდი

ფუშრხი — پوشر خى — მეგრელებთან ახლოა. ბეგი და შვიდი ათასი ურჩი ხალხია.

109. || ახჩუსი — اخچىسى — ამათაც ბეგი ჰყავთ. ათიათასიანი ტომია.  
ბსლბ — بسلب — ბეგი ჰყავთ. შვიდი ათას ხუთასი მამაცი მცხოვრებია.

მქლიე — مکلەي — სამი ათასი მამაცი მცხოვრებია და ერთიც ბეგი ჰყავთ.

ვაი ფილა — وايپىغا — ბეგი ჰყავთ. ათასი კაცია.

ბალრს — باغرس — ბეგი ჰყავთ. სულ რვაასი წევრისაგან შემდგარი სუსტი ტომია. ქურდები არ არიან.

ალაკარიშ — الاقريش — ხუთასი კაცია და ერთი ბეგი ჰყავთ.

ჩმაკურს — چماقو رس — ბეგი ჰყავთ, სულ სამი ათასი კაცია.

მაჯარ — ماجار — ბეგი ჰყავთ. სულ ორი ათასი კაცია, მაგრამ მამაცი ვაჟკაცები არიან.

ხაიხარშ — ياخخارش — ბეგი ჰყავთ. სულ ოთხი ათასი კაცია.

ზემოთ ალწერილ მთაში მოსახლე ათ ურჩი ტომთაგან ვერც ერთი კერ მოდის აშლილიში მდებარე ნავსადგურის [მფლობელ] აბაზებთან.

მთაში და ზღვისპირზე მცხოვრები აბაზების ოცდახუთი ტომის [ალწერა] აქ დამთავრდა.

არაჩემული გრამატიკი და გასაოცარი აბაზას მნა\*

აკ — 1; ვბა — 2; იხფა — 3; ბშნ/ბა — 4; ხუბა — 5; კ/ფ/ბა — 6;  
ბზ/ე/ბა — 7; 'აბა — 8; ება — 9; ზ/ე/უბა — 10; აკ ზ/ე/უბა — 11; ვბა  
ზ/ე/უბა — 12;

ვად — „ი“-სკენ გადახრით — მოღი; უჩი — წადი; უთუდ — ესეც  
„ი“-სკენ გადახრით — დაჯექ; უკულ — ადექ; უმჩინ — არ წახვილე;  
ად/რ/ფშ — ბიჭი; სჩაბ — წავალ; აბ/ფ/ჯ[ც]რ[უ]შ — ქალი; სქამ — არ  
წავალ; უსუმჩინუი ართშ — რატომ არ მიღიხარ, ბიჭო; ||სირა იზღრ-  
ვე — მე ვიცი; ურა ჟუდდ/რ/ვა — შენ რა იცი; უნაჯ კსი — ჩემო სუ-  
ლო და თვალო; სირა იზღრვაპ — რაც მე ვიცი; სირა სზეთ — მე მყოფ-  
ნის; არს იზუმეაზუდ — ასე რატომ ლაპარაკობ; ვა უბუზუა — ბოდავ;  
ისპეაზუდ — რას ვლაპარაკობ; სირა იშ[ც]რ[ზ]რმ — მე არ ვიცი; ურა  
ჟუხრ/ე/უა — შენი ნათქვამი; ურა ჟურ/დ/რუა — შენ იცი; აკა ურა  
უკაგუბ — მაგრამ შენ გიურ ხარ; ანჩი ავ/გი ადლშ — ჩვენი ღვთისა  
და მის ქმნილებათათვის; აკი სუ დრმ ანჩრთ/ნ/შ — ღმერთმანი არაფე-  
რი ვიცი; უს კვპ სჩსპბ — ცოდო ვარ, ნუ მაწვალებ; სირა აკრ უსთ-  
პენ — უცნაურ რამეს ვლაპარაკობ; ანჩრ/უ/ნშაი/ფ/შ ამლა სფურაა —  
ღმერთმანი, აბაზავ, მშია; სჩაბ ფსთა ჟუკ/ფ/რმ — წავალ, ღომს ვჭამ!.

საძი აბაზას მნა!

ვ/ზ/ა — 1; თოკა — 2; შეე — 3; ფლი — 4; აშუ — 5; კ/ფ/უნ — 6;  
იფლი — 7; ულა — 8; იფლი — 9; ზ/ე/უ — 10; ვ/ზ/ა ზ/ე/უ — 11; თო-  
კა ზ/ე/უ — 12; სხა — პური; ლა — ხორცი; ბზი — წყალი; ფა — ყვე-  
ლი; ჩევაპ — მაწონი; ხა — მსხალი; მსუდ — ყურძენი; ლხმე — ლელ-  
ვი; ეს ხუ — წაბლი; ლკა — [ქვა]მარილი; ვიქა — მოღი; უთს — დაჯექ;

\* არაბული დამწერლობის თავისებურებათა გამო ეკლია ჩელების არ შეეძ-  
ლო სრულად და ზუსტად გადმოეცა უცხო ენების ბევრები. ზოგ შემთხვევაში იგი  
სწორად ვერ იღიქვამდა „უცნაურ“ ბევრებს, ზოგიც კორექტურული შეცდომა უნდა  
იყოს.

აქც და შემდეგაც უცრჩხილებოდ მოცემული სიტყვები და მათი გამოქმები  
ეკლია ჩელებისეცლ ჩანაწერსა და მათი ორგული მნიშვნელობის ქართულ თარგ-  
მანს შეიცავს, ფრჩხილებში კი მოთავსებულია ჩვენს მიერ კორექტურულ შეცდომად  
ნავარაუდებელი წინა ასოს გასწორება.

უდეთო — აღექ; უმქა — არ წახვილე; სიქოჳ — მივდივარ; სბრიქნ — საით მიღიხარ; სვუშქლსლუპ — საქმე მაქეს, მივდივარ; სტალა სქჩო ვიქა — მოღი, სახლში წავიდეთ; სქენო სვეჭა — სახლში მივდივართ; სრხოდ — რა მოგივიდათ; ხოჯ ღოდ აშლდ — ერთი ღორი ვეძამეთ; არკამდე უენუ — ჩვენი ღორი ხომ არ შეუჭამიათ; უჩელა შქნოლ — საქურდლად მივდივართ; ნალა შქალდა — საით წახვედრით.

111 ॥ ამ ენებს გარდა კიდევ მრავალი ენაა, მაგრამ ერთმანეთში ამერია და ესლაა, რაც მეხსიერებაში დამრჩა. ამასთანავე ეს ენები მხოლოდ ამგვარად დაიწერება. იმიტომ, რომ ისეთი მეტისმეტად ძნელი ენებია, თითქოს ფრინველთა, კაჭკაჭის ენაო. ძალზე ნიჭიერი გონების, კეთილშობილი. ნამდვილი და მიბაძვისუნრიანი მსახიობი უნდა იყო, რომ აბაზა ხალხთან საუბარი შეძლო. მაგრამ მსოფლიო მოგზაურს სჭირდება ყოველი ენის თითო წვეთის ცოდნა იმდენად, რომ მისთვის მოსალოდნელი სარგებლობა და ზარალი გაივოს და მოგზაურობაში მოსვენებული იყოს; იმიტომ, რომ ნათქვამია. „ყველა ხალხის ენა მისი შესაფერისია“. ამ ქვეყნად ზოგი ენის შესწავლა გონივრული და სავალდებულოა. უცხო ქვეყანაში კაცი ხსნასა და წარმატებას ჰპოვებს და სამშეღობობს გავა. ზემოაღნიშნული კუთასის ნავსაღვურიდან ავიყარენით. ზღვაზე ორი დღე დასავლეთისაკენ ვიარეთ და ანაპის ნავსაღვურში მოვედით.

ანაპის აღწერა: ალექსანდრე მაკელონელის სამართლიანი ბრძანებით გოგ და მაგოგის კედლის ასაშენებლად რომ მოდიოლნენ<sup>2</sup>, ამ ადგილას გზად შემოუვლიათ, მისი ჰავით, ნადირობით დამტკარან და ჟავი ზღვის ნაპირზე, ვრცელ გორჩევზე გაკრიალებული, თლილი ქვით აუშენებიათ ხუთკუთხა მოყვანილობის ციხე. იმის გამო, რომ მისი სასახლის დივანხანაში იატაკი შემქულია ლალითა და იაგუნდით, ზურმუხტითა და ტრპაზით, სადაფითა და აქარით, მას უწოდებენ ანაპის მარგალიტოვან ციხეს. ასეა ჩაწერილი მატიანებში. შემდეგ ხანებში იგი გენუის მეფის საჭოოხეთო სატახტო ქალაქი გახდა და სამოთხის მსგავსად იყო მოწყობილი. შემდეგ წაწყმედილმა თემურმა ერაყი, დადიანი, ჰეშლექი, ყაზანი და სხვა შეიღიასი ქალაქი გააპარტახა, დაანგრია და ყირამში მყოფ თოხთამიშის<sup>3</sup> წინააღმდეგ რომ მიღიოდა, ანაპის ციხის გარეუბანი დაუნგრევია და მხოლოდ ანაპის ციხე გადარჩენილა. შემდეგ სულთან ბახაზეთ ველს დიდვეზირი გელიქ აპედფაშა<sup>4</sup> სამეფო ფლოტით კაფას ციხის დასაპყრობად რომ მიღიოდა ზღვა ჯარით, ეს ციხე გენუელებს წაართვა და შიგ ჯარი ჩაუყენა. ციხე დგას კონცხე, რომელიც აბაზებსა და ჩერქეზებს შორის საზღვროზე მდებარეობს. ზღვის პირას, ციცაბო კლდეზე აშენებული ძალიან მაგარი ციხეა. ოღონდ, ამჟამად შიგ არავინა. ॥[ციხე] მრავალჯერ დაანგრიეს

დონის კაზაკებმა, მაგრამ მის გარეთ ასორმოცდათამდე ლერწმის სახლია. ამ სოფელს კაბაქს უწოდებენ. ციხის ჩრდილოეთით ანაპის მთებია. შავი ზღვით აზოვისაკენ მიმავალი გემები ამ მთებს ჩაუკლიან. დიდი მთებბა. ციხე დიდი ხელოვნებით [ნაგები] და შესანიშნავი ხუროთმოძღვრის ნახელავია. შიგ, სიმაგრეში, მოსახლეობა — შეფაქე ხალხი თავის ცხვრებსა და თხებს აზამთრებს. როგორც ოზდემირის ძე ოსმან-ფაშაზ წერს, აქეურობა კაფას ვილაიეთის ტამანის სანჯაყის შმართველობაში მყოფი სავოევოდოა. შეფაქეს ხალხი იარაღის შიშით, იხდის აშარს. სამიათასამდეა. გარეგნულად მორჩილნი და ნამდვიალად მეამბოხები არიან. ციხეს ერთაკარიანი დიდი ყურე აქვს, რომელშიც ათასი ხომალდი თოკებით მიებმიან და დგანან. ჩვა ქარისაგანაა დაცული. შავი ზღვის არც ერთ მხარეს ამისთანა ყურე არ არის — მხოლოდ ბალაკლავა თუ [იქნება ასეთი]. ძველთავანვე ამ ნავსადგურში ერთგვარი მარგალიტი მოიპოვებოდა. ამეამადაც სადაფები მოჩანს. ამიტომ ციხეს მარგალიტის საბაღოს უწოდებენ. ახლაც ყოველ წელს რუსები ამ ნავსადგურში ღუზას უშვებენ, გაბეჭულად და უშიშრად ყვინთავენ და მარგალიტის სადაფები ამოაქვთ. ეს ციხე რომ შეკეთდეს და შიგ სრულყოფილი ჯაბახანა და მეომრები ჩააყენონ, აბაზას და ჩერქეზეთის ქვეყნების დამორჩილება გააღვილდება, იმიტომ, რომ ჩერქეზეთში მყოფ ნოღაელებსაც აქ მოაქვთ თავისი საქონელი და ჰყილიან. საბაღოს დიდი შემოსავალი აქვს. დიდი ნავსადგური და თავშესაფარი აღგილია. როდესაც მე, მწირი, გონიოს ალასთან ერთად აქ ღუზა ჩაშვებული ვიყყოფებოდი, შავ ზღვაზე გამოჩენდა ოსმალთა სამეცო ფლოტი. შავი ზღვის ზედაპირი ხომალდების იალჯნებით მოირჩო და აღელდა. შუალისას ანაპის ყურეში შემოვიდნენ და ღუზა ჩაუშვეს. სამი დღე დაკყვეს. ჩამორჩენილი მცირე ხომალდებიც სრულად მოვიდნენ. ამ სამი დღის განმავლობაში ხომალდებმა წყალი მოიმარავეს. მე, მწირი, გონიოს ალასთან ერთად წაველი, კაიმაგებს შევხედით და, რაც შემეძლო, საჩუქარი მივართვი. შემდეგ მარტო მე, მწირი, ვეახელი დიდებულ სარდალ დელი ჰუსექნ-ფაშაზ და ხელზე ვემთხვიე. მე, მწირს, კარავი, დღიური ულუფა და საჩუქარი მიბოძა. თავის საგანგებო მუედნითა წრეში შემიყვანა და მის ქეთხედა ველი-აღას კატარლაზე დამსვა. დილაადრიან]]სამეცო ბაშთარდაზე ალამი აღიმართა. შუალისას გამგზავრების ზარბაზანი დავაქუხეთ და დავიძარით.

### X X X V I I

ანაპის უშროედან აზოვის ლაშქრობაზი ჩამზავრება

აზოვის ლაშქრობის მიზანი: მურად-ხან მეოთხემ სამოთხის ქალაქი ბალდადი ირანს წაართვა და ძლევამოსილი და გამარჯვებული სტამ-

ბოლს რომ მოვიდა, უველა ურწმუნომ სიმშვიდე დაკარგა. ელჩებმა ყოველი მხრიდან დაიწყეს მოსვლა. მშვიდობიანობის აღსაღენად უხვი სიმღიდრე და მრავალი ძვირფასი საჩუქარი მოართვეს. მხოლოდ მალ-ტელებისაგან არავინ მოსულა. მათ წინააღმდეგ გასალაშექრებლად ათა-სი ხომალდი მომზადდა. ორი ხომალდი — კარა მავუნა — აშენდა და 300 ზარბაზნით სალაშექროდ შეიარაღდა. ამ დროს, იმ ანდაზისა არ იყოს: „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინდაო“, სულთან მურად-ხან მეო-თხე — ქვეყნიერების ფაღიშაპი — გარდაიცვალა<sup>1</sup>. ამჯერად ურწმუ-ნოებმა ყველგან შვიდთავა გველეშაპივით წამოყვეს თავი და ოს-მალთა ქვეყნებს შემოაღენენ. პირველად მოსკოვად წოდებული [სა-ხელმწიფოს] რუსებმა ყირიმისა და აზოვის მიღამოების აოხრება და-იწყეს. თუმცა ეს ამბავი ყირიმის ხანმა სულთან იბრაშიმ-ხანსა და დიდვეზირ ყარა მუსტაფა-ფაშას შეატყობინა, ყური არ ათხოვეს<sup>2</sup>. ეს იმიტომ, რომ სულთან მურადის სიკვდილის შემდეგ დაქირავებულმა მეომრებმა ურჩობა დაწყეს და დიდვეზირს თავზე დააღენენ. მანაც იფიქრა, რომ „[ამისთან] ჯარს ლაშექრობაში უნდა წამტვრევინო ცხვირიო“ და მოინდომა რომელიმე ქვეყნის დალაშექრა. ამ დროს კა-ზაკ-რუსებმა დაიპყრეს აზოვის ციხე<sup>3</sup> და შიგ 70—80 ათასი ურწმუნო ჩააყენეს. ასე წავიდა ხელიდან ეს მშვენიერი ციხე ყირიმის ხანისა და დიდვეზირის უდარდელობის შედეგად. იმავე წელს კაზაქები შავ ზღვა-ზე დაცურავდნენ 150 „ჩაიკით“, სავაჭრო გემებს ხელში იგდებდნენ და ძარცვავდნენ. შავი ზღვის ნაპირების ქალაქები და დაბები გადაწვეს და დაანგრიეს. მაპმალიანი ხალხის ეს მდგომარეობა სტაბილური რომ შეიტყვეს, მთელი რუსელის ვილაიეთებს საგანგებო რწმუნებულე-ბად კაფიჯი-ბაშიები დაენიშნათ და სულთნის ფირმანები დაიგზავნა.

114 ოჩაკოვის ვილაიეთის განმგებელი კოზა გურჯიშენან-ფაშა<sup>4</sup> და რუ-მელის ფაშა, ოცდარვა ლივას ბეგი, ორმოცი ათასი ბესარაბიელი თა-თარი, ორმოცი ათასი ვლახეთ-მოლდაველთა რაზმი, ოცი ათასი ტრან-სილვანიის სოფლების ჯარისკაცი და ოთხმოცი ათასი ყირიმელი თათა-რი ქარივით წამოვიდნენ და აზოვის ციხეს ალყა შემოარტყეს<sup>5</sup>. კაფუ-დან სიაკუშ-ფაშას, გემსაშენის ქეთხუდა ფიალს და იანიჩართა აღის გადაწვეტილებით, ჩვენთა ერთად მყოფი სამეფო ფლოტის 150 კა-ტარლა, „კალიოთ“, „ბაშთარლა“, 150 „ფირკათა“, ორასი „ჩაიკა“ და „კარამურსელი“ — სულ ოთხასი ხომალდი ორმოცი ათასი თავით ფე-ხებამდე შეიარაღებული საზღვაო ჯარით ანაპის ნავსაღვურიდან ღუზას მოვეხსენით და ხელსაყრელი ქარით დიდი მდინარის — ყუბანის წყლის — შესართავი გავიარეთ. მეშვიდე მილზე ტამანის ციხის წინ გავცურეთ და ქილისეგიქის (პატარა ეკლესიის) კონცხთან რომ მოვე-დით, ხელმარჯვნივ ტამანის ნახევარკუნძულის ჩუჩვას კონცხი იყო და

ხელმარცხნივ — ყირიძის ნახევარკუნძულის კონცხი. ეს ორი კონცხი ერთი მილითაა ერთმანეთს დაშორებული. სჩუტის შიდა მხარეს აზოვის ზღვა ეწოდება. წყალთხელი ზღვაა. ამ სრუტით შიგ შევედით და ხელსაყრელი ქარით ბალისირას ნავსადგურში მოვედით. აქ ღუზა ჩაუშვით და ხომალდები დავაძით. საჭურველი და საომარი მარავი. საჭმელ-სასმელი და მარცვლეული დავტვართეთ მცირე ხომალდებზე — „სანდლებზე“, „ფირკათებზე“, „ჩექმელიებზე“, „ზარბუნაებზე“, „ღონბარაებზე“. აქედან აზოვის ციხის ძირამდე ოცდათვეჯვეშეტი მილია, მაგრამ რადგანაც ბალისირადან აზოვამდე ზღვის სიღრმე ხუთი არშინია, კატარდა და „ჩაიკა“ ხომალდები ველაზ განაგრძობენ გზას; მეტისმეტად წყალმარჩხია. ეს ბელოსარად წოდებული ყურე ტამანის ნახევარკუნძულის ახლოს, ჰავათის ტრიამალის დასავლეთი კიდის ნაპირზე მდებარე უდაბური აღვილია. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ზღვისოდენმა ლაშქარმა ლერწმისა და ჩალამ-კალამისაგან იაწყობები და ფარდულები მოაწყო. დიდი ქალაქივით გამოვიდა. იგი აზოვის ნავსადგურია. ამ აღვილას კაფას ბეგლაზებეგ ბექირ-ფაშას [მმართველობაში მყოფი] ჩერქეზეთის ტომებიდან: — შალაქე, უანე, მამშუჩი, ნეკეფო, ბუზუდუკ, ბულთაკა, ნატუკა, ბესნა, ყაბარდო, თავსანან — და დაღისტინის მფლობელის — შამხალ-სულთან მაქშუდისაგან ორმოცათა-სამდე რჩეული ლაშქარი და შვილი ათასი ურემი მოიყვანეს. ამ ნავმისადგომიდან მთელი საომარი მასალა ურმებით აზოვსაკენ წაიღეს. ყველა მუსლიმი გმირი ციხის სანგრებში შევიდა და თვალის გახელვა არ აცალეს, სის შემოარტყეს ალყა შვიდი მხრიდან. დაიწყეს დღედაღი ბრძოლა. ანატოლიიდან დასახმარებლად მოვიდა შვიდი ვეზირი, თვრიამეტი მიზრირანი, სამოცდათი მიზრივა. დიდ ასე ლმერთი! ერთ დღეს თოფ-ზარბაზნის ისეთი შედლუხი ატყდა, თითქოს ლურჯი ღრუბელი ცის ტატრობზე ნაკერ-ნაკერ ჭცეულა და მიწაზე ცვივაო. თათართა ხანს ებრძანა ამ ადგილას დარაჭობა. [მას ემორჩილებოდნენ] ყირიმის ლაშქრიდან: ულუ-ნოლაელების, ქეჩინ-ნოლაელების, შეიდაჭ-ნოლაელების, ურუმბით-ნოლაელების, შირინლის, მანსურლუს, სეჭუ-ლუს, მანგითლის, ნაკშივანლის, ჩექეშელის, ბათლის, ურლუს, ულან-ლის და ბარდაკლის ტომების ელები. არსლან-ბეის ელის, ჩობან-ელის, დევო-ელის, ნოვრუზ-ელისა და სხვა ხალხების ჯარებით მათი აღმატებულება ხანი ისლამის ჯარს ყოველი მხრიდან იცავდა და ყარაულობდა. იმ ღამეს ციხეში ალყაშემორჩყმულმა წყეულმა კაზაკებმაც თოფის სროლა ატეხეს. აზოვის ციხე ნემრულის ცეცხლში აღმოჩნდა ფასკუნჯივით<sup>7</sup>. ღოლებსაც დასცეს და ციხე „წმინდაო გიორგის“ ყვრილმა მოიცეა. ციხის კედელ-ბურჯები სულ ჯვრებით შეამკის. თურმე, იმ უკუნეთ ღამეს მდინარე დონით ათასი გიაური ციხეში დასახმა-

რებლად შესულა. დილიდან თოფ-ზარბაზნის განუწყვეტელი ზათქა-  
ბუთქი ატყდა და შეიძასი კაცი ისლამისათვის ბრძოლაში დაიღუპა.  
მეორე დღეს გათენებისას თათრების ხანი და სილისტრიის ფაშა ქენან-  
ფაშა დონის პირას სადარაჯოდ დაყენეს. სხვადასხვა მხარეს მარბიელ  
რაზმებს, მეალაფებსა და მესურსათებს სათანადო ბრძანება მიეცათ.  
ყველა მირმირანს სამხედრო დანაყოფების მიხედვით აღვილი მიეჩინა.  
ისევ შევიღნენ სანგრებში, შეიდი წყება სანგარი გამოიცვალეს და  
მოლურჯი-ბაბას აკლდამიდან ციხის თხრილის ნაპირამდე მიაღწის.  
მუსლიმები გიაურთა ზარბაზნის გასროლაზე უფრო შორ ადგილას და-  
ბანაკდნენ. მეორე დღეს, დილააღრიან დიდებული სარდალი ჰუსეინ-  
ფაშა მოლურჯი-ბაბას აკლდამის მხრიდან შევიდა სანგრებში ზღვის-  
ოდენა ლაშერით. კაფუდან სიავუშ-ფაშამ ასრ ფირკათა ხომალდიდან  
ხმელეთზე ჭარები გადმოსხეა და სუ-კულეს (წყლის კოშე) მხრიდან  
შევიდა სანგრებში. „ფირკათა“ ნავები კი ულუ-დონის 8, დერი-დო-  
ნის 9, კანლიჯა უზექის და თემურ ლენგის კუნძულის ნაპირებზე დამა-  
ლეს. სუ-კულეს ზემოთ, სამხრეთის ნაპირზე ანატოლიის ფაშა სან-  
გრებში შევიდა ჭარით, რვა „ბალემეზ“ ზარბაზნით და იანიჩართა ათი  
116 ოდათი. ||ყარამანიის ფაშაც ექვსი ოდათი სამხრეთის მხარის კედელში  
სანგარში შევიდა და ექვსი „ბალემეზ“ ზარბაზანი გაამზადა. დასავლე-  
თის მხრიდან ყარა დაძაკის გარეუბნის მიმართულებით სილისტრიას  
ფაშა ქენან-ფაშამ სანგრებში ჩასხა იანიჩართა ათი ოდა, ჯებეჯიების  
ერთი ოდა, მეზარბაზნეთა ერთი ოდა და ათი „ბალემეზ“ ზარბაზანი.  
რუმელიის ფაშაც გოზჯუ-კულეს მხარეს. ათი „ბალემეზ“ ზარბაზნით  
სანგრებში ჩაჭდა.

საბოლოო ჭამში, შეიდი მხრიდან სამოცდაათი ზარბაზანი ურ-  
ტყამდა ციხეს და ზღვისოდენა ჭარი კი „კულუმბურნა“ და „შაპი“ ზარ-  
ბაზნებით, სამოცდაათი წყება სანგრების საშუალებით ყოველის მხრი-  
დან ციხეს შემოეწყო. დასამიწებელი გიაურები ციხის შიგნიდან და  
ციხის გარედან კი [ჩევნი] ძლევამოსილი ჭარები ბრძოლას შეუდგნენ.  
ორივე მხარის თოფ-ზარბაზნის ზაჟქით ცა და მიწა კექა-ქუხილივით  
გრიალებდა. დილიდან რომ დაიწყო, მთელი შეიდი საათი ისეთი ბრძო-  
ლა და ორომტრიალი იყო, რომ თვალს ქვეყანაზე ამის მსგავსი არ  
უნახავს.

დილით შეიდივე ფრთაზე შეიდასმა კაცია შესვა სარწმუნოებისა-  
თვის წამებულის თასი და მათი ქონება ხაზინას ჩაბარა. გათენებისას  
ლოცვითა და ღმერთის დიდებით ზარბაზნებს ცეცხლი მიეცა, ციხის  
კარ-ედლები დაინგრა და დაილეჭა, სახლები განიავდა და დამიწდა.  
მაგრამ, რაღვანაც [მთავარი ციხის] ბურჯები და კედლები გენუელების  
აშენებულია, მტკიცე და გამძლეა, ამიტომაც გადარჩნენ დანგრევას.

ზარბაზნის დარტყმებით დანგრეული აღგილები გიაურთა ჯოჯოხეთში დასამკვიდრებელ სამყოფელად იქცა. იმ ღამეს დაუყოვნებლივ მოაწყვეს ლობები, ხიმიჯების ზღვდეები, ლორის ორმოები. ჩასაფრდნენ და თავიდან დაიწყეს ბრძოლა.

შვიდ ღლეს ასე გრძელდებოდა. განუწყვეტლად იბომბებოდა ციხე და ისევ გაიხსნა ახალი ხერელები. დიდებული სარდალი კი, რომელიც გულია, მხიარული, უბრალო და საყვარელი ადამიანი იყო, სანგრიდან სანგარში დადიოდა, მუსლიმ გმირებს ამხნევებდა და საპრძოლველად აქეზებდა. წყალობითა და საჩუქრებით ჭარისადმი დიდ-სულოვნებასა და კეთილ მობყრობას ამჟღავნებდა. უხვი ჯაბახანიდან უგზავნიდა საჭირო საომარ მასალას. ყველა მეომარზე მეტად მისმა საკუთარმა არამა მიაყენა ზიანი ციხეს ხერელების სახით. რა ლონისძიებაც არ უნდა მიეღო, ყველაფერს ბჭობისა და მსჯელობის შედევრად აკეთებდა და ამიტომაც წარმატებები ჰქონდა.

ბოლოს, ზარბაზნის დარტყმით შექმნილ საქმარის ხერელებს შეუტიეს და ||ზოგმა გმირმა აქ ბაირალი დაასო. მაგრამ დაინახეს, რომ აღრე მათ მიერ უკანმოტოვებულ შესასვლელებს ბოლო არ უჩანდა, [გადაკეტილი იყო]. გაიძვერა ურწმუნოებმა კი შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს და ამ გმირებს ისეთი ტყვია დაუშინეს; რომ ერთი თვალის დახმხამებაში ასობით მათგანმა შესვა სარწმუნოებისათვის წამებულის თასი. გადარჩენილებმა კი თქვეს: „უკან დაბრუნება მუპამედის ღირსებას არ ეკადრებაო“ და სამი ღლე და ღამე ისე ებრძოდნენ ციხის კედლებზე ურჯვულოებს, რომ ხან ერთი ძოეჭცეოდა ქვეშ, ხან — მეორე. ასე გაუწიეს წინასაღმდევობა მოვრალი გიაურების იერიშებს. ბოლოს, ბრძოლით უკან დაიხიეს და ციხის [კედლებზე] მრავალი ღროშა და დახოცილები დატოვეს. ყველა გმირმა თავი ინუგეშა: „ღვთის მიერ წინასწარ განსაზღვრული ყოფილა რომ [ციხის] აღება სხვა დღი-სათვის უნდა გადაიდოსო“. ჭარმა ბრძოლა განახლა. კიდევ ექვსი ღლე გონჩე არ მოიყვანეს გიაურები და ასე ჩაიგდეს ხელში ციხის გარშემო ყველა თხრილი. იმავე ღლეს, გიაურების ორმოცი „ფირკათა“ ოთხი ათასი საომარი სულსკვეთების ვაჟაცართ — ბულებივით კაზაკებით აზოვის ციხის დასახმარებლად მდინარე ღონით რომ მოდიონდნენ, სილისტრიას ვალის ქენან-ფაშას ფრთაზე ჩასაფრებულმა მუსლიმმა გმირებმა ხომალდებს წყლის ღონებზე „ბალუმეზ“ ზარბაზნები დაუშინეს და ყველა დალეწეს, ჩაძირეს და მოსპეს. ვისაც ეგონა, გადავრჩებით და ხმელეთზე გამოვიდა, ფეხშეკრულნი და გულდაკოდინი ტყვეობაში მოხვდნენ. მართლმორწმუნა ჭარმა უმრავი დაულა იშოვა. იმ ღლეს მაცნეებმა დაიძახეს: — „დავლა მუსლიმი გმირებისააო“. იმ ღლეს ყველა გმირმა გაიხარა: შეასრულეს წმინდა განბან-

ვა და დილამდე იმხიარულეს. „თუ ღმერთი ინებებს, ხვალ დილით  
იერიში იქნებაო“, ერთმანეთს ატყობინებდნენ. ყველანი იარაღით აღი-  
კურვნენ და გაემზადნენ. ამ დღეებში ციხის კარ-კედლებიდან გადარ-  
ჩა მხოლოდ შემდეგი: დონის ნაპირას ერთი კოშკი; ხმელეთის მხრი-  
დან, ხოლურთჯუ-ბაბასკენ — ერთი კოშკი და დასავლეთის მხარეს —  
ერთი კოშკი. სხვა კოშკები იმდენი ანგრიეს, მიწასოან გაასწორეს. მაგ-  
რამ რაღაც ციხეში გარშემორტყმული გიაურები ფართადივით მთის  
მნგრეველები<sup>10</sup> იყვნენ, მიწის ქვეშ შედიოდნენ და იქ აფარებდნენ  
თავს. ამ გზით ზარბაზანს გადაურჩნენ და ციხეს სიმტკიცე შემატეს.  
რომელი მხრიდანაც არ უნდა დაედოთ მათთვის ნაღმი მიწის ასაფეთ-  
ქებლად, თხუნელებივით პოულობდნენ და ნათხარ მიწას ღამე მალავ-  
118 დნენ. ბოლოს, მიწის მთხელებმა, სხვა||გამოსავალი რომ არ ჰქონ-  
დათ, თვითონაც დაიწყეს ნაღმის დადება. სანაღმო საქმეში თხუნელა-  
ზე ოსტატურად მოქმედებდნენ. თვით მდინარე დონის ქვეშაც კი შეძ-  
ლეს გაფისული ნავებით წყალში ნაღმის აფეთქება.

ისლამის ლაშქარი ამ მიზეზით დაბანდდა ორმოც დღეს. ამ ხნის  
განმავლობაში გარისკაცებს შორის ათასნაირი ჭორი და მითქმა-მოთქმა  
ატყდა. რაც შეეხება ურჯულოებს, მათ უკვე უარი თქვეს მაშველი  
[ჭარების] ნავებით გამოგზავნაზე და ყოველლიმ სუთასი, ექვსასი შიშ-  
ველი კაზაკი მდინარე დონში შედიოდა. ტანი წყალში ჰქონდათ და მხო-  
ლოდ პირში ჩადებული ლერწმის საშუალებით სუნთქვავდნენ. ამგვა-  
რად დაიწყეს მდინარეზე გაღმოსვლა. ასეთი საშუალებით მოვიდნენ  
აზოვის ციხეში და [ციხის დაცუკელებიც] გამოცოცხლდნენ. ყოველ-  
დღე განუწყვეტლივ იბრძოდნენ. სანგრებზე თავდასხმას, მოულოდნელ  
ლამის იერიშებს იწყებდნენ და შემდეგ მიწაში უჩინარდებოდნენ. ხელ-  
საწყობებს, საომარ მასალას და იარაღს კი დიდი და პატარა ტიკებით  
მდინარე დონზე აცურებდნენ და ციხეში შეჰქონდათ. ბოლოს მუსლი-  
მი გმირები ამ ეშმაკობას მიუხვდნენ, მდინარე დონზე ხომალდების ან-  
ძები ჩაასვეს და კაზაკებს გზა გადაულობეს. ამგვარად, გიაურების  
მრავალი ქონება ჩაიგდეს ხელში და გამდიღრდნენ. გიაურებს იმედი  
გადაუწყდათ, მაგრამ მიწის ქვეშ უშიშრად გადიოდნენ, მარგილების  
ლობებებსა და ლორის ორმოებს აწყობდნენ [მახეებად] და წინწერეულ  
მუჰამედის ხალხს ხოცავდნენ. თანდათანობით ხალხს გუნება გამო-  
ეცვალა: „ვის გაუგია ასეთი უხამსი წესით ბრძოლაო“, — ამბობდნენ  
მუსლიმი გმირები და შეშინდნენ. ხმა დაირჩა, მოსკოვის მეფე ორასი  
ათასი მეომრით მოდისო — ხალხმა ჭკუა დაკარგა. სინამდვილეში კი  
ეს ამბავი მტრის მოგონილი იყო, მაგრამ გარი შეაშინა. ამის გამო ვე-  
ზირები, დიდებულები, დიდი და პატარა გამოცდილი, საქმიანი კაცე-  
ბი შეიკრიბნენ და დიდი ბჭობა გამართეს. თქვეს: „ამ ჩვენ ბრძოლას

ბოლო არ უჩინს, ციხისაგან ნიშანწყალიც რომ არ დარჩეს, მისი აღე-  
ბა მაიც ვერ მოხერხდება. იანიჩარები იტყვიან: „[სანგრებში] ორმოც  
დღეზე მეტი ხნით დარჩენა წესად არა გვაქვსო“, ერთის ტერიტორია  
დღეს თვეს აიშვებენ და სანგრებიდან გავლენ. ერთის ტერიტორია  
ხმალივით ბასრი ზამთარი. აზოვის ზღვა ორი კულა არის სისქეზე იყინე-  
ბა, ხუთ თვეს ზამთარი იქნება და გზები შეიკვრება. სად უნდა ვუ-  
შოვოთ ისლამის ლაშქარს მყუდრო ადგილი? სად გამოვიზამთროთ?  
||თანაც შეუძლებელია მაშველი ძალისა და სურსათის მოსვლა. ღმერთ-  
მა გვაშოროს და ისლამის ლაშქარში რომ შიმშილობა ჩამოვარდეს,  
რა დღეში ჩავცვიდებით? ფალიშაპის ეს საომარი მასალა ვის დავუ-  
ტოვოთ? რომელ მხარეს წავიდეთ? ერთი მხრიდან ზღვაა, ჩრდილოე-  
თით — ურწმუნოთა ქვეყანა, აღმოსავლეთითა და სამხრეთით — უკა-  
ცრიელი ჰაჯიათის ტრამალი!“ ამის გამო იყო, რომ ყოველმა კაცმა  
ათასი რამ თქვა. ბოლოს, კოჯა ქენან-ფაშამ და გემსაშენის ქეთხუდა  
ფიალა-აღამ ბრძანეს: „ყველაზე სწორი აზრი და გადაწყვეტილება ის  
იქნება, რომ დღეს მაცნეებმა ხალხს აუწყონ: „დილაადრიან იერიშია  
და ვისაც თიმარი, ზეამეთი და სიფაპიობა სურს, უნდა გამოვიდეს“.  
შვიდი ფრთიდან შვიდი ათასი თავზეხელალებულია, უშიშრად შემტევი  
ვაჟყაცი უნდა დაინიშნოს. მუსლიმ გმირებს შორის ყველაზე თავდა-  
ლებულები ბრძოლაში განაწილებულ იქნან. ენახოთ, ბეღის საჩეც რა  
სურათს გვიჩვენებს“. ამით დაამთავრეს ბჭობა და ფათიპა თქვეს. გმი-  
რებს შორის სიხარული და აღტაცება შეიქნა. სახელმწიფო ჯაბახიანი-  
დან მუსლიმ ჯარს სიით დაურიგდა შვიდი ათასი ხმალი, ორი ათასი  
ფარი, ორი ათასი თოფი, ორმოცი ათასი ისარი, ხუთი ათასი მშვილდი,  
ექვისი ათასი შუბი, ხუთი ათასი შუშის ხელყუმბარა და ნაირ-ნაირი  
იარალისათვის განკუთვნილი საომარი მასალა. შემდეგ, ბეღნიერ  
დროს<sup>11</sup>, შვიდი ფრთიდან თოფ-ზარბაზანი დაუშინეს და ჯარში ატყდა  
ყიფინა — „ალააპ!“ თოფისა და შავი კვამლის ნისლისაგნ ჰაერი დაბ-  
ნელდა. მაგრამ სისიამოვნო ნიავმა დაუბრება და მტერ-მოყვრის გარ-  
ჩევა შესაძლებელი გახდა. ისლამის ჯარები მოღერებულ დანად იქცნენ  
და ციხეში შევარდნენ. ურჯულოები გააქციეს და ხოცაულეტით შე-  
რევეს შიდა ციხეში. ერთი სიტყვით, რვა საათი ისეთი ბრძოლა იყო,  
რომ მოპარის ბრძოლას<sup>12</sup> ჰგავდა. ურჯულოების ასეთი ყოფა რომ ნახეს  
ხმალსგადარჩენილებმა, მიწაში გაკეთებულ ღორის ორმოებში შევიდ-  
ნენ და დაიმალნენ. მაგრამ დაწყევლილებმა ეშმაკობა გამოიყეხეს —  
მიწაში ნაღმები ააფეთქეს და ისლამის მეომრები ნამგალა ჩიტებივით  
ჰაჯიში ააფრინეს. ვინც სათოფურებამდე აღწევდა, ტყვიას უშენდნენ  
და დაიწყეს ისლამის ჯარის საათობით ხოცავა. ზურგიდან კი მაშველი  
ძალა არ მოდიოდა. გმირებმა ნახეს, რომ შუალე გაღიაწურა. გარდა

იმისა, რომ ძალ-ღონე გამოელიათ, ახლა შემშილმა დააძაბუნა, ძლიერი 120 სიცხისა და წყურვილისაგან სიკედილის||პირას მოვიდნენ. მზის ჩასვლისას თავ-თავისი რაზმების ჩაუშები მოვიდნენ და ძახილით მოუწოდებდნენ: „გმირებო, დაბრუნდით! ჯანი მოგვეცეთ! მზის ჩასვლის დროა, მოდით, საჭმელი მიიღეთ, დილაადრიან განვაგრძოთო“.

მათაც, ბრძოლის ველზე რაც ნადავლი, ჭურვები, თოფები და სხვა იარაღი იყო, აკრიფეს, სარწმუნოებისათვის წამებულები ტყვეებს აქვთ და უველანი თავ-თავის ნაწილებში დაბრუნდნენ. თოფისა და ზარბაზნის თითო ბათქით შედლუხი გამართეს, დახოცილების სახელზე ლოცვა აღავლინეს და დამარხეს. დაჭრილებს სარჩოდ გაუმწესეს შესაფერი თანამდებობები და დასტაქრები დაუგზავნეს. ვინც [მოჭრილი] თავი მოიტანა, ასი ყურუში მიეცა და ვინც მოენე [ტყვე] მოიყანა, ერთი ტყვე ეწყალობა და მათ თავზე გვირგვინები დაადგეს. ესენი დააწინაურეს და ზეამეთები და თიმარები გასცეს. ათასი მოკლული მუსლიმის ქონება ხაზინას გაღაეცა.

იმ ღამეს გაიურება ისევ ფართადივით იმუშავეს და ციხის დანგრეული კედლები განამტკიცეს და გაამაგრეს. ჩასასაფრებელი ადგილები, სათოფურები შეაკეთეს და თითქოს ალექსანდრეს ახალი ზოუდე გააკეთეს<sup>13</sup>.

ეს გარემოება რომ ნახეს მუსლიმმა გმირებმა, დაღონდნენ. მეტი რა გზაა! „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა“ თქვეს, მთელი თავიანთი საქმები ღმერთი მიანდევს და ისევ ხამუშ-ხამუშ ბრძოლას შეუდგნენ; მაგრამ პირვანდელივით გულმოდგინე, ერთსულოვანი, თავ-გამოდებული [ბრძოლა] აღარ იყო. თუმცა, ის კი, რომ გულმოდგინება და ლირსების გრძნობა მაინც არ დაუკარგავთ და დღედაღმ ბრძოლა არ მიუტოვებიათ. კასიმის დღემდე ორმოცამდე დღედა რჩებოდა<sup>14</sup>. „ვინ იცის, როგორ წავა ჩვენი საქმეო“, თქვეს და უველავზირი, რწმუნებული და საქმის კაცები შეიკრიბნენ, ღვთის მიერ ნაბრძანების მიხედვით ითაბირეს და დაადგინეს, რომ მოსკოვის მეფის სატახტო ქილაქამდე სარბევად გაეგზავნათ ბაჰადირ გირე-ხანი სამოცდათათასიანი ჭარითა და ცხენოსნებით. ბაჰადირ-გირე თანხლებული თათართა ტომების ჭარით დაბრუნდს გამგზავრების მე-14 დღეს. ისლამის ჭარში მან ორმოცდახუთი ათასი ტყვე და ორასი ათასი ნადავლი ცხენი მოასხა, ურიცხვი ძვირფასი ქონება, სპილენძის, კალის სხვადასხვანაირი ჭურქელი მოიტანა. როდესაც აზოვის ციხესთან მდგარ ისლამის ურდოში მოვიდა, ისლამის მეომართა მყვდარი გულები გაცოცხლდა და აზოვის ციხის ძირას ისეთი თატრული საზეიმო აღლუმი მოაწყვეს, რომ ჩინგიზიანთა შემდეგ||მსგავსი არ უნახავ ქვეყნიერებას. უწმუნოებმა რომ დაინახეს, როგორ მოიყვანეს თა-

რებმა მათი თანამემამულე ტყვეები სასოწარკვეთილი და გულგატეხილები, ვაის ძახილი და გოდება ცას მიაწვდინეს. იმ ღამეს მშიერ და უილაჭოდ დარჩენილების ერთი ნაწილი ციხიდან გამოვიდა. ისინი დაიჭირეს და პატივმოსილ საჩდალს მიჰვარეს. ზოგი დაასაჩუქრეს და ზოგი კი ისლამის მიღებით გაპატიოსნდა. აზოვის ციხიდან გადაიკარგნენ და წავიდნენ მიმღლის ყიფილის მანძილზე მდებარე ციხისაკენ, რომელსაც ხორისებრანი<sup>15</sup> ეწოდება.

თათართა ჯარის ასეთი ნადავლით მოსვლამ ისეთი სიუხვე შექმნა, რომ ცხენი ერთ ყურუშად გაიყიდა და გაუფურჩქნავი ქალწული — ხუთ ყურუშად. თათრების უვნებლად დაბრუნებისათვის თოფებისა და ზარბაზნების სამბათქიანი შედლუხი ვამართეს.

მაგრამ მოახლოვდა აზოვის ქვეყნის დაუნდობელი ზამთარი. ყველას შეეშინდა მკაცრი ზამთრისა და სათაბიროდ შეიკრიბნენ. ყველა საქმის კაცი და თათრების უხუცესნი ერთსულოვნად შეთანხმდნენ, სამასბეჭდელდასმული არზა და მოხსენება გამზადეს და დედაქალაქ სტამბოლში გაგზავნეს.

მისი შინაარსი შემდეგია: „წელს ამ ციხის დაპყრობა შეუძლებელია. ზამთარი დგება. მოსკოვის მეფის ძველ სატახტო ქალაქამდე [ქვეყანა] დარბეულ-გაძარცულია. დატყვევებულია სამოცდაათათასამდე ურჯულო და ასი ათასიც გაილირა. მოსკოვის მეფე ლირსეულად დაისაჭა“<sup>16</sup>.

ამ არზის გაგზავნის შემდეგ ორ მოსაზრებულ ტყვეს შეუქმნეს პირობები, რომ ციხეში გაქცეულიყვნენ. ისინიც ციხეში შევიდნენ და იქ მყოფებს ამბავი მიუტანეს: „თურქი ამბობს: ჩვენი მიზანი რომ ციხის აღება ყოფილიყო, ერთ თვეში ავიღებდით, მაგრამ, ჩვენ მოსკოვის მეფისათვის ჭკუის სწავლება, ამდენი ხალხისა და მათი ქვეყნების აბევა-ტყვევნა გვინდოდა და ეს შევასრულეთ კიდეცო“.

ღვთის სიბრძნით, შივრიკების სტამბოლში გამგზავრების ღამეს ისეთი მშრალი ყინვა დაიჭირა, რომ ისლამის ლაშქერი კინალამ მიწაში ჩაძრა. ამის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ არც ყივჩალთა ტრამალზე და არც შავ ზღვაზე ხსნა და იმედი არ არის. ბოლოს, ისლამის ლაშქარს ციხის დაპყრობის იმედი დაეკარგა; რჩეულთა და მდაბიოთა გადაწყვეტილებით დაპყრობაზე ხელი იიღეს. მარგვენა და მარცხენა ფრთის მთელი საომარი მასალა ხომალდებზე დატვირთეს და გამგზავრების ნაღარები დაუკრეს. „ღვთის ბრძანება ყოფილა, ღვთის განგება ასეთი ყოფილაო“, თქვეს, ციხიდან დაუპყრიბლად გაბრუნდნენ და ბალისირაში მოვიდნენ. იქვე სამეფო ფლოტი ელოდათ. ყველა ვილაიეთის ჯარები დაითხოვეს. ზოგი ხმელეთით გაემგზავრა, ზოგიც — ზღვით. ხმელეთით წასულები ექვსი დღის განმავლობაში მიღიოდნენ

ყუბანში, იქიდან — ჩერქეზეთში, ტამანის ნახევარკუნძულზე. ზოგიც ჰავანთის ტრამალის ჩრდილოეთით მდებარე ჩერქეზეთში წავიდა. სამეფო ფლოტი სტამბოლში წაბასვლელად ზღვიდან ღუზას რომ იღებდა, მე, მწირი, სარდალ ჰუსეინ-ფაშას დავეთხოვე და ყირიმის ხანთან ერთად ყირიმისაკენ გავემართე.

## X X XVIII

აზოვის ლაშქრობიდან, აზოვის აულებლად,  
ყირიმის მააჩაში გამგზავრება

ბაპადირ გირევ-ხანის ჯარი ვლახეთის, მოლდავეთის, ტრანსილვანიის ჯარებთან ერთად აზოვის ციხიდან აიყარა და ჩვენც მდინარე დონზე გადასვლას დავეჩქარეთ იმ ადვილას, სადაც იგი ზღვას ერთვის. ციხესთან მდინარე მშვიდად მიედინებოდა. მისმა აღმატებულება ხანმა ჯართან ერთად ცხენი მაშინვე წყალში შეაგდო და გაღმა ისე გავიდა, რომ [წყალი] უზანგს არ მისწვდომია. დანარჩენმა მეომრებმაც იარაღი და საომარი მასალა ტიკებზე დაწყვეს, ცხენებს კულზე გამოაბეს და ერთ საათში მდინარეზე გადავიდნენ. ოცდაერთი საათის განმავლობაში ჰავანთის ტრამალებზე თაორული ილლარით ვიარეთ და ბორებას მიერწიეთ.

ბორებაა: ამ ადგილას მიედინება დიდი დონის ტოტი, რომელიც აზოვის ციხის დასავლეთით ერთვის ზღვას. მოსკოველთა პირდაპირ მდებარე მთებიდან გამოდიან და სამ ადგილას აზოვის ზღვას ერთვიან. რაღანაც ლერწამ-ჩალიანში გაღის, მისი წყალი იმდენად გემრიელი არ არის. მდინარის პირას მცხოვრები ხალხი სახეზე ყვაოულია. ყელზე „ქოშკა“-დ წოდებული ამობურცული, ხორცმეტი სიმინდე უჩნდებათ. რაღანაც აქაურობა საუკეთესო მდელოებს წარმოადგენს, თათრების ჯართან ერთად გაეჩერდით, ვისიამოვნეთ და მოვილხინეთ. სამასი ცხენი დაიკლა და შეიკამა. ამგვარად, აზოვის ლაშქრობის წელს მე პირველად ვიგემე ცხენის ხორცი და პირველად ვილაშქრე თათრეთა 123 ჯართან ერთად. თუმცა მე, მწირი, მთათართა ხანს გახლდი, დღედაღამ კადა-ბეგის მანსურლუს ტომთან ერთად ვიყავი. თითო მშვენიერი, საპალნე ცხენი გვყავდა. ეს მანსურლუს ტომები ყირიმის ჯურთაშები ე. ი. ყირიმის ნახევარკუნძულის მფლობელები არიან. გოზლევეს ციხის მხარეს რომ არის მანგითის ელი, ამათი ქვეყანაა. ძალიან ნასუქალი ცხენები ჰყავთ. მათი ხორცი და ქონ შესაწირავად გამოვებილი ცხოველის ხორცისაგან არ გაირჩევა, ძალზე ნოყიერი და სწრაფად მოსანელებელი ხორცი აქვთ.

ამ სადგურში, როგორც კი გათენდა და ცეცხლისმფრქვეველი მზე ცის კოშკიდან ამოვიდა, ყველა კარავში დაგრავალეს ღოლები. გმირი თათრები ცხენებზე ამხედრდნენ და რვა საათის მგზავრობის შემდეგ მდინარე სუთის! ნაპირზე მოვედით. მდინარეზე ცხენდაცხენ გადავედით და რადგანაც მისი ნაპირებიც მდელოებიანია, აქ გავჩერდით. მაგრამ იმის გამო, რომ ეს ადგილი ჩავარდნილი, ლელიანი ჭაობია, ასამდე ცხენი და ორმოცდაათი ტყვე ჩაიფლო და დაიხრჩო.

მდინარე სუთი: მოსკოვის ქვეყნის დასავლეთ მხარეს მდებარე გორლოვიჩად წოდებული დიდი ქალაქისა და ძელი ციხის მთებში იღებს სათავეს და ამ ადგილას აზოვის ზღვას ერთვის. მაგრამ, რადგანაც თავისი მდინარების დროს სპილენძისა და ვერცხლის მაღნეულში გადის, მისი წყალი რძესავით თეთრი ფერისაა. ამცტომ უწოდებენ მას რძის მდინარეს. ავთვისებიანი, უსარგებლო წყალია. ვინც დალევს, უმეტესობას ყელზე ჩიყვი გამოუვა. მაგრამ ამ მდინარის ორივე ნაპირზე სამოცდაათამდე კეთილნაშენი და მტკიცე ციხეა. თუმცა, ყველანი თათრების შიშით თრთიან. ყირიმიდან კვირაში ურთხელ-ორჯგრ „ბეშ-ხაშის“ რაზმები — ჩეთეჭიები მოდიან, ციხის ძირას დათარეშობენ, ნადავლს იღებენ, ყირიმში მიაქვთ და ჰყიდიან. ყველა ეს ციტე მოსკოვს ემორჩილება. ამ მდინარე სუთ-ის ნაპირიდანაც ავიყარენით და ერთი საათის შემდეგ მდინარე მიუსთან მივედით. დიდი წყალია. ამ მდინარეზეც დიდის წყალებითა და ვაი-ვაგლახით გადავედით იმ სასტიკ ზამთარში. გაღმა ნაპირზე ცოტა ხნით შევჩერდით. ამ მდინარის წყალი უკვდავების წყალივთაა. დონის, ღნესტრის. ღუნას მსგავსად აქც მშევნიერი „მორინა“ და ზუთხი მოიპოვება. „ჩილა“ და „უშთუკა“ თევზიც ძალზე გემრიელია. ეს მდინარეებიც მოსკოვის ჩრდილოეთი მდებარე მთებში იღებენ სათავეს და აქ აზოვის ზღვას ერთვიან. აქც გამგზავრების დოლები ავახმაურეთ და გზას გავუდექით. ჩვენ სავალ ადგილებში სამი აზშინი თოვლი იღო. დილით ქარბუქი და ბორა ამოვარდა. თექვსმეტი საათი ვიარეთ და ყივჩალთა 124 ველზე ბურუმბას (ბერდა) სადგურში მივედით. იქაც თოვლზე დავიძინეთ. დილით ცხენებზე შეესხედით. თექვსმეტი საათი ჭენებით ვიარეთ და ყირიმის ნახევარკუნძულის ქვეყანაში შევედით. იმ დროს, როდესაც ორალზეს (პერეკოპი) ციხეში შევედით, გზაში შემხვდა დიდვეზირ ყარა მუსტაფა-ფაშას შიკრიკთა უფროსი რეგებ-აღა ოცი ცხენოსანით, რომელიც სტამბოლიდან აზოვისაკენ მოდიოდა. დწვრილებით ვუამბეთ, თუ როგორ ვერ შევძელით აზოვის ციხის აღება. მისი აღმატებულება ხანისაგან წერილები წარი და სტამბოლისაკენ. გაემართა.

მე, მწირი, კი მისი აღმატებულება ხანთან ერთდ ყირიმში შევე-  
დი. დიდ ქალაქ ბათჩისარადში საცხოვრებლად მოგვიჩინეს სასტუმრო  
სახლი პატარა მდინარის ნაპირას, რომელსაც ჩურუქ-სუ ეწოდება.  
მთელი ჩვენი ულუფა ავიღეთ, ხანის სამუდამო ბელინერებისათვის  
ლოცვა და ლვთისმსახურება დავიწყეთ. ოდნავ წელში მამტვრევდა,  
ყველაფრის ხალისი დავკარგე და სამოგზაუროდ ძალა აღარ მექონდა.

იმისათვის, რომ აზოვის ციხეში ჩაეტილ ურჯულოებს მაშველი  
ძალა არ მისვლოდათ, ამ ზამთარში მისმა აღმატებულება ხანმა ყირი-  
მის ნახევარკუნძულიდან სამჯერ გაითარეშა სარბევად ორმოცი-ორ-  
მოცდაათიათასიანი ცხენოსნით თვით აზოვის ციხემდე და ისევ ყი-  
რიმში დაბრუნდა. იმავე წელს კალგაც-სულთანმა<sup>2</sup> ოთხმოცათსიანი  
ჯარით სამჯერ დაარბის მოსკოვის ქვეყანა: თავს დაესხა და მოიტაცა  
ხუთ-ხუთი, ათ-ათი ათასი ტყვე და ნადავლით ყირიმში დაბრუნდა. გა-  
ზაფხული რომ დადგა, სტამბოლიდან უზენაესი კარიბჭის ერთ-ერთი  
კაფუჭი-ბაში მოვიდა; მის აღმატებულება ხანს მოუტანა ჩექმის სა-  
ფასური<sup>3</sup> ოორმეტი ათასი ოქრო და მაღალ ოსმალთა საგვარეულოს  
მჭერმეტყველური იარლიყი, რომელშიც შემდეგი ეწერა: „გაზაფხუ-  
ლის დამდეგს ასი ათასი მტერჩე მონადირე თათარი ჩვენ პატივმო-  
სილ სარდალთან, ჯიგან კაფუჭი-ბაში მექმედ-ფაშასთან<sup>4</sup> ერთად აზოვის  
ციხის საალყოდ უნდა მოამზადოო“. მისმა აღმატებულება ხანმა თქვა:  
„გისმენ და გემორჩილებიო“ და ცხენი ორმოცი დღით დააბა. თათარ-  
თა ყველა ტომმა ცხენების მოვლა და კვება დაიწყო. ბოლოს, ოთხ-  
მოცდაშიციდი ათასი მეომარით გაზაფხულზე ორალზები (პერეკოპი) წო-  
დებულ ადგილს მოვედით. აქედან ლოცვა-დიდებით გავედით და აზო-  
ვის ციხისაჟენ გავემართეთ.

ჯოჯოხეთში დასამკვიდრებელმა ურჯულოებმა შეიტყვეს, რომ  
აზოვის ციხისაჟენ მიემართებოდა შარშანდელთან შედარებით უფრო  
125 მრავალრიცხოვანი ჯარი: ყირიმის თათრები, ქოსმალეთის სამეფო  
ფლოტი, ხმელეთითა და ზღვით ჩამოსული ჯარები მრავალრიცხოვანი  
საომარი მასალითა და მოწყობილობით, მელალუმეებითა და მთების  
მნგრეველი [მესანგრეებით]. [აზოვის] ციხეში მყოფნი სათათბიროდ  
შეიკრიბენ და დადგინდეს:

აზოვის გაიურების თათბირი: — „შარშან ძლივს გადავურჩით ოს-  
მალებს. ამ ზამთარს თათრებმა არ მოგვცეს მოსვენება. არსაიდან მაშვე-  
ლი არ მოგვივიდა და ზამთარმა დაგვლუპა. ერთი მხრივ, შიმშილი და  
სიძირეა, მეორე მხრივ, თათრები ჩვენს მიწა-წყალს არბევენ, ნათე-  
სავებსა და ცოლშვილს გვიტყვევებენ და ჩვენ კი თათრების შიშით ამ  
ზამთარს ციხიდან თავი ვერ გამოგვიყვით. ციხე არ შეკეთებულა. საო-  
მარი მასალიდან ერთი ოყა დენთოც არ დაგვრჩენია. სხვა იარალი და

საომარი მარაგიც ალარაფერი გვაქვს. აქ ათი ათასამდე ქრისტიანილა დავრჩით. თანაც, ახლა ისევ მოღიან ოსმალები ფლოტითა და ზღვა ჯირით! აზოვის თევზის ჭამით გული გაგვიწყალდა და გულ-ლვიძლი დაგვილპა. ოსმალები ამ ციხეს მაინც არ შეგვარჩენენ. ერთ წელიწადში ჩვენი ოცდაათი ათასი ქრისტიანი ამოწყდა და ვინ იცის, რითი დამთავრდება ჩვენი საქმე? ახლავე უნდა დავტოვოთ ციხე, სანამ თათრები და ოსმალები ალყას შემოგვარტყამენ, თორემ თუ მოვისწრეს, ველარაფერი გვიშველისონ“.

ამ თაბირის შემდეგ, ერთ დღეს, ციხე მიატოვეს, ყველა ზარბაზანი, თოფი, მშვილდ-ისარი სასწრაფოდ სამღინარო გემებზე დატეიროვს და გაღაწულვიტეს გაქცეულიყვნენ<sup>5</sup>. დონის ნაპირ-ნაპირ ჩერქეზე-ქერმანში, ხოროს-ქერმანში, თუზლა-ქერმანში და სხვა ციხეებისაკენ წავიდნენ და იქ ჩადგნენ.

თათართა ხანი აზოვის ციხისაკენ რომ მიდიოდა, მდინარე სუთის ნაპირზე რამდენიმე კაზაკი შეიძყრო და მათგან შეიტყო აზოვის ციხიდან ურწმუნების გაქცევის ამბავი. იმ დღე-ღამეს ისე იარა, როგორც სარბევად განზრახული სწრაფი სვლაა და ციხეს მიაღდა. იქაურობა ცარიელი დახვდა — ძე-ხორციელი არ იყო. არამცუ ადამიანი, თავი, კატა, თახვი და სხვა ცოცხალი არსებაც კი არ ჩანდა. ციხის კარ-კედლებიდან გენუელთა ერთი კოშკილა დარჩენილიყო. ეს სიხარულით აღსავს გარემოება თათრების ხანმა ხმელეთითა და ზღვით დაგზავნილი შიკრიკების საშუალებით სტამბოლს მოახსენა. მეთერთმეტე დღეს ისინი სტამბოლიდან რომ მოვიდოდნენ, მოსკოვის //მეფის ჯაშუშები დაიჭირეს და გაბაწრულნი მიუყვანეს ხანს. მათ უშიშრად და დაუფარავად განაცხადეს: „ჩვენ იმისათვის ვართ გამოგზავნილი, რომ ციხეში მყოფთ ვაცნობოთ შემდეგი: — „სტამბოლიდან ისევ მოღის ოსმალების ზღვა ჯარი, ციხე დატოვეთ და გაიქცით, თორემ წინანდელი ამბავი არ გეონთ“. [ამ ჯაშუშების] სულები ჯოჯოხეთში გაგზავნეს. მეცამეტე დღეს დიდი სარდალი ჯივან კაფუჭი-ბაშე ვეზირ მეპმელ-ფაშა ზარ-ზემითა და გრიალით მიაღდა აზოვს და ციხე ცარიელი დახვდა. მაგრამ სამ დღეს არ შესულა — ელოდა და ფრთხილობდა; ვინ იცის, ურჯულოების რაღაც ვერაგობასა და ეშმაკობასთან მაქვს საქმეო. მეოთხე დღეს ციხის მიწაზე სალოცავად პოლონებს მუსლიმებს. ვლახეთის და მოლდავეთის ჯარს განლაგების მიხედვით დაეგზავნათ ბრძანებები. ალაპის სახელით დაიწყეს საძირკვლების თხრა. სამი დღის თხრის შემდეგ, ფსკერზე წყალი გამოჩნდა თუ არა, საძირკველში ხრეშის ფენა ჩაიარეს. თემურ ლენგის კუნძულზე მდებარე ქველი, დანგრეული ციხიდან ქვის გადმოსაზადად გემები გაიგზავნა. ასე დაიწყო საქმიანობა ციხის ასაშენებლად და ერთ თვეში დას-

რულდა. გენუელების მიერ აშენებულზე უფრო მტკიცე ციხე გამოვიდა. აკი ამიტომაც ამბობენ ამ ციხის შესახებ ყირიმის მატიანეები: „გალაშქრება სარდალ დელტ ჰუსინ-ფაშასი, დაპყრობა ბაჟალირ გირეჯ-ხანისა და აშენება კი — ჯივან კაფუჭიშ-ბაშისაო“.

[ციხე] ოლდგვინის შემდეგ ისევ კაფას ვილაუეთის სანჯაყის ბეგის საღვომად იქცა და ორთულიანი მირმირანი ფაშა მის ციხისთაგად იქნა დატოვებული. შიგ ციხის დასაცავად ჩააყენეს იანიჩართა ოცი ოდა და იანიჩართა ალა, თოფჩიუების ექვისი ოდა და ერთი თოფჩი-ბაში, ჯებეგიების ათი ოდა და ერთი ჯებეგი-ბაში და ყარა დაიაკის თათართა შვიდათასიანი ჯარი. ციხეში დაიღვა სამოცლაათი „ბალემეზ“ ზარბაზანი, ორმოცი „კულუმბურნა“. ციხის თხრილის ნაპირებზე დადგეს სამასი ზარბაზანი, რომელთაც „შაპი“ ეწოდებათ. დღედაღამ ბეგითი შრომით რაც შეიძლებოდა, სწრაფად შესრულდა მშენებლობა. სტამბოლს მოახსენეს: „[მშენებლობისათვის] საჭირო მასალისა, მუშებისა და სხვა საჭიროებისათვის ხუთი ათასი ქისა დაიხარჯათ“. ციხის მშენებლობის დროს თათართა შვიდმა ათასმა მეომარმა მოსკოვის ქვეყანაზე ილაშერა. ათ-ათი, ოც-ოცი ათასი ტყვით ისლამის ურდოში მოვიდნენ და თითო ტყვე ათ-ათ ყურუშად გაყიდეს. ბოლოს დაბოლოს, მოსკოვის მეფემ სტამბოლში ელჩები გაგზავნა — „შეგვიწყალეთ, გვაპატიეთ, ჰორი, რჩეულო ისმალებოო“ და ერთი სული პერნდა, სანამ ზავს დადებდა. ციხე რომ დამთავრდა და შიგ აქა-რქ სახლები შენდებოდა, სარდალი მექმედ-ფაშა სტამბოლისაკენ წავიდა. ||ისლამის დანარჩენი მეომრებიც თავ-თავის სამშობლოში წავიდ-წამოვიდნენ. მე, მწირი, კი მანსურილუს ტომთან ერთად აღებული გეზით რვა დღეში ყირიმის ვილაიეთში ჩავედი. ბახჩისარაეში განცხრომასა და დროსტარებას მივეცი თავი.

127

დიდება ალაპს, ამ ომიდანაც სვებედნიერი რომ დავბრუნდი, მისი აღმატებულება ბაჟალირ გირეჯ-ხანისაგან სტამბოლში წასასელელი ნებართვა მივიღე. ერთი ქისა ყურუში, სამი ტყვე, ერთი სიასამურის ქურქი და ერთი ხელი ტანისამოსი მიწყალობა. ისეთმა ბატონებმაც კი, როგორიც იყვნენ უფლისწულები მექმედ-გირეც, ნურედლინ-გორეჯ, მამაცი ვეზირი სეფერ-ყაზი-ალა, სუბპან-ალა, ახუ აქმედ-ალა და დავთარდარ ისლამ-ალა, თითო ტყვე მაჩუქეს და ამგვარად, ყირიმში თოთხმეტი ტყვისა და ოთხი ქისა ქონების პატრონი შევიძენი. ტრაპიზონსა, სამეგრელოსა და აბაზას ქვეყანაში ჩემ მიერ ნაყიდ ტყვებთან ერთად თვრამეტი ტყვე გამიხდა.

როდესაც ყირიმდან სტამბოლისაკენ გავემართე, ყირიმის ქვეყნის ყველა წარჩინებულსა და დიდებულს გმოვეთხოვე, მისი აღმატებულება ხანის კეთილი სურვილები და ლოცვა-კურთხევა მივიღე. უფ-

ლისწულის ცხენებზე შევსხედით და გზას გავუდექით. ჩემი, მწირის, გასაცილებლად მრავალი მეგობარი კაჩი-დერემდე მიმყვა. აქ ერთმანეთს გამოვეთხოვთ, ეჭვსი საათი სამხრეთისაკენ ვიარეთ და ბალაკლავას ციხეში მივედით.

ბალაკლავას ციხის აღწერა: ჩადგინაც სალაშქროდ მივდიოდით, საწერად დრო ვერ ვიშოვვე. ამ ყირიმის ქვეყნის დახასიათება, მისი საქველმოქმედო დაწესებულებების და ძეგლების აღწერა ვერ გავბედე. ის იყო ამ ბალაკლავას ციხის აღწერას უნდა შევდგომოდი, რომ ვინმე უჯალი სეფერ-რეისის ჩაიკაში ასორმოცდათ თანამგზავრთან ერთად ჩავჭექი და ზღვაში მრავალი საფრთხე, მრავალი საშინელი ამბავი ვნახე და განვიცადე. ერთ დღეს, რომელიც ლირსია ეწოდოს „განუწყვეტილ უბედურებათა დღე“, სანდალით ნავსაღვურიდან გავედით. ჩრდილოეთის ქარს იალქნები გაუშალეთ, ერთი დღე-ლამე ზურგქარით ვიარეთ და დაახლოებით, შუა ზღვას მივაღწიეთ.

### XXXIX

#### წრცმლი ევლიას თავგაჯასაცალი

აქედან ჩრდილოეთით ანაპის მთები მოჩანდა; ბალაკლავასთან — სულუმარის მთები; ||სინოპისა და ამასირას მთები კი ჩეენს პირდაპირ იყო. უცბათ არც ერთი მათგანიდან ნიშანწყალი არ დარჩა. საშინელ მორევში მოვხვდით. ხან ზურგქარით, ხან პირქარით ერთი დღე და ღამე დაუნდობელ ზღვაში აღმა-დაღმა ვირწეოდით. საით უნდა წავსულიყავით, არ ვიცოდით. სწორედ საამანდაზოდ გაგვიხსა საქმე: „უბედურებით საესე ლია ზღვაში არც გზა ჩანს და არც მეგზური“. მზე ზღვიდან ამოლიოდა და ზღვაში ჩადიოდა. ამგვარი მწუხარების მორევში ზღვის ტალღების ცემით უგზოუკვლილ რომ მივდიოდით, ლვთის განვებით, აღმოსავლეთით გამოჩნდა შავი ლრუბელი. ამას გარდა, როდესაც ჰექა-ქუხილი იტყდა და ქვიშანარევმა ტალღებმა კორიანტელი დაყენეს, მეზღვაურებს ფერი წაუვიდათ და საწყლებმა, თითების მტერევა დაწყეს. ხან გემის კიჩოზე მოთავსებულ ყიბლანას დაჰყურებდნენ, ხან ერთმანეთს განწირულად შესცემეროდნენ. ამ დროს, ერთმა მოხუცებულმა და გამოცდილმა მეზღვაურმა, რომელსაც დელე-დად ერქვა, მეზღვაურებს შესძახა: „აბა, ბიძიებო! რამ შეგაშინათ! ღმერთი მოწყალეა! აგერ, კორიანტელი და თავსხმა მოდის. დაუშვით იალქნები!“ ეს რომ თქვა, ყველანი ერთ აღგილს შეგროვდნენ და იალქნების თოკები დაუშვეს. იალქნის დირეც ძირს დაეშვა. რადგანაც დელვა თანდათან ძლიერდებოდა, ზღვაში გადაყარეს გემის ტვირთი — მატყ-

ლის დიდი ბარდანები, პაპირუსის ჭილოფები, თევზის დასამარილებელი კასრები და გემის ხე-ტყის მასალა. ორაზე მეტი ტყვე კი ამბარში ჩარეკეს და კარი გამოუკეტეს. გემი ცოტათი შემსუბუქდა, მაგრამ დელვა ცას ასწვდა და საშინელი ორიმტრიალი ატყდა.

„გულს თუ ჩაითრევს დარდის მორევი,  
რას გახდები, ბედის ტრიალს ვერ მოერევი“.

ამ ბეითის შესატყვისად სამი ღლე და სამი ღლამე არ შეწყვეტილა თოვლი, ქარბუქი და ბორა. მეზღვაურებს იმდენი ძალაც აღარ შერჩათ, რომ გემზე დამდგარიყვნენ. ყველანი გაიფანტნენ და გემის სხვა-დასხვა კუთხეში შეიყურნენ. მგზავრთაგან ვის გული ერეოდა, ვინ ცოდვებს ინანიებდა! ზოგიც მსხვერპლის შეწირვასა და მოწყალების გაცემას აღუთქვამდა უფალს.

მე, მწირმა, ვთქვი: „ეპეი, ღვთის მონებო! მოდით, ერთად ვილო-ცოთ ბეჭითად და განუწყვეტლივ: ვინ იცის, იქნებ გვიხსნას მოწყალულმერთმა ყურანის იმ ადგილის პატივისცემით, რომელიც შვებას ანიჭებს კაცს. იქ მყოფნი მაშინვე შეუდგნენ გულის სილრმიდან ამოსული 129 ადათების წარმოთქმას. ||მაღალი ღმერთის წყალობით, შავბნელი ცა თვალისდახამხამებაში გაიხსნა და ყოველი მხარე განათდა. თუმცა ჰექა-ქუხილი შეწყდა, ზღვა არ დაწყნარებულა. რაც შეეხება ქვიშიან ტალ-ლას, რომელსაც „ედიშერლემე“ ეწოდება, გასაქაჩს მაინც არ გვაძლევდა და არ გვიბრალებდა. ლელვა ხან ცას სწვდებოდა და ანდა ღრუბლებს ედებოდა, ხან ზღვის ფსკერამდე ჩაგვახეთქებდა, თითქოს ღრმა ხეობის უფსკრულში დაეშვო, და მაშინ ჩვენს გარშემო შავი ზღვა ბისუთუნის! მთასავით მოჩანდა. ბოლოს, გემის ამბარს სახურავი ავხა-დეთ და რაც რამ მძიმე ბარგი იყო, ზღვაში გადავყარეთ. ამითაც ვერ უშველეთ თავს. მერე, როცა გემის კიჩოზე საჭის ღერძი გადატყდა და საჟე ზღვაში გადავარდა, მეზღვაურებმა მუხლები გამოითქვიფეს და დაბალი ხმით ერთმანეთს ეთხოვებოდნენ. [მაგრამ] მტკიცე ნებისყოფიანმა არამდენიმე მამაცმა და ვაჟეკაცმა მეზღვაურმა ცული აიღო ხელში. პირეულ რიგში გადაჭრეს გემის ანძის სამაგრი თოკები. შემდეგ ანძას დასცეს ცული, თვალის დახამხამებაში მოჭრეს და ზღვაში გადაუშვეს. ანდა რომ გადაწვა და ზღვაში ვარდებოდა, თორმეტი კაცი ქვეშ მოიყოლა და გაჭყლიტა. გვამებიც ზღვაში გადავყარეთ. გემზე მოთქმა-გოდება ატყდა; ყველა სასოწარკვეთილებას მიეცა და სიცოცხლის იმედი გადაუწყდა. ამ ღრის კიდევ ერთხელ მოაწყდა გემს წყლის ნიაღვარი და როგორც კი წინა ნაწილი ორად გაიხლიჩა, ამბარში შეყუჯული მგზავრები და ტკვეები გარეთ გამოცვიდნენ და შეიქნა საშინელი ტირილი, მოთქმა და ყვირილი. ყველა ერთმანეთს ეთხოვე-

ბოლა. მეზღვაურები კი ტანთ იხდიდნენ და შიშვლდებოდნენ. ყველანი ეცნენ ფიცრებს, წყლისა და დენთის პატარა კასრებს და ამგვარ ნივთებს.

ამ ხნის განმავლობაში, ჩემი, მწირის, მდგომარეობა შეიცვალა და „ჩასინის“ კითხვა დავიწყე. ორც გამხსენებია ამდენი საქონელი, ქონება და სურსათი — მაღალ უფალს მივანდე ჩემი საქმე და თავად ყურანის შემდეგი ახათების კითხვაში გავერთე: „მივანდობ ალაშ ჩემ საქმეს“<sup>2</sup> და „ვისაც ალაპის შიში აქვს, მას იქიდან მისცემს გამოსავალს და საზრდოს, საიდანაც არც კი ფიქრობს“<sup>3</sup>.

უცებ დავინახე, რომ რამდენიმე ურჯულომ გემზე დაკიდებული ნავი დაბლა დაუშვა და ზღვაში გავიდნენ. მეზღვაურებიც ფიცრის ნაჭრებსა და სხვა რალაცებზე შესხდნენ და ზღვაში გადაეშვნენ. მე, მწირმა, და ჩემმა შვილმა გულითადმა მეგობარმა ხმალი ვიშიშვლელ და ნავში ჩავტოთ. ||ურწმუნობმა ნავის ოყვი გადაჭრეს. ორი მათგნი 120 კი ხმალამოლებული გვეცა და აინთაბელ შეჩიფ რამაზან ჩელების ძუძუს თავთან დაჭრეს. შვილნივე ხმალამოწვდილი ვეკვეთე და რვა ურჯულოთაგან ოთხი მოვკალით. დანარჩენი ოთხი კი, შეშინებულები ზღვაში გადასტნენ. ნავი მე და ჩემ შვილ ამხანაგს დაგვრჩა. შიგ რაც რამ მძიმე ტვირთი იყო, გადაყვარეთ. ზღვის ტალღებზე რომ მიესრიალებით, დავინახეთ, რომ ეს ჩვენი დიდი გემი თავიდან კიჩომდე რარად გადაიპო. სამას ორმოცდაათი მგზავრი და ოთხსი ვაჭარი ზღვაში ჩაინთქა. ო, ღმერთო! ყვიროდნენ, რალაცას ებლაუჭებოდნენ და დაცურავდნენ. ზოგი დაიხრჩი. ზოგს უშიშარი მეზღვაურივით ფიცრის ნაპერზე ეპოვა ხსნა და სიცოცხლისათვის იბრძოდა. ზოგს გონება და სიმტკიცე არ დაეკარგა, ცურვით ჩვენი ნავისკენ აიღეს გეზი. მოცურდა ყისა-ხან ემირ ჩელები. ხელი ვტაცეთ, ამოვიყვანეთ და ნავში ჩავსვით. მაგრამ უცებ მიეცხდით, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა, ჩვენი ნავიც უსათუოდ ჩაიძირებოდა. მაშინვე ვიშიშვლეთ ხმალი და ნავთან მოცურებულებს ხმლით გადაულიბეთ გზა. აი, ამ ყოფით კარგა მანძილზე გაფილდით გემს. ადამიანიშვილის ჭავანება აღარ იყო. ხან ცაში აგვისროდა, ხან ზღვის უფსკრულში ჩაგვახეთქებდა. ასე მივდიოდით, მაგრამ ნავიდან ქუდებით წყლის ამოხაპვამ და სასტიკამ სიცივემ დაგვაოსა და ძალა გამოგვილია. ამ ღროს დავინახეთ, რომ მენქუბის ყადი ალი-ეფენდი ზღვის დედოფალივით მოცურავს ჩვენს ნავში ჩასაჭდომად. გავჩერდით და რომ მოვიდა, როგორც იტყვიან, „ძლიერმა ხელმა აიტაცა და ნავში ჩასვა“. ახლა უკვე ათნი გავხდით. პატიოსანი „ჩასინის“ ლოცვებს ვამბობდით, ზღვაში წყალს ვძეცევდით და ისე მივდიოდით. გადარჩენის იმედი ყველას დაგვეკარგა. ერთი ღრეულება ამ ნავით მივდიოდით ზღვაზე. ყველანი შემოდგომის ფოთოლი-

ვით ვცახცახებდით. ყადი ალი-ეფენდისა და კისა-ხან ჰმირ ჩელების გვერდში ჭვალი გაუდგათ და ლაბოცნენ. მათი გვამები ზღვაში გადავ-  
131 ყარეთ. უწინდელივით რვანი დავრჩით ნავშა. ოცი წყრთის სიგრძისა და ერთი არშინის სიგანის ფიტვის ფიცარი ჩვენ ნავს ეკვროდა, გამუდ-  
მებით ეჯახებოდა და აზიანებდა.|| — „რას იზამ, ლვთის ნებაა“, ვამ-  
ბობდით, წყლის ამოხაპვითა და სიცივით გავბეზრდით, გავიფიჩენით  
და გავშეშდით.

„შიშით ვერავინ ვერ იცდეს კირს და ვაებას  
რაგინდ ეცალო, მოსახლეობი მაინც მოხდება“.

ამ სიტყვებისა არ იყოს, მესამე დღეს, შუალედისას მოვარდა ერთი ქვი-  
შანარევი ტალღა და ნავი გადაგვიბრუნა. მე, მწირი, თავდაყირა გა-  
დავიარდი ზღვაში. უზომოდ შევშინდი, მაგრამ რადგან თავისუფლად  
და მარჯვედ ცეურავდი, ხელი გამოვიდე და ფართხალითა და დიდი  
მონდომებით წინ მივიწვევდი, გულდამწვარი ვოხრავდი, წმინდა და დი-  
დებული ყურანი ჩავისახე გულში მეურნალად და მხსნელად. შველას  
შევთხოვდი ღმერთის იმ წმინდანებსა და ლვთისმოსავებს, რომელთა  
წმინდა საფლავები მოვიარე და თაყვანი ვეცი. იმავ წამს გავმნევდი  
და გულის სარეკ გამინათდა. გულის სილრმილან ამოსულ „ერთ არს  
ღმერთი“-ს ვამბობდი და თანდათან გონება მოვიკრიბე. მომაგონდა ის  
გამოცდილი ადამიანები, რომლებსაც ჩემ მიერ მოვლილ ქვეყნებში  
შევხვედრივარ. შიში გამიქრა — იმედი მომეცა. ზღვის ტალღებში  
ვკვინთავდი და უშიშრად და შეუსცენებლივ მივცურავდი. ხან დავიძი-  
რებოდი, ხან ამოვტივტივდებოდი. თურქე, ყოვლისმძლეს, მარადი-  
ულისა და ყოვლისშემწერნელის სამუდამო ნება ყოფილა ჩემი, მწირის,  
გადარჩენა. რომ მივცურავდი, უცბად დავინახე, რომ გრძელი და ფარ-  
თო ფიცარი, რომელიც ადრე ჩვენ ნავს ედებოდა ხოლმე, ჩემს გვერ-  
დით მოტივტივებდა. მაშინვე დიდი სისწრაფით გავწიე იქით, ვითიქ-  
რე: „რაღა ამ შეუბრალებელ ზღვაში დავიხრჩო, მოდი, ხელსა ვტაცებ“-  
მეთქი. მართლაც, დიდი ძრწოლვით მოვხვიე ხელი და ზედ შევჯექი —  
თითქოს წმინდა ილიას შევხვდი. რაც შეეხება ამხანაგებს, რომლებიც  
ჩემთან ერთად ისხდნენ. ნავში, მათი ჭაჭანებაც აღარ იყო — ისინი  
გაქრნენ.

მე, მწირი, ხან სიცივისაგან ვცახცახებდი, ხან ღელვისაგან და შა-  
ვი ზღვის ზედაპირზე ვტივტივებდი. ასეთ ყოფაში რომ ვიყავი, ჩემს  
უკან, ზღვაში ყვირილი გაისმა. შიშით უკან მოვიხედე, დავინახე, რომ  
ფიცარს, რომელზეც ეს-ესაა შევჯექი, ღამურებივით ჩაბლაუჭებიან ორი  
ქართველი ტყვე ბიჭი, ორი ჩერქეზი გოგო და ერთი რუსი მონა. „ეს-ე-  
ნი ჩემ ფიცარს დაამძიმებენ და ჩემი დახრჩობის მიზეზი გახდებიან;

ვაიმე! როგორ წავა ჩემი საქმე? რა დამემართება?-მეთქი — დავლონდი. „რა მოვიმოქმედო, რომ ესენი მოვიცილო და ფიცარი მე დამრჩეს“—მეთქი რომ ვფიქრობდი, ჩვენი ფიცრის გვერდით, თავთან, წყლის ჩასასხმელი||კვახივით რალაცა მოცურდა. რუსმა მონაძ იფიქრა, ამ კასრზე შევჭდებით და მაშინვე გადახტა. საწყალი, ზედ ვერ შეჭდა, ჩაიძირა და დაიხტი. ჩემთან ერთად დარჩა ოთხი ტყვე. „ლმერთი ღიღდსულოვანია“, ვამბობდი და წინ მიგიწევდით.

აქ ნაპირები სრულებით არ ჩანს; დიდება ლმერთს, თუმცა შუა ზღვა იყო, ქვეყნიერების გამაბრწყინებელი მზის მცხუნვარება იზრდებოდა. ზღვის ღელვამ იქლო და ტალღები დაპატარავდნენ. აღმოსავლეთის ქარს მივყავდით და მესამე ღლეს ოდნავ გამოჩნდა ბისუთუნის მსგავსი მთები. შუალისას ზღვის ტალღებმა ნაპირზე გამოგვრიყა. ესლა ვიცი, რომ დასუსტებულები და დაოსებულები ქვიშაზე ვეყარეთ. რა კარგად უთქვამს შეიხ საადისა<sup>7</sup>.

„ზღვაში ბეგრია მარგალიტი ნაზი და წმინდა“.

მაგრამ ნაპირზე დარჩი, თუკი მშეიღობა გინდა“

მთელი ჩემი მშერმეტყველების უნარი და ძალა ღვთის ქება-დიდებას მოვანდომე. ერთი შეხედე ამ მოწყალე ლმერთს! სამეგრელოში, აბაზას ქვეყანაში და ყირიმში თვრამეტი ტყვე მიბოძა და უკან წაასხა. სასორაკვეთილი რომ ვიყავი, ამ შეუბრალებელ ზღვაში ისევ მიწყალობა ოთხი დარჩეული ტყვე-ბიჭი და მხევალი.

ამ მონებთან ერთად ზღვის ნაპირზე კლდეებს შორის რომ დავეხეტებოდი, რამდენიმე მაჰმადიანმა ასეთ ყოფაში გვნახა. თავიანთი ქვბულებიდან თითო ხელი ტანისამოსი მოვგიტანეს, მე, მწირსა, და მონებს ჩაგვაცვეს და წაგვიყვანეს თავის სახლებში, რომლებიც ცალატყორცნილი კლდეების მწვერვალებზე აეშენებინათ.

მე, მწირმა, ვიკითხე, სად ვიმყოფებოდით. თურმე, სილისტრიის ვილაიეთში შავი ზღვის ნაპირზე მდებარე ქილლარა-სულთანის მთები, კლდეები და ვენახები ყოფილა, რომლებიც ცას წვდებიან. ჩვენი თავ-გადასავლის დასწყისიდან ამ წუთამდე სამი ღლე და ღმე მშიერ-მწყურვალნი, გაჭირვებულები ნავით მოვლიოდით. აქედან ქილლარა-სულთანის სავანესავენ წავედით და დერვიშებთან გულითადად ვისაუბრეთ. ტყვეებთან ერთად, ერთი სენაკი მომცეს.

## XL

კილლარა-სულთანის სავანესა და ციხის აღდერა

|| ამ საენეში ათ ღმეს გრძნობადაკარგულებს გვეძინა. სასტიკი 133. ყინვისაგან, გამოვლილი ტანჯვისა, ფათერაკებისა და შიშისაგან ჩვენ

სხეულს სხვადასხევა ავადმყოფობა დაეუფლა. დაუძლებული, შეწუ-  
ხებული, ბალიშზე დამხობილი ვკვნესოდი და ათჯერ წავიკითხე წმინ-  
და ყურანი მაღლობის გამოსახატავად. ჩემი ბავშვობიდან აქამდე ათას  
სამოცხერ წამიკითხავს წმინდა ყურანი. ამ დიდებულ სავანეში რვა  
თვის განმავლობაში აღვიდგინეთ ჭანმრთელობა და ბეჭთაშის ყველა  
დერვიშთან სასიამოვნო მუსაიფი გვქონდა. ხან მუეძინობას ვეწოდი,  
ხან იმამობას და ჭანმრთელობა გავიუმჯობესე. ჩემთან რომ მონები  
იყვნენ, ერთმაც კი არა თქვა: — „ნე მავანი კაცის ნაყიდი მონა ვარო“  
და ჩემთან დარჩენ, როგორც ჩემი ერთგული მონები.

## XLI

კილლარა-სულთანის სავანის არა სარი-სალთიკის თავისულებები  
და მისი აშენების მიზანი

ამ სავანის აშენების მიზანი ის არის, რომ პირადად წმინდა ჰავი  
მექმედ ბეჭთაშია ქალაქ ჯესევიში თურქული წარმოშობის ხოჯა აქმედ  
ეცესევისაგან მიიღო დერვიშის სამოსელი და კურთხევა, რომ რუმის  
ქვეყანაში წინამძღვარი გამხდარიყო. ამ ქილლარა-სულთანის სავანეში  
დერვიშების მეთაური გახდა; სამას სამოცდაათ დერვიშთან ერთად რუ-  
მის ქვეყანაში ორხან-ყაზისთან მივიდა, როგორც ქილლარა-სულთანი  
და წინამძღვარი და მასთან შეაფარა თავი. ბრუსას ლაპყრობის შემდეგ  
[ორხანმა] ჰავი ბეჭეაშ ქილლარა-სულთანი სამოცდაათი დერვიშით  
გაგზავნა მოსკოვის. პოლონეთის, ჩეხეთის, დობრუჯას ქვეყნებისაკენ  
და ნება დართო, რომ იქ ემოქმედათ, როგორც რუმის ქვეყნის წმინდა-  
ნებს. ქილლარა-სულთანს უთხრა: „დობრუჯაში ერთი ქვეწარმავალია,  
ის მოქალი და ლეთის მონები მისი სიავისაგან გაათავისულეო“; ხელ-  
ში მისცა ერთი ხის ხმალი, სალოცავი ხალიჩა, დოლი, დაფი, დროშა  
და გაისტუმრა. ისიც ქილლარას ციხეში მივიდა; ყველას თვალწინ.  
ზღვაზე გაშალეს ტყავები, დაფი და დაირა დაუკრეს და ერთ დღეში  
ყირიმში მივიდა. იქიდან — მოსკოვის ქვეყნის ჰეშდექებთან, იქიდან  
კი — პოლონეთში, ლუბეკის ხალხში; იქიდანაც გამოცვლილი ტანისა-  
მოსით მისულა პოლონეთის დანციგის ნავსადგურში და წმინდა ნიკო-  
ლას სარი-სალთიკად||წოდებულ ბერს შეხველრია, მოუკლავს და მისი  
უწმინდური გვამი დაუმალავს. მრავალი წლის განმავლობაში თავს  
ასაღებდა სარი-სალთიკად. ათასობით ადამიანს მალულად მოუწოდა  
მაჰმადიანური სარწმუნოებისაკენ და ისლამით გააპატიოსნა ისინი.  
კარგა ხანი ასე იმოგზაურა სარი (ყვითელი)-სალთიკის სახელით. რაღ-  
განაც თვითონაც ყვითელი ფერისა იყო, ამიტომ უფალმა აქმედ ეცე-

გრძელი მას მეტასახელად სალთიკ-ბაი შეარქვა. მისი ნამდვილი სახელია მექმედ ბუხარელი.

რაღაც აქედან ბირერ ვარდის ანუ ფერავადის ციხეში მივიღა და იქ დასახლდა, ახლა იმ ციხეს „ბირ ერ ვარდის“! მაგივრად შეცდომით უწოდებენ „ფერავადის“. აქაც დაუკრა დაფი და დაირა და ბოლოს, დობრუჯას მეფეს ეახლა. მათ შორის შემდგენ საუბარი გაიმართა:

მეფე: „პოი, სარი-სალთიკ! ჩემს ქვეყანაში ერთი გველეშაპი გამოჩენილა და შავი ზღვის ნაპირზე, ერთ ციცაბო კლდეზე დაბუდებულა. მთელი ქვეშეგრძომები შემიჭამა. ახლა ჯერი მიღვა ჩემ ორ საყვარელ ქალიშვილზე. ისინი დობრუჯას დაბლობში მაღალ სვეტზე მივაბით გველეშაპის ლუქმად. შუადლისას უნდა შეჭამოს. თუ მართლა სასწაულმოქმედი ხარ, იმ გველეშაპს რამე მოუხერხე“.

სარი სალთიკ-სულთანი: „მაშ ასე, მეფევ! თუ მუჰამედის სარწმუნოებას სიმართლედ მიიჩნევ და წმინდა ისლამით გაპატიოსნლები, ლვთის ნებით, შენ ქალიშვილებს გადავარჩენ, რომ ამ ურჩხულის ლუკმა არ გახდნენ“. ეს რომ უთხრა, მეფემაც სულით და გულით დაიფიცა ალაპი.

წმინდა სალთიკ-ბაიმ მაშინვე მიმართა თავის დერვიშებს: „ვადიდოთ ალაპიო“, სამოცდაათ დერვიშთან ერთად დაფი და დაირა დაუკრა, დროშა ააფრიალა და წავიდნენ. სალთიკ-ველიმ ხის ხმალი იძრო, „წმინდა ომის დროაო“, თქვა და მეგზურად წაყვანილ მღვდელთან ერთად მივიდა სვეტებთან, რომლებიც დობრუჯას ველზეა. ქალიშვილები გაათვისუფლა და ერთ ადგილას დამალა. თვითონ კი სვეტის ძირას დადგა.

სიცხე რომ ჩამოწვა, გველეშაპი დობრუჯას ველზე მოიკლაქნებოდა, კუდი ჰაერში აეპრიხა. ქველებურად გაჩერდა შეჩვეულ ადგილას.

როგორც კი სალთიკ-სულთანმა ნიშანი მისცა თავის დერვიშებს, გაისმა დაფის, დაირისა და ნალირის ხმა. ||მაკმადისხმალმომარჯვებულმა 135 სალთიკმაც თქვა: „პოი, ღმერთო, მშვიდობა იყოს ნოეზე ორთავე ქვეყანაშიონ“ და ყიუინით გვერდში დაპკრა ხის ხმალი. გველეშაპს თავი შეუტორტმანდა. ხელმეორედ დაპკრა ბზის ხმალი და თავი მოსჭრა. მაშინ კი მოტყადა გველეშაპი და გაიქცა. სალთიკიც დაედევნა. გამწარებული გველეშაპი თავის ქვაბულში შექვრა. თუმცა შეიხიც თან შეპყვა, გველეშაპი შეიხს შემოეხვია და მოუჭრია. მან კი შესძახა: „ო, მფარველო! ო, მოწყალეო“ და კედელს მიეხეთქა. ახლაც ნათლად ჩანს ის აღგილი, სადაც მისი სხეული ჩაეჭდო. [შეიხის] ორივე წმინდა ხელისა და ბედნიერი ფეხების ანაბეჭდები კლდეზე ახლაც ჩანს. ამასობაში გველეშაპს ძალი წაერთვა და სალთიკ-სულთანი გაუშვა. ხელსისხლია-

ნი, ხმალსისხლიანი, მკერდგაშიშველებული, ენაზე ყურანის ლოცვებით მივიღა კოჯა-სულთანი თავის დერვიშებთან და გამოიყვანა მეფის ორივე ქალიშვილი. დობრუჯასაკენ გაემართა. გველეშაპი დააგდეს იმავსეტის ძირას, რომელზეც აღრე ქალიშვილები იყვნენ მიბმული. ამასობაში მეგზურად გამოყოლილმა მღვდელმა გველეშაპი თავი უური და ენა მოაჭრა და დობრუჯას მეფისაკენ გაეშურა. მეფეს წინ დაუყარა ენა და ყურები და იცრუა: „სამახარობლო შენზეა, მეფეო! გველეშაპი მოვკალი და შენი ქალიშვილები გადავაჩინე, აი, ნიშანით“. ამ დროს, სალთიკ-სულთანიც მოვიდა მეფის ქალიშვილებიანად და გასისხლიანებული ხის ხმალი მეფეს წინ დაუდო. მეფემ თავისი ქალიშვილები გულში ჩაიკრა და გველეშაპი ვინ მოჰკლაო, შეეკითხა. მათაც სინმდვილე უთხრეს, ე. ი. უამბეს სალთიკ-ბაის მიერ გველეშაპის მოკელის ამბავი. მაგრამ წყეული მღვდელი თავისას არ იშლიდა და თქვა, რომ ნამდვილად მე მოვკალიო. ეს ამბავი რომ ნახა სალთიკ-სულთანმა, დავის გადასაწყვეტად თქვა: „პოი, მეფეო! გველეშაპის მოკვლა სასწაულთმოქმედებაა: მე ამ ბერთან ერთად ჩამსვით ქვაბში და თუხთუხით ადუღეთ. გველეშაპის მცვლელი არ დაიწვის და უვნებელი დარჩება; სიცრუის მოქმედი კი ჩაიფულებება და თავის უბედურებას მიიზღავს“ ა. თუმცა ამ ნათქვამს ბევრი არ დაეთანხმა, ჩეფემ ბრძანა: „აეიყოსო!“ ფირავადის მახლობლად, კაზან ბალკანის სახელით ცნობილ მიუვალ მთაზე დადგეს ქვაბი და წყლით აავსეს. სხვა ბერებმა სალთიკ-სულთანი შექრეს და ქვაბში ჩასვეს. დერვიშებმა კი შეკოჭეს მღვდელი და სალთიკ-სულთანს მიუსვეს გვერდით. ქვაბს ცეცხლი შეუნთეს და ეს ორი ადამიანი მღულარეში ხარშეს. ამავე დროს, ანატოლიაში — კირშეპირში — ჰაჯი ბექთაშ-ველიშმელსახოცი მოუსვა ერთ კლდეს და რომ თქვა: „ჩემი სალთიკ-მეჭმედი გაპიროვებასა და ოფლის ღერაშია, ღმერთი იყოს მისი შემწე. და მფარველიო“, კლდიდან მლაშე წყალმა იწყო დენა. ჰაჯი ბექთაშ-ველის მარილი მაშინვე მის წინ გაჩნდა. როდესაც ქვაბს ხუფი ახადეს, აღმოჩნდა, რომ სალთიკ-ბაი სულთანი ოფლშია გაღვრილი და ღმერთის სახელს ახსენებს, მატუარა ბერი კი ფაფასავით გამხდარა და მხოლოდ ძვლებილა დარჩენილა. დობრუჯის მეფემ ეს ამბავი რომ ნახა, შეიხის წინაშე მოწიწებით ასწია თითი [ისლამის მიღების] ნიშნად. მთელი გულით აღაპის მონა გახდა და მის სამფლობელოში იმავე წამს შვილმა ათასმა კაცმა მიიღო ისლამი. ესენი ებრძვიან მათ, ვინც ისლამი არ მიიღო და დაპყრობებსა და ლაშქრობებს ეწევიან.

დობრუჯას მეფემ ორხან-ყაზას ელჩები გაუგზავნა და მისი მორჩილი გახდა. ორხანისაგან მოვიდა მეფესთან ყადი, თული, დროშა და მან (მეფემ) სახელად მიიღო ალი მუხთარი<sup>2</sup>. იმ წელს სალთიკ-სულ-

თანმა ანდერძი დაიბარა: „მე რომ მოვკვდები, გამბანეთ და შვილი კუბო გამზადეთ, რაღვანაც ჩემთვის შვიდმა მეფეებ უნდა იბრძოლოს და იდავოს“. დერვიშებმა ანდერძი შეუსრულეს და შვილი კუბო გაამზადეს. ძვირფასი წმინდანიც მარადიულ ქვეყნაში გაემგზარა; ყველა მისმა მოადგილებ ღმერთის სახელის ხსენებითა და ერთი ღმერთის აღიარებით განბანეს ეს ძვირფასი და ერთ-ერთ კუბოში ჩაწვინეს. მაშინ მოვილნენ შვილი მეფისაგან ჯარები. პირველად მოსკოვის ქვეყნის მეფეებ აიღო კუბო და რომ გახსნა, შიგ ძვირფასი წმინდანის პატიოსან სხეული დაინახა. „ბიჭოს, ჩვენს კუბოში ყოფალაა“, თქვა, კუბოიანად წაიღო სალთიკ-ბაის სხეული და მოსკოვში დამარხა. ამჟამად დიდი აკლდამა.

შემდეგ პოლონეთის მეფის ჯარი მოვიდა და მათაც ერთი კუბო აიღეს. იმაშიც მისი წმინდა ნეშტი ნახეს. პოლონეთის ქვეყნისაკენ წაიღეს და დანციგის ნავსაღურის ქალაქში დასაფლავეს. ამ ქალაქშიც ერთი დიდი აკლდამა.

მესამე ჩეხეთის მეფის ჯარი მოვიდა და მათაც ერთი კუბო აიღეს. ისევ ნახეს კუბოში წმინდანის ნეშტი. ამათაც წაიღეს, ჩეხის ქვეყანაში დამარხეს ქალაქში, რომელსაც ფირუნიცა ეწოდება. აქაც მისი დიდი აკლდამა.

|| მერთხეც შვეცაის მეფე მოვადა, ერთი კუბო წაიღო: და შვეცაიში ქალაქ ბიგანცაში დამარხა. აქაც მისი აკლდამა. 137

მეხუთემაც ედირნეს მეფეებ წაიღო ერთი კუბო და დამარხა ედირნეს მახლობლად მდებარე ღირ ქალაქ ბათორისა მონასტერში. ამჟამად ის ქალაქი იხსენიება „ბაბა-ესქის“ სახელით. ახლა სტამბოლიდან ედირნეში მიმავალთა სალოცავი აღგილია და ბაბა-ესქი ეწოდება.

მეექვსე მოვიდა პირადად მოლდავეთის მეფე, სახელად ერგანი.. ერთი კუბო წაიღო და ბუზვას ციხის მახლობლად ბუჩქნარიან და ხეივნიან აღგილს მდებარე ძველ მონასტერში დაასაფლავა. ამჟამად იმ მონასტრის აღგილასაა აკერმანის დაპყრობის შემდეგ სულთან ბადაზეთ-ველის მიერ აშენებული ერთი მეჩეთი, ერთი საქველმოქმედო ნაგებობა, ერთი მედრესე და ფუნდუკი. სალთიკ მეჰმედ ბუხარელის საფლავზე სინათლით სავსე გუმბათია აშენებული.

მის ბედნიერებამოსილ კარზე შემდეგი წარწერაა: „მობრძანდით და მოილოეთ მაღალი კარი“. ამჟამად იმ ქალაქს ბაბა-დაღის უწოდებენ. სასიამოვნო ქალაქია. იგი მთლიანად ბუხარელი მეჰმედ სარი სალთიკ-სულთანის ვაკუფია. სალთიკი ბერის სახელით გამოჩნდა ქრისტიანულ ქვეყნებში, ოდაფერთი წლის განმავლობაში მრავალი ურწმუნო მიიზიდა სარწმუნოებისაკენ და ალაპის გზაზე საღვთო საქმისათვის მებრძოლი გახდა.

მეშვიდე კუბო წაიღო ჭობრუჯას მეფემ ალი მუხთარმა, რომელიც მის მიერ იყო ისლამით გაპატიოსნებული და დასაფლავა ქილარის კლდეებში, გველეშაპის ქვაბულში, რომელიც ჩვენი თხრობის მთავარი მიზანია. ქილდარა-სულთანის სახელით მოიხსენიება. ქილდარა ლათინურ ენაზე ნიშნავს „შვიდთავიან გველეშაპის“. ამიტომ შვიდ სახელმწიფოშია დამარხული და ბედნიერებამოსილი აკლდამები აქვს.

სამი მათგანი დიდი აკლდამაა ოსმალთა საბრძნებელში და ყოველ ქვეყანაში თავისი სახელი აქვს. რუშში უწოდებენ ბაბა-სულთანს, სარი სალთიკ-სულთანს, ქილდარა-სულთანს. ურწმუნოთა ქვეყანაში — საქრისტიანოში სევტ ნიკოლას უწოდებენ. ყველა ქრისტიან ხალხს სწამს იგი. ახლა ყველა მისი დერვიში დაფულირის დაკვრითა და გაშლილი დროშით დადის ევროპაში და ხელმწიფურად ილხნენ. ყველა ქრისტიანი მასთან ტკბილი მოგონებებით არის დაკავშირებული. უხვიწყალობას გასცემენ და მადლიერების გრძნობით აგზავნიან მის აკლდამებში. ქილდარა-სულთანი, რომლის საგანეშიც ჩვენ თავი შევაფარეთ ზღვის დელვისაგან გადარჩენის შენდეგ, წარმოადგენს შავი ზღვის ნაპირზე მდებარე ცამდე ატყორცილ კონცხს, რომელიც სპილოს ხორთუმივით არის ზღვისაკენ წაგრძელებული. გემები, რომელებიც სტამბოლში მდებარე ყარა ჰარმანისაკენ, კონსტანტიასა და გელისაკენ მიემართებიან, ამ ქილდარის კლდეებისაკენ მოისწრაფვიან. ცამდე აზილული მაღალი მთაა, რომელიც ას ორმოცდაათი მილის სიშორიდან მოჩანს. ზღვის გაღმა, მოპირდაპირე აღმოსავლეთ მხარეს, ანატოლიის ნაპირზე მდებარე სინოპის კონცხი ამ ქილდარის კლდეების პირდაპირ არის. კარგ ამინდში ქილდარადან სინოპის მთები მოჩანს და სინოპიდან — ქილდარას მთები, მაგრამ ფრიად მოწმენდილი ამინდია საჭირო. ქილდარა სალთიკ-სულთანი დასაფლავებულია გამოქვაბულში, რომელიც ამ ქილდარას კლდეებში თვით კონცხამდე მიდის და რომელიც გველეშაპის ბუნავი იყო. ამ ადგილას მდებარე სავანის პირველი ამშენებელია ალი მუხთარი. წმინდანის ხის ხმალი, შურდული, დაფუ და დაირა, ალამი, დროშა და ბაირალები ახლაც არის. მის საგანეში მჩავალრიცხვანი სენაკი, საზაფხულო მოედნისა და საზამთრო მოედნის ოთხივე მხარე მოფენილია მსხვერპლად შეწირული ცეკვების სუფთა და ფაქიზი ტყავებით. ყოველ ტყავზე ზის თითო განსწავლული, განათლებული და მაღლიანი აღამინი. ასზე მეტი ერთგული მოტრფალეა ლმერთისა და ყველანი სუნიტი, ერთლმერთობის მაღიარებელი მართლმორწმუნებია. თავიანთ მეჩეთში ხუთი ლოცვის ღრუზე შეპსრულებლები არიან და არასოდეს გაცდენენ ლოცვას. სინათლით სავსე აკლდამის ყველა სარქმელი ზღვისაკენ გაღის. სამაგალითო საზარეულო აქვს და დღედაღამ უხვად გასცემენ წყალობას.

ამ სავანის მარჯვიდან და მარცხნივ კლდეებზე მრავალი ჭავული ჭის ხვრელია. ამ კლდის ძირები ბისუთუნის მთასავით ცარიელია და ზღვაზე არიან გაღმოშვერილი. ქეთეკენ წამოსული გემები ას-ას არშინიანი, ქანდარებიანი ანძებით ამ კლდეების ქვეშ მოდიან და ღუზას უშვებენ. გემების უფროსები გლეხებისაგან ყიდულობენ ხორბალსა და ქერს, ურმებით მიაქვთ კლდეების ზემოდან არსებულ ჭის ხვრელებთან და ჰყრიან. ქვემოდან ხვრელების ქვეშ მიაყენებენ გემებს და აბდიან გემის ამბრებს. ამბრები პირთამდე იცხება ხორბლითა და ქერით. ეს ჭები ქველ დროს || გიაურებს გაუჭრიათ ფარპალისებურად და ამგვარად იოლად ავსებდნენ ხოლმე გემებს: ამ აღილს ვერ მიუღები, რომ ქერი, ჟური და სსვა საქონელა ტომრებით დატვირთო. რა მხრიდანც არ უნდა წავიდეს კაცი, სამ-სამი, ოთხ-ოთხი საათის სავალი გზებია და თანაც ამ გზებით ქვეითად მოსიარულემაც კი თხასავით უნდა იაროს [კლდიდან კლდეზე] და ისე გავიდეს. შავი ზღვის სანაპიროზე სხვა არ არის ასეთი გარეშემოწერილობის, მეტად მაღალი, ბისუთუნის მთის მსგავსი კლდეები. როდესაც აღმოსავლეთისა და სამხრეთის ქარიშხლები ამ კლდეებს უბრავენ, ქუჩილივით გრიალებენ და მათი გრვინვა ერთი დღის სავალზე იმისი. კლდეებში შევარღნების, ქორებისა და შავი არწივების ბუდეებია. თითო არწივი ცხვრის ოდენა იქნება.

ზოგიერთები სავანეში მსხვერპლსა ჰქლავენ და არწივებს უყრიან. უბრალო ხალხში გავრცელებულია ხმა, რომ თუ არწივები შესაწირავად დაკლულის ხორცს შესქამენ, სურვილი შეგისრულდება და თუ არ შესქამენ — არა. ამ ქილოარა-სულთნის შესახებ კიდევ მრავალი ასეული თქმულება არსებობს, მაგრამ ჩვენ თხრობა შევამოკლეთ.

ქილდარას ციხის აღწერა: იგი აშენებულია იანკო მაღიანის ძის ძმისა, ბერძნთა ისტორიის შემთხვეველ შეფე იანვანის მიერ. ბერძენი გიაურებისაგან დაპყრო სულთან ილდირიმ ბადაზეთ-ხანის შეილმა მუსა ჩელებიმ. ზღვისპირას, ცამდე ატყორცილი, ოხეულა, ძლიერი და პატარა ციხეა. გარშემო ათასი ნაბიჯია. [ციხის] შიგნითა ნაწილი კეთილმოწყობილი არა. რადგანაც ციცაბო კლდეებზე მდებარეობს, მის გარშემო არც თხრილებია. მისი აღმოსავლეთი მხარე ასი კულა-ჩის სილრმის უფსკრულოვანი კლდეებია. ამ ციხის ძირიც ჰაერშია გადმოკიდებული, რადგანაც ისიც ქილდარას კლდეებზეა აგებული.

როდესაც ნასიფ-ფაშას ქე ჰუსეინ-ფაშა ოჩაკოვის განმგებელი იყო, რუსებმა — ოჩაკოვის კაზაკებმა ეს სანაპიროები რამდენჯერმე გაძარცვეს, აიკლეს და მცხოვრებლები ტყვედ წაიყვანეს. შემდეგ ჰუსეინ-ფაშამ საკუთარი სახსრებით განაახლა და შეაკეთა. შივ ციხის-თავი და მეციხოვნეები ჩაყენა. ომიანობის დროს ლვთის მონები აქ

აფარებდნენ თავს და წყეული კაზაკების ბოროტებისაგან ხსნას ჰქონებდნენ. ფრიად ძლიერი, მტკიცე და გამაგრებული ციხეა. შემდეგ დიდვეზირმა ყარა მუსტაფა-ფაშამ ჰუსეინ-ფაშას ჯიბრით ციხეში მყოფი ჯარები ოჩაკოვის ციხეში გადაიყვანა და [ქილლარას] ციხე კი ამის გამო გაუქმებული დარჩა.

140 ॥ ღილება ღმერთს; ზღვის ტანგვა და უბედურება გადავიტანე, გადაურჩი ჩემი ტანიდან სულის ფრინველის გაფრენას; რვა თვე ამ ქილლარა-სულთანის სავანეში ყველა დერვიშთან ერთად სასიამოვნოდ ვმასლაათობდი და როდესაც მრავალნაირი სანახაობების ცქერით მივაღწიე გაზაფხულის დღეებს, ყველა მეგობარსა და ამხანაგს გამოვეთხოვე და ჩვენი შშობლიური სტამბოლისაკენ გავემართე.

## XLII

ჩვენს მშობლიურ სტამბოლში გამარჯვების უზახება

მას შემდეგ, რაც ქილლარა-სულთანის წმინდა სულს შემწეობა ვთხოვე, ჩემი ოთხი მონით ნავჭი ჩავჭექი და შავი ზღვის ნაპირ-ნაპირ ყურე რომ გავიარეთ, ქარი ამოვარდა. ნავი საგორავებით ავათრიეთ ნაპირზე და ზღვის ღელვა გადავიდარეთ. მრავალ ქალაქსა და დაბას ჩავუარეთ და თერკოზის ციხეში მივედით.

თერკოზის ციხე: შავი ზღვის ნაპირზე ოთხეუთხა, ძლიერი ციხეა. იგი გავიარეთ და ერთ ადგილს მივედით, რომელსაც უსკუმრუს საძოვარი ეწოდება.

**უსკუმრუს საძოვარი:** მშვენიერი, მდელოებით მოფენილი დაბლობია. ოსმალების იანიჩართა ყველა ოთურაკი და კორუჭუ აქა ცხოვრობს; გრძელ მხარეებში არსებულ სოფლებს იცავენ და დარაჯობენ, იმიტომ, რომ ურჯულო კაზაკები ზოგჯერ ამ მხარეში საძარცვავად და სარბევად მოდიან. იქიდან ყარათაშლარად წოდებულ ადგილს მივდით.

**ყარათაშლარ:** იგი მდებარეობს სტამბოლის სრუტის<sup>1</sup> გარეთ, ზღვის ნაპირზე. ქვიანი ადგილია. აქ, აოვლისშემძლე და მარადიული ალაპის ნებით, ძველ დროს ქალი თითისტარითა და მოწყობილობით გაქვავებულა. საოცარი და საკვირველი სანახაობაა. ეს ადგილი ეჯუბის მოლას განმგებლობაშია. აქედან, ალაპის სახელით, შავი ზღვის სრუტეში შევედით, კავაკ-კალესთან ღუზა ჩავუშვით და შე, მწირი, [გვერდან] გადმოვედი. უმდაბლესი მაღლობა გადავუხადე ღმერთს, მის სახელზე ერთი სამსხვერპლო შევწირე და ყველა დერვიშს დავურიგე.

ყველა ზღვით თუ ხმელეთით მოგზაურმა უნდა იცოდეს, რომ იმ ანგარიშის მიხედვით, რომელიც შავი ზღვის დათვალიერებისა და მგზავრობის ღროს ჩვენ გავაკეთეთ, ამ [ბოსფორის] სრუტიდან ანა- 141 ტოლიის მხარეს ჩრდილოეთისაკენ თუ წახვალთ ტრაპიზონის ჩავლით, მდინარე ფაშას შესართავამდე 1500 მილია. ამავე სრუტიდან აბაზის ქვეყანა 1700 მილზეა. სრუტიდან აზოვის ციხის კუთხემდე 2000 მი- ლია. ანატოლიისა და რუმელიის მხრიდან შავ ზღვას 1800 ჭიდი და მცირე მდინარე ერთვის. მათში უდიდესია რუმელიის მდინარე დუნაი, რომელსაც 700 მდინარე ერთვის, სანამ იგი შავ ზღვას მიაღწევდეს. გელის ციხის წინ, დუღაჩას ცახის ძირას და სოლუნს, ყარახარმანის, ხიდის ელიასის შესართავებით, ე. ი. ხუთი შესართავით ჩადის შავ ზღვაში [დუნაი]. ამ მდინარეზე უფრო პატარაა ტრაპიზონის სიახლო- ვეს მდინარე ფაშა, ჭოროხი და ტამანის ციხის სიახლოვეს — მდინარე ყუბანი. ამაზე პატარაა მდინარე დონი, რომელიც აზოვის ძირასაა. ამათ- ზე პატარაა მდინარე დნეპრი; მდინარე დნესტრი მასზე მცირეა. ანა- ტოლიაში ბათქას სიახლოვეს — კიზილ ირმაყი, მდინარე ჩარშამბა, მდინარე საქართვის. ესენი ზღვისავით დიდი მდინარეებია.

შავი ზღვის გარშემოწერილობა, აზოვის ზღვის ჩათვლით, 6060 მილია. თუ ხმელეთით შემოვუვლით და კონაკებს დავითვლით, მისი გარშემოწერილობა ას ორმოცდათი კონაკი ინუ ხუთი თვის საეალი გზაა, იმ ანგარიშით, რომ ერთ კონაკს თორმეტ საათს ივლის კაცი.

როდესაც შავ ზღვაზე მოგზაურობას მოვრჩი და სტამბოლში სალ- სალამათი დავბრუნდი, მაშინვე გავეშურე წმინდა მამა ეძუბ ანსარისა- კენ! — კმაყოფილი იყოს მისი გამჩენი. მისი აკლამის ბედნიერების ზღურბლს ვემთხვიე. მისი წმინდა სულისათვის მთლიანად წავიკითხე ყუჩანი. მსხვერპლი რომ შევწირე, ჩემს დედ-მამასთან მოვედი და ერთმანეთს შევხვდით. რა წამს დამინახეს, მე მწირი, გულში ჩამიკრეს. გულწრფელად შევუთქვი, რომ მეორედ აღარ გავიდოდი შავ ზღვაზე გემით სამოგზაუროდ. უფალმა ღმერთმა დაიფაროს ყველა მაჭადიანი შავი ზღვის სივისიაგან, ამინ!

მე რომ სტამბოლში მოვედი, პატიოსანი შაბანის პირველი რიცხ- ვები [1641 წლის ნოემბრის პირველი ნახევარი] იყო. წმინდა რამაზა- ნის თვეში [დეკემბერი] საბაჟოს განგებელ ალი-ალას იმამი გახდი.

ღამეებს გარდა ღლებიც ღლესასწაულად მექცა? ჩემს საყვარელ აღამიანებთან გულითადად ესაუბრობდი და მრავალრიცხვანი სა- ჩუქრები მივიღე.

შავ ზღვაში დალუპული ჩემი ქონებისა და ნრეთების, დამხრჩა-  
ლი თვრამეტი მონის საზღაური ყოვლისშემქმნელმა უფალმა მიწყა-  
ლობა. დიდება უფალ!

## XLIV

ათას ორმოცდათხუთმეტ (1645) ზელს ჩვენი წასვლა  
„მალტის ლაგარობაში“<sup>1</sup>

კუნძულ კრეტაზე სალაშქროდ ჩვენი „წაუხვლელობის“ მიზეზი<sup>2</sup>:  
სულთან იბრაჰიმ-ხანის სასახლის საცურისთა აღა, სახელოვანი კიზ-  
ლარ-აღას სუნბულ-აღა მბრძანებელმა ფაღიშავმა იბრაჰიმ-ხანმა გა-  
აზარა და გაუშვა. მას უწყალობა ხუთი „ეგვიპტური ხაზინა“, ორ-  
მოცდათო ტურფა მხევალი, მრავალი ლამაზი კაბუკი მონა და ორმო-  
ცი შესანიშნავი ქეპეილანის ჯიშის ცხენი. სამ თვეში დატვირთა მოე-  
ლი ეს ქონება იბრაჰიმ ჩელებიდ წრდებული გემის უფროსის „კარ-  
ვანა“ გალიონში, რომელსაც ექვს სართულად ჰქონდა ამბრები მოწყო-  
ბილი. აქ იყო ხუთასი თავითფეხებაძლე შეიარაღებული ხელქვეითი,  
სამასი სხვა ვაჭარი, ორასი მეზღვაური, ეგვიპტეში გადასახლებული  
ესირი მეპმედ-ეფენდი თავისი კაცებით; სულ — ათას სამასი ღვთის  
მონა. პარასკევ დღეს ბეშქეთაშად წოდებულ აღგილას მიერდვნენ  
ღმერთს, იალქენები გაშალეს, თოფ-ზარბაზნის შედლუხი ატეხეს და  
ეგვიპტისაკენ გაემართნენ.

ღვთის ნებით, კუნძულ კრეტას მახლობლად წინ შემოხვდათ მალ-  
ტელი ურჯულოების ექვსი კატარლა. ერთი დღე და ერთი ღამე დღიდ  
ბრძოლაში იყვნენ. ზარბაზნების სროლით [დამფრთხალმა] გალიონში  
მყოფმა ცხენებმა აიწყვიტეს და მუსლიმ გმირებში აჩეულობა შეიტა-  
ნეს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მდგომარეობაში სარწმუნოებისა-  
თვის მებრძოლთ ბრძოლა არ შეუნდებიათ, გაშლილ ყურეში გალი-  
ონი ისე დარჩა ზღვის ზედაპირზე, როგორც შავი მთა და გარეწართა  
ექვსი კატარლა კი გალიონს გარს შემოერტყა. კატარლებმა იმდენი  
ურტყეს გალიონს მარჯვიდან და მარცხნიდან, რომ მან ანდა, კიჩო.  
ცხვირი, საჭე დაკარგა და ფრთამოტებილი დარჩა. შიგ მყოფი მუსლი-  
მი გმირებილან მხოლოდ ორასი გადარჩა. დანარჩენები ზარბაზნის დარ-  
ტყმებისაგან დაიღუპნენ.

მაშინ გალიონის პატრონმა იბრაჰიმ ჩელებიმ იშიშვლა მუჰამედის  
ხმალი და კიზლარაღას სუნბულ-აღას შესძახა: — „აბა, წეულო  
არაბო! ჩვენ გეუბნებოდით, გიაურები არიან [ამ ზღვაში]; გეუბნებო-  
დით, გემით ნუ! წამოვიყვანთ-თქო ცხენებს! გეუბნებოდით, რომ მეტი

ჯაბახანა წამოგველო; რომ ჭერ კარგი ამბავი გაგვეგო გიაურების შესახებ და ისე გამოვსულიყავით. გითხარით, რომ არ შეიძლებოდა ასე დატვირთული გემით ზღვაში გასვლა. შენ კი სულთნის ფირმანი აიღე, არ დაშიფრე და გიაურების ხელში გამავდე“-ო. ეს რომ თქვა, კინლარ-ალას ერთი დაპყრა ხმალი და თავი რომ გაგორდა, ხმალამოლებული ეცნენ კიზლარალას გადარჩენილი კაცები იბრაპიმ ჩელების და ასო-ასო აუზეს. ეს ამბავი რომ დაინახეს გიაურებმა, თავისი ექვსი გასა-ოხრებელი კატარლით გარს შემოეხვინენ გალიონს და შიგ გადმო-ვიდნენ. მას შემდეგ, ჩაც კიდევ სამი საათი გაგრძელდა ბრძოლა გალი-ონში, დასამიწებელმა გიაურებმა დაიპყრეს და ხელში ჩაიგდეს. შიგ მყოფი მაჭმადიანები და ესირი მეჭმედ-ეფენდი დაატყვევეს და შებო-ჭეს. გალიონი მალტის ექვსმა კატარლამ გამოიბა, პირდაპირ ჰანიას<sup>3</sup> ნავსადგურში მიიყვანა და აქ ღუზაზე დადგნენ. სრული ერთი თვე ჰანიას ნავსადგურში დაპყვეს და მთელი სიმღილე, ქონება, ყველა-ქეპეილანის ცხენი, სხივებივით ლამაზი, უმახვა, ვარსკვლავებით ქა-ლიშვილები, მშვენიერი ჷაბუჟი მონები გემიდან გადმოიყვანეს და ჰა-ნიას ციხეში გაყიდეს. რამდენ ქალიშვილს ახადეს ნამუსი, სისაძაგლუ და ურცხვობა ჩაიდინეს!

ზოგიერთმა წინდახედულმა მლვდელმა, პატრიქმა და ეპისკოპოს-მა, ბერებმა და ჯვაროსნებმა მოთქმა დაიწყეს: „ვაი, რომ ამ ქა-ლაქში არ უნდა გვენახა ოსმალთა გალიონი, ქალიშვილები და ცხენე-ბი. ამიერიდან ხელიდან წასულია ეს კუნძული, რაღაც ჩვენ საღ-თო წიგნში ასე წერია: — „და [თუ] მოვიდა ამ კრეტის კუნძულზე ოს-მალთა გალიონი, მოვიღნენ ცხენები, მოვიღნენ ქალიშვილები. მათ [უნდა] მოჰყვნენ თურქი და ჩასხდნენ თავიანთ გემში, შესხდნენ თა-ვიანთ ცხენებზე, მიუღენენ ქალიშვილებსა, დაეპატარონ ამ კუნძულ-სა და გააჩინონ შთამომავლობაო“. მლვდლებისაგან ეს სიტყვები რომ გაიგონეს, მრავალი ათასი ურჯულო სხვადასხვა საბაბით ამ კუნძუ-ლიდან გაიქცა და სხვა ქვეყნებში დასახლდა. იმ ხანებში კუნძულ კრე-ტაზე ოთხასი ათასი ბერძენი მოსახლეობა იყო და კუნძულის ყველა მხარეს სამოცდათექვესმეტი მტკიცე ციხე იდგა. ჩვენ ბატონს, საბაჟოს განმგებელ ალი-ალას, ამბავი მოუვიდა, რომ ყველა ამ ციხეში თექვს-მეტი ათასი „სულტატი და მურტატი“<sup>4</sup>, ბილწი ჯარი არისო.

შემდეგ, როგორც კი ბელნიერებამოსილ ფალიშაპს ასეთი მწუხა-რებით აღსავსე ამბავი მოუვიდა კიზლარალას გალიონის შესახებ, ||სახელმწიფო დივანში დაიბარა ვენეციის ბალიოზი და უთხრა: ..აბა, წყეულო ურჯულოებო! რატომ სჩადით მშვიდობის საწინააღმდეგო საქმეებს და ჩვენი გემების მომტაცებელ მტერს ჩვენ გემებთან ერთად აყენებთ თქვენს ნავსადგურში? ასეთია დიდი წინაპარი სულთნის —

სულეიმან-ხანის მიერ დადებული ზავი?“ ეს რომ უთხრა, ბალიოზები, კონსულები და კონჯოლოსები ფალიშაპის წინაშე მიწას ემთხვიცნენ და მოახსენეს: „ჩვენო ფალიშაპი! ჩვენი მოლაპარაკება და ხელშეკრულება ისეთია, რომ თუ თქვენი ფლოტიც შეიძყრობს სხვა ხელმწიფების გემებს და მოიყვანს ჩვენს ნავსადგურში, სტუმარიაო ვიტყვით, პატივს ვცემთ და ჩვენს ნავსადგურში დავაყენებთ. თორემ ჩვენ ხელშეკრულების დამრღვევები და გემიდან თქვენი კიზლარაღასის მომტაცებულები არა ვართ, ღმერთმა დაგვიფაროს! ამ სისაძგლის ჩამდენი და ნავსადგურში შემოსულები მალტას გიაურები არიან. ჩვენ კი უმწეონი ვართ მათ წინაშეო“. ეს თქვეს და თავი დახარეს.

ფალიშაპი: — „მე რომ მალტას წინაღმდეგ ომი გამოვაცხადო, ხომალდებს თუ მომაშველებთ?“

კონსულები: — „სულითა და გულით გემსახურებით და სამას ხომალდს მოგცემთ. ჯარი, სურსათი, ჯაბახანა თქვენი და ხომალდები — ჩვენიო“. ფალიშაპი ამით კმაყოფილი დარჩა და ყველა ბალიოზს საპატიო ხალათები უწყალობა.

## XLV

### „გალთას ოშის“ საშადიდი

ფალიშაპის ხაზინიდან სამი ათასი ჭისა გაიცა. შევი ზღვის საჩაპიროზე მდებარე ჭანიერის სანჯაყისაკენ, ქალაქ სინკოისაკენ, ამასრას, ერეგლოსაკენ, კოჯაილის ლივასაკენ, იზმიდისაკენ და მათ სანახებში მდებარე ას ოცდახუთ ყაზასაკენ ნდობით აღჭურვილი კაფუჭი-ბაშიები ხე-ტყის საყიდლად გაგზავნეს. სახელმწიფო გემსაშენში სამასამდე კატარლის ხე-ტყე გამოზიდეს. პირველად იზმიდის ფაშა ბალთაჭიფაშასაგან მოვიდა ხე-ტყე ალემისა და კაფუჭს მთებიდან იმდენი, რომ ყველა ნავსადგური და გემსაშენის განყოფილებები პირთმადე აიგსო. ყველა კუნძულიდან გემთშენებელი ოსტატები მოვიდნენ. გემსაშენის 145 ყოველ განყოფილებაში თითო კატარლას ჩაეყარა საფუძველი და დაიწყო კვირაში თითო კატარლის აგება. განსაკუთრებული სამეფო „ბაშთარდა“, ათი ცალი „მავუნა“ აშენდა და სახელმწიფო გემსაშენი ადამიანების ზღვად გადაიქცა.

მთელი ანატოლიისა და რუმელიის ვილაიეთების კაფუჭი-ბაშიები და ჯარის წინამძღვრლი ვეზირები გაემართნენ და დაიწყეს ისლამის ლაშერის შეგროვება. ხონთქრის ხასექრები და მირ-ალემები ალუირს, ტუნისს, მაროკოსა და ტრიპოლის გაემართნენ თოფისწამლის საფასური. ათი ათასი ოქროთი და იქ გადასცეს სულთნის ფირმანები, რომლებშიც ალნიშნული იყო, რომ „გაზაფხულზე კაფუდან-ფაშას უნდა

შეხვდეთო". ისინიც მოქმნადნენ. ამ ომისათვის სამზადისის თხრობა ასე გათავდა. როგორც ნათქვამია: „აზრი — პოეტის მუცელშიო“ — ეს ლაშერობა საიდუმლოდ ჩემი საკუთრებული ფალიშავსა, ვეზირ ყარა მუსტაფა-ფაშასა და შეახ ულ-ისლამ-ეფენდის შორის. არავინ იცოდა, რომელ მხარეში უნდა წასულიყვნენ სალაშეროდ. შემდეგ მისმა უდიდებულესობა ფალიშავმა გამოაქვეყნა ფეოვა!, რომლის პირი კვემოთავა მოყვანილი.

პატიოსანი ფეოვა: „გვეცნობოს ჩვენ: თუ რომელიმე ვილაიეთი ძველად ისლამის ქვეყანა იყო და დროთა განმავლობაში იქაურობა გიაურებმა დაიძყრეს და მისი ჯამეები, მეჩეთები, მღლებები, მინარები, საკრებულო ადგილები და სხვანი გზააბნეული გიაურების წესებით აღეს; თუ მრავალი სისახლით იყაჩალებენ და დაიჭრებენ, გაძარცვავენ და დაარბევენ იმ ჰავიბსა და ვაჭრებს, რომლებიც მათ ქვეყანაზე გაივლიან; თუ მაპმაღიანურ საჩრდინოებას, ისლამის ღირსებას ზიანს მიაყენებენ, გარშემო სამყაროს სისახლეს მოჰყენენ, — შეუძლია, თუ არა ფარიშაპს, ისლამის საჩრდინოების ღირსების საჭიროებისათვის ხსენებული ქვეყანა საზიზზარ ურჯულოებს წაართვას და ისლამის ქვეყანას შეუერთოს?“ ნაბრძანები განმარტება შემდეგია:

პასუხი: „ღმერთმა უკეთ იცის, რომ შარიათით მაშინ არის დასაშვები ისლამის ფალიშავის ყოფნა გიაურებთან ზავისა და მშვიდობის მდგომარეობაში, თუ ეს მშვიდობა და უსაფრთხოება ყველა მუსლიმს სარგებლობას მოუტანს. თუ ასე არ არის, მშვიდობა სრულიადაც არ არის შარიათის შესაბამისი. თუ მუდმივი ან დროებითი ზავის შემდეგ, ხელსაყრელ ღრის, უფრო სასარგებლოდ იქნება მიჩნეული ზავის დარღვევა, რა თქმა უნდა, დარღვევა აუცილებელი და გარღუვალია. თვით ჩვენმა ბატონმა. წმინდა მოციქულობის მფარველმაც კი დასდო მექელებთან ზავი. მეექვსე წელს დიდებული ღმერთის წმინდა მოციქულმა სასარგებლოდ მიიჩნია ზავის დარღვევას! და მშვიდობის საწინააღმდეგო ზოგიერთი საქმე ჩაიდინა. წინასწარმეტყველის მექიდან გაქცევის მეტვე წელს კეთილშობილი მექის წინააღმდეგ გამოემართა სამყაროს სიამაყე წმინდა [მუჰამედი], მონაწილეობდა მექას პრძოლაში და დაიკრი ქალაქი. ბედნიირებამოსილმა ფალიშავმაც უნდა მიბაძოს ალაპის მოციქულის სუნას. ღმერთმა აქურთხოს მისი ომები. დაწერა უკინესმა მწირმა“. 146

ეს პატიოსანი ფეოვა მისმა უდიდებულესობამ ფალიშავმა ხელში აიღო და მტკიცე საყრდენად გაიხადა. იმ დღეს წმინდან აბა ეცუბის პატიოსან საფლავზე მივიღადა; იქ შეის ულ-ისლამ-ეფენდიმ, საღვთო ომის ჭერიაო, თქვა და მის ქამარს ორ ადგილას შეაბა ხმალი ომარისა — ალაპიმცაა ქმაყოფილი მით. იქიდან გემსაშენის ბალში გადავი-

და, ორასი კატარლა პირამდე გაავსო მოწყობილობით, იარაღითა და ის-ლამის ლაშქრით. ორმოცდათი კატარლაც უნჯაფანის ნაევსადგურს მოაღვა და გაემზადნენ: ფლოოტის აღა, ჭარების ქეთხუდა და ბაშ-ჩაუში, ღირსეული სარდლის საჭურველთმტვირთველი, ოცდათექვსმეტი ოდა იანიჩარებისა, რომელიც, წესისამებრ, ათიათას კაცს შეადგენდა, ათი ოდა თოვჩიები, ათი ოდა ჭებეჭიები; ეს ორივე სახეობა ხუთიათა-სამდე კაცი იყო. იანიჩარები კატარლებში შევიდნენ, ჭებეჭიები — „მაუნას“ სახეობის ხომალდებში და გაემზადნენ.

მეორე მხრივ, შეგროვება და ბოლაზ-ჰისართან მისვლა დაევალოთ რუმელის მუთასარიფს საკუთარი ჭარებით და მის ვილაიეთში მყოფ სანჯაყების ოცდაოთხ ბეგსაც თავიანთი ჭარებით, ყველა ზეამეთისა და თიმარის მფლობელს თავიანთი ოცდაორი ათას ოთხმოცამდე მეომარი ჭებელიებით და სხვა იმაკებით. სულ უნდა მოსულიყო თოვა-შვიდი ათასი მეომარი. ანატოლიიდანაც მის განმგებელ ვეზირი-ფაშას ებრძნა ბოლაზ-ჰისართან მოსულიყო და თან ხლებოდა მისი თოთხმეტი სანჯაყის 199 ზეამეთისა და 5589 თიმარის ჭებელიებისაგან შემდგარი ჭარი და სხვა ჭარებთან ერთად სულ ოციათასამდე შეიარაღებული მეომარი.

შეგროვება და თავიანთი გემებით ბოლაზ-ჰისართან მისვლა ეპრძნათ კაფულან-ფაშას, დამასკოს, ალეპოს, დიარბექირის, მარაშას, ადანას, ყარამანის, სივასის, ტრაპიზონის ვილაიეთების მთელ ჭარებს, თიმარებისა და ზეამეთების მფლობელებს — კანონით გათვალისწინებული ჭებელიებიანად — სულ სამოცდათ ათას მეომარს.

147 როგორც კი მოუვიდა ცნობა ჭარების წინამდობლს, რომ ჰასეფის, ვეზირებისა და კაფული-ბაშიების ჭარები!! ბოლაზ-ჰისარში გამზადებული არიანო, სტამბოლში ოთხი ბოლუქი თავისი ალებიანად ხომალდებული ჩასედნენ და გაემზადნენ.

ნოვრუზის დღეს სასახლის კონცხთან გაემზადა ორასი კატარლა. „ბაშთარდა“ და „კალითა“, თორმეტიამდე შევი გველეშაპის მსგავსი „მაუნა“, ასი ხომალდი, რომელთაც ეწოდებოდათ „ფირკათა“, „კარკა“, „კარავანა“, „გალიონი“, „ბუთენი“, „ფენექი“, „მუთაპი“, „შითიე“, „ჩიიკა“, „კარამურსალი“. შიგ ჩასედნენ მელალუმეები, მეგზურები. ბოლოს დაიტვირთა სურასათი, მოწყობილობა და ჭაბახანა. სულ შვიდასმა იალქამბა<sup>4</sup> ჩაუშევა ღუზა. საქმას თავკაცი წარჩინებულები და დიდკაცები თავ-თავის გემების ფელუკებში ჩასედნენ და ეახლენ სულთან იბრაჰიმ-ხანს, რომელიც სასახლის კონცხზე მდებარე სინან-ფაშას კოშქში იჯდა ყველა ულემასა, ღვთისმოსავსა და ვეზირთან ერთად. უაფ-გუსტოეს ლაშქრობაში გასაგზავნ ვეზირებს, მიმდინარ კაპიტენებს, ალებს, ჩორბაჯიებს ათას შევიდასი საპატიო ხალათი ჩააცვეს და ყველა

ლოცვა-კურთხევით წავიდა თავისი გემებისაკენ. ღიდებული სარდალი ჟუსუფ-ფაშა, საღრაზამი ყარა მუსტაფა-ფაშა და შეიჩ ულ-ისლამი მარტონი დარჩენენ. არისტორელივით ბრძენმარტ ფადიშავმა საყვარელ სარდალს ჟუსუფ-ფაშას ხელი მოჰკიდა და ერთ კუთხეში განმარტოვდნენ. ასეთი საუბარი პქონდათ:

ფადიშავი: აბა, ჟუსუფ, რომელ მხარეს მიღიხარ სალაშქროდ?  
ჟუსუფ-ფაშა: მალტა უნდა დავლაშქრო.

ფადიშავი: ღმერთმა პქმნას და მისი ნებით კუნძულ კრეტას სალაშქროდ გაგზავნი. არაფრით არ გაანდო ვინმეს; არც ერთმა სულიერმა ეს არ იცოდეს. შენი პირიდან არ უნდა ამოვიდეს არავითარი პასუხი, გარდა ერთისა: „ნაბრძანები ვგაქვს მალტა დავლაშქროთ“. ჯერ გაიარე გზაზე მდებარე კრეტას კუნძულის წინ და პირდაპირ მალტასკენ გაემართე. შემდეგ კუნძულ მორას ესტუმრე ერთი-ორი დღით. შემდეგ ერთ ღამეს იქიდან აიყრებით და კრეტასაკენ გამობრუნდი. შუალღისას კუნძულზე გადასხი ჯარები. პირველად თოდორის ციხეები დაიყვარი და გადაქციო თავშესაფარ და [გემების] საღვომ ადგილად. შემდეგ პანიეში გადასხი ჯარი, ალყა შემოარტყა და აიღე. ესაა ჩემი რჩევა და სიტყვა. თუ ღმერთმა ინება და დაპყრობის შემდეგ ძლევა-მოსილი და გამარჯვებული დაბრუნდი, სამაგიდულოს მოგიზლავ. დარწმუნებული იყავი, რომ ასეთ შემთხვევაში ღვთის წინაშე შებლ-გახსნილი და პირნათლად წარსდგები. მაგრამ მათ, ვინც შეგეკითხება, უპასუხე: „მალტასაკენ მივდივარ“-თქო, რათა მტრებმა შენი გზა და ქვალი ვერ გაიგონ. იცოდე, რომ ნათქვამია: „დამალე შენი ოქრო, შენი გზა და შენი მრწამსიო“.

მას შემდეგ, რაც სულთან იბრაჰიმ-ხანმა ჟუსუფ-ფაშა ამგვარად გააფრთხილა, შუბლზე აკოცა და დალოცა: „წალი! ორივე ქვეყნის უფალი ალაპი იყოს შენი შემწე და მფარველიო“. ჟუსუფ-ფაშამაც მიწას აკოცა და ნავით წავიდა ბაშთარდასაკენ.

მთავარი ვარსკვლავთმრიცხველი ჩელები-ეფენდი, ვარსკვლავთმრიცხველი ჰასან ქოფრუ, ვარსკვლავთმრიცხველი საღრ ეღ-ღინ ზაღე-ეფენდი, ვარსკვლავთმრიცხველობაში სრულყოფილად განსწავლული, თავისი ასტროლაბის მეცნიერების მიწედვით აღმოაჩენენ, რომ ეს ღრი ბედნიერ ვარსკვლავს დაემთხვა.

მათ ღიდებულ სარდალს მიმართეს: „ჩვენო ბატონო, ეს წამი ბედნიერი ღრია. გამგზავრება ბრძანეთ“. ამის მიხედვით კაფულან-ფაშამ და ღიდებულმა სარდალმა ჟუსუფ-ფაშამ როგორც კი ბრძანება გასცეს: „ასწირთ ღუზაო!“ შეიდას ადგილას დაუკრეს საომარი მუსიკა და პირველად ბაშთარდაზე ატყდა მაჲმალიანური ყოინა. შემდეგ ერთი თოფის ბათქისა და ერთი ზარბაზნის ბათქის ხმამ ცას უწია და ზღვის

ზედაპირი თოტის წამლის ბოლისაგან შავ ზღვასავით გაშავდა. ცა და  
მიწა აივსო მაპმაღიანური ყიქინით და მას შემდეგ, რაც კიდევ ატყდა  
სამი ბათქის შედლუხი, პირველად ხელმწიფური ბაშთარდა დაწინაურ-  
და და მემუსიკეთა უფროსმა სეგაპი შეასრულა. სინან-ფაშას კოშკის  
წინ მოვიდა გემი. მუსაბი და დიდსულოვანი სარდალი ფალიშაპსა და  
საღრაზამ ყარა მუსტაფა-ფაშას მიესალმა და რომ გაიარა, ყველა ხო-  
მალდი გუნდ-გუნდად, წეროების ქარავანივით სასახლის კონცეიდინ  
გავიდა. ყველა ხომალდმა აფრები გაშალა. კიდევ ერთი ზარბაზნის  
ბათქით მოაწყეს შედლუხი და ხელსაყრელი ქარით პირნათლად გაუ-  
მართნენ ხმელთაშუა ზღვისაეკნ. სტამბოლელებმა თავიანთი ჩვეულე-  
ბის მიხედვით თქვეს: „ხელსაყრელი ამინდი დადგა, ღვთის ნებით,  
ძლევამოსილი და გამარჯვებულები დაბრუნდენონ“, და ლომგულ, დი-  
დებულ სარდალს ლოცვა-კურთხევა გაატანეს.

მე, მწირიც, ჩვენი ბატონი სარდლის მუექინთა უფროსი გაუხდი  
და უავგუსტოეს ბაშთარდაზე ხაზინის მდივან იბრაჰიმ ჩელებისთან  
149 ერთად მოვთავსდი. წრებილ ხურმასა და შაქარყინულს გეახლებოდით,  
შესანიშნავად და დიდებულად ვილნენდით. ერთ დღე-ღამეში გალი-  
პოლის ცოხესთან მივედით და დავისადგურეთ.

აქ ხომალდებმა ღუზა ჩაუშვეს. კეთილად მობრძანების აღსანიშ-  
ნავად ციხიდან ზარბაზნები გავარდა და ფლოტის ხომალდებიდან კი  
მისალმების ნიშნად გაისროლეს. ყველა მუსლიმი გმირი გალივოლის  
გემსაშენში გადმოვიდა და ყველამ თავთავის საქმეს მიჰყო ხელი. ოლ-  
ურის, ტუნისის, ტრიპოლის ორმოცდათ გალიონა ხომალდში ჩასხდ-  
ნენ რუმელის ჭარები, რომლებსაც ნაბრძანები ჰქონდათ [სალაშქროდ  
წასვლა]. მოპირდაპირე, ანატოლიის ნაპირზე მდებარე ჩარდაკის ნავ-  
სადგურში დამასკოს, ალეპოს და სხვა თერთმეტი ვილაიეთის სალაშ-  
ქროდ გაგზავნილი ჭარები ჩასხდნენ ხომალდებში, საჭმელ-სასმელი  
დატვირთეს და ერთ დღე-ღამეში აავსეს. მეორე დღეს ისევ შეიქნა თო-  
ფისა და ზარბაზნის თითო ბათქის შედლუხი. ჭარმა მთლიანად მიიღო  
წყალი. ხელსაყრელ ამინდში ყველა ხომალდმა გაშალა არწივისტროე-  
ბისებური იალქნები და ბოზჯა კუნძულის წინ გავიარეთ. იმ დღეს ათი  
გაფანტული ფირქათა ხომალდით წინ წავიდნენ ყარა ბათავი და ინე-  
ბალთილი ღურაკი, რომელთაც დაევალათ ათ-ათი მილის სიშორეზე  
სვლა და საღარაჯო და გზის მაჩვენებელი სამსახურის გაწევა. საპა-  
ტიო ხალათები უწყალობეს და ალუთქვეს, რომ თუ კარგად შეასრუ-  
ლებდნენ სამსახურს, წყალობად მიეცემოდათ, აგრეთვე, სახელმწიფო  
სასაზღვრო ძალების ბეგობა. იმ დღეს...\* კუნძულს მივაღწიეთ. იქ

\* თურქული ტექსტის გამომცემელი ალიშნავს, რომ ხელნაწერში ამ კუნძულის  
სახელწოდება გამოტოვებულია.

სამი დღე დავყავით: აქაც ავიყვანეთ ისლამის ლაშქარი და უკელა ხომალდი წყლით მომარაგდა. ბაშთირდაზე აღიმართა სარდლის ბაირაული „ფილანდირა“. ერთი ზარბაზანი გავარდა გამგზავრების ნიშნად; მესამე ზარბაზნის გასროლაზე იგი წინ გავიდა და საყვირებმა გამგზავრებისა დაუკრეს.

აქედან ავიყარენით და ხელსაყრელი ქარით ვიარეთ...\* კუნძულთან ღუზა ჩავუშვით. იქ ჯარი ავიყვანეთ და გემებმა წყლის მარაგი აიღეს. აქედანაც ავიყარენით და კუნძულ ისთენდილთან მოვედით. აქაურობა ვენეციელთა ხელში იყო. თუმცა მისი გენერლისაგან კეთილშობილ სარდალს საჩუქრები მოუვიდა, ეს არაფრად მიუჩნევია. ეს [კუნძული] გავიარეთ და კუნძულ დეირმენლიქთან მივედით. იგი ოსმალებისაა. კაფუდან-ფაშას სახასოა. გავიარეთ იგი, თემაშალიქის კონცხიც და ათინის ციხესთან მივედით. იქიდანაც განვაგრძეთ გზა და თერმისინის ციხეს მივაღწიოთ. || კუნძულ მორაზე მდებარეობს. იგიც გავიარეთ და მივედით ანაპოლის დიდ ყურეში. 150

ანაპოლის ციხე: მას ანაპოლისასაც უწოდებენ. კუნძულ მორაზე, დიდი ყურეს ბოლოში, ერთ ციცაბო კლდეზე ძლიერი და მტკიცე ციხეა. ზაგრამ აქაურობა ისე ვერ დავათვალიერე, როგორც მინდოდა. ამ ნაესაღვურში რუმელის ვილაიეთის ოცდაშეიდათასამდე. სალაშქროდ გამოგზავნილი ჯარი საჭმელ-სასმელით ხომალდებზე მოვათავეთ. ერთი დღე-ღმერთ გავიდა და დოლებმა გამგზავრებისა დაუკრეს. აქედანაც სამხრეთის ქარით ვიარეთ და მივედით ბენეფშეს ციხესთან. რაღაც გაშლილი ადგილია და ყურე არა აქვს, სასწრაფოდ ავიყვანეთ აქაური ისლამის ჯარი; იმ დღეს ისევ ხელსაყრელი ამინდით ვიარეთ და თუმცა მენექშეს კონცხის მხრიდან წინ ჩავუარეთ კუნძულ კრეტას, იქით არც მიგვიხედია, „კუნძული მალტა!“ — ვთქვით და ჩიკას კუნძულებთან მივედით. ესენი ვენეციის ურჯულოების საბრძანებელში ერთმანეთთან ახლო მდებარე მტკიცე ციხეებიანი კუნძულებია. მათ წინ გავიარეთ, გზის სამხრეთისაკენ ავიღეთ და კორნის ციხეს წინ გავუარეთ. აქედანაც გზა განვაგრძეთ, მოთონის მაგარ ციხეს წინ რომ ჩავუარეთ, დასავლეთის მიმართულებით ბერკის კუნძულთან მივედით. მორას კუნძულის მახლობლად მდებარე პატარა კუნძულია. აქედანაც გზა განვაგრძეთ და ანავარინ (ნავარინის) ციხესთან მივედით.

ნავარინის ციხე: მორას კუნძულზე დიდი ყურეა. ორი ციხე აქვს. ერთი დაბლა, ნაესაღვურის შესავალთან მდებარე კლდეზე და მეორე ცამდე აწვდენილ კლდეზე მდებარეობს. აქ დასაღომად ღუზა ჩავუ-

\* ხელნაწერში გამოტოვებულია.

შვით. უავგუსტოესი ფლოტის ნელა მავალი ათი საზღვაო უწყების  
 ხომალდი, რომელთაც „ჩაკალი“ ეწოდებათ, მაშინვე განიტვირთა; მა-  
 თი მოწყობილობა, მარაგი, ჭაბაზანა, ჯარი და მენიჩბეები სხვა გემებზე  
 მოთავსდა. წყალი ავილეთ, მოვემზადეთ, გავემგზავრეთ და ამ ნავსაღ-  
 გურის სიახლოვეს მდებარე ზაქლისასა და კეფალონის კუნძულებთან  
 მიევედით. ეს კუნძულები ვენეციელების სამფლობელოშია. მათმა გე-  
 ნერლებმა საჩუქრებად მოგვართვეს თოფისწამილი, ყუმბარები, ტყვია,  
 შალეული და ქსოვილი. დიდებულ სარდალს შეხვდნენ და „დაილ-  
 ცოს თქვენი ომით“. თქვეს. მაგრამ გულში ჯაშუშობის განზრახვა  
 ედოთ. ნახეს, რომ სმალების ლაშქრობა მაღტას წინააღმდეგაა მომ-  
 ზადებული და გულდაჯერებულები თავიანთ დასაქცევი ქვეყნის კუნ-  
 ძულზე დაბრუნდნენ. ამ ნავსაღგურებიც მორას და ალბანეთის ვაჟ-  
 კაცების სამიათასამდე ჩერეული მეომრით გაიტენა ხომალდები და  
 ალაპის გზაზე ისლამის სახუმუნოებისათვის მებრძოლი ჯარი საჭი-  
 რო მასალითა და წყლით მომარგდა. აქ არის უკვდავების წყალივით  
 კარგი სასმელი ერთი მდინარე, რომელიც აქ ერთვის ზღვას. მესამე  
 დღეს ალამი აღმართეთ და გამგზავრების საყირებმა დაუკრეს. ამ  
 ნავსაღგურიდან ცხრასი იალქნიანი ხომალდი გავიდა და ლა ზღვაში  
 კაპიტენების — ყარაბათაკისა და დურაკის ათი ნაპერწკალივით ფირკა-  
 თა ხუთ-ხუთი, ექვს-ექვსი მილით წინ მიღიოდნენ. ასე დავადექით  
 მაღტას გზას. მთელმა ჯარმა გაიგო, უავგუსტოესი ფლოტი მაღტასა-  
 ქენ მიღისო. ის იყო შუა დღე დაღგა, რომ იმ შეებრალებული ზღვის  
 შუა გულს მივაღწიეთ და დიდებული სარდალი აუსუფ-უაშა, მამაცი  
 უავგუსტოესი ბარიზიდათი თვალისდახმაშებაზე უკან გამობრუნდა,  
 საჭე იქით მიაბრუნა, საიდანაც მოვედით და „ავანტეს“ გამოსახატა-  
 ვად ბაშთარდადან მარცხენა გვერდის ალამი და ბაირალები აღიმარ-  
 თა — გვანიშნა, მომყევითო. ნიჩბების მოსმითა და იალქნებით საღ-  
 მოს ისევ ჩავუარეთ ჩიკას კუნძულებს. კუნძულ ჩიკას ციხის ითხივე  
 მხრიდან მაშინვე ცეცხლის ნიშანი გამოჩნდა და დაიწყო სროლა სა-  
 ნიშნებელი ზარბაზნებისა. სწრაფად გავიარეთ ეს კუნძული და მზის  
 ჩასელის შემდეგ იმ უკუნეთ დამეში კუნძულ კრეტას მივაღწიეთ.

## XLVI

ოქროს დაბადო პრეზას აც კუნძულ პრეზას აღზრდა

ცისკრის ლოცვის დაწყების დროს ალაპის სახელის ხსენებით  
 ხომალდებმა ღუზა ჩაუშვეს კუნძულის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე  
 თოდორის ციხის პირდაპირ. მშვიდ და წყნარ ყურეში ჯარი თვალის-

დახამძამებაში გადმოვიდა. გადმოტანილ იქნა ორი ცალი კულუმბურ-ნა ზარბაზანი, უამრავი ჭაბაზანა და მარაგი. მუსლიმმა გმირებმა გო-დორყორებს შეაფარეს თავი და ციხეს ალყა შემოარტყეს. ორ საათ-საც კი ვერ გაუძლეს ბრძოლას და ციხეში მყოფი ურკულო „სულტატი და მურტატი“ განდგომილების ჭვრები გადაყირავეს. გათენებისას მათი მღვდლები გარეთ გმოვიდნენ, დანებლნენ და დიდებულ სარ-დალს გასაღებები ჩააბარეს. ციხეში მყოფი გიაურები კი თავიანთ „ფირკათა“ ხომალდებში ჩასხდნენ და ჯოჯონეთისებრ კუნძულ ჩიკა-საკენ წავიდნენ. ციხე მაშინვე დაიკავეს და მის ჩაუსადგურში ხომალ-დები შეიყვანეს [ოსმალებმა]. ხომალდების დასაცავად ზღვის სანაპი-როზე საფარების უქან დაიდგა „ბალემეზ“ ზარბაზნები; კარას ვი-ლიაიეთის და ადანას ვილაიეთის ჭარები მცველ ჭარად იქნენ დატოვე-ბულნი. იმავე დროს, სახელმწიფო ფლოტმა ჰანიას გვერდით, ნაზა-რეთად წოდებულ ნავსადგურში ჩაუშვა ღუზა და ჰაპირზე გადმოიყვა-ნეს თავით ფეხებამდე შეიარაღებული ჭარი თავისი კარვებით; გადმო-ტვირთეს სამოცდაათი ცალი „ბალემეზ“, ორმოცი „კულუმბურჩა“, ორასმდეც „შაპი“ ზარბაზანი თავის საომარი მასალით. მთელი ჭარი ჰანიადან ზარბაზნის ერთი გასროლის მანძილზე იყო. რაღანაც ნა-ზარეთის ნავსადგური, რომელიც აქეთა მხარეს მდებარეობდა, ხუთი ქარისაგან დაცული იყო, მთელი ფლოტი იქ დადგა. ალჟირის, ტუნი-სის, ტრიპოლის სამოცდაათ კატარლას დაევალა ღია ზღვაში გასვლა, წინ და უქან ცურვა და დაცვა.

სხვა „ჩაიკა“ და „კარამურსალ“ ხომალდებიდანაც გადმოიტანეს საომარი მასალა და საკურველი ნავსადგურის სანაპიროზე. სივასის ვილაიეთის ჭარს ამ ნავსადგურის დაცვა და ყარაულობა დაეკალა. ეს ნავსადგური ჰანიეს დასავლეთ მხარეს მდებარეობს. დიდება ღმერთს, ადვილად იქნა ხელში ჩაგდებული. რაღანაც იგი სამოცდაათამდე მი-ლის სიახლოესაა კაბაჯის კონცხიდან, რომელიც კუნძულ მორჩიე მდე-ბარეობს, პირველად ეს ნავსადგური იქნა დაპყრობილი თოდორის ცი-ხიანად, რათა გაღმა მორადან მაშველი ძალის მოსვლა არ გაადვილე-ბულიყო. ზღვის ნაპირზე და ნავსადგურის შესასელში ღილი სი-მაგრები მოეწყო და შიგ მხოლოდ „ბალემეზ“ ზარბაზნები დაიდგა. ნავსადგურში მდგარი გემების დაცვა საიმედო გახდა. ღია ზღვაში ოც-ოცი, ოცდაათ-ოცდაათი მილის მოშორებით დადგნენ საღარაჯო „ფირკათა“ ხომალდები.

შემდეგ, სარდლის ბრძანებით, პანის ციხის აღმოსავლეთით, და-  
სავლეთით და სამხრეთით ზარბაზნის გასროლის მანძილზე დაიღვა  
[ჭარის] ყველა კარავი. ოთხივე მხარეს][ ყარაულები დაინიშნა. ყველა  
153 მიზ-მიზანი და მეომრები, ისლამის ჭარის წარჩინებულები კარვებითა  
და ბარგი-ბარხანით მათთვის მიჩენილ ადგილებზე დაბანაკდნენ. ჩაუ-  
შები სხვადასხვა მხარეს განკარგულებას იძლეოდნენ და ყველა გმირი  
სალოცავად განბანებას ასრულებდა. [ბრძოლის წინ] ყველანი ერთმა-  
ნეთს გამოეთხოვნენ და დღის სინათლეზე სანგრებში პირველი შევიდა  
იანიჩართა ოჯავი. მეორე დილით. ციხის ძირის, დიდებულმა სარდალ-  
მა ძუსუფ-ფაშამ დასამიწებელი ურჯულოების ჭიბრზე გუნდებად და-  
წყობილი, აურაცხელი მართლმორწმუნე ჭარის დიდებული აღლუმი  
მოაწყო ისეთი, რომ ჭოქოხეთში დასამკვიდრებელი ურჯულოები ოს-  
მალების შიშით აცანაკანდნენ, შეძრწუნდნენ და თანაც გაოცდნენ. შემ-  
დეგ, როდესაც ძველი წესისამებრ კარავში შევიდა დიდებული სარ-  
დალი, მესანგრეებმა წერაკვებითა და ნიჩბებით შევიდი მხრიდან და-  
იწყეს მიწისქვეშა ხვრელების თხრა. ჭარები შევიდი მხრიდან შემო-  
აღგნენ პანის ციხეს. ჭერ ციხის სამხრეთით, იანიჩართა ქეთხუდას  
ფრთაზე, მებრძოლებთან დადგა დიდებული სარდალი და მერე ცი-  
ხის აღმოსავლეთით მდებარე, „ვერცხლის სანგრად“ წოდებულ ადგი-  
ლის სანგრებში შევიდნენ ალჟირელები. [ციხის] დასავლეთით მდება-  
რე „ოქროს სანგრის“ მხარეს სანგრებში შევიდა ალეპოს ვილაიეთის  
განმეობელი ფაშა სამი ოდათი და ზემბერექჩი-ბაშის თანხლებით. ერთი  
სიტყვით, შევიდი მხრიდან შევიდა მუსლიმ გმირთა შევიდი წყება სან-  
გრებში. თვალი არ გაახელინეს, ისე განუწყვეტლივ, ყოველდღე გა-  
დალიოდნენ სანგრებში ყოველის მხრიდან და თუმცა [ამ მოქმედებაში]  
არავითარი შეცდომა არ დაუშვიათ, საქმე მაინც გაჭიანურდა, რადგა-  
ნაც ალექსანდრესებური ზოლდე თოხუთხა, მაგარი ცხე იყო. ხოლო  
[ციხის] ჩრდილოეთ მხარეს ნავსაღგურია და იქიდან სანგარში შესვლა  
შეუძლებელი გახლდათ. სანგრებში შესვლა მოხერხდა მხოლოდ ხმე-  
ლეთით — აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. რად-  
განაც წყეულ და ურჯული გიაურებს კვაპროსის ომისა შემდეგ იმა-  
ლებთან ომი და ბრძოლა, ლაშქრობა და ხოცვა-ულეტა არ უწირმოე-  
ბიათ, ჭარი დასვენებული ჰყავდათ; გაბაზანა, სხვა საომარი მასალა  
აურაცხელი ჰქონდათ და მრავალი მეომარი ჰყავდათ. შევიდი დღე და  
შევიდი ღამე წუთი არ გამოუშვიათ, ისე გაისროლეს ზარბაზნები ორ-

მოცდაათათასჯერ, თოფი — მრავალ ასიათასჯერ და „კაზან“ ზარბაზნის ყუმბარა — მრავალ ათასჯერ. ციხე გაჩირალდნებული იყო დაკიდებული მაშხალებით. შვიდ ღლეში შვიღმა ათასმა კაცმა შესვა წამებულის სიკვდილის თასი დახოცილთა ნივთები ხაზინას ჩაბარდა.

|| მაგრამ, დიდება ღმერთს, მუსლიმი გმირები იოტის ოდენადაც 154 არ შედრკნენ. ლირსეული სარდლის წაქეზებითა და წახალისებით გულმოდგინეობას უმატეს და სანგრებში წინ მიიწვევდნენ. ამ მხნეობით მეათე ღლეს მიაღწიეს თხრილის ნაპირს. შვიდი მხრიდან „ბალემეზ“ ზარბაზნები ციხეს ურტყამდნენ, მაგრამ ვერაფერი დააკლეს — თითქოს დემავენდის მთა<sup>2</sup> იყო. ასეთი გაწამაწით ოცი ღლე და ოცი ღამე გაგრძელდა ომი და ბრძოლა.

ზარბაზნების ცეცხლის ქვეშ წყეული გიაურები მაიმუნებივითა და ახლად გამოლვიძებული, გაცოფებული გველებივით ტრიალებდნენ. ეშმაკობით, ვერაგობითა და ცეცხლით მუსლიმ გმირებს მწვალებივით სწვავდნენ. ისლამის ჯარი ამ გაიძვერობასა და სისაძაგლეს არად აგდებდა, თავის მამაცობას დღითიდღე უმატებდა. დამასკოს, მარაშას, ყარაბანის, ტრაპიზონის ვილაიეთების [ჯარებს] დაევალათ „ქვიშის სანგრის“ მხარეს მიწის მიზიდვა და ორდესაც მთებივით მიწა მოჰქონდათ, ავაზაქმა გიაურებმა თიმარის მფლობელებს ციხიდან ხელის ყუმბარები და „კაზანის“ ჭურვები დაუშინეს და დაწვეს. ბოლოს, როდესაც მიწის ზიდვა შეუძლებელი გახდა, შეუდგნენ სხვადასხვა მხრიდან ნაღმის დადგებას. ციხის დასავლეთი მხრიდან, რომელიც ნაზარეთისაკენაა, ერთმა სამხერელიანმა ნაღმმა იფეთქა და ციხის სამოცდა-ათი არშინის ზომის კედელი ჰაერში ავარდა. ზედ მდგარი, კაცკაჭები-ვით მოყაყანე გიაურები ცაში აფრინდნენ და მწუხარებამოსილ და-ღუპვის კვეყანაში დამკვიდრდნენ. ჭოჭოხეთში დასამკვიდრებელმა გიაურებმა ამ ნაღმის ხერხი გაიგეს; ციხეში მაშინვე მოაწყვეს ხვრელი, რომელიც თხრილის ქვეშ გაიყვანეს და ერთი ისეთი საშინელი ნაღმა ააფეთქეს, რომ ამოყრილმა მიწამ ორასამდე კაცი ჰაერში აისროლა. ერთი სათის განმავლობაში მტევრი ცაში იყო ასული და ისლამის მეომრები წყვდიადში დარჩნენ. მრავალი ადამიანი უკვალოდ გაქრა მიწაში და ისე დაიმარხა, სუდარასა და აკლდამას ვერ ელირს. მუსლიმი გმირები არც ამ ამბავმა გატეხა; ერთმანეთს საბრძოლველად ამხნევებდნენ, აქეზებდნენ და ბრძოლაში დაღუპვა პატივად მიაჩნდათ. ისლამის მეომრები ისე გამდვინვარდნენ, რომ დაზიანებული ადგილებით აღწევდნენ ციხეში, მოჰქონდათ მოჭრილი თავები და მოპყავდათ მოენეტივები.

მისმა აღმატებულებამ, სარდალმა, მაშინვე დაწყო დასაჩუქრება. ვინც თავს მოიტანდა, ორმოცდათ ალთუნს უწყალობებდა, ვინც

ტყვეს მოიყვანდა — ას ალთუნს. ამის შნახველმა მუსლიმმა გმირებმა 155 სულითა და გულით ||დაიწყეს თავგანწირვა და მრავალჯერ მოიტანეს თავები და მოიყვანეს ტყვეები თვით შიდა ციხიდანაც კი. გენერლის ხელფეხშექრული შეილიც კი მოჰვარეს სარდალს. მაგრამ იმ დღეს გიაურები გაცოფნენ. მამაცად იბრძოლეს და უთვალავი გმირი და-გვიხვდეს. ამას გარდა, დღესა და ღამეს ოლარ არჩევდნენ და ჭერ უნა-ხავ ცეცხლს აფრქვევდნენ.

ერთი ურჯულო ჯამბაზივით ჩამოეშვა თოკით, კეთილშობილ სარ-დალთან მოვიდა და უთხრა: „ჩემო ხელმწიფევ! თუ წყალობას გამო-იჩენ და მაჩქეებ ჩემს სახლსა და ცოლ-შვილს, რომლებიც ციხე-სი-მაგრეში არიან, შენთვის სასიხარულო ცნობა მაქვს“—ო. საჩდალმა დაუფიცა: „რასაც ისურვებ და მოითხოვ მაპმადიანური სარწმუნოების ჭეშმარიტებისათვის, გიწყალობებ; მთელი დაპყრობილი ქვეშევრდო-მების მმართველად დაგნიშნავ და ბოლოს, ურფის გადასახადებისაგან შენ და შენ შვილებს გავათავისუფლებო“. ესა თქვა და ურჯულოს კი-სერზე შეაბა შეწყალების ხელსახოცი. როდესაც ურჯულომ ყველა სურვილი გაინაღდა, თქვა: „ჩემო ხელმწიფევ! ურჯულოთა შორის ორი დაჯგუფება შეიქმნა — ბერძნები ამბობენ: — „ციხეში რომ არ დავი-ღუპოთ, ოსმალებს ჩაგდარდეთ და ხარაჯას გადამხდელი ქვეშევრდო-მები გავხდეთო“. ვენეციელები ამბობენ: — „არა! უსათუოდ უნდა კიბრძოლოთ, სანამ მაშველი ძალა მოგვივა; თუნდაც სულ გავწევდეთ, მაინც არ ჩაგდაროთ ციხე“.. მათი მაშველი ძალის მოსვლაზე ფიქ-რიც კი ზედმეტია. ძალიან ბევრი მათგანი დაიღუპა ზარბაზნისა, თო-ფისა და ნაღმისაგან. ვინც გადაჩარა, ნაესაღვურის მხარეს შეიკრიბნენ, რადგანაც იგი დაცული ადგილია. ახლა ისეთი თადარიგი უნდა დაიქი-როთ, რომ ნაესაღვურის მხარეს აშენდეს გამაგრებული ადგილი, რო-მელიც ზღვის მხრიდან დაიცავს [მენაღმებს] და ათი „ბალემეზ“ ზარ-ბაზნით ურტყათ ცისის იმ მხარეს, რომელიც ნაესაღვურისაკენ არის. ცისის ბერძნების უბანში ისრებით გაისროლეთ გაღმოსაბირებელი ქალალდები. ღვთის ნებით, თუ ასე მოიქცევით, ცისის აღება შესაძ-ლებელი გახდება“—ო, მრავალი მართალი ამბავი გაანდო.

მრავალი ისრის საშუალებით ბერძნენთა უბნისაკენ ბერძნულ ენა-ზე დაწერილი ქალალდები გაისროლეს. იმ ღამეს ციხიდან ათი ბულგა-რელი ბერძენი გმოვიდა და ისინი ისლამით გაპატიოსნდნენ. მათი სურ-ვილის მიხედვით უცნაურად გადირქვეს სახელები. როგორიცაა: „ბურ-მალი ესა და ეს“, „ბურმალი. სინანი“ და სხვა.

გამარჯვებას ჩვეული სარდალი ამათ სიტყვებს სრულიად არ ენდო და დღენიადაგ ციხეს ურტყამდა: ისე, რომ მეციხოვნებს თვალს არ ახელინებდა. ციხის აღმოსავლეთ-ჭიათურეს, აღუირელების ფრთაზე, ნავ-

სადგურის მიმართულებით მაღალი სიმაგრის აშენება გონივრულად მიიჩნია და ერთ ღამეში!! შექმნეს ცამდე აზიდული, მაღალი სიმაგრე. 156 ათი ცალი „ბალემეზ“ ზარბაზნით ციხეში უსაფრთხო ადგილად მიჩნეულ მაღალ სასახლეებსა და ნაევადგურის პირს მცხოვრებ ვიაურებს ყუმბარები ისე დაუშინა, რომ ციხეში ატეხილი ყვირილი და მოთქმა ცას მისწვდა. იმ დღეს მთელი სახელმწიფო ფლოტის ხომალდებს, ზღვის ბეგებს, ალუირელებს დიდებული სარდლის ბრძანება მიუვიდათ, სადაც ნათქვამი იყო: „ზღვაზე ფეხზლად იყავოთ, დღედაღმა გულმოლგინედ გასწიეთ სადარაჯო და თავდაცვის სამსახური. თორმეტი „მავუნა“ ხომალდით განუწყვეტლივ ურტყით [ზარბაზნი] ციხის იმ შხარეს, რომელიც ნაევადგურისაკენაა“—ო. მათაც ციხის ნაევადგურს სროლა დაუწყეს და შიგ პირვანდელ შიშისა და სასოწარკვეთილებაზე უფრო დიდი ვაი-უბედურება ატყდა. მაგრამ, რადგანაც ზღვიდან გასროლილი ზარბაზნების ყუმბარები მრავალჯერ მოხვდა ჩვენსავე ჭარს, ფლოტის მეზარბაზნეთა მეთაურს სხვა ბრძანება მიუვიდა — არ ესროლათ. ბილწი გიაურები მაინც ჭიუტობდნენ, თავისა, არ იშლიდნენ და მრავალი ვერაგობით აფრკვევდნენ ცეცხლს. ყოველდღე [ჩვენი] ასი, ორასი კაცი დგამდა ფეხს წამებულის საცეხურზე. ამ ალყის დროს მომხდარი ამბები დაწვრილებით რომ აღწეროთ, ერთი ტომი გამოვა და ამიტომ ასე შემოკლებულად მოგოთხოვთ.

სულ ბოლოს გაიძვერა გიაურები ქონგურებზე გამოვიდნენ და დაინახეს, რომ ორმოცი ათასი ხმალამოწვდილი, ჭავშან-ფარიანი თავზე-ხელაღებული, მამაცი ოსმალო გამზადებული. იმის მაგივრად, რომ მოწყენოდათ გაჭიანურებული ბრძოლა და დასუსტებულიყვნენ, მათი გულმოლგინეობა და ძალა ხუთჯერ მეტად და შესაძლებელია, შეუდარებლად გაიზარდა. როგორც კი დაინახეს გიაურებმა ისლამის ჭარის ასეთი მამაცობა, ძლიერება და თავდაღება, ციხის კედლებზე თეთრი ბარალები აღმართეს. „ამან, შეგვიწყალეთ, ჰორი, რჩეულო ოსმალები!“ — მოთქმა და ტირილი დაიწყეს. მათი ვაი და ვავლახი ყურად არ იღეს და ციხეს უფრო მეტად დაუშინეს ზარბაზნები. ყუმბარით, ტყვითა და ნაღმით დაუწყეს [ციხეს] შევიწროება. ციხის ზოგიერთი დანგრეული ადგილიდან მძევლად რამდენიმე მეთაური გამოვიდა და ათი დღით დაზავება ითხოვეს. სარდალმა გადაწყვეტილი პასუხი გასცა: „დილააღრიან გამოხვალთ [ციხიდან], თორემ ყველას ხმლის კბილებში გაგატარებთო“.

მოსულთაგან რამდენიმე კაცი ციხეში დაბრუნდა. მათ ციხის ხალხი დააჯერეს: — „ჩვენს საქმეს არაფერი ეშველება. თურქები იერიშზე წამოვლენ და აუცილებლად მოგესპობენ. ॥ახლავე, სანამ სული 157

არ წაგვერედია. თავი, ოჯახები და თანამებრძოლები არ დაგვლუპვია, აქედან გავიდეთო“.

[ციხის] კედლები ბაირალებით გადაათეთრეს და მრავალი ღირსეული კაცი გარეთ გამოვიდა მძევლად. იანიჩართა, სიფაპიებისა და ჭებეჭიების ყველა დანაყოფი მაშინვე შეიარაღებულები მივიღნენ კედლებთან და ხელში ჩაიგდეს ყველა ზარბაზანი და გაბაზანა. ალყაშე-მორტყმულები იმ ღამეს თავიანთ ხომალდებში ჩასხდნენ და სხვადა-სხვა კუნძულზე თავშესაფარის ძებნას შეუდგნენ. იმ ღლეს ციხის კე-დელ-ბურჯებზე მაჰმადიანური ლოცვა იქმნა აღვლენილი. ყველა გმი-რი სანგრებიდან გამოვიდა და ციხის კედლები და კარიბჭები უხვად შემჩერს. მაჰმადიანური ყიჯინა დასცეს, ზარბაზნებისა და თოვების ბათქით შედლუხი მოაწყვეს. სამი ღლე და სამი ღამე სახელმწიფო ფლოტის ზარბაზნისა და თოვის სროლის ხმისაგან ცა და დედამიწა და იმ ქვეყნის უსაბოლო ზღვა გრიალებდა და გუგუნებდა. ალყაში ნამყოფები კი ხომალდებით წავიღნენ ჰანისა აღმოსავლეთით მდება-რე სოდას ციხისაკენ, რეთმეს, აპოკრიუნას, კანდის მხარეებში. რო-დესაც ჰანისა საიკედილო, წყეულმა, ვითომდა გენერალმა მოისმინა ეს შედლუხი და მაჰმადიანური ლოცვები; როდესაც თავიანთი სამრე-კლოების თავზე ჭრის აღვილას დაინახა იქ აღმართული მწვანე ალ-მი ალაპის მოციქულისა. „სჯობს ეს ამბავი არა ვნახოო“ — თქვა, სა-კუთარი თოვებით ამოიგდო და დაითხარა თვალები.

სახელმწიფო ფლოტი მაშინვე შევიდა ნავსაღვურში და დადგა. სხვა „ჩაიკა“ ხომალდებს, „კარამუხსალებსა“ და ხომალდების ჭაბა-ხანებს ნება მიეცათ ნაესაღვურში შემოსულიყვნენ. სტამბოლისაკენ მახარობლები აფრინეს. სხვა ქვეყნების ბეგებმა [თავიანთი ხომალდე-ბით]. სამოცდაათივე „ბაშლარდა“ კატარლამ და ალუირის, ტუნისისა და ტრიპოლის ორმოცდაათმა ხომალდმაც ღუზა ჩაუშვეს. საომარი მა-სალა. და სანგრების სათხრელი აღჭურვილობა ხომალდებიდან გადმო-იტანეს. ზღვის ნაპირზე დაიდგა შესანიშნავად ნაკეთები ზარბაზნები და მრავალი დიდი სიმაგრე აშენდა. არემარე ზღაპრივით აღიკურვა ზარბაზნებით. ციხის ძეგლი თხრილები ისლმის ზღვა ჭარმა მთებვით მოზიდული მიწით გაავსო ნიჩების, საცრებისა და სხვა იარალის სა-შუალებით. სამ ღლე-ღამეში თხრილები უწმინდეურობისაგან გაასუფ-თავეს და სანგრები და მიწისქვეშა ხერელები — დაბრკოლებებისაგან. ციხის დაზიანებული აღვილები მტკიცედ აშენდა და ყველა ჭარისკაცი თავის აღვილზე დაინიშნა. ციხემ პირვანდელზე ათასჯერ მეტი სიმტკი-ცე და ქლიერება შეიძინა. ეკლესიები ||მუსლიმთა ტაძრებად იქცა და იქ ბრწყინვალე ლმერთის. დიდება დაიწყეს.

პირველი საპარასკევო ლოცვა სულთან იმპერატორ-ხანის ჯამეში აღავლინეს და ყველა გმირმა ალაპს ლოცვა-დიდება უძლვნა, ამ მრავ-ლისმეტყველ ლაშქრობაში მონაწილეობა გვარგუნეო. მე, მწირმა, — სხვებზე მეტად. დიდებული ღვთისს მყოფელისაკენ მივაბრუნე პირი, ქება-დიდება და მაღლობა მივუძლვენი, რადგან ეს ომი ჩემი მეცხრე ომი იყო. ჩემი პირველი ომი იყო აზოვის ომი და ამ ორ ომს შუა მომ-ხდარი ომები კი იყო ყირიმის, პოლონეთის, მოსკოვის და კაზაკებთან ომები<sup>3</sup>.

კინის შესაკეთებლად სამუშაოები დაიწყო და ყველამ შესაძლებ-ლობის მიხედვით შეამკო თავ-თავისი ღუქანი. პრელ ღამეებში ყვე-ლანი სახლებსა და ღუქნებს მაშალებით ანათებდნენ და ციხე მუს-ლიმი გმირებით აივისო. ბერძენ მოსახლეობას კი ნავსადგურის მარცხე-ნა მხარეს მიეჩინა აღგილა. ყველა შესანიშნავად მოეწყო, კეთილ-დღობა დაუდგათ და ხარაჭას გადამხდელები განდნენ.

მეტობე ლოცვის<sup>4</sup> შემდეგ სამოცდათო მხრიდან დაუკრეს საომარ-მა საკრავებმა, მაკმადიანური ყიუინა გაისმა, ზარბაზნებისა და თოფე-ბის სამ-სამი ბათქი გვაიჩა და მათი ხმა ზეცაში ავიდა. მისი დაპყრო-ბის თარიღია: „სულთნის ძლიერი ხელით აღებულ იქნა კრეტა“, რაც ნიშნავს 1056 (1646) წელს<sup>5</sup>.

ამ შესანიშნავი დაპყრობიდან მეექვსე დღეს შვიდთავიანი გველე-შაბივით მოვიდნენ გიაურები ციხის დასახმარებლად ვენეციელთა ფლოტით, მალტის ექვსი ხომალდით, ღუკას ექვსი ხომალდით, პაპის ექვსი ხომალდითა და სხვა ასი ხომალდით. დაანახეს, რომ ციხის ნავ-სადგური სავსეა ოსმალთა ფლოტით; ნავსადგურის წინ გამზადებული დგანან ყველა ზღვის სანაპირო ბეგები, ალეირელები; ციხის კედელ-კარები ისლამის ალმებითაა დამშვენებული; კედელ-ბურჯები მუსლიმი გმირებითაა სავსე და სამრეკლოებიც მინარეთებადაა ქცეული. ყველა მინარეთი მაკმადის დროშითაა გაწყობილი და კედელ-კარი ისლამის ჯარით სავსე!

როგორც კი დაანახეს ეს ამბავი, შეძრწუნდნენ, „მშვიდობით, პო. ჰანია, გეთხვებითო“, — თქვეს ოხვრითა და კვნესით. იმედ-გაცრუებულები და გაწმილებულები სოდასაკენ გაემართნენ. მაგრამ, რომ გარბოდნენ, ალეირელებისაგან ერთი კარგი დარტყმა იგემეს.

ამგვარად, მუსლიმმა გმირებმა მიაღწიეს დასახულ მიზანს, რაც ციხის დაპყრობაში გამოიხატებოდა. იბრაჟიმ ჩელების გალიონით მი-მავალი კიზლარ-აღასის ყველა ჭაბუკი მონა და მხევალი, ძვირფასი თვალ-მარგალიტით მოოჭვილი ნივთები და ქეპეილანის ცხენები და-იბრუნეს და სიმდიდრისა და ქონების პატრონები გახდნენ.

ეს ომი, ჰერიტაჟიტად, ბალდადისა და აზოვის ომებს აჭარბებს. სიმართლე რომ ითქვას, უამთაამწერლები იმ ომებს მაღალფარდოვნად აღწერენ. მაგრამ ამის დამწერ მწირს კი ამისუნარი არ შესწევს.

159 ॥ შემდეგ, დიდებულმა სარდალმა ჯარის ყოველი ნაწილის საიმედო, არა ხარბი, უანგარო, პატიოსანი ადამიანების ხელით გადმოსაბირებელი წერილები დაუგზავნა კუნძულ კრეტას სანაბიროებზე მდებარე ცხრა დიდ, განთქმულ ქალაქება და ისფაკიას მთებში მცხოვრებ მოსახლეობას. მათი შინაარსი ასეთი იყო:

„უსათუოდ უნდა მოხვიდეთ, ჩევენი მოხარჯენი გახდეთ და თქვენი ციხეების გასაღებები ისლამის ფადიშაპს ჩააბაროთ, თქვენი ცოლშვილით, საქონლითა და ქონებით ისევ დასახლდეთ თქვენს მიწებზე, მთელი სულითა და გულით ილოცოთ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის. ვინც ამ პირობას არ დაეთანხმება, გადაწყვეტილია, რომ მთელი ქონება წაართვან, იავარჲყონ, ცოლ-შვილი დაუტყვევონ და ოვითონ — აკუწონ“.

შვიდ ღლეში ჰანიას გარშემო მყოფი სამასი შავი პატრიკი და ბერი უსაზღვრო საჩუქრებით მოვიდნენ და დამორჩილდნენ. რადგანაც დანარჩენმა გიაურებმა ქედი არ მოიხარეს, ყველა ვილაიეთის ვეზირებსა და მირ-მირანებს ებრძანათ მათი დევნა. ლვთის დიდებულებით, სამოცდაათი მხრიდან სამოცდაათი-ოთხმოცი ათასი მუსლიმი გმირი მხარდამხარ დამპყრობი გახდა ამ შვიდასსამოცდაათმილიან კუნძულზე და შეავალმა მათგანმა ნადავლი სიმდიდრე, ბევრი მონა და მხევალი მოიხვეჭა. თუმცა აქაურები არ იყვნენ, ბევრი მეომარი აქ დასახლდა, ჩახან ეს ამბავი და ნადავლი, ეს სიხარული და ზეიმი ნახა.

ერთი სიტყვით, ქუჩუქ ჰასან-ფაშა, ჩვიდმეტი მირ-მირანი, სამოცდაათი ალაიბეგი თავისი ზეამეთებისა და თიმბარების მფლობელებიანად ჰანიას ციხეში დატოვეს. აქ მეციხოვნედ დარჩენენ იანიჩართა ქეთხვდა იანიჩართა ოცდაშვიდი ოდით, ათი ოდა თოფჩუ, ათი ოდა ჯებეგი, ოთხი ქვეითი ბოლუქი, ეგვიპტის ჯარი — სულ სამოცდაჩიდმეტი ათასი მეომარი. შიდა ციხეში დარჩა შვიდი ათას შვიდასი მარგვენა და მარცხენა მხრის ჯარები?. მამაცი ბეგების ორმოც ხომალდს დაევალა მერქეშიდან სურსათის მოზიდვა. ჰანიას ორმოცდაათ ხომალდშიც ას-ასი გმირი დატოვეს.

სულთნის დაახლოებული დიდებული სარდალი ჰუსუფ-ფაშა ხორვატი ცახეში დარჩენილ ყველა ვეზირს, წარჩინებულ დიდკაცს გამოეთხოვა და სახელმწიფო ფლოტით სტამბოლისაკენ გაემართა. ბედნიერი და ხელსაყრელი ამინდით ზღვაზე ორასი იალქანი გაიკიმა. ფლოტმა ჩაუარა ჩოკას კუნძულებს, რომლებიც დასავლეთით მდებარეობენ. იქიდან სამოცდაექვსი მილის მანძილზე, მორას ნახევარკუნ-

ძულის კონცხზე იმ ადგილას მივიღნენ, სადაც მანიას ურჯულოები ცხოვრობენ და დაარბიეს. იქიდან ისევ მანიას კონცხის ქულლუს ცი-ხესთან მივიღნენ. ჰარაბდარანი გაიარეს ხომალდებმა. შემდეგ ჩაუარეს კაფუსიტას კონცხს. მენქეშეს ციხესაც ჩაუარეს და ღუზა ჩაუშვეს ანა-პოლისის ნავსადგურში. იქ სამი დღე გაჩერდნენ. მეოთხე დღეს, თათ-ბირის შედეგად, შესაფერის ღონისძიებაზ მიიჩნიეს ვენეციელთა კუნ-ძულ ისთვნდილის დარბევა და გამგზავრების საყვირებმა დაუკრეს. როგორც კი ანაპოლისის ნავსადგურიდან ვამოვიდნენ, სტამბოლიდან მოვიდა სულთნის ფირმანი: „კურთხეულ იყოს შენი ომიო“. მოვიდა აგრეთვე, ფადიშავური ხალათი და თვალ-მარგალიტით მოოჭვილი ხანჭალი. გამოქვეყნდა სულთნის ფირმანი, რომელშიც ნათქეამი იყო, რომ ბერნიერების ბჭესთან (სტამბოლში) დაბრუნდითო და თუმცა, კუნძული ისთვნდილი იმავ დღეს, მშვენიერ ამინდში გაძარცვეს და დაარბიეს, ნადავლი მცირე იშოვეს. ამ კუნძულის ციხე ცამდეატყორ-ცნილი, ძლიერი და მტკიცეა. ორი გმაგრებული ნავსადგური აქვს.

მაშინვე გამგზავრების ზარბაზნები გავარდა; სამხრეთის ქარით ათ დღეში მრავალ ადგილას ჩაუარეს და საკიზის ციხესთან მოვიდნენ. იქიდან — ილიმნის ნავსადგურის ციხესა და კუნძულთან; იქიდან კი ისევ მივიღნენ კუნძულ მიდილლისთან. იქიდან ისევ ბოზგას კუნძულ-თან მივიღნენ. ეს ხენებული ციხები მოინახულეს, მათ შესაკეთებ-ლად და გასაახლებლად ვილაიეთების ფაშები და ათას-ათასი კაცი დატოვეს დამცველებად. მთელი მათი ჯაბახანა უხვად და სრულყოფი-ლად მოეწყო. ბოზგას კუნძულიდან წამოვიდნენ და გალიპოლის ცო-ხესთან მოვიღნენ. აქაც აიღეს ხომალდებმა წყალი. ციხისთავებს ჩჩე-ვა მიეცათ და დაევალათ ფხიზლად მოქცეულიყვნენ.

იქიდანაც ხელსაყრელი ამინდით ორ დღელამეში სტამბოლის მახ-ლობლად ჩაუშვეს ღუზა კიზილ ადალარის კუნძულთან. მესამე დღეს ძლევამოსილნი და გამარჯვებულები მივიღნენ სასახლის კონცხთან. სარდალი ლირსი გახდა ფალიშაპის წინ მიწას მთხვეოდა. საპატიო ხა-ლათით ნასიამოვნები და ფალიშაპის დალოცვით მაღლიერი დარჩა. მას-სახელად ეწოდა „ჰანიას დამპყრობი მუსუფ-ფაშა“ და ურიცხვი სიმ-დიდრე ეწყალობა.

დიდება ღმერთს, რომ მე, მწირი, წრფელი ევლია ასეთ უდიდეს ოშში კიმყოფებოდი, დავლა ვიშოვე და ჩვენს სამშობლოში მშევიდო-ბით დავბრუნდი. ჩემს საყვარელ დედ-მამასთან შეხვედრის ჰატივი მხედა წილად და წმინდა ხელები დავუკოცნე.

მამაჩემმა სინანულნარევი კმაყოფილებით შითხა: ||..ბერნიერ იყავ, შვილო! ჩვენი [ოჯახის] წარმომადგენლობა შესრულე და კრეტა

დაპყრობაში მონაწილეობა მიიღე. ჩვენი წამოსვლა არ დაგჭირებია!“

მე, მწირმა, წარმოვთქვი:

„მამავ ჩემო! ჩემო ძვირფასო ხელმწიფევ! თქვენ ახლა უკვე მო-  
ხუცდით. სულთან სულეიმან-ხანის დროიდან მოყოლებული სამოცდაათ  
ომში მიიღეთ მონაწილეობა. თქვენი საყვარელი ღვიძლი შეილი და-  
ლოცეთ. კიდევ მრავალ ომში ვიქნები და თქვენ მაღალ ღირსებას კე-  
თილ საქმეებს მოუპოვება“—მეთქი. ხელმეორედ ვემთხვიე მის პატიო-  
სან ხელებს. კმაყოფილი დარჩა და დაიწყო საოცარი ამბის თხრობა.

### XLVIII

ჩიმი საუბარებელი მამის საუცაონ, გასაოცარი ნაავგობი

აბა, შეილო, ეს ამბავი ყურადღებით მოისმინე, რადგან ღვთიურ  
სამოსელში შებურვილი იღუმალებაა. დაკვირდი, რატომ დაიწყო კუნ-  
ძულ კრეტის დაპყრობა სულთან აპმედის დროს!? რატომ დალოცა  
[ეს ლაშქრობა] კველა ულემამ და ღვთისმოსაცმა?

უპირველესად ყოვლისა, სულთან აპმედ-ხანის დროს, შენი და-  
ბადების წელს, ათ მეიდანიზე დაანგრიეს შვიდი ვეზირისა და დიდი  
წარჩინებულის სასახლეები და მათ აღგალას საფუძველი ჩაეყარა ახალ  
ჯამეს. ორმოც-ორმოცი, ორმოცდაათ-ორმოცდაათი მექური წყრითის?  
სილრმეზე გაითხარა მიწა და საძირკვლის ჩაყრის დაწყებიდან სრული  
ერთი წლის თავზე შენობას საძირკველი მიწის ზედაპირს გაუსწორდა.  
მოვიდნენ კეთილშობილნი და მდაბიონი, ღვთისმოსაცმები, კოსმოსის  
მეცნიერების მცოდნე ვარსკვლავთმრიცხველები ყიბლანებით. ჯერ  
ლოცვა-დიდება შედგა, ათასი ზვარაკი დაიყლა და მიპრაბის ადგილი  
დადგინდა. მშენებლობის ზედამხედველობა კალენცერ-ფაშას მიენდო  
და ყარა-სუნბულ ალი-ეფენდი კი მშენებლობის ქათიბი და ყადი გახ-  
და. ჩვენი მასწავლებელი ევლია-ეფენდი მშენებლობის იმამი გახდა.  
სკუტარელი შეიხი, პოლუსთა პოლუსი მაპმუდ-ეფენდი მშენებლობის  
შეიხად დაინიშნა და შაპმუდ ჩელები, ყარა-მაპმუდ-აღა და კიდევ სხვა  
ორმოცამდე კეთილხმოვანი ადამიანი — მუეძინებად. ნიადაგ ზრუნვა-  
სა და მცდელობას არ აკლებდნენ მშენებლობას.||ერთ დღეს, აწ გან-  
სვენებულმა სულთანმა აპმედ-ხანმა ნაირფერი კარავი დააღმევინა იქ,  
სადაც აღრე კოჯა მეპმედ-ფაშას სასახლის მოხატულ-მოკაზმული კოშ-  
კი იდგა და ახლა ჯამეს ჰარემი იყო დაგეგმილი. შეკრიბა კველა ვეზი-  
რი, მოხელე, ულემა და ისეთი დიდებული ნადიმი გამართა, რომ ამ  
უხევ წყალობას ვერ შეეღრებოდა თვით აპმედ-ხანის წინადაცვეთის სა-  
მეფო დღესასწაულიც კი. სასულიერო პირებმა კამის შემდეგ ლოცვა

წარმოთქვეს და ყველა თავ-თავის სამშობლოში წავიდა. აწერ განსუენებულ სულთან აპმედის ფერად-ფერად კარავში მისი უდიღებულესობა თავდიშაპის წინაშე მუხლმოდრეკილნი დავრჩით სკუტარელი მაპ-მუდ-ეფენდი, ევლია-ეფენდი, ყარა-სუნბულ ალი-ეფენდი, დასტართა შეიხი იბრაჰიმ-ეფენდი, სულთნის დაახლოებული მომღერალი დერვიში ომერ გულშენი და მე, მწირი. სულთანმა აპმედ-ხანმა ასე მოგვმართა: „თუ მაღალი ღმერთი ინებებს, ეს ჩვენი ჯამე დამთავრდება და ბრწყინვალე ტაძარი განდება. ღმერთმა გვაღირსოს მისი დამთავრება, მაგრამ ამ ჯამეს დიდი ვაკუფები სცირიაო“. ევლია-ეფენდიმ და სკუტარელმა. მაპმუდ-ეფენდიმ მყისვე მოახსენეს: „ჩემო ფადიშაპი! საღვთო ომი გამოაცხადე და რომელმე ქვეყნა დაიპყრ. მისი ყველა ნაგებობა და ჯიზიას შემოსავალი ამ თქვენს წმინდა ჯამეს ვაკუფად შესწირეთ. თქვენმა დიდმა წინაპარმა სულეიმან-ხანმა — უბიშო და წმინდა იყოს მისი საფლავი — პირადად დაპყრო კუნძული მალტა და როდოსი; კუნძულები ისთანქო, ჰერექე, ელიქ, სენბექი და ყველანი თავის ჯამეს შესწირა ვაკუფად. ამჟამადაც დიდი შესწირულებაა. სულეი-მან-ხანის ვაკუფები თქვენ დიდ წინაპართა ვაკუფებზე უფრო ძლიერია. რა იქნებოდა, ჩემო ფადიშაპი, რომ თქვენც წართვათ ურწმუნო ვენეციელებს ხმელთაშუა ზღვაში მდებარე კუნძული კრეტა და [ამით] ურწმუნოთა ხომალდებისაგან გაწმინდოთ სტამბოლიდან ეგვიპტისაკენ მიმვალი გზა მუსლიმი ვაჭრების, მლოცველებისა და პაზიებისათვის“. დასტართა შეიხმა იბრაჰიმ-ეფენდიმ და სკუტარელმა მაპ-მუდ-ეფენდიმ დასძინეს: „ამ კეთილი განზრახულებისათვის, ალაპის თანხმობა-შემწეობისათვის ფათქა [წარმოვთქვათ]“. იქ დამწერებდა ყურანის პირველი სურა წარმოთქვეს და ხელი პირზე გაისვეს. „თუ შალალი ღმერთის ნებაა, ჩვენი ლოცვა-ველრება დასტურთან ახლოა. ეცალე, იღვაწე და აღრე, თუ გვიან ის კუნძული დაპყრობილი იქნება. საჭიროა დაუყოვნებლივ, დიდად ეზირუნოთ კუნძულის დასაპყრობი საომარი მასალისათვის“. ამის საპასუხოდ სულთან აპმედ-ხანმა — წყალობა და სიკეთე იყოს მასზე — ბრძანა: „კი, მაგრამ, ბატონებო! ჩვენ ვენეციელ ურწმუნოებთან ზავი და კეთილგანწყობილება გვაქვევთ. ზავის საწინააღმდეგო საქმის ჩადენა მაპმადიანური წესის საკადრისი არაა. რა საბაბით უნდა გავტეხოთ პირბა? განსაკუთრებით ახლა, როდესაც ანატოლიის ვიღლაითებში აჯანყებულნი არიან ჩვენი ძლიერი მტრები: ყარა ხაზიჯი, სეიდ არაბი, კალენდერ-ოლლუ, ჯენეთ-ოლლუ. რადგანაც ძალიან გვაწუხებს მათი მოქმედება, ჩემი ლალა, ღირსეული სარდალი მუხად-ფაშა დიდი ჯარითურთ იმათ წინააღმდეგ ბრძოლაშია გართული. როგორლა დავიწყოთ ახალი ლაშერობა და დავიპყროთ. კუნძული კრეტა?“ ეს რომ ბრძანა, ევლია-ეფენდიმ მოახსენა: „ჩემო

ფადიშაპო, შენი მესამე სარდალი ყველა აჯანყებულს ამწყვეტს, მეთორმეტე დღეს ჩემს ფადიშაპს სასიხარულო აბავი მოუვა. იმ აჯანყებულებს სიმტკიცე და დიდი დღე არ უწერიათ — წყალდიდობასა-ვით წარმავალია. სარდალი მურად-ფაშა მათ გვაშებს ჰქონის ჩატარებას და თავის სახელს მატიანებში ჩამოარინებს, როგორც კუმუჭუ მურად-ფაშა”<sup>4</sup>.

მართლაც, როგორც კი სულთან აშენდს სასიხარულო ცნობა მოუვიდა, მურად-ფაშამ ალეპოსთან, აზაზთან და ქელისთან ხმლის კბილებში გაატარა ყველა აჯანყებული და ჰქონის ჩაყარაო, ფადიშაპი დიდად გამხიარულდა, დამშევიდდა და გულითად სიამეს მიეცა. სკუტარელმა მაპმუდ-ეფენდიმ ფადიშაპს უთხრა: — კურთხეულ იყოს შენი საღვთო ომი.

„ერთი რაყიფი მოყვდა, ერთიც ვადარჩა.

სამწუხაროა, რომ სასიკედილე ცოცხალი დარჩა“.

ასე, ჩემო ფადიშაპო, დიდება ღმერთს, ისე დაიღუპნენ აჯანყებულები, როგორც ამას წინათ ვამბობდით თათბირზე. კუნძულ კრეტის და-საპყრობად ვიღვწიოდეთ. პირველად ვენეციის ხელისუფალთ ნდობით აღჭურვილი ელჩით წერილი გაუგზავნე და მოსთხოვე, რომ კუნძული კრეტა ნებით დამონა, ვნებოთ, რა მოხდება“. ეს რომ თქვა, მაპმუდ-ეფენდის ასეთი შესანიშნავი ჩამოარინა ალფრითოვანებული სულთანი აპმედ-ხანი დატკა და მაშინვე დაიწერა წერილები. ერთ მშევრისებულ, ენამახვილ კაცს, რომელსაც კურდ ჩაუში ერქვა, წერილებთან ერთად საჩუქრები გაატანეს და გაზავნეს. იგი შენებით მიღიოდა და შვიდ დღეში ბოსნას ჩავიდა. იქიდან ორ დღეში — ზარას ციხეში, რომელიც ვენეციის ხელშია. იქიდან გაღმა, ვენეციაში გადავიდა გემით. ერთი დღე ნაზარეთად წოდებულ ადგილს გაჩერდა. მეორე დღეს დიდი ამალით ვენეციის ხელმწიფე ფენჯ ფირიმს შეხვდა და იმათ დივანში სულთნის წერილი წაიკითხეს. როდესაც შინააჩასი გაიგეს, ერთხმად თქვეს: „რა ვქნათ? ოსმალო, თურმე, კუნძულ კრეტს მოითხოვს? რა გაუწყობა, ინებეთო“, აღუთქვეს. საპასუხო წერილი დაწერეს და||ელჩს დიდი პატივი სცეს. კურდ ჩაუში სტამბოლისაკენ გამოისტუმრეს და მეცხრე დღეს ელჩი ჩაუში მგელივით მოვარდა. ფადიშაპის დღვანში მათი წერილი სულთან აპმედ-ხანს მიართვა პატიოსან ხელებში და მიწას ეამბორა. როდესაც წერილი თარგმნეს და წაიკითხეს, იქ ვესწრებოდით სკუტარელი მაპმუდ-ეფენდი, ველია-ეფენდი, სუნდულ ალ-ეფენდი, შეიხ ულ-ისლამ-ეფენდი, პატივცემული იბრაჟიმ-ეფენდი, ღოლანდ-ეფენდი, მევლევის „მესნევის“ განმარტებელი ისმაილ-ეფენ-

დი, კასიმ-ფაშის მევლევიელთა სამყოფელის შეიხი ჭენუბი აბდი-ეფენდი, დერვიშ ომერ გულშენი, გულშენი გულაბი-ალა, კუზუ ალი-ალა, აბდი-ალა და მე, მწირი. წაიკითხეს წერილი, რომლის შინაარსი შემდეგი იყო:

„ოსმალთა შორის რჩეულო, მეთექვსმეტე ფადიშაპონ, ღიდასახელოვანო — ხანგრძლივი იყოს მისი ძლიერება ქვეყნის დასასრულამდე — მექასა და მედინას, იერუსალიმის, არაბეთ-სპარსეთის ერაყის ფადიშაპონ, ჩვენ ხელმწიფევ, სულთან აქმედ-ხანი! მაღალმა ღმერთმა დაიცვას თქვენი წმინდა სიცოცხლე ცოდვათაგან და მარადიულ ჰყოს თქვენი ღიდებული სახელმწიფო!

ჩვენსავით მცირე თანამდებობის ფენჯ ფირიმისავან კუნძული კრეტა მოგითხოვით. შვიდას სამოცდაათმილიანი გარეშემოწერილობის კუნძული კრეტა, რომელიც ნატერა ხელმწიფეთა, თავისი ექვსჯერ ასითსი ქვეშევრდომითურთ, სამოცდათექვსმეტი ციხით, წლიურად შვიდი ეგვიპტური ხაზინის შემოსავლით, შვიდას სამოცდაათი სოფლით, შვიდი ოქროს, ვერცხლისა და სხვა საბადოთი თქვენი იყოსო“.

[კითხვა] რომ დასრულდა სკუტარელმა მაჲმუდ-ეფენდიმ თქვა: „აშ მიზნით — ფათიშა! [წევიკითხოთოთ]“. ყველა რჩეულმა და მდაბიომ, მეჯლისის დამსწრებებმა წმინდა ფათიშა წარმოქმედს და მაჲმადირანური ყუინა გაისმა.

პოი, შვილო! ეს ღვთიური საიდუმლოება სულთან აქმედის, სკუტარელ მაჲმუდ-ეფენდისთან და სხვა დიდ ღვთისკაცებთან ერთად ვნახეთ. დღედალამ ველოდით — აბა, ეს კუნძული კრეტა როდის „გამოჩინდებაონ“. დიდება ღმერთს, კოგა სულთან იბრაჰიმ-ხანმა ბავშვობისას პირობა დადო მამის<sup>7</sup> წინაშე, რომ კუნძულ კრეტას დაპყრობდა და აი, ახლა, თავისი პირობის შესასრულებლად აუსუფ-ფაშის ხელით დაიძყრო კუნძული.. როდესაც იგი მამის თვალწინ თავის ძმებთან თამაშობდა, ყოველ მათგანს [სათამაშო] ზარბაზანი ესროლა და როცა ისინი ძირს დასცა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ როდესაც ისინი გარდაიცვლებოდნენ<sup>8</sup>, მისი განუყოფელი უფლება იქნებოდა ხალიფობა — მისთვის, მისი შვილებისათვის, ||შვილთაშვილებისათვის და ასე უსასრულოდ. დიდება ღმერთს, რომ ცოდვებით სავსე მამაშენის მაგივრად, რომელიც კუნძულ კრეტას დაპყრობაში მონაწილეობის მიღების ვედრებაში იყო, შენ, ჩემმა საყვარელმა შვილმა, იომე და მიიღე მონაწილეობა კრეტაზე ჰანიეს დაპყრობაში. თუ ალპის ნება იქნება, ამას იქითაც მიგელოს მონაწილეობა მთელი კუნძულის დაპყრობაში. მაღალმა ღმერთმა სიკეთე და შვილობა მოგცეს, შვილო!“

აი, ასეთი ამბავი მომითხოვ კრეტის პირველი დაბყრობისათვის ლოცვა-ველრების შესახებ სასახლის კარისათვის თავდადებულმა, სულთნის დაახლოებულმა აღმართა დერვიშ მექმედ ზილიმ — მამაჩემა, — შეიწყალოს იგი ალაპმა უსვი წყალობით.

პანიეს დაბყრობის შესახებ კიდევ რამდენი ათასი ოლქრა და ქებაც კი არის, მაგრამ მე, ცოდვებით სავსე მწირსა და არარაობას, მაინც დამაინც ნატიფად თხზვა და ჩემს განკარგულებაში არსებული უტყუარი ცნობების ლამაზად მოხსენება არა მქონია მიზნად; ნათელი და სადა ენით აღვწერ და ამას დავჭროთ, როგორც ნათქვამია: „აღა-მიანთა სიტყვა გონების მიხედვით“. ესაა და ეს.

იმ წელს (1646) ჯივან კაფიჯი-ბაში მეპმედ-ფაშა დიდვეზირის თანამდებობიდან გადაყენეს<sup>9</sup> და კუნძულ კრეტის დიდებულ სარდლად დაინიშნა. დავთარდარი სალიპ-ფაშა სადრაზამი გახდა<sup>10</sup>. აღრე მის ძმას, მურთაზა-ფაშას<sup>11</sup> ვეზირობის წოდების მინიჭებითა და პატიოსანი თუღრით ბუდინის ვილაიეთი ეწყალობა. იმპერის განმავლობაში, ყოფილ ხაზინადარს, იბრაჰიმ ჩელების სამოთხისებური ბალდადის ვილაიეთი ეწყალობა ვეზირის ხარისხით. იმავე წლის რეგების თვეში (აგვისტო) სალიპ-ფაშას მდივანმწიგნობრის შვილმა ჩელები მეპმედ-ფაშამ — იგივე ლოთობისათვის დასჭილი დევთერდარ ზაჟე მეპმედ-ფაშა<sup>12</sup> — დივანის რამდენიმე თანამდებობა დაიკავა და როდესაც სილაპდარ-აღა იყო, სალიპ-ფაშამ მას ვეზირობის ხარისხით იანიჩართა აღობა უტყალობა. რადგანაც მან ეს თანამდებობა არ მიიღო, პატიოსანი ფირმანით იგი მთავარსარდალი გახდა და არზრუმის ვილაიეთი მიეცა. მე, მწირი ევლია კი, არზრუმის საბაჟოს მწერალი, მუექინ-ბაში და [ვილაიეთის ფაშის] დაახლოებული პირი გავხდი. ეს ზემოხსენებული ფაშა დიდი მცოდნე, ტკბილმოუბარი. სათნო, კეთილი, გულადი, ყოველგვარ მეცნიერებაში დახელოვნებული, სახელოვანი პოეტი-ფაშა, საუცხოოდ მოლაპარაკე, გონიერი ვეზირი იყო. მაღლობა ღმერთს, უწინდელზე მეტი წყალობისა და საჩუქრების მქონებელი გავხდი. ჩვენი კარვებითა და ბარგით არზრუმისაერთ სამოგზაუროდ ვავემზადეთ. იმ დღეს [სულთან] იბრაჰიმ-ხანის წინაშე ფადიშაპის ხალათის წყალობით გადატიოსნდით. როდესაც ფაშა მიწას ეაბორა, იბრაჰიმ-ხანის ბრძანა: „ლალა! ამ ჩემი პატიოსანი სიგელის მიხედვით იმოქმედე. თუ გათახსირებული ყიზილბაშები აგვიჯანყდნენ და საზღვარს გადავიდნენ, შენ ხარ ჩემს სამეუფეო ფირმანზე თუღრის გამომყვანი ღირსეული ვეზირი<sup>13</sup>. ანატოლიის ვილაიეთების ისლამის ლაშქარი, თვით ერევნამდე, შენს განკარგულებაშია“. ეს რომ თქვა, კეთილშობილ ფაშას ხელში მისცა წმინდა სიგელი და უბობა ხუთი ქისა ოქრო გზის ხარჯი, ორმოცდაათი ქარავნის ჭორი, ორმოცდაათი ქარავნის აქ-

ლუმი, ერთი მოწყობილი, ფერად-ფერადი კარავი და სიასამურის აზრ საქატიო ხალათი.

მას შემდეგ, რაც იბრაჟიმ-ხანის ეს ლოცვა-კურთხევა მივიღეთ, სასახლის კონცხიდან სკუტარში გადავედით და ჩვენი კარევებითა და ბარგით დავბანაკდით ერთ აღგილას, რომელსაც აღა-ჩაირი ეწოდება. იმ დღეს ხონთქრის საჭურველთმტვირთველთაგანი ჩერქეს თერზი მუსტაფა-აღა მუსელიმი გახდა და არზრუმისაკენ კენებით წავიდა მალათიელ სილაპძარ სულეიმან-ფაშასთან. გამოცდილმა ფაშამ, როდესაც იგი სკუტარში იდგა, თავისი ხაზინადარი ულა ათლი ჩელები პატიოსანი ფირმანით გადააყენა და მის ადგილას თავისი ნათესავი ალა-აღა დანიშნა ხაზინადარად. სრული ერთი კვირა სკუტარში ვიდექით, ვისვენებდით და თაღარიგს ვეწეოდით.

## XLIX

რეჯეგის თვის პირველს (1646 წ. 13.VIII) და პირველი ზაფე მიერთ-უაზასთან ერთად არზრუმის მილაიერთისაკან ხმილებით  
შჩზამრობის დროს ნანაი საგზურები, დაპანი და ლილებულ  
მგლები

პირველი სადგურია სკუტარი, იგივე „ესქი დარი“<sup>2</sup>, რომლის შესახებ წვრილმანი ამბები სტანბოლის აღწერაში და პირველ ტომში მაქეს სრულად ჩამოთვლილი. აქ ერთი თვე ვიდექით. რაღანაც მუსელიმისაგნ სასიხარულო ამბავი მოკიდა, არზრუმში წესრიგი დავამყარეო, არზრუმის ფაშამ ზვარაკები დაკლა. ეს იმიტომ, რომ დადასტურდა შემდეგი: სულეიმან-ფაშა არ მოკლავთ და მასთან რომ შეტაკება ჰქონდა, იყო აბაზა-ფაშა, რომელიც ხომალდით ჯერ ალუირში წასულა, იქიდან — ეთოპაიში; იქიდან — ჰიგაზში; იქიდან — ინდოეთში; იქიდან — ირანში; შემდეგ ისევ არზრუმში მოსულა და არზრუმის მოსახლეობასთან შეკავშირებული გამოსულა. იქ ამ ახლად გამოჩენილ აბაზას ჯარი შემოუკრებია და არის იმის ნიშნები, რომ ისევ აპირებს ამბოხებას<sup>3</sup>. აი. ამიტომ უწყალობეს დავთარდარ-ზადეს, სარდლობასთან ერთად, არზრუმის ვილაიეთი. || მადლობა დმერთს, სულეიმან-ფაშამ ეს ახლად გამოცხადებული აბაზა მოკლა და მისი თავი სტამბოლს გაგზავნა. რაღანაც სწორედ ამ დროს წავიდა მუსელიმი მუსტაფა-აღა და არზრუმში წესრიგის დამყარების ამბავიც გავიგეთ, დიდებული შაბანის თვის პირველში (1646 წ. 12.IX) დავიძარით და შვიდ საათში პირველ სადგურში — სოფელ ფენდიში მივეღით. იგი ქრისტიანების დიდი სოფელია ზღვის პირას. კეთილმოწყობილი ფუნდუ-

კები აქვს. ესენი სკუტარში მყოფი შეკირეთა უფროსის გაწვებლობა-შია, როგორც ვაკუფები. სუბაში ჰყავს. ჩაღანაც ბაღ-ბოსტანი ბევ-რია, სტამბოლის მწვანილეულობა აქედან მოღის. მისი სხვა აღწერი-ლობა პირველ ტომშია. აქ საღრაშამ სალაპ-ფაშასაგან ჩვენ ბატონ ფა-შას ათი ქისა და ურიცხვი აღჭურვილობა მოუვიდა საჩუქრად. იქი-დან გზა განვაგრძეთ კონაკი ალაგა ჰასან აღას, ქილურგიბაშის, მათ-ბაპ-ემინის და ხუთასი კაცის თანხლებით. ექვს საათში სოფელ გებზე-ში მივედით.

გებზეს აღწერა: ძველ ღრის დიდი ქალაქი ყოფილა. 244 (858) წელს ბაღდადიდან მოვიდა ჰარუნ არ-რაშიდი ჯაფერ სეიდ ბათალ-ყაზისთან ერთად. სტამბოლს ალყა შემოარტყა და როდესაც დაზავდ-ნენ, სტამბოლში სილვერის კარის სიახლოესს, იმ აღვილას, რომელ-საც წითელ მონასტერს უწოდებდნენ და დღეს კი ამ ძველ ტაძარს კოჭა მუსტაფა-ფაშას ჯამეს ეტყვიან, ციხე აშენეს და შიგ სამი ათა-სი მეომარი ჩააყენეს. ზავის პირობით შეგანანგები რომ ურწმუნოები-საგან წელიწადში ერთი ეგვიპტური ხაზინა უნდა მიეღოთ და ჰარუნ არ-რაშიდი ისევ ბაღდადისაკენ გაემართა. სეიდ ბათალ-ყაზი სკუტარ-ში დარჩა მცველად და იმავე წელს იმისათვის, რომ გებზეელებმა ბა-თალის რამდენიმე მეომარი დახოცეს, გებზე იყლო, სახლები დაანგ-რია და ურწმუნოები ტყვეობის შამუზურზე მწვადად ააგო, იქიდან ქა-ლაქ მალათიასაკენ გაემართა. იმ ნანგრევებიდან ახლაც მრავალი ძეგ-ლი მოჩანს გებზეში. შემდეგ კეიისარმა კონსტანტინემ აქ ისევ ააშენა დიდი ციხე და ქალაქი შეაკეთა. შემდევ ციხე სულთანმა ჩელები მეპ-მედმა დაიბყრო და დაანგრია — ურწმუნოებმა ფეხს აღას მოიკიდო-ნო. მერმინდელი ციხის ნანგრევები ალაგ-ალაგ მოჩანს. [სახელწოდე-ბა] „გებზე“ მცდარი გამოთქმაა „გულ ბეზე“-სი<sup>4</sup>. სულთან მეპმედ-ხან II ყაზიმ სტამბოლის დაპყრობის შემდეგ აქაურობა გააშენა და ააყვავა. ყაზია ას ორმოცდათი ახა ჯამაგირის თანამდებობით და კოვაელის სანჯაყის მიწაზე მდებარეობს. სულთან სულეიმანის ღრის სახელგანთქმულმა, ხიდის მფლობელმა კოჭა მუსტაფა-ფაშამ აქ ააშე-ნა ძალზე დიდი ჯამე და ამტორმ მას ვაკუფად აქვს შეწირული. [ვაკუ-ფის] მუშაველონ განავებს. ერთი მაღალი მთის წვერზე მდებარე, ზღვი-დან ერთი საათის სავალზე დაკილებული უწყლო აღგილია. სულ ათ-სამდე კეთილმოწყობილი, ბაღ-ვენახიანი, ძველი ყაიდის სახლი და სამი წმინდა ჯამე აქვს. მაგრამ ყველაზე საუკეთესო, სულთანთა ჯა-მეს მსგავსი, ტყვიის სახურავიანი, ლურჯგუმბათიანი ერთი დიდებუ-ლი ჯამეა ისეთი, რომ სტამბოლში ვეზირების ჯამეებიც კი არაა იმის-თანა. ეს ჯამე ნაქველმოქმედრია ედირნეს ახლოს მდებარე ხიდის ამშენებლის — მუსტაფა-ფაშასი, ვიზედაც ლექსია გამოთქმული:

„ნუ გახვალ ავი კაცის ხიდით, ჭობს ისევ წყალმა წაგილოს“.

განსვენებული მუსტაფა-ფაშა ეგვიპტის განმგებელი რომ იყო, ამ ჯამეს მარმარილო ფრლებად გაუკეთებინებია ეგვიპტეში სრულყოფილ მოქანდაკეებისაცვის. მათ შორის ერთი სიმაყი შანდალია გაკეთებული ისეთი, რომლას შესაძარს მთელი მსოფლიოს მოქანდაკებიც ვერ გამოიყვანენ. კიდევ რამდენი ათასი დიდი, ეგვიპტური უცხო რამ ნივთი გაკეთებინა და გებზეს ნავსადგურ დარიგეში გამოგზავნა. ჯამეს კედლების შიდა მხარე სამი კაცის სიმაღლეზე ფერადფერადი მარმარილოთი არის დაფარული ისეთი საუცხოო ყაიდისა, რომლის მსგავსს სტამბოლში ვერც ერთ ჯამეში ვერ ნახავთ. მისი მიმბარი, მიპრაბი და მუეძინების გადმოსადგომი ისეთი ჯადოსნური, განსაციფრებელი ხელოვნებითაა ნაკეთები, რომ არაგზით არ შეძლება მათი ოლწერა და გადმოცემა. კვლავ ვიმეორებდეთ [განა], „მოსმენილი შეედრება ნანახს“<sup>11</sup> ეს ჯამე დიდი ხელოვნებითა და სტატობით ააგო სულეიმანიეს ამშენებელ კოჯა მიმარ სინანის შთავრმა თანაშემწემ — ჰუსამ კალფი და გამოამჟღვნა სრულყოფილი ცოდნა მშვენიერებისა და ნატიფობის მეცნიერებაში. ამ ჯამეს თოხივე მხარეს სარქმელები აქვს უზარმაზარი ფრინველების მსგავსად წვრილად მოხატული სხივოსანი მინებით. როდესაც მათ ცეცხლისმფრქვეველი მზის სხივები ეცემა, ჯამე სხივებში ბანაობს. ამიტომ წერია მისი გუმბათის ზემო ნაწილზე დიდებული ყურანის ადათი: „ალაპი მნათობია ცათა და ქვეყნისა“. კუმბათის შიდა მხარე კანდელის რიგებითაა შექმული და სავსეა დაკიდებული [სანთლებით]. ჯამეში ისეთი ეგვიპტური ნახელავი ხალიჩებია, თითქოს ისპანანურია. ქადაგებათა და მოძლვრებათა წარმოსათქმელად ერთი კათედრა აქვს, რომელიც ინდოეთის ხელმარჯვე სადაფის ოსტატთა ნახელავია. ამის მსგავსი კათედრის გაკეთება არ შეუძლიათ თანამედროვე ხის ოსტატებს. იმ ადგილზე, რომელსაც ჯამეს სამი მხრის სარქმელები დასტურიან, ისეთი ყვავილნარია, რომ ზღაპრულ ბაღს ჰგავს. მის სუმბულისა და რეპანის, ვარდისა და არლავანის კეთილსურნელება ჯამეში მყოფი ჯამათის ცხვირ-პირს ელამუნება. ერთი, სამხრეთთ გმიღვალი, ხელოვნებით ნაკეთი კარი აქვს ისეთი, გეგონება კარიბჭეა. მის მაღალ ზღურბლზე ყარაპისარელი ჰუსეინ ჩელების ხელით მოოქრულად და ლამაზად წერია თარიღი: „სიკეთე, მშვენიერება“. 930 (1524) წელი. ჯამეში [ყურანის] დიდებული სიტყვების სამოცდაათი წარწერაა ლამაზი ხელით გამოყვანილი. ყოველი მათგანი ეგვიპტის ხაზინად ღირს. მაგრამ ყველაზე ლამაზია მიპრაბის მარცხნა მხარეს იაყუთ მოსთასემის დამწერლობით გმიღვანილი დიდებული სიტყვები, რომლის მსგავსი არც ერთ ქვეყანაში არ მოიძევება. მხოლოდ სულთან აშედის ჯამეში თუ

იქნება. ყიბლის კარის ორ მხარეს, გარეთა სოფაზე, ექვს ნაირ-ნაირ სვეტზე აღმართულია შვიდი გუმბათი. ამ ჭამეს ჰარემი სულთანთა ჯამესავით ვრცელია. ერთი მინარეთი აქვს ერთაიგნიანი და ერთსარ-თულიანი. ფრიად მწყობრად გამართული მაღალი მინარეთია. გამუ-ლელ-გამომვლელი მგზავრების გასამასპინძლებლად ამ ჭამეს ერთი ფუნდუკი აქვს, რომელსაც შეუძლია სამი ათასი კაცისა და ორი ათა-სი ცხენის მიღება. ცალკე აქლემების საღომიც აქვს. მგზავრებისა და გამულელებისათვის გამეს ერთი სასადილოც აქვს, საღაც მთელი წლის განმავლობაში მოხუცას და ახალგაზრდას, კაცას და ქალს უხვად აპუ-რებენ. გარდა ამისა, ჭელაც ყოველ ღამე, ვახშმის შემდეგ, სასტუმ-170 როში მცხოვრებლებს სპილენძის სინებით||აძლევენ ხოლმე: ყოველ ოჯახს — თითო სინს, ყოველ ადამიანს — თითო ნაჭერ პურს, ყოველ ოჯახს — თითო ქონის სანთელს, ყოველ ცხენსა და ჯორზე — თითო თოვრაკ საკვებს. ვაკუფებიდან მესტუმრები მოდიან და ყველას ემსა-ხურებიან. აი, ახეთი ძლიერი ქველმოქმედებაა. ერთი ნათელი აბანო აქვს შშენიერი წყლითა და ჰაერით. ყველა ჩამოთვლილი შენობა ცისფერი ტყვიით არის გარახურული. ამათ გარდა, არის ორმოცდა-ერთი დიდი და პატარა ფუნდუკი და ას ოთხმოცი დუქანი. ამდენი კე-თილნაგები შენობა სულ კოგა მიმარ სინანის ნახელავია. ამ დაბას კის წყალი აქვს. რაღვანაც იგი მთაზე მდებარეობს, ამიტომ ჰაერი კი კარგი აქვს, მაგრამ წყალი არ უვარგა.

აქედან ისევ აღმოსავლეთისაკენ ვიარეთ 5 საათი და ჰელეჭე ე. ი. ჰერექეს ცაშესთან მივედით. რაღვანაც აქ მრავალი გმირი დაი-ხოცა, როდესაც სულთან მეჭიდე ჩელებიმ იგი ბიზანტიულებს წაარ-თვა, ჰელექე ანუ „სიკვდილის აღგილი“ უწოდეს. ზღვის ნაპირას, ორ ხევს შორის მდებარე ციცაბო კლდეზე საყარაულოსავით მტკიცედ ნა-შენი პატარა, კოხტა ციხეა. ჩრდილოეთისაკენ ერთი კარი აქვს. კარი აღარ ჰყიდია და არც სახლები დგას შიგნით. დიდი ნნის მიტოვებულია. ციხის ძირას არის წისქვილი, რომელსაც შურენძს წყალი აბრუნებს. [ჰელექეს ციხე] ნაპირა კოჯაელის მიწაზე.

აქედან ისევ აღმოსავლეთისაკენ ვიარეთ ზღვის პირას და 8 საათ-ში იზმითის ციხესთან მოვედით. მის შესახებ ცნობები ჩვენ დაწერი-ლებით დაცურებულ ამ ტომის დასაწყისში, ათას ორმოცდათ (1640) წელს რომ ვიმოგზაურეთ. აქაც ერთი დღე გაეჩერდით და მეორე დღეს ნალარების დაკვრით, ხეთა ხეივნებსა და ჯუნგლებში აღმოსავ-ლეთისაკენ ექვსი საათის სიარულის შემდეგ დაბა საბანჯას საღურ-ში მივედით. რაღვანაც პირველად ერთმა იზმიდელმა კოჯამ აქაური მთიანი, ბუჩქნარიანი და ეკლიანი აღგილები მოასწორა, გაწმინდა, მოხნა, სოფელი გაჩნდა და საბანჯი<sup>7</sup> კოჯა ეწოდა. შემდეგ, დროთა

განმავლობაში გაშენდა და კოჭა სულეიმან-ხანის დროს დაბად გადა-  
იქცა. შიგ სარი რუსთემ-ფაშას აშენებული ღიდი ფუნდუკია, რომელიც  
ას სამოცდათი კერიასაგან შედგება. ერთი შევენიერი ჯამე, ერთი  
აბანო და კარგი სავაჭრო რიგები აქვს. მისი ნაგებობები ცისფერი  
ტყვიითაა გადასურული. ათასამდე კრამიტის სახურავიანი სხლი  
აქვს. ყველა ნაგებობა ხუროთმოძღვარ კოჭა მიმარ სინანის აშენებუ-  
ლია. ერთი ფუნდუკი აქვს ფერთევ-ფაშას. ისიც ხუროთმოძღვარ სი-  
ნანის აგებულია. რადგანაც ამ საქეველმოქმედო დაწესებულებათა  
უმრავლესობა რუსთემ-ფაშასია, მათ მისი ვაკუფის მოურავი განა-  
გებს. ცალკე იანიჩართა სარდალიც ჰყავს. განთქმულია მისი თეთრი 171  
ბალი. აბანოს ძირის ერთი მეტურის დუქანია. რომელიმაც ლერვიშის  
ლოცვა-კურთხევის მაღლით ერთგვარი თეთრი, წმინდა, მრგვალი პური  
ცხვება, რომელიც ყველგან „საბანგას მრგვალი პურის“ სახლით არის  
ცნობილი. ორმოცამდეც რომ იდოს, არც გახმება, არც დაობდება და  
არც გემოს შეიცვლის. იმდენად განთქმულია, რომ ერთი ახლად-  
გამომცხვარი პური კენებით წაულიათ ირანის შაპისათვის და მასაც კი  
მოსწონებია. ზოგი ამბობს, რომ წყლისაგან არის ასეთი გემრიელი  
და წმინდაო. მის სანახებში ერთი სოფელია.

საბანჯას ტბისათვის ქების შესხმა: მისი გარეშემოწერილობა ოც-  
დაოთხი მილია. გარშემო სამოცდათექესმეტი სოფელია, რომლებიც  
დაბებსა პგვანან. რადგნაც მთელი მოსახლეობა ამ ტბის წყალსა  
სკამს, მოწითალო პირისახე აქვთ. თუმცა მოსავალი უხვია, ვენახები  
არა აქვთ. ბალჩები აუარებელია. ამ ტბის ნაპირებზე ისეთი ჯიშის  
ნესვი და საზამთრო მოღის, რომ ვირს მხოლოდ ორის წარგა შეუძ-  
ლა. ამ ტბაზე სამოცდათი-ოთხმოცი ჩავია, რომლებსაც სოფლიდან  
ხალხი გადაპყავთ, ხე-ტყე, ბარგი გადაქვთ, მათი საშუალებით ამ ტბის  
სამოცდათ-ოთხმოცანირ თევზს იშერენ და ასე საქმიანობენ. კალმა-  
ხი, კობრი, ქარიყლაპია, „ლუნა“ და სხვ. მტკარი წყლის თევზები  
ფრიად გემრიელია, სიმნევესა და ყუათს იძლევა. ტბის სიღრმე უმე-  
ტეს ადგილის ოცი კულაჩია. წყალი ფრიად გამშევრვალე და ანკარაა.  
ნაპირებზე მდებარე სოფლების დედაქაცები სარეცხს რომ რეცხავენ,  
საპონს სრულებით არ ხმარობენ. რაც არ უნდა გარეცხონ, სუფთა და  
თეთრი დოლბანდივით გახდება. ზემოსხენებული მრგვალი პურიც ბამ-  
ბასავით თეთრი გამოღის, რადგანაც ამ წყლით იზილება. ტბის აღმო-  
სავლეთით ორი საათის სავალზე მდინარე საქარია მიედინება, რომე-  
ლიც კოჭალიში, დაბა ირვას გვერდით შავ ზრვას ერთვის. ცოტა-  
ოდგნი მონდომებაა საჭირო იმისათვის, რომ მდინარე საქარია ამ ტბას  
შეუერთდეს. რადგანაც ეს ტბა იზმითის უზრედან სამი საათის სა-  
ვალზეა, მისგან გამოდენილი წყალი იზმითის მარილსახდელის წინ

ერთვის ზღვას. მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს იზმითის ყურესთან  
ამ ტბის შესაერთებლად წერაქვითა და თონით შეიარაღებული ასი-  
ათასობით მუშაც კი შეუყრიათ, იზმითის მოსახლეობას გული აუც-  
რუებია: „ამას აურაცხელი ხაზინა და ნოეს სიცოცხლის ხანგრძლიობა  
სჭირდებაო“.

ამან შეუშალა ხელი საქმის დაბოლოებას. მაგრამ მდინა-  
რე საქარია რომ ამ ტბას შეუერთდეს და ეს ტბა კი || — იზმითის ყუ-  
რეს, შავი ზღვიდან საქარიას საშუალებით ვერასოდეს შემოვიდოდა  
მტერი. თანაც ქალაქი იზმითი [საქარიაზე] მოექცეოდა და თვით ქალაქ  
ბოლუმდე ხუთი დღის სავალი მიწები გაშენდებოდა. ბოლუ ნავსაღ-  
გურს დაუახლოვდებოდა, სტამბოლის ხომალდები თვით ბოლუმდე  
მიაღწევდნენ და სტამბოლში ერთი ფიცარი სამი ახჩა გახდებოდა, ერ-  
თი კანთარი შეშა — ხუთი ახჩა და სიკეთე გაიზრდებოდა — „ო, ალა-  
პო, გაადვილე იგი სიკეთით“.

აქედან ისევ აღმოსავლეთით ვიარეთ 6 საათი საბანჯას ტბის ნა-  
პირ-ნაპირ, ხეების ზღვაში და თვალუშვდენელ, ულრან ტყეებს გაოცე-  
ბული თვალებით ვუმშერდით. მდინარე საქარიაზე ხის ხიდით გადა-  
ვედით. ეს მდინარე ჩიცთელერის მთაში იღებს სათავეს, ამ ხის ხიდს  
ჩაიღლის, შემდეგ კოჭალის სანჯაყს გაიღლის და ირვანს ნავსაღგურის  
წინ შავ ზღვას ერთვის. აქედანაც განვაგრძეთ გზა და დაბა ჰასანდენ-  
ფაზარიში დავისადგურეთ. იგი ტყიანი, მთიანი, ბალებიანი, პატარა, ლა-  
მაზი დაბაა, რომელსაც ჭამე, ფუნდუკი და აბანო, სავჭრო რიგი და  
ბაზარი აქვს. ყაზაა, რომლის ყადის ჭამაგრი ას ორმოცდაათი ახჩაა.  
იანიჩართა საჩაღლი, ქეთხუდა-ერი და სუბაში ჰყავს.

ამ აღგილას ერთი ლაფინი, განთქმული ჰყუნტობია. და ზედ დიდი  
ხის ხიდია გადებული. ესეც რომ გავარეთ, ისევ აღმოსავლეთით  
ვიარეთ 12 საათი ტყე-ტყე და დაბა ღუზეფაზარში მოვედით. იგი ბო-  
ლუს ნაპიერი. ტყიანი, მთაგორიანი აღგილია და ერთი ჭამე და ორი  
ფუნდუკი აქვს. ყველაფერი შემსრ-ფაშას ქველმოქმედებაა. ბევრი სო-  
ფელი აქვს. დასავლეთით აქჩაშარისაენ რჩი საათის სიარულის შემ-  
დეგ სალანის წყალი გავიარეთ და დაბა უსქუბს მივაღწიეთ. გაშენე-  
ბულია. ბოლუს მიწაზე მდებარე სახასოა. მისი ჭამე, აბანო, ფუნდუკი  
და სავჭრო რიგი სრულქმნილია. აქედან ისევ ვიარეთ და 9 სათში  
დაბა ბოლუში მოვედით.

ბოლუს აღწერა: ოსმანის დროს არის დაპყრობილი მამაუი სუნ-  
კურ-ბაი შემსრ მიერ და მას სამუდამოდ და საშვილიშვილოდ ოჯა-  
კლიქად ეწყალობა. დღეისათვის მისი შთამომავლობა არ გამქრალა  
და შემსი-ფაშას შთამომავლებს უწოდებენ. მისი ციხე ბრუსას მთავ-  
რის აშენებულია. მიწიანი, მაღალ მთაზე მდებარე ოთხკუთხა, პატარა,  
თიხის ციხეა, რომლის ნანგრევებში სხვა რამე შენობა არ არის.

[სულთან მექმედ] ფათაპის აღწერის მიხედვით || აქაურობა ანატოლიის 173  
 მიწაზე ცალკე სანჯაყ-ბეგის სადგომია. ფალიშაპისაგან მის ბეგს 300122  
 ახჩა ხასი ჰუმაცუნი აქვს. [სანჯაყს] 14 ზეამეთი და 55 თამარი აქვს.  
 ჩერი-ბაში და ალაიბეგი ჰყავს. კანონის მიხედვით ჭებელებიანად  
 ორი ათას რვაასი მეომარი გროვდება. რვაასამდე კაციც მის ბეგსა და  
 ჩერი-ბაშის ჰყავს. სამასახიინი პატიოსანი ყაზაა. ხუთი ნაპიე აქვს.  
 ერთია ქალაქის სანახების ნაპიე; მეორე — გოქჩეს ნაპიე; მესამე — სა-  
 ზაკ გერედეს ნაპიე, რომელიც ბოლოს მარცხნივაა; მეოთხე — დურ-  
 დურ დივანის ნაპიე; მეხუთე — ბაღლიჯას ნაპიე. მის ყადის წლიურად  
 ხუთი ათასი ყურუში ეძლევა და ბეგს — ათი ათასი ყურუში, მაგრამ  
 აქ მეტისმეტი სამართლიანობის გამოჩენა საჭირო. რამდენიმე ახჩა  
 უკანონოდ რომ აიღონ, ქვეშევრდომები მაშინვე, სამ დღეში, სტამ-  
 ბოლს ჩავლენ, იჩივლებენ და მჩაგვრელ მმართველს სამაგიეროს მიუ-  
 ზღავენ. იანიჩართა საჩალალი, სიფაპეგბის ქეთხუდა, ნაკიბ ულ-ეშრაფი  
 ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად მდაბიო თურქებია, ბევრია  
 წარჩინებული, დიდებული და ვაჭარი. კეშმარიტად, კეთილმოწყობი-  
 ლი, გაშენებული დიდი ქალაქია და სათესველებიან მთაში მდებარეობს.  
 ოცდაოთხმეტი უბანი და ოცდაოთოთხმეტი მიპრაბი აქვს. სამი ათა-  
 სამდე ყავრით დახურული, კოხტა სახლია. ზოგი მდიდრის სახლი და  
 ფუნდუკი ქრამიტით არის დახურული. ფაშას სასახლე, შემსი-ფაშას  
 სასახლე, ზულფუკარ-აღას სასახლე კეთილმოწყობილი, სამოთხის  
 ბალის მსგავსი სასახლებია. ჯამეთა შორის ყველაზე ლამაზია სავაჭ-  
 რო რიგებში მდებარე მუსტაფა-ფაშას ჯამე, რომელსაც მრავალრიცხო-  
 ვანი ჯამაათი ჰყავს. ფერპალ-ფაშას ჯამეც ფრიად კეთილმოწყობილია  
 და მთლიანად [სულთან] სულეიმან-ხანის ხუროთმოძღვრის — კოგა მი-  
 მარ სინანის ნალვაწია. ამ ჯამეებს გარდა მეჩეთებიც აქვს. მის აბანო-  
 თა შორის განთქმულია შემსი-ფაშას აბანი. შვიდი ფუნდუკი, დახურუ-  
 ლი ბაზარი და შვიდი წყარო აქვს. ყველაფერი ეს შემსი-ფაშას ქველ-  
 მოქმედებაა. ოთხასამდე კეთილმოწყობილი, შემკული დუქანია. არ  
 ვიცი, აქვს, თუ არა მეღრესე და პალისების საკითხავი სახლი, მაგრამ  
 სამოცდაათამდე სასწავლებელი კი აქვს. სამაზე მეტია ყურანის ზე-  
 პირად მცოდნე. ულემა — ძალიან ბევრი. მისი მოსახლეობა მუპამე-  
 დისეულ წიგნს კითხულობს. გაუთლელი აღამიანებიც არიან. რადგანაც 174.  
 მისი წყალი და პაერი მშვენიერია, ლამაზები ბევრია. ქალებს ყველას  
 ფარაჯები აცვიათ და ისე დადიან. მაგრამ ფრიად!! თავდაჭერილები  
 არიან. ძალზე ბევრი ვენახი და ბალი აქვთ. მათი საჭმელ-სასმელიან  
 ქებულია თეთრი ბალი და ბოზა. ერთნაირი სურები აქვთ, რომელთაც  
 ხალხი საქანსა და ბუდუქს უწოდებს. მოსახლეობის უმეტესობა ვაჭ-  
 რები და კეთილშობილებია. რადგანაც მათ მთებში ბევრია ფიჭვი.

მცხოვრებლები ფიცვის ფიცრებით ვაჭრობენ. ბოლუს ფიცარი სტამ-ბოლში ქებული და მიღებულია. ამ ქალაქის დასავლეთით, ორი დღის სავალზე, ზღვის პირას მდებარეობს აკაშარის ნავსაღვური. ბოლუს სანჯაყში შედის ერეგლის, ბართინის და პისარიჩნეს ნავსაღვურებიც.

**ბოლუს ცხელი წყაროები:** ქალაქებით, სამხრეთით, ბალების ახლოს, ნახევარი საათის სავალზე, შემოზღუდული და გადახურული, ძველი გაეთებული ცხელი წყაროა. მეტისმეტად ცხელია და მუნს რგებს. წყლის დამლევს კუჭის მოურჩენს და ტანს ბამბასავით ვაუხდის. ძალზე სასარგებლო წყაროა. ქალაქის დიდი და პატარა ურმებით მოდის ამ ცხელ წყაროსთან და ჯანსაღდება. იმ არემარეზე განთქმული ბუნებრივი ცხელი წყაროა. რაც შეეხება სალიცავ ადგილებს, ბოლუში ცხელი წყაროს სიახლოეს არის ერთი სავანე, რომელსაც მოზად-ბაბას თექიე ეწოდება.

აქედან დაიძარით, ისევ აღმოსავლეთისაკენ ვირტეთ 12 საათი, აყვავებული სოფლები გავიარეთ და დაბა გერედეში მოვედით.

**გერედეს აღწერა:** იგი სასუბაშოა ბოლუს სანჯაყის მიწაზე. ასორმოცდათახებიანი ყაზაა. იანიჩართა სარდალი ჰყავს. ქალაქი ვრცელ დაბლობზე მდებარეობს და ათასი ყავრითა და კრამიტით დახურული, ძველებური ყაიდის სახლისაგან შედგება. ცხრა უბანი და ათი მიკრაბი აქვს. ლამაზია ჯამე, რომელიც სავაჭრო რიგში დგას. სამი სავანე, ერთი აბანო, სამი ფუნდუკი, ორასი დუქანი და შევიდი ყავხანა აქვს. ხელოსნურ ამქართაგან ყველაზე მეტია მედანები და დაბალები. განთქმულია გერედეს ტყავეული და ტარსიკონი. მშვენიერპავიანი ზეგანი აღილია. მისი მცხოვრებლები ფრიად ჯანმრთელნი არიან. მრავლად არიან ლამაზი ქალები. ხალხი მეტწილად სოფტები და მედრესეს მასწავლებლებია. რაღაგანაც მათი მაწარწალები განთქმულია, ქურდიც ბეგრია. ცნობილია აქაური ყინვები. ამ ყინვების თაობაზე ერთი ანდაზაა გავრცელებული: „არზრუმის ყინვას უთქვამს, გერედეშიც მომიკითხეთ“. მოსახლეობა მაგარი აგებულების, ჩასხმული, მამაცი თურქებია. მის გარშემო, სამხრეთით მდებარე ქალაქ ქარგირამლე, კეთილ ნაშენი ნაპიები აქვს. ამ არემარეზე ორმოცი-ორმოცდათი //თასიანი მოსახლეობაა თურქებისა. მისი ნაპიებია: კიზილ რზუ, ალაფა რზუ, ელე დივანი, ბირ დივანი, იქი დივანი, უჩ დივანი... ერთი სიტყვით შვიდი „დივანი“ ნაპიეა. ყველა მთებში მდებარეობს. აი, რატომ და-არქვეს ამ თურქებმა დივანი: ჯერ კიდევ ბოლუს ბეგი იყო სელჩუკი სულთანი ალა ედ-დინი და ამ მთებს რომ დაიპყრობდა, მოსახლეობის გაღმოსაბირებლად დივანს გამართავდა<sup>8</sup>, დოლს დააკვრევინებდა. ამ-

ეამიდ შვილი ნაპიეს სახელწოდებას ერთვის სიტყვა ღივანი. მოსახლეობა მეამბოხეა. მათი კილოკავის რამდენიმე ნიმუშს ქვემოთ გიჩვენებთ.

## L

დოსტას, გოლუს, „ოთხი ღივანის“ თურქმენის მდა და კილოკავი:

აზიკ — პური; დაპნჯ — ხორბალი; დჭლა — ყურისგდება; ზიბარ — დაწექ; ლაქლი — ურემი; უნ — ხმა; რაპთლკ — დედაკაცი: ჯუმგითმჯ — გოგო; კზიან — ბიჭი; ჭილიზ — პატარა; ჭბარ — ფუტკარი; მრდ — ადამიანი; სტამალავაჯ — კაცი წინასწარმეტყველი; ჩალაფ — პაკი — ღმერთის სამართალი; მალიავაჯ — იუსო წინასწარმეტყველი; ჩბუფეი ხოჯა — განათლებული მასწავლებელი: ქლიჯი — სიტყვა; აიდიჯნი — შეიხი; ბანლაბან — მუედინი; სლა — ლოცვა; მზგო — მეჩეთი; აზინჯ დამი — საპარასკევო ჯამე; სავუძერი — სასაფლაო; სინერი — სასაფლაო; თ/დ/ჭრლიკ — აბანო; სავუ — ტირილი; ქობლა — ლეკვი; თ/დ/ულა — სანადირო ძალი; ჩომარ — ცხვრის ძალი; მასუთი — ფინია ძალი; ეფთქ — მწევარი; ჩინაკ — ლომი; საფლიჯა — ბალი; დიქდუქ — ბლის კერი; ქიშნა — ალუბალი; ბალლი დარი — ლელვი; ქლმ — კომბოსტო; კიზილ ოლაჩ — სტაფილო; ერსაფი — სტაფილო; ფურჩუქლუ — სტაფილო; ჰეზა — ნიახური; სფუქჩი — ბოლოკი; ჩულაჩ — მზე; ოლლან ბაბუი — მსხლის ჩირი; თო/უ/გლიჯა — ეკლიანი წაბლი; 176 თულიჯა ჯუმრუ — ატამი; დუნბაჯ — წაბლი; კაფლიჯა ბურკა — კვერცხი; დექაში — კვერცხი; ჩელლუ ჩუჭუქ — ქათამი; მშათლკ — სასაფლაო; ქონენუმშ — მწიფე ხილი; კაკ — ხმელი; კაკაჯ — ბასტურმა; ფაკი — ხოჯა; ზლი — სინი; ზრფე ზლრა — კოვზი; მაუმაუ — კატა; ჩლრდი — დაინახა; მნზკდმ — გავბრაზდი; ფლათკ — ლოჭია; კირან — განაბარა მხარე; ჰადუ — ეზო; დიღმი თფე — ფლავი; სარი აშთებილი — ფლავი; კარიშ ტათიშ — კორკოტი; ჩაკლ მაკლ — ისპანაბის მხალი; სიკი — ბურლული; ჩლუკ — თუთის(?) თ/დ/უ/ო/კმალი — ჰერისეს წვენი; სარილი ბურმა — ბაკლავას მსგავსი; ჰვაძი ზირლკ — ღვეზელის მსგავსი; დუნგლ — მუშმულა; ბუდუჯ — ხის სასმისი; ალფ — თევზი; გერმესი — ღვინო; ჰერ ფოლდადირ — შიგნით; ზივანმი — მიღიხარ? ზლიბ — ცარიელი; სიკი — მუცლის ტკივილი; სვიქნენჯ — ბალიში; სეიქნ — ხასლან(?); ჩრალ — სანთელი; აფშდი — სამფეხა; უჩბასდი — სამფეხა; მკრკ — ბინძური; მუსმულ — სუფთა; ჩფ — ძალა; თუკთუკ —

როდინი; სუ/ო/მექა — უსარგებლო; კაცაქ — ლურსმანი; ქრმან — პატ-  
რონი; ჩილაკ — ხმა; ისა ჰაკი — იესოს სამართალი, ჯვე — ლებანი; ნე  
ბალნ — რა დაგემართა; ოქათ კათ — კარგია, კარგი; ჩიქნდი დღმ —  
თავი ამტკივდა; აჭერა — ჩემი ძმა; სთლქ — აფერუშ!

კიდევ მრავალი სიტყვა და გამოთქმაა, ღროული და მახვილ-  
გონიერი კაციც ვერ გაიგებს. ეს ის კილოკავია, მხოლოდ ამ ქვეყანას  
რომ ახასიათებს. მეტის ჩაწერა ვერ შევძელო.

ამჯერადაც აღმოსავლეთით 8 საათი ვიარეთ, ყველავებული სოფ-  
ლები გავიარეთ და სოფელ ბაინდირში დავისადგურეთ. ბოლუს სან-  
ჯაყის ნაპირში ცალკე ყაზაა ას ორმოცდათახინი ყადის ჭამაგირით.  
რაღანაც სოფლები ციცაბი მთებზეა შეფენილი, განსვენებულმა ის-  
მანმა ამ მხარის ხალხი სისხლის ცრემლებით ატირა, სანამ დაიმორჩი-  
ლებდა. ბაღებინი, დაბის მსგავსი სოფელია და სამასი ყავრით დახუ-  
რული სახლი აქვს. ერთი ფუნდუკი და ყოველ სახლში სტუმართათვის  
177 განკუთვნილი საჯინიბო ||აქვს. ყველა სტუმარი ამ სახლებში ათევს და-  
მეს და საჭმელ-სასმელში ფულს იხდის. მაგრამ შეშა, წყალი და ბზე  
ცოტაა. მგვარ საჭმიანობას ეწევა ამ სოფლის მოსახლეობა. აქედანაც  
ვიარეთ, ათასი დავიდარაბითა და წვალებით გავიარეთ ერთი ვიწრო,  
საშინელი ხეობა, რომელსაც ჰამამლი ბოლაზი ეწოდება და 9 საათში  
დაბა ჩერქეშში მოვედით. იგი სასუბაშოა ქანგირის სანჯაყის მიწაზე.  
ასორმოცდათახინი ყაზაა. იანიჩართა სარდალი და სიფაპიების  
ქეთხუდა ჰყავს. ქალაქი ფერდობის ძირას მდებარეობს. პატარა ქალა-  
ქია, სადაც სამასი სახლი, ერთი ჯამე, ერთი აბანო და ორმოცი-ორმოც-  
დათი დუჭნია. ჩვენი ბატონის, სულაან მურად-ხან მეოთხის მუსა-  
პიბმა სილაპდარ მუსტაფა-ფაშამ აქ ასორმოცდათახინი, ასდუქ-  
ნიანი ფუნდუკი მოაწყობინა და დაბა ააყვავა, მაგრამ რახან მალე მოვ-  
და, კარამიტით დახურული დარჩა<sup>2</sup>. კვირაში ერთხელ ყველა სოფლელი  
აქ იქრიბება და დიდი ბაზრობა იმართება.

აქედან ისევ აღმოსავლეთით ვიარეთ გაშენებულ სოფლებზე  
7 საათი და სოფელ კარაჯალარის სადგურში მოვედით. იგი ქანგირის  
ზეამეთთა. ერთი ჯამე, მდელოებინი და ნაყოფიერი მიწები, სამასი  
სახლი და საჯინიბო აქვს. ღრაბიბი სოფელია. მისი მცხოვრებლები გამ-  
ლელ-გამომვლელებს უმასპინძლდებიან და ამით ირჩენენ თავს. მაგ-  
რამ ეს გაუთლელი თურქები თითო კუნძს ორმოცეკვერ მიჰყიდიან  
ხოლო თავიანთ სტუმრებს, რაღან იმ კუნძს ყოველდღი წყალში სდე-  
ბენ. ადამიანი, რომელიც მას დასაწვავად იყიდის, იძულებულია ათი  
ახის ღრებულების შეშაც დაუმატოს, რომ კუნძს ცეცხლი მოუკი-  
დოს. თურქე, ერთი გამოცდილი მგზავრი, რომელიც ერევანს მიღიოდა  
სალაშქროდ, აქ ერთ სახლში დარჩა ღამის. გასათევგად. ნაყიდი კუნძი

სიმუავით ამოსწვა — ნიშანი დააღო და წავიდა. სამი წლის შემდეგ ლაშ-ქრობიდან რომ ბრუნდებოდა, მოვიდა და კვლავ იმ სახლში დადგა. კუნძის ყიდვა მოინდომა და ისევ ის სიმუავით დანიშნული კუნძი მოუტონეს. ყველანი წუწები, ძუნწები და ხარბები არიან. ისეთი, რომ ისიც დიდი სიკეთეა, თუ ამ კუნძს შორიდან დაანახვებენ და ასეთ გზა-სე გამვლელ-გამომვლელს ლამეს გაათვეინებენ.

მათ შორის ისეთი ღვთისმოსავები არიან, რომლებიც ამბობენ: „მოგების მომხვევი ალაპის მევობარიაო“ და შალს, „შმლა“-ს<sup>3</sup>, თივ-თიქს, წითელ სარტყელს; „მხირ“-ს<sup>4</sup> და სხვა ნაირ-ნაირ ქსოვილს ამ-ზადებენ და ვაჭრობენ. კარაჯალარს სარტყელი მთელ ქვეყანაზეა განთქმული.

ჰაბიბ ყარამანის წმინდა საფლავი.— იყურთხოს ამ წმინდანის საი-დუმლოებანი: მისი დაბადების ადგილია ||ორთაქოხ, ნიგდეს სიახლო-ვეს. სულთან მეშემედ-ხან ფათიშის დროს გარდაიცვალა და ამ კარაჯა-ლარში ერთ პატარა აკლდამაშია დამარხული. ღიღებულებისა და მდა-ბიოთა წმინდა აღვილია. ბაირამელთა მიმართულებისაა. მისი სიკვდი-ლის თარიღი:

„სული წმინდამ მისი თარიღის შესახებ თქვა:

ჰეშმარიტად სამოთხეშია მისი სულის სავანე“.

ეს წინადადება ეფლათუნ-ზადეს ნათქვამია. წმინდა შეიხი პამზა-ეფენ-დი ამ წმინდან ყარამანის მოწაფეთაგანია. ეს ის წმინდა შეიხი პამზაა, რომელსაც მიეწერება პამზავის მოძლვრების მამამთავრობა. პაბიბ ყა-რამანის წმინდა საფლავი მოვინახულეთ, ყარაჯალირიდან ავიყარენით, ისევ ვიარეთ და 9 საათში სოფელ ყოჩისარში მოვედით.

სოფელი ყოჩისარი: ეს სოფელი ქანგირის გაშემგებლობაშია. მისი ნაპირები კეთილმოწყობილია. ამისი ციხე 708 (1308—1309) წელს ოს-მან-ყაზიმ წაართვა ბერძენ ურჯულოებს და რომ ამას იქით ურჯულოე-ბის საღომი აღარ ყოფილიყო, ძირფესვიანად მოთხარა. ერთი ჯმე აქვს. კეთილნაშენი სოფელია და ქანგირის ყოჩისარს უწოდებენ.

ქედანაც აღმოსავლეთისაკენ 9 საათი ვიარეთ და ნაპირეს ციხეს-თან მოვედით.

ძველ ქალაქ თოხისა ნაპირეს ციხის აღწერა: ჩელები სულთან მეპ-მეფ-ხანის დაპყრობილია. სუბაში პყავს. ასორმოცდათახინი ყაზაა. გაშენებული ნაპირები აქვს. იანიჩართა სარდალო, სიფაპირების ქეთხუ-და-ეჩრი, ნაკიბ ულ-ეშრაფი, შეის ულ-ილამი, წარჩინებულები და ღიღებულები პყავს, რომლებიც ქართული თურქისტანის ქალაქებიდან არიან. წარჩინებულები და ულემები ბევრია. ქალაქი მაღალ აღვილზე მდებარეობს. სამი ათასი ყავრითა და კრამიტითა დახურული,

ფიცრით აშენებული, ძველი ნაკეთები სახლი და მრავალი ბალ-ვენახია. თერთმეტი უბანი და ოცდაერთი მიპრაბია. შვილი ფუნდუკი და აბანო, სამას ორმოცი დუქანი და ყავახანა, ერთიც რკინისარიანი, ქვითნაშენი ზაზარი აქვს, სადაც ყოველგვარი საქონელი მოპოვება. მაგრამ მთელი მოსახლეობის საქმიანობაა ქსოვა. ამიტომაც ბაზარზე ფრიად გაცხოველებული აღებმიცემობაა. განთქმულია მისი ნიგვზიანი და ლაბლაბონანი ჰალვა. ტქბილი ბოზა რძესავით თეთრია და ფრიად განთქმული. ჰაერი მსუბუქია და მძიმე (sic)<sup>6</sup>. მოსახლეობა თურქებია და კარგი სამეგობრონი არიან.

თოსიას წმინდა ადგილები: ქალაქგარეთ, ერთ მდელოიან ადგილს, გზის პირას მდებარეობს შეიხ ბაბას წმინდა საფლავი. ხალხის სალოცავი ადგილია.

179 იქიდან 8 საათი ვიარეთ ხან მთებში, //ხან მდინარე ყიზილ ირმაკის ნაპირ-ნაპირ და სოფელ ჰავი ჰამზას მივაღწიეთ.

სოფელი ჰავი ჰამზა: ჩაბიძ ყარამანის მოწაფე ჰამზავი ჰავი ჰამზა ამ სოფელში დაიბადა და სახელი გაითქვა, ჰავი ჰამზას სოფლიდ იხსენიება. მისი მოსახლეობა მთაში, კეთილმოწყობალ სოფლებში ცხოვრიბს. ღროთა განმავლობაში ერთი ძველი ჯამე დარჩენილა. სხვა საზოგადო შენობა არაა — ყველა დანგრეულია. მდინარე ყიზილ ირმაკის გაღმა მხარე მთლიანად ბალ-ვენახით არის შემკული. ეს მდინარე დაბა ბაფრას მხარეს, იმ ადგილს, სადაც შავ ზღვას უერთდება, მაღალი კლდეებიდან ეცემა და მისი გრიალი და გრუხუნი ადამიანს შიშს მოჰკვრის. აქაფებული მდინარეა, რომელიც უსარგებლოდ მიეღინება. ზამთარ-ზაფხულ ალისფერი სისხლივით? მჩქეფარე, გერიელი წყალია. მე, მწირმა, ერთხელ მოვისურვე ჩემი ცხენით გავსულიყავი გაღმა ბალებში. იმავ წამს ცხენიანად რომ წამილო, შიშით გულგახეთქილი გაღმა ნაპირზე ტირიფის ტოტს მოვეჭიდე და ცხენიდან გაღმოვვარდი. ძლივს, დიდი წვალებით გადავირჩინე თავი. თურმე, ძალზე ძნელი გადასასვლელი ყოფილა და დიდრონ ქვებზე მიეღინება. შემდეგ მსახურებმა ცხენიც მომიყვანეს.

ამ ჰავი ჰამზადან ავიყარენთ, ისევ აღმოსავლეთისაკენ გავუყევით ხან მთებში, ხან ყიზილ ირმაკის ნაპირ-ნაპირ. ვიწრო ვზაზე გავიარეთ, რომელიც ცამდეაზიდული სარმაშიკლი კადას მთის ძირას გადის. ამ გზის ერთ მხარეს ციცაბო კლდეა და მარცხნა მხარეს კი — უფსკრული. აქ მრავალჯერ ჩავცვივდით ყიზილ ირმაკში და 9 საათში ოსმანჯიქის ციხეში მოვედით.

ხელოვნებით ნაგები თსმანგიქის ციხის აღწერა: ზოგი მემატიანე გვძმუნობს, თსმანი აქ დაიბადა და ეს ციხეც თავის ემირობის ღროს ააშენა. შემდეგ ციხე თურქულ ტომებს ილდირიმ ბაჟაზეთ-ხანმა წა-

ართვა 795 (1392—1393) წელს. ჩორუმის სანჯაუის მიწაზე სავოევო-დოა. ასათახჩიანი ყაზაა. გაშენებული ნაპიერი, საჩდალი და ქეთხუდა-ერი ჰყავს. ნაკიბი და მუფთი არა ჰყავს. წარჩინებულები — ძალიან ცოტა. ბალ-ვენახი ბევრია. ციხე ყიზილ ირმავის აღმოსავლეთი ნაპირზეა და დიდი ხილით შეიძლება გადასვლა. მდინარის ახლოს, ციცაბო კლდეზე მდებარეობს; პატარა, ძლიერი, მტკიცედ ნაშენი და მიუვა-ლია. გარეშემოწერილობა რეასი ნაბიჯია. ||თხეუთხა მოყვანილობის მაღალი, მკვიდრი ციხეა და ერთი რეინის კარი აქვს. რაღგანაც ფრიად მაღალზეა, შიგ შესვლა ვერ მოხერხდა. გარეუბანი შედგება ათასამ-დე ბალ-ვენახიანი, ძველი ყაიდის თურქული სახლისაგან. ყველა ყავ-რიანი ან მიწის ბანიანი, კეთილმოწყობილი სახლია. შვიდი უბანი და შვიდი მიტრაბია. ღუქნები ცოტაა, მაგრამ ყველაფერი იშოვება. ათი ფუნდუკი აქვს. მდინარის ნაპირას ერთი აბანოა, რომლის წყალს ჩარ-ხით ქაჩავენ ყიზილ ირმავიდან. ქალაქის სამი მხარე ქვიშარია. ტა-ლახი სრულებით არ იცის. რაღგანაც მისი პავა ძალზე ცხელია, ტებილი და წვინიანი ყურძენი მოდის. ჩახან ქვიშარობი აღგილია, მის მიწაზე ერთი გიშის ხილი მოდის, სახელად გებრე, რომელსაც ძმრით ამჟავებენ. ფრიად სასაჩვენებლოა. ამ ქალაქის წმინდილი მოელ ქვეყნიერებაზეა გან-თქმული. ყველა სახლი ღარიბისულადაა მოწყობილი. მოსახლეობა ბექ-თაშის დერვიშები არიან, იმიტომ, რომ ამ ქალაქის დასავლეთით, ერთ შემაღლებულ ადგილზე ბექთაშიების შეიბია დამარხული.

ქვეყნიერების ჩირალდანის, წმინდანთა შორის უმთავრესის, რჩე-ულთა შორის რჩეულის — მისი უწმინდესობა შეის კოდუნ-ბაბას წმინ-და საფლავის აღწერა: იგი უშუალო მოწაფე იყო მისი უწმინდესობა პაგი ბექთაშ-ველისა. მაღალი ალლაპის ნებით, აქ გარდაიცვალა და აქვე დაიმარხა. შემდეგ, მისმა უღიძებულესობამ, სულთან ბაჟაზეთ-ვე-ლიმ რამაზანის თვის ოცდამეტვიდე ღამეს სიზმარში ნახა ეს წმინდანი და თავისი წმინდა ანდერძით მის წმინდა საფლავზე ააშენებინა მაღა-ლი გუმბათი, წმინდა ჯამე, გამოჩენილი დერვიშებისათვის ერთი მოე-დანი, ერთი საქმელების დასაჩიგრებელი და გასამასპინძლებელი სახ-ლი, სატუმრო გამვლელ-გამომვლელთათვეს, სამზარეულო მრავალ-რიცხვანი თოახებითა და საკუპნაოებით. ეს საქველმოქმედო შენო-ბები მთლიანად ტყვიით გადახურვინა. ფრიად კეთილმოწყობილი, დიდებული შენობაა და ერთი ფარსანგის მანძილადან გუმბათი ლურ-ჯი ზღვასავით ღელავს. გასხივოსნებული გუმბათის ელვარე ნიშანი აღამანს თვალს მოსჭრის. მის სამზარეულოში დღედაღამ გამოულევე-ლი საქმელია.

რაღგანაც მე, მწირი, უპირველესად ყოვლისა, შემაღლებულზე მდებარე აკლდამას ვეწვიე, მის ზღურბლს მდაბლად ვემთხვიე, „მშვი-

დობა შენდა”, ვუთხარ და წმინდა აკლდამაში შევეღი. მისი წმინდა სულისათვის ყურანის კითხვა დავიწყე. რადგანაც გაბრწყინებული აკლდამა მუშკისა და ამბრის სურნელებით არის სავსე, მლოცველის გონებასაც აკეთილსურნელებს. ყოველ მლოცველს დერვიშები და თურ-  
181 ბედარები ვარდის წყალს ასხურებენ. მის წმინდა ნეშტე ბექთაშიების კუნკული დევს. ||თექიეს მკვიდრებმა და დერვიშებმა მე, დერვიშთა მეგობარ ევლიას, ერთსულოვნად დამახურეს ის კურთხეული კუნკუ-  
ლი. ალლაპის დიდებითა და მონხსნიერით თქვეს: „ოვალისჩინის ძალა მოგეცეს და ჭანმრთელობა ნუ მოგაკლდება, კურთხეულ იყოს შენი მოგზაურობა; ამ ქვეყანას და იმ ქვეყანას პატივდებულ და კურთხეულ იყავ; მტრის სიავისაგან დაგიფაროს!“ აკლდამის მოყვარულებმა ლოც-  
ვა-კურთხევით დასძახეს მაშამაღიანური მოწოდება და ფათიძა წაიკი-  
თხეს. როგორც კი თავზე დავიხურე კუნკული, ღვთის ნებით, ორივე ყურიდან ნიავმა გმიქროლა, ორივე თვალიდან ცრემლი მღიოდა მთე-  
ლი საათი. შემდეგ, საწყალი თვალები არაბული ძაშხალებიგით გა-  
მინათდა. იმიტომ, რომ, როდესაც მე, საწყალი მონა, შავ ზღვაში ვიხრჩობოდი და შიშველი ვფურუვდი, ზამთრის ყინვაში თვალისჩინი დამაკლდა და ხედვის ძალა წამერთვა. როდესაც ის ბეღდნიერებამოსილი თექის კუნკული დავიხურე, თვალისჩინი მომემატა. სიხარულისაგან, ვიდრე წმინდა ხათმის განსაწმენდი სურის კითხვა არ ჩავათვე, ყურა-  
ნის კითხვას არ მოვეშვი. შემდეგ ბეღდნიერებამოსილი აკლდამა დავ-  
თვალიერე, დერვიშებს დავუმეგობრდი და [წმინდან] ბაბას ნაწყალო-  
ბევი საჭმელი გვახელით. ამჟამად იმ სინათლით სავსე აკლდამაში ინა-  
ხება მისი უწმინდესობა ჰაჯი ბექთაშ-ევლისაგან მიღებული დერვიშის წამოსასხამი, სალოცავი ხალიჩა, დოლი, ალამი, დაფი, ყელსაბამი ჭაჭ-  
ვი, კვერთხი, თექის კუნკული და კაბა. აკლდამის კედელ-კარებზე მრა-  
ვალ მოგზაურს, ღმერთზე შეყვარებულს, სხვადასხვანაირი ხელით ნაირ-ნაირი ბეითები და შაირები დაუწერია. მეც, გულგანგმირული გავკალნიერდი და ჩემი ხელით, განსკვენებულის ბეღდნიერებამოსილი თავის მხარეს, ნათელი სულუსის და ჭილის ხელით კაფია ბეითო დავუ-  
წერე, რომელიც ანაზღად მომივიდა თავში:

„ნიმუში წინაშედვართა, ძება წინასწარმეტყველის ოჯახის აჩასისა  
საგანძური სიწმინდის საიდუმლოებისა — მისი უწმინდესობა — კოდუნ-ბაბა“.

მიზეზი იმისა, თუ რატომ უწოდეს, მას კოდუნ-ბაბა: სანამ ჰაჯი ბექთაშთან ერთად ხორასნიდან რუმში მოვიღოდა, დღე-ღამის ოცდა-  
ოთხ საათში, მხოლოდ ერთხელ ამოილო ხმა ცხვარივით<sup>8</sup>. ეს სიჩუმე ამ სიარულის ღროს ერთხელაც არ დაურღვევით. მას გარდა, კიდევ მრავალ შემთხვევას ჰაჯინდა აღგილი. ბექთაშიებს ხალხში სიძულვი-

ლი აქვთ დამსახურებული, მაგრამ კოდუნ-ბაბას დერვიშები ცხვარი-ვითა და ბატქანივით მოკრძალებული, მშვიდი, წყნარი, განმარტოებული, ღვთით განათებული, სუნასა და ჭამაცისათვის მლოცველი, ღვთის-მოსავი ხალხია. ერთი სიტყვით, მართალია, ჩვენ ბევრი არ გვიმოგზაურია, მაგრამ ამბობენ, რომ ასეთი აკლდამა რუმსა და არაბეთშიც არ არისო.

|| ბურჟან-დედეს წმინდა საფლავი: ხიდის თავშია. [აქ დასაფლავე- 182  
ბული] დიდი ფირია, რომელმაც ასობით სასწაულთმოქმედება მოახდინა. აქ სულთან ბახაზეთ-ველის ნაქველმოქმედარი დიდი ხიდია, რო-  
მელიც დათვალიერების ღირსი და ქვეყნიერებაზე განთქმულია. ცხრა-  
შეტი თაღი აქვს. ყოველი მათგანი ცისარტყელსა და ციურ „ირმის ნახ-  
ტომს“ მიაგავს. ასეთ გადარეულ მდინარეზე დახელოვნებულ ხუ-  
როთმოძღვარს საიმედო ხიდი აუშენებია; ანატოლიის ქვეყანაში მისი  
მსგავსი არ მოიპოვება.

ამ ქალაქში ერთი დღე დავტარით. მეორე დღეს გამგზავრების დო-  
ლი დავუკარით, ხილზე დასავლეთით გადავედით, მთებსა და ბაღებში  
ვიარეთ. მთების საშიშ და სახიფათო გზებზე ვიარეთ და კლდოვანი.  
ვიწრობი გავიარეთ, რომელსაც ღირექლი ბელი ეწოდება. აქაურობა  
ისეთი საშიში აღგილია, კაცი კლდეებზე რომ გავიდეს და ერთი ქვა  
დააგოროს, ათას ადამიანს დაღუპავს. ერთი დაწყევლილი ვიწრობია,  
რომელზეც ჩიტიც ვერ გადაფრინდება. რუმში, არაბეთსა და ირანში  
დირექლი ბელის სახელითაა საქვეყნოდ ცნობილი. მიზეზი ღირექლი  
ბელის დარქმევისა ისაა, რომ მისი კლდეები ჰაერშია გაღმოკადებული,  
როგორც სვეტებშეუღელი მთა. ჩამდენ ქველმოქმედ აღმიანს  
უთქვამს: „არ ჩამოინგრეს, საყოველთაო გზა არ გადაიკროს“ და  
კლდეების ქვემოდან ფიჭვისა და ლვის დიდი ბოძები შეუდგამს. ამი-  
ტომ უწოდებენ ღირექლი ბელაზ.

ჩვენი ბატონი ფაშა სწორედ ამ აღგილას ჩამოხდა ცხენიდან და  
ბისმილას წარმოთქმით პირადად იღო ჩამდენიმე ქვა მუსლიმთა გზი-  
დან. იმავ წამს, დიდ არს ღმერთი, ოთხი ათასი მოხუცი და ახალგაზრ-  
და ჩამოხდა ცხენებიდან და ხალხის სავალზე დაყრილი ქვები ქვემოთ,  
ხევში გადაყარეს. ამავე ღროს სამხედრო მუსიკით მოუწოდეს სამუ-  
შაოდ და „ალაპ, ალაპის!“ ძახილით ერთ საათში გზა ისე გაწმინდეს,  
რომ ერევნისა და პამაღანის გზას დაემსგავსა. აქედანაც ვიარეთ და  
9 საათში სოფელ პაჯიქოვში მივედით. ღირექლის ვიწროებიდან მო-  
ყოლებული უკვე ამასიას საზღვრებია. ამ გავერანებულ სოფელს ერთი  
დანგრეული ფუნდუკი აქვს. მაგრამ ისეთი აღგილია, რომ საუცხოოდ  
გაშენება შეიძლება. აქედან სამხერეთისაკენ ვიარეთ მერზიფონის ველ-  
ზე და 6 საათში სოფელ ქერქუვაზს მივაღწიეთ. ესეც ამასის მიწაზეა.

183 ასორმოცდაათანებინი ყაზაა. სამოცი სოფელი მთლიანად ალაპის მო-  
ციქულის ვაკუფია. მუსლიმური სოფელია ერთი ჯმეთი და ერთი  
ფუნდუკით. მაგრამ ამასაც თანდათანბით გავერანებისაკენ აქვს პი-  
რი. თუმცა ისეთი ადგილია, რომ შეიძლება მისი კეთილმოწყობა, რად-  
განაც სადგურია. აქედან 8 საათში სახელგანთქმულ ქალაქ ამასის მი-  
ვაღწიეთ.

## LI

ალზერა ძლიერების მთისა, მაღლიულთა ჭანდა მჯგვრვალისა,  
ახალიყოთაგან უმორჩილი დიდებისა ჩადარისა — ამასის ციხისა

ამბობენ, ციხე აშენებულია ამალეკი ხალხის მიერ, რომელიც  
ქველ დროში იყო! მრავალ ხელმწიფეს გადარჩენილი რუმის ციხეა.  
ზოგიერთი მატიანე ამბობს, რომ იგი ააშენა ფარაონ მთის მნგრეველ-  
მა. შემდეგ, 476 (1083) წელს იგი ბერძნებს წაართვა დანიშმენდიანთა  
სულთანმა მელექ-ყაზიმი. თუმცა მრავალჯერ შემოარტყეს ალყა ირა-  
ნის აზერბაიჯანის ფადიშაპებმა, დაპყრობა ვერ შეძლეს. ერთხანს და-  
ნიშმენდიანთაგან სელჩუკების ხელში გადავიდა; მათგან კი, თემურის  
დროს, ოსმალთა ხელში მოხვდა. მისი დაპყრობის შემდეგ ილდირიმ  
ბაჰაზეთ-ხანმა იდიქრა, თემურმა არაფერი აუტეხოს და თავისი უფ-  
ლისწული ისა ჩელები მის განმეგბლად დანიშნა. სახელმწიფოს დედა-  
ქალაქად და სასულთნოს ტახტად იქცა და ხუტბა აღავლინა. აქ მო-  
იტრა ახხა, რომელზეც ამოტვიფრული იყო: „დიდება მის გამარჯვებას.  
მოიტრა ამასიში“. ეს იმიტომ, რომ მის მთებში და ქალაქშიც ვერცხ-  
ლის საბადოებია. ფადიშაპებისათვის განკუთვნილი სასახლე, სმოთხი-  
სებური ბალი გაშენდა და ოსმალთა სატახტო ქალაქად იქცა. [სულთან  
მეჰმედ მეორე] ფათიძის დროს ჩაიწერა, რომ სივასის ვილაიეთის მი-  
წაჟე ამასია მისი ბეგის სადგომია. რადგანაც თავის სანახებიანად დი-  
დი ქალაქია, მრავალჯერ იყო ნაწყალობევი არფალიქის წესით სამთუ-  
ლიანი ვეზირებისათვის. ფადიშაპებური კანონის მიხედვით მისი ფაშის  
სახასო 20 000 [ახხა] არის. სანჯაუში 19 ზეამეთი და 42 თიმარია. ალა-  
ბეგი და ჩერი-ბაში ჰყავს. სალაშეროდ შეიარაღებული, სრულყოფი-  
ლი მეომრების მფლობელები არიან. სამასახჩიანი ყაზაა. მისი ნაპიები  
ფრიად გაშენებულია. ინგაზარის, აყდაღის, კეთალეს ნაპიები. სან-  
ჯაუში ცხრა ყაზა შედის: ქოფრუს სემერე, ზემთუნი, გუმუში, ბულაკი,  
[მერზიფონი, ქერქუვაზი, ლადიქი, ვერად და ზენუნ აბადი — იგივე  
ელვან ჩელების საფლავი. ამასის ყაზადან წლიურად შვიდი ათასი  
ყურუში შემოდის. მის ფაშას, სამართლის მიხედვით, სამოცდაათი ათა-  
სი ყურუში შემოსავალი აქვს. მისი ფაშის სახასო ექვსი სასუბაშოა:

184

ბაჯფაზარი, ვერახ, ინეფაზარი, აკდალი, სულუ თვა. სახასოებს ჰყავს. სუბაში, მუფთი, ნაკიბ ულ-ეშრაფი, იანიჩართა სარდალი, კეთილშობილი სიფაპიების ქეთხუდა, წარჩინებულები და ღიღებულები, ულემები და ღვთისმოსაცები. მდიდარი სოვედაგრები ჰყავს. ძირძველი ოჯახებიდან არიან ხუთასახჩიანი [ჭამაგირის მქონე]; მრავალი მოლა, ბეგი; ბეგის შეილები და ფაშისშვილები.

## LII.

### აშასის ციხის მოუნაცილებელი მება-დილება

თავი ცისათვის მიუბჯენია. ძალზე მაღლა აზიდული კედელ-ბურჯები, საიდანაც მთელი ქვეყნიერების ხედი იშლება, ლურჯ ლრუბლებში უჩინარდებიან; მხოლოდ შიდა ციხის გამეს მინარეთები და სახლების სახურავები ჩანს და ისიც მზიან ამინდში, შუადღისას. მისი გარე-შემოწერილობა ცხრა ათას სამოცი ნაბიჯია. რუთუჭთხა მოყვანილობისაა და კუთხე-კუთხედ გადამული, სხვადასხვა ხერხით აშენებული ქვის ციხეა. ფარქადის ნახელავი, მტკიცე ნაგებობაა: ორმოცდაერთი კოშკი და ოვასი ქონგური აქვს. შიგ მდებარე სახლები ჩემთვის ცნობილი არაა. მაგრამ კარგია ძველი ნახელავი სასახლეები, გაბაანა, ხორბლის ამბარი, წყლის სათავეები. ქვემოთ გამავალ მდინარესთან ჩასასვლელი წყლის გზები და 307 აუზი აქვს. მაგრამ სავაჭრო რიგი და ბაზარი არა აქვს. ოღონისავლეთისაცენ გამავალი ოთხი რეინის კარია. შიდა ციხეში [სულთან] ილლირიმ-ხანის ერთი გამეა. საოცარი, ჯოგონეთის ქვესკნელის ჭასვით დილეგი აქვს. ციხეში სამოცდაათამდე დიდი და პატარა ზარბაზანია. რაღანაც [აქაურობა] შიდა ქვეყანაა, დიდი ბალემეზ ზარბაზნები არ აქვს. ციხის ძირი შთლიანად გამოქვაბულებით არის დაღრული და სამაგალითო რამაა. ჯელალის, ყარა მაზიკის, ყარა საიდის ღროს ვილაიეთის წარჩინებულები და ღიღებულები მთელ თავის ძვირფას||ნივთებსა და ბარგს ამ გამოქვაბულებში ინახავდნენ და თავისი ოფაქებითა და გალაბობით აქ აფარებდნენ თავს. მიუხედავად იმისა, რომ დასაბრმავებელმა თემურმა შეიდი თვის განმავლობაში ალყა შემოარტყმევინა და მის დაპყრობას ცდილობდა, წარმატებას ვერ მიაღწია და იმედგაცრუებული გაბრუნდა. იმ მოსაზრებით, რომ რაც არ უნდა შიდა ქვეყანა იყოს, აჯანყებულებმა ფეხი არ მოიყიდონ, საყარაულო კარში გამზადებული დგანან თავით ფეხებამდე შეიარაღებული მეციხოვნეები და მეციხოვნეთა აღა.

ქვედა ციხე დგას ქალაქის შუაზე გამავალ მდინარე თოზანლის ნა-  
პირას. ერთი წყება კედელი აქვს: დაბალი, ქვით აშენებული ციხეა.  
მისი გარეშემოწერილობა არ ვიცი. სამი კარი აქვს: სამხრეთისაკენ  
გამავალ დაბალ ხიდზე გაკეთებული „ბნელი“ კარი; მაიდანოსის კარი,  
რომელიც [სულთან] ბაჟაზეთ-ხანის ხიდის გასასვლელია; დასავლეთი-  
საკენ — მოედნის კარი, რომელიც დიდი ხის ხიდის პირდაპირაა და ამ  
ხიდით შეიძლება გადასვლა ქალაქის ცისფერ მედრესეში. აღმოსავლეთ  
მხარეს არის სარგიზის ხიდის კარი. ამ ხიდითაც შეიძლება გადასვლა  
ქალაქში მდებარე ყარიბების ჯამესაკენ. ამ ციხის მიდამოებში კეთილ-  
მოწყობილი სასახლეები და ექვსასი სახლია. მცირე ბაზრები აქვს.  
ჯამეც აქვს.

ციხის ძირას მიმდინარე წყალი — თუზანლი მოდის თუზანლის  
მთიდან, რომელიც ამ სანჯაყში, თოკათს ზემოთაა. იგი თოკათის ცი-  
ხეს წინ ჩაუკლის, ძველი ინეფაზარისა და კარ გრლუს შემდეგ თურქა-  
ლის ციხის დაბას გაუკლის, გასცდება ჩენგელლის ვიწროებს, სარი კუ-  
სუნს, დადვითერის ხიდს, ჩელანის ხიდს. შემდეგ ფარპალის ვიწროებს  
გაივლის და ამასიაში შემოდის. ეს მდინარე ლალიქის ტბის შესართავ  
აღვილის — კავრესთან ჭანჭრობ ველზე მიედინება და ამასისის ახლოს  
უერთდება. რაღავანაც ეს დიდი მდინარე ამასიაში შემოდის, ხალხში  
ასეთი უხამსი გამოთქმაა: „თოკათი...ს, ამასია სვამპი“. მას შემდეგ  
რაც ამასის გასცდება, მდინარეს ჩარშანბას წყალს უწოდებენ. კიდევ  
მრავალ ქალაქსა და სოფელს გაივლის; ნათესებს, ბალ-ბოსტნებს მორ-  
წყავს და შავი ზღვის ნაპირას მდებარე სამსუნის ციხის აღმოსავლე-  
თით შავ ზღვაში ჩადის. მას დაბა ჩარშანბასთან მრავალი წყარო ერ-  
თვის. || მდინარე ქერქუქსაც (ქელქითი), რომელიც ნიქსარის ციხის ძი-  
რას გადის, ეს უზარმაზარი მდინარე ბოლაზესენში იქრთებს და შემ-  
დეგ სამსუნის ძირას შავ ზღვას უერთდება. ამ მდინარეზე სულთან  
ბაჟაზეთ [მეორე]-ველს დიდი ხიდია უდიდესი ხელოვნებით აშენებუ-  
ლი. ქალაქი ამასია მდინარის ორივე მხარეს არის კიბე-კიბედ შეფე-  
ნილი მთებსა და ფერდობებზე. ძალიან დიდი ქალაქია. მდინარე ქა-  
ლაქში სამხრეთიდან შემოდის, მრავალ ათას ბალ-ვენასს რწყავს. მრა-  
ვალ წყლის ჩარსს აბრუნებს და პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ მიემარ-  
თება. საერთოდ, ოსმალთა სახელმწიფოში განთქმულია ქალაქ ჰემას,  
ადანას და ამასისის წყალსაქაჩი ჩარხები.

ამგვარად, ამ მდინარის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად  
დაყოფილ ქალაქ ამასიაში 48 მუსლიმური და ხუთიც ქრისტიანთა  
უბანია. ხუთი თასამდე დიდი და პატარა კეთილმოწყობილი სახლი და  
სასახლეა. მათ შორის ფალიშაპებისათვის განკუთვნილი, ანუ სასულ-  
თნო სასახლე ორია. მდინარის პირას სამოთხის ბალის მსგავსი ვარდე-

ბიანი და სუმბულიანი, მრავალი მეფური დარბაზით გაწყობილი, ნაირ-ნაირი ჭიშის ხეხილით სავსე სამაგალითო სასახლეა. ერთი საგანგებო ბალის ოსტატი, ორმოცდაათამდე ყვითელჩაჩიანი მთოხნელი მებალე ჰყავს. ფაშის სასახლე მეპმედ-ფაშას ჭამეს გვერდითაა. შიდა ცახეში ყველაზე განთქმულია სულთან ბაჟაზეთის სასახლე, შამსი-ფაშას ქე აპმედ-ფაშას სასახლე, ხოგა აპმედ-ფაშას სასახლე. გელდიქ ქანლი ალი-ფაშის სასახლე. ყველა სასახლე კრამიტის სახურავიანია. ამთ გარდა, კიდევ ბევრი სასახლეა, მაგრამ გვეპატიება რომ ვერ აღვწერეთ, რადგანც უმნიშვნელო საგნების აღწერა და კითხვა სხვა არათერს იწვევს, გარდა მოწყენილობისა.

ამასის ჭამების შესახებ: სულ ორას ორმოცი მიპრაბია. პირველად — სულთან ბაჟაზეთ [მეორე]-ველის ჭამე. ეს ხანი უფლისწულობის დროს პირველად ტრაპიზონში იყო განმგებლად და მეორედ — ქალაქ ამასიაში. აქედან სტრმბოლში წავიდა და როდესაც მამამისი [სულთან] მეპმედ-ხან ფათიძა სკუტარის ახლოს მალთეფეში მოკვდა, დამოუკიდებელი ფალიშაპი გახდა. „ამასიაში ვბრძანებლობიო“ თქვა, ამასის მოსახლეობას მთელი ურთის გადასახადი აპატია და ეს ჭამე ააშენა. ფრიად შვენიერი ჭამეა. სიგრძე-სიგანით ას-ასი ნაბიჯია. მიპრაბი, მიმბარი და მუედინის გაღმოსადგომი დიდის ხელოვნებითაა ნაკეთები. ერთი ლურჯი გუმბათია, ||მაგრამ მაინც მაინც დიდი არაა. 187 ქედელ-კარის მხარეს, სხვა სულთნების ჭამების მსგავსად, კანდელებით გასაჩირალდნებელი სოფა აქვს. სარქმელებში გამანათებელი შეშებია. მისი თარიღია: „სასიხარულო შენობა. 893 (1488) წელი“. ორი მინარეთი აქვს და ერთი შიგნითა ჰარემი. ჰარემის გარშემო მოწყობილია მრავალი სოფა და ნაირ-ნაირი სვეტებიანი გუმბათები. შუაში ხელოვნებით ნაკეთები განბანვის აუზი აქვს. გარეთა ჰარემი დიდი სვეტებითა შემქული. მეტად დიდი ვაკულები აქვს. ციხის მხარეს სირიელების უბანში, მათ საცხოვრებლებთან ახლოს ქუჩუქ-აღას ჭამეა. გარმა, მდინარე ჩიქირიქის ზემოთ სამოთხის ბალის მსგავსი ბაჟაზეთ-ფაშას ჭამეა. ტყვიით დახურული, გუმბათიანი, ერთმინარეთიანია და თავიდან ბოლომდე ხამი მარმარილოთია მოგებული.

მეპმედ-ფაშას ჭამე: წყლის პირას ძევს. ქვითნაშენი, ტყვიით დახურული გუმბათიანია და ერთი მინარეთი აქვს. პიდირ ილიასის ჭამე ჰალპანეს უბანშია. დიდი ნაგებობაა და ტყვიის სახურავიანი გუმბათი აქვს. სასამართლოს [უბანის] ჭამე ყავრით არის დახურული. ამ ჭამეს სენაკებში ბევრი ნეშტი მთლიანად [შენახული] ტანით წევს კუბოებში. მინარეთი ხისაა. ფეთქიეს ჭამე ეკლესიიდან გადაკეთებული და უმინარეთოა. მორგოჩ-ფაშას ჭამე: — მისი აშენებელია ჩელები სულთან მეპმედ-ხანის ვეზირი. ცისფერი მედრესეს ჭამე ტყვიით არის დახუ-

რული და უმინარეთოა. ამათ გარდა, სხვა სამლოცველოებიც მეჩეთებად ითვლებიან.

ამასის მეჩეთების აღწერა: სარაჯების მეჩეთი, ბუჟუქ-აღას მეჩეთი, კილიქი მეჩეთი, კადიქ-ფრუსუს მეჩეთი, დირესუბნის მეჩეთი, ზემოთა ბაზრის მეჩეთი, საფარ-აღას მეჩეთი, ბედესთანის მეჩეთი, ჩოფლიგა მეჩეთი, მუსტაფა-ბეის მეჩეთი, კანლ-აღა-აღას მეჩეთი, ქვემო ბაზრის მეჩეთი, ყარიბების მეჩეთი, ჩუკურლარის მეჩეთი, ხოჯა-ზალეს მეჩეთი, ათ მეიდანის მეჩეთი, კანლ-ბაზარის მეჩეთი, ხაკაჭიქის მეჩეთი, ზემო მოედნის მეჩეთი, ქვემო მოედნის მეჩეთი. ამგვარად, ესენი ტყვიის სახურავიანი, სულთნების ჯამების მსგავსი მეჩეთებია, რომლიბსაც ჩაინ კიცნობთ და გვინახავს.

188 ამასის მედრეხების აღწერა: ათი წმინდა მედრესე. ე. ი. მეცნიერებათა [სასწავლებელი აქვს. მაგრამ მათ შორის ყველაზე დიდებული, შემკული და კეთილმოწყობილი სულთან ბააზეთ [მეორე]-ველის მედრესეა. სხვები: — მეჰმედ-ფაშას მედრესე, ყადის მედრესე, ცისფერი მედრესე, ბუჟუქ-აღას მედრესე — ტყვიის [სახურავიანი] შენობები და თუთის ხეებიანი მედრესებია. ყველა ესენიც სასწავლებულებია. არის ქუჩუქ-აღას მედრესე; ბააზეთ-ფაშას მედრესე და სხვები. ცხრა ყურანის საკითხავი სახლია. მხოლოდ ბააზეთ-ზანის ყურანის საკითხავ სახლში სამასზე მეტია ყურანის ზეპირად მცოდნე. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც დაახლოებული არიან ღმერთთან და სამოთხე აღთქმული აქვთ.

ერთი შემკული, დიდებული ჰადისების სახლი აქვს. ყრმათათვის ორასმდე სასწავლებელია. ამათ გარდა იმ უბნის მეჩეთებსაც, რომლებიც მე აქ აღწერე, ყველას აქვს თათო სასწავლებელი ყმაწვილებისათვის.

სახელოვან დერვიშთა სავანეების აღწერა: ორმოცამდე სავანეა მწირებისათვის. მათ შორის ყველაზე დიდებულია მევლანა ჯელალ ედ-დინ რუმბეს სავანე, რომელიც მევლევიელთა დერვიშების როვით შესასრულებელი ლოცვის სახლა. ხიდირ ელიასის სავანე, ცისფერი მედრესეს სავანე, ფირების სავანე, შამლარ სავანე, გოლაბი-ზალეს სავანე, მუფთი-ზალე აშმედ-ეფენდის სავანე, კაღრის სავანე კანლ-ბაზარში, კეთროვანთა [უბნის] სავანე და სხვა.

საქველმოქმედო შენობების აღწერა: ათი საქმელების დამრიგებელი სახლია. მათ შორის ყველაზე დიდებულია სულთან ბააზეთ [მეორე]-ველის საქველმოქმედო სასაღილო, საღაც ყველდღიურად უკლებლივა უხვი წყალობა ყველა ღარიბისათვის. მევლევიელთა სახლის საქველმოქმედო დაწესებულებაში თავისი დერვიშების გარდა სხვა მწირებსაც უხვად ამწყალობებენ. აქ არის ფირ ელიას-დედეს, მეჰმედ-

ფაშის, ურგოჩ-ფაშას და გოქ-ხათუნიეს, ჩობლის საქველმოქმედო შენობები.

ქარვასლების აღწერა: სულთან ბახაზეთ-ველის ქარვასლა — თაჯ-ხანე ხალასი ტყვიით არის გადახურული, ბაიაზეთ-ფაშას ქარვასლა — თაბ-ხანე ტყვიისსახურავიანია. ბაირამ-ფაშას თაბ-ხანე ქარვასლა — მისი ამშენებელია [სულთან] მურად მეოთხის ერთ-ერთი ვეზირი და ტყვიისსახურავიანია. ჩოცლიყას თაბ-ხანე ქარვასლა კრამიტითა და-ხურული. ცისფერი მეღრესეს თაბ-ხანე ქარვასლა ურგოჩ-ფაშასია. „დოლრუ ოთურ“-ის ქარვასლა. ყველგან უხვიდაა წყალობა.

დიდვაჭართა ფუნდუკების აღწერა: ციხის მსგავსი, ცისფერი ტყვიით დახურული, რკინის კარიანებია. სარი მეშედ-აღას ფუნდუკი ტყვიისსახურავიანია; არის სულთან ბახაზეთის ფუნდუკი || 189 ურგოჩ-ფაშას, ბახაზეთ-ფაშას, ხოგა მეშედის ფუნდუკები. ყაფანის ფუნდუკ-ში სასწორია. რიცვან-აღას ფუნდუკისა და მეშედ-ფაშას ფუნდუკის სიახლოვეს მდებარე დიდი თიმარ-ხანე ძველი აშენებულია

მარტოხელათა ფუნდუკის აღწერა: უცოლშვილოთა და უცხოელ-თავის ოთახებია. ამათ თავიანთი მექარები და ოთახების ზედამხედ-ველები ჰყავთ. ყოველლამ, ვახშმობის შემდეგ, ღოლს დაუკრავენ და კარი იყეტება. დაგვიანებულები ველაზ შევლენ. შესული კი, რაც არ უნდა გაუჭირდეს, ძალიანაც რომ სტკიოდეს გული, გარეთ ვერ გა-მოვა. როგორც კი ინათებს, კარი იღება, იქ მყოფი სამუშაოშე ან დუქანში მიღიან და თავის საქმეს მიხედავენ. დაცული ადგილებია.

აბანოების აღწერა: საზღვროლუს აბანო. კუმაჩიქის აბანო, რო-მელიც ბახაზეთ-ფაშას [მეჩეთის] ახლოსაა; მეშედ-ფაშას ჯამეს გვერ-დით — მუსტაფა-ფაშას აბანო; პუნქარსარაის ახლოს — სასახლის აბა-ნო; აღჩაკ ხილის თავში, წყლის პირას — ალაგა (ჭრელი). აბანო; პაგი-ზადეს ახლოს — ჩარდახიანი აბანო; ფეთიქეს ჯამეს ახლოს — ყადის აბანო; სულთან ბახაზეთის აბანო; ურგოჩ-ფაშას აბანო; კანლიბაზა-რის აბანო. გაღმა ციხეში ოთხი აბანოა; ორი მათგანი უბრალო აბა-ნოებია, დანარჩენი კი ორგანყოფილებიანი. მოედნის უბანშეც ორი აბანოა, რომელთაგან ერთი ორგანყოფილებიანია!

სავაჭრო რიგი და ბაზარი: ასსამოცამდე ნაირ-ნაირი სახელოსნოა და ათას სამოცი დუქანი. მისი სავაჭრო რიგების უმეტესობა ბრუსას ბაზარიებით მტკიცე ქვის შენობებია. ციხის მსგავსი, გუმბათებით შემ-კული, ოთხი რკინის კარიანი დახურული ბაზარი ბაზაზეთ-ხანის ჯამეს მხარესაა.

უბნები: ორმოცდარვაა. ციხის მხარეს არის შამლარის უბანი; გაღმა ქალაქის მხარეს — ბაზაზეთ-ფაშას უბანი; მეშედ-ფაშას უბა-ნი; სასახლისა და სივაჭე უბნის მოსახლეობა სომხებია; სუფიების

უბანი; ჩოფლიგა უბანი; ციხის ძირას — სარგიზას უბანი; ხევისა და ყაღის ხილის უბანი; ოქმენას უბანი; კილიგის უბანი; დაკაჯიქის უბანი; კანლი-ფაზარის უბანი და სხვ.

ჭარჩინებულების, დიდყაცებისა და დიდებულების ქება: ჩვენი აქაური კეთილისმყოფელია ჰავი-ფაშა ზადე. ბექირბეი, ქეთხუდა კულ-ოლლუ მეჰმედ-აღა, ღაზანფერ-აღა ფერუჯ-აღა, ბაკი-ფაშა ზადე რიდგან-აღა, ჩერქეს აღი-აღა, ქაფირ მურად-აღა, ჰელვაზი მეჰმედ-აღა, გურჯ ალ-ბეი, მისი ძმა დელი ჯუსუფ-აღა, ყადი ზადე მეჰმედ-აღა, გურჯ ალ-ბეი. ყველანი ფაშობის ღირსი აღები არიან.

ქალაქის მცხოვრებლების გარევნობისა და საქმიანობის აღწერა: რაღგანაც მთელი მოსახლეობა ქამა-სმისა და გართობის მოყვარულია, სახე მუდამ წითლად უღულავებთ. მისი მცხოვრებლების ერთი ნაწილია ფაშა და ბეგი, ზაიმები, თიმარის მფლობელები და სამსახურის ხალხი. ერთი ნაწილიც — ულუმები და ყალიები, შეიძები, — რომლებიც ულუფას იღებენ, იმამები და ხათიები, ყურანის მკითხველები, ვაჭრები და მათი ნოქრები, ხელოსნები და ხელობის ხალხი.

ქალაქის მცხოვრებლების ენისა და ტანსაცმლის აღწერა: ძალიან ბევრია განათლებული და გონებამახვილი. მცემულმეტყველურად და ენამზიანად საუბრობენ. სხვა მცხოვრებლები თავის განსაკუთრებულ კილოვავზე ლაპარაკობენ. თუმცა სიასაცურმოვლებული შალის ფარაგიანი ჭარჩინებულებიც არიან, საშუალო შეძლებისანი ტილოს ქსოვილს იცვამენ.

მათი ქალების სინორჩე, სილამაზე და სანდომიანობა შშვენიერი და ზომიერია. მათი სიტყვები გამოზომილია, კბილები — დამალული მარგალიტები. ფრიად კდემამოსილნი, ზრდილნი არიან და ჩაღრებში გახვეული დაიარებიან.

საქმელ-სასმელის შესახებ: კალილეს ნაპიედან მოდის ხორბალი „აქლემის კბილი“. ისეთი თეთრი და წმინდა ლავაში, [მრგვალი პური] ქირდე ჩაკილი გამოდის, რომ აღამიანის სახის ფერს სარკესავით გაჩვენებს. ორმოც ჯიშის მსხალა, ლალისფერი ბალი, შვიდი ჯიშის წვნიანი ყურძენი, თუთა და შვიდი ჯიშის კომში მოდის. აქაური კომშის მწნოლის მსგავსი დედამიწის ზურგზე არაა — ფაღიშაპს ძღვნალ მისდის. სასმელებიდან მუშკ-ამბრიანი ბაქმაზის შარბათი. და კომშის მწნილს შარბათი კეთდება ისეთი, პაპანაქება სიცხეში და აბანოს ბულში მარგებელია. ქეჩაში გაწურული დილიორანის ყურძნის სასმელი „შირა“ მუქი ლალისფერი და ძალის მომცემია. თუთის ბაღაგი და მდოგვით შენელებული სასმელი, შარბათი „მოლდუკლუ“. საჩუქრების საჭირი მიდის ირანშიც კი. თეთრი, გემრიელი შარბათებია.

**ხელოსნობა:** ხელოსნების ყოველ მქარში ბევრია ღახელოვნებული, მაგრამ ყველაზე მეტად მქერავები, ე. ი. ორქები და ბამბის მპენტავები არიან ცნობილი. ბამბის მპენტავები თავის მშვილდს ხელში რომ აიღებენ, გამართავენ და ოცდაოთხნაირი წესით დაკრავენ, აღამიანი განციფრდება.

მათი დაღაქები და მეპალვები ფრიად განთქმულნი და ღახელოვნებულნი არიან.

|| წარსულის საარაკო ძეგლები: თურმე, ამაღევი ხალხის ღროს 191 მდინარე თუზინლი ამ ქალაქის შუაგულში არ გადიოდა. ვინმე თარ-ჰადი შირინად წოდებულ ქალიშვილს სატრფოდ გახდომია და მისი სიყვარულით ეს მდინარე ქალაქში გადმოუგდია. ამიტომ უწოდებენ მის მთებს ფარჰადის მთას. ფარჰადის წერაქების კვალი ცხადად ჩანს ქალაქის დასავლეთით მდებარე კლდეებზე. ქალაქის ყველა წყარო იმ კლდეებიდან მოღის და იქ სიძველის ხევრი ძეგლია.

წყლისა და ჰაერის სიმშვენიერე: რადგანაც ქალაქი მეხუთე სარ-ტყელში მდებარეობს, მდინარის პირას, ხევებიან და გორაქებიან ადგილებში, მისი ჰაერი იძღვნად ზომერია, რომ ორთავ მხარეს მდებარე მთები მთლიანად ბალვენასია. მოსავლანი მიწებია. სახლების სარ-ქმლები დასავლეთისა და ჩრდილოეთისაკენა მიქცეული. ზამთარი სასტაჟი იცის. რაც შეეხება წყლებს, ისინი [ქალაქის] უკან მდებარე ფარ-ჰადის მთიდან მოედინებიან. უკვდავების წყალი. ყველაზე ოდრინ-დელია სოფტ ფინარი. ეს წყალი სახლიდან სახლში ნაწილდება და ასე უვლის ქალაქს.

გასართობი და სასეირნო აღგილება: სამოცდაათამდე სასეირნო ადგილი აქვს. მათ შორის ყველაზე განთქმულია კანლი ფინარი, სადაც ერთ ჯადოქარ დედაბერს, საზიზღარ წყეულს ფარჰადისათვის უთქვამს: „შირინი მოკვდა, რაღას ჩალიჩომ?“ და შირინის სულის მოსახლე-ნებლად ნაკურთხი ლუქმა მიუკია. ფარჰადისაც მაშინვე ჰაერშიც აუსკრია წერაქევი, თავი შეუშვერია, წერაქევით მიყენებული ჭრილობით მომკვდარა და ასე ვერ შეერთებია შირინს. ამიტომ უწოდებენ ამ ადგილს კანლი ფინარს<sup>2</sup>.

### LIII

სულთნიბისა და დიდაცების სალოცავი აღგილების აღწმია

ოსმალთა საგვარეულოს უფლისწულების სალოცავი აღგილი: მუსლიმური სალოცავი აღგილის მხარეს, კიბრისებს შორის არიან დამარხული, მაგრამ მათი წმინდა სახელები ჩემთვის ცნობილი არაა.

საიდუმლოების შზე, შეიხი ზაქარია პელვეონი: წმინდა ფირ ელი-ასის მთავარი მოადგილეა. დასაფლავებულია ამასიაში, წმინდა ფირ ელიასის აკლდამის სიახლოეს, სარაჭების არემარეზე. დიდთა და მდა-ბიოთა სალოცავი ადგილია.

სულთანი საჩრმუნებისა, სიმურღისებურად წინასწარმეტყველი 192 სინამდვილისა, წმინდა შეიხი აბდ ურ-რაჰმან პუსამ ედ-დინი: || ფრიად განთქმულია „გუმუშლუშ-ზადეს“ სახელით წმინდა ფირი ელიასის ქა-ლის შვილია. დერვიშთა ალქურვილობა ჩააცვა შეიხმა ზაქარია პელ-ვეთომ. განსვენებული შეიხის შემდეგ ის გახდა სალოცავ ხალჩაზე მჯდომი მოძღვარი. ძალიან ბევრი გადმოცემაა მისი სასწაულების შესა-ხებ. ასეთი რამეც კი: სულთან მურად მეორის სამი უფლისწული ამ წმინდანის პატიოსან ხელზე სამთხვეველად მოსულა. მაშინ, როდესაც პირველი ორი უფლისწული მის მადლიან ხელებს ეამბორებოდა, უფ-ლისწული მეპმედი ფეხებში ჩაეარდნა და ფეხზე კოცნით ძლიერ შე-ვედრებია. შეიხსაც კისრიდან მოუხსნია ყელსაბამი, მეპმედისათვის შეუბამს კისერზე და უბრძანებია: „კონსტანტინეპოლში მუსლიმთა საქმეებს კარგად ემსახურეო“. ღვთის განგებით, ოცე წლის შემდეგ მეპმედ-ხანი კონსტანტინეპოლის დამპყრობი გახდა. ამ წმინდან [შეიხს] ღმერთის სიყვარულის გამომხატველი და სუფიური, ურიცხვი მეპ-მეტყველური ლექსი აქვს. მისი მეტსახელია პუსამი. მისი სინათლით სავსე აკლდამა მდებარეობს ამასიაში, ფირ ელიასის აკლდამის ახლოს, იაკუბ-ფაშას სავანეში — წმინდა ცყოს [ალაშმა] მისი საიდუმლო.

მოლა კასიმ ხათიძ ბენ იაკუბი: მისი დაბადების ადგილი ამასია. ზედმიწევნით, ზღვა ცოდნის აღამიანი იყო. ამასიაშივეა დასაფლავე-ბული.

მოლა ალ ედ-დინ ელიქანი: ამასიელია და ამასიაშია დასაფლავე-ბული. მისი სიკვდილის თარიღია: „გაემგზავრა ნეტარი“ 1018 (1609—1610) წელი.

მოლა აბდ ალ-ჭაბარ აჭემი: ბალხელია. უფლისწულების აკლდამის სიახლოესაა დაკრძალული. შესანიშნავი მცირენე იყო.

მოლა აბდ ურ-რაჰმან ბენ ალი მუვეიდი: ამასიელია. ამასიაშია დაკრძალული; მისი გარდაცვალების თარიღია: „უთხარ მას, ვინც მო-ნახულებს, თარიღი მისი გამგზავრებისა [და] აღგილსამყოფელი შემ-წესი, ნეტარისა და ღვთისნიერისა“.

პოეტთაგან გამორჩეული მუნირი ეფენდი: ამასიელა. ამასიაშია დაკრძალული. მშვენიერი ლექსები აქვს არაბული, სპარსული და თურ-ქული. ლექსების უმეტესობა კაფიად აქვს გამოთხშული. ამასიას შბრძა-ნებლის, სულთან აპმედ-ხანის ვეზირთაგანია.

ნიჭიერი პოეტი, მიპრი მავ ხათუნი! : წმინდა ფირი ელიასის შთა-  
მომავალი, უმანკო ხათუნი ყოფილა. სამოცდაათი ტომი მნიშვნელო-  
ვანი წიგნი ახსოვდა ზეპირად. ყველა ულემა ცოდნასა და მეცნიერულ  
პაექტობაში დაუმარცხებია. რაღანაც მისი სახელი „მიპრი მაჲ“ არის,  
სამწერლობო მეტსახელად დაირქვა მიპრი. მას აქვს საუცხოოდ, ენა-  
წყლიანად შესრულებული, ანბანზე შეწყობილი ბრწყინვალე დივანი,  
რომელშიც მშვენივრად და სიტყვაკაზმულად არის წარმოდგენილი  
||სარწმუნოებრივი წესებისა და ვალდებულებების საკითხები: გალექ- 193  
სილი რისალებიც აქვს. ჯერ არნაულთ თვისებებით აღჭურვილი,  
რჩეული და გამოჩინებული, ჯერ კიდევ გაუფურჩქავი პოეტი იყო,  
როდესაც სამოთხის ბალისავენ გაემგზავრა. თავისი წმინდა პაპის —  
ფირ ელიასის აკლდამაში განისვენებს.

წმინდანთა შორის უწმინდესი, რჩეულთა შორის რჩეული შეიხი  
ფირ ელიასი: ამასიელია. სულთან ილდირიმ ბახჩეთ-ხანის შეიხთაგა-  
ნია. თემურ [ლენგს] ესაუბრა და თვით შირვანამდე გაპყვა. შემდეგ  
ისევ ამასიაში დაბრუნდა და რომ გარდაიცვალა, დიდებულ აკლდა-  
მაში დამარხეს. ამასის მახლობლად მდებარეობს მაღალ ადგილზე,  
საიდანაც მოელი ქვეყნიერება მოჩანს და ეწოდება სევადიე. ძალიან  
ბევრ სასწაულთმოქმედებას მიაწერენ. მათ შორის: — როდესაც გარ-  
დაიცვალა და მიცვალებულების განმბანველი სხეულს პბანდა, თანა-  
შირი<sup>2</sup> მრუდედ დადგა. წმინდანმა თავისი პატიოსანი ხელით გაისწო-  
რა. მისი საფლავი ჰაჯიების სალოცავი ადგილია. მისი აკლდამა და სა-  
ქველმოქმედო ნაგებობა სულთან ილდირიმ ბახჩეთ-ხანის აშენებუ-  
ლია. ასობით თავშიშველი და ფეხშეველი დერგიში ჰყავს. რაღგანაც  
ბევრი ვაკუფი აქვს, უხვად ამწყალობლებს გამვლელ-გამომვლელს. რო-  
დესაც მე, მწირს, მეღირსა მომელოცა მისი წმინდა საფლავი, მისი სუ-  
ლის მოსახსენებლად ყურანის ღალადით კითხვა დავიწყე. მისი აკლდა-  
მის კედელზე შემდეგი ბეითებია ქალაღდზე დაწერილი:

„ალი! ნუ გარიყავ შენს მონას!  
შენი სავანის სამოზია ის ამ ქვეყნად.  
ჰორ, წმინდა ელია! მფარეველად მოვლინე მას  
შენი შემწეობით მის ბედიერებას საფუძველი დაუდე“.

კილიჩ არსლან სულთანი<sup>3</sup>: სელჩუკი სულთანი იყო და ამასიაშია  
დამარხული სურნელოვან მიწაში. ფარპალის სალოცავი: ამალეკების  
ტომიდან არის, ამბობენ, მაგრამ ამასიელები დაობენ, რომ ისლამი  
მიღებული ჰქონდა და ისე გარდაიცვალა. ამასის სამხრეთით, მაღა-  
ლი მთის მწვერვალზეა დაკრძალული ის ჭალო ქალი, რომელმაც უთხრა  
„შირინი მოკვდაო“ და ფარპალის თავი მოაკვლევინა. ფარპალისა და

შირინს შორისაა დასაფლავებული. საოცარი ის არის, რომ ფართადი-  
სა და შირინის გულებზე ორი დიღრონი ვარდია ამოსული. როდესაც  
ერთმანეთს შემოქმევიან, ამ ჯალი ქალის გულზე ამოსული კვრინჩხის  
ეკლები მათ შორის ეჩხირება და ერთმანეთს აცილებს. საკირველი  
იდუმალებაა. სააქაოსაც და საიქიოსაც შეხვედრის ხელისშემშლელი  
ეშმაკია.

ამ სალოცავი ადგილების გარდა ამასიაში კიდევ მრავალი დიდი  
წმინდანია [დასაფლავებული]. მაგრამ, რაც მე მოვილოცე და მოვინა-  
ხულე — ესენია. ყველა მათგანის სულისათვის ყურანის თითო წმინდა  
„დასინი“ წავიკითხე. მათ სულისტობას შემწეობა ვთხოვე და გული  
გამეხსნა.

194 ॥ ჩვენი აქ ყოფნის მესამე დღეს გამგზავრების საყვირებმა დაუქრეს  
და ყველა გულითად მეგობარს გამოვემშვიდობეთ. იმ დღეს ჭენგელ-  
ლი ბელიძე<sup>4</sup> წოდებულ მოებსა და ტყეებში შიშისმომგრძელი, სახიფა-  
თო ადგილები გავიარეთ და 6 საათში მივაღწიეთ კანლი ფინარის სად-  
გურს. რისთვის უწოდეს მას კანლი ფინარი (სისხლიანი წყარო), უკვე  
ვთქვი. სახეირნო და საბალახო ადგილია. ერთი წყარო აქვს, უკვდავე-  
ბის წყაროს ჰგავს. ჩვენი ცხენები ამ სიხარულის მომნიშებელ მდე-  
ლოიან ადგილას დავაბით და კარვები დავდგით. რამაზანი იყო. გარ-  
შემო სოფლებიდან სურსათი მოვიდა. ერთი ღამე იქ ვისამოვნეთ.

დილადრიან დავიძძირით, ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ 7 საათი  
და სოფელ იზილში მივედით. ნაპიეს [მთავარი] დაბაა ამასის მიწაზე.  
სამასკომლიანი გაშენებული ადგილია ბაღ-ვენახით, ჭამეთი, მეჩეთით,  
ფუნდუკით, აბანოთი, მცირე ბაზრით. აქაც მდელოებიან ადგილზე გავ-  
ჩერდით. მეორე დღეს დავიძძირით და 8 საათში დაბა ნიქსარში მივედით.

## LIV

ალწორა დანიშმდიანთა პმზიღისგან ჩალაპისა — ნიქსარის  
შტატი დიდისა

მისი პირველი ამშენებელი ბიზანტიის კეისარია. შემდეგ დანიშ-  
მენდიანმა მელექ-ყაზიმ 476 (1083—1084) წელს დიდი ბრძოლით წა-  
ართვა ბიზანტიელებს და დანიშმენდიანთა საგვარეულოსათვის პირ-  
ველ სატახტო ქალაქად აქცია. შემდეგ ამასია დაიპყრეს. ამ ორ ციხე-  
ზე სელჩუქებსაც რჩებოდათ ოვალი და ოუმცა ბევრჯერ შემოარტყეს  
ალყა, გაწმილებული და. ხელმოცარულნი გაბრუნდნენ. ამ „ნიქსა-  
რის“ სწორი გამოთქმა „ნიქ პისარი“, ე. ი. კარგი ციხე-სიმაგრე. გავრ-  
ცელებული სახელია „ნიქსარი“, — შემოკლებას დაუმახინჯებია.

ციხე ციცაბოკულდოვან აღგილზეა. ქვით მტკიცედ ნაგები და ფრია-  
ად ძლიერი ციხეა. მისი გარშემოწერილობა ხუთას სამოცი ნაბიჯია.  
ექვსკუთხა მოყვანილობის ძველი ციხეა. აქა-იქ გამონგრეული აღგი-  
ლები და სულ სამი კარი აქვს — აღმოსავლეთით, დასავლეთითა და  
სამხრეთით. აქ არის ცხელი წყარო, ჰია; ციხეშია სამასამდე სახლი და  
ამბარი, ერთი ჭაბახანა, ეკლესიიდან გადაკეთებული ჭამე. რადგანაც  
მეციხოვნები ციხეში ცხოვრობენ და შიდა ქვეყანაა, მათი რიცხვი  
მცირეა.

მაგრამ ჭემალიებისა და ჭელალიების შიშით ციხის||კარს მუდამ 195  
დაზარდებენ. [ციხის] ქვედა გარეუბანი დიდი ქალაქია, თუმცა, ქუჩები  
ვიწრო აქვს. რადგანაც აღმართ-დაღმართებია, ცხენოსანი კაცი ბაზარ-  
ზე ძნელად გაივლის; შეუძლებელია ბაზარში ურმით შესვლა.

ეს ქალაქი სივასის ველაიეთში შედის და ვილაიეთის ფაშის სამე-  
უფო სახასოა; სახუბაშია საალრიცხვო განყოფილებით და შემოსავა-  
ლი შვიდი ქისაა. ასორმოცდაათახინი ყაზაა. თორმეტი ნაპირი აქვს. ამ  
ნაპიერიდან ყადის ოთხი ქისა აქვს წლიური შემოსავალი და სუბა-  
შის — შვიდი ქისა. მუფთი, საჩდალი, ქეთხუდა-ერი, წარჩინებულე-  
ბი ჰყავს. წარჩინებულთაგან ვარდარ აღი-ფაშას დივანის უფროსს, ნიქ-  
საჩელ ჰალილ-ეფენდის დიდი სასახლე აუშენებია, კაი გვარიშვილი და  
კეთილშობილი კაცია. ქალაქში სულ ორმოცდასამი უბანი და სამოცი  
მიპრაბია. მათგან ცხრა საპარასეკვო ჭამეა; ციხის ჭამე ძველად ეკლე-  
სია ყოფილა. მცირე და ძველი ჭამეა. მელექ-ყაზის ჭამეში ჩადიან ქვეს  
ხუთი-ექვსი საფეხურიანი კიბით. წაგრძელებული ძველი ჭამეა, რო-  
მელიც ციხის დაბპყრობელს განეკუთვნება. მაგრამ ისეთი თანაზო-  
მიერი, მაღალი და კოხტა აგურის მინარეთი აქვს, რომ ამბობენ, მისი  
მსგავსი ქვეყნიერებაზე არ მოიპოვებაო. მინარეთის აიგანს შემოვლე-  
ბული აქვს რეინის მოაგირი. ჩილეხანეს ჭამე კრამიტით დახურული  
ძველებური ყაიდის ჭამეა. ქალაქის დასავლეთ კიდეზე, სულ ბოლოს,  
ჭევრექის დიდი ჭამე ძველი ნაშენია და კრამიტითა დახურული. ციხის  
გარეთ მდებარე ხალილ-ეფენდის ჭამე ეხლახან აშენებული, კრამიტით  
დახურული, ხელოვნებით ნაგები ჭამეა. მუტთის ჭამე ძველი ყაიდისაა  
და ისიც ქალაქგარეთაა. ჭამები, რომლებიც მე ვნახე, ეს არის. კიდევ  
სხვა, ძველი აშენებული მეჩეთებიცაა. ქალაქი შედგება ორი ათას შეი-  
დას სახლისაგან, რომლებიც ხევან, გორაკიან, ქვიან აღგილებზეა  
კიბე-კიბე აშენებული. ძველი ნაშენი, კრამიტიანი, ბანიანი, კეთილ-  
მოწყობილი და შემკული სახლებია. სამი აბანო აქვს. ციხეში არის  
მუტთის აბანო; ჩილეხანეს აბანო ციხის გარეთ არის — ბაზარში. ცი-  
ხის გარეთაა, აგრეთვე, ქაფირების აბანო. ამ ქალაქს ერთი კარგი ჩვეუ-  
ლება აქვს, რომლის მიხედვითაც, ურჯულოებს მუსლიმთა აბანოში!

არ შეესვლებათ. ამას გარდა, ორმოცდახუთი სასახლის აბანოა, რომ-ლებშიც ხანდახან უბნის მცხოვრებლები დადიან.

ნიქსარის ცხელი წყაროების აღწერა: სამხრეთით, ქალაქგარეთ, 196 საკმაოდ მოშორებით ||პატარა შენობიანი ცხელი წყაროა. წყალა ფრიად მარგებელია. ქვეყნის ყველა ბავშვი და ქალი თავის ტანისამოსს ამ წყლით ჩეცხავს. ფრიად მშვენიერი და გემრიელი წყალია, მაგრამ გო-გირდის სუნი ასდის და ადამიანის სხეულზე ზეთივით სრიალებს. რად-განაც რგებს კეთრს, ქეცს, ნიკრისს და მუნს, ივლისში გარეშემო ქა-ლაქებიდან მრავალი ათასი ოჯახის პატრონი მოდის, სამკურნალოდ იბანს ტანს, წყალს სვამს და სამშობლოში ბრუნდება. მთელ ვევყნიერე-ბაზე განთქმული, მშვენიერი ცხელი წყაროა. მეღრესე, პალისების სა-კითხევი სახლი, ყურანის საეკითხევი სახლი და განსაკუთრებული შე-ნობები ქალაქს არა აქვს, მაგრამ სამოცდათამდე საყმაწვილო სასწავ-ლებელია. მთელი მოსახლეობა თავისი ბუნებით მორჩილება, კეთილ-შობილი და ცხოვრების სწორი გზით მიმავალი. მშვიდი სავანეა. ყვე-ლაზე მეტად ცნობილია ჩურქექი ბუჟუქისა და ელიას-დედეს სავა-ნეები. წყაროები, სებილები და გამდინარე წყაროები მრავალი აქვს. ქალაქის წყალი ქუჩებზე მიედინება და დაბახანაში ჩადის. აქ დაბალე-ბის თრიმლის გამოსახდელ წისქვილებს აბრუნებს. ქალაქში სამოცდა-ათზე მეტია თრიმლის გამოსაყვანი წყლის წისქვილი, ხუთასი დუქანი და სხვადასხვა სახელოსნოა. ეს კია, რომ მის დახურულ ბაზარს არ ვიცნობ. ციხიდან დაღმა, მეჩექმეთა [რიგზე] გამავალი სწორი და ვწი-რო ქუჩის ორივე მხარეზე სულ დუქნებია. შარაგზები სულ მოკირ-წყლულია. რადგანაც მშვენიერი ჰავაა, აქაურებს სახე ულავლავებთ. ხალისიანი თურქები არიან. უცხო ადამიანის ფრიად პატივისმცემელი, კეთილი გვლის ადამიანები არიან. სანაქებო საჭმელ-სასმელი იციან. ბალ-ვენახი მის ყოველ მხარეს ამჟობს. ისეთი მსხვილი ბროჭული მო-დის, ერთი ოყა და ხუთასი დირქემი გამოვა წონით; თითო მარცვალი ჟინდის ნაყოფის სიმსხოა. კარგია აქაური ყველი, გუფთა და ბასტურ-მა. მის მინდვრებზე ბევრია ბრინჯის ყანა და ძალზე კარგი ბრინჯიც მოდის. ციხის ჩრდილო მხარე შევი ზღვის ნაპირიდან ორი დღის სა-ვალზეა დაშორებული.

ნიქსარის წმინდა ადგილების აღწერა: ნიქსარის დამპყრობი, მისი უწმინდესობა მელექ-ყაზი იბნ დანიშმენდი ციხის კართან მარხია. მის წმინდა საფლავს პატივს სცემენ და ამჟამად იგი სალოცავი აღგილია — ალაპმა აცხონოს იგი.

197 ჩურქექი ბუჟუქ სულთანი: გამეს ახლოს მარხია ქრთ მაღალ აკ-დამაში, რომელიც ბრწყინვალე საფლავია. პუმაშ-სულთანი: გააპატი-ოსნოს ამ წმინდანის საიდუმლო ალაპმა — დიდი წმინდანია.

აქედან ისევ აღმოსავლეთისაკენ. წავედით, გადავიარეთ მთები და ტყეები და 6 საათში სოფელ ბაშ-ჩიფლიქის სადგურში მოვედით. აქ დასრულდა სივასის ვილაიეთი. ამას იქით არზრუმის ვილაიეთია. ეს სოფელი .საზღვარზე მდებარეობს. ორასკომლიანი სოჭხური სოფელია. ზეამეთია. აქედან დილაადრიან გავედით და როგორც კი ფეხი შევდგით არზრუმის ვალაიეთის ესქეფსერის ყაზაში, მაშინვე თრას შეიდი სამსხვერპლო დაკლეს და ისე მოვიდნენ ჩვენ შესახვედრად კველანი: არზრუმის წარჩინებული ჩაუშების ქეთხუდა, დავთრის ემინი, ჩაუშების ემინი, თიმარების დავთარდარი და დივანის სხვა წევრები. თოთოეულმა მათგანმა ძვირფასი თვალმარგალიტა და ჭურჭელი მოიტანა საჩურჩალ.

ბოლოს, ჩვენს მაღალლირსეულ ფაშასთან ერთად არზრუმის ვილაიეთში შევედით. დიდი წვალებით გავიარეთ ხეობა, რომელსაც ესქეფსერი ეწოდება და 3 საათში სოფელ შაპთაში მოვედით. ესქეფსერის ნაპირში შედის და ორასკომლიანი სოჭხური სოფელია. ზეამეთია.

სკუტარიდან აქამდე სულ აღმა ვიარეთ აღმოსავლეთისაკენ. კველა მტინარე იმ მხრიდან მოედინებოდა და თოკათისა და ოსმანგიჯისაკენ, ე. ი. დასავლეთისაკენ მიდიოდა. აქედანაც ყველაფერი მოჩანს, რაც რამ არზრუმის მხარეს მაღალია და მიწის ზედაპირზე ამოზილულა. ამ სოფელ შაპთადან წავედით, ახლა კი ჩვენი ვილაიეთიაო, ვთქვით და დავთვალიერებას შევუდექით. სოფლები, დაბები და ქალაქები მოვიარეთ და დავთვალიერებოთ. ხან აღმოსავლეთისაკენ ვიარეთ, ხან დასავლეთისაკენ, ხან სამხრეთისაკენ და ხან ჩრდილოეთისაკენ.

აქედან 4 საათი კეთილმოწყობილ სოფლებზე ვიარეთ. სოფელი თექიე მდებარეობს დაბა ესქეფსერის მიწაზე. საზეამეთო სოფელია ასი კომლითა და ერთი ჯამეთი. თუმცა წმინდა საფლავი აქვს, მაგრამ ჩვენთვის უცნობია. აქედან 5 საათში მოსავლიანი სათესეველები გავიარეთ და სოფელ ჩავდარის სადგურში მოვედით. აქაურობა კომულ-პისარის ყაზას ექვემდებარება. ასკომლიანი, გაშენებული სოფელია. აქედან 5 საათი ვიარეთ და მივაღწიეთ კომულ-პისარის ციხეს.

||კომულ-პისარის ციხე: უზუნ ჰასანმა ააშენა [სულთან] მეჰმედ 198 ფათიძის შიშით. მაგრამ შემდეგ [მაინც] დაიბყრო მეჰმედ ფათიძმა. იგი არზრუმის ვილაიეთში, შიბინ ყარა-პისარის სანგაყის მიწაზე, ნაპირ და ასორმოცდათახიანი ყაზა. მისი ციხე ციცაბო კლდეზეა ქვით აშენებული; ოთხეუთხა, კოხტა ციხეა. მისი გარშემოწერილობა ათას სამასი ნაბიჯია. შიგაა ასი სახლი, საწყობები, ამბრები, ჯაბახანა, წყალ-სატევები. სამხრეთით ერთი რკინით მოჭედილი კარი აქვს. ციხისთავი და სამოცდათი მეციხოვნე ჰყავს. ციხის გარეთ ასსახლიანი გარეუბანი, ერთი ჯამე და რამდენიმე დუქანია. ჩვენ რომ მივედით, ციხიდან ჩვიდ-

მეტი ზარბაზანი გავრჩდა და შედლუხი ატყდა. ციხის მოსახლეობა საჩუქრებით მოვიდა და ფაშას სიხარულით შეხვდა. ვეზირი ფაშის თვალშინ ათი ცხვარი დაკლეს მსხვერპლად, ათ-ათი ალთუნი წყალობა მიიღეს და წავიდნენ. ამ ციხეს ჩრდილოეთით, ორი გადასარბენის მანძილზე, ზღვისპირას მდებარე ფერშამბა (სახუთშაბათო) ბაზარი აქვს. ქვეითი კაცი ერთ დღეში ჩადის ერთხელ, სულთან აჰმედ-ხანის დროს, ოჩაკოვის კაზაკები შავი ზღვით გამოვიდნენ, მთები გაღმოლახეს, ამ ციხის არემარე დარბისეს, გაძარცვეს და გაიქცნენ. ჩაღვანაც ციხე ზეგანზე მდებარეობს, ჰავა მშვენიერია. ბალ-ვენახი აქვთ, მთებზე სკებით ფუტკარი ჰყავთ და მუშკისა და ამბრის სურნელებიანი თაფლი გამოდის. კომულ-ჰისარის თაფლი საქეყნოდ განთქმულია. მოსახლეობა მეგმბოხე და ურჩია.

აქედან ვიარეთ, უფსკრულით ძირს დავეშვით, ჩავედით და მას შემდეგ, რაც 7 საათი ვიარეთ მდინარე ქერქუქის (ქელქითის) ნაპირების ხევებსა და გორებზე, სოფელ დოირანის საღვრუს მივაღწიეთ.

ეს მდინარე სათავეს იღებს ქერქუქის მთებში; მას კომულ-ჰისარის მთებიდანაც ერთვის მრავალი მდინარე, დაბლა ეშვება და ჩარშამბა (საოთხშაბათო) ბაზრის ქვემოთ ბოლაზ ქესენში ერთვის ჩარშამბას წყალს, რომელიც წარმოშობილია ამასიდან გამოსული ზევზანლისა და „ჩიკრიკ“, ან „ჩიქრიქ“ მდინარეების შეერთების შედეგად. იქიდან კი შავ ზღვაში ჩადის. ეს მდინარე ქერქუქი უკვდავების წყალივითა იმიტომ, რომ მისი სათავე დიდ მთებშია. ეს სოფელი დოირანი ამ მდინარის ახლოს მდებარე ასორმოცდაათკომლიანი, გაშენებული, სომხური სოფელია. აკ-შარას ველზე მდებარეობს. აქედან ისევ აღმოსავლეთისაკენ ვიარეთ და 4 საათში სოფელ ენდერესის საღვრუში მოვედით. შიბინ ყარაპისარის საზღვრებში, აკ-შარას ველზე მდებარე ასკომლიანი, გაშენებული სომხური სოფელია. ზეამეთია. აქედან ისევ აღმოსავლეთისაკენ ვიარეთ 2 საათი და გავჩერდით ერთ აღგილას, რომელსაც თაბან აჰმედ-აღას ჩიფთლიქი ეწოდება.

ჩიფთლიქის მფლობელმა აჰმედ-აღამ აქ დიდი ნაღიმი გავიმართა და ფაშას ერთი ქეპეილანის [ცხენი] მიართვა. სხვა მსახურებს — ოცი ცხენი, სამი ათასი ცხვარი, შეიდი წყება ჭორი, შეიდი წყება სწრაფი, დედალი აქლემი; ათი ქისა ახაც ნაღდი მიეცა საჩუქრად ჩვენ ბარონ ფაშას. ერთი ისეთი დიდებული ნაღიმი მოაწყო, ენით აღწერაც კი შეუძლებელია. ორმოცი ქისა და სამოცდაათი აქლემი იქნა აღებული და დაითხოვეს. მე, მწირასაც, ერთი ცხენი მერგო. აქედანაც 2 საათი ვიარეთ და სოფელ ეზბედერის საღვრუში მოვედით. შიბინ ყარაპისარის მიწაზე ბალ-ვენახიანი, კეთილმოწყობილი სოფელი და ზეამეთია. აქე-

დან ავიყარებით და 4 საათში ერთ მომჯადოებელ ადგილას მოვედით, რომელსაც ზაგადერესი (ზაგას ხევი) ეწოდება.

ზაგას ხევი: ეს [ხევიც] უერთდება მდინარე ქერქუქს, რომელიც სა-თავეს იღებს გარეშემო მდებარე მთებში. ამ კლდოვან, ხევებიან აღ-გილას ერთი ასკომლიანი სოფელია. სოფლელების მონაცოლის მიხედ-ვით, ძეველ დროს ამ კლდეებში ერთი განძი ყოფილა. გამოქვაბულის კარიდან რომ შეეხედა კაცს, თვალ-მარგალიტი, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი მრავლად ჩანდა. მაგრამ გამოქვაბულის კართან ორი ხმალი ყოფილა, რომელთაგან ერთი ჩაღიოდა და მეორე ამოდიოდა. მრავალ-ჯერ დაუდვიათ ამ ხმლების წინ გემის ანძები და [ხმლებს] კიტრივით დაუჭრიათ და დაუყრიათ. მოსულა ერთი ღვთის კაცი და აკლდამა რა-ლაც ხერხით გაულია. თუმცა გამოქვაბული ცხადად გამოჩენილა, მაგ-რამ განძის კვალიც კი გამქრალიყო! აქვე ახლოს, ფრიად საოცარი ჭა-დო არისო, მითხრეს, მაგრამ მე, მწირს, არ მინახავს.

აქედან წავედით და 5 საათში სოფელ ჟარა იაჯუბში მოვედით. იქიდან სამ საათში კორკონ კახასს სადგურში მცვედით; იქიდან ერთ საათში სოფელ ბაროში; ისიც გავიარეთ და მოვედით ერთ ყრუ ხეო-ბაში, რომელსაც თექმან-ბელი ეწოდება. ეს [ხეობა] შვადი-რვა თვე თოვლით არის ჩაქეტილი და ისეთი ძლიერი ყინვა იცის, ფრინველი ვერ ფრინავს. როგორც იქნა, დიდი ვაი-ვაგლახით გავიარეთ და სო-ფელ ყალი-ოლლუს საღვურს მივალწიეთ. იგი მუსლიმთა და სომეხთა 200 სოფელია, მაგრამ რადგანაც ზეამეთია, გაშენებულია. ||აქედან 4 საათ-ში მივედით შირანის ციხეში. დაბის მსგავსი. მუსლიმური, კუთილმოწ-ყობილი სოფელია შიბინის საჯაყაში. აქედან 4 საათი რომ ვიარეთ, სოფელ კარაჯალარის საღვურში მოვედით. ზეამეთია და სომხებისა და მუსლიმების სოფელი. აქედან ხუთ საათში სოფელ სარიჩალარის სად-გურში მოვედით. ესეც კეთილმოწყობილი ზეამეთია და სომხებისა და მუსლიმების სოფელი. ამის შემდეგ ათასი წვალებით გავიარეთ სალვე-თის ხეობა და მდინარე ქერქუქის აუზის ღაბლობის ველს მივაღწიეთ. აქაურობა წარმოადგენს ურიცევ კეთილმოწყობილ და გაშენებულ, უხემოსავლიან მიწებს. ამ [ველზე] 5 საათი ვიარეთ და დაბლობის ბო-ლოში მივაღწიეთ გენჯ მეტმედ-აღას სოფლის საღვურს. ორასკომლია-ნი, ერთი გამეიანი, კეთილნაშენი მუსლიმთა სოფელია. იგი შიბინ ყარა-პისარის ქერქუქის ნაპიტს საზღვარია. აქედან აღმოსავლეთისაკენ ვია-რეთ ხუთი საათი და სოფელ ქერქმლაში მივედით. კეთილმოწყობილი სოფელია. მისი გლეხები მუსლიმები და სომხები არიან. ჭამე აქვს. ამ სოფლის უკან, ერთ გორაქზე დერმერის ციხეა. იგი სულთან აჰმედ-პირველის] დროს ჭელალიების შიშით აშენებული, მომცრო, მაგრამ მნიშვნელოვანი გამაგრებული ადგილია; ჩრდილოეთისაკენ ერთი კარი

აქვს. შიგ სახლები, ცისისთავი და მეცისოვნები არა. აქედან ფაშამ და მისმა მხლებელმა სამასმა ცხენოსანმა ჭენებით ვიარეთ, მთები და კლდეები გადავიარეთ და 12 საათში კანლონ-დედეს აკლდამის სადგურს მივაღწიეთ.

კანლონ დედეს აკლდამა: დიდი მეუფე ყოფილა. გადმოცემები არ-სებობს მის მიერ მოხდენილი მრავალი სასწაულის შესახებ. სინათლით სავსე შენობაშია დამარხული. მისი წმინდა საფლავის გარშემო ნაირ-ნაირი შანდალი, ჩირალდანი, სასაკმევლე და ვარდის წყლის ჰურპე-ლია შემოწყობილი. საფლავი შემცულია გარშემო მშვენიერი ხელით შესრულებული ასობით დიდებული ყურანის გამონათქვამით. შიგნით უდიდესი სულიერი სიწმინდე სუფეეს და შესული [აღამიანი] გაბრუე-ბული და გაოგნებული რჩება. დიდება ღმერთს, მოვილოცეთ და მის სულს მიუვადვენით წმინდა ლოცვა „დასინი“. ამ წმინდანის ზემოქმე-დების შედეგად მის მიღამოებში მდებარე სოფლები კეთილმოწყობი-ლი და გაშენებულია. მათ მთებში ორმოცათასამდე ცხვარი, მსხვილ-ფეხა საქონელი, ცხენები და სხვ. ჰყავთ. ორი კეთილმოწყობილი ჩიფ-თლიქი აქვს. ძველი ფაღიშაპების დროიდან ხელთ აქვთ სულთნის ხელ-მოწერილი პატივის სიგელები იმის შესახებ, რომ ისინი განთავი-სუფლებული არიან ურფის გადასახადებისავან.

201 სამასკომლიანი აყვავებული სოფელია. ერთი ჯამე და ერთი საე-ნე॥აქვს. გამვლელ-გამომვლელთათვის უხვად აქვთ მოწყალება. საფა-ნეს ყველა მცხოვრები ფეხშიშველი და თავშიშველი, გრძელთმიანი, [ღმერთის] მოსიყვარულე დერვიშები არიან. დიდსა და პატარას ხელ-ში ხის გურზები უჭირავს. ბევრს კი — თითო თავმოკაუჭებული რეი-ნის კვერთხი. ფაშასთან დერვიშები პატივის სიგელებათა და საჩუქ-რებით მოვიდნენ, დალოცეს და ქება შეასხეს. ფაშამ პრანაა:

— „ჰო, დერვიშებო. რით დაიმსახურეთ გადასახადების პატი-ბა?“

მათ უპასუხეს: „ჩევენო ხელმწიფევ! ადვილად! საღმრთო როვენი შესასრულებელი პატარა ადგილი გვაქვს. გვეცით პატივი და ნახეთ“. ფაშაც მათ თხოვნას დაეთანხმა და იმ სალოცავ მოღდანზე მივიდა. დერვიშებმა მოედანზე ორმოც-ორმოცდათ ურემ შეშას ცეცხლი წაუ-კიდეს, გარშემო ორმოცი მსხვერპლი შეწვეს და ტრიალი დაიწყეს. ფაშაც ცეცხლიდან მოშორებით სკამზე დასვეს. ათასზე მეტი ღოთის გლახა ცეცხლის პირას შეგროვდა და ცეცხლს წყება-წყებად გარს შე-მოერტყნენ. დოლის, დაირისა და დაფის [დაკვრით] ზიქრი დაიწყეს. ყველა დერვიში სრული ერთი საათი ახსენებდა ალაპის სახელს — ზიქრს ასრულებდა. ბევრ მათგანს მტირალი, შიშველი შვილები ეჭირა ხელში და იმ ნიმროდის ცეცხლში ხალილისებურად, სალამანდრას

მსგავსად დასრიალებდნენ<sup>2</sup>. ნახევარი საათის განმავლობაში ცეცხლი გორებად შეაქუჩის და [ცეცხლის რკალიდან] გამოვიდნენ. ცეცხლიდან გამოსულებს თბა და წვერი შეტრუსული ჰქონდათ. ღვთის შემწეობითა და წმინდანის სულიერი სიშმინდით მათ სხეულს არაფერი დასტყობია. მათი უმეტესობა ამ ყოფაში ფაშას არ ეახლა და თავის სენაკებში წავიდნენ. ფაშა და სხვა მაყურებლები გააოცა ამ ამბავშა. იმ ადგილს ფაშას ერთი ისეთი ღიღებული ნაღიმი მოუწყვეს, რომ თაბან აპელ-აღას მიერ მოწყობილ ნაღიმს გადააჭარბეს. საოცარი აქ ის არის, რომ ფაშა ამ აკლდამასთან მოულოდნელად მოვიდა, რაღაც გზის მოშორებით ძევს და მთებში მიმალული სავანეა. ამოდენა საჭმელის მომზადება ერთ საათში როგორ მოასწრეს? ამან გააოცა ფაშა, პატივების სიგვლები ხელრთვით დაუდასტურა და დერვიშებს ასი ოქრო შესწირა. ლოცვა-კურთხევა მივიღეთ.

აქედან ავიყარენით და 16 საათში თერჯანის დაბლობში მოვეღით. ჰასან-ბეგის ჯამეს სადგურში დავბინავდით. აზერბაიჯანის მბრძანებელ უზუნ ჰასან-ბეგის აშენებული, დათვალიერების ღირსი, გასხივონებული ჯამეა. სოფლის შუაგულში მდებარეობს და ხალხი ძალიან ეტანება.

|| მბრძანებელს [უზუნ ჰასანს] აქაური ჰავა მოეწონა და თერჯანის ველის თავში ეს ჯამე ააშენა. მისი მიზანი იყო აქ ღიღების აშენება და სახელად ჰასან-აბადის დარქმევა. ბოლოს ამ ველზე [სულთან მეჰმედ] ფათიშის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხდა და ერზინჯანს გაიქცა. ეს ველი ისეთი ომისა და ბრძოლის ველია, რომ ახლაც კი, როდესაც გლეხები მიწას ხნავენ, ადამიანის ძვლებს პოულობენ. სხვადასხვა განძეულობაც ბევრი ხვდებათ.

აქედან შენებით ვიარეთ და 8 საათში ჩაუშების ქეთხუდას სოფელში მივეღით. ფაშა მთელ მის ჯარს აქ შეხვდა და ჩაუშთა ქეთხუდამ ღიღი ნაღიმი მოუწყო. ხუთი ცხენი, ხუთი ქისა ფული და ხუთი ქართველი ბიჭი საჩუქრად მოუყვანა. აქედან 5 საათში მოვეღით სოფელ ფოლორში. კეთილნაშენი მუსლიმური სოფელია. აქედან ავიყარენით და 4 საათში თერჯანლი. ალი-აღას სოფელში მივეღით. თერჯანის ველზე მდებარე სამასკომლიანი, კეთილმოწყობილი მუსლიმური და სომხური სოფელია. ერთი ჯამე და აბანი აქეს. აქ ალი-აღამ ღიღი ნაღიმი გამართა და ათი ცხენი, ათი ქისა ფული, ათი წყება აქლემი, ათი წყება ჯორი საჩუქრად მიართვა.

აქედან წასულებმა ისევ თერჯანის ველზე ვიარეთ და სოფელ მაზანათუნში მოვეღით. არზრუმის ნაპიეში ღიღი ხეობიან და გორაკებიან დაბლობზე ასკომლიანი, კეთილნაშენი მუსლიმური სოფელია.

შათა-ხათუნის წმინდა საფლავი: ეს წმინდანი ქალი ღამიარხულია ერთი კლდოვანი ხეობის ვიწრობში, ძველად აშენებულ დიდ აკლდა-მაში. იგი აკ კოდენლუს ერთ-ერთი ფატიშაპის ვარსკვლავით ლამაზი ქალიშვილი ყოფილია. მთელი შთამომავლობა აქაა პატივით ღამარხული. მაგრამ სამარხი ჭარსა და სხვა მორთულობას მოკლებულია. ოც აკლდამის მომვლელი და დარაჯი ჰყავს. მარმარილოს კუბო მოხატული და მოვრძოა. მის მხარეს ერთი ჭამე და მცირე, მაგრამ მარგებელი აბანოა. აქედან რომ წავედით, 6 საათი ვიარეთ და სოფელ ჰებსიში დავი-სადგურეთ. არზრუმის ველის დასავლეთ კიდეზე ასკომლიანი სომხური სოფელია. მთელი არზრუმის წარჩინებულები ვეზირის დიდებულ კარავთან მოვიდნენ, შესველენენ||და ძვირფასი საჩუქრები მოართვეს. მათთან ერთად ვიარეთ და 5 საათში ზღვა ხალხის თანხლებით სოფელ ილიგაში შევედით.

მძლავრი ცხელი წყაროს აღწევრა: არზრუმის ყაზას დასავლეთ მხარეში სამაგალითო ცხელი წყაროა. შიგ ყოველ წელს ერთი კაცი უეჭველად უნდა დაიხრჩოს. მაგრამ ფრიად მარგებელია. თუმცა წყალი ცხელია, გამაზავებელი წყალსაცვებით ნელდება. ძალიან უხდება მუნს. ერთმა ძველმა ფატიშაპმა [ამ წყაროზე] დიდი თალი ააშენა და გასახდელში ვრცელი აუზი გააკეთა. წყალი და ჰერი ფრიად მშვენიერია. მუსელიმმა მუსტაფა-აღამ აქ ფაშას საჩუქრად მიართვა ერთ ქეპეილანის ცხენი ძვირფასი თვლებით მოქედილი უნაგირიანად, ერთი სიასამურის ქურქი, ერთი მოოჭვილი კაპარჭი, თითო მურასა ხმალი და ხანჯალი, ნატიფად ნაკეთები სარტყელი, ათი ღონიერი და შეიარაღებული მხედარი ქეპეილანის ცხენებით, ორმოცდათი ცალი ქვედა ჭავშანი, ხელნავი და მუზარადი. ამალაში მყოფ სამასამდე ულე-მას თითო ხელი გამზადებული ჩიხა და დიდებული ქსოვილები ჩააცვეს და სამოთხის ჰურიებს დაამსგავსეს. მე, მწირსაც, ერთი სიასამურის ქურქი, ერთი ხელი ტანისამოსი და ასი ყურუში მიწყალობა. ეს იმიტომ, რომ რამდენიმე ხანს ამ მუსელიმის კეთილშობილი ვაჟიშვალის მასწავლებელი ვიყავი. 1056 (1646) წლის დიდებული შაბანის პირველი დღიდან (19 სექტემბერი), ე. ი. როდესაც ჩვენ სტამბოლიდან დავიძარით, სამოცდაათ სადგურში გავჩერდით და ამ ილიკას მოვალ-წიეთ. არზრუმში დიდი ზეიმით შესასვლელად ჭარის დაწყობას შეუდგნენ. იმიტომ, რომ ფაშა დიდი საჩადალი იყო, რომელსაც [სულთნის ფირმანზე]. თუღარა გამოპყავდა. ჰეშმარიტად, ჩვენი ფაშა დიდბუნებოვანი, დიდმშვენიერი და დიდსულოვანი, დარბაისელი კაცი იყო. არზრუმის ჭარი, ამ ილიკადან მოყოლებული ივით არზრუმადე, 6 საათის სავალ გზაზე ფრთხებივით მარჯვნივ და მარცხნივ წყებებად გზლაგებული, სმენაზე იდგა. ესენი აბგრით, ქულაპებით, ხელნავებით და

ზურგის ჭავშნით იყვნენ შემოსილნი. წყებაში ჩვიდმეტ-ჩვიდმეტ კაცს  
ბასრას შუბები ეჭირა და ამ სავარცხლების ჩაინის წვეტებს ტყესა-  
ვით დაეფარა გზის ორივე მხარე. მათი ცხენები ექვს-ექვსად დაწყო-  
ბილნი, მოსართავებში, ჭავშანსა და ნაირ-ნაირ რატუში იყვნენ ჩაფლუ-  
ლი და ისე იდგნენ წესის მიხედვით. ფაშის||წინ კი მიღიოდა რვა ოქ-  
როსთასიანი შათირი, რომელთაც ხელში მუსლიმურა ალებარდები  
ეჭირათ, წელზე მურასა ქამრები ერტყათ. მოსირმული და მბრწყინავი  
დიბა, შემქულ-აფერადებული საპატიო ხალათები ეცვათ; თავზე  
მბრწყინავი და ჩახხახა, თალის მოყვანილობის თავსაბურავი ჰქონდათ  
და სამოთხის ფარშავანგივით ნარნარად მიღიოდნენ. მარჯვნივ და მარ-  
ცხნივ თავიანთი კარვებათ მოღიოდნენ მათარაჯი-ბაში და მეთოფები  
წითელი შალის ხიფთანებით. მურასა და მოკვეთილი მათარები და თო-  
ფები ჰქონდათ და თავზე ოქროქსოვილი უსქეუფები ეხურათ. დიღსუ-  
ლოვანი ფაშა მარჯვნივ და მარცხნივ სალამს იძლეოდა, მიემართებო-  
და მთელი არზრუმის ჭარებიც საპასუხო სალამს მოახსენებდნენ.  
მისი შინა ულემები, რიცხვით ოთხასი, ჭავშან-იარალში ჩამჯდარი მი-  
ღიოდნენ. მათ უკან მიგვებოდით იმამი და მე. მწირი ჩვენს უკან  
ალამდარები და მედროშები მოღიოდნენ; მათ უკან კი — რვა წყება  
ოსმალების საგვარეულოს მემუსიყები უქრავდნენ. შიერიეთა რაზმე-  
ბი, მუთეფარიყაები, საპატიო ხალხი და კაფუჯი-ბაშიებიც საომარ მო-  
წყობილობაში ჩაფლულები რაზმებად მოღიოდნენ. როგორც კი ამ  
ჭარის თავი არზრუმში შევიდა, ციხეში მდებარე ცამდე ატყორცილი  
კოშკის — ქესიკ-ქულეს — უმაღლესი მწვერვალიდან „შაპი“ ზარბაზ-  
ნებმა მისალმების სროლა ატეხეს. იანიჩარებმაც გაისროლეს ზარბაზა-  
ნი ციხეში. ილიგადან გამოსვლის მეექვსე საათს, როგორც კი ფაშა  
ერზინჯანის კარით შევიდა არზრუმის ციხეში, დეთის საღიღებლად ქე-  
დელ-ბურჯზე დაღმული ექვსას სამოცდათივე ზარბაზანი ერთ-  
დროულად გავარდა; ცა და მიწა შეზნზარდა და ზარბაზნის ხმამ ცას  
უშია. ცველა ქვეითი ჭარისკაცი, შვიდი ოდა მაღალი კარის იანიჩარე-  
ბი, ჩორბაჯიები, ჩაუშები თავიანთი აღების თანხლებით რაზმებად და-  
წყობილნი და თავით ფეხებამდე შეიარაღებულნი, როგორც კი მივიღ-  
ნენ ფაშას სასახლესთან, მისასალმებლად გაემზაღნენ. ფაშა მათ მიე-  
სალმა და სასახლეში შევიდა. ციხიდან კიდევ ერთი ბათქი გავარდა  
ზარბაზნებისა და მაღალ დივანხანაში მრავალი ასი შესაწირავი დაიკლა.  
გაიშალა მაპმადიანური სუფრა და ისეთი დიდებული ნადიმი გაიმარ-  
თა, თითქოს მწუხარების გამქარვებელი ლენი იყო. ჭამის შემდეგ მუ-  
სიკისებმა რვა-რვაჯერ დაუკრეს და მაღალი დივანის სხდომა შედგა.  
ბეგრი საჩივრი გაირჩა და მტრობა აღიყვეთა. დივანის ამ სხდომაზე ცი-  
ხის ოცდაშვიდ აღას, იანიჩართა ჭარს, მეთოფების, ჭებუჯიებისა და

ჭარის სხვა სახეობათა აღებს, მოხელეებს, საბაჟოს გამგებელსა და ცი-  
ნისთავს სამოცდათი საპატიო ხალათი ჩაცვეს. ყველას თანდასწრე-  
205 ბით ბუხარის ემირის სიძეს — მოლა ჩელები-ეფენდის||ერთი ხელი  
მწვანე შალის, საისამურით გაწყობილი ტანისამოსი ეწყალობა. მე,  
მწირი, კი საბაჟოს მწერლის ხალათით გავბედნიერდი. ყველა ლოცვა-  
კურთხევას უთვლიდა [ფაშას] და ოთვ-თავის მადლიან სახლებში წავიდ-  
ნენ. შემდეგ ბედნიერი [ფაშა] თავისი მოსაზრებისა და ლონისძებების  
გატარებას შეუდგა. მე, მწირის, სასახლეში მიწყალობეს თექელი მუს-  
ტაფა-ფაშას აშენებული ერთი სენაკი. ჩემთვის საჭირო ყოველგვარი  
მოწყობილობა, თვით ყავა და შექარიც კი მიწყალობა და ხუთივე  
ლოცვის დროს მის ლოცვა-კურთხევაში ვიყავი. ხან ნედიმისა და ხან  
საბაჟოს მწერლის მოვალეობას ვასრულებდი და ასე, შეძლებისდაგვა-  
რად, დავიწყე ცნობების შეგროვება არზრუმის მღვმარეობის შესა-  
ხებ. გავთვალისწინე ყველა „ქანუნ-ნამე“ და დავთარხანას დაეთრები.

აღწერა ბედნიერების სავანისა, მაგარი ციხისა, მტკიცედ შემო-  
ზღუდულ ქალაქ არზანრუმისა, ესე იგი არზრუმისა — სილამაზის გა-  
მოსახულებისა: ზოგიერთები ერზელუმსაც უწოდებენ. აზრებაიჯანის  
მეზობლად მდებარე ვრცელი ვილაიეთია. თუმცა ზოგიერთ მატიანეში  
ნათქვამია, რომ ანუშირვან სამართლიანის<sup>4</sup> აშენებულიან, ნამდვილად  
კი თეთრბატენიანთა ფალიშაპმა — არზენ-ბაი ბენ სოკთარ ბენ გუნ-  
დუნ-ბაიმ ააშენა. მისი წინაპრები მაპანის ქვეყნიდან მოვიდნენ, ვანის  
ტბის ნაპირას ხლათის ციხე ააგეს და იქ დამკიდრდნენ. არზენ-ბაის  
ყველა წინაპარი ხლათშია დამარხული. ოსმალთა დიდი წინაპრები —  
ერთოლორული და სულეიმან-შაპი ამ ხლათში მყოფი ფალიშაპების  
შთამომავლები არიან. შემდეგ ეს ქალაქი არზრუმი და აზერბაიჯანი  
უზუნ ჰასანის ხელში გადავიდა, და მანაც ძლიერებითა და სიმტკიცით  
განთქმული ჰასან-ყალა ააშენა. შემდეგ [სულთან მეჰმედ 11] ფათპის  
მიერ სტამბოლის დაპყრობა შეშურდა, ოსმალთა სხევადასხვა სამფლო-  
ბელოს ხელი დაადო და დაიწყო მშვიდობიანობის საწინააღმდეგო საქ-  
მიანობა. სულთან მეჰმედ ფათიშმა კი ამის პასუხად ბერძნებს ტრაპი-  
ზონის ციხე წართვა, თავისი ფლოტით ზღვა ჭარები გადმოიყვანა და  
სამასათასიანი ჭარით თერგანის ველზე დამარცხა უზუნ ჰასანი. ამის  
თარიღია: „ფუჭია მზაკვრობა მუხანათთა“, რაც ნიშნავს 866 (1462).  
წელს. მის ვეზირს ფალიშაპის მიერ [დანიშნული] აქეს ხასი — 1 214 600  
ახჩა. ვილაიეთში 12 სანჯაყია. ხაზინის დავთარდარი, დავთრის ქეთხუ-  
და, თმიარის დაეთარდარი, ჩაუშების ქეთხუდა, ჩაუშების ემინი და  
ქათიბი ჰყავს. ალა-ბეგი||და ჩერი-ბაშიც ჰყავს. მისი სანჯაყები შემ-  
დეგია: ყარაპისარი შარკი (აღმოსავლეთის ყარაპისარი), ქილი, ბასია-  
ნი, ისპირი, ხნუსი, მანასკერტი, თექმანი, კურუჭანი, თორთუმი, მეჟინ-

კერტი, მამირევანი და. არზრუმი. არზრუმი საფაშო სანჯაყია. ხაზინის  
დავთარდარის ხასი 1 152 900 ახშა, ზეამეთის ქეთხუდასი — 50 000,  
თიმარის დავთარდარისა — 20 200. არზრუმის სანჯაყში სულ 56 ზეამე-  
თი და 2219 თიმარია. მთელ ვილაიეთში ყველა ზეამეთისა და თიმა-  
რის რიცხვი 5269 არის. სულეიმანის კანონის მიხედვით [თიმარებისა და  
ზეამეთების მფლობელები] თავისი ჯებელიებიანად ალაი-ბეგის პუ-  
სეინ-ალა ზაღეს დროშის ქვეშ, თავიანთი ბაირალებით, 12 000 მეომა-  
რია. [ვილაიეთის] ფაშას სამეცო სახასოს შესაბამისად თავისი ჯებე-  
ლიები ჰყავს — 2 000 მეომარი. არზრუმს ჰყავს რჩეული, შეიარაღე-  
ბული, მამაცი, გულადი და გამოჩენილი ვაჟკაცები. ნაპირებისა და  
ჩაძანა-ბაშიების შორის ჰყავს იანიჩართა ალა, შვაღი ოდა მაღალი კარის  
იანიჩარები, ერთი ოდა თოფჩიუ, ერთი ოდა ჯებეგიები. ყველანი ცი-  
ხეში დგანან. ერთხელ აბაზა-ფაშა, არზრუმში მოულოდნელად აჯანყდა.  
ერთ ღამეს ხელში ჩაიგდო ციხის შიდა ნაწილი და იანიჩარები ხმლის  
კბილებში გაატარა. გადარჩა მხოლოდ იანიჩართა ალა, რომელიც ამ  
დროს ციხის გარეთ აღმოჩნდა. აბაზა-ფაშა არზრუმის ციხის მფლობე-  
ლი გახდა და სრული ათი წელი იყო ამბოხებული<sup>6</sup>. მიუხედივად იმი-  
სა, რომ შვიდჯერ მოვიდნენ მის წინააღმდეგ ბეჭდიანი ფირმანებით  
აღჭურვილი სარდალი ჩერქეს მექმედ-ფაშა, ღიშლენქ ჰუსეინ-ფაშა,  
თემურ კაზიკ ხალილ-ფაშა და კიდევ სხვა სარდლები, არზრუმი მიინც  
ვერ დაიხსნეს მისი ხელიდან. აი, ამდენად მიუვალი, მტკიცე, სუსხიანი  
და უწყალო ციხეა<sup>7</sup>. შიდა ციხეც ასეთივე მტკიცეა. შემდეგ აბაზა-ფა-  
შას წინააღმდეგ ლომგული, ასაფივით ჰკვანინ ხუსრევ-ფაშა<sup>8</sup> მოვიდა  
ზღვა ჭარით, არ დაინდო და მისი ციხე ზარბაზნით დაზიანა. თვით  
[აბაზა-ფაშა] აიძულა სასწრაფოდ ეთხოვა შებრალება კისერზე სუ-  
დარაგადაყიდებულს. შემდეგ ხუსრევ-ფაშამ აბაზა სულთან მურად-ხან  
მეოთხეს მიჰვარა. მისი დანაშაულებათა სია ცეცხლში დაწვეს და და-  
ნაშაული აპატიეს. შემდეგ მას ჭერ ბოსნიას და ბულინის ვილაიეთები  
უბოძა, ხოლო ამის შემდეგ — ოჩაოვის ვილაიეთი. ოსმალებმა მას  
შემდეგ მიაქციეს დიდი უზრადლება [არზრუმს], როდესაც აქ აბაზა გა-  
მაგრდა. უთვალავი ჭაბაზნით || და ექვსი ბოლუქის ალით გააღიდეს ჭა-  
რი. [არზრუმს] ჰყავს ორი ათას ხუთასი ჭარისკაცი და მეციხოვნე,  
თორმეტი ალა; შიდა ციხეში ხორბლის საწყობები, ას თოქმოცი ზარ-  
ბაზნია. თავრიზის კართან, ორ მცირე ციხეს შუა, მურად-ხანის თორ-  
მეტი ბალემეზ ზარბაზნი აქვს. მისი ციხე მდებარეობს ეხერლის მთის  
ძირას, ზარბაზნის გასროლის მანძილზე, კალთოვან ციცაბო კლდეებიან  
ზტკიცე ნიაღაგზე. მის ჩრდილო, სამხრეთ, და დასავლეთის მხარეს  
არზრუმის ველია, რომელიც სიგრძე-სიგანით ორ-ორი ფარსახისაა. და-

სახლებული, რეპარაციი და მდელობიანი ველია. რამდენიმე ასი კე-  
თილმოწყობილი სოფლით არის დაშვენებული.

დღიდი მდინარე ევფრატის აღწერა: არზრუმის ველის ზედ შუა-  
გვლზე გადის. საქართველოს მხარეს, აღმოსავლეთით მდებარე დუმ-  
ლუ-ბაბა-სულთანის აკლდამის კლდის ძირიდან გამოდის და დასავლე-  
თისაკენ მიედინება. არზრუმის ველზე მრავალ ჭაობს, ყუჩეს, პატარა  
ტბასა და წყაროს ჰქმნის, რომლებიც ასიათასობით ბალდალის წეროს  
საბუდარი გახდა. ეს მდინარე სოფელ ქანის ძირას გაივლის და მეორე  
კონაჭე ქემამის ციხის ძირას მიედინება. ამის შემდეგ იგი იერთებს  
მურად-ჩაის, რომელიც ქურთების იზულში ბინგოლის ზეგანიდან მო-  
დის, შემდეგ ძალას იკრძალა და მალათიას სიახლოვეს მიედინება. სე-  
მისათს, რუმის ციხეს, ბირეჯიქის ციხეს, ბუმბუჯეს ხიდს, ბალისს. ჭა-  
ბარის ციხეს, რაკიფის ციხეს, რუპბის, კირკისას, ინეს, ჰელიშეს, ჰის,  
აბიარის, თაკუქს. ჰელეს, ჰუფას და სხვა ადგილებს ჩაუვლის და იქი-  
დან ბატაში კურნას ციხის ძირას შატ ალ-არაბს შეუერთდება. ზღვა-  
სავით დღიდი მდინარეა, რომელშიც ბასრას პირდაპირ ინდოეთის ვემე-  
ბი შედიან. მდინარე კი არა, ზღვაა. სათავედან შესართავამდე|| ოთხასი  
ფარსნგია. ოთხასამდე ქალაქსა და დაბას ჩაუვლის. სათავეს არზრუმის  
ველზე იღებს. იქაურობა მეტად სასიამოვნოა და მართალი და დიდე-  
ბული ყურანის მოციქულთა სურაში ასეთი ახაა მოთავსებული: „და-  
გალევინეთ თქვენ ევფრატის წყალი“. ევფრატის გარდა არზრუმისა და  
ღიარბექირის მთებში 72 დიდი მდინარე ჩნდება და სრულიად არა-  
ბეთის ერაყსა და რუმს მოიცავენ. ხატატ მაკრიზი ამბობს, წმიდა და-  
ნიელმა თავისი ანგელოზების დახმარებით გათხარა და გამოიყენა მდი-  
ნარები ტიგროსი და ევფრატიო.

მდინარე ტიგროსი, რომელიც შატ ალ-არაბის შასაზრდოებელია:  
სათავეს იღებს ღიარბექირის აღმოსავლეთით, თერჯილსა და მუფარ-  
კინის შუა მდებარე ადგილებიდან. უთვალივ წყაროებს იერთებს, ჰას-  
ნექიფს ჩაუვლის, იქ მოსულის კუნძულს მიაღწევს. ზემო ზარბეინისა  
და ქვემო ზარბეინის<sup>9</sup> წყლებს იერთებს და გზას განაგრძობს. ეს ზარ-  
ბის<sup>10</sup> წყალი სომებთა შთებიდან მრავალ წყაროს აერთებს, მიპქუს და  
მიედინება. სახელად მეჭნუნ ზარბს უწოდებენ. ტიგროსი აქედან გზას  
განაგრძობს და თექრითს აღწევს. შემდეგ ბატაიში შატში შედის. ევ-  
ფრატის ქების შესახებ არსებულ გაღმოცემათაგანია, მის უწმინდესო-  
ბას, ალაპის დიდებას, იმამ ალის ორმ უთქვამს: „ჰოი, ქუფას მცხოვ-  
რებნო! თქვენს მდინარე ევფრატს სამოთხიდან ორი წყლის საღინარი  
მილი უერთდება“. იმამი ჭაფერ სადიყი კი შემდეგნაირ ქებას ასხამს:  
„ისეთი დიდადეურთხეული მდინარეა, ვინც ერთხელ დალევს ევფრა-  
ტის წყალს, მოისურვებს სამჯერ ან შვიდჯერ კიდევ დალიოსო“. ძვე-

ლი ერაყის მცხოვრებლებმა ევფრატის მადლი და სარგებლობა იცოდნენ; მის ორივე ნაპირზე დამბები და თალები აშენეს და მდინარის მიერ განაყოფიერებული მიწები წესისაებრ მოხნეს და დათესეს. იგოვე ჯაფერ საღიყის მიერ არის მოთხრობილი, რომ მისი წყალი მრავალ ავაღმყოფობას უხდება. იგი, მდინარე ევფრატი და ერთიც მდინარე ალ-ისი წმინდა მიწის საზღვრებში გამავალი ერთადერთი მდინარეებია. თვით მადლიანი ნილოსიც კი არ შემოღის წმინდა მიწაზე. ნილოსი მხოლოდ პირველი სარტყლის გარეთ გამოდის; და მეორე სარტყელში, ანუ ქალაქ დემიოტასა და რეშიდის ციხის წინ ჩაღის [ზღვაში]. რადგანაც მდინარე ევფრატის სათავე თვით არზრუმის ჩრდილოეთით არის, ზამთრობით იყინება და ზედ მრავალი ქარავანი ||გადაღის. რაც შეეხება 209 რიგას მიწების სამხრეთ მხარეს, რადგანაც ვაკე ადგილია, მდინარე ევფრატი არ იყინება. ამგვარად, არზრუმის ციხის მცხოვრებლებს, რომლებმაც გემო იციან, უძერეს შემთხვევაში ამ ევფრატის წყალი მოაქვთ და სვამენ. თუმცა არზრუმის ციხეში სამოთხის წყაროდ წოდებული წყალია, რომლის დალევაც უკვდავების ანკარა წყლის სმას უდრის.

არზრუმის ციხის მოყვანალობა და მისი შემადგენელი ნაწილები: გორაკშე მდებარე, ოთხკუთხა, ღვინის ქვით<sup>11</sup> აშენებულია. გარშემო ორ რიგად კედელი აქვს [წმოვლებული], რომელთა შორის სამოცდა-ათი ნაბიჯია. ჰისარიჩას უწოდებენ. გარშემო თხრილი აქვს. თხრილის სიგანე ოთხმოცი ნაბიჯია და სიღრმე — ოცი წყრთა. მაგრამ საქართველოს და ერზინჯანის კარების თხრილები იმდენად ღრმა არაა. მათზე ხიდით გადაისვლება: ორსაგდულიანი რკინის კარებია. ამ ორ კარს შორის ის ათი ბალემზე ზარბაზნია, რომლებითაც კრევანი დაპყრეს-თავრიზის კარის მხარეს მაღლა ატყორცნილა და შიდა ციხეშე მიერთებული კედელი თუმცა ერთმაგია, ძალა მტკიცე და გამაგრებულია, ზღარბივით არის ზარბაზნებით აღჭურვილი. ზარბაზნები სახრჩობელას უბნისაკენ და ვერცხლის გუმბათისაკენ არიან მიშეერილი. გარე ციხეში გამავალი, ცამდეაზიდული, აგურით ნაშენი, მინარეთის მსგავსი მაღალი კოშკია. ქესიქ-კულეს სახელით ცნობილი, ფიცრით გადახურული უმდლესი კოშკია. ათი გრძელლულიანი და მსხვილი ზარბაზნი აქვს, რომლებიც ციხის ოთხივე მხარეს მდებარე ველებისაკენ ფრინველს არ გაუშვებენ. კოშკის სიმაღლე ასი წყრთაა. შიდა ციხის კედლები სამოცი წყრთის სიმაღლისაა. სხვა კედლები ორმოცდათ-ორმოცდაათი წყრთის სიმაღლისანები არიან. ციხის გარშემო ორივე წყება კედელი შედგება ორას ათი მტკიცე კოშკისა და ორი ათას ოთხმოცი ქონგური-საგან. სათოფურებიანი ქონგურებია. ციხეში სულ ათას შვიდასი სახლია. ყველა მიწის ბანიანი, ძველებური ყაიდის სახლებია. არზრუმის

კილაიეთში ჩვენ՝ მიერ დათვალიერებულ ყველა სოფელსა და დაბას  
მიწის ბანიანი [სახლები აქვს].

არზრუმის სასახლეში ას ათი ერთიმეორებე  
სართულებად დაღმული სენაკია. ქვედა და ზედა სართულში დივან-  
ხანა და მაღალი ციხე-დარბაზებია. სამოთხის მსგავს მის ვარდნარში  
თაიარ მეტმედ-ფაშა<sup>12</sup> ციხე-დარბაზი და თექელი-უაშა<sup>13</sup> ციხე-დარ-  
ბაზია. თექელი ფაშას ციხე-დარბაზის [აშენების] თარიღის აღსანიშნა-  
ვად მოყვანილია სიტყვები: „თაღზე თაღი ბრწყინვალე“ ა. ა. არის ჩვე-  
ნი ბატონი ფაშას — დავთარდარ-ზაღე მეტმედ-ფაშას ||ციხე-დარბაზი;  
ერთი აბანო უკვდავების წყალის მსგავსი უხვი წყაროებით. გარეთა  
ეზოს გარშემო, სამეფო საჯინიბოს ზემოდან ყარაულების სენაკებია.  
სასახლის მოედანზე გამუდმებული ჯირითის თამაშია. ამ სასახლეს  
ორი კარი აქვს. ერთია დივანის კარი, რომელიც შაღრევანთანაა. მა-  
ღალი ბქეა. ერთი ულრუნის კარია, რომელიც მუდამ დაეტილია. ნა-  
თელმოსილი მოციქულის შარიათის სასამართლოს სასახლე. ჭაფერ-  
ეფენდის სასახლე, ქუჩექ აბაზა-ფაშას სასახლე, ქეფენ იგნესი-ოღლუს  
სასახლე, ხანუმის სასახლე და სხვ. არის.

უბნები: სულ სამოცდაათი მუსლიმთა უბანი და შვიდი სომეხთა  
უბანია. კოპტები და ებრაელები არ არიან. ყველა სახლი ქვისაა. ზედა-  
სართულიანი სახლი იშვიათია. უმეტესობა ერთსართულიანია. რაღა-  
ნაც ზამთარში სასტიკი ყინვები იცის და მოწმენდილი ამინდი იშვია-  
თია, ხშირია შემთხვევა, როცა ათ-თერთმეტ თვეს თოვლი მოდის. ამი-  
ტომ შათი სახლები ერთსართულიანია, სახურავებსა და ბანებს წყალ-  
გაუყონავი საკვამურები აქვთ; სახლებს კი — ქერით დაფარული კარგ-  
ბი. აბანოს მსგავსი სალოცავი სახლებია. ერთი სიტყვით, ისეთი ქვეყა-  
ნაა, რომ მისი ნახვა ადამიანს ცოდნას შემატებს. იშვიათადაა კარგი  
ამინდი.

## LV

### არზრუმის ჯამშების უშასახ

სულ სამოცდაჩვიდმეტი მიპრაბია. ყველაზე ძველია ულუ ჭამე-  
თაერიზის კარის შიდა მხარეს ძველებური ყაიდის, მიწის სახურავიანი,  
ერთმინარეთიანი ჭამეა. აკკოდუნლუს ფალიშაპების აშენებულია. სიგ-  
რძე-სიგანით ორასი ნაბიჯია. მისი მიმბარი და მიპრაბი ძველებური ყაი-  
დისაა. შიგნით, მაღლა ჩამწერივებულ ფიქვის ორას კოშზე ფიქვის ღი-  
რები აწყვია. ქვითნაშენი გუმბათი არა აქვს. ჭამეს ერთ მხარეს ერევ-  
ნისათვის განკუთვნილი სურსათის ორცხობილი აქ ინახება. ძველი მეღ-

რესეს ჯამე იმ პირველ ჯამეს აღმოსავლეთ მხარეს აქვს მიდგმული და  
 კადელი კედელს აკრავს. წყვილმინარეთიანია. ზოგი ამბობს, აქვთ უნი-  
 ლუს ფალიშაპების აშენებულიათ. ზოგი კი გაღმოგვცემს, პასან თავი-  
 ლის (უზუნ პასანის) აშენებულიათ. ერთი სიტყვით, ძველი ტაძარია.  
 რაღანაც არზრუმი მრავალჯერ იყო ალყაშემორტყმული, დაშენილი 211  
 ზარბაზნებისაგან ამ ჯამეს უმეტესი აღვილები დანგრეულია. იმის გა-  
 მო, რომ ვაკუფებიც არ პქონდა შეწირული, გაპარტასებული და გა-  
 ვერანებულია. თავრიზის კარის შიდა მხარეს ერთი უბადლო კარი და  
 ორი შესანიშნავი მინარეთია, რომლებიც ჩინური შორენქეცით არიან  
 შემყული და მზესავით ბრწყინავენ. როდესაც სხივი დაპკრავს, აღამიანს  
 თვალთ დაუბნელდება და მეორედ შეხედვას ვეღარ შეძლებს. რაღა-  
 ნაც მინარეთები ცამდეა ატყორცნილი, მრავალი მოგზაური იძულებუ-  
 ლია ჯამბაზობას მიმართოს [და ისე ავიდეს დასათვალიერებლად]. რაღ-  
 ანაც ჯამე დანგრეული იყო, სულთან მურად IV შეაკეთა და შიგ ბა-  
 ლემეზ ზარბაზნების ჩამოსასხმელად სახელონო მოაწყობინა. ამეამად  
 ჯამეში ხელსაწყოები და მოწყობილობა ინახება. ეს ჯამე თუ შეკეთდა,  
 ისეთი ძეგლი იქნება, რომ დედამიშის ზურგზე ტოლი არ მოექმნება.  
 ღმერთმა ხელი მოუმართოს მის შეკეთებას! ლალა მუსტაფა-ფაშას  
 ჯამე ფაშის სასახლის კარის წინ, სათემო გზის გადაღმა მღებარეობს.  
 სულეიმან-ხანის ვეზირის ლალა მუსტაფა-ფაშას აშენებულია. სტა-  
 ბოლური ყაიდის, მალალუმბათოვანი, მთლიანად ხალასი ტყვიით და-  
 ხურული ჯამეა. სიგრძე-სიგანით ოთხმოცი ნაბიჯია. მიჰრაბი, მინბარი,  
 მუედანის აივანი ულამაზესია. შიგნით იმდენად მდიდრული კალები  
 არა. გარეთ სოფა აქვს. მაგრამ წმინდა აღვილი (პარემი) ვიზჩოა. სუ-  
 ლეიმან-ხანის ხუროთმოძღვრის, განსვენებულ სინან-აღას აშენებუ-  
 ლია. წინამძღვრად შეიძი ჰყავს სახელად ვანი-ეფენდი. ისეთი ზეღმი-  
 წევნით მცოდნე ულემა, მცერმეტყველების ზღვაა, თითქოს ცოდნის  
 ყოველ დარგში მეორე ნუ'მანი არის; ე. ი. ყურანის თარგმანებათა და  
 განმარტებათა საუკეთესო მწერალია, რომლის სახელი მსოფლიოს  
 მოსდებია. დახვეწილი ენის პატრონი, ამბების, შესანიშნავი მთხრობე-  
 ლია. ვინც ერთხელ მოისმენს მის ქადაგებასა და დარივებას, ყველა-  
 ფერს მოინანებს, განიწმინდება და გათვითცნობებული. იანიჩართ  
 იმამის სახელით წოდებული, ყურანის ზეპირად მცოდნე იმამი ჰყავს;  
 დიღის ლოცვაზე ყურანის ორი ნაწყვეტი რომ წაიკითხა, მთელი ჯა-  
 მათი გაოგნდა და დაიბნიდა — იმდენად შთამბეჭდავი და მწველი, სევ-  
 დიანი ხმა აქვს. იანიჩართა მუედანის სახელით ცნობებული მუედანი  
 ჰყავს, რომელიც მეორე ბილ ალ-ჰაბეშია. ერთხელ რომ დაიძახებს  
 მინარეთიდან დავითისებრი ხმით: „დიდ არს ალლაჰი. დიდ არს ალ-  
 ლაჰი“, ყველას — დიღსა და პატარას თმა ყალყზე დაუღება და ტანი

აუცახცახდება. ვინც მუშაობს, საქმეს მიატოვებს; ვინც ჭამს, საქ-  
212 მელს დაგდებს და ჭამესაკენ მიდის. ||არზრუმის მცხოვრებლები მე-  
ტად ბეჭითად ასრულებენ ნამასს. ჭაფერ-ეფენდის ჭამე ახლადაშენე-  
ბული, მაღალგუმბათიანი ჭამეა. შევბის მომნიჭებელია, რომელსაც ერ-  
თი მაღალი მინარეთი, ერთი კარი, ახალი ყაიდის მიხედვით [გაკეთე-  
ბული] ჩაინის ცხაურიანი ფანჯრები და შადრევნიანი წმინდა ეზო აქვს  
ყველა გუმბათი ტყვით არის დახურული. ციხეში კიდევ ერთი ძევლი  
აშენებული ჭამეა, რომელსაც ჭამაათი ბეგრი ჰყავს. ერზინჯანის კარის  
გარეთ ფაშის ჭამეა. ქვის გუმბათიანი, ტყვიის სახურავიანი, ერთმინა-  
რეთიანი საუცხოო ჭამეა. ჭამაათი ცოტა ჰყავს. თავრიზის კარის გა-  
რეთ, თხრილის პირას გურჯი მეტედ-ფაშას ჭამეა. ერთმინარეთიანი,  
მიწის სახურავიანი, ქველმოქმედ დარბაისელთავის შესაფერი, ღირ-  
სეული ჭამეა. ჭამაათიც ბეგრი ჰყავს. ამ ჭამების გარდა სამოცდათი  
მეჩეთია. ღიღება ღმერთის, ეს ქალაქი ღლითიღლე სულ უფრო კეთილ-  
მოწყობილი და გაშენებული ხდება.

**მედრესეები:** მეცნიერებათა დასაუფლებლად მედრესეები, ყურა-  
ნის საკითხავი სახლი, ჰადისების საკითხავი სახლი და ყმაწვილების  
110-მდე სასწავლებელია. მათ შორის განთქმულია ლალა-ფაშას სას-  
წავლებელი, ჭაფერ-ეფენდის სასწავლებელი და სხვები. დერვიშთა სა-  
ვანეებიც ბევრია.

წყაროებს შორის განთქმულია ბაზარში [აშენებული] ორმილიანი  
„სამოთხის წყარო“, „აქლემის წყარო“, რომელიც ერზინჯანის კარს  
გარეთ არის, და თავრიზის კარის გარეთ, თხრილის ნაპირას მდებარე  
მუსტაფა-ფაშას წყარო. „ცივი წყაროს“ აშენების თარიღია: „ცოტა  
მდინარი წყალი“. სამოცდათამდეც სებილია.

აბანოებს შორის ყველაზე განთქმულია ახლადაშენებული ჭაფერ-  
ეფენდის აბანო. მისი წყალი და ჰავრი ძმევენიერია. განათებულია.

ქალაქს სამოცდათამდე ვაჭართა უუნდუყი აქვს. მაგრამ სხვა  
ქვეყნების სახლებივით ტყვიის სახურავებიანი არაა, მიწით არის და-  
ხურული.

**გარტოხელების ფუნდუკი:** ოერთმეტი ოთახია უცოლოებისა-  
თვის. ამ ქვეყანაში ჩამოსული სხვადასხვა ხელობის კაცნი აქ ცხოვ-  
რობენ, მუშაობენ და თავს იჩჩენენ. მეკარეები და ოთახების განმეო-  
ლები ჰყავს. ყოველი ოთახი ერთი რომელიმე] ჭამეს ვაკუფია.

**სავაჭრო რიგები:** ჩვანასამდე ღუქანი აქვს. ოთხარიანი, ქვის თა-  
ლიანი, კეთილმოწყობილი დახურული ბაზარი აქვს. აქ არის სარაჭა-  
ნა, აბრეშუმის მქსოველები, ოქრომჭედლები, თერქები; სიფაპ-ბაზარი  
და ციხის ძირი მოკაზმულია. მისი ზარათხანა ერზინჯანის კარის ახ-  
ლოსაა.

მცხოვრებლების გარეგნობა: მცხოვრებლები თურქები, ქურთები, თურქმანები და სომხები არიან. ||გოქდოლაჟები<sup>4</sup> და სპარსელებიც 213 არიან. ჯანმრთელი, მშევნიერი აღნაგობის, შუატანის, მკვირცხლი, ხნი-ერებიცა და ჭაბუქებიც ვაჟაცი და ჩაფიცენილი აღაშიანებია. მეტად ძალუში აღნაგობისანი არიან.

მათი სიკეთე და სილამაზე: სანამ ათიღან ოც წელს მიაღწევენ, ყმაწვილები მეტად ლამაზები ჰყავთ. იმის შემდეგ ჩაფსკვნილი, ლონიერი გამოდიან, წევერ-ულვაში სწრაფად ამოსდით და ფრიად ხშირ-ბალნიანი ხდებიან. მაგრამ წყნარი, დინჯი, კეთილზნიანი და გონება-გამჭრიახი ხალხია.

მოსახლეობის ტანსაცმელი: დიდებულებს სისამურიანი შალი და ძვირფასი ქსოვილები აცვიათ და ისე საქმიანობენ. ულემები და კე-თილმორწმუნები, ასევე, შალის ფარავას და სარჩულიან ხიფთანს იცვამენ. მდაბიონი ხელოსნები არიან და ისინი უხეში სასარჩულე ქსოვილისაგან შეეკრილ ხალათებს იცვამენ და ისე საქმიანობენ.

ჰავა: ჰავერი სამი თვის განმავლობაში ისეთი მშვენიერია, რომ ადამიანი სამარადისო სიცოცხლეს მოიპოვებს. მისი წყალი უკვდავების წყალია. ცხენებისა და ქალებისათვის ეს წყალი ძალზე მარგებელია.

სამოთხის წყაროდ წოდებულ წყალს ვინც იენისში დალევს, [ყურანის] ახა გაახსენდება: „წყალი აცოცხლებს ყველაფერს“. განედის მეთვრამეტე სარტყელსა და სიგრძედის მესუთე სარტყელშია. იმის გამო, რომ ზამთარი სუსხიანი იცის, პურეული სამოც დღეში მწიფდება და ამბრებში ინახავენ. ერთი ქილა მარცალი ოთხმოც ქილას იძლევა. ერთი ქილა ფეტვისაგან ასი ქილა მოდის. შვიდი ჭიშის ხორბალი იცის.

მათი სანაქებო ხელოსნობა, საჭმელი და სასმელი: თერქები და ოქრომჭედლები ღიღი სსტატები არიან. მათი ხმლები, რომელთაც „მირინ“ და „შირინ“ ეწოდებათ, მსოფლიოში განთქმულია. საჭმელებიდან ქვეყნიერებაზე განთქმულია ქათმის [ხორცის] ღვეზელი, ჩირი-შად წოდებული მცენარის ღვეზელი, გამტკიცული [ფქვილის] ერბოიანი პური, რომელიც ბაზარზე [იყიდება], ერთ კულაჩის [სიგრძე] წმინდა შოთი პური, ქადა, ცხერის ხაში, მწვალი, ჰერისად წოდებული წვნიანი საჭმელი. სასმელებიდან — შარბათი „ვეხასი“, შილეს წყალი, ხალ-ხური ბოზა.

საზოგადოებრივი და სახეირნო ადგილები: საჭირითო მოედანი, ბაზარბაშის წისქვილის მინდორი, გუმშუშლუშ-გუმბეთის მოედანი, სოფელი უმუღუმი, აბდ ურ-რაჭმან-ყაზის სავანე, გურჯი მეიდანის სასეირნო ადგილები.

არზრუმს დაქვემდებარებული [ადგილების] აღწერა: ციხის სამი კარის გარეთ — აღმოსავლეთით, დასავლეთითა და ჩრდილოეთით ჩაიყ-  
ბის სამი ათასზე მეტი გარეუბანია. მათ გარშემო კედელი|| არ აქვთ.  
214 თუმცა, შარაგზაზე აკლდამებია. ციხის სამხრეთით, თავრიზის კარიდან  
თვით ერზინჯანის კარამლე დაწყებულია ციხის კედლების შენება და  
თუმცა ზოგ აღგილას ერთი კაცის სიმაღლეზეა მიწის ზედაპირიდან  
ამოკუპანილი, მისი დამთავრება ვერ განუხორციელებით ეს კედლები  
რომ ბოლომდე აშენებულიყო, არზრუმი მიუვალი ციხე იქნებოდა. სამ-  
ხრეთით მდებარე გარეუბანი შეიძიო უბნისაგან შედგება. ბაზარგაშის  
უბანიც აქ შედის და წყალი ბევრი აქვს. თავრიზის კარის გარეუბანი  
ძალიან დიდია, გორაქზე მდებარეობს და გადაჭიმულია დარალაჭის  
უბნებიდან მოყოლებული გუმუშლუშ-გუმბეთის [მოედნამდე]. გურგის  
კარის გარეუბანი ციხის ჩრდილოეთით არის და შიგ რამდენმე ათასი  
სახლი, ღუქანი და ფუნდუკია. ამჟამადაც შენდება. ყველა ვაჭარი აქ  
არის დასახლებული. ის საბაჟოც აქაა, რომელშიც მე, მწირი, ქათიბად  
ვიყავი. მის ოთხივე მხარეს არაბეთის, სპარსეთის, ინდოეთის, სინდის,  
ხატათისა და ხოთანის ვაჭრებს სახლები აქვთ. სტამბოლისა და იზმი-  
რის საბაჟოების შემდეგ ყველაზე საქმიანი ეს არზრუმის საბაჟოა,  
რაღაც ვაჭრებს სამართლიანად ექცევიან. ერზინჯანის კარის გარე-  
უბანი საქმაოდ დიდია, ციხის აღმოსავლეთ მხარეს [მდებარეობს] და  
გადაჭიმულია დევე ჩეშმესილან, თვით ალის წისკვილმდე. რაღაც ამ  
ამ გარეუბნებში მეტწილად სომეხი რაიათები სახლოებენ, ცამეტი ეკ-  
ლესია აქვს. მათი წეს-ჩვეულების მიხედვით, დაწინაურებულები ცის-  
ფრი შალის ტანისამოსს იცვამენ. თავზე პირსახოცი აქვთ წარტული.  
მდაბინი შალის გვაბანაკს იცვამენ და ფეხზე მსუბუქი ქალამანი აც-  
ვიათ. მეტად შშრომელი რაიათები არიან. სომეხი ქალები ბრტყელ-  
თავიანებინ არიან და თეთრი თავშალი აქვთ მოხვეული. მუსლიმი ქა-  
ლები წმინდად ნაქსოვ აბრეშუმს, დიბას, ოქროთი და ვერცხლით [მო-  
ქარგულ] თავსაბურს ატარებენ და თეთრ წამოსასხამში ეხვევიან. ფეხ-  
ზე ხვერდის შარვალს, ყვითელ ჩექმებს იცვამენ და კარგი ყოფაქცე-  
ვისან არიან. უაღრესად ლამაზებსა და ტკბილმოუბართ თეთრი კბი-  
ლები აცმული მარგალიტებივით შვენით. სურნელოვან ნაწინვებს  
გადმოიგდებენ და ახალგაზრდებს ხიბლავენ. რადგანაც შშვენიერი  
ჰაერია, მამაკაცები დიდხანს ცოცხლობენ. ომანიანობადაკარგულნი,  
დაუძლურებული ას წელიწადს მიაღწევენ, ლაპარაკის უნარიც აღარ  
აქვთ, მაგრამ მაინც ცოცხლობენ.

არზრუმის მცხოვრებთა ენა და სხვა ამბები: მათი სიტყვები შემ-  
დეგნაირად გამოითქმის: „პარდა იდინ?“ რაც ნიშნავს: „სად იყავი?“  
[ნაცვლად თურქული] „ნერედე იდინ“-ისა და სხვა ამის მსგავსი. მაგრამ

განსწავლულები მაღალფარდოვნად || და შეკვრმეტყველურად ლაპარა- 215  
კობენ. ცნობილი არიან განათლებული ადამიანები და განსაუთრე-  
ბით — კალიგრაფი ომერ ჩელები. განათლებულთა წრის გამრთობნი  
არიან ყველაზე ცნობილი ადამიანები: მედალი ჰამზა ბასეფა კასაბ კურ-  
თი, შაბაზი, ჰამზაზი კანდილლი-ოღლუ, დიარბექირელი იაპია მოწა-  
ფე მომლერალი ვეის ჩელები. ღვთის სიყვარულით თავდავიწყებამდე  
მისულნი: ქულპანი აქმედ-დედე გახურებულ, ცეცხლოვან აბანოს ღუ-  
მელში არხეინად შეღიოდა და იძინებდა; სიამი-დედე რამდენიმე უდა-  
ნაშაულოს ჯალათის ხელიდან დაიხსნიდა, მეორე დღეს დამნაშავეებს  
მოქებნიდა, ხის ხმალს ურტყამდა და დახოცავდა. ეს ადამიანი დამბლა-  
დაცემული დერვიში კაცია და მრავალი სასწაული აქვს ჩადენილი. სე-  
ფერ-დედე არზრუმის ზამთარში შიშველი დადიოდა.

მიუხედავად იმისა, რომ არზრუმში დიდი, სუსტიანი ზამთარი  
იცის, ბევრი შემოლობილი ბოსტანია. ნესვი, საზამთრო, კომბოსტო,  
ბაღრიგანი და შრეშის მცენარე აურაცხელი მოდის. აქაურობა სრულ-  
ყოფილი ადგილია. სწორედ ამაქეა ნათქვამი: „სიირცე მხარეებისა და  
სიიაფე სანოვაგისა“<sup>6</sup>. მიწა მოსავლიანია. რუმის დიდად კეთილმოწყო-  
ბილი ქალაქია, რომელსაც ვრცელი ვილაიეთი აქვს. განთქმულია მისი  
ხორბალი და სხვა მარცვლეული, სარჩო კარგია, სათესველი — ბევ-  
რი, ბარაქა — დიდი, სიკეთე — მრავალი, მრავალი ათასი წყარო და  
მლინარეა. ისეთი სიიაფეა, რომ სულ ბევრი, ერთი ყურუში ღირს ხუ-  
თი ვირის საპალნე აქლემის კბილივით [მსხვილი] ხორბალი. ორი ცხე-  
ნის საჭმელი [ქერი] ერთი ახშა ღირს და ერთი ვირის საპალნე ქერი —  
ორი ახშა. ხუთი ცალი წმინდა, თეთრი პური, რაც ერთ თყას იწონის,  
ერთი ახშა ღირს. ერთი ოყა ცხვრის ხორცი ორი ახშა და ერთი ოყა  
საქონლის ხორცი ერთი ახშაა; ქათამი ერთი ახშაა. ორმოცი კვერცხი  
ერთი ახშაა; მტრედის მართვე ერთი ახშაა, ასი ღირებების [წონის] ერ-  
ბოთი გატენილი ფენოვანი კვერი ერთი ახშაა. სხვა სურსათოც ამასთან  
შეფარდებით ღირს. თუმცა ზამთრის სიმკაცრის გამო ბალ-ვენახები არ  
არის, ფაშასარის ბალი, ჰავი მურადის ბალი და ყვავილნარი, ქეფენ  
ინესი-ოღლუს ვარდნარი, პეტროსის ვარდნარი, ბალი და კიდევ სხვა  
მრავალი ვარდის ბალია. ამ სხენებული ბალების მუდამ აყვავებული  
ვარდი განთქმულია. აქა-იქ ყველგან არის ზამთრის ვაშლი, პანტა: მაგ-  
რამ სხვა ხილი არა. სასეირნო აღგილებში ალვისა და ტირიფის ხეები  
მრავლადაა. რაღვანაც მყაცრი ზამთარი იცის, ორ თვეში კიდეც თესა-  
ვენ, მკიან, ლეწავენ და დაუყოვნებლივ ამბრებში ინახავენ. იმ წერს,  
როდესაც ჩვენ იქ ვიყავით, მივლისი იდგა და ჭექა-ქუხილი, ქარბუქი, 216  
ქარიშხალი, თოვლი და წვიმა იყო. ცხენები დაგვისხლტნენ და მეზო-

ბეჭლ სოფლებამდე გაიქცენ. ხუთი, ათი დღე ასე დაფეოტებული დაეხე-ტებოდნენ. ხალხურ გაღმოცემებში ასეთი თქმულებაც კი არის:

„დერვიშისათვის უთქვამთ: — „საიდან მოდიხარო?“ — „თოვლის სალოცავიდან მოვდივარო“, უპასუხნია. „რა ქვეყანა ისაო?“ და „არ-ზრუმია, სადაც კაცი სიცივისაგან იჩაგრებაო“, უპასუხნია. „იქ ზაფ-ხულს არ შეხვედრიხარო?“ — უკითხავთ. უთქვამს: „ვალლაპ, თერთ-მეტი თვე და ოცდაცხრა დღე გავატარე. ხალხმა თქვა ზაფხული მო-ვაო. მე კი ვერა ვნახე“. კიდევ ერთი ამბავი: „ერთხელ ერთი კატა ერთი ბანიდან მეორეზე რომ ხტებოდა, მალაყშივე გაყინულა. რვა თვის შემ-დეგ, ხორეზმშაპის ნოვრუზის დღეს, ყინული გაღნა, კატამ დაიკავლა და მიწზე დაეცა“. ცნობილი ანდაზაა. ჰეშმარიტად, კაცს რომ ხელი სველი ჰქონდეს და რეინის ნაჭერს მოჰკიდოს, მაშინვე მიეყინება. ხე-ლის რეინიდან მოცილება შეუძლებელი იქნება. რეინიდან ხელის მო-ცილება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, თუ კაცი მძიმე კვნე-სით ტყავს გადაიძრობს. აზოვსა და ყიფჩალეთში ძლიერი ყინვები გა-დავიტანე, მაგრამ ასეთი სასტიკი ზამთარი არ მინახავს. ხილი ორი დღის სავალით მოშორებული ადგილებიდან — ისპირიდან, თორტუმიდან და ერზინჯანიდან მოდის. ატამი, გარგარი და ყურძნენი თითო ოყა ერთ ახ-ჩაღ იყიდება. ერთ ურემ ნესესა და საზამთროს ათ ახჩაღ იძლევიან. ერ-თ. სიტყვით, სანოვავის მხრივ შეუდარებელი ქალაქია. ოლონდ, ესაა, შეშა არ აქვს. მისი მთები მოშიშვლებულია. მაგრამ ღვთის განგბით, შეშა მაინც ითვია. ორი დღის სავალის მოშორებით მდებარე მთები-დან, რომელთაც ქერანი ეწოდებათ, სახომალდო მორები მოაკვთ. ორ-მოცი არშინის სიგრძისანი არიან და ორმოც ახჩაღ პყიდიან. დაეკონ-ნებულია, რომ საბაკოში მოსულ ყველა ქარავნის აქლემს ფაშასათვის თითო გზა შეშა მოაქვს. გარდა ამისა, შეშას ცალკე მოხელე პყავს მი-ჩენილი. ერთი აქლემის საპალნე შეშას ოცდათ ახჩაღ პყიდიან. მაგ-რამ, რადგანაც ადგილობრივ მცხოვრებლებს ცხვარი და მსხვილფეხს საქონელი ბევრი პყავთ, ღარიბები წიგის სწვავენ. ღარიბი გლეხის კერა სახლის შუაგულ ადგილსაა მოთავსებული. [ოთახში] ირველივ საქონე-ლი უყენიათ და სახლები აბანსავით აბება. თონეებში ჰერისეს ხარ-შავენ და პურს აცხობენ.

ეგერლი მთის აღწერა: არზრუმის. სამხრეთით, ნახევარი საათის სავალზე მდებარეობს ეს მაღალი მთა და ეგერლი-დალი ეწოდება, რაღგანაც მისი მწვერვალი უნაგირაა<sup>7</sup>. ამ უნაგირას საშუალებით გა-დადიან ხნუსისა და მანასკერტის ციხეებისაკენ და ბინგოლის ზეგა-ზე. ამ მთაზე სამკურნალო ბალახებისა და თუთიას ყვავილის სუნისა-გან აღამიანს თავბრუ ესხმის. მთაში მოიპოვება მხვიარა, ეშფენი, რძიანა, კიფი, უერუხა, რევანდი, ჯაღვარი, მყრალი მანდრაგორი, შა-

პის უერუხა და კიდევ მრავალი ათასი ჯიშის სხვა სამკურნალო [ზალახი]. მრავალი თვალის ექიმი აქ აგრძოვებს თუთიას [ყვავილებს], ორმოცი წლის ჩინდაკარგულებს თვალში ზონდით ჩაწერებენ და დაშრეტილ თვალებს გაუნათებენ. ასორმოცდაათი სახის სუმბული და რუმის მუშკი იქნება. ტულიპები: ზერინი, შაჟაკი და თერფილი, საკარი და პიტინა განთქმულია და მათი სასიამოვნო სუნი აღამიანს სიკოცხლეს ანიჭებს.

ბალამ იბნ ბა'ურის ქებანი: ერთხელ, ამ მთის კალთაზე ჭირითს რომ ვთამაშობდი, ცხენიდან გაღმოვვარდი. ცხენმაც თავი აიშვა [თითქოს თქვა] „სადა ხარ ეხერლის მთაო“ და გაიქცა. გონჩე მოვედი, სხვა ცხენს მოვახტი და ჩემი რამდენიმე მონაბიჭის თანხლებით დავედევნე. ზედ მთის წვერზე დავიჭირე ცხენი და შევჭექი. იმ ადგილას ერთი მოგრძო საფლავი დავინახე. „ღმერთმა იცის, რომ დიდებული სალოცავია“—მეთქი და მისი სულისათვის ფათიშა წავიკითხე. ქვეითად გავიარე. ოთხმოცი ნაბიჭი გამოვიდა. თავსა და ბოლოში თითო შესანიშნავი, მაღალი, დაჭვერეთილი სვეტი იყო ჩასობილი. ამ სალოცავი ადგილის თვალიერებით გართული რომ ვიყავი, იქაურობა სიმყრალემ მოიცა. რადგანაც ყველას თავბრუ დაგვეხვა, მე და ჩემმა პიქებმა ცხვირზე ხელი მოვიჭირეთ და საფლავს შევხედეთ. რას ნახაგ! რომოში მიწა ბურღულის ფაფასავით ბუყბუყებს — კუპრიანი მიწაა. ძალზე გაკვირვებულები დავრჩით. ისევ შევსხედით ცხენებზე და მზის ჩასვლისას თავრიზის კარგთ [ქალაქში] შევედით. მზის ჩასვლის შემდეგ ფაშას რომ ვეახელი, ინება ეთქვა: „მაღლობა ღმერთს, რომ ცოცხალი ხარ! აბა, იპოვე, თუ არა ცხენი მთელი მოკაზმულობითო“. „დიახ, ვიპოვე ეხერლის მთაზე ალლაპის ერთ-ერთი წმინდანის მოგრძო საფლავი მოვილოცე“—მეთქი და ვუამბე, რაც ვნახე. ერთი აზრუმელი მწიგნზარი და მეცნიერი ჭაფერ-ეფენდიც იქ იყო. მან ბრძანა: „ფრთხილად, ევლია ჩელები. ის საფლავი მეორედ აღარ ინახულო. მოსე წინასწარმეტყველის — დიდება მას — წყევლით ალიარებულია, როგორც ურჭულო, რომელსაც ბელებ იბნ ბა'ურს ||უწოდებენ. მრავალი ასი წელი უცხოვრია. მოსე წინასწარმეტყველის [წყევლის] შემდეგ სულიერი ჭრილობის გამო ეგვიპტე დაუტოვებია და ამ მთაში დასახლებულა. ამჟამად მისი საფლავი ზამთარ-ზაფხულ ლეშივით ჰყარს. მისი საფლავიც კი ჭოჭოხეთის წამებას განიცდის და დუღსო“. მე, მწირი, განცვიფრებული დავრჩი.

## დედიგული ჯინჯანიგის ფიზი სალოცავები

კეთილშობილთა წინამძღვარი, მოსალოცი ადგილების მაჩვენებელი, სარწიუბოებრივი გზების საიდუმლოების შემცველი, ჰეშმარიტყუბის სინათლის განმჭვრეტელი, შეიხი აბუ ისხაკ ქაზუნი — ღვთის წყალობა იყოს მასზე. მისი წმინდა სახელი იბრაჰიმია. მეტსახელი — აბუ ისხაკი. დაბადა ქალაქ ქაზუნში. მამამისი წარჩინებული იყო. როდესაც ისლამით გაპატიოსნდა, აბუ ისხაკის დედა დაორსულდა; 352 (963) წლის არამაზანს არის ამ ქვეყნად გახენილი. დღითიდლე წინ მიიწევდა სუფიობის გზაზე და პოლუსთა პოლუსი გახდა. დედამიწაზე სამოგზაუროდ გამოსულა და ბრუსასა და ედირნეში გაჩერებულა. იქიდან ისევ არზრუმში მოსულა და თავრიზის კარის შიგნითა მხარეს ღილი კოშკი სამუდამო სამყოფელად აურჩევია. აკლდამას მიჩენილი ჰყავს მცცოვანი, რომელიც ხათუნის აკლდამის მცველია და მისი ამბავი პირველ ტომშია მოხსენებული. შემდეგ, ამ გუმბათში წმინდან აბუ ისხაკის ფერხთით დამარხულა წამებული მურთაზა-ფაშა<sup>1</sup>, რომელიც ერევანში შვიდ თვეს იყო ალყაშემორტყმული. ღიშლენქ ჰუსეინ-ფაშას მიერ მოკლული აბაზა-ფაშაც<sup>2</sup> იქაა დამარხული. ულუ-ქამეს იმამ აზიზ-ეფენდისა და ულუ-ქამეს იმამ ზეინები-ეფენდის ცალკე წმინდა ადგილები არის. ფაშას სასახლის პირდაპირ, სივრი გუმბათში დაკრძალული არიან: სულთან კასიმ ბენ სულთან მაჰმედ ღაზნევი<sup>3</sup>, მის გვერდით — მისი და ფაირუზე ხანუმი, მის სიახლოვეს — ლალა-ფაშა, ქულ-ჰანი აქმედ-დედე. ერზინჯანის კარის გარეთ დევე ჩეშმესის ზემოთ მარხია სარწმუნოებისათვის ბრძოლაში დალუპტული სეიდ ჯანფოლაზ ზადე მუსტაფა-ფაშა<sup>4</sup> — ღვთის წყალობა იყოს მასზე. მამაჩემისა და ჩემი, მწირის, უანგარო მფარველი და მწყალობელი იყო. ეგერლი-დალის ძირას დიდებული ამდ არ-რაჰმან<sup>5</sup>ყაზი დამარხულია მაღალ, მშვენიერ საგანეში, საიდანაც ქვეყნიერება მოჩანს. პინდი ბაბა სულთანიც აქაა. თავრიზის კართან გუმბათში გუმბათად წოდებულა, სრულყოფილი და დიდი ხელოვნებით ნაკეთები მაღალი გუმბათია. ძველ დროს მთლიანად ვერცხლის სახურავი ჰქონია. სულთან მაჰმედ ღაზნევი აქაა დამარხული. სამარხი ყუთის ქვაზე უბრალო წარწერა: სულთან მაჰმედი. „ღაზნევი“ არ წერია. კიდევ ბევრი წმინდანთა საფლავია, მაგრამ ყველაზე ცნობილები ესენი არიან — მაღალი ღმერთი აცხონებს მათ.

հՅՅԵՐԸ ԸՆԱԺԿԻՆԸ ՎԱՐԱՐԾԱՑՄԱՆ ԱՐԽՎԱՅՐԸ ՅՈՒՂԱՌՈՒԹՈՒ ՉԱՇԱԾՈՒ  
ՊՈԽՈՒ ՇՈՒԱՎԱԾՈՒՅՑ

յրեցնու եանու, ալո-եանու մը ցենչ ալո-եանու թյոհուլուսա დա յլից-  
ծու սամշալցիոտ թյուրպաց, հռմ մլոնահր արյնու ցալմա, սամերյ-  
տոտ, մտեծի մլցիահր մշմոյնու ցոնու ծեցո աշանցլա, մշցոլոծա լաահ-  
լցու դա օրանու յալոյ յրեցնու ոլցիու նոցու օլցոլո ցամահրպա դա լա-  
արծուա. ավոյուցնու սիսօրու թյոհուլու թյոհուլու թյոհուլու դա լուզանու  
սացլա թյուրմա ծքոծա ցամարտա. ցալցիւրլա լամշիրոծու մույրու. մա-  
լալու ծրճանցիոտ սալամշիրու ոյնեն დածահրեծուլու արթիւմու սացլա  
սանչացմու մցուցու մորլուցեծու, նյամյեցեծուսա դա տմարյեծու մցլունց-  
լու դա սացլա ցոնու քարու նաեցանա. յայուշո-ծամոյեծու սանչաց-  
սանչաց դալունցեն դա սացլա լուցուրուհրա քարու թյուրմա լունցու. ցշ-  
մշմշլլ ցշմեծու ցելնչ յարցեծի դածանցլուն. մալալունիսցուլմա.  
ցամամապ 70 սաթրունու սյյինանուտա դա սարուցատո, ոտես ատասու մյոմիուտ  
սեցեծուլ ցելնչ նաորցյարու յարազու լուսպա. մոր-մորանցմապ մու  
ցարմետո դաուցցու յարցեծու: մոլու յյեցնու ոմյու-ցամաս մը մշմել-  
ցամա, յրայուրան դատեռնունու մուսու մմա ծայու-ցամա, յյես արահ-ցամա,  
ցարչու ցւլու գուլացիր-ցամա, արթիւմու դացտահրահր ումանց-ցամա, սա-  
մյոյու քարմունան համնացորտա սուրուսու տանամլցեծոծու ցամունցու մա-  
մապու դա ցուլա դու սկզնու մորլուցա, տորուտումու ցամա յանու սյունու աշ-  
մել-ցամա դա սեցա մոր-մորանցմա! սամյոյու յանունու ցատալուսինցեծու-  
լու թյուսու տացտացու օլցունչ օլցիւրպեն դա սուլ 76 ատասու քարուս-  
յացուուց. որանու յլիցիմա յը նուզա քարու դանուեցու դա նանցու, հռմ  
մշմոյնու ծեցու սյյանեց սահիւզարու օլմիրու. թյունլու օլմալուցուն  
մոյնը] յրեցնու ցարմուցուսա թյունլուա. թյունլու տցու մյուուց ցւլու  
յացլուն-ծամու ալաքա ատլու քասան-ալա ատասու թյուարալցեծուլու ցենցունան  
մյոմիուտ յոնայի ցաեծա դա տցու դա յարազու մորմանա. սյունու աշմե-  
ցամա հարեինու դանունենա դա ծայու-ցամա յու — ցումթահրա թյուրու ցւլու  
մլցամունուլու ցամա, ցշմշլլ ցշմեծուսու յանուրան [գաօմիրա] մարտու-  
մորինցուն քարյետ դա սյյետու ըուցու լամշիրու դասեմա մբրուցու թյուն-  
ալմլցու. հռմ ցարմետո մցուց յոնունիմա տցալու դասպենցուա. չցուց-  
չցուց-չցուց մոմիրանու 4 սատու ցւց ծուանուն թյունլու լուցու մունցու-  
մունցու դա ժամանացլուն. մալալունիրա յուլմա ցամա յարացմու մուսցու-  
նա. յմորյետու դա մորմունանցմա դուցու նաջումուսացուս սուշեց ցամուին-  
նա. սացլանու տացտացու յարցեծի թյուր-թյուրունցուն. յյայրու մու-  
լուցուն ցելու թյուրմանցմա; ծալանու դա ոռնչա ծեցունա. հացնմա լու-  
յուցուն ցելու թյուրմանցմա; ծալանու դա ոռնչա ծեցունա.

ნებმა იბალახეს და მალე მოლონიერდნენ. აქაურობა ცნობილი ბასიანის ველის დასაწყისია. მაგრამ ზამთრობით აქ მინარეთის სიმაღლის თოვლში, ზვაგსა და ქარბუქში მრავალი ქარავანი იღუპება. თვით თაბანი იასი მეტმედ-ფაშამაც<sup>2</sup> ვერ გადალახა ეს დევე ბოხუნის თოვლი და რაღავანაც ქარავანს მაშველი ჭარი ვერ მიუყვანა, ის მშვენიერი ციხე გათახსირებული ყიზილბაშების ხელშია ასეთი შეუბრალებელია დევე ბოხუნი.

აქედან აღმოსავლეთისაკენ [ვიარეთ] და 3 საათში ჭაფერ-ეფენდის სოფელში მივედით. ჭაფერ-ეფენდიმ დიდი წვეულება გავიმართა და ფაშას ერთი ცხენი, სამი ბიჭი და სამი ქისა მიაწოდა ძღვნად. სამასკომლიანი, კეთილმოწყობილი და გაშენებული სოფელია. აქედან ისევ აღმოსავლეთისაკენ ვიარეთ ბასიანის ველზე და ხუთ საათში ჰასან-აბადის ციხეში მივედით.

ჰასან-აბადის ციხის აღწერა: აზერბაიჯანის მბრძანებლის — უზუნ ჰასანის მიერ არის ხელახლა აშენებული აბულფათიშის [სულთან მეჰმედ 11] შიშით და ამიტომ, ცნობილია ჰასან-ყალას<sup>3</sup> სახელით. ბასიანის ველზე ზღულედ ამართული, ცამჯე აზიდული მაღალი ციხეა. შემდეგ ხანებში დიდი ძალით გარშემორტყმულ იქნა და ყარა-აუსუ-ფის||ქურთმა შთამომავლებმა დაიკურეს. არზრუმის ვილაიეთის ბასიანის სანჯაყის ბეგის საჯდომია. სულეიმანის კანონის მიხედვით მისი ბეგის სახასო 12 400 ახჩაა. 6 ზეამეთი და 225 თმარი აქვს. ალაიბეგი, ჩერი-ბაში, ჯეზ-ბაში ჰყავს. ომიანობის ღრის ჯებელიებიანად ათას-ხუთასიანი ჭარი დგება და მეციხოვნეთა ნახევართან ერთად ფაშის ბრძანებით მაშველად მოღიან. დიდება ალაპი, როდესაც ჰატივცემული ფაშა ამ ციხის ძირას დაბანაკდა, ციხიდან თოვებისა და ზარბაზნების ბათქებით და სხვა საბრძალო იარაღებით ისეთი სროლა ატყდა, რომ ცა და მიწა ზანზარებდა. ჰასან-ყალა სალამანდრასავით ნიმზოდის ცეცხლში აღმოჩნდა. ირანის ელჩიმა ეს ამბავი რომ დაინახა, სუნთქვა შეეკრა და ენა ჩაუვარდა. არისტოტელესავით ბრძენმა ფაშამ ციხის-თავს ბრძანება გაუგზავნა ერთი მიპთერის ხელით და უბრძანა ციხის სასწრაფოდ საომრად გამზადება. ყველა ჭარისკაცი შეიარაღებული უნდა დამდგარიყო ციხის კედელზე. როგორც კი [ჩვენი ფაშა]: ციხის დასათვალიერებლად მივიღოდა, ჭაბაზანა უნდა მოერთოთ, უერად გაპვალინური ყიჯინა აეტეხათ და თოვისა და ზარბაზნის შეღლუხი მოეწყოთ. ნასამხრებს, როდესაც ფაშა ირანის ელჩთან ერთად ბასიანის ბეგის წვეულებაზე მიღიოდა, ციხიდან „ალლაპ, ალლაპ“-ის ძახილი და თოვ-ზარბაზნის ქუხილი ცას მისწვდა. ელჩი გაოცდა და თქვა: „პოი, სამეცო ქვეყნის კეისარო, საოცარი ჰასან-აბადის ციხის მფლობელი ხარო“. შემდეგ ციხეში შევიდა. ალიჯის კარის შიდა მხა-

221

შეუბრალებელია ციხეში შევიდა. ულიჯის კარის შიდა მხა- დევე ბოხუნი. არზრუმის ვილაიეთის სანჯაყის ბეგის საჯდომია. სულეიმანის კანონის მიხედვით მისი ბეგის სახასო 12 400 ახჩაა. 6 ზეამეთი და 225 თმარი აქვს. ალაიბეგი, ჩერი-ბაში, ჯეზ-ბაში ჰყავს. ომიანობის ღრის ჯებელიებიანად ათას-ხუთასიანი ჭარი დგება და მეციხოვნეთა ნახევართან ერთად ფაშის ბრძანებით მაშველად მოღიან. დიდება ალაპი, როდესაც ჰატივცემული ფაშა ამ ციხის ძირას დაბანაკდა, ციხიდან თოვებისა და ზარბაზნების ბათქებით და სხვა საბრძალო იარაღებით ისეთი სროლა ატყდა, რომ ცა და მიწა ზანზარებდა. ჰასან-ყალა სალამანდრასავით ნიმზოდის ცეცხლში აღმოჩნდა. ირანის ელჩიმა ეს ამბავი რომ დაინახა, სუნთქვა შეეკრა და ენა ჩაუვარდა. არისტოტელესავით ბრძენმა ფაშამ ციხის-თავს ბრძანება გაუგზავნა ერთი მიპთერის ხელით და უბრძანა ციხის სასწრაფოდ საომრად გამზადება. ყველა ჭარისკაცი შეიარაღებული უნდა დამდგარიყო ციხის კედელზე. როგორც კი [ჩვენი ფაშა]: ციხის დასათვალიერებლად მივიღოდა, ჭაბაზანა უნდა მოერთოთ, უერად გაპვალინური ყიჯინა აეტეხათ და თოვისა და ზარბაზნის შეღლუხი მოეწყოთ. ნასამხრებს, როდესაც ფაშა ირანის ელჩთან ერთად ბასიანის ბეგის წვეულებაზე მიღიოდა, ციხიდან „ალლაპ, ალლაპ“-ის ძახილი და თოვ-ზარბაზნის ქუხილი ცას მისწვდა. ელჩი გაოცდა და თქვა: „პოი, სამეცო ქვეყნის კეისარო, საოცარი ჰასან-აბადის ციხის მფლობელი ხარო“. შემდეგ ციხეში შევიდა. ულიჯის კარის შიდა მხა-

რეს, ორი კარის შუა ადგილას მუზარადებით, ოქროს ქულებით, ნაირ-ნაირი ხელსაწყო-იარაღებით მოქაზმული მეომრები შარაგზის აქტ-იქთა მხარეს მისასალმებლად წყებებად იყვნენ განლაგებული თვით შიდა ცახემდე. შიდა ციხეში საპარასკევო ლოცვა შესრულდა და როგორც კი გარეთ გამოვიდა, ციხის ყველა კედელ-ბურჯი ღრმოშებით და ნაირ-ნაირი ბაირალებით მოირთო. ფაშა ციხეში შესასვლელად გამოვიდა მეჩეთიდან და სულთან სულეიმანის ორმოცდაოთხმტკაველიანი ზარბაზნები გაასროლინა. მათი ყუმბარები თვით ჩიბან ქოფრულმდე მიაწვდინა. შემდეგ პურ-მარილი მიირთვა და ციხის ბეგსა და ციხის-თავს თითო საპატიო ხალათი უბოძა. ფაშა კელავ საზეიმო სელით მოვიდა კარავში. შემდეგ 150 ახმიანი თანამდებობის ყადი, იანიჩართა სარდალი, სიფაპიების ქეთხუდაჲერი, მუფთი, ნაკიბ ულ-ეშრაფი და სხვა წარჩინებულები ფაშას ეახლნენ და მიწას ემთხვევინენ.

შასან-ყალას აღწერა: ბასიანის ველის ჩრდილოეთ მხარეს, ერთი მთის კალთაზე //ცამდე აზიდულ ციცაბო კლდეზე დაფუძნებული ციხეა, 222 რომლის აღმოსავლეთ მხრიდან — თბილი წყაროდან დაბლა ჩახედვა აღამიანის გაბედულებას აღმატება. ველისაკენ ზღუდედ აღმართული, ღიღებული, „იმის ნახტომის“ მსგავსი, შვევნიერი, ქვის საძირკვლიანი ციხეა. შიგ ციხისთავის, იმამისა და მუეძინის გარდა არავინ არის. [ციხეში] ცხენი და ვირი ვერ ავა. ერევნის ლაშქრობაში მურად მეოთხი-სათვის პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ცახე-კოშკი იყო; აქედან მოელი ქვეყნიერება მოჩანს. ჩვენი ბატონი მელექ აქმედ-ფაშა<sup>4</sup> ერევანს რომ მიდიოდა, ამ ციხე-კოშკში გახდა სილაპართა ნიშანჭი, რომელიც ცნობილია „კოჯა ნიშანჭის“ სახელით. ერთ ღამეს სანთლის ალით მურად-ხანის საბანი დაეწვა და ამისათვის გადააყენეს. ამ ციხის ირგვლივი ზომა ათასი ნაბიჯია. თხრილი არ აქვს. დასავლეთით ერთი რკინის კარი აქვს. ამ შიდა ციხეს ჩრდილოეთ მხარეს ეზო აქვს. მას ქვევით გარეუბნის რაბათის ციხე დაბლობ ადგილზეა. მხოლოდ ორსართულიანი, დიდი ციხეა. გარშემოწერილობა ექვსი ათასი ნაბიჯია. ოთხკუთხა მოყვანილობის, მოგრძო, ქვით ნაშენი, კოხტა ციხეა, რომელიც თეთრი გედივით მოჩანს. მისი კედლები თვრამეტი არშინის სიმაღლისაა. მხოლოდ ორი ზღუდე აქვს. სამ მხარეს თხრილი ძალზე დაბალი აქვს, მაგრამ მტრის შიში სულ არ არის. იმიტომ, რომ დაცემული აღგილი და წყლიანი მიწაა და მტერი ამ მიწაზე სანგრებში ვერ ჩავა. ერთი წყრთის სიღრმეზე რომ მოითხაროს მიწა, წყალი ამოვა. ჭაობიანი და კუპანტობი აღგილია. არზრუმის კარი დასავლეთისაკენ გადის. დიდი რკინის კარია. აღმოსავლეთით შემტული ილიჭას კარი და ოღრანის კარი დაკეტილია. შეიდასი მეციხოვნე და ციხისთავი ჰყავს; შესანიშნავი ჯაბახანა, სამოცი ცალი დიდი და პატარა ზარბაზანი აქვს. ცნ-

ბილმა აბაზა-ფაშამ ვერაგულად, მოულოდნელად აიღო ეს ციხე და აჯანყდა. მისი სამხრეთი მხარე ბასიანის ველია, რომლის სიგრძე შვალი დღის სავალია. ციხეში ხუთას ოთხმოცდაათამდე მიწის სახურავიანი, ქვით ნაშენი საზამთრო სახლებია. ციხეში ცხრა უბანი და ცხრა მიკრაბია.

მის ჯამეებს შორის ყველაზე ბრწყინვალეა სულეიმან-ხანის ჯამე. ერთმინარეთიანი, მიწის სახურავიანი, ძველი ყაიდის, დაბალი ჯამე. ქალაქს პატარა ბაზარი აქვს. მაგრამ დახურული ბაზარი და სხვა რამ შენობები არ აქვს. ყმაწვილების ექვსი სასწავლებელი, ერთი ფუნდუკი და ერთი აბანო აქვს, თუმცა იგი მეტწილად დაკეტილია. აქ სახლობენ მამაკი, სახელოვანი, გაბედული, ნიჭირი, ||თავმდაბალი, ყარიბთა მეგობარი ადამიანები. რადგანაც ჰავა შვევნიერია, მათ შორის არიან ბუნების მიერ ნიჭით დაგილდოებული. განსაკუთრებათ [აღსანიშნავი] პოეტთა მეფე ნეფრი-ეფენდი<sup>5</sup>. ამ სურნელოვან მიწაზე დაბადებულა. ნეფრი-საგან კი რამდენმა ადამიანმა მიიღო საჩერებლობა და თავისი ცოლდა სრულპყო! ამ ციხეში და მის არემარეზე ბალ-ვენასის [გაშენება] არ შეიძლება — ზამთრის სუსტი მეტისმეტად ლიდას. მაგრამ მარცვლეულის მოსავალი უხვი იცის. ეს კია, რომ მისი თაფლი და პური მათრობელაა. მე, მწირმა, ციხისთავის სახლში ხმიადს თაფლი მივატანე; ნახევარი საათის შემდეგ თავბრუ დამეხვა და კინაღამ ციხიდან გადმოვკრდი.

თბილი წყლების აღწერა: ამ ქვემო რაბათის სამხრეთის მხარეს მდებარე კედლების წინ შვიდი თბილი წყაროა. მათი წყლები მეტად ზომიერია. მცირე გუმბათებით აშენებული თბილი წყლებია. რვა თბილი წყარო კი ღიად. ამოდის. თითო წყარო საქონელს რიგრიგობით ხმარდება. როდესაც რომელიმე შინაური ცხოველი დავადღება, თუ აქ აბანავებენ, მორჩება. ამ ცხელი აბანოების წყალი აქლუმებით მიაქვთ, მუნითა და კერითად დაავადებულებს ასმევენ და შვებას ანიჭებენ. მთელ ქვეყნიერებაზე ცნობილი თბილი წყაროებია. ეს ქალაქიც რომ დავათვალიერეთ, ისევ აღმოსავლეთისაკენ ვიარეთ და 3 საათში საფარ-აღას სოფელში მოვედით. სამაკუმლიანი სოფელი და ზემეთია. იქიდან ისევ აღმოსავლეთისაკენ 3 საათი ვიარეთ და ერთ აღგოლას მოვედით, რომელსაც ჩობან-ქრისტესუ ჰქვია. აქ ხიდის იმ თავში გავჩერდით, რომელიც ჰასან-ყალას მხარეს იყო და ჯარი გაღმა გაღავიდა.

ჩობან-ქრისტესუ: რადგანაც იგი ჩობანიანთან საგვარეულოს ერთი მელიქის აშენებულია, ჩობანის ხიდს უწოდებენ. მდინარე არეზე ცისარტყელასავით ნათელ, სანიმუშო შესახელაობას წარმოადგენს მდინარე არეზი ბინგოლის ზეგანიდან გამოდის, აღმოსავლეთისაკენ

მოედინება და მანასკერტის ძირას გადის. შემდეგ ართიფის, ხნუსის ციხეებს წინ ჩაუდის და თაღიან ხიდს გაივლის. მრავალ ას სოფელს რწყავს და ამ ჩობან ქოფრუსუსაც გაივლის. ერევნისიციხის ძირას მდინარე ზანგას ერთვის, [შემდეგ] — მტკვარს და მისი მეშვეობით გილანის ანუ ხაზართა ზღვაში ჩადის. ეს მდინარეც მქუხარეა. ბინგოლის ზეგანზე თოვლი რომ დაწება, ზღვასავით ბობოქობს და ღრიალებს.

224

ფაშამ მთელი ჯარები ამ ჩობან-ქოფრუსუსადან სამ დღეში გადაიყვანა და თავისი ამალით გადავიდა, აქედან შვად საათში სოფელ დიდი ართიფის საღვურში მივედით. ხნუსის სანჯაყის მიწაზე, 150 კომლიან სომეხთა სოფელ ართიფთან გაჩერდა; აქედან ისევ აღმოსავლეთით ვიარეთ და რვა საათში კუზულუ-ბაბას სოფელში მოვედით, სადაც სულთანი არის დამარხული. ესეც ხნუსის მიწაზეა. იქიდან 6 საათში ხნუსის ციხეში მოვედით.

ხნუსის ციხე: აზერბაიჯანის ერთ-ერთი მშენებელის — უზუნ ჰასანის ბიძის — შაპ-შაბურის აშენებულია. შემდეგ ჩაებში მისმა ქურთუბმა მორჩილება გამოაცხადეს და ციხის გასაღებები სულეიმან-შაპს ჩააბარეს. ამჟამად აზერუმის ვილაიეთში [შედის] და სანჯაყის ბეგის საჯღომია. ფაღიშაპის მიერ მის ბეგს დანიშნული აქვს სახასო 484 000 ახჩა. მის ლივაში ორი ზეამეთი და 425 თიმარია. კანონის მიხედვით ჯებელიებიანად ორიათასიანი ლაშქარი შეგროვდა და ჯარის კარვებში დაბანაკდნენ. ყველანი მაჟმუდის ქურთები არიან<sup>7</sup>. 150 ახჩიანი მშევნეორი ყაზაა. ციხისთავი და მეციხოვნები ჰყავს, მაგრამ სარდალი, ქეთეულა, მუფთი და კეთილშობილი არავინ ჰყავს. ჩაუქი მხედრები კი ბევრია.

ციხის აღწერა: დროის მიხედვით, აზერუმიდან სამხრეთისაკენ სამი დღის სავალზე, მაგრამ პირდაპირი ხაზით ოქროს რგოლებიანი ხიდის<sup>8</sup> წინ მდებარეობს. ამ ხნუსის ზღუდე მაღალ გორაკის ციფაზო კლდეზე [აშენებული] ოთხეუთხა, ძლიერი შენობა და მტკიცე ციხეა. ერთი უსასრულო ველის<sup>9</sup> ზედ შუაგულში, დაცემულ აღილასაა, მაგრამ [ხელოვნური] დაბრკოლებები აქვს. გარშემო ცადატყორცნილი პიტალო კლდეებია. ციცაბოკლდოვანი მიღმოება აქვს. აღმოსავლეთიდან ციხეში შემოდის ანკარა წყალი. ციხის ვერდა მხარეს, კედლის ძირას ოსტატს რკინის ცხაური აუგადა. ხსენებული წყალი მასში [შედის] და იმას იქით მრავალ ბოსტანს უნაწილდება და რწყავს. ამ რკინის ცხაურში წყლის გარდა ვერაფერი ვერ გაატანს. ციხის კარი ამ გამდინარი წყაროს სათავეს სიახლოვესაა. ციხის ათას ორას სახლში ქურთები ცხოვრობენ. სულ შვიდი მიპრაბი სამლოცველო აქვს. ერთი ფუნდუკი და აბანო, აგრეთვე, მცირე ბაზარი აქვს. ყველა შენობა მიწის ბანიანია. კრამიტიანი შენობა არაა. მოსახლეობას ცხვარი და ახა უ-

225  
211

ვალავი ჰყავს. მცხოვრებლები ქალაქის დასავლეთით მდებარე ბინგო-ლის ზეგანზე გადიან და იქ გრილ ჰაერზე ისვენებენ.

რაღაც მაღაწერდ ე. ი. მანასეერტის ციხის ბეგი არჩრუმის სანჯაყის მირლივაა, ამ ადგილას სამი ათასი შეიარაღებული და სრულ-ყოფილი მაჭუდის [ტომის] ჯარით მოვიდა, საპატიო ხალათი ჩაიცა და თავზე თულიანი თავსარქმელი დაიხურა. იმ დღეს ვეზირის ბრძანებით ჯარის მეწინავე, მზვერავი ნაწილების უფროსი გახდა. მეწინავე ბაქრ-ფაშა და უკანმავალი სეიდი აპელ-ფაშა 53 ათას მეომარს ჩაუდგნენ სათავეში, 12 „შაჰი“ ზარბაზანი და 2 კულუმბურა ზარბაზანი მიეჩინათ. ილოცეს, [ღმერთს] ქება-დიდება შეასხეს და ბნუსის ციხიდან შუშიქის ციხისაკენ გაემართნენ. ჩვენი ბატონი ფაშა ათი ათასმდე მეომრით ხნუსის ველზე დარჩე. ხევდან მთელ ჯართან ერთად აღმოსავლეთისაკენ ფრიალო მთებში შევედით. ციცაბო და უფსკრულიანი ადგილები 6 საათში გავიარეთ და სოფელ ხასიჭში მოვედით. ქურთების ორასკომლიანი სოფელია. იქიდან მე, მწირი, ორას მამაც ცხენოსანთან ერთად ზია ედ-დინის ციხეში მივედი. აზერბაიჯანის ხელისუფლის — ზია ედ-დინის აშენებულია და აზერბაიჯანის მიწაზე ძლიერ გამაგრებული ციხე და მტკიცე ზღუდეა. არჩრუმის [ვილაიეთის] ხნუსის სანჯაყის საზღვრებია. ციხისთავი და მეციხოვნები ჰყავს. ერევნის და პყრობის დროს [ამ ციხის] მცხოვრებლები დამორჩილდნენ და გასალებები ფალიშაპს ჩაბარეს. ურფის გადასახადებისაგან განთავისუფლებული არიან. სარდალი ან ვინმე ასეთი არ ჰყავთ. ერთი ჯამე და ექვსასი მიწის ბანიანი, ერთსართულიანი სახლია. ერთი ფუნდუქი, აბან და 40—50 დუქანი აქვს. რაღაც მევიანი და ჭაბიანი მიწაა, მაინცადამაინც კეთილმოწყობილი არაა. მაგრამ მისი ხალხი ძალზე მამაცი და გულადი ვაჟკაცები არიან.

სანიმუშო თბილი წყლების აღწერა: მდინარე არეზსა და ვანის ტბას შორის თბილი წყაროა, რომელიც დათვალიერების ლირსია. ზია ედ-დინის ციხის ახლოსაა. ეს თბილი წყარო ხუთ, ექვს || ადგილს გამოდის; ერთმანეთისაგან ათ-ათი, თხუთმეტ-თხუთმეტი ნაბიჯის მანძილზე შდებარე თალებიანი წყაროებია. ზოგი ყინულივით ცივი წყაროა; ზოგი კი — მდულარე წყალივით ცხელი. ყველა დანარჩენებიც ამ სახითაა — ერთი დუღილამდე ცხელია და სხვა — ყინულივით ცივი. საოცარი ღვთის წყაროა. აქედანაც, ვეზირის ბრძანების შესაბამისად, ციხის მეომართა ნახევარი აღებიანად წავიყვანეთ, დასავლეთისაკენ მთები, კლდეები გადავლიანეთ და 9 საათში ავნიქის ციხეში მოვედით. ესეც ზია ედ-დინის აშენებულია და სულეიმან-ხანისათვის ქედი მოუხრია. ციცაბო კლდეზე, მაღალი, ოთხუთხა, კოხტა ციხეა. აქედანაც გზა განვაგრძეთ და შუშიქის ციხეს მივაღწიეთ. „შუშიქ“-ი, ქურთების

თქმით, იმ მთის სახელია, რომელზეც ციხე მდებარეობს. ციხე სულ-  
თან პასანის ძე ზია ედ-დინის აშენებულია. ცამდე აზილული, ციცაძო  
კლდის წვერზე [მდებარე] ოთხეუთხა, პატარა ციხეა. ციხის ძირიდან  
ზარბაზნის ერთი გასროლის მანძილზე განლაგდა ჭარი თავისი ზღვის-  
ოდენი მეომრებით. ციხე იმავე საათს ალყაშემორტყმული იქნა. ქვემო  
და ზემო საფარებში მუსლიმი გმირები სანგრებში შევიდნენ და ოთ-  
ფის სროლა დაიწყეს. იმავ წამს ციხიდან ზარბაზნისა და ოთფის ერთი  
ბათქი დასცეს და თვალის დახამხამებაში სამოცდაათმა კაცმა შესვა  
მოწმეობრივი სიკვდილის თასი. სარდალმა სეიდი აპმედ-ფაშამ მაშინ-  
ვე რამდენიმე ასი გამოცდილი მირმირანი და სხვა ემირები ტკბილი  
ენით, ჭარი კი წყალობით გაიძრთეულა, კალთა აიკრიფა, მთელი ძალ-  
ლონებ მოიკრიბა და ოთხი გრძელი „შაჰის“ ზარბაზნი ციხის ალმოსავ-  
ლეთ მხარეს, მოშორებით მყოფ ზღვდებზე დადგა. საფარის უკანა  
მხრიდან შიდა ციხეს ზარბაზნის ერთი ბათქი რომ დასცხო, ღვთის  
ბრძანებით, შუშიქის ბეგის ბიძაშვილ ჩენდედან შეჯაბეგს ზარბაზნის  
ბირთვი მოხვდა და იმავე წამს სული გააფრთხობინა. ციხეში ვაი-უბე-  
დურება დატრიალდა. გმირებმა ყოველის მხრიდან ობობასავით ჭამ-  
ბაზურად დაიწყეს აცოცება ციხის გამონგრეულ ადგილებზე. ერთი  
სიტყვით, ერთი დღე და ღამე დიდი ომი იყო და მეორე დღეს ციხის  
ქონგურებზე დანებების ბაირალები აფრიალდა. ყველა ქურთი მოთქმა-  
ყვირილს მოპყავა: „შეგვიწყალეთ, პო, ოსმალთა რჩეულო ჭარისკაცე-  
ბომ“. სარდალი სეიდი აპმედ-ფაშა ციხის კართან რომ მოვიდა თავი-  
სი ბოლუქ-ბაშისა და [არზრუმის] ფაშის აღის — ალაჭა ათლის თან-  
ხლებით, ციხიდან მტევლად გამოვიდა ქურთების ორი სახელოვანი ბე-  
გი. მათ თქვეს: „ამ ღამით ჩვენი ბეგი მუსტაფა-ბეგილი/ციხიდან 227  
დით ჩაეშვა და სპარსეთში გაიქცაო“. გამოცდილი სარდალი სეიდი  
აპმედ-ფაშა მაშინვე მიუხვდა სიცრუეს, არ დაიჯერა და უთხრა: „საჩ-  
ქაროდ მოძებნეთ თქვენი ბეგი, თორებ შვიდოვეს თავ-ფეხს! დაგურე-  
ვინებთ და ხნუსის ძირას მდგარ არზრუმის ვალის! — ვეზირ მეტმედ-  
ფაშას გავუგზავნიონ“. ეს შეიდი კაცი გათოვა. ციხეში სასწრაფოდ შე-  
იყვანა შვიდასი კაცი და შუშიქის ბეგის სასახლის ქონება და ნივთები  
ხელში ჩაიგდო. ქურთი ავაზაები გარეთ გამორეკეს და მთელი მათი  
იარალი და აღქურვილობა დაიპყრეს. ერთი სიტყვით, ციხე მთლიანად  
დაიბრო და ჩვენ ბატონს მეტმედ-ფაშას მახარობელი გაუგზავნა. იმ  
დღეს ციხეში მუპამედის საღიდებელი იქნა წაკითხული. ციხეში ორი  
ათასი მეთოცე ჩადგა. თოფ-ზარბაზნის დიდი შედლუხი შეიქნა და  
თვით ირანის საზღვრებამდე დაარბიეს შუშიქის ბეგის ხალხი და ქვე-  
ყანა. ასიათასობით ცხვარი და მსხვილფეხა საქონელი, ცხენი და ჭორი  
ნაღავლად წამოვიყვანეთ. იმისათვის, რომ შუშიქის ბეგი ხელში ჩა-

გვეგდო, ამ ქვეყანაში კაცები დაიგზავნენ. ჭაშუში დოლაკ თულუნგი იპოვეს და ერთ დღეს სარდალმა აპმელ-ფაშამ იგი ჭალათს გადასცა. იმ დროს, როდესაც უწყალო ჭალათს მისი თავი ტანისაგან უნდა მოეშორებინა, ფეხზე წამოდგა და ოქვა: „პოი, დემირ ახა-ფაშა! ერთ წამს შემიწყალე, ერთი სათქმელი მაქვს“. ჭალათმაც შეიწყნარა. მანაც ოქვა: „ლმერთმანი, შუშუქის ბეგი მაქუს ციხეში მოვარდა და სპარსეთის ხანს აცნობაო. ეხლა ჰათმის ციხეში ზის დაპატიმრებულიო“. მაქუს ციხეში შუშიქის ბეგის საძებნელად მაშინვე გაეშურნენ ბაკი-ფაშა, ქუთფა-ფაშა, დელი დილავერ-ფაშა, მანასკერტის ბეგი მექედ-ბეგი და სამი ათასი მეომარი.

ჯერ მინვალის ხევის ნაპირ-ნაპირ ვიარეთ რვა საათი აღმოსაფლეთისაკენ. კლდეები, მთები გადავიარეთ და სოფელ გუნდეთ თეპმურაში მივედით. ირანის ერთ-ერთი ხანი თეპმურასი ჩილალ-ოლლუსთან ბრძოლაში ჩაძალლდა და აქვეა დამარხული ერთ აკლდამაში. ორასკომლიანი სოფელია. სპარსელებს და შუშიქელებს ხარაჭას უხდიან. აქედან ისევ აღმოსავლეთით ვიარეთ შვილი საათი ბუჩქნარსა და ლორდიანში და შავ გელიქტ გადავიარეთ. თოთქმის სამი საათიც ერთ ტულიპებით მოფენილ ველზე ვიარეთ და მაქუს ციხეში მოვედით.

მაქუს ციხის აღწერა: თუმცა მისი ამშენებლის კვალი არ ჩანს, 228 ამბობენ. რომ ანუშირვანის აშენებულიაო. ||როდესაც სულეიმან-ხანს ქურთები დამორჩილდნენ, აქაურობაც მაპმუდს ტომის ბეგს ებომა, მაგრამ მაპმუდს ტომის ერთ-ერთი ბეგის — მანასკერტის ბეგის მზრდანებლობაში იყო, რომელმაც იგი ვერაგულად დაიპყრო. როდესაც ბალდადის დამპყრობელ მურად-ხან მეოთხის დიდებითი ყარა მუსტაფა ფაშა<sup>10</sup> ბალდადის დაპყრობის შემდეგ დერნეს და დერთენგის მხარეს საზღვრების მისაზომად მოვიდა, ჩვენი ბატონი მელექ აპმედფაშა ჯერ კიდევ დიაზექქირის ვალი იყო და ისიც მას გაჟუვა. ეს ციხე] ოსმალეთის ფარგლებში შევიდა და [სანაზღაუროდ] ზავის დასადებად ოსმალებმა დაანგრიეს შეკრიზორის მიწაზე მდებარე აპმედის ციხე. სპარსელებმა კი ვანის საზღვრებში მდებარე კუთურის ციხე მოთხარეს. შემდეგ ოსმალებმა დააქციეს ეს მაქუს ციხე, ერევნის სია-ლოვეს, და მისი ბეგი მანასკერტიში დასვეს. შემდეგ, შუშიქის ციხის ბეგის განდგომის დროს სპარსელებმაც იხელთეს დრო, ერთ ლამეს არხეინად ჩააყენეს თავისი მაზანდარანელები ამ მაქუს ციხეში და დიდად გამაგრებული ციხე მიიღეს.

ციხის აღწერა: მდინარის ნაპირას მდებარეობს. სოკოს ჰევავს — ძირი წვრილი და ზემო ნაწილი ვეებერთელა ველივით აქვს. მარმარილოსებური, ტანწერწეტა, ცამდე აზიდული, ყოველი მხრიდან მიუვალი და მიუდგომელი, სწორუპოვარი ციხეა. მის ქვემოთ მდებარე

კლდეებზე ნის ხილით გადადიან. ერთი კარი აქვს. კარის შიდა მხარეს მინარეთში ასასვლელი კიბესავით კლდეში გამოჭრილი საფეხურებით აღიან მაღლა ციხეში. შიგ შვიდასამდე სახლია. მაგრამ იძლენად კეთილმოწყობილი არაა. რომ გაშენდეს, მიუვალი და შიგ ორი ათასი მაზანდარანელი მეთოფეა ჩაყენებული. მდინარეზე გადებულ ხილს ყოველია მაღლა სწევენ და ციხის კლდე კუნძულივით ჩეხბა. ციხის უმაღლესი ადგილიდან ასი კულაჯის სიგრძის თოვიანი ჩარჩით ააქვთ მაღლა წყალი და წყურებილს იქლავენ. ამ ციხის ხანი ათასი დინჩოქენი ყმაწვილის თანხლებით ჩამოეგდა ქვემოთ ჩვენ სარდალს და დიდი წვეულება გაუქმართა. ნადიმის შემდეგ ჩვენმა სარდალმა ბაქა-ფაშამ შუშიქის ზეგი მოსთხოვა — შევეწყნარებო. მან (ხანმა) თქვა: „უპირველესად თავდებად დადგეს მთელი ჭარი, რომ არაფერი დაუშავდებათ“. ფაშაც. ალაპის სახელით შეპირდა. ციხიდან წაიყვანა ბეგი, ერთ დღეში თავის ციხეში მიიყვანა და სეიდი აპმედ-ფაშას ჩააბარა. ის კი მეშვიდე დღეს ხნუსის ციხეში მოვიდა და არზრუმის//ვალის — ჩვენ ბატონ მეპმედ- 229 ფაშას გადასცა. ყველა მირ-მირანმა და ემირიმა, თანამდებობის კაცებმა, ავნიქელმა აპმედ-აღმა და სხვებმა სთხოვეს და მოკვლას რომ გადაარჩინეს — გაუშვეს. მისი ციხე კი მანასკერტის ბეგს — მეპმედ-ბეგს ებოძა. ყველა მუსლიმი გმირის თანხლებით, უვნებელნი, ნადავლით დატვირთულნი, ძლევამოსილნი და გამარჯვებულნი არზრუმისაკენ გავემართენით. იმ დღეს შვიდი საათი ვიარეთ და სოფელ ილიგალარში დავისადგურეთ. ეს სოფელი მდინარე არზისის ნაპირას მდებარეობს, ბაიაზეთის ციხის საბრძანებელში. სომხებისა და მუსლიმების სამასკომლიანი სოფელია.

აქ ჩვენმა სახელოვანმა ბატონმა ერევნის ხანის ელჩს კასიმ-ხანს და თავარიზის ელჩს სუიფ ალი-ხანს დიდი წვეულება გაუმართა და მეგობრული წერილები მისცა. თითოეულ მათგანს უბორა ორ-ორი დაურახტავი ქეპეილანის ცხენი, თითო მარჯნის კრიალოსანი, მშვილდისარი, კიდევ — გენუისა და ვენეციის აბრეშუმის ქსოვილი და ყველას მიმართა: „ჩვენ, ოსმალებს, უკადრის საქმედ მიგვაჩნია ზავის პირობის დარღვევა. შუშიქის ბეგის — მუსტაფა-ბეის ელი დავარბიეთ და ციხე სხვას უშობრეთ. ამგვარად, თქვენ, ესე იგი, ჩვენმა ძმამ, ერევნის ხანმა, მას უჩივლეთ. მაქუს ციხეში თქვენს მიერ ჩაყენებული ჭარი გამოიყვანეთ და ზავით გათვალისწინებული წესის მიხედვით ციხე დააქციეთ, თორებ, ამჟამად, თულრას დამშელი დიდი სარდალი ვარ. ზღვისოდენა ლაშქარს გამოვიყვან და მთელი ერევნისა და ნახევნის მოსახლეობას დავარბევინებო. ეს რომ თქვა, ელჩებმა თავი მდაბლად დაუკრეს და უპასუხეს: „ბატონი ბრძანდებითო“. ამიტომ თითოეულ მათ-

განს სპარსული ყათიდის სისამურის ქურები ჩაცვა და ქილარჯი ველი-  
აღა ელჩ კასიმ-ხანთან ერთად ერევნისაკენ გაემართა. ალაგა ათლი ჰა-  
სან-აღა ელჩ თაკო-ხანთან ერთად გაემართა ნახშევნისაკენ. მე, მწირს,  
კი, რადგანაც საბაჟოს ქათიბი ვიყავი და იქ ვაჭრები უნდა მოსულიყვა-  
ნენ, წერილები გაღმომეცა. თაკრიზის ხანისათვის გადასაცემად ერთი  
ძვირფასად შეკაზმული ცხენი, ერთიც ქსოვილგადაფარებული ქეპე-  
ლანის ცხენი, მშვენიერი სასულთნო ხელსახოცები, ერთი მარგალიტეს  
კრიალსანი, ერთი წყვილი კაპარჭი ჩაბარდა თავრიზის ხანის ეონ  
სეიფ ალი-ხანს. მე, მწირიც, მის ამალაში გამამწესეს. ჩვენმა ბატონშა  
ფაშამ მითხრა: „ჩემო ევლია, ღმერთი იყოს შენი მფარველი“ და  
ელჩის პატივისცემა დაგვავდა. ხანთან თხოვნის წერილები დაიწერა:  
„იქნებ აქეთკენ საბაჟოში ქარავნები გამოგზავნოთო“. ესენიც მე,  
მწირს, ჩამაბარეს და ერთი ქისა გზის სახაჩო, ერთი ხელი საპატიო  
ტანისამოსი მომცეს. ჩემს თერთმეტ // მსახურს გარდა თითო დანაყო-  
ფიდან ხუთ-ხუთი, ათ-ათი კაცი შემომიერთდა. სულ ორმოცდახუთი  
კაცი ვიყავით. ჩვენ ბატონ ფაშას მოწირებით გამოვეთხოვე, მაღალ  
ალაპის მივენდე და ერევნისა და ნახშევნისაკენ გავემართეთ.

## LVIII

ჩვენი აყრა მღინარე არაზის ნაპირიდან და ირანი მდებარე  
ორმცნედისა და ნახავვების მიმართულებით დაცვა!

ჭერ მდინარე არეზის ნაპირის ვიარეთ 7 საათი აღმოსავლეთისაკენ  
და სოფელ დაილაგიქს შივალწიეთ. ეს სოფელი ავნიქის ციხის საბრძა-  
ნებელშია. მცხოვრებლების ნახევარი სომხებია და ნახევარი — მუს-  
ლიმები, რომლებიც მაჰმუდის [ტომის] ქურთები არიან. ერთი ჯამე  
აქვს. აქედან ისევ აღმოსავლეთისაკენ ვიარეთ არეზის ნაპირ-ნაპირ და  
ბარუთხანეს სადგურში მოვედით. შუშიქის ციხის საბრძანებელში ხე-  
ვის ნაპირის მდებარეობს. სამასკომლიანი, მწვანეში ჩაფლული სოფე-  
ლია და მის მიწაში გვარჯილა მოიპოვება. ამიტომ უწოდებენ [ამ სო-  
ფელს] ბარუთხანეს<sup>2</sup>. კეთილნაშენი სოფელია. აქედან ისევ აღმოსავ-  
ლეთისაკენ ვიარეთ 13 საათი და სოფელ დუში კაბას სადგურში მივე-  
დით. მისი ციხე დანგრეულია. ავახის ხევად წოდებულ მშვენიერი  
წყლის პირას მდელოზე დავბანაკდით კარვებში და მეცურად დავისვე-  
ნეთ. აქედან ჩომ წამოვედით, 13 საათი ვიარეთ აღმოსავლეთისაკენ და  
ჩაღლა ღურთას სადგურში მივედით. კეთილნაშენი სოფელია. მისი მო-  
სახლეობა სულ შუშიქის ქურთებია. შუშიქის ციხეც ხელმარცხნივ მო-  
ჩანდა. ყვითელ კლდეებზე. მისასალმებლად შვიდჯერ გაისროლეს ზარ-

ბაზანი, რაც ნიშნავდა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანებათ“. მათმა ბეგმა ძალიან ბევრი საჭმელ-სასმელი მოგვართვა ძღვნად. აქედან ერევ-ნისაკენ გაემართნენ ერევნის ხანის ელჩი კასმ-ხანი და ნიქსარელი ქილარჯი ველი-აღა. მე, მწირი, და ჩვენი ელჩი ნახშევნის ხანის ელჩი. თან ერთად მარჯვნივ მდებარე მთებზე გავლით ნახშევნის გზას დავა-დევით. აღმოსავლეთით მრავალი იალაღი, მთა და ბაღი გადავიარეთ და 13 საათში ირანის სამფლობელოს პირველ ციხეს — კარშის ციხეს მი-ვაღწიეთ.

კარშის ციხე: ოემურ-ხანის შეილის — შაპირუჟ მირზას აშენებუ-ლია. ||შემდეგ აზერბაიჯანის სულთან უზუნ ჰასნის მბრძანებლობაში 231 გადავიდა. ამჟამად ერევნის მიწაზეა და აზერბაიჯანის ქალაქია. მისი ციხე გორაკზე მდებარე, ცამდე აზილული, შევარდნისა და არწივის ბუ-დესავით მაღლალია. ოთხკუთხა, ქვითნაშენი, სიხარულით დასახლებუ-ლი ციხეა. შეგ ათასი დიზჩოქენი ყმაწვილი აჩის. როდესაც მეციხოვ-ნეთა მეთაურმა ჩვენთან ერთად ყყოფ ელჩებს საჩუქრები მოუტანა, ჩვენთვის ციხიდან 70--80 ზარბაზანი გაასროლინა და შედღუხი ატე-ხა. მცირე, წერილი ზარბაზნების ხმამ მარცხნივ და მარჯვნივ დაიჭუხა. ჩვენ ციხის ძირას კარვებში დავბინავდით და ნელი სვლით ქვედა ქა-ლაქი დავათვალიერეთ. ქალაქი მაინცდამინც კეთილმოწყობილი არ არის. მაგრამ ძველად დიდი ქალაქი და ძლიერი ციხე ყოფილა. შემდეგ, 1043 წელს (1633—1634), როდესაც სულთანი მურად-ხან IV ერევ-ნის ლაშქრობაში მიღიოდა, აზერბაიჯანის, ახალციხის, ყარსის, ვანის ქა-რები ერთ ადგილას შეერა. ეს ქალაქი კარში ისე დაარბიეს და დაან-გრიეს, რომ თავიდან აშენება გახდა საჭირო. დღემდე ისევეა დანგრე-ული. შეიძი მინარეთიანი ჭამე და მცირე ბაზარი აქვს. მაგრამ ბალ-ვენაზი არა აქვს. რადგანაც ქალაქი მდინარე კარშის პირასაა, მისი ჰავა მშენებირია. მისი მიწა დაბლობი ადგილია და ამიტომ ძალიან კარგი ბრინჯი მოდის. ეს მდინარეც სუქუნის მთიდან გამოდის და არეზს ერ-თვის. ციხის აღამ ელჩი და მე, მწირი, წვეულებაზე მიგვიპატიუა. ჩვე-ნი ცხენებით ნახევარ საათში შევძელით ციხეში ასვლა. როდესაც იქი-დან გაღმოვიხედე, მიწა ქამელეონიერით ჩნდა. შაპის დიზჩოქენ-აღა, რომელსაც თავსარქმელი ფერად-ფერადი ფრთხებით მოერთო და თავ-ზე კრელჭრული ჰქონდა შემოხვეული, მაშინვე ჩვენთან მოვიდა და-დიდი პატივით მოგვესალმა: „ჰეი, ყურბან! კეთილი იყოს თქვენი მო-ბრძანება. თქვენი ხმალი და ჩემი კისერით“ და მიგვიწვია სახლში, საი-დანაც მთელი ქვეყნიერება მოჩანდა. მშვენიერი მასპინძლობა გაგვი-წია. სიყვარულის ასპარეზზე, სუფრის ადგილას კალმით მოხატული პურ-მარილი გაიშალა. თერთმეტი სახეობის ფლავი გეახელით: „ავ შილაფლავი“, „ქოქუ“ ფლავი, ზაფრანიანი ფლავი, „უდის“ ფლავი,

შილაფლავი, „ხოშ“ ფლავი, „ჩილაუ“ ფლავი, ამბრინი ფლავი, ნევ-  
რიანი ფლავი, „გოსა“ ფლავი, „დუზუნ“ ფლავი. სხვა საჭმელები: მწვა-  
ნილით შეკაზმული ქაბაბი, ნამაქდანი, მასტაბას წვნიანი და სასიამოვნო  
ხორციანი ხორბლის ფაფა მივირთვით და გულითადად ვისაუბრეთ.

- 232 წვეულების შემდეგ ელჩს, მე, მწირს, ॥ალაგა აოლი ჰესან-აღას მშვე-  
ნიერი ფოცხვრის ქურქები გვიძლვნა. იქიდან ძირს ჩამოვედით ჩვენს  
კარაგში. უკან მოვგაყოლა ორმოცდაათამდე ცხვარი, ათასამდე თეთრი  
პური, 7—8 ჯორის საპალნე ხილეულისა და „ავშილეს“ შარბათი. იმ  
ღამეს დიდი დღესასწაული გადაეიხადეთ, კიდევ ორი დღე დავრჩით  
აქ და მდინარე კარშის ნაპირზე მაღალი კოშკები დავათვალიერეთ. ძა-  
ლიან ლამაზი, ტანწერწეტა მინარეთიანი, უბადლო ჯამე აქვს. მის მახ-  
ლობლად არის თაჯ აღ-დინ მუნშის აბანო და შეიძიც ფუნდუკი რაღ-  
განაც მისი ჰავა მშვენიერია, ყოველთვის, როდესაც მათთ ლამაზმანების  
ძლიერად სურმაწამული ჯეირნის თვალები მზერას მიაპრიტენ გუ-  
ლის მურაზებს, სულს სიხარული ეფინება. მეორე დღეს, დილაადრიან  
ამ ქალაქიდან ავიყარენით, სამასამდე მაზანდარანელის თანხლებით აღ-  
მოსავლეთისაკენ 13 საათი ვიარეთ და დაბა (ქენდ) მასირში მოვედით.  
ამ ქვეყნებში სიტყვა „ქენდ“—ს კასაბას, ე. ი: დაბას მნიშვნელობით  
ხმარობენ. მასირის მთის კალთებზე მიწის ბანიანი, ათასკომლიანი და-  
ბაა, ვენახიანი, ბალიანი, კეთილნაშენი და ცივი წყლით მდიდარი. მათ  
საძოვრებზე მდინარე გაღის. შეიძი ჯამე. სამი აბანო, სამასამდე პატა-  
რა დუქანი და ბაზარი აქვს. აქაც ერევნის მიწების საქალანთარო არის.  
ერთი ღამე ამ ლამაზ ადგილის გავათიეთ. შემდეგ ავიყარენით, 14 საა-  
თი ვიარეთ და ქენდურას-ხანს მივაღწიეთ. ეს ქალაქი ნაცხვენის მიწის  
საზღვრებშია და ნაცხვენის ხანის სახასო. ძალიან გაშენებული და ყვა-  
ვილოვანი დაბაა. მესტუმრე მოვიდა და დიდი პატივი ვეცა. ამ დაბიდან  
ორი სპარსელი ბიჭი გვეახლა და მსახურებად დაგვიდგნენ. კარგი მომ-  
ლერლები იყვნენ. როდესაც ისინი ხორასნული კილოთი რამეს იმღე-  
რებლენენ, აღმიანს სულს ჩაუდგამდნენ. იქიდან ისევ აღმოსავლეთით  
ვიარეთ ხეობით შვილი საათი და უჩ ქილისას<sup>4</sup> საღვურს მივაღწიეთ.

- უჩ ქილისას საოცრება: ამ ტაძრის დიდი ნეწილი ანუშირვანის  
აშენებულია. წელიწადში ორმოცი-ორმოცდაათი ათასი კაცი თეთო  
საფრანგეთიდან მოყოლებულიც კი აქ იყრის თავს. ამ მთის უმაღლეს  
მწვერეალზე, მდელოებიან ველზე მათ ერთი ძველი ხალიჩა აქვთ, რო-  
მელსაც გაპირენენ ხოლმე. რაც კი იმ მთებში სასარგებლო ხეები, ვე-  
ლური მცენარეები და ბალახის ჯიშებია, ყველას ერთ დიდ ჭვაბში ჩაყ-  
რიან და ასესებენ. ზედადგარს დადგამენ და სალიჩაზე ძლიერ ცეცხლს  
გააჩალებენ. ცეცხლი სრულებით არ წვავს ხალიჩას. შემდეგ იმ საჭმელს  
გაინაწილებენ და ბევრ მათგანს ევროპაშიც კი მიაქვს, როგორც ნა-

ქურთხი. ზოგი კი იქვე ჭამს, ტებება და ნაღიმობს. მე, მწირმა, ბერებს გამოვკითხე ამ ამბის საიდუმლოება. [ბერმა] მრავალი საოცარი თქმულება ამიხსნა. მან თქვა: „ღმერჩმანი, ეს ის ხალიჩაა, რომელიც წმინდა იყსოს გამოჰყვა დედის საშოღან. ისრაელთა შიშით გამოქვაბულში ჩაიკეტა. ბალაბულახი მოაგროვა და მასზე მკვდარი გააცოცხლა. როგორც სასწაული, ებრაელთა მთელ ტომს ამ ხალიჩაზე მოხარშული საჭმელი უხვად მისცა. შემდეგ ხანებში ეს ხალიჩა ბედნიერი ნასრის ხელში გადავიდა. მისგან კი ანუშირვან სამართლიანთან მოხვდა. მანაც, ეს ტაძარი რომ ააგო, ზედ საჭმელი მოახარშვინა. მას შემდეგ, რაც ჩვენც მასზე საჭმელს მოვხარშავთ, განვიწმინდებით და ისე ვიცავთ, როგორც ჩვენ საკუთარ თავს. თვით სულეიმან-ხანმაც კი ამ ხალიჩაზე ორჯერ დაიხინა და ილოცა, როდესაც ნახევრნის ლაშქრობაში იყო მოსული“. თითქოს აბრეშუმისა არისო და თან არც ბამბაა, არც მატყლი. ერთგვარი მონაცრისფრო, დიდი სალოცავი ხალიჩაა, მაგრამ ძალიან მიძიმე — ჩემი, მწირის, მოკლე ჭკუით, იგი დამზადებულია იმ ჭიშის ჭვისაგან, რომელიც კვიპროსის კუნძულზე მოიპოვება. როდესაც ამ ჭვას ჩაქუჩით დანაყავენ, ტილოს მსგავსი გახდება. შემდეგ ძაფად დაგრუხენ და განბანგის ხელსახოცებს, ნაზ და ლამაზ საცვლებს აკეთებენ და სტამბოლის წარჩინებულებისა და ფალიშაპისათვის საჩუქრად მოაქვთ. თვით ჩვენ ბარონს კადა სულთანს მამამისმა მურად-ხან IV ხუმრობით უთხრა: „ჩემო კადა! შენ კლიფისაგან გაეცეთებული ჭვის პერანგი უნდა მოგცე!“<sup>55</sup> და ერთი ჭვედა საცვალი და ერთი პერანგი აჩუქა. ერთხანს კადა სულთანს კლიფის პერანგი ეცვა და რომ გაეცუჭყიანებდა, ცეცხლში აგდებდა და წვავდა. სუფთა და თეთრი ხდებოდა. ისევ იცვმდა. საოცნებო და ნაზი პერანგი იყო. ჩვენ წარჩინებულებს და დიდებულებს ბევრი აქვთ. კაფულანმა ჟუსამ ზაღმე მე, მწირს, ერთი ამგვარი ხელსახოცი მაჩუქა. რომ გავაცუჭყიანე, ცეცხლში დავწვი. მას შემდეგ, რაც მელექ აპმედ-ფაშას თანდასწრებით კარგად გამოიწვა, ბამბის ყვავილოვით გახდა. ეს ხალიჩაც უკეცელად კვიპროსის ჭვისაგან არის მოქსოვილი — ესაა და ეს! არაეითარი სასწაული აქ არაა.

|| მას შემდეგ რაც აქაურობაც დავათვალიერეთ, უჩ ქილისადან 234 ავყარენით, აღმოსავლეთისაკენ გავიარეთ კეთილმოწყობილი და გაშენებული დაბები, მოსავლიანი მიწები, მთები და ველები, მლაშობი და მწირი აღგილები. ნახევრნის საზღვრებში მდებარე ერთ დაბაში მივედით. შელუნის მთის კალთაზე იყო. თერთმეტი მინარეთი მოჩანდა, მაგრამ, რაღაცაც მე, მწირი, იმ ხალებში, ცოტა არ იყოს, უგუნჯოდ ვიყავი, ჩემ გემოზე ვერ დავათვალიერე. აქ არსებულ ბექთაშიგის სავანე მოვინახულე და მათი შეიხის ნიმეთ-დედეს კურთხევა მივიღე. მეორე დღეს დილაადრიან ავტექით და ამ თვალუწვდენელ ველზე თორ-  
212

მეტი საათი ვიარეთ, მაგრამ გზაში სამჯერ დავისვენეთ ამწვენებულ მდელოებზე. შემდეგ, ველის სამხრეთ მხარეს, ერთ მდელოზე, მდინარე ზანგის საღურში მივედით. მდინარის პირას ჩვენ კარვებში დავბანაქდით. მოელი ამ ველის მოსახლეობა ამბობდა „ოსმალები მოსულანო“, საჩუქრებით მოდიოდნენ, სიხარულით მოჰქონდათ უთვალავი საჭმელ-სასმელი და სტუმართმოქვარულად გვხვდებოდნენ. ჩვენ მსახურებსაც კი ისე დაებრათ მუცლები, თითქოს ივაღმყოფი ლიკიანები იყვნენ. ჩვენი ცხენების მუცლები მეფურ ქანდაკებას დაემგვანა მაგ მიერ კარვების წინ შეჭმული ნოყიერი ბალახისა და იონქისაგან. ეს მდინარე ზანგი სათავეს იღებს სამხრეთით მდებარე ხარანის მთებში და ჩრდილოეთისაკენ მიედინება. ასობით დაბასა და სოფელს რწყავს, მდინარე არეზს იერთებს და გილანის ზღვას ერთვის.

აქედან ისევ აღმოსავლეთით, კეთილმოწყობილ დაბებსა და ველებზე გადავინაფირეთ, ვიარეთ, 10 საათში სედერქის დაბას მივაღწიეთ. ნახვევნის მიწაზე მდებარეობს და იმამ აღი რიზას ვაკუფებია. ყოველგვარი გადასახადებისაგან გათავისუფლებულია. კეთილმოწყობილი და დამშვენებული, ათასკომლიანი, უთვალავ ბაღ-ვენახიანი, მშვენიერპარიანი დაბა. მცხოვრებლები შიიტები არიან.

სედერქის თბილი წყლები: ქალაქებრეთ, ბალების კიდეზე მაღალ გუმბათიანი თბილი წყაროებია, რომელთაგან სამში, ზომით ათი ათზე [აღლიან] აუზებში, სპარსელი ლამაზანები ვერცხლისტანიანი ოეტზებივით დასრიალებენ და ერთმანეთს მოურიდებლად ეხვევიან. ამ ქალაქის მოსახლეობის უმეტესობა გოქლოლავი და ფეიქრები არიან. ეშხიანად მღერიან „მანა“-ებს მშვენიერი, მაღალი ხმა აქვთ. აქედან ისევ აღმოსავლეთისაკენ ვიარეთ 14 საათი და აპმედ-ბეგის სავანეს საღურს მივაღწიეთ. ნახვევნის მიწაზე ხუთასკომლიანი, ვენახებიანი, ბალებიანი, ქეთილნაშენი დაბაა. რაღგანაც ისმალთა ხელში ყოფნის ღროს ნახვევნის გამგებელმა ზალ-ფაშას აქ აპმედ-ფაშამ აქ სტამბოლური ყაიდის მინარეთიანი ჯამე ააშენა, მას სპარსელთა ენაზე აპმედ-ფაშას სავანის დაბას უწოდებენ. ამჟამად ეს დაბა იმ მომჯადოებელი ჯამეს ვაკუფია. აქედან ისევ ვიარეთ 16 საათი კეთილნაშენი დაბების გავლით და დიდ ქალაქ ყარაბაღლარში მივედით.

დიდი ქალაქის ყარაბაღის აღწერა: ეს ქალაქი პირველად მანუჩარმა ააგო. ძალიან ძველია. ამჟამად ნახვევნის მიწაზე ცალკე სასულ-თხოა. მეპმედ III-ს<sup>7</sup> ღროს (1595—1603) ისმალთა ხელში იყო და მერე სპარსელების ხელში გადავიდა. თვალდასაბნელებელმა თემურმაც ამ ყარაბაღლარში გამოიზამთრა და უთვალავი ჯარებით ხუთი თვე დარჩა. აი, ასეთი კეთილნაშენი, ამწვანებული, თვალუწვდენელი ველია. მრავალჯერ გამოიზამთრა აქ სულეიმან-ხანმა და სხვა სარდლებ-

შაც. ამჟამად ოლიგ-ალაგ კვლავ შენდება. ჩვენმა მსახურებმა [ქალაქ-ში] ორმოცამდე მინარეთი დაითვალის. დიდება ღმერთს, ამ ქალაქის შევენიერი ჰავის წყალობით გუნება გამომიყეთდა. ცხენზე ამხედრებული თანამგზავრებთან ერთად ქალაქის სახელდახელოდ დათვალიერებას შევუდევი. ჩვენი მესტუმრის თქმით [ქალაქში] ათი ათასამდე ბალ-ვენახიანი სახლი და 70 მიპრაბი არის; ამათ რიცხვში ორმოცამდე მინარეთიანი ჯამეა. ფუნდუკი და აბანო, სავაჭრო რიგები აუარებელია. ახლაც მათი რიცხვი იზრდება. საჭმელ-სასმელის სოუხვით განთქმული ქვეყანაა.

ელჩთან ერთად ერთ ბალში რომ ვსეირონბდით, ერთმა მებალემ, რომელსაც დაზღან-ყული ერქვა, ოცდაექვსი ჯიშის წყლიანი მსხალი მოვციტანა: მელეჭე, აბასი, ორდუბაძი. ამ ჯიშის მსხლის შემჭმელს პირში ვარდის წყლის გემო უჩნდება. ლალისფერი ბროწეული მოდის. ერევნის ბრინჯი, ფლავი და ხორციანი ხორბლის ხალიფაფა გემრიელია. მათი მზარეულები ფრიად სუფთანი არიან და ყველა მუსლიმია. ირანში საჭმლის გამყიდველები ბერძნები და სომხები არ არიან. არსებითად, აქ ბერძნები საერთოდ არც არიან. მხოლოდ სავაჭროდ მოსულები თუ გამოერევიან. მაგრამ ებრაელი, შიიტი, კურაბი ბევრია. მელაპიდე, ზენადეკე, ჯაფერი, ჯებრი, კუდრი, პურუფი, ზემინი და სხვადასხვა სწორ გზას აცდენილი მწვალებელი ადამიანი ძალიან ბევრია. მას შემდეგ, რაც ყარაბაღში ამგვარად ვისეირნეთ და დავათვალიერეთ, სამხრეთისაკენ განვაგრძეთ გზა და ნახჭევნის ციხეს მივალწიეთ.

|| ქვეყნიერების შვენების; ნახჭევნის ციხის აღწერა: ჰეშმარი- 236  
ტად, ქვეყნიერების ფერადოვნად მოხატული ქალაქია. ზოგი ნახჭევანს უწოდებს და ზოგიც — ნახჭევანს. ირანის მიწაზე ერთ-ერთი საუკეთესო ქალაქია, რომელიც ამჟამად აზერბაიჯანის ფარგლებში [შეღის] და ცალკე სახანოა: ხანს ბევრი მეომარი ჰყავს. ეთიმადოვლე, ქალანთარი, მუშრი, ტარულა, დიზჩიქენების აღა, ჩიგვენ-აღასი ჰყავს. ყველა ეს მოხელე ერევა ხელისუფლებაში. ყადი და შეის ულ-ისლამიც ჰყავს. ეს ქალაქი ძეველ დროს შაპ-აფრასიაბის<sup>9</sup> აშენებულია, რომლის წინაპრების აკლდამები ახლაც ჩანს. მისი მეფობის დროს ნახჭევანი იმ ზომამდე კეთილმოწყობილი და გაშენებული ყოფილა, რომ მის ტრამალებზე ერთი ნაბიჯი მიწაც კი არ იყო თავისუფალი. შემდეგ მონლოლებმა ხარბად დაადგეს თვალი, მიწაზე დაუტეველი ჯარით მოვიდნენ და ამ ქალაქის საქვეყნო ხატოვანება წარხოცეს, დაანგრიეს, გაავერანეს: მისი ციხე დალეწეს და მტკრად აქციეს. შემდეგ, ოსმალთა საგვარეულოს წევრის, მექმედ-ხან მესამის დროს ოსმალების ხელში რომ იყო, გზადანეული შაპის მხრიდან ზულფუქარ-ხანი მოვიდა და ნახჭევანი და-

იპყრო. შემდეგ მურად-ხან შეოთხის ჯარი მოვიდა და თაბანი დასი მეტმედ-ფაშამ აქაურობა დაიპყრო. აი, ამგვარად, დატრიალდა ქვეყნის ამბები. როგორც იტყვიან:

„ფუჭდება მრავალი ათასი საქმე, იმართება მრავალი გრძობა. ეს გასაოცარი საქმეა, რომელსაც ვერაფერი შეაჩერებს.“

საერთოდ, ამ ქვეყანაზე ყველაფერი ვერანდება; ესეც უაპევლია, რომ ყველაფერი წარმავალია, როგორც ნათვამია დიდებულ ლექსში. მურად მეოთხის შემდეგ აქაურობა კიდევ უფრო აყვავდა და გაშენდა. ათი ათას ორასი, მიწის ბანიანი დიდი სახლებითაა გაწყობილი და სამოცდაათი ჯამეთი და სალოცავი სახლით დაშვენებული. ორმოცი მეჩეთი, ოცი სასტუმრო. შვილი კარგი აბან და ათასამდე ღუქანი აქვს. შენობების უმეტესობა ლამაზია. სიგრძედის მეოთხე სარტყელისა და განედის მე-18 სარტყელის შუაგულში მდებარეობს და ჰავა ოდნავ მყაცრია. რადგანაც ბალ-ვენახები ცოტაა, ხეხილი მცირე რაოდენობით არის.

სანაქებოა მისი შვილი ჯიშის ბამბა: ზალი, მუნლაძი, ზაფრანი, ლალი, ხას, ბეგაზ. აგრეთვე — მარცვლეული და ხორბალი.

ხელოსნები ხელგწაფული არიან. მთელ ქვეყნიერებაზე გან-  
237 თქმულია მწის ყალემქარი — ბაპრამ გურის და ჩითის სუფრები<sup>10</sup> ქე-  
რი ფრიად ნოკიერი და ბეგრია. თითო ცხენს ოთხი ოყა შავი ქერი  
ჰყოფნის. მათ ბოსტნებში საკმაოდ წყლიანი ნესვები და საზამთროები  
მოდის. მათი ლამაზმანები თეთრი ფერისანი არიან. მამაკაცები ზანზა-  
ლაქებიან თავსაბურავს — გრძელ თავსახვეს იხვევენ და კილებზე  
ქურქშემოვლებულ ყალემქარის ტანისამოსს იცვამენ. ფეხზე ფერადი  
ქეჩის შარვალს, მწვანე-წითელ, ნარინჯ-ტურინჯისფერ ფეხსაცმელს  
იცვამენ. ქალები წოწოლა თავსაბურავს იხურავენ და ზედ თეთრ მო-  
სასხამს იხვევენ. ფეხზე ნაირფერ ჩექმას იცვამენ. მათი ლამაზმანები  
ნაირ-ნაირი, მტრელისტორად შეღებილი ქურქისაგან შეკერილ ისპაპა-  
ნურ ქუდს იხურავენ. გულისგამხარებელი მირზებივით დაგოგმანებენ,  
ხუმრობენ, კოპწიაობენ და ხალხს თავს აწონებენ. მცხოვრებლები შა-  
ფის მიმდევრები არიან. შაფის სარწმუნოებისა ვართო, გაცხარებული  
იჩემებენ, მაგრამ ტყუილია. ჯაფერის მიმდევარი ხალხია. როცა ლო-  
ცვის დრო დადგება, ხუთივე ლოცვას ასრულებენ. მაგრამ მუსლიმ  
ჯამაათან ერთად არ ასრულებენ ლოცვას<sup>11</sup>. მრავალრიცხვანი მრევ-  
ლიანი, საუცხოო ჯამეები აქვს ისეთი, რომ ყოველი მათგანი სამარადი-  
სო სამოთხეა. მათ შორას ჯენაბი აპმედ-ფაშას ჯამე, ფერპალ-ფაშას  
ჯამე, გუშელ ალი-ფაშას ჯამე, ჯილლ-ოლლუს ჯამე, ჰადიმ ჯაფერ-ფა-  
შას ჯამე. შემქული და მოხატულებია შორენკეციანი ფაიფურითა და

ჩინური მინანქრით. რამდენიმე შათგანის გუმბათებიც კი ფაიფურით არის დახურული. აქ არის 33 მინარეთი, რომელიც სტამბოლურ ყაიდაზეა აგებული. აქმედ-ფაშას ჯამე ისეთივეა, როგორც რუსთემფაშას ჯამე სტამბოლში. ჯენაბის აბანო ფრიად შშვენიერი და ნათელია. კარი და კედლები ფაიფურითა და მოჭიქული შორენკეცითაა მოპირკეთებული, იატაკი მარმარილოთია მოფენილი. ყველა ფეშორი მომალი ჭადრაკისებურად არის მოხატული. ჩვენი სასტუმროს ახლოს არის წალ-ფაშას აბანო. მისი ყველა კარი და კედლები ქაშანური ფაიფურისაა. იატაკი მთლიანად მოფენილია შინდისფერი, ქარვისფერი და თეთრი მარმარილოთი. ნათელი აბანოა; ყველა სარქმელი ბროლისა და ნეკეფის მთის ბროლისა აქვს. გუმბათის ქვეშ, შუა ადგილის დიდი აუზია. ერთი სიტყვით, მჭევრმეტყველთაც არ ყოფნით ძალა ღირსეულად შეაქონ ამ აბანოს კარგი ჰაერი, სიმშვენიერე და სისუფთავე და მით უფრო — მე, მწირ ევლიას. შაპის ბაზარზე მდიდარი ვაჭრები და ქველმოქმედი სოვდებრები არიან. ყოველი მათგანი კარუნის საუნგის<sup>12</sup> მფლობელი, მდიდარი ვაჭრები და ღირსეული ადამიანები არიან. მოსახლეობა დროსსტარებისა და ნალიმობის მოყვარული ხალხია. ნახევრნის ხანი რიზა ედ-დინ-ხანი ჩვენ შესახვედრად მოვიდა და ელჩი და მე, მწირი, ერთ ბალში წაგვიყვანა. მოკითხვის წერილები ბალში წაიკითხა; ||ყველა წარჩინებული და დი- 238 დებული ესწრებოდა. სასიამოვნო საუბრითა და სიმღერებით დამშვე- ნებული მეჭლისი გაიმართა. ბაიკარასაც კი შეშურდებოდა ამათი. თურ- მე მაღალირისეული ხანი ნიკიერი, კარგი მოსაუბრე ყოფილა. აღრე იგი ხაზინდარ-ბაში იყო შაპ-სეფისა, რომელმაც სულთან მურად- ხან IV-ს ბაღდადი ჩააბარა. ერთი ქართველი ბიჭი ყოფილა, რომელიც ხაზინადარ-ბაშის თანამდებობის შემდეგ ხანი გამხდარა. არისტოტე- ლივით ბრძენი ვინერა. მისი საპატიო წოდებაა დევლეთ მირზა-ხანი. წვეულების შემდეგ ამ ბალში პირველად ჩვენი ბატონი ფაშისაგან ელ- ჩობით მოსულ ალაკა ათლი ჰასან-აღასა და მე, მწირს, გვიბოძა თი- თო საპატიო ხალათი, ათ-ათი აბასური თუმანი აბანოს ფულად და თი- თო ცხენი. თავის ელჩისაც ხალათი ჩააცა. დარბაისელი, გულუხვი ხანი იყო. ორმოც-ორმოცდათამდე ისეთი გამჭრიანი, შორსსჭერეტელი, მასთან დაახლოვებული, თანამეინახე და ულემა ჰყავს, თითოეული მათგანი ყოველ მეცნიერებას ბოლომდე ჩასწვდომია.

ამ ქალაქის კუთვნილი გლეხობა და სხევა მისთანანი დეპანების [მდაბიო] ენაზე ლაპარაკობენ. მაგრამ გამოცდილი მელექსეები, სიტყვა- კაზმულად და მოსწრებულად მოსაუბრები ლაპარაკობენ ნატიფ და დახვეწილ ფალაურ და მონლოლურ ენებზე, რომლებიც ქველი ენე- ბია. ქალაქელებიც ასევე ლაპარაკობენ. თავის აღგილას იქნება აღნიშ-

ნული, უპირველესად ყოვლისა, დეპუნი, დარი, ფარსი, ლაზი, ფეხლევი ენებზე ნათქვამი. სპარსული ენის შესახებ განსვენებული ქემალ-ფაშა ზაღე თავის „ჭეშმარიტების დაწვრილებით ამბებში“<sup>13</sup> ამბობს:

„დაილამი ამბობს „თაქტისირში“: — ჰეითხა ალაპის მოციქულმა — ალაპიმც აკურთხებს მას და გაუმარჯვებს — მიქაელს — მშვიდობა მასზე: — „ამბობს რაიმეს ალაპი — მაღალიმც არს იგი — სპარსულად?“ მიუგო: — „დიახ, ო, ალაპის მოციქულო! ამბობს აბრაამის გრავნილში — მშვიდობა მასზე: „რასაც ვუზმ ტირანთა ამ ერთ მუქა მიწას, ამბავს მაშინ მოვიტან“; და თქვა წინასწარმეტყველმა — მშვიდობა მასზე: — „ვინც ჰყიცხავს სარწმუნოებისათვის შეძრძოლის მოქმედებას, მას არ სწამს ალაპი“. და თქვა წინასწარმეტყველმა — მშვიდობა მასზე: — „სამოთხის ხალხის ენა არაბულია, სპარსული კი დარია“<sup>14</sup>.

## LIX

ამ (სპარსული) ენის ზოგი სიტყვის მიაზრილობა!

აექ — ერთი 1; დო — ორი 2; სე — სამი 3; ჩარ — ოთხი 4; ფნგ — ხუთი 5; უშ — ექვსი 6; ჰეთ — შვიდი 7; ჰშთ — რვა 8; ნჰ — ცხრა 9; გლჰ — ათი 10; ბანქზღვა — თერთმეტი 11; ღვაზღვა — თორმეტი 12; სანქზღვა — ცამეტი 13; ჩარდჰ — თოთხმეტი 14; ეზდ — ღმერთი; დეზდან — ღმერთი; ხდა — ღმერთი; ფრგვრდქარ — ღმერთი; ფეხამბრ, ფიამბრ — წინასწარმეტყველი; ნან — პური; აბ — წყალი; გნდმ — ხორბალი; არზნ — ფერვი; ხვაბ — სიზმარი; მასთ — მაწონი; ბია — მოდი; მრუ — არ წახვიდე; ფსრ — ვაჟაშვილი; რუ — წადი; ბგუჟ — თქვი; ეჲ ფდრმნ — მამაჩემო; ეჲ ბრადრმნ — ჩემო ძმაო; ქასპ — ჩანახი; ქოზე — ჭიეჲა; სბუ — თასი; ჰნმ — ქვეერი; ჯარუბ — ცოცხი; ზინ — უნაგირი; ნმდ — ქეხა; თნგ — ვიწრო; თნქ — ყური; ბარდომ — საძუე; სინა ბნდ — სამეკრდე ლვედი; ჰავიდ — აქლემის კეხი; ფთხაქ — უნაგირის სალრტილი; ჩქაბ — უზანგი; ლგამ — ლაგამი; აჭასარ — ავშარა; ბშმაქნდ — დიდსულოვანი; თახიანე — მათრახა; ჯამე — ნიფხავი; ფირან — პერანგი; ღორძისი — თითისტარი; ქოთლან — თითისტარი; თსლე — მასტიკის ფისი; ვლიზე — შავი ფისი; ქოზორდ — საკმეველი; სრიპ — თაფლი; ენქრდ — თაფლი; ენგბინ — თაფლი; აბქემპ — პურის შეკამანდი; ბაპა — წვნიანი; სქბა — ძმრიანი საჭმელი; ჰაიგინე — ერბოკვერცხი; ქაპი — ერბოიანი ტებილი; ფაფა; ჩნქალ ხასთ — ვერმიშელის საჭმელი; ლუზინე — ნუშის ჰალვა; ბათლა — ჰალვის ქვაბი.

„ის ბანგი ხურმახურისა, რომლის ადგილი ტებილეულშია,  
მუდაშ უშიშროებაში იყოს მომარხულე სუფის კიცხეისაგან.

როცა ვნახებ ზის, ყუათი, ნასიამოვნებში სულითა და გულით,  
ვთქვი: ჰეშმარიტად, მისი ხვედრი იყოს ისტორია! მისი წყალბა —  
მულმივიც.

კიდევ მრავალნაირი გამოთქმა და სიტყვა არის, მაგრა ამ ჩვენ ამას  
დავჭერდით. მის სანახებში მობინალე თარაქამების, გოქლოლაკებს,  
მონლოლ ტომებს განსხვავებული კილოები აქვთ, რომლებსაც, თუ  
ლმერთი ინებებს, თავ-თავის აღგილზე აღვწერ. ამ ნაპევნის ველზე და  
მის სანახებში ||ძლიერი და გამაგრებული ციხეებია. რამდენიმე მათგანი 240  
ვნახეთ; თუმცა, კარგად ვერ დავათვალიერეთ, რადგანაც მათ ვხვდე-  
ბოდით ნადირობიდან დაბრუნებისა და გასეირნების დროს. მათ შორის  
ყველაზე ძლიერია ალინგაკ ვანი, რომელიც მოლა ქუთბ ედ-ლინის აშე-  
ნებულია, სერანისა და სუსუ მარვანის ციხეები; რადგანაც ეს უკანას-  
კელი მერვან ალ-ჰამრარის აშენებულია, „სუს მარვან“-ს უწოდებენ.

## LX

ნაბპიცანში ხანისგან საჩუქრები და წერილები მივიღოთ და  
თავრიზის ქვიშისაკენ გავიმართოთ

ჯერ სამხრეთისაკენ ვიარეთ რვა საათი და ქესიქ გუმბათის სად-  
ვურში მოვედით. ეს არის კეთილმოწყობილი და გაშენებული დაბა, რომელსაც ათასი სახლი, ბალ-ვენახი, სამი ჭამე, ფუნდუქი და აბანო  
აქვს.

მირზა რეზა ბენ ჰუსეინ ბაიკარას წმინდა საულაფი: მცხოვრებ-  
ლები მის შესახებ ამბობენ, ჰუსეინ ბაიკარას შვილიაო. მის სარკოფაგ-  
ზე წერია: „ჰუსეინ ბაიკარას შვილი, რომელიც დავაუკაცებას ვერ მო-  
ესწრო“. ცამდე აზიდული თალი და გუმბათია. აქლამის მცველებმაც  
აცე-ჩანეს, რომ ეს დაბა ბაიკარას შთამომავლობის მიერ ამ წმინდა აკლ-  
დამისათვის არის შეწირული ვაკუფადო. იქიდან ავიყარენით, შვიდი  
საათი ვიარეთ და მდინარე „დიდ არეზთან“<sup>1</sup> მივედით. სათავეს ვანის  
ვილაიეთში მდებარე ფეთიანიში ქურთების მთებში იღებს და ჩრდი-  
ლოეთისაკენ მიეღინება. მდინარე ზანგას<sup>2</sup> ერთვის. ცხენით გასვლა რომ  
არ შეიძლება, ისეთი დიდი მდინარეა. აქედან ერთი საათი ვიარეთ კე-  
თილმოწყობილ, ყვავილნარებიან, გაშენებულ სოფლებზე და ქალაქ  
ყარაბაღში მოვედით.

ქალაქ ყარაბაღის ალწერა: მცირე აზერბაიჯანის ქალაქია. ეგრის  
(ერლაუ) დამპყრობ სულთან მეშმედ-ხანის ვეზირმა, დადგებულმა სარ-  
დალმა კოჯა ფერხანდ-ფაშამზ დაანგრია. ისევ რომ გაშენდა, მურად-

სან IV მისი მცხოვრებლების ურჩობის გამო ხელმეორედ დაანგრია, როდესაც ერევნის დაპყრობის შემდეგ ბრუნდებოლა. მძვამად ნელ-ნელა შენდება. თავრიზის ფარგლებში ცალკე სასულთნო. ათასი მეო-  
241 მარი||ჰყავს. ქალანთარი, ტარულა, მუნში, ბინბაში, დიზჩოქენების აღა  
ჰყავს. ქალაქი ვრცელ ველზე მდებარეობს და სამოთხის ბაღის მსგავ-  
სია; სამი ათასი სახლი, შეიდი ჯამე, შეიდი აბანო, სამი ფუნდუკი და  
ექვსისი დუქანი აქვს. სასიამოენო ქალაქია, რომლის მიღამოები კარ-  
გი და შევენიერია. აყვავებული მხარეა, რომლის ნათესების სიუხვე და  
ბარაქა დიდია. ჰავა შევენიერია, მდინარეები — ბევრი. სუფთა და გემ-  
რიელი, გამჭვირვალე, მოჩუხჩუხე წყარო აქვს. მისი ბაღ-ბოსტნები და  
თვალუწვდენი ველ-მინდორი შემკულია. მისი სანაქებო საჭმე-  
ლებიდან განთქმულია ათი ჯიშის წყლიანი, ლალისფერ-წითელი ყურ-  
ძენი, წმინდა ღვინო და ალუბლის ნაყენი, შილეს წყალი, თვრამეტი ჯი-  
შის ტკბილი და წყლიანი ბროწეული. განსაკუთრებით განთქმულია  
მისი დიდი, კაცის თავისოდენა კოში. მისი წყლები აღგილ-აღგრელ მი-  
წისქვეშა არხებით მოედინებიან. ძველებური ყაიდის მეჩეთებისა და  
ჯამების თაღები მანვილწვერიანებია და ფერად-ფერადი შორენეცეცი-  
თა დაფარული. ქალაქში თერთმეტი მინარეთი მოჩანდა. მაგრამ აღ-  
გილობრივმა მცხოვრებლებმა თქვეს, სამოცდათი მიჰაბი არისო. იმ  
პირობით, რომ ქალაქი უნდა გააშენონ, მისი მცხოვრებლები ურთის  
მოელი გადასახადებისაგან განთავისუფლებულ არიან. მხოლოდ ირა-  
ნის შაჰს უგზავნიან ძლვნად წელიწადში ასი აქლემის საპალნე არდუ-  
ბარის, მილჩეს, აბასის ჯიშის მსხლის ჩიჩა, ქლიავს, გარგარს, გარგა-  
რის ჩიჩა, კოშეს, „ანჭაზ“-ს, ჩამის და მრავალნაირ ნაყოფს. ერთი  
სიტყვით, აზერბაიჯანში სამი ყარაბაღია და ყოველი მათგანი სამოთხის  
ბაღს ჰგავს.

ამ ქალაქიდანაც ავიყარენით, სამხრეთისაკენ ერთი საათი ვიარეთ  
და მდინარე არეზისა და მდინარე ზანგის შესართავ აღგილას ათასი  
გაჭირვებით გაღმა გავედით. ეს მდინარეებიც ვანის მოებიდან — ფაი-  
თანიში, ბეფრედუსი აბალი — იღებს სათავეს, ამ აღგილზე გავლის  
და ნახევრის ველიდან სამი დღის საკალის ჭვემოთ მდინარე არეზს ერ-  
თვის. ის კი — მდინარე მტკვარსა და მტკვარი — მდინარე თერგეს. ეს  
უკანასკნელი ხაზართა, ანუ გილანის ზღვას უერთდება. ეს მდინარე-  
ებიც რომ გავიარეთ, კიდევ ექნის საათი ვიარეთ და დაბა ქერქანეში  
გაეჩერდით. იგი მდებარეობს თავრიზის ვილაიეთში, ქალაქ<sup>7</sup> მერენდის  
ფარგლებში. სამასი სახლი, ჯამე და აბანო, მცირე ბაზარი აქვს და კე-  
ტილმოწყობილი დაბა. ეს კია რომ მოსახლეობა ყიზილბაშებია და ამი-  
242 რომ გაიძევრები არიან. მათი მოსაქმეობა ფეირობაა, რაღანაც მათი  
ველის||ბამბა სანაქებო და ბევრია. ნარმას ქსოვენ. აქედან ისევ სამხრე-

თთ ვიარეთ 9 საათი და დაბა ზენუსეში გავჩერდით. აქაურობა თავ-რიზის ხანის სახასოა. ათასამდე კეთილნაშენი სახლი, ჭამე, ფუნდუკი, აბანო, მცირე ბაზარი, ბალ-ვენახი აქვს და გაშენებული დაბაა. მაგრამ წყალს ჭებიდან იღებენ. იქიდან ისევ სამხრეთისაკენ ვიარეთ 10 საათი და ქალაქ თესვის მივაღწიეთ.

ქალაქ თესვის აღწერა: თავრიზის მიწაზე, მერენდის სულთნის საზღვრებში, მდინარე არეზის ნაირზე მდებარეობს. სამი ათასი მიწის ბანიანი სახლი, შვიდი ჭამე, სამი აბანო, ექვსი ფუნდუკი და მცირე სა-ვაკრო რიგი აქვს. მისი მფლობელი სულთანია. ათასი ხელქვეითი ჰყავს. მუნში, ქალანთარი, ტარულა და ყადი ჰყავს. მის ბალ-ვენახს მთელი ქვეყანა უჭირავს. ეს ქალაქი ქალაქ მერენდიდან ათი ფარსახის მანძილზეა. მისი ჰავა და ლამაზმანები საქვეყნოდ ქებულია. ნაირ-ნაირი წყლიანი ხილი მოეპოვება. მოსახლეობა მთლიანად შიიტურია. მათი საქმიანობა ბალ-ვენახის მოვლა.

იქიდან პირდაპირ სამხრეთისაკენ გავემართეთ, ტრამალებსა და უდაბნოებზე გადავიარეთ. საქმაოდ ბევრი ჭიდან დავლიეთ სიცოცხლის წყალი. აქაური წყლები უმთავრესად მიწიდან ამოდიან. თორმეტი ფარსახი ვიარეთ და ქალაქ მერენდს მივაღწიეთ.

აღწერა სამოთხის მსგავს ქალაქ მერენდისა, რომელიც ელვეზ-დის ხანის საჭდომია: აზერბაიჯანის ქალაქია და მთავარი სასულთნო. ათასი ხელქვეითის მფლობელია. ყადი, ქალანთარი, მუნში, ტარულა და დიზჩიქენების აღა ჰყავს. თავრიზიდან თოთხმეტი ფარსანგის მანძილზეა. მათ შორის დაუმუშავებელი მიწები არაა. თავიდან ბოლომდე ვარდ-ყვავილნარი და ბალ-ბოსტანაა. ქალაქი მდებარეობს თავრიზის აღმოსავლეთით და ძველ დროს ემირ თემურის შვილის — შაჰრუჰის სანადირო აღგილები ყოფილა. თუმცა სულთან მურად-ხან [IV-ს] დარტყმა განიცადა, აღგილ-აღგილ მაინც გაშენებულია. სამი ათასი სახლი, შვიდი ჭამე, სამი ფუნდუკი, ხუთი აბანო და ექვსასი ღუქანი აქვს. ისე-თი რამ, როგორიცაა დახურული ბაზარი, მედრესე და სკოლა — აღ აქვს. მაგრამ სამოცდაათამდე ხეივნიანი სასეირნო აღგილი აქვს. ყო-ველი ხეივანი სამოთხის ბალს მოგაონებს. აქაურ წყლიან ხილს თვლა არა აქვს. აქაური ლამაზმანები მჭერმეტყველურად მოამბენი არიან და თუ სალალობი საუბარი დაიწყეს, ||კაცს მოაჯადოვებენ. მოსახლეობის 243 უმეტესობა მხედრები და შეიარაღებული მსახურია, მაგრამ ყველანი შიიტები არიან. იგი ძველი ქალაქია და მისი უწმინდესობა, მაღალ-განათლებული თაფთაზანის<sup>8</sup> დიდი წინაპრები — ჰუსეინ თაფთაზანი აღი ხანდი, შეიხი სუსმარი, აღი ედ-დინ მერკელი და სხვა მრავალი დიდი პიროვნება [ქალაქის] სამხრეთ მხარეს მიწაში განისვენებს.

ამ ქალაქის სულთნისაგანაც საჩუქრები მოგვივიდა. თავრიზის ხანის ელჩთან ერთად სამხრეთისაკენ ველებზე დავეშვით და წავედით. რადგანაც შარა გზის ნაპირები მწყობრად გამჭტრივებული ძეწნებითა და უზარმაზარი ქადრებით იყო გადაჩრდილული, მზე სრულებით არ დაგვინახავს. რამდენიმე ჭიდან ადვილად დავლიერ გემრიელი წყალი და ღაბა ქეპრინს მივაღწიეთ. ათასკომლიანია და თავრიზის სახანოს მუნიციპალიტეტის დაბაა. ექვსი ჯამე, სამი აბანო და ორი სასტუმრო სახლი აქვს. კეთილმოწყობილი ქალაქია, რომლის ბალ-ვენახი უსაზღვროდ ბევრია, მთელი მოსახლეობა შიიტია. აქედან ისევ სამხრეთისაკენ ვიარეთ შვიდი საათი და ღაბა სეპტანმების მივაღწიეთ. იგი თავრიზის ხანის სახასოა. ერთ ვაკე ველზე მდებარე, შემკული და კეთილნაშენი დაბაა, რომელსაც ათასი სახლი, ბალ-ვენახი, შეიღი ჯამე, ფუნდუკი. აბანო და მცირე ბაზარი აქვს. თავრიზელებს ამ ღაბის ბალ-ბოსტნებში მაღალი კოშკები და სასიამოვნო სასეირნო ადგილები აქვთ. მოსახლეობა შაფის მოძღვრების მიმდევარია, მაგრამ რაფიზიებიც არიან. მისი პავა საქვეყნოდ ქებულია. აქედან ავიყარენით და მარჯვნივ გავემგზავრეთ. რომ მივდიოდით, შამ-ყაზან მეტმედ შაბაზის გუმბათი ექვსი საათის სავალიდან ჩანდა. მისი წმინდა სულის მოსახსენიებლად ფათიძა წავიკითხეთ და ერთ მდელოებიან აღგილას ოდნავ შევისვენეთ. თავრიზისაკენ კაცი გავგზავნეთ. სამი საათის შემდეგ ცხენებზე შევსხვდით და თავით-ფეხებამდე შეიარაღებულები დავიძარით თავრიზის ელჩთან ერთად ისე, რომ ჩვენი ცხენების თავები ერთმანეთს უსწორდებოდა. მისი ხელქვეითები და საზეიმოდ მორთული საბარგული წინ მიდიოდნენ ისე-ვე, როგორც ჩემი, მწირის, ორმოცამდე ხელქვეითი. უცბად ჩვენს პირდაპირ გამოჩნდა მრავალრიცხვანი ჯარი. თურმე, თავრიზის ხანის ქეთხუდა ჩვენს შესახვედრად გამოსულიყო. ისე შევედით მასთან ერთად სასურველ ქალაქ თავრიზში დიდი ჯარის თანხლებით, რომ ჩემი ცხენის უზანგი თავრიზის ქეთხუდას ცხენის უზანგს უსწორდებოდა. ქალაქის სავაჭრო რიგებსა და ბაზარში მრავალი ათასი კაცი გამოვიდა ამ სანახაობის საცეკრლად. მე, მწირიც, მათ ვათვალიერებდი და ასე მივაღწიეთ სრულ ორ საათში ქალაქის ერთი ბოლოდან ხანის 224 ლემდე-მაღალლირსეული ხანი ალი-ხანი წინ მოგვევება და მე, მწირი, მაღალ დივანხანაში მიმიყვანა. იქ გვერდ-გვერდით დავსხედით. დიდი სხდომა გამართა. ხავანის დოლით, აფრასიაბის ნაღარით, ჯემში-დის ბუკითა და ზურნით სამჯერ დაუკრეს და ბრწყინვალებამ და დიდმშვენიერებამ გამოჩენა იწყო. თავზე ჯილდებით, ჩალმებით, თავით-ფეხებამდე შეიარაღებული და რაზმებად დაწყობილი ღულამები სმენად იდგნენ. საზეიმო მუსიკის დამთვარების შემდეგ, მე, მწირი, ფეხზე წამოვდექი, არზრუმის ვეზირის — ჩვენი ბატონის დავთარდის ზაღვ

შეკმედ-ფაშის წერილები უბიდან ამოვილე, ვეამბორე და ხანს ხელში  
 მივეცი. ისიც ფეხზე წამოლგა და წერილი ჩამომართვა. რომ ეამბორა  
 და თავზე დაიღო, თავის მუნშის გადასცა. ეშიკალასიებშა მე, მწირს,  
 აღგილი მომიჩინეს და როგორც მაშმაღიანური წესი მოითხოვდა, ისე  
 დავდექი. მუნშიც წერილს მოწიწებით ეამბორა და მაღალი ხმით და-  
 იწყო კითხვა. როგორც კი წაიკითხა წერილში მოხსენებული მუჰამე-  
 დისა და პირველი ოთხი ხალიფას წმინდა სახელები, კეთილშობილი  
 დამსწრებები ფეხზე წამოლგნენ და ისე სცეს პატივი რჩეული მოცა-  
 ქულის სახელს. მაგრამ ოთხი პირველი ხალიფას სახელების [ხსენების  
 დროს] ზოგიერთები დასხდნენ<sup>10</sup>. წერილის წაკითხვის შემდეგ მისი  
 შინაარსი ცნობილი გახდა. ხანმა სიტყვა დაიწყო და ლქვა: „თუ მაღალ-  
 მა ღმერთმა ინება და ყოვლის შემოქმედი შემწედ გამიხდა და მე,  
 უკინესს, სიცოცხლე მიწყალობა, ქვეყნიერების მწირი კეისრის,  
 [ოსმალეთის] ფაღიშაპის ვეზირს — ჩემს ძმას ამ თვის გამბალობაში  
 ათას სულ ქარავნის აქლემს და ათას სულ ქარავნის ჯორს ვუგზავნი  
 დიდი სიამოვნებით. კეთილად მოპრანებული ხართ და სიამოვნება-  
 მოვეტანთ. კეთილი იყოს თქვენ მოპრანება. თქვენ ხართ ჩემი სი-  
 ცოცხლე და თვალის სინათლე!“ ეს რომ თქვა, მე, მწირი, გვერდით  
 დამისვა და მრავალი კარგი მისასალმებელი სიტყვით გამახარა. დიდი  
 ნაღიმი მოაწყო. სმა-ჭამის შემდეგ ვარდის წყლები დააფრქვიეს და  
 საცეცხლურებით სურნელება აქმიეს. მე, მწირმაც, გამოვიტანე ფაშის  
 მიერ გამოგზავნილი საჩუქრები: მარგალიტის კრიალოსანი, კაპარჭი,  
 გენუისა და ვენეციური ტალლისებრი აბრეშუმის ქსოვილი და წარ-  
 მოვთქვი: „თქვენი ძმა, დიდებული ფაშა გასალმებათ და ამ საქო-  
 ნელს თქვენ მაღალაღმატებულებას საჩუქრად გიგზავნით, რათა ხელ-  
 ცარიელი მოსვლა არ გამოგვივიდეს“-მეთქი და ნივთები მივართვი,  
 მარგალიტის კრიალოსანითა და კაპარჭით გაიხარა და შესანიშნავია,  
 თქვა. „ორი მშვენიერი, წმინდა სისხლის ქეპერილის ჯიშის [არაბული]  
 ცხენი გამოგიგზავნათ საჩუქრად და თქვენი ბედნიერების ალსანიშნა-  
 ვად იყოს“-მეთქი, ვუბასუხე. მაშინვე ფეხზე წამოდგა და დივანხანს  
 ნაპირას მოვიდა. მე, მწირმა, ნიშანი მივეცი. ||პირველად ძვირფასი 245  
 თვლებით შემკული, მოოჭვილი რახტიანი ცხენი გამოიყვანეს. [ეს]  
 არაბული ცხენი მოგოგმანებდა და რომ მოგვიახლოვდა, ირანის დივა-  
 ნის ყველა წევრი განცვითრებული დარჩა. მე, მწირმა, ბისმილა ვთქვი,  
 ნიავივით მონაგარდე ცხენის აღვირი ხანს ხელში მივეცი და „ბედ-  
 ნიერებაში“-მეთქი ვუთხარი. მეტისმეტი სიხარულისაგან ხანი იმ არა-  
 ბულ ცხენს ისე მოახტა, უზანგში ფეხი არ შეუყვია. მარჯვე ცხენოს-  
 ნობის გამოჩენით მოედანზე გააჭენ-გამოაჭენა და ჩამოქვეითდა. შემ-  
 დეგ მეორე ცხენიც მოვუყვანე. მისი ნახვით გაიხარეს. მეჯინიბეთ-

უხუცესს ჩააბარეს. შემდეგ ხანის ბრძანებით ჩემ ხელშევეითებს შილეს შერბეთი მისცეს. ხანმა ჩვენი თავი ჩააბარა მიპანდარესა, კორუფი-ბაშის და ქალანთარის ტარულას. ამალიანად ქალანთარის ბაღში მივე-დით და იქ დავდევით. ქვეყნიერების დამამშვენებელი, სამოთხის ბაღი იყო. ჩვენ თან მოგვყვა საჩუქრები და სასტუმრო გაივსო. ესენი იყო: აბანოს ფულად ორმოც თუმანზე მეტი, ერთი ოქროს რახტიანი ქე-ბერილიანის გიშის შავი ცხენი, ერთი ჭრელი იორდა ცხენი, შეიდი ქლე-ბის საპალნე საჭმელ-სასმელი. შემდეგ გზირებმა ქალაქში გამოაცხა-დეს: „აი, აქ არის სუნიტ ისმალთა ელჩი. შაპის სურვილი და ხანის ბრძანებაა, ლანძღვა-გინება არ დაუწიოთ. თუ შეურაცხყოფას მიაყე-ნებთ, სუნიტები დაგხოცავენ და თქვენი უდანაშაულო სისხლი და-ილვრება. ასე იცოდეთო“. ოთხი რჩეული ხალიფასათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. ესენი მათ უდიდებულესობას: [ხალიფა] აბუბაქრ-სა და ომანს — ალაპიმცა კმაყოფილი მათთვის — იმდენად არ ლან-ძღვენ. მაგრამ მათი უკმაყოფილების საგანია [ხალიფა] ომარი. ლმერთ-მა დაიფაროს! მის სხენებაზე კადნიერდებიან და უტიფრად იქცევიან<sup>1</sup>. იმ დღეს ხანის მიზრ გამოგზვნილი სპაპანელები გულადად დადიოდ-ნენ, ოქრომკედით მოქარგულ ჯავშან-ტანისამოსში იყვნენ. ჩვენი მიპ-მანდრის ათი ღულამი მოვიდა და უკელა ხელშე გვეამბორა. თურმე, ირანის მიწაზე არსებული წესის მიხედვით, ომალო ელჩებს ხანები ათ მსახურს უგზავნიან. ამათი სახელები შემდეგი იყო: ჯივან არა, სა-დიქ-ხან, რამიშ, მირზა-ხან, ეზდან ალი, ქაქუნჯ, ყურბან-ბაი, სოჭრაბ, მეზიდ-ხან, ბარკუვა. ამის შემდეგ მცირედ დავისვენეთ და ამ საოცარი ქალაქის დათვალიერებას შევუდექით.

## LXI

აღმოჩენა დიდი და ძვლი ციხისა —  
მოაგდლავი თავრიზისა

მონღულურ ენაზე „თევრის“-ს უწოდებენ. დარძს ენაზე — „თევ-<sup>234</sup> ჩიზ“-ს; ||მდაბიურად — „თაბრიზ“; ძირითად სპარსულ ენაზე „თებ-რიზ“ ეთქმის, რაც ნიშნავს — „ციების გამქრობი“. ნამდვილი ამბავია: ვინმე ციებიანი კაცი სხვა ქვეყნიდან თუ მოვა თავრიზში, წყლით სულს მოითქვამს და ციებ-ცხელებისაგან განიკურნება. ეგვიპტის ქალაქ კაი-როს შიდა ციებშიც ასევე შეუძლებელია ციებ-ცხელება იყოს. თავ-რიზის დამარსებელია ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდი<sup>1</sup>. ზემოხსენებულის ხათუნს — ზუბეიდას აქაური ჰავა ძალიან მოეწონა და რადგანაც ხალი-ფა მამუნზე<sup>2</sup> იყო ფეხმძიმელ, ეს მიწა მიჩნეულ იქნა ამბრის სურნე-

ლების შოშფენ, სიხარულის მომნიჭებელ წმინდა ადგილად. [ხალიფას] დაუცყრია, ბევრი დაუხარჯავს და დიდი ქალაქის აშენება დაუწყით. მისთვის აბასელთა სპარსელ ულემებს სახელად თებრიზი დაურქმევით. ამგვარად, ისეთი [დიდი] ქალაქი გამხდარა, რომ თავტაშის გარს შემოვლას სამი დღე მოუნდება. შემდეგ აბასელი ხალიფას, მუთავაქილ ალი ულ-ლაპის<sup>3</sup> დროს დიდი მიწისძრავა მომხდარა, თავტაში დანგრეულა და გავერანებულა. ორმოცი ათასი კაცი ნანგრევების ქვეშ მოჰყოლია. რადგანაც ხალიფა მუთავაქილი ბალდადიდან მიწაზე დაუტეველი ჭარით თავტაში მოვიდა და მრავალი ფულის დახარჯვის [შედეგად] ქალაქი ხელის ააშენა, მისი მეორე დამაარსებელი გახდა. ქალაქის ერთი მხარე უჯანის მთამდეა მისული, მეორე — საპლანის მთამდე. ერთი მხარეც — სინჯანისა და კიზის მთამდე და [ამიტომ] ქალაქის გალავანი იმ ქვეყანაში უველაზე მტკიცე და ძლიერი გახდა.

თავტაშის ციხის აღწერა: [ციხის] კედლების გარეშემოწერილობა ექვსი ათასი ნაბიჯი იყო. ამჟამადაც ჩანს მისი ნაშთები. სამასი კოშკი, სამასი ქონგური და ექვსი კარი ჰქონდა. მისი კარიბჭეებია: უჯანის კარი, სარვანის კარი, სარზულის კარი, შამ-ყაზანის კარი, სარუს კარი და თავტაშის კარი. ყოველ კარს იცავს და დარაკობს ხუთასი ჯარისკაცი. ჰულაგუ-ხანიც<sup>4</sup> თავტაში დადგა და სატახტო ქალაქად აქცია. მისი მესამე დამაარსებელი გახდა და შეეცად, რომ ყველა ფალიშაპი თავის გამგებლობის ქვეშ მოექცია. შემდეგ სულთან მუჰამედ ხოდაბენდე იზარლუნმან მის მიერ ახლად აშენებულ ქალაქში ათასობით აქლემზე დატვირთული მოიტანა თავტაში მდებარე ჰულაგუს კოშკი. მთელი ხეტყე ალლუნის ხისა და კვიპაროსისა იყო და ერეუნგისბური ნახატები მნახველს თვალს სჭრიდა. შემდეგ, სულთან მაჰმუდ შამ-ყაზანის ეპოქაში, სამართლიანი მმართველობისა და წესრიგის შედეგად ეს სანახები ისე გაშენდა, რომ თავტაში ლაპანის, სინჯანის, უჯანის, სეპლანის მთებამდე მიდის და ქვეყნიერების დამამშვენებელ, სწორუბოვარ ქალაქად ||იქცა; გარეშემო გალავანი შემოერტყა. ქეკითად მავალ კაცს 247 მისი გარშემოვლა ოთხი დღის განმავლობაში ძლიერ შეეძლო. აბასელთა ხანაში აშენებულ ციხეში იგი შიდა ციხე გახდა. ამის შემდეგ თავტაშიმა მრავალი ხელმწიფისა და ფადიშაპის ხელში გაიძია და ხან დაინგრა, ხან აშენდა. 959 (1552) წელს [სულთან] სულეიმან-ხანმა მისი მოსახლეობა დამორჩილა და მმართველობა კი შავ ალფას-მირზას მისცა<sup>5</sup>. მაგრამ 961 (1654) წელს აქაურობა ისევ შიიტებმა დაიპყრეს. ბოლოს, ოსმალთა სულთნის მურად-ხან მესამის დროს მისი ვეზირი ოზდემირ-ოლლუ ოსმან-ფაშა სარდალი გახდა და ზღვისოდენი ჯარით ირანისაკენ გაიგზავნა. ჯილალე-ოლლუ სინან-ფაშა<sup>6</sup> კი მეწინავე გზის- მკვლევი ლაშქრით წინ გაუშვეს. სახელოვანმა ოსმან-ფაშამ უდიდესი

შამაცობით წაართვა არღებილელთა ჩამომავალ შაპ ჰაიდარს<sup>9</sup> თავრიზი ზე და ურიცხვი ლაშქრით ქალაქში გამაგრდა. მთელი აზერბაიჯანი ხელში რომ ჰყოლოდა, თავრიზის შუაგულამდე შაპის ხეივნის მხარეს ოთხკუთხა, ფარავადისებური ნახელავი ქვის ციხე აშენა. მისი გარე-შემოწერილობა თორმეტი ათას შვიდასი მექური სამშენებლო არშინია. კედელ-ბურჯები განმტკიცდა და გაძლიერდა. შამ-ყაზანის კარის თავზე შემდეგი თარიღია [გამოყვანილი]: „აიღო თავრიზი ოზდემირის ძემ“. წელი 993 (1584). მეორე წარწერა: „ღვთის შემწეობით აღებულია თავრიზი“. წელი 993. ოსმან-ფაშამ ეს ციხე რომ აშენა, თავრიზის მეხუთე ამშენებელი გახდა. ოცდაოქტესმეტ დღეში ზღვა ლაშქრის საშუალებით ციხე გასრულა და შიგ ჭაბაზანა და სხვა საჭირო მარაგი მოათვასა. ორმოცათასამდე მეომარიც [ციხის] მცველებად დაინიშნა. მაგრამ ღვთის ბრძანებით, ოზდემირის ძე ვერ მოესწრო თავრიზში პირველი საპარასკევო ლოცვის შესრულებას. ერთ დღეს, მას შემდეგ რაც სალამოს ლოცვა აღავლინა, სამუდამოდ განისცენა<sup>10</sup>. მთელმა ჭარმა ჭილალე-ზადე თავის სარდლად აღიარა და თავრიზის ციხის გასაღებებთან ერთად ორსან-ფაშას სიკვდილის ამბავი სტამბოლში გაგზავნეს. უმაღ სტამბოლიდან ჭინებით მოვარდა ერთი მალემსრბოლი კაფუგი-ბაში სირიის ტრიპოლის ვეზირ ჰაფერ-ფაშასთან და მისი სარდლად დანიშვნის ამბავი შეატყობინა. ახალი სარდალი ჭაფერ-ფაშაც დიდი სისწრაფით წამოვიდა, თავრიზში შევიდა და საქმეს შეუდგა. თავრიზი შაპ ყაზანის ღროს რომ იყო, იმაზე მეტად კითილმოწყობილი და გაშენებული გახდა. ქალაქის მოსახლეობა თავაში ჭაფერ-ფაშას<sup>11</sup> აღწერის მიხედვით, ითვლიდა სამას ათას კაცს საკუთრივ ქალაქში და ხუთასათასამდე — მის ვილაიეთში. მაგრამ შემდეგ, როცა ოსმალთა შორის სიფაპიებისა და ინაიჩარების მღელვარება დაიწყო, ირანის ხანმა ხელსაყრელი შემთხვევა გამოიყენა და დაიპყრო განგა, შირვანი, შემახა, დარუბანდი, ერევანი, ნახშევანი და თავრიზი<sup>12</sup>. ამის შემდეგ ჩვენმა ბატონმა მურად-ხან IV შირვანის, შემახას, თბილისის, დმანისის ციხეები დაიპყრო და ირანში მოვიდა. შვიდ დღეში დაანგრია ერევნის ციხე, ნახშევანი, მარანდი, ყარაბაღლარი და ქალაქ თავრიზში ერთ კვირას გაჩერდა. თავრიზიც კარგად დალეჭა, ბეღდნიერად წამოვიდა ჭერ ვანისკენ და შემდეგ სტამბოლში ჩამოვიდა<sup>13</sup>. მეორეს მხრივ, შაპ აბასი ირანისა და თურქის ჭარით თავრიზს მოვიდა, შემოირიგა იგი და ქალაქი გააშენა<sup>14</sup>.

შის შენობები: ეს ქალაქი ირანის ხელშია და აზერბაიჯანის სატახტოა. იგი სახანოა. მრავალჯერ ყოფილა ხანების სახანო. ათი ათასი ჭარისკაცი ჰყავს. მუფთი, შეის უს-სადათი, მოლა, ქალანთარი, მუნში, ტარულა, კორუგი-ბაში, დიზჩოქენების ალა, ჩიგ ეფენ აღასი, ია-

საულოთა აღა, ეშიქ-აღასი და მივმანდარები ჰყავს. ამდენი აღა ქალაქ თავრიზში წესრიგს იცავს და სამართალს ეწევა. არავის შეუძლია სხვის მდოგვის მარცვალსაც კი დაადოს ხელი.

თავრიზის ჯამეების აღწერა: სამას ოცი მიქრაბია. მათგან ცხრა-მეტი ყოფილი ხელმწიფის აშენებული ჯამეა. ორმოცდაათი — ხანებისა და ოსმალთა ვეზირებისა. სხვები კი ქვეყნის წარჩინებულების აშენებულია. ყველაზე აღრინდელი ზუტეიდა ხათუნის ძველი და დიდი ჯამე. გუშმათი და ყველა კედელ-კარი ქაშანური მინანქრით აქვს აგებული და ერთი უბადლო, მაღალი მინარეთია. მუთავჯილ ალი ულაპას ჯამე ძველი ყაიდისა და ქაშანური შორენკეცითაა აგებული. მაგრამ დროთა განმავლობაში ქველმოქმედ პირებს შეუკეთებიათ და ძველი სახელი დაკარგული აქვს. ახლა დამასკურს უწოდებენ. სულთან მეჰმედ შამ-ყაზანის ჯამე ძველთავაგა „სამოთხის ბაღში“ გაშენებული, გასხიოსნებული ჯამე ყოფილა. ეხლა ვიწროდ დგას. ტრომინარეთიანი, ძველსაძირკვლიანი ჯამეა. ირანის შაპის — შაპ ემინის ჯამე „თალ-ი-ქესრას“<sup>15</sup> მსგავსი მაღალი შენობაა და კაცს ეგონება ეგიპტეში მდებარე ზაპირ ბაიბარსის<sup>16</sup> ჯამეა. ერთმინარეთიანი ლამაზი ჯამეა, მოხდენილი პარემით, ქაშანური შორენკეცით მორთული<sup>17</sup> და კამ- 249 დე აზიდული გუმბათებით შემული. ყველა კედელ-კარი თეთრი, გაკრიალებულია. პრიალა ჩინური ქალალდით არის შემკული თეთრი მარგალიტივით. კაცი რომ შევა, გამოსვლა აღარ უნდა. მაგრამ შიიტების შესვლა არ შეიძლება, რადგანაც მიქრაბის წინ სამოთხის მსგავსი ხეი-ტანია, რომლის მსგავსი მელექ აქმედ-ფაშასაც არ უნახავს ცაზე<sup>18</sup>. მისი ნაირ-ნაირი უვავილების საამო სუნი ჯამათს სურნელებას აფრიკევს. მგალობელი ფრინველების სევდიანი ხმები მწუხარე ადამიანთა კრებულსაც კი გულზე ეფინება. სპარსელთა ქვეყნაში ამ შენობას „პეშტ ბეჰეშტ“-ს<sup>19</sup> უწოდებენ. სულთან პასანის ჯამე აზერბაიჯანის ერთ-ერთი ხელისუფლის — სულთან უზუნ პასანის აშენებულია. სულთან [მეჰმედ] ფათიძთან ოში დამარცხებული უზუნ პასანი თავრიზში გამოიქცა და აქ გარდაიცვალა. მისი საფლავი ამ ჯამეს გვერდითაა. ჯამეს კედლები შიგნითა და გარეთ, თაღები მთლიანად ჩინური შორენკეცით არის აშენებული. მისი მიქრაბი და მინბარი, მუედანების აივანი ნატიფი ხელოვნების უბადლო ნიმუშია და კაცთაგან ხელთუშემნები. მისი ოთხივე მხარის სარქმელები მჭედლური ხელოვნებითაა ნაკეთები და თავიდან ბოლომდე ნეგეფის ქვებით შემკულ-გაბრწყინვალებული. სამხრეთის კარის გარშემო არსებული ნაირ-ნაირი ფერადი შიზაიკა, ესლემი წარწერები, თურინგი, გერიშმე და რუმის მოხატულობანი!<sup>20</sup> ჯადოქრობას აღარაფერი უკლია. ამ საქმეში ოსტატი მხატვრის დახელოვნება ჩანს. ყველა კარიბჭისა და სარქმლის ზემოთ მწყობრი წაზ-

წერებია. ყველა შესრულებულია იაკუთ მუსთასიმისებური<sup>20</sup> დამწერ-ლობით. მისრაბის ოჩ მხარეს ორი თანაბარი, ყვითელი ქვის ნაჭერია ისეთი ქარვისა, რომ კაცს ეგონება, თითო მათგანს ირან-თურანშე [გა-წერილი] ხარაჯის ფასი აღესო. ამ სვეტების მსგავსი სხვა ქვეყნებში არ არის. ამას გარდა, კიდევ არის ცხრამეტამდე სულთნის ჭამე. ყოველი მათგანი ისე შემქული და დიდებულია, რომ მათი აღწერა და ქების შესხმა შეუძლებელია. მაგრამ დარიბი ჯამეები უჯამაათთად არიან დარჩენილები. ამ ჯამეებშიც, რუმისა და არაბეთის ჯამეებიცით, ხალხმრავალი ჯამაათთათ არ მიმდინარეობს ლოცვა. როგორც კი სალოცავად მოუწოდებენ, ყველა მიღის ჯამეში, ლოცვას აღავლენენ, აღარ 250 ჩერდებიან და მიღიან. უზუნ ჰასანის ჯამესიპირდაპირ შაპ-აბასის ჯამეა. დიდი ხელოვებით ნაკეთებია. იგივე უზუნ ჰასანის ჯამეს სიახლოეს შაპ მაკსუდის<sup>21</sup> ჯამეა. შაპ-აბასის ჯამე სარაჯხანეს [უბნის] თავში ერთი სწორუპოვარი ჯამეა. ულუ ჯამე ისეთი დიდია, რომ სამხრეთის კარიდან ძლივს დაინახავ მიპრაბის კართან მდგომ ადამიანს. ორას-საფეხურიანი, დაქანებულსახურავიანი ჯამეა. ამ ჯამეების გარდა მრავალი მეჩეთიც არის.

**მედრესები:** ორმოცდაშვიდი დიდი მედრესეა; ჯერ ისევ გაშენებული და კეთილმოწყობილი სასწავლო დაწესებულებებია. იქ ყველა მეცნიერება ისწავლება. მსოფლიო მეცნიერება ჰყავთ. ყველაზე დიდია შაპ-ჯეპანის<sup>22</sup> მედრესე.

**უურანის საკითხავი სახლები:** ოცამდე საკითხავი სახლი აქვს. მაგრამ ირანელებისათვის მიუღწეველია პატიოსანი ყურანის ჯეროვნად, კარგად და კეშმარიტებით კითხვა. უმეტეს შემთხვევაში შეცდომით კითხულობენ<sup>23</sup>.

**ჰადისების სახლები:** წინასწარმეტყველის ჰადისების საქადაგო შვიდი სახლია. მაგრამ მათი ღვთასმეტყველები ჰადისების ცოდნით განთქმული არ არიან. ესენი მოქმედებენ სიტყვით: — „უწმინდესობა ალი“ — ალაპიმცა მისით ქმაყოფილი; სიტყვით: „თორმეტი იმამი“. ანდა იტყვიან: „თქვა — მშეიღობა იყოს მაღალა ღვთისა მათზე და სალმი...“ და ალის სიტყვას უგუნურად გაღმოსცემენ. ზოგ ჰადისის სწორად კითხულობენ, მაგრამ ალის სიტყვა მათოვის მიღებულია. ალის ჰადისების მრავალი ათასი წიგნია.

**ჰადისილების სასწავლებლები:** ექვსასამდე სასწავლებელია. შეის ჰაერს სასწავლებელი, ჰასან მომნიდის სასწავლებელი, ნაკრ-ხანის სასწავლებელი, სულთან ჰასანის სასწავლებელი, სულთან იაკუბის სასწავლებელი არის. აქ ბიჭებს ყოველ წელს თითო ხალათს აძლევენ.

**დერვიშთა სავანეები:** ას სამოცი სავანე აქვს თავრიზს. მათ შორის

განთქმულია: შამსი თავრიზელის სავანე; ბულდუქ-ხანის სავანე, ზეინაბის სავანე, აკილის სავანე, ემირ ჰაიდარის სავანე და სხვები.

წყაროები და გამდინარე წყლები: ექვსი გამდინარე წყაროა. ყველას სათავე სემენის მთაშია. ამთა გარდა, ქალაქის შეგნით და გარეთ გაყვანილია [მიწისქვეშა არხები]: ცხრასი ქარიზი და კანავათი.

სებილები: ათას ორმოცი სებილხანაა. შესანიშნავი ნაგებობითაა შემკული. ||მათში ყველაზე განთქმულია გულ რუსთემ-ხანის სებილი, 251 შაპ-ისმაილის სებილი, ბრძან სუდაბენდეს სებილი, ხოჯა-შაპის სებილი, რიზას სებილი, იარალის სებილი.

უბნები: ამ ქვეყანაში უბანს დერვაზე ეწოდება. ათას სამოცამდე უბანი აქვს. ყველაზე ცნობილი უბნებია: დემეშიე, ფილბალის — ხილის უბანი, მიკვარანის, რეზჭუს, შოთორბანის უბანი — ღიქ-ხანის სასახლე ამ უბანშია, ხიაბანის, სორხაბანის — ესენი თავრიზის ჩრდილო ნაწილში არიან; ემირებიზის, სერდაბის. ოზდემირზალე სამან-ფაშამ სერდაბის უბნის წყლის მიწისქვეშა სათავსი გაასუფთავა, კანავათითა და ქარიზებით ამ უბნიდან გამოიყანა და ახლაც მოდის წყალი. ჩარ მინარის, მირმერის და დერვაზეს უბნებიც ცნობილია.

წარჩინებულთა ხასახლები: ათას სამოცდაათამდე ხასახლე აქვთ. მათ შორის ყველაზე ცნობილი ალვერდი-ხანის სასახლეა ემირკიზის უბანში. რეის უბანში — რუსთემ-ხანის სასახლე; იმავე რეის უბანში — ბენდ-ხანის სასახლე: იმავე უბანში — ფირიულდან-ხანის სასახლე. სულთან ჰასანის ჯამეს სიახლოეს — ხანების სასახლე.

ქარვასლები: ორასამდე ქარვასლა აქვს. მათ შორის განთქმულია ზუნდეიდას ქარვასლა, შაპ-ჯეპანის ქარვასლა, შაპ-ისმაილის ქარვასლა, ფირ-ბუდანის ქარვასლა, შაპ-ჯეპანის ქალიშვილის — ალემ-შაპის ქარვასლა.

მდიდარი ვაჭრების ფუნდუკები: სამოცდაათამდე სოვლაგართა ფუნდუკია. მათ შორის განთქმულია ჯაფარ-ფაშას ფუნდუკი, რომელიც მეტულეთა ბაზარზეა; ბენდერის ფუნდუკი, ბეგუმის ფუნდუკი, ბაბა ჰაკი თემდიპ-ხანის ფუნდუკი.

მარტოხელათა ფუნდუკები: ას ათამდე მარტოხელების სახლია. მუსთაკიმის ფუნდუკი, ფერქალიე, ჯაფერიე, ფირუზ-ხანის ფუნდუკი, გოუპარის ფუნდუკი, ჯილალე ზადე-ფაშას ფუნდუკი. ქალანთარის ფუნდუკი და სხვები.

საგაფრო რიგები და დახურული ბაზარი: სულ შეიდი ათასი დუქანია. უმრავლესობა ალეპოს, კაიდის, ქვით ნაშენი და მტკიცეა. მთელი საქონელი და ნივთები ამ ბაზარზე იყიდება. დიდი დახურული ბაზარია, სადაც მრავალი მდიდარი სოვედაგარი ვაჭრობს. ქვითნაშენი, ერთგუმ-

ბათიანი ვეებერთელა დახურული ბაზარია ისეთი, მსგავსი არსად არაა. ოთხი რეინის კარი აქვს, რომლებიც სავაჭრო რიგებისაკენ იღება.

252 ॥ მოსახლეობის გარეგნობა: რადგანაც ჰავა მშვენიერია, მთელი მოსახლეობა — მოხუცი და ახალგაზრდა — მკეირცხლი და ტანადია. მათი ლამაზმანების პირის ფერი გაფურჩქვნილი ვარდივით ლალისფერია; ალერსის მოყვარული პირი საიღუმლოებათა კოლოფია. თეითონ<sup>24</sup> ტანკენარები, ტულიპის ღაწვებიანი, შავწვერ-ულვაშებიანი, თეთრი ფერის, ლამაზსახიანი, თუმცა ამაყი და ამპარტავნები არიან. მშვენიერი ქცევისანი არიან და სიტყვები ტებილი და დაშაქრული აქვთ.

კეთილშობილნი და წარჩინებულნი: სწორ გზას აცდენილთა და-ჯგუფებები ბევრია, მათ შორის — კეთილშობილნი, ღიდებულნი და წარჩინებულნი. მაგრამ ავშროს, დუმძუმის, ღუმბულის, ხალვანის, თარაქამას, გოქდოლაკის ტომი ბევრია. ვაჭრობის საშუალებით კარუნის სიმდიდრეს დაუფლებული ხალხია. ყველანი შიას მიმდევრები არიან.

ლირსეული მეცნიერები: ორიათასამდე სისხლის გამოშვები, მკურნალი, დასტაქარი და თვალის ექიმი ჰყავს. მაგრამ მოსახლეობას ისინი არც იმდენად ესაჭიროება. ამათი უმეტესობა მთებში მცენარეულობას აგრძოვებს.

ღვთისმოსავინი და შეიხები: შვიდი ათასზე მეტი სათნო, ერთი ღმერთის მაღიარებელი მოძღვარი და დამრიცებელი, ღრმად მოხუცებული შეიხი ჰყავთ. ამ ქვეყანაში მიხრწნილ მოხუცებს და ხანდაზმულ აღამიანებს დიდ პატივს სცემენ. მათ დაუკითხავად არაფერს აყეთებენ. მათი რეზული სწორი არ არის.

მთხველები და პოეტები: სამოცდათვრამეტი კაცია „დივანის“ შემქმნელი, მჭერმეტყველი, ამბავთა მხატვრულად გადმომცემი, პოეტთა შორის უკეთესი და განათლებული. თავისი ღრროს ყველაზე განათლებული აღამიანები არიან ხავერი, შაბი, საბი, ედჰემი, ჩაქერი, ჯაბი, რაზი, „დივანის“ შემქმნელი სეიდი ვაჰიდი, ჩვენი სახლის პატრონი ხაზდან-აკა, მერდან აკა-ხანი, ყურბან ყული, ხოჯა თელდი, ფირ ბაშ-აკა, მირზა-ბაი, ჰასამ-აკა, ელვენდ-აკა, რეზა-ბაი, ქელბექელი<sup>25</sup> და სხვანი ის პოეტები არიან, რომლებიც მე ვინახულე. კეთილშობილთაგან დედე შერიმის სახელით ცნობილი ერთი ღვთის-მოსავია. მთელი სიცოცხლის განმავლობაში არავის უნახავს დაძინებული.

მცხოვრებლების ტანსაცმელი: წარჩინებულები და ღიდებულები თავზე ჭრელ და წითელ თავსაცვევს იჩვევენ. გამოთქმა „ყიზილბაში“<sup>26</sup> აქედან მოდის. მაგრამ ბევრი სპარსულ ყაიდაზე იჩვევს მაჰმადიანურ თეთრ ჩალმას<sup>27</sup>. დამკვიდრებულია წესი, რომ ქუდებზე წვეტიანი ჯ-

და უნდა პქონდეთ; ბას „თაჯი“<sup>28</sup> უშოდებენ. მაგრამ ულემების „თაჯი“ ორ მტკაველზე მეტია.|| მდაბიონი ერთი მტკაველის სიმაღლე მოოქ- 253 ვილ ქუდს ისურავენ. წარჩინებულები ცისფერი სიასამურის ქურქს იცავმენ. სხვები — ჩოხას<sup>29</sup>.

შოსახლეობის ენა: განათლებული ადამიანები სპარსულად ლაპა- რაკობენ. მაგრამ თერეს, მთის აგშარებს, ღოლაკებს განსაკუთრებული კილო აქვთ, რომლის რამდენიმე მაგალითს ქვემოთ გიჩვენებთ:

ჰეთ თანმამშე — ჯერ არ მინახავს; მშმჩუნ ხათრ მანდა ულუფლრ — მე მაწუხებს; დარჯნამშე — გავძრაზდი; ფარუნგშე — მტერი გავხდი; აფარგლნ ჩაკრი — წაილე ლვინო<sup>30</sup>.

სანიმშო შენობები: სულთნის ჯამეს შენობა, შაპ-იაკუბის შენო- ბა, შაპ-ხიაბანის შენობა, სეპლანის კოშეის შენობა; შაპ-ჭიათანის შე- ნობა, ჰადიმ ჯაფერ-ფაშას კოშეის შენობა, შამ-ყაზანის კოშეის შენო- ბა. მაგრამ მიზრმიზის უბანში რომ არის ალი შაპის თალი, „თალ-ი-ქეს- რას“ ჰავავს. ამირ-ხანის ციხის შენობა და შაპ-ისმაილის ჯამეს შენობა დანგრეულია. შაპ-ისმაილის ჯამეს ჰირდაპირ მდგრადი ჰადიმ ჯაფერ- ფაშას ციხეც დანგრეულია. სურჰაბის მთის კალთებზე რომ არის მექ- მედ შამ-ყაზანის ერთ-ერთი ვეზირის<sup>31</sup> მიერ აშენებული რეშიდიეს ციხე, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. თუმცა კიდევ ბევრი ძევ- ლი ხუროთმოძღვრების ძეგლი და განსაცვიფრებელი შენობაა, ესეც საკმარისია.

ჰაერი: ამ ქვეყანაში დილის ქარი ქრის, რომელსაც „ბალ-ე-ნესიმს“ უწოდებენ და მთელ ხალხს სამუდამო სიცოცხლეს ანიჭებს. ამიტომაც ამ ქვეყანაში სრულებით არ არის ციიბა. შეიხები და მოხუცებულები ას სამოცდაათ წლამდე ცოცხლობენ და არისტოტელესავით მოაზროვ- ნები არიან.

ჰები: თავტიზში ცხრა ქარიზის წყლების გარდა შვიდი ათასამდე ჭაა, მაგრამ ქარიზის წყალი ჭის წყალზე გემრიელია. ჭების [სიღრმე] ოცდაათიდან ორმოც წყრთამდევა. ზამთრის ყინვებში მათი წყლები თბილია და ზაფხულში კი ცივდება. ქალაქი სიგრძელის მეოთხე სარ- ტყელსა და განედის მეთვრამეტე სარტყელზე მდებარეობს.

ქალაქ თავრიზის ბედის ვარსკვლავა: აზერბაიჯანის ვარსკვლავთ- მრიცხველების ვარაუდით, როცა თავრიზის ამშენებელმა პირველი ქვა დაადგინა, მისი ჭარა ზოდიაქის თანავარსკვლავედის ღრიანკალის ნი- შანს დაემთხვა. მისი [თავრიზის] უფალი მარების პედისა ყოფილა<sup>32</sup>. ისევე, როგორც სულთან მურად მეოთხემ, თემურმა და ჩინგიზმაც გა- დასწვეს და დააქციეს.

||აბანები: ოცდაერთი სიამოვნების მომგვრელი აბანო აქვს: ფე- 254 სის კოშეის აბანო, მიწისფერი აბანო, ჯეპანშაპის აბანო — ჯეპანშაპის

ჯამესა ახლოსაა, მირმირის უბნის აბანო, სერის კარიბჭის უბნის აბანო, ზარფუს უბნის აბანო, ფილ ბალის უბნის აბანო. ცველა ამ აბანოს სასიამოენო წყალი და ჰაერი აქვს. თითოეულ მათგანში არის თითო, ან ორ-ორი სამკურნალო აუზი, საშუალო ზომის სოფა და წყლის შაღრევანი. მათი მექისეები მოკრძალებული, ფერიასავით ლამაზი ჭაბუკები არიან. სულთან ჰასანის ჯამეს უკან არის მეაქლემეების უბნის აბანო, რეის უბნის აბანო, ხიაბანის უბნის აბანო, სურპაბის უბნის აბანო. ამათ გარდა, შვიდასამდე კიდევ არის სასახლეების აბანოები. ამ აბანოების შორენ-კეცებზე უმთავრესად ფუზულის<sup>33</sup> წარწერებია.

ჭირნახული და მოსავალი: ამ ველზე მოყვანილი შვიდი ჯიშის ხორბალი მეტად უხვმარცვლოვანია. ცერცველა და ქერი უხვად მოდის. ბამბაც შვიდი ჯიშისაა. სხვა მწვანილეულიც აუარებელია. ერთი სიტყვით, ვრცელი, სიიაფით ცნობილი, კეთილნაშენი და აყვავებული ქვეყანა.

ხელოსნობა: არც ერთ ქვეყანაში არ არიან ისეთი სრულყოფილი, დაასტატებული კედლის მომხატველები, მხატვრები, ოქრომჭედლები და თერქები, როგორც აქ ყოველგვარი ხელობის უმაღლესი [დონე] ამ ქალაქშია. კერძოდ, აქაურ ძვირფას ქსოვილს. აბრეშუმის ტანსაცმელს, ხავერდს, დარაიას თავრიზულს უწოდებენ და საქვეყნოდაა ცნობილი.

საჭმელები: განთქმულია წმინდა და თეთრი ლავაში. პური „ჰაკილ“, გამტკიცული მრგვალი პური, ერბოიანი ბლითი, ფენოვანი ღვეზელი, ფენოვანი პური, კაბის მწვადი, ქათმის ღვეზელი. ორმოცნარი სურნელოვნი ფლავი, პერისეს შექმანდი, „მსბას“ წვნიანი; მათ მზარეულებს აქვთ „ღუვაზ“-ში შემწვარი, „ფალუზე თერი“,<sup>34</sup> რომლებიც განთქმულია.

სილეული: მსხალი „ნეჯმ-ი ხალეფ“, ფეილამბარი და სეფეი მეილანი; გარგარი, „ნეჯმი აქმედი“, წვრლი ყურძენი, [კურძენი] რაზექმ, მელექმ, „თებრიზე“, „ჯეზირე-ი მეჯდ ედ-დინ“; საქალებო მსხალი — ზენანე<sup>35</sup>. სხვა ჯიშის ხილიც განთქმულია.

სახმელები: განთქმულია მუსკატის ყურძნის შვიდნაირი შიჩა, „მელექძეს“ ჯიშის ყურძნისაგან დამზადებული წმინდა ღვინო, ღვინო „კოქნაზ“, ბროჭეულის შარბათი, ვარდ-ბროჭეულის შარბათი, შილეს წვნის შარბათი, || „სეპლანის“ სასმელი, ზამთრის სასმელი, თაფლის წყალი, მღაბიოთათვეის — ფეტვისა და ბრინჯის პოზა<sup>36</sup>.

საქველმოქმედო ნაგებობანი: შაპ-დაკუბის<sup>37</sup>, ხალიფა მუთავაქილის, ზუბაიდა ხათუნის, სულთან ჰასანის საქველმოქმედო ნაგებობანი თუმცა განთქმულია, უსახსროდ არიან.

სასეირნო ადგილები: მთა სურპათი ანუ წითელი მთა. სამხრის, ღროს მისი უმაღლესი მწვერვალებიდან ურმაის ტბა მოჩანს. ყოჩაღი მოსიარულე ფქით ერთ დღეში მოაღწევს აქამდე. სასეირნო ადგილი „ბაღავათი“ შედგება ორმოცდაშვილიათასამდე ბაღ-ვენახისა და გა-სართობი ადგილისაგან. მათში ყველაზე ცნობილია შაჰ ხაკუბის ბაღი, რომელიც მისი ჯამეს სიახლოვესაა. მაღალლირსეულმა ხანმა ამ სა-მოთხის ბაღში მე, მწირს, დიდი წვეულება გამიმართა, მსგავსი ჭერ არ მინახავს. როდესაც [სულთან] მურად-ხან მესამის ვეზირი კოჭა ფერ-ჰად-ფაშა თავრიზის მმართველი იყო<sup>38</sup>, ამ ხაკუბ შაჰის ბაღის სიმშვე-ნიერით მოიხიბლა და ააშენა ნაირ-ნაირი ხაგარნაკისებური<sup>39</sup> კოშკე-ბი, სენაკები, დარბაზები, ხეივნები და [აქაურობა] ააყვავა. როდესაც [სულთან] მურად-ხან მეოთხე ქალაქი თავრიზი ააოხრა, ამ ბაღს ჩიფ-თელერლი ასმან-ალა მიუჩინა მცველად. ამჟამად ისეთი მადლიანი ბაღია, გეგონება ედგმიაო. იმ სასახლეში, საღაც ჩვენ ვინათემეთ, წარ-წერა იყო, რომელიც ასე ბოლოვდებოდა: „ააშენა ფარპარმა შირინის სასახლე“<sup>40</sup>. რაც ნიშნავს 983 (1575—1576) წელს<sup>41</sup>.

შაჰ-სეფის<sup>42</sup> ხეივანი: ენას არ ძალუქს მისი შექება. ჩიგანის მო-ედნის გასართობი ადგილი: ამ ადგილის შუაგულში კვიპაროსის ორი ბოძია ერთმანეთზე მიბმული და კენწეროზე ერთი ვერცხლის თასი დევს. პარასკეობით მეომრები და ხანის ხელვეითები ნიავიეთ სწრაფ ცტენებზე შესხდებიან და იმ მოედანზე თამაშობენ — სენე-ბულ თასს წვეტიან ისრებს ესვრიან. ყველა გულშემატკიფარი ამ [სანახაობას] უკერის. განსაკუთრებით ხვარაშ-შაჰის ნოვრუზისა დღეს! ერთმანეთთან აბრძოლებენ ცტენებს, რომლებიც მანამდე ორ-მოცი-ორმოცდათი დღის განმავლობაში სიბნელეში პყავთ — დიდი სანახაობა! აქლემების ბრძოლაც ფრიად კარგი გასართობია. კამეჩე-ბის ბრძოლა, ყოჩების ბრძოლა, ვირების ბრძოლა, ძალების ბრძოლა, მაღლების ბრძოლა, მანამდების ბრძოლა ამ ნოვრუზის. დღის დასასრულის დიდი სანა-ხაობანია და სპარსთა ჭვეუნისათვისაა დამახასიათებელი. სამაგალითო სასეირნო ადგილია. ყოველწლიურად, წმინდა მუჰარემის მეთე დღეს<sup>44</sup> ჩიგანის მოედანზე||კარვებით გამოდიან და განაცდებინ წარჩინებუ- 256 ლები, დიდებულები; დიდი და პატარა აქ დგება. სამი დღე და ღამე გულითადი საუბარი მიმღინარეობს ქერბელის ველზე წამებულთა<sup>45</sup> სულების [მოსახსენებლად]. ასობით და ათასობით ქვაბებში აშურის<sup>46</sup> აღუღებენ, მდიდარსა და ღარიბს უხვად გასცემენ — ქერბელაში წა-მებულთა სულებს სწირავენ მათი კეთილი საქმეების აღსანიშნავად. იმავე დღის დასასრულს უხვად გაიცემა შაჰერის შარბათები. წყლის შიდავები ტიკებიდან ცივ წყალს ასხამენ ბროლის, ნეჭეფის ქვის, ცისფერი და ცვითელი აქატის თასებში. „ქერბელელი წმინდანის —

ჰუსეინის „გულისთვისო“), ამბობენ და ორივ მხარეს აქცევენ. მრავალი წარჩინებული და ღიღეაციც ქერბელელი ჰუსეინის სულის საამებლად კისერზე ტიქს ჩამოიკიდებს და წყალს აქეთ-იქით არიგებს. თავრიზის ხანიც ამ ადგილებში ჭრელად მოხატულ-მოფარდაგულ კარავს და-გამს და თავრიზის ყველა წარჩინებული შეიკრიბება. რუმში რომ წინასწარმეტყველ მუპამედის დაბადების დღეს ლოცვები იყითხება, იმის მსგავსად კითხულობენ ჰუსეინის მოკვლის შესახებ სალოცავს. [ალის] ყველა რჩეული მიმდევარი გაოგნებული, მოწიწებითა და მოკრძალებით ისმენს. როდესაც მკითხველი წარმოთქვამს: „ასე აწამა დაწყევლილმა შიმერმა<sup>47</sup> საწყალი წმინდა იმამი ჰუსეინიო“, მაშინვე მოფარდაგულიდან ყველას დასანახავად გამოიტანენ თეთრ სხეულს, რომელსაც თავი და ტანი ცალკე აქვს. იმამის სხვა ჩამომავლების მიმსგავსებულ სხეულებს აკეთებენ — უწყლობისგან განსვენებულ უმწიკვლო-უცოდველებისა. ხალხში ალაპის სადიდებელი ყვირილი და ღრიანცელი ატყდება; ყველა აღტყინდება, გაბრუვდება და გაოგნდება. აქ ასობით მუსლიმი დალაქი [ალაპის] ნამდვილ მოტრფიალეთა შუაგულში შედის; ვინც იმ დღეს ჰუსეინის ეშხით სისხლის დაღრას აპირებს, სამართებლებით მკერდსა და მკლავებზე ჭრილობებს დაუსეა-მენ და სისხლს გამოუშვებენ. მწვანე მინდორი სისხლით შეიღებება და ტულიპებით მოიფინება. ალაპის მოტრფიალეები ისე თავგამოდებულად იგვემენ, მკლავს იდაღავენ და სისხლს იდენენ, როგორც ეწა-მენ ჰასანი, ჰუსეინი და აკილი. შემდევ იმიმ ჰუსეინის სხეულის გამოსახულებს მოედნიდან გაიტანენ და უსასრულო გოდებათა და ღმერ-თის ერთარსობის აღიარებით ჰუსეინის მკვლელობის ამბავს სრულად წარმოადგენენ. შეკამენ აშურას და საში დღე-ლამის განმავლობაში გულითადად საუბრობენ.

რადგანაც ამ ქალაქის ჰავა მშვენიერია, უთვალავი გასართობი და ვარდყვავილნარი აქვს. თვით ქალანთარის ბალის სასახლის თაღზეც, რომელშიც ჩვენ ვიყავით დაბინავებული, კუთბ ედ-დინ მეჰმედ ჯეზი-დის წარწერაა: „ეს არის სასიამოვნო ადგილი და დიდებული სასახ-ლე“. რადგანაც სხვა უბრალო ამბების ჩამოთვლა მაინცდამაინც სა-სარგებლო არ არის, ამიტომ ტყუილუბრალოდ სირყვის გაგრძელებას მოვერიდეთ.

## LXII

აშგაზი ხანთან მრთად თავრიზის სანახების შემოვლისა და  
დათვალიარებისა

||თავრიზის გარშემო შვიდი კეთილმოწყობილი და გაშენებული 257  
ნაპირია. სანადიროდ გავედით ათასამდე მეომრითა და დოლის ღავე-  
რით. თან გვყავდა შევარდნები, ქორები, მწევრები, მექებრები. ჭერ  
მეტრან-რუდის ნაპირზე გავიარეთ. ეს ნაპირ თავრიზის აღმოსავლეთით  
მდებარეობს და თავრიზის კარიდან ხუთი ფარსახით არის ღაშორებუ-  
ლი. რუთის, ისფენებისა და სეიდაბადის დაბები კეთილმოწყობილი სა-  
ცხოვრებელი აღგილებია. მრავალრიცხვანი ჭამები, ფუნდუკები,  
აბანოები, მცირე ბაზრები და ბალ-ბალჩები აქვთ. მეორე ნაპირი — სე-  
რავდუღი თავრიზის დასავლეთით მდებარეობს და მის ბალ-ვენახებს  
აკრავს. სამოცი კეთილმოწყობილი და გაშენებული სოფელი აქვს. მათ  
შორის ყველაზე ცნობილი სოფლები: დუშთი, ჭულან დერუქი, ელ-  
ფაბენდლისი, ლაქედერხი, ქეჯა აბალი. ჭამებიანი, აბანოებიანი და მე-  
ჩეთებიანი სოფლებია. მათი სახნავ-სათესი მდინარე სერავდუღზე  
მდებარე ნაყოფიერი მიწებია. მესამეა დიდებერდერის ნაპირ. თავრი-  
ზის სამხრეთ-დასავლეთით ოთხი ფარსახის მანძილზე მდებარეობს.  
ოცდაოთხამდე სოფელი აქვს. მეოთხეა ერდენჯის ნაპირ. თავრიზის  
დასავლეთითაა ერთი ფარსახის მანძილზე. ოცდაათი სოფელია. ყვე-  
ლა ჭამებიანი, აბანოებიანი, ფუნდუკებიანია. მეხუთეა დუდკათის  
ნაპირი. სურხაბის მთის გადაღმა მდებარეობს, თავრიზის ჩრდილოეთით.  
ეს ნაპირ თავრიზიდან ერთი ფარსახით არის მოშორებული. ასსოფლია-  
ნი, კეთილმოწყობილი და გაშენებული მიწებია. მეექესეა ჭანიმ რუ-  
დის ნაპირი; ოცი სოფელი აქვს. მეშვიდეა ბედესთანის ნაპირი; თავრიზის  
მხარეზეა. სამოცდაათი კეთილმოწყობილი, გაშენებული, ჭამებიანი,  
ფუნდუკებიანი, აბანოიანი სოფელი შედის. ჩვენ რომ გაღმოცეთ ხან-  
თან ერთად ჩვენ ნადირობა თავრიზის ნაპირებში და თავრიზის მთე-  
ლი ვითარება, წიგნის ვებერთელა ტომი გამოვა. ეს იმიტომ, რომ თავ-  
რიზის ორანის მიწაზე ყველაზე სახელგანთქმული ქალაქია. კეთილმოწ-  
ყობილი და გაშენებული ამყოფოს ალაპმა, რაღანაც ამ ქვეყანაში  
დიდად მოვილხინეთ, ვისიამოვნეთ და გავიხარეთ.

## LXIII

საოცრება პავარობისა

||ერთხელ მე და ხანი გულითადად ესაუბრობდით. შე, მწირს, სუფ- 258  
თა ღვინო! შემომთავაზა. შორს დავიჭირე:

— ალაპისა ვფიცავ და ალის წმიდა სულს გაფიცებთ! დღემდე არ შემიცოდავს. აკრძალული და მათრობელი არაფერი დამილევია. არც გამიგია, ჩვენ დიდ წინაპართაგან ვინმეს გემო გაესინჯოს ომ აკრძალული სასმელისათვის. მოილეთ მოწყალება, რჩეულ მეჯლისთან ბოდიში მომხადეთ და მაპატიეთ. — ჩვენი სიცოცხლის თანაბარო ძმა! — თქვა ხანშა — აბა, შეხედე! გულის სიხარული და თვალის ჩინი, ამოდენა კაცი მირზა-შაპი ფეხზე წამომდგარი გაწოდებს სუფთა ღვინოს. მისი ხათრი იქონიე და ფიალა ჩამართვი, მანამდე მეც არ შევსვაძ ლალისფერ ნუნუას! ჩემო კარგო, ვისი შიში გაქვს<sup>9</sup> დედამიწის კეისრის — შაპისა?<sup>2</sup> თქვენი შაპი ხუთი თვის სავალზეა. შენი ხანისა?<sup>3</sup> — თავრიზიდან არზრუმამდე ორმოცი დღის სავალია. მაშ, ვიღასი უნდა გეშინდეს? მეც მკაცრად ამიკრძალა ჩემმა შაპმა. მე, ირან-თურქანის შაპის ხანთა-ხანს, ქელბ ალი-ხანს მითხრა: — ვინც ჩემ პურსა კამს ჩემი სულთნები იქნებიან ისინი, თუ ხანთა-ხანები, არავინ დალის ღვინო, თორემ გულ-ღვიძლს დავაგლეჭო. შაპის გაფრთხილება მხედველობაში კი მრვილე, მაგრამ საქეიფო და სამხიარულო მეჯლისს რომ ვაწყობ. სუფთა ღვინოს — ანკარა ნუნუას შევექტვი. ახლა! ვისი გეშინია? აბა, დალი ღვინო!

— ჰო. ჩემო კარგო ხან! — მივუკვ მე, მწირმა. — შენ თუ შენ მა კარგმა შაპმა აგირძალა, მე — შაპთა-შაპების ფალიშაპმა. მან, შეუდრიებელმა, ერთი წვეთის დალევაც კი გადაჭრით და გარკვევით ამიკრძალა ყურანის შემდეგი სიტყვების საფუძველზე: „ღვინო, მეისერის თმაში, კერპები და აზლამის თამაში ეშმაკის ბინძური საქმეა“<sup>4</sup>. მე იმ ყოვლადძლევრი ღმერტისა მეშინია, რომელმაც არარაობიდან შექმნა ყოველივე ამქამად არსებული. მის ბრძანებას ვერ დავარღვი და ღვინოს ვერ დავლევ-მეოქი.

— ღმერტმანი, ნამდვილი მართლმორწმუნე და სარწმუნოებისათვის გახელებული ყოფილხარო. — მიპასუხა ხანმა.

— ღმერტმა იცის, ჩემო ხანო, რომ სარწმუნოებისათვის გახელებული არა ვარ; ნუმან ბენ საბითის — ალაპიმც იყოს მისი კმაყოფილი — მოძღვრების მიმდევარი, მორწმუნე, მსოფლიო მოგზაური. ადამიანთა მეგობარი და სამეფო სავარეულოს მორჩილი ღვთის კაცი ვარ-მეოქი, მივუგე.

259 მეჯლისის დამსწრენი, ხანის ახლობლები||ჩემი სიტყვების გაგრებაზე გაშეშლნენ. ხანი თვეისას არ იშლიდა. ფეხზე წამოდგა, გულითადი მეგობრებიანად მომიახლოვდა და შემდეგი სიტყვებით მომართა:

— ჩემო თვალის სინათლევ! ჩემო ევლია ჩელები! ოლონდ ჩემი კეთილმორწმუნე მონების ხელით მორთმეული ერთი თასი დალი და

რომელსაც მოისურვებ, ფეშქაში იყოს — ჯეზდან-შირი იქნება იგრ, თუ მიჩაა-შაპი, ფარვიზი თუ ფირუზი, ალი იარი თუ ზავალიში. შაპ-ლევენდი, სეიფ-ყული თუ ხალხანი. მურთაზა ალი და თორმეტი იმამი თუ გიყვარს, სცადე, რომ თავი გასურდეს და გულს მოეშვას. ამ წარმავალ ქეიფში სურვილი შევისრულოთ და დრო ვატაროთ. — ამას რომ ამბობდა, თავისი ბიჭები დამახვია.

მე, მწირმა, კვლავ შეწყალება ვთხოვე მაღალ ღმერთს და ასე მივმართე:

— ჩემო ხან! გულითადი საუბარი განა ისაა, კაცმა მაგ ხოჯა ნაკლივით გამოწრუპოს მიწოდებული ღვინო, უგონოდ დათვრეს და თქვენს წინაშე აბდაუბდას მოჰყვეს! ესაა ირანული ლხინი და ქეიფი?

ეს რომ მოსმინა ხანმა, პკრა პანღური ხოჯა ნაკლის და მეჯლისის თავში დასვა.

უგონოდ მთვრალი ხოჯა ნაკლი მოჰყვა ბაიათებს:

„ისეთი მთვრალი ვარ, ქეყანა რაა არ ვიცი;  
ვინ ვარ, მერიქიფე ვინაა? ღვინო წითელია? — არ ვიცი“.

[ხანმა] ისევ დამაძალა ღვინო. მივხვდი, რომ სანდო მეჯლისში ვიყავი და ვთქვი:

— ჩემო ხან! გასამხიარულებლად სუფთა ღვინოს შეექცევით. მაგას ღვთიური მხიარულება არა სჭობია? აბა, ერთი, დაირა მომიტანონ და საღვთო ქეიფს გაჩერებთ, -მეთქი.

— ალის ხათრით იყოს! აბა, ჩემ ძმას დაირა მოუტანეთ! — ბრძანა ხანმა.

ინღური ნახელავი, ბროლის ზანზალაკებიანი დაირა მომიტანეს. ხელში ავიღე და რუმის სეგაპის პანგზე წარმოვთქვი ნაწყვეტი ბაიათიდან:

„შენი სიყვარული მარადიულ სიცოცხლეს გვაგონებს;  
თითქოს ზეცაში სიკვდილს ეტრფის ყველა სხეული“.

॥სამი ოთხტავებიანი სიმღერა, ერთი სიმაი და ერთიც დუბეითი<sup>260</sup> ვიმღერე, მეჯლისის წევრები გავაოცე და დავამთავრე. ხანმა უმალ გადმოიგდო სპარსული ყაიდის მოსასხამი და საკუთარი ხელით მხრებზე მომასხა.

— ათასი ვაშა! ასი — ყოჩალ! პოი, ქვეყნიერების კეისრის ახლობელო! — შესძახა. ერთი ქართველი ბიჭი, აბასური თუმანი, ნიავივით მონავარდე. ყარაჩუბუკი ცხენი? მიწყალობა და თქვა:

— დარწმუნებული იყავ, რომ ამიერილან ღვინოს აღარ: დაგადალებ!

სრულ ერთ თვეს ვილხენდით. ამდენ მთვრალ და უგონო, მოქეიფე და მომლენ თავტოზელთაგან ერთიც არ მინახავს ქუჩაში გამოსული. მოსახლეობა უაღრესად ზრდილაა. მათ შესახებ მჭევრმეტყველური ლექსია გამოითქმული:

„თავტოზი ისევე, როგორც მისი შეიძინ ტომი, სისპეტაკით, ჰემარიტად, პგას უანგისაგნ გასუფთავებულ საჩაეს. თუ იტყვი, შევობრობაში ერთგულნი არ არიან, სურათი სარკეში გამოჩნდება, სხვაგან — არა.“

## XLIV

### სასურველი თავრიზის ზოგადი პირა

[თავტოზის] ყველა საუკეთესო თვისებათაგან ერთი ის არის, რომ რაღანაც გამდინარე წყლები მრავლად აქვს, შარაგზებს დღედალი ხევტენ ცოცხებით და მტვრის ნამცეცაც კი არ ტოვებენ. შემდეგ წყალს ასხამენ. სავაჭრო რიგები და ქუჩები ისეთი სუფთა და გრილია, რომ ივლისის თვეშიც კი სიცხით არ შეწუხდება აღამიანი.

მეორე კარგი თვისება ისაა, რომ მაპმაღის ჩამომავალ კეთილშობილ ქალწულებს მონის ჩამომავალს არ აძლევენ და ისევ თავის თანასწორებს მისცემენ. მე, მწირს, ამის შესახებ შემდეგი კითხვა მომცეს: „ოქვენ ურჯულო ქალს ყიდულობთ და ცოლად ირთავთ. ამზოთ, ამაში არაფერი არ არის ცუდიო. თუ ასეა, მაშინ ეს მაპმაღის ჩამომავალი ქალები ჩვენც რომ ურჯულოებსა და გაუაგვარებულებს მივცეთ, მათ შვილებს რა უნდა ვუთხრათო?“ მე, მწირმა მივცე: „ასეთი რამ მართლაც არ არის კარგი. თქვენი საქციელი ამ მხრივ გონიერულია მაგრამ [ყველა ხალხის] ბავშვებს დაბადებიდანვე დაჰყვებათ ისლამი. მხოლოდ შემდეგ, დედ-მამის არასწორი აღზრდის შედეგად, სკოლავენ [და სხვა რჯულს იღებენ], როგორც ეს წმინდა ჰადისშია ნაბრა-ნები: „არავინაა ისეთი, ვინც ისლამის ბუნებით არ დაბადებულიყოს, შემდეგ კი მშობლები მათ აებრაელებენ, ან აერასტიანებენ და ამაზ-დეანებენ“! ამ სიტყვებით ყველანი გავაჩუბდე.

მესამე კარგი თვისება ის არის, რომ შეის სეფხს კანონით, სავაჭრო რიგებში ყიდვა-გაყიდვა წარმოებს სპილენძის, ვერცხლის და ოქროს<sup>2</sup> ფულით. ამ მხარეში სხვა ფული არ გადის. ფული შვიდ აღ-გილას იქრება. პირველია ძველი სატახტო ქალაქი არღებილი<sup>3</sup> [და ეწოდება] არღებილში მოჭრილი. აგრეთვე — ჰამაღანში მოჭრილი, ბაღდაღში მოჭრილი, ისპაპანში მოჭრილი, ფაბილისში მოჭრილი, ნეპა-ვენდში მოჭრილი ფული და თავტოზი მოჭრილი. მათი ფულის ერთ

მხარეზე წარწერილია: „არ არის ღმერთი თვინიერ ალაპისა და ალია მეგობარი ალაპისა“. მეორე მხარეს სათანადო შავის სისხლია ამოკევ-თილი. მაგალითად, შავ-აბასის მიერ თავრიზში მოქრიცლ ფულზე წე-რია: „მონა, ძაღლი ალისა — შავ-აბასი“. მათ სპილენძის ფულზე წე-რია: „მოიქრა თბილისში“, „მოიქრა თავრიზში“. მეორე მხარე კი წარ-წერით შემცულია და [ფულის მოქრის] წელია ამოტვიფრული. ხმარე-ბაშ მყოფ ფულზე, ფართლის საზომების ბოლოებზე, საწყაო ქილებ-ზე, მოქარგულ ქსოვილებზე წერია წმინდა გამონათქვამი: — „არ არს ღმერთი, თვინიერ ალაპისა“. ვაი მას, ვისაც აზრად მოუვა დაარღვიოს იმ წესით წარმოებული ყიდვა-გაყიდვა, რომელიც უმყარება მცნე-ბას — „არ არს ღმერთი თვინიერ ალაპისა“. თვალში გავარკარებულ შანთს გაუყრიან, თავზე გახურებულ ქვას დაადგენ და ასე დაასახიჩ-რებენ. სავაჭრო რიგების ღუქნებში, ბაზრების მოედნებზე ყვითელი ბეინჯოს ჯაჭვიანი სასწორებია ჩამოკიდებული. არავითარ შემთხვევა-ში არ მიეკარება ადამიანის ხელი. მუდამ ასე ხელუხლებელია. მუშ-ტარს ზუსტად აუწონავნ სასწორის თევზზე და ჩაბარებენ. ხორბ-ლის, ბრძონებისა და სხვა მარცვლეულისათვის ქილას არ ხმარობენ [საწ-ყალდ]. ყველაფერს სასწორით ჰყიდიან. ქსოვილები და საქონელი მექის წყრთით იზომება. საქონელი და ტყვები კი კანონს დაქვემდებარებუ-ლი შემფასებლების მიერ დადგენილი ნიხრით იყიდება. შავის კანონი ასეთია.

მეოთხე საუკეთესო თვისება ისაა, რომ მათი ღუქნების მზარეუ-ლები კერძებს რიგიანად ამზადებენ და სანამ არ დასუფთავებენ ღუქ-ნების ქედლებზე განლაგებულ ქაშანურ და სპილენძის ჭურჭელს, ფაიფურის თასებს, ღუქნის ვალების ნება არა აქვთ. როგორც კი გა-თენდება, ლოცვითა და ღვთის. დიდებით გააღებენ თავიანთ ღუქნებს. შემდეგ ჰერისეს, ფლავს, ზაფრანიან ფლავს, მწვადს, ერბოკერცხიან ფლავს. მუზაფერ ფლავს, შილაფლავს, ერთი სიტყვით, სხვადასხვა კერძებს უცხოელებსა და ადგილობრივებს ||ჩამოურიგებენ და მიჰყი- 262 დიან. ვერცხლივით მოკალული დიდი სინების ნაპირებზე თალიფის ხელით ამოტვიფრულია ახა: „აქმევენ საქმელს“, და ჰადისები: „არ არის დიდება უფრო მაღალი, ვიდრე ისლამი“, „დიდება აღვილისა მი-სი ძლიერებითა და დიდება სახლისა — მისი ოჯახით და დიდება ხალ-ხისა — მისი ხელგაშლილობით“<sup>4</sup>. წარჩინებულებსა და დიდებაცებს კა-მის შემდეგ ხელსახოცს მიართმევენ, სუფთა ტაშტითა და სურით ხე-ლებს დააბანებენ. ღარიბები და მსახურები კი მარჯვენა ხელს მარ-ცხენა იღლიაში გამოისვამენ და მარცხენას, მარჯვენაში. ესენი ცუდ ყოფაში არიან.

## ისანის ხალხის დასაგმობი ზე-ჩვეულება

მოსახლეობას თორმეტი იმამის პატივსაცემად სამზარეულოების თორმეტი ამქარი აქვს ჯარისათვის, რომლის რაოდენობა ათასებს აღწევს<sup>1</sup>. ულემები და სხვა წარჩინებულები თავიანთ სახლებში იმზადებენ საჭმელს. სხვები თავიანთ ქოხებში ანთებენ ცეცხლს და წყალსაც იქ აცხელებენ. ყველა მსახური და ჯარისკაცი უცოლშვილოები და უსაქმურია. სავაჭრო რიგებში და ბაზრებში ყიდულობენ საჭმელს და იქვე ჭამენ. მართლაც რომ ცუდი საარსებო პირობები აქვთ. მაგრამ, რაღაც სიუხვეა, სურსათ-სანოვაგეს იაფად შოულობენ. მომჭირე და მარტოხელა ხალხისათვის ეს უფრო ხელსაყრდელია. თუ ჯარისკაცი სამ თვეს ბაზარზე ჭამს საჭმელს, როდესაც შაპისაგან სარგო გამოვა, მისი მზარეული იტყვის: „მე ამა და ამ მეომრის მზარეული ვარო“, ჯარისკაცის სარგოს იღებს და მიღის. იოტის ოდენა ზედმეტის აღება არაფრისა შეუძლია. მზარეულებს, რომლებიც დაარღვევენ ამ წესს, ენას ამოკლეჭენ. შემდეგ ის მზარეული სარგოს პატრიონს თორმეტი დღის განმავლობაში უმასპინძლდება. თუ შაპი ან სპასალარი სალაშეწროდ გავა, თავიანთ ჯარში ქეჩის კარგიან მზარეულს გვერდს ვერ აუკლიან, რაღაც მთელ ჯარს ს ჭირდება მზარეულები. ირანის კანონის მიხედვით დამნაშავეს არ ჰქლავენ და არც ახრჩობენ. ტარულის და მუჭათასიბს დამნაშავეები სიკვდილით დასასჯელ მოედანზე გამოჰყავთ. ჯალათები არ იბრალებენ და ამ დამნაშავეებს ათი დღე-ღამე უწყალოდ აწამებენ სამას სამოცი სახის წამებით.

- 263 მე, მწირმა, ვთქვი: „ჩემო ხანო! განა შეიძლება ამდენი წამება॥განიცადოს ადამიანიშვილმა, ღმრთისაგან ესოდენ პატივდებულმა?“ ხანმა მიასუხა: „ჰოი, ჩემო ძმაო ისინი რომ მოსასპობები არიან, ეს სამართლიანი მოწმის საშუალებით დადასტურდება; დამტკიცების შემდეგ, მთელი ხალხის თვალწინ არ მოკვლავთ და მცონარე ხალხის გასაფრთხილებლად ამგვარ ტანჯვაში ვამყოფებთ. ადამიანზე მეტად დამჩაგრელი და ურჩი არავინ არის, რომ გამჩენის წინაშე ეთქვას: „კეშმარიტად, უფალი თქვენი მაღალ არს“<sup>2</sup>. ამიტომ ვაწამებთ ასე“. მე, მწირმა, ვუპასუხე: „მაგრამ, რაღაც ამის გაძავრცელებელი იყო აი<sup>3</sup>, მის აღზრდაში მისი გავლენა არ ჩანს. შარიათით აუცილებელია მათი მოქმედების ზღვარდება. იმის მიხედვით რომ იყოს, როგორც გადაწყვეტილია: „მოქვეთო ქურდ კაცსა და ქალს ხელები“ და ადა: „სული სულისა წილ“<sup>4</sup>, ქვეყნიერების ხალხი უფრო მეტ შიშა და კრძალვას იგრძნობენ. ხანი დამეთანხმა — „მართლაც, რომ კარგ ჩემ-

ვას იძლევით", — თქვა და გაჩუმდა. მაგრამ ასე რომ აწამებენ, იმით არის გამოწვეული, რომ თავრიზის მცხოვრებლები თავაშვებულები და გზასაცდენილი მწვალებლები არიან. თავიდანვე ასეთი ჩვეულება აქვთ. თავრიზში ორმოცდაორი სომხური ეკლესია.

## LXVI

### დიდიაციპისა და დიდი ჯიციანების საფლავები

თავრიზს აქვს სასაფლაოები, რომელთაც ეწოდებათ: სურბპატი, ჯერენდი, ქეჭილაბი, დულიან ქუპი, ჰეიგანი. წიგნის შემდგენლების, მწერლების, ღვთისმეტყველების უმეტესობა ამ [სასაფლაოებზე] დამარხული.

აქ დასაფლავებულ პირთა სახელები: იმამ ჰეფტანე, შეიხ იბრაჰიმ ქევანანი, შეიხ შექერ-ხანი, ბაბა უერახი, ბაბა ჰასან მეიმენდი, შეიხ შეგა ვექალინი, შეიხ მალინ თავრიზი, შეიხ ჰასან ბულარი, შეიხ ბერლ ედ-დინ ქერმანი, შეიხ ნურ ედ-დინ ბიმარესთანი.

სურხაბის სასაფლაოზე დამარხული პოეტები: ენვერი, ზეპირ ედ-დინ ფარაობი, ფელექი შირაზი, შამს ედ დინ სუბპანი, ფელექი შირვანი — შეიწყალებს მათ ალაპი!

თავრიზის გარშემო დაბებში დამარხული დიდი წმინდანები ალაპისა: || ქეიჯანის სოფელში — ხოჯა მექმედ ქეხი ჯანი — კურთხეულ 281 იყოს მისი საიდუმლოება. სედად აბადის სოფელში მათი უწმინდესობა შვიდასმდე მწერლისა და პოეტის — ღმერთმა აცხონოს ისინი — საფლავი არის.

თავრიზის ახლოს მდებარე შეპირის მთაზე წინასწარმეტყველის საასალარის, მისი უწმინდესობა უსამას<sup>2</sup> საფლავია. აქვეა მანთლმორწმუნეთა მბრძანებლის — წმინდან ჰამზას დიდებული ძმის, მისი უწმინდესობა აჯელის<sup>3</sup> აკლდამა. ზემოხსენებული წმინდანი მის უწმინდესობა საჩიესთან ერთად ნეპავენდის ომში<sup>4</sup> იყო მივლენილი, ღაიჭრა და თავრიზში გარდაიცვალა. ამას გარდა, აქ არის მათი უწმინდესობა შეიხ საღუსის და შეიხ სელამის საფლავები

სურხაბის სასაფლაოზე საფლავი წმინდა ომეია ბენ ომერ იბნ ომეიასი. მჭერმეტყველების საბაღო, ღვთის დიდების საიდუმლოებათა მუფთი, წმინდა შეიხი სეიდ ჯანმიმო მწერლობასა და თხზვაში უბადლო იყო. ძველ და ახალ მეცნიერებებში — შეუდარებელი. თავისი დიდებული ცხოვრება მთლიანად მეცნიერებას შესწირა. მისი განათლების დიდებულებას საზღვარი არა პქნონდა და მოთხოვნების სიმშვენერეს კი — ნაპირი — კურთხეულ იყოს, მისი საიდუმლოება. მიმი

ჯანის სიახლოეს ულემათა შორის გამორჩეულ ალის საფლავზე შემდეგი ბეითია: „მექვიდრე საწინასწარმეტყველო მეცნიერებისა, ერთადერთი დასაყრდნი მაღალი შარიათისა“. მეცნიერებათა მექვიდრე, სიძნელეთაგან მხსნელი, წმინდა თაკი! მე, მწირმა, წმინდა საფლავის მოლოცვის შემდეგ მის საფლავზე ეს ბეითები დავწერე:

„კეთილმორწმუნე“ გუნდის წინამძღვარი,  
ის არის მოწყალე უხუცესი.  
ანთო რეში და ბუხარაში ჩიჩალი  
მარადისობის ქვეყანაში იყოს მისი დასამცემიდრებელი.  
იხაროს მისმა სულმა მუდმივ ლოთაურად, მუდამ მისი მონა იყოს ევლია“.

მეიხარანის უბანში წმინდა ალის ჩამომავლები არიან დამარბული. სურხაბის მთაზე მოცეულის ორი შთამომავალია დამარბული — აინტ ალი და ზეინი ალი. სერის უბანში ძველი სპარსეთის ერთ-ერთი ფალიშაპის — აფრასიაბის თავია დამარბული. სულთან მეჰმედ II-ს მასწავლებელი, აკ შამს ედ-დინის ძე შეის ნასრ ულ-ლაპიც აქა დამარბული. თუმცა თავრიზის შიდა და გარე ნაწილებში კიდევ მრავლი სრულყოფილი ყვლდამა, მაგრამ, რაღვანაც მათი აღწერა ჩვენს „მოგზაურობის წიგნს“ გააჭიანურებდა, ამით დავკმაყოფილდით.

## LXVII

სათაან ერთად შამ-ყაზანი შოთა საფლავისავნ გზავრობის  
დროს ჩვენ მიარ დათვალიერებული ცდებიგი

265 ॥ათასამდე საუკეთესო ცენოსნით გაემგზავრეთ და დასავლეთი-საკენ ხუთი საათი ბაღებსა და ღობებიან ბოსტნებს შუა რომ ვიარეთ, დაბა აჯი სუს მივაღწიეთ. კუმლას ციხისაკენ მიმავალ შუა გზაზეა. ეს ორასკომლიანი კეთილმოწყობილი და გაშენებული სოფელი ხანის სახასოა. ერთი ჯამე და სამი სავანე აქეს. თავრიზის ველების ყველა წყალი სოფლიდან სოფელში მიწის ქვეშ მიეღინება. შარა-გზებზე ათასობით ჭაა. რაღვანაც სოფლის წყალი მომლაშოა, შეწარე წყალს (აჯი სუ) უწოდებენ. აჯ სოფლის ქალანთარი მოვიდა და ხანს კარგი წვეულება გაუმართა. დილიდანვე დასავლეთისაკენ ოთხი საათი ვიარეთ და შამ-ყაზანის წმინდა საფლავთან მოვედით.

შაპმუდ შამ-ყაზანის წმინდა საფლავის აღწერა: აქაურობა ჩინგი-ზიანთა ხანაში სამოთხის ბაღის ||მსგავსი აღვილი ყოფილა. რაღვანაც დამასკოს ჰვავდა და დამასკოს მხარეს მდებარეობდა, სახელად შამ დარქმევია. შემდეგ მაჲმუდ ყაზანს აჯ ძლიერი ციხე აუგია და ყაზანიე დაურქმევია. მისი ათასამდე გლეხი ურფის გადასახადებისაგან

გაუთავისუფლებია და ამ ციხეში ჩაუყენებია. შემდეგ, თავისი აკლდა-  
მის ასაშენებლად სპარსელი, არაბი, ინდოელი ოსტატები და ხუროთ-  
მოძღვრები შეუქრებია, ფრიად მაღალი და სამაგალიო შენობა აუგია. სტამბოლში მდებარე გალათას კოშკის მსგავსი, ცამდე აზიდული გუშ-  
ბათია. მაგრამ იმ დროს, როდესაც მე ვნახე, ციხის კარის ერთი მხარე  
მიწისძვრისაგან ჩამონგრებული და დაფშვნილი იყო. ხანთან ერთად შიგ-  
ნით შევედით, მოვილოცეთ და ყაზან-შაპის სულისათვის თითო ფა-  
თიძა წავიკითხეთ. მის ახლოს ერთი სავანეა. შიგ ოჯახში მეტი ლვობა-  
ერთგული დერვიშია. კარის გარეთ ასიათასობით მსხვერპლად შეწი-  
რულ [ცხოველთა] თავებისაგან ვეპერთელა კოშკი აუგიათ. რადგა-  
ნაც მთელი ირანის მოსახლეობას სწამს ეს მაპმუდ შამ-ყაზანი, ყო-  
ველწლიურად ათასობით აღოქმული ცხვარი მოჰყავთ. ათი წყრთის  
სიღრმის ერთი ისეთი ჭაა, ივლისშიც კი მისი წყალი ყინულის ნაჭერი  
გეონება. ამ აღვილს შამ-ყაზანს უწოდებენ. მონღოლურ ენაზე —  
შაბდ ყაინს. მაგრამ, რადგანაც აკლდამაში ღასაფლავებული სულთან  
მაპმუდ ყაზანი მონღოლთა ფადიშაპი იყო, ალბათ თავრიზელებმაც ად-  
ვილად გამოსათქმელად შამ-ყაზანი შეაჩევს. ამისი ნამდვილი გან-  
მარტების საფუძველი ესაა. ეს ღიდებული აკლდამა ველიანის მთაზე  
მდებარეობს და მთის ძირთან ახლოს დადგმული სუცხოო შენობაა.  
ცურთხს ალაპმა აქ დამარხული წმინდანის საიდუმლოებანი:

აქედან ავიყარენით, დასავლეთისაკენ ვიარეთ და ველიანის მთის-  
ძირას მდებარე სოფელ ველიანში მოვედით. სამასკომლიანი, ლამაზი  
და მიმზიდველი სოფელია, რომელსაც აქვს ჭამე. ფუნდუქი. აბანო,  
სკუმართა მისალები სახლი, საქველმოქმედონ ნაგებობები; კეთილ-  
მოწყობილი და გაშენებული სოფელია. ზემოთ რომ იყო მოხსენებუ-  
ლი სავანე, მისი კუთვნილი გახდა და ნეტარი ვეზირის ხოჯა რაშიდ  
ედ-დინ დუნბულის კველმოქმედებაა. აქედან ავიყარენით, ისევ და-  
სავლეთისაკენ გავემგზავრეთ და ხუთ საათში კუმლას ციხეს მივაღ-  
წით.

||კუმლას ციხის აღწერა: ეს ციხე 998 (1590) წელს სულთან მუ- 267  
რად-ხან III-ის დროს (1574—1595) ღიდებული სარდლის — კოჯა  
ფერპად-ფაშას აშენებულია. ოთხკუთხა ციხეა და ველიანის მთის კალ-  
თაზე მდებარეობს. გარეშემოწერილობა ოთხმოცი ნაბიჯია. შვიდი  
კოშკი და ორი კარი აქვს. ერთი კარი დასავლეთითა და მეორე — აღ-  
მოსავლეთით. აღმოსავლეთის კარი თავრიზის კარია. თავრიზში სარდ-  
ლად ყოფნის დროს ჭადიმ ჭაფერ-ფაშა ერთხელ ირანის ლაშქარს გაქ-  
ცევია და [ამ] ციხეში გამაგრებულა. ჭარიც უკან მოწყოლია და ციხი-  
სათვის ალყა შემოურტყამს. ერთ ღამეს ჭაფერ-ფაშას ციხის ის კედე-  
ლი გაუჭრია, რომელიც თავრიზისაკენაა და შვიდი ათასი რჩეული მე-

ომრით გარეთ გამოსულა; უდარდელი ძილით შეპყრობილი სპარსელ-თა ლაშქარი ხმლის კბილებში გაატარა, ამოელიტა და ვინც ხმალს გა-დაურჩა, თავრიზზამდე სდია. [გამოქცეულმა] ლაშქარმა თავრიზს რომ მიაღწია, დაინახა, რომ ჰალიმ ჯაფერ-ფაშას ქეთხუდა ციხეში ჩაეტილი იყო და თავისი ბალემეზზარბაზნებით გაანადგურებდა. ამ ორ ძლიერ მტერს შეუა ჩაიღუპნენ. ჰალიმ ჯაფერ-ფაშა კვლავ სარდალი გახდა. ამ კუმლას ციხის გამონგრეულ ადგილას დიდი ალაყაფი ააგო და სახე-ლად გედიქ კაფუ<sup>2</sup> ანუ „თავრიზის კარი“ ეწოდა. ციხეში ასი სახლი და ერთი ჯამეა. ციხის გარეუბანს, რომელშიც ძირითადი სამოქალაქო მოსახლეობაა, უსაზღვრო ბალ-ვენაზი აქვს. კუმლას ყურძენი, ქლიავი, აბასური და მელგა მსხალი განთქმულია. ქალაქს სამოცდათი მიჰრაბი და თერთმეტი ჯამე აქვს. მათ შორის მშვენერი ნაგებობაა ფერპალ-ფაშას ჯამე. ქალაქის განაპიროსაა სხვა ჯამეები, ფუნდუკები, აბანოები, სავაჭრო რიგი და ბაზარი. ეს ქალაქი თავრიზის მიწაზე მდებარე ცალკე სასულთნოა. ათასამდე სამხედრო მოსამსახურე, ქალაპთარი და ტარულა ჰყავს. ყადის ადგილია. აქაც დიდი წვეულებები გავიმართეს და მისი სულთნისაგან საჩუქრები მივიღეთ. ამ ქვეყნებში სანჯაყის ბეგს სულთანს უწოდებენ. მირმირანს „ხან“-ი ეწოდება: სამთულიანი ვეზირის თანამდებობას — „ხანლარ-ხან“; დევთერდარს — „ეთიმადოვლე“; სარდალ ვეზირს — „სიფაპსალარ“; კაფუჭი-ბაშის — „ყორუჭი-ბაში“; რეის ულ-ქუთაბს — „მუნში“; ალაბეგს — „ქალაპთარ“; სუბაშის — „ტარულა“; ალაი-ჩაუშს — „იასაულ-აღასი“; იანიჩართა აღას — „დიზ-268 ჩოქენ აღასი“; იანიჩარებს — „დიზჩოქენ“; მესტუმრეს — „მეჭმინდარი“. ხსნებულ მოხელეებს მართვა-გამგეობასთან კავშირი აქვთ. ირანის ქვეყნის კანონი ასეთია.

აქედან ავიყარენით, ბალ-ვენახებზე ვიარეთ და სერავრუდის ნა-ჰიეში მოვედით. დიდი დაბა და ნაჰიეა. თავრიზის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ქალაქის მსგავსი, ფუნდუკიანი, აბანოიანი, ჯამეანი და მცირე ბაზრიანი დაბაა. ქალაპთარი მოვიდა და ხანს მასპინძლობა გაუწია. აქ ერთი ღამე გულითადად ვისაუბრეთ და დილაპტრიან წამოვდექით. ალ-მოსავლეთისაკენ ბალებზე გადავინადირეთ და მდინარე სერავრუდის ნაპირზე მდებარე დაბა დუშთში მოვედით. აქ საუზმე გვახელით და ცოტაოდნავ დავისვენეთ. სერავრუდის ნაპიეში კეთილნაშენი აბანოიანი, ფუნდუკიანი და ჯამეიანი, ბალ-ვენახიანი დაბაა, რომელშიც ათა-სი სახლია. იქიდან გზა განვაგრძეთ და მოვედით დაბა ალკაბენდელის-ში. კეთილმოწყობილი სამასკომლიან დაბაა, რომელსაც სამი ეკლესია აქვს და მხოლოდ სომები მოსახლეობა ჰყავს. იქიდან გავედით და სამი საათის სიარულის შემდეგ დაბა ლაქილრაბში მივედით. შაჰ-სეფის ხა-თუნის სახასოა. სერავრუდის ნაპიეში და იმავე სახელწოდების მდინა-

რის ნაპირზე მდებარე ორიათასკომლიანი მუსლიმებისა და სომხების სოფელია. ესენა ყველანი გაუთლელები არიან. სერავრუდის მთაზე ერთი დანგრეული ციხეა. აქედან წავედით და დაბა ვეჯბაღს მივაღწიეთ. ხუთასი სახლი, ჭამე, ფუნდუქი და აბანო აქვს. აქედან კვლავ აღმოსავლეთისაეკნ ვიარეთ და ჩუდვათის ნაპირში შევეღით. თავრიზის ჩრდილოეთით, სურხაბის მთის გაზაღმა მდებარეობს და ასსოფლიანი ნაპირეა. აქაც ვინადირეთ და ძეველ ქალაქს მერალს მივაღწიეთ.

ქალაქ მერალს აღწერა: აზერბაიჯანის მიწაზე, თავრიზის საზღვრებში ცალკე სასულთნოა. ათასამდე ჭარი, ყადი, ქალანთარი, ტარულა და მუნში ჰყავს. იგი ძეველ დროს, უშანგ-შაჰს აუშენებია და აზერბაიჯანის პირველი სატახტო ქალაქია. მთელ ქვეყნიერებაზე ცნობილი, ბალნარიანი, კეთილხეხილოვანი ქალაქია. მეცნიერებას დაუფლებული ულემა ბეკრია. მისი მოსახლეობა ფართლით მოვაჭრე, ბამბის. მპენტავი და ფეიქარია. თუმცა ეს ქალაქიც სულთან მურად IV-ს ლაშქრის მიერაა დანგრეული, ალაგ-ალაგ შენდება. || მისი განმაახლებელი 269 იყო ომაელი მერვანი, რომლის ხელმწიფობის ღროს სამოცდათიათასკომლიანი კეთილნაშენი ქალაქი ყოფილა. ამჟამად სეპენდის მთამდე ალაგ-ალაგ კევლი ხუროთმოძღვრების ძეგლები ჩანს. შვიდი ათას ას-სამოცი მიწისსახურავიანი სახლი, თერმეტი ჭამე, ორმოცი ფუნდუკი, სამოცი მეჩეთი, ორმოცი დერვიშთა საგანე, თერთმეტი მომჯადოებელი აბანო და სამი ათასი ღუქანი აქვს. ეს ქალაქი დანგრეულ-გავრანებულია ბაღდადის ხალიფა მუსთამასირის წინააღმდეგ მონლოლთა ტომის ჩინგიზიანთა საგარეულოს წარმომადგენლის, ჰულაგუს გალაშქრებისას. რაღვანაც მის ჩრდილოეთით მდებარე სეპენდის მთა ჩრდილოეთის ჰაერს ელობება, [ქალაქის] ჰაერი მძიმეა. წყლები სეპენდის მთის ზეგანიდან მოდის და ბაღ-ბოსტნებს რწყავს. ქალაქის ღიღვეროვანთა სახლებში მცირე და ღიღვე შადრევები და აუზებია. მისი ყურძნი, ბროჭეული და მწვანილი განთქმულია. ციხოვრებლები მეტად თეთრები, მშევნიერთვალებიანი, ტებილმოუბარნი, ნათელსაბიანი და გარეგნულად კეთილი ადამიანები არიან. ღვთისმოსავი ხალხია, მაგრამ უმრავლესობა მაინც მალულად ჰანეფის რწმენისანი არიან. მათი ქალები უმეტესად ფეხლევის ენაზე ლაბარაკობენ. მჭევრმეტყველი, საუცხოო მოსაუბრე ბეკრია. რვა ნაპირ აქვს: სერაჩუნ, ფანაჩუნ, დერჭურუთ. ქარდველ<sup>7</sup>, ჰეშტრუდ, ბეჭანდ, ენგურან, კიზილურან. ამ ნაპირებს 80—100 კეთილნაშენი სოფელი აქვთ. სულ ექვემდებარება ხუთას სამოცი სოფელი. სამოცი მათგანი ღიღვე ქალაქის მსგავსი სოფელია ჭამეთი, ფუნდუკით. საქველმოქმედო ნაგებობითა და აბანოთი, სავაჭრო რიგებითა და ბაზრით. შვიდი კეთილნაშენი ციხე აქვს. ციხეები ცალ-ცალკე რომ აღწეროთ, ერთი ტომი წიგნი გამოვა. ამ ქა-

ლაქიდან ავიყარენით და ერთ ადგილას გაეჩერდით, რომელსაც დურნა ჩაირი ეწოდება. მშვენიერი, გაშლილი ადგილია, მცენარეულ-ბალახოვანი, ორასკომლიანი. ქალაქ უჯანის ნაპირი. მთელი მოსახლეობა მებაღეები და ბამბის მშენტავებია. იქიდან დაბა სეოფეიზში მოვედით. ესეც ქალაქ უჯანის კეთილმოწყობილი, ათასკომლიანი დაბა. იქიდან გზა განვაგრძეთ და ძველ ქალაქ უჯანში მოვედით.

ძველი ციხისა და ქალაქის — უჯანის აღწერა: თავრიზისაკენ ზღუდედ აღმართული უჯანის მთის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს. ძველ დროს ფრიად დიდი ქალაქი ყოფილა, მაგრამ ჰულაგუს დაუნგრევია. მისი პირველი ამშენებელი ფეშდადიანთა [ხელმწიფე] ბიუნ იბნ 270 გაიუმარს ბენ გუდარჩია<sup>8</sup>. ||ძველთაგანვე ფრიად შემკული ქალაქი ყოფილა. დროთა განმავლობაში დანგრა და მისი მოსახლეობა თავრიზში გადასახლდა. შემდეგ, ჰიჯრით 696 (1296—1297) წელს ჩინგიზიანთა საგვარეულოს წევრმა მაჰმუდ შამ-ყაზანმა ციხე შეაკეთა და განახლა. უჯანის მთის კალთაზე [მდებარე] ოთხკუთხა ციხეა. გარე შემოწერილობა ორი ათასი ნაბიჯია. აღმოსავლეთით ერთი რკინის კარი აქვს. ციხეში ასი სახლი დგას. მეციხოვნები არა პყავს. გარეუბანში სამი ათასამდე მიწის ბანიანი სახლიაო, — ვაღმოვგცა მისმა ქალანთარმა. შვიდი ჯამე, სამი აბანო, შვიდი სასტუმრო და ექვსასი დუქანი აქვს. უხვად მოდის ხორბალი და ცერცვი. წყალი უჯანს მთიდან მოედინება. ხილი ცოტაა. მოსახლეობა შაფის მოძღვრების მიმღვარია. მაგრამ როგორც ნაბრძანებია: „დამალე შენი ოქრო, შენი მრწამსი და შენი გზა“, ამ წესის დაცული ხალხია: მათი სარწმუნოების არსი დაფარულია. ქალაქი რომ დავათვალიერეთ, ნალირობით მივედით მიპრანისუდის ნაპირში. თავრიზის აღმოსავლეთ მხარესაა ხუთი ფარსანგის დაშორებით. სამოცი კეთილნაშენი სოფელი აქვს. ვერდი და ესფეხი კეთილმოწყობილი და ქალაქის მსგავსი დაბებია. ესენიც რომ გავიარეთ, დაბა სეიდაბაღში მოვედით. სპარსელების გაღმოცემაა: — რაღანაც იგი აშენა თეპმურას-შაპის დროს მისმა ვეზირმა სეიდმა, სეიდ აბადი უწოდესო. თუმცა სოფელმა სულეიმან-ხანის თავდასხმა განიცადა, მისი უდიდებულესობა მურად მეოთხის ძლევამოსილ დარტყმის გადაურჩა. დიდი დაბა, რომლის ბაღებსა და ხეივნებში ორი ათასი სახლი, შვიდი ჯამე, ფუნდუქი და აბანო, სავაჭრო რიგი და ბაზარია. აქაც ერთი ღმევ გავათიერ. მეორე დღეს სამხრეთისაკენ 7 საათი ვიარეთ და დაბა მანმაპში მოვედით. იგი ბრმა ხუდაბანდეს<sup>9</sup> ქალიშვილს გაშენებულია. ათასკომლიანი სოფელია. აქედანაც ავიყარენით და 9 საათში ქეპრევანის ციხესთან მოვედით.

აშერბაიჯანის ქეპრევანის ციხის აღწერა: იგი სულეიმან-ხანის შიშით ააშენა შაპ-თამაზის<sup>10</sup> დროს ავშართა ხანმა სეიფთ ყულო-ხანმა<sup>11</sup>.

არც ოსმალებს დაქვემდებარებია და არც ირანის შაპს. ბოლოს, რო-  
დესაც კოჭა ფერპაღ-ფაშა თავრიზიდან ბაღდადისაკენ მიღიოდა, ქვე-  
რევანის სულთანი მუმეინღიზ-ხან ავშარი ფაშის ჯარს ზურგიდან წა-  
მოწია და რომ დაარბია და გძარცვა, თავის ციხეს შეაფრა თავი.|| 271

ფაშამ ამ ამბავზე თვალი დახუჭა და მშვიდობით ჩავიდა ბაღდაღში.  
დაბრუნებისას ამ ციხისათვის ჩვიდეტი დღე ჰეონდა ალყა შემორტყ-  
მული. რახან ვერ აიღო, გაბრუნდა. შეპრიზორში მოვიდა და ბაღდად-  
ში დიდებულ სარდლად დარჩა. აქეთ კი ქეპრევანის მპყრობელი მუ-  
მენიდან-ხანი გათამამდა; ბაღდადიდან თავრიზისაკენ მიმავალ ვაჭრებსა  
და მუსლიმური სარწმუნოებისათვის მებრძოლ გმირებს არ ატარებდა  
და რაც შეეძლო, ხელი მიჰყო ოსმალებისადმი ვერაგობას. იქამდე მი-  
ვიდა, რომ ერთხელ ორმოც-ორმოცდაათათასამდე ავაზაკი მეომარი  
შეაგროვა და მომხიბვლელი თავრიზის არე-მარის ძარცვა-რბევა დაა-  
პირა; მაგრამ ჯაფერ-ფაშა თორმეტი ათასი გულადი მეომრით მოუ-  
ლოდნელად წამოვიდა თავრიზიდან მოჯანყის წინააღმდეგ, მისი ჯარი  
დაამარცხა და უბედური მეიმენდი მარტოდმარტო გაიქცა ქეპრევანის  
ციხისაკენ. ჯაფერ-ფაშა შვიდიათასამდე ცხენ-აქლემის ქარავნითა და  
სხვა ნადავლით თავრიზში დაბრუნდა. ამ გამარჯვების აღსანიშნავად  
თავრიზში ზემიმ მოაწყო, მეორე დღეს სამოცდაათი ათასი ჯარისკა-  
ცით, შვიდი ბალემეზ ზარბაზნით და ორმოცი შაპი ზარბაზნით ეპვე-  
თა ამ ციხეს. სამი დღე გრძეშო ადგა ქეპრევანის ციხეს და მესამე  
დღეს რომ აიღო, მეიმენდი<sup>12</sup> ცოცხლად ჩაიგდო ხელში. ჯაფერ-ფაშამ  
ყური მოაჭრა, ხელში მისცა და უთხრა: „წყეულო! რა შეუძლია გააქე-  
თოს თავრიზში საჭურისმა მბრძანებელმა? იო, შეხედე, ჯარი რომ და-  
გიმარცხა, ფეხდაფეხ მოგყვა, ციხე დაიპყრო და გაგთოვა; ყურიც მო-  
გაჭრა და ამით შენ კიდევ უფრო მეტად დაგასაჭურისა“<sup>13</sup>. შემდეგ,  
ჯალათებს გადასცა და თუმცა უნდოდა მოეკვლევინებინა, თავის ემი-  
რებს ათქმევინა: „სჯობს ქონება წართვა, ვიღრე მოჰკლოა“. მანაც  
ეშმაკურად აღუთქვა თავისუფლება, ათასი ქისა [ფული], ათასი საპალ-  
ნე ქსოვილი აიღო, შემდეგ ჩამოახრჩო და სულთან მურად-ხან მესა-  
მეს გაუგზავნა მისი თავი, ციხის გასაღებები, ორას საალნემდე ნა-  
დავლი. შიდა ციხეში მურად-ხანის სახელობის ჯამეა. თერთმეტი წელი  
ოსმალთა ხელში იყო. ბაღდადის გზაზე დგას და მრგვალი მოყვანილო-  
ბის მაღალი ციხეა. გარე შემოწურილობა ექვსი ათასი ნაბიჯია. ორი ქვის  
კირი აქვს. ერთი ჩრდილოეთისა და მეორე — სამხრეთის. სამხრეთისას  
არდებილის კარს უწოდებენ. ახლა სასულთნოა. ათასი ჯარისკაცი, ყა-  
დი, ქალანთარი, მუნში და ტარულა პყავს. გარეუბანი ათას ბალ-ვენა-  
ხიან სახლს შეიცავს. თუმცა სამოცი სალოცავი მიპრაბი აქვს, თურმე, || 272  
მხოლოდ თერთმეტში სრულდება საპარასკევო ლოცვა. შვიდი აბანო,

თერთმიტი ფუნდუკი და რვაასი დუქწნია. ქალაქში ყოველნაირი ხელოსნობაა, მაგრამ განთქმულია ყალაქიარი ჩითის საბანი და გამოსაქრავი ნარმა, ბალი და ვენახი ქვეყნის რეგის დამამშვენებელია. რადგანაც პავა მშვენიერია, ლამაზებიც ბევრია და მომღერალ-მუსიკოსები — განთქმული. აქედან სამხრეთისაკენ წავედით და დაბა ბენდში მოვედით. არდებილის მიწაზე, ათასომლიანი და კეთილნაშენია. დიდი დაბაა, რომელსაც აქვს გამე, ფუნდუკი, საქველმოქმედო ნაგებობაა, სავაჭრო რიგი და ბაზარი. აქ ჯილდუ-ზადეს სახელობის ერთი გამეა ხელოვნებით ნაგები, რომელიც უსათუოდ ღირსია დათვალიერებისა. აქედან 9 საათი ვიარეთ სამხრეთისაკენ და ქალაქ არდებილში მოვედით.

ირანის ძველი დედაქალაქის — არდებილის ციხის აღწერა: ირანის ერაყის მხარეს მდებარეობს. აზერბაიჯანის მიწაზე ირანის შაჰების პირველი სატახტო ქალაქია და შეის სეფს<sup>11</sup> საცხოვრებელი აღგილო-ერთ დროს ოსმალებმა დაიპყრეს და სამირმირანოდ აჩციეს. შემდეგ კვლავ უცხოელების ხელში ჩაგარდა, მისი ციხე დაინგრა, გავრანდა და მცხოვრებლები გულდამწვრები დარჩენენ. შემდეგ [სულთან] მურად IV-ს დიდებულმა სარდალმა, მამაცმა ლომმა ხუსრევ-ფაშამ პამადანის, დერქეზინის და არდებილის მხარეები დაარჩია. მერე არდებილი ისევ გაშენდა. ამჟამად სახანოა და ირანის საბრძანებელში შედის. სამი ათასი ჯარისკაცი, ტარულა, ქალანთარი, მუნში, ყაღი, შეის ულ-ისლამი ჰყავს. ქალაქი სეჭლანის მთიდან ერთი დღის სავალზეა. გარშემო, ერთი დღის სავალზე, მთები აქრავს. ქალაქი ფართო, ნაყოფიერი ველის სწორედ შუაგულ აღგილას მდებარეობს და მის ერთ მხარეს უავდავების წყალის მსგავსი პატარა ტბაა. მისი პირველი ამშენებელია არდებილის ძე ერდმენი, პაიქანიანთა მელიქთაგანი.

[ხალიფა] ომარმა ბასრა რომ დაიპყრო და ირანის ქვეყნისაკენ გაეშურა, ამის შიშით აშენდა ეს ციხე<sup>12</sup>. არდებილი ძველ დროს ძალიან დიდი ქალაქი ყოფილა და მისი ერთი კიდე თვით სეჭლანის მთას აღწევდა. ახლა კი ქალაქსა და მთას შორის ორი ფარსანგის მანძილია და რადგანაც თითო ფარსანგი თორმეტი ათასი ნაბიჯია, ოცდაოთხი ათასი ნაბიჯი გამოღის. ამ მთის უმაღლეს მწვერვალზე მარალიული თეთრი თოვლი მოჩანს. ქალაქ არდებილის წყლები ამ მთიდან მოღის. ანგარა, გემრიელი წყლებია და მეტად სწრაფად მოსანელებელი. თუმ-  
273 ცა მცხოვრებლები შაფს მოძლვრებას აღიარებენ, ||ცნობილია, რომ ესენი „კაფერი“<sup>13</sup> არიან. არდებილსა და თავრიზს შორის ოცდახუთი ფარსანგია. მსუბუქად აღკაზმული ცხენოსანისათვის ორი დღის სავალია. პაერი არზრუმისას ჰავას. თუმცა ზამთარი სასტიკი იცის, კირნახული უხევი მოღის და ხორბლის მოსავლის ნაწილი შემდეგი წლი-

სათვის რჩება. ერთი ქილა თესლიდან ოთხმოცი ქილა მარცვლეულია მოდის. რადგანაც მეცაცრი ზამთარი იცის, ბალ-ვენახი და ხილეული არ არის. მაგრამ შემოლობილი ბოსტნები და ყვავილნარები ბეკრია.

არდებილის ტბის აღწერა: უკვდავების წყლიანი ერთი პატარა ტბაა; მის ზედაპირზე მრავალი მებაღურის ნავი დასრიალებს. აღმოსავლეთი ნაპირი თავტიზის ახლოსაა. დასავლეთი ნაპირი ერთ ფარსანგზეა ურმიამდე. არდებილსა და ტბის შორის ხეივნებიანი, კეთილმოწყობილი და გაშენებული სოფლებია. აქაური ნავებით გადაჰყავთ ნებისმიერ მხარეს ვაჭრები თავიანთი ბარეთ და საერთოდ, ყველა, ვინც მოისურვებს. კერძოდ, დასავლეთ ნაპირზე მდებარე ურმიაში, ღუმდუმებისა და ღუმბულების [ტომების] ქალაქებში. ამ ტბის გრძეშემოწერილობა ვანის ტბისაზე დიდია. ქვეით კაცი მხოლოდ ათ ღლეში შეუძლია შემოუაროს. ვანის ტბის წყალი მომავლინებელი შხამივით მწარება. ამისი კი სიცოცხლის წყალივით ტბილი და გემრიელია. სილრმე სამოცდაათი კულაჩია. ეს ტბა იმ ღამეს არის გაჩენილი, როდესაც დაიბადა მუჭამელი. იმავე ღამეს გადაჰყირავდნენ და ჩამოინგრნენ ხოსროვის [სასახლის] თაღი, მექას კერძები და წმინდა სოფიას გუმბათი<sup>17</sup>. ტბას ყოველის მხრიდან ერთვის ორმოცდახუთამდე ღიდი და პატარა წყარო. ყველაზე ღიდია მდინარე სეჭლანი. რომელიც არდებილს რწყავს და შემდეგ ტბას ერთვის. მდინარე ქვერანიც ამ ტბაში ჩაღის. სხვა მდინარეების სახელები არ ვიცი — არ მინახავ.

საოცარი წარმოშობის ქვა: არდებილში, გზის გადაღმა. რკინაზე მძიმე, შავი, მრგვალი ქვაა. დაახლოებით სამი კანთარის სიმძიმის გლუვი, პრიალა ქვაა. ძველ წინასწარმეტყველებს ქვაზე მრავალი ებრაული წარწერა გაუკეთებითა. ზედ ერთ კაცის გამოსახულებაა. რომელსაც გაშლილი ხელები ცისკენ აღუპყრია. როდესაც არდებილში სიუხვის მომნიჭებელი წვიმა არ მოდის, წარჩინებულები, ღიდი და პატარა ამ ქვას ქალაქში მოაგორებენ. ღიდებულება ღვთისა! სამ ღლესა და სამ ღამეს მოდის წვიმა და მაღლიანი წყლით ნათესებს, სოფლებსა და დაბებს რწყავს. შემდეგ ქვა ისევ ძველ აღგილას მიაქვთ და წვიმა გადაიღებს. საოცარია, რამდენადაც ახლო მოვა ქალაქთან ეს ქვა. ||წვიმაც 274 იმდენად ძლიერდება — არდებილის მცხოვრებლებს წვიმისაგან თვალი ვერ გაუხელიათ. თუ ქვა თავისი აღგილიდან აიღეს და ქალაქარეთ წაიღეს, ვიღრე ის იქა, არდებილის ტბა ნაპირებიდან გაღმოვა, მოვარდება და ხალხის დაღრიჩობასა და ქვეყნის წალეკვას იწყებს.

როდესაც ამ ქვას თავისი აღგილიდან აიღებნ, მის აღგილას მეორე ღიდი, ოთხუთხა კლდე გამოჩნდება, რომელზედაც, აგრეთვე, ამოაკეთილია მრავალი წარწერა ებრაულ და სირიულ ენებზე. ოთხუთხა ქვას თორმეტი ნახვრეტი აქვს. ყოველი ნახვრეტიდან თითო წყარო

ოწყებს დენას. სანამ ის პირველი ქვა თავის აღგილს არ მოვა, წყლის დენა არ შეწყდება. არდებილის ზოგიერთი ულემას აზრით, ეს ის ქვაა, რომელსაც წინასწარმეტყველმა მოსემ უდაბნოში თავისი კვერ-თხით თორმეტჯერ დაჰქრა და თორმეტი წყარო გამოადინა. მის შესახებ ახსენებენ აიას: „დაარტყო შენი კვერთხი კლდეს და გადმოსქდა მისგან თორმეტი წყარო“<sup>18</sup>. მაგრამ, არდებილის მცხოვრებლების აზრით, ეს ქვა ირანის შაპების წინაპარი და თითქოს, უდიდესი პოლუსის ხა-რისს მიღწეული შეის სეფს თილისმა ყოფილა. საოცრება ალაპისა! რადგანაც არდებილში კატა დიდხანს ვერ ცოცხლობს, თავი ძალიან ბევრია.

არდებილის მცხოვრებლების ტანსაცმელი, შალის მოსასხამები თავგვებისაგან ნაკურებადა ქცეული. ამიტომაა. რომ ქალაქში კატა ფულზე იყიდება. [ქალაქს] ცალკე დალალები ჰყავს კატებისა; გალიაში სვეტენ და ჰყიდიან. აქ განსაკუთრებით თეთრყელა კატა მოსწონთ და ჩემი თვალით ვნახე, როგორ გაიყიდა ას ყურუშად. მაგრამ მაინც დიდ-ხანს ვერ ცოცხლობენ. მათი დალალები კატის გაყიდვის დროს შეთხ-ზულ ბათქებს ამბობენ მაღალი ხმით:

„ჰო, თქვენ, მსურველებო მონალირ კატისა,  
დამსკელისა, შინაურისა და მხიარულისა,  
ქურდი კა არ არის, დარღის გამქარვებელია;  
საშველს არ აძლევს თავსა“.

კიდევ სხვა მრავალი სანახაობაა, მაგრამ მათ აღწერას თავი დავანებე.

## LXVIII

### გმილინის დაიდანითა სალოვანი ადგილები

275 შეიხი სეფი იბნ შეიხ ხოჭა ალი იბნ შეიხ სადრ ედ-დინ მუსა! იბნ შეიხ სეფი ედ-დინ აბუ ისხავ არდებილელი!<sup>1</sup> ეს პიროვნება მთე-ლი ირან-თურანის შაპების წინაპარია. ერთ მაღალგუმბათიან აკლდა-მაშია დამარხული. ასობით აკლდამის მცველი დერვიში ჰყავს. მლოც-ველებს დღედაღმა უხვად აქვთ მისი წყალობა. ვაკუფები დიდი აქვს. შეიხმა სეფიმ ირანის სახელმწიფო განავო კუთბიერის თანამდებო-ბით. მის ადგილს ტანტზე ავიდა მისი შვილი შეიხი პაიდარი<sup>2</sup>. ამისმა შეილმა შეიხმა იბრაჟიმმა სიზმარი ნახა, რომ ვირმა წიხლი ჰყრა. თავი-სი სიზმარი პაპამისს — შეიხ სეფს აახსნევინა. მანაც უთხრა: „ო, იბ-რაპიშ! ირანის მიწაზე დიდი ხელმწიფე გახდებიო“. და მართლაც, შე-იხმა იბრაჟიმმა ფული მოსკრა და მის სახელზე ხუტბა აღავლინეს<sup>3</sup>.

შეიძ სეფიდან მოყოლებული შაპ-აბას პირველმდე ტახტზე ავიღა ხუთი შაპი, რომლებიც ფულს სჭრიდნენ<sup>4</sup>. ამ ქალაქიდან ავიყარენით, ჩრდილოეთისაკენ ცხრა საათი ვიარეთ და სოფელ არამშაში დავბანაკდით. ექვსასკომლიანი უბალო და უცვნახო დაბაა.

იქიდან ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ ჩვა საათი და დაბა იარალში მოვედით. სამასკომლიანია. გამე არა, მაგრამ სავაჭრო რიგები და ბაზარი კი აქვს, სადაც კვირაში ერთხელ იმართება ბაზრობა.

აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ შეიღი საათი და დაბა ზათიმაღში მოვედით. დიდჰერდის ნაჭიში შედის. რვაასკომლიანი, გაშენებული დაბაა. აქედან წავედით და შვიდ საათში ისევ ქალაქ თავრიზში შევედით. კიდევ რამდენიმე დღე დავტებით და ვინადიმეთ. მათმა ქალანთარმა, ტარულამ და მესტუმრემ ქარავანი გაამზადეს, რომელიც ათასი სული ქარავნის პირუტყვისაგან შედგებოდა. ხოის, ბეჭისთანის, ჯურისის, ერევნის ხანგბთან გასაგზავნი წერილები დაიწერა, რომ ყოველ სადგურში ჩემთვის პატივი აღმოეჩინათ და სახელოვანი მხლებლები მოეჩინათ.

ჩვენს ბატონთან, მაღალლირსეულ ფაშასთან მეგობრული წერილები დაიწერა და საჩუქრად გაიცა ათი წყება აქლემის საპალნე ბრინჯი, ქიშმიში, აბასური ჯიშის მსხლის ჩირი, ბროწეული, ორი ქეპეილანის ჯიშის ყარაჩუბუკი ცხენი, ოთხი ლურჯა ჯაიარი ცხენი<sup>5</sup> და ორი ქართველი ბიჭი.

მე, მწირსაც, მიბოძეს ათი აბასური თუმანი, ორი ბასი თუმანი, ერთი ქართველი ბიჭი, ერთი სპარსულ წესზე გაკეთებული სიისამურის ქურქი, ერთი ხელი სპარსული ტანისამოსი, ერთი ქურქის მოსასხამი, ექვსი სახანო ჩალმა, ერთი წყება აქლემის საპალნე ერევნული ბრინჯი, ერთი ყარაჩუბუკი ცხენი, ერთი უზბეკური ლურჯა ჯაიარი ცხენი თვეის ლაგამიანად.

იმ დღეს გამოვეთხვეთ ჩვენს მეგობრებს და მეორე დღეს მალლირსეული ხანი ჯარიანად ამხედრდა, სამეფო დოლი დაგრიალა, || 276 აფრასიაბის საყვირი დაავრევინა და მიგვაცილა აინიალის წყაროდ წოდებულ ადგილას, რომელიც თავრიზის გარეთ არის. იქ ისეთი ნაღიმი მოგვიწყო, რომ ენით აღწერა არ შეიძლება. აქ შე, მწირს, ხუთი თუმანი აბასური და ხელქვეითებს კი ოცი თუმანი ვერცხლი საგზაო სახარჯო მოგვცა-

ჩემ თანამგზავრებს უბოძა თითო ქაშანური ხავერდი, სამ-სამი ქეჩერათის ატლასი და სამ-სამი ცალი მუპამედური ჩალმა. იასაულთა აღა სამასი სუკეთესო ცხენოსნის თანხლებით მე, მწირს, შემწედ მომცა და უთხრა: „აბა, იასაულთა აღა! ჩემი ქმა, ბატონი ევლია ქვეყნირების კეისრის, მურად-ხან მეოთხის [ქალაქ] ურევნიდან თავრიზამ-

დე შომავალი კეთილმოწყობილი გზებით უნდა ატარო. მათ ქარავანს კარგად გაათევინე ღამე და ისე გააცილეო“. ისევ შეჯდა ცხენზე და ჩვენთან ერთად ნახევარ საათს იარა. შემდეგ გამოგვეთხოვა, დაგვკოცნა და ისინი თავრიზისაკენ წავიდნენ, ჩვენ კი ჩვენ გზას დავადეჭით.

## LXIX

ჩვენი გამზადება აზერბაიჯანის თავრიზის ვილანითიდან მრივნისაკენ

ჯერ თავრიზის ჩრდილოეთით, თავრიზის ველის ყვავილნარებში გაშენებულ სოფელ ჰაგი ჰერამის საღვურში მოვედით. თავრიზის მიწაზე კეთილმოწყობილი და გაშენებული სოფელ-ხეივანია. სამასკომლიანია და მისი უდიდებულესობა შამ-ყაზანის ვაკუფია. შამ-ყაზანის აკლდამაც აქედან მოჩანს. აქ ჩვენმა მესტუმრებ შესაფერისი მასპინძლობა გაგვიწია. დილაადრიან ორასი საუკეთესო ცხენისან ვიახლეთ, ქალანთარს გამოვეთხოვეთ და გამოვგებრუნდით. ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და დაბა სეფიანში მოვედით. ძველ ძროს დიდი დაბა ყოფილა. მონლოლებს დაუნგრევიათ. ეხლა თავრიზის მიწაზე ათასკომლიანი, სამოთხის ბალის მსგავსი დაბაა. ამ დაბაში ძალიან ბევრი წმინდა აღამიანი — ხორასნელი წმინდანები, სპარსელი კეთილშობილი წმინდანები, მთხველები და მწერლები — მარხია. მოვინახულეთ და მოვილოცეთ, მაგრამ მათი სახელები ჩემთვის ცნობილი არაა. ოცხე მეტი სინათლით სავსე გუმბათოვანი აკლდამაა. ყოველ წელს, აშურას თვეში ამ დაბაში ჩამდენიმე ასი ათასი კაცი იყრის თავს. აშურას ხარშავენ და ჰუსეინის მოქვლის ამბავს კითხულობენ. თუმცა მცხოვრებლები 277 საირთოდ შაფის მოძღვრებას აღიარებენ, აქა-იქვების მიმდევრებიც არიან.

აქედან ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და მეზიდ-ხანის საღვურში მოვედით. აქ არის ხუთასი მიწის ბანიანი სახლი. ბალ-ვენახაბიანი, წყაროებიანი კეთილმოწყობილი დაბაა. თავრიზის საზღვარია. ორი ჯამე, ერთი ფრიად დიდი და კეთილმოწყობილი ფუნდუკი აქვს. ერთიც აბანო და სავაჭრო რიგია.

აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ დასახლებულ ველზე და 7 საათში. დაბა ქერემიშს მივაღწიეთ. ნახევნის საზღვრებში ათასკომლიანი დიდი დაბაა. შვიდი ჯამე, ფუნდუკ-აბანოები, სავაჭრო რიგები და ბაზარი აქვს.

აქედანც ორასი მხლებელი ავიყვანეთ, ჩრდილოეთისაკენ ლელიან და ჭაობიან ადგილებზე გადავიარეთ, მდინარე ქენდუშლა-ჩაის ნაპირზე კარვებში დავბანაკდით და დავისვენეთ. ერთი ღამე მოვილი-

ნეთ. ეს მდინარე ნახშევნის მთებში იღებს სათავეს და მდინარე არეზს ერთვის. იქიდან კვიშნარ ადგილებზე მგზავრობას შევუდექით. მტრის შავი კორიანტელი ცასა სწვდებოდა. 2 საათში ხოის ციხეში მოვედით.

შიმზილველი ციხისა და ქალაქის — ხოის აღწერა: აზერბაიჯანის მწაზე ცალკე სასულთნოა, რომელსაც ათასამდე მეომარი ჰყავს. მას ჰყავს მოხელეები: ყადი და მუფთი, ნაკიბი და მუნში, ქალანთარი და ტარულა, კორუჭი, ლიზჩოქენი, მინჭანდარი. ქალაქი ხოი მეჩენდის დასავლეთით ათი ფარსანგის მანძილზე მდებარეობს. მისი ციხე ველზეა. ოთხკუთხა, ქვითნაშენი, ლამაზი ციხეა. გარეშემოწერილობა ოცი ათასი ნაბიჯია. თხრილები, რომლებიც გარშემო აკრავს, მაინცადამაინც ღრმა არ არის. ორი კარიბჭე აქვს: ერთი სამხრეთისაკენ — თავრიზის კარი, მეორე დასავლეთისაკენ — მენენდის კარი. ციხის შიგნით ასი სახლი და ერთი ჯამეა. ციხის ამშენებელი ფერპალ-ფაშაა, მაგრამ ძველი ქალაქის ამშენებელია პაილარ-შაპი. ეს ქალაქი მრავალჯერ დანგრეულა და კვლავ აშენებულა. ქალაქის გარეუბანი შვიდი ათასი სახლითა და სამოცდაათი ჯამე და მეჩეთით არის დამშენებული. თერთმეტი საპარასკევო ჯამეა. ორი აბანო, შვიდი ფუნდუკი და ათასამდე დუღანი აქვს. ირგვლივ ბალ-ბოსტნითა დამშენებული. ამ ქალაქის გარეშემოწერილობა ცამეტი ათასი ნაბიჯია. მურად-ხან მეოთხის მიერ დანგრევის შემდეგ ხელისლა შენდება.

მთელ მის ველზე მსხვილმარცვალი ბრინჯი მოდის. ცხელი ჰერი აქვს. ბამბა და წყლიანი ყურები იცის. მისი მდინარე სალამასის მთაში ||იღებს სათავეს და მდინარე არეზს ერთვის. ბალ-ბოსტანი და ყვა- 278 ვოლნარი განთქმულია. ხილიდან ყველაზე ცნობილია ფერადმბარის მსხალი და სხვ.

მოსახლეობის სახის ფერი თეთრია. მის ნაპიერებში ას ოთხმოცი გაშენებული სოფელია. მოსახლეობის უმეტესობა შაფის მოძღვრების მიმღევარი სუნიტებია; თურქე, შავი ისმაილი ამათგან ხარაგას იღებდა „ტულ საკალის“ სახით. ამჟამად, შავი სეფის დროიდან ხარაგისაგან თავისუფალი არიან. მიუხედავად იმისა, რომ წვერს გრძლად იზრდიან, ხარაგას არ იხდიან!. ლამაზები ბევრი ჰყავთ.

აქ მისი უწმინდესობა შამს თავრიზელის საფლავი მოვილოცე. ერთიც ემირ ბოლაის აკლდამა. ეს კაცი თურქმანთა საგვარეულოს წევრი იყო და მას შემდეგ, რაც ანტიოქიასთან ჯვაროსნებთან ბრძოლაში დამარცხდა, ისპაპანს რომ გარბოდა, 495 (1101—1102) წელს აქ გარდაიცვალა. ახლა ხოის გარეთ მისი აკლდაში: მოჩანს.

ხოის ხანს წერილები გადავცით და ორ დღეს იქ მოვილხინეთ. მრავალი საჩუქარი მივიღეთ, ორასი შეიარაღებული თანამგზავრი ვიახელით, ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ 9 საათი და ქალაქ ბეჭესთან-

ში მოვედით. ამას ქალაქ ხოის დაქვემდებარებული ქალაქებისაგან გამოყოფილი საკუთარი ქალანთარი ჰყავს. ძევლთაგანვე თავრიზის მსგავსი ქალაქი ყოფილა. ჰულაგუს ხალხს დაუნგრევია. ეხლა ათასომლიანი მცირე ქალაქია. სამი ჯამე. ფუნდუკი, აბანო და მცირე ბაზარი აქვს, მაგრამ ქვის დახურული ბაზარი კი არა აქვს. მის ბალ-ბოსტნებს ბოლო არ უჩანს.

იქიდან ისევ ჩრდილოეთისაკენ 3 საათი ვიარეთ და ჩოროსის ციხეში მოვედით. ცალკე სახანოა ნახშეენის ფარგლებში. ორი ათასი ჯარისაცი ჰყავს. ყადი და თორმეტი ზაბითი ჰყავს თორმეტი იმამის პატივსაცემად. მისი ციხე გორაჯზე მდებარეობს და ხუთუთხა, სადა კედლიანია. აზერბაიჯანის მშერობელის — უზუნ ჰასნის აშენებულია. მურად-ხან მეოთხის თავდასხმა განიცადა. ღამსკდარი კედლები და კირჩამოცვენილი აღგილები აქვს. სამხრეთისაკენ ერთი კარია. ციხის შიგნით ჰასან-ფაშას ჯამეს გარდა, სხვა შენობა არ არის, მაგრამ ციხის გარეუბანში შვიდი ათასი სახლია. სახლები ახალი აშენებულია თერმეტი ჯამე აქვს. პირველ რიგში უნდა დაეგასახელოთ: აზდემირის ძე ოსმან-ფაშას ჯამე, თიმურ-ხანის ძე ფერაპ-შაჰის ჯამე... შვიდი ფუნდუკი და ორასი დუჭანი აქვს. ჰავის სიმშევნიერის გამო მათი ქალები ფრიად ლამაზი შესახედაობისანი და კდემამოსილები არიან. მთელ აზერბაიჯანშია ქებული აქაური ნაირნაირი ხორბალი და სხვა მარცლეული. მეტად კეთილმოწყობილი კაშკები და სასახლეები აქვთ.

279 რადგანაც ამ ქალაქის ხანი ედუბ-ხანი გულითად მეგობართა შორის საყვარელი ადამიანი, გონებამახვილი, სასიამოვნოდ მეტყველი, ტებილად მოსაუბრე და ნალიმობის მოყვარული ვაჟკაცი იყო, მასთან სამი დღე და ღამე საამოდ ვიმუშაიფეთ და ჰუსეინ ბაიკარას ლექსები ვიმღერეთ. მეოთხე დღეს ხანმა გვიბოძა ერთი ხელი მოსასხამი, მრავალნაირი აბრეშუმის ქსოვილი, ქურქი, ფარაჯა, რამდენიმე ჭრელი ჩალმა და სამი თუმანი აბასური „თეთრი“. გამოვეთხოვეთ ყველა ძვირფას ადამიანს, ვისაც კი დავუშეგობრდით, და ორას შემწე მხლებელთან ერთად ქალაქიდან გავედით.

აღმოსავლეთისაკენ ვიარეთ და მდინარე ყარა ჩუბუქზე გადავედით. ეს მდინარე ჩურესის მთებში იღებს სათავეს, მრავალ სოფელს რწყავს და მდინარე არეზს ერთვის. ივლისში წყალმცირე. ხდება — თხასა და ასეთ წერილფეხა საქონელს შეუძლია გადასვლა. შემდეგ პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ კეთილნაშენ სოფლებზე და 4 საათის შემდეგ მელლი რევანის სოფელში გავჩერდით. ერევნის საზღვრებში მდებარე, ხუთასკომლიანი ბალვენახიანი, ჯამეიანი, გაშენებული სოფლების მხარეეა. მდინარე მელლის ნაპირზე მდებარეობს. ეს მდინარე სეფენდის მთებიდან იღებს სათავეს და მდინარე არეზს ერ-

თვის. იქიდან ჩრდილოეთისაკენ ფართო, აბიბინებულ მდელოებიან ველებზე ვიარეთ და 8 საათში დუთ-ალიმშის სადგურს მოვაღწიეთ. აქაურობა მდელოებიანი, ტულიაბებით მოფენილი ველია. დაუსახლებელია. საძოვრებიანი, ნაყოფიერი მიწა. ამ ველის ახლომახლო სოფლების ტარულამ და ქალანთარმა მოიტანეს, რაც კი გვჭირდებოდა და აგრეთვე, — სასმელები. ამ სიხარულისმომგრელ ადგილას ერთი ღმე დავრჩით სტუმრად. იქიდან ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ მდნარე აჩეზის ნაპირ-ნაპირ, გაღმა გავედით და დაბა კაფაჯში დავდექით. ეს სოფელი მდინარე აჩეზის აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს. ერთი ჭამე, ფუნდუკი, აბანო და სამასი სახლია. ბრინჯი მოდის. ერევანს დაქვემდებარებული, კეთილნაშენი და ლამაზი, პატარა დაბაა. იქიდან ისევ ჩრდილოეთისაკენ ქვიშნარ ადგილებში ვიარეთ და 4 საათში დაბა ავშარლიში მოვედით. ერევნის მიწაზე კეთილნაშენი დაბაა, რომელსაც ათასი სახლი, ჭამე, ფუნდუკი, აბანო, მცირე სავაჭრო რიგი აქვს. მის ველ-მინდორზე ბრინჯი მოდის. რაღვანაც მისი გლეხობა სუნას მიმდევარ თურქებანთა ავშარის ტომისაა, დაბას „ავშარლი“ ეწოდება. ცალკე ქალანთარი და მესტუმრე ჰყავს.

ისევ მდინარე აჩეზის ნაპირის გაყოლებით საამო ადგილებზე ვიარეთ და 7 საათში ქალაქ შურამელში მივედით. ქველ დროს დიდი ქალაქი ყოფილა, მაგრამ ამჟამად ||მაინცადამაინც გაშენებული არაა. სა- 280 სულთნოა. ათასი ნოქარი ჰყავს. ჭამე, სასტუმრო, აბანო და მცირე ბაზარი აქვს.

აქედან ისევ 10 საათი ვიარეთ და სადგურ შარაბ-ხანეში. მივედით. ხუთასკომლიანი, ჭამეიანი, ფუნდუკიანი, კეთილმოწყობილი დაბაა.

კვლავ ვიარეთ და დაბა სეიფ ედ-დინში მივედით. ერევნის სანახებში, მდინარე აჩეზის ნაპირზე მდებარეობს და ერევნის ერთ ხანს სეიფ ყული-ხანს აუშენებია. ერევნის ხანების სახასოა. ას ოთხმოცი სახლი, ერთი ჭამე, ბრინჯის ყანები, ბალები, დერვიშთა სავანე, ფუნდუკი და აბანო, სავაჭრო რიგი და ბაზარი, ვენახები, ბოსტნები აქვს. ბრინჯის მოსავლიანი დაბაა. როდესაც შურად-ხან მეოთხემ ერევანს ალყა შემოარტყა, ამ დაბაში სამოცდაათი ათასი დიდი ხე მოსპრა და ერევნის წინააღმდეგ მიმართული სიმაგრეები ააგო. მაგრამ მას შემდგა ამ დაბის ბალებში კვლავ ისეთი ხეები გაიზარდა, მათი აღწერა შეუძლებელია.

ამ დაბიდან ერევნის ხანს კაცები გავუგზავნეთ, მეორე დღეს დილადრიან ცხენებზე შევსხედით, ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და მდელოზე ოდნავ შევსვენეთ. კვლავ ცხენებზე შევსხედით და რომ მივდიოდით, ჩვენს პირდაპირ გამოჩნდა დიდი ჭარი. თურქე, ჩვენსკენ

შოდის ერევნის ხანის ქეთხუდა ელვენდ-აკა. სალამ-ქალამის შემდეგ ამ დიდ ჯართან ერთად ვიარეთ ისე, რომ უზანგი უზანგთან გვქონდა და ერევნის ციხეს მივაღწიეთ.

## LXX

აღდერა აზირბაიჯანის ციხის — მრივენისა, ხოჭათა ვალაპისა

ქალაქში შესელისას ოცდაერთჯერ გავაჩადა ზარბაზანი და გაი-  
მართა შედლუხი. საზეიმო მწყობრით შევეღით ხანის სასახლეში. შევ  
კაციშვილი არაა. ცარიელი სასახლე იყო. თურმე, ხანის და ხაზართა  
ზღვის ნაპირზე მდებარე ბაქოს — ბაქეს<sup>2</sup> ციხის ხანისათვის მიუციათ.  
ხანიც ქორწილში წასულიყო. მისმა ქეთხუდამ სასახლეში მოგვათვასა  
და საჭმელ-სასმელი მოგვცა. ჩვენც ჰამა-სმასა და მოლხენას შევუდე-  
ჭით. არზრუმისაკენ გავგზავნეთ თავრიზიდან ჩვენთან ერთად მოსულია  
ქარავნები და ცველაფერი, რაც კი ჰასან-ბეგისათვის გადასაცემად  
გვქონდა თავრიზის ხანის წერილიანად. მე, მწირს, დავალებული მქონდა  
ქარავნის შედგენა და რამდენადც შესაძლებელი იყო, დავათვალიერე  
ცნობილი ქალაქი ერევნი.

- 281 ॥ამბავი ქალაქ ერევნის აშენებისა: 810 (1407—1408) წელს ემირ  
თემურის ერთმა სოვდაგარმა ხოჯა-ხან ლახიჯანელმა ერევნის მიწაზე  
შემოსდგა ფეხი. რას ხედავს! ნაცოფიერი მიწა... მთელი თავისი ქალა-  
ბობით აქ დამკვიდრდა. ბრინჯის მოყვანით დღითი დღე მდიდრდებოდა  
და ეს დღიდ დაბა გაშენა. შემდეგ, 815 (1412—1413) წელს ირანის  
შაპი შაპ-ისმაილი<sup>3</sup> თავის ვეზირს — რევან ყული-ხანს ავალებს იქ ცი-  
ხის აშენებას. მანაც შვიდ წელიწადში ციხე ააშენა და სახელად უწო-  
და „რევან“. ზანგი — კურ მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე აგურითა და  
ქვით აშენებული ლამაზი ციხეა, მაგრამ ცალფა [კედლიანია]. 990  
(1582) წელს<sup>4</sup> სულთან სულეიმან-ხანმა ნახჭევნის ქვეყნისაკენ გაი-  
ლაშერა და მისი დაპყრობის შემდეგ ერევანი აალებინა ისლამის ლაშ-  
ქარს. ეს მცირე, მაგრამ მნიშვნელოვნი ციხე ალაგ-ალაგ დაანგრევი-  
ნა. უხვი ნადავლით სტამბოლს დაბრუნდა. შემდეგ, მურად-ხან მესა-  
მის დროს, დიდვეზირი ფერპალ-ფაშა ირანის საომარი ასპარეზის სარ-  
დალი რომ გახდა, განჯის, შირვანის, შემახას, ერევნის, ნახჭევნის მხა-  
რეები დაარბია და აიქლო. შაპის შეილისა და მისი ხელქვეითების სა-  
სახლეები დაანგრია და ქვა-ქვზე არ დატოვა. მერე მოვიდა, ერევნის  
ციხის ძირას დადგა და შეისვენა. იმისათვის, რომ ერევანი მთლიანად  
ჩაეგდო ხელში, დიდებულად ნათქვამის მიხედვით: „და მოეთათბირა  
მათ...“<sup>5</sup>, საქმის კაცებთან მოითათხირა და ალყა შემოაჩრუა სამოთხის

ბაღს, რომელსაც თოკმაკ-ხანის სასახლე ეწოდება. მდინარე ზანგის ნაპირზე დაიწყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმართული დიდი სამშენებლო თხრა. ას ორმოცდაათიათასმა ისლამის ჯარისკაცება დიდი გულმოლების გამოიჩინა და ორმოცდაათი დღეში ცაჟე დამთავრა; ორმოც დღეში შეავსო ჯაბახანა და ყველაფერი, რაც ციხისათვის იყო საჭირო. პირველი მირ-მირანბა ვეზირობით ეწყალობა სულეიმან-ხანის პატიოსან პარემში აღზრდილ ჭილალა ზაღვე ცუსუფ-ფაშას. ფერ-პალ-ფაშამ [ციხის] დასაცავად სამოცდაათი ათასი ჯარისკაცი ჩააყენა. თვითონ გაემგზავრა იქვე, მეზობლად მდებარე შურაგელის ციხის შესაკეთებლად. მისი შეკეთების შემდეგ შიგ ჯარი ჩააყენა. ამის შემდეგ ყარსის ციხეც შეაკეთა და მართლმორწმუნეთა ჯარებით გაავსო. არტაანიც დაიპყრო, შეაკეთა და შიგ ბევრი იანიჩარი ჩააყენა. ახალციხის ციხე თეთრი მარგალიტივით შეაკეთა და შიგ სამი ათასი მეომარი ჩააყენა. იქაც თეიმურაზ-ხანის ვაჟიშვილი ვეზირობის წოდებით დანიშნა და სტამბოლისაკენ გაემართა. აქ კი ჭილალა ზაღვე ცუსუფ-ფაშა[ვანის 282 ვილაიეთში სამართლიანად გამგებლობდა და ქალაქი ისეთი კეთილნაშენი გახდა, როგორიც იგი სულეიმან-ხანის დროს იყო. ყოველი სოფელი დიდ ქალაქიდ გაღაიტა. შემდეგ, 1212 (1603) წელს, სპარსელებმა განჯა და შირვანი დაიძყრეს და ერევანსაც შვიდი დღის განმავლობაში უშენდნენ. რაღავანაც არზრუშიდან მაშველი ძალა არ მოვიდა, ციხეში მყოფი მუსლიმი გმირები დაიმშნენ და უწყლოდ დარჩენ. იძულებული გახდნენ, ქალაქი ირანის სარდალ თოკმაკ-ხანისათვის ჩაებარებინათ. იქიდან უიარალოდ გამოვიდნენ, ქვეითად მოვიდნენ ყარსში და იქიდან კი — არზრუში. შემდეგ, 1037 (1627) წლამდე სპარსელების ხელში იყო და წინანდებურზე მეტად აყვავდა და გაშენდა. მაგრამ შიგ ჩაყენებული ემირგუნ-ხანის<sup>7</sup> ჯარები ყალიბმანის, ყარსის, ჩილდირის, ახალციხის, არტაანის მხარეებს გადასწვდნენ. ახალციხისა და საქართველოს ბეგებმა, არზრუმის ვალიმ სტამბოლისაკენ გაგზავნეს დახმარების მთხოვნელები და მოხსენებითი ბარათები გაატანეს. მაშინვე გაიგზავნენ ელჩები ირანის შაჰთან. სასულთნო თუღი სკუტარის ბალში აღმართეს. მთელი ანატოლიისა და რუმელის შირ-მირანები ერევნისაკენ გაემართნენ. 1044 (1635) წელს სულთან მურად-ხან მეოთხე სკუტარის სამოთხის მსგავსი ბაღის წინ, სულეიმანისულ კარავში დადგა მიწაზე დაუტეველი ჯარით, ოსმალური ადამ-წესები შეასრულა და სრულყოფილად მოამზადებინა საჭირო მასალა. ორმოცი ათასი. იანიჩარი, ოცდაორი ათასი გულადი სიფაპი საჩუქრებითა და წყალობით აავსო და თან წაიყვანა. ბაირამ-ფაშა კამიაქამად დატოვა სტამბოლში. სეუნებულ წელს, პატიოსანი შევალის მეხუთე დღეს (25/III) სკუტარიდან დაიძრა, გადაიარა კონია, იქიდან — კეისარია და სივასში მო-

ვიდა. ამ საღგურში სულთნის ნედიმს, სილაპძარ მუსტაფა-ფაშას მეო-  
რე ვეზირობა ეწყალობა, თან ნედიმის თანამდებობაც შერჩა. სილაპ-  
ძარი მუსა-ფაშა<sup>8</sup> კი სამეფო კარვის სამსახურში კონაქჩიდ დაინიშნა.  
ნიშანჯი-ფაშაც სილაპძარი ხდება და მელექ აპედ-ფაშა — ჩოხადარი.  
კვლავ მთელი რიგი საღგურები გაიარა და არზრუმის ველზე ორი მხრი-  
დან წამოსულმა და შეერთებულმა ჭარბა ორას ათასს მიაღწია. რუმე-  
ლიის ვილაიეთის მუთასარიფის — ჭანფოლადის ძე მუსტაფა-ფაშას  
ოცდათერთმეტათასიანი ჭარიც მოვიდა. ყველა ვილაიეთების ჭარები-  
დან მომზადდა ათას შვიდასი გმირი, რომელიც ქეპეილანის ცხენებზე  
283 იყვნენ ამხელრებული. არზრუმის||ვალის, ხალილ-ფაშას სულთანი  
შემოსწყრა, რითაც დიდად გაიხარეს მისმა მტრებმა სილაპძარ-ფაშამ  
და მურთაზა-ფაშამ. არზრუმი კი ებოძა სიჩიის ვეზირს ქუჩჩუქ აპედ-  
ფაშას. ვილაიეთი სრულ არფალიკად დაენიშნა სილაპძარ მუსტაფა-  
ფაშას. შემდეგ არზრუმიდან სამ დღეში მოვიდა ჰასან-კალეში და იქი-  
დან ყარსის გზით ერევნისაკენ წავიდა. ოცდამეტთო დღეს ორასი ათასი  
ჭარისკაცით ერევნის ვილაიეთში დაბანაკდნენ. სპარსელები ციხიდან  
გრძელლულიანი ზარბაზნებით ჭარს აწუხებდნენ. ჭარს არ შეუხე-  
დას, ზარბაზნია, თუ რა, და მდინარე ზანგზე გაღმა გადავიდა. მდინა-  
რეზე რომ გადადიოდნენ, წყალმა მოიტაცა ერთი საბრალო სოლაკი,  
რომელიც მის ხელმწიფურ უდიდებულესობას უზანგთან ახლდა. მის-  
მა უდიდებულესობამ, ფალიშამა ფუცხლავ წელზე სტაცა ხელი და  
გადაარჩინა<sup>9</sup>. მდინარეზე რომ გადავიდნენ, ყველას თვალშინ, დღის სი-  
ნათლეზე დაიწყო გმირების ჩაყენება სანგარ-თხრილებში. ზაგარჯი-  
ბაში რუმელის ვილაიეთის [ჭარებით] და ჭანფოლად ზადე მუსტაფა-  
ფაშა იანიჩართა ოცი ოდათი თავრიზის კარის მხარეს შევიდა სანგრებ-  
ში. მარჯვენა [ფტრთიდან] სანგრებში შევიდა ანატოლიის ვეზირი გურჯი  
მექმედ-ფაშა ვილაიეთის ჭარებითა და ოცი ოდა სამეფო იანიჩარებით.  
საღრაზმა თაბანი დასი მექმედ-ფაშამ დაქირავებული ჭარითა და იანი-  
ჩართა ოცი ოდათი რუმელისა და ანატოლიის ჭარებს შორის დაიკავა  
სანგრები და ბრძოლა დაიწყო. იანიჩართა აღა ყარა მუსტაფა-ფაშა  
იანიჩართა ქეთხუდას და ათი ოდა იანიჩარის თანხლებით მდინარე ზან-  
გის მხრიდან შევიდა სანგრებში და ოცი ზარბაზნი დაუშინ ციხეს. ერთ  
დღეს თვით მურად-ხანი შევიდა რუმელის ვილაიეთის სანგარში, უკა-  
რა ბალი<sup>10</sup> ზარბაზნი დაუმიზნა და ხანის სასახლეს დაუქუხა. წამსვე  
ხუთი მხრიდან ატყდა ოცი ზარბაზნის გრიალი. არზრუმის ვალი ქუ-  
ჩუქ აპედ-ფაშა<sup>11</sup> ჩრდილოეთის მხრიდან ორმოცდათი ზარბაზნით  
მაღალ სიმაგრეზე დადგა. სპარსელებს თავი არ ააწევინა და ციხის  
ნგრევას შეუდგა. კაფუდანი დელი პუსეინ-ფაშა ერევნის ციხის პირ-  
დაპირ მდებარე მუპანადის გორაკიდან ციხის გარეთა და შიდა ნაწილს

დღედაღამ ურტყამდა. ზარბაზნების ცემისაგან შეუძლებელი გახდა არამოცუ ციხის სათოფურებთან და ქონგურებზე დგომა, სახლების საჩრდაფებში გაჩერებაც კი. მურთაზა-ფაშა კი ბოლუქის სიფაპიებთან ერთად თოფრაქ-კალეს მიღამოებში გუშაგობდა. მუსა-ფაშა და ქენან-ფაშა სამეფო მუთეფერიყაებით ფადგმაშის კარვის ||დასაცავად დაინიშ- 284 წერ. ერთი სიტყვით, ციხის ოთხივე მხარე ხუთი საათის განმავლობაში ადამიანთა ზღვად იქცა. საგუშავო რაზმებმა ხელი მიჰყვეს ორი ვილაი- ეთის აკლებასა და ჩატევას. მტერთაგან აღარავის შეჩრჩ ძალა. სუნიტ მოსახლეობას ყოველდღე საჩუქრები მოჭქონდა და შეწყალებას ითხოვ- და. მთელი ზრუნვა იქით იყო მიმართული, რომ ციხის მცველებს თვა- ლის გახელის საშუალება არ მისცემოდათ. მეცხრე დღეს ციხის კედელ- ბურჯებზე გამოსულმა სპარსელებმა დაიძახეს: „შეგვიწყალეთ, პო, ოსმალთა საგვარეულოს რჩეულნო!“ - ადა ერევნის ხანი მძევლად და შეწყნარების მთხოვნელად გამოგზავნეს ციხის კლიტებიანად. მართლ- მორწმუნეთა ჯარები ციხეს გარს შემოეხვივნენ. მეორე დღეს ციხიდან გამოვიდა დანებებული მაზანდარანის თუფენჯიების აღა მიზ ფეთაპი და ხელმწიფის ფეხის კოცნით გაპატიოსნდა. ციხის მცველები ნახევ- ნისავენ გაგზავნეს. ციხეში წაიკითხეს მაპმადიანური აზანი და შვიდი დღე ციხის კედელ-ბურჯები დროშებით იყო მორთული. ხუთივე ლოც- ვის დროს, ნამაზის შემდეგ სამჯერ დასცემდნენ მაპმადიანურ ყიჯინას და სამჯერ ისროვნენ თოფ-ზარბაზნებს. ამ ვითარებაში ორმოც დღეში ციხე ხელახლა შექეთდა. მურთაზა-ფაშა ერევნის მმართველად დაი- ნიშნა და ორმოცი ათასი მუსლიმი გმირით ციხის მცველად დარჩა. სულთანმა მურად-ხანმა კი მის მიერ შეპყრობილი ერევნის ხანი ემირ- გუნა და სხვა ხანები წინ გაირეკა. გზაზე ემირგუნას ალეპის ვილაი- ეთი უწყალობა, მაგრამ რადგანაც მან თავისი ქეთხუდა მურად-აღა მოქლა, ალეპის ვილაიეთის [გამგებლობიდან] გადაყენა და ალეპი ქუჩექ აქმედ-ფაშას მისცა. ემირგუნა აუსუფ-ფაშა კი სტამბოლში მოვიდა და სულთნის ასახლოებული პირი გახდა. შემდეგ ირანის შაპი მოვიდა ასიათასიანი ჯარით. ციხეს ზარბაზას უშენდა და სახიფათო მდგომარეობა შეუქმნა. რადგანაც თაბანი ჩას მექმედ-ფაშა მტრობდა ერევანში გამაგრებულ მურთაზა-ფაშას, მან ვითომ ვერ მოასწრო ერევ- ნის დასახმარებლად მისვლა. შვიდ თვეში გამოილია ციხეში მომარა- გებული საჭმელი და დღნთი. ბოლოს, ერთ ღამეს, მურთაზა-ფაშამ ალ- მასის ბეჭედი გადაყლაბა და მოკვდა. მეორე დილით ოსმალთა ჯარი დანებდა, გამოვიდა ციხიდან და ციხე შაპს ჩააბარა. მაგრამ როდესაც [წვენი] ჯარი მიდიოდა, ყიზილბაშთა ჯარი ხელმეორედ დაესხა თავს და ზოგი ამოწყდა, ზოგიც თვითონ გადავარდა მდინარე არეზში. წყალ- ში გადამხტართა ერთი ნაწილი გადარჩა; ყარსისა და ბაჟაზეთის ცი-

ხეებში მოხვდნენ და თავი დააღწიეს. მურად-ხან მეოთხემ ეს სამწუხა-  
რო ამბავი რომ გაიგო, მოემზადა და ახალი აღგილიდან სკადა სპარ-  
285 სელთა ხელიდან||გაეთავისუფლებინა უდიდესი იმარისა და უპირველე-  
სი ჭინამძღვრის — ჩვენი ბატონის აქლდამა — სამოთხის ქალაქი ბაო-  
დალი. ამგვარად, 1045 (1635) წლიდან მოყოლებული ერევანი სპარ-  
სელთა ხელში იყო და ასეთი კეთილმოწყობილი და გაშენებული გახ-  
და. მაგრამ, რაღვანაც მისი ციხე აშენებულია ცალფა კედლით, ძლიერ  
შეტევას ვერ უძლებს. ციხე მდინარე ზანგის ნაპირზე მდებარეობს, სამ-  
ხეოთიდან ჩრდილოეთისაკენაა გრძლად გაკიმული და მეტასმეტად  
ვიწრო. ამჟამადაც ატყვაი კედელ-ბურჯებს მურად-ხან მეოთხის ზრ-  
ბაზნების კვალი. ციხის ის აღვილები, რომლებიც ფერპალ-ფაშამ ააშე-  
ნა, ორმოცი მეტერი წყრთის სიმაღლისაა. თოკმაქ-ხანის მიერ აშენე-  
ბული აღვილები კი ორმოცდაათი წყრთის საგრძნისა და ოცი წყრთის  
სიგანისაა. კიბე-კიბე ნაშენია. თუმცა მდინარე ზანგის შეხილან თხრი-  
ლი არა აქვს, მაგრამ სათოფურები ბევრია. სამხრეთით, აღმოსავლე-  
თითა და ჩრდილოეთით თხრილები აქვს, მაგრამ, რაღვანაც ჭაობიან  
აღვილზეა, იმდენად ღრმა არაა. მისი თხრილი ზოგ აღვილას ასორ-  
მოცდაათი წყრთის სიგანისაა. სამი მაგარი, რეინის კარი აქვს. თავრიზის  
კარი სამხრეთისაკენ გადის, მეიდანის კარი — ჩრდილოეთისკენ. მას  
დადლას კარსაც უწოდებენ. ჩიგნის [სათამაშო] მოედანი ამ მხარესაა.  
ერთიც ხიდის კარია, რომელსაც სპარსელები „დერვაზე-ი ფოლ“-ს<sup>11</sup>  
უწოდებენ. ასი ცალი ოსმალების დატოვებული დიდი და პატარა ზარ-  
ბაზანი აქვს. სხვა იარაღსა და ჭაბაზანს რიცხვი და საზღვარი არა აქვს,  
რასან აქაურობა აზერბაიჯანის საზღვარია და ძლიერ აქვთ ხელში ჩა-  
გდებული სპარსელებს. სამიათასამდე მეტიხოვნე, ხანის სამიათასინი  
ჭარი და ვილაიეთის შვილიათასიანი ლაშქარი ჰყავს. აქაურობა მრა-  
ვალჯერ იყო სახანოდ. ყადი, მოლა, წმინდა შეიხი, ქალანთარი, ტარუ-  
ლა, მუნში, იასაულთა აღა, ყორუქიბაში, ეშიქალასი, ლიზჩინქენების  
აღა, შვილი მიმანდარი და შაპბანდარი ჰყავს. ქალაქში ორი ათას სა-  
მოცამდე მიწის ბანიანი სახლია. მათგან ყველაზე კერილნაშენია ხანის  
ასახლე; რომელიც ემირგუნა-ხანს აუშენებია. ამ სასახლის ახლოს,  
მარცხენა მხარეს შაპის ზარაფხანაა, სადაც აბასური და ბასური სიქა  
იჭრება. დადლას კარის გარეთ მდებარე დიდ გარეუბანს ძველ ქალაქს  
უწოდებენ. გარეუბანს ფუნდუკი, ჭამე, სავაჭრო რიგი და ბაზარი  
აქვს. ხიდის თავში ხანის ბალია. იქვეა ჭამე, ფუნდუკი, აბანო; სავაჭრო  
რიგი ბევრია — ქალაქი გეგონება.

286 მას შემდეგ, რაც აქაურობა 1045 (1635) წელს იჩანის ხელში  
გადავიდა, ციხეს აღმოსავლეთით, გარეთა მხარეს დაემატა სამი მიწა-  
266

ნაყარი, კიბე-კიბე გამართული, მდელოთი დაფარული პატარა გამა-  
გრებული ადგილი. ქვის შენობაზე უფრო მაგარი და მტკიცე გახდა.

ქალაქის რომ ვათვალიერებდით, ერევნის ხანისაგან ჩაფარი მოვი-  
და და მე, მწირი, ქორწილზე მიმიწვია. მისმა ქეთხედამ ათი აბასური  
თუმანი გზის სახარჯო მომცა. მოვემზადეთ და ორმოცამდე ხელქვე-  
ოთითა და ჩვენი მხლებლებით ერევნიდან ბაქოსაკენ გავემგზავრეთ.

## LXXI

მრევილან ბაჟომდე მოგზაურობის დროს ნაცაპი

ერევნიდან ჯერ ჩრდილოეთისაკენ, ბრინჯიან მინდვრებზე ვიარეთ  
ზაგა-კურის ნაპირ-ნაპირ და დაბა ხოჭა-ბალში მოვედით. ერევნის  
ხანის სახასოა. დიდი და გაშენებული დაბაა, რომელშიც ხუთასი სახ-  
ლი, ჯამე და აბანო არის. აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ რვა  
საათი და დაბა დემირჯიშ ჰასაში მოვედით. ძველ დროს თურქმანთა  
ქალაქი ყოფილა. აქეამად თურქმანთა ტომის საზამთრო სადგომია:  
აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და ქალაქ განჯას მივაღწიეთ.

აღწერა დიდი, მომხიბლეცელი განჯის ციხისა — საიდუმლოების  
განჯინისა! ქალაქი ირანის შაპს — თავმასპ-ხანს წაართვა 1014 (1605)  
წელს<sup>2</sup> კოჯა ფერპალ-ფაშამ. სარი აპმედ-ფაშა<sup>3</sup> მისი ქეთხედა გახდა  
და მეპმედ-ფაშა — მარათველი. მაგრამ სპარსელები ძალიან დიდი ჯა-  
რებით, შემოდგომიან, ალყა ექვს თვეს გაგრძელებულა და რადგანაც,  
[ოსმალების] მაშველი ძალა არ მოსულა, მუსლიმ გმირებს, ძალუნე-  
ბურად, ციხე ჩაუბარებიათ. რომ მიდიოდნენ, სპარსელებს ყველანი  
დაუხოციათ. როდესაც ეს ამბავი ერლაუს დამპყრობ სულთან მეპმედ-  
ხან მესამეს<sup>4</sup> მიუვიდა, თუმცა შეეცადა რამე ელონა, ვერაფერი გააწყო.  
ამეამადაც ირანის დიდი ქალაქია, მაგრამ ციხე შაპს დაუნგრევინებია.  
ექვსი ათასი სახლი, ბაღ-ვენახი, ჯამე, ფუნდუქი, საქველმოქმედო ნა-  
გებობანი და აბანო, დახურული ბაზარი, კეთილმოწყობილი საგაქრო  
რიგები აქვს. ქალაქი ბაღ-ვენახიან ველზე მდებარეობს||და სამხრე- 287  
თით მთებია. მის მიწა-წყალზე [თუთის] ისეთი ბაღებია, რომ განჯის  
აბრეშუმი ყველგან განთქმულია. მის გარშემო ველუბზე სოფლებია,  
რომლებიც შვიდ ნაპირს შეადგენენ. მათი საქმიანობა ბამბის, ბრინჯი-  
სა და აბრეშუმის მოყვანაა. ცენტის განჯური ნალი და რეინა ისევეა  
განთქმული, როგორც მისი აბრეშუმი.

ეს ქალაქი სახანოა. სამი ათასი ნოქარი, მუნში, ქალანთარი, ტა-  
რულა, ყადი და ჰაქიმები ჰყავს. მაგრამ როდესაც ოსმალთა ხელში  
გადმოვიდა, მისი ჰაქიმი გახდა ჰადიმ ჰასან-ფაშა<sup>5</sup>. მან, ბარდას ციხე

რომ დაიპურო, შაპ-თამაზის ძმისწული ჰაიდარ-მირზა მტევლად აიყვანა და მშევიღობა ჩამოაგდო. ფერპალ-ფაშამ ეს უფლისწული სტამბოლს გაგზავნა.

რუმის წამებულების წმინდა საფლავები: მუსლიმი გმირები, რომლებმაც უწყალო შაპს ციხე დანებებით ჩააბარეს, შიშველ-ტიტვლები გამოვიდნენ გარეთ და ოორმეტი კაცი მოწამეობრივი სიკვდილით დაეცა. ისინი ქალაქგარეთ დამარხეს და იქაურობას „რუმის წამებულების აკლდამებს“ უწოდებენ. რამდენჯერმე შეამჩნიეს ვილაიეთის მცხოვრებლებმა, როგორ დაადგა ნათელი მათ [საფლავებს]. სამი დღე ამ ქალაქის ხანის სტუმრები ვიყავით და ორმოცდაათამდე თანამგზავრით განჯიდან ისევ ჩრდილოეთისაკენ გავემართენით. ჩვენ ხელმარჯვნივ, აღმოსავლეთით ბურესთანის სახანოს ქვეყანაა. მის საზღვარზე გადავედით და ქელექ ჰეზარ-აჭმედის სადგურში მივედით. იგი ძველად ქალაქი ყოფილა. ეხლა შვიდასკომლიანი, ბალ-ვენაზიანი, აყვავებული და გაშენებული დიდი დაბაა და განჯის ხანის სახსოვა. ჯმე, ფუნდუქი და აბანო აქვს. ქვეყნიერებაზე განთქმული მისი წაზი აბრეშუმი. აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ რომ ვიარეთ, 9 საათში სოფელ მაქუჩა-რუდში მოვედით. მდინარე მტკვრის ნაპირზე მდებარეობს. შვიდასკომლიანი ჯამე და აბანოიანი მუსლიმთა სოფელია. გიაურები სრულებით არ არიან. მათი აბრეშუმი ქებულია. მდინარე მტკვრის გაღმა სომხების ერთი სოფელია, ორმელსაც ქვედერე ეწოდება. ისინი ამ მაქუჩა-რუდის მხარეს ნავებით გადადიან და გაიძვერობენ. ეს სოფლები განჯის საზღვარია. აქედან აყიყარენით, კუშლუნჯას ულელტეხილი გადავიარეთ და არეშის ციხეში მოვედით.

დიდი ქალაქისა და ციხის — არეშის აღწერა: ირანის ქვეყანაში, შირვანის ვილაიეთშია. ძველ დროს. გაიუმარს-შაპის<sup>9</sup> აშენებულია. 995 (1587) წელს<sup>10</sup> მურად-ხან მესამის ვეზირი — ლალა ყარა მუსტაფა-ფა-ფაშას<sup>11</sup> მეოხებით არის დაპყრობილი. ამის შემდეგ, [არეშის] მისა შველებლად<sup>12</sup> მოსულ ირანის ორმოცდაათათასიან ჯარს ციხე ოსმალთა ხელში დახვედრია. მაშინვე შემოსდგომიან ციხეს და შუალედმდე უომნიათ. მამაცი ლალა-ფაშა მუსლიმი გმირებით დაუყოვნებლივ დაესხა თავს სპარსელებს და ოცდაათი ათასი სპარსელი მიწაზე დაანარცხა. მათი სარდალი ამირ-ხანი დაატუკვევეს და შებოჭილი წამოიყვანეს. ხმალს გადარჩენილი თურქმანები, ქართველები, გოქდოლათა დევშირმები გაიქცნენ. ამათაც შირვანის ჯარით შეხვდა ოზდემირის ქე ოსმან-ფაშას ქეთხუდა და მდინარე მტკვრის ნაპირზე ყველანი ამორლიტა. ზოგნი ოსმალთა ხმლის შიშით მდინარეზე გადებულ ხიდს მიაწყდნენ; ხიდი ჩაინგრა და ყველანი ერთად ჩაცვიდნენ მდინარეში. შემდეგ დიდებულმა სარდალმა ნახა, რომ იგი ქალაქ განჯასა და შირ-

ვანს შორის [იდებარე] ფრიად საჭირო ქალაქია. დაუყოვნებლივ შეკრიბა ყველა მუსლიმი გმირი. სხვადასხვა მშენებლები, ქალაქის კალატონები შეყარა, ქალაქ არეშის გარეთ მდებარე ბაღს, რომელსაც შაპის ხეივანი ეწოდება, იჩგვლივ კედელი შემოაჩტყა და ფართუ და ლრმა თხრილი გაათხრევინა. ღირსეული ციხე ააშენა, რომელსაც სამი კარი, ჩივიდმეტი ფლეში და მიწაყრილის პატნეზი აქვს. მისი გარეშემოწერილობა ცხრა ათასი ნაბიჯია. სარდალმა იგი ორმოც დღეში გაასრულა, მურად-ხანის პარემში აღწრდილ კაითასი-ბეგს სამირმირანიდ უწყალობა და თვითონ კი სტამბოლისაკენ გაემართა. ამჟამად ეს ლამაზი ქალაქი რანა-შაპის მთის კალთებზე ქალაქ ბრუსას მსგავსი, მშენებირჰამავინი, ბაღ-ვენახიანი, ყვავილნარიანი ადგილია. ათიათასამდე მიწის ბანიანი სახლი და ორმოცამდე ჭამე აქვს. განთქმულია მურად მესამის ჭამე, ფერხად-ფაშას ჭამე, ყარა სინან-ფაშას ჭამე და სხვანი. ქალაქის სახელი არის „არეს“ ე. ი. „ალეფი“, „რა“ ფათმათი და „სინი“ სუქუნით<sup>11</sup>. მაგრამ ირანის თურქმანები და დაღისტნის ყუმშები „არეშ“-ს უწოდებენ. შემდეგ, სულთან მუსტაფა-ხანის ტახტზე ასვლის დროს, იგი სპარსელებმა დაიპყრეს. ორმოცი უბანი და ორმოცი მიძრაბი ითვლება. მეღრესე, დერვიშთა სავანე და ყმაწვილების სასწავლებელი აქვს. თექვსმეტი აბანო, რვაასი დუქანი, ჩვილმეტი ყავახანა და ვაკრების ფუნდუკია. მათი დიდკაცების ცოლები წარმოშობით გურჯისტანის, დადიანის, აჩიკ ბაშის და შავშეთის ტომთა ქალები არიან<sup>12</sup>.

რაღანაც მისი ჰავა მშენებირია, ||ლამაზები ბეკრი ჰყავთ. გარ- 289 შემო შვიდი დიდი ნაძეგ აკრაცს. ყოველ მათგანში ას-ასი კეთილმოწყობილი სოფელია. მათ შორის კეთილნაშენია არეშის ახლოს მდებარე ლევანის ქვეყანა<sup>13</sup>. სოფელი სულთანჭიქი და დიდი ფილოვნას სანახები, სადაც ოზდემირ ზადე ოსმან-ფაშას მიერ განვლილი ხიდია, სოფელი შაი და სხვები კეთილმოწყობილია. მთაში, რომელიც ქალაქის უკან მდებარეობს, თურქმანების ტომი იალაზე გადის. აქ შაქის ციხეც გაშენებულ-კეთილმოწყობილი ადგილია. თუმცა მას დროდადრო დალისტნელები ესმიან თავს, ციხე ჭერ კიდევ არეშის ხანის სამფლობელოშია. არეში დაღისტანის და საქართველოს შორის [მდებარე] დიდი სახანოა. სამიათას ოცი ნოქარი, ყადი, მუშში და თერთმეტი ჰაქიმი ჰყავს. ამ ქალაქში სამი დღე გაეჩირდით. ხანისაგან საჩუქრები მივიღეთ და ორას მაზანდარანელ მეთოფე თანამგზავრთან ერთად ჩრდილოეთისაკენ ორი საღვარი რომ გავიარეთ, შაქის<sup>14</sup> ციხეში მოვედით.

შაქის ციხის აღწერა: ეს ციხე ძველად აუშენებია ალექსანდრეს, რომელიც ქართველთა შოშალა<sup>15</sup> მეფეთაგანი იყო. მისგან დაღისტნის ბეგის ხელში გადასულა. თუმცა შემდეგ სპარსელების [ხელში] გადა-

ვიდა, მაგრამ მურად-ხან მესამის ვეზირმა ლალა ყარა მუსტაფა-ფაშაშ დაიპყრო და ლევან-ხანის ძე ერეკლე-ბეგს<sup>16</sup> უწყალობა. შემდეგ, მუსტაფა-ხანის ტახტზე ასვლის დროს (1617) სპარსელთა ხელში ჩავარდა. ამჟამადაც სასულთნოა. ათასი ჯარისკაცი ჰყავს. შირვანის ვილაეთში, გორაკზე მდებარე, ქვით აშენებული ლამაზი ციხეა. ორი კარი აქვს, რომელთაც განჭისა და შირვანის კარები ეწოდებათ. დალისტნის საზღვარზე მდებარე მოხერხებული და კეთილმოწყობილი ციხეა, მაგრამ საქართველოსად ითვლება, რახან მისი ამშენებელი ქართველია. სამი ათასი სახლი, შვილი ჯამე აქვს. სავაჭრო რიგებში მდებარე მირზა ალი-ბეგის ჯამე, ციხეში მდებარე ლაღუშ ოღლუ აქმედ-ბეგი<sup>17</sup> და [სულთან] მურად-ხან მესამის ჯამეები ცნობილია. ფუნდუქი და აბანო, მცირე ბაზარი აქვს. [თუთის] ბაღები აქვთ და შეუდარებელი აბრეშუმი იცის.

ციხის აღმოსავლეთით ერთი დღის საგალზე გადავლახეთ მდინარე ყანუხი<sup>18</sup>, რომელიც მდინარე ზანგს<sup>19</sup> ერთვის. აქედან პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ გავუყევით, მდინარე კაბურზე<sup>20</sup> ოზდემირ ზაფეოსმან-ფაშას ხიდით გადავვდით და მივაღწიეთ ადგილს, რომელსაც 290 ცხვრის ფრნი (კომუნ გეჩიდ) ეწოდება. აქედამინის ძელების გორები იდგა. ნეტავ რა არის-მეთქი, — ვკითხე ჩვენ თანამგზავრ ალი-აღას. მან მითხრა: „მურად-ხან მესამის სარდალშა . ლალა მუსტაფა-ფაშაშ ირანს დაქვემდებარებულ თაგრიზის, მუღანის, ლორის, ნახჭევნის, ყუზანის, ყარაბაღ-ყაზანის, ყაზახის ხანების განკარგულებაში მყოფი ოციათასი ჯარისკაცი ამ ბრძოლის ველზე მოიწყვდია და წინასწარმეტყველი ალის ხმლით ცემა დაუწყო. ერთი მხრიდან თავდემირ-ოღლუ, ერთი ფრთიდან ალეპოს ვალი მემედ-ფაშა, ერთი ფრთიდან მარაშას ვილაიეთის მფლობელი მუსტაფა-ფაშა ეკვეთნენ; თვალის დახმამებაში ათი ათასი სპარსელი ჯარისკაცი ამოწყდა. დანარჩენი ათი ათასი კი ცხვრის ფრნად წილებულ ადგილის წყალში გადაცვიდა, თითქოს ცხვრის ფარა სასაკლაოზე მიღისო, და დაიხრჩო. ამის შედეგად ამ დიდ ომში ლალა მუსტაფა-ფაშას ხმლით ამოწყდა ორმოცი ათასი შაჰსევანი. დაე, ამოწყდნენ ოსმალები! აი, ეს ძელები მათი ნიშანია“. მათი ლეშების მოსახსენებლად ფათიძა წაიკითხეს და ისე გაიარეს.

აქ ცონზე გავედით, ჩრდილოეთისაკენ ვრცელ ტრამალებზე ვიარეთ და მდინარე აქ სუზეც გადავვდით. ამ მდინარეს სპარსელები გოლან-ჩაის უწოდებენ. არეშის მთებიდან მოდის და მდინარე მტკვარს ერთვის. ისიც გავიარეთ და სამ საათში მაჭმულ-აბადის ნაკიეში მოგოლათ. დიდ ტრამალებში ორასი კეთილმოწყობილი და გაშერებული სოფელია. ამბობენ, აქ ყოველწლიურად ათასი აქლემის საპალნე აბრეშუმი მოჰყავთო. სოფლები კი არა, ნამდვილი დაბებია. ჯამეები, აბა-

ნოები, საშაპო ბაზრები აქვთ. მისი მოსახლეობა სომხების, გოქდოლაკების, თურქებანების, მონღოლებისა და ყუმუხთა ტომები არიან. ერთ ტომსაც „ით თილ“-ს უწოდებენ.

ით თილის ტომის შესახებ: მონღოლურ ენაზე „ით თილ“ ნიშნავს „ძაღლის ენიანს“. ცოფიანი ძაღლივით ანჩხლი ტომია და ბრძოლის დროს ერთგვარად ბაძავენ [ძაღლის] ყავყავს. ასეთივე მურჩალი ტომი იყო მარდინის ციხის სიახლოების სენჯაის მთაში მცხოვრები გრძელმიანი ქურთებიც, როდესაც ჩვენ ბატონ მელექ აპმელ-ფაშასთან ერთად ოციათასამდე გავწყვიტეთ. ერთი ურკულო, ავხასიათიანი, მძორის მჭამელი, ვირზე ამხედრებული ტომია. მათ რომ ჰყითხო, „წმინდა პამზას შთამომავლები გართო“, იტყვიან. მაგრამ არ იციან, რა არის „მარხვა, ლოცვა, პაჭი, ზექათი“<sup>21</sup>. ერთ ქალს შვიდი, რვა კაცი || 291 ისთავს ცოლად. თუ ამ ქალს შეეძინება მრუშობის ნაყოფი შვილი, რამდენად ძნელა უნდა იყოს მამის გამოცნობა! მაგრამ თვითონაც ნაბიჭვრები, აქაც იოლად გამოდიან. ბავშვს ვაშლს აძლევენ. მამობის მაძიებელთაგან რომელსაც ესვრის ამ ვაშლს ბავშვი, მამაც ის არისო, გადაწყვეტენ. ამის შემდეგ ქალი მის განკარგულებაში გადავა და ვეღარავინ შეეცილება. ეს ის საძაგელი ტომია, რომელსაც სპარსელთა ქვეყანაში სანთლის ჩამქრობებს ეძახიან<sup>22</sup>. ასეთი საქმის ჩამდენი ტომი არც ერთ ქვეყანაში არ გვინახავს. მაგრამ, შაპისა და ხანების უაღრესად მორჩილი ტომია.

კაითაკების ტომის აღწერა: ამ ქვეყანაში არის ერთი ტომი, რომელსაც კაითაკებს უწოდებენ. ამათი რიცხვი ოც ათასს აღწევს. მათი შიწაწყალი დალისტნის საზღვრებშია. ღრი და ღრი ქალაქ არქშა და შაქში მოღიან სავაჭროდ. გარეგნობით ფრიად საოცარი ხალხია. ქვაბინით დიდი თავები აქვთ, თმები — როგორც ტომარა, ორი თითოს სიმსხო წარბები; ისეთი განიერი მხერები აქვთ, ზედ კაცი დაურევა; მეტრდფართე, წელწერილი, მსუქანბარძაყიანი, ბრტყელტერფა, მჩგვალ-თვალებიანი, წითელი პირისახიანი, პირმჩგვალი ხალხია. რწმენა შაფრს აქვთ. ძორძოხი აღამიანები არიან. როდესაც ისინი არქშისა და შაქშის ბაზრობაზე მოღიან, დაბლობში ფეხით ეშვებიან და შაქში ურმებზე სხდებიან, რადგანაც მათი სპილო ტანის ტარება ცხენებსა და ჭორებს არ შეუძლიათ. ურმებში შესაბმელ კამეჩებს უნაგირს აღგამენ და სხდებიან. თავზე ჩალმა აქვთ. ყადიებივით იპარსავენ ულვაშებს და გრძელი წვერებით ორივე მხარეს დიდის ამბით ესალმებიან [შემხედვრს]. ფრიად საოცარი პირსახის, ოღუზთა მოღგმის ტომია. გილანის, შირვანისა და შემახას მცხოვრებნი მასხრად იგდებენ.

მონღოლთა ტომის მრთვი უტოს — კაითაკების სიტყვები და  
გამოსახულები:<sup>1</sup>

მორი — ცხენი; ფრილა — ულაყი; გუვან — ფაშატი; უთლინ — მა-  
მალი კვიცი; კულუნ — კვიცი; ნუ — დათვი; ნოხად — ძალი; თაუ-  
ლად — კურდლელი; სუსარ — სინდიოფალა; გახა — ღორი; ქერემუნ —  
ციყვის ქურქი; ბულალან — სიასამური; ჭუმრიან — თავგი, ჭირან —  
292 რეგმი; || უთოან — სპილო; უმსომ — ყარყუმის ქურქი; ჰინე — მგელი;  
შბუ ლსუნ — შავურა; თმენ — აქლემი; ლაოშა — ჭორი; ჰუქუ — ხა-  
რი; მილუნ — კატა; ეპშინ — ობობა; ფუვასუდ — ტილი; კუმრია —  
ჭიანჭელა; ბსლუნ — ნიანგი; ჰქეიო — ძერა; დკავ — ქათამი; დკა-  
ვუნ — კვიპარისი; სკრგა — შეაშია; ლაჭინ — შევარდენი; თილქუ — მი-  
მინო; ეთავუნ — კაფაბი; ბთუქჭინ — მწყერი; ჭილე — უბუმბულო  
ბარტყი; ჭილა — წეროს...?; ჭაჭაპი — ჰაიპათის ტრამალი; სურპან —  
ფაღიშაბის სახელი; შნბ — სასაფლაო; ჭალ — მტერი; შნბ ბავ — მესაფ-  
ლავეები.

მათ კიდევ მრავალი გამოთქმა აქვთ, მაგრამ ჩვენ ამით დავკმაყო-  
ფილდით — მცოდნესათვის ქარაგმაც საკმარისია. ისინი წარმოშობით  
მახანიდან მოსული მონღოლები არიან. თვითონ კი თურქები არიან და  
მონღოლურად ლაპარაკობენ. მონღოლურიც თურქულს ნიშნავს. ეს  
ტომი ჩვენ ვნახეთ მაშმულაბადის ლოქში. იქიდან ისევ ჩრდილოეთით  
ვიარეთ და გილანჩიას ნაპირს მივადექით. შირგანის ქვეყნის ფარვ-  
ლებში გილანჩიას ნაპირზე მდებარე ექვსასკომლიანი, ოლაზთა და თურ-  
ქმანთა სოფელია. აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ ტრამალებზე  
და ქალაქ ნიაზაბალს მოვედით.

**ქალაქ ნიაზაბალის აღწერა:** შირგანის საზღვრებში მდებარეობს;  
ეზდიგერდ შაპის<sup>2</sup> აშენებულია. წინათ დიდი ქალაქი ყოფილა. მისი  
ნაგებობების ნანგრევები, მაღალი თაღები ახლაც ცისარტყელასავით  
მოჩანს. შემდეგ ხანებში მონღოლები, დაღისტნის ყუმუხები, კაითავე-  
ბი და სხვები შეეავშირებულან, ამ ქალაქს მოულოდნელად დასხმიან  
თავს, დაუნგრევიათ და გაუვერანებიათ. მაგრამ ისმალთა სულთან მუ-  
რად-ხან III-ს დიდებულმა სარდალმა კოჯა ფერპალ-ფაშმ ამ ქალაქ-  
ში გამოისამთხა და შემდეგ შირგანისაკენ რომ გაემართა, მისი ციხე  
ნანგრევებად აქცია. ამჟამად ირანის საზღვარსა და დაღისტანს შირის  
მდებარე საზამთრო სადგომია. ორმოცი მიპრაბი და ორმოცი უბანია.  
ჯამე, ფუნდუკი, აბანო და სავაჭრო რიგი აქვს. თვითონ სასულთნოა და  
293 ათასამდე ნოქარი და თორმეტი ჰაქიმი ჰყავს. || მისმა ქალანთარმა გად-

მოგვცა, ექვსი ათასზე მეტი ბალ-ვენახიანი სახლი არისო. კეთილმოწყობილი ქალაქია, რომელსაც ვრცელი და გაშენებული მხარე აქრავს. ლაბაზები — ბევრია, ნათესები — მრავალი; ქველმოქმედება და ბარაქა — გამრავლებული, წყალობა — უხვი და ბევრი — გამდინარე წყაროები. მაგრამ შეუძლია მდებარე ციხე დანგრეულია, მაშინ როტესაც ასეთ მოსავლიან, მშვენიერ ჰავიან მიწაზე მეტად საჭიროა.

აკშარ-ბაბას წმინდა საფლავი: ეს პიროვნება ჩვენი დიდი წინაპრის წმინდა თურქ-თურქან ხოჯა აპეტე ისავის<sup>3</sup> მემკვიდრეთაგნია. რადგანაც სპარსელებს სწამთ ეს პიროვნება და მისი სარწმუნოებრივი მიმართულება, მის სავანებში ასზე მეტი მწირი დერვიშია. გამვლელ-გამომვლელები სავანებში უხვ წყალობას იღებენ. მისი საფლავი რჩეულთა და მდაბიოთა სალოცავი ადგილია ქილაქის მოსახლეობის უმრავლესობა ჰანეფის მოძღვრების მიმდევარია. იმიტომ, რომ შირვანის ქვეყანაში შედის და ხსნებული ქვეყანა კი სამოცდათვრამეტი წელი იყო ოსმალების მმართველობაში. ქალაქიდან გამცილებლები ვიახლეთ, ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და დაბა ფერავზარში მოვედით. იგი შემახას საზღვრებში, [მდინარე] ა-სუს ნაპირზე მდებარეობს. ხუთასერმლიანი პატარა ქალაქია. ჯამე, ფუნდუკი და აბანო, მცირე ბაზარი აქვს: მისმა მესტუმრებ მე, მწირს, დიდი პატივი მცა.

აქედან ავიყარენით, ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და ბრძან ხოდაბენდედ წოდებული შაპის სანაღირო აღგილებში დავნაყრდით. იქიდან სოფელ თილ-ჩაში მოვედით. მის მდინარეს გრქ-სუსაც უწოდებენ. დაღისტნიდან მოღის და აქ ერთვის მდინარე მტკვარს.

იალბუზის მთა<sup>4</sup>: იალბუზის მთიდან ძალიან ბევრი მდინარე ჩამოდის და აქ მდინარე მტკვარს ერთვის. იალბუზის მთიდან ჩრდილოეთისაკენ დაქანებული მდინარეები კი ხაზართა ზღვას ეტვეიან. იმავე მთის სამხრეთ მხარეზე გამავალი მდინარეები შავ ზღვას ერთვიან. ჩრდილოეთიდან დაქანებული ხევისწყლები კი საერთოდ მდინარე ყუბანს ერთვიან. მდინარე ყუბანი კი ტამანის ნახევარკუნძულის სიახლოეს შავ ზღვას უერთდება. იალბუზი მეტად დიდი და მაღალი მთაა; გარშემო ოთხი ხელმწიფის [სამფლობელო] და სამხრეთით მაზას ტომები სახლობენ. მისი სიგრძე ოთხმოცი დღის სავალია. აბაზას ქვეყანა აღმოსავლეთ (sic) მხარეშია. ამ მთის ძირას სამეგრელოს, გურჯისტანის, აჩი ბაშის, შავშეთის, გურიელის, დაციანის ხალხები სახლობენ და ამ ტომებიანად საქართველოს სიგრძე ორმოცი დღის სავალია. საქართველოს||საზამთრო სადგომში, ირანის ფარგლებში მდებარე თბილისის ვილაიეთისა და ქალაქ სერიო ალლანის საზღვრები იალბუზის მთის კალთებია და მისი სიგრძე ცხრამეტი დღის სავალია. აქედან შეგნით [მთებში] იმავე იალბუზის მთის ჩრდილოეთის ქარის მხარე ჩერ-

ქენითა ქვეყანაა. აქ მცხოვრები ჩერქეზული ტომებიდან ყაბარდო, ბე-სი, ბოლიუკარ, ხუთუფარ, მამსუხი, ბოზადუკ, თაკაკუზანა, შეფაქე და კიდევ სხვა ტომები გამოიჩინევა და იმავე მთის კალთებზე ცხოვრობენ. მისი სიგრძე ორას ორმოცი კონაკი გამოდის. ძალზე დიდი მთაა და ათი კონაკის ზომის უმაღლესი მწვერვალი დღესავით ცხადად ჩანს. ეს მთა ერთი იმ თორმეტთაგანია, რომლებიც დედამიწის ზურგზე არსებულ ას ორმოცდარვა მთიდან ყველაზე დიდები არიან. არ არსებობს ადა-მიანი, რომელსაც მის ნახევრამდე მაინც შეეღწია. ყოველნაირი ჭი-შის ქმნილება ამ მთაში ცხოვრობს.

პირველად ჩენ მიერ აღრე აღწერილ დაბა გოქ-სუში გავჩერდით. იგი დიდი დაბა და ქალანთარი და მიჰმანდარი ჰყავს. შევიდასკომლიანია. ბალ-ვენახები აქვს. მისი აბრეშუმი ქებულია. მთელი მოსახლეობა სუნიტებია და შავ-ისმაილს წვერის ხარაჯას<sup>5</sup> აძლევდნენ. მაგრამ უხ-ლანდელი შაპის — აბას მეორას<sup>6</sup> დროს მთელი ურფის გადასახადისა-გან გათავისუფლებული არიან და შემახას მიწაზე კეთილმოწყობილი სოფლებიდან ერთ-ერთი ესაა. აქედან ავიყარებით, ისევ ჩრდილოეთი-საკენ ვიარეთ ველებზე 7 საათის განმავლობაში და დაბა აკ-სუში მოვე-დით. იგი შემახას მიწაზე მდებარეობს. ათასკომლიანი კეთილნაშენი დაბაა, რომელსაც ჭიმე, ფუნდუკი და აბანო, ბალები და ვენახები აქვს. აკ-ჩად ამ დაბაზე გადის და მდინარე მტკვარში ჩაღის. იგი სათავეს შირვანის მთებში იღებს; ჭერ შემახას ველზე რწყავს ბრინჯის ნათე-სებს და შემდევ მდინარე მტკვარს ეოთვის. აქედან კვლავ ჩრდილოე-თისაკენ ვიარეთ და შემახას ციხესთან მივედით.

შემახის ციხის აღწერა: მისი პირველი ამშენებელი ირანის ერთ-ერთი შაპი — ეზდიგერდია. შემდევში მრავალ მეფეთა საბრძანებელი ყოფილა. მისი ქვეყანა შევიდი სახანოსაგან შედგება. ამბობენ, მას სა-ხელად „შამ-ი ახი“-დან შემოკლებით ნათქვამი „შემახი“ ეწოდება. თითქოს მისი პირველი მცხოვრებლები სირიიდან მოსულები ყოფი-ლან<sup>7</sup>. თუმცა დაღისტნელები უწოდებენ: „შამი, გილანელები — შამ-აში, მაინც მისი სწორი სახელი არის შემახი — შემავი.“

ორმოცი სახანო და ორმოცდარვა||საყადიოა. ორმოცი ნაპიე, სა-მოცდაათი ციხე და ათას სამასმდე კეთილნაშენი სოფელი აქვს. ძე-ლი და გაშენებული ქალაქია. სულეიმან-ხან [პირველის] ვეზირი ულამა-ფაშა, ყარამანის ვალი ფირი-ფაშა<sup>8</sup> სულეიმან-ხანის წერილით შირვა-ნის ამ ქალაქში მოსულია; ქალაქის წარჩინებულებმა მოითაბირეს და ციხის გასაღებები ფირი-ფაშას ჩააბარეს, სმაღლოებს დაემორჩინენ და დაეჭვემდებარენ. როგორც კი გადასცეს ეს ცხმავი სულეიმან-ხანს, მაშინვე იწება მისი მმართველობა ფირი-ფაშასათვის ჩაებარებინა. შემ-

დევ შაპ-თამაზი შვილ თვეს გარშემო აღგა ამ ციხესი<sup>9</sup>. შიგ მყოფნი რომ დანებდნენ, ყველანი გაერთიანა და მათი მმართველობა თავის ძმას — ალკას-მირზას მისცა<sup>10</sup>. თუმცა ალკას-მირზა აქ სამი წელი განვაებდა შემახას, რადგანაც თავისი ძმის საქციელმა დააექვა და სიცოცხლისთვის საშიშად მიიჩნია, 954 (1547) წელს შირვანი დააგდო და ერთ ღამეს თავისი ხელვეეითებით ოსმალთა ქვეყნისაკენ იბრუნა პირი. ჰაიპათის ტრამალებზე ორმოცი დღის მგზავრობის შემდეგ ჭაფაში მივიდა. იქ ხომალდში ჩაჯდა, სტამბოლში ჩამოვიდა; განსაკუთრებული, კარგი შეხვედრა მოუწყვეს. ალკას-მირზას [სტამბოლში] მოსკოვის თარიღი: „მორჩილი გახდა სულეიმანის დროს ალკას-მირზა“ 954 (1547) წელს.

ალკას-მირზა სტამბოლში ფერთევ-ფაშას სასახლეში დადგა. იმ დროს ედირნეში მყოფი [სულთანი] სულეიმან-ხანი ზეიმით მოვიდა სტამბოლში. ედირნეს კრით შემოვიდა და შეჭადეს ჭამეს გვერდით [ვდგარმა] ალკას-მირზამაც ეს საზეიმო სვლა ნახა. მის უღილებულესობა ფარიშას, რომელიც მას ყურალებით მოექცა, მიმართა: „წოდ, ოსმალთა საგვარეულოს რჩეულო! შენ ბრწყინვალებასა და დიდებულებას როგორ ეკადრება წინააღმდეგობა არ გაუწიოს ჩემ ძმას, რომელსაც თავი ირანის შაპად მოაქვს?“ ეს უთხრა და ჭარის წესრიგითა და ბრწყინვალებით გაოცებული დარჩა. შემდეგ, როდესაც სულეიმან-ხანი ვანისა და აზერბაიჯანის ლაშერობაში წავიდა, ეს ალკას-მირზაც თან წაიყვანა. ამ ამბის თარიღია: „შაპთა შაპი შაპ-თამაზის წინააღმდეგ გაშურა“ 954 (1548) წელს. თავრიზში ლალა მუსტაფა-ფაშა დაინიშნა დიდებულ საჩლლად შირვანის ვილაიეთის წინააღმდეგ გასალშეჩრებლად და ალკას-მირზაც, როგორც [შირვანის] აღრინდელი მმართველი, მას გაპყევა. ნახევეგანი, ერევანი, განჯა, შირვანი მთლიანად გააპარტახა. დაბრუნებისას შაპ-თამაზის სიკვდილის ამბავი შეიტყვეს<sup>11</sup>. შემდეგ შემახას ციხესაც შემოადგნენ. და შვილიდღეში შაპ-თამაზის შვილის 296 დანებებით აიღეს. ისევ შეკეთდა და განახლდა. შიგ საქმარისი რაოდენობის ჭარი ჩააყენეს და საომარი მასალა მოამზადეს. ალკას-მირზასაც შირვანის ვილაიეთში მაპმუდ-აბალის ხანობა მიეცა. რადგანაც გაცეცხლებული იყო, სპარსელებს ამდენჯერმე დაესხა თავს და ხალხი და ქვეყანა გააპარტახა. შემდეგ შირვანში ქიშპი ატყდა. ბოლოს, სულთან მურად მესამის დროს ოზდებირის ძე ოსმან-ფაშამ დარუბანდი და ეს იღვილები დანებებით ჩაიბარა და მისი ციხე შეაკეთა. თუმცა შემდეგ ისევ სპარსელების ხელში აღმოჩნდა, კოჯა ფერპალ-ფაშას მიერ გათავისუფლებულ იქნა. ბოლოს, რადგანაც სპარსელებმა ისევ დაიპყრენ აქაურობა, დარუბანდის ფაშა და ხენდან-აღას გვარეულობა დანებებით გამოვიდნენ ციხიდან და სტამბოლში ჩამოვიდნენ<sup>12</sup>. მას აქეთ ირა-

ნის ხელშია: და ამჟამად სახანოა. ყადი და თორმეტი ჰაქიში ჰყავს. მისი ციხე მდინარე მტკერის ნაპირას მაღალ გორაკზე მდებარეობს. ქვით აშენებული, მტკიცე სიმაგრეა. შიდა ციხე გამაგრებული და კეთილნაშენია, მაგრამ ქვედა ციხე ალავ-ალავ დარღვეულია. ცანისთვი, ღიზ-ჩოქენების აღა და ათასამდე მეციხოვნე ჰყავს.

ქალაქში დაახლოებით შვიდი ათასამდე მიწის ბანიანი, კეთილშეწყობილი სახლია. ყველა სახლს წყალი ჩაუდის. მის ბაღ-ვენას ზღვარი და სათვალავი არა აქვს. 26 უბანია. რაღანაც მეიდანისა და შაბურანის უბნები ქალაქის ფრიად რჩეულ აღილას არიან, [აქ] დიდი ხელოვნებით ნაგები სახლებია. სამოცდათამდე მისრაბი აქვს. დივალის ჯამე ძველი ნახელავია. ძველად შაპ-თამაზისა ყოფილა. რაღანაც იგი სუნიტი იყო, ეს ჯამე აუშენებია, მაგრამ გარეუბანში რომ რჩავალრიცხოვანმრევლანი დიდი ჯამეა, შაპ-სეფის აშენებულია. მისი შენობა მშვენიერია. წმინდა ეზოში შაფის ყაიდის აუზი და შაღრევანია. მათ გარშემო მოწაფეების სენაკებია და რაღანაც ფერპალ-ფაშას ჯამეს ვაკუფები არა აქვს, მათი კარები გამოკეტილია. მაგრამ რუმის ყაიდაზე აგებული მეტად ლამაზი ჯამეა. ოზღემიჩ-ზადეს ჯამე ამჟამად მედრესეა: აქ ქალაქის მუფთი ასწავლის. შვიდი მედრესე და ერთი საჭმლის დასარიგებელი ნაგებობა შაპ ხოლაბენდესი; უმაწვილების ორმოცი სასწავლებელი და შვიდი სასიამოვნო აბანო არის. ყველაზე უკეთესია შაბუდის აბანოს წყალი, ჰაერი და აღილმდებარეობის სი-  
297 ლამაზე. მრავალრიცხოვანი||ცალკე განყოფილება, აუზები და შაღრევ-ნები აქვს. მეიღნის აბანო, კაზაგ-ხანის აბანო და ფარაზ-ხანის აბანო ციხის გარეთ არის. ციხის სიახლოეს მდებარე ჰასაჩ-ხანის აბანო მათ შორის განთქმულია. მათ გარდა ყოველ ბაღშიც თითო აბანო და თითო შაფის ყაიდის აუზია. ორმოცდათხამდე ქვითნაშენი ქარვასლა აქვს. მათი მიშმანდარები ყველანი კარგი აღამიანები არიან. სტუმრები ფუნდუკის ოთახებს დაუკეტავად მიხურავენ ხოლმე და სავაჭრო რიგებში ან ბაზარზე თავის ნებაზე, დამშეიდებით იგაჭრებენ. საქონელს ფუნდუკში თავისუფლად ტოვებენ და მათ დარაჯები უგლებენ ყურს. ამ ზომიამდე შევიღობიანი და უშიშო ადგილია შირვანის ქვეყანა. თუმცა ორასმდე პატარა ღუქანი აქვს, ქვით ნაშენი დახურული ბაზარი არა აქვს. მაგრამ ყოველგვარი ძვირფასი საქონელი მაინც მოიპოვება. ყავანანები ფრიად. შემცული და სამოლ მოსაუბრეთა საკრებულოა. მის ნაყოფიერ მიწაზე მოდის ბრინჯი, ბამბა, შვიდი ჯიშის უურძენი, აბასური და მაღლას ჯიშის მსხალი, საზამთრო. ჰავა ზომიერად რბილია, რაღაც ქალაქი მეხუთე. სარტყლის ბოლოში მდებარეობს. მისი ქალები მოელ ქვეყნიერებაზე ქებულია. მოსახლეობის უმეტესობა სუნიტური სარწმუნოებისაა, ულემები და ლვთისმოსავები ბევრია. საიდუმლო

ბლავლენენ ლოცვას ჭამაათთან ერთად. აქ შემთხას სანთან — თაკის ხანთან შეიღი დღე ვისტუმრეთ, ვინაღიმეთ და მოვილხინეთ. თაკის ხანი კარგი ხასიათის, სპარსულად მოლაპარაკე, მოსაპარეზე და მორწმუნე ძევი. მასთან რომ ვიყავით, წარჩინებულებთან მშვენიერი მეგობრობა და ურთიერთობა დავამყარეთ და [ხანისაგან] ისეთი წყალობა მივიღეთ, რომ არ მოველოდით. აქედან ბაქოს ციხეში ერევნის ხანის ქორწილში წასასვლელად ათასი ცხენოსანი ვიახლეთ, ჩრდილოეთისაკენ გზას ვაფულექით და ნადირობით ვიარეთ. გზაზე შემოვეხვდა სალოცავი აღგილი, რომელსაც ეწოდება ფირ დერგუჟის აკლდამა. ალი კოჩლედეს სახელით [ცნობილი] ღვთისმოსავი შეიხი იყო. აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ 6 საათი და ფირ მერიზათ-სულთანის აკლდამასთან დავბანავდით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მხელებლები ქალანთარის სახლში ჩამოხტენენ სტუმრად, მე, მწირი, ფირის აკლდამაში გავჩერდი. თუმცა უბრალო ხალხი ავალმყოფთა შეიხს უწოდებს, მისი ნამდვილი სახელი მერიზათია. დური-დედეს სახელითაც არის ცნობილი. ირანში „მერიზათ“ სპარსულად ნიშნავს „მოხრილს“. მართლაც მოძღვარი ფირი სალოცავ ხალიჩაზე ჭდარა მაღალი მთის ძირას. მდგბარე დიდი სასახლის ერთ კუთხეში. მის უწმინდესობას სახე შალის ძაძებით //შეემოსა და მოღრევილი იჯდა. სახე ყიბლასაკენ პქნ- 298 და მიშვერილი და თვი კი — სენაკის ერთ ქვაზე მისვენებული. მისი უწმინდესობის სხეული ახლაც ბამბასავით თეთრია და ცოცხალივით არის გაუხრწნელად შენახული. ეს წმინდანი ყველა მსახურს ცოცხლად მიაჩნია. დღედალამეს მის სამსახურში ატარებენ, აკლდამას იცავენ, ასუფთავებენ, ყოველ ღმევ წმინდანის ხელსაბანს და განბანვის ჭურჭელს წყლით ავსებენ და აზრიადებენ. როგორც კი გაოენდება, დოქი ცარიელი დახვდებათ. ამდენი წლის განმავლობაში წმინდა წმინდასხამს ნამცეცი მტვერი არ აღევს. მის ბედნიერ აკლდამაში მლოცველები ალოესა და ამბრის კეთილსურნელებით იღლონთებიან.

შეიხი სეფი არდებილიდან მოვიდა და როდესაც მოინახულა და მოილოცა ეს ბედნიერების თავშესაფარი. ათი აზერბაიჯანული ხაზინა დახარჯა და გააშენა. შემკულობაში მას შეიძლება გაუტოლდეს მხოლოდ იმამ მუსა რეზას აკლდამა, რომელიც მეშეღშია. ვინც შევა, ფრიად სასიამოვნო მოწიწება და მოკრძალება დაუუფლება. მე, მწირმაც, მოვილოცე წმინდა საფლავი და მისი წმინდა სულისათვის „დასი“ წავიტოხე. რაღვანაც სავანეზე თარიღი არ არის [გამოყვანილი], წმინდანის გარდაცვალების ღრღნ ჩვენთვის უცნობი დარჩა. მაგრამ მისი წარმოშობა და ის, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, მიამბო განათლებულმა, ყოველგვარი ამქვეყნიური ამბებიდან განდეგილმა და საზრუნავს მოკლებულმა პიროვნებამ — სალაპ ედ-დინმა. მისი უწმინდესობა

წმინდა შეის .იბრაჟომ შირვანელის სამსახურში ყოფილა მუეძინად და ღიღი მეცადინეობით წმინდანობას მიაღწია. მაღალი ზეციდან მამლის ყივილს გაიგონებდა და აზანს წარმოსთვეამდა. მისი უწმინდესობა შეისი იბრაჟიმიც ზურგზე გადაუსვამდა ხელს და ბრძანებდა: „მერი-ზათ, მერიზათ“<sup>13</sup>. ამიტომ მისი უწმინდესობის სხეული არ გაიხრწია; სალოცავ ხალიჩაზე კოცხალივით ზის. თითქოს კოცხალი, საღმრთო ფიქრში გარინდული მქაფაგებელი მოძღვარია. მისი აკლდამის მლოცველებისა და ფათიშას წამკითხველების ამქვეყნიური და იმქვეყნიური ნატერა შვიდ ღლეში ასრულდება. ღლემდე მრავალი გამოცხადება და სატაული მომხდარა — გააპატიოსნოს აღაშმა მისი საიდუმლო!

ამ აკლდამიდან ისევ ჩრდილოეთისაკენ გაუყევით. ერთი მილი ზალ-ბოსტნიან სოფლებზე ვიარეთ და სოფელ ხარიჯში მოვედით. აქ მოვილოცეთ წმინდა შეის ჩეზას საფლავი.

წმინდა შეისი ჩეზა-სულთანი: ეს პიროვნება დური-ბაბას შეიხია. მისი სავანე რჩეულთა და მდაბიოთა სალოცავი ადგილია. ორანის შაპ-299 მა ხოდაბენდემ||დიდი სავანე ააშენა. საქველმოქმედო ნაგებობები და ვაკეფები ბევრი აქვს. აქედანაც ავიყარენით, ჩრდილოეთისაკენ 7 სა-ათი ხეივნებს შორის ვიარეთ, კუზლუს ქარვასლაში დავისადგურეთ. სოფელი არ აქვს. შაპ-ისმაილის მიერ ხეივანში აშენებული დიდი ფუნდუკია. აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და ალთი აღაშის საღვურში მოვედით. სპარსელები „შეშ დერაჟთ“-ს<sup>14</sup> უწოდებენ. სუფთა მდელოებიან ადგილზე დიდი ქარვასლაა. მისი სოფელი გავერანებულია. ეს ადგილი დარუბანდის საზღვრებში, მექერის ნაპიეში შედის. აქედან კვლავ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და ხიზირ ზენდეს წმინდა საფლავთან მოვედით. ესეც დიდ აკლდამაში წევს. მისი წმინდა სხეული ხელუხლებლად არის შენახული. ოზდემირ ზაღე ოსმან-ფაშამ ეს სულთანი იწამა, ნაღირობის ღროს შემთხვევით ისარგებლა და მის წმინდა საფლავთან რომ მოვიდა, კეთილად მოაწყო. ამჟამად შირვანელების სალოცავი ადგილია. ისევ მესქერის ნაპიეში ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და ქალაქ შაბურანის ფარგლებში რიქალის დაბაში მოვედით. ოუმცა რიქალად წოდებული დაბა შემახას ახლოსაც არის, მაგრამ ის ტკირე დაბაა. ქალაქს ჯამე, ფუნდუკი, აბანო, სავაჭრო რიგი, ბაღ-ვენაზი და სამიათასამდე მიწის ბანიანი სახლი აქვს. თავიდანვე დარუბანდის მბრძანებლობაში ყოფილა, მაგრამ ამჟამად ბაქოს ვილაიეთის საბრძანებლის ერთი საიამვნო, პატარა ქალაქია. მოსახლეობა უმეტესად მომთაბარე თურქმანი სუნიტებია. აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და მდინარე რიქალის ნაპირზე დავნაყრდით. შემდეგ, მდინარის პირა რის რისას რომ მივდიოდით, უცბად ზურგიდან — ხაზართა ზღვის ნაპირიდან, მეტად დიდი ჯარი გამოჩნდა. რას ვხედავთ?! ათათასზე მეტი

თურქმანთა, მონღოლთა, ყუშუხთა, ყალმუხთა, შუდექთა, მუღანთა, ყუ-  
ზანთა ტომებისაგან შეკრებილი და შეკოწიწებული ჯარით მოდიან  
ირანის ხანები: განჯის, ერევნის, ბაქოსი, მუღანის, გილანისა, ლორისა,  
და მრავალი სულთანი. სტანისა და აფრასიაბის საყვირს უკრავდნენ,  
ხაკანის დოლს სცემდნენ და ისე მოდიოდნენ. ჯარის შუაგულში მო-  
მავალმა ცხენი გამოაჭენა და [ჩვენსკენ] რომ წამოვიდა, შემახას ხანმა  
მე, მწირს, მითხრა: „ჰო, უფალო ევლია! ეს ერევნის ხანი უნდა იყო-  
სო“. ხანი მოვიდა და ჯერ მე, მწირს, ჩამომართვა ხელი ცხენდაცხენ.  
შემდევ ერევნისა და გილანის ხანსაც ვეამბორე და ასე შევცვდით  
ერთმანეთს. სამ საათში, სააბ ბაქოს ციხემდე მივალწევდით, ერთმანე-  
თი გავიცანით. როდესაც ბაქოს ციხის ძირას მივედით, ციხის კედელ-  
ბურჯებიდან, ზღვის პირზე აშენებული კოშებიდან ზარბაზნის ისეთი  
შედლუხი||ატყდა, რომ ბაქოს ბებერი ციხე სალამანდრასავით ცეცხლ- 300  
ში გახვია. თურქე ხაზართა ზღვის მოპირდაპირე — დასავლეთის მხა-  
რეში მდებარე მოსკოვის ხელმწიფისაგან ასტრახანის, ფაქ-ხანის, სა-  
რაის, ჰამეშდექის ციხეებიდან ელჩები მოსულან და საქორწილო  
ძლევნი ჩამოუტანიათ. [შედლუხიც] იმისათვის მოუწყვიათ, რომ მათ-  
ოვის ციხის ჯაბახანა და სიმაგრე ეჩვენებინათ. ამ ყოფით ათას ორ-  
მოცდაჩილდეტი (1647) წლის წმინდა მუჰარემის თვის პირველ პა-  
რასკევ დღეს (8 ოქტომბერი) ბაქოს ციხეში შევედით.

ბაქოს ციხის აღწერა: შირქვნის ვილაიეთში შედის და ირანის სა-  
ზღვარია. აქ ვინაღიმეთ და ქამის შემდევ ხანს მივართვი არზრუმის ვა-  
ლის, ჩვენი ბატონი მეპმედ-ფაშა წერილი: საჩუქრად კი — მარგალი-  
ტის კრიალისანი, ტალღოვანი აბრეშუმის ფრანგული ქსოვილები და  
ხმალი. სიხარულისაგან ალერსიანი სიტყვები მითხრა: „კეთილი იყოს  
თქვენი მობრძანება! კეთილი იყოს თქვენი ფეხი!“ თავტიზისა და ნახ-  
შევნის ხანების წერილებიც გადავეცი, „კურთხეულ იყოს თქვენი ქორ-  
წილი“—მეთქი ვუთხარი და მრავალი ქება-დიდება ვუძღვენი. საერ-  
თოდ რომ ვთქვათ, წერილებში მე, მწირს, ბევრს მაქებდნენ. ერევნის  
ხანმა, მე, მწირი, თავისი დის სასახლეში გამამწესა სტუმრად. ათი  
დღე და ათი ღამე მოვილხინეთ. რაც შეეხდა ხანს, ერთი ხანი და სულ-  
თანი არ დაუტოვებია, მარგალიტის კრიალისანი რომ არ ეჩვენებინა.  
იმ დღეს მე, მწირს, ერთი ხელი სპარსული ტანისამოსი და ათი ბასუ-  
რი თუმანი მეფური წყალობა მებოძა. ჩემს თანამგზავრებთან ერთად  
ქალაქის დათვალიერება დავიწყე.

ბაქოს ციხე ოთხუთხა მოყვანილობის ლამაზი ციხეა, რომელიც  
მოსკოვის ხელმწიფის საწინააღმდეგოდ აშენებულა დარიოს შაპის  
მიერ ხაზართა ზღვის ნაპირას, მაღალ გორაქზე. შიდა ციხეს ერთი კა-  
რი აქვს დასავლეთისაკენ. ნახჭევნური რკინისა. გარეშემოწერილობა

შვიდასი ნაბიჯია. სამოცდაათი კოშკი და ექვესასი ქონგური აქვს. კელის სიმაღლე ორმოცი მეტეური წყრთაა. ჩადგანაც კლდეზე მდებარეობს, თხრილი არა აქვს. ციხის გარეთ სამოცდაათამდე მიწის ბანიანი ძველი სახლია. თუმცა ერთი ჭამე აქვს, რომელსაც ჰაიდარ-შაჰის ჭამე ეწოდება, მაგრამ უმინარეთოა. ფუნდუკის, აბანოს და სხვა ამისთანების ნატამალიც არ არის. მავრამ ზღვის პირზე რომ დიდი გარეუბანია, კეთილნაშენი ქალაქია, რომელშიც ათასამდე სახლი, ბალვენახი, ჭამე, ფუნდუკი და აბანო, სავაჭრო რიგი||და ბაზარია. მისი სამი მხარე გალავნით არის დაცული და სამი კარი აქვს. ჩრდილოეთი-საჟენ — გილანის კარი, სამხრეთისაჟენ — დარუბანდის კარი; დასავლეთისაჟენ<sup>15</sup>, ზღვის პირას — ნავსადგურის კარი. ამ გარეუბანში შეიძინებინარეთი ჩანდა. თუმცა სამი აბანო აქვს, მათ შორის ფრიად კარგია მირზა-ხანის აბანო. მისი სავაჭრო რიგები და ბაზარი იმდენად შემცული არ არის. რადგანაც მოსკოვის [სამეფოს] საზღვარია, შასევენებისა და დიზნიქენების ჭარი ჰყავს. შირვანის ვილაიეთში ცალკე სახანოა, რომელსაც სამი ათასი მეომარი და თორმეტი ჰაქიმი ჰყავს. ცალკე ყადი ჰყავს და შეიძინ ნაპიერისაგან შედგება. მოსკოვის კაზაკები მის წინააღმდეგ მრავალჯერ წამოვიდნენ „ჩაიკა“ ნავებით მდინარე ვოლგით და გილანისა და ბაქოს ნაპიერი გაძარცვეს და დაარბიეს. ეს იმიტომ, რომ მოპირდაპირე მხარეს სამასი მილის მანძილზე მოსკოვის ევეყანაა. თვით იმ წელსაც კი, როდესაც ეს ციხე ოზდემირ-ზალემ და-ბურო<sup>16</sup> და შიგ ოსმალო კუბად-ფაშა იყო მმართველად, ირანის წაქეზებით მოსკოვის კაზაკები მოვიდნენ და თუმცა ბაქოს ციხეს შემოაღვენენ, მათთან ერთად სპარსელუბიც ხმლის კბილებში გატარეს. ახლა მათი ძელები ზღვის ნაპირის ერთ მაღალ გორაქზე ყრია. ქალაქის ჰაერი ჩბილია. ამიტომაა, რომ მის მიდამოებში ბრინჯი და სელი მოდის და ბალ-ვენახია გაშენებული. ბაბაც მშვენიერი იცის. ესაა, რომ წყალს ნავთის სუნი ასდის. ქალაქის სიახლოეს შეიდ აღგილას ნავთის საბაღოებია ისეთი, ყოველ მათგანს თავისი ფერი აქვს, ყვითელი, წითელი, შავი... და ასე შემდეგ. მის ნაპიერს შორის მესქერის, სედანის, რეინების ნაპიერების მცხოვრებლები თაფლისა და ქონის სანთელს არ სწავევნ, ყველანი შავ ნავთს ანთებენ ჭრაქში. მისი მცხოვრებლები ფრიად წარმოსალგენი, ტანმოვლილი არიან და საკმაოდ ჰყავთ ლამაზ-ბინებიც. ქალაქი განედის მეცხრამეტე სარტყლის ფარგლებშია. მისი მოსახლეობა უმეტესად სუნიტებია. ამ ციხესა და დარუბანდს შორის ზღვისპირით ოთხი ღლის სავალია. მათ შორის გაშენებულია მესქერის ნაპიერს სოფლები. მოსახლეობა მომთაბარე თურქმანებია. თვის კარვებიანად მომთაბარეობენ. ქალაქი შაბურანი ბაქოს აღმოსავლეთით თვით სამი ღლის საფალზეა. შემახას ციხეც აღმოსავლეთით<sup>17</sup> არის ხუ-

თი დღის სავალზე. გილანი კი ჩრდილოეთითა<sup>18</sup>. ბაქო შემახას ნავ-სადგურია. ჩინეთ-ხატაუთიდან და ხოთანიდან, ფალფურ ილისა და ზენანის ქალაქებიდან, ყალმუხებისა და მოსკოვის ქვეყნებიდან ელჩები და ქარავანები გამუდმებით ეზიდებიან საქონელს. მოსკოველები განუწყვეტლივ მოდიან ბაქოში, ყიდულობენ მარილს, ნავთს, ||ზაფრა- 302 ზას, აბრეშუმს და მოსკოვისაკენ მიაქვთ. მოსკოვის წარმოგზავნილები ჩამოდიან და მძევლად რჩებიან. მოსკოვის ქვეყნიდან ირანში უმეტე- სად ბაქოზე გავლით და ნაწილობრივ კი, გილანზე გავლით გააქვთ ნიასმური, თევზის კბილი, რუხი ციყვის [ჭურქი], ბულღართა ქვეყნის ოლათინი.

ბაქოს ნაპიერებში ზოგან გვარჯილიანი ადგილებია. ადამიანმა ან ცენტრა ფეხი რომ დაადგას და ცოტახანს გაჩერდეს, დაეწვება. მექა- რავნები ზოგ ადგილას [მიწას] მოთხრიან, ორმოში ქვაბს ჩადგამენ და საჭმელს მიწის სიმხურგალით თვალისდასამხამბებაში ხარშავენ — ღვთის სიბარძის საკეირველებაა. ქალაქის ახლოს. ჩრდილოეთით<sup>19</sup>, მდინარე მტკვარი ზღვას ერთვის. მოსკოვის კაზაკები ხანდახან ამ მდინა- რეში შემოდიან ხომალდებით, რომლებსაც გვერდებზე ლერწამი აქვს [ჭემოქრული] და ირანის ქალაქებს ძარცვავენ და არბევენ. აქ მოტა- ცებული ტყვეები გილანის ბაზარზე მაჰყავთ და უზიშრად ჰყიდიან. თუმცა [ეს] მდინარე დუნაის სიგანისაა, სიღრმე მცირე აქვს. ქალაქის ერთი მხარე რომ დავათვალიერეთ, მეორე მხარეს სპარსელთა ქორ- წილზე ვისიამოვნეთ. საქორწინო ოთახში ნეფე-პატარძლის საზემო გაცილება რომ აეწერო. ერთი ტომი გამოვა. ერევნის ხანის — თაკი ალი-ხანისაგან და ბაქოს ხანის — ეშრაფ-ხანისაგან სპარსული სიასა- მურის [ჭურქები], ქართველი [ბიჭები], ფარშავანგი და აქლემები გვე- წყალობა. ერევნის ხანმა კი იყისრა, რომ საბაოსკენ ათასი აქლემის ქარავანს გაგზავნიდა და ჩვენი ბატონი ფაშასათვის საჩუქრად გად- მოგვცა ერთი სიასამურის ჭურქი, ათი წყვილი გილანის შეილდი, აქვსი ქართველი ბიჭი, ათი წყვილი თევზის კბილი, სამი ცალი სურნე- ლოვანი შამამა<sup>20</sup>. მეგობრული წერილიც ცალკე დაწერა. მე, მწირსაც, ათი ბასური თუმანი გზის სახარჯო და ჩვენ მხლებლებს ათი აბასური თუმანი გვიწყალობა. ბაქოს ყველა წარჩინებულს გამოვეთხოვეთ და სამხრეთისაკენ გავემგზავრეთ.

### LXXIII

ბაქოს ციხიდან საკართველოსაპინ გამგზავრება

ბაქოსა და ერევნის ხანებისაგან ასი თავით ფეხებამდე შეიარაღე- ბული ნოქარი ვიახლეთ, ბაქოდან სამხრეთისაკენ<sup>21</sup> ვიარეთ მლაშობ ადგილებში და ნავთის საბადოები დავათვალიერეთ.

**ნავთის საბადოები:** ზოგან ზღვის ნაპირას და ზოგანაც მესქერის  
ნაპირი მიწიდან მოჩერება, როგორც  
303 ძუნებრივი ცხელი წყაროები; ნავთი წყლის ზედაპირს ნალებივით||  
ციფინება. ნავთი შემოსავლის ცალკე წყაროა და შაპს წლიურად შვი-  
ლი ათას თუმან ფულს აძლევს. ნავთის გამგებელის კაცები ამ პატარა  
ტბებში შედიან, წყლის ზედაპირზე ქეჩით ნავთს აგროვებენ და თხის  
ტიქებში ასხამენ. შემდეგ ამას ვაჭრები ყიდულობენ და სხვადასხვა  
ქვეყნებში მიაქვთ. რვა ფერის ნავთი მოიპოვება. მაგრამ ყვითელი ნავ-  
თი ძალიან კარგია. შავი ნავთი საშაპო — ირანის საზღვრებზე მდება-  
რე ციხებში მიაქვთ. ეს საზღვრებია უზბეკეთთან, ინდოეთთან, ერაყ-  
თან, ქურთისტანთან, საქართველოსთან, დალისტანთან და ოსმალეთ-  
თან. ამ შავი ნავთით გარემოს ანათებენ. როდესაც მათ ჯარები დაეს-  
ხიან თავს, თავზე და ფეხებზე ნავთით გაულენთილ [ცეცხლმოკიდე-  
ბულ] საბნებს, ძველ ნივთებს აყრიან და ასე იბრძვიან. ციხისა და ქა-  
ლაქის საომარი მასალისათვის აუცილებლად საჭიროა. თვით შაპის  
სამყოფელში, სასახლის კარზე ანთებული ყველა ჩირალდანი ბაქოს  
ნავთისაა. ნავთს მცველები ჰყავს, რომლებიც დღე და ღამ მორი-  
გეობით დარაჯობენ, რადგანაც, თუ ცეცხლი მოხვდა, დაუსრულებლად  
ენთება და ჩაქრობა შეუძლებელია. ამიტომ ნავთის საბადოების ნა-  
პირებზე მიწას მთებივით აგროვებენ და გამზადებული ყრია. ნავთის  
საბადოს ერთი ნაპერწყალი რომ მოხვდეს, მთელი მოსახლეობა მაშინ-  
ვე მოცვილება, ზედ მიწას დააყრიან და ჩაქრობენ. სხვა საშუალება  
არ არის. კიდევ მრავალ ადგილს, კლდებსა და გამოქვაბულებში ყო-  
ფილა ნავთის საბადოები, მაგრამ მე მხოლოდ ეს საბადოები დავთვა-  
ლიორე.

აქედან ისევ სამხრეთისაკენ<sup>2</sup> ვიარეთ ზღვის ნაპირ-ნაპირ და მეს-  
ქერის თურქმანების კარვებში დავბინავდით. ამ ტრამალებზე მონო-  
ლები, ყუმუხები, თურქმანები, ბაკა თურქმანები საზამთრო კარვებში  
ცხოვრობენ და იზამთრებენ. ძალიან ნაყოფიერი საღომია.

**ხაზართა ზღვის სპილოსურებიანი ნიანგი:** აქედან ავიყარენით და  
ზღვის ნაპირ-ნაპირ რომ მიედიოდით, ლელვისაგან ნაპირზე გამოგდე-  
ბული ერთი თევზი ვნახეთ. სიგრძით სრული ასი ნაბიჯი იყო. ორი  
თავი ჰქონდა. ერთი კუდთან ჰქონდა და გველის თავს მიუგავდა; მეორე  
დიდი თავი იყო, აბანოს გუმბათის ოდენა. თოთქოს ეს იყო ზღაპრებში  
აღწერილი გველებაპი. ზედა ყბაზე ას ორმოცდაათი კბილი ჰქონდა  
და ქვედაზე — ას ორმოცი. ყოველი კბილი თითო წყრითის სიგრძისა  
და აღამინის ბარძაყივით მსხვილი იყო. სპილოს მსგავსი ყურები და  
მრგვალი მაგიდის ტოლი თვალები ჰქონდა. თახვის ბეწვივით ბალნით  
304 შემოსილი ქმნილება||იყო. მართლაც რომ ერთი რაღაც საზარელი და

შემაძრუნებელი თევზი იყო. ბაქოს, შემახას, დარუბანდის მთელ შო-  
 სახლეობას თავი შეეყარა და იმას ათვალიერებდა. ხაზართა ზღვაზე  
 მოგზაურმა ხოგა სარი-ხანმა შემდეგი გვიამბო: „ეს თევზი ხაზართა  
 ზღვისათვის დამახასიათებელი ნიანგია, რომელსაც მეზღვაურები სპი-  
 ლოსყურა ნიანგს უწოდებენ. საერთოდ, თევზებს მისი ეშინიათ. მართ-  
 ლაც, ამ ხაზართა ზღვის სანაპიროზე რომ სამაგალითო ნიუარებსა და  
 ლეშებს პოულობდნ, სხვა ზღვის სანაპიროებზე მსგავსი არ მოიძებნე-  
 ბა. ნიუარების უმრავლესობა ზღვის ცხოველებსაც კი არა ჰგავს. ოთხ-  
 უთხა, ხუთუთხა მოყვანილობისა, გურჩივით მჩგვალი, წვრილყუ-  
 დიანი ქმნილებები არიან. მაგრამ თევზები — „ქეფი“ და „მინა“ მე-  
 ტად ლამაზებია და ერთი წყრთის სიგრძისანი არიან. ლეტაფა, სურ-  
 პენდამ, საბზი, სიაჭი და სხვა ჯიშის თევზები იქმევა და თითქოს მოსეს  
 სუფრისაა [ისე გემრიელია]“. ეს ხაზართა ზღვა, მეზღვაურების თქმით,  
 შვე ზღვაზე დიდია. არათერს არ უერთდება და გამოცალეკებული,  
 დიდი ზღვაა. ამბობენ, რომ მასში ისევე, როგორც შვე ზღვაში, კუნ-  
 ძელები არაა ნაესადგურები ბევრი აქვს. ლელვა შვე ზღვაზე უფრო  
 ძლიერი იცის. სიგრძივ მისი ბოლო ფალფურის ქვეყნის საზღვრებია  
 და აქაურობა მეშვიდე სარტყლის დასასრულია. მისი დასავლეთი მხა-  
 რე მოსკოვის ქვეყანაა. აღმოსავლეთი — ირანის გილანი, უზბეკების,  
 ბულღარის, ყალმუხების, ჩინეთის, ფალფურის, კოზაკის ქვეყნებია და  
 კოზაკებსა და მოსკოვის ქვეყანას შორის არსებული ზღვის სივრცე  
 ზამთრის ყინვებისაგან შვიდი თვე გაყინულია. ყინულების ნაჭრებზე  
 ყალმუხი თათრები გადაღიან და მოსკოვის ქვეყანას არბევენ. წამო-  
 ყვენილ ტყვეებს ჩინეთ-ხატუეთში, ხოთანში ჰყილიან და მდიდრდე-  
 ბიან. გილანის, ბაქოს, დარუბანდის, თერგის ციხეების წინ ხაზართა  
 ზღვა სრულიადაც არ იყინება, რადგანაც ზომიერპავიანი ადგილია. ბაბ-  
 ელ-ებვაბად<sup>3</sup> წოდებული დარუბანდიდან პირდაპირ სამხრეთისაკენ  
 ერთი ყურეა. ზღვას დასასრული აქვს დაღისტნის სამფლობელოს სა-  
 ზღვრებში აგრძალებული აგრძალებული სიახლოეს, მდინარე თერგის ნაპირას,  
 მოსკოველების თერგის ციხესთან. ზღვა თავისი მდებარეობით სამხ-  
 ტეონიდან ჩრდილოეთით არის გაჭიმული და სიგრძე ოთხი ათასი მი-  
 ლია. მისი სილრმე სამი საძირავის სიგრძისაა, ე. ი. სამასი წყრთაა.  
 ზღვაში ათასამდე ხომალდია. მათ მეზღვაურებს ძალიან ეშინიათ მოს-  
 კოვის კაზაკების „ჩაიკებისა“. ხანდახან ზღვაზე დიდი ბრძოლა იმარ-  
 თება. ამ ზღვაში არა ისეთი დიდი, გაღინონის მსგავსი ხომალდები,  
 როგორც ოკეანეებშია. მათი გემების კიდეები ლეიტშით არის შემო- 305  
 კრული და მეზღვაურები მაინცდამანც დახელოვნებული არ არიან.

ხაზართა ზღვის ნაპირიდან აღმოსავლეთისაკენ<sup>4</sup> ვაკე ტრამალებზე  
 ვიარეთ და დიდ ქალაქ შაბურანს მივაღწიეთ.

**შაბურანის აღწერა:** შირვანის ვილაიეთის გამგებლობაში მყოფი ლამაზი ქალაქია, მაგრამ დარუბანდზეა მიწერილი. ძველ დროს ყოფილი აშენებული შაპი ისფენდიარის მიერ. შემდეგ პულაგუს მონოლები მოვიდნენ, ქალაქი აიკლეს. და დაანგრიეს, მისი მოსახლეობის გულ-ღვიძლი მწვადებად ააგეს, სახლები მიწასთან გაასწორეს. შემდეგ კვლავ გაშენებულა. ბოლოს, როდესაც [სულთან] მურად-ხან მესამის ვეზირმა ოზდემიჩ ზადე ოსმან-ფაშამ დარუბანდი დაიპყრო, რადგანაც ქალაქ შაბურანის მოსახლეობაც დანებდა, სანჯაყის ბეგის სადგომად იქნა არჩეული. შემდეგ ხანებში, [სულთან] მურად-ხან მეოთხის ტახტზე ასვლის დროს (1623), სპარსელებმა შირვანი დაიპყროს და შაბურანიც თავისი შმართველობის ქვეშ მოაქციეს. ახლაც სასულთნოა დარუბანდის ფარგლებში. მისი მიწა-წყალი მეხუთე სარტყლის დასარულს მდებარეობს და თავრიზის შემდეგ ირანში ეს ქალაქია თავისი ჰავით განთქმული. სამოცდაათი მიძრაბი და ამღნივე უბანი აქვს. ცნობილი ჯამეებია: თორქმაკ-ხანის ჯამე, ავშარ-ხანის ჯამე, უზუნ-ჰასანის ჯამე. უზუნ-ჰასანის ჯამეს მსგავსი არსად არ არის. თურმე, თვით ოზდემიჩ ზადე ოსმან-ფაშა ყოველ პარასკეობით დარუბანდიდან მოდიოდა დიდი ზემით და ამ ჯამეში ლოცულობდა. დათვალიერების ღირსი, ძველი სამლოცველოა, რომლის ოთხივე კედელზე ნაირფერადი, ნატიფად შესრულებული მოჩუქურობმებული მხატვრობა, მარმარილოს მთლიანობა ხუროთმოძღვრებაში გარკვეულ აღამიანებს ისე აქვთვებს, რომ პირდალებული რჩებიან. ქალაქი მესქერის ხეობაში, ნაყოფიერ ადგილას მდებარეობს. შვიდი ნაპირ აქვს. თითოეული მათგანი ცნობილია შვიდი მთიების სახელებით.

აქედან სამხრეთისაკენ გავემართენით, მომთაბარეებს შორის ვიარეთ და ზღვიდან მოშორებით ვრცელ ველზე [მდებარე] დაბა ჩერიზში მოვედრო. იგი დარუბანდის ფარგლებში შედის და დალისტნის პპრძანებელ მიხალ-შაპის სახასოა. ოზდემიჩ ზადე ოსმან-ფაშამ მისცა საბოძრად. თუმცა შემდეგ სპარსელების ხელში გადაიდა, მაინც 306 შაპ-მიხალის მბრძანებლობაში||დარჩა. პატარა ქალაქია, რომელსაც ხუთასი სახლი, ჯამე და აბანო, ქარვასლიანი მცირე სავაჭრო რიგი და ბაზარი აქვს.

მის მოსახლეობას მეტწილად დალისტნის ყუმუხები შეადგენენ. კარგ აბჯარს აქეთებენ. აქედან ისევ სამხრეთისაკენ ვიარეთ და დაბა რექალი ხელმარცხნივ მოვიტოვეთ. მესქერის ნაპირზე გავლით დარუბანდის ციხეს მივაღწით.

აღწერა ბენდერ-ბაბისა, ე. ი. ბაბ ელ-ებვაბისა, ალექსანდრე მაკედონელის სიმაგრისა — რკინის კარის ციხისა?: ზოგი მემატიანის სიტუვით, ამ ციხის აშენება მიეწერება არაბთა<sup>8</sup> ხელმწიფე ისკანდერ ზულ-

კარნაინის. მას შემდეგ, რაც ალექსანდრემ ზღუდე ააშენა, დარუბან-ლის მიწაზე მოვიდა. რას ნახავს! დაღისტნის საზღვრებში, ზღვის პირას მდებარე მომავალობებელი აღვილი... თავის სწავლულებს მოეთაბი-ოა რათა დარუბანლის მიწა-წყლის სიმალლუ განესაზღვრათ. გარევა, რომ ხაზართა ზღვა შავ ზღვაზე მაღლა იყო. ამიტომ მას დაუპირებია ხაზართა ზღვის შეერთება შავ ზღვასთან და ამ ორ ზღვას შუა მშე-ნებელი ოსტატები გაუგზავნია. დაღისტნიდან სამ დღეში მიუღწევიათ აალბუზის მთის კალთებთან სამეგრელოს ფარგლებში, შავი ზღვის სანაპიროზე, მდინარე ფაშას შესართავთან. მისი სიმალლუც გაუზო-მიათ და უნახავთ, რომ შავი ზღვა ხაზართა ზღვაზე ბევრად დაბლა ყოფილა. ამიტომ დაუწყიათ მთის მხერეტავებისა და მთხელების, აგ-რეთვე საჭირო ხელსაწყოების მომზადება. მაგრამ სწავლულები წი-ნააღმდეგ წასულან და უთქვამთ: „ჰოი, ალექსანდრე! შენ დაკისრე-ბული გეონდ იაჯუჭის კედლის აშენება. რაც შენ ახლა დაიწყე, შორე-ული ოცნებაა. მართალია, ამ ორ ზღვას შორის მანძილი სამზღვის სა-ვალია, მაგრამ იალბუზის მთის ძირას რომ კავის კლდეებია, მათ გა-სახვრეტად საჭიროა ათასობით ხაზინა და ნოეს სიცოცხლე. თქვენ კი. ჩოგორუ ვარსკვლავთმრიცხელობის მეცნიერება გვატყობინებს, ოც-დათერთმეტი წლის ხელმწიფობა გიშერიათ და ამის შემდეგ ლმერთს წარუდგებით. კიდევ უფრო სასარგებლო საქმეებიც არისო“. ალექ-სანდრემაც, რაღანაც იმ ლამეს საშინელი სიმზარი ნახა, გადაითქმა. შემდეგ, დარუბანდიდან შვილი დღის სავალ მანძილზე, დაღისტნის მთებზე შავ ზღვამდე სამი წყება მტკიცე კედელი ააშენებინა და სამი რიგი დიდი თხრილი გაათხრევინა. ეს კედელი საზღვარი გადა [ერთის მხრივ] ოღმოსავლეთით მოსახლე ირანისა და თურანის ხალხსა და [მეო-რე მხრივ] დასავლეთით მდებარე ყიფჩილთა ტრამალების ხალხების: ბე-ნი ესფერის, ყირიმელების და რუსებს შორის. კავკასიონზე, დარიალის მთებში სამი წყება კედელი და სამი წყება თხრილი მე, მწირმა ევ- 307 ლიამაც, ვნახე. ყირიმიდან ყუმუხთა ქვეყნისაკენ მიმავალი თუ ყუ-რადღებით დაავირდებიან, შეამჩნევენ. ზოგი ამბობს, ალექსანდრეს აშენებული იაჯუჭის კედელი ეს არისო, მაგრამ ის არ უნდა იყოს. ალექსანდრეს შემდეგ ალაპის წმინდა მოციქულის ღრომდე იბნ ისპაჟის სიტყვით 882 წელი გავიდა. მოციქულის ჰიჯრის<sup>10</sup> შემდეგ ჩვენი მოგ-ზაურობის ღრომდე კი ათას ორმოცდაჩემდეტი წელია გასული. ამ-გვარად, ალექსანდრეს [დროიდან] ამ ღრომდე 1939 წელი შესრულდა. ამიტომ კედელი ძალიან ბევრ ადგილს დანგრა; ზოგ ადგილს კე-დელ-ბურჯებია დარჩენილი; ღრმა თხრილები კვიშით გავსებულია. ვინც ეს წვერილმანები გაითვალისწინა, მისთვის საიდუმლოება არა არის. „თუჭვა“-დ წოდებულ ღირსშესანიშნავ მატიანეში ნაოქვამია: „ალექ-

სანდრემ მიწის სილრმეში სამოცდათ დღეში გვირაბი გაათხრევინა და ამ საშუალებით ხაზართა ზღვა მდინარე ფაშაში ჩაუშვაო“ მაგრამ მე, მწირი, ამას არ ვიზიარებ. 1050 (1640) წელს, აზოვის ლაშქრობაში რომ მივდიოდი, მდინარე ფაშას ნაპირზე გაეწერდი. მისი წყალი უკვდავების წყალივით გემრიელი იყო. ხაზართა ზღვის წყალი კი მომაკვდინებელ შხამზე უარესია. მისი წყლით რომ განიბანოს ვინმე, სხეულის სასირცვო ადგილებს ცეცხლივით დასწვავს. როგორ შეიძლება, რომ [ხაზართა ზღვა] მიწის ქვეშეთიდან მდინარე ფაშას ერთვოდეს და ფაშას წყალი მაინც შაქარზე ტებილი დარჩეს — მცდარი აზრია. ალექსანდრეს კედლის ხაზართა ზღვის ნაპირზე ეს დარუბანდი არის აშენებული. დარუბანდი მთის კალთაზე მდებარე, ზღვაში შეჭრილ ძლიერი ციხეა.

დარუბანდის ციხის აღწერა: მისი პირველი აშენებელიაო ალექსანდრე ორჩეიანი, რაც სადაც ამბავია. შემდეგ, ომაელი ხაზიდ ბენ აბდ ალ-მალიქის<sup>11</sup> დროს ხარიჭიტებს წაერთვათ და მოელი დალისტნის შოსახლეობა ისლამით გაპატიონსნადა. შემდეგ მრავალი გარემოცვა განიცადა, ხან დაინგრა, ხან გაშენდა და ბოლოს, ცხრაას ოთხმოცდაექვს (1578—1579) წელს [სულთან] მურად მესამის ვეზირის, ოზდემირ ზადე ოსმან-ფაშას სარდლობით მიწაზე დაუტეველი ჯარი ამ ციხის წინააღმდეგ წამოვიდა. მისი მბრძანებელი ჩირალ-ხანი გათოვეს. ციხე დანებდა და ჩაბარდა. [ოსმან-ფაშა] შირვანის ვილაიეთის დიდსულოვანი მბრძანებელი გახდა და ციხე შეავეთა. მუსლიმი გმირები ციხიდან გამოვიდნენ და შირვანის ქვეყანაზე ლამის გამოხდომა მოაწყვეს, თავს 308 დაესხნენ და სამოცდათი ციხე ||ჩაიგდეს ხელში. იგი ციხის მცველად დარჩა ათასი იანიჩარის, ოთხი ბოლუქი სიფაპის, ათი ოდა ჯებეჭის, ათი ოდა სამეფო კარის თოფჩის თანხლებით, სამოცი ზარბაზნით, ხუთასი ზანდუკი ჯაბახანით, სხვა მოწყობილობით და თხუთმეტი ათასი მეომრით. რადგანაც სამართალი და მართლმსაჯულება დაცული იყო, მისი სანახები აყვავდა და გაშენდა. ყივჩალთა ტრამალებიდან, ჩერქეზეთიდან, დალისტნიდან გზები გაახსნა და ყირიმიდან თათართა ჯართან ერთად მოდიოდა საომარი მარაგი და ხელსაწყოები. მაგრამ, შემდეგ ხანებში, რადგან მაშველი [ძალა] არ მოვიდა, ციხე სპარსელებს ჩაბარდა. მუსლიმი გმირები ჯერ დალისტანში მივიღნენ, იქიდან ჩერქეზეთში გადავიდნენ და შემდეგ — ყირიმში. აქაურობა ფრიად კითილნაშენია და ამჟამად სახანოა ირანის ხელში. თორმეტი ჰაქიმი, მუნში და ქალანთარი, იასაული, ყორუჭი, დიზჩოქენი, ჯალათების ალები, ორი ათასი ახალგაზრდა დიზჩოქენი, ცხრა ათასი ნოქარი ჭყავს. ციხის სანს შეკვდი და ერევნის, გილანისა და ბაქეს ხანების წერილები გადავეცი. მან ზღვის ნაპირზე, კაითაფ-ხანის ბურჯზე, ზღვისაენ გამყუ-

რე მაღალი სასახლე მოგვიჩინა და ჩვენი დატებობისათვის იზრუნა. თთხმოც წელს მიღწეული, გათეთრებული, ნიადაგ მთვრალი, სახანო საქმეებში გამოუცდელი იყო და სახელად ერგვა შეფინანი. მაგრამ გონიერამახვილი, პოეზიაში ჩახედული, კალიგრაფი, კარგი მოსაუბრე ადამიანი იყო. მე, მწირს, ხუთი თუმანი სახარჯო მიწყალობა და ჩვენ მიჰმანდარებს ყოველდღე უგზავნიდა ჩვენთვის განკუთვნილ ულუფას.

შიზეზი იმისა თუ რატომ ეწოდება „დემირ“: ალექსანდრემ აჭ რომ ზღუდე ააშენა, ერთი რეინის კარი გასკეთა და ყარაულები დააყენა. რადგანაც ეს რეინის კარი თვით ანუშირვანის დრომდე მტკიცე შემორჩია, ციხეს „რეინის კარი“ უწოდეს. მისი მეორე ამშენებელი ანუშირვანია. მესამე ამშენებელი ექვდიგერდ-შაპია. მეოთხე ამშენებელი შაპ-ისმაილი; მეხუთე ამშენებელი ოწლემირ-ოლლუ ასმან-ფაშაა. რადგანაც ციხის დასავლეთი<sup>12</sup> მხარე ხაზართა ზღვის ნაპირზე მდებარეობს, კედლების საძირკვლებს ზღვის ტალღები ეხეთქება. იმის შესახებ, რომ ეს კედლები ექვდიგერდ-შაპის შემდეგ ხაზარ-შაპის აშენებულია, იმ ნავსაღურის კარზე, რომელიც ზღვის ნაპირს მდებარეობს, სპარსული ბეითებით [აშენების] თარიღი იყო აღნიშნული. ასევე ზღვის მხარეს მოჩანს ალექსანდრეს მიერ აშენებული კედელ-ზღუდე. რაოდენ დიდი და ფართო კედელი ყოფილა! თუ მეფებმა მოისურვეს, იმ კედლიდან ციხემდე ნავსაღურის მოწყობა შეიძლება. ამჟამად მისი კედელ-ბურჯები ახლაც ჩანს ზღვაში. ზღვის ნაპირიდან 309 კედლამდე ისრის ერთი [გასროლის] მანძილია. ზღვიდან ციხის უკან მდებარე მთამდე ციხის სიგანე ისრის ერთი გასროლაა. ციხე ხუთკუთხა მოყვანილობისაა და ერთ მაღალ გორაკზე აშენებული. მართალია, მე, მწირს, ბევრი არ მიმოგზაურია, მაგრამ ასეთი გეგმით [ნაგები] მტკიცე ციხე-სიმაგრე არ მინახავს. დახელოვნებულმა ხუროთმოძღვებმა, წინდახედულმა ხუროებმა ეს ციხე სამ ნაწილად ააგეს და სამი მტკიცე და მაგარი, სამპირი რეინის კარით გამართეს. ციხის ერთი ნაწილი აღმოსავლეთით მდებარე მთას ეფარება. მეორე კარი ქალაქისაკენ გადის. არღანას მხარეს მოფარებულ კედელში ორი კარია. ქვედა ქალაქისაკენ გადის ორი მაგარი კარი. ერთი მათგან მესქურის კარია, რომელიც აღმოსავლეთის მხრიდან გასცემის მესქურის ნაპიეს. ამ კარიდან გასულები ცხენის ურმებით მიღიან შემახას ციხისაკენ. ერთი კარიდანაც სამხრეთის<sup>13</sup> მიმართულებით შეიძლება წასვლა ყიფჩალთა ტრამალისაკენ, ყირიმისაკენ და ჩერქეზეთისაკენ. მაგრამ დალისტანში ცხენის ურმები ვერ შეაღწევს. უბრალო ურმები მოსკოველიბის ორგზის ციხისაკენ, ყაზანისა და ყიფჩალთა ტრამალებისაკენ გადის. ციხის მესამე ნაწილი ზღვის მხარეს მდებარეობს. შიგ გაინციდამაინც კეთილნაშენობა არ არის. ყარჩილა-ხანი ციხის მცველე-

ბისა და დიზჩოქესებისათვის ჯერ კიდევ აშენებდა სახლს. ეს ციხე სავ-  
სეა გილანისა და ბაქოს მხრიდან მოსული სოვედაგრების ცენტრის ურმე-  
ბით. ამ ქვეყანაში ზღვიდანაც მრავალი ხომალდი მოდის. ამიტომაც  
იგი ფასეული და მტკიცე ციხეა. ციხე ოთხკუთხა მოყვანილობისაა და  
მისი გარეშემოწერილობა თერთმეტი ათას სამოცი ნაბიჯია. სამოცდა-  
ათი დიდი კოშკი აქვს. ყოველ მათგანში დაწესებულია ყარიბთა და  
მარტოხელათათვის თითო მეღრესე და მეჩეთი. მოსწავლეებს ჭრაქის  
დასანთხებად ბაქოდან შავი ნავთი მოსდით. ხანის კეთილშობილი სამ-  
ზარეულოდან ხორბლის წვენი ურიგდებათ. ასეთი გულისხმიერი მოქ-  
ცევით ულემებს ხელს უწყობენ, რომ ციხე დაიცვან. ციხე გარშემო  
დაქბილულია შეიძი ათას სამოცი ქონგურით. ყოველ უკუნეთ ღმეს  
ციხეს ნავთით აჩირადნებენ. ეს იმიტომ, რომ ციხეს შვიდი ბოროტ-  
განმზრახველი მტერი ჰყავს. ერთი მტერია მოსკოვის კაზაკები, რომ-  
ლებიც დღენიაღგ მოდიან ხომალდებით და ციხის სანახებს აჩვევენ.  
თუმცა ციხის ძირამდე არ მოდიან, რაღვანაც ზღვის ნაპირზე სამოც-  
დაათი ბალემეზ ზარბაზანი დგას. ყველა ოსმალური ზარბაზნებია; ისეა  
310 გაპრიალებული, ჩადამიანის სახეს საჩქერავით აჩვენებენ. სხვა მტერები  
ოსმალები და ყირამისა და ყალმუხეთის თაორები არიან. სამხრეთი-  
დან მტერია ჩერქეზები. სამხრეთიდან მისი მტერია დაღისტნის ყუმუხ-  
თა ტომი. აღმოსავლეთიდნ<sup>14</sup> მისი მტერია საქართველოში [მდებარე]  
თეიმურაზ-ხანის<sup>15</sup> ოქები. ამის გამო ციხეში სხედან გამზადებული მე-  
ციხოვნები და თუ ვინმე დაესხა თავს, ცეცხლს დაანთებენ და ცი-  
ხის მოსახლეობას შეატყობინებენ.

შიდა ციხის ნაგებობანი: ქვები, რომლებიც ციხის ოთხივე კვ-  
ლელშია, სპილოს ტოლებია. არც ერთი მათგანის აწევა არ შეიძლება,  
იუნდაც ორმოცდათმა კაცმა მექანიკის კანონი გამოიყენოს. ციხეში  
ათას ორასამდე მიწის სახურავიანი სახლია. სამხრეთით ციხის კედელ-  
ზე მიღმულია დიდი სასახლე, რომელიც ირანის ერთი პირველი სა-  
სახლეთაგანია. ამ სასახლეზე მიღმულია ერთი დიდი ჯამე. მისი მინა-  
რეთი დანგრეულია. ჯამეს სიახლოეს არის ოსმალური ხუროთმოძღვ-  
რების წესით აშენებული კონტრა აბანო. მისი აშენებელი უცნობია.  
ციხის აღმოსავლეთისაკენ გამავალი კაიკის კარის ახლოს ოზღვემირ  
ზადე ოსმან-ფაშას ჯამე, ფუნდუქები და დუქნებია. ციხის გარეთ  
შშვენიერი უბანია. ათასამდე სახლი აქვს. მის გარშემო მრავალი ბალ-  
ვენახია. სასაღილოები არ აქვს. ჯამე, ფუნდუქი, აბანო, სავაჭრო რიგი  
და ბაზარი ბევრია. უმეტესად აბრეშუმსა ქსოვენ და იმით იჩქენენ  
თავს. ყუმუხი ხალხის დიდი უმრავლესობა კარგ ჯავშანს აკეთებს. მისი  
მოსახლეობა სუნიტია და შაფთის. მოძღვრების მიმდევრები არიან.

ქალაქი, თბი ჰაუკალის სიტყვით, განედის მეთვრამეტე სარტყელ-სა და მეხუთე ძირითადი სარტყლის ბოლოში მდებარეობს. მისი ჰავა რბილია. ღლის ხანგრძლიობა ჩვიდმეტი საათი, შვიდი წუთი და ორი წამია. ზღვის გაღმა დასავლეთი<sup>16</sup> ნაპირი საშასი მილის მანძილზე მოსკოველთა პეშდექის, ყაზანის, ალათარუს ქვეყნებია. ამათ იქთ ყიფ-ჩალეთის ტრამალები და ჰავაპათის ველია.

ეს ოცი წელია თეიშ-შაპი, მუცუნჯაქ-ხანი, კუბა კალმახ-ხანი ხუთხუთი, ექვს-ექვსიათასანი ტომებით ამ საუცხოო ველებზე მომთაბარეობენ. ყირიმის ქვეყნამდე ამათ მიერ გაგზავნილი ღამის მოთარე-შეები ქენებით მივიღნენ აზოვის ციხის სიახლოეს და მდინარე ქოქუმლუს ნაპირზე ეგვიპტიდან დათხოვნილი გურჯი მუსტაფა-ფაშა მოკლეს<sup>17</sup>. ამათ არ იციან, რა არის სარტმუნობა, ღვთისმოსაობა, ურჯულოება, ჭეშმარიტი გზიდან გადახვევა. საქონელივით ველზე მცხოვრები, სპილოსტანა აჩსებები არაან. მათი უმრავლესობა ნებართვით 311 მიღის მოსკოვის, ჭეშდექის, ყაზანის მხარეებში და ერბო-კარაქს ჰყიდის. ამ ბოლო ღროს მოსკოვის ვაჭრების მეშვეობით დარუბანდის ნავსადგურში მოსვლაც დაიწყეს. დარუბანდში ჩინეთიდან, ხატათიდან, ხოთანძლან, ფალფურიდან, მოსკოვიდან ყოველწლიურად ასეულ ათასობით კაცი მოღის საგვეროდ და საბაჟოს ღიდი შემოსავალი აქვს. როდესაც ოშმალთა ხელში იყო, მისი ნავსადგურისა და შირვანის ვილაიეთისაგან წლიური შემოსავალი ორას არმოცდაშეიდ დუქ ახჩას შეადგინდა. მის ნოქერებს. შვიდი სანჯაყის სულთნებს, დაღისტნის მბრძანებელს მშვიდობისა და კეთილგანწყობილებისათვის სახასოები და ულფა ეძლეოდათ. ამეამად დაკავებული აქვთ და მართვენ ოზდების ზადე-ფაშას მიერ დაპყრობის შემდეგ მეტმედ-ეფენდის მიერ ჩატარებული აღწერის მიხედვით. ახლაც, იმ აღწერის მიხედვით, შირვანის ვილაიეთი სამოცდაათი ყაზასაგან შედგება. შვიდი სახანო და თორმეტი სასულთნოა. იმავე აღწერის მიხედვით, თიმარი და ზემდეთი არ აქვს. სულთნებისა და სხვა მბრძანებლების ხასებს ხელს ვერავინ ახლებს. კეთილმოწყობილი და გაშენებული აღგილია. მისი მცხოვრებლები ლოცულობენ: „ლმერთო, კვლავ ოსმალებს მოუმრთო ხელიო“. და განა მარტო ეს? როდესაც ჩვენ აქ ვიყავით, სტამბოლიდან ერთი გოქდოლაკი ჯაშუში მოიტრა და ხანს უთხრა: — „ჩემო ხან! გასულ წელს ოსმალებმა ხმელთაშუა ზღვში კუნძულ კრეტას წინა-აღმდევ სარდალი დუსუფ-ფაშა გაგზავნეს: აიღო პანიას ცხხე, შიგ ჯარი ჩააყენა და რადგანაც ამ ქვეყანას მრევლინა [სულთან] იბრაჟიმ-ხანის უფლისწული მეტმედი, ღიდი შედლუხი და ზეიმი მოაწყო. შვიდი ღლე და შვიდი ღამე აქაურობა გაჩირალდნებული იყოო“. ეს რომ გაი-

გეს, შირვანის, შემახას, გილანის სუნიტებმა ლხენა, ნადიმი და ცეკვა დაიწყეს.

დარუბანდის მოსალოცი ადგილები: ომაელი ჯეზიდ ბენ აბდ ალ-მალიქი, რომელიც ათაქე-ხათუნის ნაშობია, სირიიდან ზღვა ლაშქრით მოვიდა დარუბანდის სანახების წინააღმდეგ და დიდი ომი გადაიხადა. შვიდასზე მეტი კეთილშობილი დაიღუპა. ესენი დამარხეს სასაფლაოზე, რომელიც დარუბანდის დასავლეთი კედლის გარეთ ერთი მილის დაშორებითაა. მათი საფლავების ქვებზე „სულუსი“ და „ქუფი“ ხელით გამოყვანილია თარიღი და სახელები. მათ შორის ჰადისთა სამოცდაათამდე გადმომცემია, ამაყობენ აქაური წარჩინებულები. ოსმალთა საფლავებიც არის; „ჯილის“ ხელით [გაეთვალი] წარწერუბი აქვთ. ესენი რომ დაწერილებით ავწერო, ჩვენი „მოგზაურობის 312 წიგნი“<sup>18</sup> მეტისმეტად გაჭიანურდება. ჯებელ არბაინის წმინდა საფლავი ანუ ოჩმოცა ადგილი, ორმოცა დიდი აკლდამა და ადამიანთა წმინდა საფლავია. დედე კორეულის<sup>19</sup> წმინდა საფლავი: დიდი მეუფეა. შირვანელებს ეს სულთანი სწამთ ყველა ესენი მოვილოცეთ, დარუბანდის ხანისაგან მივიღეთ ათი თუმანი „ყაზი-ბეი“, ერთი ლურჯა ცხენი, ათი ნაქერი მუჯერათის ბამბის ქსოვილი, რომელიც კარგად იყიდება, ორასი თანამგზავრი და რჩეულ მეგობრებს გამოვეთხოვთ.

## LXXIV

### დარუბანდიან საქართვილოსაკან გამზავრება

ციხიდან ჯერ სამხრეთისაკენ 12 საათი ვიარეთ ტყე-ლრეში და დალისტნის ფარგლებში დაბა გორაში მივეღით.

სადგური გორა: ეს არის დაბა, რომელიც დალისტნის მბრძანებელ შაპ მიხალ-ხანის სატახტო ყაბასარანის ფარგლებშია. ბალ-ვენა-ში, ათასი შემკული და კეთილმოწყობილი სახლი, პატარა ჭამე აქვს. სავაჭრო რიგები და ბაზარი არა აქვს, ოლონდ, პარასკევობით გარშემო სოფლებიდან ხალხი იყრიბება და აღებ-მიცემობას ეწევა. თუმცა, არ იცან, რა არის ალთუნი, ყურუში — ვაჭრობა გაცვლა-გამოცვლის წესით წარმოებს; უხსოვარი დროიდან ასეა. მისი ათი ათასამდე მცხოვრები შაფტის მოძღვრების მიმღევარნი, წმიდა რწმენის, ღვთისმოსავი ადმინისტრები არიან. ამ ქალაქში ერთი ქალი არ დამინახავს. თურმე, დალისტანში ქალი მხოლოდ მაშინ ათვალიერებს ქალაქს, როდესაც უკვე განსვენებული სასაფლაოზე მიჰყავთ! ქალებს მაშინაც კი არ შეუძლიათ ზღურბლს გადაბიჯონ, წმინდა ჰაჯის შესასრულებლად წასვლაც რომ უნდოდეთ. მცხოვრებლები მხიარული სახის, საუცხოო მე-

გობარი, ჭანიანი ადამიანებია. კარგი ბალ-ვენახები აქვთ. აქედან ავიყარენით. ისევე ბალებსა და ხეივნებში ვიარეთ და ავართა ქვეყანაში მივედით. იგი დაღისტნის მბრძანებლის სახასო ქვეყანაა. სამი დღე ამ ქვეყნის სოფლებს ვათვალიერებლით და ქალაქ სერირ ულ-ლანში მივედით. ამ ოლქის ციხე ქველ დროს არის აშენებული პორმუზ თაჭდარ ბენ ანუშირვანის<sup>1</sup> მიერ. ||მას შემდეგ, რაც ამ ქალაქისათვის მრავალი 313 ომი და ბრძოლა მოხდა, ირანის შაჰმა, ბრძა ხოდანდებ დაღისტნის მბრძანებელს წაართვა. ოსმალები არ დაეპატრონონო და ციხე დაანგრია. ამჟამად სპარსელების ხელშია. არეშის ციხის მბრძანებლის მიწაზე, იალბუზის მთის კალთაზე მდებარეობს. დაღისტნის მატიანებში წერია: „ამ ქალაქისათვის სარირ ულ-ლანის დარჩემენის მიზეზი წინასწარმეტყველი სოლომონის მიერ მის კეთილმოწყობაა, როდესაც მან ჰერში სეირნბის დროს ტახტი აქ დაიდგა და იალბუზის მთას ათვალიერებდა“. ძველი ქალაქია, რომელიც დარუბანდის, შემახასა და ნიაზაბადს შორის მდებარეობს. რადგანაც სამ საზღვარს შორის მდებარეობს, მაინცადამაინც კეთილმოწყობილი არაა. იმის გამო, რომ მისი ჰავა ცივია, ბალ-ვენაზი ცოტა აქვს. სამიათასმდე მიწის ბანიანი სახლი და ჯამები აქვს. მის ჯამებს ჯამათი ცოტა დარჩენიათ, იმიტომ, რომ სპარსელთა ხელშია. შვიდი აბანო, თერთმეტი ქარვასლა, სამოცდაათამდე სავაჭრო რიგი და ბაზრის დუქწები აქვს. რადგანაც [მხოლოდ] ერთი ღამე დავრჩით სტუმრად, შიდა ნაწილი ველარ დავათვალიერე. სახანო და ყაზაა. ქალანთარი, მუნში, ტარულა და ათასამდე ნოქარი ჰყავს. მოსახლეობის უმრავლესობა სუნიტია. ბამბის ქსოვილებს ქსოვენ. რადგანაც ჰავა მშევნიარია, მისი ლამზმანები განთქმულია. მის დასავლეთით ერთი მდინარეა, რომელიც იალბუზის მთიდან გამოღის და მდინარე მტკვარს უერთდება. აქედან კვლავ სამხრეთისაკენ ვიარეთ და ხათანის ოლქში მივედით. [ხათანი] დაღისტნის მბრძანებელის ერთ-ერთი ოლქის კეთილმოწყობილი და გაშენებული დაბაა, რომელსაც სამასი სოფელი ეკუთვნის. მისი ერთი შხარე იალბუზის მთაა. აქაც სამი დღე ვათვალიერეთ მისი სოფლები და სოფელ წახურში<sup>2</sup> მივედით. ას ორმოცდაათ სოფელს შეიცავს<sup>3</sup>. დაღისტნის მბრძანებლის ერთ-ერთი ტომის მეთაურის — ემირ ჯუსუფ-ბეგის საბრძანებელშია. მაგრამ მრავალჯერ ნამყოფი არიან სპარსელების მორჩილებაში. ამჟამად მისი მოსახლეობა შაფას მოძღვრების მიმდევარი სუნიტები, შვიდი ათასამდე მეომარი ხალხია. მათ ბეგთან ერთი ღამე ვისაუბრეთ. მან გვიძლვნა კვერნის 50 ქურქი და გარეული კატების ქურქები. მე, მწირმა, კი ვაჩქე სამი მოხატული კაია-სულთანის ხელსახოცი. ამ სოფელში შეის ემირ-სულთანის წმიდა საფლავია. დიდი სულთანია. დაღისტნის ამ ოლქში რომ ულემები და ლვთისმოსავები

არიან, ასეთებს. სხვა მხარეებში ვერ ნახავ. ამ ქვეყანაში არ არის სიც-  
314 რუე, ჭორაობა, სიავე, ბოროტგანზრახულობა, სიძულვილი, ||ამპარტავ-  
ცობა, მტრობა და შულლი. მწვალებელ რაფიზიშეს არც თავის ქვეყა-  
ნაში უშვებენ და არც ყიდვა-გაყიდვას ეწევიან მათთან. წელიწადში  
ერთხელ აქ დიდი ბაზრობა იმართება, დალისტანი აქ გათავდა და აი,  
ამიერიდან საქართველოში შევეღით.

საზღვარზე მდებარე უდუდის ციხის შესახებ: ირანის მბრძანებ-  
ლობაშია. ეს ციხე ხელმარტცხივ მოვიტოვე და მე, მწირი, შექს ცი-  
ხის საზღვრებისაკენ წავეღით. სოფელ ზუპურიაში მივეღით. საქართვე-  
ლოში, თეიმურაზ-ხანის სამფლობელოს ფარგლებში, თბილისის ხა-  
ნისაღმი დაქვემდებარებული დიდი სოფელია. მისი ქვეშეგრდომები  
ქართველი აზნაურები, სომხები და გოქდოლაკები არიან. აქედან გზა  
განვაგრძეთ და ქალაქ „კახეთში“<sup>3</sup> მივეღით. საქართველოშია და ირანის  
გრძანებლობაში იმყოფება. მისი პირველი ამშენებელი ანუშირვანია-  
ღროთა განმავლობაში [ციხე] ზოგ აღგილას დანგრეულა. მისი გარე-  
შემოწერილობა თოთხმეტი ათასი ნაბიჯია. ას სამოცდაათი ბურჯი და  
სამი კარიბჭე აქვს. შიდა ციხეში ორი ათასი კეთილმოწყობილი სახ-  
ლია. დანგრეული ჯამები, ფუნდუკი და აბანოები, საგვრჩო რიგი და  
ბაზარი აქვს. მისი წყალი ანკარაა. წყლები იალბუზის მთის ცხრა ფე-  
ნის ქვემ კალთებიდან გამოდის და „კახეთის“ ბაღ-ვენახებს რომ  
მორწყავს, მდინარე მტკვარს ერთვის. მისი აბრეშუმი ქებული არაა,  
რაღაც ჰილი სიცივისაკენ იხრება. მისი მოსახლეობა სომხები, გოქ-  
დოლაკები და ქართველები არიან. მათი მბრძანებელი ცალკე სულ-  
თანია. ათასმდე ნოქარი ჰყავს. თორმეტი აღმასრულებელი და ყადი  
ჰყავს. სანამ შაპ-ისმაილსა და სულთან სელიმ-ხან [პირველი] შორის  
ჩილდირის მიმდებოდა, [შაპ ისმაილი] აქაური ჰავით დამტკბარა,  
ქალაქში სამი წელი უცხოვნია. ციხის გარეთ აუშენებია ჭადრაკულად  
დაგეგმილი ქუჩებიანი დიდი გარეუბანი; გეგონება შუა უნგრეთის  
ქვეყანაში მდებარე ქალაქი კეშაა. [ჩილდირის] ომში კი შაპის ასიათას-  
მა ჯარისკაცმა ხმლის კბილებში გაიარა, მხოლოდ შაპი გადარჩა და  
აზერბაიჯანში შეაფარა თავი. შემდეგ იერიშით მომავალი ოსმალთა  
ჯარი და საქართველოს ლაშქარი ამ ქალაქში მოვიდნენ, დაარბიეს და  
აიკლეს. შემდეგ ხანებშიც იმდენად ვერ გაშენდა. როდესაც ფერიად-  
ფაშამ აზეშის ციხე გრაბელა, ამ [კახეთის ციხის] ქვები უჩქებით იქ  
წაალებინა. მისმა სულთანმა მე, მწირს, მეგობრულად მომცა ერთი  
დღის სავალზე გამცილებელი. სამხრეთისაკენ ვიარეთ და ნოდარი-ხა-  
315 ნის სოფელში გავჩერდით. მდინარე მტკვრის //ნაპირას მდებარეობს.  
ათასი სახლი, ჯამე, ფუნდუკი და აბანო აქვს. აქდანაც გზა განვაგრ-  
ძეთ და თბილისის ციხეში მოვეღით.

ამბავი თბილისის შესახებ: ირანელი ისტორიკოსის — „შერეფ-ნა-მეს“ ავტორის სიტყვით, ეს ქალაქი აუშენებია აღექსანდრე მაკელო-ნელის ხაზინადარ ბითლისის. ვანის ვილაიეთში რომ არის ბითლისი, ისიც მას აუშენებია. შემდეგში ეს ციხე მოჯანყების მიერ მრავალჯერ ყოფილა ალყაშემორტყმული, ხელიდან ხელში გადაღიოდა და ბოლოს საქართველოს ერთ-ერთი მმართველის — დაუთხანის მფლობელობაში აღმოჩნდა. ამ უკანასკნელის ხელში რომ იყო, ოსმალთა შიშით ირანის შაპს შეაფარა თავი, გვირგვინი დაიდგა და თავის სამფლობელოში ხანი გახდა; დიდხანს მულქიერის წესით ანუშარვანივით სა-მართლიანად განაგებდა. რომ აყვავა და გააშენა [ქალაქი], ბოლოს, სულთან მურად მესამის ღროს ლალა ფერპალ-ფაშე<sup>7</sup> მიწაზე დაუტევლი, ურიცხვი ლაშერით წამოვიდა საქართველოშე, ჩილდირის ციხე და მასზე დაქვემდებარებული სამოცდაათი ციხე დაიპყრო. როდესაც დაუთხანმა გაიგო, რომ დიდებული სარდალი თბილისისაც გამოემართა, ორმოცი ათასი მეომარი თბილისის დასაცავად დაყენა და ჰამრად მოემზადა. მეორეს მხრივ [ოსმალთა] ჯარი სასწრაფოდ დაიძრა, შირვანის ველზე გეჩერდა და კარავი დასცა.

სარდალმა პირველად წერილი გაგზავნა თბილისში და [ისლამის] სარწმუნოებისაცენ მოუწოდა: „ან ისლამი მიიღეთ, ან ციხე ფაღიშაპს ჩაბარეთ და ციხის გარეთ მოხარაჭე ქვეშევრდომები გახდით. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაწყვეტილია, რომ ქეშმარიტი სარწმუნოებისა-თვის ყველა თქვენგანს აუცილებლად ხმლით ავკუჭავთ. თქვენს ცოლ-შეილსა და ჯალაბს ტყვედ წავიყავთ“<sup>8</sup>. წერილი რომ მივიდა და მისი შინაარსი ცნობილი გახდა, ყველანი შეირიბნენ და ბჭობა მოაწყეს. ოსმალომ, რაც უნდა, ის ქნას“—ო გადაწყვიტეს, ერჩი გააგდეს და ცი-ხეში ჩაიყეტნენ. მაგრამ წინდახედულმა პირებმა, რომელთაც იცოდ-ნენ რომ ისლამის ჯარების შემოტევას ვერ გაუძლებდნენ, ისევ მო-ითათბირეს; [ამის შედეგად] ყველამ ქვეყანა დატოვა და ციხე დაცა-ლეს. დიდებულმა სარდალმა ეს ამბავი რომ შეიტყო, ისლამის ლაშქ-რით დაედევნა, თბილისის ახლოს მდინარე მტკვარი გადალახა, ერთი დღე და ერთი ღამე ქვენებით იარა და ზაგემის ცახის ძირას თბილისის ხანს წამოეწია. ისინი ცოლ-შეილითა და ჯალაბით ჯაგნარსა და ტყე-ლრეში გამაგრებულიყვნენ. მუსლიმი გმირები თავს დაესხნენ დაქარ- 316 თველებსა და ყიზილბაშებს თავები დააყრევინეს. ძალიან დიდი ნადავ-ლო ჩაიგდეს ხელში. ყველაზე უბრალო მეომარმაც კი იმდენი ოქრო იშოვა, ერთ ფარს გაავსებდა. ამის შემდეგ, ძლევამოსილმა სარდალმა იანიჩართა აღა იანიჩართა შვიდი ღდათი თბილისის ციხის დასაკავებ-ლად გაგზავნა და თვითონ ისლამის ლაშქრით ზაგემის ციხის დასა-კყრობად დაიძრა. ციხე დანებდა და ისე დაიკავა. შიგ ჯარი ჩასხა. შემ-

დეგ ჩრდილოეთისაკენ გაემართა და გრემის ცახეს ალყა შემოარტყა. ციხემ ოსმალთა იერიშის ძალას ვერ გაუძლო. [ციხის მცველებმა] შეწყნარება ითხოვეს და ციხე დიდებულ სარდალს ჩააბარეს; შიგ მყოფნი კი ჭოჭოხეთში გაიქცნენ. მე, მწირს, ზაგემის ციხე არ მიჩახავს, მაგრამ როდესაც კახეთის ციხის ველით გავდიოდი, გრემის ციხე დავინახე, ოღონდ შიგ არ შევსულვარ. ოსმან-ფაშამ ამ ქვეყანაში სანადიროდ გამოსული ლომდივით აიღო ოცდაექვსი დიდი და პატარა ციხე. შიგ ჭარი და მეციხოვნები ჩააყენა. შემდეგ გაღასერა მანძილუბი და თბილისში შესვლის დღეს დიდი სიხარული და ზეიმი შეიქნა. შემდეგ ლირსეულმა სარდალმა ციხე ძალზე გამაგრა და მისი ვილაიეთი აღწერა<sup>9</sup>. მართვა-გამგეობა მირ-მირანობის წესზე კასტამონუს ვილაიეთის განმგებელს სოლაკ ფერპალ-ფაშას ძე მეცმელ-ფაშას<sup>10</sup> ჩააბარა, სხვადასხვა საომარი საჭურველი და მოწყობილობა შეავსო. იანიჩართა ოცი ოდა, ჭებეჭობის ხუთი ოდა, თოლეტუების ხუთი ოდა [და] ას სამოცდაათი სხვა დანგრეული ციხეებიდან გამოყვანილი ჭარები [თბილისის ციხეში] ჩააყენა. თირეს, მენთვეს, თექეს, ჰამიდის საჯაერებისა და სივასის ვილაიეთის ჭარები მთლიანად მეციხოვნებად გამარტესა. საქართველოს სხვა მხარეებიც მოწესრიგა და სტამბოლისაკენ გაემართა.

ამის შემდეგ სპარსელებთან ერთად საქართველოს ურჯულოებს თბილისის ციხე შეიძიო თვის განმავლობაში ალყაშემორტყმული ჰქონდათ. ყველა მუსლიმი გმირი შიძშილისა და სიძვირისაგან უკიდურეს გაჭირვებაში აღმოჩნდა. ისინი იძულებული გახდნენ ეჭმათ ჭერ ცხენები, ბოლოს ძალუბი და თანდათანობით — ბრძოლაში დაცემულ მუსლიმ მებრძოლთა გვამებიც. ისეთი [სიძვირე იყო], რომ ერთი სუბაშის ძალით შეიძიო ათას ახად იყიდეს და შეკამეს. ასეთ ყოფაში მტრის ყოველის მხრიდან თავდასხმას მიმაცად უწევდნენ წინააღმდეგობას. ღვთის განგებით, არზრუმის ვალი მუსტაფა-ფაშა<sup>11</sup> ზღვა ლაშქრით გამოეშურა და რომ მოაღწია, სპარსთა სარდალი იმამ-ყული<sup>12</sup>, რომელსაც ციხისათვის ალყა ჰქონდა შემორტყმული, გაიქცა და პუ-317 არებელი ნადავლი და სურსათი ბრძოლის ველზე დატოვა. ციხეში გარშემორტყმული გმირები განუზომელი ნეტორებით აღივსნენ. მუსტაფა-ფაშა რომ მივიდა ციხის ძირას, ისლამის ჭარი გამოცოცხლდა. შეორედ დიდვეზირის შეიღმა ჰუსნი-ფაშამ სამი ათასი აქლემის საპალნე ხორბალი, სხვა მარცვლეული სურსათი მოიტანა და ამბობდა შეინახეს. პატარა ციხეში ახლაც არის საწყობები. სულთან მურად მესამის დროიდან სულთან მუსტაფას ტახტზე ასვლამდე<sup>13</sup> ეს ციხე ოსმალთა ხელში იყო. შემდეგ ჭაროველი ურჯულოები და სპარსელები შეერთდნენ, მოულოდნელად მიიტანეს იერიში, შიდა ციხიდან მუსლი-

მი გმირები შეწყალებით გამოიყვანეს და ციხე შაჰს ჩაბარეს<sup>14</sup>. იმ დროიდან სპარსელთა ხელშია. ძალიან კეთილმოწყობილი და გაშენებულია.

თბილისის ციხის აღწერა: მდინარე მტკვრის ნაპირზე, ციცაბო კლდეზე ერთმანეთის პირდაპირ ორი ციხე, რომელსაც ბითლისს — თბილისს უწოდებენ. მათ შორის მდინარე მტკვარი მიედინება. ჩადგანაც ერთი კლდიდან მეორე კლდეზე დიდი ნიღია [გადებული], ერთი ციხიდან მეორემდე აღვილად გადაისცება. დიდი ციხე მდინარე მტკვრის სამხრეთითაა და პატარა ციხე — ჩრდილოეთით. მდინარე მტკვარი: დიდ ციხეს ველის მხარეზე აქვს კარი, რომელიც პატარა ციხისაკენა გაყვანილი. ამ კარის წინ მტკვარი კედელს ეხეთქება და სე მიედინება. შვიდი დღის სავალზე ბაქოს ციხესა და ქალაქ გილანს შორის ხაზართა ზღვას ერთვის. სათავეს ჩილდირის ვილაიეთის მთებში იღებს, ყარა აზტარანზე გამოივლის, ახალციხისა და აწყურის ციხეებს ჩაუვლის, თბილისზე გაივლის და ხაზართა ზღვას ერთვის. ძალიან დიდი მდინარეა და ირანელი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ მას ათას სამოცამდე შენაკადი აქვს.

ამ მდინარის პირას, ციცაბო კლდეზე ბითლისის მიერ აშენებული დიდი ციხის გარშემოწყერილობა ექვთა ათასი ნაბიჯია. მაგრამ ძველი ნაშენია. კედლის სიმაღლე სამოცი წყრთაა. სამოცდაათი ბურჯი და სამი ათასი ქონგური აქვს. ერთი ხიდიანი კარი აქვს. თხრილი არა აქვს. მდინარე მტკვარს ერთი წყლისთვის განკუთვნილი, ხვრელიანი კოშკი გადაცყურებს: ალის დროს იქიდან იქლვენ წყურების. გალავნის შიგნით ექვთასი ბანიანი სახლია. ხანის სამახლე ამ ციხეშია, ჭამე, ქარუასლა, აბანო და მცირე ბაზარი აქვს.

პატარა ციხე შემდეგიარის აშენებული ეზდიგერდ-შაპის მიერ<sup>15</sup>. 318 ერთ ციცაბო გორაკზე დგას. ოთხეუთხა, პატარა ციხეა. ხიდის თავში პატარა კარია. შიდა ციხეში სამასი სახლი და ჭამება, მაგრამ ბაზარი და სხვა არა ნაგებობა არაა. ეს ციხე დიდი ციხის ჩრდილოეთით მდებარეობს. პატარა ციხე დიდ ზღვდეზე მტყიცეა. [ციხის] კოშკებს სამი ათასი მეციხოვნე იცავს. ყოველ ბნელ ღამეს მცველები „ხოდა ხუბ“-ს<sup>16</sup> გაიძახიან.

მცხოვრებთა უმრავლესობა ოსმალთა დროიდან მოყოლებული სუნიტებია და პანეფისა და შაფის მოძღვრების მიმდევრები არიან<sup>17</sup>. ულემა ბევრია.

აქ მოპყავთ ხორბალი; წმინდა და თეთრი თბილისური პური, თეთრი და წითელი ატამი. ქებულია მისი ბამბა და ანგორის მატყლი. მდინარე მტკვარს მოსავლისათვის სარგებლობა არ მოაქვს. ყველაფერი

წყიმის წყალობით მოდის. თუმცა მდინარე მტკვარი თავის შენაკადებიანად ასორმოცდაათამდე დასახლებულ აღვილს ჩაუკლის, არცერთი მათგანისათვის სარგებლობას არ იძლევა. ამიტომ არის, რომ მას „ქრი“ უწოდებენ. მონლოლურად ამ მდინარეს უსარგებლოს მნიშვნელობით „ურ“-ს<sup>18</sup> უწოდებენ. თუმცა მისი წყალი ძალზე ვემჩინელია, რადგანაც დაბალ დონეზე მიმღინარეობს, მაღალ აღვილებს ვერ რწყავს.

მისი [ჩვეულებრივი] აბანობი ქებული არ არის, რადგანაც ქალაქში ცხელი წყლებია.

თბილისის ცხელი წყლების აღწერა: დიდი ციხის აღმოსავლეთით ბუნებრივი ცხელი წყალია. წყალი ისეთი ცხელია, რომ შიგ ცხერის თავ-ფეხი მოიხარშება. გუმბათითინი, სასარგებლო ცხელი წყაროა.

წმინდანთა საფლავები: იმაში ჰუსამ-ეფენდი, ფერპალ-ფაშას ქეთ-ხუდა რიდვან-აღა, ჯემ ალი-ეფენდი სიბრძნის ოკეანე ყოფილან.

თბილისი კახეთის ციხიდან ხუთი დღის სავალზეა. არეშის ციხემდე არ მოხის დღის სავალია და განჯის ციხემდეც — ოთხი დღისა.

ორას თანამგზავრთან ერთად სამი თუმანი აბასური ფული გზის სახარჭო მივიღეთ, სამხრეთისაკენ ვიწრო გზებით ვიარეთ და მოხ საათში მცხეთის<sup>19</sup> ციხემდე მივედით. ციცაბო კლდეზე პატარა, ოთხ-კუთხა ციხეა. სპარსელების მბრძანებლობაშია და ობილისის ნაპიეა.

გორის<sup>20</sup> ციხეც ჩვენს მარჯვნივ, ერთ მაღალ გორაკზე მოჩანდა. მასთან არ მივსულვართ, შორიდან დავათვალიერეთ; აქედან გზა განვაგრეთ პირდაპირ და სურამის<sup>21</sup> ციხესთან მივედით. თბილისის ხანის მბრძანებლობაში მყოფი, გორაკზე მდებარე პატარა ციხეა, მაგრამ უაღრესად ძლიერი, მტკიცე სიმაგრეა, რომლის ბურჯები და კედლები ცას ებჯინება. ||მისი აშენებელი ანუშირვანია. საქართველოს ერთი უძველესი ციხეთაგანია. მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველები, გოქდოლაკები და სომხები არიან.

აქედან ავიყარენით, დასავლეთისაკენ 4 საათი ვიარეთ და აწყურის ციხეს მივაღწიეთ.

აწყურის<sup>22</sup> ძელი ციხის აღწერა: [იმ ციხეს] ალექსანდრეს ქვაბულს უწოდებენ. ისტორიულ თხზულება „შარაფ-ნამეს“ მიხედვით საქართველოში პირველად აშენებული ციხე ეს არის. დიდი ალექსანდრეს აშენებულია. ის გარემოება, რომ დიდი, ოთხკუთხა. გრანატის [ნაგებობა], გვიჩვენებს, რომ ალექსანდრეს აშენებულია. ოთხკუთხა ძველი ციხეა. საქართველოს მიწაზე, ახალციხის საზღვრებში სამო-

ადგილებ არის. სამხრეთისაკენ ერთი კარი აქვს. მას აღა განაცებს. ორასამდე ჭარისკაცი ჰყავს. ჯამე, ფუნდუკი, აბანო, ორმოც-ორმოც-დაათამდე ღუქანი აქვს. თვალწამტაცი ვენახები და ბაღები ბევრია. რაღანაც აქაურობა საქართველოს შავშეთის ხალხის საზღვრებშია, ცხოვრები ქართულად მეტყველებენ.

## L XXV

### შავშეთის კართველობის ენა!

ართ — ერთი; ორი — ორი; სამ — სამი; ოთხი — ოთხი; ხუთ — ხუთი; ექსი — ექსი; შლი — შვილი; ზ(რ)ვა — რვა; ხერია — ცხრა; ათი — ათი; ფუქ(რ)ი — პური; ჩილალ — წყალი; ხრჯ — ხორცი; ღით(რ)ე — ღვინო; ბაქ(ლ) — ბალი; ფსმალ — მსხალი; ქუვახ — კვახი; ლლი — ლელვი; კურზთ(ნ)ი — ყურძნი; რათხლი — თხილი; ნსუ — ნცვი; ფრონჩ[წ]უღული — ბრონქული: ხრბუჯგ — ხაბურზაყი; ფრ(ე)ოლი — ბეოლა; კ[გ]ოკ[გ]ო — გოგო; კ[ქ]ალ — ქალი; აქ[ქ] მოღ ბჯო — მოღი, ბიჭო; ფ[პ]ურ ჭამოს — პური კვამოთ; დაჯდ ბჯო — დაჯექ, ბიჭო; ... ...<sup>2</sup>; არ ს[წ]ვილს ხშამ — არ წახვიდვ უდაბნოში; აქ[ქ] ფ(ბ)ათ-ტ[ტ]ონი — მოღი, ბატონი; ფ[პ]ური ჩქ[ქ]მოს — პური ვჭამით; ...<sup>3</sup>; აქ[ქ]მოღ არ ს[წ]ვიდშ(ს) — მოღი, ნუ წახვალ; დაჯდ ფ[ბ]ათ[ტ]ონ — დაჯექ, ბატონი; ფ[ბ]ათ[ტ]ონ ერთ — ბატონი ერთი; აქ[გ]იმ ფ[პ]ათ[ტ]რია — ვნახო პატარაა; იდიდი არსი — არა დიდია; || არ 320 ტყ[ყ]დოს — არ ვყიდულობ: კარ არ არჩას კ[გ]ლხა — კარგი არ არის, გლახაა; ჩ[ც]იხი — ცხენი; ჩ[გ]ორი — ჭორი; ვრი — ვირი; ჩ[ქ]აღლლი კუ-დიან — ძაღლი ეშმაკია.

კილევ ბევრი სიტყვა და გამოთქმა აქვთ, მაგრამ რაღანაც კალამს არ მოჰყება, მხოლოდ ამდენის დაწერა შევძელი.

საქართველოს შეფეხბის წარმომავლობა<sup>4</sup>: ნიმროდიდან წარმომავალ ხალხებში პირველი ებრაელები არიან. მათ შემდეგ — ქართველების დადიანისა და შავშეთის ხალხები. ამათ შემდეგ გურიელი, აჩი ბაში, მეგრელი ხალხია. ყველა ესენ ებრაელები და, დავითის — მშვიდობა იყოს მასზე — მჩევრაზაგანი იყვნენ; ქრისტიანობა მითხემეს და სახარების მიხედვით მოქმედებენ. ესენი თორმეტ ენაზე ლაპარაკობენ. თითოეული მათგანი თავის კილზე ლაპარაკობს. ვერაფრით ვერ გაი-გვა. მათი აზრით, შავშეთისა და დადიანის ხალხები უნატიუჯეს ენაზე მეტყველებენ. მოსკოვის ხელმწიფის შთამომავლობა რომ ამოწყდეს, ამ საქართველოდან ერთ ბეგს წაიყვანენ და გაამეფებენ. კეთილშობილი

ხალხებია. ქართველი მღვდლები ჩემულობენ, რომ მათი საგვარეულო შტო აღის ქეიქავუსამდე და მისი მეშვეობით კი — წინასწარმეტყველ დავითამდე. ამგვარად, ერთ უცნაურ ამბავს მოგვითხრობენ: „საქართველოში ერთი ხელმწიფე იყო. მის შემდეგ გამეფდა მისი ქალიშვილი, რომელსაც თამარი ერქვა. მამისაგან მეტყვიდრეობით მიღებულ სამფლობელოში მართვა-გამგეობა დაიწყო. [ამ] დედოფლის ქალიშვილი სრულწლოვანი რომ გახდა, მეფის შვილს მისცეს, რომელსაც ბეგ დივანი ერქვა. ამ ქალიშვილს სამი ვაჟი შეეძინა. ბიჭები რომ დავაკაცადნენ, საქართველო გაინაწილეს. უფროს უფლისწულს, რომელსაც მარულა ერქვა, მისცეს ქუთათისის ქვეყანა, რომლის ნამდვილი სახელი აჩიკ ბაშის ქვეყანაა. ამგვარად, ბაში აჩუკის ხალხის შთამომავლობა ამ დიდი უფლისწულისაგან მოდის. შუათანა ვაჟს სიმონს თავრიზის ოლები მისცეს. უმცროს ვაჟს — დადიანს — ბალითის ქვეყანა ამგვარად, დადიანის ხალხის წარმომავლობაც მას უკავშირდება. იმის გამო, რომ ეს დადიან-ბეგი ქვეყნის დამამშვენებელი, სამართლიანი მმჩრდანებელი იყო, მთელი საქართველო მას დაემორჩილა. ამერაძ, საქართველოში სამეგრელოსა და იმერეთის ბეგებს ისეთსავე პატივს სცემენ, როგორც მღვდელმთაერებს. ხელმწიფები ტახტზე ასვლის დროს ამ სამეგრელოსა და იმერეთის ბეგების ხელით შემოირტყმან ხმალს. როდესაც შავ სელიმ პირველი ტრაპიზონში იყო [ბეგლარ-ბეგ-321 გად], ქუთათისის // ციხეში იმერეთის. ბეგთან კარგი მეგობრობა დამყარა. როდესაც დამოუკიდებელი ფრდიშაპი გახდა, იმერეთის ოლქს ხარაჯა და ურფის გადასახადი მოუხსნა და გაათავისუფლა. დღემდე თავისუფალი არიან. უბრალოდ, ყოველწლიურად სტამბოლში ტყვეებს, შევარღნებს, სონღულებს, ჭორებს და იშვათი სილამაზის ქართველ ქალებს აგზავნიან.

აქედან ავიყარენით, ნაყოფიერ ადგილუბში ვიარეთ და ახალცახეს მივალწიეთ. თუმცა ამისი სახელი „ახისხაა“, ამ სიტყვას გარშემო მცხოვრები ხალხები თავთავის ენაზე [სხვადასხვანაირად] ამბობენ. მაგალითად: „ახისკა“, „ახირკისკა“, „აკსიკა“<sup>7</sup>. მაგრამ ფალიშაპის დავთარხანში წერია: „ჩილდირის ვილაიეთის განშეებელი მავანი ფაშაო“. ციხის პირველი ამშენებელი ანუშირვანია. ანუშირვანი ყოველწლიურად საიალალოდ ექვს თვეს ახალციხეში ატარებდა. შემდეგ მრავალთა ხელში გადავიდა. „შერეფ-ნამეს“ ისტორიული ცნობის მოხედვით, ომაელი [ხალიფა] პიშამ ბენ აბდ ალ-მალიქი<sup>7</sup> სირიიდან მოვიდა ზღვისოდენა გარით, დაიპყრო ალეპოს, აინთაბის, მარაშის, მალათის, დაირბექირის, არზარუმის და სხვა ციხეები. შემდეგ საქართველოსაკენ გაემართა და ახალციხის ციხეც დაიპყრო. მას შემდეგ. რაც დამორჩილდნენ თბილისი, საქართველოსა და დალისტნის სხვა ქალა-

ქები, ჰიშამი სატახტო ქალაქ დამასკოში გაპრუნდა. შემდეგ ხანებში ქართველები თავს გავიღინენ, მთლიანად მიატოვეს ისლამი და მორჩილებიდან გამოვიდნენ. შემდეგ აქაურობა დაიპყრო აზერბაიჯანის მბრძანებელმა ყარა ყოიუნლუ ყარა ხუსუფმა<sup>8</sup>. ოქმური რომ გამოჩნდა, ყარა-ხუსუფმა ვეღარ გაუძლო და ოსმალო [სულთან] ბაიაზეთ ილდირიმ-ხანს შეაფარა თავი. შემდეგ ეს ციხე სულთან უზუნ ჰასანს დარჩა. თუმცა თემური უზუნ ჰასანის წინააღმდეგ წამოვიდა. უზუნ ჰასანი კეთილგონივრულად გაეშურა მისკენ, მის უზანგს ეამბორა და თავისი ქვეყანა ძარცვა-რბევას გადაარჩინა<sup>9</sup>. ამის შემდეგ აზერბაიჯანის სახელმწიფოს შეინის — სეფის შთამომავლის ე. ი. ირანის შაპის — ჸაპ-ისმაილის ხელში გადავიდა. ეს ახალციხე იალაღად აქცია და შემდეგ საქართველოს ხალხი დაიპყრო და დაიმორჩილა. [სულთან] ბაიაზეთ-ხანის<sup>10</sup> ხანაში ოსმალთა ვილაიეთი გააპარტახა და თვით ართა ჩიკურად წოდებულ სივასამდე შვილი სავილაიეთს აღგილი ხელში ჩაიგდო. იმ ღროს [სუფლისწული] სელიმ-ხან პირველი ტრაპიზონის მბრძანებელი იყო. ამ ავისმოქმედი შაპის ჭარს წამოეწია, ლომივით დაცხერა და ყველანი ამოწყვიტა. ფადიშაპი რომ გახდა, პირებული საღვთო ომის ნათლობას||რომ იტყვიან, მისი შედეგი იყო შაპ-ისმაილის 322 წინააღმდეგ ზღვა ჭარით გალაშქრება. ჩალდარანის ველზე [გამართულ] ომში ირანის ასიათასიანი ლაშქრის ამოწყვეტა — შაპ-ისმაილის სივასამდე შესევის პასუხად. ამ ომში შაპმა მხოლოდ თავის სიცოცხლის გადაარჩენა შეძლო და აზერბაიჯანში გადაიხვეწა. სულთანმა სელიმ-ხანმა კი ამ ომის შემდეგ მთელი გურჯისტანი<sup>11</sup> თავის მბრძანებლობას დაუმორჩილა.

ახალციხის ციხის დაპყრობის თარიღი: „იდუმალმა ხმამ თქვა მისი თარიღი — აიღო ირანის სახელმწიფო ოშმის სულთანმა“<sup>12</sup>.

შემდეგ იგი სელიმ-ხანმა ღიღ ვილაიეთად აქცია და ერთ ვეზირს უწყალობა. [ეს] ჩილდირის ვილაიეთი ცამეტი სანჯაყისაგან შედგება. ხაზინისა და თიმარის დავთარდარი, დავთრისა და ჩაუშების ემინი, ჩაუშების ქოთხუდა და ჩაუშთა ქათიბი ჰყაბა.

**სანჯაყები:** ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, ჭაჭარაქი, არტაანი, ფუცხოვი, მაჭახელა, ახალციხე — ფაშის სამყოფელი სანჯაყია, ფერთექრექი, ლივანი, მცირე ლივანი. შავშეთის სანჯაყები ჯურთლული და ოჯაფლივებია და მულქიეთის წესით არის მფლობელობაში.

**მისი ხასები:** ოლთისი 300 017 [ახჩა], ფერთექი 462 190 [ახჩა], არტანუჯი 280 000 [ახჩა], არტაანი 300 000 [ახჩა], შავშეთი 65 600 [ახჩა], ლივანი 365 000 [ახჩა]. ხერთვისი 200 500 [ახჩა]. ჭაჭარაქი 365 000

[ახჩა], ფოცხოვი 206 500 [ახჩა], მაჭახელა 20 322 [ახჩა], აჭარა 200 000 [ახჩა], ფანაკი<sup>14</sup> 400 000 [ახჩა].

თითოეულ სანგაუში არსებული ზეამეთები და თიმარები: სულ 656 თიმარი და ზეამეთია. კანონის მიხედვით ჯებელიებითურთ 800 მეომარი გამოდის. ფაშის ლაშქრიანად ათას ხუთასი მეომარია. ოლთისში 3 ზეამეთი და 123 თიმარია; დიდ არტაანში 8 ზეამეთი და 87 თიმარია; არტანუჯში 4 ზეამეთი და 42 თიმარია; კაპარაჯში 2 ზეამეთი და 72 თიმარია; ხერთვისში 13 ზეამეთი და 35 თიმარია; ფოცხოვში 12 ზეამეთი და 68 თიმარია; ფანაკში 8 ზეამეთი და 54 თიმარია; სასინი<sup>15</sup> 7 ზეამეთი და 4 თიმარია. ლოჩე — 9 ზეამეთი და 10 თიმარია; ახალციხე — 10 ზეამეთი და 17 თიმარია; ახალქალაჯში 11 ზეამეთი და 32 თიმარია; ხათლა<sup>16</sup> 18 ზეამეთი და 7 თიმარია, ისპირში 4 ზეამეთი და 14 თიმარია. საღაშქროდ წასვლის პირობის უზრუნველყოფად პთას სამოცი სოფლიდან ყოველწლიურად სამასეული ქისა შემოდის. ზეამეთებისა და თიმარების მფლობელების საჩარია. სულ თან სელიმ [პირველმა] ეს ვილაიეთი სანგაუშის ფაშის უბოძა ბრწყინვალე თუღრით და არზრუმის, სივასის, მარაშის, ადანას, ოზმას ვილაიეთები ჩილდირის ვალის დაუმორჩილა. მათი დაცვისათვის მუღმივი მზადყოფნა კანონი იყო. პირველად 500 ახჩის გასამრჯელობიანი დიდი ყადის ადგილი — მევლევიეთი უბოძა ესქელაბი რამაზან-ეფენდის. ახლა სამასახჩიანი თანამდებობის პატიოსანი ყაზაა. მის ყადის სამართლის წარმოებისათვის წლიურად შემოუდის 7 ქისა. ფაშის კი — 80 ქისა. არის სუბაშის თანამდებობაც. ჩილდირის მირმირანისათვის სამეფო ხასი 400 000 [ახჩა]. ორი ათასმდე ჯარისკაცი, ციხისთავები, შვიდი ასეული მაღალი კარის იანისაჩათა აღა, ჯებეჯიების აღა, თაოთჩუების აღა ჰყავს. ყველა მხარე დასახლებული და გაშენებული იყო, მაგრამ 1044 (1634—1635) წელს ყიზილბაშებმა იხელთეს დრო და დაიყრეს. მას შემდეგ, რაც სულთან მურად მეოთხემ ირანს ერევანი წაართვა, ახალციხეც აიღო<sup>17</sup>. აქმდე შენდება და მშვენდება.

ახალციხის ციხის აღწერა: ციცაბო გორაკზე ქვით მტკიცედ ნაები მომხიბვლელი ცახე-ქალაქია. ორი კარი აქვს. შილა ციხეში ათას ასამდე უვენახო, უბაღო, მიწით დახურული სახლია. ერთი კარი აღმოსავლეთითაა, მეორე — დასავლეთით. ოცდარვა მიპრაბი აქვს. ზემო ციხეში სულთან სელიმ პირველის ჯამე ძველი ნახელავი სამლოცველოდ და მიწის თხელი ფენითაა გადახურული. საერთოდ, ამ ქალაქში ტყვით დახურული შენობა არ არის. ამ მშვენიერი შენობის მინარეთი დანგრეულია. გუნდეთ-ოლოუს ჯამე მიწითაა დახურული; უმინარეთოა. ქვემო ციხეში ხალილ-აღას ჯამე ძველი აშენებული, მრავალრიცხვოვანი მრევლის პატრონი, ლამაზი და გულისგამამხიარულებელია. ვინაიდან

ვილაიეთის მცხოვრებნი სუნას მიმდევარი, მორწმუნე და ერთი ღმერთის მაღიარებელი ხალხია, ამიტომ, გარდა ხუთი ლოცვისა, ყველა ჭამეში ყურანი და სხვა ცოდნის წყარო იქითხება. საგანგებო სასწავლებელი, ჰადისების სახლი და ყურანის საკითხთავი სახლი არა აქვთ, მაგრამ ცოდნის მაძიებელი ბევრია.

ციხის გარეუბანიც დიდად კეთილმოწყობილი და გაშენებულია. ცნობილია დელი მექმედის ფუნდუკი და ექმექჭი ისა-ალა-ოლლუს ფუნდუკი. ბევრი წნულით შელობილი ბოსტნია. ლიდია ქველმოქმედება და სიუხვე.

მშენებერი წყალი უდეს მთებიდან მოდის, ამ ქალაქის ნათესებს 324 რწყავს და აწყურის<sup>18</sup> ციხისაკენ მიეღინება. აქედან ქვიშეთის ციხის სიახლოვეს მდინარე არეზს ერთვის<sup>19</sup>.

ამ ციხიდან გარეუბანში გადასვლა თხრილზე გადებული ხილით შეიძლება. გარეუბანს გალავანი არ აქვს. ამ უბანში სამასი პატარა დუქანია, დახურული ბაზარი არ აქვს. რაღანაც მისი პავა რამდენადმე მკაცრია, ხალხი ჯანიანი, მამაცი და სახელოვანია. განსაკუთრებით — ვილაიეთის ვალი ვეზირი საფარ-ფაშა<sup>20</sup>; წარმოშობით ქართველი, გულადი, უნარიანი, მოასპარეზე ადამიანი იყო და ასევე, მისი ქეთხულა დერვიშ-აღაც ქართველის ჩამომავალი, კეთილშობილი ვაჟაცაცი იყო. სეიფი-აღა და სხვა საგვარეულოს ხალხი უნარიანი და ვაჟაცაცი ხალხია,

ახალციხიდან ერევანმდე ექვსი დღის სავალია. შუაში ყარსის ციხეა. ახალციხიდან თბილისამდე ხუთი დღის სავალია და წასვლა შეიძლება აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის გზით. აქედან განჯისაკენაც ხუთი დღის სავალია აღმოსავლეთით.

## LXXVI

ჩილდირის ვილაიეთის სხვადასხვა მასარები დამორჩილებული  
აა დაპროგრილი საკართველოს ციხესიმამართი

ჩილდირის ახლოს ხერთვისის ციხე ლალა-ფაშას მიერ 986 (1578) წელს არის დაპყრობილი. ლალა-ფაშამეგე დაიპყრო ხერთვისის ახლოს ახალქალაქის ციხე. ფარავანის<sup>21</sup> ციხე და დიდი ვალეს ციხე თუ მაღალ მთას შორის [მდებარე] მაღალ გორაკზე პატარა ციხეებია.

საქართველოს ერთ-ერთი ბურჯი — ქუთათისის<sup>22</sup> ციხე ჩილდირი-დან ორი დღის სავალის სიახლოვესაა. აჩიკ ბაშის ქვეყნის ბატახტოა. პრესტი — ის<sup>23</sup> მთის ახლოს გაშენებულია და გურჯისტანის დედაქალაქია. სელიმ-ხანის [ტრიაპიზონში] მოადგილეობის ღროს აქაურობა ოჯაყლიყის წესით სამფლობელოდ იქცა. ხასი 606 000 [ახჩაა]. ჭავარა-

ქის<sup>5</sup> ციხე ახალციხესა და არტაანს შორის ჩილდირის ვილაიეთში მდებარე ლიგაა. მირ-ლიგას სადგომია. ლალა-ფაშის დაპყრობილია. მისი ბეგის ხასი 365 000 ახხა. ალაი-ბეგი და ყადი ჰყავს. ხუთასი მეომარი გროვდება.

325 ქაჯის<sup>6</sup> ციხე 990 (1582) წელს ფერპად-ფაშის||დაპყრობილია. ჩილდირის ახლო ციცაბო კლდეზე [აშენებული] მაგარი ციხეა. ქალის<sup>7</sup> ციხეც ჩილდირის ახლო, მდინარე ჯაყის ნაპირას ციცაბო კლდეზე [აშენებული] შეუდარებელი ციხეა. ოქროს ციხე<sup>8</sup> ქვით არის ნაშენი და ქალის ციხიდან სამი საათის სავალზეა. ციხე თღორია<sup>9</sup> ახალციხის ახლო, მიუვალი პატარა ციხეა. ალის<sup>10</sup> ციხე ახალციხის ახლოს არის. ფოცხვისის<sup>11</sup> ციხე ახალციხის ვილაიეთში სანჯაყის ბეგის სადგომია. ხასი, ზემოთი და თიმარი ზემოთ არის მოხსენებული. 985 (1578) წელს ლალა მუსტაფა-ფაშის მიერაა დაპყრობილი. ასორმიცდაათ-ახჩიანი ყალის აღვილია. ალაიბეგი და ჩერიბაში ჰყავს. ძველ დროს შავშეთში ორთულიანი მირ-მირანი ჰყავდა. ჩილდირისაკენ შვილი საათის სავალია.

შავშეთის<sup>12</sup> ციხე: ოჯაკლიერის წესით არის სამფლობელო. ყადი არა ჰყავს. შავშეთში მიუღვიმელი და აუღებელი აღვილია.

ციხე ხარება<sup>13</sup>: არტანუჯის ციხის სიახლოვეს ერთი ხევის პირას მდებარე მიუვალი ციხეა.

არტანუჯის<sup>14</sup> ციხე: ჩილდირის ვილაიეთში სანჯაყის ბეგის სადგომია. ბეგის ხასი და ზემოთი არის მოხსენებული.

ციხე „უხთვევი“<sup>15</sup>: სანჯაყის ბეგის საჯდომია. სახცლმწიფო დათარში მაჭახელად<sup>16</sup> იწერება მიუვალი ციხეა. მისი ბეგის ხასი აღწერილია.

ქაყისმანის<sup>17</sup> ციხე: ჩილდირის ახლოს მიუვალი ციხეა. კიდევ სხვა ციხეებიც არის.

ამ სანახაობათა შემდეგ მისი აღმატებულება საფარ-ფაშისაგან თრი ქართველი ბიჭი, ერთი ცხენი, ერთი კარგი თოფი, ქართული წინდა და ასი ყურუში გვებოძა და თანამგზავრებთან ერთად არზრუშისაკენ გავემგზავრეთ.

## LX XVII

### ახალციხან არზრუშამდე მღვარე ადგილები

ახალციხიდან პირველად ვალგარის ზეგანი გადავიარეთ და 4 საათ-ში კილნავის<sup>1</sup> ციხეში მივედით. არტაანის ფარგლებშია. ისევ დასავ-

ლუთისაკენ ვიარეთ ციცაბო გზებით და ყარა-არტანის ციხეს მივაღწიეთ.

|| ყარა-არტანის ციხე: სელიმ-ხან პირველის დაპყრობილია. ჩილ- 326 დირის ვილაიეთში სანჯაფ-ბეგის სადგომია. მისი ბეგის ხასი 300 000 [ახჩა]. სანჯაყში 8 თიმარი და 87 ზეამეთი არის. ალა-ბეგი, ჩერი-ბაში, ციხისთავი, ორასი მეომარი ჰყავს. ბეგის ჯებელიებინად ათასი ჯარისკაცია. ას ორმოცდათი ახჩის თანამდებობის პატიოსანი ყაზა აქვს. ნაკიძ ულ-ეშრაფი არა ჰყავს. მისი მუფთი ახალკიხეშია. ციხე ციცაბო კლდეზე [დგას]; ოთხუთხა, მტკიცე, ლამაზი ციხეა. ერთი მხრიდან ზღუდე არ აქვს. სამოცდათორშეტი კოშკი და სამი კარი აქვს. მთავრობის სასახლეში მის მიერ გამოგზავნილი ჯებეჭიების ერთი ოდაა. ამ ქალაქში განთქმულია კადა-ფაშას ოხრილი.

არტანის ახლომახლო მდებარე ციხეები: ვალეს ციხე 987 (1579) წელსაა ლალა-ფაშას მიერ დაპყრობილი; კომისი ციხე არტანის ახლოსაა და 986 (1578)<sup>2</sup> წელს ლალა-ფაშას დაპყრობილია. ახარის ციხე ლოთისის ახლოსაა. ფეროჟეის ციხე, ჰამალა-რის ციხე, მამირვანის ციხე, ნაზარბათის ციხე, უზიზ საფარ-ფაშას ციხე, ქენეს ციხე, ყაზანის ციხე და სხვები ლალა-ფაშას დაპყრობილია<sup>3</sup>. ყმაწვილების სასწავლებლები, მცირე ბაზები, აქა-იქ პატარა ფუნდუკები არის. ჩადგანაც მისი ჰავა ცივია, ბალ-ვენახი არ აქვს. ხილი თორთუმიდან და აჭარის ციხიდან მოღის. არტანის მცხოვრებლები მართლმორწმუნე, ერთი ღმერთის მაღიარებელი, სუნიტი, სტუმართმოყვარე ხალხია. უმეტესობა ხნა-თესვებს ეწევა. ერთი ნაწილი ხმელეთზე მოვაჭრეა. მის მთებში სამური ხილი მოღის, რომელსაც „ქოქუმა“<sup>4</sup> ჰქვია. ეს ციხე არტარუმის ჩრდილოეთით ხუთი ღლის სავალზეა. არტანიდან ყარსი ერთი ღლის სავალზეა.

აქედან ისევ დასავლეთისაკენ გავიარეთ კლდოვანი აღგილები და კოლას ციხეში მივედით. ახალციბის მიწაზე საქართველოს ერთი ბეგის — ლევან-ხანის აშენებულია. სელიმ-ხანის დროს ჩატარებული აღწერის მიხედვით ჩილდირის ვილაიეთში სანჯაყის ბეგის სადგომია. მისი ბეგის სახასო, კანონის მიხედვით, 300 000 ახჩაა. ალა-ბეგი, ჩერიბაში, ციხისთავი და მეციხოვნები ჰყავთ. კოლას ციხე [სულთან] სელიმ-ხანის დაპყრობილია; ციცაბო კლდეზე დგას. ყადის თანამდებობა 150 ახჩიანია. ჯამე, ფუნდუკი და აბანო აქვს. აქედან ისევ დასავლეთისაკენ || 8 საათი ვიარეთ და ფანაქის ციხეს მივაღწიეთ. მისი 327 ამშენებელი ქართველი მეფის სახელი აქვს შერქმეულინ. [სულთან] სელიმ-ხანის დაპყრობილია. ჩილდირის ვილაიეთში შეღის და სანჯაყის ბეგი ზის. მისი ბეგის სახასო 400 000 ახჩაა. ალა-ბეგი, ჩერი-ბაში ჰყავს. კანონის მიხედვით, ჯებელიებითა და ბეგის ლაშქრითურთ, ათა-

ქის<sup>5</sup> ციხე ახალციხესა და არტაანს შორის ჩილდირის ვილაიეთში მდებარე ლიგაა. მირ-ლიგას სადგომია. ლალა-ფაშას დაპყრობილია. მისი ბევრის ხასი 365 000 ახჩაა. ალაი-ბევრი და ყადი ჰყავს. ხუთასი მეომარი გროვლება.

325 ქაჯის<sup>6</sup> ციხე 990 (1582) წელს ფერპალ-ფაშას|| დაპყრობილია. ჩილდირის ახლო ციცაბო კლდეზე [აშენებული] მაგარი ციხეა. ქალის<sup>7</sup> ციხეც ჩილდირის ახლო, მდინარე ჭაყის ნაპირას ციცაბო კლდეზე [აშენებული] შეუდარებელი ციხეა. ოქროს ციხე<sup>8</sup> ქვით არის ნაშენი და ქალის ციხიდან სამი საათის სავალზეა. ციხე ოდორია<sup>9</sup> ახალციხის ახლო, მიუვალი პატარა ციხეა. ალის<sup>10</sup> ციხე ახალციხის ახლოს არის. ფოცხოვის<sup>11</sup> ციხე ახალციხის ვილაიეთში სანჯაყის ბევრის სადგომია. ხასი, ზეამეთი და თიმარი ზემოთ არის მოხსენებული. 985 (1578) წელს ლალა მუსტაფა-ფაშას მიერაა დაპყრობილი. ასორჩიცდათ-ახჩინი ყადის აღვილა. ალაიბევრი და ჩერიბაში ჰყავს. ძველ ღრის შავშეთში ორთულიანი მირ-მირანი ჰყავდა. ჩილდირისაკენ შვიდი საათის სავალია.

შავშეთის<sup>12</sup> ციხე: ოჯაკლიყის წესით არის სამცულობელო. ყადი არა ჰყავს. შავშეთში მიუღომელი და აულებელი აღვილია.

ციხე ხარება<sup>13</sup>: არტანუჯის ციხის სიახლოვეს ერთი ხევის პირას მდებარე მიუვალი ციხეა.

არტანუჯის<sup>14</sup> ციხე: ჩილდირის ვილაიეთში სანჯაყის ბევრის სადგომია. ბევრის ხასი და ზეამეთი არის მოხსენებული.

ციხე „უხთეველი“<sup>15</sup>: სანჯაყის ბევრის საჯდომია. სახელმწიფო დავთარში მაჭახელად<sup>16</sup> იწერება. მიუვალი ციხეა. მისი ბევრის ხასი აღწერილია.

ჭაყისმანის<sup>17</sup> ციხე: ჩილდირის ახლოს მიუვალი ციხეა. კიდევ სხვა ციხეებიც არის.

ამ სანახაობათა შემდეგ მისი აღმატებულება საფარ-ფაშასაგან ორი ქართველი ბიჭი, ერთი ცხენი, ერთი კარგი თოფი, ქართული წინდა და ასი ყურუში გვებოძა და თანამგზავრებთან ერთად არჩერუშისაკენ გავემგზავრეთ.

## LXXVII

### ახალციხიდან არზრუშამდე გდებარე აღგილები

ახალციხიდან პირველად ვალგარის ზეგანი გადავიარეთ და 4 საათში კილნავისა ციხეში მივედით. არტაანის, ფარგლებშია. ისევ ღასავ-

ლეთისაკენ ვიარეთ ციცაბო გზებით და ყარა-არტანის ციხეს. მივაღწიეთ.

||ყარა-არტანის ციხე: სელიმ-ხან პირველის დაპყრობილია. ჩილ- 326 დირის ვილაიეთში სანჯაყ-ბეგის სადგომია. მისი ბეგის ხასი 300 000 [ახჩა]. სანჯაყში, 8 თიბარი და 87 ზეამეთი არის. ალაი-ბეგი, ჩერი-ბაში, ციხისთავი, ორასი მეომარი ჰყავს. ბეგის ჭებელიებიანად ათასი ჯარისკაცია. ას ორმოცდათო ახჩის თანამდებობის პატიოსანი ყაზა აქვს. ნაკიბ ულ-ეშრაფი არა ჰყავს. მისი მუფთი ახალეიხშია. ციხე ციცაბო კლდეზე [დგას]; ოთხუთხა, მტკიცე, ლამაზი ციხეა ერთი მხრიდან ზღუდე არ აქვს. სამოცდათორმეტი კოშეი და სამი კარი აქვს. მთავრობის სასახლეში მის მიერ გამოგზავნილი ჭებეჭიების ერთი ოდა. ამ ჭალაში განთქმულია კადა-ფაშას თხრილი.

არტანის ახლომახლო მდებარე ციხეები: ვალეს ციხე 987 (1579) წელსაა ლალა-ფაშას მიერ დაპყრობილი; კომკის ციხე არტანის ახლოსაა და 986 (1578)<sup>2</sup> წელს ლალა-ფაშას დაპყრობილია. ახარის ციხე ლოთისის ახლოსაა. ფერეექის ციხე, ჰამალარის ციხე, მამირვანის ციხე, ნაზარბათის ციხე, ყაზი საფარ-ფაშას ციხე, ქენეს ციხე, ყაზანის ციხე და სხვები ლალა-ფაშას დაპყრობილია<sup>3</sup>. ყაზანი სასწავლებლები, მცირე ბაზრები, აქა-იჯ პატარა ფუნდუქები არის. რაღვანაც მისი ჰავა ცივია, ბალ-ვენახი არ აქვს. ხილი თორტუმიდან და აჭარის ციხიდან მოღის. არტანის მცხოვრებლები მართლმორწმუნე, ერთი ღმერთის მაღიარებელი, სუნიტი, სტუმართმიყოფერე ხალხია. უმეტესობა ხვნა-თესვას ეწევა. ერთი ნაწილი ხმელეთზე მოვაპრეა. მის მთებში საამური ხილი მოღის. რომელსაც „ქოქუმა“<sup>4</sup> ჰქვია. ეს ციხე არზრუმის ჩრდილოეთით ხუთი დღის სავალზეა. არტანიდან ყარსი ერთი ღლის სავალზეა.

აქედან ისევ დასავლეთისაკენ გვიარეთ კლდოვანი აღგილები და კოლას ციხეში მივედით. ახალციხის მწარაზე. საქართველოს ერთი ბეგის — ლევან-ხანის აშენებულია. სელიმ-ხანის დროს ჩატარებული აღწერის მიხედვით ჩილდირის ვილაიეთში სანჯაყის ბეგის სადგომია. მისი ბეგის სახასო, კანონის მიხედვით, 300 000 ახჩა. ალაიბეგი, ჩერიბაში, ციხისთავი და მეციხოვნები ჰყავთ. კოლას ციხე [სულთან] სელიმ-ხანის დაპყრობილია: ციცაბო კლდეზე დგას. ყაღის თანამდებობა 150 ახჩიანია. ჯამე, ფუნდუკი და აბანო აქვს. აქედან ისევ დასავლეთისაკენ || 8 საათი ვიარეთ და ფანაქის ციხეს მივაღწიეთ. მისი 327 აშენებელი ქართველი მეფის სახელი აქვს შერქმეული<sup>5</sup>. [სულთან] სელიმ-ხანის დაპყრობილია. ჩილდირის ვილაიეთში შეღის და სანჯაყის ბეგი ზის. მისი ბეგის სახასო 400 000 ახჩა. ალაი-ბეგი, ჩერი-ბაში ჰყავს. კანონის მიხედვით, ჭებელიებითა და ბეგის ლაშქრითურთ, ათა-

სი მეომარი გამოჰყავს. მისი მცხოვრებლები ღვთისმოსტენი არიან, ხვნა-თესვას ეწევიან და მომჰირნეობით ცხოვრობენ. ძალიან კარგი წყალი აქვთ. მისი მოსახლეობა შედგება სომეხი გოქდოლაკებისა და ქართველი აზნაურებისაგან.

აქედან ისევ სამხრეთ-დასავლეთით ვიარეთ და 2 საათში მამირვანის ციხეში მივედით. ქართველი მბრძანებლების აშენებულია. ლალა ყარა მუსტაფა-ფაშას დაპყრობილია. ჭველთაგანვე სანჯაყის ბეგის სადგომი ყოფილა. ახლაც არზრუმის ვილაიეთში სანჯაყის ბეგის სადგომია. მისი ბეგის სახასო 203 000 ახშაა. ჩერი-ბაში და ალაი-ბეგი ჰყავს. ბეგის ჯებელიებიანად 500 მეომარი გამოდის. 150 ახშაინი წმინდა და ადგილია ყადისა. ციხისთავი, აზაბთა აღა და შეომრები ჰყავს. მისი ციხე ითხეუთხა, ძლიერი შენობაა. სამხრეთისაკენ ერთი კარი აქვს. სულ რვასი სახლია. მცხოვრებლები სუნიტები არიან და ნაკუშებენდის მიმღევარი ღვთისმოსაკი ხალხია. ჭამე, აბანო, ფუნდუკი და მცირე ბაზარი აქვს. აქედან ისევ დასავლეთით ვიარეთ და სოფელ იღთან მივედით. მამირვანის ნაპირში მდებარე მუსლიმებისა და სომხების სოფელია. აქედან ისევ დასავლეთისაკენ ვიარეთ და სოფელ ყარაკონქს მივედით. არზრუმის ვილაიეთის ნაპიერა. კეთილმოწყობილი სოფელი და ზეამეთია.

ისევ გავიარეთ გურჯი ბოლაზი?; ამწვანებულ მხარეებში ვიარეთ და სოფელ უმუდუმ-დედეში მივედით. მაღალი მთის კალთაზე მდებარეობს. ასკომლიანი კეთილმოწყობილი. და გაშენებული სოფელია. ეს სოფელი მდინარე ევფრატის სათავესთან მდებარეობს. ამგვარად, მდინარე ევფრატი ამ სოფლის მიდამოებში ერთი დიდი გამოქვაბულიდან გამოდის. თითო მექური წყრის სიგრძე თევზებია ისეთი, თითქოს სამოთხის საჭმელია. ამ ადგილას უმუდუმ-დედეა დასაფლავებული და რაღაც რჩეულთა და მდაბიოთა სალოცავი ადგილია, ვერავინ ბედავს ამ თევზების ჭერას. მაგრამ თუ ერთი ფარსახით ქვემოთ დაიკერენ და შეკამენ, ადამიანს კეთილშურნელება მოეფინება. ჩამდენიც არ უნდა ჭამოს კაცმა, არ შეასურებს და არ დაამტიმებს.

დუმლუ-დედეს წმინდა საფლავი: დიდი აკლდამა. შეის იბრაჰიმ-328 ეფენდიც||დიდი კეთილშობილი ადამიანი იყო.

იქიდან ისევ არზრუმის ველზე ვიარეთ და არზრუმის ციხეს მშებდობით მივაღწიეთ. ტანისამოსის გამოუცვლელად ვეახელით ჩვენ ბატონ ფაშას, მისი ფეხის მტვერს სახე და თვალები გავუსვით და ერევნის ხანის წერილი და საჩუქრები მივართვით. მასთან კეთილშობილური საუბრით გაეპატიოსნდით და ჩვენს მიერ ნანახი განსაციფრებელი ციხებისა და ძეგლების ამბავი დაწვრილებით უფთხერით. რაღაც დიდად ნასიამოვნები დარჩა, მე, მწირს, თავით ფეხებამდე საპატიო ტა-

ნისამოსი და სამასი უურუში აბანოს სახარჯო მიბოძა: საპატიოს ქათი-ბობის ჩემი სარგო ორი ქისა მომცა. ერთი კვირა დაერჩი, მაგრამ ერევ-ნის ხანისაგან ისევ მოვიდა მეგობრობის წერილები. აქ ნათქვამი იყო: „ყარსის ჯარები ჩვენი ქარავნის ხალხს ავიწროვებენ, გთხოვთ, ერთი თქვენი მსახური აღა გამოგზავნოთ, მოვიდეს და ქარავნები არზრუშში ჩაიყვანოსო“. მე, მწირი, მეათე დღეს ისევ გამაგზავნეს სპარსელთა ქვენისაკენ.

## LXXVIII

ათას ორმოცდაჩედმით (1647) წლს პვლან მრივის  
შვევნისაკენ გაგზავნია

არზრუშიდან აღმოსავლეთისაკენ 11 საათი ვიარეთ და ჰასან-კალეს მოვედით. იგი აღრევე მაქეს აღწერილი. ისევ აღმოსავლეთით ვიარეთ ბასინის ველზე და სოფელ ბადლიჯივანლიში მივედით. სომხური სო-ფელი და ზეამეთია. ეს გავიარეთ და 9 საათში საღვურ მეიდანჯიქში მოვედით. ბასინის ველზე კეთილნაშენი სოფელია. ისევ აღმოსავლე-თისაკენ ვიარეთ და 10 საათში მეუენკერტის ციხეში მოვედით. არზრუ-შის ვილაიეთში ხორასან-ბეგის მბრძანებლობაშია. მისი ციხე ციცაბო კლდეზე მდებარეობს; ოთხკუთხა ციხეა. ციხისთავი და ას ორმოცდა-ათი მეციხოენ ჰყავს. ორასამდე სახლია. ბასინის ყაზას სანაიბრა. [სულთან] სულეიმან-ხანის ერთი ჯამე აქეს, ერთი მცირე აბანო და ფუნდუკი. სახნავ-სათესი მიწების მოსავალი უხვია. იქიდან კვლავ აღ-მოსავლეთისაკენ ვიარეთ. არზრუშის საზღვრებში ხანის ხეობა გადაე-ლაპეთ და ფეხი შევდგით ყრსის ვილაიეთის საზღვრებში. ხედი-ქი-ლისად წოდებული, დანგრეული, დიდებული ქრისტიანული ტაძარი გავიარეთ და ვიწროებში გავედით. ერთ მდგლოებიან ადგილას 6 სა-ათი დასავლეთისაკენ ვიარეთ და ბარღუზის ციხესთან მოვედით.

|| ბარღუზის ციხე: ყარსის საბრძანებელშია და აშენებულია აქუ-მუნლუს მეფე იზ ედ-დინის მიერ; ასეა დაწერილი მისი თარიღი ჯი-ლის დამწერლობით ციხის ზემოთა მხარეს. ციხე ერთი ხევის ნაპირის მდებარეობს. ოთხკუთხა, ქვის შენობაა. ციხისთავის ქალიშვილს ასორმოცდაათამდე საქველმოქმედო ნაგებობა აქეს. ჯამე, მეჩეთი, სა-სარგებლო მცირე აბანო, სავაჭრო რიგი და ბაზარი აქეს. იქიდან სამ-ხრეთისაკენ ვიარეთ და გეგურვან-დუღმანის ციხესთან მოვედით. |

ამბავი გეგურვან-დუღმანის ციხისა: ზოგ მატიანეში [ნათქემია, რომ]: „ბექანის, საფაქის, აფრასიაბის ბრძოლების მოთხრობებში! მო-სენებული ეს ციხე აბასელთა ხალიფა ალ-მუსთანის ბილლაჰის?

შბრძანებლობაში იყო; მონღოლი ჰულაგუ-ხანი მოვიდა, ქალაქი დაანგრია და მოსახლეობა ჩაგრისა და ძალადობის ცეცხლში „შთააგდო“. თუმცა, შემდეგ, აქაურობა ყარაყოლენლუ ყარა-ცუსუფის გარჯით კეთილმოწყობილი გახდა და გაშენდა, მაგრამ თემურმა ხელმეორედ დაანგრია. როდესაც სულთან სულეიმანი ნახშევნის ყაზასავენ მოდიდა, ისლამის ლაშერის მეწინავე [სარდალმა] ლალა ყარა მუსტაფა-ფაშამ აქაურობა დაიპრო. ამჟამად ყარსის ვილაიეთის მფლობელობაშია და ცალკე სანჯაყ-ბეგის სადგომი ადგილია. მისი ბეგის სახას 153 500 ახჩაა. ალა-ბეგი და ჩერი-ბაში ჰყავს. კანონის მიხედვათ [სანჯაყის] ჯებელიები ბეგის ჭარიანად შეაღენენ ათას ოჩას სრულყოფელ ჭარს. მისი ციხე ერთ ხევიან ადგილას მდებარეობს; ოთხუთხა და პატარაა. ციხისთავი, აზაბეგისა და მოხალისების აღა, სანაის მეციხოვნი, ას ორმოცდათი ახჩის ჭამაგირის მქონე ყადი ჰყავს და შეიძლო კეთილმოწყობილი ნაპირი, 1 200-მდე მეტის ბანიანი სახლი, სამი მცირე ჭამედა ორმოცი-ორმოცდათი დუქეანი აქვს.

იქიდან აღმოსავლეთისავენ ვიარეთ და ოსმალეთის საზღვრის დასახულს ყარსის ციხეში მოვედით.

ყარსი-დუდმანის ციხის ამბავი: ოსმალთა სახელმწიფოში სამი ყარსის სანჯაყია. ერთია ყარა-თაშლიკის ყარსი სელეგქეში, [მეორე] — მარაშას ყარსი, ერთიც ღულმან-ყარსია — ზემოხსენებული. [სულთან] მურად-ხან მესამის ღროს ლალა-ფაშა სარდალი განდა და ანატოლიის ვეზირ ჭაფირ-ფაშას, სირიის ვეზირ თავილ მეჰმედ-ფაშა ზადე ჰასან-ფაშასა და ბილანლი ალი-ფაშას ამალით და ასი ათასამდე 330 მეომრით ყარსის მიწაზე მოვიდა და დაბანაკდა. მან გონივრულად მიიჩნია, რომ აღეშენებინა სპარსელების მიერ დანგრეული ყარსი და მის აღდენა-შეკეთებას შეუდგა. რუმელის ფაშის მაჰმედ-ფაშას მსახურის მიერ არაბული ჭილძეს დამწერლობით შესრულებული თოხუთხა თეთრი მარმარილოს ქვა აღმოჩენილა. იგი ქვემო გარეუბნის სამხრეთისავენ გამდავლი კარის მხარეს დაუდგიათ. მისი შინაარსი შემდეგია: „აავო ეს კურთხეული ციხე ფირუზ აკამ — გააძლიერებს ალაპი შის მიმდევრებს — ჩვენი უფლის, სულთან იზ ედ-დინის ღროს — განამტკიცა ალაპმა მისი სახელმწიფო შეწევნითა სულთან ქარიმ ედ-დინის ქალიშვილისა — გაანათლოს ალაპმა მისი სამარე და მისი განსასვენებელი“.

მის მეორე ამშენებელ ლალა-ფაშას ეს ძველი ძეგლი დიდი მოწიწებით დაუდგამს იმ აღვილას და ყველა ქველმოქმედთათვის თვალსაჩინო გაუხდია. ციხე სამოცდათ დღეში გაასრულა; მთელი ჭაბახანა და მოწყობილობა შეავსო და გაამზადა.

[ციხის] შეკეთების დროს ერთმა ღვთისმოსავმა ჯარისკაცმა, რო-  
მელმაც ყურანი ზეპირად იცოდა, სიზმარი ნახა და ლალა-ფაშას შემ-  
დეგნაირად უამბო: „სიზმარში ერთი უძლური მოხუცი გამომეცხადა  
და მითხრა: „მე აბულ-ჰასან ალ-ჰირკანის მეძახის. ჩემი სამყოფელი  
ამ ადგილს არის. თუ ჩემი ნიშანი გინდა, შენი ფეხის წვერთან ერთი  
ლრმა ჭაა. მოთხარე იყო, რათა საკვირველება ნახოო“, როგორც კი  
დამთავრდა სიზმრის თხრობა, რამდენიმე ასმა მუშამ დაიწყო მათვის  
მიჩნეული ჭის თხრა. ჭაში გამოჩნდა ერთი ოთხუთხა, ფერადი მარ-  
მარილო. კეთილშობილ მუსლიმ გმირებს ის მოწამულა ქვა დიდი  
ალაპის ხსენებით ამოულიათ. ზედ მშვენიერი ჩელით დაწერილი ყო-  
ფილა — „მე ვარ მოწამეობრივი სიკვდილით გარდაცვლილი საიდი ჰირ-  
ყანი“. მისი ტანი ჭერ კიდევ ისეთი იყო, თითქოს ცოცხალიაო. დაჭ-  
რილ მელავზე ბაღდადი ჰერინდა შემონვეული. ზურგზე წამოსხმული  
შალის ჰირყა არ დამპალიყო; მარჯვენა მხარეს მიყენებული ჭრილობი-  
ლან ალისფერი სისხლი უონავდა. [ისლამის] გმირებს ეს ამბავი რომ  
უნახავთ, ალაპის ხსენებით საფლავი დაუფარავთ და შედა ციხეში, რო-  
გორც პირველი ამშენებლის, ჰასან ჰირყანს თექიე და პატიოსანი ჯამე  
აშენებულა. ლალა მუსტაფა-ფაშას ნაქველმოქმედია. ყარსის ვილა-  
იეთი ალწერილია; ამჟამადაც ოსმალთა ხელშია და ფადიშაპის ბრძანე-  
ბაში ასე იწერება ხოლმე — „ყარსის ვილაიეთის ძფლობელი ჩემი ვე-  
ზირი მავანი ფაშა“. ირანის საზღვარზეა. რამდენჯერმე არფალიკის|| 331  
წესით იყო გაბოძებული თუღლიანი ვეზირებისათვის. ამჟამად მის ფაშას  
ფადიშაპისაგან გარდაკვეთილი აქვს 600 000 ახჩა სამეფო სახასო. ძვე-  
ლად არწრუმის სანჯაყი იყო. დავთრის ქეთხუდა, დავთრის ემინი და  
სხვა მოხელეები არა ჰყავს. მისი სანჯაყები შემდეგია: მცირე ართანი,  
ხუკუგანი, ზარუშატი, გეჩვანი, ვერიშანი. ყარსი ფაშის აღგილსამყო-  
ფელია. ზეამეტია 7, თიმარი — 102. მათი ჭებელები და ფაშის ჯარი  
სამი ათასი რჩეული მეომარია. ესენ მრავალჯერ წინააღმდეგნენ ირა-  
ნის შვიდ-რვა სახანოს. ალაი-ბეგი, ჩერი-ბაში, სამასახიანი ყადის თა-  
ნამდებობა, ციხისთავი, აზაბ-აღა, სამი ოდა იანჩიარი, ერთი ოდა ქე-  
ბეგი, ერთი ოდა თოფჩი ჰყავს. ჩორბაჯიები თავის ჯარისკაცებიანად  
აჩზრუმში დგანან. ათას ხუთასი მეციხოვნე ჰყავს. ვანის, ყარსის,  
ახალციხის ჯარები საზღვარზე დგანან და განთქმული არიან სიმამა-  
ცითა და ქველობით. რაღანაც ციხის ჯარს ოჯალიქის წესით აქვს და-  
ნიშნული მდინარე ევფრატის ნაპირზე [მდებარე] ბირეჯიქის ციხის  
წინ გამავალი ხომალდების და ალეპოს ვილაიეთში მდებარე სურუჯის  
და მანჩაჭის სოფლების შემოსავალი, ამიტომ მას (ჯარს) წლიურად  
სამოცდაათი ჰუკი ახჩა ჯამავირი მისდის. ყარსის ვილაიეთში ათი ყა-

ზაა და ყოველ ყაზაში — რვა ნაპირ. შეის ულ-ისლამი, ნაკიბ ულ-ეშ-რაფი, წარჩინებულები და დიდებულები ჰყავს.

ყარსის ციხის აღწერა: ჩრდილოეთით, ციხის უკან, ზარბაზნის გასროლის მანძილზე ერთი მაღალი მთაა. ამ მთის კალთაზე მდებარე გორაკზეა შიდა ციხე. ქვემოთა სიმაგრე ვაკეზე მდებარეობს. სულ ხუთი წყება მაგარი ზღუდეა. ციხის კარი აღმოსავლეთით გადის. ზემო ციხედ წოდებულ შუა ციხეში რკინის მაგარი კარია და დასავლეთისაკენ გადის. გალავანში არის ციხისთავის სახლი, მამაცი მეციხოვნების სახლები და სრულყოფილი და კარგი ჯაბახანა. მაგრამ შუა ცახეში არ არის სავაჭრო რიგები, ბაზარი, ფუნდუკი, ან აბანო. ამ ციხის ქვემოთ მდებარე გარეუბანი დიდი სიმაგრეა. ორი წყება მტკიცე კედელია სამი რკინის კარი ახალია. გამზადებული და შემკულია მუზარადებით. ჩაქანებით, თოფებით, სხვადასხვა და ნაირნაირი საომარი საჭურველით; მას ამშვენებენ კარისმცველები და გუშაგები. დასავლეთით, არზრუმისაკენ გადის ერთი ამ კართაგანი, რომელსაც წყლის კარსა და ჯარის კარს უწოდებენ. ერთიც, ყალიზმანის მხარეს, ფართო [კარია], 332 რომელსაც ||ორთა კაფუს (შუა კარი) სახელით მოიხსენიებენ. მესამე, ბაჰრამ-ფაშას კარი აღმოსავლეთით, ერევნის მხარეს, გადის. ციხის კედლებზე [მოწყობილ] საყარაულო სახლებში გუშაგები დღედაღამ მორიგეობენ და ყოველ ბნელ ლამეს ციხის კედელ-კარებს მაშხალებით აჩირალდებენ. გარეუბნის გალავანი მაინცადამაიც მაღალი არაა, მაგრამ ფრიად განიერი და მტკიცე ნაგებობაა. ქვედა ციხის გარშემო თხრილის მაგივრად ტბაა, რომელიც მას გარს შემორტყმია ბაჰრამ-ფაშას კარიდან შუა კარმდე. უკვდავების წყაროსავით წყალი აქვს. ამ მხრიდან შეუძლებელია ციხის აღება. ციხის გარშემო ორას ოცი მტკიცე კოშკია. ორი ათას ოთხმოცი ქონგური აქვს. ამ დიდი რაბათის გარეშემოწერილობა 5700 ნაბიჯია.

**შენობები:** ამ ცახეში სამი ათასი სახლია წარჩინებულებისა, დიდებულებისა და ხელოსნებისა. ორმოცდაშვიდი მიჰრაბია ჯამეებისა და მეჩეთებისა. ამათგან მხოლოდ რვაში წარმოითქმება საპარასკევო ლოცვა. მათგან ყველაზე ძველია წმიდა შეის პასან პირყანის ჯამე ლალაფაშას აშენებული; გამოჩენილი წმინდა შეის პასან პირყანი, რომლის ამბავი ზემოთ მოგახსენეთ, სულთნის ჯამეს ახლოს არის დამარხული და წარჩინებულებისა და მდაბიოების სალოცავი აღვილია. ამას იქით წყლის კარის მხარესაა ვაიზ-ეფენდის ჯამე; მოედნის მხარეს — ულუ ჯამე; სულეიმან-ეფენდის ჯამე ფრიად მშვენიერი, დიდებული და სინათლით საცხე ჯამეა; გადაკეთებული ეკლესია.

ჟუსეინ-ქეთხუდას ჯამე: დიდი მონასტერი იყო, რომელსაც წიოთელი ეკლესია ეწოდებოდა. სამეფო ბრძანებით ჯამედ რომ გადაკეთ-

და, ამით წყვდიადისაგან იხსნა თავი. ბრწყინვალე ჯამეა, რომელსაც ამჟამად მრავალრიცხოვანი ჯამათი ჰყავს; ეს იმიტომ, რომ ამ ქალაქის მოსახლეობა მეტად მორწმუნება.

ომარ-ეფენდის ჯამე: როდესაც სპარსელებმა დაიპყრეს ციხე, რაღანაც ჯამეს პატრონის სახელი ომარ-ეფენდი იყო, შეურაცხყვეს და ასეთი შშვენიერი, ნათელი სალოცავი სახლი დაანგრიეს<sup>4</sup>. სხვა ჯამეებშიც საქონელი დააბეს.

კალთაკეჩი-ზადეს ჯამე: ბაპტიამ-ფაშას კართან არის; ძველი აშენებული, დიდი ჯამეა. ბაირამ ჩელები-ზადეს ჯამე. ემირ მუსუფ-ფაშას ჯამეს ერთი ლამაზი ||მინარეთი აქვს. თვრამეტი სასწავლებელია ყმაწვი- 333 ლებისავის და მედრესები კი — არა. ყველა მეცნიერება ჯამეებში იყითხება.

აბანოები: წყლის კარის შიდა მხარეს, კედლის ძირას [მდებარე] ემირ მუსუფ-ფაშას აბანოს მშენებირი წყალი და პაერი აქვს; შენობა სასიამოვნო შესახედავია; გამახალისებელი, ნათელი და მომხიბლავი აბანოა. შუა კარის შიდა მხარეს [მდებარე] ძველი აბანოც ძალიან კარგია.

თუმცა, ყურანის საკითხავი სახლი და სასაღილო არ არის, რაღანაც ღიღვები რკახებს უაღრესად ღიღველოვანი ჩვეულება ახა- სიათებთ, რომელიც მიღებულ წესზე მეტია, გამვლელ-გამომვლელისა- თვის წყალობა უხვად აქვთ. უცხო მოგზაურებს წყალობას მიაგებენ და საჩქარსაც მისცემენ. მიწები მცენარეულით დაფარული და მოსავ- ლიანია. თუმცა ქვითნაშენი დახურული ბაზარი არა აქვს, მაგრამ ორა- სი ღუჯანი არის. რაღვნაც მეტუთ საჩტყილის შუაგულში მდება- რებს, ხანგრძლივი სუსხიანი ზამთარი იცის და ამიტომაც ბალ-ვენა- ხები არ აქვს. მაგრამ მარცვლეულის მოსავალი უხვია. აქაური მცხოვ- რებლები ფრიად მკეთრცხლები არიან და ვაჭრობითა და ხენა-თესვით იჩქენენ თავს. როგორც ზედა, ისე დაბალი ფენების ხალხს აქვს სევ- დიანი ბაიათი — „დაუმსახურებელი სახელი სავალოა“: ღიღვები ჯამეს ახლოს დგას ფაშის სასახლე. ამ სასახლის ახლოს არის შარიათის სასა- მართლო.

კარსიღან თორმეტი საათის სავალზე სოფელი არჩბუქი და ბალირ- საკის ხევი გავიარეთ, სამ საათში ულლარის ზეგანიც გადავიარეთ და მესამე ღლის ბოლოს ახალციხეს მივღოწიეთ. ამ ციხეში ჩვენი მოსვ- ლის დღეს ახალციხის ფაშასა და ჯარის სხვა აღებს გადავეცი ჩვენი ბატონის — არზრუმის ვილაიეთის გამგებლის — დავთარდარ-ზადე მეპმედ-ფაშას სიამოვნების გამომხატველი წერილი. როგორც კი წაი- კითხეს იგი და შინაარსი მათვებს ცნობილი გახდა, ყველა წარჩინე- ბულმა და მეჯლისის დამსწრეებმა თქვეს: „ლმერთმა ნუ ქნას, რომ

ჩვენ თავს დავესხათ ერევნის სპარსელთა ქარავნებს და მათ რამე ვაწყენინოთ. ეს [ამბავი] მხოლოდ სპარსელების და ყალიზმანელების ცილისწამებაა. გასულ კვირას ყალიზმანელებმა ბაჟის აღების საბაბით ერევნის ვაჭრები გააწამეს. მათვის ჰკუის სწავლებაა საჭიროო“.

აქ ცხენებზე შევსხედით, ერთი დღის საგალი მანძილი მდელოებით მოფენილ ველზე ვიარეთ სამხრეთის მიმართულებით, მდინარე არეზის ნაპირს მივაღებით და გაღმა ნავტიკებით გავედით.

ყალიზმანის ციხის აღწერა: აზერბაიჯანის მიწაზეა. მდინარე არე-  
334 ზის სამხრეთი ნაპირი //მთლიანად აზერბაიჯანის საზღვრებში ითვლება.

მდინარე არეზი სათავეს იღებს დასავლეთის მხარეს ბინგოლის ზეგნიდან. მრავალ ციხესა და ქალაქს გაივლის და აღმოსავლეთისაეკენ მიედინება. არფა-ჩაი მდინარე ზანგს ერთვის იმ აღგილის, რომელსაც ფილუ აღზის მთა ეწოდება.

რადგანაც ეს ყალიზმანის ციხეც არეზის გაღმა, სამხრეთ ნაპირზე ვდებარეობს, აზერბაიჯანის საზღვრებშია, მაგრამ ოსმალეთის ვილაიეთითა. რადგანაც იგი აშენებულია ანუშირვანის ერთ-ერთი ვარსკვლავივით კდემამოსილი ქალიშვილისა, მისი სახელი აქვს დარქმეული. რამდენიმე ხელმწიფის ხელში გაიარა და ბოლოს უზუნ ჰასან-შაპის ხელში მოხდა. მისგან ჸაპ-ისმაილის მფლობელობაში გადავიდა. შემდეგ რანგში [სულთან] სულეიმან-ხან [პირველს] დაქორჩილა და ყარსის ვილაიეთში ცალკე სანჯაყი გახდა. ალაი-ბეგი, ჩერი-ბაში და ცხრასი მეომარი ჰყავს. ასორმოცდაათახჩიანი თანამდებობაა ყადისა. ციხისთავი და სამასი მეციხოვნე ჰყავს. მათთვის დანიშნული ულუფა მარილსახდელებისაგან იქიდება. ციხის დასავლეთით დიდი მარილსახდელი და მდიდარი საბადოა. ასეთი არაჩვეულებრივი საბადო წისქვილის ქვისა, რომ ირანში, არზრუმსა და სხვა ქვეყნებში ყალიზმანის მთებიდან გააქვთ წისქვილის ქვები.

ვერეს ქვა: ამისაგნ დასტარები სოლომონის მალამოს აკეთებენ და წყლულებზე და ჭრილობებზე ადგებენ. ამ მთებიდან გააქვთ ოქრო-მჭედლების ბურღი, დალაქების სალესი ქვა და ასპიდის ქვა. ორ ადგილის ოქროსა და ვერცხლის საბადოებია. მაგრამ ამქამად მიტოვებულია, რადგანაც საწარმოო ხარჯები მათ შემოსავალს აღემატება.

მისი ციხე ფერდობ ადგილზე მდებარეობს და ძლიერი, მტკიცედ ნაგები. ოთხუთხა პატარა ციხეა. შიგ [სულთან] სულეიმან-ხანის ჭამეა. დაბლობსა და მალლობზე შეიდასი სახლი, კიდევ სხვა ჭამეები, ფუნდუკი, აბანო და მცირე ბაზარი აქვს. თუმცა სავაჭრო ქალაქი არ არის, მაგრამ საზღვარია. აღრი-დაღი, რომელიც ერევნის დასავლეთით მოჩანს, ამ ყალიზმანის ახლოსაა. ცნობილი მაღალი მთებიდან ერთ-ერთი ესაა. თურქმანთა საზაფხულო საძოვრებია.

რაღგანაც ყალიბმანი არეზის ნაპირზე მდებარეობს, რბილი ჰავა აქვს. ალაგ-ალაგ ბალ-ვენახი აქვს. ზრდილი, გულლია, მშვიდი ხალხია და ლამაზმანები ფრიად გულისმომტაცი არიან. მომღერლების უძრავლესობა სპარსულ მანის მღრის. კარგი ხმის მქონე, გულკეთილი ხალხია.

|| როდესაც ჩვენ მხლებელ ყარსის წარჩინებულებთან ერთად ყა- 335 ლიზმანში შევედით და ყველანი ბეგის დივანში გმოვცხადდით, ყარ- სისა და ყალიზმანის გარისკაცებს შორის დიდი შეხელა-შემოხლა მოხ- და. რაღგანაც ყალიზმანის აღები ალაპს იყიცებოდნენ და უარყოფდ- ნენ ბრალდებას — „ჩვენ სპარსელთა ქარავნისადმი ხელი არ წაგვიძო- ტინებია, მხოლოდ ის ბაჟი ავიღეთ, რაც კანონით გვეკუთვნოდაონ“, ჩვენ, პატიოსანი ბრძანების მოთხოვნილებისამებრ, რომელიც ხელთ გვერდია, ყალიზმანის აღათაგან ჰასან-ალა, ჩალაკ საფარ-ალა და კიდევ შვიდი ალა წავიყვანეთ და ერევნისაკენ გავემგზავრეთ. ყარსის ფაში- საგან, თერთმეტი აღისაგან, ყალიზმანის ბეგისაგანა და წარჩინებულე- ბისაგან ფეხის ქირის სახით მე, მწირმა, მივიღე ერთი ქისა ყურუში, ორი „მაჭმუდის“ ჯიშის ცენი, ორი ქართველი ბიჭი და ყალიზმანიდან მდინარე არეზზე ისევ ნავტიკებით გადავედით.

## LXXIX

სადგური, რომლებიც მრავალდე გამიარით

მაღაზბერდის ციხე: ძველი კანონის მიხედვით საქართველოს მი- წაზე, ყარსის ვილაიეთის მბრძანებლობის ქვეშ მიზ-ლივას სადგომი აღგილი იყო. რამდენჯერმე დაიპყრეს სპარსელებმა და მხარე გავერან- და. ახლა ყარსის ერთ-ერთი ნაპირია. მისი ციხე ირანის შაპის — მაღაზ- ხანის აშენებულია. შემდეგ აკუთხენლუს სულთანთა ხელში გადავიდა; ამათ კი შაპ-ისმაილმა წაართვა. შემდეგ ხანებში [სულთან] სულემან- ხანმა დაიპყრო. მისი მბრძანებელი ციხისთავია. ას ორმოცდათი მეცი- ხოვე ჰყავს. სამოადგილეოა. მისი ციხე კლდეზეა ქვისაგან აშენებული და წინ სხვა რამ თავდასაცავი ნაგებობა არ აქვს. პატარა, ხუთკუთხა, კოხტა ტიხეა. ექვსასამდე ბალ-ვენახი და სახლი აქვს. ჯამე. ფუნდუკი, აბანო და ათი დუქანი აქვს. ციხის ძირის ართა-ჩაა მიეღინება. ეს მდი- ნარე საქართველოს მხრიდან მოდის. ამ ადგილს გაივლის და მდინარე არეზის ახლოს მდებარე ადგილას, სოფელ თექელთის ძირას, არეზს ერთვის. ეს მაღაზბერდის ციხე სპარსელთა შურაგელის ციხის მიწა- ზეა, მაგრამ ციხე ირანის ხელშია დარჩენილი და მთელი შურაგელის ნაპირ კი ყარსის მბრძანებლობაშია. ამ ორ [ციხეს] შორის საზღვარია

მდინარე ართა-ჩაი, რომლის გაღმა, აღმოსავლეთი ნაპირზე ირანის სამ-  
336 ფლობელობია. || აქეთა, დასავლეთი ნაპირი ყარსის მიწაზეა. ამ ციხის  
უკანა მხარეს ერთი დღის სავალზე ძევს ანის ციხე. ყარსის საბრძანე-  
ბელში, გორაკზე, პატარა, ოთხუთხა, დანგრეული ციხეა. ამზობენ,  
ანუ შირვანის აშენებულია. რაღანაც ციხეში ერთი კეთილნაშენი და-  
სახლებაა, ზეამეთია. ქვეშევრდომები სომხებია. ამ ანის ციხესა და ყარსის  
შორის ძევს მთა — იქი ნახი. იგი ყარსის გადაღმა მდებარეობს და მათ  
შორის მანძილი ერთი დღის სავალია.

ეს ციხე გავიარეთ, ვრცელ მდელოებზე ვიარეთ, 9 საათში ზარუ-  
შატის ციხეს მივაღწიეთ.

ზარუშატის ციხის აღწერა: ირანის შაპების აშენებული. რაღანაც  
აქ ბევრ სპარსელს გაუხდა სატირლად საქმე და ხმლის ლუკმა გახდა, ამ  
ციხეს ზარშედს! უწოდებენ. ამჟამად ყარსის ვილაიეთში სანჯაყის ბე-  
გის საღომია. ალაი-ბეგი და ჩერი-ბაში ჰყავს. ომის დროს ათას ორასი  
შეიარალებული მეომარი იქრიბება. ასორმოცდათახებიანი ყადის თანა-  
მდებობაა. მუფთი და ნაკიბი არა ჰყავს. ციხისთავი და ასორმოცდათამ-  
დე შეციხოვნე ჰყავს. მისი ციხე ერთ გაშლილ, ლამაზ აღგილს, მაღალ  
გორაკზე მდებარეობს. ძლიერი ოთხუთხა ციხეა, მაგრამ მაინცადა-  
მაინც დიდი არ არის. მის შიგნით და გარეთ სამასი სახლია. ჯამე, ზა-  
ვიე, აბანო, ფუნდუქი და მცირე ბაზარი აქვს. ყარსიდან აღმოსავლეთი-  
საკენ მიმავალ ერუვნის გზაზე მდებარეობს და მისგან ერთი დღის სა-  
ვალზეა. ჰავა ფრიად მშვენიერი აქვს. ამ ციხიდან ისევ აღმოსავლეთი-  
საკენ ვიარეთ 9 საათი და სოფელ თალიშს მივაღწიეთ. ირანის მიწაზე  
ერევნის საზღვარია. აქედან სოფელ ყარა-თიფშესაკენ და იქიდან კი აღ-  
მოსავლეთით 12 საათი ვიარეთ და საღურ უჩ ქილისას (ეჩმიაძინი)  
მივაღწიეთ. ამბობენ, რუმის კეისრის აშენებულია. სამ მონასტერთა-  
გან ერთში სომხი ქალიშვილები ცხოვრიბენ, მეორეში — ბერძნები  
და სომხები. ირანის ქვეყანაში ერთი ეს ძველი მონასტერი — უჩ ქი-  
ლისა არის განთქმული სალოცავი და მეორე — ჯედი ქილისა (შვიდი  
ეკლესია, რომელიც ნახევრნის გზაზე მდებარეობს. მაგრამ აქ სამაგა-  
ლითო ძეგლები ძალიან ბევრია. ამ მონასტერში მზადდება მირონის  
ზეთი, რომელიც ჭეშმარიტიდ საოცრებაა. აბჩეშუმის ხალიჩაზე დგა-  
მენ ქვაბს. ქვეშ ცეცხლს შეუნთებენ და ბალახსა და სხვა მცირეებს  
ხარშავენ. ცეცხლი ხალიჩაზე არ მოქმედებს და ხელუხლებელი რჩე-  
ბა. შემდეგ ამ მცენარეულის წვენს ე. ი. ზეთს სურებსა და თუნგებში  
337 ასხამენ და||რომ აკურთხებენ, ევროპაში მიაქვთ. იქიდან ამ მონას-  
ტერში შეწირულობანი მოდის. ამ ზეთს სხვადასხვა სწეულებს, დაჭ-  
რილთა იარებს უსვამენ და, მათი აზრით, შველის.

საოცრება: ამ მონასტრის ეზოში აშენებული მაღალი თაღის ქვეშ შეხვევილი რკინაა ჰაერში გაჩერებული; მუდამ ასეა. — ექვსივე მხრიდან<sup>2</sup> არ არის დაკავშირებული და დაყრდნობილი. ქრისტიანთა აზრით, ეს რკინის ძელი ერთი თორმეტ მოციქულთაგანის — წმინდა სიმონის სასწაულმოქმედებითაა [ჰაერში] გაჩერებული. ამის მნახველ ზოგ მუსლიმსაც ასე სწამს. როგორც კი ძლიერი ქარი დატაკება ამ ძელს, შეინძრევა. მღვდლებს უფიქრით, არავინ ახლოს ხელით და გაჩერებო მაგარი ხის მოაგირი შემოუელიათ. ჩემის, მწირის, აზრით ეს სასწაული არაა — იგი მარითათია.

თვალთმაქცურად დაკიდებული რკინის ძელი: მშენებელ ოსტატს ჯერ ის მაღალი თაღი აუშენებია, რომელიც ამ რკინის ძელის ზემოდან არის. ამ თაღის წვერში, შუაგულში, მაგნიტის ღიღი ქვა დაუტანებია. ერთი ღიღი მაგნიტის ქვაც გეომეტრიის კანონის მიხედვით იმ თაღის წვერის პირდაპირ დაუდგა. ამ ორი მაგნიტის, შუა რკინის ძელი რომ მიიტანა, რადგანაც ორი, მაგნიტის ძალა ერთიმეორეს ათანაბრებს, ძელი ასე [ჰაერში] გამოკიდებული რჩება. ერთი სიტყვით; არც თორმეტ მოციქულთა და სიმონის სასწაულმოქმედებაა და არც რაიმე თილისმა. ვინც კი ნახავს, გაოცებისაგან პირდალებული რჩება. მე, მწირმა, ჩემი ცოდვებით სავსე სუსტი ჰყუით ასეთი მოსაზრება გამოვთქვი; ღვთის ნებით, ჩემს მოსაზრებაში შეცდომა არა. მონასტერს ხუთასამდე ბერი ჰყავს. ირანიდან და ოსმალეთიდან ყოველდამ ხუთასი-ექვსასი ცხენოსანი მოდის და აქ ჩერდება. ბერები ტომრებსა და თორმუაკებს გამოიტანენ და მასპინძლობენ. საოცარი ქრისტიანული სავანეა.

აქედან კვლავ აღმოსავლეთისაკენ წავედით, გავიარეთ მდრინარე არეზი და ზანგი და მეორედ მივედით ერევანში. ერევნის ხანი თაკი ალი-ხანი თავისი დის ქორწილიდან მობრუნებულიყო და პირდაპირ სასახლეში ვესტუმრეთ. მეორე დღეს ყაჩისისა და ყალიზმანის აღებთან ურთად ხანის დივანში მივედით. ყარსელებმა და ყალიზმანელებმა ბევრი იყაყანეს. [ეუბნებოდნენ]: „ჩემო ხან! განა სკადრისია, რომ არზრუმის ვეზირთან უდანაშაულოდ დაგვასმინეთ და გვიჩვლეთ, თითქოს, ქარავანს დავვსხით! ევლია-ალა თავზე დაგვაყენეთ და გამოსაძიებლად აქ მოგვაყენეთო“. ||საუბრის დასასრულს ყალიზმანის ციხის 338. აღები უდანაშაულოები აღმოჩნდნენ. მატყუარები და ცილისმწმებლები ქარავანის ხალხი ყოფილა. ისინი კი არზრუმა! წასულიყვნენ. ბოლოს, მათ შორის თანხმობა დამყარდა და თავი-ხანმა ყველა აღას სამ ღოვს დიდი წვეულება მოუწყო. მე, მწირის, ისევ ხუთი აბასური თუმანი და ერთი ცხენი მიწყალობა. [არზრუმის] ფაშას — ერთი ჯორი და

ერთი აქლემის საალნე ერევნის ბრინჯი; სასაზღვრო აღებს — ქსოვილის ხუთ-ხუთი, ათ-ათი ნაჟერი. ერევნის ციხიდან ხანის წერილებით ისევ არზრუმისაკენ გავძრუნდით.

## LXXX

### მოვილიან პვლავ არზრუმი დაზრდება

ერევნიდან შვიდასიანი ქარავნით<sup>1</sup> გამოვედით, დასავლეთისაკენ 5 საათი ვიარეთ და სოფელ აბდალლარში მოვედით. ასეომლიანი, ბაღვენახიანი სპარსული სოფელია. დაპყრობის დროს ყარსის ფარგლებში შევიდა, მაგრამ ახლა ირანს ეკუთვნის. აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ 4 საათი ვიარეთ და სოფელ იბარანს მივაღწიეთ. ხუთასკომლიანი სოფელია. გოქდოლაკის ტომისაა. აქედან ისევ დასავლეთისაკენ ვიარეთ ბალახით და სხვა მცენარეულით დაფარულ [აღგილებში] და სოფელ შარაბხანებში მივედით. გორაკზე მდებარე, წმიდალგილებიანი, სამასკომლიანი კეთილმოწყობილი და გაშენებული, ურიცხვ ჰალ-ვენახიანი სოფელია. იგი ზეამეთია ყარსის ფარგლებში. აქედან ისევ დასავლეთით ვიარეთ მდელოებიან ველებსა და მთის კალთებზე და 4 საათში სოფელ ბეგუმში მივედით. რაღანაც იგი ძველ დროს უზუნ ჰასან შაპის ვარსკვლავივით კდემამოსილი ქალიშვილის სოფელი იყო, დღესაც ბეგუმის სოფელს უწოდებენ. ეს იმიტომ, რომ სპარსელები შაპის ქალიშვილებს „ბეგუმ“<sup>2</sup>-ს უწოდებენ. იგი ყარსის საბრძანებელშია. სამასკომლიანი სოფელია. მისი ზუხოვრებლები არიან სომხები და ქართველი აზნაურები. მაგრამ ეს ოდესლაც დიდი ქალაქი ძირითადად დასაბრძავებელმა თემურმა დაანგრია. ამჟამად ართა-ჩას ნაპირზე ჭარსულის ძეგლების ნაგებობანი ჩანს. ამ შენობებს შორის შვიდი მაღალი გუმბათია. შავ ტახტებზე მოუთავსებიათ ზოგი დაწოლილი, ზოგი დამჭდარი, თითქოს ცოცხლები არიანო, აყუოფუნლუს შაპები: მეგენბლი-ხანი, ავშარ-ხანი, უთფაბად-ხანი, გუნდუზბად-ხანი<sup>3</sup>. ყოველი კაცის//საფლავის ქვაზე, მაღალ აკლდამაზე აღნიშნულია სახელი და გამოსახულება, სიკვდილის მიზეზი და თარიღი. ამ დანგრეული ქალაქის გარშემო დიდი იალაღებია.

აქედან ისევ დასავლეთით ვიარეთ ლელიან, ჭაობიან, მლაშობ ადგილებში და შურაგელის ციხეში მივედით.

შურაგელის ძველი ციხის აღწერა: სულთანი ჰაიკარა დატბა ჰაერით, რომელიც ამ ქალაქის ძირას გამავალ მდინარე ართა-ჩას [ნაპირებზე], ეს ციხე ააგო და გააშენა ექიმ შურაგერის მითითებით. შემდეგ, როდესაც ყარა-ჯუსუფის<sup>4</sup> მფლობელობაში იყო, თე-

მურმა დაანგრია. თუმცა შემდეგ ისევ გაშენდა, მაგრამ ქალაქი მაშინ დაანგრია [სულთან] სულუმიან-ხანის მეწინავე ლაშქარმა, როდესაც ნაცხვენის დასაპყრობად მიღიოდა. მაგრამ მდინარე ართა-ჩაძე ნაპი-ტებზე ახლაც შეიმჩნევა სასახლეები და დიდი გუმბათები, რომლებიც თუმურის მიერ დაანგრეულ ადგილებზე დარჩენ. „თუჭიფედ“ წოდებულ ისტორიის აღწერის მიხედვით მუსიკის მეცნიერებაში რომ ორმოცდარვა შემადგენელი ნაწილია, ერთი შურაველისაა. ქალაქი რომ შენდებოდა, ამ ექიმმა გამოიგონა იგი და რომ აშენდა, ქალაქს სახელად შურაველი ეწოდა. ამ ქალაქის მცხოვრებლები, დიდი და პატარა, სიამტკბილობისა და მოლხენის მოყვარულია და სპარსულ ყაიდაზე შურაველის ხმაზე ბაიათებს მღერიან. ქალაქი მაცნუადამაინც კეთილ-ნაშენი არ არის; ციხე დაანგრეულია. სამასი სახლი აქვს. რადგანაც მისი ნაციების უმრავლესობა ართა-ჩაძე გაღმა მდებარეობს, ერევნის გვლობელობაშია. აქეთა ნაპირი მთლიანად ყარაბა საბრძანებელშია. ესეც საქართველოდანაა. იმიტომ, რომ მდინარე არეზისა და ზანგის ჩრდილოეთით ორმოცი დღის სავალი, კავკასიონის მთების ჩათვლით, ხაზართა ზღვამდე დაღისტნად და საქართველოდ ითვლება. მისი და-სავლეთი მხარე არზრუმს აღწევს.

აქედან დასავლეთისაკენ ვიარეთ და ხუთ საათში ექვსი მდინარე გვიარეთ. სულ პატარა წყლებია. ზოგი საქართველოზან მოღის, ზოგი — აწყურის მთებიდან და ამ სოფლებს რომ გაივლიან, მდინარე არეზს ერთვიან. მათი გასავლელი გზა ზოგან ჭიობიანი და მდელოებიანია.

გეჩლის ნაპიეში მივეღით. ერთი მზინარე ქებს, რომლის სახელი არ ვიცი. როდესაც სულთანი მურად-ხანი ერევნისაკენ მიღიოდა, ამ მდინარეზე გიარა და იმ ადგალს, სადაც კარავი ედგა, სოფა ააშენა. მისი ნაშთი ახლაც მოჩანს. ყარსის ჭარბინებულებს მის გარშემო რამდენიმე ხე დაურგავთ და სალოცავ ადგილად გაუხდიათ. მოგზაურებისა და გამვლელებისათვის ||სასტუმროდ გამოსადევი საძოვარი ადგი- 340 ლია.

ისევ დასავლეთისაკენ ვიარეთ ნაყოფერ მინდვრებზე და სოფელ ბულანიკთან მოვეღით. ყარსის ერთ-ერთი ზამის ჩალიკ საფარ-აღას თავისუფალი ზეამეთია. სამასკომლიანია.

აქედან კვლავ დასავლეთისაკენ ვიარეთ და ისევ ყარსის ციხეში მოვეღით. ერთი ღმე ციხისთავ ალი-აღასთან დაცრით, დილადრიან კველა ამხანაგსა და მეგობარს გამოვთხოვთ.

კვლავ დასავლეთისაკენ ვიარეთ ნაყოფიერ მიწაზე და დუშკაიას სადგურში მოვეღით. ყარსის ფარგლებში ორასკომლიანი ზეამეთის სოფელია.

აქედან აღმართ-დაღმართ ვიარეთ ცამლე აწვდენილ ფიჭვებს შორის და საღგურ ვერნიშანში მოვედით. ყარსის საზღვრებშია და ძველად სანჯაყი ყოფილა. მდინარე არეზის გაღმა მხარის — ვანის ვილაიეთის ბაიაზეთის ციხის საზღვრებშია მიწერილი. ამჟამად ყარსის ალაი-ბეგი აქ ზის. სამასკომლიანი სოფელია. აქედან ჩრდილოეთით ორი დღის საგალზე ახალციხეა.

აქედან ისევ დასავლეთისაკენ ვიარეთ ველებზე და ზეინ-ხანის ციხეში მოვედით. ყარსის მიწაზეა; ორასი სახლი აქვს, ციხისთავი და მეციონენები ჰყავს. ჯამე, ფუნდუკი, აბანო, ორმოცი-ორმოცდათი დუქანი აქვს. აქ გამვლელ-გამოვლელების მომსახურეობისათვის ბაქა იღებენ. ყარსის ფაშის სასუბაშოა. მისი ციხე ოთვუთხა, ქვის შენობაა. ვისი აშენებულია, არ ვიცი.. ციხის მცხოვრებლებს ვკითხე და მათაც არ იციან. პატარა ციხეა. ფრიად ჭიუტი ხალხი ჰყავს.

კვლავ დასავლეთისაკენ ვიარეთ, ფიჭვნარიანი გზები და ხეობები გვაიარეთ და მივედით დიდ ვიწროებში, რომელსაც „სოღანლი ბელი“ ეწოდება. რუმში, ირანში, ბალხსა და ბუხარაში საქვეყნოდ ცნობილი მხარეა, რომლის გამვლელ სოვდაგრებსა და დიდკაცობას წელი მოსწყდებათ ხოლმე. ასი ათასი გაჭირვებით ისიც გადავლახეთ და ხესნებული ხეობის გაღმა სოფელ კუმაღამიში მოვედით. ბასიანის სანჯაყის საზღვრებში, მდინარე არეზის ნაპირას ასორმოცდაათვომლიანი სოფელია. ბალ-ვენახი არ აქვს. აქედან ისევ დასავლეთისაკენ ვიარეთ ველებზე და სოფელ ბასიანში მოვედით. სამასკომლიანი სოფელია. არზრუმში ეს არის ვილაიეთის აღმწერის, ჯაფარ-ეფენდის ზეამეთი.

აქედან გზა განვაგრძელო, მდინარე არეზზე გადებული ხიდი ჩიბან ქოფრუსუ გადავიარეთ და ვაკე მინდვრებზე ისევ პასან-კალესთან მო-  
341 ვედით. აქედან კვლავ დასავლეთისაკენ ვიარეთ და მშვიდობით //შევე-დით არზრუმში.

ჩვენი ბატონი ფაშა აბდ არ-რაჰმან-ყაზის სასეირნო ადგილას ვნახე, ერევნის ხანის [გამოგზავნილი] ბრინჯი, სხვა საჩუქრები, ხანის მე-გობრობის წერილი და სამასაქლემიანი ქარავანი ჩავაბარე. არზრუმში ჩემს უბრალო სახლს მშვიდობით მივაღწიე. ისევ მებრძანა საბაკოს მდივნობა და ისევ ვეღირსე ყოველ ღამე ჩვენ ბატონ დავთარდა-ზა-დესთან სამური საუბრის პატივს. ჰუსეინ ბაიკარაზე ვმუსაიფობდით.

ერთხელ სტამბოლიდან სალიპ-ფაშას ბრძანებით მოვიდნენ კარის-კაცთა უფროსი ხენიგი ალი-აღა, საღრაზამისი თალპისჭი სიავუშ-აღა და სულთან იბრაჰიმ-ხანის ფირმანი მოიტანეს. შედგა მაღალი დივნი და ფირმანი წაიკითხეს. ამ უზენაესი და ბეღნიერებამოსილი ფირმანის შინაარსი შემდეგი იყო: „არზრუმის ვილაიეთის მფლობელო ვეზირო, ჩემო მეჰმედ-ფაშა, — ხანგრძლივი იყოს მისი დიდებულება. — ჩემს

ფირმანს რომ ბიულეტ, ჩემს დიდებულ ბრძანებაში აღნიშნული. არზრუ-  
მის ვილაიეთის ჯარები და სხვა მოხელეები იახლე, ირანის [მიწაზე],  
ერვნის ციხის ახლოს რომ ყარსის ველებია, ზღვა ჯარი შეყარე და  
ბრძოლისათვის მზად იყავით“. მისმა აღმატებულება ფაშამ ბრწყინვა-  
ლე თულრას ხელი დაღო — ჩემი შესასრულებელი საპატიო ბრძანე-  
ბაო და არზრუმის, მარაშის, სივასის ვილაიეთებში მჭევრმეტყველუ-  
რი იარლიყებით კაფიჯი-ბაშიები დაგზავნა. მე, მწირი, კი გამგზავნა  
ჯანგას და თორთუმის სანჯაყების განმგებელ სეიდი აჭმედ-ფაშასთან.

## LXXXI

ფადიგაპის ბრძანებით ჩემი ჯავაჲა არზრუმიდან გაიგუროს,  
ჯანჯას, ისაირს, თორთუმსა და ახა-ქალას

ჩვენი ბატონი ფაშასაგან მივიღე ფადიშაპის ბრძანება, სხვა ციხე-  
ების აღათათვის წერილები და ცხრა მსახურის თანხლებით ჯარის შე-  
საკეთებად გავემართე. არზრუმიდან ჩრდილოეთისაკენ ველზე 2 საათი  
ვიარეთ და სოფელ ქაში მივედით. ორასკომლიანი კეთილმოწყობილი  
სოფელია. ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ არზრუმის ველზე ხუთი  
საათი და უმუდუმ-სულთანის სოფელში მოვედით. იგი აღრე აღვწე-  
რე. ისევ ჩრდილოეთისაკენ ხეობები და მთები გადავიარეთ || და გავე- 342  
ღით გურჯი-ბოლაზის ხიდზე, რომელიც მდინარე ევფრატზეა გაღებუ-  
ლი. უზუნ ჰასან-შაპის მიერ აგებული ღიდი ხიდია. როდესაც არზრუმ-  
ში აბაზა-ფაშა აქანყდა, გაიგო სტამბოლიდან იანიჩართა ორმოცი ოდა  
მოვიდა და ამ ხიდის ახლოს დაბანაკდა; ოც ათას მეომარ ვაჲკაცს  
სარდლად დაუნიშნა ქორ-ხაზინადარ ეფშირ-ბეგი, გამოგზავნა და ყვე-  
ლა ამოაწყვეტინა. ახლა მათი ძვლები ხიდთან გროვებად ყრია. აქედან  
ისევ ექვსი საათი ვიარეთ. გურჯი ბოლაზი (საქართველოს ყელი) გა-  
ვიარეთ და იქვე მდებარე გურჯი ბოლაზის სოფელში მოვედით. არზრუ-  
მის ფარგლებში ორასკომლიანი საზეამეთო სოფელია. აქედან ისევ  
ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ ტულიპებით მოფენილ აღგილებზე და 9.  
საათში დომლუ-სულთანის სადგურს მივაღწიეთ. რჩეულთა შორის  
ღიდი წმინდანი იყო და ცალკე აკლდამაშია დამარხული. მისი აკლდამა  
ღიდი სალოცავი აღვილია. ციცაბო, მაღალი მთაა. ამ მთაში ღიდი გა-  
მოქვაბულია, რომელიც მდინარე ევფრატის სათავეს წარმოადგენს.  
რაღანაც არზრუმის ვილაიეთში, ქილოს სანჯაყის მთებში რკინის მა-  
დანი მოიპოვება, მათგან ზარბაზნის ყუმბარებს ასხამენ. ამ მაღალი  
მთიდან ასობით წყარო გამოდის; რკინის საბალოებს ჩაუვლიან და  
ევფრატს ერთვიან. ამიტომაა, რომ ამ აღგილის შემდეგ ევფრატის

წყალს გემო უფუტდება. ამ ღომლუ-სულთანის კლდიდან გამომავალი მთავარი წყარო სამოთხის წყაროა, რომელიც უკვდავების წყალს ჰქავს. ამბობენ, მისმა უწმინდესობამ მას შეტყევ, რაც წინასწარმეტყელობის მადლი მიენიჭა, ღვთის მადლი მდინარეზე მიმართა და აქ კეისრისაგან მიღებულ ერთ აღგილას დადგა. თუმცა ამ ანგარი წყალს დიღხანს სვამდა თასით, ბოლოს ხელში მიაწოდეს სასიკვდილო შამის თასი. ეს მისი სამყოფელი მართლმორწმუნე, ერთი ღმერთის მაღიარებელთა ორასკომლიანი სოფელია. დაბის მსგავსია და აქვს ჯამე, სავანე, მცირე ბაზარი. აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და ახჩაყალის მოვედით.

ახჩაყალას აღწერა: თორთუმის სანჯაუში შედის; საქართველოს მიწაზე მდებარეობს და იგი ულამა-ფაშას აუშენებია საქართველოს დასაპყრობად და ხელში ჩასაგდებად. მაგრამ ღროთა მსვლელობით ციხე დანგრევის პირასაა. ციხისთავი და მეციონენები არა ჰყავს.

თორთუმის ჩრდილოეთით მდებარეობს. ექვსასი სახლი, ჯამე, ფუნ-  
343 დუკი, აბანო, მცირე //ბაზარი და სასულთნო ბაზარი აქვს. ბაჟანეთ-  
ველი უფლისწულობის დროს ტრაპიზონში ვალის თანამდებობაზე რომ  
იყო, ამ ციხეს ალყა შემოიტყა და რაღავანაც მისი დაპყრობა ძალიან  
გაუშირდა, დაბყრობის შემდეგ მისი ზოგი აღვილი დაანგრევინა.

აქედან ისევ დასავლეთისაკენ ვიარეთ 6 საათი და სოფელ სავლუ-ში მოვედით. ჯათიჯას მიწაზე ასკომლიანი საზეაშეონ სოფელია. მაღალი მთის წვერზე მდებარეობს. ბალ-ვენაზი არა აქვს და მარცვლეულის მო-  
სავალი კი დიდია. აქედან ისევ დასავლეთისაკენ ვაარეთ 7 საათი და  
ქალაქ ჯათიჯას — გუმუშხანეს მოვედით. ჯერ გუმუშხანეს ემინთან მი-  
ვედით, შემდეგ — შარიათის სასამართლოში. ვილაიეთის ყველა წარ-  
ჩინებული შეიყრიბა და ის დიდებული ფირმანი წავიკითხეთ. „ვის-  
მენთ და ვემორჩილებით“, თქვეს და ყველა შეომარმა, ლაშქრობიდან  
გათავისუფლებულმა მუსლიმმა დაიწყო ერევნის ლაშქრობისათვის  
მზადება. ჩვენ კი ქალაქის დათვალიერებას შევუდევთ. რაღავანაც ამ  
ქალაქში დიდი აღექსანდრეს ერთმა მმართველმა ფილეკს აუნანშ  
ვერცხლის მაღანი აღმოჩინა, ალექსანდრეზ ქალაქი ააშენებინა. შემ-  
დეგ ქართველების ხელში გადავიდა. ბოლოს აზერბაიჯანის მბრძანე-  
ბელს — უზუნ ჰაუკარდა ხელში. რაღავანაც უზუნ ჰასან-შაჰი [სულთან] მეჰმედ [II] ფათიჰთან თერჯანის ველზე გამართულ ბრძო-  
ლაში დამარცხდა, ციხე ფათიჰ მეჰმედ-ხანის ხელში გადავიდა. იმ  
დროს არც ერთი ქვეყანაში არ იყო ისეთი ვერცხლის მაღანი, როგო-  
რიც აქა. თუმცა, იმ დროს ქალაქს ეწოდებოდა გუმუშხანე, ოსმალე-  
თის დავთარ-ხანეში ჯათიჯად ჩაიწერა. მთელი მოსახლეობა ყველა  
გადასახადისაგან გათავისუფლებულია და ვერცხლის მაღნების დაზუ-

შავება ევალება. ქალაქი ამჟამადაც ოსმალთა ხელშია და სამოცდაათი კერცხლის საბაღოა, რომელთაგან ზოგი გაუქმდებულია და ზოგიც მოქმედი. ოსმალთა სახელმწიფოში, სადაც კი კერცხლის საბაღოებია. ყველა ქალაქია. ანატოლიაში — ყალიზმანი, პაქარი, ბინგოლი, სანჯარი; აქრა, მისრი; სირიაში — ლიბანის მთები, მაან-ოლლუს მთა, მერზი-ფონის ქალაქი და სხვები; რუმელიაში, ბოსნის ფარგლებში — სრებრენიჩეს; უსქების ახლოს — კარატოვა; ფერშეთნეს ახლოს — ნოვობურდა; სალონიკის ახლოს სიღირ კიფსი და კიდევ სხვა აღგილებია. მაგრამ ქალაქ გუმუშხანეს მაღანეულის ძარღვები შვიდი ხელისგულის. დადებაზე უფრო სქელია და ყველა ძარღვი ტუვის [შენარევის] გარეშე, ხალასი განძია. ამ ქალაქის ემინის უბანში ზარაფხანაა. [მაგრამ ამ- 344 ეამად უქმადაა. მე ეხლაც ვინახავ რამდენიმე აქჩის, რომელსაც აწერია: „მოიქრა ჭათიგაში... ეს ქალაქი მთლიანად დაგათვალიერე, ვილაიეთის წარჩინებულებისაგან სამასი უზრუში, ერთი ვეცხლის სასაკმევლე, ვარდის წყლის ჭურჭელი და ერთი ქეპეილანის [ჭიშის] ცხენი მივიღე; ორ დღეში მთები და გორები გადავიარეთ და ბაბურთის ძველ ციხეში მივედით.

ბაბურთის ძველი ციხის ამბავი: ოსმალთა დიდ წინაპრებთან ერთად მაპანის ქვეყნიდან მოსული აკუოცუნლუები ამ ქალაქში დასახლდენენ. იალაღზე რომ გამოვიდნენ და ხეტიალობდნენ, გუმუშხანეს ველზე დიდი განძის მნიშვნელობის მქონე საბაღოები უპოვიათ და რადგანაც ისინი „ბად“ გამხდარან, ბარბურთი დაურქმევიათ. შემდეგ დამაბინჯებულა — ბაიბურდი დარქმევია. უზუნ ჰასანის ხელში რომ იყო [სულთან მეჰმედ 11] ფათიძის ვეზირის — მაჰმუდ-ფაშას მიერ გათავისუფლებულ იქნა. ამჟამად, [სულთან] სულეიმან-ხანის აღწერის მიხედვით, აზრუმის ვეზირის სამეფო ხასიათ გამოყოფილი სასუბაშოა. ასორმოცდაათახჩიანი ყადის თანამდებობაა. მისი ყადის წლიური შემოსავალი ექვსი ქისაა. ციხისთავი, მეცინოვნეუბი, შეის ულ-ისლამი და ნაყიბ ულ-ეშრაფი, წარჩინებულები და სიფაჰიები, ქეთხუდა-ერი და იანიჩართა სარდალი ჰყავს.

ბაბურთის ციხის აღწერა: ციცაბო კლდეზე, ხუთკუთხა, მტკიცედ ნაშენი ციხეა. ორმოცი მექური წყრთის სიმალლე კედლები აქვს. თხრილი არა აქვს. ციხე-სიმაგრის შიგნით სამასამდე ძველი აშენებული სახლია. სავაჭრო რიგები, ბაზარი, ფუნდუკი და აბანო არ აქვს. ორი კარი აქვს. ერთი აღმოსავლეთით არის, ბალების მხარეს. სამსაგდულიანი რკინის კარია. მეორე დასავლეთისაკენ გადის და სამორიგეო სახლის კარია. სამორიგეოს კარის ქვემოთ მდებარე ქალაქში ათასამდე მიწის სახურავიანი სახლია. ქალაქში ცხრამეტი მუსლიმური უბანია და შვიდი სომხური. ებრაელები და ბოშები არ არიან. ჩადგანაც ზღვის სა-

ნაპირო აქედან სამი დღის სავალზეა, ბერძნები ბევრია. მცხოვრებლების უმრავლესობა თურქმანები და ქურთებია. სულთან მექმედ II-მ დაპყრობის შემდეგ აქ გადმოასახლა ქალაქ თორედან სამიათასამდე კაცი. [ბაიბურთის] მოსახლეობის უმეტესობა იმ თორელების ნამრავლია.

345 ლვთისმოსავი და მორწმუნე ხალხია. || მათ ჯამეებს შორის მრავალჯამათიანია სულთან მექმედ II ჯამე, რომელიც შიდა ციხეში მდებარეობს. სავაჭრო რიგებში დგას ზაპილ-ეფენდის ჯამე, რომელიც დღედაღამ მლოცველებითა სავსე. ერთი მწყობრი, ლამაზი მინარეთი და მარცხენა მხარეს ორი მაღალი კარი აქვს. ამ ზაპილ-ეფენდის ჯამეს მარცხნივ მდებარეობს შარიათის სასამართლო, სულთნის სამღებრო, სოფლის ნაწარმ მარცვლეულის ყაფანი. ქალის უბნის<sup>2</sup> გვერდით ყაზი-ზადე მექმედ ჩელების ჯამე საქმარდ ფართო, მშვენიერი, ხელოვნებით ნაგები ჯამეა. არის შენგველ-ბადს ჯამეც. მდინარე ქოროხის გადაღმა მდებარე უბნის ხურთის უბანს უწოდებენ. აქაც ერთი ძველი ჯამეა, მაგრამ ფიცრით აგებული მინარეთი აქვს. სასადილო და საგანგებო სტუმართა ვასამასპინძლებელი სახლია, სადაც გამვლელ-გამომვლელს უხვად აქვს პატივისცემა. აქ არის სასწავლებელი, სადაც საჯარო სწავლება წარმოებს. მოსწავლებიც ჰყავთ. ყოველ ჯამეში და ზოგიერთ სავანეში მედრესებია, სადაც უფასოდ ასწავლიან. სამი აბანოა. ერთია ქოფრუს აბანო, რომელიც ციხისძირასაა. მეორე — შეპილ ალ შენგაპის აბანო. ერთიც წითელი აბანოა. სამი დერვიშთა სავანეა. ყაზი-ზადე მექმედ ჩელებიმ თავის ჯამეს გვერდით ერთი დიდი ფუნდუკი ააშენა და ჯამეს ვაკუფად შესწირა. ყოველ ბაზრობის დღეს ამ ფუნდუკის წინ ხეთი, ათი ათასი კაცი იქრიბება, ღიღი ბაზრობა იმპორტება და ალებ-მიცემობას ეწევიან. სამასმდე დუქანია, კარგად შემკული, სახელოსნოებიანი დახურული ბაზარი აქვს, რომელიც სასამართლოს გვერდითაა. ალაგ-ალაგ ყავახანებია. მათი საჭმელებიდან განთქმულია ახალთახალი კარაქი, ფენოვანი და ერბიანი თეთრი პური, ქათმის ღვეზელი, თეთრი და აღვილობრივი „აქლების კბილის“ ჯიშის ხორბალი. ქსოვილებიდან მეტად ცნობილია და ყველა ქვეყანაში გადის ბაიბურთის ფარდაგები და სალოცავი ხალიჩები<sup>1</sup>. რაღაცაც ციფი ქალაქია, ხილეული მაინცადამაინც ბევრი არ იცის. სამოცდათამდე ყმაწვილების სასწავლებელია. მათი ბავშვები ფრიად ნიჭიერი, გონიერი და კეთილშობილები არიან. მოხუცებულები ას ორმოცდათ წლამდე ცოცხლობენ. ტებილმოუბარი, ხატოვნად მოსაუბრე, ფრიად კდემამოსილი და ზრდილი ქალები ჰყავთ. რაღაცაც არზრუმის მიწაზე მდებარეობს, საიალალო აღგილებია. ქალაქი არზრუმის ჩრდილოეთით მდებარეობს ორი დღის სავალზე. ტრაპიზონი მის ჩრდილოეთით ძევს.

ჩადგანაც მთიანი ადგილებია, ბაიბურთიდან ტრაპიზონში ქვეითი ორ დღეში ჩადის და ცხენოსანი — ოთხ დღეში.

მდინარე ჭოროხი: არზრუმის მთებიდან გამოდის, მრავალ მცირე ქალაქისა და დაბას ||წწყავს და ბაიბურთში მოდის ქალაქში მოედანი— 346 ბა, ქალაქის ქვედა ნაწილიდან ციხის ძირამდე მიკვლავნება და გონიოს-თან შავ ზღვას ერთვის. ზოგი ამბობს, სიტყვა „ჭოროხი“ „ჯუ-ი რუჰ“—ის დამახინჯებული გამოთქმაა. ასეთ შემთხვევაში იგი ნიშნავს „სულის მდინარეს“<sup>5</sup>. ბაიბურთელები მთებში მიდიან, ხეებს წამოაქცევენ, დას-ჭრიან და ამ მდინარე ჭოროხში ჩაუშვებენ. შემდეგ ქალაქში აშენებულ ჯებირთან მიიტანს წყალი. ყველა თავისი ნიშნით მოძებნის თავის ქონებას და სახლში მიაქვს.

ბაიბურთის წმინდა ადგილები: იმ ჯამეს უკან, რომელიც მდინარე ჭოროხის გამამა უბანში მდებარეობს, არის ერთი მთა; სახელად ღუდლარ-დალი ეწოდება. იქ ერთი ტულპებით მოფენალი ადგილია და აბდ ალ-ვაჰაბ-ყაზი მარხია. ჩერეულთა და მდაბითა სალოცავი ადგილია. ქალაქში მდებარე ჯამეს უკან, ნახევარი საათის სავალზე ცამდე-აწვდენილ კალეზე საღვთო ომში დაღუპული ოსმან-ყაზი ბაბა მარხია. ქვისაძირკვლიანი აგურის გუმბათი აქვს. შუაში ერთი დიდი საყინულე ჭურჭელი დგას. ჭალირ კანლი-დედეს სალოცავი ადგილი: ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობას ეს წმინდანი დიდად სწავს. ჩადგანაც ახლაბანა გარდაცვლილი, მისი სასწაულების მომსწრე ხალხი ახლაც ცოცხალია. ოდნავ დანგრეულ, მაღალ აკლდამაშია დამარხული.

ამ ადგილთან ახლოს დახელოვნებულ შეენებელს მდინარე ჭოროხზე ფიჭვის სვეტებით აუშენებია მერცხლის ფრთასავით [გაშლოლი] ხილი, რომლის მსგავსი შეიძლება იყოს. მხოლოდ ჰერცოგოვინას სახაყის ქალაქ კარჯას წინ გამავალ ღრმა მდინარეზე გადებული ხილი. ჩადგანაც ამ ჭოროხის ხილს ერთი თაღი აქვს, უფრო მაღალია და მეტი ხელოვნებით ნაკეთები. ქალაქი დავათვალიერეთ.

ლაშქარიც დიდებული ბრძანების შესატყვისად შეგროვდა და გაემზადა. მე, მწირს, სამასი ყურუში „ფეხის ქირად“ მოძეუს. ორასი ამხანაგი შეეციყარენით და ქალაქ თორთუმში მივეღით.

თორთუმის ციხის ამბავი: საქართველოს მეფის — მამრულის აშენებულია. შემდეგ უზუნ ჰასანის ხელში გადავიდა და მისგან კი — [სულთან მეჰმედ II] ფათიჰისა. მაგრამ შემდეგ ისევ ქართველებმა დაბყრეს. [სულთან] სულეიმან-ხანმა როგორც კი შეიტყო მისი დაბყრობის ამბავი, მაშინვე მეორე ვეზირი აჰმედ-ფაშა კარგა დიდი ჭარის სარდლად დანიშნა და გააგზავნა. ისიც მოვიდა და სანგრებში რომ შევიდა, შვიდი დღისა და შვიდი საათის ბრძოლის შემდეგ ციხე და-იყრო. შიგ საკმაო რაოდენობის მეციხოვნები, ჯაბახანა, ზარბაზნები,

347 სურსათი და სხვა მარაგი დატოვა. თავისი ჯარით||ნიეჭახის ციხისაკენ  
წავიდა და აქედან — ამირახორის ციხისაკენ. ციხეები დანებდნენ; დაი-  
კავა და შიგ საქმარისი რაოდენობის ჯარები ჩააყენა. იქიდან ახა-ყა-  
ლეს მივიღდა. შვიდ დღეში დაპყრო და ციხის ბურჯზე მაშმალიანური  
ლოცვა აღავლინა.

იქიდან ნიქერდის, აშირდას, პატარა ახა-ყალეს ციხეებისაკენ  
გაემართა. მათი ბეგები ამანით დამორჩილდნენ. ამის შემდეგ ისპი-  
რისა და ფერთექტების ციხეებმაც ითხოვეს შებრალება და ახლაც  
ყველანი დამორჩილებული არიან. რაღანაც ამის შემდეგ დადანლის  
ნაპირისაკენ გაემართნენ, სამოცდასამი სოფლიდან თხუმეტი დამორ-  
ჩილდა და დანარჩენები კი დაქცევს. ამის შემდეგ დაპყრობილ იქნა  
თაქებისი, ახაყალე. ლივანას ხეობა და ჯარი თორთუმში მოვიდა. თორ-  
თუმიც აღწერეს, როგორც სანჯაყის მთავარი ქალაქი. ახლაც ასეა. ალა-  
ბეგი და ჩერი-ბაში ჰყავს. ომიანობის დროს ჯებელიებინად და თორ-  
თუმის ბეგის ლაშქრიანად სამოცი ათასი რჩეული მეომარი გამოჰყავს.  
მის ფაშას, სამართლის მიხედვით, წლიურად თორმეტი-ცამეტი ათასი  
ცურუში შემოსდის.

ლაშქრობაში ჩვენი წასელის წელს სეიიდ აპმედ-ფაშამ, რამდე-  
ნადმე ძალადობით. თორთუმის სანჯაყიდან მისალები შემოსავალი იც-  
დაოთხი ათას ყურუშამდე აიყვანა. ის კა არა, როდესაც მე, მწირი, მას-  
თან სულთნის ბრძანებით მივეღი, მის სანჯაყში მყოფ თიმარებისა და  
ზეამეტების მფლობელთა გარდა, გადასახადებისაგან გათავისუფლე-  
ბული იძამები და ხათიბებიც კი შეავიწროვა: „ლაშქრობა გევალება-  
თო“ და მის სანაზღაუროდ ათი ათასი ყურუში აიღო. მე, მწირი, კა  
თავის სასახლეში მომათვასა და ქალაქი დამათვალიერებინა.

ასორმოცდაათახიანი ადგილია ყადისა და ცხრა ნაპიე. მათგან  
შემდეგია ცნობილი: იუვანე, დადანლი, ისპირი. ამ ნაპიებიდან ყადის  
სამი ათასი ყურუში აქვს წლიური შემოსავალი. შეის ულ-ისლამი,  
ნაკიბ ულ-ეშრაფი. წარჩინებულები და დიდებულები, ციხისთავი, მე-  
ციხოვნები, ინიჩიართა საჩდალი და ქალაქის სუბაში ჰყავს.

თორთუმში ციხის აღწერა: მაღალ გორაკზე ოთხკუთხა შენობაა.  
ერთი რკინის კარი აქვს. შიდა ციხეში თვრამეტი სახლი და [სულთან]  
სულეიმან-ხანის მცირე ჯამეა. ერთი ამბარი აქვს. ქვედა გრეუბანში  
კეთილმოწყობილი და მშენებირი შენობებია, რომელთა ჩიცები შვი-  
დასს აღწევს. შვიდი უბანი და შვიდი მიპრაბი აქვს. ორი აბანო, ორი  
ფუნდუქი, ათი ყმაწვილების სასწავლებელი და სამოცდაათამდეც ყო-  
348 ელგვარი ხელობის სახელოსნო დუქანია აქვს. დახურული ბაზარი,  
საქველმოქმედო ნაგებობა, მედრესე და მისთანანი არ აქვს. ყოველ  
სახლს მრავლად აქვს ბალვენახი. რაღანაც მშვენიერი პაერია, ხე-

ხილი ბევრია. ყურძენი, მსხალი და ლალისფერი ატამი სანქებოა. რაღ-  
განაც ქალაქი არზრუმიდან ორი დღის სავალზეა დაცილებული, ვაჭ-  
რებს ხილი ყუთებით გადაკვთ არზრუმში. არზრუმის ვილაიეთში  
ერზინჯანის შემდეგ ქალაქი თორთუმია სამოთხის ბალივით შემჯული.  
მისი ხალხი სტუმაროთმყვარე, გულკეთილია. მშვიდი, მართალი ადა-  
მინები არიან. თორთუმში გვარჩილასაც იღებენ. ქალაქი ერთ ხეობიან  
აღვილას მდებარეობს.

ქალაქის დათვალიერების შემდეგ თორთუმის ჯართან ერთად  
არზრუმის ვილაიეთისაკენ გასამგზავრებლად დიდებუნი რომ იქრიბე-  
ბოდნენ, ამ დროს სეიდი აპმედ-ფაშას მხბავა შოუვიდა, შავი ზღვის  
ნაპირზე მდებარე გონიოს ციხე კაზაკებმა მოულოდნელად აიღესო.  
მან მაშინვე დაგზავნა მაცნები, რომლებმაც დაიწყეს ძახილი: „ტანზე  
დავითის ჯავშანი ჩაიცვით, [სულთნის] ბრძანებას ნუ მოუცდით — ცხე-  
ნებზე შესხედით! ჰეშმარიტი საჩქმუნოებისათვის წმინდა ომსა და მო-  
წამეობრივ სიკვდილს ვინც ეძებს; ვისაც უნდა ცხენი, თიმარი და ზეა-  
მეთი მიიღოს, წამოვიდიდეს!“. ჩევნც ქალაქიდან გამოვედით, ბალების  
თავში ოლნავ შევისვენეთ და ათასი რჩეული, მსუბუქად წამოსული,  
შეიარაღებული მეომარი შეგროვდა. „ვაი მას, ვინც უკან არ გამომყვე-  
ბაო!“ — ვამბობდით. სამჯერ დავძახეთ მაჭმადიანური ყიუინა და ჩრდი-  
ლოეთისაკენ გავემართებით. მთელი ჩვენი ჯარით, რომელიც ხაიალისა  
და ქეპეილანის ცხენებზე ისხდა, იმ დღედაღმეს შენებით ვიარეთ. იმ  
აღვილებიდან, სადაც გავიარეთ, ჩევნ თან წავისხით ისეთი ხალხი, რომ-  
ლებიც მხედრები არ იყვნენ, მაგრამ იარაღის დაჭერა და სროლა შე-  
ეძლოთ. მეორე დღეს, დილით ერთ ხევში ჩავდით და დაებანაკდით.  
იქიდან ისევ ჩრდილოეთისაკენ ერთი დღე შენებით ვიარეთ და იმ აღ-  
გილას, სადაც ტრაპიზონის საზღვრებიდან გონიოს საზღვრებში შე-  
ვედით, სამეგრელოს ჯარებს შევხვდით. სეიდი აპმედ-ფაშასთან მო-  
ვიდნენ და ყველას პატივი მიეგო. მოვიდა სამი ათასამდე ჩაცმულ-  
დანურული, შეიარაღებული, თავითფეხებამდე ცისფერ რეინაში ჩამჭ-  
დარი, ხელშუბიანი, ქეპეილანის ცხენიანი, გველეშაპივით [ვაჟკაცი]  
შეგრელი აზნაური, ათასამდე ქვეითი მეთოფე და ქართველი წარჩინე-  
ბულები. ესენი გარევნობით სხვადასხვანაირი იყვნენ. ზოგი თმაგაწე-  
წილი იყო, ზოგი — თმახუჭუჭი. ორმოც-ორმოცდაათ წლისანებსაც კი  
წევრი გაპარსული პქონდათ და საოცარი გმომეტყველებისანი იყვ-  
ნენ. ასე წარსდგნენ. კოჯა ყაზი სეიდი აპმედ-ფაშამ!! დაუყვავა, ყოველ 349  
მათგანს აღთქმა მისცა და მიესიყვარულა. იმ დამეს მანძილები გადავ-  
სერეთ და დილააღრიან მივაღწიეთ გონიოს ციხეს, რომელიც შავი  
ზღვის ნაპირზე მდებარეობს. დავინახეთ, რომ ციხე კაზაკებით იყო  
საესე და ციხის კედელ-ბურჯები ჯვრებით მოერთოთ. ციხეში მყოფმა

კაზაკებმა ისლამის ჭარი რომ დაინახეს: „პოი, წმინდა გიორგიო“, — კვირილი მორთეს. ციხეში უშიშრად იყვნენ დაბინადრებულნი და მათი სამოცდაათი „ჩაიკა“ ნავი კი ციხის ძირას დაებათ და იქ ეყენათ. კაზაკები ციხეში მთვრალები და უგონოები რომ იყვნენ, სეიდი აპედ-ფაშამ თვალის ასახვევად ასორმოცდაათამდე იჩ-ალებითა და თორთუ-მის გზაზე შეხვედრილ სამეგრელოს და გურჯისტანის ქვეით ჭართან ერთად ერთხმად შესძახეს „ალაპ“, „ალაპ“ და თვალები დაუბრელეს. [ამ დროს] მეორე მხრიდან ზღვის ნაპირზე მდგარ ხომალდებს შორის შევიღნენ და დაუნდობლად გადასჭრეს თოკები. სამოცდაათი ნავით შავ ზღვაში გავიღნენ და ყოველ ნავში ყარაულად დატოვებული ხუთ-ზუთი, ათ-ათი, მთვრალი და უგონო კაზაკები ზოგრ ხმლის კბილებში გაატარეს, ზოგიც დაატყვევეს და ნიჩბები მოასმევინეს. ყველა გმირმა შედლუხი ატეხა, ნავები ციხიდან ზარბაზნის გასროლის მანძილზე ჩო-ბანის მხარეს ერთ ყურეს შეგავს აღვილს დატოვეს. კაზაკები ციხეში ალყაშემორტყმული დარჩნენ და გათავისუფლები; იმედი რომ გადა-ტყვდათ, გაცოფდნენ და ცეცხლის ფრქვევა დაიწყეს. აქეთა მხარეს კი მუსლიმი გმირების რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და ციხეზე იერიშის მისატანად საომარი მასალის მზადება დაიწყეს. ურ-ჯულოებისაგან ხელში ჩაგდებული ნავების ანძები და ნიჩბები, აგრე-ოვე სამეგრელოდან ლაზური „მენექისლა“ ნავებით მოსული მეგრუ-ლების ნავების ანძებიც კიბებად აქციეს. მათი ნავებიც ჩელელთზე გა-მოიყვანეს და საფარად ციხის ძირას მიათრიეს. ციხის აღმოსავლეთით და სამხრეთით რიგიანი სანგრები გათხარეს და ყველა მუსლიმი გმი-რი, სამეგრელოსა და გურჯისტანის აზნაურები იმ წათელ დღეს სან-გრებში შევიღნენ. ციხიდან კაზაკები გარეთ მყოფ გვმებს უშენდნენ ტყვიას, აქეთა მხრიდან კი მუსლიმი გმირები და სარდალი — ციხეს. ამ დროს კაზაკებმა პოლკის ბაირალი ათვრიალეს, გარეთ გამოვიდნენ და მუსლიმ გმირებს თავს დაესხნენ. აქეთა მხრიდან ყაზი სეიდი აპედ-ფაშამ თავისი სამასი მამაცი, ღონიერი მეომრით, „ალაპ, ალაპის“ ძა-ხილით კაზაკებს ერთი ისეთი მახვილი დაპქრა, რომ გადატეჩნილებმა აირჩიეს მდინარე ჭოროხში გადაცვენილიყვნენ და ან ღამხერჩალიყვ-ნენ, ან გაღმა გასულიყვნენ. მაგრამ ვინც მოახერხა გაცეურა და გა-  
356 დარჩენილიყო, მაინც ვერ გადაურჩა ||მუსლიმი გმირების ხმლებსა და თოფებს. ოსმალებმა დაწვეს ჭოროხში მდგარი ხომალდები; ორასი კა-ზაკი კი, ვინც ხმალს გადაურჩა და ციხეში ვერ შეასწრო, ცალ-ცალევ შებორკილი ტყვედ წამოიყვანეს. მას შემდეგ, რაც [ციხეზე] სამჯერ მიიტანეს იერიში, სამოცდაათმა მუსლიმმა გმირმა შესვა მოწამეობ-რივი სიკვდილის თასი. ბოლოს, როდესაც სეიდი აპედ-ფაშამ ეს ვი-თარება დაინახა, კაფუჭი-ბაშიები ბათუმის სანჯაყის ნაპიებში გაზ-

ზავნა ჭარის მოსავროვებლად. გარშემო ნაპიერებიდან ორმოცდაათი თო-  
 ფებითა და შუბებით შეიარაღებული ლაზი, ზიღულელ წოდებული დუ-  
 ღუკების დაკვრითა და თეთრი ღროშებით გუნდ-გუნდად მოვიდნენ და  
 მდინარე ჭოროხის ნაპირზე დადგნენ. გამარჯვებულმა საჩდალმა მათ  
 დასვენება არ აცალა და ჩერქეზულ ენაზე ყველა გმირი საომრად აღა-  
 ფრთვანა და წააქეშა: — „მალე, ჩემი ძმები! თავგამოდება თქვენ-  
 ზეა. სარწმუნოებისათვის ზრუნვა თქვენც გაგაეთილშობილებთ და  
 მეც“. ისინიც ტალღა-ტალღა წამოვიდნენ. ყველას ხელში ეჭირა თითო  
 კონა ფიჩხი, თითო თოფრაკი წიგა, თითო კონა სიმინდის ჩალა, ქოქუ-  
 მის ბუჩქის, ღომისა და ფეტვის ჩალის კონები და როდესაც ციხეს  
 გარშემო კონებს უწყობდნენ, ზოგი მოკლეს, ზოგიც დაჭრეს. ამ იერიშ-  
 შიც სამოცდაათი გმირი ეღირესა მოწამებრივ სიკვდილს. სეილი აპ-  
 მედ-ფაშამ მექმედის ლოცვა წარმოთქვა და გემის ანძებისა და ნიჩბე-  
 ბისაგან გაკეთებული კაბებით ციხის კედელზე უშიშრად შეფრინდა.  
 ყიუინა დასცა და ციხის აღმოსავლეთი კუთხის კოშკზე იჩ-ალებთან ერ-  
 თად მსხვერპლის მოდარაჭე მობისასაცით ამობჲო თავი. ხმალამოლე-  
 ბულმა დასძახა: „აბა, არ გაუშვათ, ჩემი ვაკუაცებონ“. ასე რომ დაინა-  
 ხეს თავისი საჩდალი, როგორც შავი ჭიანჭველები დაქვევიან გველე-  
 შაპს, ისე შეესიენ ციხეს მუსლიმი გმირები და შეტევა ლაიწყეს. კაზა-  
 კიბმა დაინახეს, რომ გმირები კედელზე ხმლებს აუღარუნებენ და მო-  
 ღიან. მრავალი მათგანი ცეცხლში ჩახტა და დაიწყვა; ზოგი, ხმლის ში-  
 შით რომ გარბოდა, გადავარდა და დაილეწა, ზოგიც მდინარე ჭოროხ-  
 ში გადაეშვა, ჩაიძირა და გაქრა. ერთი სიტყვით, იმ დღეს შუადლიდან  
 სამხრამდე არც ყაზი სეილი აპმედ-ფაშას და არც მუსლიმ გმირებს  
 ერთი ნაჭერი პურიც კი არ ჩაედოთ პირში. ბოლოს, სამხრის დროს,  
 ციხე დავიპყარით. მაღლობა ალაპს, პირველი ლოცვის წაյითხვა მე,  
 მწირს, მარგუნა. ციხე გმირებით აივსო. ადრე გადარჩენილი „ჩაიკა“  
 ნავები ციხის ძირას მოიტანეს, ყველა მათი მოწყობილობა თავ-თავის-  
 აღგილას ||დააწყვეს და გამზადეს. მაცნეების მოწოდებით გაიმართა 351  
 ზარბაზნების შედლუხი, რომელიც სამი დღე და ლამზ გაგრძელდა: მაღ-  
 ლობა ალაპს, რომ მე ამ ბრძოლაში ვიყავი. ციხეში მუჭამედის სადი-  
 ღებელ პირველ ლოცვას რომ ვეითხულობდი, აღმოსავლეოდან — მდი-  
 ნარე ჭოროხის ნაპირიდან ფერადფერადი პარალებითა და ღროშებით  
 აქეთ მომავალმა ათასობით ჭარისკაცმა ციხეში ზარბაზნის სროლა და  
 ჩვენ მიერ მოწყობილი შედლუხი დაინახა; [ჭარმა] „დიდ არს ალაპიო“,  
 თქვა და ციხის ძირას მოვიდა. დაინახეს, რომ ციხე დაპყრობილია,  
 სეილი აპმედ-ფაშა ციხეშია და საომარი მასალის მოწყობას ხელ-  
 მძღვანელობს. თურმე, ეს ჭარი გამოუგზავნია არზრუმის განგებელს,  
 ჩვენს ბატონს დაეთარდარ ზადე მექმედ-ფაშას. არზრუმის ვილაიეთის

ჭარი ყარსის ფაშის — ქეთენჯი ომერ-ფაშას ჟე ბაკი-ფაშას სარდლო-ბით ხუთ დღეში მოსულა ოჩზრუმის ველებიდან გონიოს ციხის ძირას და შეიდი ათასი რჩეული მეომარი ჰყოლია. გონიო!, ძირას, მდინარე ჭოროხის ნაპირზე უკარვებოდ დაბანაკდნენ. ერთ მხარესაც ბასიანის სანჯაყის მფლობელი ქენან-ფაშა დაბანაკდა. მეორე მხარეს კი ბასიანის სანჯაყის თიმარებისა და ზემეტების მფლობელებთან ერთად დაბანაკდა მეციხოვნეთა ნახევარი, რომელთა [საერთო] რაოდენობა ორი ათასს შეადგნდა. ცალკე განლაგლნენ: ქეთენჯი ომერ-ფაშას ჟე თავილ მექმედ-ფაშა, რომელსაც ახალციხის დაცვა ევალებოდა თავისი ურფას ვილაიეთის ჭარით, ბირევიქის ბეგის, ალი მერდან-ბეგის ლივას ჭარი და კიდევ სხვა მოხალისეთა და განწირულთა რაზმებიზ. მანასეერტის ბეგი მექმედ-ბეგი ორი ათასი დარჩეული, მამაცი, სახელოვანი ვაჟა-ცით მდინარე ჭოროხის ნაპირზე დაბანაკდა. ქილოს სანჯაყის მფლობელ თაბანი ხასი მექმედ-ფაშას მეჩირალე დელი ჰუსამ-ბეგის ებრძნა ლივას ათასი ჭარისკაცით ციხის ძირას, ზღვის ნაპირზე ხელში ჩაგდებული ნავების დაცვა. ერთი სიტყვით, ქემახის, ერზინჯანის, თერჯანის, ქელქექის, კუჭულუ ჰისარის, ჰავი მურადის ციხის, გუმუშენეს, გაბიურთის, ნენსის, ისპირის, თექმელის, კუზუჯანის, თორთუმის, მეჯენერტის, მამირვანის სანჯაყებისა და სხვა ციხეებისა და დაბების კუველა სანჯაყ-ბეგი და ალაი-ბეგი ჩერიბაშიებთან ერთად მოვიდნენ და გონიოს ციხის ძირას დაბანაკდნენ. ამათ შემდეგ ჭოროხის ნაპირზე ორი ათასი ჩჩეული მეომრით დაბანაკდა მუსლიმ სარი დერვიში — ქეთხულა ყარაპისარის სანჯაყისა, რომელიც ახალციხის ფაშის — პატიოსანი, პირნათელი კოჭა საფარ-ფაშის არფალიერი იყო. ეს [მუსლიმ სარი დერვიში შემოხსენებული] სანჯაყების უკანმავალი იყო.

352 ციხის ძირას ||შედგა დიდი სახელმწიფო დივანი. მეორე სარდალმა ბაკი-ფაშის ფეხზე წამომდგარმა თქვა: „ბედნიერი იყოს შენი საღვთო ომი! ოჩზრუმის ვეზირმა, ჩვენმა დიდებულმა სარდალმა დავთარ [დარ]-ზადე მექმედ-ფაშამ სალამი გიძლვნათ და ეს ოქროთი ნაქარგი ხალათი და სიასამურის მოსასხამი გიბოძათო“. ეს რომ თქვა: თან წამოლებული ხალათი და მოსასხამი ყაზი სეიდი აპმედ-ფაშას ზურგზე წამოასხა, თავზე, თული მიამაგრა, დალოცა და აკურთხა.

ლეთის სიბრძნით, სამხრობის ეამს. ზღვაში ორმოცი-ორმოცდათი ლაზური „მენექისლა“ ნავი გამოჩნდა. რომ მოდიოდნენ, შიგ მყოფებმა დაინახეს, რომ ციხე მუხამედის ხალხათა სავსე და მის გარეთაც კარვებში ამდენი ლმალო მეომარია დაბანაკებული: ერთიმეორის მიყოლებით იწყეს ნავების უკან გაბრუნება. ესენი იყვნენ უჩჩი-აზნაურები, რომლებიც ციხეში [მყოფი] კაზაკების დასახმარებლად მოდიოდნენ. სეიდი აპმედ-ფაშას ჭარი მაშინვე ორი მხრიდან გაქანდა და

ტყევია დაუშეინა. საღამომდე გაგრძელებული დიდი ბრძოლა შეიქნა. ორმოცდაშვილი ნავი დაიპყრეს და ისლამის ჯარმა უხვი ნადავლი ჩაიგდო ხელთ. ნავებში მყოფი ტყვედ ჩაცვივდნენ. იმ ღამეს ციხეში და მის გარეთ ისევ ატყდა თოფუზარბაზნის შედლუხი და დილამდე საზეიმოდ იყო გაჩირალდნებული. მეორე დღეს, დილაადრიან მდინარე ჭოროხის ნაპირიდან დაძრული მტვერი ცას მისწვდა და ქვეყნი-ერების მნათობის ბრწყინვალებამ და ჯავშნის, აგრის, მუზარალების ნათებამ [ზალხს] თვალი მოსტრა. მწყრივებად დაწყობილი სამაგალითო ჯარი გამოჩნდა და მოახლოვდა. თურმე, ჩვენი ბატონის, არზრუმის ვალის — მემკედ-ფაშას პატიოსანი ბრძანებით ჩილდირის ვილაიეთის მფლობელი ვეზირი კოფა საფარ-ფაშა<sup>9</sup> ახალციხიდან ჭენებით წიმოსულა. და გონიოს დასახმარებლად მოსულა. მასთან ერთად საქართველოდან მოვიდნენ ექვსი თასი გულადი ქართველი მეომრით თევმურაზ-ხანის ძე, ლევან-ხანის ძე და ალექსანდრე-ხანის ძე<sup>10</sup>. როგორც კი ასეთი ამბავი მოვიდა სეიდი-ფაშას, ბაჟი-ფაშა, ქუთფაპ-ფაშა და სხვა მირ-ლევები, ალაი-ბეგები, ჩერი-ბაშიები თავით ფეხებამდე შეიარაღდნენ და საფარ-ფაშას შესახვედრად გავიდნენ. ფრიად სამაგალითო სანახაობა ვნახეთ. საფარ-ფაშა საგანგებო ჯარით, წყლის მზიდავებით, მეთოფეებით და შათირებით რომ მოვიდა, სეიდი-ფაშამ და ბაჟი-ფაშამ ცხენდაცხენ უბასუხეს სალამშე. [შემდეგ] სეიდი-ფაშა მარჯვნივ ამოულდა, ბაჟი-ფაშა — მარცხნივ და დიდი ჯარით ციხის ძირას [მოვიდნენ]. <sup>353</sup> ციხის კედელ-ბურჯებიდან ზარბაზნის ერთი ბათქი გავარდა — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაომ“, ერთიც — თოფების ბათქი: — „მოხარული ვართ თქვენი ნაკვითო“. საფარ-ფაშა თავისი ჯარით ციხე-სიმაგრის ძირას დაბანაკდა. მას შემდეგ მოსვლა იწყო სურსათმა გურჯისტანის, სამეგრელოს, ბათუმის, ლაზისტანის სანჯაუებიდან. მეორე დღეს, დილით გონიოს ციხის სამხრეთ მხარეს გამოჩნდა დიდი ჯარი, რომელიც ხოფასა და ჩიხეს მხრიდან ზღვის ნაპირ-ნაპირ [მოდიოდა]-თურმე, ტრაპიზონის<sup>11</sup> ფაშას მოუყვანია. სამი ათასი სახელოვანი მეომარი, სამოცდათი სანდალი, ასი ლაზური „მენექისლად“ წოდებული ნავით ჯარი და სურსათი, ათი „შავი“ ზარბაზანი მოუტანია და გონიოს ციხის დასახმარებლად მოსულა. როდესაც [ამის შესახებ] ამბავი მოუვიდა სეიდი-აპმედ-ფაშას, მის შესახვედრად არც თვითონ წავიდა და არც ჯარი გაგზავნა. ტრაპიზონის ფაშა მოვიდა და ცაბის ერთ მხარეს დადგა. შემდეგ, როდესაც იგი ციხეში მოვიდა, რათა სეიდი-აპმედ-ფაშასთან [შეხვედრით] პატივი მიეღო, [სეიდი-აპმედ]-ფაშამ მას სრულებით არ სცა პატივი და იქ დამსწრებებს მიმართ:

„— შეხედეთ, ერთი, მაპმაღიანებო! მე რომელი სანჯაყის მბრძნებელი ვარ?“

ვილაიეთის წარჩინებულებმა უპასუხეს: „ამჟამად თორთუმის სან-ჭაყის მფლობელი ხართ“.

ფაშამ ბრძანა: — „კი, მაგრამ, თორთუმი ამ გონიოს ციხიდან რა მანძილზეა?“

კეთილშობილმა დამსწრებებმა თქვეს: — „ოთხი-ხუთი დღის სა-ვალია“.

ფაშამ რისტვით თქვა: — „ოთხი-ხუთი დღის სავალზე დაშორებუ-ლი ადგილიდან მოვედი და გონიოს ციხე გავათავისუფლე, თუმცა ეს სრულიად არ მევალებოდა. მე ვცდილობდი მიმესწრო და ღვთის ბრძა-ნებით, ჰეშმარიტი სარწმუნოების გადარჩენის მიზეზი გავმხდარიყო. მომხედე, ფაშა, შენ ტრაპიზონის ფაშა იყო, ორთულიანი მირ-მირანი იყო, გონიოს ციხე შენი ვილაიეთის მიწაზე და ტრაპიზონიდან ორი დღის სავალზე იყოს და შენ კი ამ შვიდი დღის განმცვლობაში რატომ არ უნდა მოხვიდე ციხის დასახმარებლად. მე ამას ჩემს ფადიშაპს მო-ვახსენებ. საჩქაროდ დამიძახეთ მდივანმწიგნობარსო!“ — გასცა ბრძა-ნება ფაშამ.

როდესაც მისი სურვილის შესაბამასად საქმის მოხსენებას ადგენ-დნენ, ფაშამ ბრძანა: „მთავარო ბოლუქ-ბაშიებო! მომაშორეთ ეს ტრაპიზონის [ვილაიეთის] მოღალატეები!“, წევდეგ ტრაპიზონის [სა-მოცდაათ წარჩინებულს უთხრა: „რატომ არ წააქეზეთ თქვენი ფაშა ამ ციხის გასათავისუფლებლად?“ ძალზე გაუწყრა, გაյიცხა და ყველანი ციხეში ჩამწყვდია. მდივანმწიგნობარმა კი დაწერა მოხსენება ციხის დაპყრობის შესახებ, ტრაპიზონის ფაშის დაუხმარებლობის შესახებ და 354 როდესაც მისი მირ-მირანისა და სხვა მოხელეების, გონიოსა და ტრა-პიზონის ყადიების ბეჭედდასმული საერთო მიმართვა ფადიშაპისათვის უნდა გაეგზაუნათ, ტრაპიზონის ყველა წარჩინებული სეიდი, აპედ-ფაშას ფეხებში ჩაუვარდა და შეევედრა: — „შევიბრალე, ბატონო! ჩვენს ამბავს ფადიშაპს ნუ მოახსენებო!“. სეიდი-ფაშამ არ დაუთმო, თავისი სიტყვა არ გადათქვა და „უსათუოდ მოვანსენებ ამ თქვენ ურ-ჩიბასო“, — დაიინა. ბოლოს ტრაპიზონელები ფაშებს ჩაუვარდნენ ფეხებში და ისინი სეიდი-ფაშასთან სათხოვნელად მიგზანეს. საქმე მორიგებითა და შეთანხმებით გაათავეს და სამი დღის დაჯრს: შემდეგ როგორც იქნა, ტრაპიზონის ფაშამ, მისი ვილაიეთის წარჩინებულებმა და მთელი ტრაპიზონის ერალიეთმა ძალაუნებურად გაიღეს საქმის მი-საჩქმალად ორმოცდასამი ქისა ყურუში, სამი ცალი სიასმურის ქურ-ქი, თორმეტი მონა და თორმეტი მხევალი. პირადად ტრაპიზონის ფა-შამ მისცა ერთი ოქროთი მოქარგული აბრეშუმი და თავისი ახლად მო-ქარგული შვიდგანყოფილებანი კარავი, ერთი ძვირფასი ქვებით მოქე-დილი ხმალი, მოოჭვილი დაშნა, შვიდი კაპარჭი, ტრაპიზონის ქებული

ოქრომშედლების ჩინებული ნახელავი ნაირ-ნაირი ჭურჭელი, სასაქმევ-  
ლო, ვარდის წყლის ჭურჭელი, ნაირნაირი რატი, ვერცხლის შანდლე-  
ბი, გურზები და საომარი ცულები; სამი წყება აქლემი, სამი წყება ჯო-  
რი, ჰენებით დავარღნილი ცხენების სანაცვლოდ ას ოცი ცხენი მიღეს  
და საქმე იმით გაათავეს, რომ ფალიშაპს არ მოახსენეს. ფალიშაპის კარს  
მოახსენეს მხოლოდ ის, რაც შეეხებოდა გონიოს ციხის დასაპყრობად  
და დასახმარებლად მოსული მირ-მირანების, ალაი-ბეგებისა და სან-  
ჯაყ-ბეგების მონაწილეობას ფალიშაპის სამსახურში. სეიდი აქმედ-ფა-  
შამ გონიოს ციხის გათავისუფლების სასიხარულო ამბის შესატყობი-  
ნებლად ერთი კაფუგი-ბაში გაგზავნა, რომელიც „გურჯი ბეგზადეს“  
სახელით იყო ცნობილი. მეორე კაფუგი-ბაშის ხელით კი ეს ამბავი  
ჩვენ ბატონ არზრუმის ფაშას შეატყობინა. ამ ღროს მდინარე ჭორო-  
ნის ნაპირიდან მტვერი ავარდა და ისლამის ლაშქარი გამოჩნდა. თურ-  
მე, არზრუმის ვალის, ჩვენ ბატონ მექმედ-ფაშას აღა — ალაგა ათლი  
ჰასნ-აღა გონიოს ციხის დასახმარებლად სარდლად გამხდარა. არზრუ-  
მის სანჯაყის თიმარებისა და ზეამეთების მფლობელებთან ერთად თა-  
ვისი ციხეების მეციხოვნეთა ნახევარი, ორმოცი ბაირალი სეკანი და  
სარიგა, ბაშ ბოლუქ-ბაში, ბოლუქ-ბაშიები: — ქუჩუქ აჯემ კულუ, ჩა-  
თალი, მუმუჩეთუ, ჯალიკ ალი, ჰეიბელი, ნაკიშლი, ჯალიკ ალი, ზერე-  
ქეთლი, ხამალი აშკუნა, სენჯაბლი, ჰადირლი ჰაპალი, მესჯაჭ-ოლლუ, || 355  
ჯენთ-ოლლუ. ყარა ფირი, სოლაკ ველი, ქულჭა ალი, კაფან არსლანი  
მამადიანური ყიუინით გადმოვიდნენ. მათ გადმოყვნენ: ერთი ბაირა-  
ლი — სამასი მამაცი ცხენოსანი, ერთი ბაირალი — სამასი ცხენოსანი  
მოხალისე, ექვსი ბაირალი — ქარივით სწრაფი შეკრიკი, მეომრები, ერ-  
თი ბაირალი — ექვსასი მუთეფერიკა, ერთი ბაირალი — სამასი პატივის  
ღირსი აღა, ერთი ბაირალი გულადი კაშნაგირი, ერთი ბაირალი — ორა-  
სი სარაგი, ერთი ბაირალი გრე ქილურჯიებისა, ორასი შეიარაღებულ  
ახალგაზრდა, ორასი ჯავშან-იარალში ჩამჯდარი ხელშუბანი იჩ-ალები.  
მათ მოწინავეთა ბაირალით მოცყვებოდნენ მიუთავ ღულამ აღასის მე-  
თაურები, ორმოცი „სანდალის“ პატრონი ორმოცი-ორმოცდათი ამხა-  
ნაგით და ცხენებზე ამხედრებული კაფუგი-ბაშიები. მათ ნაღარის დაკვ-  
რით გადმოპყვა სარდალი ალაგა ათლი ჰასან-აღა. გონიოს ციხის ძირას  
კარვებში დაბანაკდნენ. სეიდი აქმედ-ფაშამ დიდი წვეულება გაუმართა.  
მეორე ღღეს ყველა სოფელ-დაბიდან კალატოზები და დურგლები მო-  
იყვანეს და დაიწყო ციხის შეეთება. პირველად თხრილები გაწმინ-  
დეს. ციხის დამწვარი ნაწილი და შიდა ციხეში მდგბარე [სულთან] ბაი-  
აზეთ [II] ველის ჯამე შეეთდა. 700 ახალი ჯარისკაცი და ციხისოფავი  
ჩააყენეს. დატოვეს მოწყობილობა, ჯაბახანა, ურწმუნოებისაგან, დავ-  
ლად აღებული თოფები და ასე მოაწყვეს. ტრაპიზონის ვილავეთის და

ბათუმის სანჯაყის ჭარი ციხის დასაცავად დავტოვეთ. 6 000-შე ძლევა-  
გამოსილი ჭარით მღინარე ჭოროხის ნაპირ-ნაპირ არზრუმისაკენ გავ-  
მართებით. გზაში [მღინარის] ნაპირზე ერთ მდელოიან აღგილზე გავ-  
ჩერდით. სეიდი აპედ-ფაშამ ცველა მუსლიმი გმირი სათათბიროდ  
მოიხმო და თქვა: „ეს სამეგრელო ტრაპიზონის ვილაიეთის მბრძანებ-  
ლობაშია და მაშინ, როდესაც საჭირო იყო ჩვენთვის მაშველი ძალის  
გამოგზავნა, კაზაკებს დაუჭირეს მხარი და ფადიშაპს განუდგნენ. მათი  
ნავები და რუსების „ჩაიკები“ ჩემს ფადიშაპს მივართვი. დაე, ტრაპიზო-  
ნის ციხის ნაესადგურში იდგნენ. ფადიშაპის მიერ ჩა ბრძანებაც არ უნ-  
და იყოს გამოცემული, ვილაიეთის ვალი მის მიხედვით უნდა მოქმე-  
დებდეს. ამდენი ათასი კაზაკი და შეგრელი ტყვე კი [სულთნის] ტახტს  
მივართვი, მაგრამ ახლა, როდესაც ეს დიდებულოა კრებული ამხედ-  
რებული ისლამის ჭარისა მზადაა, როგორ ვიძიოთ შური მეგრელ ურ-  
ჯულობზე, რომ ამდენ მგზავრობაგადატანილმა მართლმორწმუნებმა  
356 ნადავლ-ნაშორით ისარგებლონ?“||როგორც კი საქმის განხილვა და-  
იწყო; გურჯისტანს განმეობელმა საფარ-ფაშაპავ მეგრელებისადმი  
თავისი სიძულვილის გამოსახატავად თქვა: „ისლამის ლაშქრის ქვეი-  
თი და ცხენოსანი ჭარი მეგრელებს შეეუსიოთ. ჩვენი, ახალცახისა და  
გურჯისტანის გმირები მეგზურებად მივცეთ და საღვთო ომის ნადავ-  
ლი მათაც გავუზიაროთ“. ასე დამთავრდა ბჭობა და მე, მწირმა, ამ გან-  
ზრახვას ფათიჲა წავუკითხე. იმავე წამს მუსლიმ გმირებს შორის ძა-  
ხილი დაიწყეს მაცნებმა. მთელი თავისი იარაღია გაემზადნენ და იდგ-  
ნენ სარდლის ბრძანების მოლოდინში.

## LXXXII

### ლაშ თავდასხა საქართველოს პოზანაზე

ქუთფაზ-ფაშა ლაშქრის მეწინავე გახდა და 3 000 სახელოვანი  
მეომრით მღინარე ჭოროხის ნაპირის გაყოლებით სამხრეთისაკენ გაე-  
ვართა. მას უკან გაპყვა სამეგრელოს მიმართულებით 3 000-შე ძლევა-  
გურჯისტანის ახალციხის ჭარი. სეიდი აპედ-ფაშა კი მათ მიპყვა მხოლოდ  
9 რჩეული მეომრით. ბაკი-ფაშა კი 3 000 მეომრით უკან გაპყვა დუმ-  
დაზად. არზრუმის შიბინ ყარა-პისარის ჭარებს ებრძნათ მარჯვენა  
ფრთაზე ევლოთ და ქილის, ბასიანის, მამერვანის ჭარებს — მარცხენა  
ფრთაზე. ხნუსის თექმანის, მანასკერტის სანჯაყთა ბეგებს დაევალათ  
ისლამის ლაშქრისათვის სურასათის, ქერის, ალაფისა და თივის მომა-  
რაგება. მმ დღეს ათი საათი ვიარეთ და გავჩერდით ბათუმის სანჯაყი-  
სა და სამეგრელოს შორის მდებარე აღგილას, რომელსაც „ზარ ჩაირჩ“

ეწოდება. დილადრიან მდინარე ჭორობზე ფონით რომ გავდიოდით, საფარ-ფაშამ საქართველოს ჯარით დაიწყო სამეგრელოს ნაპიეს — დერანიეს! ჩბევა-აკლება. ეს რომ დაინახა მეგრელმა მოსახლეობამ, გაქცევა არჩია და მთებში გაიხინა. მაშინვე ჩვენი ბატონი დავთორ-ლარ ზადეს პირველი საღრმაშე, 22 ბოლუქის მთავარი ბაირალი 2 200 მეტროლით ციცაბო მთებში გაიშალნენ და ბაჯანას<sup>2</sup> მეგრელებს გარს შემორტყენება... ტყვიის ერთი ბათქი დაახალეს და მათთან დიდი ბრძო-ლი დაიწყეს. ამის შემდეგ ბაჯანა დაპყრობილ იქნა და იქიდან [შვიდა- 357 სი ტყვე წამოიყვანეს. ჯარი ნადავლით აიგსო. ამ ბრძოლაში [ოსმალო] გმირთაგან შვიდი ვაჟუაცი დაეცა. ბაქ-ფაშაც ნადავლ-ნაშოვარით გამ-დიდრდა და ისლამის ჯარს შეუერთდა. მუსლიმი გმირები დაიგზავნენ და გუნდ-გუნდად დაყოფილნი, მთებს, ხეობებსა და ბაჯანელებს ყოვ-ლის მხრიდან შეესივნენ. თვით „მერევ“<sup>3</sup>-ს ციხემდე მიაღწიეს. [ციხე-ში] მყოფებმა ციხის ორ მხარეს კარი გააღეს და ისლამის ჯარს ბრძო-ლი დაუწყეს ციხის გარეთ. სამ საათს იბრძოდნენ და ონიქის ციხის ბეგმა ალი-ბეიმ, ველი-ბეიმ და ნაკიშლი ბოლუქ-ბაშიმ როდესაც ნა-ხეს, ციხის დასავლეთი მხარე ცარიელიაო, ქამანდი რაღაცნაირად ეს-როლეს, ციხეზე აძგრნენ და ნელ-ნელა თავისი ვაჟუაცებიც აიყვანეს. კედელ-ბურჯებზე აზანი წაიკითხეს. გარეთ გამოსული ურჯულოები შიგ ვეღარ შევიდნენ და ხმლის ლუკმა გახდნენ. ხმალს გადარჩენილე-ბი კი ტყვედ ჩაცივდნენ. ამ ბრძოლაშიც სამოცდაათმა მუსლიმშა შესვა მოწამეობრივი სიკვდილის შაჩბათი. 300 მეგრელი დაატყვევა და 700 მოკლა. ისლამის ჯარი სიმდიდრითა და ნადავლით აიგსო. ბრძოლის დროს დატყვევებული ბეჭები და ქალაშვილები ძლევამოსილ სარ-დალს ჩააბარეს. აქედან ისევ ავიყარენთ, ტყიან ადგილებში 9 საათი ვიარეთ და ბოლოს ველს მივაღწიეთ. [სულთან] სელიმ-ხან პირველი უფლისტულობის დროს ტრაპიზონის განმგებელი იყო და რადგანაც ამ ულამაზეს მიდამოებში გაჩერდა, მდინარე ზობარის ნაპირზე ერთი მაღალი სოფა [ააგვეს]. მხოლოდ ზის ხეებით დამშვენებული ხეივანია. აქაც გავჩერდით. ისლამის გმირებმა მიღამოები ღმევ დალაშქრეს. მე-წინავე ქუთუაჭ-ფაშას ფრთაზე ორი გაიძერა დაიჭირეს. ისინი სეიდ აქმედ-ფაშას მიჰვევარეს და ალაპარაკეს. მათი ნამბობი შემდეგი იყო: „ჩვენ მეგრელი ბეგის — უაფშესუს კაცები ვართ. ჩვენმა ბეგმა იმისა-თვის გამოგვზავნა, რომ ვაგვევო ვონიოს ციხე რუსებმა დაიპყრეს, თუ ამჟამად ისმალთა ხელშიაო? ღვთის ნებით, აი, ტყვეობის მარწუ-ხებში მოვხვდით. ახლა თქვენ იცით!“ ამათ დაიწყეს ჩვენი მეგზურობა იმ სოფლებისაკენ, სადაც ბევრი ნადავლის აღება შეიძლებოდა. სეიდ აქმედ-ფაშამ ისინი გამოიყენა და წინ გაიძღოლა. მათ მიერ ნაჩვენებ მიმართულებას მაინც არ ენდობოდა და ისლამის ჯარისკაცები ერთად

იყვნენ, თავით ფეხებამდე შეიარაღებულნი; ასე გადავსცრეთ გზები და  
358 თეიმურაზ-ხანის ქვეყანაში შევეღით. თურმე ეს ტომი ახალციხის||ვე-  
ზირის — საფარ-ფაშას ქვეშვერდომი ყოფილა. თეიმურაზ-ხანის შვილი  
სამი ათასი შეიარაღებული, სრულყოფილი, თავით ფეხებამდე რკინაში  
ჩიმჭდარი ქართველი ვაჟკაცებით, ორი ათასი ქვეითი ჯარით და მეთო-  
ფე ჯარით მოვიდა და [ოსმალთა] ჯარის ერთ მხარეს დადგა. სარდალ  
ყაზი სეიდი აპმედ-ფაშას საჩუქრები გამოუგზავნა. ამ თეიმურაზ-ხანის  
შვილსაც ჰყოლია განდგომილი ტომები. ცლამის ჯარს გაუძლვა, ფერ-  
ნაქის, სელსელის, ფარავანის, ფენაქის, ქომლას, სამარბას ნაპიები  
დაიპყრო და სამი დღის შემდეგ ახარის ციხის ძირას დაბანადა. ეს  
ციხეც დამორჩილეს. ერთ გორაქზე პატარა, მრგვალი ციხეა. ანუ-  
შირვანის შვილის — ჰორმუზ გვირვევინოსანის აშენებული ყოფილა.  
პატარა ზარბაზნები აქვს. მისი მცხოვრებლები მეომარი ხალხი არ ყო-  
ფილა. მაგრამ საშინელი ქურდობა იციან. მათ შეუძლიათ ციდან ვარს-  
კვლავიც კი მოპარონ. ქუთფაზ-ფაშას ფრთიდან ორი ისეთი ვარსკვ-  
ლავივით ლამაზი ქალწული წამოიყენეს, რომ მათი მსგავსი ვერ მოი-  
ძებნება თვით იმ ფერიებში, რომლებიც დამასკოს ახლოს არიან<sup>4</sup>. თი-  
თქოს იმათ ამზად აუწყებს ქვეყანას ყურანის დიდებული ადა: „ჩვენ  
შევქმენით აღამიანი საუკეთესო აღნაგობით“<sup>5</sup>. სეიდი აპმედ-ფაშაშ  
ისინი ქუთფაზ-ფაშასაგან ათას-ათას ყურუშად იყიდა და ოც სხვა ქა-  
ლიშვილთან ერთად სულთან იბრაჰიმ-ხანს გაუგზავნა. ამ ღროს მანას-  
კერტის ფრთას ტყვედ ჩაუვარდა სამეგრელოს ბეგის ბიძაშვილი. მან  
ასი ტყვე, ათასი სული საქონელი, მრავალი საპალნე ოქროქსოვილი,  
მრავალი საპალნე ფარჩა მისცა და თავი გამოისყიდა. ამ ძლევამოსილ  
ლაშქრობაში ერთი ზროხა ნახევარ ყურუშად იყიდებოდა და ერთი  
ცხეარი -- ხუთ ახჩად. ამ ღროს სეიდი აპმედ-ფაშას აჩიკ ბაშის ბეგი-  
საგან საჩუქრად მოუვიდა ხუთი მონა და ხუთი მხევალი. მე, მწირსაც,  
ერთი მონა და ერთი მხევალი მიბოძა. აქედან ძლევამოსილი ლაშქრით  
გამარჯვებულად გიარეთ დასავლეთისაეკ და 11 საათში ნიკახის ციხე-  
ში მივეღით; იქიდან — ახჩა-ყალაში; იქიდან — გიქის ციხეში; იქი-  
დან — ნიკერტის ციხეში; იქიდან ქუჩქ-ყალაში. ამგვარად. გურჯის-  
ტანი და სამეგრელო თავიდან ბოლომდე დაპყრობილ-ღმორჩილებულ  
იქნა. მათი ბეგები ყაზი სეიდი აპმედ-ფაშასთან საჩუქრებით მოვიდნენ.  
რაღაცაც ეს ციხეები მთიან აღიღებში მტებარეობენ, მათ აღარ მივ-  
ხედეთ, გვერდი ავუარეთ და ჟუგანეს ნაპიე დავიპყარით. აქედან გზა  
განვაგრძეთ, თექრევის ციხის ძირას გავჩერდით და შევისვენეთ. კა-  
359 რის ხმაური რომ გაიგონეს, ||მეგრელები შეშინდნენ, ციხიდან საჩუქრე-  
ბით გამოვიდნენ და შეწყალება ითხოვეს. თხოვნა მხედველობაში არ  
მივიღეთ. და ჩვენი ჯარი ტყვეებითა და ნადავლით აივსო. ამგვარად

ყველა ისე დაიტკორთა, რომ აღარ შეეძლო წაედო შარიათიზ გათვა-  
ლისწინებული თავისი წილი [ნადავლისა]⁶.

მდინარე ჭოროხს დავყევით, გონიოს ციხის ძირას დავბანაკლით  
და დავისვენეთ. ნადავლი ტრაპიზონში გაიგზავნა და გონივრულად  
გაიყიდა.

### LXXXIII

#### მიზრელების მნა!

ართი — ერთი; ური — ორი; შ(ს)უმი — სამი; ომ(თ)ხ — ოთხი;  
ხუთი — ხუთი; ფშქვი — ექვსი; იშქვთი — შეიდი; რუუო — რვა; ჯ(ჩ)-  
ოღ(ხ)ორ — ცხრა; ვთი — ათი; ართი ვთი — ოერთმეტი; ქოდ(ბ)ალ —  
პური; დაპ(ჩ)ხირ — ცეცხლი; ფორ — ფარი; იშხური — ცხვარი;  
დრეკ(ყ)ათ — ქამარი; დუღი — თავი; დშქა — შეშა; ჭოლოზ(რ) — ძალ-  
ლო; ჯ(ჩ)ხუ—ძროხა; გისინ—ხბო; იჯ—მარილი; იჯ[უ]ნნ—ცხენი; ღაჯ —  
ღორი; გრუთ(ნ) — ვირი; თუთ — დათვი; ქქ[უ]ლ — ყველი; მრჯვან —  
მაწონი; ...²; ...³; ვად — მოდი; ჩ[წ]ად — ადამიანი; დახორ(ღ) —  
დაჯექ; მლაული — არ წახვიდე, თინა — გოგო; ოჯ[უ]კომ — კვამოთ;  
ვად ჩ[წ]ად — მოდი, კაცო; აშ მორთ — აქეთ; მლაული ჩ[წ]ად — არ წახ-  
ვიდე, კაცო; აში მორნ(თ) ვად მამად — ღომი არის მამა; ვად ღიას —  
მოდი, დედა; ართი ღაჯ ოჯ[უ]კომ — ერთი ღორი ვაძმოთ; ჭოლოზ(რ) —  
ძალლები⁴; თნი იავუ ბჯუდ ჰათმა ღაფა — შევთხოვ, რათა ღმერთმა  
ქვად გაქციოს; ვად ჩ[წ]ად — მოდი, კაცო; დბ(ი)ჰრ მლაღ(ვ)ლი იშხუ-  
რი ქობალ ოჯ[უ]კომ — დაწექ, არ წახვიდე ცხვარი, პური კვამოთ;  
ვად ჩ[წ]ად დახოდ ქ[ყ]ვლ ქობალ ჯრჯვან აჯ[უ]კომ — მოდი, კაცო და-  
წექ, ყველი, პური, მაწონი კვამოთ. ქეგლმობრუთ(ნ)ლი და მაკოჭ[უ]ნ  
მამა დაგრჩინო — გადმობრუნდი და მაკოცე მამაშენის გულისთვის.

॥ამ სამეგრელოში ყოველ ტომს თავისი დამახასიათებელი, გან- 360  
საკუთრებული კილოკავი აქვს. დიდი ქვეყანაა. სამოცდაათნაირი მო-  
სავალი მოდის. ბევრი ჰყავთ ცხვარი, თხა, ღორი. მთებში — ირემი,  
შველი,...⁵ ქეპეილანის ცხენები ჰყავთ, მაგრამ თათარისტანში, გურ-  
ჯისტანსა და სამეგრელოში სულ არ იცის ვირი და ჭორი. ამ ქვეყნებში  
ბევრია კვერნა, კლდის კვერნა, მელა, გარეული კატა, მგელი და [გა-  
რეული] ქათამი. რაღვანაც პურსა და ქერს ცოტას თესენ, ცოტაც მო-  
დის; სიმინდი და ღომი ბევრი მოდის. მაღალ მთებში უხვად არის კაჯ-  
ლის, ბზის, ფიტვის და ღვისის ხეები; კიბარისის ხეები იშვიათია. ესე-  
ნიც აბაზა და ჩერქეზი ხალხებივით მთებში ცხოვრობენ. მათი სოფლე-

ბი მუდაშ ერთ აღგილზეა — არ მომთაპარეობენ. ბალ-ვენახიანი, ექლე-სიებიანი, კეთილმოწყობილი ციხეები და სოფლები აქვთ. ეს იმიტომ, რომ ისინი ძველი ხალხია და მათი მიწა დიდი ქვეყანაა.

აქედან სამხრეთით, არზრუმისაკენ გავემართენით და მესამე დღეს დავანალის ნაპირში მივედით. თორთუმის სანჯაყის მიწაზე მდებარეობს და მორჩილი ნაპირი. რაღაც უსაფრთხო და მშვიდობიან აღგილას შევედით, ახალციხის ვეზირმა საფარ-ფაშამ სეიდი აქმედ-ფაშასაგან ნებართვა აიღო და მრავალი ტურთა და იშვიათი საჩუქარი მიაჩინა. ჩვენ ბატონ არზრუმის განმგებელსაც საჩუქრები გაუგზავნა. [ახალ-ციხის] ვილაიეთის ჭარი თეიმურაშ-ხანის შვილთან, ალექსანდრე-ხა-ნის შვილთან და ქართველ ბეგებთან ერთად ჩილდირისაჟენ გაემართენ. ყაზი სეიდი აქმედ-ფაშა კი ძლევამოსილი ლაშქრით 4 საათში მი-ვიდა ერთ ადგილას, რომელსაც ჯუვანეს ხევი ეწოდება. ისპირისა და თორთუმის მთელი მოსახლეობა საჩუქრებით მიავიდა სეიდი აქმედ-ფაშასა, ბაკი-ფაშასა და ქუთაფა-ფაშასთან. საჩუქრები მიართვეს. აქა-ურობა სეიდი აქმედ-ფაშას სანჯაყის საზღვარია. აქედან გზა განვაგრ-ძეთ და ქალაქ თორთუმში შევედით. ყველა ჭარჩინებული სეიდი აქ-მედ-ფაშას შესახვედრად გამოვიდა. შარაგზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს იდგნენ და ულოცავდნენ: — „კეთილი იყოს თქვენი საღვთო ომიო“. მთელი ჭარი რომ გადავიდა, „სამ“-ისა და „ნერიმან“-ივით ბედნიერი ყაზი სეიდი-ფაშასთვის ჩვენი ბატონის — დავთარზარ ზა-ლე-ფაშას მიერ გამოგზავნილი კარვის მოწყობილობა კარავში შეიტა-ნეს და მის ცხენს ექვსი ცალი ნაძვენებური ფოლადის ცხენის ჭაშანი გადაჰყიდეს. [იმ ქეპეილანის [ცხენზე] ყაზი სეიდი აქმედ-ფაშა] შევდა. სუნიტების წესზე თვზე მოხვეული თევალესანი ძირს ეშვებოდა, თა-ვით-ფეხამდე რკინაში იყო ჩაფლული, „ბურლუკ“ და „უმლუკ“<sup>18</sup> შეიდთავიანი გველეშაპივით მოდიოდა და მარჯვნივ და მარცხნივ სა-ლამს აძლევდა. ხალხი თრივე მხრიდან ლოცვა-კურთხევას უთვლიდა: „ლმერთი შეგწიოს, ჰეი, ალაპისათვის მებრძოლო გძირო!“ ამ დროს ციხეში ზარბაზნები გავარდა მისი კეთილი მობრძანების აღსანშნავად და ქალაქ თორთუმის მთებმაც გუგუნი გამოსცეს. სეიდი აქმედ-ფაშა დიდი ზარ-ზეიმით მივიდა თავის სასახლეში. ბაკი-ფაშა, ქუთაფა-ფაშა და სხვა მუსლიმი გმირები, რვა სანჯაყის ბეგი სამ დღეს ქალაქგარეთ გბანაკობდით. მეოთხე დღეს არზრუმისაკენ გავემართენით.

ჩვენი მგზავრობის მესამე დღეს, ათას ორმოცდაჩვიდები. (1647) წლის კასიმის პირველ დღეს<sup>19</sup> ფეხი შევდგით არზრუმის მიწაზე და გა-ვიარეთ აღგილი, რომელსაც საქართველოს ყელი (გურჯი ბოლაზი) ეწოდება. სოფელ უმღუმში მივედით. აქედან ძლევამოსილი ლაშქარი დიდი ზეიმით არზრუმში უნდა წასულიყო. რაღაც ამ დროს ფაშის

ჯარის დასახვედრად მოვიდა ჩევენი ბატონი დავთარდარ ზადეს ქეთ-  
ხუდა აღი-აღა, დიდი ზარ-ზეიმით ვიარეთ და ჩამოვხტით ჩევენი ბატო-  
ნი დავთარდარ-ზადეს კარავთან, რომელიც გუმუშლუ გუნდეთში იდ-  
გა. ჩევენმა ბატონმა მაღალლირსეულმა ფაშამ თქვა: „ბედნიერი იყოს  
შენი წმინდა ომიო“, სეიდი აპმედ-ფაშას შესახვედრად კარვის კარამ-  
დე მოვიდა და ერთმანეთი გულში ჩაიკრეს. ბაკო-ფაშა მარცხნივ მო-  
ისყა, სეიდი-ფაშა — მარჯვნივ; დასხედნენ და მოისვენეს. ქუთფაჭ-  
ფაშა და სხვა მირლივებიც ფაშის ხელზე კოცნით გაპატიოსნდნენ. კვე-  
ლა გმირს ისეთი დიდებული პატივი სცა, ენით გამოთქმა შეუძლებე-  
ლია. შემდეგ ყველა გმირს 170 ცალი ოქროთი ნაკერი საპატიო ხალა-  
თები უბორა. სეიდი-ფაშას, ბაკი-ფაშას და ქუთფაჭ-ფაშას თითო სია-  
სამურის ქურქი ჩააცვა. დაიწყო ყველა მირლივასაგან ნადავლისა და  
საჩუქრების მოსვლა. პირველად სეიდი-ფაშასაგან მოვიდა ას ორმოცდა-  
ათი კაზაკი ჭიბუკი, თერთმეტი კაზაკი ატამანი, ორასი მეგრული ტყვე,  
ას ორმოცდაათი მონა, ორმოცი იყა ვერცხლის ჭურჭელი, ას მხევა-  
ლი, ერთი ჭორის საპალნე ოქროქარგული კვერნის ბეწვი, შვილი ჭავ-  
შანი და სხვა ძეირფასი ნივთები. შემდეგ, როდესაც საფარ-ფაშას, ბა-  
კი-ფაშას და ქუთფაჭ-ფაშას საჩუქრებიც მოვიდა, გახარებულმა ფა-  
შამ მათ, კაფუჯი-ბაშიებსა და ვილაეთის წარჩინებულებს უხვი სა-  
ჩუქრები დაურიგა. იმ დღის შემდეგ ზამთრის სუსი გაძლიერდა და  
კარვები თოვლმა დაფარა. მეჯლისის თათბირზე გადაწყდა, რომ ერე- 362  
ნის სალაშქროდ არ წასულიყვნენ, რადგან შეიძლება, ჯარი დაუძლურ-  
დეს. ყველა თავის სამშობლოსაჟენ გაემართა. ჩევენი ბატონი ფაშა  
თავისი დიდებული კარვით გუმუშლუ გუნდეთში დაბინავდა. ლხენსა  
და ქეიფში ვიყავით გართული. თურმე, ჩევენი ბატონი ფაშა ჩემშე ოდ-  
ნავ გულაყრილი ყოფილა. სეიდი აპმედ-ფაშას ვთხოვე, მისი საშუა-  
ლებით შევეწყნარებინე. მანაც შესაფერის დროს უთხრა: „თუმცა  
დანაშაული ჩავიდინეთ, როდესაც თქვენი დიდებული ბრძანებით  
ჩევენს სამსახურად მოსული ევლია ჩელები გონიოს გასათავისუფ-  
ლებლად წავიყვანეთ, მაგრამ გთხოვთ აპატიოთ, რადგან გონიოს აღე-  
ბის დროს მუჰამედის ლოცვა პირველად ევლია ჩელებიმ თქვა და  
მრავალჯერ დასძახა მაპმადიანური მოწოდება გმირების საომრად აღ-  
საფრთხოების განვითარებით. მსოფლიო მოგზაურია, კეთილმოუბარი, ყურანის  
ზეპირად მცოდნე და ალაპისათვის მებრძოლი თქვენი მონა-მორჩილი.  
ჩევენი დანაშაულია და მას კი აპატიოთო“. ჩევენმა ბატონმა ფაშამაც  
ხუმრობით დაიწყო: „მას არ ეპატიება, რადგანაც ჩევენ იგი სანჯაყ-ბე-  
გებთან ერთად ერევნის ჯგუფში განვაწესეთ. ის კი ისეთ აღგილას წა-  
ვიდა, სადაც არ უბრძანებიათ. დანაშაული ეპატიება, თუ თავრდან ბო-  
ლომდე რვა საათში წაიკითხავს ყურანს; თუ წმინდა ხათმს რვა საათ-

შე შეასრულებს; თუ არა და ენით დასხა შუბით მიყენებულ „კრილობაზე მძიმეა“. ეს რომ თქვა, მე მწირი, ხელზე ვემთხვიერ და ალაპის სახელით ცხრა საათზე მეტ ხანს ვასრულებდი ხათმს. ისევ მივედი და მიწას ვემთხვიერ ერთი სიასამურის ქურქი, ვერცხლით დარახტული უდალი ცხენი, ერთი ხელი ტანისამოსი, ორი ქართველი მონა მიწყალობა და მე, მწირი, არზრუმის ვილაიეთის სალოცავ სამსახურში გამამწესა. დღე და დამ მოლხენასა და ნეტარებაში ვიყავი. მაგრამ, როგორც ერთ ბეითშია ნათქვამი: „ყოველი დიდებისა და სიხარულის ბოლო უბედურება ყოფილა; კარგი დღის დასასრული მწუხარება ყოფილა“ — ბეცკრული დროის წესით, ჩვენი ქეიფი მწუხარებით წაიბილდა; ასე რომ სტამბოლიდან ერთი შიკრიკი მოვიდა და თქვა: „სულთან იბრაჰიმმა დიდევზირი სალიპ-ფაშა მოაკვლევინა და მის ადგილას თეზქერეჯი აპმედ-ფაშა დანიშნა დიდევზირადა“<sup>10</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ფაშა ძლიერ შეწუხდა, არავის გაანდო ამბავი, დღედაღამე საუბარში გაატარა და არზრუმში დარჩენილ [ჯარებს] დაუკავშირდა. ეს იმიტომ, რომ სალიპ-ფაშა ჩვენი ფაშის მამის, მუსტაფა-ფაშას რჩეული მსახური იყო. ჩვენი ბატონი ფაშისათვის არზრუმის ვილაიეთის ბოძებაც მისი მეშვეობით მოხდა. ჰეზარფარა აპმედ-ფაშა!<sup>11</sup> კი, მას შემდეგ რაც მუსტაფა-ფაშა ბაშთექერეჯი გახდა, ჩვენი ბატონის — 363 დავთარდარ-ზადეს||მოსისხლე მტერი იყო. ფაშის ისევ განაგრძო სეიდლისთან, ბაკისთან, ქუთაფათან, დელი დილავერ-ფაშასთან თათბირი. რადგანაც მე, მწირმა, დიდი ხნიდან ვიცოდი ამ ფაშების ამბავი, საჭიროდ ვცანი სათითაოდ ამეწერა.

ქეთენჯი ომარ-ფაშას ძე ბაგი-ფაშა<sup>12</sup>: პატიოსანი, ამაყი, დიდებული, უბრალო, სარქესავით სუფთა გულიანი, გულლია ხასიათის ადამიანია. ზოგი ისეთი ამბავი გადახდენია და ისეთ მდგომარეობაში ყოფილა, რომ ჯაკვებით შებორკილი მელამიც კი არ იტყოდა უარს<sup>13</sup>. გონიოს ომიდან დაბრუნების შემდეგ მიჩრავებთან და ემირებთან ერთად მაპმადიანური სუფრის თავში რომ ილხენდნენ, ბაკი-ფაშა და სეიდი აპმედ-ფაშა საუბრის დროს შექამათლნენ და საჩუღბრად გაიწიეს. მე, მწირს, მითხრეს: „ადლექი, ევლია, განგვსაჯე: შშიერ კუქზე ვიჭიდოთ, რომ შემდეგ კარგად ვეძამოთო“. მე, მწირმაც, მსაჯულობა ვითავე. შეიბნენ. რადგანაც ბაკი-ფაშა ძალუმი იყო, სეიდი-ფაშა და ფაბნა. ის იყო სეიდი-ფაშა უნდა დაემარცხებინა, რომ ამის შემდეგ ორი მცდარი ილეთი ჩაატარა. სეიდი-ფაშა კი მთელი მონდომებით გაისარჯა, რაც ძალა ჰქონდა მკლავებს გადასცა და მთასავით ბაკი-ფაშა ისე დაახეთქა სუფრაზე, სუფრის ძვირფასი მოწყობილობა და საჭმელები სულ ნამცეც-ნამცეც იქცა. მთელი დამსწრე საზოგადოება განცვიფრდა, შეცბა და ის იყო ყველანი თავ-თავის კარვებში უნდა

წასულიყვნენ, რომ მასპინძელმა, ჩვენმა ბატონმა დავთარდარ-ზაღე  
მექმედ-ფაშამ ბრძანა: „ჩქარა, სხვა საჭმელებით“ და სუფრა ხელ-  
ახლა გააწყობინა. ამ ორ ვეზირს კი დიდებული ტანისამოსი ეწყალო-  
ბა. ბაკი-ფაშამ თქვა: „მე დაუმარცხდი — მაძღარი ვარო“ და თავისი  
კარგისაკენ გასწია. ჩვენმა დიდსულოვანმა ბატონმა შესანიშნავი სუფ-  
რა გააწყობინა, მექაშნიკეთა უხუცესს ჩააბარა და ბაკი-ფაშას კარავ-  
ში გაუგზავნა. მეორე სუფრაც გააწყობინა და სეიდი-ფაშას გაუგზავ-  
ნა. მექაშნიკეს დააბარა: „ესენი თავის ჭურულიანად ჩემს ძმებს, ბა-  
კი-ფაშას და სეიდი-ფაშას უუძლვენიონ“. შემდეგ ჩოხადარ ბეჭლულ-  
ალას ხელით სეიდი-ფაშას გაუგზავნა ერთი სიასამურის ქურქი და ბა-  
კი-ფაშასაც ერთი სიასამურის ქურქი — სილაპარ ფილაბელი მექ-  
მედ-ალას ხელით. თან დაამატა: „გაფრთხელდით, თუ რამე მოგცენ, არ  
აიღოთ, თორემ თავებს დაგაყრელვინებთო“. დამსწრეთ გაუკვირდათ ეს  
დიდსულოვნება. ბაკი-ფაშა სამეფო ფურქარივით დიდმუცელა, კარგი  
მოჯირითე და ცხენოსანი იყო, მაგრამ უბრალო ცხენი ვერ უძლებდა.  
მოუხედავად ამისა, მაინც მარჯვე ცხენოსანი და მკვირცხლი იყო. || მისი 364  
მხიარული ქცევა საზღვარს სცილდებოდა, მაგრამ საღვთო ომში  
ფრიად სახელმვანი გმირი იყო. როდესაც ყაჩაში მბრძანებლობდა,  
ერევნის ხანებსა და იჩანის სულთნებს შავ დღეს აყრიდა. აი, მაგალი-  
თად: ერთხელ, შუალამისას, ყარსიდან გაქრა სამასი მარჯვე მხედრის  
თანხლებით და სამი დღის შემდეგ უგნებელი და ნადავლით დატვირ-  
თული დაბრუნდა — სამასი ტყვე მოიყვანა. შუშიქის ციხესათვის  
ბრძოლაში მის მიერ გამოჩენილი სამართლიანობა და სინდის-ნამუსი  
[ხალიფას] ეტოლებოდა. თვისისი განსწავლულობითა და ღვთისმოსა-  
ობით თითქოს მეორე თაფთაზანი<sup>14</sup> იყო: ისეთი დიდსულოვანი და  
გულუხვი იყო, რომ იმისთანა კაცს არ უნახავს. არსებითად, თუ ეს  
ორი თვისება ერთ აღამიანშია თავმოყრილი, მთელი საქციელი და  
ურყოფითი თვისებები გაქარწყლებულია, იმ ნათქევამისა არ იყოს:  
„ქონება და ცოდნა ფარავ ყოველგვარ სირცხვილს“<sup>15</sup>.

განსაკუთრებული სიმამაცით ქვეყნის დამაშუენებელი ვაჟეკაცი  
და მეთაური იყო. ოხუნჯობა თავის წრეში იცოდა. ფატიშაპის ღივან-  
ში მტკიცედ და ღირსეულად ეჭირა თავი; კეთალშობილი აღამიანი  
იყო.

ყაზი სეიდი აჭმედ-ფაშა<sup>16</sup>: თვეგადასაეალს თვითონ ჰყვებოდა  
ხოლმე. აბაზებისა და ჩერქეზების ხალხებს შორის ერთი ტომია, რო-  
მელსაც საძი ეწოდება. აბაზური ენაც იციან და ჩერქეზულიც. მამა-  
ცი, გულალი, მპარავი ხალხია. უმთავრესად აბაზის ტომებში ტრიალუ-  
ბენ. თვით მათი განსაკუთრებული კილო გვიჩვენებს, რომ იმ ტომი-  
დან არიან. რადგანაც აბაზებს შავი ზღვის სანაპიროზე ნაესადგურები

აქვთ, ამათ აბაზები ძალიან სჭირდებათ. ამ აბაზთაგან გამოსული შეკლექ აქმედ-ფაშა, თავის დაახლოვებულ სახელოვან ადამიანთან ერთად, რომელსაც ზენტუსი ერქვა, საძის მთებში საჭაჩლოდ წავიდა. ეს სეიდი აქმედ-ფაშა, რომელიც მაშინ ბავშვი იყო, ტყვედ ჩაიგდეს და ნავსაღგურში ვაჭარს მიჰყიდეს. ვაჭარმა იგი ეგვიპტეში ჩაიყვანა და ერთ . . . ს<sup>17</sup> მიჰყიდა. სანამ ოცი წლისა გახდებოდა, სეიდი-ფაშა ჯორითობასა და ცხენოსნობაში იწვრონებოდა. ისე დახელოვნდა, რომ ერთხელ, როდესაც ჯირითს თამაშობდნენ ასპარეზზე, რომელიც კაიროს გარეთ არის, სეიდი-ფაშამ სამხედრო ხელოვნების ყოველ სახეობაში ოსტატობა გამოიჩინა და ეგვიპტეში სახელოვანი და გამოჩენილი ადამიანი განდა. ერთხელ მეწამული ზღვის გემით მიემგზავრებოდა; ჰასანის კუნძულის ახლოს ხომალდი დაიმსხვრა, ყველანი დაიხსნენ და მხოლოდ სეიდი-ფაშა გამოვიდა ნაპირზე — ერთი ღლე და ღამე მოცურავდა ფიცაზე მჯდომარე მულიპის ციხე-სიმაგრეში მოხვდა და იქ რამდენიმე დღეში მომჯობინდა. თავისი ბუნების შესაფერი, ერთგული მეგობარი იშოვა, აიღო ჯობი და ეგვიპტისაკენ გაუ-  
365 მართნენ. გზაში სამ არაბს შეეფერონენ. არაბებმა იფიქრეს: „გავხადოთ“ და მათი გაძარცვა მოინდომეს. სეიდის შუბი მოუღრეს; სეიდიში ფიცხლავ, ოსტატურად გააგდებინა არაბს ხელიდან შუბი. თავში ბებუთი ჩასცხო და არაბის ფაშატს მოახტა. დანარჩენი ორი არაბიც არ დაინდო, ცხენებიდან ჩამოყარა და თავები დაყრევინა. მეორე არაბის ტანისამოსი მისმა ამხანაგმა სეიდი-ალიმ გადაიცავა. სხვა არაბებსაც შეებრძოლნენ და ორი ვაჟუკი თერთმეტი ფაშატით წოვიდა ეგვიპტეში. აქ ეგვიპტის ფაშის სამსახურში იმყოფებოდნენ. რაღგანაც სულთან იბრაჰიმ-ხანს მოჯირითები სჭირდებოდა, ფირმანით ეგვიპტიდან გამოითხოვა თორმეტი მოჯირითო. ეს სეიდი-ფაშაც მათთან ერთად სტაბოლს გაგზავნეს. სასახლეში ჯერ სეფერლი იყო. შემდეგ ხაფთონ ალთის თანამდებობას მიაღწია. იქც სახელითა და ღირსებით შედის სახასო ჯარის ნაწილში. ჯირითის მოთამაშებსაც ბევრს შეუწუხა გული. ერთხელ სულთან იბრაჰიმმა სეიდის უბრძანა: „აბა, სეიდი! ჩემ დაახლოებულ პირებს გაუზროთხილდი, ჯირითი არ დაპირაო“. სეიდიში აბაზური კილოთი უპასუხა: „ღმერთსა ვლიცავ, ჩემთ ფადიშაპო! თუ ისინი დამკრავენ, მეც ყველას დავკრავ. ბრძოლაში ხუმრობა არ იქნება — თუ თავში დამკრავენ, მე მათ კბილებში ვაძევერებო“. იბრაჰიმ-ხანს მოეწონა და უბობა ათასი ოქრო, ერთი სიასამურის საპატიო ხალათი. მასთაგი-ბაშის თანამდებობას მიაღწია. ერთხელ, ჩემენ-საფას ასპარეზზე ჯირითს რომ თამაშობდა, ხელმწიფის რამდენიმე დაახლოებულმა პირმა გამოიწვია ჯირითში. ერთი მათგანი სეიდის შეება. სეიდიში იგა იმავე წამს დაამარცხა, ჯირითით ცხენიდან ჩამოაგდო და

სული გააფრთხობინა. მისმა ამხანაგმაც მოუღერა თუ არა სეიდის ჯირითი დასაკრავად, სეიდიში მასაც აძგერა ჯირითი და უსულო მკვდარივით ცხენის ფლოქვებთან დაახეთქა. სულთნის სასახლის სააგადმყოფში წაიყვანეს. ამ ამბავმა იბრაჰიმ-ხანი საშინლად განარისხა და ბრძანა: „ამ ასპარეზზე სეიდიც უმალ ჩამოაგდეთ ცხენიდან და მოკალითო“. მის გვერდით მყოფმა პატიოსანმა დაახლოებულმა პირებმა უთხრეს: „ჩვენო ფალიშაპი! ახლა სეიდი ცხენზეა, თვალებს აბრიალებს, შვიდთავიან გველეშაპად არის ქცეული, ხელი დაშნისათვის უტაცნია და წელზე თორმეტნაირი იარაღი პეილია. ჩვენ რომ ვთქვათ კიდეც: „მოლი დავცხოთ და მოვკლათო“, მაგას აქ ცხენიდან ათასი კაციც!! ვერ ჩამოაგდებს. ბევრი დაილუება და ფალიშაპის თვალი — 366 წინ სირცხვილით თავი მოექრებათ. ჩვენ ფალიშაპს ვეხვეწებით — ამჯერად ეს ერთი წვეთი სისხლი აპატიეთ და სხვა დროს იყარეთ ჯავრით“. სულთან იბრაჰიმ-ხანმა მათი მუდარა არ შეისმინა, გაცეცხლდა: „თვალწინ მიყლავს დაახლოებულ პირებს და მე ცოცხალს ვაცუშვებ? საგანგებოდ გავაფრთხილე, ჩემი დაახლოებული პირები არ დაეხორა“. ეს რომ თქვა, უპასუხეს: „ჩვენო ფალიშაპი! ეს არის საბრძოლო ასპარეზი და სულთანთან სიახლოევს არა აქეს მნიშვნელობა, შერცხვენის ასპარეზი კი არის, ვაეკაცობის ასპარეზია. აქ სულ ერთია დამრტყმელი და ის, ვისაც დაპირეს, მოკლული, თუ მკვლელი — ოსმალთა კანონია. ჯირითი ომის ერთი სახეობაა“; მრავალი ტებილი სიტყვით განუმარტეს და ემუდარნენ. მიუხედავად ამისა, მაინც თავისი დაიყინა და ბრძანა: „უსათუოდ მოკალითო“. სეიდის ერთგულმა მეგობრებმა უსიტყვოდ ანიშნეს. სეიდი მაშინვე ცხენის კისერზე გაწვა, ადგილიდან მოსწყვიტა ცხენი და ჩემენ-საფას ასპარეზიდან გაჯუსლა. სამეფო საჯინიბოს კარის [უბანში] იყო, შემდეგ სამეფო კარის უბანში გადავიდა, სტაბბოლში საიდუმლოდ იძყოფებოდა და მიმიალა. სულთნის ბევრი დაახლოებული პირის თხოვნით, რამდენიმე დღის შემდეგ სამეფო სასახლის ჭაშნაგირთა უფროსის თანამდებობა მიიღო. იქიდან ბუდინში წავიდა სიავუშ-ფაშასთან. აქ მას შიმონტორნას სანჭავი უბოძეს. კობანის სანჭავის ნაპიერში და ბალატონის ტბის ნაპირზე ფუჟის, ქემენდვარის, ეგვერვარის ციხეებსა და ურჯულოებს — ზრინის ძესა და ხეგანის ძეს<sup>18</sup> დღედაღამ ებრძოდა. შუა უნგრეთში ვაი-უბედურება დაატრიალა. ააოხრა და ღაანგრია ტატიას, პაპას, პერსირემის, ჩობანიჯას, სიუგარის, სენ-მარტინის, იანინას, კომარნოს სანახები. ავსტრიის ხელმწიფებმ მის შესახებ რამდენიმეჯერ მოახსენა სტამბოლს, მშვიდობის საწინააღმდეგო საქმეებს სჩადისო. ბოლოს პერსირემის ციხის უფროსს მტრად გადაეკიდა, სამოცდაათი ვაეკაცი წაიყვანა და ღამით ციხეს შემოადგა. სამოცდახუთი კაცი ციხესთან

საფარში ჩასხა და თვითონ კი ხუთი კაცით ციხისაქერ გაემართა. რო-  
დესაც მისი მბრძანებელი საქმით იყო გართული, თხრილით ციხეში  
შეაღწია. ცხენი გაახტუნა და ალაყაფს მიადგა. ციხის უფროსს მკერდ-  
ში გავარდენი დაპკრა და მიწას დაანარცა. სხვები კი მისი შიშით გა-  
იქცნენ. ამ დროს ათ-ხუთმეტ დიდეკაცსაც სიცოცხლე გაუმწარა. მარ-  
367 ტოლმარტო რომ მიღიოდა, ზურგსაჲუკან ციხეში ზარბაზანი გავარდა  
და სამასი ცხენოსანი დაედევნა. სეიდიმ საფარი უკან რომ მოიტვა,  
სამოცდახუთმა ვაჲკაცმა ალაპი ახსენა, გამოვიდნენ და მოსული სა-  
მასი მეომრიდან ას ორმოცდაათი აეუწეს. ორმოცდაათი ციხისაქენ  
გაქცა და ასი კი თავის კაპიტნიანად ტყველ ჩავარდა. ესენი, ცხენები  
და ხალიჩები მეორე დღეს დილადრიან სიაჲშ-ფაშას მიპგვარა. თვი-  
თონ კი ეწყალობა საპატიო ხალათი, ძეირფასი თვლებით მორკვილი  
თავსამეაული, თვალ-მარგალიტით დარახტული ცხენი და სამი ქისა  
ნალი ფული. ღრიოთი ღღღ სეიდი-ფაშამ საზღვარზე მდგბარე კანი-  
ეში, ბულინში, ერლაუში სახელი მოხვეჭა და ცნობილი გახდა. მის  
მიერ პერსერემის კაპიტნისა და ამდენი მეომრის ამოწყვეტის ამბავი  
ავსტრიის ხელმწიფებ ფალიშაპს შეატყობინა. ნახეს, რომ მშვიდობის  
საწინააღმდეგო საქმეებს სჩადის. იმ წელიწადს გავრცელდა ხმა, რომ  
ერევნის მხარეში სპარსელები თავიანთ მოქმედებით ზაგს არღვევდ-  
ნენ. საღრაზამმა სალიპ-ფაშამ დავთარდარ-ზადეს არზრუმის ვი-  
ლაიეთი რომ მისცა საგამგებლოდ, ესეც შეიწყნარა და უბოძა თორ-  
თუმის სანჯაყი — საზღვარზე რაც უნდათ, ის გააკეთონ. ბელინიერე-  
ბამოსილმა, მისმა უდიდებულესობა ფალიშაპმაც სეიდი აპმედ-ფაშას  
დანაშაულებათა დავთარში არ ჩაიხდა, [ფალიშაპის] თვალწინ დაა-  
ლოებული პირების დახოცვა აპატია. ერთი ქისა ოქრო, ერთი კარავი,  
ათი წყება ჭორი, ათი წყება აქლემი, თუღი, ღოლი და ღროშა უწყა-  
ლობა. შვიდი ქეშეილანის ცხენი და ხალიჩა უბოძა და თქვა: „ვისაც  
მე კუყვარვარ, სეიდი-ფაშას პატივას სცემსო, იარე, ღმერთმა ხელი  
მოგიმართოს. შენ თორთუმის სანჯაყში გაგზავნი, რათა იჩანის საზ-  
ღვარზე იბრძოლოთ“. როდესაც სკუტარში გადმოვიდა, სტამბოლის  
წარჩინებულებისა და დიდეკაცებისაგან ბევრი საჩუქარი მოუვიდა. გზა  
განაგრძო და თორთუმის სანჯაყისაქენ წავიდა. მე, მწირი, მას შუში-  
ქის, გონიას და სამეგრელოს ბრძოლებში შეეხვდი. ყოველ ცისმარე  
დღეს კეცნობოდი მის ამბებს, რადგანაც ჩვენი ბატონი დავთარდარ-  
ზალე სეიდი-ფაშას თორთუმში არ აგზავნიდა და თავისთან იტოვებ-  
და. მეგობრად გაიხადა და ყოველ თვე ერთ ქისა ჭიბის ფულს სა-  
ხარჯოდ აძლევდა. რადგანაც არზრუმში ცხოვრობდა, მე მწირმა, რა-  
ღაც შემთხვევით გავიცანი და დიდხანს საუკეთესო ურთიერთობა  
გვქონდა; იმდენად, რომ ჭირითის ასპარეზობაზე ხუმრობით ჭირითი

მაძვერა სახეში და ოთხი კბილი პირში ჩამიცევიდა. ჩვენი ბატონი დავთარდარ-ზადე ფრიიად შეწუხდა და ჩემი ოთხი კბილის სასისქლო ერთი ქისა [ფული] და ერთი ქეჭეილანის [ცხენი ჯარიმად გამოართვა. 368 შეერივდით, მაგრამ დიდებულ უურანს რომ ვეითხულობ, დაბალი ხმით წარმოთქმულ ბგერებს: „სინ“-ს, „შინ“-ს, „სად“-ს, „ზა“-ს, „ზალ“-ს ჯეროვნად ვეღარ წარმოვთქვამ. მაგრამ ჩემი კბილის ჩაგდებინება მაინც ალალი იყოს სეიდო-ფაშასათვის; მისგან შვიდი ქეჭეილანის ცხენი, ორი ქართველი ბიჭი, ორი ქისა [ფული] მივიღე და მისი ჩამდენი საპატიო ხალათი ჩამიცეაბს. გულუხვი, დიდსულოვანი, სიცრუისა და გამცემლობისაგან შორს მდგარი, სიძულვილისა და მტრობისაგან თავისუფალი, კეთილშობილი, წყარი, მართალი, საუცხოო მეგობარი, მხიარული, გულია, გულწრფელი, ქვეშევრდომებისათვის მზრუნველი, კარგი მეომარი, მტრის ჩისხა, გამოჩენილი ადამიანი იყო. თუმცა დიდი ცოდნა და მეცნიერება არ მოდგამდა, მაგრამ მამაცი მეომარი, დიდი ძალის პატრონი, შეუპოვარი ხასიათის, გულადი ფალავანი იყო. თავს არიდებდა ყოველგვარ აკრძალულს; წმინდა ჩწმენის, მჭევრმეტყველი, ქველმომქმედი პიროვნება იყო — ღმერთმა ხელი მოუმართოს!

ქუთფაჭ-ფაშა<sup>19</sup>: ფულთუკაძეს ტომიდან არის — წარმოშობით ჩერქეზი; მამაცი, სახელოვანი, ვაჟკაცი და გულადი მირ-ლივა იყო. ეს ფაშა იყო სირიის ტრიპოლის მიწაზე, ჰამას და ჰუმუსის სანჯაყებში გაბატონებული არაბების უმეტესობა რომ გაწყვიტა. სამართლიანი, ქვეშევრდომებისათვის მზრუნველი, კარგი მეომარი, გამოჩენილი ადამიანი იყო, მაგრამ სრულებით არ იცოდა თურქული. იცოდა მხოლოდ ხმალი, ცხენი და აბგარი. ჰუმუსის გარეთ, მდინარე ასეს სანაპიროზე უდიბნოს არაბები ჩაუძალებია და მათი გვამებით გორაკი აღუმართავს. ახლაც ქუთფაჭ-ფაშას გორაკს უწოდებენ. სასახლე ქალაქ ანტიოქიაში ედგა. სასახლის კარბძებზე ისეთი ჯაჭვი ჰქონდა გაჭიმული, როგორც ეს აქვს ხოლმე ფუნდუკის კიშკარს. ასეთ ასესაც კი მოვითხოვენ: ერთხელ ქალაქ ანტიოქიის გრეთ არაბები მოსულონ. ქუთფაჭ-ფაშა მაშინვე მხლებლებითურთ ცხენზე შემჯდარა. ჯაჭვის გამხსნელი მექარე ვერ უპოვა, რომ კარში გასულიყნენ. მაშინვე ხმალი უშიშვლია და ჯაჭვისათვის ისე დაუკრავს, მისი ნაჭრები ახლაც კარის თაღზე ჰქიდია. გამვლელ-გამომვლელისათვის სასეირო ადგილია. ჩვენ მიერ გონიოსა და სამეგრელოში წარმოებულ ომში ამასავით ვაჟკაცობა არავის გამოუჩენია — ღმერთმა შეუსრულოს საწადელი!

დელი დილავერ-ფაშა<sup>20</sup>: როდესაც ბალდადის დამპურობის — სულთან მურად IV-ის ვეზირი ყარა მუსტაფა-ფაშა<sup>21</sup> იანიჩართა ჯარში

თელიმხანეფი-ბაში იყო, ეს დილავერ-ფაშა მისი მამლუქი იყო. წარმოშობით: ქართველი, ტომით აჩიქ ბაში (ძმერელი), სახელად დელი 369 თული დილავერი გამოჩენილი აღამიანი||იყო. როდესაც ყარა მუსტაფა-ფა-ფაშა საღრაზამი გახდა, დილავერ-ფაშას თორთუმის სანჯაყი უბოძა თულით. შემდეგ, რადგანაც თორთუმის სანჯაყი სეიდი აპმედ-ფაშას მიეცა, გადაყენებული დილავერ-ფაშა მონაწილეობას იღებდა შუში-ქისა და გონიოს ბრძოლებში, სამევრელოს რბევაში. აქ ძალიან ბევრი გმირობა ჩაიდინა. უეშმაკ. ფიცხი ბუნების აღამიანი იყო. მაგრამ ბრძოლის დროს თვალს რომ არ აარიდებს ტოტებსა და ხის კაპებს, ისეთი მარჯვე ცხენოსანი, მეთოფე, მოქამანდე, მეომარი ვაჟკაცი იყო. ფრიად საოცარია შემდეგ სასაცილო ამბავი: ჩვენ ფაშასთან ერვენის ხანისაგან ელჩად მოვიდა ერთი მამაცი, რომელსაც თოქმაჲ ალი-ხანი ერქვა, და ძვირფასი საჩუქრები მოიტანა. თავისი საქონელი რომ წარმოადგინა, ვეზირმა ყველა მოუწონა. ელჩი შეტის-მეტად აქებდა შაპის ქარხანაში დამზადებულ ერთ ხმალს, რომელსაც ძვირფასი ქვებით შემყული ქარქაში ჰქონდა. ჩვენმა ბატონმა ფაშამ ხმალი დილავერ-ფაშას უჩვენა და უთხრა: „ფაშა! ხმლის ცნობა იციო!“. მან უპასუხა: „საუკეთესო ხმალი ისაა, რომელსაც კბილი ვერ მოეჭიდებაო!“; აიღო ხმალი, კბილთან მიიტანა, ღრმიალით დამტკრია და გავააგდო. საწყალმა ელჩმა ინანა, რომ აქ ხმალი. ჭამის შემდეგ დილავერ-ფაშას განსაკუთრებული თასით მდუღორე ყავა მოუტანეს, ფაშას ერთი არ ამოუსუნთქია, ისე მთლიანად ვადაპკრა. შემდეგ, როდესაც სასაკმევლო და ვარდისწყლის ჭურჭელი მოიტანეს და სასიამოვნო სურნელება დატრიალდა, სახურავი ახადა და ნაკვერჩლები მაღიანად გადაყლაპა. ელჩი ამ ამბით გაოცებული დარჩა და ჩვენ ბატონ დავთარდარ-ზაღეს მიმართა: „ჩემონ ხელმწიფევ, ამ ბატონს სახელად რას უწოდებენ?“ ფაშამაც უპასუხა: „ჩვენი ძმაა, დილავერ-ფაშაო“. ფრიად გაოცებულმა ელჩმა თქვა: „უკუთესი იქნება, თუ მას ფასკუნჯ-ფაშას უწოდებთ, იმიტომ, რომ ცეცხლის ჭამა ფასკუნჯმა იცისო“. დილავერ-ფაშა მამაცი და გმირი ვაჟკაცი იყო. როდესაც უფაკ აპმედ-ფაშა კაფუდანი იყო, კარა-კოჭას ბრძოლაში სიმამაცე გამოიჩინა.

დავთარდარ-ზაღე მეპმედ-ფაშა<sup>22</sup>: მშევიღობა მისცეს მაღალმა ღმერთმა მას — ჩვენი ბატონი ფაშა სულთან მურად IV-ის დავთარდარის, დიღდულოვანი მუსტაფა-ფაშას საყვარელი შეიღო იყო, რომელიც ჰერცოგოვინის სანჯაყის დაბა ნევასინიდან წამოსულა და ექმექწაზაღე აპმედ-ფაშას სამსახურში ყოფილა. სულთან აპმედ-ხანის დროს დაქირავებული ჯარის მთავარი ზედმებდევლი იყო; სულთან მურად მეოთხის დროს კი დავთარდარი გამხდარა. შემდეგ საღრაზამი რევერ-ფაშა||და შეიხ ულ-ისლამი ჰუსეინ-ეფენდი შეთანხმდნენ მის წინააღმ-

ლეგ; ეს დავთარდარი მუსტაფა-ფაშა, იანიჩართა აღა, ჰასან ჰალიფა, სულთნის დაახლოებული პირი მუსა ჩელები ათ მეიდანზე დაახოცი. ნეს თავაშვებულ დაქირავებულ ჯარს და იმავე დროს დაარბევინეს დავთარდარის სახლი, რომელიც მას სულეიმანის ჯამეს უბანში ჰქონდა. რადგანაც ჩენი ბატონი მექმედ-ფაშას დედა ჩვენი ბატონი მელექ აჭ-მედ-ფაშას ნათესავი იყო. ამდენად ისა და დედახემი დეიდაშვილები იყვნენ. ესაა ჩემსა და ჩვენ ბატონ ფაშას შორის კარგი ურთიერთობის საფუძველი. იგი დაბადებულია სტამბოლში სულეიმანის [უბანში]. ჩვენ ბატონ ფაშას თოთხმეტ წლამდე რუზნაშვილი იბრაჟიმ-ეფენდი ზრდიდა მზრუნველობით და ყურადღებით. სრულყოფილი ცოდნა და განათლება მისცა. შემდეგ მას ზრდიდნენ ჯარის ნაწილში და იქ დავაჟეაცდა. ყველა მეცნიერებას გაეცნო. მწიგნობრობის, სიტყვაკაზ-მული მწერლობის, ლექსიკონის, ლექსთწყობის, მცევაზეტყველების მეცნიერებაში თავისი დროისათვის ერთადერთი გახდა.

ყარა მუსტაფა-ფაშამ მას ქალალდის გამგეობა უწყალობა და დივანის მოხელედ აქცია. შემდეგ ანატოლიის მუჭასებეჭი გახდა. სულთან იბრაჟიმ-ხანის ტახტზე ასვლის დროს სასახლის მთავარი კარისუაცი, დიდი და გამოჩენილი პიროვნება გახდა. ჭივან კაფუჭიბაშილიდ წოდებული ვეზირის გადაყენების შემდეგ სალიპ-ფაშა სატრაზამი გახდა. თუმცა მექმედ-ფაშას იანიჩართა აღის თანამდებობა მისცეს, არ დათანხმდა ალობას, აზტრუმის ვილაიეთის მიღება მოითხოვა და მიაღწია კიდეც. თავის ვილაიეთში რომ მოვიდა, ყველგან სასტიკი წესრიგი და სამართლიანობა დაამყარა. და ყველა დააქმაყოფილა. იჩანის ხანები და სულთნები, სამეცნიეროს, აბაზას და გურჯისტანის ბეგები მისი ჯარების სიმრავლის გამო ველარ ხარობდნენ. გამუღმებით უგზავნიდნენ სავეზირო სასახლეში წერილებსა და ელჩებს საჩუქრებთან ერთად. მამაცი და შეუდარებელი ვეზირი იყო ბრწყინვალებასა და დიდებულებაში, სიმტკიცესა და წარმოსადეგობაში, გამჭრიახობასა და პატიოსნებაში. განსვენებული ბაირამ-ფაშას გარდა ერთი ვეზირიც არ მინახავს ისეთი, რომლის სამზარეულოშიც ასეთი ძვირფასი საჭმელე. ბი და ტებილეული გაეკეთებინოთ. ისეთი გეშრიელი საჭმელები, რომელიც სუფრაზე იყო, არც ერთ ვეზირთან უნახავთ. ხარჯი ბევრი ჰქონდა. მეტისმეტად გულუხვობდა. მოსწონდა და ჩვევად ჰქონდა ჩაეცვა ალისფერი, წითელი და მწვანე საბატიო სამოსელი. ფაშას ხალხში მტარვალს უწოდებდნენ. ძრახვალნენ, რომ პატივმოყვარე, თავკერდა და თავმომწონე არისო. მართალი რომ ითქვას, რადგანაც ზვიადი იყო, აქეთ-იქით სალამს ძუნწად იძლეოდა, მაგრამ ისეთიც არ იყო, როგორც ხალხს ეგონა. თავის სახლში ცოლებსა და მახლობლებთან თავშიშველი და ფეხშიშველი ფარიკაობდა. მაგრამ სახელმწი- 371

ფო დივნში ვეზირობის ღირსებას იცავდა და ყველას თავიანთი მდგომარეობის შესაფერისად ექცეოდა. არასოდეს არ გააჭიანურებდა საკამათო საქმეს, მოკლედ მოჭრიდა, რადგანაც ცოდნასა და მეცნიერებაში ღრმა ზღვა იყო. სარწმუნოებრივი ვალდებულებისა და მუსლიმური კანონების ათას სამოცამდე ჩელიგიური საკითხი თავში ჰქონდა. მცდარ კამათს თავმდაბლური სიტყვით მოსჭრიდა და მოწინააღმდეგეს არ შეურაცხყოფდა. ცრუ მოწმის თანხლებით საღავოდ მოსულს არ გაახარებდა. საერთოდ, ყოველგვარ საქმეში ისე იქცეოდა, როგორც მშვენივრადაა ნათქვამი ლექსში: „ხამს, კაცს საკუთარი თავი გააცნო, თუკი არ იცნობს“. ძალიან მამაცი იყო. გულუხვობით გაითქვა სახელი. რამდენიმე ცხენი, რომლებზედაც თვითონ ჭდებოდა, თავისი ახახტითა და საოფლით ღარიბისათვის უწუქებია. ბრძოლის ველზე რომ სარდლობდა, მაპმადიანთა საომრად აღფრთოვანებისათვის მთელ ჯარში საჩქრებს არიგებდა. ყველა მზად იყო თავი გუწირა მისი საქმისათვის და მისი გულისითვის სიკვდილი სწადდათ. „ადამიანები კეთილი საქმის მონები არიან“<sup>23</sup>.

1058 (1648) წელს, ყარა მურად-ფაშას საღრაზამობის დროს აჯანყებულმა გურჯან-ნებიმ, კათირჯი-ოლლუმ, ყ დაკალი-ოლლუმ, ჩოჩა ბოლუქ-ბაშიმ ორმოცდამვიდი ათასი მეომრით ანატოლია რომ დაიძყრეს, ჩვენი ბატონი დავთარდარ-ზადე მექმედ-ფაშა სამი ათასი მამაცის თანხლებით დაწინაურდა. მეწინავე ლაშქრის სარდალის მოვალეობას რომ ასრულებდა, კათირჯი-ოლლუს ჯარს შეიდგერ დაესხა თავს და მათი დამრცხება ამის მიზეზი იყო. გურჯან-ნების ჯარიც მათ მიაყოლა და მთლიანად გადათელა. დიღი ნადავლით დატვირთულნი საღრაზამთან რომ მოვიდნენ, ერთი ოქროს გვირგვინითა და სიასამურის ქურქით დააჯილდოვა და თანამდებობა მისცა. მის მიერ გამოჩენილ სხვა მამაცობასა და გმირობას, თუ ღვთის ნებაა, თავ-თავის აღგილზე დავწერთ. „წარმატება ალაპისაგანაა“.

როდესაც ჩვენი ბატონი მექმედ-ფაშა ერევანში გასალაშქრებლად არზრუმის ველზე ჯარს აგროვებდა, სტამბოლიდნ წლიდევზირის სალიპ-ფაშას სიკვდილის ამბავი მოვიდა და ძალიან დამწუხრდნენ. მთელი ვილაიეთის ყველა ლივა დაითხოვა. სასამართლოს დავთარში გატარდა, რომ ეს ამბავი მოხდა ზამთრის ბუნიობის დღესო. ჩვენი ბატონი ფაშაც არზრუმში შევიდა. მასთან მხოლოდ სეიდი აპმედ-ფაშა დარჩა. ერთ ღამეს, როდესაც უცხო არავინ იყო, ნადიმის საბაბით მრავალი გამოცდილი აღა მოიხმო, პურ-მარილით ჩვეულებისამებრ დაიფიცა და თქვა: „აღებო! მე მინდა აბაზ-ფაშას მსგავსად, ამ ზამთრისა და დავიდარაბის დროს არზრუმში ავგანყდე, ანატოლიის 372 ხაზინა, ॥ თანამდებობები ხელში ჩავიგდო და ამ ციხეში ჩავიკეტო“

თქვენ რას იტყვითო?“ ეს რომ თქვა, ალებმა უპასუხეს: „გისმენთ და გმორჩილებთო“. ერთ ღმენს ისინი და ბოლუქბაშიები თვეით ფეხებამდე შეიარაღებული გაემზადნენ ორასი კაუჭიანი კიბით, ორი ათასი თავზე ხელალებული, მამაცი და სახელოვანი მეომრითურთ. შუალამისას, როდესაც მათ მოინდომეს კიბეებით შესულიყვნენ შიდა ციხეში, ციხის მცველმა იანიჩარებმა გაუგეს, ყვირილი ასტეხეს: „ერთ არს ალაპი! დასცხეთ, დაპარით!“ ციხის კედელ-კარი გარშემო მაშალებით გააჩირალდნეს და ყიუინა დასცეს. შიდა ციხედან ყველა ზარბაზანი სასახლეს დაუმიზნეს; გარეუბანში მყოფი იანიჩარები შიდა ციხეში შეიყვანეს და გარე-ციხის კარი არ გააღეს. ფაში: მთელი ჯარი და მის სამსახურში მყოფი აღები გარეთ დარჩენ და ფაშა კი ორი ათასი კაცით — თავის სასახლეში. როდესაც იანიჩარებმა სათანადო ღონისძიებანი ჩაატარეს და ციხიდან სასახლისათვის ზარბაზნის სროლა უნდა დაეწყოთ, საქმეში ჩაერჩივნენ დიდებულებისა და წარჩინებულების შუამავლები. „ხალხნო, საამისოდ არავითარი საფუძველი არაა“, თქვეს და იანიჩართა აღას და ჩორბაჭიებს საპატიო ხალათები ჩააცვეს. ათი ქისაც ჩასაჩუმებლად მიეცათ. ასე იქნა თვეიდან აცლებული არეულობა.

ამის შემდეგ ათი დღე გავიდა და ზულ-კადას თვის მეათე დღეს (1647 წ. 8. XII) ერთი კაცი აზერბაიჯანის კარიდან შემოვიდა [ქალაქ-ში]. მან ერთი ვირის საპალნე სტაფილო მოიტანა და პირდაპირ ნათელ შარიათის სასამართლოში შევიდა. ბუხარის ემირის შეიხის სიძესთან — ლირსულ მოლა-ეფენდისთან შევიდა და უახრა: „ჩემო ხელმწიფევ, ერთი ვირის საპალნე სტაფილო მოვიტნე. ფასი დაადე ამ ჩემს სტაფილოს მანამ, სანამ ჩემი ვირი დაიყროყინებს, სანამ იანიჩარები ციხიდან დაიძიხებენ და სანამ ფაშა თავის ჯარისკაცებს გარს შემოიჩებსო“. ეს როგორც კი თქვა, ყადიმ სასამართლო ჩაეტა და ჰკითხა: „შენ, ეი, გუნებაში რა გაქვსო“. მანაც უპასუხა: „ჩემი მიზანია მშვიდობიანად დავიკავო აზრული“. მოლა მაშინვე მიხვდა საქმეს, ფეხზე წამოდგა, „ეკეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მომრიგებელო აღაა“, უთხრა, აზრულმის კარები მაშინვე უჩუმრად დაკეტვინა, იანიჩართა აღას, ჩორბაჭიებს და ვილაიეთის წარჩინებულებს ამბავი შეატყობინა. ფაშასაც გააგებინა. რადგანაც მომრიგებელს უკვე აღა ეშინოდა, რომ ფაშა რამეს გააწყობდა, ძეირფასად გამოწყობილ მივიღდა იანიჩარების სადგომსა და ფაშის დივანში. აქ წაკითხულ იქნა სულთნის ფირმანი და ფაღიშაპის ბრძანებანი. თურმე, აზრულმის ვალის თანამდებობა გურჯი კოჯა მექმედ-ფაშასათვის<sup>24</sup> უწყალობებიათ. ჩავენმა ბატონმა ფაშამ „მომრიგებელს“ უთხრა: „ღმერთმა გაგაბედ- 373 ნიეროსო“ და საპატიო კაბა ჩააცვა, როდესაც საწყალი „მომრიგებელი“

ზრდილობიანად უკან გამობრუნდა, [ფაში] მისი მოსახლეობის კალთას დააბიჭა ფეხი და რომ გადაკოტრიალდა, შეპლალადა: „შემიბრალე, ბატონო!“ მე ბრძანების მონა ვარ. დანაშაული არა მაქვს, თქვენ ძირულას თავს გაფიცებთ, არ ჩამომახრიოთ“. თურმე, ცოტა აღრე ხმა გავარდნილა: ფაში „მომრიგებლის“ ჩამოსახრიობად დივანხანეში ანხა აამარტვნაო. ამიტომ მოსულა სასამართლოში „მომრიგებელი“ სტაფილოთი და ვირით. ამასობაში ის კაცი გონჩე მოვიდა და ჩვენ ბატონ ფაშას მიმართა: „ბატონო ჩემო! ხვალ დილაადრიინ დაუყოვნებლივ გატით ციხიდან და სამ დღეში ყოველგვარი სამზადისი გასწიეთ. უცილებლად გახვალო ამ ქალაქიდან!“ ეს რომ თქვა, ჩვენი ბატონი ფაშა. ბრაზით აიგსო: — „აბა, დაჰკარით მაგ კახპას. ერთი შეხედეთ ამ წყეულის საზიდარ წინადადებას! მე პატივსაცემი ვეზირი ვიყო და, ეს კა ასე ჩამაცივდესო!“ ეს რომ თქვა, ჩორბაჯი ხალილ-აღა მათ შუა ჩადგა და გადაწყდა, ფაშა ციხეში ერთ კვირას დარჩენილიყო და შემდეგ წასულიყო.

## LXXXIV

1057 (1648) წლის ზულ-კადას შოთაშავაშვილის დღეს (15 იანვარი).

სასტიკ ზამთარში, არზოლშიდან სტამბოლისაკენ გამზადებისა

პირველად ერევნის ხანისაგან მოვიდა სამი ათასი [ჯორ-აქლემისა-გან შემდგარი] ქარივანი შავის კარვითურთ, რომელსაც ჯეზდან ბაში ეწოდება: [ტკირთი] გაასხნევინეს და შარიათის ქანონის მიხედვით მათი ბაჟია აიღეს. საბაჟოს ემინმა არ შეისმინა ჩივილი სომხისა, რომელსაც თათეოსი ერქვა. ოთხას ორმოცამდე ქისა ბაჟი იქნა აღებული. [ფაშა] დიდი ზეიმით ერზინჯანის კარით გავიდა ქალაქგარეთ და ერთ სააშურ ადგილს დაბანაკუდა, რომელსაც ბაზარბაშის წისქვილები ეწოდება. არზოლშის წარჩინებულებისაგან მრავალი საჩქარი და ძღვენი მოვიდა. ყოველი მხრიდან მოღიოდნენ სხვადასხვა აღები და ჩვენი წრე-გაიზარდა. იმ დროს, როდესაც არზოლშის მიწაზე ხან კარგ ამინდში ვგანაკობდით, ხან — თოვლისა და ქარბუქში, ბაღდაძის ვილის — სალიპ-ფაშას ქეთხუდას — იბრაჰიმ-ფაშას გარდაცვალების ამ. ბით მოვიდა ისი ცხენოსნი იჩ-აღა, სამოცდაათი კაფუჯი-ბაში, შეიღი 374 ბაირალი — || შვიდასი ვაჟეაცი სარიდა, სამი ბაირალი სექანი და ყველას საქმარისი გასამრჯელო ებოდა. ბევრი იგლოვა იბრაჰიმ-ფაშა ჩვენია ფაშამ.

მეღრე დღეს სტამბოლიდან მოვიდა შიკრიყი თოქმაკ ხასექი და მოიტანა, სულთნის შემდეგი ბრძანება: „შენ ჩემი ვეზირი მეჰმედ-ფაშა

ხარ! შენი ვილავეთის ჯარით ერევნის სალაშექროდ დაგნიშნე იმიტომ, რომ შენმა წინამორბედმა სულეიმან-ფაშარ ირანის აჯანყების შესახებ გვაცნობა. შენ ნელა მოქმედებდი და გამგზავრებაში დაუდევრობა გამოიჩინე. ჩემი ბრძანება, რომ მოგივა, ერთი წუთიც არ დაკოვნო და წადი ყარსის ვილავეთში, რომელიც მე შენ არფალიქად გიბოძე. ის საზღვრები უნდა დაიცვა. ჩემი ფირმანის ნიშანს ენდეო”. პატიოსანი ფირმანი რომ წაიკითხა, ხასექის სამი ქისა [ფული] მისცა და სტამბოლისაკენ გაისტუმრა. თვითონ კი, „რაც მოხდება, მოხდესო”, თქვა და ყარსის ვილავეთისაკენ კი არ წავიდა, სტამბოლისაკენ გაემართა. ჭერ არზრუმიდან დასავლეთისაკენ სამ საათს. ვიარეთ და სოფელ ქანში დავისადგურეთ. კეთილმოწყობილი სოფელია, რომელიც არზრუმის ველის შუაგულში მდებარეობს. ისევ იმ ველზე ვიარეთ დასავლეთისაკენ 5 საათი და სოფელ ილიჩაში მოვედით. არზრუმის დასავლეთ მხარეს ერთი მშვენიერი თბილი წყალია, რომელიც შედევია თეთრბატკინთა ფალიშაპების ქველმოქმედებისა და კეთილი საქმეებისა. ზემოდან გუმბათი აქვს. აუზის შიდა ნაწილი ქვიშით არის მოფენილი. წყალი ძალიან ცხელი არ არის — ზომიერი სითბოსია. ამ წყალსაც ისეთივე გოგირდის სუნი აქვს; როგორც სხვა თბილ წყაროებს. მუნსა და კეთრს ჩეგებს. აქედან დასავლეთისაკენ ხუთი საათი ვიარეთ და სოფელ ხნუსში მივედით. ორასკომლიანი სოფელია. კვლავ დასავლეთით ვიარეთ ხუთი-საათი და სოფელ მამა-ხათუნში მივედით. ხეობიან ადგილას მდებარეობს, კლდეების ძირას; ორასკომლიანი მუსლიმური სოფელია. ერთი თეთრი კლდის ძირას მამა-ხათუნის წმინდა საფლავია. თეთრბატკინთა-ფალიშაპების ერთ-ერთი ხათუნი ყოფილა, რომელიც ქველმოქმედი იყო. შენობა დანგრევის პირასაა, რადგანაც მისი ვაკუფები ხაზინას გადაეცა. აქედან ისევ დასავლეთისაკენ ვიარეთ და სოფელ ქეთურში მოვედით. კეთილმოწყობილი სოფელი და ზეამეთია. აქედან მდინარე ევფრატზე გადადიან უბრალო აგურით აშენებული ხილით. ფაშა აქ სამი დღე ||დარჩა და მე, მწირი, ქემახის. ციხისაკენ 375 გამგზავნა მარილსახდელის ემინთან — ამირაბურ პასან-აღასთან.

## LXXXV

კტანას ციხისაკენ გამგზავრება

სოფელ ქეთურიდან. წავედათ, მდინარე ევფრატის ნაპირ-ნაპირ 9 საათი ვიარეთ დასახლებულ ადგილებში და სოფელ შირიმში მივედით. ქემახის საზღვრებშია. აქედან ისევ სამხრეთით ვიარეთ 7 საათი მდინარე ევფრატის გაყოლებით და სოფელ ემინში :დავისადგურეთ.

ესეც ქემახის საზღვრებშია და მარილსახდელის განმგებლის სახსოა; აქედან ისევ ევფრატის ნაპირ-ნაპირ ვიარეთ და ქემახის ციხეში მოვე-დით.

ამბავი ბედნიერების კარისა ანუ ქემახის ციხისა: ერთ-ერთი ძველი კეისრის აშენებულია. შემდეგ უზუნ ჰასანის ხელში გადავიდა და თუმცა თემურის ალყა განიცადა, არ გატუდა. შემდეგ სულთან სელიმ პირველმა, რომელიც მაშინ უფლისწულად იყო ტრაპიზონში, შემ-თხვევა იშოვა, დაიპყრო და შიგ ჯარი ჩააყენა. შემდეგ ხანებში შაპ-ის-მაილი გამოტყვერა და ეს ციხე ხელში ჩაიგდო. შემდეგ, როდესაც სულ-თან სელიმი დამოუკიდებელი ფადიშაპი გახდა, პირველყოვლისა ირანს საღვთო ომი გამოუცხადა, ანატოლიიდან ზღვისოდენა ჯარით მოვიდა და ამ ქემახის ციხეს ალყა შემოარტყა. მას შემდეგ, რაც ციხე ბუქ-ლი მეტედ-ფაშას ხელით დაპყრო, კიდევ მრავალი ციხე აიღო და ზრანის მიწებზე წინ მიიწვედა. ციხე, [სულთან] სულეიმანის აღწერის მიხედვით, არზრუმის მიწაზე კურუ-ჩახს სავაევოდოს ბრძანებლობა-შია. არზრუმის ფაშის სახასო და სასუბაშოა. სამოადვილეოა სამასი ახჩით. ნაპირებიდან, რომლებსაც ჯასო კურუ-ჩახ და შეპირი ეწოდებათ, მის ყადის წლიური შემოსავალი სამი ათასი ყურუში აქვს. ხალხი მოციქულის ნათელი კანონის მორჩილია. მისი გამგებელიც ციხისთავია. ხუთასი მეცანოვნეა და მათთვის განკუთვნილ საჩვენებოს მარილ-სახდელიდან იღებენ. იანიჩართა სარდალი, სიფაპიების ქეთხუდა-ჯერი, ნაკიბ ულ-ეშრაფი, წარჩინებულები და ღიუდებულები ჰყავს. მისი კი-დევ ერთი გამგებელიც მარილსახდელის ემინია, რომელიც მდინარე 376 ევფრატის გაღმა ნაპირზე ცხოვრობს ერთი საათის||სავალ მანძილზე მდებარე შეიძასკომლიან სოფელ ქომურში.

თოვლზე უთეორესი, კირშეპირის მარილზე გემრიელი მარილი გამოდის, რომელიც მსოფლიოშია განთქმული. ბინგოლის ზეგანზე ქურთისტანიდან და თურქმანისტანიდან საიალალოდ გადმოსულებს, ყველას ქალაქ ქემახიდან მიაქვთ სუფრისი მარილი. ამ ქალაქის ლის-შესანიშნაობაა აქაური თხელი და მტკიცე ჩაღრის ნარმა. რომლის მსგავსი არ შეიძლება რომელიმე ქვეყანაში იყოს. პირბადის მსგავსი ნარმა, რომელიც უფრო უკეთესი და წმინდაა, ვიდრე რუმელიაში დამზადებული ნარმა — სახელად დერამა. ხალხში ასეთ ანდაზასაც კი ამბობენ: „ქემახის ნარმა, ერზინჯანის ნიგოზი და ბაიბურთის გო-გო“. სოფელ ქომურის მიღამოების ბაღებს ქომურის წყალი ჩაუ-დის. იგი ქერქასის მთებიდან მოღის და მდინარე ევფრატს ერთვის სულთან მელექ-ყაზის სახელობის სავანის ახლოს, რომელიც ქემახის ციხის გაღალმა, მისგან ერთი ღლის სავალზე მდებარეობს. თითქმის მის პირდაპირ სოფელი მუბარექია. კეთილმოწყობილი სოფელი და

არზრუმის ციხის ჭარების სახასოა. ღვთის სიბრძნე: ამ კურთხეულ სოფელში რომ გამოქვაბულებია, ივლისის თვეში ანკარა წყაროები იყინება. ეს მაშინ, როდესაც ზამთრის ღლებში აბანოს წყალზე უფრო თბილია. გასაოცარი სიბრძნეა გამჩენისა. მთელი ვილაიეთის მოსახლეობა ე. წ. მაწვნის უველს ამ გამოქვაბულებში ინახავს — ერთგვარი სარდაფია.

არზრუმიდან აქ მოსახვლელად საქიროა მდინარე ევფრატზე აშენებულ ერთთაღიან დიდ წილზე გადასვლა და აღმა ხუთას ნაბიჯზე კლდოვანი ადგილების გადალახვა, რომელთაც ქიანი ეწოდებათ. ცამდებატყორცნილი კლდეებია. ციხეში რომ შედისარ, ქიანის კლდეები ხელმარჯვნივ ძევს. ქვესკნელისა და უძირო ჭის მსგავსი უფსკრულია. აქ მდინარე ევფრატს ერთვის ერთი პატარა მდინარე, რომელსაც მენზერის წყარო ეწოდება. ეს წყალი მენზერის მთაში იღებს სათავეს, ქალაქის ბაღებში სალმის ხევს უერთდება და ქანის ძირას მდინარე ევფრატს ერთვის. გამჭვირვალე, ანკარა, მჩქეფარე წყალია. ადგილი, რომელსაც ქიანის კლდე ეწოდება, ციხის ძირასაც. აქედან უკვდავების წყალივით წყარო გამოდის. ამ ადგილის ახლოს არის ერთი კლდე, რომელსაც ალის კლდე ეწოდება. ქალაქის მცხოვრებლების აზრით, რადგანაც აქ წმინდანი ალი მოვიდა, მას დაეყრდნონ და ლაისვენა; ამიტომ თუ წელყავით დაავალებულები წელს მიაღებენ, განიკურნებიან. ეს თვისება ||ალაპისაგანაა. ქალაქის მცხოვრებლები ამ კლდეს ქირლ - 377 კაიას უწოდებენ. კლდის ზემოთ არამსულიმთა გარეუბანია; ორი ფუნდუკი, ორი აბანო და ერთი საუკეთესო ჭამე აქვს. ერთი აბანოა „ჩორბაგის აბანო“, რომელიც სასამართლოზეა მიღებული. მეორე კი ქიანეს ახლოს, მდინარე ევფრატის ნაპირზეა და საქეთხულო აბანო ეწოდება.

გარეუბნის გარშემო რაბათი არაა. გარეუბნის ზემოთ მისი დიდი ციხე ცასაა მიმდევნილი.

ქემახის ციხის აღწერა: ხუთუთხა, ძლიერი ნაგებობა და ლიაზი ციხეა. მისი კედელ-ბურჯები დიდი ქვებითაა ნაშენი. არზრუმის ფარგლებში მისი მსგავსი თითქმის არა. მდინარე ევფრატის გაღმა ერთი მსუბუქი საფარ-სიმაგრეები აქვს, მაგრამ მაინცადამაინც არა სჭირდება. ერთი კარი აქვს, რომელიც სამხრეთისაკენ გადის. შიგნით კიდევ ორი წყება კარია. სამივე მურასა და მტაისე კარია. წინა კარის შიდა მხარეს მარჯვნივ და მარცხნივ ორ-ორი თუჭის ზარბაზანი დგას. თითოეული მათგანი ოცდაშვალი მტკაველია და სამი კანთარის სიმძიმის ბირთვებს ისტორის. საოცარია, როგორ აიტანეს და დადგეს ამ ციუბაძ კლდეზე ასეთი მძიმე, საკვირველი ზარბაზნები, რომელთა ადგილიდან დაძვრაც კი ძნელია? შიგნითა კარის მაღალ ზღურბლზე ჩა-

მოკიდებულია საფალავნო, საბრძოლო გურზი და წმინდანი ალის მშვიდე-ისარი. ციხეში ექვსასამდე მიწის ბანიანი სახლია. ესაა, რომ ვიწრო ადგილზე მდებარე, უბალო და უბალჩ სახლებია. მათ შორის არცერთი სახლი არ არის ბალიანი, გარდა ყარა იაკუბ-ოლოუსი და იბრაჟიმ ჩელების სახლებისა. ციხეში ბევრია მიტოვებული და ცარიელი მიწა. ასე, რომ ცარიელ ადგილებზე ხორბლის ხუთი ამბარია. ისინ [სულთან] სელიმ-ხანის დროიდან გაუცეხველი ბრინჯითა და ფერვით არის სავსე. მნახველს ეგონება, დღეს არის მოტანილი კალოდან და ამბარში ჩაყრილით. გარემოცვის დროს ჭარი ამითი საზრდოობს. ციხეში თერთმეტი მიპრაბია; ამათგან სამი ჭამეა. ციხის ჭარის შიგნით შდებარე ბექ-ჭამე ძალიან დიდი და ძველი ყაიდისაა. ერთი ქვითნაშენი მინარეთი აქვს. ამას გარდა, ხის მინარეთიც აქვს და სხვები კი უმინარეთო მეჩეთებია. ციხის ჩრდილოეთით, საღვთო ომში დაღუპულთა კოშებზე ოცდათორმეტი დიდი და პატარა ზარბაზანი დგას. კარის ქვემოთ, კლდეში გამოჭრილი წყლის ბილიკი ძირის, მდინარემდე ეშვება; ალეის დროს იქიდან ილებნ წყალს //და წყურვილს იყლავენ. ციხის ძირას ერთმანეთთან ახლოს სამი წყალსაცავია. ერთი მათგანი სიცოცხლის წყალივით გვერდილია, ერთი გვარგალიანი და ერთიც მარილიანი წყალია. ამ ქალაქის ლამაზმანებიც მთელ ქვეყნიერებაზე არიან განთქმულნი. ქალაქი არზრუმის მიწაზე მდებარეობს და მისი მცხოვრებლები თურქები არიან. სტუმართმოვეარე, ღვთისმოსავი და თვინიერი აღამიანები არიან. მათი ნაწარმიდან განთქმულია ჩადრის ნარმა, თეთრი და გვმრიელი მარილი, ფენოვანი ყველი, რომელსაც ისინი მაწვნის ყველს უწოდებენ. იგი უფრო ახალი, გვმრიელი და ადგილად მოსანელებელია, ვიზრე ისეთები, როგორც არის მითილენის ყველი — „ლორი“, ან წმინდა დამასკის ყველი — „ყურეიში“. ამას გარდა ამ ქალაქის მთებში გაზაფხულობით მოდის ერთი ღვთისური ფრინველი, რომელსაც მწყერი ეწოდება და მათ ბოსტნებსა და მთებში იბუდებს. ჩადგანაც ქემახის მცხოვრებლებმა მისი [მოსვლის] დრო იციან, მიღიან, ფრინველს იქერენ, გაპტყვნიან და ამარილებენ. ზამთარში შეექცევიან. ფრიად გვმრიელი ფრინველია. ყუათის მომცემი ხორცი აქვს. ის ფრინველები, რომლებიც გაუფრინდებიან, სხვა დაბლობ ადგილებში გადადიან. ითალარის ახლოს ქენდ-ეფენდის წმინდა საფლავია და ხილის თავში — მელექ-ყაზი სულთანისა. ჩადგანაც ქალაქი შარაგზაზე არა დგას, აյ საქარავნო გზა არ არის. ქვიან მიწაზე მდებარეობს. მდინარე ევფრატი დომლუ-სულთანის მთიდან მოღის, ამ ქალაქის მიწებს რწყავს, გარს უვლის ციხის კლდეს და დასავლეთით მიეღავნება; იზულის მიღამოებში მოსახლე ქურთებს გაივლის და ბინგოლის შემდეგ მდინარე მურადსაც იერთებს. შემდეგ მდინარე ეპ-

ფრატი მალათიას ახლოს ქომურ-ხანის ვიწროებში მიედინება. ცისაც წასვლა უნდა ხარფუთში, ეგინში, ბალუში, დიარბექირსა და სხვა ასეთ ადგილებში, თუ ევფრატი გემით არ გადასცურა, ისე ვერ გავა:

მას შემდეგ, რაც ეს ქალაქი სამი დღე ვათვალიერეთ, ფაშის კუთვნილი კურუ-ჩახასა და მისი სავოევოდოს ანგარიშწარმოება შემოწმდა და საქონლის ნაშთიდან შვიდასი ყურუში იქნა აღებული. მე, მწირს, ასი ყურუში მომცეს ფეხის ქირად. მარილსანდელის ემინის — ემირ პასან-აღასაგან დარჩენილი საქონლისათვის ას ორმოცდაათი ყურუში ავიღოთ.

აქედან ვიარეთ, სხვა საქმე მოვაგარეთ და რომ დავბრუნდით, კვლავ ერთი ღამე დავრჩით სტუმრად ქემახში. მეორე დღეს; დილა-აღრიან მდინარე ევფრატის ნაპირით 9 საათი ვიარეთ და სოფელ შორიში მივეღით. ორასკომლიანი სოფელი და ზეამეთია. ||აქედან მდი- 379 ნახე ევფრატის გაყოლებით ალაგა-ალაგ სახიფათო გზები გავიარეთ და 10 საათში მივეღით ჯებჯე-ხანის საღურუში. ძველ ღრის გაშენებული და საამური ადგილი ყოფილა. კვლავ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და მდინარე ევფრატი ხელმარჯვნივ მოვიტოვეთ. აქედან ერთ კრცელ ველზე ვიარეთ და სოფელ ჯემენში მივეღით. აზერბაიჯანის მიწაზე კეთოლმოწყობილი სოფელია. ცნობილია მისი ქადა და ხმელი ხაჭო. ამ ადგილს დიდი გაჭირვება გამოვიარეთ ნამქერის, ქარბუქისა და თოვლისაგან და სიცოცხლე მოგბეზრდა. აქედან ავიყარენით და პირდაპირ ერზინჯანის ციხეში მოვეღით.

ერზინჯანის ციხე: მხოლოდ აზზიუმს განეკუთვნება. იგა ედემის ბალივით სამოთხე ყოფილა და მის დაუფლებას მრავალშა ათასშა ხელმწიფემ შეალია დიდი ძალ-ღონე. ბოლოს. 855 (1451) წელს<sup>2</sup> მისმა ფალიშამპა სულთან ზაპირ ედ-დინმა როდესაც დაინახა. რომ სულთანი ილდირიმ ბააზეთ-ხანი ელვასავით<sup>3</sup> ყველგან იმარჯვებს, რა მხარესაც არ უნდა მიმართოს თავისი შურისძიება გარშემო მყოფ მტერზე, ამასის დაპყრობის დღეს ამასიაში მივიდა და ერზინჯანის ციხის გასაღებები ილდირიმ ბააზეთს ჩააბარა; მისმა უდიდებულესობა — ფალიშამპა სრული დიდსულოენებით ისევ სულთან ზაპირ ედ-დინს უწყალობა ერზინჯანის ტახტი. მაგრამ ფული ბააზეთის სახელზე იკრებოდა და ხუტბასაც მის სახელზე ალავლენდნენ. ამ ამბის შემდეგ, შესამე წელს, როდესაც სულთანი ზაპირ ედ-დინი გარდაიცვალა, მისი ქვეყანა შავბატქნიანი შაპის ყარა მუსუფის ხელში გადავიდა. ყარა მუსუფი შვიდი წელი ფლობდა მას და როდესაც დასაბრმავებელი თემური გმოჩჩდა, შეშინდა, ტახტი და განცხრომა მიატოვა, ბალდაღის მბრძანებელ სულთან აპმედ ჭალაირთან ერთად ილდირიმ ბააზეთ-ხანთან გაიქცა და [ორივემ] მასთან შეაფარეს თავი<sup>4</sup>. ||მიუხედავად იმი- 380

სა, რომ თემურმა ბადაზეთს მოსთხოვა ეს ორი ფალიშაპი, არ დანება. „შენი ქალაქიდან და სახელმწიფოდან გარეკეო“, შეუთვალი, მაგრამ ილდირიმ ბადაზეთ-ხანმა თემურის ამ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია. ეს ამბავი მიზეზი გახდა თემურსა და ოსმალებს შორის განხეთქილებისა. როდესაც თემური ზღვისოდენა ჭარით ილდირიმ ბადაზეთ-ხანის წინააღმდეგ წამოვიდა, ყარა იუსუფი და სულთან აშენდა ჯალაირი აღალიაში გვემში ჩასხნენ, ეგვიპტეში გაიქცნენ და [მამლუქთა] სულთან ბარკუკთან შეაფარეს თავინ. აქეთ კი ერზინჯანის მხარეებს უზუნ ჰასანი დაუუფლა, ფული მოსკრა და ხუტბა თავის სახელზე აღავლენინა. მევლეველთა ფუნდუკის ახლოს ახლაც ჩარი ზარაფხანა. ამასობაში ილდირიმ ბადაზეთი გარდაიცვალა, ხოლო ერზინჯანში უზუნ ჰასანი გახდა დამოუკიდებელი მბრძანებელი<sup>6</sup>. ილდირიმხანის შემდეგ უფლისწულების — მუსას, ისას, სულეიმანისა და მეჰმედ ჩელების დროს ანატოლია არეულობამ და შფოთმა მოიცავა<sup>7</sup>. ბოლოს, ჩელები სულთან მეჰმედი დამოუკიდებელი ფალიშაპი გახდა. რაღაგანაც მაშინ უზუნ ჰასანთან ბრძოლის დრო არ იყო, უზუნ ჰასანს თვით [სულთან მეჰმედ] ფათიძის დრომდე არ შეუწყვეტა ისმალთა სამფლობელოების ხელყოფა<sup>8</sup>. ბოლოს 878 (1473) წელს ფათიძმა იგი ცნობილ ომში დამარცხა, მთელი აზზრუმისა და ერზინჯანის მხარეები წართვა და აქაურობის მეორე დამპყრობელი გახდა. შემდეგ ბადაზეთხან [11]-ს დროს, როდესაც სულთანი სელიმ [I] უფლისწულობაში ტრაპიზონის ვალი იყო, შაჰ-ისმაილმა დრო იხელთა და მოხერხებულ დროს ერზინჯანი დაპყრო. შემდეგ, როდესაც სულთანი სელიმი მორგმითა და ბრწყინვალებით ავიდა ისმალეთის ტახტზე, შაჰ-ისმაილის წინააღმდეგ ჯარი მოყვანა, ერზინჯანის ველზე მოვიდა და 921 (1514) წელს ერზინჯანი უომრად დანებდა. ამ შემთხვევაში იგი მესამე დამპყრობელი გახდა, [სულთან] სულეიმან-ხანის მიერ ჩატარებული აღწერის მიხედვით აზზუმის მიწაზე ფაშის სახასოდან გამოყოფილ იქნა და მისი განმგებელია სუბაში. ასორმოცდაათახჩიანი წმინდა ყაზაა. ნაპირები და სოფლები აქვს. მის ყადის ექვს ქისა აქვს შემოსავალი. საპატიმოა: შეის ულ-ისლამი, ნაკიბ ულ-ეშრაფი, სიფაპიგბის ქეთხუდა-ეგრი, იანიჩართა სარდალი, ას ორმოცდაათი მოვაჭრე მეცი-ხოვნე<sup>9</sup> ჰყავს. მათ განაგებენ მუჭთასიბთა აღა და ქალაქის ნაიბი. ციხე ვაკეზე, სიხარულის მომნიჭებელი ველის შუაგულში დგას. ოთხეუთხა, ქვით. ჩაშენი, პატარა, კოხტა ციხეა. მაგრამ გალავნის ოთხი კედელ მეტად დაბალია. გარშემო კოშკები მაგარი არაა. ძველი ციხეა. ირგვლივ შემოვლებული თხრილი[ღრმა არაა. როდესაც აბაზა-ფაშა არზირუშში აჯანყდა, [ერზინჯანის ციხის] თხრილი და კედელი შეაკეთეს და

იუავდნენ. მაგრამ, რაღაც აბაზას თავი ვერ დაალწიეს, ძალაუნებურად ციხე მას ჩააბარეს.

ერთი რკინის კარი აქვს. გარეუბანში თხრილზე ხიდით შეიძლება გადასვლა. ციხეში ორასი უბალო, უვენაბო სახლი და ერთი ჯმეა. სხვა შენობები არაა, რადგანაც ციხის შიდა ნაწილი ვიწრო აღვილია. გარეუბანში რვაასამდე სახლია, ორსართულინი იშვიათია. სამოცდა-ათი პატარა და დიდი მიჰრაბი აქვს. ამათგან შვიდი ჯამეა. შვიდი დერვიშთა სავანე აქვს. მათ შორის ყველაზე განთქმულია უფალი მევლანას<sup>10</sup> სავანე, სადაც ყოველდამ შედგება ხოლმე მევლანას როკვა ბრუნვა-ტრიალით. მევლანას შთამომავლთაგან ჩელები ეფუნდიც სავანის არემარეზეა დამარხული. ძლიერი ვაკუფები აქვს. მის წიგნთ-საცავში უფალი მევლანას ხელით ნაწერი ჟურანი და ერთიც წმინდა მესნევზ ინახება. აბდ ულ-კადირ გილანელის სავანეც ცნობილია. აბანოებიდან ყველაზე განთქმულია ერთი კალემის აბანო და ისქან-დერის აბანო. თერთმეტი დიდი ფუნდუქი აქვს. მის ორმოცდარვა უბანში ყმაწვილების ორმოცი სასწავლებელია; რადგანაც ულემა, ღვთისმოსავი და მოსწავლე ბევრია, მის ყოველ ჯამესა და მეჩეთში საგარო გაკვეთილებია. ყველა მეცნიერება ისწავლება. კუკიანი, მარ-თალი, კეთილშობილი, გონიერი, მლოცველი, ზნექეთალი და შვიდი ადამიანები არიან. ყველა მოქმედებს, ი. ამ წმინდა ჰადისის მიხედვით: „სჯობს მოქლე ტანსაცმელიო“<sup>11</sup>; მოქლე ტანსამოსს იცვამენ. აბრეშუმის ტანისამოსს არ იცვამენ — თავის გამოჩენა საძრახიაო. ცოტ-ცოტა ლამაზები ყავთ, მაგრამ რაღანაც მათი ქალუბი ‘ადის ტო-მის ქალუბივით უმანქოები<sup>12</sup> არიან, ძუის ოთხკუთხა ქსოვილში იბურ-ვებიან. ფეხს ჩექმა აცვიათ, თავზე — დიბას წვეტიანი არახჩინი და ისე დადიან. ქვის პატარა, დახურული ბაზარი აქვს. ყოველგვარი ძირი-ფასი საქონელი აქ იშოვება. მის სავაჭრო რიგებში ორმოცდაათ — ასამდე ჰატარა დუქანია. ჰაგა საქმაოდ ზომიერია. არზრუმი მთის გა-დაღმა, ორი ღლის სავალზე. აქ თოვლი მოდის, მაგრამ სამ დღეზე მეტს არ ჩერდება. ზამთარ-ზაფხულ წვნიანილი არ აკლია. ყოველგვა-რი მარცვლეული მრავლადაა. მისი საჭმელებილან განთქმულია სა-მოცდაათი ჯიშის წვნიანი მსხალი. ასე, რომ ფაშას აქედან ჩვიდმეტი ჯიშის წვნიანი მსხალი მისცეს. ყურანის მტევანი მანამდე ინახება, სა-ნამ ახალი მოსავალი მოვიდოდეს. განთქმულია მისი გარგარი, მსხლის ჩირი, თეთრი||და ყვითელი ხმელი თუთა, უღალი ფერისა და შავი 382 თუთა. სავაჭრო ჩიგებსა და ბაზრებზე იყიდება თუთის ჩირი, ასევე სხვა ქვეყნებშიც გააქვთ საპალნეებით. სახანაირადაც იყენებენ. თუ-თის ნაირ-ნაირ ბაქმაზე გუნდრუებით და სანელებლით აზავებენ. ერთი თასის დამლევს ახალ სიცოცხლეს ანიჭებს. სასეირნო აღვილები ბევ-

რი აქვთ. საბარეო ცხენებით ხილი თუ დღეში ჩააჭირო არზრუმში. ეს ქალაქია, არზრუმს ხილით რომ ავსებს.

სალოცავი ადგილები: ბაღებში უფალი ჰიდირ მაკამის შეუდარებელი აკლდამაა, რომელიც წმინდა საყუდელი და ხალხის მოსალოცი ადგილია. მევლევი-ხანეს შეიხის ჰალიდ-ეფენდის წმინდა საფლავი; წმინდა საფლავი ვეზირ ჰემდემ-ფაშასი, რომელიც სულთან სელიმ [I-ის] ევზირი იყო. იგი გარდაიცვალა მაშინ, როდესაც ჩილდირის ომში მიღიოდა, და ამ ქალაქში დაიმარხა. კიდევ მრავალი სალოცავი აღგილია, მაგრამ ისინი ჩემთვის უცნობია.

ამ ქალაქში ფაშასთან სამი დღე გავატარეთ. ქემახის მართლსახლელის ემინისა და კურუ-ჩახს სუბაშისაგან ავიღეთ ჩეენი კუთხნილი ქონება. ვილაიეთის მცხოვრებლებმა ფაშას დიდი ნაღიმი გადაუხადეს. მხიარულებასა და დროსტარებაში რომ ვიყავით, სტამბოლიდან შიკრიკი მოვიდა, ვარდარ ალი-ფაშას<sup>13</sup> აჯანყების ამბავი შეგვატყობინა და ერთი წერილიც მოიტანა. ფაშას მისცა წერილი და ჩვენი ბატონი დავთარდარ-ზადე ვარდარ-ფაშას დასახმარებლად მიიწვია. მოტანილი წერილის შინაარს შემდეგი იყო:

„შვილო ჩემო! [სულთან] იბრაჰიმ-ხანის ვეზირმა ჰეზარფარე აპმედ-ფაშამ მე სივასის ვილაიეთის [ბეგლარბეგობი]დან გადამაყენა. სტამბოლიდან ყველა ვეზირის, მოხელეებისა და წარჩინებულების წერილები და სულთნის დელის<sup>14</sup> ბარათები მოვიდა. ესენი იწერებიან: „ნუ აჩქარდები, ზღვა ჯარით სკუტარში მოდი: თქვი, რომ შარიათის მიხედვით საჩივარი გაქვთ; მოითხოვთ ვეზირი, ჯინჯი, მუფთი და ყალისკერი, ბეჭთაშ-აღა, ჩელები ქეთხუდა, მუსლიმ ედ-დინ-აღა და ყარა ჩაუში“<sup>15</sup>. შვილო ჩემო! მე სავასიდან გადაყინებული ვარ და საცაა დიდი ჯარით სტამბოლისაკენ წავალ. თან მახლავან ჩემი „შვილი“ ჩაუშ-ზადე მეჭმედ-ფაშა, ჩემი „შვილი“ იბშირ-ფაშა, ჩემი „შვილი“ შექ[სუ]კარ-ოღლუ ყაზი-ფაშა, ჩემი „შვილი“ — ქუთაპის ფაშა ქუჩჩქ ჩაუში. ერთი სიტყვით, სამი ვეზირი, შვიდი მიჩ-მირანი, თერთმეტი მიჩლივა და ჯარი შევკრიბე. თუ შენც გინდა, რომ აპმედ-ფაშასაგან თავი გაითავისუფლო, თოკათის ციხის ძირას ერთმანეთს შე-  
383 ვევდეთ. შევერთდეთ და ერთსულოვნად წავიდეთ სტამბოლისაკენ“.<sup>16</sup> როდესაც ეს წერილი ფაშას ურზინჯანში დაეწია, წაკითხულ იქნა და შინაარსი ცნობილი გახდა, ყველა იღა შექრიბა და მათთან ბჭობა გამართა. ყველა მეომარმა თქვა: „შენთვის დავიხოცებით“ და ამ განზრახვას ფათიძა წაუკითხეს. მტკიცე სურვილი გამოითქვა ვარდარ ალი-ფაშასთან ერთად აჯანყებულიყვნენ. ალაკა ათლი ჰასან-აღას თულებიანად, ათასი ჩელეული მეომარით მესურსათეებს, ქილარჯისა და სამხარეულოს განმგებელს კონაკჩიობა დაევალათ და წავიდნენ

ერდარ ალი-ფაშასაც წერილი გაეგზავნა სიავუშ-აღას [ხელით]: „თუ მოწყალე ღმერთმა ინგა, საცა წამოვალ შენთან ერთად სტამბოლი-საკენ“. ეს ამბავი რომ ვნახე, გონებე დამებნა, აღელვებული დღედაღამ ვფიქრობდი, რა ვუყო ამოდენა ქონებას, ნადავლს და ჯორ-აქლემს ამ ზამთარში-მეთქი.

## LXXXVI

ზამთარში მრგვინვანიდან ჩვინი ზასვლა ვარდარ  
ალი-ფაშას დასახმარიბლად

ერზინჯანიდან ჯერ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ 7 საათი და მოვე-  
ღით ბაშ-ხანის სადგურში. იქიდან სოფელ ერზენისის სადგურში მი-  
ვედით. იგი კეთილმოწყობილი ზეამეთი და მუს-ლიმების სოფელია.  
კვლავ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ 6 საათი და შეინ-მენანის სოფელს  
მივალწიეთ. ეს ადამიანი სასულიერო პირია და დიდ აკლდამაშია და-  
საფლავებული. გაჭირვებულთა მოსალოცი აღგილია. მის ახლოს,  
სოფელ ბარუში წმინდან ბეჰლულ სამარყანდელის სალოცავი საფ-  
ლავია. აქვე, წმინდან ბეჰლულთან ერთად, დამარსულია ჩობან კურ-  
ლუმან-შაპიც, რომელიც ამშენებელია პასან-კალედან სამი საათის სა-  
ვალზე მდებარე მდინარე არეზზე გადებული ხილისა. მას ჩობან ქოფ-  
რუსუ ეწოდება. წერენ, რომ, როდესაც ზახფას ხეობაში საფლავს  
უთხრიდნენ [ბეჰლულს], ბნელი კუთხიდან ცეცხლი გამოვარდა და  
შეპი ჩობან კურდუმანი და მისი ყველა ხელვეეითი დაიხოცა. მაგრამ  
საოცარი ქველმოქმედი ადამიანი ყოფილა. მისი აშენებულია თბილი-  
სის ციხე<sup>1</sup>, მანასკერტის ციხის ახლოს მდინარე არეზზე გადებული  
ოქროს სალტიანი ხიდი და ის ხიდიც, რომელსაც ჩობან ქოფრუსუს  
უწოდებენ. მათი თარიღები ზედაა გამოყვანილი ამის სახელზე. ალა-  
ჟის ცხონება იყოს მასზე.

॥აქედან ისევ წავედით, ჩრდილოეთისაკენ 8 საათი ვიარეთ და სო- 384  
ფელ ეზენდერლერში მივედით. თერჯანის ნაპიეს ფარგლებში კეთილ-  
მოწყობილი სოფელია. აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ 4 საა-  
თი და თაფან აპედ-აღას სადგურში მივედით. აპედ-აღამ ფაშას სთხო-  
ვა, აქ ათი დღე სტუმრად დარჩენილიყო. ჩაუშები გაფრთხილებული  
იქნენ, რომ მოწყო ათდღიანი დასვენება. სოფლებში ყველა ჯარის-  
კაცს სადგომი მიეჩინა. მე, მწირი, კი ფაშას დავეთხოვე. აპედ-აღას  
კაცების თანხლებით აღმოსავლეთისაკენ შიბინ ყარა-პისარის ხევის ნა-  
პირ-ნაპირ ვიარეთ და შიბინ ყარა-პისარში მოვედით.

შიბინ ყარა-ჰისარის ანუ აღმოსავლეთ ყარა-ჰისარის ამბავი: მას შაბინ ყარა-ჰისარსაც ეტყვიან. ორი ყარა-ჰისარია. ერთს, რომელიც არჩერუმის მიწაზეა, სახელად აღმოსავლეთის ყარა-ჰისარი (ყარა-ჰისარი შარქი) ეწოდება. მეორე, ანატოლიის მიწაზე მდებარე აფიონის ყარა-ჰისარია, რომელსაც სახელად ყარაჰისარი-საპიბს ეტყვიან. მას ყარა-ჰისარს იმიტომ უწოდებენ, რომ მისი ქვები გაშავებულია<sup>2</sup>. მისი პირველი მფლობელი იყო ჰაიქანადეს [საგვარეულოს] მეფეთაგანი კიამელერი<sup>3</sup>. შემდეგ ტრაპიზონის ბერძენთა ხელში გადავიდა. შემდეგ იგი [სულთან მეჰმედ II] ფათიმა დაიპყრო. [სულთან] სელიმ-ხანის დროს აღიწერა და ცალკე სანგაყის ბეგის სადგომი გახდა. მისი ბეგის სახასო 13 000 ახაა. მის ლივაში 32 ზეამერი და 94 თიმარია. ფაშის ჯარიანად ორი ათასამდე გროვდება. ფაშის წლიური შემოსავალი ორმოცი ქისაა. ხშირად იყო ბოძებული სამთულიანად არფალიერის წესით. იმასაც კი ამბობენ, რომ ჩადგანაც იგა არალცისი ვეზირს საფარ-აღას<sup>4</sup> ეწყალობა. მისმა კაცმა და საჭურველმტვირთველმა დერვიშ-აღამ აქედან ორმოცდათი ათასი ყურუში მიიღო შემოსავალი. ასორმოცდათახიანი პატიოსანი ყაზაა. მისი ყადის წლიური შემოსავალი ოთხი ათასი ყურუშია. შეის ულ-ისლამი, ნაკიბ ულ-ეშრაფი, წარჩინებულები და დიდებულები ჰყავს. მისი სიფაპების ქეთხუდა არის თაფან აპმედ-აღა. ინიჩართა სარდალი, სუბაში, მუფთი, ყაფანის ემინი, ციხისთავი და ას ორმოცდათი თიმარის მფლობელი მცურნევას.

შიბინ ყარა-ჰისარის ციხის აღწერა: ცამდე აზიდული მაღალი მთის უმაღლეს მწვერვალზე [აშენებული] შვიდეუთხა ციხეა. ერთი შეხედვით, უანძო და უიალქნო გალიონა ხომალდივით გამოიყრება. შვიდსავე მხარეს კედლების სიმაღლე სამოცდათი წყრთაა. სამოცდა-385 ათი ბურჯი||და ასი ქონგური აქვს. მისი გრძელებულობა სამი ათას ეკვსასი ნაბიჯია. ჩადგანაც ოთხივე მხარეს ჯოჯონეთის ჭისებრი უფსკრულები აქვს, ამიტომ თხრილი არ სჭირდება. სამფა, მაგარი რეინის კარი აქვს. მორიგე დარაჯები დღედაღამ იცავენ, ჩადგანაც შავი ზღვის ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებლები კაზაკების შიშით სულ ამ ციხეში ინახავენ თავის ძეირფას ქონებას. ციხეში სამოცდა-ათამდე სახლია, მაგრამ ვიწროებია. მოსახლეობას უწყლობა ტანჯავს. დაბლა მდინარიდან სახელრებით ეზიდებიან წყალს. საგანგებოდ ვაკეთებული ხვრელებია, რომლითაც წყალს ეზიდებიან, მაგრამ მხოლოდ ალყის დროს იყენებენ. ციხეში წყალსაცავია. ხორბლის ამბრებში ასი წლის სამყოფი ფეტვისა და ბრინჯის მარცვალი ინახება. მაგრამ, რადგანაც ქვეყნის შუაგულშია ციხე, მისი ჯაბახანა და დიდი და პატარა ორმოცდათი ზარბაზანი ამოდენა ციხისათვის მცირეა. მი-

სი მეცინიოვნების ნახევარი ჩვენი ბატონის — დავთარდარ-ზაღეს ზრუნვის შედეგად გონიოში გაიგზავნა. ციხეში ფათიპის სახელობის ერთი პატარა ჯამეა. სხვა ჯამები ქვედა გარეუბანშია.

[ციხის] გარეუბანი: ორმაცი უბანი და ათას ექვსასი მიწის ბანიანი სახლია. სახლებს პირი ჩრდილოეთისაკენ აქვთ. სულ ორმოცდაორი მიკრაბია. საპარასკეო ლოცვის აღსავლენი ჯამებია. სამი სავანე, ორი აბანო, ოთხი ფუნდუკი, შვიდი ყმაწვილთა სასწავლებელი და შეიძას. ორმოცდაათამდე ღუქანი აქვს. თუშუა მისი სავაჭრო რიგები იმდენად შემკული არა, თაფან აქმედ-აღას მიერ აშენებული, ქვის ახალი დუქნებია, რომლებიც დახურული ბაზრის ტოლია და შუაში შარაგზა გადის. გადახურულია და თავსა და ბოლოში მაგარი კარები აქვს. ყოველ ლამეს იკეტება და დარაჯები ჰყავს.

ლომი: დახურული ბაზრის ქალაქისაკენ გამავალი კარის შიდა მხარეს, ერთ ფართო ტახტრევანზე ბაბბით გატენილი ლომის ფიტული დგას. თვალებში დიდრონი თურინჯები ჩაუდგამთ. პირი შვიდთავიანი გველეშაპივით დაუღია და ენის მაგივრად წითელი ქეჩის ნაპერი უდევს. დიდი კბილები აქვს — თითოეული მათგანი თურქმანულ ხანჯალს ჰგავს; ცეკირილიან კუდის ბოლომდე ორმოცდაორი მტკაველია. ეს ლომი მეტად მძვინვარე ყოფილა. შვიდი წელი უცხოვრია ამ მთებში და ცხერის, თხისა და მსხვილფეხა საქონლის სინსილა გაუწყვეტია, მათი კამით მაჰმუდის ჯიშის ცხენივიო გასიებულა. ღროვამშებით სოფლებსაც ესმოდა თავს და ჭორების, ვირების, აქლე- 386 მებისა და ადამიანების მოტაცება დაუწყია. ბოლოს, ერთ მაგარ ვაეკაც არკაპა ტყვია მოურტყამს თავში, შეუმსხვრევია და ლომი იმავწამს მოქვდარა. გაუტყავებით და თაფან აქმედ-აღასათვის მოუტანიათ. იმასაც, ქვეყნის სამაგალითოდ, ამ ტახტრევანზე დაუყენებია და დახურული ბაზრის კარზე შიგნითა მხარეს ჩამოუკიდია; მაგრამ, ღმერთმა იცის, რომ მნახელს ცოცხალი ჰგონია. ოთხი ფეხი ბოძებს მიუგავს, ტორები — ერევანის ჯიშის აქლემისას. თავი მეფური ქვეპრის მსგავსი აქვს. ეს ლომი ისეთი მიმზიდველი შესახედაობისა არაა, როგორც ბალდადის, ჰილეს, ჯევაზირის და კურნას ლომები. ყვითელი ფერისაა და ბალანი ანგორის თხასავით თითო მტკაველზე აქვს ფოჩებად ჩამოკიდული. საზარელი, გამაოცარი შესახედაობის ლომია. ამ მთებში ასეთი შესახედაობის ლომი არ ნახულა. ამიტომ ცხოველების მცოდნები მას უწოდებენ უდაბნოდან გადმოხვეწილს. ყაზა-ჰისარის ციცაბო მთებში ძალიან ბევრია ვეფხი, კურდლელი, გარეული ცხვარი, ირემი, კვერნა, კლდის კვერნა, აფთარი, მგელი, ანდიქის მგელი, შავი მგელი, მელა და ტურა. გადმოგვეუმენ, რომ ერთხელ შავი ზღვით მოსული და ამ მთებში საძარცველად ამოცოცებული კაზაკები

ვეფხვებსა და მგლებს დაუგლეჭიათ: წყეულებს ნანადირევი რომ ეწა-  
დათ, თვითონ გახდნენ მტაცებელ ცხოველთა ლუკშა.

ერთი საკვირველებათაგანი: ამ ქალაქში სადალაქის წინ ერთი  
უცოდველი ყრმა ვნახე. გვერდზე მამა ედგა და გამულელ-გამომულე-  
ლისაგან იმ ბავშვისათვის მოწყალებას ითხოვდა. ყრმა დაახლოებით  
რვა-ცხრა წლისა იყო. შემოქმედს, მარადიული სიბრძნისა და ძლიერე-  
ბის გამოსაჩენად, ამ ბიჭისათვის ისეთი თავი გაუჩენია. რომ ადისა და  
თემუდის ტომთაგან მოყოლებული, ასეთი თავი მხოლოდ სალსალისა  
თუ იქნებოდა, რომელიც აკერძოს. ადანის გოგრის, ვანის კომბოს-  
ტოს. მეფური ქვევრის ტოლი იყო. კისერი კი ცერცველას ღეროსა-  
ვით წვრილი ჰქონდა. რადგანაც წვრილ კისერს საოცარი სანახაობის  
თავის დაჭრაც კი არ შეეძლო, ორ ორკაპა ჯოხზე ქეჩა იყო დაცვეუ-  
ლი და თავი ორი მხრიდან ეყრდნობოდა ამ ჯოხებს. ჯოხებს რკინის  
387 წვერები ჰქონდა და მიწაში იყო ჩარჭობილი. ამგვარად, ბიჭის თავს ||  
ორკაპა ჯოხი იკავებდა. სხვაფრივ არავითარი საშუალებით არ შეიძ-  
ლება. რომ ამ ბავშვმა თავი შეიმაგროს. ბიჭს კეფა სადალაქოზე ჰქონ-  
და მიყრდნობილი, გამულელ-გამომულელი უყურებდნენ და იყი-  
ნოდნენ. რადგანაც ბოხონის ქუდისა და სხვა ამისთანების დახურვა არ  
შეიძლებოდა, თავზე წამოცმული ჰქონდა ერთგვარი ცხენის თოფტაკი,  
რომელიც მაზმანების მიერ იყო მოქსოვილი. წარბები ორი თითის სის-  
ქისა ჰქონდა, იხვის ბუმბულივით დაგრეხილი და ყურებამდე მიწვდე-  
ნილი. ყურები თუმცა ადამიანის ყურის მოყვანილობისაა, მაგრამ  
თითო მათგანი ქურთული ქალამნის ოდენა იყო. თვალები მრგვალი,  
კრელი და ძალიან დიდი ჰქონდა ბუსავით. შევი წამწამები ჰქონდა.  
მორეას ბაღრიჯანისოდენა დაკიდებული ცხვირის ნისკარტივით ჰქონ-  
და. ყოველ ამოსუნთქვისას და ჩასუნთქვისას ნესტოებს ერთმანეთს  
უტყლაშუბდა ქოთაოთი დაავადებული ცხენივით. პირი ისეთი დი-  
დი ჰქონდა, რომ ოდნავ თუ გაალებდა, ერთი მტკაველი გაუხდებოდა  
და მომცრო საზამთროს სიამოვნებით იდებდა პირში. თუმცა ოცდა-  
თორმეტი კბილი ჰქონდა, ზედა ყბის ორი კბილი ტუჩებს ქვემოთ იყო  
დაშვებული და ქვედა ყბის ორიც — ზედა ტუჩისაკენ ამოშვერილი.  
ტუჩები ლალისფერი და აქლემივით ჰქონდა. პირიდან განუწყვეტლავ  
გაღმოსდიოდა დორბლი; ხუჭუჭი თმა ჰქონდა და ხელები და მკერ-  
დი — ჩვეულებრივი ბავშვის ტანის შესაფერი. თითები — წვრილი და  
პიტნის ღეროს მსგავსი. მე, მწირმა, ეს ყმაწვილი რომ დავინახე, გან-  
ვცვიფრდი და მამამისს მიგმართე.

— მამილო! ამ ყმაწვილის დედა ცოცხალია?

— დიახ! ახლაც ცოცხალია.

მე, მწირმა, ვუთხარი: „თუ კიდევ ორსულად არის, ამის ქმას, რომელიც მუცელში ჰყავს, ძალიან გაუფრთხილდით. შეიძლება ვადაზე აღრე მოწყდეს საშვილოსნოს“.

მამამისი: „მიგხევდი ნათქვამს! ხუმრობის გუნებაზე ხარ, მაგრამ დედამისი ამბობს: ამ ყმაწვილის დაბადებისას არაფერი გამიგია, გაუპირვებლად და უწვალებლად ვშობეთ“. მე, მწირმა ვთქვი: „მამილი! ეს სადაური სიბრძნეა? ჩაც აღამიანის მოღვა არსებობს, ამისთანა თავ-პირიანი არავინ დაბადებულა. განა ეჭვი გეპარება, რომ ამისთანა ბავშვი შენი ჩამომავალი არ უნდა იყოს!“

|| მამა: „ღმერთმანი. შეილო! ჩემი კაცობის შედეგია. როდესაც ამ 388 ყმაწვილის დედასთან ერთად მთაში შეშის საჭრელად ვიყავი, სიყვარულისა და სიხარულის ვაუკაცური სურვილი მომივიღა. მე და ჩემი ცოლი ერთმანეთს „შევეჭიდეთ“. ხან მან დამჯაბნა, ხან მე და ასე ვისამტკბილეთ. ჩემი ცოლი ერთი ხის ძირას ისვენებდა. უცბად დაიკიცლა და შეშინებული ჩემთან მოვარდა. მას ერთი რაღაც საშინელი ქმნილება მოსდევდა; ფიტვის ხესავით ტანი, დიღი თავი და საერთოდ, სხეულის ყველა ნაწილი უზარმაზარი ჰქონდა. სირბილ-სირბილით მოვედით სახლში. ჩემი ცოლი ლოგინად ჩავარდა და დაორსულდა. შემდეგ ეს ყმაწვილი დაიბადა. თავი დღითიდლე ეზრდება. ჩაც შეეხება მის წლოვანებას, მხოლოდ ცხრა წლისაა. სხვა რა უნდა იყოს, არ ვიცი! ჩემმა ცოლმა სხვა არაფერი იცის, გარდა იმისა, რომ ის ჩაღაც ქმნილება მხოლოდ დაინახა“. მე, მწირი, გავეხუმრე: „მამილო! თუ ღმერთმა ინება და თავიც ისე გაეზარდა, როგორც ეს ბავშვი იჩრდება, შენ შენი ვაჟით სტამბოლში წაგიყვანთ; წარჩინებულებსა და დიდყაცებს ვუჩვენოთ. დღიურად აღებულ ორი ათასი ყურუშიდან ათასი შენ და ათასი მე-“ მეთქი.

ყარა ჰისარის შაბი: მის მთებში ერთგვარი წითელი შაბი მოიპოვება. ოქრომჭედლები იყენებნ და ამიტომ სხვადასხვა ქვეყნებში გააქვთ. მთებში მოიპოვება ოთხუთხა, ხუთუთხა, ექსეუთხა და სოლომონის ბეჭდის მოყვანილობისა. ოქრომჭედლები ამბობდნენ, რომ ეს ათეთრებს ვერცხლსაო; დასტაქრები კი შალამოში ურევენ. კრილობებსაც ამ შაბით აშუშებენ. კიდევ მრავალი თვისება აქვს. განთქმულია ამ ქალაქის ლავაში და კომში.

სამი ღლე ციხის ძირას თაფან აპმელ-აღას კეთილმოწყობილ და გაშენებულ შენობაში და ქვეყნიერების დამამშვენებელ სასახლეში ეისტუმრეთ. ბაზარში ყავა, შაქარი და სხვა საჭირო საგნები ვიყიდეთ და გავემგზავრეთ. მაღროველისა და კურთის ხევებში წყალზე გადავედით. დასავლეთისაკენ 6 საათი ვიარეთ და იაკუბ-აღას სოფლის სადგურში მივედით. მუსლიმი და სომეხი მცხოვრებლებით დასახლე-

ბული კეთილმოწყობილი ზეამეთია. აქედან კვლავ დასავლეთისაკენ ვიარეთ მდინარე ქერქუქის ნაპირ-ნაპირ 5 საათი და გაიარეთ კუა-ულუ-ჰისარის ხევი, ბოლაზეშად წოდებული საშინელი ადგილი. 8 საათი ვიარეთ და ჰაჯი მურადის ციხეს მივაღწიეთ.

ჰაჯი მურადის ციხის ამბავი: უზუნ ჰასანის ბრძენი მრჩეველი 389 ვეზირის — ჰაჯი მურად-ხანის // აშენებულია. როდესაც სულთან მეჰ-მედ II ფათიში აქ უზუნ ჰასანს ებრძოდა, ეს ციხე უომრად ჩაბარ-და [ოსმალეთის] ვეზირ კოჭა მაჰმუდ-ფაშას?

ესეც ძლიერი და მტკიცე ციხეა; თავი ცისათვის მიუბჯენია. მისი გარეშემოწერილობა ათასი ნაბიჯია. სამხრეთისაკენ ერთი რკინის კარი აქვს. რაღაც მაღალ გორაქზე მდებარეობს, თხრილი არა აქვს. შიდა ციხეში სამოცდაათი სახლია. ერთი ჭამე აქვს. აქ სავაჭრო რიგებისა და ბაზრის კვალიც არ არის, მაგრამ ბაღ-ბაღები და კაქლის ხეები ბევრია. უფსერულოვანი კლდეების ძირიდან გამომდინარე ქერქუქის წყლის ნაპირზე პატარა და კარგი ფუნდუკი აქვს. ეს ციხე სასუბაშო შიბინ ყარა-ჰისარის მიწაზე. კუაულუ-ჰისარის ერთ-ერთი ნაჰიეა. ჩვენი ბატონი ფაშა აქ ვნახეთ და ძლვენი მივაჩრთვით შიბინ ყარა-ჰისარის ხილეულიდან. ჩვენ მიერ ნანახრ საკვარველებანი დაწვრილებით ვუამბეთ. ყარა-ჰისარის ციხის სიძლიერე რომ ვთქვით, ძალიან ვაჟკვირდა. აქედან ავიყარენით. ჩრდილოეთით ერთ მაღალ მთაზე ავედით და 6 საათში სოფელ ჩავდარში მივედით. ზეამეთის სოფელია. აქედან კვლავ დასავლეთისაკენ წავედით, 5 საათი ვიარეთ და სოფელ ერმენეში მივედით, ზეამეთია. აქედან ისევ დასავლეთისაკენ ვიარეთ 4 საათი. გავიარეთ ჯექესქ ქილისაჭიქი და ქილარჯი ველო-ალას სოფელში მოვედით. ყარა-ჰისარის მიწაზე, ესქეფსარის ყაზაში, მაღალი მთის კალთაზე მდებარე ორასკომლიანი სოფელია და ველი-ალას ზეამეთია. აქედან დასავლეთისაკენ ვიარეთ და სოფელ ბაშ-ჩიტოლიში მივედით. ყარა-ჰისარის მიწაზე ესქეფსარის ყაზაში, არზრუმისა და სივასის ვილაიეთების საზღვარზე მდებარე გაშენებული სოფელია. იგი აღრეა აღწერილი. აქედან ისევ დასავლეთისაკენ ვიარეთ და ნიქ-სარის ციხეში მივედით.

ნიქსარის ამბავი: [სახელწოდების] საფუძველია „ნიქ ჰისარი“, რაც კარგ ციხეს ნიშნავს. პირველად რომ მივდიოდით არზრუმისაკენ. ჭარი ილიჭას ველზე დაბინავდა. ახლა კი, რაღაც ზამთარი იყო, ჩვენი ბატონი ფაშა დაბინავდა ერთი კაცის სახლში, რომელსაც ხალილ-ეფენდი ერქვა და მასთან სამი დღე დაჰყო. მე, მწირი, კი ძეველი ჭამეს იმამს, ვესტიუმრე; რაღაც ფაშას სახლის პატრონი ვარდარ ალი-ფაშას დივანის ხელმძღვანელად მსახურობდა, იგი [ვარდარ] ალი-ფაშასთან ერთად აჭანყდა.

აქედან ავიყარენით, ისევ დასავლეთისაკენ ვიარეთ და სოფელ კუზანში დაგისატგურეთ. ||ნიქსარის ნაციეში კეთილმოწყობილი სოფე- 390 ლია. აქედან ისევ დასავლეთით ვიარეთ, გავიარეთ ერთი ადგილი, რო- მელსაც ბოლაზ ქესენი ეწოდება და კუშნ ოვას სოფელში მივედით. ნიქსარის მიწაზე მდებარე კეთილმოწყობილი სოფელია. იქიდან კვლავ დასავლეთისაკენ ვიარეთ, დაბა სუნთასაში მივედით. სივასის მიწაზე, ნიქსარის საზღვრებში სამახკომლიანი, პატარა, კეთილმოწყობილი და- ბაა, რომელსაც ჯამე, აბანო, მეჩეთი და ბალ-ვენახები აქვს. იქიდან ისევ დასავლეთისაკენ ვიარეთ და მივედით ერთ სოფელში, რომელ- საც დაუდის თექი ჰქვია. მაღალი მთის წვერზე მდებარეობს. ორას- კომლიანი კეთილმოწყობილი და გაშენებული დიდი ვაკუფებია, რო- მელიც დაბა ლადიქის ფარგლებში მდებარეობს. აქ დასაფლავებულია უდიდესი წმინდანი დაუდი-სულთანი. საგანე აქვს, მსახურები და დერ- ვიშები ჰყავს. მათი უმეტესობა კეთილშობილი სეიდების ჩამომავა- ლი ღვთისმოსავი ხალხია. ჩვენმა ბატონმა ფაშამ აქ 1057 (1648) წლის ყურბან-ბაირამის (იანვარი) 8 ნამაზი შეასრულა, შესაწირავები დაკლა- და შეიხის საფლავზე დიდი წვეულება გამართა. დილაადრიან ისევ დასავლეთისაკენ გავემართეთ, 5 საათში სითლიბელის მთა გადავია- რეთ და სოფელ პამილში მოვედით. ლადიქის ტბის ნაპირზე მდება- რე ერთ-ერთი ნაპირა ლადიქისა; ამ სოფელს ჯამე და ბალ-ვენახები აქვს. ძალიან ნაყოფიერი მინდვრებია. აქედან ისევ დასავლეთისაკენ ვიარეთ 5 საათი და ძველ ქალაქ ლადიქის ციხეში მივედით.

ძველი ციხისა და ქალაქის — ლადიქის აღწერა: იგი აშენებულია ასასის ერთ-ერთი კეისირის მიერ, რომელსაც პავჭ ეწოდებოდა. მას შემდეგ, რაც მრავალი პატრონი გამოიცვალა, მოვიდა დანიშმენდიანი მელექ-ყაზი და დაიპყრო. მისმა ერთმა ემირმა სალმან-ხანმა თქვა: „დროშას ციხეზე ნუ აღვმართავთ (დიქმიელი)“<sup>4</sup>. მელექ-ყაზიმ უპა-, სუხა: „...არა(ლა), აღმართე (დიქ) დროშა!“<sup>5</sup>. ეს საუბარი-ციხის სახე- ლად იქცა და მას უწოდებენ „ლადიქის ციხე და ქალაქიო“. ოსმალთა ვილაიეთებში სამი ლადიქია: ერთია კონიას ლადიქი, რომელიც აჯან- ყებულთა ძალადობით დღესაც მცირე დაბად ჩეხება. ერთიც, ვანის ვილაიეთში, ქორ ლადიქის სანჭაყია. ერთი კი ეს ამასის ლადიქია. ჩაღვანაც იგი ალაპისათვის შეწირული ვაკუფია, არ დანგრეულა. რო- დესაც სულთანმა ილდირიმ ბახაზეთ-ხანმა ამასის ციხე დაიპყრო. ლადიქის ციხეც უომრად ჩაიგდო ხელში და თიმურთაშ-ფაშას ჩააბა- რა. სიამტკბილობის მოვარული და ღვთისმოსავი ხალხი ჰყავს. რო- დესაც უფლისწული ბახაზეთ-ველი||ამასიაშა მბრძნებელი იყო, ყო- 391 ველ წელს მოღიოდა, სააგარაკოდ გაიხადა და ექვს თვეს ამ დაბაში ატარებდა. ამიტომ ქალაქში გააშენა ერთი კარგი სახასო ბალი, ქოვი-

თონ რომ წავიდა, [ასე] დარჩა [ბალად]. ამჟამადაც ჰყავს მებაღე, მებოსტნე, მსახურები, დარაჯები და თაბლაკჩები. საქორები დიდ ამირახურ-ალას უკირავს. განსვენებული სულთნის დედის — ბულ-ბულ-ხათუნის ვაჭუფია და მისი მცხოვრებლები გადასახადებისაგნ განთავისუფლებული არან. ვილაიეთის ვალი ამ ქალაქში ვერავის გამოგზავნის და ვერ ჩაერევა საქმეებში. სამასახიანი ყაზაა. მის ყადის წლიურად ექვსი ქისა აქვს შემოსავალი. შეიხ ულ-ისლამი, ნაკიბ ულ-ეშრაფი, ულემები და დიდებულები ჰყავს. სიფაპიების ქეთხუდა, იანიჩართა სარდალი. ქალაქის ნაიბი და მუჭთასიბი, ყაფანის ემინი და ტბის ემინი ჰყავს. ციხე ქალაქის სამხრეთითაა; ცამდე აზიდული, ოთხ-კუთხა, ძველი აშენებული, პატარა ციხეა. შიგ ნაგებობები არაა. ქალაქი ჩვიდმეტი უბნისაგნ შედგება, ცნობილი უბნებია: ვალაბერი, ქელელიზი, ენი-ჯამე, თექიე, შეპრექოსდო, იარმგა, დალ, ფოლად, ხაშვი. ორმოცდაშვილი მიჰაბი აქვს. ექვს მათგანში საპატარასეკო ლოცვა სრულდება. სამი მათგანი პირველი სულთნების აშენებულაა. სულ-თან აქმედის ჯამე, დაუღ-ფაშას ჯამე, თექიეს ჯამე, შეპრექოსდოს ჯამე, ქელელიზის ჯამე ცნობილი ჯამეებია. სამი ათას ოცი კრამიტით დახურული, ბაღ-ვენახიანი სახლია. მუსლიმთა სარწმუნოების სხვადა-სხვა მიმდინარეობათა შვიდი სავანე აქვს. მათში ყველაზე ცნობილია სეიდ აქმედ-ქებირის სავანე. [ქალაქს] ორი აბანო აქვს: ძველი აბანო — სავაკრო რიგებში და ახალი აბანო — ენი ჯამეს უბანში, შვიდი ფუნ-დუკი აქვს: ყაფანის ფუნდუკი, ჰელიმ-ბეის ფუნდუკი, ემირ ჰასან-ოლ-ლუს ფუნდუკი, სეიდ აქმედ-ეფენდი ზადე ალი ჩელების ფუნდუკი და თენგის ფუნდუკი, რომელიც ხორბლის ბაზარზეა. ესენია განთეშული ფუნდუკები. დაუღ-ფაშას სავაკრო რიგებში ფრიად სრულყოფილი, ქვით ნაშენი დახურული ბაზარია, რომელიც [დაუღ-ფაშას] ჯამე-სათვის არის შეწირული. გარშემო თხხასი დუქანია. ქალაქში ორ-მოცდაერთი სასახლეა ვეზირებისა და წარჩინებულებისა. მათ შორის ცნობილია: ოსმან-ფაშას სასახლე, იბრაჟიმ-ბეის სასახლე, ჰაჯი-ბეის სასახლე, ჰუსეინ-ბეის სასახლე, ალაქ-ბეის სასახლე, მუსტაფა-ბეის სასახლე და სხვები. განსაკუთრებული სასწავლებელი არ არის. ყოველ ჯამეში სხვადასხვა მეცნიერული პაექრობა შედგება ხოლმე; სა-392 ჯარო გაეკვთილები ტარდება. ||ყმაწვილთა თვრამეტი სასწავლებელი, ორი საქველმოქმედო სასაღილო აქვს. რაღვანაც მშვენიერი ჰავაა, ლა-მაზები ბეერია. წარჩინებულები დიდებულ ქსოვილებსა და სიასამუ-რის ქურქებს იცვამენ. მათ ჰყავთ ბეგი, ფაშა, ორასზე ზეტე მაღალი თანამდებობის მქონე ყადი-ეფენდიები, დიდი შეიხები; ღვთისმოსავი, შშვიდი, წყნარი ხალხია. ქალაქში ბევრია ქართველი და თურქესტანელი ცხენოსანი სიფაპიები; განათლებულთა მფარველი ბევრია. სა-

შუალო შეძლების ხალხი ვაჭრები და ხელოსნები არიან. შალის ფარაჯებსა და კუნთუშს იცვამენ. ნაირ-ნაირ თეთრსა და ცისფერ ტანისა-მოსს ატარებენ. მათი ქალები ხავერდის შარვლებზე ყვითელ ჩემებს იცვამენ და შალის ფარაჯებს ატარებენ. თუთ კაპას, პირსაფარს, მო-სასხამს, თხელი დიბის არახეინს იცვამენ და მოკრძალებით დადიან. აბანოსა და წმინდა საფლავების გარდა სხვაგან წასელა არ შეუძლიათ — სათნო და პატიოსანი ქალები არიან. მათი საჭირო-სასჩელე-ბიდან ცნობილია: გრქ-სუს მსხალი, ყარამანის მსხალი, მემეჭიქის პური; ოსმალეთის ვილაიეთებში საფანქის პურის შემდეგ ლადიქას მე-მეჭიქია განთქმული. რაღანაც ზეგანია და დიდი ზამთარი იცის, არ ხარბ ისეთი ხილი, როგორიცაა ყურძენი, ნესვი, საზამთრო, ლელე, ზეითუნი, ბროწეული. მაგრამ აკდალის თაფლის სახელით ცნობილი ერთი ისეთი სახეობის წმინდა თაფლი მოდის, არც ქედიდის თაფლსა ჰგავს, არც ადანას და სრკლას თაფლს. რაღანაც ეს თაფლი ფრიად კეთილსურნელოვანია, სტამბოლის წარჩინებულებს ყუთებით ეგზავ-ნებათ ძღვნად. ქალაქის ნაწარმიდან აკდალის თეთრი, ბაშბის ჩითა ორანის ლექფურისა და მოსულის ჩითხე უფრო თხელია.

სასეირნო ადგილები: ბალლ-კადას წყლის სათავე სასეირნო ად-გილია. ქალაქის სამხრეთითა. ქალაქის აღმოსავლეთით ერთი წყარო გამოდის, რომელსაც ფრენგის წყაროს ეძახან. ჰუსუნ-ფაშამ ამ წყალზე ერთი ხავარნაკივით<sup>10</sup> კოშკი დაღა, რათა იგი სასიმოვნო ად-გილად ექცია. სიამტკბილობის მოყვარულნი აქ მოდიან და დროს ატარებენ. ივლისის თვეში ეს წყალი ისეთი ცივია, რომ წყლიდან სამ ქვასაც კი ვერ ამოიღებ. როგორც ბალლ-სუ, ისე, ფრენგის წყარო ქალაქზე გადის და ფუნდუქებს, აბანოებს და ბაღებს წყლით ამარა-გებს. ეს წყლები ქალაქში მრავალ წინქვერს აბრუნებენ და ლადიქის ტბას ერთვიან. მათი სასეირნო ადგილებიდან ერთიც აქ-ფინარბაშია, მაგრამ ეს წყალი ქალაქში არ შემოდის, მის გარეთ მიეღინება||და 393 მინდვრებსა და ბაღებს ჩწყავს. ამ წყლის სათავეც ქალაქის ჩრდი-ლოეთით მდებარე მოებშია და შემდეგ ტბას ერთვის. ციხის დასავ-ლეთით, ერთ ადგილს, რომელსაც „მონასტერი“ ეწოდება, ერთი სა-სეირნო ადგილია. სიხარულის მომნიჭებელი, მდელოიანი ადგილია. აქედან გამომდინარე წყალს „რამჯა-სუ ეწოდება“. მაარას<sup>11</sup> წყალზე გემრიელია. ეს წყალი მოედინება და ციხის ძირას ორ ტოტად იყო-ფა. ერთი ნაწილი წმინდანის საფლავის ქვემოთ, ეურას უბანში გადის, მეორე ნაწილი კი კაკლის ბაღებისა და იმ სასეირნო ადგილის ქვემოთ ჩაივლის, რომელსაც ჟალ-დედე-სულთნის საფლავი ეწოდება და სა-დაც მუსლიმი მლოცველების შესახვედრად გამოდიან ქალაქის წარ-

ჩინებულები და დიდებულები. ამის შემდეგ ლადიქის ტბის კურეში. ჩაღის.

ლადიქის თბილი წყლების ქება: ლადიქიდან საათნახევრის სავალზე, მაღალ გორაკზე მდებარეობს მუსლიმთა ბაღ-ვენახებიანი სოფელი, რომელსაც ხილლიზი ჰქვია. ამ სოფლის ქვემოთ ერთი პატარა მდინარე მოედნება, რამდენიმე წისქვილს აბრუნებს და შემდეგ მდინარე კიზილ ირმაქს ერთვის. რაღანაც იგი ლადიქის მთების ვადალმაა. ლადიქის ტბას არ ერთვის. ამ მდინარის ნაპირზე ხილლიზის თბილი წყაროა. გუმბათი და მისთანები აქვს. ალუბლის მწიფობის დროს, გარშემო აღგილებიდან ათასობით ადამიანი მოღის ურმებით და ამ თბილ წყაროში ბანაობს. მუნსა და კეთრს არჩენს. ეს თბილი წყარო მდინარე ხილლიზის ერთვის. ამასის დასავლეთით სამი საათის სავალზე მდებარე კუზას ყაზაშიც არის ერთი თბილი წყარო. არაბები თბილ წყაროს ჰამაძის<sup>12</sup> უწოდებენ. ირანში — გერმაბე კუდრეთს<sup>13</sup>, ლადიქისა და ამასის მხარეში — კუზას<sup>14</sup> ეტყვიან. სათათრეთში — ილის<sup>15</sup>; მონლოლურ ენაზე — ქერენდე<sup>16</sup>; თურქისტანში — ილაჯა<sup>17</sup>; რემის მხარებში — კაინარჯა<sup>18</sup>; ბოსნასა და რუმელის ერთ ნაწილში ჩანარს<sup>19</sup> უწოდებენ. მაგრამ ლადიქის თბილი წყარო ფრიად სასარგებლო. წყვილი დიდი გუმბათი აქვს. ქალებისათვის ცალკე გუმბათია. მამაკაცების წყაროში ზომით ათი-ათზე, ტბასავით დიდი ისეთი შაფიური ყაიდის უზისა, რომ მომაკვდავი რომ მიაღეს, სამუდამო სიცოცხლეს 394 მიანიჭებს. || მისი წყალი მაინცადამაინც ცხელი არ არის. გარშემო თეთრი მარმარილოს ლომების პირებიდან ცხელი წყალი გადმოსჩქენს და დიდ უზიში ჩაღის. მაგრამ ერთი პატარა უზიცაა, რომელშიც წყალი მეტისმეტად ცხელია. ადამიანი შიგ რომ შევიდეს, ვერ გაუძლებს. გუმბათებს ქვეშ, რომლებიც დიდი უზის თხივე კუთხეს აქვს, ჰანეფის ყაიდის რვა ნიერაა. ამ თბილი წყაროს არემარეზე თეთრი მარმარილოდან ყინულივით წყალი გადმოდის, რომელიც კიზ გრზეს<sup>20</sup> სახელით არის ცნობილი. ვინც დალევს, სიცოცხლეს გაიგემრიელებს. საქმე ისაა, რომ ამ ციფ წყალსა და თბილ წყალს შორის არე ერთი კულაჩია. საოცარი ნახელავია ღვთისა — ალაპი ყოვლის-შემძლეა.

ლადიქის ტბა: ეს ტბა ლადიქის აღმოსავლეთით, შორიდან მოჩანს. მისი შემოვლა მხოლოდ ერთ დღეში შეიძლება. სიცოცხლის წყალია. თერთმეტი ჯიშის თევზია ტბაში და ყოველი მათგანის გემო და ხვისება რომ ავწეროთ, სიტყვა გავვიგრძელდება. მაგრამ დუნას თევზი მოსეს სუფრის შესაფერი თევზივით გემრიელი და უყათიანია. ტბის ნაპირები კეთილმოწყობილი და გაშენებული სოფლებით არის გარე-მოცული. ყოველი მხრიდან ოცდაქვს მდინარეს ირთავს, რომლებიც

ზარის, სუნის, კუჭას და ზეითუნის მთებიდან ეშვებიან. აჩცერთ შხა-  
რეს არა აქვს ამ ტბას გასასვლელი და პირობელე სავსეა. მის ნაპირზე  
მდებარე ბოლაზ-ქრა ფრიად მშვენიერი და კეთილმოწყობილი სოფე-  
ლია. სოფელი თოუზიც ამ ტბის ნაპირზეა. ისეთი ნალები, როგორიც  
ამ სოფელში კეთდება, აჩც ერთ ქვეყანაში არ მოიძებნება. ნალებით  
სავსე კათხაზე ორი ციკანი რომ დააყენო, მათი ჩლიქები ვერას დამ-  
ჩნევს. ამ ნალებს დანით ჭრიან. კევით იღეჭება, გემრიყლი და სურ-  
ნელოვანია. ამ ნალებისთანა მხოლოდ არზეუმში თუ მოიპოვება —  
ბინგოლის ზეგანზე. ლადიქის სამხრეთით, რვა საჰაის სავალზეა ამა-  
სია. აღმოსავლეთით ახლოა ნიქსარი. კავკილის ყაზა ერთი დღის სა-  
ვალზეა. დასავლეთით არაიტის ხიდია. ასევე დასავლეთით, ერთი დღის  
სავალზეა ზეითუნის ყაზა. მისი ნავსადგურები ჩრდილოეთით, შავი  
ზღვის ნაპირზეა — სამსუნი და სინოპი.

ლადიქის მოსალოცი აღვილები: შეხეხა სეიდ აპმედ ქებირი დი-  
დებულ სავანეშია დასაფლავებული. მასზე უფრო ღილი შეიხის მიერ  
დამოძღვრა და შემდეგ მისი მემკვიდრე გახდა. ღილი სულთანია. ახ-  
ლაც სალოცავი აღვილია წარჩინებულთა და მდაბიოთათვის. ორივენი  
ძეველ ჯაერში არიან დასაფლავებულნი. ძევლისჯამეც მათ ააშენეს 395  
852 (1448) წელს. ორხან-ყაზის ულემათაგან გამოსული შეიხები არიან.  
ციხის ძირას არის შეიხ ხა დაუღა-სულთანის მოსალოცი აღვილი. კო-  
რას უბანში წმინდანთა ზედა მოსალოცი აღვილია. ჰაჯიების შესა-  
ხვედრად გამოსასვლელ აღვილზე — ხალი დედესი. ყაზი თაჟარ მუს-  
ტაფა-ფაშაც ამ ცხონებულთან არის დასაფლავებული მაღალ აკლდა-  
ბაში.

ამ ქალაქში ჩვენ ბატონ ფაშასთან ერთად სამ ღლეს გავჩერდით  
და ღილი ნაღიმები გავიმართეს. შემდეგ ავიყარენით, დასავლეთისა-  
კენ 5 საათს ვიარეთ და შაპირ-აღას სოფელში მივედით. ორასქომ-  
ლიანი მუსლიმთა სოფელია. აქედან 6 საათს ვიარეთ და კასიმ-აღას  
სოფელში მივედით. მუსლიმთა ორასქომლიანი სოფელია. ერთი ჯამე  
აქვს. აქ კასიმ-აღამ ღილი ნაღიმი გავიმართა; მოვილხინეთ და ვინე-  
ტარეთ. აქედან პირდაპირ სოფელ ქორქოში მივედით. სამასკომლა-  
ნი, ერთი ჯამეანი, ბალ-ვენაზიანი სოფელია. აქ ერთი განთქმული  
გულუხვი ოჯახია, რომელსაც ჩორბაჯი ზაღვე ეწოდება. ფაშა იმ ოჯახ-  
ში ერთ ღლეს დარჩა სტუმრად. მეორე ღლეს, ის იყო თუღებიანად  
უნდა დაძრულიყო, რომ სტამბოლიდან ორი კაცი მოვიდა. ერთს მუ-  
რად ხასექე ერქვა და მეორეს — ჰავრუზჯუ-ჩაუში. მათ რომ თქვეს,  
შიკრიკებად მივდივართ დიარბეგიარისენო, ფაშამ შეიძყრო და მათი  
ბარგი და საღვიმი გააჩრევინა. სალიპ-ფაშას მმისადმი მიწერილი წე-  
რილები უპოვა და გახსნა. მურთაზა-ფაშასადმი შემდეგი ბრძანებაა

სულთნისა: „ბაღდალის ვილაიეთის განშეგებლობიდან გამითავისუფლებისარ კაფულან-ფაშას თანამდებობა გიშვალობებერ. ჰენებით უნდა იარო და სტამბოლში მეახლოო“. ფაშამ შიკრიიების შეპყრობის დღეს მარჯვე შიკრიი გაგზავნა მურთაშა-ფაშასთან. რომელიც ბაოდადის განმებელი და სალიპ-ფაშას ძმა იყო. ასეთი წერილი მისწერა: „ჩემო ძმაო, შევპყარი ბილწი ჩაუში მურად ხასექი, რომელსაც შენთან უზენაესი სიგელი მოაქვს კაფულან-ფაშად შენი დანიშვნის შესახებ. როდესაც შიკრიი მოაღწევს, არავითარ შემთხვევაში არ ენდო კაფულანობის ბოძებას და სხვა რამ იღონე. ყურადღებით მოიქაცი! სტამბოლისაკენ გაეშურე და საღმე მიყრუებულ ადგილას გაჩერდი. მე და ჩემი ძვირფასი „მამა“ — ვარდარ ალი-ფაშა სტამბოლისაკენ წასვლას შევირდით ერთმანეთს. უეპელად და აუცილებლად! ნათქვამია:

396 „მარჯვე მეგობარს იშოვის და დაუცევარისკი თავს წააგებს“. შიკრიკის გაგზავნიდან მეორე დღეს ხასექი და ჩაუში პატიმრობიდან გაათავისუფლა. ისინიც ბაღდადისაკენ გაემართნენ. ფაშა კი ექვსი დღე დარჩა ქორქოში. მეშვიდე დღეს ავიყარენათ და მერჩიფონის ციხეში მოვედით.

მერჩიფონის ციხის ამბავი: დანიშმენდიანთა აშენებულია. შემდეგ იგი დაპყრობილია სულთან ბადაზეთ ილდირიმის დროს. ამებაზ იგი სივასის ვილაიეთში და ამასის სანჯაყის მიწაზე მდებარე, ალზით აშენებული, ლმაზი ციხეა. შიგ არცერთი სახლი არაა. საომარი მარაგისა და მოწყობილობისათვის დარიგები არიან მიჩენილი. ქალაქი ფირ დედე-სულთანის ვაკუფება. ამებამად მისი განმებელი კიშლარ-ალასია. სამასახიანი პატიოსანი ყაზაა. მისი ყალის წლოური შემოსავალი ექვს ქისას შეაღებს. რაღვანაც ციხე მიწისაა, მეციხოვნები არა ჰყავს. შეის ულ-ისლამი და ნაკიბ ულ-ეშრაფი, სიფაქიების ქეთხუდა-ხერი, იანიჩართა სარდალი, მუჭთასიბი და ნაბიბი ჰყავს. ბატონი ყალიები ჰყავს, რომლებიც სამასამდე ზალალი თანამდებობის მოხელეს ხელმძღვანელობენ. არიან ლეთისმოსავი შეიხები, ღიდებულები, წარჩინებულები და აღები. ფაშობის ლირსი ქეთხუდა ჰყავს ქალაქს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩენი ბატონი ფაშის საკლის პატიონი — თაფანი ხასი მეშვედ-ფაშას სილაპარი დილავერ-ალა, რომელიც, მართლაც, რომ თავისი სახელის შესაფერისად გულუხვი და გულადი იყო<sup>21</sup>. ეს კაცი ათი დღის განმავლობაში გაგვიმასინდლდა იშვიათი და უცხო საჭმელებით სამას იჩ-ალას, ფაშას და მე და ერთი დღეც არ იყო ისეთი, რომ რაიმე დაეკლო. თურქული ვილაიეთია. მისი ხალხი ფრიად წყნარი და მშვიდია. კეთილნაშენი ქალაქია, სადაც სიიაფე და სიმღიდოე სუფევს. დეშანის ვთის კალთაზე მდებარეობს. ოთხი ათასამდე კრამიტის და მიწის ბანიანი სახლი აქვს. ორმოცდა-

ოთხი უბანი და სამოცდათორმეტი მიზრაბია. განთქმულია ძველი ჭამე და სულთან მურად II ჭამე, რომელიც საგაფრო რიგებშია. მედრესეთა შორის — სულთან მურად II მედრესე; მრავალსაკანიანი, საყოვლთაო სახალხო სასწავლებელია. ჰადისებიც ისწავლება. ყურანის საკითხავი ორი სახლი, სამოცდაათამდე ყმაწვილთა სასწავლებელი, ორი საქველმოქმედო სასადილო და შეიდი დერვიშთა სავანე აქვს; დიდი სავანებია: ფირ-დედეს სავანე, დეშანის მთის კალთაზე — ხირკა სულთანის სავანე, მის ახლოს და ქალაქიდან ერთი საათის სავალზე მდებარე წმინდან აქაშეს სავანე. ქალაქში კადირისა და ჰელვეტის სავანებიც არის. ფუნდუკებიც აქვს. ქალაქის საგაფრო რიგებში, დალიქების დუქნის ახლოს, დეველი ფუნდუკის კარის მარცხენა კუთხეში 397 ერთი ფალავნის გურზი ჰკიდია. მის აპარათი შორის მდაბიოთა და წარჩინებულთათვის ღირსშესანიშნავ სანახავ აღვილს წარმოადგენს ჩელები სულთან მეჰმედ პირველის აშენებული ძველი აპარა. ორგანულფილებიანი აბანო მშვენიერი, კარგი პარჩანი, კარგად აშენებული, დიდი აბანოა, რომელშიც მამაკაცებისა და ქალებისათვის ცალ-ცალკე სამოცდაათი ნიუარაა. მამაკაცების აბანოს ერთ მესამედში მექეჩები ქეჩას თელავენ. ერთ მესამედში დაბალებს ტარსიკონი გამოჰყავთ და ცისფრად, ყვითლად და წითლად ლებავენ. ორმოც ნიუარაში ახლაც გადმოდის წყალი და სმარებაშია. არ შეიძლება, რომ მისი თაღების რომელიმე კუთხიდან ან კედლებიდან ზედ შეორუქელილი ერთი წვეთიც კი ჩამოვარდეს. რაღანაც ძველი აშენებულია, ოდნავ ბნელი შენობაა.

რაღანაც ქალაქში კარგი ნიავი იცის, მცხოვრებლები ჭანმრთელები არიან. მათი ბეგები თავისი ჭალაბობით მერზიფონის უკან მდებარე დეშანის მთაზე სიადალიდ გადიან და ექვს თვეს იქ ატარებენ თურქმან მომთაბარეებთან ერთად. ეს იალალი მიეცა დეშანის საგვარეულოს, რომლებიც დანიშვნენდიანებთან და ოსმალებთან ერთად მოვიდნენ მაპანის ქვეყნიდან. იგი ამჟამადაც სამემკვიდრო სამფლობელია. დეშანის საგვარეულოს წევრი სეიდი-ბეი მისი განმგებელი და შპრძანებელია. ამ იალალიდან მრავალი, უკვდავების წყალივით წყარო ჩამოდის და ერთი ნაწილი ქალაქ მერზიფონის ბალ-ვენახებს ჩაწყავს. რამდენიც არ უნდა იწვიმოს, დაბლობი თუ არ მოირწყო, მოსავალს არ იძლევა. დათესილი ხორბლის ერთი მარცვლიდან ოცს, თხუთმეტს იბარტყებს ხოლმე და ამდენად, ასი მარცვალი მიიღება; ამრიგად, ერთი ქილა თესლი ოთხმოც ქილა მოსავალს იძლევა. ზეგანის მოსარწყავად ამ წყლებს მირაბი ჰყავს. დეშანის საგვარეულოს წევრებიც იქ მიღებული უხვი მოსავალის წილს აძლევენ. კარგი თანამდებობაა ალისა. მდინარეს აღები რომ არა ჰყავდნენ, მერზიფონის ხალხი

ერთმანეთს, ამოწყვეტდა. ახლაც კი ხშირად ხდება ხოლო [წყლისათვის] ჩხუბი. წყლის ერთი ნაწილიც ქალაქ ლადიქის დაბლობში მდებარე კაზახს საყაზოს ნაპირების მიერინება. ერთი ნაწილი კი ოსმანების მხარეს მდებარე ველებისაკენ მიდის და მათ ბალ-ბოსტნებს რწყავს. ქალაქი მერზიფონი ფერდობზე მდებარეობს და ზურგი დეშანის მთაზე აქვს მიყრლნობილი. ამასია ამ ქალაქის სამხრეთით ძევს თხუთმეტი საათის სავალზე. ლადიქი თორმეტი საათის სავალზეა: ოსმანები თექვსმეტი საათის სავალზეა; ქალაქი გუმშუში ათი საათის სავალზეა; დაბა ქერქერანი რვა საათის სავალზეა. დეშანის მთის ჩრდილო კალ-398 თაზე დგას კოჯა-კალე, რომელიც ქალაქ ქრონებს გადასცერის. || აქედან სამსუნის ციხეში სამ დღეში შეიძლება მისვლა. [სამსუნი ქრონებს] ნავსაღვურია; ისეთებიც არიან. რომლებიც სინოპის ნავსაღვურში მიღიან, მაგრამ სამსუნი უფრო აღლოსაა.

მათი საჭმელ-სასმელი და ხელოსნური ნაწარმი: აძნთაბის ბაქმაზის მსგავსი წმინდა ბაქმაზი; გემრიელი და წვნიანი ყურძენი მოდის. ფირ-დედეს სავანეს არემარეზე და სხვაგან ექვანასი [სახელოსნო] დუქანია. სამღებრო ბევრია. სპარსულზე უკეთესი საღებავებით დებავენ. განთქმულია ლურჯი საღებავი. აქედან ყოველწლიურად ათასობით თოფი ბამბეული მიაქვთ ყირიმში ვაკრებს და ტყვებზე ცვლიან. ყირიმის მოსახლეობის ფარავები და ტანისამოსი სულ მერზიფონის ბამბის ქსოვილიდანაა. ბამბის ძაფიც განთქმულია. განთქმულია, აგრეთვე, ადგილობრივი ღოშავი, ადგილობრივი ჭრელი ბალიში, ყალამქარი, მშვენიერი საბნის პირები ჩითისა, ჩარსავები და ფარდები. მათი ლამაზმანებიც მთელ ქვეყნიერებაზე განთქმული არიან.

## LXXXVII

### მრჩიფონის სალოცავი აღგილები

ჰეშმარიტებასა და სიმართლეს ზიარებული, მოსწავლეთათვის სასურველი, თვალხილულთა წყარო, სარწმუნოებისათვის მებრძოლთა ცოდნის შემცველი წმინდა შეიხის ფირ-დედე ხორასნიდან თურქთა თურქის — ხოჯა აქმედ ისავეს ნებართვით რუმში მოვიდა და მერზიფონის ჩრდილოეთით დასახლდა მაღალ აღგილზე, რომელიც ქალაქს გადმოსცერის. ხანდახან აბანოებში ათევდა ხოლმე ღამეს. ღმერთთან მიახლოებული, მაღალი ღმერთის ჰეშმარიტად მცნობი კაცი იყო. ზემოხსენებული ფირის შესახებ მრავალი სანაქებო გადმოცემა არსებობს. ახლა მისი აკლდამა დიდი გუმბათებითაა დამშვენებული; მოედნით, სამზარეულოთი და დერვიშთა სენაკებით არის მოწყობილი.

ყოველღამ ორასი კაცი ათევს ღამეს და მიღის. აქ ორასზე შეტი თავ-შიშველა დერვიშია. პატიოსანი წმინდანის სინათლით სავსე აკლდამა-ში შევეღი, წმინდა „ხასი“ წავიკითხე და მისი სულიერობისაგან შვე-ლა ვთხოვე. აკლდამაში მუშაის კეთილსურნელება აბრუებს კაცს. აკლდამის ყოველი მხარე შშვენივრად ნახელავი ჩირალებით, შანდლე-ბითა და კანდელებით არის შემჯული. მისი დერვიშული ნივთები წა-ლოშია შენახული. რაღანაც მე, მწირი, წინასწარმეტყველის ოჯახის თაყვანისმცემელი ვარ, მივბაძე იმ ჰადისს, რომელიც იწყება სიტყვე-ბით: „სილარიბე სიამყეა“. გავკადნიერდი და დერვიშთა ნებართვით, 399 წმინდანის ქეჩის მაღალი, ჩალმიანი ქუდი სავანის მოძღვარმა მემო დე-დე-ჯანმა ალაპს დიდებით დაბახურა თავზე. ყველა დერვიშმა ყიფინა ღასტა და დამლოცა. აკლდამა ქვის შენობაა: გაბრწყინებული იყოს ამ წმინდანის საიდუმლოებანი. შეის აბდ არ-რაპიმ ბენ ემირ მერზიფო-ნი უფალმა ზეინ ედ-დინ ჰაფიშ გაწურთნა ბურსაში. მეცნიერების მწვერვალს მიაღწია და სრულყოფილი გაბდა. წიგნი, რომელსაც ეწო-დება „წმინდა დარიგებანი“<sup>1</sup>, მისი შეთხულია. მას კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი თხზულება აქვს. მერზიფონში სულთან მეჭმედ პირვე-ლის ჭამეს ვაკუფებიდან განსაზღვრული შემოსავლის წყაროებისა-თვის ყოველდღიურად რვა ახჩა საარსებო ულუფა გაიცემა. ამ ქვეყა-ნასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა და მერზიფონში დასახლდა. ამჟამად მისი სამყოფელი მერზიფონში გულშემატკიცრებისათვის სა-ლოცავი ადგილია. ამ წმინდანს დახვეწილი ლექსებიც აქვს. მწერლო-ბაში მას რუპის<sup>2</sup> უწოდებენ. რაღანაც სუფიურ მეცნიერებაში ღრმად არის განსწავლული. მისი ლექსები ყველა სუფიურია. ცხონება ალაპი-სა ყველა მათზე.

ამ ქალაქში ათი დღე გავატარეთ. ქორქოხდან ბალდადს წასულ მარჯვე შიკრიკს, ნიზიბინად წოდებულ დანგრეულ ქალაქში ერთ ღა-მეს, ცხენზე მჯდომარეს, ბენდა დაემართა, კეფა დაარტყა და ცოცხალ-მკვდარივით ეგდო. წმინდა მუშარემის მეათე — აშურას დღეს (1648 წ. 5.II) დაშანის მთაზე გადავედით და სოფელი ბეგვრანი გავიარეთ. 6 საათში კოჯა-კალეში მივეღით.

კოჯა ციხის ამბავი: კოჯა კახას სახელით ცნობილ, მაღალ გორაქ-ზე მდებარე პატარა ციხეა. მაგრამ მეტად ციცაბო და მიუვალი, მაგა-რი ციხეა. მისი კედელ-ბურჯები მტკიცედ არის ნაშენი; ღიღი კლდე-ებით არის აშენებული. ციხეში ასასვლელად ერთი გზა და ერთი კა-რია. სხვა ადგილიდან ასვლა შეუძლებელია. ბურჯები და ქონგურები არა გვიშლებოდეთ აქვს — ყველა კლდიდან არის გამოჭრილი. მას რამ-დენჯერმე შემოარტყეს ალყა აჯანებულებმა: — ყარა მაზიგო-ოლ-ლუმ, საიდ არაბმა, კალენდერ-ოლლუმ, მაგრამ ვერ შეძლეს მისი და-

პყრობა. იგი დანიშვნდიანმა შელექ-ყაზიმ ბიზანტიულებს ბრძოლით წაართვა და შემდეგ [სულთან] ბახაზეთ ილდირიმ-ხანის ხელში გადავიდა. მაგრამ მე არ ვიცი, ვისი აშენებულის იგი. ქრონიკს ყაზა მისი 400 ერთ-ერთი ნაპირა. ციხეში ორასი მეომრის სადგომები, ციხისთავი და ას ორმოცდათამდე მეციხოვნეა. ერთა ჯამე, წყალსაცავები, ჭირნახულის ამბრები, შვიდი-რვა მცირე ზარბაზანი და საქმარისი ოდენობის ჯაბაზანი აქვს. აბანო და სხვა შენობები არა, მაგრამ ამდენიმე ღუქანი აქვს. მთელი მოსახლეობა ფიჭვის ჩისაგან ბუღუს საკეთებს. თურქულ ენაზე ჭურჭელს, რომელსაც საწუწნავად ლულა აქვს გაკეთებული, ბუღუს უწოდებენ. მათი საქმიანობაა, აგრეთვე, სხვადასხვა საქრავების გაკეთება: ჩონგური, თამბური, რავზა, კარა ღუზე, შარკ, იონქა<sup>3</sup>. მომღერალი, დამკვრელი ხალხია და უმეტესობა ბეჭნამაზის ტომის თურქებია.

აქედანაც ავყარენიო. კეთილნაშენი სოფლები გავიარეთ. დაბა ქრონიკში მივედით და ჰავი დუსუფ-აღას სახლში გავჩერდიო სტუმრად.

ქალაქ ქრონიკში ციხის ამბავი: დაშანის მთის კალთაზე ხეებიან და გორაკებიან ადგილზე მდებარეობს. ორი მხრიდან მდინარე ჩაუდის. ოთხკუთხა, ქვთ აშენებული, ლამაზი ციხეა. ერთ მდინარეს დუღა-ქოხს წყალს ეძახიან. ქალაქის ძირას მოედინება. მეორე მდინარე ქალაქიდან ერთი საათის სავალზეა და ისთავლურუზზე ეწოდება. ქალაქი ამ ორი მდინარის შორისაა. როდესაც ეს მდინარეები აღიდდებიან, ქალაქ ქრონიკში ველს წალეკავენ ხოლმე. ეს მდინარეები დაშანის მთიდან მოდიან და რაღაცანაც მდინარე ისთავლურუზზე ხის ღილი ხიდის საშუალებით გადაღიან, ქრონიკს ქალაქს უწოდებენ. ფრიად კარგი ნახელავი, ფიჭვის ძელებით აგებული საუცხოო ხიდია. ამალეკთა ხანაში ამ ქალაქს შინდერის ცახეს ეტყოდნენ, რაღაცანაც ამალეკთა ენაზე „შინ“ ხიდს ნიშავეს. როდესაც მოციქული დაიბატა, დაინგრაა და შემდეგ ხის ხიდი ააშენეს. ამგვარად, ამ ხიდქვეშ გამავალი ეს ორი მდინარე ქალაქ ქრონიკს ქვემოთ მოედინება და იმ აღგილას. რომელსაც ჩელთიქლიქი ეწოდება, ღიდ მდინარე ბაფრას ერთვის. ამ ციხის პირველი ამშენებელი ამალეკთა მეფეა. შემდეგ ტრაპიზონის ხელმწიფეს დანიშვნდა მელექ-ყაზიმ წაართვა. შემდევ იგი უომრად დაიპყრო სულთან ილდირიმ ბახაზეთ-ხანმა. ამეამად ამასის მიწაზეა. ნახევარი ზეამეთია და ნახევარი — თოკათის შმართველის სასაუბაშო. ყველაფერი მის განმგებლობაშია. სამასახიანი თანამდებობაა ყადისა. ას ორმოცი სოფელი და ნაპირები აქვს. მათ შორისაა ღუზლაზექ, რომელიც ათასკომლიანი დაბაა. ბახეჩერი ქალაქის სამხრეთითაა. 401 დოიან-ქრო, აკლე-ქრო, აკურან-ქრო||ჰასან-აღასია. ვურან-ქრო ჰამამ-ჯი-ოლლუს ეკუთვნის. მის ყადის წლიური შემოსავალი შვიდი ათასი

ყურუში აქვს. შეის ულ-ისლამი, ნაკაბი, ქეთხუდა-ხერი. იანიჩართა სარდალი, მუჭთასიბი და ნაიბი ჰყავს. მაგრამ, რაღანაც იგი ქვეყნის შუაგულშია, ციხისთავი და მეცახოვნები არა ჰყავს. აჯანყებულები, რომლებსაც ყარა ხაზიჯი და საიდ არაბი ერქვათ, ერლაუს ცხის ბრძოლაში დამარცხდნენ და გამოიქცნენ. მათგან ამ მდინარის დასაცავად ქვის ციხეს გვერდზე მიაშენეს მიწის ერთსართულიანი ციხე. ორივე ციხეს სულ ოთხი კარი აქვს. სავაჭრო რიგები და ბაზარი გარეუბანშია. ქალაქში, [ციხის] შიგნით და გარეთ, კრამიტით გადახურული, ერთსართულიანი და ორსართულიანი, ქვით ნაშენი სახლებია. არის სახლები, რომლების ზედა სართული მუხის ფიცრებითაა აშენებული. სულ ექვსი ათასამდე სახლია. რაღანაც ფიცრები შიგნით და გარეთ კირით არის შელესილი, მარგალიტივით მოკიაფე, ლამზი ქალაქია. რაღანაც დიდი ზამთარი იცის, სახლების საკვამლე მიღები თერზი მინარეთებითაა თავაწეული და ზემოდან წყეტიანი ქუდებივით ხუფები აქვთ. მსგავს ნახელავს ვერცერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ. კეთილნაშენი ქალაქია, რომლის ხასასა წითელი კრამიტის სახურავები ქალაქს მეტად ალამაზებს და ამობძს. ქვის ციხეშია ალმაზი ჟუსუფ-ალას სასახლე, ქოფრულუ მეტმედ-ფაშას სასახლე, მუეზზინ-ზადეს სასახლე, ქუჩუქ მეტმედ-ალას სასახლე, პასან-ალას სასახლე, ყიბლალი ვუდურ აჯან-ჩაუშის სასახლე. ოცი უბანი და თერთმეტი სახუტბო მეჩეთია. ქვის ციხეში არის ჰავი ჟუსუფ-ალას ჭამე. აუზიანი, შადრევნიანი, ერთ-მინარეთიანი ახალი ჭამეა და ხალასი ტყვიით არის გადახურული. ძევლი ჭამეც ტყვიის სახურავინაა. მაჭქემე-ჭამეს ხის მანარეთი აქვს. სასამართლო სავაჭრო რიგებშია. განთქმული სავანეებია: შეის ექბერის სავანე, კადიირისა და პელვეთის სავანეები. თერთმეტი ფუნდუქი აქვს. ცნობილებია: ჰავი ჟუსუფ-ალას ფუნდუკი, ჰავი ისას ფუნდუკი, საქველმოქმედო ფუნდუკი. ორი საქველმოქმედო სასალილო აქვს. ულემები, შეიხები და ცოლნის მაძიებელი ბევრია. ყმაწვილების ორმოცდარვა სასწავლებელი აქვს. ჰავი ჟუსუფ-ალას სასწავლებელი ტავიის სახურავიანი, დიდი ვაკუფია. აბანოებს შორის განთქმულია ჰავი ჟუსუფ-ალას აბანო. მიწის ციხის გარეთ რომ ორგანოფრილებიანი აბანოა, აპმედ-ფაშასია. ძევლი ჭამეს ახლოს მდებარე ძევლი აბანოც განთქმულია. ათასი ღუქანი აქვს. ერთი ოთხუთხა, ქვით აშენებული, ოთხეპირიანი, მტკიცე დახურული ბაზარი აქვს. ამ ქალაქის აღორძინება ჰავი ჟუსუფ-ალას ||დამსახურებაა. სამოცდაათ საქველმოქმედო და 402 სასიკეთო დაწესებულება დააარსა. ეს დახურული ბაზარიც მისი ქველმოქმედებაა. ამ ქალაქის დაბანანაზე უფრო დიღებული და შემკული სავაჭრო რიგი სხვაგან არ არის. დაბალების ნაწარმი განთქმულია. რაღანაც დაბანები მდინარის ნაპირასა, სახელოსნოს დუქნებს ყოველ-

ღამ კანდელებით აჩირალდნებენ და ისე გამოპყავთ ტყავი. ქალაქის ნაწარმსა და საჭმელებს შორის განთქმულია მისი მსხალი, ყურძენი, ბაშბის ჩითი, ლურჯი ძაფი და ნარმა. მისი ნავსაღვურებია შავი ზღვის ნაპირებზე მდებარე ბაფრა და სინოპი. მანძილი ერთი დღის სავალია. მის ახლოს, ხუთი საათის სავალზე ერდოლანის ციხეა.

ერდოლანის ციხის ამბავი: ციცაბო და პიტალო კლდეზე ასვლა შეიძლება კლდეში გამოჭრილი კიბის რეასი საფეხურით. აღამიანი-შვილის გარდა ვერცერთი ქმნილება ვერ ავა. სამხრეთისაკენ ერთი რკინის კარი აქვს. ციხის უმაღლესი მწვერვალია გადმოზნექილი კლდე. მის შემხედვარეს ჰგონია, საცაა ღაინგრევაო. ეს ციხე დაიყრო იმ მელექ-ყაზიმ, რომელმაც ბიზანტიელებს ნიქსარიც წაართვა. შემდეგ სულთან [ბააზეთ] ილდირიმ-ხანის ხელში გადავიდა. ეს ციხე ისტო-რიაში ცნობილია თერინის ზღუდის სახელით. ახლა ციხეში ის ორ-მოცდაათი სახლი, ერთი ჯამე, წყალსაცავი და ხორბლის ამბგებია. ქოფრუშს მოსახლეობის საწყობად არის ქცეული და ყველა ძვირფასი ნივთი იქა აქვთ შენახული. ქოფრუშელთა ქინების ერთი ნაწილი კი კოჭა-კალეში ინახება. ამ ციხეს მიჩენილი ჰყავს ციხისთავი და ორ-მოცდარვა მეციხოვნე. ციხის კარს ერთი დაკიდებული ხიდი აქვს. იმ ხიდს ყოველლამით ჭოჭონაქებით ასწევენ ხოლმე და ციხე აჯანყებუ-ლებისაგან დაცული ხდება. ქვემოთ, კიზილ ირმაკის ნაპირზე, ბევრი ბალ-ვენახი აქვს. ეს ციხეც ქოფრუშელს ყაზაში შემავალი ნაპირი.

აქედან დასავლეთისაკენ 6 საათი ვიარეთ და გრლის ნაპირში მივედით. ზეითუნის ყაზაში მდებარეობს და კეთილნაშენი სოფელი. ჯამე, ფუნდუკი, აბანო და რამდენიმე დუქნი აქვს. აქედან 6 საათში სორუკის ციხეში მოვედით; კეთილნაშენი სოფელია ზეითუნის ყაზა-ში. აქედან 6 საათში კუნდუზის ზეგანი გადავიარეთ და ზეითუნის ყაზაში მივედით. ამასის სანჯაყის მიწაზეა. ორიათასკომლიანია; ჯამე,  
403 ფუნდუკი და აბანო, ყმაწვილების სასწავლებელი, სავაჭრო რიგები და ბაზარი აქვს. მრავალი წარჩინებული და ღიდებულია ამ კეთილნაშენ დაბაში. ვენახებს და ბაღებს დასასრული არ უჩანს და წყაროები მოჩუხებებენ. აქედან ავიყარენით და 6 საათში დაბა კარლუში მოვდით. ქანირის სასუბაშოს მიწაზე ექვსასკომლიანი ბალ-ვენახიანი დაბაა, რომელსაც ჯამე, ფუნდუკი, აბანო და რამდენიმე დუქნი აქვს. აქედან წავედით და 6 საათში კეთილნაშენ ქალაქ თოსიაში მივედით. იგი აღრე გვაქვს აღწერილი. აქ ერთი დღე გვატარეთ სტუმრად და თერთმეტი თავით ფეხებამდე შეიარაღებული ვაჟკაცი შემოგვემატა. ისევ მერზიფონისაკენ ვიბრუნეთ პირი და მესამე დღეს ქალაქ ქოფ-რუში შევედით. ქალაქში დიდი მღელვარება და ალაქოთი დაგეხვდა. თურმე ქოფრუშელ მემედ-ფაშას? სტამბოლიდან. ბრძანება მოსვლია

აჭანყებულ ვარდარ ალი-ფაშას წინააღმდეგ წასკლის შესახებ. ხალხი  
 ამბობდა: „ამ სასტიკ ზამთარში საღ წავიღდეთ, თოვლში როგორ უნდა  
 დავარჩიოთ“ და დიდი მითქმა-მოთქმა პქონდათ. აქედან ისევ სამხრეთი-  
 საქონ წავედით. 6 საათი ვიარეთ და სოფელ ბევერიანში მოვედით. კე-  
 თილნაშენი სოფელია შანის მთის ძირას. ჩვენ აღრეც ვყოფილვართ  
 აქ სტუმრად. აქედან ავიყარენით, ისევ ქალაქ მერზიფონში მოვედით  
 და ჩვენ ბატონ დავთარდათ ზაღე მეტმედ-ფაშას შეფუერთდით. როდე-  
 სუ ვუთხარი ასი თავზეხელალებული ვაჟუაცი სარიგა მოვიყვანე მეთ-  
 ქი, ფრიად კმაყოფილი დარჩა. საჩქაროდ ორი ბოლუქ-ბაში დაუნიშნა,  
 მხრებზე ხალათი წამოახსა და თავზე ჩაღმა მოიხვია. მაპმაღიანური  
 ყიყინით ბაირალი გააშლევინა. რაღან ეს ორი ბოლუქი მე მოვიყვანე,  
 მათ მეთაურებს ასეთი სახელი მისცეს: „ევლიას შეგირდები: გუზერ-  
 ლი ბოლუქ-ბაში და ჰაბიბ ბოლუქ-ბაში“. ესენიც სხვა ოცდაორ ბო-  
 ლუქს შეუერთეს და ოცდაექვსი (sic!) ბაირალი გახდა. თუ ყოველ ბაი-  
 რალში ასი ვაჟუაცი არ იქნებოდა, ბაირალის გაშლა სირცხვილი იყო.  
 მერზიფონში თორმეტი დღე რომ ვიდექით, მუპარემის ოცდამეერთე  
 დღეს (16. II. 1648) ავიყარენით და 6 საათში მურითაზა-ფაშას ჩიფთლი-  
 ქს საღვურში მივედით. თაფანი ჯასი მეტმედ-ფაშას სილაპდარის, დი-  
 ლავერ-აღას მბრძანებლობის ქვეშ იყო, მერზიფონის ველზე მდება-  
 რეობს და მოსავლიანი ჩიფთლი-ქია. აქ ღამე თოვლი მოვიდა, ქარბუქი  
 და გრიგალი ამოვარდა, ჯარისკაცებს ხელ-ფეხი დაეყინათ და ვაი-ვუი  
 მოჩთეს. ასე იყო, თუ ისე, მრავალი სატანგველი გამოვიარეთ და 4  
 საათში კულაკ ჰაჭიქრეულს საღვურში მივედით. ორასკომლიანა სოფე-  
 ლია. ფუნდუქი და ჯამე აქვს. მოელი ჯარი დიდი სიხარულით შევარდა  
 თავშესაფარში, ||მაგრამ სოფლის ყველა მცხოვრები გაქცეულიყო და 404  
 არავინ დარჩინილა. იმ ღამეს ყველა ცხენი და სხვა ცხოველი შემში-  
 ლისაგან სიკვდილის პირამდე მივიდა. დიდება ღმერთს, ღამე ისეთი  
 ქარბუქი და გრიგალი ამოვარდა, დილამდე ხუთი მტკაველი თოვლი  
 დაედო. გათენების შემდეგ, როგორც კი საყვირებმა დაუკრეს, რაც  
 წასკლის ნიშანი იყო, ყველანი მესაყვირეებს ლანძღავდნენ და ადგი-  
 ლიდან არავინ დაიძრა. ბოლოს, ხაზინადარშა ალი-აღამ და ბოშნაკ  
 ოლი ქეთხუდამ უხეო დაპირებებით დაითანხმეს და ძლივს, ვაი-ვაგ-  
 ლახით აპკიდეს ტვირთი აქლემებს. ძალისძალიად, დიდის ვაი-უბედურე-  
 ბით გავიარეთ ქარბუქი და დირექლიბელად წოდებულ ადგილს რომ  
 მოვედით, ამინდის ისეთი დიდი ცვლილება მოხდა, ისეთი მტკივნეული  
 ყინვა დაიჭირა, ხალხს სიცოცხლე მობეზრდა და გამოშტერდა. არნა-  
 ხული ძალის სუსხიანი ქარი ამოვარდა, თოვლი ბარდნიდა და მისი  
 გაძლება არც ცხოველსა და არც აღამიანს აღარ შეეძლო. არსადა ჩანს  
 არც გასაჩერებელი და თავშესაფარი აღგილი, არც ბილიკი, არც გზა,

არც შეგრია და არც თვით ხალხი შესახედავად პკავდა ცოცხალს, თორებ ყველანი მოარული მიცვალებულებივით იყვნენ. რაც შეეხება დორექლიბელის ხეობას, იგი თოვლით იყო ამოვსებული. ფაშამ რამდენიმე უშიშარ ვაჟაც და იქაურ მეგზურებს ფეხზე ცხენის ძუით ამოწნული მრგვალი თხილამურები ჩააცა და მათ ხეობაში ცოტათ წაიწინა წინ. მაგრამ ყველანი თოვლში ჩაიღლნენ. არც ეს თხილამურები ჩანდა, არც ხელი და ალრც ფეხი! ამასობაში, სანამ ჯარი ყაყანებდა და მითქმა-მოთქმა იყო, აქლემების მთელი ქარავანი ჟა ამოდენა ხაზინა გადაყირავდა და თოვლა და ნამქერში ტყუილუბრალოდ ჩაიღუა. ყველას შეშოოთება დაეუფლა და ვაი და ვიში ატეხეს. პირველად სეჭბანების, ყალთაბანდი სარიგაბის, თათრების ჯარის ნაწილები გაიქცნენ და ყველანი სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. ერთი სიტყვით, როდესაც ფაში ვერავითარი საშუალებით ვერ გავიდა ხეობაზე, დარჩენილი ჯარითა და ბარგოთ ათასი გაუირვება და მომქანცველი ჯაფა გადავიტანეთ და 6 საათში ქალაქ გუმუშში შევედით. იმ ვაკეულების ვერცხლის ქამრებისა და თასების ფასად საჭმელი მოვხარშეთ და დავნაყრდით. სამ [დღეს] იქ დავრჩით და დავისვენეთ. რადგანაც ამინდიც 405 ცოტათი დაწყინარდა, ჯან-ლონე მოვიკრიბეთ. ჩამაგრამ ყველა, ვინც კი ცეცხლის პირს იჯდა და თვალებზე [აზოტის მჟავიანი] მწვავე ვერცხლისწყალი მოხვდა, დაბრმავდა. სახლებში არ შეისულებოდა და ბანებზე გავჩერდით. ვისაც ცეცხლისათვის არ უცქერია, ისინი სიბრძავეს გადაურჩნენ და თვალის ჩინი შერჩათ. მაგრამ ქალაქში ყინვამ ჩივილმეტ კაცს დააზრო ხელ-ფეხი. როდესაც ხერხით დააჭრეს მოყინულ ხელ-ფეხი და აჭისით სასეს ქვაბში ჩააყოფინეს, მათი ყვირილი ცას სწოდებოდა. მაგრამ ქალაქ გუმუშშის მოსახლეობა ყველას უფალი ხიზირივით მოვევლინა და გაგვიმასპინძლდა. მაღალმა ღმერთმა უმრავლოს დიდება და ღირსება! მათი ვერცხლივით სისპერტაკე მოეფინოს მათ პირსახეს ორივე ქვეყანაში!

ქალაქ გუმბუშის ქება: კეისრის აშენებულია. ღანიშვინდიანი მწლევ-ყაზის დაპყრობილია. შემდეგ, როდესაც სულთანი ბაჰაზეთ ილლირიმ-ხანი ამასის დასაბყრობად მიღიოლა, ამ ქალაქის მცხოვრებლებმა გასალებები ილლირიმ-ხანს ძლინად მიართეს და ჩააბარეს. ამიტომ, ახლა ქალაქ გუმბუშის მცხოვრებლები ურთის გადასახალებისაგან გათვენისუფლებულნი არიან და ვერცხლის საწარმოში მუშაობა ევალებათ. ამასის სანჯაყის მიწაზე დიდი სიიჯარო და საემინოა. ყოველწლიურად სტამბოლისაკენ სიიჯაროდ სამოცდათ კანთარ ხილის ვერცხლს, ათას წყვილ ვერცხლით ნაკერ ცხენის ჩულოსა და თოვლის უგზავნიან და ანგარიშში ეთვლებათ. ოსმალთა სამფლობელოში სამოცდათ არგილის არის ვერცხლის სკბარო, მაგრამ ამ ქალაქის ვერ-

ცხლივით ხალასი მაღანი არცერთ ქვეყანაში არ მოიპოვება. კაცმა ხელში რომ აიღოს, ცომივით იზილება. ეს ვერცხლი ცეცხლში თუ გაატარე, რძესავით თეთრი გამოდის და სასულთნო დამლას შეესაბა-მება. მიწაში მაღნის შვიდი ძარღვია. ლვთის განვებით, დღითო დღე მსხვილი ძარღვები ჩნდება. ამ ქალაქის მთელი მოსახლეობა, ბავშვე-ბიან-ჯალაზობიანად, ვერცხლის საჭარმოს ემსახურებიან. მათი გან-მგებელიც ვერცხლის საწარმოს ემინია. ასორმოცვაათახიანი ყაზაა. მის ყაღის წლიური შემოსავალი შვიდი ქისა აქვს. ქალაქი ჩაითვარი-ბა და მისი ციხეც ალაგ-ალაგ დანგრეულია. ერთ მაღალ გორაკზე მდე-ბარე თოხუფთხა, დანგრეული ციხეა. შიგ არაფერი არ არის. სიფაპიების ქეთხულა-მეტი და იანიჩართა სარდალი ჰყავთ. ქალაქში ყავრით დახუ-რული ერთსართულიანი და ორსართულიანი ათასი სახლია. თერთმე-ტი მიპრაბია დიდი ჯამაათი ჰყავს იმ ჯამეს, რომელიც სავაჭრო რი-გებში დგას; ერთი იმამი ჰყავს, რომელიც წმინდანადაა მიჩნეული. თუმცა ქალაქს სამკურნალო არა აქვს, მაგრამ მოსახლეობას ჰყავის სიმ-შვენიერე უწევს სამკურნალო სახლის მაგივრობას. ქერთი აბანო, ერ- 406 თი ფუნდუკი, ერთი სავანე და სამი ყმაწვილების სასწავლებელი აქვს. აქაური ხალასი ვერცხლისაგან დამზადებული ცხენის ჩულო და თოფ-რა განთქმულია. მის ვენახებში გემრიელი ყურძენი მოდის. იმის გა-მო, რომ აქ ვერცხლის მაღანს ეძებენ, ქალაქის მიწა ათხრილია და გო-რაკებად შეგროვილი.

ამ ქალაქში სამი დღე გავჩერდით. შემდეგ წავედით, სამხრეთისა-კენ 5 საათი ვიარეთ და სოფელ დანკაზაში მივედით. ან-სიის მიწაზე, გუმუშის ყაზაში ასკომლიანი კეთილნაშენი სოფელია. აქ, ქოშე შაბან-ფაშას ჩიფუტლიქის ახლოს, წმინდა საფლავებია ბაზა-სულ-თანისა და ახსა ბაზა-სულთანისა. იქ თათბირი მოვაწყვეთ და კირკლი-ლიმის მთისაკენ გავვმართენით. რაღაცაც თოვლი მოდიოდა, ქარ-ბუქში დიდი გატირვებითა და ტანგვით მივდიოდით. ჯარისკაცებს, რომლებიც დაჩვეული იყენენ თბილ თურქულ სახლებში ღვთისმოსა-ვების ჩაგვრითა და შევიწროებით მათ ხარჯე ცხოვრებასა და ცეც-ლის პირას ჯდომას, კირკლიმის მთაზე გადასვლის დროს წენბი ორ-მოც-ორმოცვაათ ნაკრად დაუსკდათ და ხეობაში გავლის დროს წელი მოსწყდათ<sup>10</sup>. ჯარისკაცების ერთ ნაწილს სასტიკ ყისვაში ხელ-ფეხი მოეყინა. უკან გაბრუნდნენ და დანკაზაში ჩავიდნენ. ქეთხულა ალ-ალამ მაშინვე უკვი წყალობა უყო იმ გულად ვაჟკაცებს, რომლებსაც ხელ-ფეხი მოეყინათ. ფარდაგები და ქეჩები დააკრევინა და ჯორ-აქ-ლემებს ფეხებზე მოაცვევინა. ასი ათასი ტანგვა-წვალებით გადაიარეს ბარგმოსნილმა ცხოველებმა კირკლიმის მთა. მაგრამ მთელი მიმე ბარგი, ჯიბახანა, საკუჭნაო, სამზარეულო, ჭურჭელი და ამისთანა ნივ-

თები, აგრეთვე, ჭაბახანის და ხაზინის ყუთები თოვლზე დარჩა. ფაშის  
ქეთხუდამ ისევ გასცა უხვი გასამრჯელო და საჩუქრები; მძიმე ნივთე-  
ბი თოვლზე გადაათრევინა და მთის ქედზე აატანინა. აქედან თავქვე  
დაცურეს და იმ ღამეს ერთ ტყიან ხევში დატოვეს. არავის შერჩა ძა-  
ლა, ადგილიდან დაძრულიყო და ყინვამ სამოცდაათ კაცს დააზრო  
ხელ-ფეხი. უკან, დანკაზაში გაბრუნდნენ. ცხოველების უმრავლესობა:  
კი სასტიკი ყინვისაგან დაიხოცა. ვინც დანკაზაში გაბრუნდა, ზოგი  
მოკვდა, ზოგი დარჩა. დილადრიან დილომის ხევიდან ავიყარენით,  
ათასი ტანხვა გადავიტანეთ და ერთ სოფელში მივედით, რომლის სა-  
ხელი არ ვიცი. ადამიანის ჭიჭანება არ იყო. თურმე, გაეგოთ ჩეენი ჭა-  
რის მისვლა და გაქცეულიყვნენ. თუმცა იმ ღამეს იქ დავწერეთ, ცხო-  
ველები დიღი ხანია სიკვდილის პირამდე იყვნენ მისული. შუალამი-  
407 სას ისევ ამოგარდა ჭარბუქი და გრიგალი. || დილამდე კიდევ ერთი არ-  
შინის სისქეზე დაღო თოვლი. ალიონის შემდეგ, როდესაც საყვირები  
დაუკრეს და გამოცხადდა, რომ უნდა წასულიყვნენ, ყარაულების უფ-  
როსები, აქლემების გამყოლები, ჭარის მეთაურები, მეკარვეები და  
სხვები ფაშასთან შეგროვდნენ და განუცხადეს: „ყველანი რომ ამო-  
გხხოცოთ კიდეც, ადგომის ძალა აღარ შეგვწევსო“. თუმცა მათ უთხ-  
რეს, ათ-ათ ყურუშს საჩუქრად მოგცემთო, ამაზე უპასუხეს: „ჯერ სუ-  
ლი და შემდეგ ქვეყანაო“. ფაშა წინ წამოლგა და თქვა: „შვილებო!  
დარჩენა შეიძლება, მაგრამ რაყი სურსათის მარავი არა ვაკეს, მაინც  
დავიხოცებით და როგორდა დავრჩით?“ კიდევ ბევრი მითქმა-მოთქმის  
შემდეგ ყარაულებმა ფაშისაგან თხუთმეტი ქისა მიიღეს საჩუქრად და  
აიყარნენ. ცხენების შეკაზვა და ტვირთის აკილება დაიწყეს. ქარტე-  
ხილსა და გრიგალში მცირე მანძილი გავიარეთ, ერთ ტყიან ხეივანში  
შევედით და ოდნავი შვება ვპოვეთ თოვლის ბარდნისაგან. თვალმა  
თვალი დაინახა. ხეთ საათში ბუჟუქ ბარდაქჩიში მივედით. გუ-  
მუშის კაზაში ასკომლიანი მუსლიმური სოფელია. აქაც სურებს აკე-  
თებენ!. ერთი დიდებული სალოცავი აქვთ. ისევ სამხრეთისაკენ ორი  
საათი ვიარეთ წარლვნაში და ერთი დაბალი მთა გადავიარეთ. სო-  
ლელ კირკლილიმის საღვურში მივედით. ჩორუმის სანჯაყის მიწაზე  
ორასკომლიანი მუსლიმური სოფელია. ამ სოფელში ოდნავ გამოიდა-  
რა, ყველამ სული მოითქვა. მეორე დღეს კარგი ამინდი დაგვესწრო.  
კეთილნაშენი სოფლები გავიარეთ და ჩორუმის ციხეში მივედით.

ამბავი მარადიხობის სამკვიდრებელისა — ჩორუმის ციხისა: ამ-  
ბობენ, სელჩუკი კილიჩ არსლან-შაპის აშენებულიათ. რადგანაც მისი  
ჰავა შშევნიერია, კილიჩ არსლან-შაპია თავისი შვილი დაკუბ-მარზა და  
ჩორლუს ასობით სხვა ავადმყოფი ამ ქალაქში გამოგზავნა და მოარ-  
ჩინა, ამიტომ ქალაქისათვის ჩორუმი შეურქმევიათ. მაგრამ ვილაიეთის

აიანები ამბობენ, რომ ეს სახელი არის მცდარი და დამახინჯებული სიტყვა „ჩორი-ი რუმ“<sup>12</sup>. შემდეგ დანიშვნებიანთა ხელში მოქეცა. მათგან კი [სულთან ბაიაზე] ილდირიმ-ხანის ხელში გადავიდა. სანჯაყის ბეგის საფლომია სივასის ვილაიეთში. მისი ბეგის სახასო 300 000 ანჩაა. 19 ზეამეთი და 31 თიმარია. ალაი-ბეგი, ჩერი-ბაში ჰყავს. ასორმოცდათასახიანი ყაზაა. მისი ყადის წლიური შემოსავალი ხუთ ქისას შეადგენს. შეიხ ულ-ისლამი, ნაკიბ ულ-ეშრაფი, წარჩინებულები და ღირებულები, ციისისთვი და მეციხოვნები, ყაფანის ემინი, მუჭთა- 408 სიბი, ქალაქის ნაიბი და ქალაქის სუბაში ჰყავს. სიფაპიების ქეთხუდა ბეგის თანაბარი ლირსების მქონე მმართველია. იანიჩართა სარდალიც დიდი კაცია, რადგანაც ჩორუმის სანჯაყში ფრიად დიდი ჯარები დგანან. მოჯანყე და მეამბოხე მხარეა. ის კი არა, ჩვენი ფაშის სტუმრად მიღებაც კი არ უნდოდათ ამ ქალაქში. მათ შორის მომრიგებლები ჩადგნენ და შარიათის სასამართლომაც ნება დართო. ბრძანება გამოვიდა, რომ ქალაქის ცუელა ფუნდუქში სამი დღით გაჩერების უფლება გვეძლეოდა.

ქალაქში ორმოცდაორი უბანია და ორმოცდაორი მიწაბი, ოთხი ათას სამასი ბალ-ვენაახებიანი სახლია. სულთან ალა ედ-დინის ჯამე [სულთან] სულეიმან-ხანის მიერ არის შექეთებული. იგი საუკრო რიგებშია აგებული ხუროთმოძღვარ სინან-ალას მიერ და დიდი ჯამაათი ჰყავს. თაპილ-ფაზარის ჯამე, ბეგის ჯამე, დავთარდარის ჯამე, მედრესეს ჯამე, აღას ჯამე განთქმულებია, მაგრამ [სულთან] მურად-ხანის ჯამეზე ბრწყინვალე არც ერთი არაა. აბანოთა შორის ფრიად მშვენიერია ახალი აბანო. თოკათში რომ არის ალი-ფაშას აბანო, მისი ვაკუფი და ქველმოქმედებაა. ულამა-ფაშას აბანო, ბევლერ-ჩელების აბანო განთქმული აბანოებია. ორმოცამდეც სასახლეების აბანოებია. შვიდ ადგილს აქვს სასწავლებელი, მაგრამ სულთან მურად-ხან ყაზის მედრესეა კეთილნაშენი და განთქმული. ყმაწველების თორმეტი სასწავლებელი და შვიდი ფუნდუქი აქვს. მას თვრამეტ ადგილს აქვს უკვდავების წყაროები. სულთან სულეიმან-ხანმა ერთი დღის სავალი მანძილიდან გამოიყანა წყალი და ამ ქალაქის საყოველთაო სარგებლობის წყარო მოაწყო. სამი სავანე აქვს. სამასი დუქანია, რომლებშიც წარმოდგენილია ყოველგვარი სახის ხელოსნობა. აქ ბევრია განათლებული ადამიანი, მოხდენილად მოსაუბრე დარბაისელ. ულემა, ღვთის-მოსავი და შეიხი, ყარიბთა მოყვარული, ღვთისმოშიშობით განთქმული, მართლმორწმუნე და ერთი ღმერთის მაღიარებელი. რადგან ჰავა მშვენიერია, ხალხს პირსახე წითლად ულავლაქებს. საშუალო ტანისა და ზორბა ადამიანები არიან. ლამაზებიც ბევრი ჰყავთ. მოსახლეობა უმეტესად შალის ტანისამოსს იცვამს. ქალები თეთრ ქსოვილში ესვე-

ვიან. შიუხედავად იმისა, რომ ზამთარი სუსტიანი იცის, ბალები და ვენახები ბევრია. აჯანყებულებისაგან დასაცავად სამტრეთით, ოთხკუთხა მოყვანილობის ერთი კოხტა ციხე აქვს. ესაა, რომ პატარაა. ერთი კარი აქვს. ციხისთავი და მეციხოვნები ჰყავს და საქმარისი ჯაბახანაც აქვს. რამდენიმე სახლი და ამბარი აქვს. ღმერთმა უკეთ იცის, რომ იგი მუსლიმთა შენობაა. იმ დღეს, როდესაც ჩვენ ქალაქში შემოვედით, სტამ-  
409 ბოლიდან მოვიდა [სასახლის] დალაქთა წრადან დაწინაურებული] ერთი კაფუჯი-ბაში ორმოცი კაფუჯის თანხლებით. დიარბექირის ვილაიეთი გაახლეთო, თქვა და ფაშის თვალის ახვევა მოუნდომა. მაგრამ არ გამოუვიდა. ფაშის მთელი ხალხი, სექხანები და სარიგაები, თავზეხელ-ალებული მოხალისები, სამასი იჩ-ოლიანი მოემზადა და გამოაცხადეს: „აბა, მოვიდეს კაფუჯიო!“ კაფუჯი-ბაში თავის ორმოცი კაფუჯიანად შემოვიდა, მაგრამ შემოღვიძის ფოთოლივით ცახვახი დაიწყო. ყველა ვაჟკაცმა ფაშა შუაში ჩაიყენა და ასე იდგნენ თავით ფეხებამდე შეიარაღებულნი.

ფაშის სიტყვა დაიწყო: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! რა სამსახურისათვის გაისარჯენით?“

კაფუჯი-ბაშიმ თქვა: „მოწყალეო ხელმწიფევ, დიარბექირისაკენ მოვდივართ“. ფაშის უთხრა: „სადა თქვენს მიერ ჩვენთვის მირთმეული დიარბექირის ვილაიეთი? სადა ბრძანებები?“. ეს რომ თქვა, კაფუჯიებმ უცბად უპასუხეს: „აი, ბრძანება ფალიშაპისაო“, და ეცნენ. ფაშის ადგილიდან ფეხიც არ მოუცვლია, ისე შეკოჭეს მისმა იჩ-ალებმა ორმოცივე კაფუჯი.. თუმცა ფაშის უნდოდა, მაშინვე გადაეცა ისინი ჯალათისათვის, მაგრამ ვილაიეთის წარჩინებულებმა სტხოვეს: „ბატონო ჩვენო! ესენი ბრძანების ამსრულებელი მონები არიან; იმის სამაღლო-ბელოდ, რომ თქვენ შესაძლებლობა მოგეცათ ამიერიდან გაფრთხილდეთ, აპატიეთ. ფალიშაპის ღირსების საკითხია და ყველანი გაათავისუფლეთო“. მათ თხოვნას დაყაბულდა და ყველანი გაათავისუფლა. მაგრამ საჭირო კი იყო, რომ დაეხოცა. ესენიც ქალაქის ყადისთან მივიღენ და მირლივა ალი-ბეი სასამართლოში გმოიწვიეს. საყოველთაოდ შესასრულებელი წერილობითი ბრძანებები ზა სულთნის ფრინანები ამოიღეს და თქვეს: „მთელი მისი ჯარი ქალაქში მოვიმწყვდროთ“. მაგრამ ვილაიეთის წარჩინებულებმა. თქვეს: „ალაპს ვფიცავართ, ეს საქმე ამ ქალაქში არ გამოვა. ესენი ისეთი ხალხია, რომ სიცოცხლესა და თავს არ დაიზოგავენ, ათი ათასი ცეცხლოვანმახვილიანი ხალხია. ჩვენ რომ მათზე ხელი აღმართოთ, მთელ ქალაქს ცეცხლს მისცემენ. ჭონებასა და სიმღიდრეს გაგვინიავებენ — ცოლ-შვილი აგვიტირდება და გაგვეფანტება. ამ ზამთრის სუსტში სად უნდა წავიდეთ? ცხადია. ესენი აჯანყებულან და ვარდართან მიდიან“. ასეთი დამაჯერებელი პა-

სუხი გასცეს ვილაიეთის წარჩინებულებმა კაფუჭი-ბაშის. ეს სასიხა-  
რულო ამბავი ერთმა ქალაქელმა თვალის დახმამებაში მოუტანა ფა-  
შის და მანაც დაასაჩუქრა ის კაცი. ფაში თავისი კალუჭიების პოლუქ-  
ნაში სასამრთლოს შენობისაკენ გაგზავნა და დაბატია: „ახლავე შექ-  
დეს ცხენშე კაფუჭი-ბაში, თავის კვალსავე გაპყვეს და წავიდეს, თო-  
რემ ტყავს გავაძრობ ტყივით და საიდანაც მოსულა, იქით გავაგზავ-  
ნიო“. ცალკე ბოლუქ-ბაშიები მიუჩინა და ყველანი ქალაქიდან გარე-  
კა. მეორე დღეს ეს მწერასაჩუქრით აღსავს ამბავი დაწერა და ცხენოსა-  
ნი შიერიეის ხელით ვარდარ ალი-ფაშას||გაუგზავნა. ამის შემდეგ ქა- 410  
ლაქის მცხოვრებლებს წყალობა უყო, დაასაჩუქრა და მათთან ითათბი-  
რა. ვილაიეთის წარჩინებულებმა ნახეს, რომ იგი მაღალლირსეული  
ვეზირი და კეთილშობილი პიროვნებაა. ურჩიეს: „ბატონო! უყურად-  
ლებოდ არ მოიქცეთ. გაფრთხილდით და სტამბოლისაკენ არ წახვი-  
დეთ. ვარდარ ალი-ფაშას შორიახლო მისდიეთ და ისე ირკეთ. თქვენს  
შორის მანძილი ერთიანობი დღის სავალი იყოს. ახლა ბერნიერად გაბ-  
რუნდით უკან, მოიარეთ ისეთი ნადავლიანი ადგილები, როგორიც არის  
თოკათი და კაზოვა. მი არე-მარეზე გაიარეთ და ხელი მოითხეთ. იმედია  
რომ დღითი დღე გაზაფხულის სითბო დატრიალდება და ზამთრის  
სუსხი გაქრება... დღეს ინებეთ წასვლა“. ჟეშმარიტად, საუკეთესო რჩე-  
ვა იყო.

ამ ჩორუმის ახლოს შეის ულვან ჩელები ბენ აშიკ-ფაშას წმინდა  
საფლავია. იგი ორხან-ყაზის შეიხთაგანი იყო. ქალიან ბევრი თხზულე-  
ბები აქვს.

ერთი სიტყვით, იმ დღეს ამ კაზაში მოვითხეთ ხელი<sup>13</sup> და რომ  
მივდიოდით, ვარდარ ალი-ფაშას შიერიეი მოვიდა. დაუბარებია: „შვი-  
ლო ჩემო! აბა, შენ იცი! რაღანაც დიდებული ნოვრუზი დადგა და  
გამოიდარებს, ჯარი შეკრიბე და სტამბოლისაკენ გაემართე. პატივი  
გვექნება თქვენს აღმატებულებასთან ისევ გავიძათ კავშირიო“.

ფაშამ კი დიდის გულმოდგინებით შოაშე ანჯარისაკენ მგზავ-  
რობა და მეთერომეტე დღეს მივედით სეხდამ-სულთნის სავანის საღ-  
რუზი, რომელიც ჩორუმის ველზე მდებარეობს. დიდი აკლდამაა. თავ-  
შიველა და ფეხშიშველა დერვიშები ჰყავს. ფაშა, მთელი თავისი  
იჩ-აღებითა და ყარაულებით, ამ სავანეს არე-მარეზე დაბანაკდა და  
დიდი ნადიმი მოაწყო. აქედან სოფელ ყარაქეჩალრში მივედით. ესეც  
ჩორუმის მიწაზე მდებარეობს. ორასკომლიანი თურქული სოფელია.  
ერთი საათის სავალზე მდინარე კიზილ ირმაკიდან. ამ სოფელში იმ  
ღამეს ისევ დიდი თოვლი მოვიდა, ქარბუქი ამოვარდა. ნაძირალა სექ-  
ბანებმა და სარიგაებმა ყველას ცოლშვილი თავიანთი სახლებიდან გა-  
მოყარეს, ჩვილი ბავშვები აკვენებიანად თოვლზე დაყარეს. კარების

ზღურბლები მოგლივეს და მერზიფონიდან შოცოლებული აქამდე მათ  
მიერ ჩადენილი ჰავაჭისებური<sup>14</sup> ძალადობა გაიმეორეს. გათენებისას  
აქედანაც ავიყარენით. მდინარე კიზილ ირმაკზე გაღებულ ჩაშნაგი-  
რის ხიდისაკენ კი არ წავიდნენ, წინდაუხედავად გაემართნენ ყარაქე-  
ჩილის ფონისაკენ. აქედან მოინდომეს გაღმა გასვლა, მაგრამ დაუნ-  
411 დობელი ფონი ყოფილა. თუმცა თოვლმა გადაიღო, || ისეთი სასტიკი  
ყინვა დაიჭირა, რომ ცხენები მიწაზე ვერ ჩერდებოდნენ და შემო-  
ლებომის ფოთოლივით ცხეცახებდნენ. ასე, თუ ისე, ჯარის ჩაუშებმა  
მტკიცე განკარგულებანი გასცეს. დილით პირველად გავიდნენ ფაშის  
კარგის აქლემები, სამზარეულო და საუწნაო; ბოლოს გადავიდნენ ჯა-  
რის მძიმე ნივთები და ზოგიერთი ცხენოსანი ოცდაერთი მამაცი, კარ-  
გი მეგზურის თანხლებით. ფონზე გავიდა ფაშის ორასი ქარავნის აქ-  
ლემი და ასი ქარავნის ჭორი. მეც „ალაპ, ალაპის“ ძახილით ჩემს ქა-  
რავანს გაღმა გადავყევი. მდინარეზე გადმოტანილი მთელი ბარგი და-  
ბა კურთის ქარავასლისაკენ გაემართა. როდესაც მე და ფაშის ქეთხულა  
კიზილ ირმაკის ნაპირზე ვიდექით და სხვა აღების გადმოსვლას ველო-  
დებოდით, შუალისას ნაპირს მოადგა ფაშის მძიმედ დატვირთული  
ქარავანი და სხვა აღების საბარგული. როდესაც ისნა მეგზურებიანად  
შემოვიდნენ მდინარეში, ლვთის ნებით, უეცრად აშოვარდა ქარბუქი,  
ქარიშხალი, იჰექა კიდეც და მდინარე აბოლოქრდა. ქარავნები, საბარ-  
გო ცხენები და სხვა ტვირთი მდინარეში გაიშალნენ და რომ მოდიოდ-  
ნენ, გამდვინვარებული კიზილ ირმაკი ლრიალით მოვარდა; თან მო-  
ჰქონდა კალოსოდენა ყინულის ლოდები. თურმე, ჩაშნაგირის ხიდის ახ-  
ლოს, ეს რამდენიმე დღე მდინარე გაყინულა და ჩახერგილა. ამგა-  
რად, როდესაც მდინარემ თავი დაიხსნა და გაღმოხეთქა, ამდენი აღა-  
მიანიშვილი ერთმანეთში არეული წერილი ნაფოტივით წაილო. ამ  
დროს გაღმა ნაპირიდან ის იყო მდინარეში შედიოდა საბარგული. გა-  
მოღმა ნაპირზე იმ ქონების პატრონმა მეომრებმა ასტეხეს ვიში და  
ყვირილი: „მაჰმადის ხალხნ, გვიშველეთო!“ ამ დროს ფაშამაც აიძუ-  
ლა მუსიკოსები დაკრათ და მდინარესთან მუვიდა. დაბა კურთის წარ-  
ჩინებულებს ამბავი გაუგზავნა და ჯარს კი ალოთქა, რომ დიდად და-  
საჩუქრებდა, ვინც ჭორებს, აქლემებს, საბარგო ცხენებს, საქონელსა  
და სიმდიდრეს გადაარჩენდა. ჯარისკაცები ზოგნი გამოღმა მხარეს გარ-  
ბი-გამორბოლნენ გრუებივით და ზოგი — გაღმა ნაპირზე. მრავალმა  
უშიშარმა ვაეკაცმა შეცურა ზღვასავით აღიდებულ მდინარეში, ზო-  
გი დაიხრი, ზოგი კი მიცურავდა. აქლემები და აღამიანები ერთმანეთ-  
ში აირივნენ. გადაარჩენილები ნაპირზე გამოჰყავდათ. ზოგმა, ქურთები-  
სა და თურქმანების მეთაურმა, იმ საშინელ ყინვაში ტანთ გაიხადა და  
ცურვით გაღმა გაიყვანა მრავალი აქლემი, ჭორი და საბარგო ცხენი.

მაგრამ, რადგანაც გაღმა გასულების ტანისამოსი აქეთა ნაპირზე დარჩა და იქ კი არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომ მათთვის ტანისამოსი მიეცა, უმრავლესობა სიცივისაგან იყინებოდა. გადარჩა მხოლოდ ის ბარგი, რომელიც მდინარეზე გადაიტანეს მანამ, სანამ კიზილ ირმავი ყინულის ლოდებს მოიტანდა. მრავალი ჭორის, აქლემის და ფაშატი 412 ცხენების წყება დაიკარგა თავის ტვირთიანად. ერთი სიტყვით, ადამიანიშვილი არ იყო რომ არ დაზარალებულიყო. დილიდან სამხრამდე ამოდენა ზარალი ვნახეთ და თვლა არა ჰქონდა იმ აღებს, რომლებმაც დაკარგეს ქონება და მონაგარი, მონები და მონაქალები. დამხრამდე უმრავლესობა იყვნენ ყარაულები, მევირეები, სეკანები და სარიჯაები. სამხრის შემდეგ ყინულისა და ქარბუქის კვალიც აღარ დარჩა; ვინც მაშინ გადმოვიდა მდინარეზე — შიკრიკები, თავზეხელალებული მოხალისები, პატივცემული აღები — საღსალამათნი გადარჩნენ. აქედან ჯვლავ იმ ნაძირალებთან ერთად გადავიარეთ ბარდაკლის ხეობა და სოფელ კურდ დერესტში მივედით. ამ ღვთისმოსავების ცოლ-შვილი ვარეთ გამოყარეს და მათი აკენები ბავშვებიანად თოვლში გაისროლეს. ამ ამბების შემდეგ მრავალი სახლი დაინგრა და დაილეწა. სამი ჩვილი ბავშვი მოკვდა. მე, მწირმა, ეს ამბავი რომ ვნახე, მლელვარებამ არიტანა და ჩემთვის ვთქვი: „ნეტავ კიდევ რა უბედურებას გამოუგზავნის ამ ჭარს ის დიდებული, შურისმგებელი ღმერთი“-მეთქი.

გამომცემა. ბარდაკლი-ბაბას შესახებ: ზემოხსენებული პატარა ქალაქის ახლოს წმინდა საფლავია ერთი დიდი წმინდანისა, რომელსაც ბარდაკლი-ბაბა ეწოდებოდა. იგი წმინდან ჰავი ბაირამის ერთ-ერთი მოადგილე ყოფილა. მრავალი ზეშთაგონება და სასწაულომოქმედება გამოუჩენია. აი, ერთი მათგანი:

თურმე თავის საჩენად დოქები უკეთებია. მუდამ თან ატარებდა იმ დოქს განბანვის შესასრულებლად. ყველა დერვიში იმ დოქიდან ასრულებდა განბანვას და ისევ ანკარა წყლით სავსე ჩაებოდა. ის დოქი იხლაც წმინდა საფლავის აკლდამაში დევს. ამიტომ უწოდებენ „ბარდაკლი ბაბას“. მე, მწირმა, ვთქვი: „აკლდამის მსახურის ნებართვით დოქს ჩამოვიდებ, წყლით გავაესხ და განვიბანები“-მეთქი. უცბად დავინახე, რომ დოქი წყლით არის სავსე, მაგრამ ზემოღან ორმოცწლიანი მტვერი ადევს. სავანეს მცხოვრებლები, ფაშის იმამი და მრავალი ფაშა დარწმუნებული იყო, რომ ამდენი წელი დოქი წყლით, იყო სავსე. აკლდამის მსახურს ჰქითხეს და დააფიცეს: „თქვენ ხომ არ ჩაგისხამთ წყალი ამ დოქშიო?“ მან თქვა: „ღმერთმა დაგვიფაროს, ბატონებო! ეს ორმოცი-ორმოცდაათი წელია ამ აკლდამიში ჰქილია. აი, ამ ევლია-აღამ რომ თქვა, ჩამოვიდებ და წმინდა განბანვას შევასრულებო, ღვთის სიბრძნით, დოქი წყლით სავსე დახვდა“. მაგრამ იბრა-

3იმ-ეფენდიმ და სხვა ამხანაგებმა თქვეს: „ეგლად ჩელები, მოდი ისევ თავის ადგილზე დავკიდოთ დოქი წყლიანადო“. ეს აზრი ზოგიერთმა გონივრულად მიიჩნია. მე, მწირი, კი გამოუცდელობის გამო გავკად-  
413 ნიერდი და ვითიქრე: „უეჭველად ამ წმინდანის დოქით||შევასრულებ განბანგის-მეთქი“. ღვთის სახელის ხსენებით და როგორც მიღებული წესი და რიგია, იმ წყლით განვიძანე. ნახმარი წყალი ტაშტში ჩაგას- ხით. ამ წყალს ზემზემის<sup>15</sup> სურნელება აუვიდა. მაგრამ დოქი ძველე- ბურად სავსე დარჩა. განციფრდი, ფაშის იმამიც გაოცდა და თქვა: „ევლია ჩელები, მოდი ერთი, მეც შევასრულებ წმინდა განბანვასო“. იგიც განიბანა. ერთი სიტყვით, ოხმა კაცმა შეასრულა განბანეა მმ დოქიდან და იმის ანკარა წყალს არაფერი მოჰკლებია. კვლავი გაოგ- ნებული და გაშტერებული დაგრჩით. ისევ დავკიდეთ ყლდამაში დო- ქი ლოცვა-კურთხევით და დავსხედით. მაგრამ ხელსაბან ტაშტში ჩა- ლორილი ნახმარი წყალი შეიხმა ბეჭირ-დედემ აიღო და შეინახა. დოქი წითელი თიხისაგან არის გაკეთებული. მუცულზე შემდეგი წარწერა აქვს: „მოავლინა ზეციდან წყალი, რომელმაც იდიხა და ხევები გაავ- სო“. ქვეშ ასოებით ალნიშული იყო რიცხვი 66626 და გამოყვანილი იყო სამი „ქაფი“ (ქ) ორი „ჯიმი“ (ჯ) ერთი „მიმი“ (მ), ერთი ფეხისა და ერთი დოქის გამოსახულება. მე, მწირმა, ღვთის გულისა- თვის, ძვირფასი წმინდანის სულის მოსახსენებლად, თავიდან ბოლომ- დე წავიყითხე ყურანი და მის სულიერობას შველა ვთხოვე. ჩვენ აქ მეგობრები შევიძინეთ. წმინდა საფლავთა მონახულებას გულისტკი- ვილი მოაქვთ. წმინდა საფლავების მონახულების შესახებ სამყაროს სიამაყებ მუჰამედმა] ბრძანა: „როდესაც ვერ გაერკევით საქმეებში, დაბმარებისათვის მიმართეთ მიცვალებულთ“. ამ ღროს აკლდამის კა- რის მხრიდან გამოჩნდა ქალი, რომელსაც ჩილი ბავშვი ჩაეხურებინა გულში. წმინდანის საფლავის წინ დააწვინა ბავშვი. თავიდან საბურავი შემოისწა და თმები გაიწერა. „შვილოო“, დასძხოდა და მოთქვამდა. თურმე, ნაძირალები ამ ქალის სახლში დამდგარან და ბავშვი თოვლში გადაუგდიათ. ისიც ღმე ყინვისაგან მოქვდარა. ქალს უკან მოჰკვნენ მრავალნი საწყალნი და უმწეონი, ცულითა და შუპებით დაჭრილი მოხუცები და ღირსეული ადამიანები. ისინი მოკრძალებით და მდაბ- ლად მოვიდნენ სავანესთან და წმინდა აკლადამაში შემოვიდნენ; მათ ერთხმად დაწყეს წყევლა-კურულვა.

მე, მწირმა, მოწიწებით ვაკოცე სელზე ერთ მოხუცს და შევ- ვეღრე: „ბატონო ჩემო! მე თქვენი პატივცემული იმამის სახლში დავ- დექი. ჩემი ხალხი და ცხენები თოვლზე წვნან. მოიღე წყალობა და მე და ფაშას ნუ დაგვწყევლი“-მეთქი. მან მითხრა: „შენ გიცნობთ. იმამს შენთვის მოუტანია საჭმელი: ბულამაჩი, ფალამაჩი, შენ

არ მიიღე და არ ინდომე. თქვენ ლმერთმა დაგიფაროთ შწუხარებისაგან, ფათერაკისაგან, ბოროტისა და შეკირისაგან. თქვენ ასე ბევრი გივლიათ, 414 დაქანცულხართ და აქაც ყოველგვარი ავი საქმე გაშოროთ, მაგრამ ლმერთმა დასაჯოს სარიჯაები, სეკბანები და მათი ალები. რა გვექნა, მგლის ხახები რომ დაიძლეს, თბილ ჰერქვეშ შევიღნენ და დაადგნენ ლოთობის გზას. უწმაწური სიტყვებით ათასგვარი სისაძაგლე მოითხოვე...<sup>16</sup> ცულებს გვირტყამდნენ და ქალებსა და ბიჭებს მოითხოვდნენ. მთელი ჩვენი ქალები და ბიჭები ერთ სახლში შევმალეთ. ლამე მგლებივით დასცემიან სახლს, გვერდი გამოუნგრევიათ და ქალები და ბიჭები გამოუყვანიათ. და ამწამსვე დასაჯოს ისინი ალაპმა?“ — ეს თქვეს, დაიწყევლეს და წავიღნენ.

მე, მწირმა, ეს ამბავი რომ ვნახე, ვთქვი: „ო, უფალო! დამიფარე! მე ამ საქმებისა არა ვიცი რა“—მეთქი და წმინდა საფლავისათვის ფათიშა წავიკითხე. შემდეგ პირდაპირ ჩვენ ბატონ მეტმედ-ფაშასთან მიედი. ეს ამბავი სრული მწუხარებით და დაწყოლებით მოვახსენე. მაშინვე მოიხმო თავისი ქეთხუდა ალი-ალა და დააგალა: „რაც კი რამ ტვირთი გვექვს ისეთი, რაც არ გვჭირდება, ამ სოფლების ხალხს მიეცი იმ სურსათის სანაცვლოდ, რაც ჩვენ შევუჭამეთ და პატივისცემით დააშოშმინეთო“. მართლაც, ხაზინადარმა ალი-ალამ მოიხმო გლეხების რწმუნებული პირები და დაურიგა ისეთი ნივთები. როგორიცაა კარვის ფარდაგები, მრავალი ერბოს გუდა, მრავალი შეკვრა ახალი, გამოუსადევარი საკუჭნა ყუთებისა. თითქოს დამშეციდნენ, მაგრამ, როდესაც მანამდე დაწყევლილებს აუხდათ წყევლა, ეჭვი არ არის, რომ აღრინდელმა წყევლამ მიზანს მიაღწია; ჩვენ მიერ განცდილი კინილ ირმავის უბედურება, დახრჩობა და მოსპობა მათი წყევლის შედეგი იყო. მაინც რა კარგად არის ნათქვამი ამრის შესახებ ბეითი:

„უფრთხილი ჩაგრულის კენესას დილაადრიან,

აადგან მას ფარდა კი არ ჩამოაფარა ალაშმა“.

აი, ამგვარად, ჩვენი ჯარი ამ მდინარეზე ათასნაირ უბედურებაში ჩაგრადა და ბევრმა სიმდიდრე, ქონება და სიცოცხლე დაკარგა. ასი ათასი მაღლობა, რომ ზოგი ცოცხალი მაინც გადარჩა. დიდება ღმერთს, ამ უბედურებისაგან მე არავითარი ზარალი არ მომსვლია. შვეიცაბით გადავედი მდინარეზე. აჩეულ-დარეულებმა მდინარის ნაპირის გაყოლებით ვიარეთ და კურდლარ სარაძეს დაბაში მივედით. ჩანქირის მიწაზე, კალეჭიქის ყაზაში ჩანქირის სასუბაშოა; სანაიბოა. კიზილირმაკის ნაპირზე მდებარეობს. პატარა დაბაა, რომელშიც ოთხასი მიწის ბანიანი სახლი, ჯამე, ფუნდუკი, აბანო და მცირე ბაზარია. იმ ხანებში ფაშამ ორ კაცს, რომელთაც ალი-ალა და პუსეინ-ალა ერქვათ, დაავა-

ლა მდინარე კიზილ ირშაქში ჩაძირული ნივთების მოძებნა და სა-  
115 ხარჯოდ თითო ქისა ახჩა უბოძა. ||ქონების მრავალი პატრონიც დარჩა  
და წყლის პირას კარვებში დაბანაკდა. ისინი დარჩნენ, რათა როგორც  
კი გამოიდარებდა, დაუწყოთ თავის ქონების წყლიდან გამოტანა.

აქედან ავიყარენით, კვლავ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და სო-  
ფელ ფირიდალის საღურში მივედით. ჩანკირის 'მიწაზეა. კალეჭიქის  
ყაზას ექვემდებარება. აქ ხან აღმოსავლეთისაკენ ვიხეტიალეთ, ხან  
დასავლეთისაკენ უგზო-უკვლოდ და საღაც რას მოვახელებდით, იმით  
ვიკვებებოდით. მერე ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და სოფელ აქჩა-  
კოშუნლუში მივედით. ასკომლიანი თურქმანული სოფელია. აქედან კი  
კოჩი-ბაბას საღურში მივედით. ესეც კალეჭიქის ყაზას მიწაზეა. ორას-  
კომლიანი თურქული სოფელია. მაგრამ არც ერთი სახლი არ არის  
სააშქარაოზე — ყველა მიწაშია. მიწური სახლებია ბოსლებით, სამზა-  
რეულოებით, დარბაზებით და სტუმრის მოსასვენებელი ოთახებით.  
ამ ადგილს „ქესქინ იჩეს“ უწოდებენ. ფრიად კეთილმოწყობილი ად-  
გილია. რადგანაც სასტიკი ზამთარი იცის, ამიტომა სახლები მიწაში.  
მაგრამ სახლების სახურავების ზედაპირი მდელოებს წარმოადგენს.  
სახლებს თითო საკვამლე მილი აქვთ. რბილ და თეთრ ქვას როგორც  
უნდათ, ისე სჭრიან, თლიან და ასე აშენებენ სახლებს. ათასი კაცი ჩოდ  
შევიდეს შიგ, ყველა დაიკარგება. ამ სოფელში კოჩი-ბაბას წმინდა  
საფლავია. ეს კაცი ბეჭთაშიების წინამძღვართაგანი ყოფილა. თურქ-  
მანების ტომს ეს ბაბა დიდად სწაოთ. მას შემდეგ, რაც ამ არემარეზე  
მრავალი სიძნელეები გამოვიარეთ, როდესაც ამ წმინდანის საფლავი  
მოვილოცე, შემდეგი ბეითი მომავრნდა:

„მთელი წევნი ცხოვრება ამ გზაზ წავიდა, გაქრა.

კოჩი-ბაბა, შენი მფარველობით წავიდეთ რუმის ქალაქს“.

ამ ადგილებში, ქესქინში, წმინდა საფლავია შეის იბრაჰიმ შეზი  
ბენ პერაფ ჰუსეინისა. ეს პიროვნებაც წმინდან აქ შამს ედ-ლინის მო-  
ადგილეთაგანია. ქალაქ სივასში დაბადებული და სრულყოფილი ადა-  
მიანი იყო. ახლაც ხალხის სალოცავი ადგილია. იქიდან გზა განვაგრ-  
ძეთ და შეის შამის სოფელში მივედით. იგი მდებარეობს ქანკირის მი-  
წებსა და სივასის ვილაიეთს შორის, ქესქინში, კალეჭიქის ყაზას ნა-  
ჰჰიში. ორასკომლიანი, კეთილნაშენი და შემკული, ლამაზი სოფელია,  
მაგრამ მისი სახლებიც მიწაშია ჩაღმული.

წმინდა შეის შამის საფლავი: ბაირამის მოძღვრების მიმდევარი  
იყო და მისი პატიოსანი სახელია პამზა. პამზავნს მამდინარეობა მის-  
გან წარმოიქმნა. მრავალი ზეშთაგონება და სასწაულმოქმედება გამო-  
უჩენია. ასეთიც კი: ერთ პარასკევ დღეს ყველა საპარასკევო ლოცვი-

სათვის გაეშზადა და როდესაც განსაბანავად ერთი წვეთი წყალიც აღარ დარჩა, უთქვამთ: „ოჰ, ბატონო! ამ თქვენი ჭამეს ახლოს ჭალათ ამო- 416 ათხევინებთ, გამვლელ-გამომვლელი განბანვას შეასრულებს და კე- თილად მოგზიზღავენო“. შეიხ შამის მაშინვე მიწაზე მიუთითებია კვერ- თხის წვერით, რომელიც ხელში ეჭირა და მიწიდან ანჯარა წყარის ამო- უქეფითა. ახლაც „კვერთხის წყაროს“ უწოდებენ. ეს წმინდანი თავისი ჭამეს გვერდით, მაღალ აკლდამაშია დამარხული. ჭამე მისი აშენებუ- ლია. მართალია, მინარეთიანი და ტყვიის სახურავიანი არ არის, მაგრამ მიპრაბი და კიდლები მეტად ფართო აქვს. მისი მიპრაბი ძალიან გა- ნიერია. მიპრაბში ქუფიური და მუსთასენის ხელით გაეთვებულია ნა- წყვეტები უურანიდან: ახა „ალ-ქურან“ და ახა „ამან არ-რასულ“<sup>17</sup>. მიპრაბს ორ მხარეს აქვს ორი გასაოცარი და ხელოვნებით დამუშავე- ბული მარმარილოს ბორი. მიპრაბში ფრიად ლამაზი და ნატიფად ნა- ჟითები მოზაიკა. აბბობენ, მიპრაბი თვით შეიხის ნახელავიათ. აფსუს, რომ ეს ხელოვნებაც სასწაულმოქმედებასთან არის დაკავშირებული. ამ აქლდამაში ეს ბეითი მომივიდა აზრად:

„მოკედი და ჭმიდა შეიხ შამის საფლავი მოვილოცეთ.  
დიდი მადლობა უფალს, რომ ისევ მშვენიერად კილოცეთ“.

აქედან ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და ჰუსეინ-აღას სოფელში მი- ვედით. აქ ჰუსეინ-აღამ დიდი პატივი გვცა და ფაშას ერთი ცხენი მი- ართვა. იქიდან გზა განვაგრძეთ და კალვიქის მაღალ ციხეში მივედით.

**კალეჭიქი:** ბურსის ხელისუფალს — სერდანედ წოდებულ ხელმ- წიფეს აუშენებია თავისი ქალიშვილისათვის. შემდეგ კასტამონუს მბრძანებელმა თოფალ ბაძაზეთმა დაიძყრო. ოსმალებისათვის ქედი არ მოუხრია და მრავალი სოფლისა და ქალაქისაკენ ხელის წაგრძელება დაუწყია. ბოლოს, ერთ დღეს მოულოდნელად დაესხა თავს [სულთა- ნი] ილდირიმ ბაძაზეთ-ხანი ამ ციხეს და დაიძყრო. ამეამად იგი ქან- კირის სანჯაყის საბრძანებელში ფაშის სახასო და სასუბაშოა. ასორ- მოცდაათიანი ახჩის პატიოსანი ყაზაა. მისი ყადის წლიური შემოსა- ვალი თხის ქისაა. ქეთხულა და იანჩიართა სარდალი, მუფთი, ნაკიბ ულ-ეშრაფი, წარჩინებულები და დიდებულები, ქეთხულა-ხერი, ცი- ნისთვი და ოცი მეციხოვნე ჰყავს.

**კალეჭიქის ალწერა:** „ჭიქ“ ნაწილაკი კნინობითობის მაწარმოებე- ლია და პატარა ციხეს აღნიშნავს, მაგრამ ეს ციხე ცამდე აზიდული, ციცაბო კლდეზე დაფუძნებული ციხეა, რომელიც ფარპალის აშენე- ბულს ჰგავს. მისი კედელი სამოცდათი მექური წყრთის [სიმაღლი- საა]. რადგანაც ირგვლივ ციცაბო კლდეები აქვს, [გარშემო თხრილი 417 არა სჭირდება. სამხრეთისაკენ გამვალი ერთი რკინის კარი აქვს. ცი-

ხეში ოცი სახლი, ერთი ჭამე, ერთი ხორბლის ამბარი, წყალსაცავი, ჯაბახანა და ექვსი პატარა „შაპი“ ზარბაზანია. ჩადგანაც. შუაგულ ქვეყანაშია, ციხე ღარიბია. ქალაქის ყველა წარჩინებული აგანკებულების შიშით ძირფასეულობას ამ ციხეში ინახავს და მალავს. ციხისთავს დავალებული აქვს ამ ნანგრევების დარაჯობა. ციხიდან მზერას არაფერი ელობება წინ და მოჩანს ზურმუხტივით ველები. ქვემოუბანი ციხის სამხრეთითაა. ბალ-ვენახანი კეთილნაშენი დაბაა. მაგრამ გარშემო გალავანი და რაბათი არა აქვს. თითოეულ ნაბიჯზე კამარებით გამაგრებული ადგილია. ათას ორასამდე კრამიტითა და მიწით დასურული სახლია. ყველაზე დადებულია შაპისუვარ-ფაშას სასახლე. ყველა სახლი სამხრეთს გასცერის. გზები სუფთაა და სრულებით არა მოკირწყულული. ჩვიდმეტი მიჰრაბია. საცერო რიგებში პატარა, მაგრამ კარგი აბანო არის. სამი ფუნდუკი და ექვსი ყავახანაა. თუმცა პატარი მშვენიერი აქვს, მისი წყალი ქებული არაა. ქალაქში სამი დღე დავრჩით. ჩვენი ბატონი ფაშა შაპისუვარ-ფაშას სასახლეში სტუმრობდა. რადგანაც მე შაპისუვარ-ფაშას შეილი ყაზბე-ბეჟ სამ დღეს ვამეცალინე, დედამისმა ფაშის პარამხანიდან მიწყალობა ერთი ბოხჩა საცვლები. მაღლობა ღმერთს, აქ შევეძლით სამ ღამეს მოსვენებით დაგვეძინა და სუფთა ტანისამოსი ჩაგვეცვა. სექბანებისა და სარიფაების საღროშობი მდგრად ხალხის შიშით ქალაქის გარშემო მორიგეობით დარაჯობდნენ.

კაზანგი-ბაბას წმინდა საფლავი: ციხეს მხოლოდ ერთი ციცაბო გზა აქვს. დასავლეთისაკენ გამავალი კარისაკენ მისასვლელი გზის ქვემო ნაწილში, საცერო რიგების ახლოს პატარა და კარგ ღლივისაა დამარხული — ღმერთმა გაანათლოს მისი საიდუმლო. აქედან ავიყარენით და ისევ თოვლისა და ქარბუქისაგან შეკირვებულნი, სოფელ კურბალლოში მივედით. ქანგირის მიწაზე, კალეჯის ნაკრები ორასკომლიანი კეთილნაშენი სოფელია. აქ დამარხულია შეის ძე შეის აბდ ულ-ლაპი, მაგრამ მისი საფლავი კეთილმოწყობილი არაა. საფლავი გადახურულია. ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და მივაღწიეთ სოფელ ნენიქლერს. ესეც კალეჯის მიწაზე მდებარეობს. თურქული სოფელია და ერთი ჭამე აქვს. აქაც იმ ღამეს ერთი თოვლი მოვიდა და ვერავინ შეძლო სახლიდან გარეთ გამოსვლა. დოლადრიან ისევ დაუკრეს საყვირები. ყველას შეეშინდა, სიცოცხლე 418 არ დავკარგოთო, ||თავიანთ ბარგს ეცნენ და ტვირთო აპკიდეს ცხენებსა და სხვა ტვირთის მზიდავ ცხოველებს. მთელი მოსახლეობა მეგზურად წავიყვნეთ და სამი საათი თავევე ვიარეთ. სარი-ალანად წოდებული ქედის გადასასვლელ ადგილას ამოვარდა ქარბუქი, ქარიშხალი, წარლვნა და ჭარი გაიფანტა. ქონება და სიმდიდრე მოებში. ხეობებში

და გზებზე დარჩა. ყველა თავისი სიცოცხლის გადარჩენას ფიქტურმდა და სიკვდილს ებრძოდა. ზოგი გადარჩა და ზოგი დაიღუპა. ფაშის შინა და გარე აღები სულისა და თავის გადარჩენაზე ფიქტურდნენ — ფაშა და ხაზინა მიატოვეს და ყველა სხვადასხვა მხარეს გაიქცა. თვით ფაშის შვილი — ჩვენი ბატონი მუსტაფა-ბექ დაჰკარგეს თავისი ლალებით, მსახურებითა და მასწავლებლებით. ხაზინის ქარავნიანად უგზოუკლოდ ხეტიალობდნენ მთებში და ისე მიღიოდნენ. მე, მწირმა, ერთ მყუდრო ხეობაში ოდნავ შევისვენე. როდესაც ამოვარდნილი ქარბუქი მიწყნარდა, ჩემი ორმოცდათი ბიჭითა და სამი სატვირთო ცხენით ერთ მხარეს ვიარე და კიდევ სამი ჩემი მონა ვიპოვე. ჟაშნაგირები იყვნენ. საბოლოოდ ოცდახუთი კაცი შევიყარენით, ზამთრის სუსხში სარიალნის ქედი გადავიარეთ და გადაღმა მხარეს ვაკე ველზე დავეშვით. კინალამ დაგვარგეთ ჩვენი სიცოცხლის გადარჩენის იმედი. ხან ცხენით მივღიოდით, ხან ფეხით და ასე განვაგრძეთ გზა.

## LXXXVIII

მინლაპაზ-ზაღვას, ზარა პაიდარ-ოლლუს, პათირჯი-ოლლუს  
გასაშირი

ასე მივღიოდით და ვფიქტურდით, მარჯვნივ ან მარცხნივ რამე დასახლებული ადგილი ხომ არ არის თავის შესაფარებლადო; ამ დროს მოვალეობა ძალის ყეფა; კაცს ევონებოდა გამოქვაბულიდან მოღიოდა და ხმა. „არიქა, გვეშველა, ძალები მიგვასწავლიან გზას! სადღაც დასახლებული ადგილია! მეგობრებსაც ვიშვიოთ. შემქმნელმა ღმერთმა დახმარება გაგვიწია და გადაგვარჩინა, იქით წავიდეთ, საიდანაც ეს ძალის ყეფის ხმა მოდის!“ — ეს რომ ვთქვით, ცხენები მოვუშვით. ბიჭის, საქონლის წიგის ბოლო გამოჩნდა! წავიწიეთ და გამოჩნდა დიდი სოფელი. მე, მწირი, ჩემს ოცდახუთ თანამგზავრთან ერთად მივედი ერთ კიშკართან და ვთქვა: „მეგობრებო, თქვენ მაგ სახლში დაბინავდით, ჩვენ კი ამ სახლში შევიდეთ. მხოლოდ, არავინ დაჩაგროთ და ერთმანეთს ხმა მივაწვდინოთ“. ერთი ჩემი ბიჭის ცხენიდან ჩამოხტა 419 და ჭიშკარი გააღო. ეზოში რომ შევედით, სწრაფად, ჯარის ჩაუშივით, დოლი დავაკრევინე და „მუჭამედის ლოცვას შევუდგეთ“-მეთქი — შევვძახე. „პო, მასპინძელო!“ — გავძახე. კაციშვილი კი არა ჩანს, მაგრამ ეზოში თორმეტამდე ქარივით სწრაფი ცხენი თოვლში, ბოძებზე აბია. ამ დროს სახლიდან გამოვარდა ერთი ფეხშიშველა შეიარაღებული ვაჟკაცი და დიღა დანა იშიშვლა. კიდევ გამოჩნდა ორი თოვიანი და ორი ხმლიანი კაცი. თოვლზე გაირბინეს, ფეხშიშველები მოახტნენ ცხენებს და ჩვენსკენ გამოსწიოს. ერთი მათგანი ზედ რომ მომადგა, ვუთხარი: „მშვიდობა. შენდა, სახლის პატრონო! სტუმრად ხომ

მიგვიღებთ?“ პასუხი არ მომცა. როდესაც ერთმა მათგანმა თქვა: „აბა, აკიაქალი-ოღლუ მოვიღესო“, სახლიდან კიდევ ერთი წითელ-ჩალმიანი, ყელშესვეული ვაჟკაცი გამოვიდა და „არიქა, ჩავცვიდით“, — დაიძახა. მაშინ სახლიდან კიდევ შვიდი ხმალამოლებული კაცი გამოვარდა და სამი სახლში შებრუნდა. ერთი მიხრწნილი მოხუცი მაშინვე ქვეითად მოვიდა ჩემთან და „კეთილი იყოს შენი მობრძანება, შვილოო“, რომ მითხრა, ცხენიდან ჩამოვხდი და ვკითხე — „მამილო, რაში საქმე“-შეთქი. არავითარი ყურადღება არ მიაქცია ჩემ სიტყვას და თქვა: „აბა, ჩემო ვაჟკაცებო! ცხენებზე რატომ სხდებით? სტუმარს სტუმარი ეჯავრებოდა, მასპინძელს კი, ორივეო“. ეს რომ თქვა, ეზოს გარეთ მყოფ ჩემს თც ამხანაგს ვუთხარი: „სადაც გითხარით, იმ ადგილას დაბინავდით“. მოხუცი სახლის პატრონი მაშინვე ფეხებში ჩაუვარდა ფეხშიშველი, ხმალამოლებულ და ცხენებზე შემსხდარ ვაჟკაცებს და შეევედრა: „შვილებო, სახლ-ქარს მიჯუცეთ?! აი, ის ბატონი ცხენიდან ჩამოხდა. ქარბუქისაგან დაქანცულან და ჩემს სახლში მოხვედრილან. თქვენც ჩამოლით ცხენებიდანო“. ეს რომ თქვა, მათ უპასუხეს: „შენ, ეი, ჰავი ბაბა! თქვენ რა იცით, ჩვენ რა დაგვემართა. ჩვენი ამბავი ჩვენ ვიცით; აბა, ჩვენი ჩექმა, აბჯარი, თოფი და კაპარჭი მოგვიტანეო!“ და დაიწყეს ცხენდაცხენ შემორტყმა ხმლისა და კაპარჭისა. რამდენსაც არ ევედრებოდა სახლის პატრონი, მივდიგრთო უბასუხებდნენ. მიეცვი, რომ ჩვენ ცუდად დაგვიხვდნენ და მაშინვე ვთქვი: „თქვენ, ეი, ძმებო! სარწმუნოებით შეკავშირებულებს შორის უცხო არავინ უნდა იყოს. ასე, რომ თქვენ თქვენთვის იყავით მყულროდ. ჩვენ გარეთ. ეზოში გავათევთ ერთ ღამეს ამ ზამთრის სუსეში. პირველი შემთხვევა არ არის ჩემ ცხოვრებაში. ეს რომ ვთქვი, ცოტაოდენი მშვიდობა დამყარდა. ხმლები ქარქაშში, ჩააგეს.

420 ერთი შინ შევიდა, ერთიც ||ჩემთან მოვიდა და ცხენიდან ჩამოხტა: ერთმანეთი გადავკონეთ და ამბავი მოვიყითხეთ. მაგრამ მე, მწირი, მეტად გაოცებული ვიყავი და ვფიქრობდი, ნეტავ რაშია საქმე-მეთქი. ყურადღებით დავაცემოდი მათ. ყველანი ალმაცერად მიყურებდნენ. მაშინ ხუმრობით გადავუკარი სიტყვა: „მუპამედის ლოცვით ლმერთმა დაგიფაროთ ფათერაჟისაგან, ჩემო ვაჟკაცებო“-მეთქი. სახლის პატრონმა თქვა: „აბა, აბა, შვილებო! ჩამოხდით, გახშამი მიირთვით“. მაშინ მე ვთქვი: „ღმერთმანი, ჰავი ბაბა! მე და ჩემი ბიჭები უპატრონ ძალებივით მშიერები ვართ. სუფრა ახლავე, ამ თოვლზე გამოიტანე და გეახლებით“. ესა ვთქვი და განგებ თოვლზე დავჭექა. შემდეგ ვთხარი: „აბა, ჰავი ბაბა! ლვთის გულისათვის, ჯერ მოხუცებული კაცის შეჭამანდი მოიტანე, შემდეგ წყლის ბასტურმა, მერე ყინულიანი ჩირის მწნილი. პაპანაქებისაგან გული დამეწვა“. ამის შემ-

დევ ერთ-ერთმა ვაჟკაცმა თქვა: „ჩემო ბატონო! ეს ვაჟკაცი ძალიან სამეგობრო ყოფილა. ვნების მომტანი კაცი არ არის“. ყველანი ცხე-ნებიდან ჩამოხტნენ, ძველებურად თოვლში ჩარჭობილ ბოძებს მიაბეს და სახლში შევიღნენ. მე, მწირიც, მიმიწვიეს და ისე გამომკითხეს. თითქოს ჩემი განკითხვის დღე იყო. „ვინა ხარ? ვისი კაცი ხარ? ამ გზებზე ფრინველი არ დაფრინავს. ამ ზამთარში და მეორედ მოსვლაში ჩას აკეთებდ?“ ამას რომ ამბობდნენ, თან თვალი კრსა და იარაღზე ეჭირათ. მე, მწირმა, გავიხუმრე: „ევლია ჩელების მიწოდებენ. მსოფლიო მოგზაური ვარ. მელექ ამერ-ფაშასთან ერთად ერთხელ ამ დაბლობში გვიბანავია და პატი ბაბას პური გვიკამია. ეს გზები მამიჩემის სახლივით ვიცი და პურმარილიც მიმიღია“-მეთქი. ჭიმის დროს დავინახე, რომ ერთი მათგანი, თავზეხელალებული, შავგვრემანი, წელწვრილი, კრელთვალება, ძვალმსხვილი, ლონიერი ვაჟკაცი მოვიდა და კერასთან დაჯდა. მას ყველინ პატივისცემით ექცეოდნენ. „ასე, ბატონი!“ — „ისე, ბატონონი!“ მიმართავდნენ და დიდი მოწიწებით ელაპარაკებოდნენ. ლაპარაკის დროს მან ასე მიმართა ერთ მათგანს: „კათირჯი-ოლლუ! ამ ვაჟბატონმა ეს-ეს არის თავდაყირა დაგვაყენა. უჩემოდ და უფეხსაცმელოდ ცხენებზე შეგვსხა ისე, რომ იარაღიც არ შემოგვარტყმევინა“. მერე ჩემზე მოუთათა და გინაგრძო: „თუ ამისა-გან მაგალითს აიღებთ, ჩემთვის ეს ამბავი კარგი გაკვეთილია. უდარ-დელი თავი მალე იღუპება. დედაკაცებივით მუცელი ამოვიყორეთ და ცეცხლის პირას ვლაპარაკობდით. თან გამომწყვდეულები ვიყავით. ერთიც ვნახოთ, ამ ვაჟკაცს დოლი არ დაეკრა და ყიფინა არ აეტეხა. გარედან ოცი-ოცდათი ვაჟკაცი გარს რომ შემოგვრტყმოდნენ, რა მოგვივიდოდა ყველას? აბა, დაფიქრდით!“ შენ ჩას იტყვი, უნიკან- 421 ლი ჩას იტყვი, ხეგნ ჰუსენ? ჩას მეტყვი, აკიაკალი-ოლლუ? ჩას იტყვი, კარა-მუმა!“ ყველას ასე მიმართა. მათაც თქვეს: „დიახ, ცუდი ამბავი შეგვემთხვეოდა“. ცეცხლის პირას მჯდარ ვაჟკაცს ხუთი ჩახ-მაბშემართული დამბარა და თოფი ჰქონდა. ერთი მე მაჩუქა და გითხრა: „ვაჟკაცო, ეს ჩვენი მეგობრობისათვის ატარე“. იმ ვაჟკაცს, რომელსაც კათირჯი-ოლლუ მეშვედი ერქვა, ვერცხლის ძაფით მოქარეცული, მო- ყვითალო საძაგრავი ჰქონდა. ისა, თალათინის ქისა და საკოვზე მისახ- სოვრა. ერთი სიტყვით ყოველმა მათგანმა თითო ნივთი მაჩუქა და მი- თხრეს: „ერთხანს ჩვენთან იყავი. ზამთრის სუსებმა გაიძროს. შენგან დიდად ნასიმოვნები ვართ და კარგი საამხანავო ვაჟკაცი ყოფილხა- რო“. მე, მწირმაც, ვუთხარი: — „ლმერთმანი, ფაშა გვყავს მეთაურად, ფაშას ვერ გამოვეყოფით. მხოლოდ, ესაა რომ, ამ ქარბუქში დავი- ფარტენით. თუ ღვთის ნება იქნება, ღილამდე თოვლი გადაიღეს და ფაშასთან წავალთ“-მეთქი. იმ ვაჟკაცმა, რომელსაც „ჩემო ბეგონ“,

მიმართავდნენ, ზაშინვე იკითხა: „ლმერთო ჩემო, როგორ, ფაშისტან?“ მეც ვუპასუხე: „არზრუმის ბეგლარ-ბეგობიდან გადაყენებულ დავ-თარდარ-ზადე მექმედ-ფაშასთან“—მეთქი.

„ძაცი! სად არის? მას, თურმე, ვაჟკაცები უნდა და ჩვენც მას ვე-ძებთო“. ერთმა მათგანმა ჩუმად თვალი ჩამიკრა: — „აბა! ის ფაშა ახ-ლა სად არის?“ მე, მწირმა, ვუთხარი, რომ როდესაც ამ ღვთითყურ-თხეულ ალაქის ქედზე გადმოვდიოდით, ქარბუქში დავიბენით და გა-ვიფანტეთ-მეთქი და უველაფერი ვუამბე. ბეგდ მაშინვე აღგილიდან წამოლება და ხელზე მემთხვია.

ბეგი: — „აი. ახლა, ვაჟკაცი! შენ ზამთარში ამ სახლში მოხვდი და თვი გადაირჩინე. ჭეშმრიტად, ჩვენზე ჭეკვიანურად გადაირჩინე თვი. როგორც კი ამ სახლის ეზოში შემოხვედი, შენ რომ სალამი არ მოგეცა და ცხენიდან არ ჩამოსულიყავი, ათასი სიცოცხლეც ჯონო-და, ერთსაც არ შეგარჩენდით. ჩვენ რომ სახლში ცუცხლის პირის ვის-ხედით, მაშინ რომ დაგვსხმოდი თავს, ვერც ჩვენ გადავირჩენდით სი-ცოცხლეს. ლმერთმა გიშველოს! შენ ჩვენ გვაჩუქე სიცოცხლე და ჩვენ — შენ; ამბავი მოგვიტანე ფაშის მოსვლის შესახებ. ამერიდან ჩვენთვის არამია ამ სახლში ჩაკეტა. ადექტით, ხალხნ! შეიარაღდით!“. ეს რომ თქვა, ყველანი თვით ფეხებამდე შეიარაღდნენ. მაშინ შემო-იხსნა ქამარი და თქვა: „ამ ქამარში ხუთასი ოქროა, აღლე იგა, ინებე. ოღონდ, შენთან თხოვნა მაქვს. ნამდვილი ვაჟკაცი და მამაცი ხარ. პურ-  
422 მარილი მივიღეთ. პურ-მარილის ყაზრი ||იცა. აქლემი არ გინახავი?“ მე, მწირმა, ვუპასუხე: „ლმერთმანი, კოზაკიც კი არ მინახავს—მეთქი. მშინვე ხელი ხელში გამიყარა და ყურჩი სარიგაების საიდუმლო [ნი-შანი] მითხრა. მე მწირმაც, ერთი საიდუმლო ვანიშნე. თორმეტივე ვაჟკაცს გადავეხვიდ და ვისაუბრეთ. ბეგს კადა-სულთანის ბალდალი მი-ვეცი. ყველანი თვალის დახამხამებაში მოახტენ ცხენებს. „ჰავი ბაბა! ევლია ჩელები! ალაპისათვის ჩაგიბარებია თქვენი თვი, ალაპი იყოს თქვენთ კმაყოფილიო“, — თქვეს, ქუსლი ჰქრეს ცხენებს და წავიდ-ნენ. მართალია, მათთან ერთი ღამე ვისაუბრე, მაგრამ კარგ გუნებაზე მაინც არ ვიყავი. ისინი როგორც კი წავიდნენ, სასტუმრო ოთხი და ცეცხლის პირი მე დამრჩა. მშვიდად რომ ვიჯექი, უცხათ, რას ეხედავ! სახლის პატრონმა ჰავი ბაბაშ პარემიდნ გამოიტანა ორი ბოხჩა ტანსაც-მელი, ერთი პური, ცოტაოდენი მარილი. ერთი ვერცხლით მოშეღილი ძვირფასი ხმალი, მშვენიერი ხელით დაწერილი დიდებული ყურანი; მოვიდა. ხელზე მაკოცა, ქვითინი ამოუშვა და შემევედრა: „წაქცეულს კაცი არ მოჰქლავს; დამიფარე, ჩემი თეთრი წვერი შეიძრალეო“. მაგ-რამ მე, მწირმა, ასადგნაც საქმის ნამდვილი არსი არ ვიცოდი, ბრძნუ-ლად და მოხერხებულად უური მოვიყრუე. სახლის პატრონი მაინც ვერ

და თქვა: „შეილო, ღმერთი იყოს შენი შემწე, შენ რომ ჩემ სახლში მოხველ, ცხენიდან რომ არ ჩამოსულიყავი, თავშეეკავება რომ არ გამოგეჩინა და როგორც უეტრად დაგვადექი თავზე, ისევე პრიმოლა დაგეწყო, თქვენი მხრიდანაც და მათგანაც ბევრი კაცი მოკვდებოდა, ჩემი ოჯახი დაინგრეოდა და გავერანდებოდა, ჩემი ცოლშეილი ტკიცეთ ჩაცვიდებოდნენ და მწვადად იგებოდნენ“.

მე, მწირმა ვუთხარი: „აბა, ჰავი ბაბა! ერთხელ შენი პური ვჭამე და შენ სახლში მოვედი. ოჯახის პატრონი კაცი ხარ, ისეთი, უსტუმროდ რომ არ დარჩება. შენ შემეცოდე, ხელი არ აღვმართე. და ჩემი სხვა ვაუკაცები ყველანი მეზობლებთან გავაგზავნე. მალე, დაუძახე იმათ! მოვიდნენ და ყავა დალიონ. მათი მასპინძლები გააფრთხილე, ჩემ თანამგზავრებს კარგად მოუარონ“. ჩემს მაერ თან წამოყვანილი გმირები ჩევნ საღვომში მოვიყვანე. საუზმე რომ ჭამეს და ყავა დალიოს, როდესაც ყველანი თავ-თავის საღვომში მიღიოლნენ, საიდუმლოდ დავავალე: „აქედან არსად წახვიდეთ“. წავიდნენ. მაგრამ სახლის პატრონი ცმუკავდა. ძალიან აწუხებდა რაღაც. უსათუოდ რაღაც საფუძველი აქვს ამ ამბავს-მეტქი ვიზუქრე და ჩემს მონა-ბიქებს, სხვა მსახურებს და თანამგზავრებს მტკიცე დავალება მივეცი და გავაფრთხილე: „სახლის პატრონზე თვალი გეჭიროთ, შეიძლება გაქცევის აპირებს. ფრთხოლად იყავით, უდარდელად არ მოიქცეთ“-მეთქი. || მაგრამ არც საქმის 423 ნამდვილი არსი ვიცოდი და არც სხვა რამ. მე იმან დამატევა, რომ სახლის პატრონი ცოცხალ-მკვდრივით დადიოდა. ამ ყოფაში რომ ვიყავი, მოვიდა ჩემი მონა, სახელიდ ქაზიმი და მითხრა: „ბატონო, სახლის პატრონმა სალამი შემოგითვალათ და დამაბარა: „გვიბრძნოს თქვენმა ბატონმა, რამდენი ქონება და საჩუქარი დაკამაყოფილებსო. შეილო, გთხოვ პასუხი მომიტანო. შენც რამეს მოვიწყობთო; თქვენ რას ბრძანებთ?“ ეს რომ მითხრა [ქაზიმა], მე, მწირმა, ვუთხარი: „ურთხილად იყავით, ბრიყვებო, სახლის პატრონმა ხვალ რომ მიგატოვოთ და გაიქცეს, ტყიას გაგაძრობთ! ახლაცე გადაეცი მაგ კაცს ეს სიტყვები: — ღმერთმანი, აღამ შენი კიკაცობა გაიგო და მოვიდა. შენი პატივისცემა არ დაივიწყა, ხელი არ აღმართა და შენი თეთრი წვერი შეებრალა. რასაც მოცემს, მომცეს, რახან მისი პატივისცემა მივიღეთ, ჩევნ მას თავის ნებაზე დავტოვებთ“, — გაზაეცით-მეთქი მტკიცედ გავაფრთხილე. როდესაც მონა-ბიქი ქაზიმი წავიდა და ჩევნი გადაწყვეტილება აცნობა, წინანდელივით შემოიტანა ორი გაწყობილი აბჯარი, ხუთი ვერცხლის მოსართავებიანი ეგვიპტური რახტი, ხუთი ვერცხლის მავთულით შეკრული კაბარჭი, ვერცხლისავე ფარი, სამი დაშნა, სამი ხმალი, ერთი ქისა ყურუში, ორმოცდაათი თოფი ანგორის შალეული და კაშმირის ქსოვილის ერთი წვეტიანი ჩალან. ფეხებ-

ში ჩამივარდა და ტირილით თქვა: „შედი ჩემ მდგომარეობაში; ეს ჩემი ამბავი არავის გაანდო. ეს საიდუმლო აქვე დარჩესო“, შემეხვეწა. მე, მწირმა, ვუთხარი: „შენ, ეი, ჰავი ბაბა! საიდუმლოების შენახვა ადვილია, მაგრამ რატომ მაძლევ ამოდენა ქონებას? მე შენ გითხარი თუ არა? მე თანახმა ვარ. განა არ გითხარი რომ ევლია-აღას იმდენი მიეცი, რამდენიც გინდა-მეთქი? რა გავაჯეთ ისეთი, რომ ჩემი კარგი კაცობა შენ ამდენ ქონებად გილირს? ეხლა კი ვიტყვი!“ სახლის პატ-რონმა ცაცახი დაიწყო: — „მოიღე მოწყალცბა, ამ ზამთარში ამდენი ვაჟკაცებით მოხვედი და დიდი დავიდარაბა გამოვიარეთ. ნუ გამაცა-მტვერებ! რაც მაბადია, წყილე, ოღონდ ჩემ სისხლში პურს ნუ ჩაიფხვინი. რა ვქნა? ღმერთმა დალახეროს! ესენი ქუთაპიას ფაშის შიშით გამოიქცენ; ამ ზამთარში უცვე შეიღი დამეა აქა წვანან და მე ვაზანკების ბუნაგის პატრონად გადამაქციეს. ლაპარაკის თავიც არა მაქვს. ღმერთმა შევიღობა მოგცე, რომ ის ურჯულოები გააქციეთ და მეც გადმიარჩინეთ; ძალით რომ დაგეკავებინა ჩემი სახლი, ოჯახი დამექ-ცეოდა“. მე, მწირმა, ამ სიტყვებიდან ბევრი რამ დავიჯურე და ამის შემდეგ უფრო ფრთხილად დავიწყე მსჯელობა. ერთი რამე არ მეს-  
424 მოდა. ||ზამთრის სუსეში ხელ-ფეხგაყინულებმა აქ ძლივს მოვითქმით სული. ისინი სახლში ცეცხლის პირას ისხდნენ. შემდეგ საღი ხელ-ფეხიანები და ხმალამოლებული ვაჟკაცები წამოდგნენ. შეეძლოთ ჩვენ-თვის სიცოცხლე მოესპოთ, მაგრამ სახლის პატრონს კი ასე ვუთხარი: „ჰო, ჰავი ბაბა! მე იმათ კარგად ვიცნობ, მაგრამ რამდენიმე კი ვერ ვიცანი. თუ ღმერთი გწამს, მათი ამბავი მითხარი“.

ჰავი ბაბამ მიიასუხა: „ჰო, შვეოლ! ამერიდან რაც მოხდება, მოხდეს! შენ დასამალი არაუერი მაქვს. მაშ ასე, ცეცხლის თავში რომ იჯდა და შენ ერთი ჩახმახიანი თოფი გაჩქეა, აი, ბეგი რომ უწოდებ-დნენ, ყარა ჰაიდარ-ოღლუდ წოდებული ლიმქაცი იყო“. მე, მწირმა, ვუთხარი: „მე იმას ვიცნობ; კათირჯი-ოღლუს, აკიაკალი-ოღლუს, ონი-აკანლი-ოღლუს, ხეგნ ჰასანსა, ყარა მუჭის, დაის და დაღამლი-ოღ-ლუსაც ვიცნობ. დანარჩენებს არ ვიცნობ“. ეს კი ვუთხარი, მაგრამ ღმერთმა იცის, რომ ადრე არც ერთი მათგანი არც მენახა და არც მცნობია. მხოლოდ იმ ღამეს შევხვდით ერთმანეთს, ვისაუბრეთ და გავიცანით ერთმანეთი. ჰავი ბაბამ ისევ დაიწყო ლაპარაკი: „მოედანშე რომ სუფრა გაშალა, იმ ვაჟკაცს ბაინდიჩ-ლი-ოღლუ ჰქვია; პირწვარ-დნილი მკვლელია. კარს რომ დარაჯობდა, ყარა-ველი იყო. ერთი მათ-განი ეფენდილი-ოღლუა და ერთიც — ბურაკ ალი“. ეს თქვა და ყველას შესახებ საყურადღებო ცნობები მიიღე. ღმერთს მაღლობას ვწირავ, რომ მათ შარს დღემდე არ გადავკიდებივარ. ათასნაირ ეჭვებში ვიყა ვი: ერთიც ვნახოთ, ამ საღამოს ისევ მოვიდნენ და ჰავიმ მათ რომ

უთხრას: „თქვენი ქონებიდან ამდენი რამ მივეცი და თავი გადავიჩინეო“, რა ბოლო ექნება ამას-მეთქი. დილა რომ გათენდა, კიდევ ათი ჩემი თანამგზავრი მოვიდა ფაშას მიმდევართაგან და მითხრეს: „ჯაცო, ევლია ჩელები! საღა ხარ ეს ორი დღე? ფაშა დაგვეძებს, რალის უდგენარ, ცხენებზე შევსხდეთ“. მე, მწირმა, ჰავი ბაბას ვუთხარი: „აბა, ჩეარა, ჰავი ბაბა! ამათ საუზმე მოართვი, ბიჭებს ცხენები შეუკაზმე; ჰავი ბაბა ჩვენთან ერთად გზას გაუდგება“-მეთქი. საწყალ კაცს თავგზა აებნა. მაგრამ, რადგანაც კიდევ ათი კაცი მომივიდა, გონება-და-მიბრუნდა, საშიში და მოსარიდებელი აღარაფერი მქონდა. ამინდიც გამოკეთდა. ბოლოს, მე უზომო სიხარბე გამოვიჩინე, ათასნაირად დავამუნათე, აღრე შემოთავაზებული საჩუქრები ავიდე და ვთქვი: „შეხედე, ერთი, ძვირფასო ჰავი ბაბავ! ჩვენ შენი იმედი გვქონდა და საქმე მოგანდეთ. შენ კი, თურმე, სამართლიანი კაცი არ ყოფილარ. სამართლიანობა სარტმუნოების ნახევარია, ნათქვამია. შენ რომ ქონება მომეცი, ამდენი ვაჟაცებიდან რომელ ერთს მივცე? აი, ხედავ, ათი ვაჟაცი კიდევ მოვიდა! მათაც თავიანთა მოთხოვნილება აქვთ. მე წერთსაც არ ავიღებ შენს მიერ მოცემულ ნივთავან. აგრე, ფაშა 425 აქვეა! ჰავეინის სავანეში ყოფილა. მეგზურად წაგიყვან თან“. ეს რომ ვთქვი, ჰავი დაიბნა, „წავალ, ერთი, სახლიდან კიდევ რამეს მოვიტანო“, — თქვა და წავიდა. მეც, ვთქვი თუ არა: „დაიჭით, მაგისი თეთრი წვერი სისხლში უნდა ამოვავლოთ“-მეთქი, ჩემი ბიჭები მაშინვე მისცვიდნენ, ხელი ზურგს უკან გადაუგრიხეს და შებოჭქს. „შემიბრალე, შვილო! ნუ დაიდებ ჩემს ცოდნის, რასაც მომთხოვ, მოგცემ, ოლონდ ეს ამბავი არავის გააგზანოთ“, — ხმამაღალი ტირილი მორთა. როდესაც მოხვევა, მსახურთავან არავინ იყოს აქაო, მე, მწირმა ყველა ჩემი თანამგზავრი გარეთ გვიყვანებ. ერთ-ერთ ჩემ ბიჭეს ქაჯურ ენაზე ვუთხარი: „ჩემი თანამგზავრები შეიარაღენ და მზად იყვნენ“-მეთქი!. რას ვხედავ! ჰარემიდან ჰავის შვილმა ერთი ქისა ოქრი გამოიტანა და სიძემ კი — სამი ქეპეილანის ცხენი, ერთი წყება ჭორი, ასი თოფი შალი, თორმეტი ხმლის ყაწიმი, სამი დაშნა, რა კაპარჭი, შვიდი რახტი, ექვსი ალეპოს ფარი, ერთი ვერცხლის [პატარა] დაფა, ორი მრეკავი საათი, შვიდი ისრებიანი საათი და ათი თოფი ქეშანური ხავერდი. ჩემს ორმოცდაშვიდსავე შელებელსაც თითო თოფი შალი აჩუქა. ყველანი გახალისდნენ და გაიხარეს. მე, მწირმაც, სახლის პატრონი ბორკილებისაგან გავათავისუფლე და მივეცი ერთი თილისმიანი თასი, ორი კახა-სულთანის ბაღდადი, ორი ფინგანი, ერთი მოხატული თასი. სიძესა და შვილსაც თითო კადა-სულთანის ბაღდადი ვაჩუქე. მის შვილებს დავუძმობილდი და ჰავის შვილობილი გავხდი. საქალებოდან გამოვიდა ორი ნორჩი, მშვენიერი ასული, რომელთაც ხელში თითო ბოხა თეთრარ-

შინაშემოვლებული ფაშის პერიანგები ჰქონდათ. ესენი მოიტანეს და ხელი დამიკოცნეს. მე, მწირმაც, მათ თავზე თითო კადა-სულთანის ბალდადი მოვახვივ. თურმე, ჩვენი ჰავი ბაბა ყარა ჰაიდარის მიერ და-ტოვებულ ავაზაკთა ბუნაგის პატრონი ყოფილა.

მე, მწირმა, ქონება ავილე, ჰავი ბაბას შვილსა და სიძეს გამოვეთხოვე, ჩრდილოეთისაკენ თოვლში ვიარეთ და ჰუსეინ-ყაზის სოფელში მივედით. ჩუბუკის დაბლობის ყაზაში, ერთ მაღალ გორაკზე ჰუსეინ-ყაზის წმინდა საფლავია. ეს პიროვნება მაღათიელი სეიდ ბათალ ჭავერ-ყაზის წმინდა მამას. საფლავზე ერთი „მასა“ წავიკითხე და მის სულიერ ცხოვრებას გავეცანი. მის სინათლით სავსე აკლდა-  
426 მას გარშემო ||ნაირ-ნაირი მოკროვილი შანდლები. ჩირალები და [ყურანის] დიდებული სიტყვების [წარწერები] აქვს. ცალ-ცალკე მოედნები აქვს საზამთროდ და საზაფხულოდ<sup>2</sup>. ჩუბუკისა და ხაბანის დაბლობებთან ერთად, აქედან ხელისუგულივით მოჩანს შორთათის დაბლობი. აკლდამას ბევრი ვაკუფები აქვს. წელიწადში ერთხელ [მუქა-მედის] შობის<sup>3</sup> აღსანიშნავი ლოცვა იმართება და ორმოცი-ორმოცდა-ათი ათასი კაცი იყრის თავს. ეს ჰუსეინ-ყაზი, რომელიც იმამ ჰუსეინის შთამომავალი და კეთილშობილი სეიდი იყო, აქ მოწამეობრივი სიკვდილით გარდაიცვალა. ამ სავანეში მცხოვრებ მწირებს ათი ყურუში ვუწყალობეთ, სამი სამსხვერპლო დავკალით და სავანის შეიხის — მუქა-მედი-დედეს ლოცვა-კურთხევა მივიღეთ. ჰუსეინ-ყაზი ამ მაღალი გორაკის ძირას არის დასაფლავებული. იქ ჩომ მივეღით. ჩვენს ბატონსა და მბრძანებელს შევხვდით. „ოჯო, ევლია ჩელები! კეთილი იყოს შენი მოსკლა. აბა, კაცო, კი არ დაგვეკარგეთო?“ — ბრძანა. მე, მწირმაც, ვუთხარი: „ასევე ჩვენ თქვენ დაგვეკარგეთ ბატონო“-მეოქი; გაიხარა და პატივისცემის გმომხატველი საუბრის ღირსი გამხადა. იქიდან ავიყარენით, სადაც მივიდოდით, იმათ ხარჯზე ვიკვებებოდით და ათ დღეში ჩუბუკის დაბლობში გავიარეთ. აქ ას ორმოცდაათაბეჩიანი ყაზი; შვიდი ნაპიე და სამოცდაათი სოფელია. ათ დღეში ხაბანის დაბლობი გავიარეთ. იგიც ანკარის სანჯაუში შედის და ას კეთილმოწყობილ სოფელს შეიცავს. სასუბაშოა; კვირაში ერთხელ ბაზრობა იმართება. ათი დღეც ჩორბას ყაზაში გავატარეთ. ოთხმოცდაექვსი სოფელისაგან შედგება, ასორმოცდაათაბეჩიანი თანამდებობა არის ყადისა და სასუბაშოა. იგიც ანკარის მიწაზე მდებარეობს. ამ ყაზაებში სრული ერთი თვე ვიარეთ და ანკარის არლოს მოგვისწრო ხვარაზმ-შაპის ახალმა წელმა. ყოველნაირმა მცენარეულმა ამოქყო მიწიდან თავი. დიდება ღმერთს, ჰავაც ზომიერი გახდა. მაგრამ მძიმე ტვირთის დღედალამ აკიდება-ჩამოხსნამ ქანცი გავიწყვიტა. რადგანაც საყველთა განგაშის საყვირების მოლოდინში აბჯრანად ვედინა ხოლმე, ვერ ვის-

ენებლით. 1058 [1648] წლის ჩები ულ-ევველის პირველ დღეს [26 მარტი] ისევ ჰუსეინ-ყაზის სოფელში მოვედით; ძალიან ბეგრია ისეთი სახლები, სადაც თითოვერ, ორ-ორჯერ გიყავით სტუმრად, მაგრამ, როდესაც ჩვენ აქ წმინდა აკლდამა მოვილოცეთ, უცრად ეს ბეითი მომივიდა თავში:

„მოვედით და აღვავლინეთ ლოცვა-ვედრება,  
რათა მფარველობა გაგვიწიოს ჰუსეინ-ყაზიმ“.

კურთხელ იყოს მისი საიღუმლო. აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ, აყვავებულ და გაშენებულ სოფლებზე გაეიარეთ და ანკარაში შევედით.

॥მბავი ანკარას — ენგურის დიდი ციხე-ქალაქისა: უპირველესად 427 ყოვლისა, როდესაც კონაკჩიები თავიანთი თუღლებით ქალაქში შევიდნენ და შარიათის სასამართლოსთან მიერთნენ, ამ ქვეყნის წარჩინებულებმა უთხრეს: „თქვენ ფაშას უნდოდა არზრუმში ჩაეეტილიყო და აჯანყებულიყო. მისი ძევლი ზაკვა გამომეუღლდნდა. ახლა ათი ათასი მეომარი მოაგროვა და ვარდარ ალი-ფაშასთან ერთად საჭანყოდ შეკავშირდნენ. თქვენ ერ დაგაყენებთ ჩვენი ფალიშაპის ციხეშიონ“. მაგრამ, რაღანაც აქ ფაშას აჯანყებული ხელქვეითი ბევრი ჰყავდა. [ქალაქის წარჩინებულები] დათანხმდნენ, სამი დღე დაგრჩენილიყავით ქალაქში სტუმრად“. ამის შემდეგ სასამართლოში შედგა სი არი ათასი კაცისა. რომლებსაც ნებართვა მიეცათ სტუმრად დარჩენილიყნენ და გადაწყვიტეს, ჩვენი ფაშა ჩაუშ-ზალეს სახლში მოეთავსებინათ. მეორე დღეს. დიდი ჯარის თანხლებით, ანკარას ციხეში შევედით. ასეთი ჯარი ანკარას აქმდე არ ენახა. ხალხი შესახვედრად გამოვიდა და ციხიდანც ოცი ზარბაზანი გავარდა — «კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაონ». ფაშა თავის სადგომში ჩამოხდა და ყველა წარჩინებული და დიდებული საჩუქრებით ეახლნენ. მე, მწირი, კი დავბინავდი ქედერზაღეს სახლში, რომელსაც ხუთასახიანი თანამდებობა ეკავა მოლასი და კეთილშობილი სეიდი იყო. პირდაპირ ჰაჭიბაირამ-ველის აკლდამაში მივედი, პირვე დავემხე და მისი წმინდა სულისათვის პატიოსანი ჰათმი დავიწყე. რაღანაც ალთქმა მქონდა შიცემული, იმ ქისებიდან. რაც მაღალა ღმერთმა ჩვენთვის მოულოდნელად გვიწყალობა სოფელ ბალიქ-პისარში, ასამდე ყურუში სავანის დერვიშებს დავურიგდ და მათი ლოცვა-კურთხევის ღირსი გავხდი. შემდეგ ქალაქის დათვალიერებას შევუდევთ.

ანკარას ციხის აღწერა: მისი პირველი ამშენებელი ბიზანტიის კეისარია. შემდეგ მრავალი ხელმწიფე გამოიცვალა. შემდეგ, ქუთაპიას

ფალიშაპებისა და გერმიანთა საგვარეულოს წარმოშადგენლის — იაკუბ-შაპისა და მისი ვეზირის — ჰეზარ დინარის მეცადინეობით ისლამის ხელში გადავიდა. შემდევ, ოსმალების გამოჩენისას. ილდირიმ ბადაზეთს ჩაუვარდა ხელში.

ციხის ჩრდილოეთით, ერთი დღის სავალის დაშორებით მდებარე სოფელ ერქექ-სუდან თუ შევტედავთ, გედივით მოჩანს. კეთილმოწყობილი, ვაშენებული ქალაქია და რადგანაც ბევრი ყურადღიანი აქვს „ანგურ“-ს<sup>4</sup> უწოდებენ. ზოგნი აბბობენ, რომ რადგანაც იმულებითი წესითაა აშენებული, „ანკარა“<sup>5</sup> ეწოდება, „თუკფე“-ს ისტორიაში ნათევამია: „მას „სელასილს“ უწოდებენ, რადგანაც ცნობილმა ჰერაკლემ, ბიზანტიის კეიისარმა, ციხეზე შეიდგამად შემოახვევინა და შეაკვრევინა 428 ჯაჭვის<sup>6</sup>. || სახელმწიფო დავთარენანაში მისი სახელწილდებაა „ანკარა“. გაუურჩევნილი ვარდის მსგავსი, მტკიცე კელლებით გარშემორტყმული, ძნელად დასაპყრობი ციხეა.

ამჟამად ანატოლიის მიწაზე მდებარე, ცალკე სანჯაყ-ბეგის მთავარი სამყოფელია. მრავალჯერ იყო ნაბოძები სამთულიანი ვეზირებისათვის ართალიქის წესით. კანონის მიხედვით, მისი ფაშის სახასო 263 400 ახჩაა. მის ლიკვაში 14 ზეამეთი და 267 თიმარია. ალაი-ბეგი, ჩერი-ბაში და ჯუზ-ბაშიები ჰყავს. ომიანობის ღრის ფაშის ჯარი ჯებელიებიანად სამი ათას მეომარს შეადგენს. თუ მირლივას ღროშის ქვეშ არ გამოტაცდა თიმარის მფლობელი, თიმარი ჩამოერთშევა და სხვას გადაეცემა. სახასოები, რომლებიც აქაურ ფაშას თავის ვილაიეთში აქვს, სასუბაშოა. ქალაქის სუბაში, მირთათის დაბლობის სასუბაშო, მაბანის დაბლობის სასუბაშო, ჩუბუქის დაბლობის სასუბაშო, ჩირბას სასუბაშო ფაშის სახასოებია და წლიური შემოსვალი ორმოც ათას ყურუშს შეადგენს. ხუთასახჩიანი ადგილია მოლასი. მოლას წლიური შემოსვალი ოცი ქისა აქვს. [ციხეს] ჰყავს: შეის ულ-ისლამი, ხუთასახჩიანი თანამდებობის ნაკიბ ულ-ეშრაფი, რომელსაც ქედერზადე ეწოდება, ყადი, რომელიც ექვსას ულემას გინაგებს; წარჩინებულები, სხვა დიდეკაცები და დიდებულები ურიცხვია. სიფაპიების ქეთსულა ჰყავთ. იანჩიჩართა სარდლის თანამდებობაზეა წელიდური იანჩიჩართა ჩაუში. მთელი მოსახლეობა ყადისა და მხედრიონის ხალხია. ქალაქის ნაიბი, ბაზრის ზედამხედველი, საბაჟოს განმგებელი, ყურანისა და ტამლის აღები ჰყავს და ცალკე საგანმგებლოა. საიჯარო თანხა წლიურად ორმოცი დუქი ახჩაა გადაწყვეტილი. ციხისთავი, აზაბების აღა, ჯებეჭიებისა და ოოფენების მეთაური და თავით ფეხებამდე შეიარაღებული მეციხოვნები ჰყავს.

თვით ციხის აღწერა: მაღალი მთის მწვერვალზე, ოთხმაგი კედებით შემოვლებული, თეთრი ქვით აშენებული, მტკიცე და მაგარი

ზღუდეა. გალავნების კედლები ერთიმეორებზე ჩადალია. ყოველ გალავანს შორის მანძილი სამას-სამასი ნაბიჯია. ყოველი კედლის სიმაღლე სამოცი არშინია. თითოეული კედლის სისქე ათ-ათი მეტრი წყრთა. ამბობენ, რომ მათი საძირკვლების ქვედა ნაწილი და გარშემო მდებარე თაღიანი ნაგებობები ცარიელია, მაგრამ მე არ მინახავს. ცარიელია იმიტომ, რომ ალყის დროს მტერი ციხეში არ შემოვიდეს და ზღუდეს ლალუში არ ჩაუჭყოს. იგი შიდა ციხის აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენაა გაჭიმული და შიდა ციხის მხარე წარმოადგენს მის იმ გვერდს, რომელიც სამხრეთისკენაა მიშვერილი. მის დასავლეთ მხარეს ერთი მეორეში გამავალი ოთხი რკინის კარია. ყოველ კარს ||შო- 429 რის გამზადებული ჰკიდია ჭაჭვებზე რკინის ცხაური. ყოველი ცხაურის რკინა მკლავის სიმსხოა. ალყის დროს ციხის კედლიდან ძირს ჩამოუშვებენ ხოლმე კარის წინ და საფარს შეჰქმნიან. ვერც ერთ ციხეში ვერ ნახავთ წითელი ქვის ისეთ მაღალ და დაბალ ზღურბლს, როგორიც აქ არის.

სულ გარეთა კარი, რომელიც ათბაზარს<sup>7</sup> გაჰყურებს, დასავლეთისკენაა მიქცეული. მაღალი გუმბათის სარტყელზე ჰკიდია წინაპარი ფალავნების გურზები, სამაგალითო თევზების ძვლები და მრავალი საკვირველი რამ. კარის მცველები დღედაღამ ყარაულობენ შიგნიდან და გარედან. ციხისთავი რომ გავიდეს, მოჰკლავენ, ან გადააუნებენ და გააძევებენ, იმიტომ, რომ ყველა მტერი ციხის ერთი ქვისათვის ათას თავს გაიღებს და დასაბყრბობად ასი ათას სიცოცხლესა და თავს გასწირავს. ით, თუნდაც ასეთი შემთხვევა: როდესაც აბაზა-ფაშა აჯანყდა არზრუშში, ამ ციხეს ას ათასი მეომრით შემოარტყა ალყა და ქვედა უბნის სიმაგრე დაიპყრო. როდესაც აბაზა-ფაშამ მოისურვა შიდა ციხისთავისაც შემოერტყა ალყა და სასახლეში ცხოვრობდა, დახელოვნებულმა მეზარბაზნემ ფრიად ზუსტად ესროლა ერთი ყუმბარა და აბაზას უკანალში მოარტყა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ დაჭრილი, დამარცხებული და გაწმილებული არზრუშში გაბრუნდა. იმ დღის აქეთ აკრძალულია, ციხისთავი ამ კარს გასცილდეს და საღმე წავიდეს. თუმცა ციხეს გარშემო თხრილი არა აქვს, მაგრამ მის ოთხსავე მხარეს ციცაბო კლდეებია. არცერთი მხრიდან არ შეიძლება მისი აღება. იოლი საქმე არ არის, რომ კაცი მიუდგეს. იმიტომ, რომ კიბე-კიბედ აგებული სულ სამას-სამოცი უბანი აქვს, რომელიც ერთი მეორეს დასცემისან და იცავენ. უცხო ყაიდისაა, გამოცდილებითა და ცოდნით დაგეგმილ-აშენებული. მის ოთხსავე წყებას ათას რეასი ქონგური აქვს. შიდა ციხის გარეშემოწერილობა ოთხი ათასი ნაბიჯია. აღმოსავლეთით, ერთ გორაკზე, რომელსაც ჰისარლევი ეწოდება, სალოცავი ადგილია. ციხეს გადმოსცერის, მაგრამ მისთვის ზიანის მიუენება არ შეუძლია,

რადგანაც ციხესა და პისარლიქს შორის მანძილი დიდი ზარბაზნის გა-  
სროლის ტოლია. ციხის ქვემო ნაწილი ჭოჭოხეთის ქვესკნელივით აღ-  
გილზე დგას და აქიდან ციხეში ასვლა ძალიან ძნელი საქმეა.

შიდა ციხეში ოთხმოცდავეჯსი დიდი და პატარა ზარბაზნია, მაგ-  
რამ „ბალემეზ“ ზარბაზნები არაა. საქმაო რაოდენობის გაბახანა, სა-  
430 ჭურველი და იარაღია აქვს. ციხეში დგას ეჭვსასი უბალო და უფენახო  
სახლი. ერთი გამე აქვს, რომელიც ძველ დროს მონასტერი ყოფილა.  
ერთი სიტყვით, ეს შიდა ციხე ისეთი ოსტატობითა და სამშენებლო ხე-  
ლოვნებით არის აგებული, რომ მისი დათვალიერება აუცილებელია.  
აჯანყებულების შიშით ჯენაბი აპელ-ფაშამ ვილაიეთის მცხოვრებ-  
ლებთან ერთად ქვედა ციხეს ერთი წყება მტკიცე კულელი მიაშენა.  
ოთხი კარი აქვს. მისი გარეშემოწერილობა ექვსი ათასი ნაბიჯია. მის  
ერთ მხარეს არის ზემო შიდა-ციხე, რომელსაც ქვედა სიმაგრე ერტყ-  
მის გარს. ამ ციხე-სიმაგრის აღმოსავლეთით, ზემო სიმაგრიდან კლდე-  
ებს შორის შეიძლება ჩასვლა ხევში, რომელსაც ჰაზირლიქი ეწყოდება.  
წყლის სადინარები აქვს. შიდა ციხეში წყლის შესანახი აუზები და  
ხორბლის ამბრებია. რადგანაც ქვედა ციხეს წყალი ბევრი აქვს, აյ ასე-  
თი აუზები აღარა. სულ ას სამოცდაათი წყარო აქვს. სამი ათასი ჭა  
არის.

სამოცდათექვეშეტი მიპრაბია. მათ შორის განთქმულია ხუროთ-  
მოძღვარ სინანის აშენებული ჯენაბი აპელ-ფაშას გამე და ჰაზირამ-  
ველის გამე. ტყვიის სახურავიანი გამები ცოტაა. თვრასერტია მიპრა-  
ბიანი დერვიშთა სავანე. ჰაზი ბაირამ-ველის სავანეში სამასზე მეტი  
დერვიშია ღვთის სიყვარულით გაბრუებულა და ალაპს მინდობილი.  
მათი შეიხი კოჭა აბდ აზ-ჩახმან-ეფენდი წმინდანად აღიარებულია და  
მისი ლოცვა ალაპის მიერ არის შესმენილი. ბაირამელთა ძმობა ჰამი-  
ლელთაგან განსხვავებული ძმობაა. რადგანაც ჰაზი ბაირამ-ველი წმინ-  
და შეიხ ჰამიდის მოწაფე იყო, დერვიშის ალყურვილობა მისგან მი-  
იღო მემკვიდრეობით. მათი პირველი ფირა იყო ზოჯა აბდ ალ-კალირ  
ალ-ჯეილანი და მასზე აღრე კი ესენი დაკავშირებული არიან მისი უწ-  
მინდესობა წინასწარმეტყველის რჩეულთა ძმობასთან. ანატოლიაში  
ბაირამელები შეიხ-ჰამიზასა და შეიხ იღრისიდან მოყიდებული ჰამიზა-  
ვრები არიან. მათ იმდენი შეიხი დაუხოცეს და შეაჩვენეს, რომ ნეშან-  
წყალიც კი აზ დარჩა მათი ჩანაბისა, ძაბუბისა, კაბა-წამოსასხამებისა.  
ალაპის შარიათის საწინააღმდეგოდ აზ უმოქმედიათ, მაგრამ მაინც  
დასდეს ბრალი. უდანაშაულოდ დასჯილი მწირები არიან აღაპისა. ან-  
დარაში მევლევრების ერთი სახლია, რომელიც წმინდა მევლანას სავა-  
ნეა და აშენებულია ჯენაბი აპელ-ფაშას მიერ. მისი სამი მხარე წარ-  
მოაღენს ვარდ-ყვავილნარის სამოთხის ბაღს.

მედრესეების შორის განთქმულია მუსტაფა-ფაშას მედრესე, თაშ ქოფრულუშ-ზადეს მედრესე, სეიფ ედ-დინის მედრესე, ქეთხულას მედრესე. მათ მოწაფეებს განსაზღვრული აქვთ საკარისი რაოდენობის საზრდო. სამი სახლია პალისების საკათხავად. || ეს ოთხოცე: სასწავლა- 431 ლებელია ყმაწვილებისათვის.

მისი აბანოებიდან განთქმულია ქვემო ციხის აბანო, სუნკურ-ოლუს აბანო, ჯენაბი აბმედ-ფაშას აბანო. ორასამდეც სასახლეების აბანოებია.

სამოცდაათი ბალ-ვენახიანი, ღიდებული სასახლე აქვს. მაგრამ [ქალაქის] ნაგებობები ქვით არაა აშენებული და ალიზის სართულებიანი სახლებია. მა ქალაქში კრამიტის სახურავიანი შენობები არაა. ანკარას ალიზი ქვაზე მაგარია. ხალხში შემდეგი ანდაზაა [გავრცელებული]: „ანკარას ალიზივით ერთ ყალიბში ჩაწყობილა“. ექვსი ათას სამოცდა-ექვსი კეთილმოწყობილი სახლია. მის სასახლეთა შორის განთქმულია ფაშის სასახლე, მოლას სასახლე, ქედერ-ზადეს სასახლე, ჩაუშ-ზადეს სასახლე და აბმედ-ფაშას სასახლე.

თუმცა ორასი სებილი აქვს, მათ შორის ყველაზე ცნობილია ჰაჯი შერავის სებილი და ჰაჯი მანსურის სებილი. ორი ათასი ღუქანი და ერთი შემკული დახურული ბაზარია, რომელიაც ოთხი ჯაჭვიანი კარის აქვს.

მისი საგავრო რიგების უმეტესობა მაღალ ადგილზე მდებარეობს. უზუნის საგავრო რიგი, სიფაძის ბაზარი და ქვემო ციხის ბაზარი ფრიად ხალხმრავალი ბაზრებია. ყავანახები და სადალაქოები ხალხით არის სავსე. სულთნის ბაზარი, უბნები და შარაგზები სუფთა, თეთრი ქვაფენილი არის მოგებული.

წარჩინებულებსა და ღიდებულებს, ულემებს, ღვთისმოსავებსა და შეიხებს, განათლებულ პოეტებს თვლა არა აქვა. ანატოლიის მიწაზე მდებარეობს და თურქულ ვილაიეთებში ირიცხება. ათასზე მეტი კეთილშობილი, მართალი, გამჭრიანი, ყურანის ზეპირად მცოდნე უცოდველი ადამიანები ჰყავს. რამდენიმე ათასმა კაცმა ზეპირად იცის ჟაზიჭი-ზადეს შეთხული წიგნი „მემედიე“. მუჭამედის მიმდევართა წიგნის<sup>8</sup> ზეპირად მცოდნე ბევრია. ბევრია ადამიანი, რომელიც სიმშევნიერით არის განთქმული. წმინდანიდ აღიარებული ჰაჯი ბაირამ-ველის შთამომავალი აბდ არ-ჩახმან-ეფენდიც წმინდანადაა აღიარებული.

ამ ქალაქის მდიდარი მოსახლეობა სიასამურის ფარაფის იცვამს; საშუალო შეძლების ხალხი — მაუდას სერპარს და კონტოშის ფარაფის; ხელოსნები — თეთრი ნაწმის ფარაფებს; ულემები შალის ფარა-

ჭებს იცვამენ. აქაურობა შალის ქვეყანაა. მათი ქალები ფერად-ფერა-დი შალის ფარაგებს იცვამენ და ფრიად მოქრძალებით დადიან.

რაღვანაც [ქალაქი] მეხუთე სარტყელშია, მისი ჰავა ზომერია და ხალცის პირის ფერი — ღაულაეა. მათი ქალები ქვეყნიერების დამამ-შვერებელი და სანაქებონი არიან.

432 || მათი საკმელები, საშელები და ხელოსნობა: ანკარას ხაში ქუ-თაპიას ხაშს უტოლდება. პილპილით შეზავებული ანკარული ბასტურ-მა და ანკარული თივთიკის თხის ხორცი კეთილსურნელვანია, რად-განაც მათი თხები მთებში დეკას ბუჩქის ფოთლებსა ჲამენ. თივთიკის თხა რძესავით თეთრია და მასავით თეთრი ქმნილება, შეიძლება, არც არის საღმე. ანკარული შალის ძაფი ამათი მატყლიდან კეთდება. თუ მა თხას მაკრატლით გაქრეჭენ, მისი ძაფი უხეში გამოდის. მაგრამ, თუ გამოაგლეჭენ, წინასწარმეტყველ იობის აბრეშუმივით ნაზი გამოვა. მაგრამ, როდესაც მე, მწირი, თხებს მატყლს ვაგლეჭდი, მათი ბლავილი ცასა სწვდებოდა. დიდმა ადამიანებმა საშუალება გამოიძებნეს იმისა-თვის, რომ მათ არ ებლავლათ. ჯერ კირსა და ნაცარს გახსნიან წყალში და თხებს დაბანენ. ყოველგვარი სიძნელის გარეშე სძვრება მატყლი და შიშველი რჩებიან. საწყალი თხები სრულიად უდეშვონი არიან. ამგვა-რად, ქსოვენ მათი ძაფის შალს. მისი ხალხის კაცისა და ქალის საქმია-ნობა ამ მატყლის დამუშავებაა.

შალი შემდეგნაირად გამოჰყავთ: დიდ ქვაბს ცეცხლზე შესდგა-მენ. შიგ სასურველი ფერის სალებავს ჩაჰურიან. ქვაბის ნახევრამდე წყალს ჩაასხამენ და ქვაბში შეკვრებად ჩაალაგებენ მატყლს. ქვაბს ხუფს დაახურავენ, გარშემო ცომს წაუსვამენ და ფიცხ ცეცხლს შეუ-აეთებენ. ქვაბში ძლიერი სიცხისაგან ორთქლი მატყლს თუთქავს და ღვთის ხელოვნებით, ისეთი ნაირ-ფერადი ძაფი გამოდის, რომ მათ და-სახატად მანისა და ბეჭიშალის ფუნჯიც კი უძლურია. ანკარისოვისაა დამახასიათებელი ამ შალის გამოყვანა. დედამიწის ზურგზე არსად არ არის ამისთანა. ფრანგებს ეს ანკარის თხები საფრანგეთში მიჰყავთ და უნდათ, რომ უნაზესი ძაფი დაართონ და მოქსოვონ შალი. ღვთის ნე-ბით, თხები ერთ წელიწადში ისეთები ხდებიან, როგორც ჩვენთვის ცნობილი, ჩვეულებრივი მატყლიანები. მათი მატყლისაგან მოქსოვი-ლი არ შეიძლება ანკარისეულივით იყოს, იმიტომ, რომ აქ არ შეუძლიათ ტალღვნება მისცენ მატყლს. კიდევ მეტიც, ანკარაში დართუ-ლი ძაფი იყიდეს, საფრანგეთში წაიღეს და თქვეს, შალს მოვქსოვთ, მაგრამ მაინც არ გამოვიდა. ბერებისათვის ახლაც ქსოვენ ვითომ ანკა-რულ შალის მსგავსს, მაგრამ არატალღვანი, შავი შალი გამოდის. ანკარის მცხოვრებლები თავისი შალის ამ თვისებას ჰავი ბაირამ-ვე-

ლის სასწაულთმოქმედებას მიაწერენ. მაგრამ, ჩემი აზრით, ამ საიდუმლოების მიზეზი ჰავისა//და ადგილის სიმშევნიერეა. 433

მუმტიზი<sup>10</sup> და ანკარის კირიც განთქმულია. მისი მოსახლეობის უმრავლესობა ზღვისა და ხმელეთის ვაჭრებია არიან. იზმირში, საფრანგეთში<sup>11</sup>, ეგვიპტეში, სერბიაში, ერთი სიტყვით, ყოველ მხარეში მოსწონთ მათი შალი და ამიტომ მოსახლეობის უმეტესობა მოგზაურობს და ვაჭრობს. მათ შორის ძალიან ბევრია სომეხი და ებრაელი.

მხოლოდ ებრაელებისათვის თორმეტი უბანია. ანატოლიის კოპტები ცოტანი არიან. ბალები ძალიან ბევრი აქვთ. სოფლები, რომლებიც მათ ველებზეა, კეთილმოწყობილია. მათი მოსახლეობა იშვიათი ბუნების, ხალისინი, მშვენიერი ყოფაქცევის, სტუმართმოყვარეები არიან. ანკარის სოფლებში უხვად არის ნათესები; სიკეთე და ბარაქა გამრავლებულია, სიმდიდრე — აურაცხელი; წყაროები და მდინარეები მოედინება. ისეთი კეთილმოწყობილი და გაშენებული ქალაქი, რომლის ციხესა და ქალაქები ბადალი არა ჰყავს. საუკუნოდ, მეორედ მოსვლამდე ოსმალების ხელში იმყოფოს ალაპმა ეს ქალაქი.

## LXXXIX

### ჩიმი პირილი სიზმარი

იმ დღეს, როდესაც მე, გულწრფელი მწირი ევლია, ანკარაში შევედი, პირდაპირ ჰაჯი ბაირამ-ველის მანათობელ აკლდამასთან მივედი და მისი მოლოცვით გავპატიოსნდი. წმინდა ხათმის კითხვას შევუდევი. ჩვენს სადგურში მოვედი, ვახშმის შემდეგ ვილოცე, ვახსენე წმინდანთა სახელები და ასე ლოცვა-ველრებაში ჩამეძინა. სიზმარში ვნახე, რომ მოვიდა ერთი შუატანის, მწითურწვერიანი, თაფლისფერი შალის ძაბებმოსილი აღამინი, რომელსაც ჩაჩრე თორმეტ ხვეულად ჰქონდა მაპმაღიანური ჩალმა და მე, მწირს, ასე მომმართა: „აბა, შვილო ჩემო! განა ღრმსეული საქციელია, როდესაც ჩემს მოწაფე სასწაულთმოქმედების მწვერავლ ბაირამ-ველისთან მიდიხარ, მე ფეხი დამადგა და ისე გიარო? ის მოილოცო, „ხათმი“ წაიკითხო და ჩემთვის ერთი „ფათი-ჰაც“ არ წარმოსთქვა?“ მე, მწირმა, განცვიურებით ვკითხე. „მოწყალეო ხელმწიფევ! თქვენ ვინა ბრძანდებით? მე თქვენ არ გიცნობთ. სად ცხოვრობთ?“ მან მიპასუხა: „ამ ცოდვილ ქვეყანაზე, მოჟიდავეთა სასწაულებელში სულთან მურად მეოთხის თანდასწრებით ფალავნებისათვის რომ ლოცულობდით, ხომ ამბობდით, „ანკარაში ერ-სულთანი წევს, რუმში სარი სალთიკი“. ამგვარად, ანკარაში რომ ერ-სულთანია, მე ვარ. ციხის ძირის სიახლოვეს, შეშის ბაზარზე ერთ უბრალო‖ 434

აკლდამაში აღმოვჩნდი. მოდი ერთი, მოილოცე და „ფათიქა“-თი გამახარე. სააქაოს და საიქიოს მხიარული და საწადელს მიღწეული იყავ. დილის ლოცვის შემდეგ ერთ კაცს გამოგიგზავნი; მე მგავს. ხელიხელ-ჩაკიდებულმა მასთან ერთად გაიარე ქალაქში, მოდი ჩემთან და მოილოცე; მშეცდობა იყოს თქვენზეო“, თქვა და გაუჩინარდა. მაშინვე გამომეღვიძა. სუფთად განვიძანე და გათენებას დაველოდე. დილის ლოცვის შემდეგ ფაშისაგან მოვიდა პირადი მსახური და მითხრა: „მობრძანდით და მიირთვით, მარხვა დამთავრდა“. მე ვუთხარი: „არა, შვილო, დღეს მარხვაა“-მეთქი და მსახური დავითხოვ.

იმავ წამს დავინახე, რომ გამოჩნდა ის ვიღაცა, რომელიც საღამოთ ვნახე სიზმარში, და მითხრა: „ევლია ჩელები თქვენა ხართ? მობრძანდით, ერდედე-სულთანმა სიზმარში თქვენთან გამომგზავნა. მისი საფლავის მოსალოცად წავიდეთო“. მაგრამ მისი სიტყვები თითქოს მიწიდან ამოდიოდა. სახეგასხივოსნებული ვინმე იყო და სიტყვის ძალა მოსდგამდა. მაშინვე ჩავიცვი ფარაჯა და ალაპის სახელის ხსენებით გარეთ გავედი. ქვეითად მივლიოდით და ასე სიარულით ქალაქში თერთმეტ ადგილს ღვთის დიდ ჭმინდანთა ადგილები მომატარა და თან მათი ვინაობა მითხრა. ზოგის შესახებ ამბობდა ჩვენი ჩირალდანიაო, ზოგის შესახებ — ჩემი, ძვირფასი ჰამიდ-ეფენდის ნაცვალიაო. ასე მოვინახულეთ და ვიარეთ. უცბად ხელი ხელში ჩამავლო. გავსინჯე და ხელში ძალი არა ჰქონდა. საითაც გადავხრილო, ცომივით იღუნებოდა. მაშინვე ხელი გაითავისუფლა, მარკვენა ხელით ერთი წმინდა ადგალი მაჩვენა და ისევ ჩამავლო ხელი. შემდეგ საიქიო ცხოვრებაზე ჩამოვაგდე სიტყვა. ვიმუსაიფეთ და როდესაც იმ ადგილს მივაღწით, რომელსაც შეშის ბაზარი ჰქივია, მოედნის დასავლეთით გამოჩნდა ერთი მცირე აკლდამა. „აი, ეს არის ერ-სულთანის აკლდამა“, მარკვენა ხელით დამანახვა. მე, მწირმა, იქითკენ გავიხედე, მერე ისევ გვერდზე მოვიხედე და ის ვიღაც გაუჩინარებულიყო! „ვაი, მიშვილეთ, მისი ხელი ხელიდან არ უნდა გამეშვა. ვაი, მიშველეთ, რა მეშველება?“ — ამას ვამბობდი და ამ დილააღრიან გაოგნებული დავდიოდი. შეიძლება ამ დაკეტილი კარით შევიდა-მეთქი, ვითქირე და მაშინვე შევედი. თურმე ბუზა-ხანე ყოფილა. ფაშის მრავალი მეგორე და მესახედრე ვინ ჩინგურს უკრავს და ვინ — ფანდურს. ერთი ისეთი აურზაურია, რომ გადმოცემა შეუძლებელია. უცბად, ერთმა დაიძახა: „ევლია ჩელები, მოდი ერთი ჩვენი ბუზა დალიეო“. „ვაიმე, დამინახეს ბუზა-ხანეში რომ 435 შემოვედი“-მეთქი და მერჩინა მიწა გამსკლომოდა!. მაშინვე ||გარეთ გამოვარდი და პირდაპირ არსლანის აკლდამასთან მივედი. კარი რომ შევაღე და შევედი, „მშეცდობა შენდა, ძვირფასო ფირო!“-მეთქი და-ვიტირე და მის დაბალ ზღურბლს ეს ჩემი ცოდვილი პირსახე გავუსვი.

„ჭოთ, ჩემო ხელმწიფევ! სიზმარში გამომეცხადე და მითხარი, რომ მართალ ლეთისნიერს გამოგიგზავნიო. დაპირება შეასრულე და გამომიგზავნე. ჯერ დარიგებაც არ მოეცა, ისე წამართვი. შენს კრჩე თაყვანისცემით მოვედი და მოვილოცე. ლეთის მეგობრის სიყვარულისათვის, მე სააქაოს და საქიოს მარტო ნუ დამტოცებ. ღმერთს პირობას ვაძლევ, რომ შენი წმინდა სულისათვის ურთ პატიოსან „ხათმის“ ჩავიყითხავ“. ესა ვთქვი და წმინდა „ხათმის“ კითხვას შეუდები. მისი წმინდა საფლავის სარკოფაზე გადაფარებული მწვანე შალის ქვეშ შევყავი თავი და წარმოვთქვი: „დამიფარე, ო, ერ-სულთანო, მფარელმყავ“. მაშინვე ჩამეძინა. ისე დავიხრჩე ოფლში, რომ გავიღუწე და ტანისამოსს გარეთ გამოვიდა სისველე. აღრე ჩემ მიერ სიზმარში ნანახი ერ-სულთანის გარეგნობისა მოვიდა და მომესალმა. მე, მწირმაც, ვუპასუხე სალაშე და ვუთხარი: „ჩემო ჩელმწიფევ, ჩემთან შენ მიერ გამოგზავნილი კაცი დავკარგე და შენს კარზე მოვცდი. უმწეოდ ნუ დამტოვებ“. მაშინვე ბრძანა: „რადგანაც ყურანის ზეპირად მცოდნე და წმინდანთა თაყვანისმცემელი ხარ, რადგანაც ალაპის წმინდანთა აკლდამებს ემთხვეო, წყალობა არ მოგესპობა. ჩვენ შენი სიყვარულით სიზმარში მოგევლინებით და შეწმე კაცს გამოგიგზავნით. მას ჩასჭიდე ხელი და ჩემთან მოდი. იმ დილას, როდესაც გითხარით, მას ხელი მოჰკიდე და ჩემთან მოდი-მეთქი, ისევ მოვედი და ხელი მოგეკიდე. მე ის სრულყოფილი მოძლვარი ვარ, რომელსაც შენი გზაზე დაყენება უნდა. დარღი ნუ გაქვს. შენი ბოლო სწორი გზის მშვიდობიანი გავლა. შენც ამ შემწესთან ერთად რომ ივლი, სწორ გზას არ გადაუსვიო, ღარჩებებისა და უმწეოების შემწყალებელ იყავ! ეცალე, ისნინ ამ მდგომარეობიდან იხსნა. შენ ფაშას კი უთხარი: ჩემ მფარელობის ქვეშ მყოფ ანკარაში არ ჩაიკეტოს და არ აჯანყდეს. ლვთის მონებს არ აწყენინოს. ღმერთმა ქვეყნიერებაზე მოგზაურობა სრულად გარეუნოს. უკანასკნელ ამოსუნთქვებისა სრული რწმენა მოგცეს. შემწედ ალაპის მოციქული გარეუნოს. სხეულის ჯანმრთელობასთან ერთად, როდესაც ქვეყნიერებას მოივლი, მცირედი ჭამე, ცოტა ილაპარაკე, ცოტა იძინე, მეცნიერებაზე ბევრი იმშავე. ჭეშმარიტების გზის შედეგის საპოვნელად საჭირო საქმეა ის, რაც ნაბრძანებია ღმერთის დიდებულ ყურანში: „მისკენ აამაღლებს სათნო სიტყვა და კეთილი საქმე“. ეს ჩემი დარიგებანი შეასრულე. ღლოცვაში შენი მშობ- 436 ლების ამაგი და ჩემი ლოცვა-კურთხევა არ დაიკიწყო. ფირებს პატივი ეცი. ღმერთმა საქმეში ხელი მოგიმართოს და კეთილი იყოს შენი დასასრული. ამ კეთილი სურვილებისათვის „ფათიქა“ წაიკითხე. მე, მწირმა, წმინდა „ფათიქა“ ჩავიყითხე და მის პატიოსან ხელებს რომ ვემბორე, აკლდამის კარმა გაიჭრიალა. „ამ აკლდამას მცველი არა

ჰყაესო?“ მომესმა ხმა. მე, მწირი, ერ-სულთანის კუბოს გადასაფარებლის ქვეშიდან გამოვდერი. ოფლში ვიყავი გაწურული. აკლდამასტან მლოცველები მოვიდნენ და მითხრეს: „თქვენ აკლდამის მცველი ხართ?“ „დიახ, გახლავართ“-მეთქი და მათთან ერთადაც მოვილოფე. გამოსამშეიდობებელი „ფათიძა“ წავიკითხე. ისევ დავკეტე კარი და ქვითინით მივედი ჩემ სადგომში. სიზმარი ფაშას ვუამბე. ფაშამ თქვა: „ლმერთო, შენ შეგვინდე. გულწრფელად ვინანიებო“ და ბრძანება გასცა ბოლუქების მეთაურების, სეკბანებისა და სარიჯაების ჯარებისათვის მიცემული საომარი მასალისა, თოვებისა და იარალის მოტანის შესახებ. „ანკარას ციხეში ჩაკეტვა და აჯანყება ამიერიდან აკრძალულია“, თქვა. ჯარს იარალი, მოწყობილობა ჩამოართვა და სიმშეიდე დამყარდა. თურმე, ფაშასაც ის დაიზმრებია ერ-სულთანის შესახებ, რაც მე ვნახე. მანაც მიამბო მე, მწირს, და ჩვენი სიზმრები ერთმანეთს დაემთხვა; თურმე, ფაშას გუნდაში ჭონია ანკარაში ჩაკეტვა და აჯანყება. მე აღთქმა დავდე, რომ ყოველდღე მოვილოცავდი ერ-სულთანისა და პაჭი ბაირამ-ველის წმინდა საფლავებს და დაწყებული წმინდა „ხათმიც“ დავასრულე.

## XC

ანკარაში დასვენებული ალაპის დიჭი მიმღენდების  
გასაცოცხებული საცლავებისა და წმიდა ადგილების ჟისახი

დიდებულთა მწვერვალი, პატიოსნების განძი, თავისი დროს დოდი ღვთისმოსავი, შეუდარებელი ღვთისმსახური, ქეშმარიტებათა მქადაგებელი, ზნეობის მასწავლებელი, ადამიანთა მოძღვარი, სრულყოფილების უმაღლესი წერტილი, ყოველთა შეიხი, სამართლიანობის მწვერვალი, ღვთიური სიბრძნის მაღანი, ღვთიურ სენაკში დამკვიდრებული შეიხი პაჭი ბაირამ-ველი — ალაპმა გაანათლის მისი მაღალი საიდუმლოებანი — დაიბადა მდინარე ჩიველის ნაპირზე მდებარე სოფელ სოლში. მისი უწმინდესობა შეიხ პამილისაგან განდეგილობის მოძღვ-  
437 რება შეითვისა და თავისი სწორი გზის მაჩვენებელი ქადაგებით || მწვერვალთა მწვერვალი გახდა. მრავალი გამოცხადება და სასწაულთმოქმედება გამოიჩინა. თუნდაც ეს: მოგზაურობისას ედირნეში მივიდა სულთან ილდირიმ ბადაზეთ-ხანთან და მისი ლოცვა-კურთხევით აშენებულ ძეველ ტაძარში, ე. ი. ესქიჯამეში მიმბარზე ავიდა. მიმბარი, საიდანაც მან ქადაგება და დარიგება წარმოთქვა, ახლაც იმ სინათლით საცსე ჯამეშია. კეშმარიტად საპარიტივსაცემი მიმბარია. ზოგი შეიხი გაკადნიერდა და იმ მაღალ მიმბარზე კეთილსამოძღვროდ. და საქადაგებლად

ავიდა. სიტყვის დაძვრა ვერ შეძლეს და ჩუმად ჩამოვიდნენ; რაღაც იქ ჯერ არ მოსულიყო ისეთი შეიხი, რომელიც ღირსი იქნებოდა დაქავებინა ეს მაღალი ადგილი. ვის შეუძლია ავიდეს იმ მიმბარზე და უშიშრად და უზრუნველად ქადაგება წარმოოქვებას; აი, ასეთი დიდი მეუფეა ბაირამ-ველი. შემდეგ, ილდირიმ ბადაზეთ-ხანის დროს, სამარადისო ქვეყანაში გაემგზავრა და დასაფლავებულია ანკარას ციხის გალავანში, ერთ სინათლით სავსე სავანეში, შემკულ და ბრწყინვალე აკლდამაში — ალაპის წყალობა იყოს მასზე.

ის, ვისი ლოცვა-ველრებაც შეისმინა ღმერთმა, სასწაულთა ნათების მცოდნე, სულიერი სრულყოფის საიდუმლოებათა აღმომჩენი, ჰეშმარიტების საიდუმლოებათა გამომჩენი, ერთი ღმერთის მაღიარებელი — უწმინდესობა შეიხი ერ-სულთანი. მისი პატიოსანი სახელია მაჰმუდი. ეს პიროვნება ანკარაში დაიბადა. მისი უწმინდესობა შეიხი პამილის შთამომავალია დედის ხაზით და მისი შეიხთაგანია. მრავალი სასწაულმოქმედება აქვს გამოჩენილი. ღიდება ღმერთს, მე, მწირსაც, მარგუნა ბედმა მისი წმინდა საფლავის ნახვა, სიზმარში გამომეცხადა და ამ წარმავალ წუთისოფელში მისი დამოძღვრით ვისარგებლე. ანკარაში, შეშის ბაზარზე პატარა, მაგრამ შესანიშნავ აკლდამაში განისვენებს. მისი საფლავი დიდეაცთა და მდაბიოთა სალიცავი აღვილია — წმინდა ჰყოს ალაპმა მისი საიდუმლოება.

მისი უწმინდესობა ჰიდირის წმინდა საფლავი ანკარის ციხის აღმოსავლეთ მხარეს, ციხის წინ აყუდებულ მაღალ მთაზეა. ქალაქის მცხოვრებთა სახეირნო და ქვეყნიერების დასანახ აღვილზე მაღალი აკლდამა, რომლის მოედნიდან მთელი ანკარის ველი ხელისგულივით მოჩანს.

შეიხი ჰუსამ ედ-დინი აჰმედ სარბანის მოადგილეა. ანკარის ციხეში რომ იყო დამწყვდეული, უბრძანებია ხვალ დილით დამმარხეთო. საპატიმროში დილით ყვითელი ქსოვილის სუდარაში განვეული. ტანგანბანილი და გასუფთავებული ნახეს. ეს ამბავი ანკარის მთელ მოსახლეობას განაციფრებს. ამჟამად შემოზღუდულ აკლდამაში ას-ვენია.

შეიხი ქათიბ სალაჰ ედ-დინი ვარსკვლავთმრიცხველობაში დიდად დახელოვნებული იყო. ანკარაში, ამათ გარდა, კიდევ ბევრი საფლავია შეერალი და მთხზეელი ულემების. შეიხებისა და ღვთისმოსეებისა, 138 მაგრამ რაღანაც მხოლოდ რამდენიმე დღე დავრჩით, ამდენის აღწერა მოვახერხეთ — ალაპის წყალობა იყოს ყველა მათზე.

შემდეგ, ის იყო ანკარიდან უნდა გავმგზავრებულიყავით, ფაშა კონკრიტისთან ერთად წავიდა. მე, მწირმა, კი იმსათვის, რომ შევმსუბურებულიყავით, ავადსახენებელი ჰაჯი ბაბასაგან მიღებული ჭორე-

ბის ერთი წყება ფაშის ერთ ქისა ყურუშიად მივყიდე, ფული მწირთ  
ცუწყალობე და დიდი სამადლო საქმე მხვდა წილად. მასიმე ტვირთი,  
პაგი ბაბას მეშვეობით ღვთის მიერ ბოძებული ნივთები ჩვენი სახ-  
ლის პატრიონს — ქედერზადე-ეფენდის მივაბარე. შვილი თავით ფხე-  
ბამდე შეიიარალებული მონისა და ერთი მსუბუქად დატვირთული ცხე-  
ნის თანხლებით დილაადრიან გავეშურე იქით, სადაც ჩვენ უნდა გა-  
დავსულიყვათ. დილის ლოცვისას დავინახეთ, რომ ქალაქში ატყადა  
აურზაური, ყვირილი, მოთქმა და გოდება. „ალაპ, ალაპის“ ყვირილი  
ცასა და მიწას აზანზარებდა. როგორც კი ვთქვი, „ეს ჩა ამბავია“—  
მეტქი, ათასობით ადამიანი ფეხზე დადგა და დაიძახეს: „ჩვენ ფაშით  
ქმაყოფილი ვართ. დანაშაული არა აქვსო“. ერთი ჭგუფი კი ამბობ-  
და: — „ფალიშაპის ბრძანებაა, ვინც ვარდართან არის დაკავშირებული,  
მეამბოხები არიან. მისი ხელქვეითი ავაზაკები არიანო“. თურქე, ხონ-  
თქრის უქნენაესი ბრძანებით კაფუჯი-ბაში მუსტაფა-ალა მოსულა ფა-  
შის მოსაკლავად ორმოცი კაფუჯით: ციხის ყველა კარი ჩაუკეტინებია  
და გზირები უყვირებია ხალხის შესაგროვებლად. ღვთის სიბრძნით,  
ფაშამ რმ ღამეს შემაძრწუნებელი და საშინელი სიზმარი რომ ნახა,  
თავისი ტანისამოსი ერთ მეუნაგირეს გაუცვალა. არაბულ ცხენზე შექ-  
რა და დაიბარა, სეიდ ბათალ-ყაზეს მამის — ჰუსეინ-ყაზეს წმინდა  
საფლავის მოსალოცად მივდივარო. ციხის კარებში გავიდა და წავი-  
და. საერთოდ, მას ასეთი ჩვეულება ჰქონდა. ეს ამოდენა ხალხი კაფუ-  
ჯი-ბაშისთან ერთად ფაშის სასახლეს მიაწყდა, მაგრამ ვერ იპოვეს. ქა-  
ლაქის შეგნით და გარეთ ისე მოჩხრიკეს, მეტი რომ არ შეიძლება,  
მაგრამ მისი ნიშან-წყალიც ვერ ნახეს. როდესაც ფაშამ ეს ამბავი შე-  
იტყო, უკვე აღარ შესულა ანკარის ციხეში და ქალაქის ჩრდილოეთით  
მივიდა ერთ ადგილას, რომელსაც ერქენ-სუ ეწოდება. იქ თავის ქეთ-  
ხუდას, ალ-აღას ერთი ქალალი მისცა და თავისი ჯარი იქ გამოითხო-  
ვა. ფაშა რომ ვერ იპოვეს, ციხის კარები გააღეს და გზირებს გმო-  
აცხადებინეს: „ვაი ფაშასა და მის ხელქვეითებს, თუ ამიერიდან ამ  
ქალაქში აღმოჩნდებიან. გამოსულია სამეფო ბრძანება იმის შესახებ,  
რომ მათ ქონება უნდა წაერთვათ და ამოწყვეტილ იქნენო“. ფაშის  
439 ყველა მომხრე და მისი თავგასული კაცები || ქალაქიდან გააძვეს. ფა-  
შის მომხრეებსაც ხელს აძლევდა ეს ამბავი. კაცმა რომ თქვას, მათ  
არც უნდოდათ მინარეთებიან ქალაქში შესვლა? მე, მწირი, კი გამო-  
ვეთხოვე სახლის პატრიონს და მას შემდეგ რაც ხელმეორედ მოვინა-  
ხულე წმინდა საფლავები, ანკარადან ჩრდილოეთისაკენ 8 საათი ვიარე  
და სოფელ ერქექ-სუს სადგურში მივედი. ანკარას ნაციეში. ორასი  
სახლი, ჯამე და შესანიშნავი ფუნდუკი აქვს. კლდოვან ალაგას გაშე-  
ნებული და კეთილმოწყობილი მუსლიმური სოფელია.

აქედაბაც ვიარეთ და დაბა ესთანოზიში მივედით.

დაბა ესთანოზის აღწერა: ანკარის ფაშის სესუბაშიოს საბრძანებელშია. აქ არის ნაპიტეს ყადი, რომელსაც ას ორმოცდათი აბჩა აქვს ჯამაგირად. მურთათის ველის ნაპიტეს საზღვრებშია ისეთ აღვილას, რომელსაც ორი მხარე ცამდე აქვს აზიდული. მდინარე აჩიქ-დერეს ნაპირზე მდებარე კეთილმოწყობილი, ათასკომლიანი დაბაა. აქ არის ჯამე, აბანო, მცირე სავაჭრო რიგი. მდინარე შუაზე ჩაუდის. ამ დაბის ორ მხარეს დიდი კარები ყოფილა. სულთან მექმედ-ხან მესამის ღრის აჯანყებულ ყარა დაზიგის კარები მოუთხრია, ქალაქი გაუმარცვავს და აუოხრებია. ეს კარები რომ შეკეთდეს, შეუძლებელია რომელიმე მხრიდან ამ დაბის დაპყრობა. იმიტომ, რომ მისი ორი მხარე წარმოადგენს მთიან, მტაცებელი ფრინველების დასაბუდებელ, ციცაბო და კლდოვან ადგილს. ამ უფსკრულში ჩახედვას ვერ გაბედავს ადამიანი. ვანის, შიბინის, მარდინის კლდეებით ქვემოთ ჩამოქცეული კლდეებია და ზოგი ლომის გამოსახულებისაა, ზოგი სპილოს სხეულიანი საშინელებისაა. ამ დაბის მოსახლეობის უმეტესობა სომხებია. ათასი დაზგა მუშაობს. მზადდება შალის ქსოვილი — „სუფი“ და „მუმეიზი“ მაგრამ, რადგანაც ხევში მდებარეობს, ძალზე ცხელი ჰავა აქვს. მშენებერი მუმეიზი გამოდის და განთქმულია. ისეთი გამოქვებულები აქვს, რომ ათასი ცხენიც რომ დაბა, ეყოფათ. ერთ ციცაბო კლდეზე ძევლთაგან შემორჩენილი, დანგრეული მცირე ციხე აქვს. ამ ქალაქში ჩვენი შესვლის დღეს ქალაქი ხალხის ზღვად იქცა. თურმე, თოქზე მრთამაშე ჯამბაზების სანახაობა ყოფილა გამართული.

## XCI

თოკზ მოთამაშე, დახელოვნებული ჯამბაზი ფალავნების სანახაობა

ორმოც წელიწადში ერთხელ ყველა ჯამბაზი იყრის თავს. ოსტატობაში გამოსაცდელად ან ამ ესთანოზის ხევში, ან ანატოლიაში გელუზის||ციხის კლდეზე საამისო მოწყობილობას აშენებენ და ჯამბა- 440 ზობენ. უსაქმო და უქნარა ხალხია. ამ ხევში მოწყობილ სანახაობასთან მივედი და ვნახე. ვიწრო ხეობაში, რომლის ციცაბო კლდეები ღრუბლებში იყო გახვეული, კლდეების წვერებზე ერთი კლდიდან მეორე კლდემდე ევროპული მაგარი თოკები იყო გაჭიმული. იმისათვის, რომ კლდეებს თოკები არ გადაეჭრა, მათ ორსავე ბოლოში ტყავები ჰქონდათ შემოხვეული. შეიარაღებული, სანდო ადამიანები დარაჯებად დაუყენებით, რათა თოკი არ გადაეჭრა მეტოქეს, როდესაც ოს-

ტავის ილეობებს ასრულებდა. კლდეების ძირას ათასობის ადამიანი იყრის თავს და ხალხით არის იქაურობა დაფარული. ქვედა ქალაქზე გამავალი მდინარის ნაპირებზე ერთი კვირით აღრე იყენებენ ქვის სკამებსა და დასაგდომებს. გაშლალ აღგილებზე კარვებს იდგამენ. ამდენი ათასი ადამიანი აწყდება სანახობას. ორ მხარეს ანკარის ფაშის მემუსიკეთა გუნდი აგრძალდა და ლოცვა-ლალადისა და ქება-დიდების შემდეგ ფალავნებმა ერთმანეთი ასპარეზზე გამოიწვიეს. მათ შორის უმთავრესმა, სკუტარელმა ჯამბაზმა სიაჲ მეჭმედ ჩელებიდ ალაპის სახელი ახსენა, ხელში თარაზო აიღო და საჭამბაზო სარბიელის თავში ჩადგა. მაპმადიანური ყივინა დასცა და იმ კლდეებში ატეხილი ძახილი — „ალაპ, ალაპ“ ცას მისწვდა. იგრიალა ლოლებმა და კოჯა მეჭმედ ჩელები ელვასავით გასრიალდა წვრილ თოკზე, რომელსაც გამოსაცდელ სახელს უწოდებდნ. გაჭიმული სახელის შუიდან თვალის დახამხამებაში ისეთნაირად შემობრუნდა, რომ მისი საწონასწორო ჯონიც შემოტრიალდა მწევრის ცხვირწინ შემობრუნებული კურდლელივით. ცველა გულშემატკივარმა გულწრფელად წამოიძახა: „ალაპი შეგეწიოს, ჰორ, ფალავანოო“. მაყურებლებმა გაოცებისაგან თითზე კბენა დაიწყეს. თურმე, ფალავანთა შორის არავინ იყო ისეთი, ვისაც შეეძლო თოკზე შემობრუნებულიყო მაშინ, როდესაც ასე ელვასავით მიჰქოდა. საბოლოოდ, სამჯერ წარმოადგინა ასეთი სიმარჯვე, ლოცვა-კურთხევით დაშვა დაბლა და თავის ჩარდაბში დადგა. მისი მსახურები მაპმადიანური შეწირულების ასალებად გამოვიდნენ და დაიწყეს ფულის მოგროვება. შემდეგ მოვიდა ბერტელი ფალავანი ჯიველექ ალი. დახელოვნებული ყოფილა. ფალავანთა მეთაურის წინ თავი მიწას შეახო და ისიც ლოცვით მივიდა საჭამბაზო მოწყობილობასთან. ცველა ფალავნის მთელი სიმარჯვე ის არის, რომ საწონასწორო ჯონი ირივე ხელით ეჭიროს და ისე იაროს. მაგრამ ამ ჯიველექ ალიმ საწონასწორო [ჯონს] წვერში მოჰკიდა მარჯვენა ხელი. მეორე ბოლო||ძირს იყო დაშვებული, და ასე ელვასავით გავიდა მეორე მხარეს. ცველა ფალავანში და მაყურებელმა ამაზეც თქვა: „ალამიანისათვას მიუღწევილი ამბავიაო“. ამგვარად რომ გავიდა ბოლოში, იქ საწონასწორო ჯონის ერთი წვერი მარცხენა ხელში დაიჭირა, მეორე ბოლო ძირს დაუშვა და უკან-უკან რომ მოდიოდა, მთელმა ხალხმა შესძახა: „ღმერთო, მშვიდობით გაიყვანეო“. უშიშრად მოვიდა უკან-უკან საბელის თავში, რასაც ხალხი მოწონებით შეხვდა. ბოძების დასამაგრებელ თოკზე თავდაყირა ჩამოცურდა და უხუცესი ჯამბაზის წინ [მიწას] ეამბორა. უხუცესმაც უთხრა: „ბარიქალა, ფალავანოო“, და გულში ჩაიკრა. ჰარიფუთელი ფალავანი შუგა საწონასწორო ჯონის გარეშე გავიდა საბელზე. ორივე ხელში პირამდე საესე ჯამები ეჭირა და ბოლო-

ში რომ გამოვიდა, ისე გადმოფრინდა დაქეილული თოკიდან ჭამებიანად, რომ ყველა მაყურებელმა თანაგრძნობით ამოიგმინა: „ოჰ, ფალავანონ“. მაღალი ღმერთის ნებით, არამც თუ სხეული არ დაზიანებია, ორთავ ხელში რომ ჭამები ეჭირა, ისინიც კი არ დამსხვეულან. ისეთი ოსტატობით გადმოფრინდა, რომ ყველა მაყურებელი გაოცებული დარჩა. უხუცესის წინაშე დაეშვა, ხელის ზურგი მიწაზე დაპყრო. უხუცესმა უთხრა: „ათასი ვაშა, ფალავანო შუჯაო!“ და ხელზე აკოცა. თოკათელი ფალავანი ჰასან ზარილი ინდოეთის მმჩრდებლის წინაშეც წარმდგარა თავისი ხელოვნებით; სამოცდაათ წელს მიღწეული მოხუცი, დარბაისელი ადამიანი, დახელოვნებული და განსწავლული ემთხვია ხელზე უხუცესს. ფეხზე ყუბაღური ფეხსაცმელი ეცვა, თავზე მოხვეულ მოოქროვილ დოლაბაზზე წყლით სავსე ჭამი ედო, მხრებზე წითელი შალის ფარაჯა ჰქონდა წამოსხმული და ხელში საწონასწორო ჭოხი რომ არ ჰქონდა, ფარაჯის ორი კალთა უწევდა მის მაგივრობას. ასე გაიარა და გამობრუნდა. მაყურებლებს ჭკუა დააკარგინა. ქერქერელმა ფალავანმა სოპრაბმა კი ისე გაიარა, რომ ფეხზე ქალის მაღალებუსლიანი ქოშები ეცვა, მხარზე ხბო შემოესვა, თუმცა ხელში საწონასწორო ჭოხი კი ეჭირა. ქალის ჭუსლებით ასეთ წვრილ თოკზე გავლა, ჭეშმარატად, გმირობაა. მაღრიბელ ფალავანს თვალები ახვეული ჰქონდა, მხარზე შედებულ დოლს უკრავდა, ხელში საწონასწორო ჭოხი ეჭირა და ისე გავიდა. არაბქირელ ფალავან სელიმს საფალავნო ტანასცმელს გარდა არაფერი ემოსა. ხელში თითო ჩახმახიანი ხელთოფა ეჭირა და სროლით გავიდა; გაღმა თოფები გატენა და უკან რომ გამობრუნდა, ისევ სროლით გამოვიდა. ჭერბელი ფალავანი ნასრედინი თავისი კულულებით ჩამოეკიდა თოკზე. ხელში 442 საზამთროსავით მრგვალი რაღაც ეჭირა, მას თოკით ბზრიალასიერ ატრიალებდა და ფალავნის ქოჩორზე მიბმული რგოლი თოკზე მისრიალებდა ქოჩით დაკიდებული ფალავნიანად. ძაგრამ არც საწონასწორო ჭოხი ჰქონდა და არც ფეხები ედგა თოკზე. ასე თმებით დაკიდებული, იმ მრგვალი ნივთის ტრიალით გავიდა გაღმა. ამ საიდუმლოებას ერცერთი სულიერის გონება ვერ ჩასწვდა. უხუცესი ჭამბაზის შეგირდი, გალათელი ფალავანი თეზკაუან სულეიმანი საგანგებო ტანსაცმლით წარსდგა უხუცესის წინაშე. თან მოიტანა ოთხკუთხა ზანდუკი და ხალხს დაანახვა. ხის ზანდუკი იყო, შივნიდან ქალალდგაქრული და სრულიად ცარიელი. ის ზანდუკი რკინის რგოლით საჭამბაზო თოკს ჩამოჰკიდა, თვითონ ზანდუკში ჩაძვრა და გაქრა. ზანდუკი თოკზე დაკიდებული დარჩა. დავინახეთ, რომ ზანდუკი ელვასავით წავიდა, გაღმა მხარეს გავიდა და დაბრუნდა. ფალავანი სულეიმანი გამოვიდა,

უზუცესის წინაშე წარსდგა და მიესალმა. ამასაც ვერ მისწვდა გონება ასახსნელად. ერთი სიტყვით, სამი ღლე-ღმის განმავლობაში სამოცდა-თექვსმეტმა ოსტატმა ჯამბაზმა წარმოადგინა თავისი სიმარჯვე. ყველა მათგანი რომ აღწერო, ჯამბაზების მეხოტბე გავხდები. ჩვენი სურვილია, მხოლოდ ცოტაოდენით დაქმაყოფილება. ამათ შემდეგ, მათი სამასამდე შეგირდი გამოიყვანეს ცალკე და ავარჯიშეს. სამ ღლეში მთელი მოსახლეობიდან და დაბის სომხებისაგან ექვესასი შალი მიიღეს გასმრჯელოდ. ჩვენი ბატონი ფაშისაგანაც ერთი ქისა ყურუში მიიღეს წყალობად. მორჩია და გათავდა.

ამ დაბაში ასეთ სანახობათა შემდეგ ჯამათისაგან კაციშვილი არ დარჩენილა და სიმჭიდე რომ იყო ღმენიდრებული, ფაშის კარზე ერთი აურჩაური ატყდა. თურმე ფაშისათვის შეუტყობინებით სტამ-ბოლიდან ერთ-ერთი კაფუჯი-ბაშის მოსვლა ოცი კაფუჯითურთ. მთელი ჯარი წყებებად განლაგდა და კაფუჯი-ბაში ფაშამ მოიხმო. ისიც ღმერჩს ასიათასჯერ შეეველრა შემწეობას, შევიდა და მიწას ემთხვია. სხვა კაფუჯიები ყველანი გარეთ დარჩენი. კაფუჯი-ბაში ფაშასთან მარტოდმარტო დარჩია იმიტომ, რომ ჭკუის საჭავლებული გაკვეთილი უკვე მიღებული იყო ბებერ კაფუჯისაგან, რომელიც ჩორუშში თავს დაესხა ფაშას. შემდეგ კაფუჯი-ბაში ბრძანებები გადასცა ფაშის კაფუჯიების ქეთხულა ალი-ალას.

443 ॥ თურმე, პეზარფარე აპმედ-ფაშას სულთნის შემდეგი ფირმანი გამოუგზავნია: „ჩემო პატიცუმეულო ვეზიჩო მექმედ-ფაშა, როდესაც ჩემი ბრძანება მოგივა. ერთ წამსაც არ დააყოვნო, არზრუმისა და ყარსის ვილაიეთი შენ გიბოძე. რაღანაც იმ მხარეებში ირანის აჯან-ყებამ და მღელვარებამ იჩინა თავი, გაღაუდებელი საჭიროებაა იმ საზღვრებისაკენ წასვლა. მძიმე ბარგი დატოვე, ჭენებით იარე და ყარ-სის ვილაიეთში ჩაღი. იქ მართვა-გმენება აიღე ხელში და ჩემს პა-ტიოსან ალამს ენდე“. მას შემჯევ, რაც ფალიშაპის ეს ფირმანი წა-კითხულ იქნა. „რას იზამ, ფალიშაპის ნებააო“, თქვა ფაშამ. უმაღ-ალას ერთი ქისა ყურუშში ჰისტა; უბრძანა, სასწრაფოდ წავიდნენ რაზ-მებით და გაგზავნა. ფაშა ბრძანებას არ დაემორჩილა და ბრძანება გა-მოვიდა ესთანოზიდან მურთათის ველისაკენ გამგზავრების შესახებ. ამ დროს ვარდარ ალი-ფაშასგან მეგობრული წერილებით მოვიდა მი-სი კაფუჯი-ბაში მელანლი პუსეინ-ალა. წერილის შინაარსი შემდეგი იყო: „პოი, ჩემი კეთილისმყოფელის შეილო, ჩემო ხელიწითევ! გავი-გეთ, რომ მას შემდეგ, რაც არზრუმიდან გადაგაყენეს, ამ სუსხიან ზამთარში მრავალი ხიფათი გამოგივლია. გზის სიძნელეს რომ განიც-დიდი, კიზილ ირმაკის ფონზე უამრავი საქონელი და აღამიანები დაგ-

ხრჩობიათ. ღვთის განგებაა. ოღონდ თქვენ იყავით ჭანმრთელად. ღმერთმა ქნას, რომ უახლოეს ხანში გამჩენი შემწედ გაგიხდეს და აგინაზღაუროს“.

## XCII

ჩვენი ზავლა თოკატში მყოფ ვარდარ ალი-ფაშასთან

ჩვენი ბედნიერი ბატონისაგან წერილები მივიღე და ესთანოზინდან გავედით. გავიარეთ ანკარა, პუსეინ-ყაზი, ბალიქ-ჰისარი და სოფელ სარი ალმში საქონელს ვაჭამეთ. აქედან გავიარეთ დაბა კალეჭიქი, შეის შამი, აქაყოცხუნლუ და კურთლარი. კინილ ირმაკზე მშვიდობით გადავედით და სადგურ ყარაქეჩილიში გავჩერდით. აქ გავიგე, რომ ვარდარ ალი-ფაშა თურქალის ციხილან გასულიყო. ერთი დღის სავალი ქენებით გავიარეთ აღმოსავლეთისაკენ და ალი-ფაშა მოვნახეთ სოფელ ქერქირაზში, რომელიც ამასის სიახლოეს მდებარეობს. ამ უსასრულო ველზე ალი-ფაშა ორმოცი-ორმოცდაათიათასიანი ჭარით დაბანაკებულიყო და მთელი ის არქ-მარე ||კარვებით შეემკო. მე, მწი- 444 რი, როგორც წესია, პირველად მის ქეთხუდასთან მივედი და მოველაპარაკე. ამის შემდეგ ფაშის კარავთან მიგვიყვანა. მისი კარავი სოლომონის მეფურ კარავს წარმოადგენს, რომელსაც ათასობით სექბანები და სარიჯაბი წყება-წყებად შემორტყმიან გარს და თავით ფეხებამდე შეიარაღებულნი გამზადებული დანან. როდესაც მე, მწირი, ფაშას მივეხალე, კაპარჭი და ხმალი მოვისენი, ფეხყრეფით წარვდეჭი მის წინაშე და მიწას ვემთხვიე. წერილი გადავეცი და მოვახსენე: „თქვენმა „შვილმა“ დავთარდარ ზაღე მეჰმედ-ფაშამ სალამი შემოგითვალით და ეს წერილი გამოგიგზავნათ“-მეთქი. „მობრძანდი, კეთილი იყოს შენი მოსვლა, დაჯებიო“, რომ მითხრა, კვლავ ვეამბორე კალთაზე და მოქრძალებით დავგეჭი. დამაცქერდა და მითხრა: „ბიჭოს, შენ ჰაფიზი ევლია ჩელები არა ხარ, ადა სოფიას ჭამეში „განგების ღამეს“! რვა საათში ზეპირად რომ წაიკითხე წმინდა ხათძი? სულთან მურად-ხან მეოთხემ — ღვთის წყალობა და ცხონება იყოს მასზე — თავის სასახლეში არ წაგიუვანა და ქილარლი არ გაგხადა?“ ეს რომ მითხრა, მე, მწირმა, მივუგე: „დიახ, ჩემო ხელმწიფევ, სულთან მურად-ხანის მეჩირალდნე ვარ“. „შენ ახლა ჩემ „შვილ“ ფაშასთან რა სამსახურში ხარო?“, — მეითხა. „ღმერთმა იცის, არზრუმისაკენ რომ მივღიოდით, მუედინ-ბაში ვიყავი. არზრუმში საბაქოს ჭათიბობა მიწყალობა. სამჯერ გამაგზავნა ირანისაკენ. ამეამად იმამად ვემსახურები, თან მისი თანამემუსაიფე და დახლოვებული ვარ. რაღანაც მისი განსვენებული მა-

მის დროიდან მოყოლებული ერთად ვართ, მისი მესაიდუმლე ვარ. ამიტომ გამომგზავნა მე, მწირი, ჩემს ხელმწიფესთან“. „კეთილი იყოს შენი მობრძანება“, თქვა და ყველა მსახური დაითხოვა. ფაშა და მე, მწირი, მარტონი დაგრჩით. ამგვარად შევუდექით მუსაიცს:

ალი-ფაშამ თქვა: „ახლა ჩემი „შვილი“ — ფაშა სად დასტოვე?“ მე, მწირმა, ვუპასუხე: „ჩემო ხელმწიფევ, მე ის დავტოვე ანკარას ჩრდილოეთით, ორი დღის სავალზე, ესთანოზეს ციხეში. თქვენ გელოდებათ, თქვენ კეთილშობილებავ და იქიდან აპირებს ქანგირისაკენ წასვლას, რადგანაც იქაურობა დავლის ასალები ადგილებია. იქ ზამთრის სუსტი გასულია და გაზაფხული დგას. იქ ელოდება თქვენ მისვლას, მოწყალეო ხელმწიფევ. მა წერილის პარუსს გთხოვთ. თუ ალაპმა ინება, თქვენი მონა-მორჩილი, დილით ისევ წავალ თქვენი მარგალიტებით სავსე საპასუხო წერილით. კეთილინებეთ და წერილებს გადახედეთ“—მეტე.

4:15 ॥ფაშამ ბრძანება გასცა: „სასწრაფოდ დამიძახეთ დივანის გამგე ჰალილ-ეფენდისათ“. ჰალილ-ეფენდი მოვიდა და წერილი ჩუმად წაუკითხა. ფაშამ მისი შინაარსი რომ გაიგო, გაიხარა და მომმართა: „ბიჭის, ევლია ჩელები, რა ბევრი ჯარია, ჰა! აფსუს, ამოდენა ჯარით რატომ არ ჩაიკეტეთ ანკარაშით“. სიხარულისაგან ჯარავში მიდი-მოდიოდა და მე, მწირს, მიწყალობა ასი ოქრო, ერთი მარჯნის კრიალოსანი, ჰატიოსანი თველებით შემყული საათი და ხაზინადარი გააფრთხილა: „შენი სტუმარია, კარგი ჰატივი ეცი და ერთი ხელი ტანისამოსი უბოძეო“. მე, მწირს, მაშინვე ჩამაცვეს საპატიო ტანისამოსი და სიასამურის ქურქი; სტუმრად დაგრჩი. იმ დღეს ამბავი მოვიდა კონაგრისაგან: „ქრონულუჟ მეჭმედ-ფაშასა და შვიდ ბეგლარბეგს ოსმანჭიქის ხედა და სარმაშიქლი კადას ვიწროები დაუკავებიათ, სანგრები გაუთხრიათ და ცოცაბო კლდეებზე დიდი ქვები დაუგროვებიათო. იმ მხარეს ჩიტიც ვერ გადაფრინდებათ. ამასის ფაშასაც დირექტიბელი გაუმაგრებია და სოფლების მთელი გლეხობა აუყრია. აქ ადამიანიშვილის კვალიც არ დარჩენილაო“. ეს ამბავი რომ მოვიდა, ვარდარ ალი-ფაშამ სადავე კიზილი ირმაკისაკენ მიუშვა და რაზმები გაგზავნა.

დაბა ქერქიანედან 7 საათში დანისკას სადგურში ჩავედით; იქიდან 5 საათში — სოფელ ბარდაკჩიში და იქიდან — კიზილ ირმაკის სადგურში. აქ ერთი ლამე გავათიერ და მეორე დილიდან ერთ დღეში ჯარი ადვილად გადავიდა მდინარეზე. აქ ფაშამ მდინარეზე გადასასვლელად ერთი კარგი არაბული ცხენი მიწყალობა მე, მწირს. ასე გადავედით მასთან ერთად მდინარეზე და სოფელ აირიქში დავისადგურეთ. სხვადასხვა მხარეს დაიგზავნენ ყარაულები; გარდა ამისა, ურმებით სურ-სათი იყიდეს. რადგანაც ეს სოფელი კიზილ ირმაკის ჩრდილოეთით მდე-

ბარეობს, ქანგირის საბრძანებელშია. ასკომლიანი დიდი სოფელია. ერთი ჯამე აქვს. იქიდან გზა განვაგრძეთ და მოვედით მეტმედ შაპ-დე-დეს ჯამესთან, რომელიც წმინდა სალოცავი აღილდა. იგი დადი სავანეა და დღე-ლამ აქ საზრდო არ გამოილევა. იქ დასაფლავებული წმინდანი მეტმედ-დედე ფაშასთან ერთად მოვინახულეთ. ფაშის ისეთი სრული რწმენა და მწუხარება ვნახე ამ წმინდანისაღმი, რომ ლვის წმინდანების ასეთი მორწმუნები ჩვეულებრივი მოქადაგებიც არ იყვნენ. აქაურ სავანეში მცხოვრები მუსტაფა-დედე ამ წმინდანის შთამომავალია. სწავლული, გათვითცნობიერებული, კრგი მოსაუბრე, კეთილი, ॥აღამიანთა შორის მშვენიერი, პატივცემული პიროვნება იყო. 446 ვარდარ ალი-ფაშას უდიდესი პატივი სცა და ისეთი მაპმაღიანური სუფრა გაუჭიმა, მიუხედავად იმისა, რომ დილიდან სამხრამდე მთელი ჯარი ჭამდა, მათი სინები ისევ ძვირფასი საჭმელებით იყო სავსე. შეიხი ყოველ წელს თითო ცხენს სწირავს მსხვერპლად და სავანის სანახებში არწივებს აქმევს. არწივებსაც, თურმე, წლის მიწურულამდე არა სჭირდებათ არაფრის ჭამა. შეიხი ნაღირობის მოყვარული აღამიანია. შევარდნის მაგივრად არწივს გეშავს და თუ ნაღირი დაინახა, დაუტევს. ამ წმინდანის სასწაულმოქმედების შედეგია ის, რომ არწივები ყველა გარეულ ცხოველზე ნაღირობენ.

აქედან ავიყარენით ჯა კიზილ ირმაკის ნაპირ-ნაპირ ორი საათი რომ ვიარეთ, სოფელ დურდუქში მივედით. კიზილ ირმაკის ნაპირზე, ქანგირის მიწაზე ორასკომლიანი, კეთილმოწყობილი სოფელია და ჯამე აქვს. ამ სოფლისაკენ რომ მივდიოდით, ვარდარ ალი-ფაშას ჯარი დავინახეთ. აურაცხელი, სხვადასხვა კუთხიდან ნაჩქარევად შეგროვილი ჯარია. ჰო, ანი არიან მისი სამოცდაათი საღროშო სარიჯაები და ოცი საღროშო სექტანგები! თურმე, ფაშა სარიჯაების იარაღითაა აღჭურვილი და მათ უწევს სამსახურს. აღთქმა დაუდვიათ, [ფაშისთვის] დავიხოცებით. მისი სული და გულია ოცდაათი საღროშო მოხალისე თათართა ჯარი. ფრიად ერთგული, მართალი, გულადი ვაუკაცები არიან. მათი კაფუჯი-ბაშიები ყურადღებით შევათვალიერე. მართლაც, რომ უმწივესობი და რჩეული, ჯავშან-იარაღში ჩამჯდარი იყვნენ. საშასამდე იჩ-ალა ჰყავდა. ყოველი მათგანი გამოჩენილი და გულადი ვაუკაცი იყო. თანაც, მის ხაზინაღარს ორმოცი ღულამი ჰყავდა. ფაშის ყველაზე საყვარელი ბეგი-ეფენდის ორმოცი რჩეული ღულამი კიდევ სხვა იყო. გარდა ამისა, ფაშას თავისი [ღულამები] ჰყავდა. ამ სოფელში მოვინახულე ჰუსამ-ეფენდი.

აქედან ავიყარენით, 3 საათი ვიარეთ და მივედით კუმ-ბაბას სავანეში. კიზილ ირმაკის ნაპირზე და ქანგირის მიწაზე ორასკომლიანი, კეთილმოწყობილი სოფელია. ჯამე აქვს. აქაც ისევ ალი-ფაშასთან ერ-

თაღ] კუმ-ბაბას წმინდა საფლავის სანახავად წეველით. ალი-ფაშა მწუ-ხარებას მიეცა, მოთქვამდა და ლოცულობდა: „ლმერთო ჩემო, გან-კითხვის დღეს მე და სხვა შენს მონებს ნუ წარგვწყმედ, უკანასკნელი ამოსუნთქვისას შეგვიწყალე“. სავანის მწირებს შესაწირავი უწყალობა.

აქედან ვიარეთ და ჩრდილოეთიდან რომ შეველით ქანგირის მიწა-ზე — თურქმან ქესქინის საზღვრებში, მე, მწირი, ფაშას ვეახლე და მო-ვასესნე: „ჩემო ხელმწიფეო, მე, მწირს, წერილები მიბოძეთ და გამი-<sup>447</sup> სტუმრეთ, || თქვენი „შვილი“ ფაშა თქვენ მჭერმეტყველურ წერილს ელოდება“-მეთქი. ეს რომ ვუთხარი, რაღაც იგი ბოსნიელი იყო, ლექსად წამლერა: „შვილო ჩემო, რამდენიმე დღე მოითმინე. ვნახოთ, რას გვიჩვენებს ღროის სარკე<sup>2</sup>. მე, მწირიც, იძულებული გავხდი დავ-თანხმებულიყავი და კიდევ რამდენიმე დღე მოვიცადე. „ჩემო ხელმწი-ფევ, ამ თქვენი მონა-მორჩილს წერილი მიბოძეთ და თქვენს „შვილ“ ფაშასთან გამაგზავნება“-მეთქი ვუთხარი. ფაშა მაყად თქვა: „ხომ ნახე, ჩემო ევლია, მტრის ამოდენა ჭარი ერთი შეტევით გავფანტე და გავ-ნაღღურე. მრავალი ვეზირი ჭაშვებით დავბორკე და თრევა-თრევრო წა-მოვიყვანე“: მე, მწირმა, ვუთხარი: „ჩემო ხელმწიფევ! თქვენ რომ კე-თილმოწყალეობა გამოიჩინოთ და რამდენიმე მათგანი გაათავისუფ-ლოთ, მაღალი ღმერთი მრავალ ძნელ საქმეს შეგიმსუბუქებთ. ის დამ-ნაშავეები მაჰმადის ხალხია. ამ წუთისოფლის ამბავი ასეთია; იმისა-თვის, რომ პირველობა ჩაიგდონ ხელში და ერთიმეორე დაიმორჩილონ, როგორც წესი, ბეგები და ფაშები ერთმანეთის წინააღმდეგ ილაშქრე-ბენ და იპრეგიან. შეწყნარება გმართებთ იმიტომ, რომ ჩვენი წინასწარ-მეტყველის მიერ — მშვიდობა იყოს მასზე — ნაბრძანებია: „ალაპო, კეშმარიტად ხარ შენდობა და გიყვარს შენდობა და შემინდე მე, ო, მიმ-ტევებელო<sup>3</sup>.

არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია მასზე [ჩემს სიტყვებს] და ერთი კაციც არ გაუთავისუფლებია. ამპარტავნულად მოჰყვა ტრა-ბახს: „მოითმინე, ხუთი-ათი დღის შემდეგ ნახავ! ჭერ ჩემი „შვილი“ ქუ-ჩუქ ჩაუშ-ფაშა, იბშირ-ფაშა, შაჰსუერ-ოლლუ, შაჰკამინი-ფაშა და კი-დევ მრავალი „შვილი“ მოვიდნენ; კიდევ რა საქმეებს ჩავიდნო“. მე, მწირმა, ვუთხარი: „ჩემო ხელმწიფევ, ჩვენი წერილები დაწერეთ, რომ თქვენი „შვილი“ — ჩვენი ბატონი ფაშაც მოვიდეს თქვენს ჭარში“-მეთქი. „ამიერიდან საქმე გათავდა. მისი მოსკლა საჭირო აღარ არის. თუ თავისი სურვილით მოვა, კეთილი იყოს მისი მობრძანებაო“. ვარ-დარ [ალი-ფაშა] სულთნის სასახლეში გაზრდილი, წარმოშობით ბოს-ნიელი, გულუბრყვილო, ხეპრე ადამიანი იყო ცბიერებასა და ვერაგო-ბას მოქლებული: ზურგს უკან ავის თქმა, სიცრუე, ცილისწამება და

სხვა სიავე რა იყო, არ იცოდა. სხვა ვეზირთა შორის ყველაზე შეტად მტერზე თავდამსხმელი ეს ვარდარი იყო. რადგანაც მეტად მიამიტი იყო, რაც ითქმოდა, სჯეროდა. ბჭობასა და თათბირზე მუღამ იმას უჯერებდა, ვინც ცუდს ურჩევდა. ერთი სიტყვით, აღზევებისაკენ სწრაფვით, თავგარინობითა და პეტუის სიმცირით განთქმული იყო. ღვთის სიბრძნით, იმ დღეს იბშირ-ფაშასა და ქუჩუქ ჩაუშ-ფაშასაგან წერილები მოვიდა. სიხარულისაგან იცეკვა. — „აი, ჩემი „შვილი“ იბშირი მოდის. შენმა ფაშამ იმაზე რაებიშვირა? ასე, რომ, აიღე ეს წერილები და 448 შენ ფაშას წაულეო“, — მითხრა და ფაშებისაგან მოსული წერილები მომცა. ერთი ქისა ყურადში, ქრფრულებს ქონებიდან ერთი ქეპელანის ჯიშის ცხენი და ერთი ქართველი ბიჭი მიწყალობა. მე, მწირი, სოფელ ჟუზ-ოლლანდიან ჩრდილოეთისაკენ გავეშურე. სამი ღლის კენებით ანკარა ხელმარჯვნივ მოვიტოვე და მურთათის დაბლობზე, ერთ ვრცელ ვალზე ჩვენ ბატონ ფაშას შეეხდი. ფაშამ მითხრა: „ოო, ჩემო ევლია! კეთილი იყოს შენი მოსვლა, მაგრამ რა დიღხანს დაყოვნდიო“. მე, მწირმა, ჩემი თავგადასავალი თავიდან ბოლომდე ვუამბე. გაოცებით გაიღიმა და ოქვა: „მაღლ ნახავო“. ვარდარის წერილი წაიკითხა, რისგის ნაპერშეკალი დაკვესა და შესძახა: „ნახავ, წყეულო და სულელო ჭუჭავ!“ შემდეგ ვარდარისადმი იბშირის მიერ მიწერილი წერილის კითხვა სიცილით დასრულა. წერილი გადმომიგდო და „ერთი ნახეო“, მითხრა. მე, მწირმაც, წავიკითხე იბშირის წერილი. ისეთი ლაქუცით, ხვეწნა-მუდარით იყო დაწერილი, რომ მნახველსა და წმქითხველს ეგონებოდა, იბშირი ვარდარის მონააო. „მათ შესახებ დიდსულოვანმა ფაშამ თქვა: „ჩვენ მის ლანძღვა-გინების წერილს ყურადღებას ნუ მივაჟევთ და თავი მეგობრად მოვაჩვენოთო“. დილადრინ წავედი. ჭენებით ვიარე და დაბა ჩერქესის ახლოს ზღვა ლაშქრით დაბანკებულ ვარდარ ალი-ფაშასთან მივედი. პირველად ქეთხუდას კარავთან. მივედი. იქედან ფაშასთან წამიყვანეს. მე რომ დამინახა, თქვა: „ოო, ჩემო ევლია, მალე მობრუნდი!“ „ჩემო ხელმწიფევი! ერთი საქმე გამოჩნდა. მე, თქვენი მონა-მორჩილი, თქვენმა პატივისმცემელმა „შვილმა“ — ფაშამ გამომგზავნა!—მეთქი ვუთხარი და წერილებთან ერთად სულთნის. ფირმანი გადავეცი. ნიქსარელ ჰალილ-ეფენდის საიდუმლოდ წაიკითხა და მე თავის კარავში წამიყვანა. სტამბოლიდან მასთან მოსული საიდუმლო წერილები წინ დამიყარა. ყველა წერილი ალი-ფაშს სტამბოლში იქვევდა. „შვილო, რაც მომივა — სტამბოლისკენ წავალო“, მითხრა. მეც ვუთხარი: „ჩემო ხელმწიფევი, თქვენ წერილი მომეცით და ოქვენ „შვილ“ ფაშას წავუღდება!—მეთქი. ამის პასუხად ფაშამ მდივანმწიფინგობართა უფროსს წერილები დაწერინა და მე, მწირს, სამასი ოქრო, ერთი საათი და სამი დარაბტული ჯორი მიწყალობა. სამი მოხაც ქრფრულუშ

შემომარის ქონებიდან მომტა. ეს ნაწყალობეცი ნივთები ჩავაბარე  
ყადი ნესიმზ-ეფენდის, რომელსაც აქ ვტოვებდით. ისევ კარავში მოვე-  
449 დი. რომ გავიარ-გამოვიარე, ქოლერულუ მეჭმელ-ფაშას||შევხვდი. მივე-  
ახლე, პატიოსან ხელზე ვეამბორე და მოვიყითხე. „ოო, შეილო, პაზიზ  
ევლია, კეთილი იყოს შენი მობრძანებაო“, მითხრა და ჩვენი ბატონი  
ფაშის ამბავი მყითხა. „ეხლა ათიათასიანი ჯარით ქანგირის მხარეს და-  
ხეტიალობს“-მეთქი. ამ დროს ერთი იჩოლანი მოვიდა და მითხა: „მობრძანდით, ჩვენი ბატონი გეხახითო“. შევედი ფაშის კარავში. „წე-  
რილები მიიღოო?“ — მკითხა. „არა, არ მიმილია“-მეთქი. „საქართველო  
მოიტანეთ წერილებით“, რომ თქვა, ფაშის კაფუჯიების ქეთხუდა შემო-  
ვიდა და მოხსენა: „მოწყალეო ხელმწიფევ, იბშირ-ფაშასაგან კაცი მო-  
ვიდა და მისი დროშები გამოჩნდაო“. ფაშამ ბრძანა: „ხვალ უნდა მო-  
სულიყო! რას იზამ, კეთილი იყოს მისი მოსვლა. ჩქარა, ჩემი მეორე  
კარავი კარგად მოაწყვეთ. მათაც კარვები მდელოზე დაუდგით! საშმელი  
მოუმზადეთ! მისი ქეთხუდა ჩვენ ქეთხუდასთან დაბინავდეს და მისი კა-  
ფუჯიების ქეთხუდა — შენთან“. თავის ქეთხუდას კი უთხრა: „შენ და  
ყველა აღა შესხედით ცხენებზე და შესახვედრად გაემართეთ იმ ადგი-  
ლამდე, რა მანძილის გავლასაც მოასწრებთ. მე კი ჩვენი ბანაკის  
ბოლოს შევეგებები ცხენითო“. ცხენის მომზადების შესახებ განკარ-  
გულება გასცა და ხმლის შემორტყმას შეუდგა. შეფიქრიანებული  
დადიოდა კარავში და მითხრა: „ევლია, იბშირ-ფაშას იცნობო? —  
დიახ, ვიცნობ“-მეთქი, უუპასუხე. [ფაშამ] მითხრა: „რახან ასეა, მოიცა-  
დე, ჩემ „შვილ“ იბშირს შეხვდი. ზოგი რამ თქვენს შესახებ სათქმე-  
ლი მაქეს. იმშენ მოვილაპარაკოთ და ვითაბიროთ. რაც გაირკვევა,  
იმის მიხედვით დავწეროთ წერილები. იბშირსაც გამოვართვათ წერი-  
ლი. შემდეგ წახვალო“. კარვიდან გავიდა და სკამზე ჩამოჯდა. ჯარის  
ჩაუშებმა დაიძახეს: „მისი აღმატებულება იბშირის აღები თქვენს  
კარავებში დააბინავეთო“. ვარდარის ქეთხუდა მდინარე ჩერქესის  
გაღმა გავიდა ჯარით და ქვეითად წავიდნენ შესახვედრად. აქეთა ნა-  
პირზე მსახურები საჭმელს, ყავასა და სხვა სანოვაგეს ამზადებდნენ. მეც  
450 გარეთ გამოვედი, ჩემი ორი მონის თანხლებით ცხენზე შევაქერი  
და ველოდებოდი, რომ იბშირ-ფაშას შესახვედრად ალი-ფაშასთან ერ-  
თად წავსულიყავი. მინდოდა ნამდვილად გამეგო, თუ როგორ მოექ-  
ცეოდა იბშირი ვარდარს. ჯერ შეიღი მხერიდან ნელ-ნელა გამოჩნდა  
ჯარი. მეწინავეთა ჯარმა თავისი დროშა გამოაჩინა. მეწინავეთა ჯარს  
შევხედე. ერთი ძალიან წვრილი, გრძელი ალამივით||თეთრი ბაირა-  
ლით მოდის წინ. ეს იყო, რომ ყველანი შეჯგუფული მოდიოდნენ, „ეს  
რა ბაირალია“-მეთქი ვკითხე ერთ მხედარს და „შაჰსუვარ-ოდლუ ყა-  
ზი-ბეის ბაირალია“, მიპასუხა. მე, მწირმა, უუთხარი: „შვილი, აქეთ

რომ ჯარი მოდის, ჯერ მეწინავე რაზმი გამოაჩინა. შემდევ შვილ ადგილას დასცხეს მემუსიკებმა საომარი ჰანგები და გამოჩნდა გვერდითი ჯარები“-მეთქი. „არაფერია, იბშირ-ფაშა მუდამ ასე სჩვევიაო“, მიპასუხა. შესახვედრად მიმავალმა ვარდარის ქეთხულას ჯარმა იბშირის წინ მომავალ ჯარის ჯირითის თამაში დაუწყო. ადამიანს თვალსა სჭრილა იბშირის ჯარის გუნდების აღჭურვილობასა და იარაღზე დაცემული მზის სხივების ბრწყინვალება. როდესაც ეს ჯარი ამგვარად დაუახლოვდა ვარდარის ბანქეს ისრის ერთი გასროლის მანძილზე, აქედან ალი-ფაშამ ინება დიდი ბრწყინვალებით ცხენზე ამხედრება სამასი იჩ-ოლლანისა და აჯგბის თანხლებით და თავისი ბანჯიდან მდინარის გაღმა ნაპირზე გასვლა. მე, მწირმაც, საყმაო მანძილი რომ გავიარე, თითქოს გულმა მიგრძნო და ვიფიქრე: „რა საქმე მაქვს ამ მტვრის ბდლვირსა და ხალხის ჭედვაში“-მეთქი და ჩემი სამი მონიანად ისევ ვარდარის ბანაქში მოვცდრული. ბანაქში ყველანი ნადიმის სამზადისში იყვნენ. მე აქაც არ დამიღვა გული და ჯვედი გორაკზე, რომელიც ჩერქეშის ფუნდუკის უკან მდებარეობს. ასობით ქვეითად [ამოსულ] მაყურებელთან ერთად, აქედან დავუწყეთ ცქერა ჩერქეშის ველზე გაწყობილი კარვებისა და ჯარების სანახაობას. ქვემოთ, ველზე მოწყობილ კარვებში ყოველი სულიერი მშვიდად იყო. ვარდარის ჯარში მტვრის კორიანტელი ატყდა. „ნეტავ ეს რასი ნიშანია და რას მოაწავებს? ისეთი ძლიერი ქარი რომ არ ყოფალა, ეს მტვერი რამ დააყენა და კორიანტელი ადგა? დიდება ალაპს, ამ გაწამარიაში მტვერსა და ბდლვირში რომ არ აღმოგჩნდი! კარავში ორი ვეზირი ერთმანეთს შეხვდება და სანამ წერილი დაიწერება, სამხარიც მოაღწევს“-მეთქი. ეს რომ ვთქვი, ამასობაში მეწინავე ჯარი ყაზი-ფაშასთან ერთად მდინარე ჩერქეშის ნაპირს მოადგა. მრავალი ქვეითი ვარდარის ბანაქში შევიდა. იბშირის სხვა კაცები რიგ-რიგად დაღნენ მდინარის ნაპირზე. დანარჩენებმაც ნელ-ნელა მოსვლა დაწყეს. ვარდარიც პირდაპირ მათ უახლოვდებოდა: უცბად, მდინარის პირას აღრე მოსულმა მეთოთე ჯარმა ვარდარის ბანქეს ერთი ბათქი ტყვია დასცა. იბშირის იმ ჯარში, რომელიც უკან იყო, ყიფინა ატყდა — „ალაპ, ალაპო“ და ყველანი ხმალამოლებულნი შევარდნენ ვარდარის ბანაქში. ||იმ უდარდელ ჯარს, ამპარტავნებს, რომელიც სამი ფაშის 451 ქონებას დაეპატრონენ<sup>4</sup>, ერთი ისეთი კარგი ლახვარი ჩასცეს, რომ ზეცამაც კი მოიწონა. ვარდარმა რომ ეს ამბავი დაინახა, სამასი იჩ-აღას თანხლებით „ალაპ, ალაპის“ ძახილით ეცა იბშირის ჯარს და ასტეხა ხმლის ჩახაჩუხი. მაგრამ — „ბასრის დანგრევის შემდეგ!“<sup>5</sup>. ვარდარის ამალაც რომ გაიფანტა და ზოგიც ძმოწყდა, საწყალი, ცხენის კისერს გაექრა და დააპირა პირდაპირ იმ მთისაკენ გამობრუნე-

ბულიყო, სადაც მე ვიდექი. იბშირის ჭარი მაშინვე დაედევნა. ჩერქე-შის გადაღმა მთაზე მიეწივნენ და დაეხვივნენ. იმ ადგალას ძერტფას ქამარშემორტყმულმა და უბრალო თეთრ-ტანისამოსიანმა საწყალმა ვარდარმა ხმალი იშიშვლა და მრავალი მათგანი ცხენიდან ჩამოაგდო. ბოლოს, ერთმა მუშტი დაპყრა და დაჭრა. მისი მხლებლები დახოცეს. ოვითონ კი სხვა ცხენზე შესვეს და იბშირ-ფაშას წაუყვანეს. ამასობაში იბშირის ჭარმა ვარდარისა დააბარცხა და მისი ქონების ძარცვა დაიწყო. მეორედ მოსვლასა ჰგავდა! დავინახეთ, რომ ჭარი პირდაპირ ჩენსკენ მორბის. „ვაიმე, ორ ჭარი შუა ნუ დავრჩებით; ქვემო ქალაქში დავეშვათო“, ვთქვით, ქალაქის წარჩინებულებთან და ყალიბთან ერთად ცხენებზე შევსხედით და თავქვე დავეშვით. სასამართლოს კართან მოვედით. სასამართლოში ჩენი შეშვება არ უნდოდათ. ბოლოს, აღრე იქ მიბარებულ ერთ-ერთ ჩემ მსახურს ყადისათვის უცნობებია, ჩენი ბატონი მოვიდათ. ნესიმშ-ეფენდი შიშით აცხცახებული მოვიდა კარებთან და იკითხა: „ევლა-ეფენდი, ძმაო, შენა ხარ?“ „დიახ, ჩენა ვართ“-მეთქი ვუთხარი და შიგ შევედით. შარიათის სასამართლოში საფრთხე არ გვემუქრებოდა. სასამართლოს ფანჯრებიდან შვიდი საათი ვუცემერდით ჩერქეშის ველზე გამართულ ორომტრიალს.

## XCIII

### ვარდარ ალე-ფაშას აღსასრული

რადგანაც შუაღლის შემდეგ ველზე ბრძოლა და შეხლა-შემოხლა ცოტათი მიწუნარდა, ყაღი ნესიმშ-ეფენდი და სხვა წარჩინებულები იბშირ-ფაშასთან წავიდნენ გამარჯვების მისალოცად. მე, მწირმა, ველზე დალვრილი ალისფერი სისხლი ვნახე და ტირილით მივედი ალი-ფაშას შიშისმოგვრელ კარავთან. ცხენიდან ჩამოვხდი, ფეხ-452 აკრეფით! წარვსდექი იბშირ-ფაშას წინაშე და მიწას ვეამბორე. ყვილანი დაგვსხა. მე, მწირს, მომმართა: — „შენ აქ რას აკეთებ, ეყლია?“ მეც უშაბსუხე: „ჩემი ხელმწიფევ! თქვენი ძმა მეპმედ-ფაშასაგან წერილები მოვიტანე“-მეთქი. „აი, იმ შენმა ფაშამ ეს საწყალი ფაშა გააბრიყვა, აჯანყა, მერე განზე გადგა და გაღმა ნაპირიდან დაუწყო ცქერა სეირს. თუ მოწყალე ღმერთმა ინება, მალე იმასაც ისე გავუსწორდებით, როგორც ვარდარსო“, მითხარ. მე, მწირს, გულში ბევრი სათქმელი მქონდა მის გასაჩუმებლად, მაგრამ როგორც პალიშია ნათქვამი: „ვინც ენას დაიმოკლებს, საფრთხეს აიცდენსო!“, ისე მოვიქეცი და შშვიდად ვიდექი. ბრძანება გასცა და მოაყვანინა ქოფრუ-

ლუ მეტედ-ფაშა და ყარა საფარ-ფაშა. ქოფრულუს თეთრ წვერს ეაძ-ბორა, საპატიო ტანისამოსი უბორა და სისამურის ქურქებში ჩასვა-გვერდზე მოისვა და ბჭობა დაიწყო. ვარდარიც მოაყვანინა და ქო-ფრულუს პირზე დაუყენა, რომ შარიათის მიხედვით განესაჭა. ქო-ფრულუ და სხვები ვარდარს ფეხზე წამოუდგნენ და თავის ძველ ად-გილზე დასვეს. ქოფრულუმ სიტყვა დაიწყო და თქვა: „მოხუცო, ვარ-დარ ალი-ფაშა! ამ ქედმალლობის წუთისოფელს მიენდე და ჩვენ ბორკილები დაგვადე. განა არ იცი, რომ ქვეყანაზე არსებობს გამო-თქმა: — „მჯობის მჯობი არ დაილევაო“, განა არ იცი, რომ ეს ქვე-ყანა წარმავალია? სად არის ჩემი ამოდენა ქონება და სიმღიდორე? სად არიან ჩემი ამდენი მონები და მონა ქალები? ჩვენ კურშუნლუში და-გვამარცხე და ამოგვწყვიტე; შენი რაზმების წინ გაგვამწყრივე და ფეხშიშველი, თავშიშველი, მშიგრები და ილაჭვაწყვეტილები წამო-გვიყვანე. საღაა ჩემი ვეზირობა? ვეზირობის ლირსებისადმი, სახელ-მწიფოსა და ხალხის ლირსებისადმი პატივისცემა ალარ იყო?“ ამაზე ვარდარმა მიიახა: „ყველა ჩვენთაგანის ქონება ახლა იბშირის ხელ-შია და მას გამოართვიო“ და ყველაფერი მას გადააბრალა. ერთმანეთს-ისეთ სიტყვებს ეუბნებოდნენ, საზოგადოებაში რომ არ დაიშვება. ამის შემდეგ, ქოფრულუ შერიგების გზას დაადგა და თქვა: „მოდი, ამ წუთისოფელში ერთმანეთზე წაკიდებული ნუ ვიცხოვრებთ. თუ წა-ვიჩუბეთ, შეგრიგდეთო“; ასე, რომ ფაშები შერიგდნენ. ქოფრულუ და ყარა საფარ-ფაშა წავიდნენ და კარავში იბშირი და ვარდარი მარ-ტონი დარჩნენ. იბშირმა პირველად ჰუსეინ-ფაშა და პაზ-ოლლუ მო-იყვანა ჭავებიანად და უსაყველურა — ვარდარის აჯანყების მიხეზი თქვენ იყავითო.

სამხრის შემდეგ პირდაპირ იბშირ-ფაშასთან მივედი და რომ ვუთხარი: „მოწყალეო ხელმწიფევ, ეხლა გარშემო მთელი ფარი ფეხ-ზეა დამდგარი, მე მათ შორის დავრჩი და თქვენი წერილი მიბოძეთ“— მეთქი. იხუმრა: „შენ ხომ ვარდართან მოხვედი წერილებით და ისევ ვარდარმა! მოგცეს ბრძანების წერილი“. [იბშირმა] რომ თქვა: „ამას 453 წერილობითი ბრძანება მიეცით, არ დაყოვნდეს და წავიდეს, თორემ ახლავე ვარდარს მივუსვამ გვერდითო“, მე, მწირმა, მივუგე: „მე ხომ მეამბოხე არა ვარ. თანამდებობის, თულისა და დროშის მფლობელი არა ვარ. ისევ წასვლას გაუმარჯოს“— მეთქი. იბშირ-ფაშას დიდად ესია-მოვნა, გაიღიმა და თქვა: „დავთარდარ-ოლლუსთან რას აკეთებ? ჩვენ ბატონ მელექ აპმედ-ფაშასთან ალარა ხარ?“ ეს რომ მითხრა, ვუპასუ-ხე: „ლმერთმანი, მოწყალეო ხელმწიფევ, მე ამ ორ ვეზირთან ვარ გა-ზრდილი და მოგზაურობის ტრუიალით იმას დავყვები ხოლმე, რომე-

ლიც უფრო მაღალ თანამდებობას აღწევს. ღვთის ნებით, ამჟამად დავთარდარ-ოლლუ გადაყენებულია. ამ გამარჯვებისა და სიხარულის ამბავი სტამბოლს რომ მიაღწევს, თქვენ დამასკოს ვილაიეთს გიბოძებენ. თქვენ კარს მივეკადლები და წმინდა დამასკოს წავალი"-მეთქი. მან რომ თქვა: „მელექ-ფაშას ეახლე, მე ვერ წაგიყვანო“, მე, მწირმა, ვუთხარი: „თქვენ სამს შორის განსხვავება არ არის. ჩვენი ბატონი მეჭმედ-ფაშას დედა თქვენი და მელექ-ფაშას დედის ნათესავი არ არის, განა? განა დედაჩემიც მელექ-ფაშას დეიდა არ არის? ისინი შორებლები არ არიან. ჩვენ ვამყობთ იმით, რომ ჩვენი ბატონი მეჭმედ-ფაშა დედაჩემის მხრივ არის ჩვენი ნათესავი და იბშირ-ფაშაც, დედის ხაზით, ჩვენ ალალი ნათესავია, თქვენ კი იმასაც და მეც უცხოსავით გვექცევით"-მეთქი. მომაძახა: „ჰაი, შე ავაზაკო! ხმა გაიქმინდე! მე დავთარდარ-ოლლუს ნათესავიც გამხადე და კიდეც მოგვარიგეო". მე მაშინვე წმოვდები, ხელზე ვეამბორე და ვუთხარი: „თუ ალაპის მოციქული გიყვარს, ფაშას მეგობრობის წერილი უბოძეთ და გადაყენებით დადარდიანებული მისი გული გაახარეთ; ღმერთი თქვენს ყოველ საქმიანობაში შემწეობას არ მოგაკლებთ და მეც ნადავლიდან საკმაო ნივთები მიწყალობეთ". ეს რომ ვთქვი, ერთი ფარჩამოსხმული ცხენი, ერთი მსუბუქი კარავი და სამოცდაათი ოქრო მომცა. ეს, იმიტომ, რომ მისი სიკეთე სრულყოფილი იყო. აბაზა ხალხის ხისის<sup>2</sup> ტომიდან იყო. მეგობრობის წერილთან ერთად ბრძანება მივიღე და მის მესურსათე ალი-აღასთან ერთად ჩერქეშიდან გაველით. თან წავიყვანეთ ჩვენი მსახურები, წავალეთ [აშ] განსვენებული ვარდარის მთერ ნაწყალობევი საქონელი. ჩერქეშიდან დასავლეთთ [ვიარეთ და] 8 საათში სოფელ დოლშეჯაში მივედით. ქანგირის შიწაზე სამას ორ-მოცდაათკომლიანი, ბალ-ვენახიანი სოფელია. ჯამე და საკვირაო ბაზარია შემოსავლიანი, დასახლებული ადგილით. მესურსათე ალი-აღა იქ დარჩა. ჩვენ კი სოფელთაგან ორმოცდაათი თანამგზავრი წავიყვანეთ და 8 საათში მესთი-ბეის სოფელში მივედით. ესეც ქანგირის მიწაზე მდებარე ||კეთილნაშენი ზეამეთია. აქედან 9 საათშა მივედით სოფელ ალი ზაიმში. ანკარის მიწაზე, მურთათ-ოვას სასუბაშიოში ასკომლიანი ზეამეთია. აქ შევხვდი ჩვენს ბატონ ფაშას. „კეთილი იყოს შენი მოსელა, ჩემო ევლია! მტკიცე იყავ, როცა რამეს ესწრაფი. შენ ეს მითხარი, იბშირმა ვარდარი დაამარცხა?“ მე, მწირმა, ვუთხარი: „დიახ, დაამარცხა და გააცამტვერა ვარდარი, ქორ ჰუსეინ-ფაშა, ჰაჯი-ოლლუ“. „ახლა კი გავიგე. რა დღეს მოხდაო?“ მკითხა. მე, მწირმა, ვუპასუხე: „მოწყალეო ხელმწიფევ, დღეს მოხდა“-მეთქი და ძომხდარი ამბავი დაწვრილებით ვუამბე. იბშირ-ფაშას წერილიც გადავეცი. ფაშამ რომ

წიაკითხა, ეწყინა. იმიტომ, რომ უფრო ადრე, სანამ ვარდარის და-  
მარცხებას გაიგებდა, ბაკრ-ფაშა რაზმებით გააგზავნა იბშირის წინა-  
ალმდეგ. რაც მოხდება, მოხდეს, ბჟობა გამართული იყო და გადა-  
წყვეტილი, რომ იბშირისათვის დაერტყათ. იბშირს შვიდი ათასი მარ-  
ტო ცხენოსან დაედევნა. როგორც კი გაიგო იბშირმა ეს ამბავი, ჩერ-  
ქეშიდან ყარამანის ვილაიეთისაკენ გადასახვევ აღვილას მხარი იბ-  
რუნა და კალეჭიქის მხარეს ქესქინში შევარდა. ფაშამ სამი დღის სა-  
ვალზე სდია და [იბშირის მიერ] დატოვებული ვარდარის, ქოფრულშია  
და სხვათა ქონებიდან აუარებელი ბარგი აიღო დავლად. სამ დღეში  
მდინარე საქარიას ნაპირზე მდებარე სოფელ მერჯეში მოვიდა. ბეიბა-  
ზარის ნაპირში მდებარე ასკომლიანი სოფელია. აქ ერთი ჩალმანი  
თურქი მოვიდა და ამბავი მოიტანა: „სამახარობლო, ჩემო ხელმწი-  
ფევ! იბშირ-ფაშას რაზმებმა ვარდარის დივანის განმგებელი ჰალილ-  
ეფენდი იძულებული გახადეს აქეთ წამოსულიყო და ამგვარად მდი-  
ნარე საქარიას ნაპირისაკენ მოჩდისო“. ეს ამბავი რომ აცნობა, დაა-  
ჯილდოვეს. შვიდი რაზმი ბოლუქ-ბაშიეპიანად ცხენებზე შესხდნენ, ამ-  
ბის მომტანი კაცი მეგზურად გაიყოლეს და დილაადრიან ჰენებათ  
მიაღწიეს ერთ სოფელს, რომელსაც ბაზიშლი ეწოდება. სოფულიდან  
ისევ მოვიდა თურქი და თქვა: „აბა, აღებო, ამ სოფელში არიან ვარ-  
დარის დამარცხებული, მეამბოხე რაზმები; იბშირს ბრძანება გაუცია  
მათ საწინააღმდეგოდ მთელი ხალხის გამოსვლისა და ესლავე დაეს-  
ხით თავსო“. ჩვენმა რაზმებმა მაშინვე დაპკრეს სოფელს. ბრძოლას  
რომ შეუდგნენ, მიუხედავად იმისა, რომ სოფელში მყოფმა რაზმებმა  
ყვირილი ასტეხეს, ჩვენ იბშირ-ფაშას რაზმები ვართო, ჩვენი რაზმე-  
ბი არ მოტყუფდნენ და დაარბიეს<sup>3</sup>. ათი რაზმი ამოარჩიეს და ვარ-  
დარის დივანის განმგებლის წინააღმდეგ გაგზავნეს. მდინარე საქარიას  
ნაპირზე წამოეწიენ. ||ჰალილ-ეფენდიმ, რომელიც ბრძოლის დროს სა- 455  
ფრთხეში აღმოჩნდა, ცხენი მდინარე საქარიაში შეაგდო. ერთი გმი-  
რი ცხენით დაედევნა და ნიქსარელი ჰალილ-ეფენდი შუბით ცხენი-  
დან გადმოაგდო. წყლიდან რომ გამოიყვანეს, ხელები უკან გაუკრეს.  
საწყალი ჰალილ-ეფენდი. ასეთ უმწეო მდგომარეობაში მოპგვარეს ფა-  
შას. მან რომ ფაშას უთხრა: „მოწყალეო ხელმწიფევ! ნიქსარიდან  
არზრუმისაკენ რომ მიდიოდი და შემდეგ მოდიოდი, ჩემ სახლში გა-  
ჩერდი. რაც შემეძლო, ჰატივი გეცი და საშსახური გავიწიეო!“ ამაზე  
[ფაშამ] ჰერთხა: „შენი ქონება სად არისო“. მან თქვა: „აი, სამი ათასი  
ოქრო და ორმოცი ქისა მაქვს თან. ამდენივე ფული მაქვს ანკარაში  
მუთეველი ჰასან-აღასთან“. მისი ჰაზინადარისაგან ხელწერილი მიი-  
ღეს. იგი (ჰალილ-ეფენდი), მისი ხაზინადარი და ჩიბლაქ ალი-აღა და-

ხოცეს და მათი თავები ამირახორ-აღას გაატანეს სტამბოლში. დაწერა ბრძანება, რომ ალაზა ათლი ჰასან-აღას არა მარტო [ფული] მიეღო ჰალილ-ეფენდის ბარათის მიხედვით მისი შუთვეველი ჰასან-აღასაგან, არამედ შეეპყრო კიდევაც იგი. საქარიას ნაპირას სამხრეთისაკენ ვიანეთ სამასი მეომრითურთ და დაბა ახაშის ნაპირში მდებარე შინეჭიშ აჭმედ-აღას სოფელში მოვედით. ბალ-ვენახიანი სოფელია გორაკის ძირას. აქედან ესთანიზისაკენ გადავედით და იქიდან სამხრეთისაკენ რომ ვიარეთ, მოვედით სოფელ ერქექ-სუში. იგი ადრეა ალწერილი [წევნის მიერ]. აქედან კი ქალაქ ანკარაში მოვედით; როგორც კი ქალაქში შევედით, ჯერ შარიათის სასამართლოში მივედით და პატიოსანი ბრძანება მოლას ვუჩვენეთ. როდესაც წაიკითხეს და გაიგეს, შიგ რაც ეწერა, მუთეველო ჰასან ჩელები სასამართლოში ჩაახარეს [ალაზა ათლი ჰასან-აღას]. [ალაზა ათლი] ჰასან-აღა ჰასან ჩელების სახლში გაჩერდა. მე, მწირი, კი მსახურებიანად ვესტუმრე ქედერ-ზადე-ეფენდის, რომელმაც ადრე ჩემი ქონება უანგაროდ შეინახა და გულითადი მეგობარი იყო. მისთვის ჩაბარებული მთელი ჩემი ტანსაცმელი და ბარვი მოიტანა და გადომომა ერთი ბოხა თეთრქობიანი ქვედა საცვალი და პერანგი, ათი თოფი შალი და ერთი ჟანტა წიგნი<sup>4</sup>. მეორე დღეს [ალაზა ათლი] ჰასან-აღამ მუთეველისაგან ბარათის მიხედვით მთელი ქონება მიიღო და როდესაც ფაშასთან იმ ბორკილებში ჩასმული საწყალის წასაყვანად გამობრუნდა, ჩვენი სახლის პატრონმა, გულუხვმა ქედერ-ზადემ ჩვენი მძიმე ბარგის შესაძლებელად ორი სატყირო ცხენი გვაჩუქა. ავკიდეთ ჩვენი ტვირთი, სახლის პატრონს 456 გამოვეთხოვეთ და ანკარიდან ხელმეორედ || მოვედით ესთანიზი. აქედან ისევ ჩრდილოეთით ვიარეთ ვაკე ველებზე და 8 საათში გადავიარეთ ახაშის უღელტეხილი; თუმცა, წვიმამ გაგვაწვალა. დაპა ახაშში მოვედით. ანკარის სანჯაყის მიწაზე მდებარე ვაკუფია ორი წმინდა ქალაქისა — მექასი და მედინასი. ბალდალის აღას განმვებლობაშია და ასორმოცდათახებიანი ყაზაა. ციხე დანგრეულია. ქეთხუდა ჰყავს. ათასი სახლი და ათი მეჩეთი აქს. გულისაგამხარებელია მის სავაჭრო რიგებში მდებარე ჯამე, მეჩეთი, ფუნდუკი და აბანოები, ხონტერის აბანო და მცირე ბაზარი. აქა-იქ აქვს ბალ-ვენახი, მაგრამ რადგანაც ხევებიან და გორაკებიან ადგილზე მდებარეობს, მძიმე ჰაერია. ქალაქი კი კეთილმოწყობილია. ირგვლივ ფერდობებია. აქ არის ემირ-დედეს საფლავი და შეის ბუჩარელის წმინდა საფლავი, რომელიც გაღმა, დასავლეთ მხარეს მდებარე მთაზეა. აქედან გზა განვარრეთ და ქალაქ ბეჟბაზარს მივაღწიეთ. ჩვენი ბატონი ფაშა აქ ვნახეთ და მუთეველი ჰასან ჩელები მას ჩაგაბარეთ. მთელი ქონება მიიღო, გაათავი-

სუფლა, საპატიო ხალათი უბოძა და ანკარიაკენ გაისტუმრა. მე, მწირი, კი ამ ქალაქის დათვალიერებას შევუდევი.

ბედაზარის აღწერა: მისი პირველი ამშენებელი ჩემთვის ცნობილი არ არის, მაგრამ მისი პირველი დამპყრობია ქუთაპის ერთერთი ბეგის — გერმიანთა გვარის იაკუბ შაპის ვეზირი დინარ ჰეზარი. ამიტომ ქალაქს გერმიან ჰეზარისაც უწოდებენ. კვირაში ერთ დღეს კარგი და ყოველმხრივ შემკული ბაზრობა იმართება და ყოველგვარი ძვირფასი ნივთები იშვება. რადგანაც მოსახლეობის საქმიანობაა თივთიკის თხის [მომრავლება], მის ბაზარზე მრავლად იყიდება ამ მატყლის ძაფი — მუშტარი ჰყავს. წელიწადში ათასი კანთარი შალის ძაფი იყიდება. არ შეიძლება, რომ უხეში შალი იყოს, მხოლოდ მშვენიერი და ნარჩევია. გარშემო სოფლებიდან ყოველ კვირას ათი ათასი კაცი იყრის თავს ბაზარში. ქალაქი ანატოლიის მიწაზე, ანკარის სანგაყის საზღვრებში მდებარეობს და ვინც სტამბოლში შეინულამი გახდება, მისი სახასო ადგილია. სულთნის სახასოებიდანაა გამოყოფილი. მის მმართველად მუფთის მიერ დანიშნულია სუბაში. ასორმოცდაათახიანი ყაზაა. მის ყადის შვიდი ქისა აქვს წლიური შემოსავალი. ტამლის ემინი, სიფაპიების ქეთხულა და იანიჩართა სარდალი ჰყავს, მაგრამ ციხისთვით და მეციხოვნები არა ჰყავს. მისი ციხის შენობა ხევშია, ხოლო [ქალაქის] ორი მხარე მდებარეობს კლდეზე, რომელსაც ქედი თევზის ზურგს მიუგავს. მისი სიდიდის შესახებ არაფერი ვიცი. კვემო ქალაქი ორ ფართო ხეობაში მდებარეობს, ოცი უბანი და ორმოცდაერთი მიკრაბი აქვს. ||თუმცა, მაინც დამაინც 457 ბრწყინვალე ჯამეები არაა. ლამაზია ჯამე, რომელიც საგვჭრო რიგებშია. სულ სამი ათას სამოცი თრსართულიანი სახლია. კედლები აგურისა აქვთ, სახურავები — ყავრისა. მედრესე, ჰადისების სახლი და ყურანის საკითხავი სახლი აქვს, რადგანაც ცოდნის მაძიებელი საქმარისია და ულემა — ბევრი. მათი მედრესე ქვით არა აშენებული. სამოცდათი სასწავლებელია ყმაწვილებისათვის. ყმაწვილები ფრიად კეთილშობილნი, წესიერები არიან და შვიდასზე მეტი ყურანის ზეპირად მცოდნეა. ერთი ისეთი შეის ულისლაში ჰყავს, რომ მასთან მეცნიერულ კამათში უმწერო ყველა ულემა. ნაკიბ ულ-ეშრაფი დიდად განსწავლული არაა, მაგრამ ფრიად კეთილშობილი და დიდსულოვანი პიროვნებაა. მოსახლეობა უმეტესად ულემა. სიფაპიც — ბევრი, ყველანი ფერად-ფერად შალს იცვამენ. მათ ქალებს სულ „მუმეიზი“ შალი აცვიათ. რადგანაც თურქების ქალაქია, მოსახლეობა ოლუზთა მოდგომისაა და თურქი ხალხი რომ გიხსენოს ვინმემ, ესენი დაგიდგებიან თვალწინ. შვიდი ფუნდუკი აქვს. სავაჭრო რიგებში ერთი შევენიერი ფუნდუკი დამწვარია. აბანოები და ექვსასი დუქანი აქვს. ბა-

ზარზებ, ყასბების რიგში გამავალი ხევის ნაპირებზე საკვირაო ბაზრობა ეწყობა. ეს ხევი ქალაქის ქვემოთა მხარეს მიედინება, ერთ მდინარეს უერთდება და ის კი სცარიაში ჩადის. რაღაც აც ქალაქი მაღლობ ადგილზე მდებარეობს, შარაგზები ქვიშიანია და მოუკირწყლავი. მცხოვრებლები სტუმართმოყვარე და დიდსულოვანნი არიან. მათი ქალები — ფრიად ზრდილი და უმწივლოები.

რა არის ქების ლირსი: ბაღ-ვენახი ბევრი აქვთ. მათ ბოსტნებში ერთნაირი ჯიშის ნესვი მოდის ისეთი, მისი სიტყბო ადამიანს ტვინში აუვა. მუშისა და ამბრის მსგავსი ნაზი სურნელება აქვს. ქალაქის მოსახლეობა უმეტესად ამ ნესვით ხარშავს ტებილ ფლავს და შივ დარჩინსა, და მიხას ურევს. მოკაიას მიერ გამოგონილ ფლავზე გემრიელი გამოდის. ერთი ჯიშის მწვანე, მრგვალი მსხალია ისეთი, რომ ოთხისუთი ცალი ერთ ოყას იწონის და ფრიად სასიამოვნო და წვინიანია. მრავალი ათასი ყუთი ბაშბაში შეფუთული მსხალი ძღვნად მიღის სტამბოლის სასახლეში. გარდა ირანისა, ამ მსხლის მსგავსი სქვაგან არსად მინახავს. ერთგვარი შავი ქერი მოღის, რომელიც ძალზე ცხიმოვანია. სიფრთხილეა საჭირო, რომ ცხენს ბევრი არ მიეცეს. [ქალაქის] ველზე მოდის ბრინჯი, რომელიც ძალიან კარგად მწიფდება. ერთი სიტყვით, ვრცელი და სურსათ-საქონლის სიიაფით განჯემული ქალაქია. ერთი წმინდა საფლავია, რომელსაც შეიხ ივაზ-დედე ეწოდება.

458 ამ ქალაქში სამი დღე რომ გავატარეთ || და ვისკენებდით, სტამბოლიდან მაცნები მოვიღნენ. მე, მწირს, და ფაშას წერილები მოგვიტანეს ჩემი ბიძებისაგან, მემიქზადე-ეფენდისა და აბდ არ-ჩაპიმ-ეფენდისაგან. ფაშასთან მოსული [წერილის] შინაარსი შემდევი იყო: „თქვენი მონა-მორჩილი ევლიას მამა გარდაიცვალა. მთელი უძრავი ქონება და ნივთები მისი დედინაცვლის, დებისა და სასამართლოს მიერ დანიშნული მზრუნველის ხელშია დაცული. ვთხოვთ თქვენს კეთილშობილებას, რათა თქვენთვის მლოცველი ევლია ჩელები გამოუშვათ და ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც თავის საქმებს მოაგვარებს, ისევ იახელით“. ნათესავების მიერ ჩემთვის გამოგზავნილ წერილში კი შემდეგი ეწერა: „თქვენ კარგად იყავით და მამათქვენი გარდაიცვალა, ღმერთმა...!“ ეს ამბავი რომ შევიტყვე, თავზარი დამეცა. წერილი ფაშას ვაჩვენე. მანაც თავისი წერილი მაჩვენა და ძალიან დამწუხრდა. იმ პირობით დამითხვეა, რომ ისევ იმ ადგილას დავბრუნდებოდი და მეც ხელზე ვემთხვიე. თავისი ქეთხუდა და ხაზინადარი მოიხმო და გზის სახარჯოსთან ერთად ორი ქეპეილანის ჯიშის ცხენი და ორი მონა მიწყალობა. სხვა სურსათ-სანოვაგეც პოვაზზადე, ჩვენ ბატონ ფაშას გამოვეთხოვე და შვიდი მონის თანხლებით გზას გავუდექი.

ათას ორმოცდათვერამეტი (1648) წლის ჯუნია აღ-აზირის (ივნისის)  
თვეში ადარის ბიბაზარიდან სტამბოლისაძე გაიგზავნის

ბეჭბაზარიდან ჯერ ჩრდილოეთისაკენ გავწიეთ. მშვენიერი ამინ-  
დი იდგა. კეთილმოწყობილი, გაშენებული მიწა-წყალი გავიარეთ და  
9 საათში სოფელ სარილარში მივედით. იალალი ვრცელი ქვეთ და ას-  
კომლიანი კეთილმოწყობილი სოფელია. ამ ადგილას არის ძლიერი,  
ჰამზა-ზადეს მიერ ხორასნული წესით დამზადებული კირის ხსნარითა  
და „რიხ“-ით აშენებული დიდი ზღუდე, რომელიც თითქოს მაღალი  
მთის ნაწილია, ისე მოჩანს.

აქედან 7 საათში მივედით სოფელში, რომელსაც ქოსებეიხანი  
ეწოდება. ივიც ერთ ხეობიან მიწაზე მდებარეობს; ასკომლიანი, კე-  
თილმოწყობილი სოფელია. მისი მცხოვრებლები გათავისუფლებული  
არიან ურფის გადასახადებისაგან.

ჩადგანაც სულთან აქმედ-ხანის<sup>2</sup> დროს აქ აჭანყებულებმა ერთი  
ქარავანი დაარბიეს და ორიათასზე მეტი ღვთისმოსავი ხმლით აკუწეს,  
განსვენებულმა ნაზიფ-ფაშამ<sup>3</sup> || ცინის მსგავსი დიდი ფუნდუკი ააშენა, 459  
სოფლის მცხოვრებლები ჩაასახლა და სოფელიც თანდათან გაიზარ-  
და. ჯამე, ფუნდუკი, საქველმოქმედო ნაგებობა, აბანო და მცირე ბა-  
ზარი აქვს. მისი ყურადნის მწნილი ფრიად ქებულია. ანატოლიის ქვე-  
ყანაში მისი ფუნდუკის ბადალი არ მოიქვება; მხოლოდ დამასკის  
მახლობლად მდებარე უზარმაზარი „ხავერღას“ ფუნდუკი თუ იქნება  
ასეთი. მოლურჯო ტყვიით გადახურული, კეთილმოწყობილი, მყუდ-  
რო, თეთრი ფუნდუკია, რომელსაც აქვს მრავალი ოთახი, საჭირიბო,  
რომელიც ორი ათას ცხრის იტევს, ცალკე თავლა აქლემებისათვის, ვე-  
ლივით ვრცელი მოედანი.

იქიდან ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და 6 საათში სადგურ  
ნაზილლი-ხანში მივედით. ბაღ-ვენაზი აქვს. ვერხეის ხეობიან ხეობაში  
მდებარე ასკომლიანი, ჰატარა აბანოიანი, გადასახადებისა და ბეგარი-  
საგან გათავისუფლებული მუსლიმური სოფელია. მისი განმგებელიც  
ნაზიფ-ფაშას მოურავია. ეს ფუნდუკიც ნაზიფ-ფაშას ქველმოქმედებაა.  
საუცხოო, დიდი საქველმოქმედო ნაგებობაა, რიმელაც ზუსტად  
თხუნელას სახლივითა დაგეგმილ-აშენებული. სულ ას ორმოცდაათი  
ოთახი აქვს. ამასაც ერთი სასადილო აქვს, საღაც ყოველ გამვლელ-  
გამომვლელს მესტუმრებები თითო პურს, ერთ ჯამ წვენს, ერთ ქონის  
სანთელს აძლევენ და ემსახურებიან. აქედანაც დავიძარით და მოვე-  
დით თურქელი ქოდლუქის ციხეში.

შისი ალწერა: ამ ციხეს „თორბალი ქოდნიქს“ და „თურბალი ქოლიუქს“ უწოდებენ. მაგრამ მისი სწორი სახელი თურბელი ქოდლუქია. ამ სახელის დარქმევის მიზეზი ისაა, რომ აյ დაკრძალულია წმინდანი აკ შამ სედ-დინი<sup>4</sup>. მაგრამ პიზანტიურ მატიანებში ციხეს აღმქ- სანდორონის უწოდებენ.

ბრუსის ხელმწიფების მიერ არის აშენებული. ეს ციხე ჰიჯრით 712 (1312—1313) წელს დაიპყრო ოსმან-ყაზიმ. ბოლუს სანჯაის მიწაზე მდებარეობს და ასორმოცდაათახიანი აღგილია ნაჭიერ ყადისა. ქეთხუდა-ხერი და ქეთხუდა-სარდალი ჰყავს. ცამდეცწვდილ კლდეზე დგას ციხე და რადგანაც ცარიელი, დანგრეული და მიტოვებულია, არც ციხისთავი ჰყავს და არც მეციხოვნები. ამ ცახის ორი მხარე კლდიანი, მთიანი და ვენახებიანია. ქალაქში ერთი ხევი ჩადის, რომელიც მთებიდან ეშვება და ფაქვის ღარებში მიეღინება. უკვდავებას წყალია. ძველი და სასიმოვნო ქალაქია და მისი მცხოვრებლები ყველანი თურქები არიან. სულ ორიათასამდე ფიჭვის ყავრით გადახურული || კოხტა სახლია. სულ თვრამეტი მიპრაბი აქვს. ქალაქში რვა უბანია. რადგანაც ზოგიერთი უბანი ციცაბო კლდის ძირას ძევს, კლდე- ებიდან ქალაქში განწყვეტლივ ცვივა კლდის ნატეხები, მაგრამ წმინ- დან აკ შამს ედ-დინის მაღლით არც ერთ სულიერს ზიანს არ აყენებს. საღაც დაეცემა კლდის ნატეხი, იმ აღგილსავე გაჩერდება. ასეთი კლდე- ების ძირში ორასი სახლი დგას. ოცამდე სასწავლებელია ყმაწვილები- სათვის. მედრესე და მისთანები არა აქვს. ერთი მშვენიერი აბანო აქვს. 461 ჰაერი კარგია. || მისი ხევში წყლის წისქვილებია. სულ სამოცდათხუთმე- ტი დუქანი აქვს. რადგანაც უმეტესად ცხენის ლამაზ ჩულუბსა და თოფრაკებს ამზადებენ, ამიტომ უწოდებენ „თორბალი ქოდლუქს“<sup>5</sup>. აქაც არ არის კვალი იმისა, რომ ებრაელებსა და ბერქნებს ეცხოვ- როთ.

## XCV.

### პ. ღლულის მინდა ადგილიგი

უპირველესად ყოვლისა, საიდუმლოებათა წყარო, ღვთისმოსავთა მფარველი, ღიდეაცა წინამძღვარი, სრულყოფილობის მწვერვალი. ხალხის მოძღვარი, კეშმარიტებათა მქადაგებელი, ღმერთის მოტრფი- ლე ფირი, ქვეყნიერებისა და სარწმუნოების სულთანი, კაფის მთის ნამდვილი ფასკუნგი — მისი უწმინდესობა შეიძი აკ შამს ედ-დინ მეჰ- მედ ბენ ჰამზა. ღამასკოში დაბადა და მისი უდიდებულესობა [ხალ- ფა] აბუბაქრ სადიკის — ალაპიმცა კმაყოფილი მით — შთამომავა-

ლია. ამას ისიც ადასტურებს, რომ მას თითოს ერთი სახსარი აკლდა. მას შემდეგ, ჩაც იგი გაპატიოსნდა ბაღდადის ციხეში დასაფლავებული შეიხ შეჰაბ ელ-დინ სუჭრერისთან საუბრით, რუმში მოვიდა და ანკარაში ჰაჯი ბაირამ-ველის თანამოსაგრე გახდა. სტამბოლის დაპყრობისას [სულთან მეჰმედ] ფათიშს ახლდა. სტამბოლის დაპყრობის დღე უწინასწარმეტყველებია: — „თუ ღმერთმა ინება, ეს ციხე 857 (1453) წლის რები ულ-ევველის [მარტი] თვეში იქნება დაპყრობილი“. მაღალი ღმერთის ნებით ეს წინასწარ განსაზღვრული დაპყრობაც იმ დღესა და საათს აღსრულდა<sup>2</sup>. ამ ქალაქში ხეებით დაფარულ სასეირნო აღვილას არის დასაფლავებული თავის კეთილშობილ შთამომავლებთან ერთად.

მისი უწმინდესობის, მოციქულის ანსარის — მამა იობის წმინდა საფლავის აღვილმდებარეობაც, რომელიც ჩვენ თავის აღვილას [და- 462 წვრილებით აღწერეთ, ამ აღმიანს მიუთითებია; როდესაც ის აღვალი გაითხარა, იქ აღმოჩნდა იობის საფლავი და წარწერა. თავისი ღროის მწვერვალთა მწვერვალი იყო. მრავალი წიგნი აქვს შეთხზული. საექძომ მეცნიერებაში მეორე ლოკმანი იყო. მისი შემდეგ, მისი კეთილშობილი შვილი, „იოსებ და ზულეიხა“<sup>3</sup> შემთხვეველი აქმედ ჩელები, სტამბოლში ადა სოფიას წმინდა ჯამეში „იოსებ და ზულეიხა“ რომ თხზავდა, თავისი მამის თანამდებობა და მისი მემკვიდრეობა არ ინდომა და ყველა დერვიშის ნებით ეს თანამდებობა მის უწმინდესობა საად ულ-ლაჳ ბენ აკ შემს ელ-დინს დარჩა. იგიც თავასი მამის გვერდით არის დასაფლავებული — ალაპმა აკურთხოს მათი საიდუმლოებანი.

შეიხი ფეზლ ულ-ლაჳ ბენ აკ შემს ელ-დინი ღვთისმეტყველი იყო. მრავალი ათასი აღამიანი დამოძლევრა და თავისი მამის აღვილი ექვავა. მისი საფლავიც მამის გვერდითაა.

შეიხი ნურ ულ-ლაჳ ბენ აკ შემს ელ-დინი თუმცა ბრუსაში წავიდა სასწავლებლად, მაგრამ იქ კალმის სათლელი დანა მუცელში იტაკა და გარდაიცვალა, ბრუსაში ზეინილერის [უბანშია] დასაფლავებული.

შეიხი ჩელები ემრ ულ-ლაჳ ბენ აკ შემს ელ-დინი მამის გზით არ წავიდა, მუთეველი გახდა და ნეკრესის ავაღმყოფობით გარდაიცვალა. თავისი მამის გვერდითაა დასაფლავებული. მართლაც, რომ ქვეყნის დამამშვენებელი ერთი ტომი მატიანე აქვს.

შეიხი ნასრ ულ-ლაჳ ბენ აკ შემს ელ-დინი ირანში წავიდა სასწავლებლად და შვილი წლის მოგზაურობის შემდეგ თავრიზში გარდაიცვალა. ბევრს ირანში იგი შემს თავრიზში შვილად მიაჩნია და სალოცავად დადიან. მაგრამ შემს თავრიზში უცოლო რომ იყო, კონიაში მოვიდა და მისი უწმინდესობა მევლანან დამოძლევრა. შემდეგ

შევლანას ერთ-ერთმა შეიღმა შემსს თავი მოსჭრა, ხელში აიღო, ბევრი იარა და ქალაქ ხოიში მივიღა. ამბობენ, რომ ახლა ქალაქ ხოიში ასვენიაო. ასე ნაადრევად, უცოლშვილოდ გარდაიცვალა მისი უწმინდესობა შემსი. ხოჯა ნასრ ედ-დინ შემსი ებეიზის შვილია.

შეიხი მეპშედ ნურ ულ-ჰუდა ბენ აკ შემს ედ-დინი მისმა უწმინდესობა შემსიმ ჯერ კიდევ ამ პიროვნების დაბადებამდე იწინასწარმეტყველა რომ იგი ღვთის გლახა გახდებოდა. მისი დაბადებისა და დავაკუაცების შემდეგაც კი თავის სხვა შვილებს აფრთხილებდა: „ნურ ულ-ჰუდას განდიდებას ერიდეთო“. ეს აღამიანი ჭამეში რომ შედიოდა, რადგანაც წინასწარმეტყველობდა — ეს სასამოთხეა, ეს საჯოგო 423 ხეთეო, მამამისმა მას აკრძალული საჭმელი აჟამა და!! მოაშლევინა. მისმა უდიდებულესობამ [სულთან მეპშედ] ფათიქმა მულქად უწყალობა სოფელი ევლექი. იქ გარდაიცვალა და იქვეა დასაფლავებული.

შეიხი მეპშედ ჰამდ ულ-ლაჳ ბენ აკ შემს ედ-დინი: ზემოთ აღნიშნულია, ის ამბავი, რომ ამ პიროვნებამ არ მოისურვა თავისი მამის თანამდებობის დაკავება და წერდა „იოსებ და ზულეიპა“ წოდებულ თხზულებას. ამბობენ, რომ როდესაც იგი ღედის საშოში იყო, მამამისს დედისათვის ხელი მუცელზე დაურტყამს და უთქვამს: „ჰაი, ჩემი ბრძენო არისტოტელე, მეცნიერო, პოეტო, მთხზელო, მწერალო შვილოო“. ღვთის სიბრძნით, ეს აღამიანი დაბადებიდან რვა წლისა რომ იყო, [ლექსების] „დივანი“ ჰეკონდა [დაწერილი] და შეთხჭული „ლეილა და მაჯნუნის“ წიგნი, აგრეთვე, „მევლუდ მეგზუმი“. მისი „იოსებ და ზულეიპა“ ისეთი ქმნილებაა, რაც აღამიანის ძალ-ღონეს აღემატება. მართლაც რომ იმის ნათქვამია, ვისაც ღვთით მონიშებული მაღლი მოპფენია. ამ აღამიანმა სამოცი წელი იცოცხლა და 853 (1449—1450) წელს რომ გარდაიცვალა, მამამისის გეერდით დაასაფლავეს. ას სამოცდაათამდე დიდი და პატარა წიგნი აქვს. მაგრამ მეტად განთქმულია მისი „კაფეთ-ნამე“ და „იოსებ და ზულეიპა“. ალაპის ცხონება იყოს მასზე. ამ [კაცის] თვალისჩინია მეპშედ ჩელები ბენ ჰამდ ულ-ლაჳ ბენ აკ შემს ედ-დინი. ეს ჩელები იმ ხანაში ძვირფასი მარგალიტივით გამოჩნდა. ქვეყნის დამამშვენებელი სწავლული იყო. ყველა არაბი და სპარსელი სწავლული უმწეო იყო მისთვის ზასუხი გაეცა. თავისი ღროისათვის იგი თითქოს იმამი აზამი<sup>7</sup> იყო. მოკლედ, ყოველ მეცნიერებაში მიუწვდებოდა ხელი და განსაკუთრებით წერის ხელოვნებაში იყო ხაკუთ მუსთასიმისა და ხათათ იბნ მაკლასავით<sup>8</sup> დაუსტატებული. ვწუხვარ, რომ ამ ჩელების წმინდა საფლავი თურბედარებმა არ იცოდნენ, რადგანაც პატივსაცემი აღამიანები მაინცდამაინც არ გამოჩნდებიან ხოლმე.

შეიხი აბდ ალ-კადირ ბენ საად ულ-ლაჰ ბენ აკ შემს ედ-დინი: ეს წმინდანი აკ შემს ედ-დინის შვილიშვილია. თავისი დიდი მამის კულდამის გარეთ ასაფლავია.

შეიხი აბდ ულ-რაჰიმ ბენ აკ შემს ედ-დინი წმინდან [აკ შემს ედ-დინის [გარდაცვალებიდან] ორმოცი წლის შემდეგ იყო მისი მოადგილე. მისი შეთხულია სუფიური მეცნიერების შესახებ წიგნი, რომელსაც „ვაჰადეთ-ნამე“<sup>9</sup> ეწოდება. წმინდან [აკ შემს ედ-დინის] გვერდით ასაფლავია. ალაპის ცხონება იყოს ყველა მათზე. შეიხი სეიდ//სექინ 464 სულთანიც აკ არის.

ამ ქალაქში ერთი დღე დავტჩით და სამურალ გავატარეთ დრო. იქიდან ისევ ჩრდილოეთისაკენ [ვიარეთ] და 7 საათში თარაკლის ციხესთან მოვედით.

თარაკლი: ბრუსის მთავრის აშენებულია. ოსმან-ყაზის დაპყრობილია. საპატიო. ასორმოცდაათახიანი ყაზია. მისი ციხე ამჟამად გავერანებულია, მაგრამ დასახლება კი ვენახებიანი, ბალებიანი, გამდინარე წყლებიანი, ხუთასამდე კეთილმოწყობილი, ყავრითა და კრამიტით დახურული სახლიანი და ფუნდუკიანი, ხევში მდებარე დაბა. თერთმეტი მისრაბი და შვილი უბანია. ლამაზია ჯამეც, რომელიც სავაჭრო რიგებში დგას. ერთი აბანო, ხუთი ფუნდუკი, უქვესი უმაწვილების სასწავლებელი და ორასი დუქანი აქვს. რადგანაც ყველანი კოვზებსა და სავარცხლებს აყეთებენ, ქალაქს თარაკლის<sup>10</sup> უწოდებენ. რადგანაც მის მთებში მთლიანად ბზის ხებია, მცხოვრებლები მათ ამჟავებენ და არაბეთსა და ირანში გზავნიან. მისი ჰავა ფრიად მშეენიერია. მთები მთლიანად ტყე-ბუჩქით არის დაფარული და სანაღირო ადგილებია. მისი ხევის წყალი [დაბაზე] რომ გაივლის, სხვა მდინარეს ერთკის და შემდეგ მდინარე საქარიაში ჩადის. აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ და 7 საათში ქვეს ციხეში მოვედით.

ქივეს ალწერა: მისი სახელი ქივედან წარმოდგება. იგი ალექ-სანდრე [მაკედონელის] ნათესავის, იზმიდის ციხის ამშენებელ ხელმწიფე ქალის — ქივეს ცხვრის მწყემსებისათვის განკუთვნილი პატარა ციხე იყო. ხელმწიფე ქალის სახელი დაერქეა. ბოლოს [სახელი] დამახანჯდა და „ქივე“ გამოითქმის. 712 (1312—1313) წელსაა ოსმან-ყაზის მიერ დაპყრობილი. ასორმოცდაათახიანი პატიოსანი ყაზია. მის სანახებში, მდინარე საქარიაზე სულთან ბადჩეთ-ველის საუცხო და უზარმაზარი ხიდია. ძველ დროს აქ დიდი ქალაქი იყო, მაგრამ მურად-ხან მეოთხის დროს მდინარე საქარია აღიდებული და ქალაქი წაულე-კავს. შემდეგ ისევ გაშენდა. სამასი სახლი, ერთი ჯამე, ერთი აბანო, სამი ფუნდუკი, შვილი უმაწვილების სასწავლებელია. სახლები ყავ-რითა და კრამიტითა დახურული. ქალაქი მდინარე საქარიადან ისრის

ერთ გასროლაზეა დაშორებული: ერთი კრამიტის სახურავიანი, ვეებერ-  
465 თელა ფუნდუკია||და მის ახლომახლო ოცამდე დუქანი ღგას. ჩადგა-  
ნაც ბალ-ვენაზი ბევრია, ყურძნის მწრილი და საქარიას ნესვი განთქმუ-  
ლია. თითო ცხენზე ორი ნესვი იტვირთება; ძალიან დიდი და ტკბილი  
მოღის. ქვევს ხიდთან სულ ბოსტნებია. ხიდის ქვეშ გამავალი მდინარე  
საქარია ქვემოთ მთებში გადის, ქალაქ ბეითაშარის ძირის გაივლის,  
მრავალ სოფელსა და დაბას რწყავს; შემდეგ კოჭაილის გაივლის და  
დაბა რაზვეში შავ ზღვის ერთვის. ამ დაბაში არიან სიფაპიების ქეთ-  
ხუდა, იანიჩარების სარდალი და ვაკუფების მუთეველი. მისი უწმინ-  
დესობა ბურჟანის წმინდა საფლავი: ოშანთან ერთად მოსული ეს პი-  
როვნება აქა დასაფლავებული.

იქიდან ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ, ხიდზე გადავედით და საქა-  
რიას ნაპირ-ნაპირ გავიარეთ ტყე, რომელსაც აღაჩდენიზე ეწოდება.  
ისეთი ტყეა, რომ ბევრი უცხო ქვეყნიდან ჩამოსული, რომლებიც აქა-  
ურობას არ იცნობდნენ, იყარებოდნენ და გარეული მხეცების კერძი  
ხდებოდნენ. დაფინის, ღვიძის, ფიჭვის, ცაცხვის ხეების ყვავილთა სურ-  
ნელება აღამიანს ათრობს. მზე სრულიადც ვერ ატანს შიგნით. ამ  
ხეივნებში მრავალი ათასი სახერხი წისქვილია ფუცრის, საჭრელად და  
ხომალდებისათვის ხე-ტყეს კრიან. ეს მთები ოთხი სანჯაყის საზღვრებ-  
ში მდებარეობს და მართლაც რომ ხეების ზღვაა<sup>11</sup>. მისი ერთი მხა-  
რეა ბრუსის სანჯაყი, ერთი მხარე — იზმიდისა, ერთიც — ბოლუსი და  
კოჭაელისა. მისი შემოვლა მხოლოდ ერთ თვეში შეიძლება. მისი საუ-  
კეთესო აღგილებია ის ნაწილი, რომელიც ამ ქვევს გზაზე მდებარეობს.  
მესამე საათს, რაც ჩვენ ქვევ დავტოვეთ, საქარიას ნაპირზე, ერთ ცი-  
ცაბო კლდეზე დავინახეთ ჩობან-ყალა. პატარა ციხეა. შიგ აღამიანი-  
შვილის კვალიც არაა. დანგრეული და გავერანებული დგას. თურმე  
ძველად ამ ციხეში იდგნენ ხელმწიფე ქალის — ქიქვეს მწყემსები და  
გმელელ-გამომელელთაგან ბაქს იღებდნენ. მის ქვემოთ ზღვასავით  
მდინარე საქარიაა. უკან ციცაბო მთაა, ხოლო გზა — ძალიან ვიწრო  
და ჭოჭონეთური, ამიტომ ხალხი იძულებული იყო ბაჟი გადაეხადა.

ეს აღგილი რომ გაიარეთ დასავლეთით, არხენიან შევეჭეცია  
საუზმეს საქარიას ნაპირას, ყვავილნარებში და ნაკაღულების პირას,  
სადაც მზე არ ატანდა. შემდეგ ლოცვა-ვედრება შევუოვალეთ შემო-  
ქმედს, ავიყარენით, კიდევ 4 საათი ვიარეთ და დაბა საბანჯაში დავი-  
466 სადგურეთ. იგი აღრე||აღვწერე, როდესაც არზრუმში მივდიოდი. კვლავ  
დასავლეთისაკენ ვიარეთ და იზმიდის ციხეში მოვედით. ესეც აღრეა  
აღწერილი ჩვენს მიერ. აქედან ჰელვეტის ციხისაკენ გავედით, ისევ და-  
სავლეთისაკენ ვიარეთ რამდენიმე საათი და დაბა გექბოზას მოვედით.  
ესეც აღწერილია. შემდეგ მოვინახულეთ ქემიქლი ალი-ბაბას [საფლა-

ვი]. კვლავ დასაცლეთით წავედით და გავიარეთ სოფელი ფენდიქი, კართალი, ბოსთანგი-ბაშის ხიდი და კადიქშეს მივაღწიეთ. შემდეგ, 1058 (1648) წლის ჯუმადა მეორის თვის ბოლოს (შუა ივლასი), ღიდება ღმერთს, ჯანმრთელად და მშვიდობით ჩავედით ძველ და ძიდ ქალაქ სკუტარში. სამოთხის ბაღის მსგავსი, დედამიწის ზურგზე უბადლო, შევენიერპატრიანი და შენობებიანი ქალაქია. ისიც ყოველი წერილ-მანითურთ აღვნუსხე პირველ ტომში კონსტანტინეს<sup>12</sup> აღწერისას. ალაპის სახელი ვახენეთ, ყველა ცხენი და ჭორი, ბარგი-ბარხანა ხომალდებზე დავტვირთოთ, ღმერთს მინდობილნი სტამბოლის უბეზე გავედით და შევედით უბადლო ქალაქში, უდიდესი სახალიფოს გულში; ბედნიერების ქალაქ სტამბოლში.

ღიდება ღმერთს, ჩემი მხევლებითა და მსახურებითურთ ჩვენს სახლში მივედი და პირველად ჩემი კეთილი დედის პატიოსან ხელებს ვემთხვიე. შემდეგ დებს დავუკონე შუქიანი თვალებრ. ისევ შევგექი ცხენზე, აღთქმა შევასრულე და მისი უწმინდესობა უფალ ეჯუბ ანსარეს წმინდა საფლავი მოვილოცე. იქ ჩემ მიერ აღთქმული ერთი ზვარაკი ალაპისათვის დავკალით და დავურიგეთ იმათ, ვისთვისაც იგი განკუთვნილი იყო. წმინდა ეჯუბის ძლევამოსილი სულისათვის დავიწყე პატიოსანი ხათმი და სახლში მოვედი. იმ ღამეს დავწექი, მშვიდად დავიძინე და სიზმარში ჩემი საყვარელი, ცხონებული მამა ვნახე. „კურთხეულ იყოს შენი მოგზაურობა, ვაჭრობა და წმინდა აღვილების მოლოცვა. ალაპის მოციქულიმც იყოს შენი შემწე. კეთილი იყოს შენი მოსველა; ღიდება ღმერთს, რომ ხელცარიელი არ დაბრუნდი. ერსულთნის გზაზე პატარა ვაჟკაცი გამხდარხან<sup>13</sup>. ჩვენი ლოცვა-კურთხევა არ დაივიწყოთ“. თქვა და მე, მწირს, ალაპის სახელის ხსენებით სამჯერ წამაკითხა სურა: „თაქასურ“-ი<sup>14</sup>. ღილააღრიან რომ გამეღვიძა, ნათესავები ჩავსხედით ნავში, უნკაფანიდან გავედით და მივადექით სასაფლაოს, რომელიც თერსანეს უქან მდებარეობს. პირველად ჩვენი საყვარელი მამის საფლავი მოვილოცეთ, სამჯერ წავიკითხეთ სურა „თაქასურ“ და შევუდექით წმინდა ხათმს. შემდეგ მოვილოცეთ ჩვენი წინაპერები, რომელიც [სულთან შემშედ მეორე] ფათოპის დროიდან მოყოლებული აქ არიან დასაფლავებული.||დამწუხერე- 467 ბულნი დავბრუნდით სახლში. განსვენებული მამის მიერ ჩემთვის დატოვებული ქონება მივიღე, ყველა ჩემ მეგობარსა და ამხანაგს შევხვდი და გულითად საუბარს შევუდექით.

როდესაც მე, მწირი, არჩრუმის ამ მოგზაურობიდან ვბრუნდებოდი, ვნახე, რომ ჯივან კაფუჯი-ბაშის სასახლის წინ ერთი ისეთი მაღალი სასახლე აუშენებიათ, ცას ებჯინებოდა. ამ მომხიბლველ სასახლეს რომ ვათვალიერებდი, გამოჩნდა ერთი კარისკაცი და მითხრა: მობრ-

ძანდით, შის ილმატებულება ეფენდი გთხოვთო. მე, მწირმა ვუთხარი: „ვინ არის შენი ბატონი“-მეთქი. პასუხად მომიგო: „ხონთქრის ხოჭა და ამ სასახლის პატრონიათ“. მე, მწირი, კიბეზე ავედი და მის მაღალ დივან-ხანეში შევედი. რას ვხედავ! სამოცდაათ-ოთხმოცამდე სიასამურის ქურქიანი მასხური გარს შემონხევიან ჩჩეულ ახალგაზრდებს და დგანან. დავინახე, რომ შემაღლებულ, საპატიო ადგილზე შავწვერა ვაჟკაცი ზის, რომელსაც ულემას პატარა ჩალმა ახურავს. მაგრამ, არ ვიცი, რომელია სახლის პატრონი. ყველა იქ დამსწრეს თავაზიანად მიგმართე: „მშვიდობა იყოს თქვენდა, პოი, ღვთის მოყვარულნო!“ საპატიო ადგილზე მჯდომა მითხრა: „თქვენდაც იყოს მშვიდობა, პამიდ-ეფენდის მეღრესეში ჩემთან, საწყალ შეიხ-ზადესთან, ერთად ნამყოფო, საყვარელო ამხანაგონ“. ფეხზე წამოდგა ჯა ხელი ჩამომართვა. ერთმანეთს გადავეხვით და გადავკოცნეთ. მაგრამ, ღმერთმა იცის, რომ ვერ ვიცანი. „ო, ჩემო ძვირფასო! უბრალო კაცი იყავი და დარბაისელი გამხდარხარ. ეს რა უცხოსავით მოგვესალმე?“, თქვა. მაშინვე მიუუჯერი და ვუთხარი: „ჩემო ხელმწიფევ, ძელო მე-გობარო, ძეირფასო, ამხანაგო, ჩემო ძეირფასო შეიხ-ზადე“-მეთქი. „კეთილი იყოს შენი მოსვლაო“, თქვა. „ყავა და შარბათი მოიტანეთო“, ბრძანა. „რა არის, ამ სასახლეს რატომ თვალიერებდიო“. მე, მწირმა, ვუთხარი: „ჩემო ხელმწიფევ, ორწელიწადნასევარია, რაც ამ ქალაქიდან დავთარდარ-ზადე მეპმელ-ფაშასთან ერთად წავედი. ეს ნა-გებობა არ მენახა. დიდება ღმერთს, რომ ასეთი კარგი შენობა აუგიათ, ღმერთმა აკურთხოს“-მეთქი. მისი [აშენების] თარიღი შემდეგი იყო: „კეთილად გაშენდა ეს საღომი. კურახეულ იყოს იგი“, 1054 (1644). მეორე თარიღი: „მუდამ მშვიდობითა და ბედნიერებით იყოს კურ-თხეული ეს ადგილი, 1054 (1644) წელი“.

ხოჭამ თქვა: „ევლია ჩელები, იმის გამო, რომ ერთად ვსწავლობდით მეღრესეს კუთხეში, დიდებულმა ღმერთმა უც ცოდნასთან ერთად მიწყალობა ეს სასახლე და სკუტარში, ჩვენს ვილაიეთში და სხვა მრავალ ადგილებში — ჩიუთილიქები“-ო. ესა თქვა და ალაპს ქება-დიდება მიუძღვნა. მე, მწირმა, ვუთხარი: „ღმერთმა ინებოს, ჩემო ხელმწიფევე შენთან ერთად ვეითხულობდი საღოთო მეცნიერებას. მიწიერ ცხოვრებაშიც ვიქენები თქვენი სიმღიდრის მოზიარე“-მეთქი. ეს რომ ვთქვი, მითხრა: „ღმერთმანი, მესიამოვნა, რომ არ მომერიდეთ. აბა, აქ 468 მო, ხაზინადარო!“ || მიახლებულ ხაზინადარს ყუჩში რაღაცა უთხრა. ცოტა ხნის შემდეგ მოატანინა ერთი ქისა კურუშში, ერთი სიასამურისქურქ-მოვლებული მწვანე შალის მოსასამი, ყადის ფართო ხიფთანი, ერთის სიტყვით, თავით ფეხებამდე ერთი ხელი ტანსაცმელი მოატანინა და მიბოძა. საჭმელი რომ გეახელით, დავეთხოვე, წამოვედი და ქვევით

რომ ჩამოვედი, დავინახე რომ ცხენზე შესაჭდომ ქვასთან დგას მაჰმუდის სპილოს მსგავსი ქეპეილანის ცხენი; ვერცხლის უნაგირიანი, ვეზირების [შესაფერი] რახტანი. ბიჭმა მითხრა: „ეფენდი, ესეც თქვენ გზწყალობათ“. მაშინვე შევპარუნდი ეფენდისთან და ვუთხარი: „ჩემო ხელმწიფევი! მიწიდან ამიყვანეთ, ამამაღლეთ და ქვეითი რომ ვიყვა, ცხენზე ამამხედრეთ. ლმერთი იყოს თქვენი კმაყოფილი“-მეტე. მოწიწებით გამოვეთხოვე, ისევ შევჭერი ცხენზე და სახლში დაგბრუნდი. ცოტათი რომ დაეისვენე, სამხრის შემდეგ ორმოცდათმა მეკურტემ ერთის აურზაურით მოიტანა ბრინჯი, ყავა, შაქარი, ცვილის სანთელი, ცხიმი და ერთის სიტყვით, ნაირ-ნაირი საჭმელ-სასმელი. ჩემი ცარიელი სახლი მწყალობელი ლმერთის მადლით გაიისო. მე, მწირი, სიხარულით ცას ვეწიე, მოსულ კაცს შარბათი მივაწოდე და წავიდა. ღვთხს სიბრძნით, მე, მწირს, კიდევ ორჯერ მომეცა შესაძლებლობა ბოჭასტან მიესულიყავი.

ბოლოს, კუნძულ კრეტადან შევლის სათხოვნელად მოვიდა ჭარის ქეთხუდა ყარა მურად-აღა და მას მოსთხოვეს ათასი ქასა, ამდენივე სურნელოვანი ნესვი, სამოცდაათი სიასამურის ქურქი და ორი მხექალი<sup>15</sup>. რადგანაც მურად-აღა მაშინვე გაიქცა იანიჩართა უველა ოდისა. და სიფარიშის ოდებისათვის [ამ] ამბის შესატყობინებლად, ჭარში აჯანყების ნიშნებმა იჩინა თავი. კოჯა მევლევონ ვეზირ დერვიშ მეჰმედ-ფაშა<sup>16</sup> დიდვეზირი გახდა და ყარა მურად-ფაშა კი — იანიჩართა აღა თეზერეჭი ვეზირ აჰმედ-ფაშა კი დაიმალა<sup>17</sup>.

## XCVI

მოკლე აშაბადი იგრაიშ-ხანის შვილის, კათილაშიგილ სულთან.

მიმაღად-ხან მიორთების სულთანიგილა — გარაფილობა მისდეს

ლაშკრთა მის სახალიფოს აშორილა უკუნისავდე

მისი ტახტზე ასვლის ჩევნთვის ცნობილი თარიღები შემდეგია: „მეჰმედ-ხანის ტახტზე ასვლამ ქვეყნიერება დაამშეიდა“. მეორე თარიღი: „სულთანი გახდა მეჰმედ-ყაზინ, ყველა ხაკანზე სამართლიანი და დიდსულოვანი“ — (1648).

|| რეგების თვის ოცდამესამე დღეს (13.VIII.1648) ვეზირმა მევ- 469 ლევნები სასახლეში ხონთქარს ერთი ქისა მეჰმედ-ხანის [სახელზე მოჭრილი] ახჩა მიუტანა<sup>18</sup>. რეგების თვის ოცდამეხუთე დღეს, რადგანაც სასახლის იჩ-აღები აჯანყდნენ, იბრაჰიმ-ფაშამ მათი აღა გადააყენა და სხვა აღა გაგზავნა. რეგების ოცდამეექსე დღეს მისმა უდიდებულესობამ, მაღალადგილოვანმა ფალიშამშა [სულთნის] ხმალი შემოირტყა, დიდის ჭარით მოვიდა სასახლეში და ტახტზე დაჯდა. სხვათა შორის,

მისი ნამდვილად ტახტზე ასვლის დღე იყო 1058 (1648) წლის ოქტომბრის თვის მეთვრამეტე დღე (8.VIII.) — შაბათი. სამხრის დროს ბეგნიერად იჯდა ტახტზე ფალიშაპად. ჭერ შვიდი წლის ყრმაც არ იყო და ტახტზე ავიდა. მაგრამ მისი დაბალების თარიღი ძალიან გაურკვეველია და თარიღი განსხვავებულადაა ნათქვამი: „ნათებაა — მოვიდა იბრაჟიმის შთამომავალი მეტმელი“. სხვა თარიღი: „ლოცვა-კურთხვით უთხრა ჭევრიმ უფლისწულს თარიღი: სულთანი გახდეს მეტმელი — ბეგნაურების ამომავალი მზე“, წელი 1051 (1641). მისი ტახტზე ასვლის დროს ხაზინაში განვერეტილი გროშიც არ იგდო. განსვენებული მურად-ხან მეოთხის მიერ ხაზინაში საჩშმუნოებისათვის გადანახული შვიდი ხაზინიდანაც კი არ იყო დარჩენილი არცერთი გროში. იბრაჟიმ-ხანის დროს წინდახედულმა ვეზირმა მევლევაშ თქვა, რომ საქოროა ეხლა ჯარს ტახტზე ასვლის საბოძვარი დაურიგდეს; ვაკუფების ქონების გამნიავებელთ საყელოში ჩავლო ხელი, თავი მოუყარა და ჩამოართვა: ჯინჯის ქონებიდან სამი ათასი ქისა, ჰეზარ-ფარეს ქონებიდან 5 ათასი ქისა, შუქურ-ფარეს ქონებიდან ათასი ქისა. ერთის სიტყვით, ასობით სხვადასხვა ადგილს უაზროდ გაფლანგული ხაზინები შეაგროვა. ჯარს ტახტზე ასვლის საბოძვრად მიეცა სამი ათასი შვიდასა ქისა და ამის შემდეგ შვიდი ათასი ქისა ჯამაგირად გაიცა. ერთის სიტყვით, ისეთი სამართლიანი ხარჯები იქნა გაწეული, რომლის მსგავსი არ ნახულიყო. მიუხედავად ამისა, ვერ გაძლნენ და სულთანის ჰარემის ღულამებმა კიდევ მოითხოვეს ტახტზე ასვლის საბოძვარი.

როდესაც შევალის თვის პირველი დღის (28.X.) ბრწყინვალე მთვარე გამოჩნდა, ხალხი წმინდა დღესასწაულით გაპატიოსნდა და გაიხარა. ბაირამის მეოთხე დღეს, ოთხშაბათს დიდი „ჩიქმა ბაშილიქით“<sup>2</sup> განსვენებულ იბრაჟიმ-ხანის სილაპარ მურთაზა-ფაშას დამასკოს ვილაიეთი ეწყალობა ვეზირობის წოდებით. კანონების მიხედვით სიფაჲი გახდა სასახლის სამი ათასი ახალგაზრდა, რომლებიც სასახლის ოცდაორი დაწესებულებიდან იყვნენ: — საკუჭნაოდან, ხაზინიდან, [სულთნის] საკუთარი პალატიდან, დიდი და პატარა პალატიდან, მოლაშქრეებიდან, ზულუფლუებიდან, ბალთაჭიებიდან, ჰელვაპანედან აშშიებიდან. ბოსთანჯიებიდან, საჯინიბოდან, გალათას სასახლიდან და 470 იბრაჟიმ-ფაშას სასახლიდან||რადგანაც ისინი საცაა კრეტას ლაშქრობაში უნდა წასულიყვნენ. კულულები მოიკრეს და ანთებულ ჩირალებად გადაიქცნენ<sup>3</sup>. მურთაზა-ფაშა ყველა ამათი ჩიქმა-ბაში გახდა.

ჩემი გამონი დავთარდარ-ზადე მიკალ-ფაშას შეტაკმიბა

ვიზირ მიუღებოსთან

მას შემდეგ, რაც მე, ცოდვილი მწირი, ფაშას დავშორდი, იგი სტამბოლის წარჩინებულების წერილებით იზნიქში მდებარე ჩინის ჩიფთლიქში მივიღა და იქ, როგორც კი გაიგო ტახტზე [ახალი სულთნის] ასვლის ამბავი, თვალის დახამხამებაში ნავში ჩაჯდა ჩალოვას დაბაში, პირდაპირ შევწიადეს ჯამეს მახლობლად მივიღა კოჭა ვეზირთან და ხელზე აკოცა. მე, მწირიც, ვესწრებოდი.

კოჭა ვეზირშა მაშინვე შემდეგი საყვედური დაიწყო: „ბატონო ფაშა, უნებართვოდ რატომ მოხვედი? თუ.. ბეჭდისათვის მოხვედი?“

დავთარდარ-ზადემ მაშინვე უპასუხა: „ღმერთმა დამიფაროს. ჩემი ხელმწიფევ! მე ბეჭდის ლირის არა ვარ! მაგრამ ჩემი ბატონის საღრაზამად გახდომის ამბავი შევიტუვე და ღმერთს ქება-დიდება და მადლობა მოვასხენე, რომ მამაჩემის ძევლი მეგობარი და მამაჩემის აღვილზე მყოფი, სულთან მურად მეოთხის ღროს ჩემი გამზრდელი. რომელმაც მე ლირის გამხადა მაღალ წოდებაში შევსულიყავი — თქვენ. ჩემი საყვარელო მამავ და ბატონო, პირველი აღგილის — საღრაზამობის მფლობელი გახდით-მეთქი ვთქვი და გეახელით. რათა თქვენ ფერხთა მტვერს სახე გაუსვა“. ეს თქვა და ფაშას თაყვანი სცა.

კოჭა ვეზირი: „სულთან იბრაჰიმ-ხანმა შენ ყარსის [განმგებლის] თანამდებობა მოუგა. რატომ არ წახვედი?“ დავთარდარ-ზადემ უპასუხა: „პო ჩემი ხელმწიფევ! იმ ბრძანებასთან ერთად ჩემი მოკელის ფირმანიც იყო: ასე აშკარად როგორ წავიდე ყარსისთანა უშემოსავლო აღგილს და თავი გაეწირო?“ ესა თქვა და კოჭა მევლევი ვეზირმა არწივივით დასჭყივლა: — „აბა, წაღი. თორემ ახლავ გაგათავებო“. .

ჩვენმა ბატონმა დავთარდარ-ზადემ მიუგა: ..ჩემი ხელმწიფევ! ალაპმა და მოციქულმა შემიწყალონ. ცოლ-შვილის პატრონი ვარ. ერთი წელია, რაც ანატოლიაში თვრამეტი სანჯაყის მიწაზე ამოდენ ნაძირალა სეკბან და სარიჯაებთან ერთად ღვთის მონასავით უსახლკაროდ დავხეტიალობ და საღაც დამილამდება. იქ მითენდება“. ვეზირი კიდევ უფრო გაცხარდა და უთხრა: „აბა, გადი აქედან, მე შენ გუბნებიო“. დავთარდარ-ზადემ დაიძახა: „აულიმც ამოგხდეს!“ და ხანგალზე რომ იტაცა ხელი, ვეზირმა ხმა გაიკმინდა და ჩაფიქრდა. შემ- 471 დეგ უთხრა: „ფაშა, თუ სწორ გზას დაადგები. ერთ სამსახურში ვამოგიყენებთ. ახლავე დაშალე შენი ჯარი. ბეღნიერებამოსილი ფალი- შაპი სამართლიანად მოგექცა და არფალიქად გიბორა მილათიას სან-

ჭაყი“. ეს რომ თქვა, ფაშამ უპასუხა: „კეთილი იყოს შენი დასასრული, თანახმა ვარ. ავარიზე, ხარაგასა და შემოსავალს თუ მიწყალობებთ, ჩვენი საქმე დამთავრებულია“<sup>1</sup>. კოჯა ვეზირმა უთხრა: „ასე იყოს. დიღლით სათანადო ბრძანებები მიიღონ“. ფაშამ უტკიცვი ლოცვა-დიდება მიუძღვნა, მის პატიოსან ხელს აკოცა და გარეთ გავიდა. პირდაპირ მივიდა სასახლეში, რომელიც სულეიმანიეში იყო; დედა და შვილებიანად წავიდა თავის საზაფხულო აგარაკზე, რომელიც პისარში ჰქონდა. ყველა მისი ხელქვეითი გარშემო საღარაგოზე დადგა.

მეორე დღეს მას მალათიას სანჯაყის წყალობის ბრძანება მოუვიდა როდესაც მალათიაში უნდა გამგზავრებულიყო, მე, მწირმა, რამდენიმე მფარველი ვიშოვე შუამავლად, მის ფეხს მტკერს წახე გავუსვი, ათასი წყალობითა და სიძნელეებით მივიღე მისი ნებართვა ჰაჯის შესასრულებლად წასვლისათვის. რადგანაც სამსახურიდან გავთავისუფლდი, ასი ვენეციური ოქრო, ერთი ჩოხა და ერთი ატლასი მიწყალობა. ერთმანეთს ლოცვა-კურთხევით გამოვეთხოვეთ.

ისინი თავისი ნავებით დაბა დალოვასაკან წავიდნენ. მე, მწირი, სტამბოლში დავრჩი და წმინდა ჰაჯის შესასრულებლად წასახვლელად სილაპდან მურთაზა-ფაშას მუეძინთა უფროსი გაეხდა. კოჯა მევლევი ვეზირმა მექაში გასაგზავნ საბოძვართა იმამად დამნიშნა და ასი ოქრო მიწყალობა. ყველა მეგობარსა და ამხანაგს გამოვეთხოვე და სკუტარში გადავედით.

## XCVIII

შაბანის პირველი (21. VIII. 1648) სილაპდარ მურთაზა-ფაშასთან  
ერთად სამოთხის სურალევაიან დაგასპოვი გამგზავნება

ჩვენი კარვებით ჯერ სკუტარში გავჩერდით; სურსათსა და საჭირო მოწყობილობას ვამზადებდით და თან დღე და ღამ ჩვენ ბატონ მურთაზა-ფაშასთან ერთად შესანიშნავად ვატარებდით დროს. უმეტესად მე ვეწერდი მის იმამობას. იმიტომ, რომ რაღვანაც მისი იმამი სიჩირელი არაბი იყო, არ უყვარდა იგი და კარავს გარეთ მას ატარებინებდა ლოცვას, ხოლო შინაური იმამობა და მუეძინობა კი მე, მწირს, დამაგალა. დილიდან საღამომდე ერთი წამითაც არ მიშორებდა გვერდიდან. ერთი ქართველი მონა, დარახტულ-მოკაზმული ქეპეილანის ცხენი, ასი ოქრო, ორი ჯორი, ორმოცი პური მომცა და თავისი ყო-  
472 ველდღიური ქვირფასი საჭმელებით ||მქვებავდა. ფრიად დიდსულოვანი, სანაქებო ხასიათის აღამიანი იყო.

ამბავი მურთაზა-ფაშასი! : მურთაზა-ფაშა დაბადებულია საქართველოში, ჩობანიანთა ვარსკვლავივით მშვენიერი ასულის „ბაღდაღადაღ“ წოდებული ხათუნის მიერ აშენებულ საამურ ქალაქში, რომელსაც საქართველოს ბაღდაღი ეწოდება. საქართველოს მბრძანებელ მავრულხანს<sup>2</sup> იგი საჩუქრად გაუგზავნია თაბანი ჩასსი მეჭმედ-ფაშასათვის და მის პატიოსან ჰარემში აღიზარდა. როდესაც დავაუკაცდა, იჩ-ოლლანი გახდა და თაბანი ჩასსი მეჭმედ-ფაშას საღრაზამბის ღროს<sup>3</sup> ალეპოში იმყოფებოდა, სადაც ჯარი იზამთრებდა. [შემდეგ] — ერევნის ომში. შემდეგ ფაშას ახლდა სილისტრიაში, სადაც იგი კამაჯამი იყო და ეწოდა სარიკი-ბაში მურთაზა-აღა<sup>4</sup>. როდესაც ვლანეთისა და მოლდავეთის ამბების გამო თაბანი ჩასსი მოკლუს<sup>5</sup> და მთელი მისი ღულამები სულთნის სასახლეში წაიყვანეს, მათთან ერთად ესეც მიიღეს და სახელად უწოდეს დესთარი მურთაზა-ფაშან. სულთან იბრაჰიმის ღროს მის საკუთარ მცენრითა ოდაში შევიდა. ოცდასამი წლისამ თანამდებობა მიიღო, სულთნის დახლოვებული პირი და საჭურველთმტვირთველი გახდა. მეჭმედ-ხან მეოთხის ტახტზე ასვლის პირველ ხანებში, როდესაც საქურველთმტვირთველის თანამდებობაზე იყო, დამასკოს ვილაიეთი მიიღო და ჩირალდანივით აინთო.

მისი გარეგნობა: ტანაღი, შავვერემანი, სწორშუბლიანი, შავწარბწამა, კრელთვალა და ენამოჩლექილი იყო. რადგანაც ქვედა ყბაზე ოთხი კბილი აკლდა, ზოგიერთ ბერას ვერ წარმოთქვამდა. წვერი ახლად მოეშვა და უფრო მეტად დამშვენებულიყო. მკერდგანიერი, წელწვრილი, მკლავმაგარი, ბრტყელტერფა — თავისი ბატონივით<sup>7</sup>, — კეთილი, მშვიდი, თავაზიანი, მოსიყვარულე, მოფარიქავე, ძალის მცდელი, მძლავრი ვაჟკაცი იყო. მუდამ ოქროქსოვილისა და ხატური ნაირფერადი ტანისამოსის ჩატარდა, რადგანაც ქალების დიდი მოყვარული იყო. მისი იჩ-აღები არ შეიძლებოდა, რომ ახალგაზრდები ყოფილიყვნენ და ყველანი ოცდაათწლიანი, ლონიერი ვაჟკაცები იყვნენ<sup>8</sup>. ამ სკუტარის ველზე იჩ-ღულამებს ასი ყურუში უბოძა და საჭურველთმტვირთველსა და ჩირალდარსაც — ერთა ქისა.

## XCIX

გზაზე მოთარება ყარა ჰაიდარის გვილის დაპერა კასან-ალას  
მიმრ და სტამბოლში ფაფვანა

ავაზაქმა, რომელსაც სახელად ყარა ჰაიდარი ერქვა, ერთი ყადი მოკლა და [სულთან] იბრაჰიმ-ხანის ტახტზე ასვლის ღროს||აჯანყდა; 473 მრავალი წლის განმავლობაში ესხმოდა თავს ქარავნებს და .მარცე-

ლობდა იზმირის მახლობლად მდებარე საკალ-თჭთანის, გირის, ფელა-ქეთის, დირექლის, ჩენგელლის, სარმაშიკლის, დომალიჩის, საბუნგუს და კიდევ სხვა ხეობებში. ბოლოს, ყარა მუსტაფა-ფაშას ფირმანით ანატოლიის ვილაიეთებში ქულზე კაცი გამოვიდა და ყარა ჰაიდარი დაბა აშიკლის მახლობლად ერთ სახლში ჩაიკრია. სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ყარა ჰაიდარი, შიშით გულგახეთქილი, გარეთ გამოვარდა და მოკლეს. მისი უკეთური თავი სტამბოლში ჩამოიტანეს. გზებზე სიწყნარე დამყარდა. მაგრამ გამოჩნდა მისი სბორის შვილი, სახელად ყარა ჰაიდარ-ოლღუ. თავისი წყეული მამის სისხლის აღება იკისრა და ანატოლიაში ოცი სანჯაყის სივრცეზე ასიათასობით ღვთისმოსავ აღა-მიანს მოსვენება დაუკარგა. თვით მემშედ-ხან მეოთხის სულთნობის დასაწყისამდეც კი სამი ვილაიეთის მიწების ძარცვა-ჩბევაში იყო. ვერავითარი საშუალებით ვერ ჩაიგდეს ხელში. ესენი სწორედ ის წყეულები იყვნენ, მე რომ მოულოდნელად წვანები ანკარის მახ-ლობლად მდებარე სოფელ ბალიქ-ჰისარში და რომელთა აჩბავი ხუთი თეის წინ ავწერე. ბოლოს, სულთან იბრაჰიმ-ხანის [სიცოცხლის] უკა-ნასკნელ ხანებში ჩვენი ბატონის — მელქ აქმედ-ფაშას ერთ-ერთ აღმა — აბაზა ყარა ჰასან-აღას, რომელიც აღრე თურქმანთა აღა იყო, გაეგზავნა ჰატიოსანი ფირმანი, რომლითაც წინადაღება. ეძლეოდა: „ან ყარა ჰაიდარის თავი, ან — შენიო“. ყარა ჰასან-აღას აღეთქვა, რომ სამსახურის გაწევის შემდევ მიეცემოდა თურქმანთა აღმა. ჰასან-აღმაც ათასამდე მამაცი, სახელოვანი და გამოცდილი ვაჟეაცი მო-აგროვა.

ერთხელ სულთან იბრაჰიმ-ხანმა გაიკო, რომ [ყარა ჰაიდარ-ოლ-ღუმ] სრულ-დალად წოდებულ ადგილას აიკლო ვაჭრები და მოსახ-ლეობა. როდესაც მან სპარტას, სოგუთისა და ავღინის მთებზე და სარუპანის ქვეყანაზე გაიარა ავაზაკ კათირჯი-ოლღუს. აკიაკალ-ოლ-ღუს, ონიაკანლი-ოლღუს, ჯეგინ ჰუსინსა და ყარა მემსთან ერთად. როდესაც ეს ამბავი მოვიდა, გაიცა ბრძანება, რომ ანატოლიის ვი-ლაიეთის განმგებელი, ვეზირი ქუჩექ ჩავუშ-ფაშა! მთელი ანატოლიის გარით წასულიყო. ფაშამ ათი ათასი მეომრით გაილაშქრა ამ ავაზაკე-ბის წინააღმდევ და ყარაპისარის ძირას ეს ორი მხარე ერთმანეთს რომ შეხვდა. ყარა ჰაიდარ-ოლღუ შეიდასი კაცით ისე შევარდა ანა-ტოლიის სახელდახელოდ შეკრებილ ათიათასიან ჯარში. როგორც მშეერი მგელი დააცხრება ხოლმე ცხვარს. ანატოლიის განმგებელს — მოხუც ვეზირს ხელ-ფიხი შეუკრეს და ყარა ჰაიდარ-ოლღუს მიპგვა-რეს. რადგანაც სახელმწიფოს ღირსების საქმე არისო, ყარა ჰაიდარ- 474 ოლღუმ ქუჩექ||ჩავუშ-ფაშა გაუშვა თავის ცხენიანად, ტანისამოსია-ნად და ახლობელი მსახურებიანად; თან ფიცი დაადებინა, ჩემს წინა-

აღმდეგ სახელმწიფოს დროშით აღარ წამოხვიდეთ. ამ დროს ფაშისა და ანატოლიის მთელი ჭარის ბარგი და კარვები ნადავლში დარჩა ავაზაკ კათირჯი-ოლლუს. კათირჯი-ოლლუ კი ჰაიდარ-ოლლუსთან მოვიდა და ფაშის გათავისუფლების ამბავი რომ გაიგო, რაც ენაზე მოადგა, ყველაფერი თქვა. მაშინვე დაედევნა ფაშას და წამოეწია. ბრძოლის დროს, როდესაც იგი მარტოდ ჩაიგდო ხელში, თვი გააგდებინა. შემდეგ ჰაიდარ-ოლლუსთან მობრუნდა. ამის შემდეგ უკვე კარგად მოითაბირეს და გადაწყვიტეს, იმ დღიდან მოყოლებული, დიდი ჭარი შეეგროვებინათ და გაემზადებინათ. ხმლით ამოსაწყვეტი მრავალი ასი ავაზაკი შემოიქმებას და კირშეპირის, ბექშეპირის, აქშეპირის, სეიდა-შეპირის, ესქიშეპირის, ალშეპირისა და სხვა ქალაქების მცხოვრებთა სახლ-კარი აიკლეს და მათი გულ-ღვიძლი მწვალად ააგეს. არ დარჩენილა ისეთი სისაძაგლე, რომელიც მათი ცოლ-შვილის მიმართ არ ჩაედინათ. ამიტომ, მეტედ-ხანის ტახტზე ასვლის მეორე დღესვე, სულთნის უზენაესი სიგელით აბაზა ყარა ჰასან-აღას დაევალა ჰაიდარ-ოლლუს მოკვლა. თურქმანთა ყოფილმა აღამ კოჭა ჰასან-აღამ ორიათა-სამდე გულადი, მამაცი, გამოყდილი ვაჟეკაცი შემოიქმება და როდესაც ამბავი მოუვიდა, ყარა ჰაიდარ-ოლლუ ამა და ამ აღვილას არის დამალულიო, ვილაიეთის მთელ მოსახლეობას შეატყობინა და შეუსვენებლად წავიდა ავაზაკების წინააღმდეგ. იგი აბაზთა შორის ყველაზე მამაცი, საქმეში დაუღალავი, ამაყი ვაჟეკაცი იყო. მთელი მისი ჭარი მიადგა და შემოერტყა სოფელს, სადაც თავი შეეფარებინათ ავაზაკებს. ყარა ჰაიდარ-ოლლუ ცხენს მოახტა, ორასამდე წყეული ვაჟეკაცით გაიცი გაარღვია ისლამის ლაშქარი და ძალუნებურად სოფელს გარეთ გამოვიდა ბრძოლის ველზე. მათ გამდეღლად მიქონდათ იერი-შები და მთელი სამი საათი იბრძოლნენ. ჰასან-აღას ორმოცდასამ კაცს მოწამეობრივი სიკვდილი ხდდა წილად და მათგან კი შეიდი წყეული დაენარცხა მიწას. სამხრობამდე გაგრძელდა ბრძოლა და ბოლოს ყარა ჰაიდარ-ოლლუს ცხენი დაეღალა. როდესაც იგი მეორე ცხენზე ჯდებოდა, რომელიც ამხანაგმა ავაზაკმა ყარა-მემიშ მოპევარა, ჰასან-აღას მიერ გასროლილი ტყვია თეძრში მოხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ასე მძიმედ იყო დაჭრილი, კიდევ ცხრა ვაჟეკაცი მოჰკლა. ბოლოს, ძალა რომ გამოელია, ||მზის ჩასვლისას გაიქცა და თვალს მიეფარა. ჰასან- 475 აღას ჭარს კი იმედი გაუცრუვდა. ყარა ჰაიდარ-ოლლუ ვერ ჩაიგდო ხელში — დაზარალებული და ხელმოცარული დარჩა. მეორე დილას საყოველთაო ბრძანებები დაიგზავნა; მათი მეოხებით ქვეშევრდომებს ატყობინებდნენ, რომ ვინც ყარა ჰაიდარ-ოლლუს შესახებ ამბავს მოიტანდა, ხუთი ცხენი და ხუთი ქისა მიეცემოდთ; ვინც ჰაიდარ-ოლლუსთან იყო და ამბავს კი არ შეატყობინებდა [ჰასან-აღას], მათ

აფრთხილებდნენ, რომ სახლებს თავზე დაანგრევდნენ. მესამე დღეს ერთი ჯურუქი მოვიდა და მოახსენა: „სამახარობლო, ჩემო ხელმწიფებები ყარა ჰაიდარ-ოლლუ ნატყვიარი ჭრილობის გამო სოფელში დატანა, მისი ნაძირალები დაიფარტნენ და თვითონ კი თავისი სამი კაცით არის ჩაეტილი ერთ სახლში“. ეს რომ თქვა, ჰასან-ალა და მთელი მისი ჭარი დაუყოვნებლივ ამხედრდნენ, მახარობელი კაციც ცენტრე შესვეს, ის დღე და ღამე ჭენებით იარეს და ხსენებულ სოფელში დაეცნენ ჰაიდარ-ალას, რომელიც ამ ღროს ცეცხლის პირას იჯდა. იმ ადგილიდან, საღაც იგი საფარში ჩაუწევა, თოვით შვიდი კაცი მოკლა. ბოლოს, როდესაც სხვა იარაღის ხმარება ალარ შეეძლო, იარალი ხელიდან წაართვეს, შეუბორებავად დაიმორჩილეს. ეს იმიტომ, რომ მას შემდეგ ჩაც ბრძოლის ველზე თეძოში ტყვია მოხვდა, ვიღაც უგუნურ წყეულს ლერწმის ლერო დენთით გაუცსია, ჭრილობაზე მიუდვია, ცეცხლი წაუკიდებია და თეძო ნაკუშ-ნაკუშად ქცეულა. ჩაღანაც იმის მდგომარეობა უიმედო იყო, ჰასან-ალამ დასტაქჩები მიუჩინა. ამჯვარად, სტამბოლში მისი მოყვანის დღეს ჩვენ სკუტარში ვიმყოფებოდით, დამასკოში გასამგზავრებლად გამზადებული. სტამბოლიდან და სკუტარიდან ასი ათასი მეომარი გავიდა და როდესაც ჭარი ჩვენს ბანაზე გადიოდა, ჰასან-ალა ჩამოხდა ალას სავანეში, რომელიც ჩემი კარვის პირდაპირ იყო. ყარა ჰაიდარ-ოლლუ ფიცრის ტახტრევანზე მოპყავდათ ორი ცხენით. თავზე ყვითელი აბრეშუმის ჩავერი ჰერნდა შემოხვეული და მწვანე, ტომარასავით ქურქი ეცვა. ძალიან გამხდარი და დაძაბუნებული იყო. აქეთ-იქით სალამს იძლეოდა. ისიც ალას სავანის ერთ სენაქში ჩამოსვეს. თურქმანთა ალამ, გამოცდილმა ჰასან-ალამ მაშინვე კაცი გაუგზავნა სადრაზამს და შეკითხვა შეუთვალა: „მოლალატე ყარა ჰაიდარ-ოლლუ თქვენი მეოხებით ეხლა ხელფეხშეკრული მოვიყვანეთ სტამბოლში. დილაადრიან თქვენ ბეღნიერებას როგორ ვაახლოთ? რანაირად მოვიდეთ ფადიშაპის დივანში?“ შემდეგ მოვიდა და ჩვენ ფაშას, მურთაზა-ფაშას შეხვდა. მურთაზა-ფაშამ მიმართა:

176 „დიდებულო მოხუცო! ძლევამოსილი იყოს შენი საღვთო ომი! ხმალი! ცაში შემართე და შენი ძლიერება გამოაჩინე. ახლა კი, როდესაც ჩემმა ფალიშაპმა დამასკოს ვიღაცეთი მიწყალობა, მიბრძანა: „აბა, შენ იცი, გზაზე დაიკირე ყარა ჰაიდარ-ოლლუ და მუსლიმი მლოცველების გზა უსაფრთხო და მშვიდობიანი გახადეთ“. დიდება ღმერთს, რომ იმ სასიკვდილე ადამიანის შეპყრობა ალაპშა შენ გარგუნაო“.

ამის შემდეგ, ყარა ჰასან-ალამ დაწვრილებით უამბო ჰაიდარ-ოლლუსთან წარმოებული ბრძოლა და ჭიდალი. გაოცდნენ ყარა ჰაიდარ-ოლლუს, კათირჯი-ოლლუსა და აკიაკალი-ოლლუს მაერ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობითა და სიმტკიცით.

შემდეგ მე, მწირი, ჰასან-ალას შევხვდი და უფთხარი: „ჩემო ხელ-მწიფევ, ღიღება ღმერთს, რომ ხელში ჩაგიგდათ ყარა ჰაიდარის შვილი, ეს ჩვენი ბეჟეფენდი“-მეთქი. მანაც ბევრი ლოცვა-დიდება შეუთვალი [ალაპს] და თქვა: „ევლია, თუ იცნობ ჰაიდარ-ოლლუს, მოდი ზავიდეთ; გამოეცნაურე და ანუგეშე. გააგებინე, რომ მას არ მოვაკვლევინებთ და დაპირდი, რომ კუნძულ კრეტაზე მყოფ დელი ჰუსეინ-ფაშასთან<sup>2</sup> გავაგზავნინებთ და ასე გადარჩებათ“. კიდევ სხვა რამდენიმე მითითება მომცა.

მე და ყარა ჰასან-ალა ერთად მივედით ჰაიდარ-ოლლუსთან. მე, მწირმა, მივმართე: „მშვიდობა შენდა, ჩემო ბეგო! კეთილი იყოს შენი მოსვლა“. ეს რომ ვუთხარი, ყარა ჰაიდარ-ოლლუმ მიპასუხა: „ოო, ჩემო მხსნელო ევლია ჩელები! შენი მოსვლაც კეთილი იყოს. თუმცა მე კი ავად მოვედი და აი, საჯაროდ დასჭის მოედანზე ვარ მოყვანილი!“

შემდეგ, მე, მწირი და ჰასან-ალა ჰაიდარ-ოლლუს გვერდათ მივუსხედით, ვესაუბრეთ და ბევრი ვანუგეშეთ. ჰაიდარ-ოლლუმ მითხრა: „მიცნობ, ჩემო ევლია? რა საოცრად გადაგირჩით იმ ზამთრის დღეს, ანკარის ვილაიეთის მახლობლად სოფელ ბალიქ-პისარში მოულოდნელად რომ დაგვადექი თავზე! საოცრად უდარდელები ვიყავით. დედაკაცებივით ვისხედით ცეცხლის პირას. თაშინ როგორც იქნა, გადაგირჩით, მაგრამ, ახლა, ამ ჰასან-ალას ძლევამოსილების მეოხებით ლამის სულის ჩიტი გამითრინდეს, ევლია ეფენდა!“

ჰასან-ალამ ჰკითხა: „ოო, ჩემო ბეგო! ევლია ჩელების იცნობ?“ ამაზე ჰაიდარ-ოლლუმ უპასუხა: „ერთხელ ანკარის ვილაიეთის ერთ სოფელში თორმეტ მხედართან ერთად ცეცხლის პირას ვისტედით. ესენი ორმოცდათი მხედარით მოულოდნელად დაგვადგნენ თავზე. თუმცა, მაღლობა ღმერთს, ხელი არ გვახლეს. დავიბენით და მათთან<sup>3</sup> გუ- 477 ლითად საუბრაში ერთი ღამე გავატარეთ. ევლია ჩელების ეს ჩახმახიანი თოფი და სამასი ოქრო მივეცი და იმ ღამეს ვისიამტებილეთ“. ესა თქვა და ქვითინი აუვარდა. მე, მწირი, შევწუხდი და ვუთხარი: „რა გატირებს, ჩემო ბეგო? როგორც კი ფალიშაპს ეახლები, ასე მოახსენე: „ჩემო ფალიშაპ! ჩიტივით უბრალოდ ნუ წამართმევ სიცოცხლეს, კრეტაზე გამაგზავნე დელი ჰუსეინ-ფაშასთან. დაე, იქ დავილუპო სარწმუნოებისათვის ბრძოლაში, ურწმუნოების ხმლით ჩეხვის ღროს“. ყარა ჰაიდარ-ოლლუმ მიპასუხა: „ეპე, ჩემო ევლია! სიკვდილი რომ მოგადგება, მერე წუწუნი რა ბედენაა! განა მე ჩემი სიცოცხლე მენანება?“ მე ვუთხარი: „რას ამბობ! ახლა, ჩემო ბეგო, კრეტას დაყრობაში მიიღე მონაწილეობა და იქ რომელიმე სანჯაყის ბეგი გახდის. თან, ერთხანს იქ სარწმუნოების მტრებს ხმალი ურტყი, ამას გირჩევ. შენ

თუ ასე ეტყვი, ბედნიერებამოსილ ფაღიშაპს ესიამოვნება და კრეტაზე გაგაგზავნის“-მეთქი.

„მოდი, ჩემო ევლია, პირი დაგიყოცნო! შენ კარგად ამბობ, მაგრამ ევლია-ეფენდი, მე დავმართე ჩემს თავს, მე“ — თქვა ყარა ჰაიდარ-ოლლუმ და თეძო გამოაჩინა. რა ვნახე? თითის სიმსხო მატლები! ჭრილობა დაჩირქებოდა და თეძო ნაკუჭ-ნაკუჭ ჰქოცოდა. ისეთი სიმყრალე ასდიოდა, კაცი ვერ მიეკარებოდა. ჰაიდარ-ოლლუმ სიტყვა განაგრძო: — „ჩემო ევლია, შენ მე ნუგეში მეცი და ალაჰიმც დაგიმაღლებს“. ესა თქვა და უბიდან მინანქრიან ბუღეში ჩასმული ოქროს საათი ამოილო: „ეს [საათი] შენივე ბალის აკრძალული ხილია და ისევ შენ გარგუნა ბეღმა“, მითხრა და მომცა. ღმერთმა იცის, რომ ოცი წლის წინათ როდესაც მე. მწირი, დამასკოსაკენ მივდიოდი, დაბა ისპაჟლის სიახლოვეს თვით ყარა ჰაიდარი დაგვეხსა თავს. დაგვამარცხა და ჩემი უამრავი ქონება წაიღო. სამოცდაჩერდეტი დღე და ღმე გვატარე მთებში მათთან ერთად. ბოლოს, ეს საათი მის შვილს ჩვებია. კაიასულთანის ნაჩქარი, საუცხოვო ნახელავი საათი იყო.

მე, მწირმა, ვიცანი და ვთქვი: — „პი, ბეგო! ეს საათი ერთ დროს ჩემი იყო“-მეთქი. ჰაიდარ-ოლლუმ თქვა: „მართალია! ჩემმა განსვენებულმა მამამ მომცა შენი ქონებიდან. ახლა ისევ შენ დავიბრუნდა. ი, ჰასან-აღას ჰქითხე. ახლა, გზაზე რომ მოვდიოდით, ამ საათის გამოისობით სულ შენ გახსენებდი, მელექ აშედ-ფაშას სამსახურში მყოფი ევლია ჩელების საათია-მეთქი ვამბობდი და შენთან ერთად მთებსა და ვიწროებში გავლის ამბავი ავუწერე“.

საღამომდე ბეგრი ვიღაპარაკეთ და ჩემი საუბრის შინაარსი მთლიანად მის სანუგეშოდ ავაწყვე.

478 მეორე დღეს, ღლააღღიან||სკუტარიდან მოვიდა ერთი გამოცდილი დასტაქარი. ოთხმოცწლიანი ხალასი ღვინით მოჰბანა ჭრილობა და დაჩირქებული ხორცი მთლიანად გამოიღო. თურმე თეძოს ძეალი დამსხვრეული ჰქონდა. დასტაქარმა თქვა: — „ეს არ მოჩჩებაო“, ჭრილობაზე მაღამო წაუსვა, შეუხვია და სკუტარიდან დიდი ამაღლით წაუყვანეს სტამბოლში დიდვეზირ კოჯას. მეც თან გავყევი სეირის საყურებლად.

საღრაზამის ძე სულეიმან ბეჟ-ეფენდის ვახლდი. საღრაზამმა კოჩა მევლუვე მეპმედ-ფაშამ ჰაიდარ-ოლლუს საუბარი გაუბა. „ამდენი ხანი რატომ ავაზაკობდი და ხალხსა ხოცავდი?“ უთხრა [დიდვეზირმა].

ყარა ჰაიდარ-ოლლუმ დიდვეზირი მევლევის [დერვიშთა] წვერიანი ჩასიზ რომ დაინახა, უთხრა: „დედე-ეფენდი! მგლის შვილი მგელი ვიყავი. კაცი ისე ცყიდის, როგორც უყიდია. კვიცი გვარზე ხტის — ღვთის განგებაა“-ო.

დიდვეზირმა დასტაქარს ჭრილობის შესახებ პეითხა.

— მოსაჩჩენი არ არისო, — უპასუხა დასტაქარმა.

ჰასან-აღა ლაპარაკში ჩაერია და ომო თქვა: „მოწყალეო ხელმწიფე კრეტაზე გაგზავნეო“, დიდვეზირმაც უპასუხა: „რას იზამ, გავაგზავნოთო“.

ჰასან-აღას და მის ორმოცამდე კაცს საპატიო ხალათები ებოძათ და დიდვეზირმა სიტყვა დაიწყო: „იბა, ყარა ჰაიდარ-ოლლუ! რატომ გააცამტვერე და მოკალი ისეთი ვეზირი, როგორიც იყო ქუთაპიას ვეზირი ქუჩექ ჩაუშ-ფაშა?“

ყარა ჰაიდარ-ოლლუმ უპასუხა: „ბრძოლა ბრძოლაა, ასე ხდება ხოლმე. ჩემთან ხელოფერშეკრული რომ მოიყვანეს, ალაპის მოციქულის დროშის მატარებელი ოსმალო ვეზირის ლირსებისა და პატივის-ცემის ამბავია-მეთქი ვიფიქრე, სიმდიდრე და ქონება დავუბრუნე და გავათავისუფლე. შემდეგ კათარჯო-ოლლუ დაედევნა, [ჩემი ბანაკის] გარეთ შეცვედრია და მოუკლავს. ამ საქმეში ხელი არა მაქვსო“.

ფაშამ უთხრა: „ეი, მაგრამ რომ მოჰკალით, რა იქნა ხაზინის ქონება, როგორიცაა თული, დოლი და ალამი? ამდენი წელია, რაც მამაშენი ყაჩალი იყო. მის ხელში მოქცეული სიმდიდრე და შენს მიერ ამდენი ხნის განმავლობაში ხან ერთისათვის, ხან მეორისათვის წართმეული სიმღიდრე და ქონება რომელ მთებში არის ჩამარხული? რომელი ქალაქების ბუნაგებში გაქვს დამალული?“

ეს რომ თქვა, ჰაიდარ-ოლლუმ უპასუხა: „ჩემო ხელმწიფევ! ასეთი შეკითხვა განკითხვის დღეს იქნება. მე მაინც უნდა ამომხდეს სული და ამდენ ხალხს ხელში არ ჩაგიგდებთ, ცეცხლში არ დაგაშვევინებთ. მათ რომ ქონება შერჩათ და ხეობებში საგანძურები ძევთ დაფლული, ამაზე არაფერს გეტყვით. კოჯა ვეზირო, ისის დაისი მოჰკება! გუშინ დავიბადე — დღესა ვკვდები. ახლა შენ საქმეს მიხედეო“.

||საღრაზამმა თქვა: „რას იზამ, ძალიან კარგი!“ შემდეგ ასასბაშის 479 მიუბრუნდა და ბრძანა: „წაიყვანეთ და ფარმაკის კარზე ჩამოახრჩეთ“. ჰაიდარ-ოლლუ ერთ სასამალნე ცხენზე შესვეს. ლომივით უცემა-როდა ხალხს, რომელიც ორივე შხარეს ბრძობებად მიჰყვებოდა: ცხენზე მჯდარი დიდი ჯარის თანხლებით მიღიოდა ფარმაკის კარისაკენ. მეც შევჭექი ცხენზე და დამწუხრებული გავყევი. იქ რომ მივიღნენ, ყელ-ზე ყულფი ჩამოაცვეს, მაგარი თოკი ჩამოაბეს და ცხენი გამოაცალეს. ცხენი ტვირთისაგან გათავისუფლდა და ჰაიდარის შვილმა სული განუტევა. ყველაფერი მასა და ლმერთს შორის დარჩა — წავიდა. რამდენი საჩუქარი და წყალობა ვნახე მისი! დიდი ხნის განმავლობაში ერთად პურიც გვიჭამია. ჩემის მხრივ: — „ალაპის წყალობა იყოს მასზე“.

ეს კია, რომ ანატოლიის ხალხში მისი ავი საქმეებისაგან მოისცენა. ღვთის სიბრძნით, სულთან მეჰმედ-ხან მეოთხის ტახტზე ასვლის პირველ ხანებში პირველი გამარჯვება ამ ჰაიდარ-ოღლუს მოქვლა იყო. ლმერთმა იცის, რომ ასე მოხდა.

იმ ღამეს ჩემს საწყალ სახლში მივეღი და უველა მეგობარს, ნათესავსა და მახლობელს გამოვეთხოვე.

ისევ სკუტარში გაღავეღი და სხვადასხვა საჭირო საგნები ვიყიდე-სელმეორედ მოვილოცე წმინდა საფლავები მათი უწმინდესობა სკუტარელი მაჰმუდ-ეფენდისა, ყარაჯა აჰმედ-ეფენდისა და ალაპის დიდი წმინდანებისა. მათ წმინდა სულებს შემწეობა ვთხოვე. აი, ამგვარად გაგიმართ სამოთხის სურნელებასა და სანატრელი ბალისაკენ — დაითქმისავენ. უფალმა ლმერთმა კეთილად და მშვიდობით მიგვაღწევინოს, ამინ! დიდებითა მოციქულთა ბატონისა!

დიდება ალაპს! მეორე ტომიც აქ დასრულდა

## შინაარსი

### წინასიტყვაობა

### მოგზაურობის წიგნი, თარგმანი

|         |   |     |
|---------|---|-----|
| I.      | წიგნის შესავალი   | 5   |
| I.      | 1050 (1640) წელს სტამბოლიდან ბრუსაში სამოგზაუროდ გასცლა, ჩვენ მოერ<br>ნანაი სამაგლით ქეგლები, ძეველი ქალაქები, მთები, მიწები, ზღვები და<br>ჩვენ მოერ გადატანილი ისეთი გაჭირვება და ტანკვა, როგორც ნათქვამია:<br>„მოგზაურობა ერთი ფარსანვის მანძილზეც ჭოჭოხეთის ნაწილია“ | 11  |
| II.     | აბრეშუმის ადგილისა და სატაბრო ქალაქის — ბრუსის ამბავი   | 13  |
| III.    | ბრუსის ნაგებობათა აღწერა  | 15  |
| IV.     | სულთნებისა და სხვათა ჯამების აღწერა   | 18  |
| V.      | ბრუსის მედრესები  | 22  |
| VI.     | ბრუსის მედრესები  | 22  |
| VII.    | ბრუსის თექიები (დერვიშთა სავანები)  | 23  |
| VIII.   | ბრუსის საქედანოქმედო ნაგებობანი (იმარტები)  | 24  |
| IX.     | ვაჭართა უუნდუკების აღწერა   | 24  |
| X.      | ბრუსის გამლინარე წყაროები   | 25  |
| XI.     | წყლის წისქერლები  | 26  |
| XII.    | ქალაქ ბრუსის აბანოები   | 26  |
| XIII.   | ბუნებრივი თბილი წყლის ანუ ილიჭას აღწერა   | 26  |
| XIV.    | ბრუსის ვაჭრობა  | 29  |
| XV.     | ბრუსის გასართობი და სასეირნო ადგილები   | 31  |
| XVI.    | რუპანის მთის ანუ ქეშიშ-დალის სასეირნო ადგილი  | 33  |
| XVII.   | შენიშვნა: — მოკლედ გაღმოვყენ ამბავი ქვეყნისტების მთების შე-<br>სახებ  | 33. |
| XVIII.  | ოსმალო ფალშექების — მაღალი ლმურთის წყალობა იყოს, მათზე —<br>წმინდა საფულავების აღწერა   | 40  |
| XIX.    | ოსმან-ყაზის დაპყრობების მოკლე ჩამოთვლა  | 41. |
| X.      | ორხან-ყაზის შეილის — ყაზი ხონთქარ მურად-ხან პირეელის - ტაბრზე<br>ასკლის მოკლე ამბავი  | 43  |
| X XI.   | მურად-ხან ხუდავენლიქარის შეილის — ილდირმ ბაიაზეთ-ხანის ტაბრზე<br>ასკლის ამბის მოკლე გადმოცემა   | 44  |
| X XII.  | ულემები, ლვოსმოსავები და დიდი წმინდანები, რომლებიც ილდირი-<br>მის დროს იყვნენ სახელმწიფოში  | 45  |
| X XIII. | მურად-ხან მეორის დროის ულემები, ლვოსმოსავები, შეიხები   | 47  |

|          |   |     |
|----------|---|-----|
| XXIV.    | ოსმალი უფლისწულების წმინდა საფლავები  | 48  |
| XXV.     | ბრძანის ღილა წმინდანების საფლავების აღწერა  | 49  |
| XXVI.    | აშავი იზმითის ვილაიეთში მოგზაურობის ღრհო ნანახისა   | 62  |
| XXVII.   | ათას ორმოცდათი (1640) წლის ჭუმადა პირველის პირველში<br>(19. VIII) ბათუმისა და ტრაპიზონის ქვეყნებისაკენ ჩვენი გასვლა და<br>მგზავრობა   | 71  |
| XXVIII.  | აღწერა ლაზიკის ქველი ვილაიეთის ღილა ქალაქისა და კეთილმოწ-<br>ყობლივ ციხისა, ე. ი. ქალაქ ტრაპიზონისა   | 81  |
| XXIX.    | ტრაპიზონში სულთან კანუნის მიერ ღმორჩილებული ტომების<br>ბეგები   | 83  |
| XXX.     | სულთნების, ვეზირებისა და ქალაქის წარჩინებულთა ჭამების ალ-<br>წერა   | 86  |
| XXXI.    | ჩვენი მოგზაურობა გურჯისტანისა და სამეგრელოს მხარეებში   | 93  |
| XXXII.   | თვალწარმტაცი ქვეყნის, ე. ი. აბაზის ქვეყნის აღწერა   | 97  |
| XXXIII.  | აბაზის ქვეყანაში მოსახლე ტომების შესახებ  | 100 |
| XXXIV.   | მთებში მოსახლე აბაზის ტომები  | 106 |
| XXXV.    | არაჩვეულებრივი და გასაოცარი აბაზის ენა  | 107 |
| XXXVI.   | საძირ აბაზის ენა  | 107 |
| XXXVII.  | ანაპის ყურედან ჩოვის ლაშერობაში გამგზავრება   | 109 |
| XXXVIII. | აზოვის ლაშერობილან, აზოვის აულებლად, ყირიმის მხარეში გამ-<br>გზავრება   | 118 |
| XXXIX.   | წრფელი ევლის თავგადასავალი  | 123 |
| XL.      | ქილორას-სულთანის სავანისა და ციხის აღწერა   | 127 |
| XLI.     | ქილორას-სულთანის სავანის ანუ სარი სალთიკის თქმულებები და მისი<br>აშენებას მიზეზი  | 128 |
| XLII.    | ჩვენი შშობლური სტამბოლში გამგზავრების შესახებ   | 134 |
| XLIII.   | შევი ზღვის სიგრძე-სიგანე  | 135 |
| XLIV.    | ათას ორმოცდათხუთმეტ (1645) წელს ჩვენი წასვლა ამალტის ლაშ-<br>ქრობაში  | 136 |
| XLV.     | მალტის ომის სამზადისი   | 138 |
| XLVI.    | ოქტოს საბაღო კრეტას ანუ კუნძულ კრეტას აღწერა  | 144 |
| XLVII.   | ჰანის ციხის ალყა  | 146 |
| XLVIII.  | ჩჩებ საყვარელი მამის საუცხოო, გასაოცარი ნამიბობი  | 154 |
| XLIX.    | რეჯების თვის პირველს (1646 წ. 13. VIII) დავთარდაჩ-ზალე მემედ-<br>ფაშასთან ერთად არზრუმის ვილაიეთისაკენ ხმელეთით მგზავრობის<br>ღრհო ნანახი საღდურები, დაბები და დიდებული ძეგლები | 159 |
| L.       | დომიას, ბოლუს, „ოთხი დივანის“ თურქების ენა და ცილოკავი  | 167 |
| LI.      | აღწერა ძლიერების მთისა, მაღნეულთა წმინდა მწვერფალისა, ამალეკთაგან<br>შემორჩენილ დიდების ქალაქისა — ამასისი ციხისა   | 174 |
| LII.     | ამასისი ციხის მოყვანილობის ქება-დიდება  | 175 |
| LIII.    | სულთნებისა და დიდკაცების სალოცავი აღგილების აღწერა  | 181 |
| LIV.     | აღწერა დანიშმენდიანთა ბენიერების ქალაქისა — ნიქსარის მტკიცე<br>ციხისა   | 184 |
| LV.      | არზრუმის ჭამების შესახებ  | 198 |
| LVI.     | დიდებული წმინდანების ღიდი სალოცავები  | 206 |
| LVII.    | ჩვენი ლაშერობა ქურთისტანში არზრუმის ვილაიეთის შეშიქის ციხის<br>წინააღმდეგ   | 207 |

|  |     |
|--|-----|
| I:VIII. ჩევნი აჭრა მდინარე არეზის ნაპირიდან და ირანში მდებარე ერევნისა   | 216 |
| და ნახვენის მიმართულებით წასკლა  | 224 |
| LIX. ამ (სპარსული) ენის ზოგი სიტყვის მნიშვნელობა   | 224 |
| LX. ნახვენანში ხანისაგან საჩუქრები და წერილები მიეიღოთ და თავრიზის ქვეყნისაკენ გაემართოთ                             | 225 |
| LXI. აღწერა დიდი ქალაქისა და ქელი ციხისა — მომხილავი თავრიზისა   | 230 |
| LXII. ამბავი ხანთან ერთად თავრიზის სანახების შემოვლისა და დაფა-ლორებისა  | 241 |
| LXIII. საოცენება პაექრობისა  | 241 |
| LXIV. სასურველი თავრიზის ზოგადი ქება   | 244 |
| LXV. ირანის ხალხის დასაგმობი ზე-ჩვეულება   | 246 |
| LXVI. დიდეცეპისა და დიდი წმინდანების საფლავები   | 247 |
| LXVII. ხანთან ერთად შამ-ყაზანის წმინდა საფლავისაკენ მგზავრობის ღროს ჩვენ მიერ დათვალიერებული ცახები                  | 248 |
| LXVIII. გემლინის წმინდანთა სალოცავი აღგილები   | 256 |
| LXIX. ჩევნი გამგზავრება აზერბაიჯანის თავრიზის კილიკითიდან ერევნი-საკენ   | 258 |
| LXX. აღწერა აზერბაიჯანის ციხის — ერევნისა, ხოჯათა ქალაქისა   | 262 |
| LXXI. ერევნიდან ბაქომდე მოგზაურობის ღროს ნანაძი  | 267 |
| LXXII. მონღოლთა ტომის ერთო შტოს — კაითაკების სიტყვები და გამ-თქმები  | 272 |
| LXXIII. ბაქოს ციხიდან საქართველოსაკენ გამგზავრება  | 281 |
| LXXIV. დარუბანდიდან საქართველოსაკენ გამგზავრება  | 290 |
| LXXV. შავშეთის ქართველების ენა   | 297 |
| LXXVI. ჩილდორის კილიკითოს სხვადასხვა მხარეში დამორჩილებული და და-პყრობილ საქართველოს ციხეები                         | 301 |
| LXXVII. ახლოციხიდან აზერბაიჯან მდებარე აღგილები  | 302 |
| LXXVIII. ათას ორმოცდაჩერილეტ (1617) წელს კელვ ერევნის ქვეყნისაკენ გამგზავრება  | 305 |
| LXXIX. სადგურები, რომლებიც ერევნამდე გავიარეთ  | 311 |
| LXXX. ერევნიდან კვლავ აზერბაიჯან დაბრუნება   | 314 |
| LXXXI. ფალიშაპის ბრძანებით ჩევნი წასკლა აზერბაიჯან ბაიბურთს, ჯან-ჯას, იპირს, თორთუშა და ახა-ყალას                    | 317 |
| LXXXII. ღმე თავდასხმა საქართველოს ქვეყანაზე  | 330 |
| LXXXIII. მეგრელების ენა  | 333 |
| LXXXIV. 1057 (1618) წლის ზულ-კადას მეოთხმეტე ღლეს (15 იანვარი) სასტრიც ზამთარში აზერბაიჯან სტამბოლისაკენ გამგზავრება | 346 |
| LXXXV. ქემახის ცხისაკენ გამგზავრება  | 347 |
| LXXXVI. ზამთარში ერზინჯანიდან ჩევნში წასკლა ვარდა ალი-ფაშა დასა-ხმარებლად  | 355 |
| LXXXVII. მერზიფორის სალოცავი აღგილები  | 368 |
| LXXXVIII. მენლაქაფ-ზადეს, ყარა პაილარ-ოლლეს, კათირჯი-ოლლეს გასა-კირი   | 387 |
| LXXXIX. ჩემი კეთილი სტმარი   | 401 |
| XC. ანკარაში დასევნებული ალაპის დიდი წმინდანების გასხვისნებული სა-ფლავებისა და წმინდა აღგილების შესახებ              | 404 |
| XCI. თოკზე მოთამაშე, დახულონებულ ჯამბაზი ფალავნების სანახაობა  | 407 |

|          |  |     |
|----------|--|-----|
| X CII.   | ჩევენი წასულა თოკათში მყოფ ვარდარ ალი-ფაშესთან   | 411 |
| X III.   | ვარდარ ალი-ფაშეს აღსასრული   | 418 |
| X CIV.   | თასს ორმოცდაოცრმეტი (1648) წლის ჯუმათა ალი-ახირეს თვეში ანკა-<br>რის ბეგაზარიდან სტამბოლისაკენ გამგზავრება     | 425 |
| X CV.    | ქოდლუქის წმინდა აღგილები   | 426 |
| X VI.    | მოკლე ამბავი იბრაჟემ-ხანის შვილის, კეთილშობილ სულთან მეჰმედ-<br>ხან შეოთხის სულთნობისა                         | 433 |
| X XVII.  | ჩევენი ბატონი დავთარდარ ზადე მეჰმედ-ფაშეს შეტაკება ვეზირ<br>მევლევისთან  | 435 |
| X XVIII. | შაბანის პირველში (21. VIII. 1648) სილაპდარ მურთაზა-ფაშესთან<br>ერთად სამოთხის სურნელებან დამასკოში გამგზავრება | 436 |
| X CIX.   | გზაზე მოთარეშე ყარა ჰაიდარის შვილის დაჭირა ჰასან-აღას მიერ და<br>სტამბოლში წაყვანა                             | 437 |

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი დ. ლ მ ა ვ ა  
ტექნიკური 6. ბ ო კ ე რ ი ა  
კორექტორი ს. ხ ა ნ ჭ ა ლ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 8.7.1969; ხელმოწერილია დასაბუჭდად 1.II.1971;  
შალალდის ზომა  $70 \times 1081/_{16}$ ; ნაბეჭდი თაბაზი 28.38; სალრიცხვო-საგამომცემლო  
თაბაზი 24.66; ტირაჟი 1300; შეკვეთა № 1957;  
ფასი 2 მან. 59 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15  
Издательство «Мецнериба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15.

---

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, 60, კუტუზოვის ქ., 15  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

«КНИГА ПУТЕШЕСТВИЯ»

Эвлии Челеби

საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წესროების  
კოშისის გამოცემანი

წიგნი I: თ. ყაუხჩიშვილი, პეროდოტე, თბ., 1960.

წიგნი II: ნ. კეჭალმაძე, არიანე. თბ. 1961.

წიგნი III: ვლ. ფუთურიძე, სპარსული ისტორიული საბუ-  
თები. ნაკვ. I. თბ. 1961.

წიგნი IV: ა. გამყრელიძე და ს. ყაუხჩიშვილი, გეორ-  
გიკა. ტომი პირველი. თბ. 1961.

წიგნი V: ნ. შოშიაშვილი, გრიგოლ აკანელის მოისართა ტო-  
მის ისტორია. თბ. 1961.

წიგნი VI: ნ. ჯანაშია, ლაზარე ფარპეცი ღა მისი ცნობები სა-  
ქართველოს შესახებ. თბ. 1962.

წიგნი VII: ეთ. სიხარულიძე, იაკუთის ცნობები საქართვე-  
ლოს და კავკასიის შესახებ. თბ. 1964.

წიგნი VIII: ი. ცინცაძე, ძველი რუსული წყაროები (XI—  
XVI სს.) საქართველოს შესახებ. თბ. 1962.

წიგნი IX: გ. გელაშვილი, გიულდენშტედტის მოგზაურობა  
საქართველოში. ტომი I. თბ. 1962.

წიგნი X: ვლ. ფუთურიძე, სპარსული ისტორიული საბუთე-  
ბი. ნაკვ. II. თბ. 1962.

წიგნი XI: თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“. თბ. 1967.

წიგნი XII: ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა. ტომი მეხუთე. თბ.  
1963.

წიგნი XIII: ნ. ცაგარეიშვილი, იოანე დრასხანაკერტელის  
„სომხეთის ისტორია“. თბ. 1965.

წიგნი XIV: გ. გელაშვილი, გიულდენშტედტის მოგზაურობა  
საქართველოში. ტომი II. თბ. 1964.

წიგნი XV: ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა  
და კავკასიის შესახებ. თბ. 1964.

წიგნი XVI: ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტომი მეორე. თბ.  
1965.

წიგნი XVII: ნ. ლომთური, დიონ კასიოსი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1966.

წიგნი XVIII: ს. ყაუხიშვილი, გეორგია. ტომი მეექვსე, თბ. 1966.

წიგნი XIX: ვლ. ფუთურიძე, ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1966.

წიგნი XX: ს. ყაუხიშვილი, გეორგია, ტომი მეშვიდე. თბ. 1967.

წიგნი XXI: ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი. თბ. 1968.

წიგნი XXII: ი. ცინცაძე, ალექსი იევლევის 1650—1652 წწ. მერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა. თბ. 1969.

წიგნი XXII<sup>2</sup>: ს. ყაუხიშვილი, გეორგია. ტომი მერვე. თბ. 1970.

წიგნი XXIII: ვლ. ფუთურიძე, ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1969.

წიგნი XXIV: ი. ცინცაძე, ტოლოჩანოვის მერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1950 — 1952 წწ. თბ. 1970.

წიგნი XXV: ა. ურუშაძე, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიები“. თბ. 1970.

წიგნი XXVI: კ. კუცია, ესაი ჰასან ჯალალიანცის „აღვანთა ქვეყნის ისტორია“, თბ. 1971.

წიგნი XXVII: მ. მამაცაშვილი, მაჯდ-ოს-სალტანეს „ქალაქ თბილისის აღწერა“. თბ. 1971.

წიგნი XVIII: გ. ფუთურიძე, ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თბ. 1971.

წიგნი XVII: ნ. ლომოური, დიონ კასიოსი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1966.

წიგნი XVIII: ს. ყაუხი შვილი, გეორგიი. ტომი მეექვსე. თბ. 1966.

წიგნი XIX: ვლ. ფუთურიძე, ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1966.

წიგნი XX: ს. ყაუხი შვილი, გეორგიია. ტომი მეშვიდე. თბ. 1967.

† წიგნი XXI: ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი. თბ. 1968.

წიგნი XXII: ი. ცინცაძე, ალექსი იევლევის 1650—1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა. თბ. 1969.

წიგნი XXII<sup>2</sup>: ს. ყაუხი შვილი, გეორგიია. ტომი მერვე. თბ. 1970.

წიგნი XXIII: ვლ. ფუთურიძე, ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1969.

წიგნი XXIV: ი. ცინცაძე, ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1950 — 1952 წწ. თბ. 1970.

წიგნი XXV: ა. ურუშაძე, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიებ“. თბ. 1970.

წიგნი XXVI: კ. კუცია, ესაი ჰასან ჯალალიანცის „აღვანთა ქვეყნის ისტორია“. თბ. 1971.

წიგნი XXVII: მ. მამაცაშვილი, მაჯდოს-სალტანეს „ქალაქ თბილისის აღწერა“. თბ. 1971.

წიგნი XVIII: გ. ფუთურიძე, ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თბ. 1971.